საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, ქალების მიერ განცხადებული ძალადობის მაჩვენებლები საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე მთელს ევროპაში. თუმცა, გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებები საქართველოში შედარებით უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში.

ოჯახური ძალადობის მთავარი მიზეზებია: ეჭვიანობა, უმუშევრობა და სიღარიბე; ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, ქმრის მიმართ უპატივცემულობა, ქმრის, როგორც ოჯახის უფროსის და გამგებლის „უფლება“ - იძალადოს ფიზიკურად მეუღლეზე, ალკოჰოლური მდგომარეობა. შემორჩენილი სტერეოტიპი-წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ და სხვ.[9].

შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს ის ფაქტი, რომ მსხვერპლი ქალების რიცხვის ტენდენცია საქართველოში აბსოლუტურად მზარდია, რაც ძალიან სავალალო მდგომარეობაა ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც საქართველოა.

*მოძალადე კაცებისა და მსხვერპლი ქალების რიცხოვნობის დინამიკა [7]*

*დიაგრამა 6*




მარტო 2017 წელს წინა წელთან შედარებით 35%-ით გაიზარდა მოძალადე კაცთა რიცხვი და 38%-ით მსხვერპლ ქალთა რაოდენობა. განსაკუთრებით მაღალია, როგორც მოძალადე, ისე მსხვერპლის რიცხვი 25-44 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში, რაც პრობლემას განსაკუთრებით აქტუალურსა და საგანგაშოს ხდის.

*მოძალადისა და მსხვერპლის რიცხოვნობა ასაკობრივ ჭრილში[7]*

*დიაგრამა 7*




თითოეული ადამიანის სიცოცხლე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, მოძალადეებისა და მსხვერპლის მომრავლებული ფაქტების წინაშე დგას ჩვენი საზოგადოება. მატულობს ყოფილი ქმრებისგან ცოლის მკვლელობის, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის ფაქტები. რა თქმა უნდა, ძნელია ქვეყანამ შეძლოს ფორსირებული ტემპით ძალადობის პრევენცია. განსაკუთრებული როლი ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ადამიანის თვითშეგნების გაზრდასა და ახალგაზრდა თაობის კეთილგონიერებას: იფიქროს და გადაჭრას ისეთი მწვავე საკითხები, როგორებიცაა: გენდერული უთანასწორობა,გენდერული ნიშნით ძალადობა, ბავშვთა და ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა და ა. შ.

## ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ. დასაქმების სტატისტიკა საქართველოში გენდერული სტერეოტიპების ფონზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. თბ.,2017.
2. აბესაძე ნ.საქართველოში ქალთა დასაქმების სტატისტიკური შესწავლა და რაციონალიზაცია. თბ., 1992.
3. გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში. თბ.,2014.
4. http://www.citizens.ge/index.php/ka/asia-ka-ge/traditions-ka-ge/290-2013-11-25-18-01-00
5. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში.საქსტატის პრეზენტაცია. თბ., 2018.

6. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში.თბ. 2010.
7. J.Baxter, E.O.Wright, "The glass ceiling hypothesis", Gender & Society, Vol. 14 No. 2, April 2000.
8. See: http://www.ssc.wisc.edu/~wright/GenderGap.pdf
9. www.geostat.ge
10. Multi Country Stady of Womens Health and Domestic Violence against Women. 2005
11. http://whqlibdoc.who.int/publications/2005/9241593512_eng.pdf
12. http://www.who.int/violenceprevention/approach/definition/en/
13. http://www.who.int/reproductivehealth/publications/violence/NMH_VIP_PVL_13_1/en/

## Statistical Aspects of Violence against Women

***Nino Abesadze***
*Associate Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

The paper deals with the historical aspects of violence against women, the causes, types, detection forms, and the consequences of violence. Special emphasis has been made on the results of the national survey conducted by the UN Women and National Statistics Office of Georgia. The situation in Georgia is analyzed and relevant conclusions are made.

***Keywords:*** *gender*; *violence; family; research; analysis.*

# შიდა ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში

**ოთარ აბესაძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

*სტატიაში გაანალიზებულია შიდა ტურიზმის განვითარების რაოდენობრივი მახასიათებლები, შიდა ვიზიტორების სტრუქტურა გენდერული, მონახულებადი ადგილების, ეკონომიკური აქტივობის, ასაკობრივი ჯგუფის და სხვ. ნიშნის მიხედვით. დახასიათებულია შიდა ტურიზმის ხარჯების სტრუქტურა და გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები. გაკეთებულია დასკვნები.*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; ანალიზი; ხარჯი; სტრუქტურა; ტენდენცია.*

გლობალიზაციისა და განვითარების ამ ეტაპზე, ტურიზმი ბევრი ქვეყნისთვის, განვითარებისა და ეკონომიკური დოვლათის დაგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ტურიზმი XXI საუკუნის საუკეთესო ბიზნესი გახდა და მისი სრულყოფა საქართველოსათვის წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შანსს და ამავე დროს გამოწვევასაც. ამიტომ, მსოფლიოში მიმდინარე ტურისტული მოვლენების განვითარების ფონზე ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყანაში ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესების სტატისტიკური ანალიზი, ტურიზმის რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრა, განვითარების ტენდენციების გამოვლენა და კანონზომიერების დადგენა შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება. ცხადია, ამისათვის საჭიროა შესაბამისი მონაცემთა სრულყოფილი ბაზა, რომელიც საქართველოში სულ უფრო სრულყოფილი ხდება.

ფაქტია, რომ წლების განმავლობაში თითქმის არ აღირიცხებოდა ტურიზმის ისეთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტი, როგორიცაა შიდა ტურიზმი, რაც საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან ერთად ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია და ხელს უწყობს საერთოდ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდას. ბევრ ქვეყანაში შიდა ტურიზმი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთაშორისო ტურიზმი. ასე, მაგალითად, კანადაში ტურიზმიდან არსებული შემოსავლების 77.1%-ს შეადგენს მოსახლეობის ხარჯები შიდა ტურიზმზე, რაც 54.6 მლრდ აშშ დოლარს უდრიდა 2017 წელს. ანუ, შემოსავლები შიდა ტურიზმიდან სამჯერ და მეტად აღემატებოდა შემოსავლებს საერთაშორისო ტურიზმიდან.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურმა 2015 წლიდან დაიწყო პერმანენტულად ჩატარებული კვლევების შედეგის გამოქვეყნება. მართალია, რიგი მაჩვენებლის მიხედვით შედგენილი დროითი მწკრივები სულ რამოდენიმე დონეს მოიცავს, მაგრამ გარკვეული გაანგარიშებების წარმოება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელი იყო. 2017 წელს ჯამური ვიზიტების რაოდენობამ 12,64 მლნ შეადგინა, რაც 2,5%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ყველაზე მეტი ვიზიტი, 25,4% თბილისში დაფიქსირდა, ხოლო დანარჩენ რეგიონებში განსხვავებული სურათი გამოვლინდა: იმერეთში ვიზიტების წილმა 18,4% შეადგინა, აჭარას ესტუმრა შიდა ვიზიტორების 12,9%. ამის გარდა ყველაზე მონახულებად რეგიონებს მიეკუთვნებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი (7,3%) ,შიდა ქართლი(7.1%), ქვემო ქართლი(6,5%) და მცხეთა-მთიანეთი (6,1%) და ა.შ.

*შიდა ვიზიტორების განაწილება რეგიონების მიხედვით 2017 წელს [7]*

*დიაგრამა 1*



როგორია ქრონოლოგიურად ვიზიტების რეგიონული სტრუქტურა?

2014 წლის მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლის ჯამური ვიზიტების საშუალოთვიურმა რაოდენობამ 3472,3 ათასი შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისსა და იმერეთიდან (შესაბამისად 23,9% და 22,5%) დაფიქსირდა, ხოლო დანარჩენ რეგიონებში მცირედი სხვაობა შეინიშნებოდა განხორციელებული ვიზიტების სიხშირის მიხედვით. 2015 წლის ჯამური ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა წინა წელთან შედარებით, 48%-ით გაიზარდა და 5150,3 ათასი შეადგინა, მოცემულ წელს ყველაზე მეტი, 1158,3 ათასი, ვიზიტი მესამე კვარტალში დაფიქსირდა, მაგრამ 2015 წლის II-IV კვარტლის ჯამური ვიზიტების რაოდენობა 9%- ით შემცირდა წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით. ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისიდან და იმერეთიდან (შესაბამისად 25,7% და 21,7%) დაფიქსირდა. 2016 წელს ჯამური ვიზიტების საშუალო თვიური წინა წელთან შედარებით კიდევ 4,8%-ით გაიზარდა და 5400 ათასი ვიზიტი შეადგინა. მოცემულ წელს , ისევე როგორც წინა წელს, ყველაზე მეტი, 1238,2 ათასი ვიზიტი, მესამე კვარტალში განხორციელდა, ხოლო ყველაზე ნაკლებად აქტიური ამ თვალსაზრისით 2016 წლის პირველი კვარტალი იყო, როდესაც 987,7 ათასი ვიზიტი დაფიქსირდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისიდან (28,3%) განხორციელდა. 2017 წელს ჯამური ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 5265.4 ათასი ვიზიტი შეადგინა, რაც 2.5%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით . ისევე როგორც დანარჩენ წლებში, ამ წელსაც მესამე კვარტალში ყველაზე მეტი, 1185.7 ათასი ვიზიტი დაფიქსირდა. ამ წელსაც ვიზიტების უმეტესობა თბილისიდან დაფიქსირდა 26.1% და დანარჩენ რეგიონებში მცირედი სხვაობა შეინიშნებოდა განხორციელებული ვიზიტების სიხშირის მიხედვით.

*15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალოთვიური რაოდენობა, ათასი [7]*

*დიაგრამა 2*




ანალიზისთვის საინტერესო იყი შიდა ტურიზმის კლასიფიკაცია ვიზიტის მიზნის მიხედვით. როგორც აღმოჩნდა, შიდა ვიზიტორები მოგზაურობისას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობდნენ. საერთოდ განხორციელებული შიდა ვიზიტების უმრავლესობა 50,4%, მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად განხორციელდა, მხოლოდ 13,4% გადაადგილდა შოპინგისთვის, შიდა მოგზაურების პოპულარულ აქტივობას წარმოადგენდა ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება, რესპონდენტების 11,2%-სათვის შიდა ტურიზმი მკურნალობა გაჯანსაღებისთვის განხორცილედა, 2% რელიგია/მომლოცველობისთვის, ვიზიტორთა მხოლოდ 9,9% -სათვის იყო შიდა ტურიზმი დასვენება და გართობისათვის განკუთვნილი. რა თქმა უნდა ეს უკანასკნელი საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, რაც განასხვავებს საქართველოს სხვა ქვეყნების მაჩვენებლებისგან, სადაც შიდა ტურიზმი დასვენების ერთ-ერთ საუკეთესი საშუალებას წარმოადგენს, მაგალითად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

*შიდა ვიზიტორების განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით 2017 წელს[7]*

*დიაგრამა 3*




საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა რეგიონული ჭრილით რეზიდენტების მოგზაურობის მთავარ მიზნის შესწავლისას. თბილისიდან არსებული ვიზიტების 22,9% დასვენების, გართობისა და რეკრეაციის ხასიათის იყო, ანალოგიური მაჩვენებელი საქართველოს დანარჩენი ნაწილისათვის 5.3%-ია. თბილისიდან ვიზიტების 47,1% მეგობრების და ნათესავების მოსანახულებლად განხორციელდა. აღნიშნული მაჩვენებელი დანარჩენი საქართველოსათვის 51,5%-ს შეადგენდა. [6, 8]

როგორც აღმოჩნდა, შიდა ვიზიტორებისთვის ყველაზე სასურველ ქალაქებს წარმოადგენდა: თბილისი (25.5%), ბათუმი (9.3%) და ქუთაისი (8%)

*2017 წელს შიდა ტურიზმის დროს მონახულებადი ქალაქების ტოპ-ათეული (%)*

*დიაგრამა 4*




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია [6], [8]

2017 წელს ღამისთევების ჯამურმა რაოდენობამ 23,97 მლნ შეადგინა, ხოლო საშუალო ღამისთევების რაოდენობამ - 2 ღამე. შიდა ვიზიტების დროს რეზიდენტების 43%-მა მინიმუმ ერთ ღამე გაათია თავისი საცხოვრისის მიღმა. ცალკეული რეგიონების მიხედვით გატარებული ღამეების რაოდენობა განსხვავებულია. ასე მაგალითად, თუ თბილისში ვიზიტორები საშუალოდ 3,5 ღამეს ათენენ, გურიაში ის 2,1-ის, ხოლო მცხეთა მთიანეთში 0,7 -ის ტოლია[7].

შიდა ვიზიტორებმა ვიზიტისას გატარებული მთლიანი ღამისთევების ჯამური რაოდენობის 61,8% მეგობრის, ნათესავის სახლში გაატარეს, 24,7% -საკუთარ სახლში, 3,9% - საოჯახო სასტუმროში, ხოლო 2,2% კი სასტუმროში. დასვენების მიზნით მოგზაურმა ვიზიტორებმა მთლიანი ღამისთევების რაოდენობის 43,5% მეგობრის, ნათესავის სახლში გაატარეს, 24,2% -საკუთარ სახლში და 13,9% კი ნაქირავებ ბინაში. როგორც ჩანს ქალები უფრო აქტიურები და მოგზაურობის მოყვარულები აღმოჩნდნენ. 2017 წლის მონაცემებით შიდა ვიზიტის განხორციელებისას ქალების წილი 54%-ს შეადგენდა.ქქალები აჭარბებდნენ მამაკაცებს წინა წლების მონაცემების მიხედვითაც. 2015 წელს ქალი ვიზიტორების რაოდენობა 10%-ით აღემატებოდა კაცი ვიზიტორების რაოდენობას, 2016 წელის კი 14%-ით.

ვიზიტორების ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზმა ცხადყო, რომ ყველაზე აქტიური იყო, 31-50 წლის ვიზიტორების კატეგორია [7], რომელთა წილი მთლიან ვიზიტორებში 38,3%-ს შეადგენდა თუ უფრო

დეტალიზებას გავაკეთებთ, მაშინ მივიღებთ, რომ მათ შორის ყველაზე მეტს 19, 6%-ს 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის რეზიდენტები შეადგენდნენ, შემდეგ კი აქტიურობით გამოირჩეოდა 25-34 ასაკის ჯგუფის ვიზიტორები 19.3% -იანი წილით [6].

საინტერესოა, რაზე ხარჯავენ შიდა ვიზიტორები ფულს ვიზიტის განხორციელებისას?

2017 წლისათვის შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 1,61 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 129 ლარს შეადგენდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი მთლიანი ხარჯების 30,8%, საყიდლებზე დაფიქსირდა ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი საკვები და სასმელი დანახარჯებში 24.6%-იანი წილით, ტრანსპორტზე გაწეული დანახარჯები კი 18,6%-ს შეადგენდა. რეკრეაციასა და კულტურულ აქტივობებზე შიდა ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯის მხოლოდ 1,3% გასწიეს.

*შიდა ვიზიტორების ხარჯების სტრუქტურა (2017 წელი)* [7]

*დიაგრამა 4*




ვინ არიან შიდა ვიზიტორები ეკონომიკური აქტივობის მიხედვით? შიდა ვიზიტორების უმრავლესობა წარმოადგენს დასაქმებულია, მათი წილი შიდა ვიზიტორებში 28%-ს შეადგენს, შემდეგ მოდის თვითდასაქმებულებისა (19%) და უმუშევრების (16%) კატეგორია.

*შიდა ვიზიტორების ეკონომიკური აქტივობა (2017 წელი)[6, 8]*

*დიაგრამა 5*




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

რა ფაქტორები ახდენენ უარყოფით გავლენას შიდა ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში? ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ რეალურად საქართველოდან ფინანსური რესურსები მხოლოდ იმიტომ გაედინება, რომ საქართველოში არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ საკუთარი მოქალაქეები კონკურენტული, მაღალხარისხიანი ტურისტული მომსახურებით [3, გვ. 52]. ეს ფაქტორები პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ:

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გაიზარდა სასტუმროების რაოდენობა, ჯერ კიდევ არსებობს განთავსების საშუალებების არასათანადო დონისა და რაოდენობის პრობლემა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ისინი ვერ აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტებს (მაგალითად – ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, კახეთის ზოგიერთი რაიონი, იმერეთი და სხვა.) (აბესაძე ნ. 2018).
- რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს კვების ობიექტების არასათანადო აღჭურვილობა და მომსახურების ხარისხი განსაკუთრებით პოპულარულ ტურისტულ ადგილებში

და საფეხმავლო ბილიკების სიახლოვეს (მაგ. ყაზბეგი – სნო - ჯუთა – როშკა; მესტია – ადიში – ხალდე – კალა – უშგული; დასასვენებელ ადგილებს მაგ: შაორის წყალსაცავი, ენგურის წყალსაცავი, და სხვა).

- ნაკლებია ან სრულად არაა გამართული სანიტარული კვანძები, განსაკუთრებით რეგიონებში.
- რადგან გაიზარდა ინდივიდუალურ, ანუ არაორგანიზებულ შიდა ტურისტთა რიცხვი, დღის წესრიგში დგას საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებისა და მომსახურების გაუმჯობესების საკითხი.
- მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს სხვადასხვა ტურისტულ ღირსშესანიშნაობამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ჯერ კიდევ მრავალ ისტორიულ ძეგლთან თუ სხვა ღირსშესანიშნაობასთან მისასვლელი გზა სავალალო მდგომარეობაშია (აბესაძე ნ. 2018).

შიდა ტურიზმის ზრდისათვის აუცილებელია მოგზაურთათვის მაღალი ხარისხის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტისა და საუკეთესო შთაბეჭდილების შეთავაზება, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს ყურადღების გამახვილებას სხვადასხვა ასპექტზე (მარშავა ქ. კიკორია გ. 2018). მიუხედავად ზემოაღნიშნული ხარვეზებისა, შიდა ტურიზმი საქართველოში ვითარდება და თანდათან იზრდება მისი მნიშვნელობა დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარებისათვის, ის ხომ გამოირჩევა მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალითა და მრავალფეროვნებით.

## ლიტარატურა:


1. აბესაძე, ნ., .ქინქლაძე, რ., ჩიტალაძე, ქ. სტატისტიკა ტურიზმისათვის. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ., 2017.
2. აბესაძე ნ., გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში. სამეცნიერო გამოცემა სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი,“ თბ.,2018.
3. ახვლედიანი, ნ,.ვირსალაძე, ნ., ონიანი ი. ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები. სამეცნიერო გამოცემა სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.,2018.
4. მარშავა ქ. კიკორია გ. ტურიზმის განვითარება და ეკონომიკური ზრდა. სამეცნიერო გამოცემა სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.,2018.
5. Basic questionnaire proposed by WTO to estimate visitor expenditure associated to inbound tourism.http://www.sesrtcic.org/imgs/news/Image/Basic%20questionnaire.visitor%20expenditure.pdf Accessed on 12/04/2016
6. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი www.gnta.ge
7. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი. www.geostat.ge
8. https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/
9. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf


## The Main Trends of Development of Internal Tourism in Georgia


***Otar Abesadze***

*Academic Doctor of Economics*



S u m m a r y

In article are analyzed the quantitative characteristics of development of internal tourism, the structure of internal visitors according to different marks: gender, visitation places, economic activity, age group and others. The structure of internal tourism expenditure is characterized and the obstacles to the development of tourism have been identified. The relevant conclusions are made.



***Keywords:*** *tourism; analysi; cost; structure; trend.*

# გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე

**რამაზ აბესაძე**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის*
*ინსტიტუტის დირექტორი*

*სტატიაში განხილულია გლობალიზაციის თანამედროვე აქტუალური საკითხები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე.*

*გლობალიზაცია წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში.*

*გლობალიზაციას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი ამიტომაც ის მოიცავს ადამიანთა საზოგადოების როგორც განვითარების, ასევე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება.*

*გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე, მათ შორის უმუშევრობაზე. სტატიაში დეტალურადაა გაანალიზებული გლობალიზაციის ეროვნულ სახელმწიფოსა და ეკონომიკაზე გავლენის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, ასევე, მისი გავლენა უმუშევრობაზე განვითარებულ, განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.*

*საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ეროვნული ეკონომიკა; უმუშევრობა; საერთაშორისო შრომის ბაზარი.*

ტერმინი - **გლობალიზაცია** წარმოდგება სიტყვისგან – „გლობე" (დედამიწა) და წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში. გლობალიზაციას აქვს საერთოპლანეტარული ხასიათი.

გლობალიზაცია არის რეალური ობიექტური პროცესი, მისი წარმოშობის მიზეზებია: 1. ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების შინაგანი მოთხოვნები - ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების რეალური დონე; 2. ბიზნესის მოტივაცია, მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება; 3. მსოფლიოში გადაუჭრელი გლობალური (ენერგეტიკული, სასურსათო, უსაფრთხოების, მშვიდობის, სიღარიბის დაძლევის, ჭარბმოსახლეობის, ავადმყოფობის, ეკოლოგიური, სანედლეულო, ოკეანისა და კოსმოსის ათვისებისა და სხვ.) პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ და რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო გადაჭრას [3]. აღსანიშნავია, რომ დანახარჯები გლობალურ პრობლემათა გადასაჭრელად ყოველწლიურად შეადგენს მსოფლიო მშპ-ის (გაანგარიშებულს მსყიდველობითი პარიტეტის მიხედვით) 2,5 % [4].

გლობალიაციის დაჩქარებას ხელი შეუწყო: 1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (საერთაშორისო ვაჭრობა საქონლითა და მომსახურებით; კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია; სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია; ცოდნისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემა; საერთაშორისო სავალუტო-საანგარიშო ურთიერთობები) განვითარებამ, რაც თავისთავად განაპირობა საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებამ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, მანქანური წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებამ; 3. საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზარის ჩამოყალიბებამ; 4. განვითარებული ქვეყნების შესვლამ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებამ, რასაც მოყვა თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება (ახალი საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ელექტრონული სისტემები, ინტერნეტი, თანამგზავრული ტელევიზია, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები და ა. შ.) და რამაც ახალი ბიძგი მისცა დედამიწის ერთიან გლობალურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას; 5. რეგიონალიზაციის პროცესების დაჩქარებამ, რის საფუძველზეც ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი; 6. მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირებამ და მათმა არნახულმა დივერსიფიკაციამ; 7. ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროების უნიფიკაციის ტენდენციის გაძლიერებამ.

გლობალიზაცია არაერთგვაროვან გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოებზე, გლობალიზაციის პროსში მთავარ როლს განვითარებული ქვეყნები თამაშობენ, ვინაიდან სწორედ ისინი ფლობენ ჭარბი რაოდენობისა და შესაბამისი ხარისხის წარმოების ფაქტორებს, ისინი აწარმოებენ მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციას. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ განვითარებული ქვეყნები მსოფლიო მასშტაბით: 1. იყენებენ გაცილებით იაფ სამუშაო ძალასა და რესურსებს 2. იზიდავენ მაღალი

კვალიფიკაციის სამუშაო ძალას 3. ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში გააქვთ დაბალი ხარისხის პროდუქცია 4. აწარმოებენ ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკის გატანას 5. ექმნებათ ხელსაყრელი პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ამისათვის საჭირო უზარმაზარი რესურსების მოზიდვის საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით.

სხვა ქვეყნები გლობალიზაციის პროცესში: 1. იყენებენ მსოფლიოში დაგროვებულ დიდ გამოცდილებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოეს მიღწევებს, 2. იღებენ დიდ ფინანსურ დახმარებას, 3. წყვეტენ მრავალ (სიღარიბის, ეკოლოგიურ, სამედიცინო და სხვ.) პრობლემას.

გლობალიზაციის განვითარების, მისი ეროვნულ სახელმწიფოებზე და ეკონომიკაზე დადებითი და უარყოფითი გავლენის ტენდენციებიდან შეილება გამოიყოს: 1. სულ უფრო და უფრო მეტი ეროვნული სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში; 2. თავბრუდამხვევი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესები, რის მთავარ ძალას ტრანსეროვნული კორპორაციები წარმოადგენენ. სწორედ მათი საქმიანობა გარდაქმნის მსოფლიო მეურნეობას საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ცოდნის ერთიან ბაზრად; 3. ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; 4. გლობალიზაცია შეიჭრა შიგასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; 5. ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; 6. ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ.; 7. მან მნიშვნელოვნად განაპირობა საბაზრო მექანიზმზე დამყარებული ეკონომიკური და მეტნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ის აიძულებს ცალკეული ქვეყნების მთავრობებს აღმოფხვრან ვოლუნტარიზმი და კორუფცია, ჩამოაყალიბონ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა; 8. ახალი ტექნოლოგიები ვრცელდება ისევე სწრაფად, როგორც კაპიტალი; 9. იგი განაპირობებს მსოფლიო რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას; მსოფლიო არენაზე უმსხვილესი კორპორაციების ფუნქციონირება შესაძლებელს ხდის მიღწეულ იქნეს მასშტაბის ეკონომიის მაქსიმალური ნიშნული; 10. გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გაძლიერება და ერთობლივი ძალებით უმსხვილესი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელება, რაც აჩქარებს ტექნოლოგიის სრულყოფასა და ინოვაციების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით და რაც, უპირველეს ყოვლისა, სასარგებლოა მომხმარებლებისათვის; 11. იგი შესაძლებელს ხდის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები გადაჭრას მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანების შედეგად, რესურსების მობილიზაციისა და მოქმედებათა კოორდინაციის საფუძველზე; 12. დღეისათვის გლობალიზაციის პირობებში თანდათან იზრდება განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის მიხედვით [2]. სამართლიანობა მოითხოვს, რომ გლობალიზაციის პირობებში ეს განსხვავება უნდა მცირდებოდეს და რაც შეიძლება სწრაფად. სხვა შემთხვევაში ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გლობალიზაციის გზაზე; 13. ის ხელს უწყობს ერთ რომელიმე რეგიონში წარმოშობილი ნეგატიური პროცესების (მათ შორის კრიზისების) გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით; 14. შესაძლებელია წარმოიშვას წინააღმდეგობა გლობალიზაციასა და ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს შორის; 15. გლობალიზაციამ შეასუსტა რა სახელმწიფო რეგულირების სფერო, ამასთანავე არ ჩამოყალიბებულა მისი შემცვლელი საერთაშორისო რეგულირების ქმედითი ორგანოები; 16. გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება ნარკობიზნესის გავრცელება და იარაღით არალეგალური ვაჭრობა; 17. ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებადი ქვეყნების საზიანოდ; 18. ხდება პლანეტის მთელი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის თავმოყრა რამოდენიმე ქვეყანაში; 19. რეალური ხდება, პროცესის არასწორად წარმართვის შემთხვევაში, გლობალური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, რაც საზოგადოებას კატასტროფით ემუქრება; 20. ეროვნული ეკონომიკები ხდება არამხოლოდ გლობალიზაციის უბრალო მაყურებელია, არამედ მისი ორგანიზატორები და ცხოვრებაში გამტარებლები; 21. ხორციელდება სახელმწიფო სექტორის კიდევ უფრო შეკვეცა. პრივატიზება შეეხო ისეთ დარგებსაც კი, რომლებიც ადრე მკაცრი რეგულაციის დარგებად ითვლებოდა (ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სხვ.); 22. სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტი ხდება სოციალური პოლიტიკა. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შემცირების გამო გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები სოციალურ სფეროში გამოიყენება; 23. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების გალენა, რომელთა წესების შესაბამისად ფუნქციონირებს ეროვნული ეკონომიკის დიდი ნაწილი. ეს ორგანიზაციებია, უპირველეს ყოვლისა, გენერალური შეთანხმება ტარიფისა და ვაჭრობის შესახებ (GATT), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია **(VTO)**, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკი (WB); 24. მიმდინარეობს შრომის დანაწილების

ახალი ეტაპი, რომლის დროსაც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ სხვა ქვეყნები; 25. ხდება ეროვნულ ეკონომიკაზე ეგზოგენური ფაქტორების გავლენის ზრდა; 26. მსოფლიო საფინანსო-საკრედიტო სისტემა, რომლის გლობალიზაციის დონემ წინ გაუსწრო რეალურ სექტორში გლობალიზაციის დონეს, დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირებაზე და სხვ.

გლობალიზაციის უარყოფითი მხარეებიდან ცალკე შეიძლება გამოიყოს მისი გავლენა სავალუტო კურსზე. მცოცავი სავალუტო კურსის არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ექსპორტის მოცულობაზე. სავალუტო კურსმა რომ ფასის როლი შეასრულოს, ის უნდა დგინდებოდეს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. სინამდვილეში, მასზე ასევე გავლენას ახდენს კაპიტალის ბაზარიც, რამაც, შესაძლებელია, ზოგიერთი ქვეყანა უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს. ასევე სერიოზული ნეგატიური შედეგები მოსდევს სპეკულაციებს სავალუტო ბაზარზე. ამიტომ, აუცილებელია სავალუტო კურსის საერთაშორისო რეგულირება, რაც მხოლოდ შესაბამისი ორგანოების არსებობით იქნება შესაძლებელი. არ შეიძლება უარი ვთქვათ პროტექციონისტურ პოლიტიკაზე და კარი გავუღოთ ნებისმიერ მოვარდნილ ქარს, გამოწვეულს გლობალიზაციის პროცესებით. ქვეყნისათვის საჭიროა პრეფერენციები, ზომები, რომელიც ქვეყანას ანიჭებს გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობას [2].

იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის პირობებში, როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე წარმოების ფაქტორთა გატანას ძირითადად ადგილი აქვს განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, ადასტურებს ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მშობელი კომპანიების უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებულ ქვეყნებშია განლაგებული. ამასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციები უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ ინვესტიციებს, ვინაიდან ისინი ღებულობენ თავისუფალ დაშვებას სხვა ქვეყნების ბუნებრივ და შრომით რესურსებზე, უერთებენ რა მათ თავიანთ საკუთარ რესურსებს – კაპიტალს, ცოდნას, ტექნოლოგიასა და მეწარმეობრივ უნარს.

გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე და, მაშასადამე, უმუშევრობაზეც. უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები დამოკიდებულია მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში არსებულ მდგომარეობაზე. თუ მსოფლიო ეკონომიკა გამართულად ფუნქციონირებს, მაშინ ეროვნული ეკონომიკებისათვისაც ხელსაყრელი გლობალური პირობები იქმნება და პირიქით. თუმცა, ცალკეულ ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, შესაძლებელია, არ შეესაბამებოდეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ პირობებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის ჩართულობის ხარისხზე გლობალიზაციის პროცესებში, ასევე მოცემული ქვეყნის რესურსებით უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური განვითარების დონეზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე. უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენა განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის დაბალი დონე, მაგრამ გლობალიზაცია მაინც დიდ გავლენას ახდენს მასზე. შეიძლება გამოიყოს გლობალიზაციის ორი დიდი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს უმუშევრობის ზრდაზე განვითარებულ ქვეყნებში: პირველი, მაღალი ტექნოლოგიების (უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების) ფართომასშტაბიანი დანერგვა, რომელიც სულ უფრო და უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვს ყოველ შექმნილ ახალ პროდუქციაზე, რაც თანდათან წარმოებიდან დევნის დაბალკვალიფიციურ მუშახელს და რაც მოქმედებს უმუშევრობის დონის ზრდის მიმართულებით. მეორე, გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნები მიისწრაფიან თავიანთი წარმოება გაიტანონ საზღვარგარეთ იქ არსებული იაფი სამუშაო ძალისა და ბუნებრივი რესურსების გამო. შედეგად, ბუნებრივია, ეს პროცესი იწვევს დასაქმების შემცირებას ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით, გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამიტომ, სამუშაო ადგილები მცირდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია გარე სამყაროზე და იზრდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია შიგა მოხმარებაზე. შესაძლებელია ეკონონიკის ამ ორ სფეროს შორის დასაქმების მიმართულებით ბალანსი დაირღვეს და დიდი უმუშევრობა გამოიწვიოს. ამ პროცესს, ამავე დროს, მოსდევს სამუშაოს პოვნის გაძნელება დაბალი კვალიფიკაციის მქონე უშევრებისათვის, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი შესაბამისი სამუშაო ადგილების გატანა ხდება საზღვარგარეთ. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დაბალი დონის შესანარჩუნებლად, ანუ უმუშევრობის ზრდის ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტორის კომპენსაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციების მეშვეობით უნდა მოხდეს ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა უმთავრესად მომსახურების სფეროში. განვითარებად ქვეყნების ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ღებულობენ რა უზარმაზარ შემოსავლებს ნავთობის რეალიზაციის შედეგად, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა შეძლეს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ცხოვრებისა და განათლების დონის ამაღლება.გგლობალიზაციის მეშვეობით ნავთობის ექსპოტიორმა ქვეყნებმა ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალ ტემპებს მიაღწიეს, ამიტომ ისინი სულ უფრო უახლოვდებიან მდიდარ ქვეყნებს [5]. დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილები იქმნება აქ ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ, იაფი მუშახელისა და ბუნებრივი მდიდარი ბუნებრივი რესურსების არსებობის გამო. ამდენად, ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმცირე, სიღარიბე, ძლიერ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, დაბალ ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ.). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა

უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ, მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა ძალზე მცირედაა განვითარებული. ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სუსტად არიან ჩართული გლობალიზაციის პროცესებში და მათზე გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. ამიტომაც უმუშევრობისა და შემოსავლების უთანაბრობის დონე მაღალია. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიული საზოგადოების აშენება. ამისათვის აუცილებელია როგორც შიგა, ასევე გარე რეზერვების ამოქმედება. ამასთან, სწორედ უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს მათი განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მათი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე იძულებითი უმუშევრეობის დონე ძლიერ მაღალი იყო, შემდეგ თანდათან შემცირდა მეტნაკლები წაემატებით, რაშიდაც გლობალიზაციამ დიდი როლი ითამაშა როგორც საერთაშორისო მატერიალური და მეთოდოლოგიური დახმარებების, ისე ინოვაციების გადაცემის გზით (აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. 2012).

როგორც ჩანს, გლობალიზაცია მოიცავს როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ასევე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება. ამაში უდიდესი წვლილი ეკუთვნით ლიდერ (დიდ) სახელმწიფოებს. სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გლობალიზაციის ბედი.

გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია რეალური პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია. გლობალიზაციის პროცესი არის მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოებს შორის დიდი კონკურენციის, მაგრამ ამავე დროს დიდი ურთიერთდახმარების პროცესი. ამიტომ, საჭიროა გლობალიზაციის არაუარყოფა, არამედ თითოეული სახელმწიფოს მისწრაფება, რათა ეს პროცესი წარმართოს თავისი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. თითოეულმა ქვეყანამ უნდა იბრძოლოს გამარჯვებისათვის დიდ კონკურენციულ ბრძოლაში, მაგრამ, რასაკვირველია, არა ძალით, არამედ ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნით, კულტურის სრულყოფით, ინტელექტის ამაღლებით და ა.შ. გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით. ამავე დროს შენარჩუნებული იქნეს ეროვნული თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა. შ.).

გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებზე, მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან მისი ფუნქციები დაიკარგება. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ ის იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალების, დახმარებების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ.

## ლიტერატურა:


1. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ.5, თბ., თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.
2. **Алле М.** Глобализация: разрушение условий занятости и экономического роста. М., ТЕИС, 2003.
3. Владимирова И.Г. Глобализация мировой экономики: проблемы и последствия / И.Г.Владимирова // Менеджмент в России и за рубежом. 2001. №3.
4. Грошева Т.А. Мировая экономика: учебное пособие / Т.А.Грошева, Ж.А.Ермушко, О.Ю. Корнева. - Томск: ТПУ, 2007. - 155 с.
5. Spence M. Globalization and Unemployment // Foreign affairs. – N.Y., 2011. – Vol. 90, N 4. //http://www. Foreignaffairs.com/articles/67874/michaelspence/globalization-and-unemployment

## Globalization and its Impact on the National Economy

***Ramaz Abesadze***

*Doctor of Economics*

*Professor*

S u m m a r y

The article deals with modern actual issues of globalization and its impact on the national economy.

According to the author's explanation, theglobalization is the process of formation the world as an economic, technological, political and cultural entity through conditions of maintaining the statehood and national identity of the concrete countries.

Globalization has objective as well as subjective features. That's why the globalization includes unprecedented possibilities fordevelopment of human society as so as it threats of its existence. The positive results have been achieved only when any exposures of abuse are excluded and all decisions are received as a result of common consensus. The other trends of globalization might be ended with disaster.

Globalization influences all sectors of national economy, including unemployment. In the article into detailed form are discussed the positive and negative sides of influence that globalization has on the national state and economy.

The influence of globalization that affects to the unemployment depends on the circumstances that have been existing in the world and in national economies. The article analyzes the influence of globalization on unemployment in developed, developing and post-communist countries as so as it's influenceon the international labor market at the current stage.

***Key words***: *Globalization; national economy; unemployment; international labor market.*

# მცირე და საშუალო ბიზნესის მენეჯმენტის პრობლემები საქართველოში

**მაია ალადაშვილი**

*ასოცირებული პროფესორი,*

*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში*

**ია ჯიმშიტაშვილი**

*პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი*

*ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საქართველოში ბიზნესის მენეჯმენტი ძალზე რთული და დინამიკური პროცესია, რომელზეც მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესები. ყველაზე სწრაფად ნეგატიური მოვლენები სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს აზარალებს, რადგან საქართველოში ამ ტიპის ბიზნესების მართვა ერთობ მოისუსტებს. გასათვალისწინებელია, რომ მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს შორის არსებული მკვეთრი დისპროპორციის მიზეზი ამ სფეროს მენეჯმენტში დაშვებული შეცდომები და ამავე სფეროში არსებული ხარვეზებია, როგორიცაა, მაგალითად: წარმოებასა და ბაზრის პოტენციალს შორის შესაბამისობის მიღწევა, არასაკმარისი დელეგირება, სუსტი კომუნიკაცია მენეჯერსა და რიგით თანამშრომელს შორის, ბუნდოვანი სტრუქტურა, ანუ გაუმიჯნავი ან არასწორად გამიჯნული უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, საქმიანი და კონკურენტული ურთიერთობების ასახვა პირად ურთიერთობებზე და სხვა. ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები ხშირად განათლების დაბალი დონე, ინფორმაციულობის ნაკლებობა და საჭირო ფინანსების დეფიციტია.თუმცა, მეწარმეთა განათლების საერთო დონის აწევით, სპეციალური სამთავრობო საგანმანათლებლო პროგრამებით და მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური დახმარებით შესაძლებელია ამ პრობლემების გადაწყვეტა.*

*საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი; მენეჯმენტი; პრობლემა; განათლება.*

მსოფლიოს თანამედროვე მაღალგანვითარებული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად წარმატებული მართვით აიხსნება. მართვა ხორციელდება თანამედროვე ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სტადიაზე, ყველა სფეროში და დარგში: მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, განათლებაში და ხელისუფლებაში

ყოველ ორგანიზაციაში საჭიროა კომპეტენტური მართვა

მართვა, ანუ მენეჯმენტი ხშირად გაიგივებულია მიზნის მიღწევის პროცესთან, შემსრულებელთა ძალისხმევის კოორდინაციით და სხვა პირების მეშვეობით, ასევე, სხვა რესურსებითაც.

საქართველოში ბიზნესის მენეჯმენტი ძალზე რთული და დინამიკური პროცესია, რომელზეც მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენები. ეს მოვლეენები და ნეგატიური პროცესები განსაკუთრებით სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესს აზარალებს, რადგან ბიზნესის ამ სფეროში შედარებით მოისუსტებს მენეჯმენტი. მცირე ბიზნესის საწარმოთა მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ეკონომიკური გარემოს ნებისმიერი ცვლილებებისადმი მათი დიდი მგრძნობელობის უნარი. რამდენადაც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია განვითარების ციკლური ხასიათი, ამდენად, მცირე საწარმოს გადარჩენის პრობლემაა ისეთი რეზერვების არსებობა, რომ გადაიტანოს დაცემის პერიოდი და დაელოდოს ბაზრის გამოცოცხლებისა და აღდგენის პერიოდს.

ამის დასტურია ის ფაქტი, რომ საქართველოში 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით რეგისტრირებული 406669 მცირე საწარმოდან ფუნქციონირებს მხოლოდ 95128, ანუ მთლიანი ოდენობის 23,3 %. დანარჩენ მცირე საწარმოს შეჩერებული აქვს საქმიანობა. ეს კი ნეგატიურად აისახება როგორც დასაქმების და მოსახლეობის კეთილდღეობის განვითარებაზე, საბოლოო ჯამში დამანგრეველად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგანაც „მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ხშირად „ფარულ ჩემპიონებსაც" უწოდებენ, რადგან მათი წილი მსოფლიო ბაზარზე 50 %-ზე მეტს შეადგენს, მათი საქონელი და მომსახურება „უხილავი" და ნაკლებად შესამჩნევია, ახასიათებთ გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობის მაღალი დონე, გააჩნია მნიშვნელოვანი საექსპორტო წილი, არიან გლობალური კონკურენტები და დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის წარმატების ბალანში" [Gvelesiani R., 1999].

საქართველოში მთელი ეკონომიკური აქტიურობის 80-85% მსხვილ ბიზნესზე მოდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესი კარგად განვითარებული არ არის. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ბიზნესს ჩვენს ქვეყანაშიც სერიოზული შემოსავლები მოაქვს და თუ ქვეყნის მოსახლეობა უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ახერხებს არსებობას, ესეც ამ ტიპის ბიზნესის დამსახურებაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ მცირე ბიზნესშია დასაქმებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოსათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე ბიზნესს ახასიათებს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, რომელთა შორისაა: რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს; მსხვილ კომპა-

ნიებზე დიდი დამოკიდებულება; თავისი საკუთარი საქმის მართვაში დაშვებული შეცდომები; ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტურობა, მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებისადმი ამაღლებული მგრძნობელობა; დამატებითი ფინანსური სახსრების სესხებასა და კრედიტების მიღებაში სიძნელეები; სამეურნეო პარტნიორების ნაკლები თვითდაჯერებულობა, ხელშეკრულების დადებისას სიფრთხილე და სხვა.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს შორის არსებული მკვეთრი დისპროპორციის მიზეზი, აგრეთვე, ამ სფეროს მენეჯმენტში დაშვებული შეცდომები და ამავე სფეროში არსებული ხარვეზებია.

საქართველოში ბიზნესის მენეჯმენტის კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ მართვის სისტემა უძლური აღმოჩნდა, ამოიცნოს და სწრაფად შეაფასოს ბიზნესის სიტუაციები, გამოიმუშაოს და განახორციელოს ეფექტიანი გადაწყვეტილებები.

წარმოებასა და ბაზრის პოტენციალს შორის შესაბამისობის მიღწევა ქართული მცირე ბიზნესის მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, გადაუჭრელი პრობლემაა, რადგანაც იგი მოითხოვს მრავალი ოპერატიული და სტრატეგიული ამოცანის გადაჭრას, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის სახეობის, რასურსების (მატერიალური და არამატერიალური) შედგენილობისა და მოცულობის დადგენასთან, მათ კომბინირებასთან.

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ მახვილდება ბაზარზე მოქმედების ხაზის შერჩევასა და ინოვაციული სტრატეგიის გამოყენებაზე, რომელთა მიზანია სამამულო საწარმოებისათვის კონკურენტული უპირატესობის შექმნა. მისი მიღწევა კი შესაძლებელია მართვის მექანიზმის ფორმირებით და სისტემური გაუმჯობესებით, მართვის ფუნქციების ხარისხიანი შესრულებით, მართვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ბიზნესის მენეჯმენტის ერთიან სისტემაში მიმდინარე ინფორმაციული და შრომითი პროცესები გვიჩვენებს, თუ რამდენად შედეგიანია ფირმის საქმიანობა ბაზარზე, რამდენად შეესაბამება გამოშვებული პროდუქცია მომხმარებელთა მოთხოვნას. ბიზნესის მენეჯმენტის დონე საბოლოოდ აისახება კონკურენტული უპირატესობების გენერირებისა და რეალიზების მართვის უნარში.

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის დინამიკურობას და ძნელად პროგნოზირებადობას, კომპანიის სტრატეგიული მოდელის ფორმირება სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ იგი უნდა ეყრდნობოდეს სტრატეგიული მართვის კონცეფციას, რომელიც ბიზნესის მენეჯმენტის მწვერვალად არის მიჩნეული.

უამრავი პრობლემა ქართულ ორგანიზაციებში იგივეა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, განვითარების იგივე ფაზაში მყოფ ქვეყნებში, თუმცა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ხასიათი და კულტურული თავისებურებები, საქმის კეთების ტრადიციები და ისტორია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქართული ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკაზე.

ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა თანამშრომლებად ახლობლების, მეგობრების , მათი შვილების და ნათესავების აყვანა. სწორედ ეს პრაქტიკა იწვევს ისეთ გამოკვეთილ ნაკლოვანებებს, როგორიცაა არასათანადო დისციპლინა და პროფესიონალიზმი. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია, პირველ რიგში, პირველი პირიდან იწყება ხოლმე, როდესაც ის არასწორად იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას და მას იყენებს მისი მეგობრების თუ ოჯახის ახლობლების წასახმარებლად. ამ ტენდენციას შეუძლია, რომ ორგანიზაცია შეივსოს არაადეკვატური, არადისციპლინირებული და ერთმანეთისთვის შეუსაბამო კადრებით, რამაც ნებისმიერი საწარმო შესაძლოა სერიოზულ შიდა კრიზისამდე მიიყვანოს.

ქართული მენეჯმენტის ასევე საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა ადამიანების არასწორი დაწინაურება. მენეჯმენტი დასაწინაურებლად ირჩევს ადამიანებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამა თუ იმ საქმის ნორმალური ხარისხით შესრულებით, მაგრამ, სამწუხაროდ ძალიან ხშირად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი კარგი მენეჯერები იქნებიან. მათი უმრავლესობა განაგრძობს მიღებული დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას, ნაცვლად იმისა, რომ ჩართონ მისდამი დაქვემდებარებული ადამიანები.

ქართული მენეჯმენტის კიდევ ერთი პრობლემაა არასაკმარისი დელეგირება, ანუ უფლებამოსილების გადაცემა, როდესაც მენეჯმენტი რეალურად ვერ ანდობს გადაწყვეტილებების მიღებას ქვეშევრდომებს და უმნიშვნელო გადაწყვეტილებებსაც კი მმართველობის ზედა დონე ღებულობს. თანამშრომლებისაგან წამოსული ნებისმიერი თამამი ინიციატივა იგნორირებული რჩება და არ ხორციელდება, შედეგად, ახლად მოსული და ენთუზიაზმით სავსე თანამშრომლებიც მალე კარგავენ ინიციატივებით გამოსვლის ხალისს და სხვა, პასიურ ცხოვრებას შეგულებული თანამშრომელთა რიგს უერთდებიან.

ქართული მენეჯმენტის არცთუ უმნიშვნელო პრობლემაა სუსტი კომუნიკაცია მენეჯერსა და რიგით თანამშრომელს შორის. მენეჯმენტი მოწყვეტილია რეალურ პრობლემებს და არ არიან საქმის კურსში, რა სურთ მის თანამშრომლებს, რა სურთ კლიენტებს, რა პრობლემებია ზოგადად კომპანიაში და ასე შემდეგ, რაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა სერიოზული შიდა კრიზისის გაღვივების მიზეზი გახდეს.

ქართული მენეჯმენტის ყველაზე სერიოზული პრობლემაა ბუნდოვანი სტრუქტურა, გაუმიჯნავი ან არასწორად გამიჯნული უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა არ იცის, რას ითხოვენ და რას ელოდებიან მისგან. ეს ეხება როგორც რიგით მუშაკებს, ასევე მენეჯმენტის წევრებსაც. ზოგჯერ არავინ აკეთებს იმას, რაც აუცილებლად და სასწრაფოდ არის გასაკეთებელი, არამედ დაკავებული არიან ერთი და იგივე, რუტინული საქმის კეთებით.

ბუნდოვანი სტრუქტურის გამო ქართული ორგანიზაციების დიდ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა არის მათი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ამოცანები, რისთვის და ვისთვის მუშაობენ, რას უნდათ რომ მიაღწიონ. ეს კი ამცირებს ორგანიზაციის მოქმედების ტემპს და ეფექტიანობას.

ქართულ ორგანიზაციებში გავრცელებული პრობლემაა არასწორი სამუშაო რეჟიმი. ძალიან ხშირად, სამუშაო დღე იწყება მხოლოდ 12-საათზე. მართალია, სამუშაო დრე შესაძლოა გაგრძელდეს საჭიროების შემთხვევაში 9-10 საათამდეც, მაგრამ მუშაობის ასეთი რეჟიმი არასოდეს იქნება ეფექტიანი გრძელვადიანი პერიოდით და ასეთი ორგანიზაციები ვერასოდეს აღწევენ დიდ წარმატებას.

ქართული ორგანიზაციებისთვის დიდი პრობლემა შეიძლება აღმოჩნდეს კლიენტების ინტერესების ხშირი იგნორირება, მათი არასათანადოდ შეფასება და სურვილების გაუთვალისწინებლობა. სამწუხაროდ ბევრ ქართულ საწარმოს ავიწყდება, რომ ბიზნესის არსებობის მთავარი კომპონენტი არის მომხმარებელი და ყველა მთავარი გადაწყვეტილება კომპანიაში უნდა უკავშირდებოდეს მათ სურვილებს და მოთხოვნილებებს. მათი გაუთვალისწინებლობა ძალიან გაართულებს კომპანიის გრძელვადიანი გეგმების განხორცილებას და წარმატებას.

ქართული კომპანიების მუშაობის შედეგებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს საქმიანი და კონკურენტული ურთიერთობების ასხვა პირად ურთიერთობებზე. ხშირად კონკურენცია გადადის პირად უთანხმოებაში. ხოლო პიროვნული დაპირისპირებები სწრაფი ტემპით იწვევს კონფრონტაციას, რაც შეიძლება გახდეს შიდა ორგანიზაციული კრიზისის გამომწვევი მიზეზი.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის ყველა კრიტიკული პრობლემის გამომწვევი მიზეზი სათავეს იღებს მენეჯერთა განათლების დონეში, სტრატეგიაში, სტრუქტურაში, კორპორაციულ კულტურაში არსებული პრობლემებიდან. ჩვენ შევეხეთ პრობლემებს, რომელიც ყველაზე მეტად დამახასიათებელია ქართული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ახდენენ მათ მიმდინარე საქმიანობაზე და მკვეთრად ამცირებენ საქმიანობის ნაყოფიერებას.

თუმცა, შესაძლოა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ბიზნესების ნორმალური ფუნქციონირებისათვის:

მთავარი ორიენტირი მენეჯერისთვის უნდა იყოს იმის განცდა, თუ რატომ არსებობს ეს ორგანიზაცია, რატომ შეიქმნა და რა სარგებელს ქმნის იგი კლიენტებისათვის. აუცილებელია კლიენტების აზრის მოსმენა და იმ რეალური მიზეზების გაგება, თუ რატომ აირჩიეს მათ ეს ორგანიზაცია, რას ფიქრობენ ამის შესახებ და როგორ წამოუდგენიათ მასთან უკეთესი თანამშრომლობა. მომხმარებლების აზრის გათვალისწინება აუცილებელია ორგანიზაციის გრძელვადიანი არსებობისთვის.

ხარისხიანი მართვისთვის აუცილებელია დროდადრო მენეჯერმა თავის ორგანიზაციას შეხედოს გარე, ანუ უცხო თვალით. საქმე ისაა, რომ დიდი ხნის განმავლობაში საქმეში ჩაფლული მენეჯერი ეჩვევა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას და ვეღარ ამჩნევს მნიშვნელოვან პრობლემებს. სწორედ ამიტომაა საჭირო, დროდადრო უცხო თვალით შეხედვა ან იმათი აზრის გაგება, ვინც გარედან აკვირდება ორგანიზაციის საქმიანობას.

ყველაზე მნიშვნელოვნად არსებულ სიტუაციას შეცვლის მცირე და საშუალო საწარმოს მფლობელთა (რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მენჯერის ფუნქციას ასრულებენ), განათლების დონის ამაღლება, რაშიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სპეციალიზებული სავალდებულო საგანმანათლებლო კურსები.

ასევე, ზემოხსენებული პრობლემების გადაწყვეტას ხელს შეუწყობს საკანონმდებლო მოთხოვნა მცირე და საშუალო ბიზნესის რეგისტრაციის პერიოდში მფლობელის მიერ მენეჯერის, თუნდაც მინიმალური კვალიფიკაციის არსებობის აუცილებლობა.

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინება აუცილებლად გამოიწვევს სასიკეთო ცვლილებებს მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაში და ხელს შეუწყობს მას გრძელვადიანი წარმატებების მიღწევაში.

## ლიტერატურა:


1. გველესიანი რ., მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბილისი, „სამშობლო“, 1999წ.
2. გიგაური ი., ზურიკაშვილი ნ., მცირე და საშუალო ბიზნესის თანამდროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები., ჟურნალი „ეკონომიკა“, თბილისი, 2017, N02, გვ.112-119.
3. ქეშელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, თბილისი, „მერიდიანი“, 2013წ. 335 გვ.
4. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ი. თეთრუაშვილი, ზ. საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები
5. **Эйкен Джон Вон**., Менеджмент. Руководство по выживанию. Москва: Альпина бизнес букс. 2009, 290 с.
6. WWW.geostat.ge
7. http://www.nplg.gov.ge
8. http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

## The Problems of Management in Small and Medium Business in Georgia

***Maia Aladashvili***
*Associated Professor, Doctor of Social Sciences in Economics.*

***Ia Jimshitashvili***
*Professor, Candidate of Economical Sciences*
*I. Gogebashvili Telavi State University*

S u m m a r y

Business management in our country is very difficult and dynamic process. Which significantly affects the ongoing economic and political processes in the country. The fastest negative events are the result of small and medium-sized businesses, because management of this type of business in Georgia will be the most exhausting. It should be noted that between small, medium and large businesses the sharp disproportion cause the gaps and management mistakes, such as: Conformity between production and market potential, lack of delegation, weak communication between manager and the staff, blurred structure (that is not separate or incorrect separation between rights and duties and responsibilities), reflection of business and competitive relationships on personal relationships and other. The reasons for these problems are often the low level of education, the lack of information and the lack of financial resources. However, the problem can be solved with the help of entrepreneurs' education level, special government education programs and Small and Mmedium business financial support.

***Key words***: *Small business; management; problem; education.*

# საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებების ეკონომეტრიკული ანალიზი

**იური ანანიაშვილი**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ანა ბარდაველიძე**

*ეკონომიკის მაგისტრი*

*სტატიაში განილული მოდელის თანახმად საშუალო საგადასახადო განაკვეთის ზრდამ ერთობლივ მოთხოვნაზე შეიძლება იმოქმედოს როგორც დადებითად ასევე უარყოფითად. აღნიშნული ზემოქმედების ხასიათს განსაზღვრავს შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრკილებასა და მთავრობის შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას შორის არსებული თანაფარდობა. ქვეყნებისა და დროის პერიოდების მიხედვით ეს თანაფარდობა, როგორც წესი, განსხვავებულია. სტატიაში ეკონომეტრიკული ანალიზის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ 2006-2017 წლების საქართველოს ეკონომიკაში შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრკილება აღემატებოდა მთავრობის შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას. ამის გამო, განხილული პერიოდისთვის საქართველოში ერთობლივი მოთხოვნა საშუალო საგადასახადო განაკვეთზე უარყოფითად იყო დამოკიდებული.*

*საკვანძო სიტყვები: ერთობლივი მოთხოვნა; სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება; მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება; საშუალო საგადასახადო განაკვეთი.*

სტატიაში განვიხილავთ ერთობლივი მოთხოვნის კეინზიანურ მოდელის ერთ-ერთ ვარიანტს [1,2], რომელიც სხვა არსებული მოდელებისაგან გნსხვავებით, გვიჩვენებს, რომ გადასახადების ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე ცალსახად არ განისაზღვრება. მოდელი ეფუძნება კეინზის ამოსავალ პრინციპს: ერთობლივი გეგმიური დანახარჯები (ერთობლივი მოთხოვნა) არსებითად განსაზღვრავს წარმოებისა და შემოსავლების დონეს· ამ პრინციპის თანახმად, წონასწორობის შემთხვევაში გამოშვების მოცულობა $Y$ ემთხვევა ერთობლივ გეგმიურ დანახარჯებს, $E$-ს, რომელსაც შემდეგი სტრუქტურა შეესაბამება:

$$E = C + I + G + NX, \quad (1)$$

სადაც $C$, $I$, $G$ და $NX$ შესაბამისად აღნიშნავენ გეგმურ დანახარჯებს შინამეურნეობების მოხმარებაზე, შიგა მთლიან კერძო ინვესტიციებზე, სახელმწიფო შესყიდვაზე და წმინდა ექსპორტზე[1]. ავხსნათ, თუ როგორ ხდება (1) გამოსახულებაში შემავალი ელემენტების ფორმირება.

შინამეურნეობების მოხმარება $C$ რამოდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული [4]. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია კერძო სექტორის მომდინარე განკარგვადი შემოსავალი, $Y_d$, ანუ შემოსავალი, რომელიც წმინდა სახით რჩება კერძო სექტორში მიმდინარე გადასახადების შემდეგ. უფრო მეტიც, კეინზიანური თეორიის ჩარჩოებში კავშირი $C$-სა და მიმდინარე განკარგვად $Y_d$-ს შორის წრფივი ფუნქციით გამოისახება: $C = a + bY_d$, სადაც ავტონომიური მოხმარებაა, $b$ – მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება. ჩვენი შემდგომი ანალიზისთვის მიზანშეწონილია განვხილოთ ამ ფუნქციის რამდენადმე გარდაქმნილი ვარინტი, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$C = a + b(Y + NF - T) = a + b(Y - T) + bNF, \quad (2)$$

სადაც Y მშპ-ის სიდიდეა, T- წმინდა გადასახადების რაოდენობა, NF- წმინდა ფაქტორული შემოსავლები. შემდეგში (2)-ში შემავალ $a$-ს ეგზოგენური სიდიდის როლში განვიხილავთ, რომლის მნიშვნელობაც, $b$-ს მნიშვნელობასთან ერთად, უნდა შეფასდეს შესაბამისი ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით.

მოხმარების მსგავსად გეგმური დანახარჯების მეორე ელემენტი, I – ინვესტიციები, რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული [4,5]. მაგრამ ანალიზის ამ ეტაპზე ვიგულისხმოთ, რომ ინვესტიციების ძირითადი განმსაზღვრელია საპროცენტო განაკვეთი:

$$I = I_0 - \mu i, \quad (3)$$

---

[1] ერთობლივი გეგმური დანახარჯებისგან უნდა განვასხვავოთ ერთობლივი ფაქტობრივი დანახარჯები, რომლებიც ეროვნული ანგარიშების სისტემაში ყოველკვარტალურად და ყოველწლიურად ფიქსირდება. ეს განსხვავება ძირითადად სასაქონლო მარაგებისა და რეზერვების გაუთვალისწინებელ ცვლილებაში აისახება [3, გვ. 118-141]. ფაქტობრივი და გეგმური დანახარჯები ერთმანეთს მაკროეკონომიკური წონასწორობის დროს უტოლდება.

სადაც $i$ ნომინალური საპროცენტო განაკვეთია; $I_0$– საინვესტიციო დანახარჯების ნაწილი, რომელიც დამოკიდებული არ არის არც საპროცენტო განაკვეთზე და არც გამოშვების მიცულობაზე (ამ შინაარსიდან გამომდინარე, $I_0$ ავტონომიურ ინვესტიციებს მიეკუთვნება); $\mu$ – საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ ინვესტიციების მგრძნობიარობის მახასიათებელი არაუარყოფითი პარამეტრი.

(3)-ში შემავალი $i$-ს მნიშვნელობა ფულის ბაზარზე ფულის მიწოდებისა და ფულზე მოთხოვნის გამაწონასწორებელი მექანიზმით ყალიბდება. უმარტივეს შემთხვევაში ფულის ბაზრის წონასწორობის შესაბამისი განტოლება შეიძლება შემდეგი სახით ჩავწეროთ [5]:

$$\frac{M}{P} = kY - hi\,, \quad (4)$$

სადაც M/P მიმოქცევაში არსებული ფულის რეალური მასაა (იგი ფულის ნომინალური რაოდენობის, M- ის, ფასების დონესთან, P-სთან, შეფარდებით გაისაზღვრება); $k$ da $h$ – დადებითი კოეფიციენტები, რომლებიც მთლიანი გამოშვებისა და საპროცენტო განაკვეთის მიმართ ფულზე მოთხოვნის მგრძნობიარობას ახასიათებს.

(1)-ში შემავალი გეგმური დანახარჯების მე-3 ელემენტი – სახელმწიფო შესყიდვა, $G$, ერთობლივი მოთხოვნის ტრადიციულ მოდელებში, როგორც წესი, მთლიანად ავტონომიურად განსაზღვრადი სიდიდის როლში განიხილება. აქ წარმოდგენილ მოდელში ეს ტრადიცია დარღვეულია და $G$, ისევე როგორც $C$ და $I$, გარკვეული ფუნქციის სახით არის წარმოდგენილი. [1]-ში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო შესყიდვების გეგმური მნიშვნელობის დასახასიათებლად მიზანშეწონილია შემდეგი დამოკიდებულების განხილვა:

$$G = G_0 + gT\,, \quad (5)$$

სადაც $G_0$ სახელმწიფო შესყიდვების ავტონომიური მნიშვნელობაა, რომლის სიდიდეც დამოკიდებული არ არის გადასახადებზე და ეგზოგენურად განისაზღვრება. არასაკმარისი შემოსავლების პირობებში შესყიდვების ეს ნაწილი შეიძლება ვალის აღების გზით განხორციელდეს; $g$– სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება. ეს პარამეტრი შეიძლება განვიხილოთ როგორც ეგზოგენურად რეგულირებადი. ეკონომიკაში არსებული სიტუაციებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ შეიძლება გაზარდოს ან შეამციოს $g$-ს მნიშვნელობა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრულმა მიდრეკილებამ უნდა დააკმაყოფილოს პირობა: $0 \le g \le 1$, რაც საკმარისად ბუნებრივი მოთხოვნაა.

(5)-ის თანახმად, ზოგად შემთხვევაში, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ გარკვეული ნაწილი გამოიყენება შესყიდვებისათვის, დარჩენილი ნაწილი კი ვალის მომსახურებას ან სარეზერვო ფონდის შექმნას შეიძლება მოხმარდეს. გარდა ამისა, იგულისხმება, რომ სახელმწიფო შესყიდვების ნაწილი ეგზოგენურად განისაზღვრება და დამოკიდებული არ არის გადასახადებზე.

რაც შეეხება ერთობლივი გეგმური დანახარჯების მე-4 ელემენტს – ექსპორტ-იმპორტის სალდოს, $NX$-ს, უნდა ითქვას, რომ ეროვნული ეკონომიკის პოზიციიდან ექსპორტი შეიძლება ჩაითვალოს ავტონომიურად, რადგანაც იგი ძირითადად სხვა ქვეყნებში შექმნილი ზოგადი ეკონომიკური პირობებით განისაზღვრება. მაგრამ იმპორტზე ამის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან, როდესაც ქვეყენეში იზრდება წარმოებისა და შემოსავლების დონე, სხვა თანაბარ პირობებში იზრდება, აგრეთვე, მოხმარებულ იმპორტირებულ პროდუქტთა მოცულობა. ამის მიუხედავად, შემდეგში განვიხილავთ გამარტივებულ სიტუაციას და ვიგულისხმებთ, რომ მოდელში როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი დამოკიდებული არ არის მშპ-ის მოცულობაზე და მათი სხვაობა $NX$ ეგზოგენური სიდიდეა, რომელსაც $NX_0$ -ით აღვნიშნავთ.

ერთობლივი მოთხოვნის მოდელის საბოლოო სახით ფორმირებისთვის გამოვიყენოთ კიდევ ერთი დაშვება: ჩავთვალოთ, რომ წმინდა გადასახადების სიდიდე $T$, რომელიც ჩართულია (2) და (5) გამოსახულებებში, შემდეგი სახით განისაზღვრება:

$$T = tY\,. \quad (6)$$

სადაც $t$ წმინდა საშუალო საგადასახადო განაკვეთია და გამოსახავს მშპ-ის ერთეულიდან საშუალოდ ამოღებულ წმინდა გადასახადების სიდიდეს. ცხადია, რომ ზოგად შემთხვევაში, მართებულია შემდეგი პირობა: $0 \le t \le 1$.

ზემოთ მოყვანილი (1)-(6) გამოსახულებები წონასწორობის $Y = E$ განტოლებასთან ერთად გვაძლევს ერთობლივი მოთხოვნის მოდელის ვარიანტს, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:1

$$Y(t) = \frac{(a + I_0 + G_0 + NX_0) + bNF + \dfrac{\mu}{h}\dfrac{M}{P}}{1 - b(1-t) - gt + \mu k/h}\,. \quad (7)$$

---

1 [1]-ში აღნიშნულია რომ (7) ერთობლივი მოთხოვნის კეინზიანური მოდელის კარგად ცნობილი ვარიანტისაგან ($IS - LM$ მოდელისაგან) [იხ. მაგ. 5] გადასახადების ასახვისა და ავტონომიური დანახარჯების განსაზღვრის წესით განსხვავდება.

(7)-ის მარცხენა მხარეში გამოყენებული ერთობლივი მოთხოვნის აღნიშვნა, $Y(t)$, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოცემულ მოდელში ჩვენთვის საინტერესოს წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის დამოკიდებულება საგადასახადო განაკვეთზე, რომელიც, სხვა დანარჩენ ცვლადებთან ერთად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია $Y$ -ისთვის.

ავხსნათ, რა თვისებებით ხასიათდება (7) ფუნქცია. პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ (7)-ის მრიცხველს. როგორც ვხედავთ, განხილული დამოკიდებულებების პირობებში მას სამი მნიშვნელოვანი ელემენტი – ავტონომიური დანახარჯები, $(a + I_0 + G_0 + NX_0)$, წმინდა ფაქტორული შემოსავლები, $NF$, და ფულის რეალური მასა, $M/P$, განსაზღვრავს. მაშასადამე, დადებითი მნიშვნელის შემთხვევაში და სხვა თანაბარ პირობებში, ავტონომიური დანახარჯების ნებისმიერი შემადგენლის, წმინდა ფაქტორული შემოსავლებისა და ფულის ნომინალური მასის, $M$ -ის, ზრდა დადებითად აისახება ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე. ამავე დროს (7)-ის მრიცხველი ცხადად გვიჩვენებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში ერთობლივი მოთხოვნა უარყოფითადა არის დამოკიდებული ფასების დონეზე, $P$ -ზე.

განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს (7)-ის მნიშვნელი:

$$\theta = 1 - (1-t)b - tg + \mu k/h. \quad (8)$$

ამ გამოსახულების ბოლო წევრი, $\mu k/h$, მასში შემავალი პარამეტრების შინაარსიდან გამომდინარე, დადებითი სიდიდეა. მაშასადამე, (7)-ის მნიშვნელის ნიშანი დამოკიდებულია $t$-ს, $b$-სა და $g$-ს მნიშვნელობებზე. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საგადასახადო ნორმატივისთვის ზოგადად სრულდება პირობა: $0 \le t \le 1$. ზუსტად ანალოგიურ მოთხოვნას აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება, $g$ . რაც შეეხება მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას, $b$ -ს, მისი შესაძლო მნიშვნელობა მკაცრი უტოლობით განისაზღვრება: $0 < b < 1$ . ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ასეთ პირობებში:

$$0 < (1-t)b + tg \le (1-t)b + t \le b + (1-b) = 1$$

და (8) $t$ -ს, $b$ -სა და $g$ -ს დასაშვები მნიშვნელობებისათვის ყოველთვის დადებითი სიდიდეა. ეს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის ერთი მხარეა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარე, რომელიც უკავშირდება (7)-ის მნიშვნელში $t$ -ს როლის გარკვევას. როგორც აღნიშნულია [2]-ში $\theta$ -ზე $t$ -ს ზემოქმედების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან $\theta$ -ში შემავალი $b$ და $g$. შესაძლებელია სამი შემთხვევის არსებობა:

$b > g$ - შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება აღემატება სახელმწიფოს შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას;

$b < g$ - შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებას აღემატება სახელმწიფოს შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილება;

$b = g$ - შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება და სახელმწიფოს შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილება ერთმანეთის ტოლია.

როცა აქ ჩამოთვლილთაგან პირველი ($b > g$) სრულდება, მაშინ საშუალო საგადასახადო განაკვეთის ზრდა ამცირებს დანახარჯებისადმი შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ზღვრულ მიდრეკილებას, $[b(1-t)+gt]$-ს, რომელიც $b$ და $g$ სიდიდეების საშუალო შეწონილია, ამიტომ $t$ -ს გადიდება, ზრდის (7)-ის მნიშვნელს, $\theta$ -ს, რასაც, სხვა თანაბარ პირობებში, მოსდევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი (ე.ი. როცა $b < g$) საშუალო საგადასახადო განაკვეთის გადიდება იწვევს შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ზღვრული მიდრეკილების, $[b(1-t)+gt]$-ის, ზრდას. შედეგად, ამ შემთხვევაში გადასახადების ზრდა ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას განაპირობებს. დაბოლოს, როცა $b = g$, მაშინ, როგორც შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ზღვრული მიდრეკილება, ასევე ერთობლივი მოთხოვნა $t$ -ს მიმართ ინდეფერენტულია.

ის თუ კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაში $b$ -სა და $g$ -ს თანაფარდობის აქ განხილული ვარიანტებიდან ძირითადად რომელი სრულდება, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებაზე, მეორე მხრივ, იმაზე, განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება ის. გამორიცხული არ არის, რომ ერთი და იგივე ქვეყნის ეკონომიკაში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, აღნიშნული ვარიანტები ერთმანეთთან მონაცვლეობდნენ.

მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ, ეკონომეტრიკული კვლევის გამოყენებით საქართველოს მაგალითზე გვეჩვენებინა, ძირითადად როგორი იყო $b$ -სა და $g$ -ს მნიშვნელობები 2006-2017 წლების ეკონომიკაში. ამისათვის (2) და (5) გამოსახულებები, შეცდომების წევრების დამატებით, შესაბამის რეგრესიულ განტოლებებად გარდავქმენით:

$$C = a + bY_d + u_c \text{ , (9)}$$

$$G = G_0 + gT + u_G \text{, (10)}$$

სადაც $Y_d = Y + NF - T$ კერძო სექტორის განკარგვადი შემოსავალია; $u_c$ და $u_G$ შეცდომების აღმნიშვნელი შემთხვევითი სიდიდეებია.

ამ განტოლებების შესაფასებლად გამოვიყენეთ საქსტატის მიერ დამუშავებული შესაბამისი დროითი მწკრივების კვარტალურ მონაცემები 2006 წლის პირველი კვარტალიდან 2017 წლის მე-4 კვარტალის ჩათვლით. მაშასადამე, თითოეული განსახილველი მწკრივი შეიცავს დაკვირვების 48 წერტილს.

ორივე განტოლება შევაფასეთ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით (უკმ-ით). ცნობილია, რომ აქ განხილულის მსგავს სიტუაციაში უკმ-ით მიღებული შეფასებები (განსაკუთრებით ეს (9) განტოლების შეფასებებს ეხება) ასიმპტოტურად გადაადგილებულია [6], რადგანაც $C$-სა და $Y_d$-ს შორის, როგორც წესი, არსებობს პირდაპირი და უკუკავშირი. თეორიის მიხედვით ასიმპტოტურად გადაუადგილებელი შეფასებების მისაღებად განხილული (1)-(6) მოდელის საფუძველზე უნდა ავაგოთ კარგად იდენტიფიცირებულ ერთდროულ განტოლებათა სისტემა და მისი განტოლებები სხვა მეთოდებით შევაფასოთ. მაგრამ, როგორც აღნიშნულია [7]-ში, მცირე შერჩევისას (ჩვენს ხელთ არსებული შერჩევა სწორედ ასეთია), რიგი მიზეზების გამო, შეიძლება დავეთანხმოთ შეფასებების ასიმპტოტურ გადაადგილებას და ვისარგებლოთ უკმ-ით. საქმე ისაა, რომ უკმ შეფასებები, სხვა ალტერნატიულ მეთოდების შეფასებებთან შედარებით, ხასიათდებიან ნაკლები დისპერსიით და მცირე შერჩევისას ნაკლებად მგრძნობიარენია ისეთი პრობლემების მიმართ, როგორიცაა მულტიკოლინიარობა, ცვლადთა გაზომვის შეცდომები, განტოლების არასწორი სპეციფიკაცია.

(9) და (10) განტოლებები, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაფასებლად ვიყენებთ დროითი მწკრივების მონაცემებს, თავისი კონსტრუქციით სტატიკურ ეკონომეტრიკულ მოდელებს წარმოადგენენ. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ასეთი მოდელების შეფასებისას წარმოიქმნება, არის შეცდომის წევრებში ავტოკორელაცია. მისი არსებობა შეიძლება სხადასხვა ტესტით, მათ შორის დარბინ-უოტსონის ტესტით, შევამოწმოთ. მაგალითად, ჩვეულებრივი უკმ-ით შეფასებულ მოხმარების (9) განტოლებისთვის მიღებულმა დარბინ-უოტსონის სტატისტიკამ, $DW = 1{,}34$, ავტოკორელაციის არსებობაზე ცხადად მიგვითითა. ასეთ შემთხვევაში ან უნდა მივმართოთ სპეციალურ იტერაციულ პროცედურებსა და მეთოდებს, რომლითაც აღმოვფხვრით ავტოკორელაციას ან, კიდევ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ავტოკორელაციისა და ჰეტეროსკედასტურობის მიმართ რობასტული (მდგრადი) შეფასებების მიღების მეთოდი. ჩვენ ეს უკანასკნელი გზა ავირჩიეთ და საბოლოოდ მოხმარების ფუნქციის შემდეგი ვარიანტი მივიღეთ (განტოლების შეფასებული კოეფიციენტების ქვეშ, ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი რობასტული სტანდარტული შეცდომები):

$$\begin{array}{l} C = 1148{,}5 + 0{,}643 Y_d \text{ , } n = 48, \;\; R^2 = 0{,}7 \\ (z) \;\; (206{,}6) \;\;\; (0{,}04) \end{array} \text{ . (11)}$$

როგორც ვხედავთ, შეფასებული კოეფიციენტების ნიშნები თეორიის შესაბამისია, ხოლო მნიშვნელობები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ჩვენთვის საინტერესო $b$ კოეფიციენტის შეფასება, 0,64, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მიუთითებს იმაზე, რომ 2006-2017 წლების საქართველოს ეკონომიკაში დამატებითი შემოსავლის დიდი ნაწილი მოხმარებაზე მიემართებოდა.

აღსანიშნავია, რომ თეორიასთან სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა ასევე სახელმწიფო შესყიდვების (10) განტოლების შეფასებული ვარიანტი (განტოლების შეფასებული კოეფიციენტების ქვეშ, ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი ჩვეულებრივი სტანდარტული შეცდომები),

$$\begin{array}{l} G = 478{,}8 + 0{,}518 T \text{ , } n = 48, \;\; R^2 = 0{,}7, DW = 1{,}78 \\ (s.e.) \; (82{,}63) \;\;\; (0{,}057) \end{array} \text{ , (12)}$$

რომელიც ავაგეთ იმისათვის, რომ მიგვეღო სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილების $g$ პარამეტრის შეფასება. (11)-ის მსგავსად (12)-ის კოეფიციენტებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. განსხვავება ისაა, რომ (12)-ისთვის მიღებული დარბინ-უოტსენის სტატისტიკა, $DW = 1{,}78$ ავტოკორელაციის არ არსებობის ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფის საფუძველს არ იძლევა. ასე რომ, (12) სტატისტიკურად ვარგისია და შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილების პარამეტრის მიღებული შეფასება $g = 0{,}518$ საანალიზოდ გამოყენებადია.

(11) და (12) განტოლებებში მოყვანილი შეფასებების შედარებით ვრწმუნდებით, რომ $b$ და $g$ კოეფიციენტების სამი შესაძლო ურთიერთმიმართებიდან 2006-2017 წლების საქართველოს ეკონომიკაში ძირითადად სრულდებოდა უტოლობა: $b > g$. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განხილულ პერიოდში დანახარჯებისადმი შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ზღვრული მიდრეკილება, $[b(1-t)+gt]$, საქართველოში საშუალოდ წარმოადგენდა საგადასახადო განაკვეთის, $t$-ს, კლებად ფუნქციას. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ძირითადად მოქმედებდა კარგად ცნობილი დებულება, რომლის

თანახმადაც ერთობლივი მოთხოვნა უარყოფითად არის დამოკიდებული საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობაზე.

მომდევნო დასკვნის გასაკეთებლად ყურადღება მივაქციოთ (8)-ით განსაზღვრულ $\theta$-ს. (7)-იდან გამომდინარეობს, რომ ამ უკანასკნელის შებრუნებული გამოსახულება:

$$\lambda_A = \theta^{-1} = \left[1-(1-t)b - tg + \mu k/h\right]^{-1} \quad (13)$$

არის ავტონომიური დანახარჯების, $(a + I_0 + G_0 + NX_0)$ -ის, მულტიპლიკატორი და წარმოადგენს საგადასახადო განაკვეთზე, $t$-ზე, დამოკიდებულ სიდიდეს. როგორც ვხედავთ, $t$-ს გარდა $\lambda_A$-ს სხვა პარამეტრებიც განსაზღვრავს. ესენია: $\mu$ – საპროცენტო განაკვეთის მიმართ ინვესტიციების მგრძნობიარობის მახასიათებელი; $k$– ერთობლივი დანაარჯების მიმართ ფულზე მოთხოვნის მგრძნობიარობის პარამეტრი; $h$–საპროცენტო განაკვეთის მიმართ ფულზე მოთხოვნის მგრძნობიარობის პარამეტრი. როდესაც $\mu$ და $k$ პარამეტრთაგან რომელიმე ნულის ტოლია, მაშინ ავტონომიური დანახარჯების მულტიპლიკატორი ერთზე მეტი სიდიდეა, რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო განაკვეთის მოცემული მნიშვნელობისას, ავტონომიური დანახარჯების ელემენტებიდან ნებისმიერის ერთი ერთეულით ზრდა გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის ერთზე მეტი სიდიდით ზრდას. მაკროეკონომიკაში კანონიკურად მიღებული თეორიის თანახმად, $\mu k/h$ არაუარყოფითი (ძირითადად კი დადებითი) სიდიდეა. ცხადია, როცა $\mu k/h$-ის მნიშვნელობა შემდეგ პირობას აკმაყოფილებს: $\mu k/h > (1-t)b + tg$ , მაშინ $\lambda_A$ მულტიპლიკატორი ერთზე ნაკლებია და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ავტონომიური დანახარჯების ზრდით ცდილობს ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას, მაინცდამაინც ეფექტიანად არ გამოიყურება. $\mu k/h$-ს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ შევიწროების ეფექტის პარამეტრი, რომელიც განისაზღვრება ფულისა და საინვესტიციო საქონელის ბაზრების მდგომარეობის მახასიათებლებით. მაშასადამე, (13) გვიჩვენებს, რომ თუ შევიწროების ეფექტის $\mu k/h$ პარამეტრი აღემატება შინამეურნეობებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ზღვრულ მიდრეკილებას, $[b(1-t)+gt]$-ს, მაშინ ავტონომიური დანახარჯების $\lambda_A$ მულტიპლიკატორი ერთზე ნაკლები სიდიდეა; წინააღმდეგ შემთხვევაში $\lambda_A$ ერთს აღემატება.

$\mu k/h$ - ში შემავალი ჩვენთვის საინტერესო $\mu$ , $k$ და $h$ პარამეტრების მნიშვნელობების დასადგენად (3)-ისა და (4)-ის გარდაქმნით მიღებული რეგრესიის განტოლებები შევაფასეთ 2006-2017 წლების კვარტალური მონაცემების საფუძველზე. შეფასებისას საპროცენტო განაკვეთის როლში გამოვიყენეთ საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, $M$ -ის როლში – $M2$ ფულადი აგრეგატი, ხოლო $P$-ს როლში – 2010 წლის მიმართ განსაზღვრული ფასების დონის ინდექსი. შეფასების შედეგად მთლიანი შიგა ინვესტიციებისთვის მივიღეთ:

$$I = 4547{,}9 - 163{,}97\, i\,,\ \ n = 48;\ \ R^2 = 0{,}9;\ DW = 1{,}77$$

$$(s.e.)\ (362)\qquad (20)$$

რაც შეეხება ფულის ბაზრის სტრუქტურულ განტოლებას, მას შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{M}{P} = \underset{(0{,}038)}{0{,}9426\,Y} - \underset{(12{,}19)}{109{,}6\, i},\quad n = 48;\ \ R^2 = 0{,}8,\ R_W^2 = 0{,}89\,.$$

აღსანიშნავია, რომ ორივე განტოლების მახასიათებლები სტატისტიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულიად დამაკმაყოფილებელია. ეს გარემოება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ $\mu$ -ს, $k$ -სა და $h$ -ის მიღებული შეფასებებით ($\mu = 163{,}97$; $k = 0{,}9426$; $h = 109{,}6$) ვიმსჯელოთ ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტიანობაზე 2006-2017 წლების საქართველოს ეკონომიკასთან მიმართებაში. პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოდელის თანახმად, საანალიზო პერიოდში საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ საკმაოდ მაღალი მგრძნობიარობა გააჩნდა როგორც მოთხოვნას მთლიან შიგა ინვესტიციებზე ($\mu = 163{,}97$), ასევე მოთხოვნას ფულის რეალურ მასაზე $(h = 109{,}6)$. აღნიშნულის გამო, შევიწროების ეფექტის $\mu k/h$ პარამეტრის შეფასებული მნიშვნელობა ($\mu k/h \approx 1{,}41$) ერთს აღემატება და საქართველოს ეკონომიკისთვის ავტონომიური დანახარჯების $\lambda_A$ მულტიპლიკატორი ერთზე შესამჩნევად ნაკლები სიდიდე გამოდის. მაგალითად, თუ წმინდა საგადასახადო განაკვეთის როლში განვიხილავთ $t = 0{,}22$ -ს, მაშინ მივიღებთ, რომ $\lambda_A \approx 0{,}557$ .

ჩვენს მიერ აქ განხილული ერთობლივი მოთხოვნის (1)-(6) მოდელი და მისი შესაბამისი (7) ფუნქცია $\lambda_A$-ს გარდა კიდევ ორი მულტიპლიკატორის გაანალიზების საშუალებას იძლევა. ერთი მათგანია წმინდა ფაქტორული შემოსავლების მულტიპლიკატორი, $\lambda_{NF}$ , მეორე კი რეალური ფულადი ნაშთის

მულტიპლიკატორი, $\lambda_{M/P}$. (7)-დან ადვილად შევნიშნავთ, რომ:

$$\lambda_{NF} = b[1-(1-t)b - tg + \mu k/h]^{-1} = b\lambda_A; \quad (14)$$

$$\lambda_{M/P} = \frac{\mu}{h}[1-(1-t)b - tg + \mu k/h]^{-1} = \frac{\mu}{h}\lambda_A. \quad (15)$$

განმარტების თანახმად, შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების კოეფიციენტი, $b$, ერთზე ნაკლები სიდიდეა. ეს ფაქტი (14) ფორმულაში ცალსახად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ერთობლივ მოთხოვნაზე წმინდა ფაქტორული შემოსავლების ცვლილების ეფექტი ჩამოუვარდება ავტონომიური დანახარჯების შემადგენელი ელემენტების ცვლილების ეფექტს. განსხვავებულ სურათს იძლევა (15) ფორმულა, რომელიც გვიჩვენებს, როგორ აისახება ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე $M/P$-ის (რეალური ფულადი ნაშთის) ერთი ერთეულით ცვლილება. ზოგად შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ როგორია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ ინვესტიციებზე მოთხოვნისა და რეალურ ფულად ნაშთზე მოთხოვნის მგრძნობელობის $\mu$ და $h$ მნიშვნელობები, ავტონომიური დანახარჯების $\lambda_A$ მულტიპლი-კატორი შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს რეალური ფულადი ნაშთის $\lambda_{M/P}$ მულტიპლიკატორზე. როცა $\mu > h$, ანუ როცა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე ინვესტიციებზე მოთხონა უფრო მეტად რეაგირებს ვიდრე რეალურ ფულად ნაშთზე მოთხოვნა, მაშინ, (15)-ის თანახმად, $\lambda_{M/P} > \lambda_A$. საწინააღმდეგო $\mu < h$ შემთხვევაში სრულდება $\lambda_{M/P} < \lambda_A$.

$\mu$ -სა და $h$ -ის ზემოთ მოყვანილი შეფასებების თანახმად საქართველოს 2006-2017 წლების ეკონომიკაში $\mu = 163{,}97 > h = 109{,}6$. მაშასადამე, $\mu/h$ შეფარდება ერთზე დიდი რიცხვია და სრულდება უტოლობა: $\lambda_{M/P} > \lambda_A$. უფრო კონკრეტულად, რეალური ფულადი ნაშთის მულტიპლიკატორი $\lambda_A$-ს დაახლოებით 1,5-ჯერ აღემატება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დანახარჯების მულტიპლიკატორის მსგავსად, რეალური ფულადი ნაშთის მულტიპლიკატორიც ერთზე ნაკლები სიდიდე აღმოჩნდა. კერძოდ, 22%-იანი წმინდა საგადასახო განაკვეთის შემთხვევაში $\lambda_{M/P}$-ს მნიშვნელობა დაახლოებით 0,83-ის ტოლი იყო. მაშასადამე, ჩვენი შეფასებით, საანალიზო 2006-2017 წლებში, საქართველოს ეკონომიკაში წამახალისებელი როგორც ფისკალური ასევე მონეტარული პოლიტიკა საკმაოდ დაბალი ეფექტიანობით ხასიათდებოდა.

## ლიტერატურა:


1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი, საგამომცემლო ფირმა "სიახლე", 2009.
2. Ananiashvili I., Papava V. Laffer-Keynesian Syntesis and Macroeconomic Equlibrium. New York, Nova Science Publishers, 2014.
3. Долан Э. Дж.,Линдсей Д. Макроэкономика (пер. с английского). Санкт-Петербург, АОЗТ «Литера плюс», 1992.
4. Ромер Д. Высшая макроэкономика (пер. с английского). Москва, изд. дом ВШЭ, 2015.
5. Сакс Дж, Д., Ларрен Б. Макроэкономика. Глобальный подход (пер. с английского). Москва, Дело, 1996.
6. Greene W. H. Econometric analysis. 7th Edition. New York, Prentice Hall, Pearson Educftion, Inc. 2012.

# Econometric Analysis of the Pecularities of the Impact of Fiscal and Monetary Instruments on Aggregate Demand in the Georgian Economy

***Iuri Ananiashvili***
*Doctor of Economic Sciences, Proffessor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

***Ana Bardavelidze***
*MS in Economics*

S u m m a r y

According to the model analysed in this article, increase of avarage tax rate can have either positive or negative impact on aggregate demand.Character of this impact is determined by the correspondence between marginal propensity of households to consume and marginal propensity for goverment purchases. This correspondence varies across states and time periods. In the article by means of econometric analysis it is shown that in 2006-2017 years marginal propensity of households to consume exceeded marginal propensity for goverment purchases in economy of Georgia. Because of this, aggregate demand was negatively dependenton avaragetax rate in Georgia during the discussed period of time.

***Keywords:*** *aggregate demand; marginal propensity for goverment purchases; marginal propensity to consume; avarage tax rate*

# ტურიზმის ინდუსტრიის გამოწვევები საქართველოში

**ვალერი არღუთაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი*

*ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება საქართველოში ერთ-ერთ პრიორიტეტადაა მიჩნეული. საქართველოში ტურიზმის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს ეკონომიკურ აქტივობას, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე. რაც კონკრეტულად გამოიხატება სამუშაო ადგილების შექმნაში, გადასახადების გენერირებაში, სერვისების მიწოდებაში, ტურიზმთან მომიჯნავე სექტორების განვითარებაში და ა.შ.*

*სტატიაში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს ტურისტული პოტენციალი, მისი ბუნებრივ-კულტურული და რელიგიური ფასეულობების მქონე ისტორიული ძეგლები, რაც გრძელვადიანი პერიოდისათვის წარმოადგენს ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს.*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; ტურისტული პოტენციალი; მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია.*

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი სწრაფად მზარდი დარგია მსოფლიო მასშტაბით. თანამედროვე პირობებში საგრძნობლად გაიზარდა ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, რაც განპირობებულია ინდუსტრიის დადებითი ეკონომიკური ეფექტებით, როგორიცაა: ადგილობრივი რეზიდენტების შემოსავლების ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, გადასახადების გენერირება, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება და ა.შ.

სწრაფად ცვალებად გარემო პირობებში აქტუალური გახდა ტურიზმის დაგეგმვის და მდგრადი განვითარების საკითხები, რაც გულისხმობს როგორც ეკონომიკური სარგებლის ზრდას, ასევე გარემოს დაცვის, კულტურული ფასეულობების შენარჩუნების, ნეგატიური ეფექტების შეზღუდვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება საქართველოში ერთ-ერთ პრიორიტეტადაა მიჩნეული. ქვეყანას გააჩნია, როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები, ასევე საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რაც ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აღნიშნული ფაქტორების მიუხედავად, ქვეყანაში სრულყოფილად ვერ ხდება არსებული რესურსების ათვისება-დატვირთვა რასაც როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები აქვს.

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის სტრატეგიული დაგეგმვისათვის აუცილებელია სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინება, როგორიცაა: ტურისტული აქტივობა, განთავსების საშუალებები, ტრანსპორტი, სერვისი, ინფრასტრუქტურა და ინსტიტუციური ელემენტები. აღნიშნული საკითხების გაანალიზება მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და ლოკალური გავითარების თვალსაზრისით.

ტურიზმის ინდუსტრიამ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სტაბილური ზრდის დონე შეინარჩუნა. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (World Travel & Tourism Council)[6] მონაცემებით, მოგზაურობა და ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიას თითქმის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლით. ტურიზმის ინდუსტრიის წილი გლობალურ ეკონომიკაში პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების გათვალისწინებით, მშპ-ის 10.2%-ს (7.6 ტრლნ აშშ დოლარი) შეადგენს. ტურიზმის ინდუსტრია აქტიურად ქმნის სამუშაო ადგილებს, ის ერთ-ერთი მოწინავეა დასაქმების თვალსაზრისით. 2017 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს მონაცემებით, ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 293 მლნ შეადგინა. მსოფლიო მასშტაბით ტურიზმში სტაბილურად იზრდება ინვესტიციების მოცულობა, 2017 წლის მონაცემებით 807.5 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მთლიანი ინვესტიციების 4.4%-ს შეადგენს[7].

ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ დონეზე ეკონომიკური აქტივობას გაძლიერების თვალსაზრისით. ცხადია, რომ აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შეფასებისათვის აუცილებელია ტურიზმის ინდუსტრიის, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენის იდენტიფიკაცია. ტურიზმის სფეროში განხორციელებული აქტივობა ნათლად ვლინდება ტურიზმის სექტორის მრავალ დადებით ეფექტში, მათ შორის აღსანიშნავია: მოსახლეობის დასახლება და დამაგრება; ცხოვრების დონის, ხარისხის გაუმჯობესება, მწარმოებლური ძალების განვითარება და განახლება; კულტურათა დიალოგი; კავშირების განვითარება უცხო ქვეყნებთან, ბიზნესურთიერთობების ჩამოყალიბება; ტურისტული რეკრეაციული ცენტრების, ეკონომიკურად დეპრესირებული რეგიონების განვითარება; სხვა დარგების განვითარების სტიმულირება; ეკონომიკური ინტეგრაციის და გლობალიზაციის სტიმულირება[1].

დადებით ეფექტს თან სდევს შესაძლო უარყოფითი გავლენა, როგორიცაა: გარემოს დაბინძურება, ტურისტული დანიშნულების ადგილებში ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის სიჭარბე, რაც იწვევს აღნიშ-

ნული ადგილების გადატვირთვას, ტურისტული არეალი შესაძლოა გახდეს არამიმზიდველი არასათანადო სივრცითი დაგეგმარების შედეგად. არსებობს გარკვეული საფრთხეები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კულტურული იდენტობის ტრანსფორმაცია. ეკონომიკური სარგებლის მიღება ადგილობრივი საზოგადოებისა და რეზიდენტებისათვის შესაძლოა შეიზღუდოს, თუ დანიშნულების ადგილზე ადამიანური რესურსები ამ კონკრეტული არეალიდან არ იქნება დასაქმებული. ხშირად ხდება, რომ არარეზიდენტი პირი არის ტურისტული ობიექტის მესაკუთრე. ასევე ეკონომიკური დანაკარგია, როცა ტურიზმში გამოყენებული საქონლის უმეტესობა არის იმპორტირებული, რაც ზღუდავს ეკონომიკური ეფექტის მასშტაბებს.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა აუცილებელია ტურიზმის განვითარების ფუნქციონალური და ინსტიტუციური გარემოს შეფასება და ანალიზი, რაც ტურიზმის დაგეგმვის და წარმატებულად ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ტურისტულ ინდუსტრიაში იქმნება მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, მათი თავისებურებები ეფუძნება რეგიონის, აგრეთვე საქონლისა და მომსახურების სპეციფიკას. კონკრეტული რეგიონის ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას ტურისტული პროდუქტის საკმაოდ ფართო ასორტიმენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება შესაბამის მიზნობრივ სეგმენტზე. ტურიზმის გარკვეული მიმართულებები მოითხოვს მაღალი დონის ინფრასტრუქტურას და შესაბამისი მომსახურების მიწოდებას. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ტურიზმი განიხილება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სფერო, რომელსაც შეუძლია სტიმული მისცეს ცალკეული რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ტურიზმი ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, საგადასახადო შემოსავლების ზრდას, მომიჯნავე სექტორების განვითარებას და ა.შ. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი წარმოიქმნება, როდესაც ვიზიტორები იძენენ სხვა საქონელსა და მომსახურებას, ეს კი ზემოქმედებს რეგიონზე, ქალაქზე, სოფელზე, კონკრეტული დანიშნულების ადგილზე[3].

რეგიონული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზი, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა კონკრეტული რეგიონის გლობალურ ბაზართან ინტეგრირების, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მხრივ. ნებისმიერ რეგიონს გააჩნია გარკვეული პოტენციალი რესურსების თვალსაზრისით. საწყის ეტაპზე აუცილებელია აღნიშნული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის კონკრეტული ვარიანტებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. სტრატეგიული მართვის პრინციპებიდან გამომდინარე საჭიროა აღნიშნული პრიორიტეტების სწორად ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის გლობალური მიწოდების ჯაჭვში ჩართვას. ამისათვის კი საჭიროა ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება. მმართველობითი გადაწყვეტილებების აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც მართვის ობიექტმა (ჩვენს შემთხვევაში რეგიონმა, სექტორმა) უნდა შეიძინოს ახალი სასურველი თვისებები. გლობალური ეკონომიკის პირობებში, უნდა მოხდეს კონკურენტული სტრატეგიების შემუშავება, მართვის ობიექტის სასურველ კონდიციაზე გადაყვანა მინიმალური დანახარჯების პირობებში, რითაც ახალი ხარისხობრივი მახასიათებლების შეძენით რეგიონი სხვა სისტემებთან შედარებით მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას. [2]

ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რეგიონზე საკმაოდ მრავალფეროვანი და ფრაგმენტულია. ტურიზმის განვითარება სტიმულს აძლევს და ხელს უწყობს მოთხოვნის ზრდას მრავალფეროვან საქონელსა და მოსახურებაზე, ვინაიდან რეგიონში ჩამოსულ ტურისტებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნები და საჭიროა მათი დაკმაყოფილება. აღნიშნული მოთხოვნები სასურველია დაკმაყოფილდეს ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შექმნილი პროდუქციით. საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდის შედეგად იქმნება მიწოდების გაფართოების წინაპირობა. აღნიშნულში იგულისხმება საქონელი და მომსახურება, რომელიც მოიხმარება როგორც უცხოელი ვიზიტორების, ასევე ადგილობრივი რეზიდენტების მიერ [5].

ბუნებრივია, რომ ვიზიტორების ზრდის ტენდენცია საქართველოსათვის წარმოადგენს, ერთი მხრივ, დამატებით შესაძლებლობას ეკონომიკური აქტივობის გაძლიერების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, ის გამოწვევაა, ვინაიდან აუცილებელია მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურიზმის საინფორმაციო სერვისების სრულყოფა, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შეთავაზება, ადამიანური რესურსების განვითარება. აღნიშნული საკითხები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და იგი მოითხოვს ტურიზმის ინდუსტრიის, როგორც სტრუქტურული ელემენტების გააზრებას, ასევე შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ფორმირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებულ თითოეულ რეგიონს საკმაოდ სოლიდური ტურისტული პოტენციალი გააჩნია. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს არაერთი ბუნებრივ-კულტურული, ისტორიული თუ რელიგიური ფასეულობის მქონე ძეგლი. აქედან გამომდინარე, რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის ტურისტული პოტენციალი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი.

ბოლო წლების დინამიკის მიხედვით, რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადები საგრძნობლადაა გაზრდილი, რაც დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, აღსანიშნავია რომ ტურისტული ობი-

ექტების დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი ერთდღიანი ვიზიტორები არიან და არა ტურისტები. ყოველივე ეს განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. აღსანიშნავია, რომ ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის მატების ფონზე რეგიონში აქტუალურია ტურისტული ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების, ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები [4].

ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესწავლის დროს, გარდა იმ საკითხისა, თუ როგორია ქვეყანის ტურისტული განვითარების დონე მნიშვნელოვანია შეფასდეს თითოეული რეგიონის ტურისტული განვითარების ზეგავლენა მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან ერთად, შესასწავლია შიდა ტურისტული აქტივობა, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და შემოსავლების განაწილებაზე.

რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განთავსების საშუალებები. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ტურისტებში განსაკუთრებით აქტუალურია საოჯახო ტიპის სასტუმროები, რაც განპირობებულია იმით, რომ ცხოვრების აჩქარებული რიტმი წარმოშობს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას პერიოდულად დაისვენოს მშვიდ და წყნარ გარემოში, სუფთა ჰაერზე. საოჯახო სასტუმროების ბიზნესის განვითარება სოფლად განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და იგი განაპირობებს ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას, სეზონური მიგრაციის შემცირებას და ინფრასტრუქტურის სრულყოფას.

კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია არა მარტო რომელიმე კონკრეტული რეგიონისთვის, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონისთვის, რომელიც საჭიროებს შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოების კომპლექსურ, ადეკვატურ რეაგირებას, რათა გაუმჯობესდეს ტურისტთა მომსახურების ხარისხი და გაიზარდოს ტურისტული ნაკადების მოცულობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყანაში შესაძლებელია განვითარდეს ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: სამკურნალო ტურიზმი, ეკოლოგიური და კულტურული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, ღვინის, პილიგრიმული და არქეოლოგიური ტურიზმი. ამისათვის საჭიროა ისეთი ტურისტული ოპერატორებისა და სააგენტოების შექმნა, რომლებიც იზრუნებენ აღნიშნული მიმართულებების მიხედვით ტურისტული მარშრუტების შექმნაზე, როგორც შიდა, ასევე უცხოელი ტურისტებისთვის.

## ლიტერატურა:


1. მარგველაშვილი მაია, ტურიზმის ეკონომიკა, თბილისი, 2012წ.
2. მესხია იაშა, საქართველოს ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტიული განვითარების ორიენტირები, III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2012.
3. ხოხობაია მერაბ, ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები, ეკონომიკა და ბიზნესი, ნოემბერ-დეკემბერი #6, 2014 წელი.
4. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2014.
5. A Tourism and Environment Publication, World Tourism Organization, Guide for Local Authorities on Developing Sustainable Tourism, 1998.
6. www.wttc.org
7. www.unwto.org
8. WWW. WB.org


## The Challenges of Tourism Industry in Georgia


***Valeri Arghutashvili***

*PhD of Economics*

*Assistant Professor*

*Tbilisi State University*



S u m m a r y

The development of the tourism industry is one of the priorities in Georgia. The development of tourism in Georgia can give a significant boost to economic activity at the national and regional levels. What exactly is expressed in the creation of jobs, etc.

The article discusses and analyzes the tourism potential of Georgia, its historical, cultural and religious values with historical monuments that for a long time serve as the main source of tourism development.



***Key words***: *Tourism; Tourism potential; Tourism and tourism industry.*

# ადმინისტრირების როლი და მნიშვნელობა ბიზნესსუბიექტების მართვაში

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*პროფესორი*

*ნაშრომში განხილულია ადმინისტრირების როლი და მნიშვნელობა, გამახვილებულია ყურადღება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ცნებებს შორის, თანაფარდობაზე ძირითადი აქცენტები მიმართულია მმართველობითი პროცესების კვლევაზე, მართვის ხაზობრივ-ფუნქციონალური სისტემების უპირატეს გამოყენებაზე, მკაცრ იერარქიაზე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფიქსაციის ფორმალიზებულ წესზე, ძალაუფლების დანაწილებაზე.*

*ასევე, განხილულია ადმინისტრირების შემადგენლობა და შინაარსი, მრავალფეროვანი ინოვაციური ფორმების განვითარების დახმარებით რაც გულისხმობს ადმინისტრირების ფორმების უნიფიკაციას ამ მეთოდების დამუშავებისა და დანერგვის პროცესში.*

*საკვანძო სიტყვები: ადმინისტრირება; ადმინისტრაცია; ინოვაციები; სუბორდინაცია; ბიზნესსუბიექტები.*

ტერმინი „ადმინისტრაცია“ წარმოადგენს არანაკლებ ტევად და რთულ ცნებას, ვიდრე ის გამოიყენება ძირითადად ორგანიზაციის მართვის აპარატთან მიმართებით. ა დ მ ი ნ ი ს ტ ა ც ი ი ს ცნებაში შეიძლება იგულისხმებოდეს მთლიანად სახელმწიფოს მმართველობითი საქმიანობა.

გარდა ამისა, ტერმინი - „ადმინისტრაცია“ შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მიმართ, მაგალითად, პრეზიდენტის აპარატის მიმართ. ჩვენ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატი წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის აღმასრულებელ აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილების შესრულებას.

ამგვარად, ადმინისტრირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც შეისწავლის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ფორმებს [Baratashvili E., 2007].

ადმინისტრირების თეორიასა და პრაქტიკაში განასხვავებენ ორ ძირითად მიმართულებას. პირველი მიმართულება დაკავშირებულია ბიზნესსუბიექტების მართვის რაციონალური სისტემის შემუშავებასთან, მეორე ეხება ორგანიზაციის სტრუქტურას.

ბიზნესსუბიექტების რაციონალური სისტემის შემუშავების დაყვანა საქმიანობის ძირითადი ფუნქციების განსაზღვრამდე, რაც თავის მხრივ, საშუალებას იძლევა მიგნებულ იქნეს კომპანიის ქვედანაყოფებად და საშუალო ჯგუფებად დაყოფის საუკეთესო წესი, რაც შეადგენს ძირითად ბლოკს ანუ კომპანიის სისტემის ელემენტებს, ამის შემდეგ ხორციელდება ორგანიზაციის ელემენტების განლაგება სივრცეში, ანუ განაწილება მართვის დონეების მიხედვით და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაღვრა. მართვის სისტემის პროექტირების დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენს ინფორმაციული ურთიერთკავშირის დადგენა კომპანიის ელემენტებს შორის და მის შიგა სამყაროში მიმდინარე პროცესების რეგლამენტის შემუშავება [4, გვ. 46].

ბიზნესსუბიექტების რაციონალური სტრუქტურის აგების საფუძველში დევს მართვისა და ორგანიზაციის ფუძემდებლური კანონების აგრეთვე საერთო და სპეციალური პრინციპების გამოყენება.

ფუნქციონირების ეფქტიანობის ამაღლების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება უდავოდ მნიშვნელოვანი ასპექტია. ამასთან, არამართებულია პრაქტიკა თეორიაზე მაღლა დავაყენოთ. პრაქტიკული რეკომენდაციები უნდა იყოს დასკვნებისა და გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებიც გაკეთებულია მეცნიერული კვლევების საფუძველზე.

ადმინისტრირებაში ძირითადი აქცენტი კეთდება მმართველობითი პროცესების კვლევაზე, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, რაც უმეტესწილად განსაზღვრავს ძირითდ ნიშნებს, რომლებიც განასხვავებს ადმინისტრირებას მართვის საერთო თეორიისა და პრაქტიკისაგან, კერძოდ:

- მართვის ხაზობრივ-ფუნქციონალური სისტემების უპირატესი გამოყენება;
- მკაცრი იერარქია;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფიქსაციის ფორმალიზებული წესი;
- თანამდებობრივ უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა რაც განმტკიცებულია ბრძანებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციების სახით;
- ძალაუფლების დანაწილება.

„ადმინისტრაციისა“ და „ადმინისტრირების“ ცნებებს შორის არსებობს გარკვეული თანაფარდობა. კრიტერიუმად გვევლინება ამ ცნებების გამოყოფისა და ჩამოყალიბების პირველადობა და წარმოებულობა. პრაქტიკაში ჯერ ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ფუნქციები და შემდეგ შესაბამისი ორგანოები, ამიტომ, მკვლევა-

რებსა და პრაქტიკოსებს შორის ფართოდაა გავრცელებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადმინისტრირება წარმოადგენს ადმინისტრაციის საქმიანობის შინაარსს, რაც გამოიხატება აზრთა სხვადასხვაობაში.

ჯერ ერთი, ადმინისტრაციისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახეობის საქმიანობის საკმარისად ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ ზემოქმედებას. მათი გამოყენების უფლებამოსილება, როგორც წესი, მხოლოდ ხელმძღვანელებს აქვთ, მაგრამ არა ადმინისტრაციის მთელ შემადგენლობას. პრაქტიკაში მათ მხოლოდ მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებების რეალიზაციაში. ეს გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ხელმძღვანელის საქმიანობის შინაარსი შეიძლება გასცდეს ადმინისტრირების ფარგლებს.

მეორე, ნებისმიერი ხელმძღვანელის საქმიანობაში, მათ შორის, რომელიც არ შედის ადმინისტრაციაში, გამოიყენება ფორმალიზაციის, რეგლამენტაციის, კონტროლის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები. უნდა გვახსოვდეს, რომ ადმინისტრაციის შემადგენლობაში უშუალოდ შედიან მართვის ზედა და ზოგჯერ საშუალო დონის ხელმძღანელები. ფუნქციონალურ-სტრუქტურული ანალიზის გაგრძელება გვიჩვენებს, რომ ადმინისტრირების ესა თუ ის ფორმა გამოიყენება პრაქტიკულად ფირმის ყველა მონაწილისა და მისი კონტრაგენტების მიერ.

ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტემპები მუდმივად მზარდ მოთხოვნილებას აყენებს პროფესიონალ და კვალიფიციურ მენეჯერებზე, რაც ამ პროფესიას არა მხოლოდ პრესტიჟულს, არამედ ფართოდ გამოყენებადსაც ხდის.

კომპანიის მენეჯმენტის ადამინისტრირების სისტემა, ორგანიზაციული საფუძვლების სახით, თანმიმდევრულად აერთიანებს და კომპლექსური ზემოქმედების განხორციელების ფარგლებში მიზანმიმართულად იყენებს ისეთ შემადგენელ ნაწილებს, როგორიცაა:

- მენეჯმენტის ობიექტებისა და სუბიექტების ფორმირების წესი, ერთიანი ორგანიზაციის სისტემის ელემენტების სახით;
- მათი შინაგანი ურთიერთკავშირის აგების ფორმები, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სახით;
- ხელმძღვანელების, სპეციალისტების და შემსრულებლების ფუნქციების განაწილებისა და განმტკიცების რეგლამენტები;
- კომპანიის მენეჯმენტის დასაბუთების, დამუშავების აგებისა და განხორციელების პროცედურები.

ბუნებრივია, რომ ადმინისტრირების რესურსების განაწილების შემადგენლობა და შინაარსი შეიძლება საკმაოდ ფართოდ იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა დონეზე.

მენეჯმენტის ადმინისტრირებაში ხშირად გვხვდება კონსტრუქციულ-ინტეგრაციული მომენტები, რაც რეალიზდება ისეთი პროცედურების სახით, როგორიცაა:

- მიზნის დასახვის სისტემის და პროცესის რეგლამენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების დამუშავებას, აგებას და რეალიზაციას;
- ფროფესიული ოპერაციების და უნივერსალური ქმედებების შინაარსის ფუნქციონალური შესრულების განაწილება, ორგანიზაციული სტრუქტურის მუშაკებსა და ქვეგანაყოფებს შორის;
- მენეჯმენტის პროცესის აგებისა და რეალიზაციის ორგანიზაცია, ქმედებების, ოპერაციების, ეტაპების, ფაზების და ციკლების პროცესში თანმიმდევრული გაერთიანების გზით;
- ფუნქციონალური ზემოქმედების ორგანიზაციის მოდელის დამუშავება, ადაპტაცია და გამოყენება, მენეჯერის ზემოქმედების დამუშავებისა და განხორციელების დროს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არსებობს ადმინისტრირების მრავალფეროვანი გამოვლინებები, რის გამოც ვერ ხერხდება მათი ამომწურავი კლასიფიკაციის დადგენა.

ეფექტიანი ფირმის კვლევა გვიჩვენებს, რომ ფუნქციონირების მიზნების შედგენილობის მისაღწევად, მისი შემადგენლობა და შინაარსი გარკვეული ზომით უნდა მოწესრიგდეს. ასეთი წესრიგის დამყარება, რიგ სიტუაციაში შეუძლებელია თითოეული დამოუკიდებელი მიზნის ან ამოცანის მისაღწევად. სწორედ ამითაა განპირობებული საბაზო წესრიგის ფორმირების, დადგენისა და დაცვის აუცილებლობა. საბაზო წესრიგში შედის: სტრუქტურის, შრომის, წარმოების, მართვის, საგარეო კავშირების ორგანიზაცია და ა.შ. ეს ცნებები განსაზღვრავს ფირმის სპეციფიკური ქვესისტემების ორგანიზაციას. რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

საბაზრო პირობებში თითოეული ორგანიზაციის და ცაკლეული ინდივიდუმის თავისუფალი ფორმირება და ფუნქციონირება, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ რესურსს. მაგრამ, სწორედ ეს განვითარება, პროცესების და სისტემების შედარებით ეფექტიანი ფორმები თავად საჭიროებენ სრულყოფასა და განვითარებას.

ბუნებრივია, რომ ორგანიზაციის ფორმირებით არათუ არ ქრება, არამედ პირიქით, მკვეთრად იზრდება პრაქტიკული მოთხოვნილება მის ადმინისტრირებაზე. კომპანიის რეალურ ფუნქციონირებას თან სდევს ადმინისტრირების ფორმების უაღესად მრავალფეროვანი სპექტრის დამუშავება და გამოყენება.

ამრიგად, როგორც ორგანიზაციის მთლიანი ცხოვრების ციკლი, ასევე რიგი ქმედება მის დაწყებამდე და დამთავრებამდე, აუცილებლად უზრუნველყოფილი ხდება ადმინისტრირების ფორმების ფართო სპექტრით. ორგანიზაციის ადმინისტრირებას, უპირველეს ყოვლისა, თან სდევს შესაბამისი ფირმების სპეციალიზაციის გაფართოება და გაღრმავება. საობიექტო, მიზნობრივი, სუბიექტური და სხვა იდენტიფიკაცია შესაძლებლობას

იძლევა საკმაოდ სრულად და მრავალფეროვნად კლასიფიცირდეს არამხოლოდ მისი შემადგენლობა და შინაარსი, არამედ უაღრესად სპეციფიკური და მრავალფეროვანი ურთიერთქმედება. სწორედ ის, მისი მიზანმიმართული მამობილიზებელი კონსტრუქციული რესურსები, საფუძველს უყრის ორგანიზაციის ადმინისტრირებისადმი თანამედროვე მიდგომების დამუშავებას და გამოყენებას [Shengelia T., 2016].

კომპანიის შიდა პოზიციიდან ადმინისტრირება წარმოგვიდგება მისი საწესდებო საქმიანობის რეგისტრაციის, რეგლამენტაციის, ნორმირების, ინსტრუქტაჟის და სანქციონირების ფორმების პაკეტის სახით. ორგანიზაციის უზრუნველყოფის რეჟიმით მათი აგებისა და გამოყენების სპეციალიზაცია, გულისხმობს გარკვეულ ადაპტაციას კონკრეტულ მიზნებთნ, ამოცანებსა და პირობებთან, რასაც მივყავართ ორგანიზაციის ადმინისტრირების კონკრეტული ფორმების შემადგენლობისა და შინაარსის თავისებურებებთან.

კომპანიაში შიდა ადმინისტრირების ძირითადი ფორმებია: წესდება, დებულებები, სტრუქტურები, ნორმები, პროცედურები, ინსტრუქციები, შესრულების კონტროლი, უფლებამოსილება, თანმიმდევრულობა, სუბორდინაცია, ბრძანებები, განკარგულებები, მითითებები.

ეს ჩამონათვალი აერთიანებს ადმინისტრირების ყველასათვის მისაღებ ფორმებს, რომლებთანაც თითოეულ მეწარმე სუბიექტს არაერთხელ ჰქონდა შეხება თავის საქმიანობაში. ამასთან ერთად, მათი შემადგენლობა, შინაარსი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოყენება მუდმივად ვითარდება და სრულყოფილი ხდება, უზრუნველყოფს რა ორგანიზაციის მზარდ მოთხოვნილებათა რეალიზაციის ახალ მეთოდებს და მისი პერსონალის პოტენციალს. ეს გულისხმობს მის აღქმას, და რაც მთავარია, ორგანიზაციის ადმინისტრირების ჩვეული და მუდმივად გამოყენებადი ფორმების ცალსახად გაგებასა და გამოყენებას.

ორგანიზაციის ადმინისტრირების რესურსების პაკეტში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ სპეციფიკური ფორმებს, როგორიცაა: სუბორდინაცია და უფლებამოსილება. ის არ წარმოადგენს კონკრეტულ მატერიალურ რესურსს, არამედ ანაწილებს ორგანიზაციის პერსონალის უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას, საშტატო შემადგენლობისა და თანამდებობრივი სტატუსის მიხედვით. რეალურად, ფუნქციონირებადი ორგანიზაციის ადმინისტრაციული ზემოქმედების მნიშვნელოვან რესურსს: ბრძანებები, განკარგულებები, მითითებები, შესრულების კონტროლი და პასუხისმგებლობა, რითაც ხორციელდება ადმინისტრირების პროცედურის აბსოლუტური უმრავლესობა. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრირების ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები უშუალოდ გამოიყენება ან არსებით ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის არა - მხოლოდ შიგა, არამედ გარე საქმიანობაზეც [Bakashvili N., Meskhishvili D., Kadagishvili L., 2009].

თუ ოფიციალურ სტრუქტურებთან, საფინანსო და მაკონტროლებელ ორგანიზაციებთან საშტატო ზემოქმედების ადმინისტრაციული დოკუმენტური უზრუნველყოფის პროცედურები ცენტრალიზებულად დგინდება, ბიზნესით ინიცირებული კონტრაქტები საგნობრივ გადამუშავებას მოითხოვს. ასეთი ურთიერთქმედებების ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ფორმები და მეთოდები განაპირობებს პრაქტიკული ათვისების დეტალურ ასახვას და ადაპტირებულ გამოყენებას.

დოკუმენტურად უზრუნველყოფილი პროცედურების გარდა, ორგანიზაცია მონაწილეობს სხვა, უაღრესად მრავალფეროვან პროცედურებში, რაც უზრუნველყოფს მისი საგარეო ურთიერთკავშირების რეალიზაციას. მისი შემადგენლობა და შინაარსი იმდენად მრავალფეროვნად ფორმირდება, რამდენად ინოვაციურადაც ვითარდება საკუთრივ მოცემული ურთიერთკავშირი და ბიზნესის შესაბამისი სეგმენტი.

ადმინისტრირების შემადგენლობა და შინაარსი, მათ შორის მრავალფეროვანი ინოვაციური ფორმების განვითარების დახმარებით, გამოავლენს ორგანიზაციის კონკურენტულ შესაძლებლობებს, ხაზგასმით წარმოაჩენს მის ინდივიდუალურობას. ამასთან ერთად, სხვადასხვა საგარეო კონტრაგენტთან, ორგანიზაციის მუდმივი კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების აუცილებლობა, გულისხმობს ადმინისტრირების ფორმების უნიფიკაციას.

„ფართო პროფილის მენეჯერების" დილეტანტური ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ სტრუქტურებს არ შეუძლია არსებითი ზემოქმედების მოხდენა ორგანიზაციის მართვაზე, არ გამართლდა, ორგანიზაციების არამეგობრული შერწყმის, შთანთქმის და მიტაცების ასეულობით მაგალითი არსებობს. ეს კიდევ ერთხელ იქცევს პროფესიული მენეჯმენტის ყურადღებას, საბაზო ორგანიზაციის ფორმირებადი სტრუქტურების შემადგენლობისა და შინაარსის კონსტრუქციული გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

1. Сегодня по прошествии двух десятилетий с начала так называемого «переходного периода» от централизованно управляемой экономики к рыночной экономике, в обществе стран (а их 26 почти с 300 миллионным населением) осуществивших такой переход правомерно возникают вопросы о правильности и эффективности проделанных шагов. Поэтому назрела потребность в объективной оценке того, что же мы получили в результате этой социально-экономической трансформации на постсоветском пространстве. Следует признать, что существует объективная потребность в разработке «теории переходной экономики». Сегодня разработка такой теории по своей значимости может быть сравнима с разработкой в своё время основных теорий экономической науки.

Экономика переходного периода обладает рядом специфических характеристик отличающих от экономик находящихся в стационарном состоянии и развивающихся на собственной основе. В частности, в переходной экономике возникают новые институты, связи и отношения вытесняющие старые. В результате возникают новые макро- и микроэкономические закономерности и тенденции, социальные и политические изменения, новое содержание экономической политики.

Возникла и экономическая научная дисциплина («транзитология» - transitology) предметом которой являются проблемы экономической трансформации, а объектом – экономика страны или стран, находящихся в процессе перехода от одного состояния социально-экономической системы к качественно иному состоянию. В силу понятных исторических причин в центре внимания учёных-транзитологов (сам термин «транзитология» был предложен в 1992 году Майклом Беравуа (Michael Buravoi) находятся вопросы перехода от централизованно планируемой социалистической экономики к рыночной капиталистической, рассматриваемые в тесной связи с политическими, социо-культурными и др. аспектами.

Собственно проблемы переходного периода были ещё поставлены в начале 20-го века в работах марксистского направления – К.Каутский «На другой день после пролетарской революции», Н.Бухарин «Экономика переходного периода». Однако эти работы имели два недостатка: проблемы перехода трактовались в них прямолинейно и, по сути, сводились к анализу лишь проблем перехода от капитализма к социализму.

2. Сама практика «породила» разные теоретико-методологические подходы к трансформационным процессам, которые в конечном итоге сводятся к двум крупным направлениям, школам: это постепенный, «градуалистский» (от английского слова «gradual»- постепенный) переход к рынку, и переход к рынку в форсированном режиме - так называемая «шоковая терапия», или попроще набор определённых шагов, постулатов выработанных в 1989 году Международным Валютным Фондом (МВФ), Всемирным Банком и Министерством финансов США для стран Латинской Америки и именуемый «Вашингтонским консенсусом»;

3. Согласно автору этого консенсуса Джону Вильямсону, он включал 10 шагов правительств: укрепление финансовой дисциплины, пересмотр приоритетов распределения публичных благ в пользу неимущих слоёв населения, налоговую реформу, либерализацию ставки процента, введение более гибкого валютного курса, либерализацию внешней торговли, привлечение прямых иностранных инвестиций, приватизацию, дерегулирование, обеспечение прав собственности.

4. Проблема «переходного периода» в экономике, как это ни странно звучит, является и старой, если подразумевать под переходным состоянием скажем 20-е годы 20-го столетия в СССР, или переходные периоды общественного развития в странах индустриального развития, где как раз уровень индустриального развития быль краеугольным камнем периодизации развития общественно-экономических систем, и новой, если подразумевать последнее десятилетие 20-го века и начало 21-го века, обозначенный переходом от плановой, централизованно регулируемой экономики к экономике основанной на рыночных принципах.

5. «Переходное состояние» в естественных науках это одно, а в общественных науках принципиально иное, так как существенным моментом последнего являются именно социальные отношения, отношения между людьми.

6. В нашем анализе мы ограничиваемся только вопросом методологических подходов исследования феномена переходной экономики. Речь идёт о таких принципах как: а) комплексность, цельность исследования переходной экономики; б) раскрытие самого содержания переходной экономики, её структуры; в) её количественной оценки; г) видении конечных результатов этого процесса.

7. В первую очередь должна быть установлена терминологическая определённость относительно феномена «переходная экономика». В западной экономической литературе используются два термина – “transitional economy”(переходная экономика) и “emerging markets”(нарождающиеся рынки), в последние кроме переходных включаются и страны так называемого «третьего мира».

Следует определить понятие «переход», «переходный период», «переходное состояние». В обществознании оно носит несколько условный характер. «Переход от чего?», «Переход к чему?». В чём содержательная и количественная сторона «перехода»? Когда начинается «переход»? Когда заканчивается «переход»? В чём специфика «перехода» в экономике и в обществе в целом? Эти процессы должны протекать в синхронном режиме или разными темпами?

8. Если под переходом понимать смену форм собственности (в данном случае государственной на частую), то надо видеть различие между юридическим и экономическим содержанием отношений собственности. В первом случае, главным содержанием является принадлежность объекта собственности субъекту (что кому) – государству, частному лицу, группе лиц (здесь же напомним постулат в известной «теореме Коуза»: не так уж важно, как распределена собственность, важно, чтобы права собственности были чётко закреплены), во втором случае – экономическом главным содержанием является эффективность использования этого объекта собственности (что как). Говоря другими словами, для юриста важна форма принадлежности, а для экономиста – её содержание. Именно поэтому, приватизация, которая является основным средством и формой смены собственности не должна стать самоцелью при переходе к рынку, а быть лишь его инструментом – инструментом в деле создания эффективного собственника.

9. Следуя логике обязательного выделения ядра в отношениях собственности надо признать, что доминирующей формой в отношениях собственности в переходной экономике (наряду с другими) являются частнособственнические отношения закладывающие основы будущих экономик.

10. Важныи вопросом содержания переходной экономики, общества является её социальная структура. Ведь новые отношения собственности рождают и новую социальную структуру. Классовый подход к его содержанию предложенный в прошлом хорошо известен и во многом был отражением прошедших отношений. Здесь актуален и вопрос различия между социальной структурой переходного общества и социальной структурой уже сформировавшейся современной рыночной экономики. Социальная структура переходного общества представляет взаимодействие субъектов старой системы отношений и субъектов нарождающейся системы отношений. Несмотря на то, что эти субъекты являются продуктом экономических отношений их трансформация носит гораздо сложный характер, нежели трансформация чисто экономических форм.

11. Среди вопросов относящихся к содержательной стороне развития переходной экономики следует выделить проблему вокруг которой вращаются все остальные вопросы, и такой проблемой, на наш взгляд является осознание роли государства в экономике вообще, и в частности, переходной. Сегодня стран с абсолютно рыночной экономикой (без вмешательства государства)не существует нигде (разве что в учебниках по макроэкономике), рыночная экономика, на наш взгляд, априори и имманентно подразумевает участие государства в экономических процессах. Это показал и современный экономический и финансовый мировой кризис, преодоление которого ищут в недрах правительственных структур государства и международных экономических и финансовых организаций. Возникает вопрос: где же рыночный автоматизм выхода из кризиса? Его попросту нет, и быть не может в силу имманентных свойств самого рынка.

12. Принципиальным вопросом в переходных странах является и способ управления их обществами, государством. Сразу же в начале переходного периода был провозглашён курс на демократизацию общества и политической системы, без учёта сложившихся традиций и ментальности населения. Практически во всех переходных странах была провозглашена демократия как способ управления обществом и государством. Но к сожалению надо признать, что практически во многих переходных странах мы получили формальную демократию и парламентскую систему как способ прихода к власти, так и её удержания.

13. Наиболее верным, на наш взгляд, оценки адекватности переходного периода является его количественная оценка, которая позволит рассудить об успешности этого процесса, его временных рамках и содержании. В конечном счёте речь идёт об оценке эффективности экономической политики в процессе переходного периода. Какие показатели могут отразить успешность или неудачу переходного периода в экономике?

14. В целом в проблеме показателей есть разные аспекты: показатели могут быть техноэкономические (финансово-общие), материальные и социально-экономические. Первые – это количественные изменения производства и его результатов (производство продуктов на единицу труда). Затем есть производственные

показатели техновооруженности или энерговооруженности. Есть показатели затрат на развитие, прежде всего вложений в производство. Есть показатели результатов, например, по важнейшим видам продукции (сталь, алюминий, зерно и т.п.). И наконец показатели отражающие общий итог.

Самостоятельный, самозначимый «раздел» показателей результативности экономической деятельности общества составляют социально-экономические показатели: наличие рабочих мест, уровень личного (семейного) потребления благ, уровень денежных доходов (и заработной платы), обеспеченность жильём, расслоение по доходам, уровень нищеты (ниже минимального прожиточного уровня, уровня выживаемости), степень интенсивности труда, наличие и величина свободного времени, уровень образования и т.д.

Речь не о систематике показателей, но важно подчеркнуть, что результат экономической деятельности общества не может быть выражен каким-то одним показателем, а наоборот, предполагает системный подход, в рамках общего контекста исследования.

Сегодня количество показателей отражающих функционирование предприятий (фирм) сведено до минимума, практически оперируют только показателем прибыли на микро-уровне, и показателем ВВП на макро-уровне.

15. Если брать макро-уровень то отметим, что на величине ВВП сказывается фиктивный капитал, занимающий большое место в развитых рыночных экономиках. Вообще ВВП – это не собственно валовой продукт, а довольно неопределённая денежная сумма «вклада» любых отраслей трудовой деятельности (если за трудовую деятельность принять банк, страховое общество, меняльную контору, контору услуг м т.д.). Чем больше таких единиц, тем выше ВВП. ВВП – это сводный финансовый показатель может что-то (далеко не всё) сказать о динамике одной отдельной страны и то лишь при привлечении к анализу многих данных, в частности доли производства в ВВП. Высокий показатель ВВП на душу населения ещё мало говорит о положении той или иной страны в «мировой экономике». Не имеет самостоятельного значения и объём экспорта (на душу населения).

16. Если брать микро-уровень, то здесь следует признать, что ориентация только на прибыль не отражает всех сторон функционирования предприятий, например, не учитывается технико-экономическая и техническая сторона эффективности работы предприятия и т.д. Сложившаяся ситуация на микро-уровне экономики в переходных странах ещё раз подтверждает важность и необходимость внутрифирменного планирования, а для этого нужна целая система показателей отражающая уровень эффективности функционирования предприятия.

17. Что же мы получим после «переходной» экономики или правильнее, что же мы должны получить в результате «переходной экономики» и что получили на сегодня. Здесь нельзя ограничивать себя только экономическими результатами, а следует видеть результат в целом, во всех его проявлениях (политических, социо- культурных, нравственных и др.).

18. С точки зрения экономики, результатом должно быть формирование рыночной экономики со всеми её атрибутами и институтами. Здесь же отметим, что не существует постоянно эффективно функционирующей рыночной экономики (впрочем как и другой любой экономики) в силу, прежде всего, её циклического характера развития и действия основополагающего её принципа – спроса и предложения. Ведь как минимум приведение спроса и предложения в равновесие нуждается в определённом времени и в течение этого времени экономика не может быть максимально эффективной; во-вторых, к переходной экономике добавляются и объективные обстоятельства трудности перехода: политические, экономические, социальные, культурологические и т.д.; в-третьих, немаловажен и фактор действия субъективного фактора, который может свести на нет даже правильно выработанные решения.

19. Каков должен быть результат переходной экономики? Эта экономика должна быть принципиально отличной от экономики просто капиталистического типа характерной для второй половины 20-го века. Она должна быть постиндустриального типа, с учётом нового, пятого технологического уклада ( 1985 – 2035 гг.), и с учётом ограниченности ресурсов в мировой экономике, на первый план выйдут задачи: а) долговременного повышения ресурсоотдачи; б) решения энергетических проблем; в) справедливого распределения доходов.

Пятый уклад: информационные и коммуникационные технологии, микроэлектроника, программное обеспечение, средства автоматизации и телекоммуникационные оборудования.

Шестой уклад – использование сферы разума (ноосферы) или биокомпьютера, совместимого с разумом (интеллектом) человека.

Интересна в этом плане точка зрения профессора Гавриила Попова: «Капитализм никогда не мог победить социализм. Социализм был более прогрессивным строем, чем капитализм, и мог быть побеждён только ещё более высоким строем, который чаще всего называют постиндустриальным».

20.Что мы имеем на сегодня? Несмотря на универсальный характер инструментария перехода на рыночную экономику, в разных странах получен разный результат. В странах Центральной и Восточной Европы это одно (относительно высокий экономический рост), на территории бывшего СССР - это другое (отсутствие видения конечных результатов реформ), в случае с Китаем – третье (старая политическая система

и новые экономические отношения, и невиданный экономический рост, правда в последнее время несколько замедленный). Относительно Грузии скажем, что сегодня экономика Грузии дана на откуп действиям стихийных факторов, и всё это делается под лозунгом защиты либерализма в экономике, и демократических ценностей вообще, принижая тем самым саму идею и возможность существования нормальной рыночной экономики. А в «системе» оценочных показателей социально-экономического развития страны основным элементом стали всякого рода рейтинги.

21. И последнее. Всегда есть опасность, что в результате переходного периода в обществе и экономике мы можем получить тип общества, государства, которое может оказаться на задворках экономического и исторического прогресса, и функция которого будет заключаться в реализации взаимодополняемых (комплиментарных) задач стоящих перед индустриально развитыми странами. И чтобы избежать этого огромная ответственность лежит на правительствах управляющих странами входивших когда-то в социалистическую систему.

**Литература:**


1. The Radiant Past: Ideology and Reality in Hungary's Road to Capitalism: Chicago University Press, 1992 (with Janos Lukas);
2. Economics as a science: understanding its procedures and the irrelevance of prediction.
3. Adam Fforde. Victoria University, Australia. Real World economics review, issue no. 81
4. Stability, Security and sovereignty in the Republic of Georgia. David l. Philips Senior Fellow and Deputy Director. Centre for Preventive Action. Council on Foreign Relations. 8 January 2004;
5. Williamson John. Latin American Adjustment: How Much Has Happened (1990);
6. Блауг М. „Методология экономической науки, или Как экономисты объясняют". М.: НП „Редакция журнала Вопросы экономики". 2004.- 416 с.;
7. И.А. Болдырев Экономическая методология сегодня: краткий обзор основных направлений/Проблемы экономической теории//Журнал Новой экономической ассоциации. 2011. №9. с.47-70;
8. Бухарин Н.И. Экономика переходного периода/ч. 1. Общая теория трасформационного процесса/ Николай Бухарин. М.: Гос. Издательство, 1920. -157 с.
9. Е.Гайдар. Восстановительный рост и некоторые особенности современной экономической ситуации в России// Вопросы экономики. #5. 1992.


## Transitional Period in Economy
## (on the question of theory and methodology)


***Teimuraz Beridze***
*Doctor of Economic Sciences, Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi state University*



S u m m a r y

The article deals with the topical issues of the theory and methodology of transitional economy. There is found the necessity of developing the theory of transitional economy and indicators reflecting the development of the transition period. Special attention is paid to the issue of ownership and management in transitional period and the need of vision of the results of the transitional period in economy.



***Keywords:*** *Socio-economic transformation, transitional economy, socio-economic indicators, democratic values.*
*JEL: A1; A10; A11*

# ინვესტიციების შეფასების სირთულეები

**გიორგი ბერძენიშვილი**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დოქტორანტი*

*წინამდებარე სტატიაში განხილულია ახალი სტანდარტის - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენების სირთულეები. კერძოდ, სტანდარტის მიხედვით წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო თავდაპირველი აღიარების შემდგომ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. ამასთან, სხვა სრული შემოსავლის არჩევანის გამოყენების შემთხვევაში, აკრძალულია ღირებულების ცვლილებების გადატანა მოგება-ზარალში, როდესაც მოხდება ინვესტიციის რეალიზაცია.*

*მოცემული რეგულაცია გააკრიტიკა დაინტერესებული მხარეების გარკვეულმა ჯგუფმა, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ზემოხსენებული აკრძალვის შედეგად სათანადოდ არ იქნება წარმოჩენილი გრძელვადიანი სტრატეგიული ინვესტიციების ფინანსური შედეგები, რაც უარყოფითად იმოქმედებს ასეთი ინვესტიციების მოცულობაზე, ვინაიდან ინვესტორები თავს შეიკავებენ მისი განხორციელებისგან.*

*სტატიაში მოყვანილია როგორც ამ მოსაზრების მომხრე, ასევე საწინააღმდეგო არგუმენტები. საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა, რომ სტანდარტით დადგენილი აღრიცხვის კრიტერიუმები მიმდინარე მდგომარეობით საუკეთესოდ პასუხობს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნებს ინვესტიციათა აღრიცხვასთან დაკავშირებით. შედეგად, ამ ეტაპზე არ არსებობს ფასს 9-ში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, მით უმეტეს, კვლევებით დასტურდება, რომ მოცემული პრობლემის გავრცელების არეალი არ არის დიდი, ეხება რა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიათა ნაწილს და მის მოგვარებას გარკვეულწილად უზრუნველყოფს შემუშავების პროცესში მყოფი ახალი სტანდარტი სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვასთან დაკავშირებით - ფასს 17.*

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური ინსტრუმენტები; ფასს 9; ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; რეცირკულაცია; გრძელვადიანი ინვესტიციების აღრიცხვა; ინვესტიციების გაუფასურების მოდელები.*

2018 წლის პირველი იანვრიდან კომპანიები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვალდებული არიან გამოიყენონ ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის ახალი სტანდარტი - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები" (IFRS 9 Financial Instruments). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (შემდგომში „საბჭო") შეიმუშავა აღნიშნული სტანდარტი გლობალური ფინანსური კრიზისის საპასუხოდ, წარადგინა რა მრავალი გაუმჯობესება ფინანსური ინსტრუმენტების ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

მიმდინარე შეფასებით ფასს 9-მ მოლოდინები გაამართლა, თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა ყოველთვის იყო არაერთი დავის საგანი და ფასს 9-ც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია დაინტერესებული პირებისთვის არის წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების (ინვესტიციები კაპიტალში) შეფასებისა და აღრიცხვის ახალი კრიტერიუმები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ინვესტიციათა მოცულობაზე გრძელვადიან პერიოდში.

## ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისა და კლასიფიკაციის ახალი მიდგომები

ფასს 9 ავრცელებს ერთი კლასიფიკაციის მიდგომას ყველა ტიპის ფინანსური აქტივისთვის, მათ შორის ფინანსური წარმოებულის მახასიათებლის მქონე აქტივებისთვის. ამრიგად ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ერთიანობაში და არ ექვემდებარება რთულ, კრიტერიუმების მიხედვით, დაყოფის პროცედურას.

ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდეგ სამ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების ასახვით მოგება-ზარალში;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების ასახვით სხვა სრულ შემოსავალში.

ფასს 9-ის თანახმად, ის თუ კლასიფიკაციის რომელ ჯგუფში მოექცევა და შესაბამისად, როგორ შეფასდება ფინანსური აქტივი, დამოკიდებულია ორ კრიტერიუმზე:

- ბიზნესის მოდელის ტესტირება - ექცევა თუ არა ფინანსური აქტივი ისეთ ბიზნეს მოდელში, რომლის თანახმადაც აქტივების ფლობა ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად (ნაცვლად ისეთი ბიზნეს მოდელისა, რომლის დროსაც აქტივი გამიზნულია გასაყიდად მოგების მიღების მიზნით);

- ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირება - აქვს თუ არა მომავალ ფულად ნაკადებს კონკრეტული გადახდის გრაფიკი, რომელიც შედგება ძირითადი თანხისა და მასთან დაკავშირებული პროცენტის დაფარვებისგან. (კვატაშიძე, 2013 # 2) [1, გვ. 7].

ფასს 9-ის მიხედვით, ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში აღრიცხული უნდა იქნეს რეალური ღირებულებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების საწარმოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით.

საწარმოებს აქვთ შესაძლებლობა ცვლილებები აღნიშნული ინვესტიციების რეალურ ღირებულებაში ასახონ სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ისინი აირჩევენ ამ მიდგომას, რომლის შემდგომ შეცვლაც აღარ არის ნებადართული. ფასს 9-ის თანახმად, თუ საწარმო ინვესტიციას წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობს არასავაჭრო მიზნებისთვის, მას აქვს უფლება რეალური ღირებულების ცვლილებები ასახოს სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო მოგება-ზარალში ასახოს მხოლოდ შემოსავლები დივიდენდებიდან [2, გვ. 15].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეკლასიფიკაცია შეფასების კატეგორიებს შორის, რომელიც ფასს 9-ის მიხედვით მოითხოვება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ კონკრეტული ფინანსური აქტივის მიმართ იცვლება საწარმოს ბიზნესმოდელი, არ არის ნებადართული იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილებები აღირიცხება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## გრძელვადიანი ინვესტიციების პრობლემა

ინვესტორებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისადმი წაყენებულმა შეფასების ახალმა მოთხოვნებმა შესაძლოა შეაფერხოს გრძელვადიანი ინვესტიციები. მათი აზრით, სტანდარტულმა წესმა, რომლის მიხედვითაც ასეთი ინვესტიციები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით, შესაძლოა სათანადოდ ვერ წარმოაჩინოს გრძელვადიანი ინვესტორების ბიზნესმოდელი. მეორე მხრივ, ღირებულების ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვის არჩევანი ვერ იქნება შესაფერისი ალტერნატივა, ვინაიდან სტანდარტი კრძალავს ინვესტიციის გაყიდვის შემთხვევაში ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების სხვა სრული შემოსავლიდან მოგება-ზარალში გადატანას (ე.წ. „რეცირკულაცია“), რაც ინვესტორთა აზრით სათანადოდ ვერ ასახავს მათ ფინანსურ შედეგებს. ამრიგად, თუ ზემოხსენებული ორივე მიდგომა მიუღებელია, წარმოიშვება გრძელვადიანი ინვესტიციებისგან თავის შეკავების საფრთხე. შედეგად, ინვესტორები მოუწოდებენ საბჭოს, შეცვალოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების შეფასებისა და აღრიცხვის მოთხოვნები ფასს 9-ში.

## ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში აღრიცხვა უკეთ ასახავს პერიოდის განმავლობაში ღირებულების ჩამოყალიბებას

წინამორბედი სტანდარტი - ბასს 39-ც მოითხოვდა წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულებით აღრიცხვას კომპანიის ბალანსში [3, გვ.4]. ფასს 9-სთან მთავარი განსხვავება ასეთი ინვესტიციების აღრიცხვაში არის ის, თუ სად აღირიცხება შემდგომი ცვლილებები ინვესტიციათა ღირებულებაში.

საბჭოს აზრით, ინვესტიციის ღირებულებაში ცვლილებების შესახებ ნათელი და საიმედო ინფორმაცია მნიშვნელოვანია მაშინაც, თუ არ იგეგმება ინვესტიციის გაყიდვა ახლო მომავალში. ღირებულების ზრდა, ალბათ, არის ყველა ინვესტორის მთავარი მიზანი გრძელვადიან ინვესტიციასთან მიმართებით. ამ მიზეზით, ფასს 9 სტანდარტულად მოითხოვს, რომ ცვლილებები ღირებულებაში აისახოს სწორედ მოგება-ზარალში. თუ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიცია კომპანიის შედეგებისადმი რელევანტურია, მაშინ ყველაზე საიმედო და გამოსადეგარი ინფორმაცია ასეთი ინვესტიციის მიმართ წარმოჩნდება მისი რეალური ღირებულებით აღრიცხვით, ღირებულებაში შემდგომი ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით, რადგან ცვლილებებს ადგილი აქვს თითოეული პერიოდის ჭრილში. აღნიშნული გამოიწვევს გარკვეულ რხევებს მოგება-ზარალში, მაგრამ სწორედ ეს რხევები ასახავს ეკონომიკურ რეალობას.

მაგალითად, ინვესტორი ყიდულობს აქციას 100$ და 20 წლის შემდგომ ყიდის ამ აქციას 210$. აქციის ღირებულების მოცემული აფასება მიმდინარეობდა 20 წლის განმავლობაში. 110$ მოგების მოგება-ზარალში ასახვა უშუალოდ გაყიდვის მომენტში სათანადოდ ვერ წარმოაჩენს ინვესტორის შედეგებს. უფრო სრულყოფილი ინფორმაცია წარედგინება მაშინ, როდესაც ღირებულებაში ცვლილებები აღიარდება თითოეული პერიოდის მიხედვით.

მეორე მხრივ, საბჭო ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ ზოგიერთ უჩვეულო შემთხვევაში, რეალურ ღირებულებაში ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს ინვესტორის შედეგების სათანადოდ წარმოჩენა. მაგალითად, როდესაც ინვესტორი ფლობს აქციებს სტრატეგიული მიზნებისთვის, რაც შეიძლება იყოს ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავება, ახალ ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობა

და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ინვესტირება განხორციელებული არ არის მოგების მიღების მიზნით, შედეგად რეალურ ღირებულებაში ცვლილებები არ ასახავს ინვესტორის შედეგებს.

ასეთი შემთხვევების გამო, ფასს 9 ნებას რთავს კომპანიებს გააკეთონ შესაბამისი არჩევანი და ამგვარი სტრატეგიული ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებები ასახონ სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ამ არჩევანის შემუშავებისას, საბჭომ გაითვალისწინა ისეთი გარემოებები, როგორიცაა ურთიერთ-აქციონერობა იაპონურ კომპანიებს შორის, რაც გულისხმობს კომპანიების ურთიერთ-ინვესტირებას ერთმანეთში ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავებისა და გაძლიერების მიზნით. შესაბამისად, სხვა სრულ შემოსავალში ასახვის არჩევანი არ შემუშავებულა იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც განხორციელებულია დივიდენდების მიღების ან ღირებულების ზრდის შემდეგ გაყიდვის მიზნით. ამასთან, ფასს 9 კრძალავს სხვა სრულ შემოსავალში ასახული ცვლილებების გადატანას მოგება-ზარალში (რეცირკულაცია).

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ფასს 9-ში წილობრივი ინსტრუმენტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები შესაბამისობაშია საბჭოს მიერ განახლებულ "ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოსთან" (The Revised "Conceptual Framework for Financial Reporting"), რომელშიც გაცხადებულია, რომ მოგება-ზარალის ანგარიშგება წარმოადგენს საწარმოს საანგარიშო პერიოდის ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის პირველად წყაროს [4, გვ.14]. შედეგად, საბჭოს მიაჩნია, რომ ინვესტორის შედეგები თითოეული პერიოდისთვის საუკეთესოდ წარმოჩინდება წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით.

## რეცირკულაციამ შესაძლოა გამოიწვიოს დაბნეულობა

როდესაც კომპანია აკეთებს არჩევანს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში, ეს ცვლილებები აღარ გადაიტანება მოგება-ზარალში ინვესტიციის გაყიდვის დროს. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საბჭოს ხედვასთან, რომ თუ ინვესტიციები სტრატეგიული მიზნით არის განხორციელებული, მაშინ ღირებულების ცვლილებებით მიღებული მოგება ან ზარალი არ წარმოაჩენს ინვესტორის შედეგებს.

ეს წესი ასევე შესაბამისობაშია კონცეპტუალურ ჩარჩოსთან, რომლის მიხედვით სხვა სრულ შემოსავალში ასახული თანხები გადაიტანება მოგება-ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რეცირკულაცია წარმოაჩენს უფრო რელევანტურ ინფორმაციას ან მომავალი პერიოდებისთვის კომპანიის შედეგების უფრო საიმედო სურათს. შედეგად, სტრატეგიული ინვესტიციების შემთხვევაში, ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი არასდროს არ არის ინვესტორის შედეგების ინდიკატორი და ასეთად არ იქცევა არც მომავალში, ინვესტიციის გაყიდვისას.

ამას გარდა, რეცირკულაცია ასახავს მხოლოდ იმ ინვესტიციათა შედეგებს, რომლებიც გაიყიდა. აღნიშნულის გამო, ინვესტორს შეუძლია შერჩევით გაყიდოს მომგებიანი ინვესტიციები და აჩვენოს მოგება მაშინ, როდესაც მთლიანი პორტფოლიო შესაძლოა იყოს ზარალიანი. შედეგად ვლინდება წინდახედულობის პრინციპის დარღვევა, ვინაიდან ამით შესაძლოა ისარგებლონ კომპანიებმა და შენიღბონ ზარალი მხოლოდ მომგებიანი ინვესტიციების გაყიდვითა და წამგებიანი ინვესტიციების შენარჩუნებით. აღნიშნულის საფრთხე დადასტურებულია ემპირიული კვლევებითაც, რომლებმაც აჩვენეს, რომ კომპანიები ნამდვილად სარგებლობენ აღრიცხვის სტანდარტებით მინიჭებული დისკრეციული უფლებით და მოგება-ზარალის ანგარიშგების შედეგებში მანიპულირებენ გასაყიდად „მომწიფებული" ინვესტიციებით. ამ მეთოდებით კომპანიებს შეუძლიათ შენიღბონ ზარალი, გაათანაბრონ შემოსავლები ან მიიღონ „დიდი შხაპი" (უფრო უარესად წარმოაჩინონ მიმდინარე არახელსაყრელი შედეგები, რათა მომავლის შედეგები გამოჩნდეს უფრო უკეთ). შედეგად, აკადემიური კვლევები ადასტურებს იმ მიდგომას, რომ მოგება ან ზარალი უნდა აღიარდეს მათი მოხდენისთანავე, რათა თავიდან იქნას აცილებული რეცირკულაციის, როგორც მოგების მანიპულირების საშუალებად გამოყენება [5, გვ. 24].

## ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში განსხვავებულია

საბჭოს მიაჩნია, რომ გარკვეულ სასესხო ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა წარმოადგენს ყველაზე შესაფერის ინფორმაციას ასეთი ინვესტიციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების ოდენობაზე, დროსა და გაურკვევლობაზე. მეორე მხრივ, თუ კომპანია ფლობს ამგვარ ინვესტიციებს გაყიდვის მიზნით, ფასს 9 მოითხოვს, რომ ისინი აღირიცხოს რეალური ღირებულებით, ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. საბჭოს აზრით, ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ყველაზე რელევანტურ ინფორმაციას მომავალ ფულად ნაკადებზე. ხოლო, თუ კომპანიის ბიზნესმოდელის მიხედვით ინვესტიციები მარტივ სასესხო ინსტრუმენტებში ხორციელდება ორივე მიზნით - საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღებისა და გაყიდვის მიზნით, მაშინ ორივე - ამორტიზებული ღირებულებისა და რეალური ღირებულების ინფორმაცია წარმოადგენს რელევანტურს. შესაბამისად, ფასს 9 უზრუნველყოფს ინფორმაციის ორივე წყაროს, მოითხოვს რა კომპანიებისგან ასეთი ინვესტიციები აღრიცხონ რეალური ღირებულებით, ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საბჭოს დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ხედვა, რომ ღირებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მოგება-ზარალში ასახვა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის ინფორმაციას წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით (მიუხედავად ასეთი ინვესტიციების მიზნებისა) არ შეცვლილა.

## რეცირკულაციის აკრძალვა თავიდან გვარიდებს გაუფასურების სირთულეებს

კაპიტალში ინვესტიციებისთვის რეცირკულაციის შესაძლებლობის დამატება ფასს 9-ში გამოიწვევს ახალი გაუფასურების ტესტის შემუშავების აუცილებლობას, ვინაიდან მიმდინარე გაუფასურების ტესტი ეფუძნება საკონტრაქტო გადახდების მიღების შესაძლებლობას, რითაც შესაბამისობაშია მხოლოდ სასესხო ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციებთან. აღნიშნული გაართულებს გაუფასურების მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ფასს 9-ის შემუშავების პროცესში, „ფინანსური კრიზისის საკონსულტაციო ჯგუფმა“ თავის ანგარიშში ხაზი გაუსვა ბასს 39-ში წარმოდგენილი გაუფასურების მოდელის კომპლექსურობასა და არათანმიმდევრულობას, რითაც მიუთითა საბჭოს, რომ გაუფასურების მოდელი წარმოადგენდა ერთ-ერთ სუსტ რგოლს აღრიცხვის სტანდარტში, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი იყო ფასს 9-ის შემუშავებისას. საბჭომ გადაჭრა მოცემული პრობლემა, წარმოადგინა რა მხოლოდ ერთი გაუფასურების მოდელი ფასს 9-ში [6, გვ. 5].

ბასს 39-ში წარმოდგენილი გაუფასურების მოდელი ცნობილი იყო თავისი არაეფექტურობით. მისი წყალობით გართულებული იყო იმის დადგენა თუ როდის აღმოჩნდებოდა ესა თუ ის ინვესტიცია გაუფასურებული. ამასთან, აღნიშნულის შეფასება ხდებოდა სუბიექტურ საფუძველზე - კომპანიები თავად წყვეტდნენ დანაკარგების ზღვარს, რომლის შემდეგაც ინვესტიცია ჩაითვლებოდა მნიშვნელოვნად გაუფასურებულად ან გაუფასურება მიჩნეული იქნებოდა გახანგრძლივებულად, რაც მეტყველებდა მოდელის არათანმიმდევრულ ბუნებაზე. შედეგად, დანაკარგები აღიარდებოდა „ზედმეტად ცოტა ოდენობით, ზედმეტად გვიან“. მეორე მხრივ, ფასს 9-ის გამოყენებით ღირებულების ყველანაირი ცვლილების (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) აღიარება მოგება-ზარალში გვაშორებს ზემოაღნიშნულ სირთულეებს, ვინაიდან გაუფასურების მოდელის საჭიროება აღარ არსებობს.

## გაუფასურების ახალი მოდელის შემუშავება არ არის მარტივი

იმ შემთხვევაში თუ ფასს 9-ში წარმოდგენილი იქნება რეცირკულაციის შესაძლებლობა, მაშინ აღნიშნულს თან უნდა დაერთოს გაუფასურების ახალი მოდელი წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის. გაუფასურების მოდელის შემოღება შესაბამისობაში იქნება სხვა სტანდარტებთანაც, რომლებიც ძირითადად მოიცავენ გაუფასურების რაიმე მოდელს სხვადასხვა აქტივებისთვის. შესაბამისად შემოთავაზებულია ორი ვარიანტი:

ინვესტიციის შეძენის ღირებულებასთან შედარებით ინვესტიციის ღირებულების ვარდნა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგება-ზარალში, ხოლო ღირებულების ზრდა აისახება სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც ინვესტიციის გაყიდვის შემდგომ გადაიტანება მოგება-ზარალში.

მეორე ვარიანტის მიხედვით, გაუფასურების ახალი მოდელი დაეყრდნობა ბასს 39-ში წარმოდგენილ კრიტერიუმებს და შემდეგ დაემატება ახალი მითითებები.

ზემოაღნიშნულის საპასუხოდ, საბჭოს მიაჩნია, რომ ნებისმიერი გაუფასურების მოდელი, რომელიც ეფუძნება ბასს 39-ს, იქნება ზედმეტად კომპლექსური. ამასთან, ორივე ვარიანტში ინდიკატორებად წარმოდგენილია საბაზრო ფასები, რაც საბჭოს აზრით პრობლემურია ნებისმიერი გაუფასურების მოდელისთვის.

ისტორია გვიჩვენებს, რომ კომპანიები თავს იკავებენ ხოლმე საბაზრო ფასების მიხედვით მიღებული გაუფასურების აღიარებისგან. ექსპერტთა გარკვეული ჯგუფი გამოთქვამს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები შესაძლოა დაექვემდებაროს რეალური ღირებულებით აღრიცხვას, ხოლო მათი გაუფასურების აღიარება მოხდეს საბაზრო ფასის ვარდნის შედეგად. აღნიშნულის საპასუხოდ, ექსპერტები მიუთითებენ სხვა შეფასების მიდგომების გამოყენებისკენ, რომლებიც არ იქნება დაფუძნებული საბაზრო ფასებზე.

ზოგადად, საბჭოს მიაჩნია, რომ წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების შემთხვევაში, რეალური ღირებულებისგან გადახვევა იქნება ძალზედ პრობლემატური. დიდი ალბათობით, ინვესტორებისთვის მიუღებელი იქნება საბაზრო ფასის სხვა ალტერნატივები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი ინსტრუმენტები კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე.

## პრობლემის გავრცელების არეალი

მიმდინარე კვლევები ადასტურებს, რომ კომპანიების რიცხვი, რომლებიც წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციებს აღრიცხვისთვის იყენებენ სხვა სრული შემოსავლის მეთოდს, საკმაოდ მცირეა და შესაბამისად მცირეა ზემოაღნიშნული პრობლემების გავრცელების არეალიც. მეტიც, მტკიცებულებები მიუთითებს, რომ დაინტერესება ძირითადად გამოხატა სადაზღვევო სფერომ სადაზღვევო კომპანიების შედე-

გების ფინანსურ ანგარიშგებებში სათანადო ასახვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პრობლემის მოგვარება-ში დიდ როლს შეასრულებს „ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები“, რომელიც გააუმჯობესებს სადაზღვევო კომპანიების შედეგების წარმოჩენას. მოცემული სტანდარტი მოითხოვს კომპანიის ინვესტიციების შედეგების გამიჯვნას ანდერრაითინგის შედეგებისგან, განსხვავებით ტიპიური აღრიცხვისგან, როდესაც ეს შედეგები გაერთიანებულად არის წარმოდგენილი. შედეგად, სადაზღვევო კომპანიებისთვის მარტივი იქნება იმის ახსნა, შემოსავლებში ცვლილებები გამოწვეულია წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების გამო თუ არა. ასევე, ბევრ სადაზღვევო კომპანიას აქვს უფლება გადადოს ფასს 9-ის სავალდებულო გამოყენება 2021 წლამდე, რაც საშუალებას მისცემს მათ ფასს 9 და ფასს 17 დანერგონ ერთდროულად.

## დასკვნა

ფასს 9-ის შემუშავების პროცესში საბჭომ გაითვალისწინა დაინტერესებული მხარეების მრავალი წლის განმავლობაში წარმოთქმული კრიტიკა ბასს 39-ში არსებული კრიტერიუმების კომპლექსურობასთან დაკავში-რებით. შედეგად, ახალი სტანდარტი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოაჩენს უფრო საიმედო და სასარგებლო ინფორმაციას, ხოლო ზემოხსენებული პრობლემების გავრცელების არეალი არ არის იმდენად დიდი, რომ საბ-ჭომ გადახედოს ფასს 9-ში მიმდინარე მდგომარეობით არსებულ კრიტერიუმებს.

ამასთან, მართალია, ბუღალტრული აღრიცხვაც გათვალისწინებულია ინვესტიციების განხორციელების პროცესში, თუმცა, გადაწყვეტილებები მიიღება სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის გაანალიზების შედეგად. აღრიცხვის მიზანი უბრალოდ არის ამ ინვესტიციების იმგვარად წარმოჩენა, რომ დაინტერესებულმა მხარეებ-მა მიიღონ მაქსიმალურად სასარგებლო და საიმედო ინფორმაცია მომავალი ეკონომიკური გადაწყვეტილებე-ბისთვის. საბჭოს მიაჩნია, რომ ინვესტიციების შედეგების წარმოჩენა პერიოდების მიხედვით მოგება-ზარალ-ში იძლევა სწორედ ამგვარ ინფორმაციას ინვესტორებისა და სხვა პირებისთვის.

ფასს 9 შესაძლოა, მართლაც არ იყოს სრულყოფილი. მაგალითად, საბჭოს განზრახვა სხვა სრული შემო-სავლის არჩევანთან დაკავშირებით იყო ის, რომ კომპანიები მას გამოიყენებდნენ მხოლოდ სტრატეგიული გრძელვადიანი ინვესტიციების მიმართ, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა ვერ იქნა მიღწეული. ასევე, ფინანსუ-რი ანგარიშგების მომხმარებლებს სურთ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია წილობრივ ინსტრუმენტებში ინ-ვესტიციების რეალიზებულ და არარეალიზებულ მოგება-ზარალზე, მიუხედავად იმისა ღირებულების ცვლი-ლებები აღირიცხება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში, თუმცა ამ მხრივ ფასს 9-ით მოთხოვნილი ინფორმაცია საკმაოდ შეზღუდულია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფასს 9 არის შედარებით ახალი სტანდარტი, რომლის დანერგვა ბევრმა კომპანიამ ახლახან დაასრულა. საბჭოს გააჩნია დადგენილი და სავალდებულო დანერგვის შემდგომი შეფასე-ბის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია თითოეული ახალი სტანდარტისთვის და რომლის საშუალებითაც რეალურად ირკვევა ახალი სტანდარტის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებასა და მის მომხმარებლებზე. შესაბა-მისად, ხსენებული მექანიზმი იქნება საკმარისი გრძელვადიან ინვესტიციებთან და ფასს 9-სთან დაკავშირებუ-ლი პრობლემების შესაფასებლად, რაც დაეყრდნობა ფასს 9-ის გამოყენების რეალურ შედეგებს კომპანიების მხრიდან. და თუ ამ შედეგების მიხედვით ფასს 9-ს ექნება საზიანო გავლენა წილობრივ ინსტრუმენტებში გან-ხორციელებულ ინვესტიციებზე, მაშინ საბჭო დაუყოვნებლივ დაიწყებს პრობლემის მოგვარებაზე მუშაობას.

## ლიტერატურა:


1. კვატაშიძე ნ. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2013, № 2.
2. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 9: ფინანსური ინსტრუმენტები, 24.07.2014, გვ.103.
3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 39: ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, 16.04.2009, გვ.: 40.
4. Conceptual Framework for Financial Reporting, March 2018, pg.21.
5. Barth, M., Gomez-Biscarri, J., Kasznik, R. & López-Espinosa, G. (2017). Bank earnings and regulatory capital management using available for sale securities. Review of Accounting Studies 1761-1792, pg. 58.
6. Sue Lloyd, IFRS 9 and Equity Investments, 23.05.2018, pg.9.

## Investment Assessment Difficulties

***Giorgi Berdzenishvili***
*Doctoral Student*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Summary

Issues related to applying new standard "IFRS 9 Financial Instruments" are discussed in the present article. Particularly, according to new standard equity investments initially are measured at fair value with subsequent changes in the value recognized ether in P&L or OCI. Additionally, if OCI election is made, recycling of these changes from OCI into P&L is prohibited when investment is sold.

Concerns were raised by some stakeholders who stated that such prohibition could result in poor information presented regarding performance of long-term strategic investments which in turn could have detrimental effect on such investments, because investors would be discouraged to make these investments.

Supporting as well as opposing arguments of mentioned concern are presented in the article. Eventually conclusion is made that current requirements regarding accounting of investments in IFRS 9 provides best possible information to the stakeholders. Thus, making changes in the standard is not required at the moment especially, when research suggests that prevalence of the issue is rather low, affecting only the small part of insurance companies and the problem particularly could be solved by the new standard in process – IFRS 17 Insurance Contracts.

***Key words:*** *Financial Instruments; IFRS 9; Equity Investments; Recycling; Accounting of Long-term Investments; Impairment Models of Investments.*

# ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სტრატეგიები, პროექტები და შედეგები საქართველოში

**იზა ბუკია**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დოქტორანტი*

*საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დიდი გავლენა აქვს მისი პარტნიორი ქვეყნების განვითარებაში, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებით პროექტების განხორციელებაში, როგორიცაა მაგალითად: ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა, მრეწველობა, ვაჭრობა, ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერება და ა.შ., რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნის წინსვლას. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. ნაშრომში განხილულია ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტები, რომლებიც შთამბეჭდავია თავისი მასშტაბურობით.*

*საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები; ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD); ბიუჯეტი.*

თითოეული საფინანსო ინსტიტუტის როლი დიდია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულების განვითარებაში. ბუნებრივია, მათ მიერ გაცემული გრანტები ან დაბალპროცენტიანი სესხები დაკავშირებულია გარკვეული ვალდებულებების აღებასთან, რისთვისაც მზად უნდა იყოს ქვეყანა და მას ქონდეს გააზრებული ყველა გადასადგმელი ნაბიჯი ამ პროექტების ფარგლებში. ამისათვის კი საჭიროა სტრატეგია/ქვესტრატეგია, თუ როგორი ფორმით უნდა მოხდეს მიღებული დაფინანსების განაწილება ეფექტურად, რა თქმა უნდა მოსალოდნელი რისკების გათავლისწინებით. ჩვენ შევაფასებთ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ზანკის (EBRD) მიერ განხორციელებულ პროექტებს და სამომავლოდ დაგეგმილ სტრატეგიებს და მიზნებს საქართველოსთან მიმართებით.

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ზანკის (EBRD) საქმიანობის ძირითადი მიმართულებები საქართველოში კი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ენერგეტიკა, ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერება; ინფრასტრუქტურა და მრეწველობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ და სხვა დონორებმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ზანკი (EBRD) აღიარეს ელექტროენერგეტიკისა და მდგრადი ენერგეტიკის სექტორში ყველაზე აქტიურ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტად.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ზანკი (EBRD) დაარსდა 1991 წელის 15 აპრილს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მხარდაჭერის მიზნით. საქართველო შეუერთდა 1992 წლის 4 სექტემბერს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ზანკი ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია ამ რეგიონში, რომელიც საკუთარი ფინანსების გარდა მობილიზებას უკეთებს უცხოურ ინვესტიციებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ზანკს დაარსების დღიდან საქართველოში განხორციელებული აქვს დაახლოებით 3 მლრდ ევროს ინვესტიცია. ინვესტიციების საშუალებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ზანკი ხელს უწყობს სტრუქტურულ და სექტორულ რეფორმებს, კონკურენციის განვითარებას, ძლიერი ფინანსური ინსტიტუციებისა და სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბებას, ინფრასტრუქტურების განვითარებას და სხვა.

2016 წლის 14 დეკემბერს საქართველოსთვის შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ზანკის (EBRD) მიერ გამოყოფილია ოთხი პრიორიტეტი:

პრიორიტეტი 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა ინოვაციის, გაუმჯობესებული დამატებული ღირებულების და DCFTA (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება) სტანდარტებსა და ვალდებულებებთან დაახლოების მეშვეობით; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ზანკის (EBRD) საქმიანობის ქვეყნებს შორის, საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, ერთ-ერთ საუკეთესოთა შორისა არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკაში არის ძირითადად დაბალი ღირებულების მრეწველობები და შესაბამისად არ იქმნება დამატებითი ღირებულებები ახალი ტექნოლოგიების და პროცესების დანერგვით, რის გამოც საქართველო თავის ინოვაციურ პოტენციალს ქვემოთაა. ამ განხრით ბანკი ხელს შეუწყობს გააუმჯობესოს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომლებიც ხელ შეუწყობს დაახლოვოს DCFTA სტარდარტებთან. ამ მხრივ მნიშნელოვანი მიმართულებებია: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სამთო და მსუბუქი მრეწველობა და ჯანდაცვის სექტორები.

პრიორიტეტი 2: საფინანსო შუამავლობის გაღრმავება და ადგილობრივი ვალუტის და კაპიტალის ბაზრების განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსების წვდომა; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარე-

ბის ბანკის (EBRD) მიზანია ხელი შეუწყოს პარტნიორი ბანკების დაფინანსებას, რომელიც მიმართული იქნება ადგილობრივ ვალუტაში პროექტების განსახორციელებლად, როგორიცაა, მაგალითად: მეწარმე ქალების აქტივობა ბიზნესში. ასევე ბანკის მიზანია ხელი შეუწყოს კაპიტალის ბაზრების განვითარებას.

პრიორიტეტი 3: ბაზრების გაფართოვება რეგიონთაშორისი კავშირების მეშვეობით; აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს სტრატეგიული ადგილმდებარეობა, რაც დამაკავშირებელი გზაჯვარედინია. იგი მოიაზრება, როგორც „ერთი სარტყლის ერთი გზის ინიციატივის ნაწილი“. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიზანია ხელი შეუწყოს ტრანსპორტის, ლოჯისტიკის და ინფრასტრუქტურის განვითარებას, რამაც შესაძლოა გააძლიეროს საქართველოს სტრატეგიული პოზიცია, როგორც სატრანზიტო დამაკავშირებელი რგოლის.

პრიორიტეტი 4: განახლებადი ენერგიის, რესურსების ეფექტურობის და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკის მდგრადობის ამაღლებისთვის; ამისათვის ბანკი აგრძელებს განახლებადი ენერგიის რესურსების განვითარების მხარდაჭერას ინვესტიციებით და თანამშრომლობის გაგრძელებას კერძო სექტორის ოპერატორებთან, როგორც ადგილობრივებთან, ასევე უცხოურ სტრატეტგიულ კერძო ინვესტორებთან, რადგან ენერგეტიკის სექტორი განიცდის ზარალს მნიშვნელოვანი სადისტრიბუციო დანაკარგებით და სეზონური მიწოდების ნიმუშებით, რაც დეფიციტს იწვევს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ შემუშავებული სტრატეგია საქართველოსთვის საკმაოდ შთამბეჭდავი და ამბიციურია, თუმცა, რამდენად იქნება ის სრულად შესრულებული, ეს რა თქმა უნდა დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, რაც შეუძლია გავლენა იქონიონ მის წარმატებით განხორციელებაზე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ განხორციელებული პროექტების მაჩვენებლებ, თანხობრივ ჭრილით (ევრო) წლების მიხედვით, შემდეგია [იხ. დიაგრამა1].

*დიაგრამა 1[1]*




რაც შეეხება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიმდინარე პროექტებს, ყურადღება არის გამახვილებული ოთხ ძირითად მიმართულებაზე, სადაც ყველაზე დიდი წილი აქვს ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე პროექტებს, რისთვისაც გამოყოფილია 269 000 000 მლნ ევრო. შემდეგია ფინანსური ინსტიტუტები, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 242 000 000 მლნ ევრო. მას მოჰყვება მრეწველობა, ვაჭრობა და აგრობიზნესი, რისთვისაც არის 218 000 000 მლნ ევროს დაფინანსებაა გამოყოფილი. ინფრასტრუქტურისთვის კი გამოყოფილია 59 000 000 მლნ ევრო, ხოლო მთლიანობაში 788 მლნ ევროა გამოყოფილი (იხ.დიაგრამა 2).

*დიაგრამა 2[2]*



აქ კი მიმოვიხილავთ იმ მიმდინარე პროექტებს, რომლებიც დაგეგმილი და გაწერილია საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით: მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და სომხეთის სასაზღვრო გამტარ პუნქტზე ახალი ხიდის მშენებლობას, რომლის ხელშეკრულებასაც ხელი მოეწერა 2016 წელს და დასრულების ვადა განსაზღვრულია 2019 წლისთვის; აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი, რომელიც გულისხმობს ქობულეთში თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელის მშენებლობას და ახალი ნაგავსაყრელის ამოქმედების შემდეგ ბათუმის არსებული ნაგავსაყრელის დახურვას, აღნიშნული პროექტის დასრულების ვადაა 2018 წელი; ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი, რომელიც მოიცავს მარნეულში ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობას, სადაც ასევე დასრულების ვადა განსაზღვრულია 2018 წლით; საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი, რომელიც გულისხმობს ნაგავმზიდი მანქანებისა და მყარი ნარჩენების კონტეინერების შეძენას, რომლის დასრულების თარიღია 2019 წელი; ქობულეთის წყალარინების რეაბილიტაცია, სადაც კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა მიმდინარეობს და დასრულების თარიღია 2018 წელი; ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი - რომელიც უნდა დასრულდეს 2021 წელს; ახალი ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში და ასევე ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა ჯვარსა და ხორგაში, რომელთა დასრულების თარიღია 2018 წლის ბოლო; ასევე რეგულირებადი რეაქტორის მშენებლობა ზესტაფონში, რომელიც უნდა დასრულდეს ასევე მიმდინარე წლის ბოლოს; ბათუმის ავტობუსების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დიზელის და ელექტრო ავტობუსების შეძენას, დასრულების თარიღი კი 2019 წელია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ასევე ხელს უწყობდა მის პარტნიორ ბანკებს მიზნობრივი საკრედიტო ხაზებით, როგორიცაა: „საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მექანიზმი“ (GAFF); ბანკის „მცირე ბიზნესის ინიციატივის“ ფარგლებში, სარგებელი მიიღეს პარტნიორმა ბანკებმაც. ასევე მისმა წილობრივმა მონაწილეობამ ქართულ ბანკებში საშუალება მისცა მათ, გასულიყვნენ ლონდონის ბირჟაზე კოტირებით, რამაც თავისთავად ამონაგები მისცა ქართულ ბანკებს. მისი მხარდაჭერით ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მთავრობის ვალდებულებების შემოსავლიანობის მრუდი.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც გაიარა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) - საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) - მსოფლიო ბანკის (WB) ერთობლივი შეფასება ადგილობრივი ვალუტით კაპიტალის ბაზრების განვითარებასთან დაკავშირებით და გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ხელისუფლებასთან დედოლარიცაზიის მხარდასაჭერად აუცილებელი პოლიტიკის რეფორმების შესახებ. სწორედ რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) გამოუშვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის პირველი ობლიგაცია ქართულ ლარში 2014 წელს, რომლის შემდეგაც გამოიცა ორი ობლიგაცია 2015 და 2016 წელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) აქვს დიდი წვლილი ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული პროექტებით, რაც გამოიხატება როგორც ახალი ქვესადგურების მშენებლობით, ასევე დამატებით ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობით, რეაბილიტაციით და ა.შ. შეიძლება გამოვყოთ პროექტები დიდი და მცირე ჰესებისათვის, როგორიცაა მაგალითად: დარიალის ჰესი და შუახევის ჰესი, რომელიც განხორციელდა „სუფთა განვითარების მექანიზმის“ (სგმ) ფარგლებში, ასევე ჯვრის ახალი ქვესადგურის მშენებლობა. ასევე ქარის პირველი სადგური. ასევე აღსანიშნავია, რომ EBRD-ის თანამშრომლობით ხდება საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბაზრის ახალი კონცეფციის შემუშავება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დიალოგის შედეგად საქართველომ ხელი მოაწერა აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P) დახმარების შესახებ შეთანხმებას. ეს ინიციატივა ხელისუფლებას ენერგიის დაზოგვაში ინვესტიციების განხორციელების საშუალებას აძლევს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მხარი დაუჭირა შეკუმშული ბუნებრივი გაზის (CNG) შემოტანას ბენზინგასამართ სადგურებში, რაც ჩვეულებრივი საწვავის ეკოლოგიურად მისაღებ ალტერნატივას წარმოადგენს, ამისათვის ბანკმა გასცა სესხი „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სთვის. ასევე, E5P ფარგლებში მხარდაჭერილი პირველი პროექტი საქართველოსთვის არის ავტობუსების პარკის ნაწილობრივი განახლება თბილისსა და ბათუმში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოში დაარსების დღიდან განხორციელებულია 218 პროექტი სხვადასხვა სფეროში და ბუნებრივია, მან გავლენა იქონიეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე. მნიშვნელოვანია იმ სტრატეგიული საინვესტიციო პროექტების მიმართულებების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც დადებით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკურ წინსვლაზე:

- ენერგოინფრასტრუქტურა:
- გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია/მშენებლობა.
- ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია/მშენებლობა.
- საგზაო, მუნიციპალური და რაიონული ინფრასტრუქტურა:
- რეგიონული მუნიციპალური და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები.
- წყალმომარაგების, წყალანირების და სანიაღვრე პროექტები.
- მყარი ნარჩენების მართვის პროექტები.

- ფინანსური სექტორი:
- საქართველოში არსებული ბანკებისთვის გაცემული საკრედიტო ხაზები, რომლებიც გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის.

იმისათვის, რომ საქართველო იყოს რეგიონში მოწინავე ქვეყანა ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, მთავრობას აქვს ორი გრძელვადიანი ზრდის სტრატეგია: „საქართველო 2020“ და „სექტორების განვითარების პოლიტიკა“, რომელთა მიზანია მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე დაფუძნებული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდა. „საქართველო 2020“-ს აქვს სამი ძირითადი მიმართულება, ესენია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, ადამიანი-კაპიტალის განვითარება და ფინანსებზე წვდომა. მისი მიზანია ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა, რომელიც მიიღწევა ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა: უმუშევრობის შემცირება, სოციალური დაცვის სისტემის დანერგვა, ადამიანი-კაპიტალის განვითარება, გაუმჯობესებული სამუშაო და საცხოვრებელი პირობები. ხოლო, რაც შეეხება „სექტორების განვითარების პოლიტიკას“, მისი მიზანია ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა შერჩეული სექტორების მეშვეობით, რომლებიც გამოირჩევიან ზრდის მაღალი ტემპით და ექსპორტის გაზრდის პოტენციალით. როგორიცაა: ტურიზმი, ჰიდროელექტროენერგია, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი. ამ სტრატეგიების ფარგლებში კი ხორციელდება დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებები სხვადასხვა პროექტების სახით.

იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული და კერძოდ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროექტები მიმართულია იმ ძირითადი სექტორებისკენ, რომელთა განვითარებაც საქართველოსთვის აუცილებელია და ქვეყანას აქვს პოტენციალი ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, ეს ხელს უწყობს ზოგადად ქვეყნის წინსვლას. თუ გადავხედავთ განხორციელებული პროექტების მიზნებს, ისინი შეესაბამებიან საქართველოს მთავრობის როგორც 4-პუნქტიან გეგმას, რომელიც ითვალისწინებს რეფორმებს სხვადასხვა სფეროში (რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ), ასევე გრძელვადიანი ზრდის სტრატეგიასაც.

## ლიტერატურა:


1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) http://www.ebrd.com/georgia.html (European Bank for Reconstruction and Development)
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge
3. Document of the European Bank for Reconstruction and Development (EBRD) – Strategy for Georgia (2016)


## Strategies, Projects and Results of the EBRD (European Bank for Reconstruction and Development) in Georgia


***Iza Bukia***

*Doctoral student*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

International financial institutions have great influence on the development of its partner countries, which is expressed by the implementation of projects in various important directions, such as: Energy, Infrastructure, Industry, Trade, Strengthening Financial Institutions etc. It, in turn, contributes to the country's progress. Georgia actively cooperates with international financial institutions and in this article we will discuss the projects implemented by the European Bank for Reconstruction and Development (EBRD), which are impressive with its scale.



***Key words:*** *International Financial Institutions; European Bank for Reconstruction and Development (EBRD); Budget.*

# სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირების ზოგიერთი მიმართულების შესახებ საქართველოში

**ინეზა გაგნიძე**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014 წლის ანგარიში - „მეწარმეობის პერსპექტივა - მსოფლიოს გარშემო და კომპანიების ზრდის საწყისი ფაზის დინამიკა“ განხილული სამეწარმეო ეკოსისტემა და მისი ფორმირებისთვის აუცილებელი მდგენელები და კომპონენტები. მოცემულია საქართველოს პოზიცია 2018 წლის გლობალური მეწარმეობის ინდექსში. დასაბუთებულია, სამეწარმეო უნივერსიტეტების განსაკუთრებული როლი სამეწარმეო ეკოსისტემის გაუმჯობესებაში. შემოთავაზებულია ბიოწარმოების განვითარების მიმართულებები საქართველოში.*

*საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო ეკოსისტემა; სამეწარმეო უნივერსიტეტი; ბიოწარმოება.*

საქართველოს მთავრობა თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით უწყობს ხელს მეწარმეობის განვითარებას და ახორციელებს ადეკვატურ რეფორმებსა თუ პროექტებს ამ მიმართულებით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში - „მეწარმეობის პერსპექტივა - მსოფლიოს გარშემო და კომპანიების ზრდის საწყისი ფაზის დინამიკა“, შემოთავაზებულია „სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირებისთვის აუცილებელი 8 მდგენელი. ეს მდგენელებია: ხელმისაწვდომი ბაზრები; ადამიანური კაპიტალი/სამუშაო ძალა; ფონდები და ფინანსები; ხელშემწყობი სისტემები/მენტორები; მთავრობა და მარეგულირებელი ჩარჩო; განათლება და ტრენინგი; ძირითადი უნივერსიტეტები, როგორც კატალიზატორები და კულტურული მხარდაჭერა[1, გვ. 6].

ქვემოთ ასახული სამეწარმეო ეკოსისტემის მოდელი ეფუძნება რამდენიმე დოკუმენტს, მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დოკუმენტსა და პროფ. დანიელ აიზენბერგის ნაშრომს. ანგარიშიდან ირკვევა, რომ ჩატარებული კვლევის შედეგად ამ მდგენელების მზაობის მიხედვით მსოფლიოში საუკეთესო საშუალო მაჩვენებელი აქვს: აშშ-ის სილიკონის ველს - 86%; ჩრდილოეთ ამერიკას - 77%; აშშ-ის სხვა ქალაქებს - 71%; ევროპას - 58% და ა.შ. ევროპის ყველაზე ძლიერი სამი მდგენელია: ადამიან-კაპიტალი/სამუშაო ძალა - 81%, ხელმისაწვდომი ბაზრები - 72% და განათლება და ტრენინგი - 60% [1, გვ. 13].

განვიხილოთ, თუ რა კომპონენტებს გამოყოფენ ზემოაღნიშნული ანგარიშის მკვლევარები სამეწარმეო ეკოსისტემის თითოეული მდგენელისთვის:

**ხელმისაწვდომი ბაზრები**: *შიდა ბაზარი (დიდი* კომპანიები, როგორც მომხმარებლები; მცირე/საშუალო კომპანიები, როგორც მომხმარებლები; მთავრობა, როგორც მომხმარებელი). *გარე ბაზარი (დიდი* კომპანიები როგორც მომხმარებლები; მცირე/საშუალო კომპანიები როგორც მომხმარებლები; მთავრობა, როგორც მომხმარებელი).

**ადამიან-კაპიტალი/სამუშაო ძალა**: მართვის უნარები; ტექნიკური უნარები; სამეწარმეო კომპანიის გამოცდილება; აუთსორსინგის შესაძლებლობა; იმიგრირებულ სამუშაო ძალასთან წვდომა.

სამეწარმეო ეკოსისტემა და მისი რვა მდგენელი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით [1; გვ.6]




**ფონდები და ფინანსები**: მეგობრები და ოჯახი; ბიზნესანგელოზი ინვესტორები; კერძო საკუთრება; ვენჩურული კაპიტალი; სესხებზე ხელისაწვდომობა.

**ხელშემწყობი სისტემები/მენტორები**: მენტორები/მრჩევლები; პროფესიული სერვისები; ინკუბატორები-/ამაჩქარებლები; სხვა მეწარმეებთან კავშირი.

**მთავრობა და მარეგულირებელი ჩარჩო**: ბიზნესის დაწყების სიმარტივე; საგადასახადო წახალისება; ბიზნესისადმი კეთილგანწყობილი კანონმდებლობა/პოლიტიკა; ძირითად ინფრასტრუქტურასთან წვდომა (მაგალითად: წყალი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და სხვა); წვდომა ტელეკომუნიკაციებთან/ფართოზოლოვან ინტერნეტთან; წვდომა ტრანსპორტთან (მაგალითად, გზები, რკინიგზა, აეროპორტი).

**განათლება და ტრენინგი**: წინასაუნივერსიტეტო (საშუალო სკოლის) განათლების მქონე სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა; საუნივერსიტეტო განათლების მქონე სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა; სპეციფიკური სამეწარმეო ტრენინგები.

**წამყვანი უნივერსიტეტები, როგორც კატალიზატორები**: მეწარმეებისადმი პატივისცემის გამოხატვის კულტურის წახალისება; წამყვანი როლი ახალი კომპანიებისათვის იდეის ფორმირებისას; წამყვანი როლი ახალი კომპანიებისთვის კურსდამთავრებულთა შეთავაზებაში.

**კულტურული მხარდაჭერა**: რისკისა და წარუმატებლობისადმი ტოლერანტობა; თვითდასაქმებისათვის უპირატესობის მინიჭება; წარმატებული ისტორიების/როლური მოდელები; კვლევის კულტურა; მეწარმეობის პოზიტიური იმიჯი; ინოვაციების ფესტივალები.

თუ დავაკვირდებით, უნივერსიტეტებს, განსაკუთრებით კი სამეწარმეო უნივერსიტეტებს, შეუძლია ზემოჩამოთვლილი 8 მდგენელიდან 5 მათგანზე (კერძოდ: ადამიან-კაპიტალი/სამუშაო ძალა; ხელშემწყობი სისტემები/მენტორები; განათლება და ტრენინგი; ძირითადი უნივერსიტეტები, როგორც კატალიზატორები და კულტურული მხარდაჭერა) პირდაპირი დადებითი ზეგავლენის მოხდენა. შემთხვევითი არაა, რომ სილიკონის ველი, რომელიც სამეწარმეო ეკოსისტემის ზემოგანხილულ კვლევაში მსოფლიოში პირველ ადგილზეა - სტენფორდის უნივერსიტეტის გარშემო ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ სტენფორდის უნივერსიტეტი აშშ-ის სამეწარმეო უნივერსიტეტების ჩამონათვალში პირველ ადგილზეა.

სამეწარმეო უნივერსიტეტებზე (ან საბაზრო, ტექნოლოგიური ან ინოვაციური უნივერსიტეტები) სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიური დისკუსია დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს. ეს ისეთი უნივერსიტეტებია, რომლებსაც აქვს ლიცენზიების გაცემის უფლება, ბიზნესინკუბატორები, ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისები, საპატენტო/სალიცენზიო განყოფილებები.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარება ტურბულენტურ გარემოში მიმდინარეობს. ცნობილია, რომ პირველი ინდუსტრიული რევოლუცია დაიწყო ბრიტანეთში XVIII საუკუნის ბოლოს საფეიქრო მრეწველობის ჩამოყალიბებით, ხოლო მეორე ინდუსტრიული რევოლუცია XX საუკუნის დასაწყისში ჰენრი ფორდის მიერ მასობრივი წარმოების დაწყებას დაუკავშირდა. მესამე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ პირველად 2011 წელს ჯერემი რიფკინმა აღნიშნა თავის ნაშრომში და ის დაუკავშირა ახალ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და განახლებად ენერგიას. უკვე აქტიურად მიმდინარეობს კამათი კარს მომდგარი მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ, რომელსაც უკავშირებენ რობო-ტექნიკისა და გონებრივი სამუშაოს ჩამნაცვლებელ „ხელოვნური ინტელექტის“ შექმნას.

„მაკინზის ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, გაყიდვების, კვების სფეროში მომსახურების, განათლების, ჯანდაცვის და მრავალი სხვა მიმართულებით სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებელია 800-მდე სხვადასხვა

საქმიანობის 2000-მდე აქტივობის ჩანაცვლება. მიმართულებები მთლიანი შრომის ბაზრის 45%-ზე მეტს მოიცავს“ [Bichia K., 2017]. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ დღევანდელი დაწყებითი კლასების მოსწავლეთა 50%-ის სამომავლო სამუშაო ადგილები ჯერ-ჯერობით უცნობია.

უდავოა, რომ საქართველოს მასშტაბის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში „ამინდსა“ და ტენდენციებს ვერ განსაზღვრავს, მითუმეტეს რთულია ზემოაღწერილ პირობებში განვითარების სწორი ვექტორის შერჩევა. ამ ფონზე აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ინკლუზიურ ზრდასა და ისეთ პროდუქტებზე გაკეთდება, რომლებიც მოთხოვნადი იქნება მომავალშიც.

ვფიქრობთ, სწორი არჩევანის გასაკეთებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს რამდენიმე გარემოება:

ხელი შეეწყოს ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც განაპირობებს განვითარებულ ქვეყნებში შექმნილი ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვის შესაძლებლობას საქართველოში;

აქცენტი გაკეთდეს არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტების წარმოებაზე;

არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტების წარმოება უნდა დაეფუძნოს საქართველოს კონკურენციულ უპირატესობებს;

ზემოჩამოთვლილი სამი მიმართულების განსახორციელებლად ხელი შეეწყოს სათანადო სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირებას.

ცნობილია, რომ არაელასტიკურია მოთხოვნა ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც აუცილებელია ადამიანის არსებობისთვის, როგორიცაა: სასმელი წყალი, საკვები, მედიკამენტები, ჰიგიენის პროდუქტები, დასვენება და სხვა. ყველა ჩამოთვლილი პროდუქტის წარმოება საქართველოს შეუძლია, როგორც საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე, უცხოურ ბაზრებზე გასატანად. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, თუმცა, მსოფლიო პრობლემაა გარემოსა და შესაბამისად წყლის დაბინძურება. „საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელი წყალია“ [Topchishvili M., 2016], მაგრამ თავად მიწის დაბინძურების შედეგად სულ უფრო მცირდება მტკნარი წყლის მოცულობა. აკვაბიზნესი საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს, მაგრამ, გარემოს დაბინძურების დღევანდელი ტემპების შენარჩუნებით აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელი გახდება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობის მხრიდან როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ბიოწარმოების ქიმიური პროდუქტების გამოყენება, რომლებიც არ დააბინძურებს გარემოს. ცნობილია ისიც, რომ ბიოწარმოების პროდუქტები ძალიან ძვირადღირებულია ყველაგან და საქართველოშიც. რა გამოსავალი არსებობს ასეთ სიტუაციაში?

„საქართველოში მინერალური წყლების 2000-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავალი არსებობს“ [4, გვ. 712-713] და 80-მდე სამკურნალო მცენარის ენდემური ჯიში ხარობს. „ეს მცენარეები უდიდესწილად შესულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ მსოფლიო სამკურნალო მცენარეების სამტომეულში ქართული სახელწოდებებით. დღეისათვის გამოიყენება ამ მცენარეების მხოლოდ მეათედი“ [Amirejibi E., Benashvili C., 2009].

ასევე, ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ძვირადღირებული ფრანგული პარფიუმერული ნაწარმი მზადდება მინერალური წყლების გამოყენებით, მაგალითად, ვიში, რომლის ქიმიური შემადგენლობა ქართული ბორჯომის ანალოგიურია). სამწუხაროდ, საქართველოში შესწავლილია მხოლოდ 80-მდე მინერალური წყლის შემადგენლობა, რაც ამ მიმართულებით კვლევების გაძლიერებით ახალ დიდ შესაძლებლობებს გამოავლენს. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ამათუიმ მინერალური წყლის მხოლოდ კლასიკურ სახეობას არ აწარმოებენ, არამედ სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ქმნიან იმავე წყლის დაბალი და მაღალი მინერალიზაციის სახეობებს, რაც მომხმარებლის მოთხოვნილებებზე საუკეთესოდ მორგების მცდელობაა. დავამატებთ იმასაც, რომ საქართველოში არსებული მძიმე სოციალური ფონის გამო, მრავალი ბავშვი სრულფასოვნად ვერ იკვებება. თუ წარიმართება მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობის ინტენსიური კვლევა, მაშინ შესაძლებელია ბავშვებისთვის სასარგებლო სახეობის წყლების მოძიება/შექმნაც და საბავშვო ბაღებსა და/ან სკოლებში მათი უფასოდ მიწოდება და უცხოურ ბაზრებზე შეთავაზებაც.

ჩვენი აზრით, საქართველოს რეგიონებში ეკონომიკის გაჯანსაღების მნიშვნელოვანი რესურსია სამკურნალო მცენარეების გაშენება. მთის და დაცული ტერიტორიების შესახებ არსებული კანონმდებლობის გონივრულად გამოყენებით მრავალი ბიზნესის წამოწყებაა შესაძლებელი, როგორც სამკურნალო პრეპარატების დამზადების, ასევე, გამომშრალი მცენარეების ექსპორტის მიზნით.

განსაკუთრებული შესაძლებლობები ჩნდება მინერალური წყლებისა და სამკურნალო მცენარეების კვლევების შედეგების გაერთიანებით, რის საფუძველზეც შესაძლებელია უნიკალური, ბიოლოგიური სამკურნალო, ჰიგიენური, საყოფაცხოვრებო ქიმიის, სასოფლო-სამეურნეო შხამქიმიკატებისა და ნიადაგის გასამდიდრებელი და სარწყავ სისტემებში გამოსაყენებელი მინერალების წარმოება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველო ასეთი პროდუქტების წარმოება/გამოყენებით შეძლებს საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გარემო პირობებზე ზრუნვას, და უცხოეთის განვითარებულ ბაზრებზე შესვლას.

ცნობილია, რომ ბიოწარმოების ნებისმიერი პროდუქტი, იქნება ეს საკვები, ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელი და ჰიგიენური/საყოფაცხოვრებო პროდუქტები, განსაკუთრებით მოთხოვნადია და მაღალ ფასად იყიდება. საქართველოში კი მოსახლეობის მხრიდან ასეთი პროდუქტების გამოყენება გარემოს მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს და მტკნარი წყლის მარაგიც შენარჩუნდება ქვეყანაში.

მეორე მხრივ, საქართველოში 2018 წლის 1 იანვრისთვის შექმნილი იყო სულ 36 ფაბ ლაბი, მათ შორის: თბილისში (13 ფაბ ლაბი), ბათუმში (4), ქუთაისში (4), გურჯაანში (1), ახალციხეში (1), მესტიაში (2), ქობულეთში (1), წალენჯიხაში (1), ფოთში (2), ამბროლაურში (2), რუსთავსა (3) და ზუგდიდში (2). ფაბ ლაბების აღნიშნული რაოდენობით საქართველო მსოფლიო ქვეყნების ჩამონათვალში კანადასთან ერთად პირველ ოცეულშია [Chokheli E., 2018]. აღსანიშნავია, რომ ეს ფაბ ლაბები განლაგებულია სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და მათი ერთ სისტემაში გაერთიანებით მიღებული შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება სწრაფად და დაუბრკოლებლად იქნება შესაძლებელი ინტერნეტწვდომის საშუალებით.

სამეწარმეო ეკოსისტემის მდგენელებს შორის ერთ-ერთია „ძირითადი უნივერსიტეტები, როგორც კატალიზატორები“. ამ ფუნქციას საქართველოში უნივერსიტეტები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ, თუ ისინი ჩამოყალიბდება, როგორც სამეწარმეო უნივერსიტეტები, ფაბ ლაბებთან ორგანულად დაკავშირების გზით. ერთობლივი ძალებით განხორციელებული კვლევებითა და საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებით [Gagnidze I., 2018], კი შემუშავდება ზემოჩამოთვლილი არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტები. შემდგომში კი ასეთი უნივერსიტეტები თავის გარშემო შექმნიან მრავალ ახალ ფირმას და განაპირობებენ ეფექტიანი კლასტერის ჩამოყალიბებას [Gagnidze I., 2018]. აღვნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოში მთავრობა აპირებს ბიოწარმოებას საგადასახადო შეღავათები დაუწესოს, მოქმედებს მრავალი ფარმაცევტული და მინერალური/თერმული წყლის ჩამომსხმელი კომპანია, მაგრამ ზემოაღწერილი დიდი მასშტაბის პროექტის განხორციელება ცალკეულ კომპანიებს არ ძალუძს.

ვფიქრობთ, აუცილებელია სამთავრობო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ბიზნესის წრეებს შორის ეფექტიანი დიალოგი და ერთიანი ძალისხმევის მიმართვა ზემოაღწერილი მიზნის მისაღწევად. ამ მოსაზრებას ამყარებს საქართველოს კიდევ ერთი პოზიცია 2018 წლის გლობალური მეწარმეობის ინდექსში, კერძოდ ის, რომ მეწარმეობისთვის ყველაზე სუსტი მხარეა „გარისკვა“, ხოლო ძლიერი - „კულტურული მხარდაჭერა“. საქართველოს ამ ანგარიშში 77-ე ადგილი უკავია 137 ქვეყანას შორის [9, გვ. 59]. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში მოსახლეობას აქვს განწყობა იყოს მეწარმე, მაგრამ გარისკვა უჭირს. ასეთ პირობებში მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკითაა შესაძლებელი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები აქტიურად მსჯელობენ სამეწარმეო ეკოსისტემის [Aladashvili G.T., 2018], მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების [Gagnidze I., Gogorishvili I., Papachashvili N., 2017], სამეწარმეო აზროვნების ფორმირების [Lekashvili E., 2015], განათლებაში ინტერნეტის გამოყენების მნიშვნელობასა [Surmanidze Z., Tsetskhladze M., 2018] და სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირება-გაუმჯობესებას საქართველოში [Sepashvili E., 2018].

## ლიტერატურა:


1. Around the Globe and Early-Stage Company Growth Dynamics – the Entrepreneur's Perspective, World Economic Forum, Report, 2014, p.6. http://www3.weforum.org/docs/WEF_II_EntrepreneurialEcosystemsEarlyStageCompany_Report_2014.pdf
2. ბიჭია ქ., ავტომატიზაციის თანამედროვე ტემპების გავლენა შრომის ბაზარზე, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული, თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 2017, გვ.96-102.
3. თოფჩიშვილი მ. უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2016.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბ., 1983.
5. ამირეჯიბი ე., ბენაშვილი ც. ქრისტიანობა და ფიტომრეწველობის განვითარება საქართველოში, „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბ., 2009.
6. Chokheli, E. (2018) STRATEGY TO DEVELOP FAB LABS AND THEIR IMPACT ON IMPROVING BUSINESS ACTIVITY IN GEORGIA, World Science,Vol.2, No.6 (34), pp. 4-8. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_ws/12062018/5811
7. Gagnidze, I. (2018) The Role of International Educational and Science Programs for Sustainable Development (Systemic Approach), Kybernetes. Vol. 47 Issue: 2, pp. 409-424. https://doi.org/10.1108/K-03-2017-0114
8. Gagnidze I. (2018) "From clusters to entrepreneurial universities and vice versa: ways of developing the local economy: a systemic approach". Int. J. Markets and Business Systems, Vol. 3, No.2, pp. 181-196;
9. DOI:10.1504/IJMABS.2018.10011650
10. The Global Entrepreneurship Index 2018, Powered by GEDI; The Global Entrepreneurship and Development Institute, Washington, D.C., USA, 2017. https://thegedi.org

11. Aladashvili G. T. (2018) The Phenomenon of Entrepreneurial Ecosystem, Its Formation and Development Challenges, IV International scientific and practical conference “Strategic Imperatives of Modern Management” (SIMM-2018), KNEY, Kiev, pp. 10-16. http://ir.kneu.edu.ua/bitstream/2010/24159/1/10-16.pdf
12. Gagnidze, I., Gogorishvili, I., Papachashvili N. (2017) Regarding several ways of SMEs Innovative Development, Marketing and Innovation Strategies for Small and Medium-sized Enterprises (SMEs), Book of Abstracts - BSLab International Workshop- Roma, Universitas Mercatorum, ISBN: 9788890824241. pp.41-46. http://bslab-symposium.net/MERCATORUM-2017/BOA-WS-BSLAB-SME-2017.pdf
13. Lekashvili, E. (2015) Entrepreneurial Way of Thinking and Its Development Challenges in Georgia. Journal L’Association 1901 ‘SEPIKE’, Ed., 8, Poitiers (France), Frankfurt (Germany), Los Angeles (U.S.), pp. 121-126. ISSN 2196-9531. ISSN 2372-7438. http://docs.wixstatic.com/ugd/b199e2_004a4752ab114d47b94800998f727abb.pdf
14. Surmanidze Z., Tsetskhladze M., (2018) INTERNET IN EDUCATIONAL SYSTEM OF GEORGIA: CHALLENGES, PERSPECTIVES, IV International scientific and practical conference “Strategic Imperatives of Modern Management” (SIMM-2018), KNEY, Kiev, pp. 476-482. http://ir.kneu.edu.ua/bitstream/2010/24252/1/476-482.pdf
15. Sepashvili, E. (2018) Innovative Clusters – A Model for Rising International Competitiveness. E-Book of Abstract, Fifth Business Systems Laboratory International Symposium, Cocreating Responsible Futures in the Digital Age: Exploring new paths towards economic, social and environmental Sustainability, University “Federico II” of Naples, January 22-24, pp.219-221. ISBN 9788890824265 http://bslab-symposium.net/Napoli-2018/BOA-BSLAB-Symposium-2018.pdf

## About Some Directions of Formation of an Entrepreneurial Ecosystem in Georgia

***Ineza Gagnidze***
*Associated professor*
*Tbilisi State University*

S u m m a r y

The paper deals with entrepreneurial ecosystem and necessary pillars and components for its formation discussed in World Economic Forum “Around the Globe and Early-Stage Company Growth Dynamics - the Entrepreneur's Perspective”, Report 2014. The position of Georgia is given in the Global Entrepreneurship Index 2018. The special role of entrepreneurial universities in the development of entrepreneurial ecosystem is justified. The directions of bio-production development in Georgia are proposed.

***Key words:*** entrepreneurial ecosystem; entrepreneurial university; bio-production.

# საქართველო ინკლუზიური ზრდის გზაზე

**მადონა გელაშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი*
*ასოცირებული პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ეკონომიკური ზრდა და ზრდის ტემპი - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემაა. მისი კვლევა გვაძლევს საშუალებას, პირველ რიგში, გავიაზროთ ცხოვრების დონისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის განმასხვავებელი ნიშნები სხვადასხვა ქვეყნებს შორის დროის მოცემული პერიოდისათვის, ან თავად მოცემულ ქვეყანაში დროის განსხვავებულ პერიოდში; მეორეს მხრივ, მოვახდინოთ ეკონომიკური ზრდის ფაქტორების იდენტიფიცირება; მესამე, დავადგინოთ მაღალ განვითარებულ ქვეყნებში უკვე მიღწეული ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტის შენარჩუნების აუცილებელი პირობები, და ბოლოს, შევიმუშაოთ სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკური ზრდის და ზრდის ტემპის დასაჩქარებლად.*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა; ცხოვრების დონე; ინკლუზიური ზრდა; მთლიანი შიდა პროდუქტი.*

ეკონომიკური ზრდის თეორია აღმოცენდა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ქეინსიანელობის ევოლუციის შედეგად, როგორც მისი ერთ-ერთი სახეობა და ლოგიკური გაგრძელება. ქეინსიანიზმმა უდიდესი როლი შეასრულა ეკონომიკური ზრდის პრობლემის წინ წამოწევაში, დაასაბუთა ნეოკლასიკური ორთოდოქსული თეორიის უსაფუძვლობა თავისუფალი კონკურენციის, უკრიზისო განვითარების, ეკონომიკური წონასწორობის აუცილებლობა უპირატესად საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით. მაგრამ ქეინსიანური ზრდის თეორიები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდა რეალურ მოთხოვნებს, რადგანაც უგულვებელყოფდა მასზე ფულად სექტორში მიმდინარე პროცესების ზემოქმედებას, ინფლაციის უარყოფით შედეგებს, სტრუქტურულ გარდაქმნებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად. ამიტომ თანდათან ქეინზიანური ზრდის თეორიებისა და პოლიტიკის მნიშვნელობა სუსტდებოდა ნეოკლასიკური და სხვა მიმდინარეობების ზრდის თეორიების სასარგებლოდ და ცოტა მოგვიანებით ასეთივე მიმდინარეობა ჩამოყალიბდა „ნეოკლასიკური თეორიის" ფარგლებში. მის მამამთავრად ითვლება ქეინსის მიმდევარი, ცნობილი ეკონომისტი რ. ჰაროდი. ამ თეორიის ფარგლებში თავიანთი გამოკვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: რ. ბალდვინმა, ვ. ჰიგისმა, ჰ. ჯონსონმა, გ. მენქიუმ, ე. დოლანმა, ს. ფიშერმა და სხვა მეცნიერებმა.[1, გვ. 345]

ეკონომიკურ თეორიასა და სამეცნიერო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ეკონომიკური ზრდის პრობლემის სხვადასხვა გაგება, რაც ასახავს სამეცნიერო აზრის ევოლუციის დინამიკურ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს გამოკვლევათა ამ სფეროში.

ზოგადად ეკონომიკური ზრდა ნიშნავს უფრო მეტი მოცულობის პროდუქციის წარმოებას. ეკონომიკური ზრდა - ეს არის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის გრძელვადიანი ტენდენციაა. აღნიშნულ განმარტებაში მთავარია: 1) ტენდენცია, რაც გულისხმობს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის არა აუცილებელ ყოველ წლიურ ზრდას, არამედ ზრდის მიმართულებით მოძრაობას; 2) გრძელვადიანი, რადგან ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გრძელვადიანი ხასიათისაა, ამიტომ, საუბარია პოტენციური მშპ-ის ზრდაზე (ანუ მშპ სრული დასაქმების პირობებში), ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობების ზრდაზე; 3)რეალური მშპ-ი (და არა ნომინალური, რომელის ზრდაც შესაძლებელია ფასების დონის ზრდის ხარჯზე განხორციელდეს, მაშინაც კი, როცა ადგილი აქვს წარმოების რეალური მოცულობის შემცირებას). ნებისმიერ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის ძირითად მახასიათებელს წლიური ტემპის მაჩვენებელი წარმოადგენს.[2.გვ.4]

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ინდიკატორია რეალური მშპ-ის მოცულობა. ეკონომიკური ზრდის მთავარი მიზანია - საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლება და ეროვნული სიმდიდრის გაზრდა. რაც უფრო მაღალია ქვეყნის საწარმოო პოტენციალი და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, მით მაღალია ცხოვრების დონის ხარისხი. როგორც აღნიშნავდა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და ნობელის პრემიის ლაურიატი რობერტ ლუკასი, ამ პრობლემების მნიშვნელობა იმდენად დიდია კაცობრიობისთვის, რომ თუ ერთხელ დავიწყეთ ამ საკითხების განხილვა, შეუძლებელია შემდგომ სხვა რამეზე ფიქრი.

საზოგადოების განვითარების მიზნები მიიღწევა ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის გზით. ამიტომაც არის, რომ ეკონომიკური ზრდის ამოცანები ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოებრივი პროცესის ცენტრალურ პრობლემას. ეკონომიკური განვითარების ამოცანები საზოგადოებრივი პროგრესის ამა თუ იმ ეტაპზე კონკრეტულია. ამიტომაც კონკრეტიზაციას მოითხოვს მისი მახასიათებლების საკითხიც. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება ორი ძირითადი საკითხის დაზუსტება: პირველი, რა მაჩვენებლებში უნდა აისახოს ეკონომიკური ზრდა და, მეორე, რა ფაქტორები ზემოქმედებს მასზე.

ეკონომიკური ზრდა, სოციალური პროგრესისაგან განსხვავებით არის მატერიალური პროცესი და, ამდენად, მისი ეკონომიკური შინაარსი შესაძლებელია საკმაოდ ზუსტად აისახოს რაოდენობრივ მაჩვენებლებში. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას,რომ ეკონომიკის განვითარება აისახება ერთ მაჩვენებელში. ეკონომიკური ზრდა არის რთული ეკონომიკური და სოციალური პროცესების ურთიერთკავშირის შედეგი და ამდენად, ის შეიძლება აღწერილ იქნას მხოლოდ სინთეზური და კერძო მაჩვენებლების სისტემით.

შედარებით მარტივია კერძო მაჩვენებლების სისტემის დადგენის საკითხი, რადგანაც მათ არ მოეთხოვებათ ისეთი რთული მოვლენის დეტალური აღწერა, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა. უკანასკნელნი გამოიყენება ეკონომიკური ზრდის ცალკეულ პროპორციათა დინამიკის დადგენისათვის ეროვნულ მეურნეობაში (მაგალითად, ფოლადის ან შაქრის წარმოების, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობის დადგენისათვის და სხვა). გამსხვილებული კერძო მაჩვენებლების განზოგადების ბაზაზე, შესაძლებელია დავადგინოთ ცალკეული დარგების, ქვედარგების განვითარების ტემპები, ცვლილებანი დარგობრივ სტრუქტურაში, ასევე ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორების: შრომის რესურსების, ძირითადი ფონდების, ინვესტიციათა დინამიკა.

განსაკუთრებულად რთულ ამოცანას წარმოადგენს სინთეზური მაჩვენებლების დადგენისა და ეკონომიკური ზრდის გაზომვისათვის გამოყენების პრაქტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები საკმაოდ საფუძვლიანადაა აღწერილი უკანასკნელი წლების ეკონომიკურ ლიტერატურაში. პრაქტიკაში ეკონომიკური ზრდის სინთეზური შეფასებისათვის გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მშპ და ეროვნული შემოსავალი.

მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის გადაანგარიშებისას მოსახლეობის ერთ სულზე აუცილებელია გავითვალისწინოთ ორი გარემოება: ჯერ ერთი, ხსენებული მაჩვენებლების ზრდას შესაძლებელია ახლავდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა. მეორე, მოცემული მაჩვენებელი არ მოიცავს იმ მნიშვნელოვან სოციალურ მახასიათებლებს, რომლებიც არ გამოიხატება მატერიალურ ერთეულებში (თავისუფალი დროის ზრდა, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება და სხვა). ეკონომიკური ზრდის შესახებ საბოლოო დასკვნებში აუცილებელია გავითვალისწინოთ ეს ფაქტორიც.

ამდენად, ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს ეკონომიკური ზრდის შეფასებათა პროცესში, მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი წინააღმდეგობებისა წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი.

მეორე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური ზრდის ანალიზის პროცესში, არის ეროვნული შემოსავალი. უკანასკნელში იგულისხმება „ქვეყნის ეკონომიკის წლიური შემოსავალი ყველა წარმოების ფაქტორის საფუძველზე"; „ჯამური შემოსავალი მიღებული საოჯახო მეურნეობაში, რომელიც მოიცავს ხელფასის მთელ თანხას, რენტას, მოგებას და საპროცენტო გადასახადებს."

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია საქართველოში ბოლო რვა წლის განმავლობაში მშპ-ისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვლილება[6, გვ.18]. 2011, 2012 წლების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ გაუარესდა და მხოლოდ გასულ 2017 წელს მიღწეულ იქნა 5,0%-იანი ზრდა, თუმცა ამას მოსახლეობის კეთილდღეობის დონეზე დიდად არ უმოქმედია. მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მშპ-ი მოსახლეობის ერთ სულზე მცირედით იცვლებოდა და ეს მშპ-ის დეფლატორის შესაბამისად მცირედით ცვლით იყო განაპირობებული.

*მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)*

*ცხრილი 1*

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | I-18* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი | 20743.4 | 24344.0 | 26167.3 | 26847.4 | 29150.5 | 31755.6 | 34028.5 | 38042.2 | 9150.2 |
| მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში, მლნ. ლარი | 20743.4 | 22241.4 | 23653.8 | 24454.9 | 25585.6 | 26322.5 | 27072.4 | 28422.3 | 6323.3 |
| მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება | 6.2 | 7.2 | 6.4 | 3.4 | 4.6 | 2.9 | 2.8 | 5.0 | 5.3 |
| მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება | 8.6 | 9.5 | 1.0 | -0.8 | 3.8 | 5.9 | 4.2 | 6.5 | 4.3 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი** | 5478.0 | 6480.6 | 7017.5 | 7221.6 | 7837.4 | 8524.3 | 9129.0 | 10204.4 | 2453.4 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი** | 3073.0 | 3843.7 | 4249.8 | 4341.4 | 4438.3 | 3754.9 | 3857.3 | 4067.7 | 987.1 |
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. აშშ დოლარი | 11636.5 | 14438.5 | 15846.8 | 16139.9 | 16507.8 | 13988.1 | 14377.9 | 15164.5 | 3681.6 |

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით 2017 წელს საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა ბრუნვა (რომლებზე დაკვირვებაც ხდება ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად) გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით დეკემბერში 12.4%-ით არის გაზრდილი, ხოლო ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 3 611 ერთეულს გაუტოლდა, რაც 2.3%-ით მეტია 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემთან შედარებით.

2017 წლის დეკემბერში მშპ-ს მნიშვნელოვანი რეალური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სფეროებში:

- ✓ დამამუშავებელი მრეწველობა - ზრდა 12.3%;
- ✓ უძრავი ქონება - ზრდა 11.6%;
- ✓ სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა - ზრდა 32.5%;
- ✓ საფინანსო საქმიანობა - ზრდა 20.6%.

ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა მოახდინა მომსახურების ექსპორტის ზრდამაც. გაიზარდა შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან. დეკემბერში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად 22%-ით (33.3 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 186 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მისი თქმით, გაუმჯობესდა ზრდის ხელშემწყობი სხვა ფაქტორებიც. 17.7%-ით გაიზარდა წმინდა ფულადი გზავნილების მაჩვენებელი და მისმა მოცულობამ 118.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ფულადი გზავნილები შიდა მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, შესაბამისად მისი ზრდა დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.[3, გვ.4]

2018 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა მიაღწია 6.1%-იან ნიშნულს და მას აქვს ობიექტური საფუძვლები, კერძოდ:

- ✓ იურიდიული პირებისათვის მოგების დაბეგვრის ესტონური მეთოდის დადებითი ეფექტი, რომელიც საქართველოში 2017 წლიდან მოქმედებს;
- ✓ ზედმეტობით გადახდილი დღგ–ს სწრაფად უკან დაბრუნების მექანიზმის ამოქმედება, რომელმაც მიმდინარე წლის იანვარ–ივნისში სახელმწიფო ხაზინის უკანასკნელი მონაცემებით 225 მლნ ლარი შეადგინა, და რომელიც კერძო სექტორმა ბიზნესის გაფართოებაში და გამოშვების გაზრდაში გადაამისამართა;
- ✓ 2018 წლის დასაწყისიდანვე ანტიინფლაციური პროცესები, რასაც ხელი შეუწყო ერთის მხრივ ზომიერად მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ 2017 წლის განმავლობაში, და მეორე მხრივ, აქციზის მატებით გამოწვეული ერთჯერადი ფაქტორის ამოწურვამ.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, განვითარების თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის პოპულარობა მოიპოვა ეგრეთ წოდებულმა „ინკლუზიური ზრდის" მოდელმა. ამ მოდელმა განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020" -ზეც მოახდინა გავლენა. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტში „ინკლუზიური ზრდის" ნეოლიბერალური ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი. "ჩვენი მთავარი მიზანია ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ინკლუზიური ანუ საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რათა ყოველმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული შედეგებით და ამავე დროს, შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში." [4, გვ.3]

მსოფლიო ბანკის ექსპერტების განმარტებით, ინკლუზიური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს: 1) ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას 2) ზრდის შედეგების რაც შეიძლება უფრო ფართო განაწილებას. პრიორიტეტი ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში კი - ადამიანური რესურსების - მაქსიმალურ ათვისებას უწყობს ხელს. ინკლუზიური განვითარების მოდელი განსხვავდება ე.წ. ღარიბებზე ორიენტირებული ზრდის მოდელისგან. მთავარი განსხვავება ეკონომიკური ზრდისთვის პრიორიტეტის მინიჭებაში მდგომარეობს, მაშინ, როდესაც ღარიბებზე ორიენტირებული ზრდის მოდელი რედისტრიბუციის და ზრდის იმპერატივების შეთანხმებას ცდილობს.[5, გვ.76]

ცხადია, რომ „სტრატეგია 2020"-ში სწორედ ინკლუზიურ ზრდის წახალისებზეა ორიენტირებული. ცხადია ისიც, რომ ინკლუზიური ზრდის განმარტების irგვლივ არ არსებობს სრული კონსენსუსი და გასაგებია, რომ ასევე რთულად იდენტიფიცირებადია ადეკვატური შეფასების ინდიკატორიც. თუმცა მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია (რომელიც წარდგენილი იყო დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე 2015 წელს) შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ საუკეთესოდ ამ კუთხით. ინკლუზიური ზრდის შეფასება მოითხოვს კომპლექსურ ინდიკატორთა კრებულს. მაგალითად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მიღებული მეთოდოლოგიით ინკლუზიური ზრდის გაზაზე მიღწევები შეიძლება დაჯგუფდეს შვიდ კატეგორიად, რომლებიც თავის მხრივ კიდევ მოიცავენ უამრავ ინდიკატორს:

- ✓ განათლებისა და უნარების განვითარება;
- ✓ დასაქმება და სამუშაო ძალის კომპენსაცია;
- ✓ აქტივების ზრდა და კერძო საკუთრება;
- ✓ კორუფცია და რენტა;
- ✓ საბაზისო სერვისები და ინფრასტრუქტურა;
- ✓ რეალურ ეკონომიკაში ინვესტირებისათვის ფინანსური შუამავლობა;
- ✓ საბიუჯეტო ტრანსფერები.

## ლიტერატურა:

1. გელაშვილი მ., მაკროეკონომიკა, თბ., 2009;
2. Gelashvili M., "Competition and problems of monopolistic markets." "Global world", scientific anthology, volume 2 (II), Ostroh – Gomel – Slupsk 2016; v.69;
3. Gelashvili M., „Human resources and its Development Tendencies in Georgia". „Ekonomisti" #1, 2018; p.55.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო 2020. თბ., 2013;
5. J. D. Ostry and others . 2014. "Redistribution, Inequality and Growth". IMF;
6. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo.

## Georgia is on the Path of Inclusive Growth

**Madona Gelashvili**

*Academic Doctor of Economic Sciences,*
*Sokhumi University Associate Professor.*

S u m m a r y

Modern development is uneven, the issue of quality of growth is sharply on the agenda. In this connection, the concept of inclusive growth is considered in the economic literature. The Republic of Georgia, as a country with a small open economy, should consider the world experience in implementing the strategy of inclusive growth to ensure economic growth, taking into account social and environmental consequences. Along with supporting economic growth in the traditional sense, it is necessary to follow new priorities, including creating new jobs, involving all sectors of society in solving development problems, increasing involvement in the dynamics of development of all territories, neutralizing adverse environmental impacts.

***Keywords:*** *economic growth; Life level; Inclusive growth; Gross domestic product*

# საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფიული სტატისტიკა

**სიმონ გელაშვილი**

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის პროფესორი*

**ნინო მაღრაძე**

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის დოქტორანტი*

*ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ამსახველი გრძელვადიანი დროითი მწკრივები ცალკეული ქვეყნებისა და მათი გაერთიანებების მიხედვით. გაანგარიშებულია სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები (შეფარდებითი და საშუალო), აგრეთვე ზრდისა და მატების ტემპები როგორც მთელი საანალიზო პერიოდის, ისე ცალკეული წლებისათვის. ანალიზის შედეგად დადგინდა პუი-ს სხვადასხვა ვადიანი ტენდენციები ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (ევროკავშირის ქვეყნები, აზიის ქვეყნები, ამერიკის ქვეყნები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები და სხვ.). შესწავლილ იქნა საქართველოში განხორციელებული პუი-ს მაჩვენებელთა ვარიაცია და გამოვლინდა მაქსიმალური და მინიმალური სიდიდეები.*

*საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია; ტენდენცია; ზრდის ტემპი; ვარიაცია; დიაგრამა.*

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველო, ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში, აღმოჩნდა ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების პირისპირ. მათი გადაწყვეტის ერთ–ერთ მთავარ პირობას წარმოადგენდა სრულყოფილი საინვესტიციო გარემოს ფორმირება და საინვესტიციო პროცესების განვითარება. ინვესტიციების მოზიდვა არის ერთადერთი გზა, რითაც ქვეყანას შეუძლია ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი განახლება და მოდერნიზაცია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე.

პუიდს მოცულობის გაზრდა ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ინტერესის სფეროა. უცხოური ინვესტიციების განხორციელება კი დამოკიდებულია კონკრეტულ საინვესტიციო გარემოზე, რაც მრავალ ურთიერთდაკავშირებულ მოვლენას მოიცავს. საინვესტიციო გარემო იმ ფაქტორების ერთობლიობაა, რაც გავლენას ახდენს ინვესტორთა მხრიდან ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. ამ ფაქტორებში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკა, კრიმინოგენული სიტუაცია და კორუფციის დონე, საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სხვ. აღნიშნული ფაქტორების პარალელურად, პოტენციური ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობას, როგორიცაა მშპ–ის მოცულობა, ინფლაციის დონე, შიდა დანაზოგის სიდიდე, დასაქმების დონე, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი და სხვ. თითოეული ჩამოთვლილთაგანი, სხვა ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ქმნის იმ გარემოს ქვეყნაში, რომელშიც ფუნქციონირება უწევს როგორც მოქმედ ადგილობრივ ბიზნესს, ისე იმ რეზიდენტ და არარეზიდენტ სუბიექტებსაც, რომელებიც გადაწყვეტენ საკუთარი კაპიტალის დაბანდებას ამ ქვეყანაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები: დადებითი ფაქტორების ჯგუფში ერთიანდება იაფი სამუშაო ძალა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, 2014 წელს ევროკავშირთან ხელმოწერილი და ამჟამად მოქმედი ასოცირების შეთანხმება, სხვადასხვა პოზიტიური საერთაშორისო რეიტინგები (მსოფლიო ბანკის Doing Business-ის 2018 წლის ანგარიშში საქართველო მე-9 ადგილს იკავებს 190 ქვეყანას შორის [1] (2017 წლის ანგარიშში მე-16 ადგილი), ინვესტორთა დაცვის მიხედვით მე-2 ადგილს, ბიზნესის დაწყების მიხედვით მე-4 ადგილს, ქონების დარეგისტრირების მიხედვით მე-4 ადგილს, ხელშეკრულებების პირობების შესრულების მიხედვით მე-7 ადგილს, კრედიტის აღების მიხედვით მე-12 ადგილს; ეკონომიკური თავისუფლების 2018 წლის ინდექსის მიხედვით საქართველო 186 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა [2]) და სხვა. უარყოფით ფაქტორებად შეიძლება

---

[1] Doing Business 2018: Reforming to Create Jobs, Washington, D.C., The World Bank, 2018, 312p. http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB2018-Full-Report.pdf

[2] https://www.heritage.org/trade/report/2018-index-economic-freedom-freedom-trade-key-prosperity
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შეიქმნა 1995 წელს აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კვლევითი ორგანიზაციის - The Heritage Foundation-ის მიერ. ინდექსი ყოველწლიურად ზომავს 180-მე ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას 12 რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრის მიხედვით, რომლებიც 4 ძირითად კატეგორიაშია მოქცეული.

მივიჩნიოთ მცირე სამომხმარებლო ბაზარი, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია, კონფლიქტური რეგიონები და სხვ. *„ამასთან, მხედველობაში მისაღებია ის, რომ ყოველი ქვეყნის ეკონომიკა ხასიათდება განსაზღვრული თავისებურებებით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს კვლევებში"* [Gelashvili S., Mikeladze G., 2017].

საქართველოს ტრანსფორმაციულ ეკონომიკაში პუი–ს მიზნობრივი და ოპტიმალური განხორციელება უზრუნველყოფს დადებით საგარეო და საშინაო ეფექტებს გარკვეული მექანიზმების დახმარებით. პირველ რიგში, ადგილობრივ ფირმებს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად შეუძლია შეისწავლონ და გამოიყენონ საზღვარგარეთული მოწინავე ტექნოლოგიები ძვირადღირებული ნოუ-ჰაუს შესყიდვის გარეშე. მეორე მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასტიმულირებენ ეროვნულ ეკონომიკაში სხვადასხვა ინსტიტუციების შემოსვლას, რომლებიც ქმნიან თავიანთ ფილიალებს საქართველოში და ახორციელებენ პუი–ს მრავალ სექტორში. *„როდესაც საუბარია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ეს ინვესტიციები მიიმართოს ეკონომიკის რეალურ სექტორში. მთლიანობაში, უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყანაში მოზიდული ინვესტიციების ხარისხსა და რაოდენობაზე* '[Lazariashvili T., 2017]. რა თქმა უნდა, პუი–ს მოზიდვის მიზნის ხელშეწყობისა და განხორციელებისათვის აუცილებელია მისი მოცულობისა და სტრუქტურის ანალიზი სხვადასხვა რაოდენობრივი და თვისებრივი ნიშნების მიხედვით.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში განხორციელებული პუი–ს მოცულობის მაქსიმალური სიდიდე დაფიქსირდა 2017 წელს: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, აღნიშნულ წელს ქვეყანაში განხორციელებული პუი–ს მოცულობამ 1 861.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16.2%–ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია (733 მლნ აშშ დოლარის ოდენობით) განახორციელა ევროკავშირმა, რაც მთლიანი ინვესტიციების 39.4%–ს შეადგენს. ცალკეული ქვეყნებიდან კი სამი უმსხვილესი ინვესტორი გამოიყოფა – აზერბაიჯანი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო, რომელთა ჯამურმა ინვესტიციამ 1 011.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ინვესტიციების 54.3%–ია.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი პუი განხორციელდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში, სულ 527.1 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28.3%–ია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 304.3 მლნ აშშ დოლარითა და 16.3%–იანი წილით, ხოლო მესამეზე – მშენებლობა 294.6 მლნ აშშ დოლარითა და 15.8 %–იანი წილით.

საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი პუი განხორციელდა თბილისში – 1 456.9 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რაც მთლიანი ინვესტიციების 78.2%–ს შეადგენს. მეორე ადგილზეა აჭარის რეგიონი 185.4 მლნ აშშ დოლარითა და 10%–იანი წილით, მესამე ადგილს კი იკავებს ქვემო ქართლი 66.7 მლნ აშშ დოლარითა და 4%–იანი წილით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დედაქალაქი ყოველთვის ლიდერია ინვესტიციების მოზიდვით: 2011 წლის შემდეგ, ყოველწლიურად, თბილისში შემოსული ინვესტიციების წილი მთელ ინვესტიციებში 70 %–ს აღემატება. საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალი წილობრივი მაჩვენებელი კი 2016 წელს დაფიქსირდა (85.7 %).

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2017 წელს საქართველოში განხორციელებული პუი–ს მოცულობა, საბაზო 2001 წელთან შედარებით, თითქმის 17-ჯერ გაიზარდა. ყველაზე დაბალი ზრდა დაფიქსირდა 2002 წელს, როდესაც ზრდის ტემპმა 146 % შეადგინა. 2001-2017 წლებში ყველაზე დიდ ცვლილებას ადგილი ჰქონდა 2014 წელს, როდესაც პუი გაიზარდა 797.3 მლნ აშშ დოლარით.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ასევე ზრდისა და მატების ჯაჭვური ტემპები ცალკეული წლების მიხედვით, რაც მიუთითებს, თუ რამდენჯერ იზრდება/მცირდება დროითი მწკრივის თითოეული დონე წინა დონესთან შედარებით. გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ 2017 წელს პუი–ს მოცულობა 16.2%–ით აღემატება წინა, 2016 წლის მაჩვენებელს. მთლიანად 2001-2017 წლების პერიოდში ყველაზე დიდი ცვლილება წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა 2006 წელს – ზრდის ტემპმა 258.7%, ხოლო მატების ტემპმა – 158.7% შეადგინა. ყველაზე დიდი კლება კი შეინიშნება 2009 წელს, როდესაც წინა, 2008 წელთან შედარებით, ზრდის ტემპი 42.3%, ხოლო მატების ტემპი – 57.7%–ია.

ზრდისა და მატების საშუალო ტემპების გაანგარიშების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2001-2017 წლების პერიოდის კონკრეტულ მონაკვეთებში ადგილი ჰქონდა მკვეთრ ზრდასაც და მკვეთრ კლებასაც. ამ პერიოდში საქართველოში განხორციელებული პუი–ს მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა საშუალოდ 19%–ით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცალკეული ქვეყნებიდან და ასევე ქვეყნების სხვადასხვა გაერთიანებიდან საქართველოში განხორციელებული პუი–ს მოცულობისა და სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი. 2017 წელს საქართველოში ყველაზე მეტი პუი ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოვიდა - ჯამში 733 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი ინვესტიციების 39.4%–ს შეადგენს. მეორე ადგილზეა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები 522.8 მლნ აშშ დოლარით, რაც 28.1%–ია, მესამეზე კი აზიის დანარჩენი ქვეყნებია 464.8 მლნ აშშ დოლარით (25%); მეოთხე ადგილზეა ამერიკის კონტინენტის ქვეყნები (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა ერთობლივად) 104.3 მლნ აშშ დოლარით (5.6%). ავსტრალიიდან

განხორციელდა 0.3 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია, ხოლო აფრიკიდან შემოვიდა 0.1 მლნ აშშ დოლარი. დანარჩენი ქვეყნებიდან კი შემოვიდა სულ 33.4 მლნ აშშ დოლარი.

2017 წელს ევროკავშირიდან შემოსული პუი–ს მაღალ წილს განაპირობებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან. *,,რაც შეეხება ინვესტორ ქვეყნებს, აღსანიშნავია, რომ დივერსიფიკაციის დონე საკმაოდ დაბალია. სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 50%–ზე მეტს შეადგენს''*[6, გვ. 214].

*დიაგრამა 1*




**1–4 დიაგრამების წყარო:** 1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა «საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ»);

2. საქართველოს ეროვნული ბანკი;

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

რა თქმა უნდა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კონტინენტიდან და ქვეყნების გაერთიანებებიდან საქართველოში განხორციელებული პუი–ს გეოგრაფიულ სტატისტიკას, განსაკუთრებით დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის (ამ შემთხვევაში, 2001–2017 წლები). შემდეგ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოში შემოსული პუი–ს გეოგრაფიული განაწილება ქვეყნების ჯგუფებისა და კონტინენტების მიხედვით:

*დიაგრამა 2*




18–წლიან საანალიზო პერიოდში, რამდენიმე წლის გარდა (2002, 2008, 2009 და 2016), ჯგუფურ ინვესტორებს შორის დომინირებს ევროკავშირი. ყველაზე დიდი განსხვავება აღმოჩნდა 2007 წელს, როდესაც ევროკავშირიდან შემოსული ინვესტიციები 4-ჯერ და მეტად აღემატება სხვა რეგიონებიდან შემოსულ ინვესტიციებს.

2001-2017 წლების მთლიან დინამიკაში ვლინდება განსხვავებული ტენდენციები, კერძოდ: საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები 2001–დან 2007 წლამდე ხასიათდება ზრდის ტენდენციით; ამ პერიოდში ერთობლივი ინვესტიციები ყოველწლიურად საშუალოდ იზრდებოდა 59%–ით, ხოლო 2007 წელს 2001 წელთან შედარებით შემოსული ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 16-ჯერ. 2008-2009 წლებში ინვესტიციების მატება შეინიშნება მხოლოდ აფრიკიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. სწორედ 2009 წელს აფრიკიდან, კერძოდ კი ეგვიპტიდან, განხორციელდა პირველი ინვესტირება საქართველოში 55.8 მლნ აშშ დოლარის ოდენობით[1]. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან კი შემოვიდა 30.7 მლნ აშშ დოლარი, რაც 30%–ით მეტია წინა, 2008 წლის მაჩვენებელზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2008–2009 წლებში საქართველოში განხორციელებული პუი–ის მოცულობა 57.7%–ით შემცირდა, რაც განპირობებულია 2008 წელს მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისითა და საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომით. უაღრესად დაძაბული სამხედრო–პოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიკის ფუნქციონირების შესუსტება და უარყოფითი ფსიქოლოგიური ფონი, რა თქმა უნდა, დიდი საინვესტიციო რისკების შემცველი იყო.

2013 წლისათვის ინვესტიციების მაჩვენებლები თითქმის გაუთანაბრდა 2008 წლის მდგომარეობას წამყვანი ინვესტორების შემთხვევაში. 2014 წელს საშუალოდ ყველა ინვესტორისათვის დამახასიათებელია ზრდის მაჩვენებლები: 2013 წელთან შედარებით მატების ტემპი შეადგენს 78%–ს. 2014-2016 წლებში შეინიშნება კლება – ინვესტიციები შემცირდა 12%–ით. 2017 წელს კი ადგილი აქვს ისევ ზრდას, როდესაც ინვესტიციების მოცულობა წინა წელთან შედარებით 16%–ით გაიზარდა.

ქვეყანაში განხორციელებული პუი–ს შესახებ საქსტატს მონაცემები აქვს 1996 წლიდან; 1996–2017 წლებისათვის ჯამური ინვესტიციების რანჟირებული მოცულობები პირველი 20 ქვეყნის მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე (Lazariashvili T., 2017):

*დიაგრამა 3*




როგორც დიაგრამიდან ჩანს, 1996–2017 წლებში ყველაზე მეტი ჯამური ინვესტიცია განხორციელდა აზერბაიჯანიდან – 2.6 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით, რაც მთლიანი ინვესტიციების 14%–ია. მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო – მთლიანი ინვესტიციების 10.9%–ით, მესამეზე – ნიდერლანდები 9.8%–ით, მეოთხეზე – თურქეთი 8.6%–ით, ხოლო მეხუთეზე კი – აშშ (5.3%). ამ პერიოდის განმავლობაში სულ 70–მა ქვეყანამ განახორციელა ინვესტიცია საქართველოში. დიაგრამა 3–ზე წარმოდგენილი ქვეყნების ოცეულის ჯამური ინვესტიცია 1996-2017 წლებში განხორციელებული მთლიანი ინვესტიციების 86.9%–ია და 16 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. რა თქმა უნდა, *„უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ხელს უწყობს დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას და იგი სულ უფრო მეტ როლს ასრულებს ქვეყნის მშპ–ს მოცულობის ზრდაში"* [Silagadze L., 2017].

---

[1] http://ghn.ge/com/news/view/38511

2009 წელს ეგვიპტურ კომპანია "ფრეშს" და მის ქართულ პარტნიორ კომპანია "ჯორჯიან ინტერნეიშენალ ჰოლდინგი"-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვით ქუთაისში შეიქმნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და უკვე აშენდა თანამედროვე სტანდარტების ქარხანა, რომელიც საოჯახო ტექნიკას აწარმოებს.

*დიაგრამა 4*




როგორც დიაგრამა 4-დან ჩანს, ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის მომდევნო 2017 წელს ევროკავშირიდან შემოსული პუი–ს მოცულობა გაიზარდა თითქმის 2-ჯერ, ანუ 382 მლნ-დან 733 მლნ აშშ დოლარამდე. რაც შეეხება წინა წლების დინამიკას, ინვესტიციების მატების ტემპი ყველაზე მაღალი 2007 წელს, როდესაც საქართველოში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

2007 წლის შემდეგ ინვესტიციების მოცულობამ ისევ კლება დაიწყო. 2008 წელს მაჩვენებელი განახევრდა და თითქმის გაუტოლდა 2006 წლის სიდიდეს. 2009 წლის ინვესტიციების მოცულობა 2008 წელთან შედარებით 53%–ით შემცირდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, კერძოდ: 2008 წლის აგვისტოს ომი, დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა, გაურკვეველი ეკონომიკური მომავალი სარისკოს ხდიდა ინვესტორებისათვის საქართველოში ფულის დაბანდებას. გარდა ამისა, ამ პერიოდში მსოფლიო მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა. *„2008 წლის სექტემბერი შესაძლებელია მივიჩნიოთ მომენტად, როდესაც კრიზისი ჭეშმარიტად გლობალური გახდა. განსაკუთრებული პრობლემები შეექმნა ქვეყნებს, რომლებშიც, აშშ-ს მსგავსად იყო უძრავი ქონების ბუმი, და/ან მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტები. 2008 წლის 31 ოქტომბრისთვის მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების მთლიანმა ზარალმა 685 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. სხვადასხვა წყაროებით შეფასებული მთლიანი ზარალი 3 ტრილიონს უახლოვდება. 2009 წელს კრიზისმა გაღრმავება განაგრძო“*[1, გვ. 9].

2014 წელს საქართველოში შემოსული ინვესტიციები თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და თუ არ ჩავთვლით 2007 წელს, 2001 წლიდან მოყოლებული ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. 2017 წელს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირიდან ინვესტიციების სახით წინა წელთან შედარებით 92%–ით მეტი შემოვიდა და 733 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ინვესტიციების 39%–ია. ამ წელს ევროკავშირის 28 ქვეყნიდან საქართველოში ინვესტირება ყველა ქვეყანამ განახორციელა (სლოვენიისა და ხორვატიის გარდა).

2017 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა გაერთიანებული სამეფოდან – 250.4 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რაც ევროკავშირის ჯამური ინვესტი-ციების 34.2%–ია, ხოლო მთლიან ინვესტიციებთან მიმართებით 13.4%–ს შეადგენს. ყველა ინვესტორ ქვეყანას თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ გაერთიანებული სამეფო მესამე ადგილს იკავებს აზერბაიჯანისა და თურქეთის შემდეგ. ევროკავშირში მეორე ადგილზეა ნიდერლანდები 224.3 მლნ აშშ დოლარით, რაც ევროკავშირის ინვესტიციების 30.6%–ს, ხოლო მთლიანი ინვესტიციების 12%–ს შეადგენს (მთლიან ინვესტიციებში მეოთხე ადგილი). ევროკავშირის ინვესტიციებში მესამე ადგილს იკავებს ჩეხეთი 133.8 აშშ დოლარით, რაც ევროკავშირთან მიმართებით 18.3%–ს, ხოლო მთლიან ინვესტიციებთან მიმართებით 7.2%–ს შეადგენს (ჩეხეთი მე-5 ადგილს იკავებს ყველა ინვესტორის რანჟირებულ სიაში).

2017 წელს საქართველოში განხორციელებული პუი–ს მიხედვით მეორე ადგილზეა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები 522.8 მლნ აშშ დოლარით, რაც მთლიანი ინვესტიციების 28.1%–ია. საქსტატის მონაცემებით, პოსტსაბჭოთა საქართველოში პირველი უცხოური ინვესტიცია სწორედ დსთ-დან, კერძოდ კი უკრაინიდან განხორციელდა 1996 წელს. ამ წელს უკრაინა იყო ჩვენი ქვეყნის ერთადერთი ინვესტორი ქვეყანა 3.8 მლნ აშშ დოლარით. მომდევნო წლებში (1997-2002) საქართველოს ინვესტორთა რიგებს მიემატა 2 მეზობელი ქვეყანა – აზერბაიჯანი და რუსეთი (შესაბამისად, ჯამში 23.7 მლნ

და 61.3 მლნ აშშ დოლარით). 2003 წლიდან უკვე სომხეთთან, 2005 წლიდან კი ყაზახეთთან იწყება საინვესტიციო ურთიერთობები. 2017 წლამდე დსთ-ს ყველა ქვეყანამ განახორციელა საქართველოში ინვესტირება (ტაჯიკეთის გარდა).

დსთ-ს ქვეყნების მიერ განხორციელებულმა პუი–ებმა რეკორდულ მაჩვენებელს 2015 წელს მიაღწია, როდესაც საქართველოში შემოვიდა 632.5 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. აღნიშნულ წელს დსთ-ს ინვესტიციებმა საქართველოში შემოსული მთლიანი ინვესტიციების 38.3% შეადგინა. მომდევნო წლებში დსთ-დან ინვესტიციები ისევ შემცირდა და 2017 წელს 522.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იმავე წლისათვის, დსთ-ს ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა აზერბაიჯანიდან და 482.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ანუ 25.9%–ით პირველ ადგილზეა). მეორე ადგილს რუსეთი იკავებს, საიდანაც საქართველოში 2001 წლიდან 2017 წლამდე ჯამში 627.8 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა და დსთ-ს ქვეყნებს შორის 18%–იანი წილი დაიკავა. 2017 წელს კი რუსეთიდან ინვესტიციებმა 32.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ს ქვეყნებს შორის 6.3%–იანი წილი უკავია.

2001-2017 წლების მონაცემების მიხედვით, დსთ-ს ქვეყნებს შორის ინვესტიციების სიდიდით გამოირჩევა აგრეთვე ყაზახეთი 286.6 მლნ აშშ დოლარითა და 7.9 %–იანი წილით, სომხეთი (79.8 მლნ აშშ დოლარი და 2.2%) და უკრაინა (48.3 მლნ აშშ დოლარი, ანუ 1.3%).

## დასკვნა

მთლიანად საანალიზო პერიოდში (2001–2017 წლები) საქართველოში პუი–ს შემოდინება დადებითი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმალურ სიდიდეს 2017 წელს მიაღწია, როდესაც ქვეყანაში შემოვიდა 1 861.9 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სექტორების მიხედვით თუ განვიხილავთ, რეალური სექტორის ინვესტიციები, წინა წელთან შედარებით, 39%–ით გაიზარდა და 615.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ინვესტიციების 33.1%–ია. ეს ზრდა დადებითად უნდა აისახოს ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი სწორედ რეალური სექტორია.

დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის მზარდი დაინტერესება საქართველოს ეკონომიკით. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის მომდევნო 2017 წელს ამ ქვეყნებიდან შემოსული პუიდს მოცულობა გაიზარდა თითქმის 2-ჯერ, ანუ 382 მლნ-დან 733 მლნ აშშ დოლარამდე. მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ასევე მეზობელი ქვეყნები – აზერბაიჯანი და თურქეთი, რომლებიც ინვესტორთა შორის პირველ და მეორე ადგილზე იმყოფებიან და რომელთა ინვესტიციების წილი შესაბამისად 25.9 და 15%–ია.

ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით, საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს – ეს არის მეტად პოზიტიური საერთაშორისო რეიტინგები, რაც დადებით გავლენას ახდენს პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებაზე – საკუთარი ფინანსური რესურსები საქართველოში დააბანდოს.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია არამარტო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და მისი მოცულობის ზრდა, არამედ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მთლიან სტრატეგიაში უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს ის პრიორიტეტული მიმართულებები, თუ რომელ დარგსა და რომელ რეგიონშია ყველაზე მეტად საჭირო პუი. მნიშვნელოვანია ასევე ინვესტორთა მომსახურების დონის ამაღლება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა.

## ლიტერატურა:


1. ბაქრაძე გ. 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები, ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2014, ტომი 2, N2, 5-26.
2. გელაშვილი ს., მიქელაძე გ. ინვესტიციების ეკონომეტრიკულ–სტატისტიკური მოდელები და მათი ემპირიული რეალიზაციის შესაძლებლობები საქართველოში. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, თსუ–ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ივნისი, 2017, გვ. 215–220.
3. ლაზარაშვილი თ. საინვესტიციო გარემო და მისი თავისებურებები საქართველოში, ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, თსუ–ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ივნისი, 2017, გვ. 373-378.
4. სილაგაძე ლ. მშპ-სა და პუი-ს თანაფარდობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ივნისი, 2017, გვ. 515-517.
5. ძებისაური ლ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები და სტატისტიკა საქართველოში.

სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2018, გვ. 210–218.
6. Doing Business 2018: Reforming to Create Jobs, Washington, D.C., The World Bank, 2018, 312p. http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB2018-Full-Report.pdf
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – http://geostat.ge
8. საქართველოს ეროვნული ბანკი – https://www.nbg.gov.ge
9. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – http://economy.ge
10. https://www.heritage.org/trade/report/2018-index-economic-freedom-freedom-trade-key-prosperity
11. http://ghn.ge/com/news/view/38511

## Geographical Statistics of Foreign Direct Investments in Georgia

***Simon Gelashvili***
*Professor, TSU*
***Nino Magradze***
*PhD Student, TSU*

S u m m a r y

The study analyzes the long-term time series of foreign direct investments (FDI) implemented in Georgia according to individual countries and their unions. Different statistical indicators (relative and average) are also calculated, as well as growth rates for both the entire analytical period and for separate years. As a result of the analysis, different term trends of foreign direct investments were determined by the groups of countries (EU countries, Asian countries, American countries, countries of the Commonwealth of Independent States, etc.). The variation of foreign direct investments in Georgia was studied and the maximum and minimum values were identified.

***Key words:*** *investment; trend; growth rate; variation; diagram.*

# პროგრესი - სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის ცვლილების მამოძრავებელი ძალა

**ირინა გოგორიშვილი**

*თსუ-ის ასოცირებული პროფესორი*

**რევაზ გველესიანი**

*თსუ-ის პროფესორი*

*ნაშრომში განხილულია ფუნდამენტური საზოგადოებრივი ფასეულობის პროგრესის და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთკავშირი. მათი გაანალიზების საფუძველზე განვითარებულია მოსაზრებები შემეცნების თეორიაზე ორიენტირებულ კრიტიკასთან დაკავშირებით. ის არ არის მიმართული პროგრესის წინააღმდეგ და მხოლოდ იმ პოზიციას არ იზიარებს, რომელიც ზომაზე მეტად აფასებს გონების შემეცნებით შესაძლებლობებს. სამეცნიერ-ტექნიკურმა პროგრესმა წარმოშვა ციფრული სამყარო, რომელიც ძირფესვიანად ცვლის პროგრესისადმი დამოკიდებულებას.*

*ნაშრომში ასევე განხილულია ციფრული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის ზოგადი მიზანი. დასაბუთებულია, რომ ის მუდმივ ცვლილებას განიცდის, რადგან ის განვითარების პროცესების პოსტმოდერნისტული პარადიგმიდან გამომდინარეობს და ადამიანზე ფოკუსირდება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური პროგრესი; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა; სამეწარმეო პოლიტიკა; მოქმედების თავისუფლება; სოციალური სამართლიანობა; ციფრული ეკონომიკა.*

პროგრესი ორი თვალსაზრისით არის ყველასათვის მნიშვნელოვანი, უპირველეს ყოვლისა იგი წარმოადგენს: მეცნიერული მიღწევებისა და სიახლეების შეფასებას და ამავე დროს გვიჩვენებს დროის მსვლელობაში რამდენად ახლოს ვიმყოფებით წინასწარ დასახულ მიზანთან.

მეორე თვალსაზრისით, ამ ცნების გამოყენება განმარტებას არ საჭიროებს, რადგან შეფასებას დასახული მიზანი განსაზღვრავს. პირველი მნიშვნელობით პროგრესი რაღაც სრულიად ახლისაკენ, ჯერ კიდევ მიუღწევლისაკენ სწრაფვას გულისხმობს. რაციონალურობის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში ადამიანი გახარებულია თავისი მიღწევებითა და კრეატიულობით. ასეთი სიხარული არ არის მიზნობრივად რაციონალური ანუ არ არის დამოკიდებული იმ სარგებელზე, რაც დასახულ მიზანთან მიახლოებას მოაქვს.თუმცა ეს ჩვენს სიხარულს უფრო ამლიერებს (Hayek, 1960, გვ. 40). მთავარია არა ცოდნის გამოყენება, არამედ ამ ცოდნის მიღება და მისი გაღრმავება.

პროგრესის მიმართ ორივე თვალსაზრისით ჩნდება გარკვეული ეჭვი იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად სასურველია იგი. ყოველთვის ცდილობენ, ასეთი კრიტიკული პოზიცია შემეცნების თეორიის, ცოდნის სოციალიზაციის კუთხითა და ეთიკის თვალსაზრისით დაასაბუთონ.

შემეცნების თეორიაზე ორიენტირებული კრიტიკა არ არის მიმართული პროგრესის წინააღმდეგ, იგი მხოლოდ იმ პოზიციას არ იზიარებს, რომელიც ზომაზე მეტად აფასებს გონების შემეცნებით შესაძლებლობებს. არსებითად იგი წარმოადგენს კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის კრიტიკას, რომელიც სათავეს იღებს რენე დეკარტესა და ფრენსის ბეკონის ნაშრომებიდან. რაციონალიზმის ეს ფორმა უპირისპირდება კრიტიკულ რაციონალიზმს, რომელიც დევიდ ჰიუმის ნაშრომებიდან მომდინარეობს (იხ. Popper, 1960/2002). კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ გონებისა და დაკვირვების საშუალებით შესაძლებელია ბუნების ჭეშმარიტი რეალობა აღვიქვათ. კრიტიკული რაციონალიზმი კი აქცენტს აკეთებს ადამიანის შემეცნებაში ევოლუტორული ელემენტის არსებობასა და შეცდომის შესაძლებლობაზე. წმინდა ლოგიკის საზღვრებს მიღმა შესაძლებელია ცდომილება, ამიტომ არ შეიძლება წინასწარვე უარვყოთ ემპირიული (ცდისეული) დაკვირვებების შესაძლებლობები.

კონსტრუქტივისტული პოზიციიდან ადვილია იმის მტკიცება, რომ ადამიანს იმდენი შეუძლია რამდენიც იცის (tantum possumus quantum scimus, Bacon). მკვლევარებმა, რომლებიც ამ პოზიციას ემხრობოდნენ, შთამბეჭდავი პროგრესი განახორციელეს XVIII და XIX საუკუნეებში. რაც თითქოს ადასტურებდა ცოდნის ძალას ბუნებაზე გაბატონების საქმეში. ამიტომაც ამ პერიოდში საკმაოდ საფუძვლიანი იყო ოპტიმიზმი იმის შესახებ, რომ გონების გამოყენებას პროგრესი მოაქვს. გონებრივ შესაძლებლობათა ამგვარ გადამეტებულ შეფასებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მას გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭა საზოგადოებისა და ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში (Hayek, 1959/2004).

გონების მიმართ ასეთი ზომაგადაცილებული ოპტიმიზმის გამო, კონსტრუქტივისტული რაციონალიზმის ტრადიციას შემეცნების თეორიაში სამართლიანად „უსაყვედურეს“ და მას გონების მედიდურობა უწოდეს (Röpke, 1944; Hennis, 1984). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, თითქოსდა გამართლებული იყოს პროგრესის მიმართ აბსოლუტური ეჭვი. ცოდნის სოციალიზაციის თვალსაზრისით პროგრესი სხვა არაფერია, თუ არა შრომის დანაწილებაზე რეაქციის შედეგი. ცნობილია, რომ მეცნიერული შრომის დანაწილება მზარდ

სპეციალიზაციას უკავშირდება. კვლევის პროცესის უშუალო მონაწილენი აცნობიერებენ თუ როგორი მზარდი ტემპით ვიწროვდება მათი დისციპლინის სფერო. გარეშე დამკვირვებელს კი სულ უფრო მეტად უძნელდება ცოდნის ფრაგმენტულად მოპოვება, რომლის გამოყენება ყოველდღიურ პროცესებზეც ახდენს ზემოქმედებას.

ამგვარად ჩნდება უფსკრული, რომელიც ახალ–ახალი საყვედურებისა და არაორდინარული აზროვნების წყარო ხდება (Jonas, 1979/2003, გვ. 294). სხვა მხრივ კი, კომპეტენტურ მეცნიერთა პუბლიკაციების კომერციალიზაციას უფრო დიდი საბაზრო შანსი არასოდეს მისცემიათ (Boulding, 1962), როგორიც მათ დღეს აქვთ. ასეთი შანსების გამოყენება შეამცირებდა იმ შენიშვნების რაოდენობას – შრომის დანაწილების საფუძველზე – ცოდნის გაღრმავების მიმართ რომ გამოთქვამენ. მეცნიერული ურთიერთობების მრავალფეროვანი ფორმები არის ღია საზოგადოების სპონტანური რეაქცია მეცნიერული პროგრესის არასასურველ გვერდით მოვლენებზე.

ყველაზე ძნელია პროგრესის მიმართ ეთიკურ ეჭვებთან გამკლავება. იგი ამტკიცებს, რომ კაცობრიობის მეცნიერული წინსვლა არ იწვევს მის ზნეობრივ გაუმჯობესებას. ბუნებაზე გაბატონების დაუოკებელი სურვილი იმას მოასწავებს, რომ არ არსებობს ქმედითი ზნეობრივი შეზღუდვა. მაგალითად ყოველთვის მოჰყავთ ხოლმე ის ექსპერიმენტები (გენტექნიკური მანიპულაცია), რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის გენეტიკური სტრუქტურის ცვლილებას. ფილოსოფოსმა ჰანს იონასმა ამასთან დაკავშირებით წამოაყენა მოწოდება: „გავუფრთხილდეთ ღვთის ხატებას“. იგი გვთავაზობს, „მოწიწებით განვიმსჭვალოთ ადამიანისადმი, როგორიც იგი იყო და არის; მოვიცილოთ ფიქრი იმაზე თუ რად შეიძლება იქცეს იგი გამოგონილ მომავალში“ (Jonas, 1979/2003, გვ. 393).

ადამიანის თვითშემეცნების წარმოდგენილი პოზიცია ცალკეული ინდივიდის საქმედ მიიჩნევს იმის გადწყვეტას – შესაძლებელია თუ არა ამ ზნეობრივი მოთხოვნის მოქმედების მაქსიმუმად გადაქცევა. მეორე მხრივ, ღია საზოგადოება სხვაგვარად გაიაზრებს ასეთ შესაძლებლობას. „გამოგონილ მომავალში“ მოსალოდნელია ადამიანებს გაუჩნდეთ ცდუნება, რომ „ღვთის ხატება“ ძალისმიერი საშუალებებით დაიცვან. იმ ვითარებაში, როცა თავისუფლება ტოტალური საფრთხის წინაშე დგას, ზემოხსენებულ მაქსიმუმთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: მოხდება თუ არა მისი კონკრეტული რეალიზება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გარეშე. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცოდნის გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეები სწორედ ღია საზოგადოებებში იძენს ინტენსიურ პოლიტიკურ ფორმებს. ამის დადასტურებაა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დისკუსიები, რომლებიც ტექნიკის შედეგებისა და მათი ინსტიტუციონალიზების პრევენციული ხასიათის შეფასებებს იძლევიან. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ღია საზოგადოებებიც ამახვილებენ ყურადღებას პროგრესის ნეგატიურ მხარეებზე და შესაბამის პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარების გადაწყვეტილებებს იღებენ. საქმეში ჩახედული ადამიანებისათვის ასეთი ღონისძიებები შესაძლოა არ იყოს დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ არსებობს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგო პროცედურებთან. ასე რომ, ერთმა რომელიმე პრობლემამ, რომელიც დღევანდელ დისკუსიებში შესაძლოა წინა საფეხურზე იყოს წამოწეული, არ უნდა მოადუნოს საზოგადოების ყურადღება სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ.

ჩვენ უკვე ვაჩვენეთ ის თუ რა დამოკიდებულება არსებობს პროგრესსა და მოქმედების თავისუფლებას შორის. შეუძლებელია ბუნების კანონების დარღვევა, რაც შესაძლებელი მოვლენის ობიექტურ საზღვრებს წარმოადგენს. მაგრამ მათი მეცნიერული აღმოჩენა აფართოებს ადამიანური მოქმედების მანამდე არსებულ შესაძლებლობებს. ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრესი დაკავშირებულია ინოვაციის ფენომენთან. ბაზარი ღიაა ინოვაციისათვის (საწარმოო ინოვაციები), რადგან მათი საშუალებით ბაზრის მდგომარეობა უმჯობესდება (ინოვაციური პროცესები). მოთხოვნის კუთხით როგორც ერთი, ისე მეორე უზრუნველყოფის შესაძლებლობათა გაუმჯობესებას ნიშნავს.

ეკონომიკურ პროგრესსა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული კონფლიქტების წარმოშობის სათავე შესაძლებელია იყოს კონკურენციის, როგორც განაწილების მეთოდის, არასწორი გაგება. სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით მეცნიერული პროგრესის მიღწევათა საფუძველზე მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული პოზიციები კორექტურას საჭიროებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი კორექტირება შეასუსტებდა ან გააუქმებდა ყოველგვარი ინოვაციის შექმნის სტიმულს. ამ შემთხვევაში საზოგადოება იმაზე ღარიბი იქნებოდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. მეცნიერული პროგრესის შედეგების ამგვარ „სოციალიზებას“ მხედველობიდან რჩება, რომ მათი მიღწევის პროცესს სწორედ კონკურენცია აღძრავს და აძლიერებს.

ეკონომიკურ სისტემაში პროგრესი ინოვაციის სახით ვლინდება და სტრუქტურული ცვლილებების წყაროა. ერთი მხრივ, იგი წარმოშობს შემოსავლების მიღების ახალ შანსს, მეორე მხრივ კი, საფრთხეს უქმნის უკვე არსებულ შესაძლებლობებს. ინოვაცია ზეგავლენას ახდენს ინდივიდებზე, საფრთხეს უქმნის მათ ეკონომიკურ სტაბილურობას და ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს. ამ გამოწვევის დაუკმაყოფილებლობა იწვევს სტრუქტურულ უმუშევრობას ან/და სოციალურ დეგრადაციას (სტატუსის არანებაყოფლობითი შეცვლა).

ზოგადად პროგრესი ცვლილებების წყაროა. ცვლილებები კი რეორიენტაციისა და ახალ სიტუაციებთან შესაბამისობის მოთხოვნას წარმოშობს. ეკონომიკური განვითარების პროცესებთან შესაბამისობის დაყოვნება კი კონფლიქტებს აჩენს. ეკონომიკაში არსებობს კოლიზიის შესაძლებლობა უსაფრთხოების მიზანთან მიმარ-

თებაში და სოციალური სამართლიანობის მიზანთან დამოკიდებულებაში, რადგან შესაბამისობის ტვირთი არათანაბრადაა გადანაწილებული და სრულიად არ არის გათვალისწინებული მეცნიერული პროგრესის სასარგებლო შედეგების განაწილება (გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ. 73).

სოციალურ ფასეულობათა ასპექტით პროგრესი დაკავშირებულია მისი შეფასების პრობლემებთან. რაკი შესაბამისობა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, აუცილებელია რაციონალური ზომების მიღება და ადამიანებისათვის დახმარების უზრუნველყოფა. ასეთი ღონისძიებები, როგორც წესი, წინააღმეგობებს ხვდება, რადგან ამისათვის აუცილებელი პოლიტიკური ნების ქმნადობის პროცესები ინერტულობით ხასიათდება. დახმარების უზრუნველყოფას ის საფრთხეც ახლავს, რომ ინდივიდს იგი შესაძლებელია მუდმივ მოთხოვნილებად გადაექცეს და აღარაფერი იღონოს თვითგანვითარების უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე გლობალური ცვლილებები გამოწვეულია ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებით. ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება გარდაუვალი და პროგრესული მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებს ცოცხალ მატერიაზე და ცვლის ბუნებრივი განვითარების პროცესების მიმდინარეობას. ციფრული ტექნოლოგიები დამოუკიდებლად ზემოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე, რაც სოციუმში მათი როლისა და ადგილის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. გლობალიზაციის ტენდენციებმა გამოავლინეს სახელმწიფოს ახალი ფუნქცია, რომელიც ეროვნული ეკონომიკის გაციფრვის კაპიტალტევადობასთან არის დაკავშირებული. ციფრულ ეკონომიკაში აქცენტი ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზეა გადატანილი რაც დიდ კაპიტალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამასთან, პრობლემები წარმოიქმნება როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

ციფრული ეკონომიკის ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებს განვითარებული და დიდი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნები ფლობენ, რასაც ვერ ვიტყვით მცირე ღია ეკონომიკებზე და დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე.

ციფრული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის ზოგადი მიზანი უკვე მუდმივ ცვლილებას განიცდის, რადგან იგი განვითარების პროცესების პოსტმოდერნისტული პარადიგმიდან გამომდინარეობს და ადამიანზე ფოკუსირდება(და არა ადამიანთა საზოგადოებაზე). ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები(მათ შორისაა ბილ გეიტსიც) თვლიან, რომ ციფრულ მეწარმეობაში მენტალიტეტის ცვლილების გარეშე საწარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ასეთი მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ციფრული ინოვაციების დანერგვა ბაზრებს ანგრევს და იწვევს მრავალ არასასურველ და გაუთვალისწინებელ პროცესებს როგორც საწარმოებისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. კერძოდ, ინოვაციათა დანერგვის საფუძველზე უმუშევრობის ზრდა სპეციალისტებში, იმიგრაციისა და ემიგრაციის პროცესები, რომლებიც წარმოშობენ სოციალურ აგრესიას, ნიჰილიზმს, დეპრესიებს, ტერორიზმსა და ა. შ. წინააღმდეგობებს. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ სწორედ ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებლები თვლიან, რომ არამარტო თითოეული სპეციალისტის, არამედ თვით კორპორაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის შინაარსი ყოველდღიურ ზრდასა და სიახლეთა ძიების საფუძველზე განვითარებაშია.

ციფრულ სამყაროში პროგრესი წარმოშობს მოთხოვნას ახალი ტიპის კვალიფიციურ შრომით რესურსებზე. ადამიანი მაქს ფრიშის Homo Faber-იდან (ადამიანი საკუთარი თავის ჩამომყალიბებელი, არქიტექტორი) უნდა გარდაიქმნას Homo Surgens-ად(ადამიანი თვითმზარდი) და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს Homo Developing-ად(ადამიანი განვითარებადი). ჩვენი აზროვნების პოსტმოდერნისტული პარადიგმა ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს როგორც სხვადასხვა ტიპის აზროვნებისა და ცნობიერების მქონე ადამიანთა ერთობას, რომელშიც კონფლიქტები(შესაბამისად მათი მძიმე შედეგებიც) გარდაუვალია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური კონფლიქტის(ყველა დროში და ყველა საზოგადოებაში) სათავე ეკონომიკური ინტერესებია, ხოლო მათი მოტივაციის ძირითადი შემადგენელი მატერიალური სარგებელის მიღებაა, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ ახალი ციფრული ერა, რომელიც მოხმარების საგნებისა და მომსახურების სიუხვესა და ხელმისაწვდომობას ქმნის, ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს თანდათანობით აქცენტები არამატერიალურ სარგებელის მიღებაზე გადაიტანოს. იგი გაცილებით მაღალ მოტივაციას ქმნის და ინტერესთა კონფლიქტებსაც შინაარსსა და ფორმას უცვლის. მსოფლიოს დიდი ჰუმანისტები განვითარებული ცნობიერების მქონე ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობების შეცნობასა და გაფართოებაში დაინახეს განვითარება და ადამიანის უზენაესი მიზანი (Frisch, 1989).

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებლები თვლიან, რომ არამარტო თითოეული სპეციალისტის, არამედ თვით კორპორაციის ძირითადი მიზნის შინაარსი ყოველდღიურ ზრდასა და სიახლეთა ძიების საფუძველზე განვითარებაშია.

ციფრული ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები ხშირად უსწრებს საწარმოთა შესაძლებლობებს - ტრადიციული მენეჯერული კულტურის სტილით მოახდინონ მათზე რეაგირება. ტრადიციული მენეჯერული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს საწარმოთა წინაშე წარმოქმნილ პრობლემათა დაკონკრეტებას, განსაზღვრას და ზოგ შემთხვევაში, რისკისადმი მიდრეკილებას. ამდენად, ყოველივე ის, რასაც მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში ვხვდებით და ვასწავლით კიდევაც, ციფრული ეკონომიკის ჩამო-

ყალიბების პირობებში შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა ინოვაციების დანერგვისა და მდგრადი განვითარებისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება განუსაზღვრელობის პირობებში საბაზრო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გადაწყვეტილებებს. სპეციალისტები, მეწარმე სუბიექტები და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ძირეულად იცვლება საყოველთაო გაციფრვის პროცესში, რომელიც უკვე დაწყებულია, მაგრამ ძალზე მალე (5-10 წელიწადში) ელვის სისწრაფით წარიმართება. ციფრულ სამყაროში განუსაზღვრულობის პირობებში ადაპტირებისათვის მეწარმეობას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარების მიმართულებათა შეცვლა უხდებათ, რაც შეუძლებელია განხორციელდეს ახალი ტიპის აზროვნების(ზრდის მენტალიტეტისა და ახალი კულტურის) გარეშე.

## დასკვნა

დღეს მაღალი რანგის პროფესიონალები ჯერ კიდევ თვლიან, რომ მათთვის წარმატების მომტანი გონება და ტალანტი ფიქსირებული თვისებებია. ისინი დიდ დროს ხარჯავენ საკუთარი ინტელექტის ექსპლოატაციაზე და ნაკლებად ზრუნავენ მის განვითარებასა და ზრდაზე. ამდენად, დღეს როგორც არასდროს, აქტუალურია ახალი კულტურის ჩამოყალიბება.

აზროვნების გაფართოება კონცენტრირებულია ძალისხმევის გააქტიურებაზე, სწავლასა და ინტელექტის ზრდის სურვილზე, როგორც წინსვლის საფუძველზე. პროგრესის შესაბამისი აზროვნების ახალი პარადიგმით ადამიანის **ცნობიერების ზრდა** ინტელექტუალური განვითარების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის **მიზანი (და არამარტო ცალკეული ადამიანების, არამედ მთელი ერისა და ამ პროცესის ხელშემწყობი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის) ინტელექტუალურ განვითარებაშია უწყვეტი სწავლის საფუძველზე**. ამ მიზნისკენ სწრაფვა თავისთავად წარმატებად უნდა შეფასდეს. ინტელექტუალური განვითარების გარდა, სხვა ზრდის შეფასება წარმატებად, შესაძლებელია საზოგადოებისათვის (ან სახელმწიფოსათვის) წარუმატებელი აღმოჩნდეს. აღნიშნული მიზნის მიღწევის მთავარი ინსტრუმენტი უწყვეტი განათლებისა და სწავლების სისტემის ჩამოყალიბებაა. ამ მიზანთან დაქვემდებარებული და დამოკიდებულებაში მყოფი მიზნების უზარმაზარი სპექტრი არსებობს. ქვემოთ მოცემულია ზრდაზე ორიენტირებული საზოგადოების მენტალიტეტის ჩამოყალიბების მიზნები, ინსტრუმენტები და უპირატესობები:

| | |
|---|---|
| ზრდა ცოდნისა და ტალანტის შეძენის(სწავლის) საფუძველზე(გრძალვადიანი მიზანი) | ზრდა ფიქსირებულ, თანდაყოლილ შესაძლებლობათა საფუძველზე(მოკლევადიანი მიზანი) |
| წარმოშობს სწავლის სურვილს | იწვევს სურვილს გამოიყურებოდეს ჭკვიანად |
| პრობლემების აღქმა სწავლისა და ზრდის შესაძლებლობებად | პრობლემების აღქმა წინააღმდეგობებად, რომლებიც უნდა დაზღვეულ იქნეს თავის არიდებით |
| წარუმატებლობის საფუძველზე სწავლა | წარუმატებლობის შედეგთა შემსუბუქება და ლიკვიდაცია |
| სწავლის სურვილის გააქტიურება სხვათა წარმატებების გამო | შურისა და შიშის გრძნობა სხვათა წარმატებების გამო |
| კარგად შეეფერება:<br>გუნდურ მუშაობასა და თანამშრომლობას;<br>მაღალი განუსაზღვრელობის პირობებში არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღებას;<br>პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ითხოვს: ინოვაციურსა და სარისკო მიდგომას. | კარგად შეეფერება:<br>ინდივიდუალურ ოსტატობას;<br>ორდინარული და გამოცდილი გადაწყვეტილებების მიღებას;<br>პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს წარსული გამოცდილების კარგ ცოდნას. |
| შესაძლებლობები ახალი მისიებისათვის მეცნიერებასა და ეკონომიკაში | შესაძლებლობები არსებული მისიების გამოცდისა და შეფასებისათვის |

ასეთი მენტალიტეტი საგრძნობლად ზრდის ინოვაციათა დანერგვას საზოგადოებასა და ეკონომიკაში, რაც თავის მხრივ, შრომითი რესურსების შემდგომ განვითარებას უწყობს ხელს და ადამიანთა საზოგადოებაში პროგრესს განაპირობებს.

## ლიტერატურა:

1. Hayek F.A. (1960), The Constitution of Liberty, Neudruck, London u.a. Wiederabdruck in: Bosch A. und R. Veit Hrsg., Hayek Gesammelte Schriften Bd. B3, Die Verfassung der Freiheit, Tuebingen 2005. გვ.40.
2. Popper K.R. (1960), On the Sources of Knowledge and of Ignorance; wiederabgedruckt in ders.: Conjectures and Refutations – The Growth of Scientific Knowledge, 5. Aufl., Neudruck; London u.k. 2002. გვ. 3-30.
3. Hayek F.A. (1959) Missbrauch und Verfall der Vernunft – Ein Fragment. Wiederabdruck in: Bosch, A. und R. Veit (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A2, Sozialwissenschaftliche Denker, Tuebingen 2004.
4. Röpke W.(1944). Civitas Humana – Grundfragen der Gesellschafts- und Wirtschaftsreform, 4. Aufl., Bern 1979.Hennis W.(1984). Wurzeln und Grenzen der Modernitaet; in B. Klingenstein (Hrsg.): Krise des Fortschritts, Wien u.a. გვ.139-151.
5. Boulding K. E. (1962). K.E. (1962). Knowledge as a Commodity; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Beyond Economics – Essays on Society, Religion, and Ethics, Ann Arbor 1968, გვ.141-150.
6. Jonas H. (1979). (1979), Das Prinzip Verantwortung, Nachdruck, Frankfurt a. M, 2003. გვ. 393.
7. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში. გამომცემლობა „უნივერსალი“თბილისი 2018. გვ. 73.
8. The Paris Review. Max Frisch, The Art of Fiction No113. Interviewed by Jodi Daynard. 1989. https://www.theparis-review.org/interviews/2367/max-frisch-the-art-of-fiction-no-113-max-frisch

## Progress - the Driving Force of Changes in State and Business Economic Policies

***Irina Gogorishvili***
*Associated professor*

***Revaz Gvelesiani***
*Professor*
*Tbilisi State University*

Summary

The paper examines the relationship between the state's economic policy and progress as a fundamental public value. On the basis of their analysis, opinions were developed in connection with the criticism of the knowledge-oriented cognition theory. Criticism is not directed against progress but only against the position that overestimates the cognitive abilities of the mind. The digital world created by scientific and technological progress completely changes the attitude towards progress (as a social value).

The general goal of the policy of development of the digital economy is also considered in the work. It is justified that this goal is constantly changing. This happens because the goal follows from the postmodern paradigm of development processes and focuses on people.

***Key words:*** *economic progress; State economic policy, business policy; The freedom of action; Social justice; Digital economy.*

# ეფექტიანობის აუდიტის როლი მუნიციპალიტეტების პროგრამული ბიუჯეტის შეფასებაში

**მაია გრძელიძე**

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

*საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი, პროდუქტიული და ეკონომიური განკარგვის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტებში პროგრამათა შეფასებისა და პროგრამების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგების ანალიზის მექანიზმის დანერგვა, ეფექტიანობის აუდიტის როლის გაძლიერება პროგრამული ბიუჯეტის შეფასებაში, რომელიც ორიენტირებულია თვითმმართველი ერთეულების საქმიანობის რეალური შედეგებისა და ამ შედეგების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებების შეფასებაზე და ხელს უწყობს საჯარო რესურსების უფრო ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად განკარგვას.*

*საკვანძო სიტყვები: პროგრამების შეფასების მექანიზმები; შედეგების შეფასების ინდიკატორები; ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები.*

საქართველოში საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად გატარებულ უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოადგენს ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე საბიუჯეტო სისტემიდან პროგრამულ, ანუ შედეგზე ორიენტირებულ ბიუჯეტზე გადასვლა. ფინანსური რესურსების დაგეგმვის ეს მეთოდი ხელს უწყობს საბიუჯეტო სახსრების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებათა გაუმჯობესებასა და ეფექტიანი დაგეგმვის პროცესის ჩამოყალიბებას. ასევე, ზრდის მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების უფრო ეფექტიანად განკარგვის სტიმულს და გვაწვდის ინფორმაციას საბიუჯეტო პროცესის მონაწილეებისა და ნაკლებეფექტიანად ფუნქციონირებადი პროგრამების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიზნობრივი ხარჯვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის (პროგრამული ბიუჯეტის) სისტემაზე გადასვლის პროცესმა ხელი შეუწყო ეფექტიანობის აუდიტის დანერგვას, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგები და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა, ეკონომიურობა და პროდუქტიულობა.

პრაქტიკაში საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების ეფექტიანობის შეფასებისას არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია თვითმმართველ ერთეულებში, პირველ რიგში, უზრუნველყოფილი იქნას შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა და წლიური მიზნობრივი მაჩვენებლების რეალისტურად განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს დაგეგმვის პროცესის დახვეწას. შემდეგ ეტაპზე აუცილებელია გაიწეროს მეთოდოლოგია და შიდა პოლიტიკა, რომელიც დაარეგულირებს შესაბამისი ინდიკატორების შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესს, რაც უზრუნველყოფს როგორც შედეგების შესახებ ინფორმაციის სრულყოფას, ასევე წარმოადგენს აღნიშნული ინფორმაციის სანდოობისა და რეალისტურობის შემოწმების საშუალებას.

ჩვენი აზრით, ეფექტიანი პროგრამული ბიუჯეტის გასაუმჯობესებლად საჭიროა კონკრეტული პროგრამების დანერგვის ეტაპზე გამოკვლეული და არგუმენტირებულად დასაბუთებული იქნეს საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი დასახული მიზნის წარმატებით განხორციელება. პროგრამის განხორციელების პროცესში უნდა მოხდეს იმის შესწავლა თუ რამდენად, შესაძლებელია ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით უკეთესი შედეგის მიღწევა, ხოლო პროგრამის შესრულების ეტაპზე უნდა მოხდეს იმის შეფასება არის თუ არა გამოსადეგი და პროგრამის მიზნებთან შესაბამისი მიღებული შედეგები.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პროგრამას უნდა ჰქონდეს მიზანი და გამოხატული უნდა იყოს ინდიკატორებში. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამული ბიუჯეტი ორიენტირებულია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებაზე, იძლევა ბიუჯეტის ეფექტიანობის გაზომვის შესაძლებლობას. შესაბამისად, პროგრამის ეფექტიანობის გაზომვის პროცესში საჭიროა [1, გვ. 177-193]:

- დადგინდეს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც განახორციელებენ პროგრამის შედეგების მიღწევის შემოწმებას;
- დადგინდეს პროგრამის რეალური მიზნები და ამოცანები, რომელთა ინფორმაციის წყაროდ, შესაძლოა გამოყენებული იქნეს პოლიტიკის დოკუმენტები, პროგრამის განაცხადები, ინტერვიუები პროგრამის პროვაიდერებთან და ამ წყაროების კონბინაცია;
- შეირჩეს პროგრამის მიზნების მისაღწევად ყველაზე შესაფერისი გზები. მაგალითად: საკონტროლო ჯგუფის გამოყენების საჭიროება შეფასების დაწყებამდე თუ მისი დასრულების შემდეგ; მონაცემების შედეგების შეფასების საჭიროება და ა.შ;

- შეირჩეს შესაფერისი საზომი ინსტრუმენტები პროგრამის მიზნებსა და შედეგებს, ინსტრუმენტის სტილს, შინაარსსა და გამოსაყენებელ საგნებს შორის კავშირის დადგენის მიზნით;
- დადგინდეს ინფორმაციის წყაროები, შეგროვდეს და გაანალიზდეს მონაცემები;
- მოხდეს დასკვნების გამოტანა დაგეგმილი და დაუგეგმავი მიღწევის დონეების შესახებ და შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები.

პროგრამული ბიუჯეტი თავისი ინდიკატორებით უნდა იყოს აუდიტორის ამოსავალი დოკუმენტი, ხოლო ეფექტიანობის აუდიტორები საკუთარი გამოცდილების დეტალიზებას ე.წ. პრაქტიკის შენიშვნებით უნდა ახდენდნენ.

ვთქვათ, გვაინტერესებს რამდენი იხარჯება მუნიციპალიტეტებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დასაფინანსებლად? ეს მონაცემი პროგრამული ბიუჯეტის საშუალებით ყოველ წელს გვეცოდინება, ხოლო ეფექტიანობის აუდიტი წლების მიხედვით შეაფასებს მოცემული პროგრამის შედეგებს და ეფექტიანობას, და მოგვცემს პროგრამის ცვლილების ან უცვლელად გაგრძელების რეკომენდაციას. სწორედ ეფექტიანობის აუდიტმა და პროგრამათა შეფასებებმა უნდა განსაზღვროს, რამდენად კარგად ფუნქციონირებს პროგრამა და რა არის გასაკეთებელი მისი შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამათა შეფასება არის გამოკვლევის ფორმა, რომელიც საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს.

პროგრამათა შეფასების დროს უნდა დაისვას შემდეგი კითხვები:

- რამდენად კარგად ფუნქციონირებს პროგრამა და არსებობდა თუ არა ამ პროგრამის განხორციელების საჭიროება;
- პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებული იქნა თუ არა ყველა პირობა, რაც უზრუნველყოფდა პროგრამით განსაზღვრული მიზნების შესრულებას;
- გაწერილია თუ არა პროგრამის განხორციელების ყველა დეტალი და შესაბამისი შეფასების ინდიკატორები;
- რა უნდა გაკეთდეს პროგრამის შედეგების გასაუმჯობესებლად და როგორ განხორციელდეს პროგრამა უკეთესი შედეგის მისაღწევად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამების შეფასება არის პროგრამის არსისა და მისი მნიშვნელობის დადგენის მიზნით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სისტემურ კვლევაზე დაყრდნობით და ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებთ განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. ეფექტიანიანობის აუდიტორებმა პროგრამების შეფასების პროცესში უნდა შეიმუშაონ ისეთი მიდგომები, რომელთა დახმარებითაც შეისწავლიან მოთხოვნილებებს და შეფასებითი კვლევის საფუძველზე შეძლებენ პასუხი გასცენ დაინტერესებული პირების კითხვებს.

პროგრამები შეიძლება დაიგეგმოს რამდენიმე დონეზე: მეგადონეზე, მაკროდონეზე და მიკროდონეზე. მეგადონეზე პროგრამა იგეგმება სამთავრობო სტრუქტურების მიერ, რომლის მიზანია ერთიანი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების მოხდენა. მაკროდონეზე პროგრამა იგეგმება რომელიმე სტრუქტურის ქვედანაყოფის ან ცალკეული ჯგუფის მიერ. მიკროდონეზე კი პროგრამის დაგეგმვა ხდება იურიდიული ან ფიზიკური პირების მიერ [37, გვ. 11].

ყველა დონის პროგრამების შეფასების მიზანია დაინტერესებული მხარეებისათვის ისეთ საკითხებში გარკვევა, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია, ხოლო პროგრამების შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვადასხვა მიდგომები, სადაც გათვალისწინებული იქნება თითოეული მათგანის პროგრამული საჭიროება. ხშირია ბმულები მაკრო და მიკრო პროგრამებს შორის მიკრო პროგრამებით, რომლებიც ქმნიან მაკროეკონომიკის დონის პროგრამას. ასევე, სხვადასხვა დონის პროგრამების საქმიანობის შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს სხვადასხვა კითხვებს.

მეგაპროგრამები განსაზღვრავს სფეროს საქმიანობის მიმართულებებს და მათი შეფასება საკმაოდ რთულია, თუმცა აუცილებელი, რადგან სწორედ ამ დონეზე ვლინდება საბიუჯეტო რესურსების მიზნობრიობა და თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების პრაქტიკაში დანერგვა. რაც შეეხებათ მაკროპროგრამებს, იგი წარმოადგენს კონკრეტული საქმიანობის ერთობლიობას, სადაც არსებობს უფრო მჭიდრო კავშირი მიზნებს, განხორციელებულ საქმიანობასა და მიღებულ შედეგს შორის.

იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა პროგრამა, შემფასებელი თავად განსაზღვრავს შეფასების სიღრმეს და ხარისხს. ერთი ტიპის პროგრამებისათვის ყოველთვის ერთნაირი ტიპის შეფასება უნდა განხორციელდეს, თუმცა აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის თავისებურებები, რაც თითოეულ პროგრამას ახასიათებს და ყოველი შეფასების ფორმატი უნდა მოიცავდეს მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს პროგრამის ხასიათის გათვალისწინებით. გავლენათა შეფასებისას მთავარი საკითხია პროგრამის მიზნობრიობის განსაზღვრა, რაც გულისხმობს, იმას თუ რამდენად განაპირობებს ხარისხიანად შესრულებული სამუშაო სასურველ შედეგს. შემფასებლისათვის სირთულეს წარმოადგენს შეფასების დიზაინის სწორად შემუშავება იმ პროგრამებისათვის, რომლებსაც რამდენიმე კომპონენტი გააჩნია. ამ შემთხვევაში, თითოეული კომპონენტისა და მათი მახასიათებლების გამოვლენის გარდა, სასურველია რომ შემფასებელმა მოახდინოს ამ კომპონენტების როლის განსაზღვრა სასურველი შედეგის მისაღწევად [2, გვ. 12-13].

პროგრამათა შეფასების მხრივ მრავალწლიანი გამოცდილება აქვს აშშ-ის მთავრობის სააღრიცხვო ოფისს

(GAO/GGD-98-26), სადაც ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში პროგრამათა შეფასების ოთხი გავრცელებული ტიპი გამოიყოფა [3, გვ. 5]:

1. პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასება - ამ ტიპის შეფასებისას კეთდება პროგრამის მიმდინარეობის დაგეგმილ პროცესებთან შედარების ანალიზი. ის აფასებს პროგრამის ღონისძიებების შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, პროგრამის დასახულ გეგმასა და პროფესიულ სტანდარტებთან. ძალიან მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნებს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

2. პროგრამის შედეგების შეფასება - ამ შემთხვევაში ფასდება, რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. ყურადღებას ამახვილებს შუალედურ და საბოლოო შედეგებზე, ასევე მისი საშუალებით შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროცესების შეფასება, იმის გასაგებად თუ როგორ იქნა მიღებული საბოლოო შედეგი.

3. პროგრამის გავლენის შეფასება - ამ შემთხვევაში ხდება პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგებისა და პროგრამის განხორციელების გარეშე პოტენციურად დამდგარი შედეგების შედარება. ამ მეთოდის გამოიყენება, მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც არსებობს გარე ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა საბოლოო შედეგებზე.

4. დანახარჯების-სარგებლიანობის და დანახარჯების ეფექტიანობის ანალიზი - ამ შემთხვევაში პროგრამის შედეგების შედარება ხორციელდება ამ შედეგის მისაღებად დახარჯულ რესურსებთან ანუ ფასდება თითოეული მიზნის მისაღწევად დახარჯული რესურსების ოდენობა, შესაბამისად, შესაძლებელია, იმ პროგრამის შერჩევა, რომელიც ყველაზე ნაკლები დანახარჯებით აღწევს დასახულ მიზანს. დანახარჯებისა და შედეგების ანალიზი გამიზნულია ყველა მნიშვნელოვანი დანახარჯისა და შემოსავლის შეფასებისთვის.

ეფექტიანობის აუდიტის შესახებ სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ მუნიციპალური ხარჯების ეფექტიანობის აუდიტი, როგორც ფინანსური კონტროლის ახალი მეთოდი, საშუალებას გვაძლევს კრიტერიუმების შესრულების მაჩვენებლების დახმარებით შევაფასოთ ფინანსური რესურსების მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის ეფექტიანობა ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზზე დაყრდნობით, ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებების გასაუმჯობესებლად მოხდეს ორგანიზაციული შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ღონისძიებების გატარებისთვის უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ ბიუჯეტის ფინანსური რესურსების გამოყენებას ეკონომიკური და სოციალური შედეგების მისაღებად.

ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსურ აუდიტთან შედარებით, საშუალებას გვაძლევს მივიღოთ რესურსების გამოყენების უფრო სრულყოფილი და ხარისხობრივად განსხვავებული სურათი. ეფექტიანობის აუდიტის დანერგვა გარკვეულწილად რევოლუციური გადატრიალებაა ფინანსური კონტროლის სისტემაში. მას აქვს კონტროლის სხვა საგანი, ვინაიდან საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიზანმიმართული აუდიტის გარდა მოწმდება ის თუ რამდენად ეფექტიანად მოხდა ამ სახსრების გამოყენება და მზადდება დასკვნა ხელისუფლების ორგანოების მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ.

ამრიგად, ჩნდება ფინანსური კონტროლის ეფექტიანობის კრიტერიუმების თეორიული გააზრების, კერძოდ კი ბიუჯეტის მიმღებთა პრაქტიკულ საქმიანობაში მათი გამოყენების მწვავე აუცილებლობა. ამისათვის საჭიროა ეფექტიანობის აუდიტის თეორიული და მეთოდური ასპექტების ადეკვატური განვითარება, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენების შეფასებისთვის კარგად დამკვიდრებული მეთოდოლოგიის მოძიება და შექმნა. ამ მეთოდების შემუშავებისას პრიორიტეტს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების გამოყენების ეფექტიანობის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების განსაზღვრა. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტერიუმები ეს ის ატრიბუტებია, რომელთა საფუძველზეც ხდება ანალიზის ობიექტის შეფასება, განსაზღვრა და კლასიფიკაცია.

საჯარო ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების შემუშავებისას - აუცილებელი პირობაა სოციალური სფეროს ფინანსური კონტროლის ეფექტიანობის ხარისხის პარამეტრების გაუმჯობესება. ჩვენ ვეთანხმებით ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებებს, რომლებიც იკვლევენ საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობისა და ეფექტიანობის სავარაუდო მაჩვენებლების გამოყენების საკითხს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეფექტიანობის აუდიტი შეიძლება დაიყოს დარგობრივ, ეკონომიკურ, სოციალურ, აბსოლუტურ, შედარებით, ხარისხობრივ და დინამიკურ მაჩვენებლებად.

1. დარგობრივ ინდიკატორებს შეუძლია შეაფასოს საბიუჯეტო მომსახურების ხარისხი შემდეგ პარამეტრებზე დაყრდნობით: საბიუჯეტო ორგანიზაციების პერსონალის დაკომპლექტების დონე და იმ თანამშრომლების პროფესიული კვალიფიკაციის დონე, რომლებიც მომსახურებას ეწევიან; მომსახურების მიწოდების პროცესის ხარისხი, მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიის სისწორე და მიზანშეწონილობა და ა.შ.
2. ეკონომიკური მაჩვენებლები გამოიყენება ანალიზის ჩატარების მიზნებისა და მეთოდების შესაბამისად, ხარჯების შემცირების მიმართულებით ეფექტიანობისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ანალიზის დროს ყველა ხარჯი განისაზღვრება საბიუჯეტო მომსახურების ერთი მომხმარებლის, ერთი შესრულებული ოპერაციის, ან დაგეგმილი საქმიანობის მიხედვით.

3. სოციალური მაჩვენებლები მთლიანი საზოგადოებისთვის ან მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფისთვის ასახავს საბოლოო სოციალურ ეფექტს, რომელთა შეფასებისთვის, გამოიყენება რაოდენობრივად გაზომვადი მაჩვენებლები.
4. აბსოლუტური მაჩვენებლები, ასახავს მიზნების მიღწევის ხარისხს ან დაგეგმილი შედეგების რაოდენობრივ ან ღირებულებით მაჩვენებლებს.
5. შედარებითი მაჩვენებლები, ასახავს მომსახურების ან პროდუქციის ერთეულზე გაწეულ ხარჯების მოცულობას. უპირველეს ყოვლისა, ამ მაჩვენებელმა უნდა დაადასტუროს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური გამოყენება, თუმცა საბიუჯეტო სახსრების ეკონომია ყოველთვის არ არის მათი გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი.
6. ეფექტიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია და ასახავს საბიუჯეტო სახსრების გამოყენებისას მუშაობის ხარისხს. საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ მოსახლეობისთვის გაწეული მომსახურების რაოდენობის, არამედ მათი საქმიანობის საბოლოო ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.
7. დინამიკური მაჩვენებლები - ეს არის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებელი, რომელთა ფართო გამოყენების პერსპექტივა დიდია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ეფექტიანობის აუდიტის შესრულებისას ის საჯარო სექტორის ინსტიტუტების ხარჯვის ეფექტიანობის თითქმის ერთადერთ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ასევე, აღიარებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, საერთაშორისო პრაქტიკაში შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სისტემებში ყველაზე აპრობირებულ მექანიზმს წარმოადგენს პროგრამის ეფექტიანობის მონიტორინგი შედეგების შეფასების ინდიკატორთა მეშვეობით.

ინდიკატორთა მეშვეობით საქმიანობის ეფექტიანობის მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს მართვის სტრატეგიულ მიდგომას, რომელიც საშუალებას აძლევს მმართველ რგოლს განახორციელოს საქმიანობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის რეგულარული შეფასება წინასწარ გაწერილი ინდიკატორებისა და მაჩვენებლების საშუალებით.

საერთაშორისო პრაქტიკაში, შედეგების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ინდიკატორები, რომლებიც შესაძლოა ზომავდეს პროგრამის განხორციელების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მახასიათებლებს. თავის მხრივ, ინდიკატორი შეიძლება მიზნად ისახავდეს შედეგების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას როგორც შიდა, ასევე გარე ანგარიშგებისათვის. საერთაშორისო გამოცდილებით, შედეგების შეფასების ინდიკატორები შეიძლება აფასებდეს [4, გვ. 72]:

- უწყების ფუნქციონირების/პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებულ რესურსებს (input);
- შუალედურ (output) და საბოლოო (outcome) შედეგებს;
- ეკონომიურობას/პროდუქტიულობას (efficiency) და ხარისხს (quality).

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის, მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებში პროგრამების/ქვეპროგრამების შესაფასებლად, ძირითადად გამოყენებულია რაოდენობრივი ინდიკატორები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში არ იძლევა მიღწეული შედეგების ეფექტიანობის, პროდუქტიულობის და ეკონომიურობის პრინციპებით შეფასების შესაძლებლობას. მიგვაჩნია, რომ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიაში მითითებულ იქნეს პროგრამების/ქვეპროგრამების საბოლოო ან შუალედური შედეგების შეფასებისათვის, ინდიკატორის რომელი ტიპის გამოყენება იქნება რეკომენდირებული. ასე მაგალითად, პროგრამების ფარგლებში საბოლოო შედეგების შეფასებისას გამოყენებული იქნეს ის ინდიკატორები, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული იქნება ეფექტიანობის შეფასებაზე, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში შუალედური შედეგების შეფასებისას - ის ინდიკატორები, რომელიც შეაფასებს ეკონომიურობასა და პროდუქტიულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, განახლდა კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ შედეგების შეფასების ინდიკატორები. მართალია არსებული კრიტერიუმები შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკაში ინდიკატორების შესაფასებლად გამოყენებულ SMART კრიტერიუმების სისტემას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ინდიკატორების შემუშავების მიმართულებით არსებულ მიდგომას, პროგრამის ეფექტიანობის შესაფასებლად, მიზანშეწონილია პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიაში შედეგების შეფასების ინდიკატორების კრიტერიუმებში გათვალისწინებულ იქნეს ინდიკატორების მთლიანი სისტემის კრიტერიუმებიც, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის ეფექტიანობის შეფასება ყველა მიმართულებით.

სწორედ, შედეგების შეფასებისას ინდიკატორების მთლიანი სისტემის კრიტერიუმების გამოყენებაზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის მოხსენებება და უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელოებში და რეკომენდაციას იძლევა, რომ ინდიკატორების მთლიანი სისტემის შესაფასებლად გამოყენებული იქნეს საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული FABRIC კრიტერიუმები [4, გვ. 80-81], რომელიც, ცალკეული ინდიკატორების კრიტერიუმებთან ერთად ინდიკატორების მთლიანი სისტემისთვის დამატებით მოთხოვნებს გან-

საზღვრავს. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ინდიკატორების დაბალანსებულობა, რომლის მიხედვითაც შედეგების შეფასების ინდიკატორების ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელია სისტემის დაბალანსებულობის საკითხი.

ასევე საინტერესოა, ავსტრალიის აუდიტის ოფისის მიერ შემუშავებული შეფასების ინდიკატორების კრიტერიუმთა სისტემა (იხ. სქემა). რომელიც განსაზღვრავს კრიტერიუმებს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ორგანიზაციის/პროგრამის შედეგების/ეფექტიანობის შეფასების მთლიანი სისტემის დონეზე.

*შეფასების ინდიკატორების კრიტერიუმთა სისტემა [5, გვ. 63]*

| | კრიტერიუმი | მახასიათებლები | განმარტება |
|---|---|---|---|
| ცალკეული ინდიკატორები | რელევანტური | ფოკუსირებული | ინდიკატორი იძლევა რელევანტურ ინფორმაციას პროგრამის მიზნებისა და დაგეგმილი შედეგის მიღწევის შესაფასებლად |
| | | გასაგები | ინდიკატორი გადმოსცემს ინფორმაციას ნათლად და ლაკონურად |
| | სანდო | გაზომვადი | ინდიკატორი იძლევა დროის სხვადასხვა პერიოდში შედეგების გაზომვისა და შედარების საშუალებას |
| | | ობიექტური | ინდიკატორი იძლევა შედეგების შეფასების ობიექტური ინტერპრეტაციის საშუალებას |
| ჯამური შეფასება | სრული | დაბალანსებული | ინდიკატორთა სისტემა იძლევა შედეგების შეფასების დაბალანსებულ სურათს, მათ შორის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებზე |
| | | კოლექტიური | ინდიკატორთა სისტემა ერთობლივად იძლევა დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევის სურათს |

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები ახალი არ არის საერთაშორისო პრაქტიკისთვის. თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო/ მუნიციპალური პროგრამები ხორციელდება, არსებობს ამ პროგრამების შეფასების მექანიზმებიც. საერთაშორისო პრაქტიკაში, ძირითადად ეფექტიანობის შეფასების მექანიზმის ორი მოდელია გავრცელებული: 1. შეფასებას ახორციელებს რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა და 2. შეფასებას სახელმწიფო დაკვეთით, ახორციელებს დამოუკიდებელი კვლევითი არასამთავრობო ორგანიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამოცდილება ორივე გზას იცნობს, სასურველია, შესაბამისი შეფასების მოდელი შეირჩეს საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ თუ საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები დაინერგება და მას დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციები განახორციელებენ, აღმასრულებელ ხელისუფლებას მიეცემა შესაძლებლობა, უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით, მიღებული შედეგების საფუძველზე დახვეწოს და გააუმჯობესოს მის მიერ განხორციელებული პროგრამები, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანობის აუდიტის პროცესში მნიშვნელოვანია, გამოყენებული იქნეს ისეთი მეთოდები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ როგორ შეიძლება ეფექტიანობის გაუმჯობესება და არაეფექტიანი ქმედებების თავიდან აცილება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს მმართველობითი რგოლის მიერ არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკს და ამავდროულად, აუდიტორებს დაეხმარება ორგანიზაციაში არსებული გარემოს სწორად შეაფასებაში, დასაბუთებული და არგუმენტირებული რეკომენდაციების მიცემაში, რომელთა მიზანია ეფექტიანი საჯარო მომსახურებისა და კარგი მმართველობის უზრუნველყოფა.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანობის აუდიტი საბიუჯეტო სახსრების მართვის პროცესში აუცილებელი და სასარგებლო ინსტრუმენტია, რომელიც გვეხმარება იმის დადგენაში თუ რა მუშაობს დაგეგმილი პროგრამების შესაბამისად და რა არა. ეფექტიანობის აუდიტის საშუალებით დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას, საბიუჯეტო სახსრების გამოყენების საფუძველზე მიღებული შედეგი დახარჯული ფულის შესაბამისია, თუ შესაძლებელი იყო ფულის დახარჯვა უფრო უკეთესი შედეგის მისაღწევად, ხოლო ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები განსაზღვრავს იმ ძირითად ცვლილებებს, რომელთა საშუალებითაც კონკრეტული პროგრამის/ ორგანიზაციის ფარგლებში შესაძლებელი იქნება საჯარო ფინანსების განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება.

## ლიტერატურა:

1. John M. Owen whith Patricia J. Rogers –"Program Evaluation Forms and Approaches".- London, 1999, - 312 p.
2. „Evaluation Guide", - Government of Western Australia 2015.- 66 p.
3. "PERFORMANCE MEASUREMENT AND EVALUATION (Definitions and Relationships)" (GAO/GGD-98-26)., United States General Accounting Office., 1998. - 5 p).
4. საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება",- თბ., 2015. - 108 გვ.
5. „The Australian Government Performance Measurement and Reporting Framework (Pilot Project to Audit Key Performance Indicators)", Australian National Audit Office., Commonwealth of Australia 2013.- 88p.


## The Role of Efficiency Audit in the Evaluation of Municipalities' Program Budget


***Maia Grdzelidze***

*Doctor of Business Administration*



Summary

An important element for ensuring efficient, productive and economical disposal of budget funds it is essential to implement program evaluation and result evaluation analyzing mechanism for Municipalities, to enforce role of efficiency audit in evaluation of program budget, which is oriented to evaluate results and activities to achieve that results, it supports to manage state finances more efficiently, with increased productivity.



***Key words:*** *Program evaluation mechanisms, result evaluation indicators, efficiency evaluation criteria.*

# ინკლუზიური ზრდის გამოწვევები მსოფლიოში და საქართველო

**ლელა გულედანი**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

*საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო დამყარებულია ეკონომიკაზე. მსოფლიო საერთაშორისო სისტემა ინტეგრირებულ კაპიტალისტურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც მიმართულია კაპიტალის დაგროვებისკენ.*

*მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და პროგნოზის მიხედვით კაპიტალიზმმა წარმატებას მატერიალური სიმდიდრის შექმნაში მიაღწია. გლობალურმა კაპიტალისტურმა სისტემამ არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა სახელმწიფოები, უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის იზრდება.*

*მიუხედავად იმისა რომ მსოფლიო ეკონომიკა ყოველწლიურად იზრდება, ეკონომიკური ზრდით გამოწვეული სარგებელი საზოგადოების ყველა წევრამდე ვერ მიდის. სწორედ ამიტომ, დღეს მსოფლიო გამოწვევაა - გლობალური ეკონომიკური ზრდა გახადოს უფრო ინკლუზიური.*

*უთანასწორობისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით და უფრო პროგრესული მომავლის ასაშენებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაანონსა მდგრადი განვითარების მიზნები, რომლის განხორციელება დაიწყო 2016 წლის 1 იანვარს და 2030 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა დასრულდეს. ძალიან ბევრი მიზანი ეხება ინკლუზიურ ზრდას და სოციალურ ინკლუზიას. საქართველო 2011 წლიდან შეუერთდა ზემოაღნიშნულ მსოფლიო მოძრაობას და დაანონსებული მიზნების განსახორციელებლად მთელი რიგი ვალდებულებებიც აიღო.*

*საქართველო საერთაშორისო უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო სახელმწიფოა. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ დაძლია სიღარიბე. ბოლო ათწლეულში, სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო წლებში მომხდარმა ეკონომიკურმა ძვრებმა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილამდე არ მიაღწია.*

*ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020“ აქტუალიზებულია ინკლუზიური ზრდის თემატიკა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის სწრაფ ზრდას უნდა მოჰყვეს უთანასწორობის შემცირება.*

*ინკლუზიური ზრდა მიზანშეწონილად მიიჩნევს ისეთ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების ფაქტორთა ფართო ჩართულობას, ანუ ზრდის პროცესში ღარიბთა ჩართულობის უზრუნველყოფით მომავალში გადასანაწილებელი თანხების შემცირებას ბიუჯეტში. თუმცა, დღევანდელი პოლიტიკა უთანასწორობის შემცირებას გადანაწილების გზით ცდილობს და არა პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობით, რაც არ არის ინკლუზიური ზრდის მეინსტრიმი.*

*ინდოელი ეკონომისტი ამარტია სენის მიდგომის თანახმად, განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ფართო დიალოგს, რომელშიც ექსპერტებისა და პოლიტიკოსების გარდა თავად ღარიბები და გარიყული ჯგუფები მიიღებენ მონაწილეობას. ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის შესაძლებლობების ზრდას, სადაც ადამიანს მიაღწიოს და შეინარჩუნოს მისთვის სასურველი ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობა და აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სასურველ საქმიანობაში. განვითარების პროცესს სენი, პირველ რიგში, ხედავს როგორც ღარიბების შესაძლებლობის ზრდას. დემოკრატიული პროცესის შედეგად უნდა მოხდეს შეთანხმება სხვადასხვა ჯგუფების პრიორიტეტებს შორის. სწორედ ეს კონსენსუსი უნდა დაედოს განვითარების პოლიტიკას.*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა; მდგრადი განვითარება; ინკლუზიური ზრდა; განვითარება.*

უკანასკნელი 40 წლის მანძილზე და განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან მიდის პროცესები, რომელთა შედეგადაც სოციალური ურთიერთობების პროცესში თანდათანობით მცირდება მანძილისა და საზღვრების არსებობის მნიშვნელობა. ადამიანები მრავალფეროვანი და კომპლექსური გზებით არიან ურთიერთკავშირში და ურთიერთქმედებენ, რაც სულ უფრო მეტად ხდება განპირობებული და ორგანიზებული„პლანეტარული„ერთობის მიერ. მსოფლიოში მიდის ტენდენციები, რომლის შედეგადაც სულ უფრო მცირდება საზღვრების ჩაკეტილობა სახელმწიფოთა შორის.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო დამყარებულია ეკონომიკაზე. მსოფლიო საერთაშორისო სისტემა ინტეგრირებულ კაპიტალისტურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც მიმართულია კაპიტალის დაგროვებისკენ. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას საფუძვლად უდევს ადამიანის სწრაფვა ძალაუფლების, საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებისკენ. ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ - მეწარმეები, რომლებშიც ეკონომიკური ძალაუფლების ნება-სურვილი განსაკუთრებით აშკარადაა გამოხატული.

ეკონომიკური ევოლუცია სწორედ რომ ცალკეულ ადამიანებსა და მათ მრავალგვაროვან ჯგუფებს შორის ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის შედეგია. ცალკეულ ადამიანთა მსგავსად ტექნოლოგიური, ეკო-

ნომიკური ინსტიტუტები და ცივილიზაციები იბრძვიან ეკონომიკური ძალაუფლებისათვის და ეს ბრძოლა საფუძვლად უდევს ტექნოლოგიურ, ინსტიტუციონალურ და ცივილიზაციურ ევოლუციას. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება სტიმულირდება მუდმივი ბრძოლით სახელმწიფოსა და ბაზარს შორის, იმ პირთა ჯგუფებს შორის, რომლებიც ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ეყრდნობიან ამ ორ მთავარ ინსტიტუტს.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემა ურთიერთზეგავლენის მქონე და ნაწილობრივ თვითრეგულირებადი პროცესების ხლართად გადაიქცა, სადაც ძირითადი მოთამაშეები სახელმწიფოები, ტრანსეროვნული კორპორაციები, ტრანსეროვნული კაპიტალი, მსხვილი ქალაქები, ქვეყანათა ბლოკები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ოფშორები და ა.შ. არიან.

დღეს ეკონომიკურ წინამძღვრებს საერთაშორისო წარმოების ჩამოსაყალიბებლად ტრანსეროვნული კორპორაციები ქმნიან ერთიანი საბაზრო და საინფორმაციო სივრცით, კაპიტალის, სამუშაო ძალის, სამეცნიერო--ტექნიკური, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების საერთაშორისო ბაზრით. ისინი მსოფლიო სამრეწველო წარმოების დაახლოებით ნახევარს აკონტროლებენ. კაცობრიობის ძირითადი ინტელექტუალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები განვითარებულ ქვეყნებსა და მსხვილ ქალაქებში არის თავმოყრილი.

ევოლუციით ნაპოვნი მსოფლიო მოწყობა რაციონალურია კაცობრიობის შეზღუდული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდისათვის, თუმცა იგი სასტიკია სუსტების მიმართ.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და პროგნოზის მიხედვით კაპიტალიზმმა წარმატებას მატერიალური სიმდიდრის შექმნაში მიაღწია. გლობალურმა კაპიტალისტურმა სისტემამ არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა სახელმწიფოები, უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის იზრდება. საბაზრო ფუნდამენტალიზმი არ გამოხატავს ისეთ საერთო ინტერესებს და ფასეულობას როგორიცაა მშვიდობა, უსაფრთხოება, კანონი და წესრიგი, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და სოციალური სამართლიანობა. ამჟამინდელი ტენდენციებით დისკრიმინაცია და უთანასწორობა კიდევ უფრო მატულობს მსოფლიოში.

მიუხედავად ფინანსური კრიზისისა მსოფლიო ეკონომიკა ყოველწლიურად იზრდება, 2010 - 5.4 %; 2011- 4.2%; 2012 – 3.4%; 2013 – 3.4%; 2014 – 3.4%; 2015 – 2.8%; 2016 – 2.4%; 2017 - 2.7%.[1] მაგრამ ეკონომიკური ზრდით გამოწვეული სარგებელი საზოგადოების ყველა წევრამდე ვერ მიდის. სწორედ ამიტომ, დღეს მსოფლიო გამოწვევაა გლობალური ეკონომიკური ზრდა გახადოს უფრო ინკლუზიური.

შემოსავლების უთონოსწორობის ზრდა მსოფლიო მკვლევარების აზრით წარმოადგენს ეკონომიკურ და სოციალურ დაავადებას, რომელიც ზიანს აყენებს მომავალ კეთილდღეობას. ეკონომიკურმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი სტანდარტების ფართო გაუმჯობესება და ამის მისაღწევად კონკრეტული პოლიტიკის გატარების სახელმძღვანელო პრინციპები უნდა შემუშავდეს. წარმატების შეფასების კრიტერიუმი და ეროვნული ეკონომიკის წარმოჩენის განმსაზღვრელი უნდა იყოს საცხოვრებელი სტანდარტების ფართომასშტაბიანი პროგრესი და არა მთლიანი შიდა პროდუქტი.

საჭიროა შემუშავდეს ინდიკატორების მაჩვენებლების უფრო ფართო სპექტრი, რათა პოლიტიკის შემქმნელებმა უკეთესად დაინახონ ნამდვილი სურათი, თუ როგორ ზიარდება ეკონომიკური ზრდის სარგებელი ყველაზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ინკლუზიის გლობალური გამოწვევების ინიციატივა შეიქმნა იმისათვის, რომ შემუშავდეს ამ საკითხზე საუკეთესო გადაწვეტილებები. მხედველობაშია პრაქტიკული იდეები, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ზრდას, ასევე ინკლუზიას. ეს ნიშნავს რომ ამ საკითხს უნდა შევხედოთ ფართო ობიექტივიდან და მის მიღმა უნდა დავტოვოთ ამ პრობლემების გადაჭრის ტრადიციული ეკონომიკური შეხედულებები. [2]

მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2015 წლიდან გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშთან ერთად, რომელსაც 1979 წლიდან ამზადებს, პირველად დაიწყო ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ანგარიშის მომზადება. [3] ეს ანგარიში წარმოადგენს გაზომვადი მაჩვენებლების სამუშო ჩარჩოს შვიდი პოლიტიკის მიმართულებით, რომელთაგან თითოეული მხარს უჭერს საფუძვლიან პროგრესს ცხოვრების დონის სტანდარტებში და საშუალებას იძლევა ქვეყნებმა გააცნობიერონ თავიანთი პოზიციები და ძალისხმევა ამ საკითხებზე სხვა ქვეყნებთან შედარებით.

უთანასწორობისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით და უფრო პროგრესული მომავლის ასაშენებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაანონსა მდგრადი განვითარების მიზნები.

დოკუმენტი, სათაურით - „ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია: მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 წლისთვის“, რომელიც 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანამ მიიღო, შედგება 17 მიზნისა და 169 ამოცანისგან.[4] ეს უპრეცენდენტო შეთანხმება სამ წლიანი გამჭვირვალე მონაწილეობრივი პროცესის შედეგია, სადაც ისმის ყველა დაინტერესებული მხარის და ადამიანის ხმა. ამ დოკუმენტმა მიიღო მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, პარლამენტარების და სხვა ადამიანების მხარდაჭერა. დოკუმენტში ასახული მოსაზრებები ეყრდნობა გამოკითხვას, რომელიც მსოფლიოს 88 ქვეყანაში ჩატარდა და მასში 5-მა მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ძალიან ბევრი მიზანი ეხება ინკლუზიურ ზრდას და სოციალურ ინკლუზიას. მე-8 მიზანი სპეციფიკურად მიმართულია ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისკენ, ხოლო მე -10 მიზანი ეხება უთანასწორობის შემცირებას, როგორც ქვეყნებს შიგნით ასევე ქვეყნებს შორის. [5]

ყველაზე უნიკალური ასპექტი ამ მიზნების არის ის, რომ გლობალური მიზნების შესრულებაში მონაწილეობს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, მაინც არ არსებობს საერთაშორისო დონეზე აღიარებული პოლიტიკის სამუშაო ჩარჩო ქვეყნებისათვის, რათა მიღწეულ იქნეს უფრო მეტი სოციალური ინკლუზია და ეკონომიკური განვითარება.

2030 წლის დღის წესრიგი არის ძალიან ამბიციური გლობალური გეგმა, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუკი მთავრობები, მოქალაქეები, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციები შეძლებენ პარტნიორობას, ერთობლივ მუშაობას და უზრუნველყოფენ ყველა მხარის ჩართულობას გამონაკლისის გარეშე. ამ გლობალური მიზნების მისაღწევად, აუცილებელია გამოვიყენოთ ის პლატფორმები, რომლებიც აძლიერებენ მოქალაქეებს და ხელს უწყობენ ღიაობას, გამჭვირვალობას და კეთილდღეობას, ისე როგორც ამას უზრუნველყოფს ღია მმართველობის პარტნიორობა.

27 სექტემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცებიდან ორ დღეში, ღია მმართველობის პარტნიორობის მმართველი კომიტეტის 11-მა ქვეყანამ შეიმუშავა და მიიღო დეკლარაცია სახელწოდებით - „ღია მმართველობა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისთვის“. ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP – Open Government Partnership) ამერიკის შეერთებული შტატების და ბრაზილიის პრეზიდენტების ერთობლივი ინიციატივის შედეგად 2011 წლის 20 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის შეხვედრის ფარგლებში დაფუძნდა. [6]

OGP არის ერთგვარი მზა-პლატფორმა, რომელსაც ეროვნული სამოქმედო გეგმებით შეუძლია ქვეყნებს დაეხმაროს მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტიან განხორციელებაში. აღნიშნული გეგმები ხელს უწყობს ღია მმართველობას საჯარო ვალდებულებების აღებით მის 75 წევრ ქვეყანაში. მთავრობები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თანხმდებიან, გააუმჯობესონ საჯარო თანამონაწილეობა, ინფორმაციის თავისუფლება, საბიუჯეტო და ბუნებრივი რესურსების გამჭვირვალობა, საჯარო სერვისების მიწოდება და მონაცემთა ღიაობა.

საქართველო პარტნიორობას 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა და მალევე შეუდგა სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საკუთარი წევრობის დასაწყისშივე საქართველომ OGP-ის 75 წევრ ქვეყანას შორის მიიღო ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (15 ქულა მაქსიმალური 16-დან) ბიუჯეტის გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების კუთხით.

მიუხედავად ამისა, საქართველომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტში, რაც ხაზს უსვამს მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროებას.

საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულებად აიღო სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა, ისევე როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება, სახელმწიფო სერვისებისა და საჯარო სექტორში ანტიკორუფციული სისტემის გაუმჯობესება. [7]

7 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების ორივე შტომ - აღმასრულებელმა და საკანონმდებლომ, განახორციელა რამდენიმე სამოქმედო გეგმა. 2014 წლის სექტემბერში საქართველო ორი წლით იქნა არჩეული OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად, 2016 წელს - გახდა OGP-ს თანათავმჯდომარე სახელმწიფო, 2017 წლის ოქტომბრიდან, საქართველო წამყვანი თანათავმჯდომარე გახდა ერთი წლის ვადით, ხოლო 2018 წლის 16 ივლისს საქართველომ, საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს ორგანიზებით უმასპინძლა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) გლობალურ სამიტს „ღია პარლამენტი“. [8]

საქართველოს საპარლამენტო ღიაობის მიზანია პარლამენტის საქმიანობის ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდა და საკანონმდებლო პროცესებში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. [9]

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობამ აამოქმედა პეტიციების ელექტრონული პორტალი. პორტალით სარგებლობის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილება მთავრობამ 2017 წლის 18 მაისს გამოაქვეყნა. პორტალის გამოყენებით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლება ელექტრონული პეტიციის შექმნა, ხელმოწერების მოგროვება და საკმარისი ხელმოწერის მოგროვების შემთხვევაში, მისი მთავრობისთვის გაგზავნა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობას უჩნდება ვალდებულება უპასუხოს პეტიციას და ეს პასუხი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს პეტიციების ელექტრონულ პორტალზე.

OGP-ის თანათავმჯდომარე ქვეყნის სტატუსი საქართველოს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევს დაგროვილი ცოდნა გაუზიაროს OGP-ის წევრ თუ არაწევრ ქვეყნებს და ხელი შეუწყოს სხვადასხვა სფეროში მთავრობათა შორის ერთობლივი მიზნების გაჩენას.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში, საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხების აქტუალიზაცია. საქართველომ ფუნდამენტურად რომ გააუმჯობესოს ეკონომიკური მმართველობა, ძლიერი საქართველოსთვის და მომავალი წარმატებისთვის საჭიროა უფრო მეტი თანამშრომლობა საზოგადოებასთან, ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ადამიანებს საზოგადოებაში.

საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ხშირ შემთხვევებში არათანმიმდევრული და სპონტანური იყო. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველი რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ დაძლია სიღარიბე. ბოლო ათწლეულში, სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა.

საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორო სახელმწიფოა, რაც იმის ნიშანია, რომ ბოლო წლებში მომხდარმა ეკონომიკურმა ძვრებმა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილამდე არ მიაღწია.

ეკონომიკური კონკურენციის არარსებობის პირობებში, თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებული სარგებელი საზოგადოების მხოლოდ კონკრეტულმა ჯგუფებმა მოიხვეჭეს და შედეგად, ამ სტრატეგიამ ხელი ვერ შეუწყო ეკონომიკური სიმდიდრის შექმნას. საჯარო ინვესტიციების ტრანსფერი ადამიანურ კაპიტალსა და ტექნოლოგიებში არ იყო საკმარისი, თავისუფალმა ბაზრებმა კი ამ უკმარისობის აღმოფხვრა ვერ უზრუნველყვეს.

ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020" აქტუალიზებულია ინკლუზიური ზრდის თემატიკა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის სწრაფ ზრდას უნდა მოჰყვეს უთანასწორობის შემცირება. [10]

ინკლუზიური ზრდა მიზანშეწონილად მიიჩნევს ისეთ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების ფაქტორთა ფართო ჩართულობას ზრდაში. ინკლუზიური ზრდა, ზრდის პროცესში ღარიბთა ჩართულობით უზრუნველყოფს მომავალში გადასანაწილებელი ხარჯების შემცირებას და ბიუჯეტის მდგრადობას სოციალური სახის ხარჯების გაწევასთან მიმართებაში. თუმცა თანდათან უფრო სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ბიუჯეტი სიღარიბის დაძლევის ფარდობითი მიდგომის შთაბეჭდილებას ტოვებს (ანუ უთანასწორობის შემცირება გადანაწილების გზით და არა პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობით), რაც არ არის ინკლუზიური ზრდის მეინსტრიმი.

აღსანიშნავია, რომ განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"-ში „ინკლუზიური ზრდის" ნეოლიბერალური ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი. დიალოგის გასაფართოებლად განვითარების ალტერნატიული ხედვების შეთავაზება და განხილვა არის საჭირო. ასეთ ხედვას ბრიტანელ-ინდოელი ეკონომისტის, ამარტია სენის, შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომა (Capability Approach) გვთავაზობს. ამ მიდგომის თანახმად, განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ფართო დიალოგს, რომელშიც ექსპერტების და პოლიტიკოსების გარდა, ღარიბები და სხვა გარიყული ჯგუფების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. [11]

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მოსაზრების თანახმად, ინკლუზიური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს:

- ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას;
- ზრდის შედეგების რაც შეიძლება უფრო ფართო განაწილებას.

პრიორიტეტი ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში კი - ადამიანური რესურსების - მაქსიმალურ ათვისებას უწყობს ხელს. ინკლუზიური განვითარების მოდელი განსხვავდება ე.წ. ღარიბებზე ორიენტირებული ზრდის მოდელისგან. მთავარი განსხვავება ეკონომიკური ზრდისთვის პრიორიტეტის მინიჭებაში მდგომარეობს, მაშინ, როდესაც ღარიბებზე ორიენტირებული ზრდის მოდელი რედისტრიბუციის და ზრდის იმპერატივების შეთანხმებას ცდილობს.

ინკლუზიური ზრდის მომხრეებისგან განსხვავებით, შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომის მომხრეები ყურადღებას ადამიანების შესაძლებლობების ზრდაზე ამახვილებენ. საუბარია ორი ტიპის შესაძლებლობაზე:

ა) შესაძლებლობაზე მიაღწიო და შეინარჩუნო შენთვის სასურველი ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობა;

ბ) შესაძლებლობაზე ჩაერთო სასურველ საქმიანობაში.

შესაძლებლობების განსახორციელებლად, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს სხვადასხვა რესურსები სჭირდებათ. საჭირო რესურსები განსხვავდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი თვალსაზრისით. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის, განსხვავება სასტარტო პირობებში, განსხვავება ცხოვრებისეულ მიზნებსა და პრიორიტეტებში და განსხვავება ე.წ. „გამოყენების ფუნქციის" თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი ცნება სხვადასხვა ადამიანებს შორის ერთი და იმავე რაოდენობის და სახის რესურსების ათვისების განსხვავებულ უნარზე მიუთითებს.

განვითარების პროცესს სენი პირველ რიგში ხედავს, როგორც ღარიბების შესაძლებლობის ზრდას. დემოკრატიული პროცესის შედეგად უნდა მოხდეს შეთანხმება სხვადასხვა ჯგუფების პრიორიტეტებს შორის. სწორედ ეს კონსესუსი უნდა დაედოს საფუძვლად განვითარების პოლიტიკას.

კონცეფცია, რომელსაც „საქართველო 2020" ეფუძნება, შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. „საქართველო 2020" ეფუძნება აზრს, რომ განვითარება შეგვიძლია გავაიგივოთ ეკონომიკურ ზრდასთან, ხოლო ზრდასთან დაკავშირებული პრობლემები იმ ტიპის პრობლემებს

მიეკუთვნება, რომელთა გადაწყვეტა ეკონომიკური მეცნიერების სტანდარტული ინსტრუმენტების დახმარებით არის შესაძლებელი.

ამის საპირისპიროდ, სენი გვთავაზობს განვითარების არადეტერმინისტულ, დიალოგზე დაფუძნებულ ხედვას. ამ ხედვის თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დიალოგში ღარიბების და სხვა გარიყული ჯგუფების მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველო 2020"-ის დამტკიცებას წინ საზოგადოებრივი განხილვის პროცესი უძღოდა, ამ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება ძირითადად ეკონომიკურმა ექსპერტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეძლეს. მათ მიერ დასახული პრობლემები და დაძლევის გზები არ ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ხედვებს. აღსანიშნავია, რომ არც მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს საზოგადოების გარიყული ჯგუფების მონაწილეობას.

სენის მიხედვით, შეუძლებელია განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა ფართო საზოგადოებრივი დიალოგის გარეშე.

დიალოგი განვითარების პოლიტიკის შესახებ უნდა დაეფუძნოს კვლევას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები. მხედველობაშია წარსულში ჩატარებული და მიმდინარე მასობრივი გამოკითხვები და შინამეურნეობების კვლევების მონაცემები. თვისებრივ კვლევებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრებისეული პრიორიტეტებისა და შეხედულებების შესახებ უნდა იყოს გამოკითხვები.

განვითარების პოლიტიკის შესახებ გამართულ დიალოგში სახელმწიფომ, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშონ. განხილვებში სხვადასხვა შეხედულების მქონე ექსპერტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში უნდა მოხდეს დისკუსიების ორგანიზება. ასეთი დისკუსიები საჯარო განხილვების უკვე გამოცდილ მეთოდოლოგიებს უნდა დაეფუძნოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს გარიყული ჯგუფების წარმომადგენლების მონაწილეობას.

## ლიტერატურა:


1. International Monetary Fund World Economic Outlook, "Subdued Demand – Symptoms and Remedies" (October 2016): 19;
2. https://www.weforum.org/projects/inclusive-growth-and-development;
3. The Inclusive Growth and Development Report 2017. World economic forum, Geneva;
4. Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015. United Nations. General assembly. Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development;
5. Sustainable Development Goals: goal 8, goal 10;
6. https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP_annual-report_2016.pdf;
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება #539 ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
8. 2013 წლის მთავრობის 9 ივლისის №775 განკარგულება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ"
9. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2017-2018
10. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის #400 დადგენილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის
11. „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე
12. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ელექტრონული რესურსები. ამარტია სენი - განვითარება როგორც თავისუფლება და უფლებების დაცვაზე დაფუძნებული განვითარება;


## Inclusive Growth Challenges in the World and in Georgia


***Lela Guledani***

*Doctoral student*

*Tbilisi State University*



S u m m a r y

Every sphere of public life is based on the economy. The global international system is an integrated capitalist system that aims to accumulate capital.

Analyzing and forecasting the ongoing processes in the world, capitalism has succeeded in creating material wealth. The global capitalist system has put the states in unequal position, gap between the rich and the poor is

growing.

While the world economy is growing annually, the benefits of economic growth can not go to all members of society. That's why today's global challenge is to make global economic growth more inclusive.

In order to eradicate inequality and poverty, to reduce adverse environmental impacts and to build a more progressive future, the United Nations Organization has announced the sustainable development goals initiated on 1 January 2016 and ending December 31, 2030. A lot of goals are about inclusive growth and social inclusion. Since 2011 Georgia has joined the world and has taken a number of commitments to implement the announced goals.

Georgia is one of the most unequal states in terms of international inequality. Despite the fact that in the last few years there has been a high growth rate of economic growth, the result of economic growth can not overcome poverty. In the last decade, poverty levels have not changed much, which means that the economic shifts in recent years have not reached significant part of the population of Georgia.

In the strategic document of Economic Policy "Georgia 2020" is activated the subject of inclusive growth, according to which the rapid growth of the economy should lead to a reduction in inequality.

Inclusive growth is considered to be a social policy that will facilitate the broader involvement of production factors, the reduction of funds transferable in the budget by ensuring the involvement of the poor in the process of growth in the future. However, today's policy seeks to reduce the inequality by redistribution, not by supporting productive employment, which is not an inclusive growth mainstream.

According to Indian Economist Amartya Sen's approach, development policy should be based on a broader dialogue, in which the poor and excluded groups will be participating, except experts and politicians. This model focuses on the development of human capacities, where people have the ability to achieve and maintain the desired physical or spiritual condition and have the opportunity to engage in the desired activity. The development process is first seen as the growth of the poor. As a result of democratic process, agreement between different groups of priorities should be taken. This consensus should be base of the development policy.

***Key Words***: *Economic Growth; Sustainable Development; Inclusive Development; Development.*

# Особенности инновационной ориентированности национальной экономики в условиях глобализации

**Доц. Гурбанов Н.Г.,**
**доц. Гушхани Р.Н.,**
**доц. Гусейнова Ш.А.**
*(Азербайджанский Государственный Экономический Университет,*
*кафедра «Экономика» Русской Экономической Школы)*

Экономическое развитие каждой страны, в том числе имеющей древнейшие исторические корни, но современной и относительно молодой Азербайджанской Республики строится на фундаменте свершений прошлых поколений, их достижений и неудач. Следовательно, истоки нынешнего состояния национальной экономики нашей страны необходимо искать в ее отдаленном и ближайшем прошлом. Они же могут подсказать варианты разрешения накопившихся в общественной жизни социальных и прочих проблем.

В целом становление современного Азербайджана можно условно разбить на следующие этапы:

Периодыпребывания в составе Персидской империи и после заключения 10 (22) февраля 1828 года Туркменчайского мирного договора между Ираном и Россией, на основе которого былаотторжена значительная частьтерритории Азербайджана.Южная часть этих территорий отошла к Ирану,западная -к Армении, северная вместе с городом Дербент отошли к Российской империи.

Период пребывания в составеРоссийской империи с 1828года по 1861год, т.е.до отмены крепостного права в России и захваченных им территориях, в том числе в Азербайджане.

Период интенсивного развития капитализма в уже Российском Азербайджане на базе добычи нефти в районе Апшеронского полуострова и городе Баку (с марта 1861 года до Октябрьской революции 1917 года).

Период перманентной смены власти в Азербайджане с ноября 1917 года по 28 апреля 1920 года. В этот период всего менее чем за три года в г. Баку власть менялась пять раз.В те смутные времена люди больше думали о том, каксохранить собственную жизнь, уберечь родных и трудно нажитое имущество, чем о развитии национальной экономики. Единственно заслуживающим внимания в истории тех времен- это прибытие военной помощи из братской Турции, изгнание ими англичан вместе с Бакинскими комиссарами.

Период военного захвата власти в городе Баку силами XI Красной армии со стороны большевиков и строительства социализма в течение более чем 70-ти лет с1920года по 1991 год.

Период начала войны со стороны армянских сепаратистов на основе территориальных притязаний на Карабахский регион. Именно в тот период были заложены основы искаженного и болезненного для экономики перехода от социализма к рыночным отношениям, т.е. к капиталистической системе хозяйствования.

Период повторного возвращения к власти общенационального лидера Азербайджана Г.А. Алиева (с июня 1993 года по настоящее время), благодаря усилиям и личному авторитету которого в стране были устранены основы начала гражданской войны, была достигнута договоренность между Арменией о прекращении огня и начала мирных переговоров по мирному разрешению Карабахской проблемы.

Попутно заметим, что в течение всей истории Азербайджана, уходящей за многие века до нашей эры, территория и численность населения неизменно непропорционально колебались. В особенности за последние примерно 200 лет наблюдалась тенденция всемерного сокращения хозяйственно – экономического пространства не только каждого азербайджанца, но и мусульман всего мира, вместе со всеми тюркскими народами.

Наверно нет особой необходимости вдаваться в исторические и политика - экономические подробности становления общественно- экономических систем и отношений в разные периоды истории страны. Однако заметим, что в течение всех сроков пребывания у власти незабвенного Г.А. Алиева экономика Азербайджана из года в год совершенствовалась и развивалась, а социально – экономическое положение населения неустанно улучшалось. После же его вторичного возвращения к власти в стране и начала реализации предложенной им нефтяной стратегии, положенной еще 20 сентября 1994 года подписанием так называемого «Контракта века» с участием одиннадцати крупных компаний, представляющих 8 экономически развитых стран мира, в Азербайджане наметились такие прорывы в развитии экономики страны, которые, несмотря на состояние войны с соседней Арменией, способствовали значительному улучшению социально – бытовых условий и качества жизни каждого азербайджанца, независимо от его веры и социального статуса.

В целях закрепления неотвратимости курса развития страны, нынешний президент страны И.Г.Алиев 16 марта 2016 года утвердил проект «Главных направлений стратегической дорожной карты по национальной экономике и основным секторам экономики» за № 1897. Как отмечено в постановлении, намеченные

стратегические дорожные карты охватывают всю национальную экономику и 11 направлений и сфер экономики, которые подлежат комплексному развитию под контролем Администрации Президента Азербайджанской Республики [1]. Конкретнее, отмеченные стратегические карты охватывают:

- - перспективы национальной экономики;
- - развитие нефтяной и газовой промышленности, включая химическую продукцию;
- - производство и переработку сельскохозяйственнойпродукции;
- - развитие тяжелой промышленности и машиностроения;
- - развитие индустрии специализированного туризма;
- - развитие логистики и торговли;
- - развитие жилищного строительства по приемлемой цене;
- - развитие профессионального образования и обучения;
- - развитие финансовых услуг;
- - развитие телекоммуникационных и информационных технологий;
- - развитие коммунальных услуг.

Реализация приведенных стратегических карт, охватывающих по мнению экспертов самые востребованные со стороны общества сферы национальной экономики и социального обеспечения населения страны, в финансово – инвестиционном плане не вызывают сомнения, т.к. они подкреплены государственными золото – валютными запасами, а также договорами на дальнейшую разработку добычи нефти и газа до 2050 года в месторождениях «Азери», «Чыраг» и «Гюнешли» такими компаниями как BP, Chevron, INPEX, Statoil и др. (всего 9), представляющими ведущие страны Западной Европы, США, Японии и т.п. За подписанием данного контракта страны – разработчики указанных месторождений, обязуются выдать Азербайджанской стороне бонус в размере 3,6 млрд. долл.США, который наверняка позволит продолжить комплексную реализацию упомянутой стратегическойдорожной карты, утвержденной президентом страны[2].

По мнению многих национальных и зарубежных экспертов, утверждение данных стратегических дорожных карт дало старт внедрению совершенно новой модели экономического развития. В частности, реализуемые до этого программы развития экономики осуществлялись на основе государственных проектов, которые ставили задачи достижения определенных целей в рамках соответствующих моделей. Нынешний жепереход от модели, опирающейся на ресурсы, на модель, основанную на повышение производительности интеллектуального и живого труда, а также на рациональное использование всего ресурсного потенциала страны в пределах конкретного пространстваи времени, никак не вписывается в рамки одной программы. Именно по этой причине, разработанные распоряжением президента И.Г. Алиева отмеченные основные направления стратегических дорожных карт, призваны дать «эффект локомотива», тянущего за собой все отрасли национальной экономики на основе прогрессивных инновационныхтехнологий производства и организации управлении с использованием достижений таких наук, как маркетинг и менеджмент.

В начале 90-х годов прошлого века, архитектор действующей модели экономического развития Азербайджана, общенациональный лидер Г.А. Алиев, учитывая тогдашнее состояние экономики и накопившиеся социальные проблемы, настоял на том, чтобы направлять имеющиеся доходы от продажи нефти и прочих сырьевых ресурсов на качественное улучшение производственной и социальной инфраструктуры.Именно благодаря его усилиям была создана реальная производственно- экономическая база для закрепления основ рыночных отношений, снижения уровня бедности, обеспечение экономической безопасности и укрепление государственного устройства, приведшие к обеспечению общественно – экономической и политической безопасности в стране. В результате этих и других мероприятий произошли серьезные сдвиги в социальной стратификации азербайджанского общества[3,4].* Так если, раньше наблюдалась «пирамидальная» модель социальной структуры населения, характерная для неразвитых и отсталых в промышленном отношении стран (рис.1), то в настоящее время наша страна перешла в число государств, в которых наблюдается «ромбовидная» структураобщества (рис.2).

---

* Социальная стратификация представляет собой выделение слоев в иерархической структуре общества. В коре данного понятия стоит слово *«страта», используемая в геологии для обозначения термина «пласт». На латыни же «srtatum" – слой, а "facio" – делаю.*




Рис.1. «Пирамидальная» модель социальной структуры населения




Рис.2. «Ромбовидная» структура общества

Однако быстро меняющейся реалии требуют адекватных изменений. Поэтому,происшедшие в мировой экономике события,выразившиеся в резком снижении цен на природные ресурсы и в особенности на нефть, вызвали необходимость переориентации и корректировки дальнейшего пути развития. Хотя наша страна и достигла к этому времени относительного уровня экономической безопасности по некоторым составляющим ее компонентам - энергетической,финансовой,продовольственной и транспортно-логической,нам необходимо было выбрать новую модель развития,которая была бы максимально приближена к инновационной. И в этой связи в стратегической дорожной карте даны комбинации экономических моделей,основанных на интенсификации труда и повышении производительности,как основ перехода в перспективе к инновационной модели. И что особо ценно они даны как на краткосрочный (до 2020 года) так и на среднесрочный (до2025 года) периоды,с перспективой подготовки перехода в результате к модели, основанной на инновативности.

Особо хотелось бы отметить указания на необходимость достижения в развитии человеческого капитала его соответствия современным требованиям и вызовам.Отличительной особенностью этих критериев первым долгом является усиление роли знаний,интеллекта и информации,как главных факторов обладания конкурентных преимуществ в острой борьбе в рыночных условиях. Стремление стать лучшими в обладании этими ресурсами приводит к существенным институциональным и организационным изменениям во всех сферах социально-экономической деятельности.Современные революционные изменения в компьютерных и информационных технологиях, либерализация, дерегулирование и глобализация экономики только усиливают этот процесс.Степень же готовности как отдельных людей так ицелых организаций отвечать этим требованиям зависят от их гибкостиисвоевременной приспособляемости и мобильности.В деятельности этих субъектов возникла необходимость накапливания,создания и рационального использования информации и знаний при бесконечном процессе самообучения и самосовершенствования.Теперь только те, кто делает это быстро и эффективно, способны победить. Иными словами,организации в конкурентной борьбедолжны приобретать характер интеллектуальных,для которых такого рода деятельность является смыслом и стилем их существования.Этот подход к выбору и разработке экономических моделей с некоторыми модификациями принят во многих передовых странах мира.

Это объясняется первым долгом тем ,что ныне только тот, кто владеет современной информацией и знаниями и умеет эффективно их использовать и создавать новое может стать “законодателем моды”.

Все это крайне важно для нашей страны. Это с одной стороны, подтверждается стратегией социально-экономического развития принятой в нашей стране, которая четко выражена в стратегической карте, одной из главных целей которой является использование всех возможностей и рычагов для дальнейшего развития интеллектуального человеческого капитала. С другой стороны, это подтверждают и условия современных мировых экономических кризисов, когда уменьшается роль сырьевых и производственных факторов с увеличением роли инновационных и креативных. В современных условиях резко возрастает роль университетов, которые часто отмечаются как высшая форма интеллектуальных организаций [5 ]. Здесь хотелось бы особо отметить существенные, а часто и революционные преобразования в системе образования в целом и в ряде вузов страны, направленные на достижение целей указанных в стратегической карте. В этой связи крайне ценно вспомнить предвидение известного отечественного ученого академика Р.А.Мехтиева, который отмечая несколько лет назад основные задачи, стоящие перед Азербайджаном, указал на необходимость интеллектуального прорыва в национальном развитии и его роли для определения стратегий

будущего развития в условиях интернационализации образования и глобальной конкуренции {6]. На сегодняшнем примере деятельности ведущих вузов страны и, в частности, Азербайджанского Государственного Экономического Университета (UNEC ) можно с гордостью говорить о наших пусть и скромных достижениях. Но это думается первые капли в будущем море. Нам еще многое надо сделать.

**Литература:**


1. "Azərbaycan Respublikasının Milli iqtisadiyyat perspektivi üzrə Strateji Yol Xəritəsi" Azərbaycan Respublikası Prezidentinin 2ü016-cı il 6 dekabr tarixli Fərmanı ilə təsdiq edilmişdir (azərtac.az).
2. www.intuit.ru
3. www.grandars.ru
4. Абдулина А.Н., Горчиков Н.Г. «Теория организаций», М.ИНФРА-2016, с.310
5. Mehtiyev R.Ə. "Fəlsəfə", "Şərq-Qərb" Bakı-2009 (rus dilində), s.375


## Peculiarities of Innovative Orientation of the National Economy in the Context of Globalization


*Assoc. Prof.* ***Gurbanov N.G.,***
*Assoc. Prof.* ***Gushkhani R.N.,***
*Assoc. Prof.* ***Huseynova S.A.***



S u m m a r y

The article talks about the modern features of the development of the economy in Azerbaijan Republic in the age of the globalization. In addition, the article shows the main stages and strategic directions of this development.

Meanwhile, it also investigates the features of social certification and outlines the increasing role of universities. Finally, concrete solutions on the studied problem are suggested.

# მენეჯერული აღრიცხვის სისტემის პრიორიტეტები

**ნაზი გვარამია**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია მენეჯერული აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები, განვითარების ტენდენციები, მიმოხილულია საერთაშორისო პრაქტიკა და შესაბამისად საქართველოში არსებული რეალობა. გაანალიზებულია მენეჯერული აღრიცხვის, როგორც დამოუკიდებელი ინფორმაციული სისტემის ფორმირების ეტაპები და მისი როლი კომპანიის მმართველობითი პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. მოცემულია მენეჯერული აღრიცხვის სისტემის პრიორიტეტები. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები.*

*საკვანძო სიტყვები: აღრიცხვა; სისტემა; პოლიტიკა; პრიორიტეტი.*

კომპანია იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი სუბიექტია, რომლის სამეწარმეო საქმიანობის ეფექტური მართვა სულ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული მისი ცალკეული ქვედანაყოფისა და სამსახურების ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე. თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ქართული კომპანიების მცირე ნაწილი თუ გამოირჩევა ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ისეთი მაღალი დონით, როდესაც მისი ინფორმაცია გამოყენებადია კომპანიის ოპერატიული მართვისა და ანალიზისათვის. დღეისათვის მხოლოდ ბანკები ადგენენ ბალანსს ყოველდღიურად, მათი საიმედობისა და ლიკვიდობის კონტროლის მიზნით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რთული საწარმოო სტრუქტურის მქონე კომპანიები რეალურად საჭიროებენ ოპერატიულ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილება დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ოპტიმიზაციისათვის. ხშირად კომპანიის განვითარებისა და ორგანიზაციისათვის ზედა დონის მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ემყარება არა სათანადო გათვლებს, არამედ ატარებს ინტუიციურ ხასიათს. კომპანიის ოპერატიული მართვისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია მოცემულია მმართველობითი აღრიცხვის სისტემაში, რომელსაც თვლიან ბუღალტრული პრაქტიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად.

დამოუკიდებელი ინფორმაციული სისტემის ფორმირების აუცილებლობის შესახებ პირველი მინიშნებები გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში. გ. მერსონის წიგნში "შრომის ნაყოფიერება, როგორც ოპერატიული სამუშაოსა და ხელფასის საფუძველი", მოცემულია პირველი ცდა საწარმოო დანახარჯების აღრიცხვის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფის შესახებ. მმართველობითი კონტროლის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულების შექმნის მეორე მნიშვნელოვან გარემოებად ითვლება აშშ-ში ბუღალტერთა ნაციონალური ასოციაციის დაფუძნება 1919 წ. დჯ. ი ნიკოლსონის ინიციატივით. ამ ასოციაციამ დიდი როლი ითამაშა აშშ-ში ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაში.

უკანასკნელ პერიოდში ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ბუღალტრული აღრიცხვა აქტიურად მონაწილეობს მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, ბუღალტერმა კი შეითავსა პროგნოზირება, დაგეგმვა, გადაწყვეტილებათა მიღება, მმართველობითი სამსახურების ინფორმაციათა კონტროლი, ანუ მას გაუჩნდა დამატებითი ფუნქციები მართვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში. პრაქტიკული ნაბიჯი მენეჯერული აღრიცხვის ჩამოყალიბების გზაზე იყო ერთიანი ბუღალტრული სამსახურიდან მმართველობითი (საკალკულაციო) ბუღალტერიის გამოყოფა. ორი დამოუკიდებელი (ფინანსური და მმართველობითი) ბუღალტერიის შექმნა პირველ რიგში დაკავშირებული იყო წარმოების გაფართოებასთან, მისი კონცენტრაციის ზრდასთან, კაპიტალის ცენტრალიზაციასთან, მსხვილი კომპანიების ფორმირებასთან და კომერციული საიდუმლოებების შენახვის აუცილებლობასთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ამერიკულ კაპიტალს, ამასთან ერთად აღიარება მოიპოვა ბუღალტრული აღრიცხვის ამერიკულმა მიდგომამ. თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა უმეტესობის აზრი შეჯერდა, რომ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მომცველ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც საინტერესოა კომპანიის მენეჯმენტისათვის, მივყავართ კომერციული საიდუმლოს დაცვის შესუსტებამდე. ეროვნული ანგარიშთა გეგმის შემდგომი განვითარება ორიენტირებული იყო ფინანსური ანგარიშგების შედგენის შესაძლებლობაზე და უმეტესწილად შემოიფარგლებოდა ფინანსური აღრიცხვით.

მენეჯერული აღრიცხვის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბება უკავშირდება ბუღალტერთა ამერიკულ ასოციაციას (American Accounting Association), რომელმაც 1972 წ. შეიმუშავა პროგრამა მმართველობით აღრიცხვაში დიპლომის მისაღებად ბუღალტერ-ანალიტიკოსის კვალიფიკაციით. იმავე წელს ბუღალტრული აღრიცხვა ოფიციალურად დაიყო ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად [3. გვ. 5].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შეცდომა იქნებოდა მენეჯერული აღრიცხვის სიახლედ მიღება ეროვნული ეკონომიკისათვის. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისსა და 30-იანი წლების ბოლოს ბუღალტრული

სამსახურების ფუნქციები გაცილებით ფართო იყო, ვინაიდან ბუღალტერი ასრულებდა როგორც სააღრიცხვო პროცედურებს, ასევე დაგეგმვისა და ანალიზის სამუშაოსაც. შემდგომ პერიოდში ცენტრალიზებული დაგეგმვის გამყარების პარალელურად მოხდა ბუღალტრული სამსახურების საგეგმო და ფინანსურ დანაყოფებად გამიჯვნა, რის შედეგადაც ბუღალტრის საქმიანობა ფაქტიურად გახდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფაქტების ბუღალტრული რეგისტრაცია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას უსაფუძვლოდ იქნა დაკნინებული დაგეგმვის მნიშვნელობა, მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყენებული ბიუჯეტირება გარკვეულწილად წარმოადგენს საწარმოო გეგმების შემუშავებას. ქართველი ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილი ფაქტორული ანალიზი, ასევე გამოიყენება მენეჯერულ აღრიცხვაში ფაქტიური მაჩვენებლების გეგმურისაგან გადახრის ანალიზისათვის. ამასთან, სამეურნეო აღრიცხვის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საწარმოო და არასაწარმოო ქვედანაყოფები, ხოლო შემოსავლის ობიექტს - მათ მიერ გამომუშავებული თანხები. ასეთი მიდგომა ემსახურება მენეჯერული აღრიცხვის ერთ-ერთ კონცეფციას – მართვა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით. მენეჯერული აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს კომპანიის დანახარჯებისა და თვითღირებულების კალკულაციის მეთოდოლოგიის შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ დირექტიულ ეკონომიკაში გამოყენებული მმართველობითი აღრიცხვის მეთოდები არ იძლეოდა საჭირო შედეგებს, ვინაიდან არ იყო საწარმოო დანახარჯების ეკონომიის გზით ინვესტირებული კაპიტალის უკუგებით დაინტერესებული მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობის პირობებში არის შესაძლებელი მართვის მეთოდებისა და მენეჯერული აღრიცხვის ერთიან სისტემაში ობიექტური ინტეგრირება.

მენეჯერული აღრიცხვის პრიორიტეტული საკითხებით დაკავებულია კომპანიის სხვადასხვა ქვედანაყოფი (ოპერატიული ანგარიშგების, ანალიზის, პროგნოზირების და სხვა). ინფორმაცია ხშირად მიმოფანტულია სხვადასხვა სამსახურებს შორის და საკმაოდ ძნელია მისი დროული და კომპლექსური გამოყენება. სერიოზული დაგვიანებით ტარდება მმართველობითი ანალიზი, მაშინ, როდესაც ფირმის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები უკვე ფორმირებულია და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობა უკვე აღარ არსებობს. ცალკეული ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის ანალიზი, როგორც წესი, იშვიათად კეთდება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც კომპანიები დამოუკიდებლები არიან თავიანთი საწარმოო პროგრამის, საწარმოო და სოციალური განვითარების გეგმების, ფასების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში, არსებითად იზრდება მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მათ მიერ მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, რადგან მათ სჭირდებათ უტყუარი ინფორმაცია კომპანიის როგორც საწარმოო, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება ბუღალტრული აღრიცხვა.

როგორც ცნობილია, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებმა და მათზე დაყრდნობით შედგენილმა ბუღალტრულმა (ფინანსურმა) ანგარიშგებამ უნდა ასახოს სამეურნეო სუბიექტის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის შედეგები ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების (სეგმენტური ბიზნესის) წვლილის გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული ინფორმაცია კი საწარმოო საქმიანობის მართვისათვის არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური, მმართველობითი და საგადასახდო აღრიცხვის საწყისი ბაზა ერთიდაიგივეა, სამეურნეო საქმიანობის ყოველი ფაქტი მათ მიერ კლასიფიცირდება და აისახება თავისებურად, აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის ეს სრულიად განსხვავებული მიმართულებები გამოირჩევა საკუთარი მიზნებით, საბოლოო შედეგების განზოგადების ფორმით და ინფორმაციის მომხმარებლებით, რამაც შესაბამისად განაპირობა სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად ბუღალტრული აღრიცხვის დაყოფა ფინანსურ, მმართველობით და საგადასახადო აღრიცხვად.

მენეჯერული აღრიცხვა ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოს მმართველობასა და სააღრიცხვო პროცესს და შესაბამისად იკვლევს კომპანიის და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფის (სეგმენტის), ანუ პასუხისმგებლობის ცენტრების სამეწარმეო საქმიანობას. ბიზნესის სეგმენტებს, რომელთაც იკვლევს მენეჯერული აღრიცხვა, შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული დამოუკიდებლობა ან შედიოდნენ სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებით კომპანიის შემადგენლობაში. პირველის მაგალითს წარმოადგენს ჰოლდინგი, რომელიც შედგება დედა კომპანიისა და მასზე დამოკიდებული შვილობილი კომპანიისაგან. ასეთ შემთხვევაში ყველა კომპანიისათვის ერთიანი მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შემოღება საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად წარვმართოთ სამეწარმეო საქმიანობა როგორც ცალკეულ საწარმოებში, ასევე მთელს ჰოლდინგში, უფრო ოპერატიულად მივიღოთ აუცილებელი ბუღალტრული ინფორმაცია ბიზნესში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების გათვალისწინებით და საბოლოოდ – თავი ავარიდოთ მცდარ მმართველობით გადაწყვეტილებებს. მეორე შემთხვევაში კი საუბარია ორგანიზაციაზე, რომელსაც აქვს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, მაგალითად სამშენებლო კომპანია, რომლის შემადგენლობაში შედის სამშენებლო--სამონტაჟო სამმართველოები; გამომცემლობა, რომელსაც აქვს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება და ა.შ. ყოველ ასეთ სტრუქტურულ დანაყოფს ჰყავს თავისი მენეჯერი.

მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყოფენ დანახარჯთა და პასუხისმგებლობის ცენტრებს. დანახარჯთა ცენტრი საწარმოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფია, სადაც არსებობს საწარმოო დანახარჯების ნორმირების, დაგეგმვის და აღრიცხვის საშუალება, მათი კონტროლის, მართვისა და შეფასების მიზნით. პასუხისმგებლობის ცენტრებში კი გამოყოფენ ოთხ ტიპს: **დანახარჯთა ცენტრი, შემოსავლების ცენტრი, მოგების ცენტრი, საინვესტიციო ცენტრი**[1. გვ. 20].

ხარჯების ასეთი კლასიფიკაციის აუცილებლობას საფუძვლად უდევს ეკონომიკური მიზანშეწონილობა და მენეჯმენტის მოთხოვნები. თითოეულ ცენტრში უნდა გაერთიანდეს ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირებული დანახარჯები. დანახარჯთა ცენტრების ფორმირება უნდა განხორციელდეს საწარმოს ორგანიზაციული თავისებურებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე; შემოსავლების ცენტრის მენეჯერი პასუხისმგებელია მიღებულ შემოსავლებზე და ატარებს პასუხისმგებლობას გაწეულ დანახარჯებზე; მოგების ცენტრი არის სეგმენტი, რომლის ხელმძღვანელი პასუხს აგებს საკუთარი ქვედანაყოფის როგორც შემოსავლებზე, ასევე დანახარჯებზე, შესაბამისად მოგების ცენტრის მენეჯერი გადაწყვეტილებას ღებულობს მოთხოვნილი რესურსების რაოდენობასა და მოსალოდნელი ამონაგების მოცულობაზე; უპირატესობის მიუხედავად, მოგების ცენტრები დაინტერესებული არ არიან მათთვის გამოყოფილი ინვესტიციების გამოყენებით. ამ ნაკლისაგან თავისუფალია საინვესტიციო ცენტრები – რომელთა მენეჯერები აკონტროლებენ არა მხოლოდ მათი ქვედანაყოფების შემოსავლებსა და დანახარჯებს, არამედ თვალყურს ადევნებენ მათში ინვესტირებული საშუალებების გამოყენების ეფექტურობასაც. საინვესტიციო ცენტრის საქმიანობა იზომება გამოყენებულ კაპიტალზე ამონაგებით.

საინვესტიციო ცენტრის ხელმძღვანელები, ყველა ზემოხსენებული ცენტრის პასუხისმგებლობასთან შედარებით, სარგებლობენ განსაკუთრებული უპირატესობით და შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებისას აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა. მათ დელეგირებული აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება ინვესტიციებთან დაკავშირებით, ანუ საწარმოს ხელმძღვანელების მიერ გამოყოფილი საშუალებები გადაანაწილონ შესაბამის პროექტებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოდ საინტერესოა როგორია თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებული რეალობა მენეჯერული აღრიცხვის კუთხით.

დღესდღეობით ქართული კომპანიები გამოიყენებენ აღრიცხვის ინტეგრირებულ სისტემას (ფინანსურ და მენეჯერულ აღრიცხვას), რასაც ცხადია, ახლავს თავისი უარყოფითი მხარეები.

როგორც ცნობილია, ორგანიზაციული სტრუქტურა მათ მენეჯერებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ხარისხთან მიმართებით, შეიძლება დაიყოს ცენტრალიზებულ ან დეცენტრალიზებულ ფორმად, რომელთაგან ცენტრალიზებულ ორგანიზაციებს აქვთ იერარქიული, პირამიდული სტრუქტურა, აგებული ფუნქციონალურ პრინციპებზე (ადმინისტრაცია, ფინანსები, მომარაგება, წარმოება, მომსახურება, მარკეტინგი და სხვა). მმართველობის ასეთი სისტემა თავისი არსით კონსერვატიულია და არ უზრუნველყოფს თანამშრომლების საქმიანობის თავისუფლებას. კვლევები გვიჩვენებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში მმართველობის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა, ზღუდავს შემსრულებელთა ინიციატივას, აფერხებს მმართველობის ოპერატიულობას. დეცენტრალიზებული მმართველობის მთავარ უპირატესობად გვევლინება პასუხისმგებლობის ცენტრის მენეჯერების თავისუფლება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, ვინაიდან ისინი უფრო ზუსტ და დეტალურ ინფორმაციას ფლობენ, რაც დადებითად მოქმედებს მენეჯმენტის ქვედა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლიანობასა და ოპერატიულობაზე. მიმდინარე მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლებულ საწარმოს ზედა დონის მენეჯმენტს კი საშუალება ეძლევა კონცენტრირება მოახდინოს პერსპექტიული ამოცანების გადაჭრაზე, სტრატეგიის შემუშავებაზე,

ჩვენი აზრით, მმართველობითი აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, ამ მიმართულებით დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართულ კომპანიებს თავიანთ საქმიანობაში, რაც თავის მხრივ იქნება მათი ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

## ლიტერატურა:


1. მიქაძე პ. მმართველობითი აღრიცხვა, დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 2000
2. ფინანსური ინფორმაცია მენეჯრებისათვის, ACCA სახელმძღვანელო (საერთაშორისო პრაქტიკა), თარგმანი ინგლისურიდან., თბ., ზაფ. 2003 წ.
3. ნ.ძიმცეიშვილი, მ.ნაჭყებია, ს.დათუაშვილი, გ.ზაქრაძე. მმართველობითი აღრიცხვა. თბ., 2009წ.
4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ჟურნ. „ბუღალტრული აღრიცხვა“, №2, გვ. 20-28, თბ., 2010 წ.

## Managerial Accounting System Priorities

***Nazi Gvaramia***
*Doctor of economics, Associated professor*
*Sukhumi state university*

S u m m a r y

Scientific paper represents the role of accounting and importance in the sphere of formation and execution of management policy of a company, key issues, which led to the dividing of accounting as a financial, managerial and tax registering. Discussion covers following topics: International practice of managerial accounting, The program, which is developed by the American Association of accountants (American Accounting Association), Several researches of modern scientists in the abovementioned sphere. Priority questions of managerial accounting are explicated, they are mostly important for the management of the company.

Functions of managers who are responsible for expenditure centers are represented in the work. On the base of carried out researches, the sentences of recommendation are offered in the conclusive part of the scientific paper, which in practice realization will importantly support Georgian Companies in their business, as an important guarantee of their effective functioning.

***Key words:*** *Accounting; system; politic; priorities.*

# საჯარო-კერძო პარტნიორობის პრაქტიკა და პერსპექტივები ინფრასტრუქტურულ პროექტებში

**თამარ დევიძე**
*ეად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**დავით შოშიტაშვილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

*მოცემული თემის ფარგლებში მიმოვიხილავთ საჯარო-კერძო პარტნიორობის ძირითად პრინციპებს და საქართველოში ამ მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს. ყურადღებას ვამახვილებთ ევროპის ქვეყნებში საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობით განხორციელებულ ისეთ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, როგორიცაა ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა. განვაზოგადებთ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის გამოცდილებას საქართველოში დაგეგმილი საგზაო ქსელის განვითარებისათვის.*

*საკვანძო სიტყვები: საჯარო-კერძო პარტნიორობა; ინფრასტრუქტურული პროექტები.*

საჯარო-კერძო პარტნიორობა გულისხმობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის გრძელვადიან თანამშრომლობას იურიდიული კონტრაქტის საფუძველზე. კონტრაქტს, ხშირ შემთხვევაში, „საპროექტო შეთანხმება“-ს უწოდებენ. პარტნიორობის ფარგლებში ხდება კერძო სექტორის ფულადი სახსრებისა და გამოცდილების გამოყენება საჯარო ინფრასტრუქტურისა თუ მომსახურების პროექტების განსახორციელებლად, რასაც ფულადი სახსრების და გამოცდილების გარდა სხვა მრავალი სარგებელიც მოაქვს.

პროექტის შედგენასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების ძირითად ნაწილს პროექტის პარტნიორი კერძო კომპანია ან კონსორციუმი იღებს საკუთარ თავზე, ხოლო მთავრობა იტოვებს იმ რისკებისა და პასუხისმგებლობის ტვირთს, რომლის მოგვარებაც სამთავრობო დონეზე უფრო ეფექტიანად და სწრაფადაა შესაძლებელი.

ხშირ შემთხვევაში კერძო სექტორს სამშენებლო და საექსპლუატაციო კომპანიების კონსორციუმი, მსესხებლებსა და ინვესტორებთან ერთად. როგორც წესი, კერძო სექტორის კონტრიბუციას, წარმოადგენს:

- ფინანსური მხარდაჭერა / რესურსი
- გამოცდილება
- ექსპერტიზა
- ტექნიკური ცოდნა
- ეფექტიანობა და სხვა პრაქტიკული სარგებელი

საჯარო სექტორის კონტრიბუციას წარმოადგენს:

- გარკვეული აქტივები (მაგ. არსებული გასაახლებელი ობიექტი ან მიწა ახალი პროექტისათვის)
- სუბსიდიები და / ან საგადასახადო შეღავათები
- უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი, კონტრაქტის ხანგრძლივობასა და შემოსავლის ნაკადს განსაზღვრავს პროექტი და გამოყენებული სტრუქტურა.

საჯარო-კერძო პარტნიორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია კონცესიური ხელშეკრულება. გარკვეული სახით კონცესიური ურთიერთობები უკვე არსებობდა შუა საუკუნეებშიც კი. თუმცა, საჯარო სექტორის სამუშაოების კერძო სექტორის სახსრებით დაფინანსების ფართოდ გამოყენების პრაქტიკა, უფრო ზუსტად კი - კერძო საფინანსო ინიციატივის ფარგლებში, შეიძლება ითქვას დაიწყო 1992 წელს გაერთიანებულ სამეფოში.

დღეს საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის აღნიშნულ ფორმატს სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნისთვის მოაქვს სარგებელი, რომლებიც გაერთიანებული სამეფოსა და სხვა ქვეყნების წარმატებულ მაგალითს აქტიურად იყენებენ.

საჯარო-კერძო პარტნიორობის ძირითადი პრინციპებია:

- აქტივების მეშვეობით მომსახურების მიწოდება;
- რისკების ეფექტიანი გადანაწილება;
- მიღწეული გაზომვადი შედეგების შესაბამისად გადახდების განხორციელება;
- ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯვა;
- გადასახდელი თანხის გადანაწილება კონტრაქტის სრულ ხანგრძლივობაზე / ვადაზე.

თანამშრომლობის აღნიშნული ფორმა ხელს უწყობს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების გადანაწილებას საჯარო და კერძო სექტორებს შორის და სახელმწიფოსა და ბიზნესის მიერ რესურ-

სების მობილიზებას, რითაც უფრო რეალური და მარტივი ხდება მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. ხელისუფლება განავითარებს შესაბამის კანონმდებლობასა და სისტემას საჯარო-კერძო პარტნიორობის გაფართოებისთვის. სისტემა ხელს შეუწყობს საქართველოში ინვესტიციების შემოდინებას და სახელმწიფოსა და ბიზნესის მიერ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების უფრო სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას.

პარტნიორობის მექანიზმები დამოკიდებულია შემდეგ მაჩვენებლებზე:

- კერძო სექტორისათვის საკუთრებაზე უფლებამოსილების მინიჭების ხანგრძლივობა;
- მხარეთა საინვესტიციო ვალდებულებანი;
- პარტნიორებს შორის რისკების განაწილების პრინციპები;
- პასუხისმგებლობა სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებაზე (მათ შორის მშენებლობა, ექსპლუატაცია და მართვა).

ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით პარტნიორობის შემდეგი მექანიზმები გამოიყოფა:

BOT (Build, Operate, Transfer - მშენებლობა, მართვა, გადაცემა) - ეს მექანიზმი ძირითადად კონცესიებში გამოიყენება. ობიექტი იქმნება კონცესიონერის ხარჯზე, რომელიც მშენებლობის დამთავრების შემდეგ იღებს აშენებული ობიექტის ექსპლუატაციის უფლებას იმ ვადით, რაც საკმარისია ჩადებული ინვესტიციის ამოსაღებად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ობიექტი სახელმწიფოს უბრუნდება. კონცესიონერი იღებს ობიექტის გამოყენების, მაგრამ არა ფლობის უფლებას, მფლობელად სახელმწიფო რჩება.

BOOT (Build, Own, Operate, Transfer - მშენებლობა, ფლობა, მართვა, გადაცემა) - ამ შემთხვევაში კერძო პარტნიორი იღებს არა მარტო გამოყენების, არამედ ობიექტის ფლობის უფლებამოსილებასაც შეთანხმების ვადის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგაც ის გადაეცემა საჯარო ხელისუფლებას.

"შებრუნებული" BOOT - ხელისუფლება აფინანსებს და აშენებს ობიექტს, შემდეგ კი სამართავად კერძო პარტნიორს მიანდობს, რომელიც სახელმწიფოსგან თანდათანობით გამოისყიდის აღნიშნულ ობიექტს და თავის საკუთრებად აქცევს.

BTO (Build, Transfer, Operate - მშენებლობა, გადაცემა, მართვა) - გულისხმობს სახელმწიფოსათვის ობიექტის მშენებლობის დამთავრებისთანავე გადაცემას. სახელმწიფოსათვის გადაცემის შემდეგ ობიექტი გამოსაყენებლად კერძო პარტნიორს გადაეცემა, თუმცა ფლობის უფლების გადაცემის გარეშე.

BOO (Build, Own, Operate - მშენებლობა, ფლობა, მართვა) - ობიექტი შეთანხმების ვადის ამოწურვის შემდეგ არ გადაეცემა საჯარო ხელისუფლებას, არამედ რჩება ინვესტორის განკარგულებაში.

BOMT (Build, Operate, Maintain, Transfer - მშენებლობა, მართვა, მომსახურება, გადაცემა) - სპეციალური აქცენტი კეთდება კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობაზე მის მიერ აგებული ობიექტების შენახვასა და მიმდინარე რემონტზე.

DBOOT (Desing, Build, Own, Operate, Transfer - პროექტირება, მშენებლობა, ფლობა, მართვა, გადაცემა) - თავისებურება მდგომარეობს კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობაში არა მარტო ობიექტის მშენებლობაზე, არამედ პროექტირებაზეც.

DBFO (Design, Build, Finance, Operate - პროექტირება, მშენებლობა, მართვა) - გარდა კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობისა პროექტირებაზე, სპეციალურად ხაზი ესმება მის პასუხისმგებლობას ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის დაფინანსებაზე.

მსოფლიოს მასშტაბით მრავალი პროექტი ხორციელდება საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმის გამოყენებით და ყველაზე მიმზიდველი ინფრასტრუქტურულ პროქტებს შორის არის ენერგეტიკა და გზები. აღნიშნული ტენდენცია ნათლად არის ასახული მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკაში [1] რომელსაც ასახავს ქვემოთ მოცემული გრაფიკი.



პირველად საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმის გამოყენება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. თუმცა, ევროპის უმეტეს ქვეყნებში მისი გამოყენება ჯერ კიდევ საწყის სტადიაზეა.

უნგრეთი წარმოადგენს ქვეყანას, სადაც საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმი ყველაზე აქტიურად გამოიყენება. აღნიშნული ნაწილობრივ განპირობებულია ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო დეფიციტით. უნგრეთში საჯარო-კერძო პარტნიორობის პროგრამები ძირითადად მოიცავენ შემდეგ პროექტებს:

- სტუდენტების საერთო საცხოვრებლები;
- სპორტული ინვენტარი;
- საგზაო და რკინიგზა;
- ციხეები;
- ნარჩენების გადამუშავება
- კანალიზაცია;
- ურბანული განვითარების პროექტები და სხვ.

პოლონეთში, 1990-იანი წლების დასაწყისში, საავტომობილო გზების ქსელი შეადგენდა მხოლოდ 199 კილომეტრს და არ არსებობდა არც ერთი ოთხზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალი ქვეყნის მასშტაბით. იმ დროისთვის ქვეყნის არაადექვატური საგზაო ქსელი აღიარებულ იქნა, როგორც ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი და მთავრობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ქვეყნის ჩქაროსნული მაგისტრალური ქსელის სწრაფ განვითარებაზე.

მიზნის მისაღწევად 1993 წელს პოლონეთის მთავრობამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც 2005 წლისთვის 2,600 კილომეტრიანი ჩქაროსნული მაგისტრალის ქსელი აშენდებოდა. ამ პროექტის ღირებულება 8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. ამ ამბიციური პროექტის განხორციელება გათვალისწინებული იყო საჯარო-კერძო პარტნიორობის დახმარებით [5].

პოლონეთში პირველი საჯარო-კერძო პარტნიორობის დახმარებით განხორციელებული ჩქაროსნული მაგისტრალის პროექტი იყო გზა A4, რომელიც სამხრეთ პოლონეთში ორ დიდ ქალაქს კრაკოვს და კატოვიცეს აკავშირებს.

აღნიშნული პროექტის პირველი ფაზა მოიცავდა არსებული გზატკეცილის ფართო რეაბილიტაციას და მის ფუნქციონირებას და მოვლას. ხელშეკრულება პროექტის განხორცოელებაზე 1997 წელს გაფორმდა და 2001 წლიდან ამოქმედდა გზის ეს მონაკვეთი. კერძო პარტნიორის ფინანსური ინტერესი მხოლოდ გზის სარგებლობით მიღებული გადასახადებით შემოიფარგლებოდა.

პოლონეთში კიდევ ერთი წარმატებული საჯარო-კერძო პარტნიორობით განხორციელებული საავტომობილო გზის პროექტია A2 ჩქაროსნილი მაგისტრალი, რომელიც ვარშავას პოზნანსა და გერმანიის საზღვართან აკავშირებს. 870 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით აღნიშნული ჩქაროსნული გზის მონაკვეთი არის პოლონეთში ყველაზე მსხვილი კერძო-პარტნიორობის სატრანსპორტო პროექტი.

A2-ის ჩქაროსნული მაგისტრალის 150 კმ მონაკვეთის მშენებლობა 2000 წელს გადაეცა კერძო კომპანიას ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებდა 40 - წლიანი საიჯარო ვადით გადაცემას და კერძო პარტნიორის მიერ გზით სარგებლობის გადასახადის დაწესებას. მშენებლობა დაიწყო 2001 წელს და ამჟამად ის ფუნქციონირებს. A1 საავტომობილო გზის მონაკვეთის (152 კმ), რომელიც აკავშირებს საპორტო ქალაქს გდანსკს ქ. ტორუნთან [7], მშენებლობა განხორციელდა საჯარო-კერძო პარტნიორობის კონტრაქტის გამოყენებით.

სლოვაკეთში საჯარო-კერძო პარტნიორობით განხორციელებული ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის მაგალითი საავტომობილო გზის D1 საპილოტე პროექტია. [6] მთავრობა გაკრიტიკებული იქნა, რადგანაც საავტომობილო გზის რამდენიმე მონაკვეთზე, რომელზეც იგეგმებოდა საჯარო-კერძო პარტნიორობის გამოყენება, სახელმწიფო ექსპერტიზის შეფასების ვალდებულება იქნა მოხსნილი.

ხორვატია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის გამოირჩევა, რადგანაც მიუხედავად მცირე ზომის ეკონომიკისა, დიდი რაოდენობა საჯარო-კერძო პარტნიორობით პროექტი განახორციელა.

ხორვატიამ საგზაო განვითარების სტრატეგიის შემუშავება 1990-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. იმ დროს, ქვეყანას ჰქონდა ფართო საზოგადოებრივი საავტომობილო ქსელი, თუმცა, ცუდი ხარისხის, რაც გამოწვეული იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში არასაკმარისი მომსახურების გაწევით. 2001 წელს მთავრობამ მიზნად დაისახა ხორვატიის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ქსელის სწრაფი რეაბილიტაცია და გაფართოება, მათ შორის ხორვატიის ძირითადი სატრანსპორტო დერეფნის. ამ მიზნის მისაღწევად, ხორვატიის მთავრობამ მიიღო კანონპროექტი - "საზოგადოებრივი გზების მშენებლობასა და მოვლა-პატრონობის" შესახებ, რომელშიც გზის ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის დაფინანსების ახალი მოდელი და ამ სექტორის მართვის ახალი სტრუქტურა იყო გათვალისწინებული. არსებული საავტომობილო ქსელის მენეჯმენტი სრულად უნდა დაფინანსებულიყო სახელმწიფოს მიერ, ხოლო ახალი ავტომაგისტრალების მშენებლობა და მართვა უნდა განხორციელებულიყო უცხოური გრძელვადიანი სესხებისა და კერძოს მონაწილეობით.

საქართველოში საჯარო-კერძო პარტნიორობას ჯერჯერობით მცირეა და არასტრუქტურირებული ხასიათისაა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლება მზაობას გამოხატავს და აქვს სურვილი ჩართოს კერძო სექტორი სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამ პროცესებს უფრო სისტემური ხასიათი მიეცეს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში მოხდა „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ კანონის [საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ [2] მიღება და, ამავდროულად, მიმდინარე წელს იგეგმება საჯარო-კერძო პარტნიორობის ერთეულის შექმნა, რომელიც შეაფასებს საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში პროექტებს და ხელს შეუწყობს პროექტების განხორციელებას.

აღნიშნული კუთხით მთავრობის ინტერესი ჯერ კიდევ 2014 წელს გაცხადდა, როდესაც საჯარო-კერძო პარტნიორობის პრიორიტეტულობა განისაზღვრა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“-ში [3]. სტრატეგიაში ცალსახად დაფიქსირდა, რომ საქართველოს მთავრობა გეგმავს შექმნას ეფექტიანი მექანიზმი საჯარო-კერძო პარტნიორობისთვის. ამ მექანიზმის შემოღების განსაკუთრებული მნიშვნელობა განისაზღვრა ინფრასტრუქტურის და ჰიდროენერგეტიკულ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

2 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტი [საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის დადგენილება №245, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე [4]. აღნიშნულ დოკუმენტში მთავრობის მიერ განისაზღვრა საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენება საჯარო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ყველა სექტორში.

ამავე დოკუმენტში დაფიქსირდა ის სექტორები, სადაც არსებობს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოტენციალი, ესენია:

- ტრანსპორტი (გზები/ხიდები და გვირაბები/აეროპორტები/პორტები/ სარკინიგზო ტრანსპორტი და სხვ.);
- სოციალური ინფრასტრუქტურა (ჯანდაცვა/განათლება/სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და სხვ.);
- კომუნალური მომსახურება (წყლის მიწოდება/გათბობა/ნარჩენები/ ელექტროენერგია/განახლებადი ენერგია და სხვ.);
- სხვა სექტორები (სასჯელაღსრულების დაწესებულებები/ტურიზმი/ სპორტული ინფრასტრუქტურა/-საინფორმაციო ტექნოლოგიები/სოფლის მეურნეობა).

სახელმწიფოს მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შესაძლო მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური თანამონაწილეობის და მისი ფორმების შესახებ, საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებას მიიღებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შეფასების საფუძველზე. მათ შორის, პროექტის არსისა და გამოსაყენებელი მოდელის გათვალისწინებით.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფინანსური მხარდაჭერა შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი ფორმებით:

- პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება ან თანადაფინანსება;
- სხვადასხვა არასაბიუჯეტო ფონდების ან/და სახელმწიფო უწყებების მიერ თანადაფინანსება;
- საბიუჯეტო გარანტიები;
- არასაბიუჯეტო გარანტიები/სახელშეკრულებო ვალდებულებები;
- სახელმწიფოს მიერ ნაკისრი რისკების დადგომის შემთხვევაში შესაბამისი საკომპენსაციო ანაზღაურება.

საქართველოს მთავრობა გეგმავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებში სახელმწიფოს ფინანსური მონაწილეობის ფორმებისა და მეთოდოლოგიის შესახებ რეგულაციის შემუშავებას.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შესაბამისი ინსტიტუციური სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ ფაზებს: იდენტიფიცირება, ფორმირება, შეფასება, დამტკიცება, დაფინანსება, მონიტორინგი.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ხელშეწყობისა და ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობა გეგმავს შესაბამისი პასუხისმგებელი ქვედანაყოფის ჩამოყალიბებას, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს მთავრობის წინაშე და შეასრულებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

## ლიტერატურა:


1. Private Participation in Infrastructure (PPI) Annual Report 2017, WB. http://ppi.worldbank.org/ppireport
2. საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ. წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4193442
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება №400, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855
4. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის დადგენილება №245, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/3298735
5. Public-Private Partnerships in New EU Member Countries of Central and Eastern Europe: An Economic Analysis

with Case Studies from the Highway Sector, Andreas Brenck, Thorsten Beckers, Maria Heinrich, and Christian von Hirschhausen, Public Sector Management and Regulation Working Papers WP-PSM-08. https://tu-dresden.de/bu/wirtschaft-/ee2/ressourcen/dateien/dateien/ordner_publikationen/wp_psm_08_brenck_beckers_heinrich_hirschhausen_2005_ppp_eastern_europe.pdf?lang=en

## Perspectives of Public-private Partnership in Infrastructural Projects

***Tamar Devidze,***
*Associate Professor*

***David Shoshitashvili,***
*PhD student*

Summary

Although many infrastructural, including large-scale highway construction projects are being implemented in Georgia, it will be very challenging to implement a successful public-private partnership project in this area, as the example of EU countries showed that the toll that the private companies collect for use of the roads do not pay off the investments made by them.

For successful implementation of the future project the correctly selected project and of course a private partner play a crucial role. In this regard, a major role and importance will be acquired to a special institution, which should be established in the government in accordance with the law "on public and private partnership".

***Key words***: *public-private partnership; infrastructural projects.*

# ანტიკრიზისული მენეჯმენტი: პრობლემები და თანამედროვე მიდგომები

**თამარ დუდაური**

*ეკონომიკის დოქტორი,*
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი.*

*თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის მეტად აქტუალურია ანტიკრიზისული მენეჯმენტის პრობლემა. ნებისმიერ კომპანიასა და ორგანიზაციაში ყოველთვის არსებობს კრიზისის წარმოშობის ალბათობა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას, როგორც სპონტანურად, ასევე ნელ-ნელა. ამიტომაც კომპანიებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში ანტიკრიზისული მენეჯმენტის თავისებურებების შესწავლა და დაძლევის მეთოდების დაუფლება წარმოადგენს აქტუალურ და მნიშვნელოვან პრობლემას.*

*საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული მენეჯმენტი; კრიზისი; გაკოტრება; გაკოტრების პროცედურები; დინამიკური სისტემა; ანტიკრიზისული მმართველი.*

ბოლო ორი ათწლეულია საქართველოში ანტიკრიზისული მენეჯმენტი გახდა მნიშვნელოვანი ტერმინი ბიზნესის სფეროში, რასაც აქვს მეტად მნიშვნელოვანი მიზეზები. ერთ შემთხვევაში, ამ ტერმინში გულისხმობენ კომპანიის მართვას ეკონომიკის საერთო კრიზისის პირობებში, მეორე შემთხვევაში - კომპანიის მართვას გაკოტრების მოლოდინში და მესამე - ანტიკრიზისული მართვის ცნებას უკავშირებენ გაკოტრების სასამართლო პროცედურების ჩარჩოებში მართვას.

ანტიკრიზისული მართვა - ეს არის მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც იძლევა კრიზისების ამოცნობის, მათი პროფილაქტიკის და ნეგატიური ზეგავლენის დაძლევის საშუალებას. ანტიკრიზისული მართვა არის ფორმების, მეთოდებისა და პროცედურების გამოყენების პროცესი, რაც მიმართულია ინდივიდუალური მეწარმეობის, კომპანიის, დარგის ფინანსურ - სამეურნეო საქმიანობის სოციალურ - ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის პირობების შექმნასა და განვითარებაზე.

ანტიკრიზისული მენეჯმენტის პროცესს და ტექნოლოგიებს გააჩნია თავისი თავისებურებანი, როგორიცაა: რესურსების მობილური და დინამიკური გამოყენება; შეფასების ეფექტიანობის გაზრდა და მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია; შემუშავების მიზნობრივი მეთოდების გამოყენება; ინოვაციური პროგრამების შემუშავება და ცვლილებების დანერგვა; შემუშავებული ანტიკრიზისული ღონისძიებების რეალიზაციის პროცესის დაჩქარება.

ანტიკრიზისული მენეჯმენტის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია მისი ფუნქციები. ანტიკრიზისული მენეჯმენტის ფუნქციები წარმოადგენენ საქმიანობის სახეებს, რაც ახდენს ანტიკრიზისული მართვის რეალიზებას და ასევე განსაზღვრავს მის შედეგს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ფუნქციები განსაზღვრავს, თუ რა უნდა გააკეთონ და რა უნდა მოიმოქმედონ წარმატებით მართვისათვის კრიზისის ყველა სტადიაზე.

გამოყოფენ შემდეგ ექვს ფუნქციას, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავისი თავისებურება. თუმცა, ისინი ერთიანობაში წარმოადგენენ ანტიკრიზისულ მენეჯმენტს[1, გვ. 8]:

- მართვა კრიზისის წინა პერიოდში;
- კომპანიის მართვა კრიზისის პერიოდში;
- მართვა კრიზისიდან გამოსვლის პერიოდში;
- მმართველობის უზრუნველყოფა სტაბილიზაციის ეტაპზე;
- შესაძლებლობების ხელიდან გაშვებისა და დანაკარგების მინიმიზაცია;
- გადაწყვეტილებების თავისდროულად მიღება.

ანტიკრიზისული მენეჯმენტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფორმალური და არაფორმალური მართვის შეთანაწყობა, რითაც განისაზღვრება ანტიკრიზისული მართვის ორგანიზაციის ზონის გაფართოება ან შევიწროება. შევიწროების დროს ხდება კრიზისის წარმოშობის საფრთხის გაზრდა ან თვით კრიზისის დადგომა. განვითარების რაციონალური სტრატეგიის აგებას და არჩევის პერსპექტივას გააჩნია დიდი მნიშვნელობა ანტიკრიზისული მართვისათვის.

არსებობს ანტიკრიზისული მართვის სტრატეგიების დიდი რაოდენობა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია:

- კრიზისის განჭვრეტა და მისი დადგომისათვის განუწყვეტელი მზადება;
- მოცემულ ეტაპზე კრიზისის დაძლევის მიზნით მისი სიმწიფის პერიოდის განსაზღვრა;
- კრიზისული პროცესების შენელება და მის გამოვლინებებთან ბრძოლა;
- დამატებითი რესურსებისა და რეზერვების გამოყენების გზით სიტუაციის სტაბილიზება;

- რისკების გაანგარიშება;
- კრიზისიდან გამოსვლა ეტაპობრივად და თანმიმდევრულად;
- კრიზისის შედეგების აღმოფხვრის მიზნით აუცილებელი პირობების შექმნა.

ანტიკრიზისული მართვა წარმოადგენს ფორმების, მეთოდების და პროცედურების გამოყენების პროცესს, რაც მიმართულია ინდივიდუალური მეწარმეობის, საწარმოების, დარგების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის პირობების შექმნასა და განვითარებაზე. ძირითად კრიზისებად, რაც შესაძლოა წარმოიშვას ეკონომიკის სუბიექტების საქმიანობაში, თვლიან სტრატეგიულ, ტაქტიკურ და გადახდისუნარიანობის კრიზისებს.

იაპონიაში, მაგალითად, ყოველთვიურად სამიათასამდე მცირე და საშუალო საწარმო წყვეტს ბაზარზე თავის საქმიანობას. დაახლოებით ამდენივე ახალი საწარმო იქმნება. ბიზნესის ინფორმაციის სააგენტოს მონაცემებით 2016 წელს საქართველოში სულ რეგისტრირებული იყო 31400 კომპანია, აქედან 4661 კომპანია დაემატა 2016 წელს, 9634 კომპანიას შეჩერებული ჰქონდა ფუნქციონირება და 170 კომპანია ლიკვიდირებულ იქნა 2016 წლის განმავლობაში [2, გვ. 4,5].

ამრიგად, ანტიკრიზისული მენეჯმენტის ფართოდ დანერგვა მეტად აქტუალური პრობლემაა, განსაკუთრებით საგადასახადო და საკანონმდებლო ზეწოლის გაძლიერების პირობებში, პირველ რიგში მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტებისათვის. კომპანიების სანაცია, რომელთაც აქვთ საკუთარი ბიზნეს-პროცესების მოდერნიზაციისათვის შესაბამისი პოტენციალი, საკმაოდ კარგად ზემოქმედებს სიტუაციაზე ეკონომიკის კონკრეტულ დარგში. ამავდროულად ანტიკრიზისული მენეჯმენტი გულისხმობს გაკოტრების პროცედურის ჩარჩოებში საგანგებო ღონისძიებებს უკვე წარმოშობილი კრიზისული სიტუაციების აღმოფხვრისათვის.

ყველა კრიზისის მიზეზს, პირველ რიგში, წარმოადგენს მართვა, რომელიც მიმართულია პროექტის ამოცანებისაგან დამოუკიდებელი მიზნების განხორციელებაზე. სწორედ მართვის არაეფექტურობა წარმოადგენს თანამედროვე საწარმოების ყველაზე დამახასიათებელ პრობლემას. ეს პრობლემა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- განვითარების ხანგრძლივვადიანი სტრატეგიის არ არსებობა;
- მენეჯერების დაბალი კვალიფიკაცია;
- მესაკუთრეთა წინაშე საწარმოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის დაბალი დონე მიღებული გადაწყვეტილებებით დამდგარ შედეგებზე, საწარმოს ქონების შენახვასა და ეფექტიანად გამოყენებაზე და ასევე, საქმიანობის საფინანსო-სამეურნეო შედეგებზე.
- სუსტად განვითარებული ინსტიტუტები, რომლებმაც უნდა გააკონტროლონ მენეჯერების ოპორტუნისტული ქცევა.

ანტიკრიზისული მართვა წარმოადგენს კომპანიის კრიზისიდან გამოყვანის პროცესს. იგი არის სავსებით კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაიდგას კომპანიის რეანიმაციისათვის, მისი ნორმალური ფუნქციონირების აღდგენისათვის, იგი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად (იხ. ნახაზი 1):

*ანტიკრიზისული მართვის განხორციელების პროცესი*

*ნახაზი 1*




1. საწყისი ეტაპი - ეს არის მდგომარეობა, როდესაც მართველი ან ხელმძღვანელი:
    - გაითავისებს კრიზისულ სიტუაციას და სწავლობს კრიზისში კომპანიის მართვას;
    - ახორციელებს კომპანიის დიაგნოსტიკას და ახდენს პრობლემების სისტემატიზაციას;
    - წერს ანტიკრიზისულ პროგრამას;
    - აწარმოებს გამოკითხვას, სწავლობს მოთხოვნას.
2. რესტრუქტურიზაციის ეტაპი - ეს არის კომპანიის მდგომარეობა, როდესაც:

- ხელმძღვანელობას უხდება გაუმკლავდეს წარმოშობილ რთულ სიტუაციებს;
- იწყებს კომპანიის ანტიკრიზისული მართვის მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას, რომლებიც გაწერილია ანტიკრიზისულ პროგრამაში;
- ცვლის დადგენილ წესებს.

3. წონასწორობის წერილზე გასვლა.

შემდგომი საქმიანობა მიმართულია კომპანიის ეკონომიკური ეფექტიანობის მხარდაჭერაზე. კრიზისულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროგრესის მიღწევა, არამედ ახლო მომავალში ეკონომიკური პრობლემების გამეორების თავიდან აცილება, რომლებსაც შეუძლია კომპანია დააყენონ გაკოტრების ზღვარზე. კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ მართვის ძირითად მიზნებად შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი:

1. მუშაობა კომპანიის საიმედო რეპუტაციის შექმნაზე;
2. ბიზნეს-პროცესების შემდგომი გაუმჯობესება, რომლებიც მიმართულნი არიან ეფექტიანობის ამაღლებაზე;
3. რისკების შეფასების, პროგნოზირებისა და ნიველირების სისტემის ანალიზი და მოდერნიზაცია;
4. კომპანიის მოგების და მის მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
5. საქმიანობის სხვადასხვა სფეროში დაინტერესებულ პარტნიორებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

ყოველი კომპანია - ეს არის დინამიკური სისტემა, რომელიც მუშაობს თავისი ოპერაციული ციკლის მიხედვით, სადაც სტაგნაციის პერიოდი იცვლება ახალ სისტემაში გადასვლის პერიოდად, რომელსაც უნარი შესწევს მოახდინოს გარედან მიღებული ინფორმაციის სინთეზირება, რომლის მიზანია შემდგომი განვითარება ჩამოყალიბებული გარემო პირობების გათვალისწინებით. იმაზე თუ, რამდენად თავისდროულად მოხდა რეაქცია გარე გარემოს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემის, მისი თვისებებისა და მახასიათებლების ცვლილებებზე, დამოკიდებულია დინამიური სისტემების დეფორმაციის ხარისხი.

ამავდროულად, გარე გარემოს ზემოქმედებას, რომელსაც უნარი შესწევს გამოიყვანოს სისტემა წონასწორობის მდგომარეობიდან, ოპერაციული ციკლის განსაზღვრულ ეტაპზე შეუძლია გამოიწვიოს შეუქცევადი შედეგები. აუცილებელი ცვლილებები შესაძლოა გახდეს კომპანიაში კრიზისის წარმოშობის მიზეზი. რის გამოც წარმოიშვება ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემის რეგულირების პროცედურების არსებობის აუცილებლობა, რომელიც გამიზნულია მმართველობითი პერსონალის ფუნქციების ავტომატიზაციისათვის. ამ სისტემის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენენ ოპერაციული კონტროლი და მართვა, ანალიზი და ოპერაციული აღრიცხვა, ოპერაციული და პერსპექტიული დაგეგმვა, ბუღალტრული აღრიცხვა, მომარაგებისა და რეალიზაციის მართვა, სხვა ეკონომიკური და ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტა. საწარმოო სისტემის მართვის არაეფექტურობას, რომელიც გამოწვეულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების არ არსებობით, მივყავართ კომპანიის მმართველობითი საქმიანობის არასწორი დაგეგმვის სტრატეგიის შემუშავებასთან. სწორედ ამიტომ ანტიკრიზისული მართვა მდგომარეობს ღონისძიებების კომპლექსში, რომლებიც გამოიყენება კომპანიის მართვის სხვადასხვა დონეზე. ღონისძიებების კომპლექსი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილება, მოიცავს: საწარმოს მართვის ფილოსოფიის კონკრეტული პოლიტიკის დანერგვას, ფინანსური ანალიზის და მოდელირების ხერხების გამოყენებას, უახლესი ინოვაციური პროცესების და ანტიკრიზისული პროგრამების დანერგვას, ასევე კომპანიის რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის გეგმების შემუშავებას.

*კრიზისის პირობებში პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგია და ორგანიზაცია*

*ნახაზი 2*




ნახაზ 2-ზე მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია ანტიკრიზისული მართვის პროცესში წარმოშობილი პრობლემები და ამ პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგია და ორგანიზაცია. [3, გვ. 664]

კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის ძირითადი ოპერატიული ღონისძიებები შემდეგია: დანახარჯების შემცირება, ქვეგანყოფილებების დახურვა, ცალკეულ მომსახურეობებზე უარის თქმა, პერსონალის ნაწილის შემცირება ან რეორგანიზაცია, ანტიკრიზისული მარკეტინგული კვლევები, პროდუქციაზე ფასების გაზრდა ან შემცირება, კრედიტის აღება, დისციპლინის გამკაცრება, რებრენდინგი და ა.შ. ასე მაგალითად აქტიური მარკეტინგული კვლევები მიმართულია სამომხმარებლო ბაზრის ძიებაზე, რომელიც უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, პროდუქციის ცვლილებაზე და სხვა ასპექტებზე, რომელთაც შესწევთ უნარი მოახდინონ კომპანიის საქმიანობის კორექტირება და მიმდინარე საბაზრო სიტუაციასთან ადაპტირება. საწარმოთა უმეტესობა, პირიქით, პირველი ფინანსური სიძნელეების წარმოშობისთანავე იწყებს ეკონომიას მარკეტინგზე. ხოლო კრიზისულ სიტუაციაში საკრედიტო რესურსების მოზიდვა, პირველ რიგში, ზრდის კომპანიის ფუნქციონირების რისკებს, ხოლო მეორე რიგში, კი არის არარეალისტური კომერციული ბანკების მხრიდან დაკრედიტების ობიექტების შერჩევისას ტრადიციულად მკაცრი პოლიტიკის გატარების და ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების დიდი სირთულის გამო.

ანტიკრიზისული გეგმის ძირითადი ღონისძიებები სტაბილიზაციის გეგმის ჩარჩოებში უნდა იყოს შემდეგი:

- მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების გაყიდვა;
- დამატებითი მომსახურების გაწევა (სასადილოს, ავტოპარკის და სხვა ფართობების არსებობის შემთხვევაში, გამოთავისუფლებული ფართობების და მოწყობილობების არენდით გაცემა და ა.შ.);
- დანახარჯების შემცირება: კონტროლის გაზრდა ნედლეულის, მასალების, ელექტოენერგიისა და

სხვათა ხარჯვაზე, რაც გულისხმობს ზენორმატიული ხარჯების შემცირებას, აღმრიცხველი დანადგარების დაყენება, ყოველგვარ მომსახურებაზე უარის თქმა, ფართობების არენდით აღებაზე ეკონომიის გაკეთება და ა.შ.

- პერსონალზე დანახარჯების შემცირება: ამ შემთხვევაში შესაძლებელია არა მხოლოდ თანამ-შრომელთა ნაწილის განთავისუფლება და ფუნქციების გადანაწილება, არამედ შრომის ანაზღაურების შემცირება, კორპორაციული შეღავათების გაუქმება, პრემიების, დანამატებისა და ბონუსების შემცირება, ამასთან არ უნდა იქნეს დავიწყებული კოლექტივში ემოციური კლიმატის შენარჩუნება (შეხვედრების, განხილვების ორგანიზება, ხელმძღვანელობის გეგმების პრეზენტაცია და სხვა);
- დებიტორული დავალიანების შემცირებაზე მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში მისი გაყიდვაც კი, მაგრამ ეს ღონისძიება გულისხმობს შესაძლო მაღალ დანაკარგებს;
- ვალების რესტრუქტურიზაცია;
- საწყობებში მარაგების ანალიზი, მზა პროდუქციის მარაგების რეალიზაცია;
- გაყიდვების სტიმულირება (მოქნილობა პროდუქციის განვადებით რეალიზაციისას);
- რიგ შემთხვევაში შესაძლებელია იმ ინვესტიციების, რომლებმაც დაკარგეს აქტუალობა გაყიდვა ან შეჩერება;
- კომპანიის პროდუქციის ასორტიმენტის, წარმოებული პროდუქციისა და საფასო პოლიტიკის გადახედვა, იმ პროდუქციის გამოყოფა, რომლებსაც მოაქვთ მოგება;
- არარენტაბელური წარმოების, არასაწარმოო სფეროს ობიექტების და დამხმარე წარმოების გაყიდვა, რომელთა ფუნქციების გადაცემა შესაძლებელია გარე მოიჯარეებისათვის;
- დაბალრენტაბელური წარმოების მოდერნიზაცია და პროფილის შეცვლა;
- ასორტიმენტისა და წარმოებული პროდუქციის მახასიათებლების მნიშვნელოვანი გადახედვის შემთხვევაში საჭირო გახდება ინვესტიციების მოზიდვა, რათა განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებები.

ღონისძიებების ჩამონათვალში, ბოლო პუნქტები ძალიან მნიშვნელოვანია და, როგორც წესი, მოითხოვენ ფინანსური სახსრების დაბანდებას, რაც არის საკმაD პრობლემატური კრიზისის პირობებში.

ანტიკრიზისული მენეჯმენტი რთული საქმიანობაა, რომელიც ანტიკრიზისული მმართველისაგან მოითხოვს განსაზღვრულ პირადულ თვისებებს. ანტიკრიზისული მართვის წარმატება (როგორც სანაციის ეტაპზე, ასევე გაკოტრების პროცედურების განხორციელებისას) მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით მართველის თვისებებთან, მისი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადების დონესთან, უნართან აიღოს პასუხისმგებლობა და მიიღოს გადაწყვეტილებები, ლიდერულ პოტენციალთან და უნართან მიაღწიოს ურთიერთხელსაყრელ კომპრომისებს კრედიტორებთან, პარტნიორებთან და თანამშრომლებთან.

ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ქცევის ადექვატური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც საშუალებას იძლევა გადაწყდეს კომპანიის შიდა პრობლემები და მოხდეს გარე ეკონომიკურ სუბიექტებთან ურთიერთობის ნორმალიზება. აღნიშნულ სტრატეგიას საფუძვლად უნდა ედოს ღონისძიებების განსა-ზღვრული პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს ანტიკრიზისული მართვის საბოლოო მიზანი, საიდანაც გამომდინარე უნდა იქნას აგებული ურთიერთობები ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სუბიექტებთან: პარტნიორებთან, თანამშრომლებთან, კრედიტორებთან და მევალეებთან.

## დასკვნა

კონკრეტული წინაპირობების მრავალფეროვნების მიუხედავად, რამაც შესაძლოა მიიყვანოს კრიზი-სამდე კომპანია, უმეტეს შემთხვევაში, კრიზისების წარმოშობა დაკავშირებულია მენეჯმენტის სფეროში არსებულ პრობლემებთან. კრიზისის პირობებში კომპანიის გადარჩენისათვის აუცილებელია ორგანი-ზაციული, სამართლებრივი, ფინანსური და მმართველობითი ასპექტების ურთიერთკავშირი.

ამრიგად, ანტიკრიზისული მართვა წარმოადგენს მეტად ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა გატარდეს აუცილებელი პროცედურები კომპანიის გაჯანსაღებისათვის, მართვის ახალი, უფრო ეფექტური პროცედურების დანერგვის, არსებული ბიზნესმოდელის ცვლილების, ანდა კომპანიის ფინანსური პოლიტიკის კორექტირების გზით. სანაციის განხორციელება საშუალებას იძლევა შენარჩუნებულ იქნეს კომპანია, სამუშაო ადგილები, პარტნიორებთან არსებული და ჩამოყალიბებული კავშირები.

## ლიტერატურა:


1. Baubion C. Strategic Crisis Management. https://www.mmc.com/content/dam/mmc-web/Files/Strategic-Crisis-Management-paper-July-2013.pdf
2. ბიზნესის ინფორმაციის სააგენტო (ბია). წლიური ანგარიში 2016. თბ. 2017. https://img.marketer.ge/-2017/02/bia_2016_year_repot.pdf
3. Marie Mikušová. Crisis Management Modeling. Czech Republic. 2014. http://www.wseas.org/multi-media/journals/economics/2014/a145707-095.pdf


## Anti-crisis Management: Problems and Modern Approaches


***Tamar Dudauri***

*Doctor of Economy, Associate*
*Professor of Caucasus International University*



S u m m a r y

In modern conditions, the problem of anti-crisis management is very important for the development of our country's economy. At any enterprise and in any organization there is always a probability of emergence of crisis which can arise as is spontaneous, and gradually. For this reason studying and methods of overcoming he in the companies, the organizations or the enterprises is a relevant and important problem.



***Key Words:*** *Anti-crisis management, crisis, bankruptcy, bankruptcy procedures, dynamic system, anti-crisis management.*

# გრანტების აღრიცხვის მეთოდები საჯარო და კერძო სექტორში

**მარიამ ვარდიაშვილი**

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში გაანალიზებულია გრანტების შეფასების, აღიარებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის საკითხები საჯარო და კერძო სექტორში სსბასს 23-ის და ბასს 20-ის მიხედვით.*

*საჯარო სექტორში, მიღებული გრანტების შემოსავლად ან ვალდებულებად აღიარება დამოკიდებულია, შეთანხმებაში მოცემულ პირობებსა და შეზღუდვებზე.*

*კერძო სექტორში გრანტების აღრიცხვის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს კაპიტალ-მეთოდი და შემოსავალ-მეთოდი.*

*სტატიაში ასევე განხილულია, საჯარო და კერძო სექტორში გრანტების აღრიცხვის გამოყენებულ მეთოდებს შორის არსებული განსხვავებები და გადმოცემულია მისი დაძლევის ავტორისეული წინადადებები.*

*საკვანძო სიტყვები: არაგაცვლითი ოპერაციები; გრანტები; ტრანსფერები გადავადებული შემოსავლები.*

## გრანტებთან დაკავშირებული ოპერაციების შეფასება, აღიარება და ასახვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში სსბასს 23-ის მიხედვით

საჯარო სექტორის ერთეულებისთვის გრანტების აღრიცხვის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს სსბასს 23 - *„შემოსავლები არა გაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)"*.

საჯარო სექტოროს ერთეულების შემოსავლების დიდი ნაწილი ფორმირდება არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად. არაგაცვლითი ოპერაციები იყოფა გადასახდებად და ტრანსფერებად, რომლებშიც ერთიანდება გრანტები, ვალის პატიება, საურავი, საჩუქრები, შემოწირულობები და საქონელი და მომსახურება ნატურალური ფორმით და სხვა. ამ ოპერაციებს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი - ერთეული იღებს რესურსებს ანაზღაურების გარეშე ან/ და ანაზღაურებს ნომინალურ ღირებულებას.

აქტივების ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს იმ მოლოდინით, რომ მათი გამოყენება მოხდება ამა თუ იმ კონკრეტული დანიშნულებით. ტრანსფერით მიღებული აქტივების გამოყენებაზე, ტრანსფერის გამცემსა და მიმღებს შორის, სხვადსხვა სახით ფორმდება შეთანხმებები, რომლებიც შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც პირობებს, ასევე შეზღუდვებს.

მართალია, პირობებიც და შეზღუდვებიც ერთეულისაგან შეიძლება აქტივის კონკრეტული მიზნით გამოყენებას ან მოხმარებას მოითხოვდეს, მაგრამ მხოლოდ პირობები მოითხოვს, რომ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში მომავალი ეკონომიკური სარგებელი და მომსახურების პოტენციალი დაუბრუნდეს იმ ერთეულს, რომელმაც განახორციელა აქტივის ტრანსფერი, ე.ი. მიმღებს პირობის დარღვევის შემთხვევაში, უჩნდება მიღებული აქტივის დაბრუნების მოვალეობა.

შესაბამისად, მიმღები თავდაპირველად აქტივის აღიარებისას, აღიარებს ვალდებულებასაც, მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის დაბრუნებაზე.

ტრანსფერით მიღებული აქტივების დაბრუნების შემთხვევაში, ანგარიშვალდებული ერთეული ასახავს აქტივების და ვალდებულებების შემცირებას (Vardiashvili M., Maisuradze M., 2016).

მაგალითად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ცენტრალური ხელისუფლებისგან მიიღო 800 000 დოლარის ღირებულების ტრანსფერი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების გაუმჯობესებისა და მოვლა-შენახვისთვის. ტრანსფერის პირობების თანახმად, აღნიშნული თანხები დანიშნულებისამებრ გამოყენებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის განმავლობაში, ან იგი უნდა დაუბრუნდეს ცენტრალურ მთავრობას.

***ტრანსფერის მიღებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ასახვის საჟურნალო ჩანაწერები***

*ცხრილი1*

| № | ოპერაციის დასახელება | დებეტი | კრედიტი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ტრანსფერის მიღება | საბანკო ანგარიშები | ვალდებულებები | 800 000 |
| 2 | ვალდებულების შესრულება და მიღებული თანხების შემოსავლად აღიარება | ვალდებულებები | შემოსავლები | 800 000 |

შეზღუდვა არ გულისხმობს ტრანსფერით მიღებული აქტივის უკან დაბრუნებას, შესაბამისად არ წარმოიქმნება ვალდებულებები. მიმღების მიერ შეზღუდვის დარღვევის შემთხვევაში, ტრანსფერის განმახორციელებელი ერთეულის მოთხოვნა შესაძლებელია დასრულდეს მიმღებისადმი განკარგულების მიცემით, რომ მან დააკმაყოფილოს შეზღუდვა ან გადაიხადოს დაუმორჩილებლობისთვის დაწესებული ჯარიმა.

დავუშვათ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს ტრანსფერით გადასცა 200 ჰა ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამოყენება უნდა მოხდეს საუნივერსიტეტო ქალაქისთვის, მაგრამ არ აკონკრეტებს, იმ შემთხვევას, თუ არ მოხდება მოცემული მიწის ნაკვეთის აღნიშნული მიზნით გამოყენება, ის უნდა დაუბრუნდეს თუ არა ტრანსფერის განმახორციელებელ ერთეულს. ვინაიდან ხელშეკრულება ითვალისწინებს შეზღუდვას და არა პირობას, უნივერსიტეტი მოცემულ მიწის ნაკვეთს, მასზე კონტროლს მოპოვების პერიოდიდან, რეალური ღირებულებით, აღიარებს როგორც აქტივს. იმავდროულად აღიარებს შემოსავალს, რადგანაც შეზღუდვა არ შეესაბამება ვალდებულების განსაზღვრებას და არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს.

არაგაცვლითი ოპერაციებიდან, მიღებული აქტივები გარდა ნატურალური ფორმით გაწეული მომსახურებისა, აქტივად უნდა აღიარდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს აქტივის განსაზღვრებას და აქტივის აღიარების კრიტერიუმებს: კონტროლირებადია, და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში (სსბასს 23).

აქტივის კონტროლირება გამორიცხავს აქტივის სარგებელზე გარეშე პირების ხელმისაწვდომობას, რომელიც ერთეულის აქტივებს გამოარჩევს საზოგადოებრივი სარგებლობის ქონებისაგან, რომელზეც ხელი მიუწვდება და რომლითაც სარგებლობს ნებისმიერი სუბიექტი.

არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად შეძენილი აქტივის თავდაპირველი შეფასება ხდება მისი შეძენის თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით.

„რეალური ღირებულება არის ისეთი შეფასება, რომელიც დაფუძნებულია მთლიანად საბაზრო მონაცემებზე. უფრო მარტივად ეს არის ფასი, რომელიც გამყიდველებს შეუძლიათ მიიღონ და არა ფასი რომელიც მათ სურთ მიიღონ აქტივის გაყიდვიდან“ (MAISURADZE M., VARDIASHVILI M., 2016).

აქტივად აღიარებული არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული რესურსები იმავდროულად შემოსავლად აღიარებას ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარკვეული ვალდებულებები აქვს შესასრულებელი. არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავლის შეფასება ხდება „ერთეულის მიერ აღიარებული წმინდა აქტივების ზრდის თანხით“(სსბასს 23).

არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესასარულებლად საჭირო იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მატარებელი რესურსების გადინება, და რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია - ვალდებულებად უნდა აღიარდეს.

ნატურალური ფორმით გაწეული მომსახურებები ცალკეულ პირთა მიერ საჯარო სექტორის ერთეულისათვის არაგაცვლითი ოპერაციით გაწეული მომსახურებებია. ერთეულს შეუძლია, მაგრამ არ მოეთხოვება, მიღებული მომსახურებიდან აღიაროს შემოსავალი და აქტივი მათთან დაკავშირებით არსებული მრავალი განუსაზღვრელობის გამო. მაგალითად, როგორიცაა, მომსახურებებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა და ამ მომსახურებათა რეალური ღირებულებით შეფასება.

**სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების ასახვა ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.**

სახელმწიფო გრანტი არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება, რომელიც ხორციელდება საწარმოსათვის ეკონომიკური რესურსების გადაცემის ფორმით, საწარმოს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული პირობების წარსულში ან მომავალში შესრულების სანაცვლოდ. გრანტით მიღებული რესურსები შეიძლება იყოს ფულადი ან არაფულადი (ქონებრივი). არსებობს სახელმწიფო გრანტების შემდეგი ჯგუფები:

აქტივებთან დაკავშირებული გრანტები;

შემოსავლებთანდაკავშირებული გრანტები.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტები საწარმოს ეძლევა იმისათვის, რომ შეიძინოს, შექმნას, ააშენოს ან რაიმე სხვა გზით მოიზიდოს გრძელვადიანი აქტივები, ამასთან, ასეთი გრანტები შესაძლოა ითვალისწინებდნენ დამატებით პირობებსაც, რომლებიც განსაზღვრავს აქტივის სახეობას, განლაგებას, მათი შეძენის ან ფლობის პერიოდს.

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები საწარმოს ეძლევა გარკვეული ტიპის საქმიანობის განსახორციელებლად ან გასაფართოვებლად, რომელიც არ არის დაკავშირებული გრძელვადიანი აქტივების შეძენასთან ან შექმნასთან. გრანტის მიღების სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს ე.წ. ნაპატირბი სესხები“, ანუ ისეთი სესხები, რომელთა უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებაზე სესხის გამცემი ნებაყოფლობით ამბობს უარს, გარკვეული, ადრე შეთანხმებული პირობების თანახმად.

სტანდარტის მიხედვით, გრანტები (მათ შორის არაფულადი გრანტები) არ უნდა იქნეს აღიარებული მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ:

● საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს, და
● გრანტი იქნება მიღებული. (ბასს 20)

როგორც ვხედავთ, გამოყენებულია კავშირი „და“, ანუ გრანტის აღიარებისათვის აუცილებელია ორივე პირობის დაკმაყოფილება.

არსებობს სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის ორი მიდგომა: კაპიტალ-მეთოდი და შემოსავალ-მეთოდი. კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას გრანტი პირდაპირ აისახება საკუთარ კაპიტალში. შემოსავალ-მეთოდის დროს გრანტი აისახება შემოსავლის სახით, ერთი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მაშინ, როდესაც სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული დანახარჯები გაიწევა (ბასს 20).

ბასს 20-ის მოთხოვნით, აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ორი მეთოდით:

გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, ან

გრანტის გამოქვითვით აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად.

გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარების მეთოდის გამოყენებისას, გრანტით მიღებული შემოსავლები თავდაპირველად აისახება ‚ანგარიშზე - „გადავადებული შემოსავალი,“ როგორც მომავალი პერიოდის შემოსავლები. ხოლო, საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლად აღიარდება აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

„გრანტის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება შესაბამისი ხარჯები“ (მაისურაძე, 2018).

ამ მიდგომის თანახმად, გრანტი შემოსავლად აღიარდება, ან მთლიანად მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ერთი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ან ნაწილ-ნაწილ გადავადებული შემოსავლის ანგარიშიდან ჩამოწერის გზით, თუ გრანტი აღიარდება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში (ხორავა, 2009).

საბოლოოდ, სახელმწიფო გრანტი ყოველთვის აღიარდება შემოსავლის სახით ან მაშინვე, მისი მიღებისას, ან მომავალ პერიოდებში, მიუხედავად იმისა, მიღებული იყო ფულადი ფორმით, მატერიალური აქტივის ფორმით, თუ სახელმწიფოს წინაშე საწარმოს ვალდებულების შემცირებით.

„ სახელმწიფო გრანტების აღიარება ძირითადად ხდება დარიცხვის მეთოდით, თუმცა სტანდარტი ცალკეული სიტუაციისათვის უშვებს საკასო მეთოდით გრანტის აღიარების შესაძლებლობას, მაგრამ მკაცრად მიანიშნებს, რომ საკასო მეთოდის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს იმის ობი-ექტური საფუძველი, რომ გრანტი უნდა გადანაწილდეს სხვა საანგარიშგებო პერიოდებზე“ (სრესელი, 2016).

მაგალითად, კომპანიამ აღჭურვილობის შესაძენად, რომლის ღირებულება 600 000 აშშ დოლარია, მიიღო სახელმწიფო სუბსიდია 200 000 აშშ დოლარი. აღჭურვილობის მომსახურების ვადა 10 წელია.

*გრანტის აღიარების ასახვის საჟურნალო ჩანაწერები გადავადებული შემოსავლის მეთოდით*

*ცხრილი 2*

| № | ოპერაციის დასახელება | დებეტი | კრედიტი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | თანხის ჩარიცხვა | ფულადი სახსრები | მომავალი პერიოდის შემოსავლები | 200 000 |
| | აღჭურვილობის შეძენა | ძირითადი საშუალებები | ვალდებულებები | 600 000 |
| | ამორტიზაციის დარიცხვა (გრანტით დაფინანსებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების აღიარება) | ამორტიზაციის ხარჯი | ამორტიზაცია | 60 000 |
| | გრანტის საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლად აღიარება | მომავალი პერიოდის შემოსავლები | სხვა შემოსავლები | 20 000 |

*გრანტის აღრიცხვის საჟურნალო ჩანაწერები გამოქვითვით აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად*

*ცხრილი 3*

| ოპერაციის დასახელება | დებეტი | კრედიტი | თანხა |
|---|---|---|---|
| თანხის ჩარიცხვა | ფულადი სახსრები | სახელმწიფო სუბსიდიები | 200 000 |
| აღჭურვილობის შეძენა (სუბსიდია ამცირებს აქტივის თავდაპირველ ღირებულებას) | ძირითადი საშუალებები | | 400 000 |
| | ანგარიში სახელმწიფო სუბსიდიები | | 200 000 |
| | | ვალდებულებები | 600 000 |

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები არ უკავშირდება აქტივების შეძენას. ამიტომ, ამგვარი გრანტების შემოსავლის სახით აღიარება ხდება იმავე საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ის დაექვემდებარება მიღებას, სათანადო განმარტებითი შენიშვნის დართვით, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს გრანტების შედეგი.

**დასკვნა:** ამრიგად, განხილული მასალიდან ჩანს, რომ გრანტების აღიარებისა და შეფასების მეთოდები საჯარო და კერძო სექტორში განსხვავებულია.

ბასს 23-ის მიხედვით მიღებული გრანტების შემოსავლად ან ვალდებულებად აღიარებას განსაზღვრავს შეთანხმებაში მოცემული პირობები და შეზღუდვები, მიუხედავად იმისა შემოსავალთანაა დაკავშირებული გრანტი თუ აქტივებთან.

ბასს 20-ის შესაბამისად, შემოსავალთან დაკავშირებული გრანტი აღიარდება შემოსავლად იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც ის დაექვემდებარება მიღებას, მაშინ როდესაც აქტივებთან დაკავშირებული გრანტები, აისახება მომავალი პერიოდის შემოსავლის სახით ანგარიშზე - „გადავადებული შემოსავალი“ (თუ აქტივის ღირებულებიდან არ გამოიქვითა მისი საბალანსო ღირებულების მიღების მიზნით). მისი საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლად აღიარება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

ბასს 20-ის მიხედვით გრანტები (მათ შორის არაფულადი გრანტები) არ უნდა იქნეს აღიარებული მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს. ეს გულისხმობს, რომ ყველა გრანტი ექვემდებარება პირობებს და არა შეზღუდვებს.

ვფიქრობთ, ეს სტანდარტის ნაკლოვანებაა, რამდენადაც შეზღუდვები რაიმე ვალდებულების აღიარებას არ ითვალისწინებს.

ბასს 20 ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენად, განიხილავს ალტერნატიულ მიდგომას: აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად გრანტის გამოქვითვას მისი პირვანდელი ღირებულებიდან. ეს პრაქტიკა გამოიწვევს სუბიექტის მიერ კონტროლირებულ ეკონომიკური რესურსების შემცირებას, იმავე დროს ამცირებს გამოყენებულ რესურსებს (ხარჯებს) და ინფორმაციას მიღებულ გრანტზე.

მაშინაც კი, თუ ორივე მეთოდის გამოყენებისას, მოგებისა და ზარალის ან სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, წმინდა შედეგი ერთი და იგივეა, ეს გამოიწვევს ინფორმაციის ცდომილობას.

როგორც წესი, ფინანსური ანგარიშგება მზადდება პირვანდელი ღირებულებისა და ნომინალური ფინანსური კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციების მიხედვით, ამიტომ ვფიქრობთ, აქტივებთან დაკავშირებული გრანტი არ უნდა ჩამოიწეროს შესაბამისი აქტივის ღირებულებიდან, არამედ ის დებეტის მხარეს უნდა განიხილებოდეს, როგორც აქტივების ნაწილი, რომელიც მიღებულია (შექმნილია) გრანტებით, ან და ამ მეთოდის გამოყენებისას, გრანტზე სრული და საიმედო ინფორმაციის ფორმირების მიზნით, აქტივის მიღებასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები უნდა იქნეს გამჟღავნებული.

სსბასს 23-ის მიხედვით, ნატურალური ფორმით მიღებული მომსახურებისას დასაშვებია, მაგრამ არ არის აუცილებელი მომსახურების აღიარება.

ვფიქრობთ, ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მიზნით, ერთეულებმა უნდა აღიარონ ნატურალური ფორმით მიღებული მომსახურება, როდესაც შესაძლებელია მისი გაკონტროლება და საიმედოდ შეფასება.

## ლიტერატურა:


1. ბასს 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების ასახვა ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში; 2016, https://saras.gov.ge/
2. სსბასს 23 შემოსავლები არ გაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და გადარიცხვები), 2012, m of. ge
3. Vardiashvili M., Maisuradze M. (2016). SOME ISSUES OF ACCOUNTING THE NON-EXCHANGE TRANSACTIONS IN THE PUBLIC SECTOR. International Scientific Symposium "Economics, Business & Finance" Institute of Researches and International Symposiums (გვ. 124). JURMALA, LATVIA. http://irissymposium.wixsite.com/economics/publications, http://docs.wixstatic.com/ugd/7ebfb0_72e282391a8a484f8692645c64f9e393.pdf
4. MAISURADZE M., VARDIASHVILI M. (2016). MAIN ASPECTS OF MEASUREMENT OF THE FAIR VALUE OF NONFINANCIAL ASSETS. 15th International Scientific Conference on Economic and Social Development – Human Resources Development, Var azdin Development and Entrepre (გვ. 385-391). Varazdin : https://inomics com.
5. მაისურაძე. (2018). სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის საკითხები. ჟურნალი ეკონომისტი 2 (გვ. 104-107). თბილისი:. http://pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/jurnali_ekonomisti/_2-2018_bolo.pdf
6. სრესელი. (2016). სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის თავისებურებები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, (გვ. 469-474). თბილისი: https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/globaliz.pdf
7. ა.ხორავა 2009, სახელმწიფო გრანტების და დახმარებების აღრიცხვა, ჟურნალი ბიზნესი და ეკონომიკა. www.nplg.gov.ge/. HYPERLINK "http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=periodika&cl=CL4.4&d=HASH013b5fac850f3b2ff56cd93c.8.1"

## Accounting Methods for Grants in Public and Private Sectors

***Mariam Vardiashvili***
*Doctor of Economics,*
*Associated Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

The Article dewaks with the issues of recogniotion, measuremen, and reflection of the grants in the financial statements according tp IPSAS 23 and IAS 20

Recognition of the grants received in the public sector as income or liability, depends upon the terms and conditions and limitations set forth in the agreements

The main principles of accounting of the grants in the private sector, is determined by the Capital Method and the Revenues Method

The Article remonstrates s the basic differences between IPSAS 23 and IAS 20 and provides the author’s view for their improvement

***Key words***: *Non-exchange transactions; Grants; Transfers; Deferred incomes.*

# სამედიცინო მომსახურებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობა საქართველოში

**თენგიზ ვერულავა**
*მედიცინის აკადემიური დოქტორი,*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,*
*ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის*
*ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

*ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ. კვლევები ადასტურებს, რომ ხშირ შემთხვევაში პაციენტებს არ აქვთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების შესახებ სათანადო ინფორმაცია. შედეგად, ის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. სტატიის მიზანია საქართველოში პაციენტის ინფორმირებული თანხმობის შესახებ არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზების შესწავლა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ქირურგიული პაციენტების გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კვლევით დადგინდა, რომ პაციენტების უმრავლესობა სათანადოდ ინფორმირებულია დაავადების დიაგნოზის და მკურნალობის, ქირურგიული ჩარევის საჭიროებების, ქირურგიული მკურნალობის ალტერნატიული გზების სარგებლიანობისა და რისკების შესახებ. თუმცა, პაციენტთა გარკვეული ნაწილი ამას ნაწილობრივ ეთანხმება. პაციენტებისთვის ინფორმაციის გადაცემისას საჭიროა მეტი ყურადღების დათმობა მათი ინფორმირებულობის ასამაღლებლად. მიზანშეწონილია ტრენინგების ჩატარება სამედიცინო პერსონალთან, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელია პაციენტების ინფორმირებულობაზე.*

*საკვანძო სიტყვები: ინფორმირებული თანხმობა; პაციენტების ინფორმირებულობა; ქირურგიული მკურნალობა; სამედიცინო ეთიკა.*

პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის თანამშრომლობა მკურნალობის პერიოდში ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს პაციენტთა უფლებები, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სახის რეგულაციის დანერგვას. ამ კუთხით, მარეგულირებელი წესებიდან განსაკუთრებით გამოყოფენ ექიმების მიერ პაციენტების მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საჭიროებას. რეგულირების აუცილებლობა დაკავშირებულია სამედიცინო ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი საკითხია პაციენტის „ინფორმირებული თანხმობა“ [1, 11].

ექიმის მიერ პაციენტისათვის რაიმე სახის სამედიცინო მომსახურების გაწევამდე (სადიაგნოზო გამოკვლევა, მკურნალობა, პროფილაქტიკა), საჭიროა პაციენტის ინფორმირებული თანხმობა. ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ [2].

პაციენტის ინფორმირებული თანხმობა ცვლის ექიმსა და პაციენტს შორის ტრადიციულ პატერნალისტურ ურთიერთობებს. პატერნალიზმი ექიმსა და პაციენტს შორის დამოკიდებულების დომინანტური პრინციპი იყო მთელ მსოფლიოში, რომელშიც ექიმი გვევლინება პაციენტის "მამის" როლში, სადაც იგი ერთპიროვნულად განსაზღვრავს პაციენტისათვის სასურველ არჩევანს და კისრულობს მასზე სრულ პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევაში პაციენტს ენიჭება პასიური როლი და გვევლინება მხოლოდ ექიმის მითითებების აღმასრულებელი. ამასთან, ასეთი მიდგომას ეთანხმებოდა ორივე მხარე.

პატერნალიზმის მოდელი არ შეესაბამება პოსტინდუსტრიული საზოგადოების რეალობას და ხდება ექიმებსა და პაციენტებს შორის ურთიერთობის მორალური პარადიგმის ფუნდამენტური ცვლილება. პატერნალიზმი შეიცვალა ინფორმირებული თანხმობის მოდელით, რაც გულისხმობს მკურნალობის მეთოდების არჩევის შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას, სადაც პაციენტებისა და ექიმების პასუხისმგებლობა ადამიანის ჯანმრთელობაზე დაბალანსებულია. მასში გადალახულია ორივე მხარის პატერნალისტური მიდგომები.

ექიმი პაციენტს აწვდის სრულ ინფორმაციას დაავადების და მკურნალობის შესაძლო მეთოდების შესახებ, ხოლო პაციენტს რჩება სამედიცინო ჩარევის არჩევის უფლება. მაშინაც კი, როდესაც პაციენტს ექიმისგან განსხვავებული აზრი აქვს, ექიმმა უნდა იმოქმედოს პაციენტის გადაწყვეტილების შესაბამისად. ამ პარადიგმას ეწოდა ე.წ. "ინფორმირებული თანხმობა" (informed consent), თუმცა, ასევე იყენებენ ტერმინს "ექიმისა და პაციენტის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება" (shared decision-making between professional and patient).

პაციენტის ინფორმირებულობის ხარისხს იმიტომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, რომ სამედიცინო პრაქტიკაში ხშირად აღინიშნება ეთიკური პრობლემები, რაც უმთავრესად ინფორმირებული თანხმობის არასათანადოდ უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული. შედეგად, ირღვევა ეთიკის ფუნდამენტური პრინციპები, რაც მოითხოვს სათანადო რეგულირებას (ვერულავა, თ. 2016).

სამედიცინო ჩარევაზე პაციენტის თანხმობის მიღების შესახებ მოთხოვნა პირველად ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში დიდ ბრიტანეთში. ტერმინი "ნებაყოფლობით თანხმობა" პირველად გაჩნდა 1940-იანი წლების მეორე ნახევარში ნიურნბერგის პროცესის დასრულების შემდეგ, როდესაც ყურადღება გამახვილდა სამედიცინო ექსპერიმენტებში ნებაყოფლობით მონაწილეობაზე [3]. ნიურნბერგის კოდექსი (გამოქვეყნდა 1949 წელს) შემუშავდა ისეთი სტანდარტის დასადგენად, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა ნაცისტი მეცნიერების და ექიმების გასამართლება ნიურნბერგის სასამართლო პროცესების მსვლელობისას.

ბევრი ავტორის აზრით, ტერმინი "ინფორმირებული თანხმობა" შემოღებულ იქნა 1957 წელს, როდესაც აშშ-ში ტრანსლუმბალური აორტოგრაფიის შედეგად პაციენტს შეეზღუდა მოძრაობა, მან მიმართა სასამართლოს და მოიგო სარჩელი ექიმების წინააღმდეგ: გამოირკვა, რომ მოცემული გართულების შესახებ ინფორმირების შემთხვევაში იგი არ მისცემდა თანხმობას, ამიტომ მისი თანხმობა არ იყო ინფორმირებული.

„ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვის შესახებ“ კონვენციის მიხედვით, „ნებისმიერი ჩარევა ჯანმრთელობის სფეროში უნდა ჩატარდეს პირის მიერ ნებაყოფლობით გაცხადებული და გააზრებული თანხმობის მიღების შემდეგ. პირს წინასწარ უნდა მიეცეს შესაბამისი ინფორმაცია ჩარევის მიზნისა და ხასიათის, აგრეთვე შედეგებისა და საფრთხის შესახებ. პირს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს უარი თქვას ადრე გაცხადებულ თანხმობაზე“ (მუხლი 5) [4].

ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სამკურნალო, დიაგნოსტიკურ, სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკურ და პალიატიური მზრუნველობის პროცესებში პაციენტის მონაწილეობის აუცილებელი პირობაა ზეპირი ან წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. სამედიცინო ჩარევების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარებისათვის აუცილებელია წერილობითი თანხმობა, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით [2]. ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარს მოკლებული პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევის განხორციელება, მისი ჩართვა სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესში დასაშვებია მხოლოდ მისი წინასწარ გაცხადებული ნების (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) გათვალისწინებით, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას – მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით [2].

პაციენტს, ან მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში, ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) სამედიცინო მომსახურების არსისა და საჭიროების შესახებ; ბ) სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელი შედეგების შესახებ; გ) პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკის შესახებ; დ) განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტებისა და ამ უკანასკნელთა თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ; ე) სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ; ვ) „ბ. ა” – „ბ. ე” ქვეპუნქტებში ჩამოთვლილთან დაკავშირებული ფინანსური და სოციალური საკითხების შესახებ [4].

წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია შემდეგი სამედიცინო მომსახურებისას:

- ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია, გარდა მცირე ქირურგიული მანიპულაციებისა;
- აბორტი;
- ქირურგიული კონტრაცეფცია – სტერილიზაცია;
- მაგისტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაცია;
- ჰემოდიალიზი და პერიტონეული დიალიზი;
- ექსტრაკორპორული განაყოფიერება;
- გენეტიკური ტესტირება;
- გენური თერაპია;
- სხივური თერაპია;
- ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპია;
- ყველა სხვა შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების გამწევი საჭიროდ თვლის წერილობით ინფორმირებულ თანხმობას.

ამგვარად, როცა ექიმი პაციენტს უნიშნავს ამა თუ იმ სახის სამედიცინო მომსახურებას, პაციენტს აქვს უფლება მოითხოვოს მისგან დაწვრილებითი ინფორმაცია ამ მომსახურების შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს ექიმს თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე.

თუ პაციენტი არასრულწლოვანია ან რაიმე სხვა მიზეზის (მაგ. დაავადების) გამო არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი, მაშინ ინფორმირებულ თანხმობას აცხადებს პაციენტის ნათესავი ან ე.წ. კანონიერი წარმომადგენელი (კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 22, პუნქტი 1).

პაციენტს შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში უარი თქვას სამედიცინო ჩარევაზე ან აირჩიოს რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან ერთ-ერთი ან მოიძიოს მეორე აზრი, ანუ მიმართოს ხვა ექიმს და გაიგოს ამ ექიმის აზრიც მისი დიაგნოზისა და/ან მკურნალობის შესახებ. ამის უფლებას პაციენტს კანონი აძლევს (კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 7).

თუ ექიმი დარწმუნდა, რომ პაციენტმა კარგად გაიაზრა ყოველივე და შესწევს გადაწყვეტილების მიღების უნარი, ის მოვალეა დაეთანხმოს მის აზრს და არ მიმართოს აღნიშნულ სამედიცინო ჩარევას (კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 23, პუნქტი 2). ამასთან, ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულება არ უნდა შეიცვალოს პაციენტის მიმართ. მათ კვლავ უნდა გააგრძელონ პაციენტზე ზრუნვა და შესთავაზონ სამედიცინო დახმარების ალტერნატიული, მისთვის მისაღები ფორმები.

კანონმდებლობა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს განუკურნებელი დაავადების მქონე პაციენტებზე, რომელთაც უფლება აქვთ უარი განაცხადონ სამედიცინო მომსახურებაზე. კერძოდ, „ტერმინალურ სტადიაში მყოფ ქმედუნარიან, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ავადმყოფს უფლება აქვს უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე ან/და პალიატიურ მზრუნველობაზე."

ამრიგად, თუ ქმედუნარიანი პაციენტი უარს აცხადებს სამედიცინო ჩარევაზე, სამედიცინო პერსონალს ეკრძალება ამ სამედიცინო ჩარევის განხორციელება (კანონი "პაციენტის უფლებების შესახებ", მუხლი 23).

პაციენტის ინფორმირებული თანხმობაზე ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, პაციენტებს არ აქვთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების შესახებ სათანადო ინფორმაცია, რის შედეგად, ის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს [10].

## კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

დასახული მიზნების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი სტრუქტურირებული კითხვარის სახით. კითხვარი ატარებს თვითადმინისტრირებად ხასიათს. კვლევისათვის შეირჩა თბილისის მსხვილი საავადმყოფოების ქირურგიული ავადმყოფები. კვლევა ჩატარდა 2017 წლის 15 ოქტომბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით. კვლევაში მონაწილეობდა 100 პაციენტი, რომელთაც მოცემულ პეროდში ჩაუტარდათ ქირურგიული ოპერაცია.

რესპონდენტთაგან 68% იყო მამაკაცი, ხოლო 32% - ქალი. პაციენტების უმრავლესობის ასაკი შეადგენდა 60 წელზე მეტს (60%). რესპონდენტთა მეტი ნაწილი იყო დაოჯახებული (68.3%), პენსიონერი (50%), უმაღლესი განათლებით (56.7%)(იხ. ცხრილი1).

*პაციენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების განაწილება*

*ცხრილი 1*

| | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| **სქესი** | | |
| კაცი | 68 | 68 |
| ქალი | 32 | 32 |
| **ასაკი** | | |
| 18-30 | 5 | 5 |
| 31-40 | 14 | 14 |
| 41-50 | 21 | 21 |
| 51-60 | 27 | 27 |
| 60-ზე მეტი | 33 | 33 |
| **ოჯახური მდგომარეობა** | | |
| დაოჯახებული | 69 | 69 |
| დასაოჯახებელი | 15 | 15 |
| განქორწინებული | 5 | 5 |
| ქვრივი | 11 | 11 |
| **განათლება** | | |
| უმაღლესი | 66 | 66 |
| არასრული უმაღლესი | 8 | 8 |
| საშუალო | 26 | 26 |
| საშუალო არასრული | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| **დასაქმება** | | |
| დასაქმებული | 43 | 43 |
| უმუშევარი | 22 | 22 |
| პენსიონერი | 35 | 35 |

ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქირურგიული ავადმყოფების აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ხელი მოაწერეს ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტს, რითაც გამოხატეს თანხმობა ნებისმიერი სახის მკურნალობაზე ჰოსპიტალიზაციის პერიოდში. აღნიშნული აჩვენებს, რომ პაციენტები დადებითად არიან განწყობილნი ინფორმირებული თანხმობის ფორმის მიმართ. თუმცა, პაციენტის მიერ ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტზე ხელის მოწერა, ზოგჯერ არ ნიშნავს, რომ პაციენტი საკმარისად

არის ინფორმირებული ექიმის მიერ და წარმოდგენა აქვს მისი ავადმყოფობის და საჭირო ქირურგიული ჩარევების შესახებ. ცხადია, ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია ინფორმირებულ თანხმობაზე საუბარი სამედიცინო ეთიკური წესების დაცვით. აქედან გამომდინარე, პაციენტი უნდა იყოს ინფორმირებული თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაგეგმილი ინტერვენციების შესახებ, იმდენად რამდენადაც შეუძლია მას ამის გაგება და ეს ყოველივე უნდა ხდებოდეს პაციენტთა უფლებებისა და პროფესიული ეთიკური წესების შესაბამისად.

პაციენტის განათლება მისი დიაგნოზისა თუ მკურნალობის გზების შესახებ წარმოადგენს ექიმის პასუხიმგებლობას. კვლევის მიხედვით, პაციენტთა 74%-მა განაცხადა, რომ ქირურგიული ოპერაციის შესახებ ისინი ინფორმირებულნი იყვნენ მკურნალი ექიმის მიერ, ხოლო 26%-მა - ექიმისგან და ექთანისგან. სხვა კვლევა ადასტურებს, რომ ინფორმაცია ჩარევების შესახებ ძირითადად გაიცემა ექიმის მიერ. ერთ-ერთი სხვა კვლევის თანახმად, პაციენტების 60% ინფორმირებული იყო სწორედ იმ ექიმისგან, რომელმაც ჩაუტარა ქირურგიული ოპერაცია, მაშინ როდესაც 23%-მა განაცხადა, რომ ინფორმირებულნი იყვნენ ექთნის მიერ, ხოლო პაციენტების 8.5%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არ ყოფილან ინფორმირებულნი [8].

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 52%-მა იცოდა იმ დაავადების სახელი, რომლის სამკურნალოდაც მოათავსეს კლინიკაში. გამოკითხული პაციენტების 44%-მა ზუსტად არ იცოდა დაავადების (დიაგნოზის) სახელი, ხოლო ქირურგიული ოპერაციის დასახელება ზუსტად არ იცოდა 34%-მა და საერთოდ არ იცოდა 22%-მა. აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ პაციენტების 26% აქვს საშუალო განათლება. ცხადია, რაც უფრო მაღალია პაციენტის განათლება, მით უფრო მაღალია მისი ინფორმირებულობა [9] (იხ. ცხრილი2).

*რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები*

*ცხრილი 2*

| | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| მე ხელი მოვაწერე დოკუმენტს, რითაც გამოვხატავ თანხმობას ყველა სახის მკურნალობაზე ჰოსპიტალიზაციის განმავლობაში | | |
| დიახ | 100 | 100% |
| არა | 0 | 0 |
| ვისგან მიიღეთ ინფორმაცია ქირურგიული მკურნალობის შესახებ | | |
| ექიმი | 74 | 74 |
| ექთანი | 0 | |
| არავისგან არანაირი ინფორმაცია არ მიმიღია | 0 | |
| ექიმი + ექთანი | 26 | 26 |
| გთხოვთ დაწეროთ თქვენი დაავადების დიაგნოზი | | |
| იცის | 56 | 56 |
| არ იცის | 0 | |
| არ იცის ზუსტად | 44 | 44 |
| გთხოვთ დაწეროთ ქირურგიული ოპერაციის სახელი | | |
| იცის | 44 | 44 |
| არ იცის | 22 | 22 |
| არ იცის ზუსტად | 34 | 34 |

კითხვაზე - თუ რატომ არის საჭირო ინფორმირებული თანხმობა, პაციენტთა უმრავლესობამ (78%) ხაზი გაუსვა, რომ ის ხელს უწყობს ნდობის ფაქტორის ამაღლებას ექიმსა და პაციენტს შორის. პაციენტთა 91%-მა მიუთითა, რომ ინფორმირებული თანხმობა ხელს უწყობს შესაძლო რისკების თავიდან აცილებას. ასევე დომინანტური აღმოჩნდა მოსაზრება, რომ ექიმი ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს პაციენტი ინფორმაციით (94%).

რესპონდენტთა 57%-მა დააფიქსირა, რომ მიიღო ამომწურავი ინფორმაცია დაავადების დიაგნოზის და მკურნალობის შესახებ, თუმცა, ამას ნაწილობრივ ეთანხმება 26%. ქირურგიული ჩარევის საჭიროებების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო 62%-მა. პაციენტების უმრავლესობა (66%) სათანადოდ ინფორმირებულია ქირურგიული მკურნალობის ალტერნატიული გზების სარგებლიანობისა და შესაძლო რისკების შესახებ. სხვა კვლევებით იგი შეადგენს 58.7% [6] და 67%-ს [7].

ქირურგიული ოპერაციის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო პაციენტთა 61%-მა, ქირურგიული ოპერაციის დროს მოსალოდნელი რისკების შესახებ - 58%, ქირურგიული ოპერაციის შემდგომ მოსალოდნელი რისკების შესახებ - 67%, ქირურგიული ოპერაციის შემდგომ მკურნალობის შესახებ - 59%, ქირურგიული ოპერაციის შემდგომ ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობის შესახებ - 68% (იხ. ცხრილი3).

*რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები*

*ცხრილი 3*

| | დიახ | | ნაწილობრივ ვეთანხმები | | არა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | n | % | n | % | n | % |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია ჩემი დაავადების დიაგნოზისა და მკურნალობის შესახებ | 57 | 57 | 26 | 26 | 17 | 17 |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია, რომ ჩემი პრობლემა უნდა გადაწყდეს ქირურგიული ოპერაციის გზით | 62 | 62 | 28 | 28 | 10 | 10 |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია ქირურგიული მკურნალობის ალტერნატიული გზების სარგებლიანობისა და რისკების შესახებ | 66 | 66 | 25 | 25 | 9 | 9 |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია ქირურგიული ოპერაციის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ | 61 | 61 | 23 | 23 | 16 | 16 |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია ქირურგიული ოპერაციის დროს მოსალოდნელი რისკების შესახებ | 58 | 58 | 21 | 21 | 21 | 21 |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია ქირურგიული ოპერაციის შემდგომ მოსალოდნელი რისკების შესახებ | 67 | 67 | 28 | 28 | 5 | 5 |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია ქირურგიული ოპერაციის შემდგომ მკურნალობის შესახებ | 59 | 59 | 33 | 33 | 8 | 8 |
| მე მივიღე საკმარისი ინფორმაცია ქირურგიული ოპერაციის შემდგომ ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობის შესახებ | 68 | 68 | 26 | 26 | 6 | 6 |

ფაქტია, რომ მკურნალობის პროცესის შედეგები იქნება გაცილებით დადებითი, როცა პაციენტი სრულყოფილადაა ინფორმირებული ქირურგიულ ჩარევებამდე. ექიმი ვალდებულია ზედმიწევნით აუხსნას და განუმარტოს პაციენტს ქირურგიული ჩარევის დეტალები, პოსტოპერაციულ პერიოდთან დაკავშირებული გართულებები, მოსალოდნელი შედეგები და მოლოდინები.

ზოგჯერ პაციენტი სრულ ნდობას უცხადებს ექიმს, შესაბამისად იგი მხოლოდ ფორმალურად აწერს ხელს ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტს. ამ დროს ექიმი ვალდებულია პაციენტს მიაწოდოს ყველანაირი ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული პაციენტის მხრიდან ცრუ მოლოდინები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შემდგომი გართულებები მკურნალობის სხვადასხვა ეტაპზე.

პაციენტის სრული ინფორმირებულობა გააღრმავებს ნდობას ექიმსა და პაციენტს შორის, დაეხმარება პაციენტს მკურნალობის წარმატებულად ჩატარებაში. მიზნის მისაღწევად საჭიროა ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლება, როგორც ექიმის, ასევე პაციენტების მხრიდან.

რაც შეეხება პოსტოპერაციულ პერიოდს, საავადმყოფოში დაყოვნებას და სარეაბილიტაციო მკურნალობის პროცესს, პაციენტები ნაწილობრივ იყვნენ ინფორმირებულნი (შესაბამისად, 50%, 52% და 55%). ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ პაციენტებში, პოსტ-ოპერაციული ინფორმირებულობის დონე უფრო დაბალია ვიდრე ოპერაციის მოსამზადებელი პერიოდის ინფორმირებულობის დონე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ექიმები უფრო მეტად მგრძნობიარენი არიან ოპერაციამდე და უშუალოდ ოპერაციის მსვლელობის პერიოდში არსებულ გართულებებზე, ვიდრე ეს შეინიშნება პოსტოპერაციული პერიოდის დროს.

## დასკვნა

ამგვარად, კვლევა აჩვენებს, რომ სათანადო, სრულყოფილი ინფორმაციის ქონა აუცილებელი წინა-პირობაა პაციენტებისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ჯანმრთელობის საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა, კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს ხარვეზები პაციენტების ინფორმირებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტების ინფორმირებული თანხმობისა და სრულყოფილი განათლების მიღწევა ძნელია პრაქტიკაში, აუცილებელია მისი უზრუნველყოფა. პაციენტებისთვის ინფორმაციის გადაცემისას საჭიროა მეტი ყურადღების დათმობა მათი ინფორმირებულობის ასამაღლებლად. ექიმებმა პაციენტებს უნდა მიაწოდონ ზუსტი ინფორმაცია გასაგებ ენაზე. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა, როგორც ზეპირი, ასევე, სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, როგორიცაა: ვიზუალური მასალები (ვიდეო, ფოტომასალა). ამავდროუ-ლად, გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების განათლების დონე და სხვ.

მიზანშეწონილია ტრენინგების ჩატარება სამედიცინო პერსონალთან, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელია პაციენტების ინფორმირებულობაზე. აუცილებელია გაიზარდოს თავად პაციენტების ინფორმირებულობის დონე.

## ლიტერატურა:


1. ვერულავა, თ. ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016.
2. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
3. The Nuremberg code (1947). British Medical Journal. 1996; 313:1448.
4. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ", 2000 წლის 5 მაისი, მუხლი 4.
5. Quality of an informed consent prior to a surgical intervention? Experience of a teaching hospital Engin Kurt , MuharrenUcar , Adnan Atacfile:///C:/Users/acer/Downloads/8968-42304-1-PB.pdf
6. Ertem A, Yava A, Demirkilic U. Determination of theopinions and suggestions of the patients undergoingcardiac surgery on preoperative informed consent. TurkishJ Thoracic Cardiovascular Surg. 2013;21(2):378-391. DOI:10.5606/tgkdc.dergisi.2013.7388.
7. Turla A, Karaaslan B, Kocakaya M, Peksen Y. Thedetermination of the status of sufficient information given.Turkiye Klinikleri J Foren Med. 2005;2(2):33-38.
8. Deger M, Hot I, Toprak N. Cerrahi uygulamalarda hekimintutumuna ait bir anket calismasi [A questionnaire studyof attitudes of the physician in surgical applications]. In:Hatemi H, editor. Medikal etik [Medical ethics]. Istanbul:Tavasli Matbaasi. 1999;113-130.
9. კონვენცია ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვის შესახებ: კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ. ევროპის საბჭო, ოვიედო 4.04.1997.
10. ვერულავა თ, კარტოზია, დ, რევია, ნ, ედიბერიძე, მ, შალამბერიძე, ა, ლიპარტია, თ, ფირცხალაიშვილი, ი, ახმოდიშვილი, ა. ქირურგიული ჩარევის შესახებ ინფორმირებული თანხმობა. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, No 3. ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი. 2017:103-109.
11. გერზმავა ო. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი. თბილისი, 2012.


## An Informed Consent of a Patient for Medical Services in Georgia


***Tengiz Verulava***

*Academic Doctor of Medicine*

*Professor at Ilia State University*

*Director of Health Policy and Insurance Center*



S u m m a r y

Patients' rights issues are becoming increasingly important and is becoming a priority. Legal regulations related to the creation of the fundamental principles of medical ethics, where the main focus is on the "informed consent" issue. The study is designed to determine by how much the patient is aware of the surgery performed by a doctor provided informed consent. The quantitative part of the study, semi questionnaire survey was carried out with surgical patients. The majority of patients are properly informed about the diagnosis and treatment of disease, surgical treatment alternatives. It is recommended to conduct training with the medical staff, who are directly responsible for the patients' awareness.



***Key words:*** *informed consent; patients' awareness; surgical treatment; medical ethics.*

# Тренды в безработице и миграции рабочей силы за границу

**Сергей Войтович**
*професор, доктор социологических наук, професор,*
*Университет им. Александра Дубчека в Тренчине, Словакия*

*Статья посвящена определению тенденций на рынке труда и трудовой политике, сформированным в предыдущие годы в условиях евроинтеграции рынка труда и его изменений под влиянием экономического спада, связанного с мировым финансовым кризисом. Объектом анализа и поиска являются прежде всего тенденции в уровне безработицы и прежде всего в долгосрочной перспективе, в миграционных потоках рабочей силы за рубеж, в гибких формы занятости и в мобильности рабочей силы.*

***Ключевые слова**: тренды на рынке труда, безработица, валовый продукт, миграция миграции рабочей силы за границу*

## Введение

Безработица уже в течение длительного времени остается одной из самых актуальных социальных и экономических проблем Словакии. Структурные изменения в экономике в начале трансформационных процесов общества, несбалансированные политические и экономические решения повлияли на уровень безработицы в Словакии почти до уровня, сопоставимого с уровнем безработицы в некоторых кризисных временах. Структурные изменения в экономике и рост производства, особенно в конце 90-х и в начале нового века, как правило, адекватно не снизили уровень безработицы, которыя оставалась на стабильно высоком уровне. Постепенный рост производства и численности занятых под влиянием притока иностранных инвестиций был компенсирован увольнением персонала, обусловленным структурными изменениями в экономике. Только с 2004 года наблюдается статистически значимая тенденция в снижении безработицы в экономике Словакии. Это снижение уровня безработицы в большинстве случаев было связано с экономическим развитием обусловленным притоком прямых зарубежных инвестиций и повышением уровня занятости.

Тем не менее, детальный анализ показывает, что снижение уровня регистрированной безработицы не был обусловленный повышением уровня занятости и созданием новых рабочих мест. В этот же период значительно увеличилось число рабочих емигрантов. Таким образом, основная цель этой статьи, была установить зависимость между уровнем безработицы и миграционными потоками рабочей силы Словакии за рубеж. Для этого осуществляется анализ закокномерностей экономического роста, статистический анализ показателей уровня безработицы и изменений в миграционных потоках рабочей силы Словакии за рубеж.

## 1. Изменения в экономическом развитии и уровне безработицы

Состояние безработицы в Западоевропейском контексте основывается на квалификационных различиях в структуре рабочих мест и рабочей силы. [1; 2]. Это означает, что на рынку труда не находят применение лица с низкой квалификацией и наоборот, с повышением уровня образования повышается вероятность успешного получения работы и снижается риск безработицы [3; 4]. В связи с этим, особое внимание в политике занятости уделяется развитию образования с целью вовлечения как можно большей части населения в течение длительного времени в сферу образования [5]. В этом случае предполагается, что в результате этого произойдет повышение мобильности работников и их возможности найти работу. [6, с. 45.49]. Одновременно это является воплощением одной из главных общественых функций а также частью государственной политики занятости – предоставить работу тем, кто в ней нуждается. [7, с. 18-21].

Открытие национальных рынков и интеграция стран Центральной и Восточной Европы в Европейский союз создало для них возможность в своем экономическом развитии использовать внешние ресурсы – прежде всего имеется в вид использование прямых зарубежных инвестиций. Как правило, экономическое развитие стран Центральной и Восточной Европы, принятых в Европейский союз, осуществлялось на основании притока прямых зарубежных инвестиций. Эфективтость этих процессов в каждой стране зависела от ее технологического превосходства, уровня развития инфраструктуры, квалификации и образования рабочей силы, политических решений и тому подобное. Тем не менее, одинаковым для всех стран была потребность использования прямых зарубежных инвестиций.

Например, наибольшие структурные изменения в экономическом развитии Словакии осуществлялись в начале 90-ых годов прошлого века. Тогда, на основе политически и экономически необоснованного решения были ликвидированы на данный период высокотехнологические отрасли промышленности, связаннаые с производством военной продукции. Это означает, что спад производства в этих отраслях небыл связан с уменьшением спроса на их продукцию а с политическими решениями. Одновременно прекратили своё

существование и другие энергетически и высокотехнологически сложные отрасли. Именно в этот период, резко выросла безработица, которая уже в 1992 году была на уровне 11% [8].

После очередных парламентских выборов и политических изменений в 1998 году Словацкая экономика в полной мере была присоеденена к процессам европейской интеграции и создания условий для притока зарубежных инвестиций. Предыдущее восьмилетнее экономическое развитие после перехода от плановой к рыночной экономике сопровождадось падением уровня экономического развития и последующей стагнацией. Но с 1998 года ВВП страны возрос на 4,1%. Одновременно в этом же году 16,4% общей численности экономически активного населения была безработной. В следующем году, несмотря на рост ВВП на 1,9%, безработица выросла почти до 20% [8].

Одинаковые тенденции в росте ВВП также произошли и в следующих годах. Начиная с 2000 года, наблюдается ощутимый экономический рост. Если в 2000 году ВВП был на уровне только 1,4%, так в следующем году он вырос до уровня 3,5%. В каждом последующем году ВВП возрастал в среднем ещё на 1% и в 2007 году составил 10,5% [8].

Развитие уровня безработицы в этот период существенно отличается от темпов изменений во валовом внутреннем продукте. Например, от времени кульминации безработицы (в 1998 году) до уровня почти 20%, в последующие годы наблюдается её незначительное снижение или колебание между 17 и 19 процентами. Только с 2005 года уровень безработицы имеет снижающуюся тенденцию – от 2% в 2005 году, 3% в следующем году и почти 2% в течение следующих двух лет. В жто это же время темпы роста ВВП остаются на прежнем уровне, кроме 2,2% увеличения темпа роста в 2007 году (см. таблицу 1).

*Табл. 1: Валовой внутренний продукт и безработица в Словакии (%)*

| Годы | 2001 | 2003 | 2005 | 2007 | 2009 | 2011 | 2012 | 2014 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ВВП (%) | 3,5 | 4,8 | 6,6 | 10,5 | -4,9 | 3,3 | 2,4 | 2,8 | 3,4 |
| Безработица (%) | 19,3 | 17,4 | 16,1 | 11,0 | 12,1 | 13,4 | 13,9 | 12,2 | 8,9 |

Источник: www.ifm.org [9].

Только в короткий период между 2004 и 2007 годами наблюдается сильная обратная корреляционная связь между ростом ВВП и уровнем безработицы – коэффициент корреляции (r) имеет значение - 0,99 на уровне значимости (p) = 0,05. В предыдущем периоде с 2000 по 2004 годы наблюдается средняя обратная корреляционная связьмежду ростом ВВП и уровнем безработицы: r = -0,54, на уровне значимости (p) = 0,01). В период возникновения экономического спада (2008 год) и до 2012 года отсутствует тесная корреляция между изменениями в показателях ВВП и уровнем безработицы: r = -0,07, на уровне значимости (p) = 0,01. Одновременно в течение всего периода с 2000 по 2012 год также отсутствует сильная корреляциоггая связь между изменениями в показателях ВВП и уровнем безработицы: r = -0,11, p = 0,06.

## 2. Связь между миграцией рабочей силы за границу и безработицой

Вопрос миграции рабочей силы в Словакии начинает появляться в средствах массовой информации и на страницах научных публикаций только в последнее десятилетие и особенно после вступления Словакии в Европейский союз. Получение рабочего места за рубежом оценивается, прежде всего, как положительное явление, как свидетельство расширения свободного обмена в Европейском экономическом пространстве [10, с.24-27]. Как определенная экономическая и социальная проблема миграции словацких граждан на работу за границу воспринимается только в интенции к высококвалифицированным и талантливым молодым людям, которые стали частью так называемого процесса «утечки мозгов» [11, с. 17]. В то же время в целом проблема влияния миграции на общество, различные социальные процессы, социальный статус самих мигрантов привлекает всё большее внимание научной и профессиональной общественности [12, с. 36].

Тем не менее, исследование общего влияния миграции рабочей силы Словакии за границу на социальное и экономическое развитие общества ненаходит адекватного отражения в научно-исследовательских работах и экспертных оценках. Мы не знаем, например, точный баланс пользы и потерь от работы словацких граждан за границей для экономики, общества, самих граждан. Как правило, пишется и говорится только о рабочей миграции. Тем не менее, выезд за рубеж и последующее трудоустройство не всегда обусловлено отсуствием работы дома. В какой мере, например, низкая заработная плата, бюрократические барьеры, плохая работа правоохранительных органов, коррупция и другие отрицательные явления для граждан причиной переезда за границу? Не изучено влияние экономических и производственных факторов, тенденций на рынке труда и в сфере занятости населения на интенсивность и диапазон миграционных потоков рабочей силы за границу, причинно-следственные связи миграции рабочей силы и безработицы.

Миграционные потоки рабочей силы за рубеж, в большинстве случаев, как уже отмечалось, были

проанализированы и изучены только с точки зрения так называемой проблемы «утечки мозгов» и не связаны с отсутствием вакансий на внутреннем рынке труда. Даже сегодня доминируют медиализированные и упрощённые предсравления о том, что наиболее эффективным лекарством безработицы является создание новых рабочих мест на основании привлечения иностранных инвестиций. Поэтому наиболее важной мерой экономической политики правительства была и остается поддержка и продвижение притока прямых иностранных инвестиций.

Однако, перемещение граждан на работу за границу небыло незначительным явлением и не могло не повлиять на уровень безработицы, на расходы по государственных социальных програмах и пособиях по безработице. Безработица в Словакии достигла своего пика в 2000 году и была на уровне 20%, что в абсолютных показателях достигло более 500 тысяч человек. С 2000 по 2008 год уровень безработицы имел тенденцию к снижению (см. табл. 2).

*Табл. 2: Соискатели на свободные рабочие места в 2000-2012 годы*

| Годы | 2000 | 2004 | 2006 | 2008 | 2010 | 2012 | 2014 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Численность (тыс.) | 536,8 | 474,2 | 273,4 | 251,8 | 269,2 | 284,3 | 402,1 | 293,4 | 247,2 |
| % | 18,7 | 17,2 | 13,3 | 9,6 | 12,4 | 13,9 | 12,2 | 8,9 | 7,5 |

Исночник: UPSVAR, (перерасчёты автора).

В то же время в соответствии с Выборочными исследованиями рабочей силы (VZPS) Статистическим комитетом Словакии отход словацких граждан на работу за границу имеет тенденцию к росту. Если на переломе веков уезжало из Словакии за работой за границу около 60 000 граждан Словацкой Республики, так в 2004 году их количество возросло почти в два раза - до 103 600, в 2006 году - до 158 100, в 2007 году за рубежом работало еще на 20 тысяч человек больще, что означает почти в три раза больше чем в 2000 году [8].

Если сравнить абсолютные показатели численности безработных в 2000 году, т.е. 536 тыс. и численность безработных в 2007 году – то их было на 239 тыс. человек меньше, чем в 2000. В то же время численность работающих за границей в 2007 году составляла 270 тыс. человек. Если количество безработных в 2007 году (239 000) соожим с количнством работающих за границей в 2007 (или в 2008) – 270 тыс., то получим почти такое же количество безработных в 2000 году - 509 000 человек. Крупнейшие инвесторы KIA и PSA-Peugeot дали работу примерно 3000 людям. Все инвесторы в этот период создали 40 000 новых рабочих мест, причем вместе с поставщиками их было около 60 000. [13].

Это означает, что на решение проблемы безработицы в Словакии не повлияли иностранные инвесторы. Решающим событием, которое повлияло на снижение уровня безработицы, было вступление Словакии в Европейский союз и с ним сопровождающийся процесс либерализации национальных рынков труда в странах Западной Европы. [14, с. 15]. До вступления Словакии в Европейский союз её граждане имели возможность найти работу только на рынке труда в Чехии и частично (в большинстве случаев нелегально) в некоторых сегментах рынка труда (в основном на рабочих местах с низкой квалификацией) в странах Западной Европы. Поворотным моментом в этих процессох было расширение ЕС, составной частью которого было также вступление Словакии в Европейский союз и постепенной либерализацией национальных рынков труда в странах Западной Европы. В этот же период также наблюдаются изменения в миграционных потоках рабочей силы Словакии за границу. Если, например, в 2003 году за границей работало 69 тыс. словацких граждан, то год спусня после вступления СР в Европейский союз за рубежом работало 103 тысяч граждан. (см.Табл. 3).

Если бы снижение показателей регистрированной безработицы было бы результатом повышения уровня занятости, это свидетельствовало бы о возрастании количества новых рабочих мест в экономике страны. В данном случае не имеет значения на основании каких факторов – притока прямых иностранных инвестиций или в результате других мер государственной экономической политики.

*Tabл. 3: Количество безработных и количество работающих за границей (в тыс.)*

| **Годы** | 2000 | 2007 | 2012 | 2014 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **Безработные** | 536,8 | 239,9 | 284,3 | 402,1 | 293,4 | 247,2 |
| **Работающие за рубежом** | 49,3 | 270,6 | 309,7 | 312,7 | 297,5 | 301,3 |

Источник: VZPS, ŠÚ SR

В результате этого растущая экономика Словакии в этот период теряла рабочую силу - уже в 2007 в перед кризисном году Словакия очутилась в ситуации, когда на рынке труда уже имела место нехватка рабочей силы особенно в области здравоохранения, промышленном производстве, в образовании, в сфере управленческих

позиций и тому подобное. Например, в начале 2008 года в Словакии в некоторых секторах нехватало от 20 до 25 тыс. работников [15]. В настоящее время по оценкам за рубежом работает примерно 300 тыс, граждан Словакии. Вместе с тем уменьшается колтчнство людей, которые возвращаются из за рубежа, хотя значительно снизидся уровень безработицы и на рынке труда ощушается острая нехватка квалифицированной рабочей силы.

## Заключение

Полученные результаты анализа тенденций в безработице и эмиграции рабочей силы свидетельствуют о тесной взаимосвязи этих двох явлений. Отсуствие на рынке труда Словацкой Республики свободных рабочих рук обусловило раст миграции работников в поисках работы за границей. Несмотря на это в контексте финансового кризиса и экономического спада проблемы в области безработицы в последующие годы увеличивались и сегодня стало проблемой принять на работу пожилых граждан, граждан с низкой квалификацией, молодых людей без опыта работы и тому подобное.

Вместе с тем эти тенденции свидетельствуют о том, что основным мотивом миграции граждан Словакии за работой за рубеж было не только отсутствие рабочих мест на внутреннем рынке труда. Более высокая стоимость труда не только в развитых странах Европейского союза, но и в некоторых соседних странах были основной причиной принятия решения граждан Словацкой Республики о поиске работы за границей. Несмотря на рост стоимости труда в Словакии и снижения шансов для граждан найти работу за границей под влиянием мирового экономического кризиса, трудовая миграция в этих условиях не теряет свою актуальность.

Статья написана в рамках реализации проекта VEGA č. 1/0679/17

## Литература:

1. Schaeffer, P. Refugees: On the Economics of Political Migration. Journal of International Migration. 2010. Vol. (48)1, pp. 1-22.
2. Sileika, A., & Andriusaitiene, D. Problems of Identifying and Regulating the Structure of the Labour Market in Depressive Lithuanian Regions. Journal of Business Economics and Management, 2006. Vol. 7(4), pp. 223-233.
3. Simanaviciene, A., & Uzkuryte, L. Changes of Labour Market During the Recession: in Case of Lithuanian. Ekonomika ir vadyba-Economics and Management. 2009 Vol. 14, pp. 940-946.
4. Skidelsky, R. The End of Neo-Classicism, The Vienna Review. 2008. Vol. 10, pp. 25-26.
5. Startiene, G. & Remeikiene, R. The Influence of Demographical Factors on the interaction between Entrepreneurship and Unemployment, Inzinerine Ekonomika-Engineering Economics. 2009. Vol. 4, pp. 60-70.
6. Bielensky, H., Bosch, G., Wagner, A. Wie die Europäer arbeiten wollen. Erwerbs in 16 Ländern. – Frankfurt/Mein: Campus, 2002. 316 c.
7. Günter, S. Wege in eine neue Vollbeschäftigung. – Über-gangsarbeitsmärkte und Arbeitsmarktpolitik. Frankfurt/Mein, 2002. 184 c.
8. Ústredie práce, sociálnych vecí a rodiny SR. [12.05.2018]. Available at: http://www.upsvar.sk/rsi/rsi.nsf/0/303D10BE-6C08F9BCC125730200 3F4F4D?OpenDocument
9. IFM – [23.08.2018]. Available at: www.ifm.org
10. Šramková, I. Práca v EÚ, krok za krokom. – Bratislava: SEVT, a. s., 2005. – 116 c.
11. Weidlich, R. Únik mozgov. In: Stratégie v reklame, marketingu a médiách, 2000, № 10, c. 8-21.
12. Jurčova, D. Pracovné migrácie v SR. – Bratislava: Akty, 2008. – 218 c.
13. Aktuálne. – [22.06.2018]. Available at: http://aktualne.atlas.sk/ pracu-v-zahranici-hlada-menej-slovakov-ako-doteraz-/ekonomika/
14. Hanzelová, E., Kostolná, Z., Reichová D. Sprístupnenie trhov práce krajín EÚ a migrácia za prácou absolventov vysokých škôl SR: Inštitút pre výskum práce a rodiny. – № 6, c. 12-18.
15. Infostat. – [23.06.2018]. Available at: htpp://www.infostat.sk/vdc/pdf/pracovne_migracie.pdf

# Trends in Unemployment and Migration of Labor Abroad

***Sergej Vojtovic**,*
*doctor of sociology, Associated Professor*
*University of Alexander Dubchek in Trencin,, Slovakia*

S u m m a r y

The contribution is dedicated to trends definition on labour market and labour policy, shaped in the previous ages in the condition of european labour market instionalization and representation its changes under influence of economic recessions, inflicted by world financial crisis. Object of analyses and searchs are above all trends in the levels of unemployment and primarily in the in the longer term unemployment, in the migrational flows working forces abroad, in the flexible character form employment and legislative relations in it and in the working forces mobility.

***Key words:** trends in the labor market, unemployment, national product, migration of labor abroad*

# კარიერული განვითარების ძირითადი თეორიები

**ნინო ზურაშვილი**
*დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი*
*შ.პ.ს. „ქართულ - ევროპული უნივერსიტეტი“*

*კარიერული განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს პერსონალის განვითარების კუთხით. კარიერული განვიარება მნიშვნელოვანია როგორც პერსონალისთვის, ასევე კომპანიებისთვისაც. ის მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორებიცაა: პერსონალის კმაყოფილების მაღალი დონე, პერსონალის მოტივაციის მაღალი დონე, ახალი შესაძლებლობები პერსონალის წევრებისთვის, პერსონალის დენადობის დაბალი დონე.*

*წინამდებარე შრომაში აღწერილია კარიერული განვითარების შინაარსობრივი და პროცესის თეორიები, ასევე გადმოვეცით კარიერული განვითარების შინაარსობრივი და პროცესუალური სინთეზის თეორიები.*

*საკვანძო სიტყვები: კარიერული განვითარება, პერსონალი, შინაარსობრივი და პროცესის თეორიები.*

თანამედროვე მსოფლიოში მას შემდეგ რაც კომპანიებს შორის გაიზარდა კონკურენცია, ორგანიზაციების მენეჯმენტმა მეტი ყურადღება მიაპყრო დასაქმებულთა განვითარებას, განსაკუთრებით ეს ეხება დასაქმებულთა კარიერულ განვითარებას.

კარიერული განვითარება აქტუალურ თემას წარმოადგენს იქიდან გამომდინარე, რომ მას აქვს დადებითი გავლენა როგორც კომპანიის განვითარებაზე, ასევე დასაქმებულთა განვითარებაზე. კარიერული განვითარება ამაღლებს დასაქმებულთა მოტივაციას, დადებითად მოქმედებს დასაქმებულებზე სტრესის შემცირების კუთხით, საშუალებას აძლევს პერსონალს, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები, დადებით გავლენას ახდენს კადრების დენადობის შემცირებაზე.

კარიერული განვითარება მნიშვნელოვანია თითოეული კომპანიისთვის იქიდან გამომდინარეც, რომ საშუალებას აძლევს თითოეულ კომპანიას დაიკავოს უკეთესი ადგილი იმ ბიზნეს გარემოში სადაც ფუნქციონირებს. საუკეთესო სპეციალისტების საშუალებით ორგანიზაციას შეუძლია რომ მოახდინოს სწრაფი ადაპტაცია და გადარჩენა კონკურენტული ბიზნეს გარემოში. კარიერული განვითარება არის საშუალება, რომ თითოეული კომპანია მომზადებული შეხვდეს მომავალს და არ ეშინოდეს მომავლის გამოწვევების [2 გვ. 125].

ეფექტიანი კარიერული განვითარების შესაძლებლობა კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, რომ მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა და განავითაროს თავისი დასაქმებულები. გახადოს ისინი უფრო წარმატებულები და მოტივირებულნი.

კარიერული ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: [3 გვ. 342]

1. **მოტივაციის ამაღლება**. მაშინ როდესაც კომპანია სადაც დასაქმებულები არიან ადამიანები, მათ აძლევთ შესაძლებლობას, რომ განვითარდნენ კარიერულად, ეს პირდაპირპროპორციულად აისახება მათ მოტივაციაზე. დაქირავებულები არიან უფრო მიზანდასახულნი რომ გახდნენ უფრო შრომის მწარმოებლურები და მეტი სარგებელი მოუტიანონ თავიანთ ორგანიზაციას, რათა ისინი შეამჩნიონ და დააწინაურონ.
2. **იზრდება კმაყოფილების დონე**. კარიერული ზრდის შესაძლებლობები სამუშაო ადგილზე დასაქმებულების კმაყოფილების დონეს ზრდის. კმაყოფილების დონის ზრდა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ თითოეული დასაქმებული დარწმუნებულია რომ დაუფასდება შრომა და ექნება კარიერული ზრდის შესაძლებლობა, თუ იმუშავებს შესაბამისად.
3. **სტრესის დონის შემცირება**. მაშინ როდესაც დასაქმებულები იმყოფებიან სტრესის ქვეშ, ეს მათ არ აძლევთ საშუალებას რომ იყვნენ უფრო შრომის მწარმოებლურები და ეფექტიანები. თითოეული ორგანიზაცია ცდილობს, რომ შეამციროს სტრესის დონე სამუშაო ადგილზე, მაგრამ სტრესი განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. სტრესის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი არის სამუშაო ადგილზე განვითარების არ არსებობა. მაშინ როდესაც დასაქმებულები ხედავენ რომ როგორ ნაყოფიერადაც არ უნდა იმუშაონ ვერ შეძლებენ განვითარებასა და უკეთესი თანამდობზბობის შეთავაზებას ან მაღალ ხელფასს, ეს ზრდის მათი სტრესის დონეს. მაშინ როდესაც სამუშაო ადგილზე შესაძლებელია კარიერული განვითარება მცირდება სტრესის დონე და დასაქმებულს შეუძლია იმუშაოს უფრო თავისუფლად. სტრესის დაბალი დონე კი აუცილებლად დადებითად აისახება დასაქმებულის შრომის ნაყოფიერებაზე [3 გვ. 346].
4. **ახალი შესაძლებლობების შექმნა**. კარიერული ზრდის შესაძლებლობები ნიშნავს, რომ დასაქმებულები ორიენტირებულები არიან შეისწავლონ და გაიგონ რაიმე ახალი კომპანიის საქმიანობის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ შესაძლოა დასაქმებულებმა აღმოაჩინონ ახალი ინტერესები თავისავე კომპანიაში. კარიერული განვითარების შესაძლებლობა დასაქმებულებს უბიძგებს უფრო მეტად

ჩართულნი იყვნენ თავიანთ თანამშრომლებთან ურთიერთობაში. კარგი ურთიერთდამოკიდებულება თანამშრომლებს შორის ასევე დადებითად აისახება ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. მაშინ როდესაც კომპანიაში სხვადასხვა თანამშრომელმა იცის და შეუძლია შეითავსონ ერთმანეთის ფუნქციები არის ძალიან დადებითი მოვლენა ორგანიზაციისთვის იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას არ შეექმნება პრობლემა, თუ რომელიმე თანამშრომელი კონკრეტულ დროს ვერ შეძლებს თავისი უფლება-მოვალეობის განხორციელებას.

5. **ჩართულობის ზრდა და პროდუქტიულობის ამაღლება**. კარიერული ზრდის შესაძლებლობები ასევე გულისხმობს, თანამშრომელთა მხარდაჭერას ხელმძღვანელობის მხრიდან. მაშინ როდესაც თანამშრომლები თავს გრძნობენ დაცულად და გააჩნიათ იმის აღქმა, რომ ხელმძღვანელობა მზად არის მათ გაუზიარონ ნებისმიერი მათთვის საინტერესო ინფორმაცია, როდესაც ხელმძღვანელობა აძლევს შესაძლებლობას თავის დასაქმებულებს, რომ შეისწავლონ და დაკავდნენ ახალი მიმართულებებით, ეს წარმოადგენს ამ დასაქმებულთათვის სტიმულს და ამაღლებს მათი პროდუქტიულობის დონეს [4 გვ. 182].

თითოეულ ორგანიზაციას ესაჭიროება რომ გააცნობიერონ კარიერული განვითარების პოზიტიური მნიშვნელობა სამუშაო ადგილზე. კარიერული განვითარება წარმოადგენს შესანიშნავ საშუალებას, რომ ორგანიზაციამ შეძლოს თავისი დასაქმებულების საჭიროებების დაკმაყოფილება. დაქირავებულების საჭიროებების დაკმაყოფილება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, იმისთვის რომ პესონალმა იმუშაოს საუკეთესოდ.

კარიერული განვითარების შინაარსობრივი თეორიები უკავშირდება კარიერულ გადაწყვეტილებებსა და არჩევანს, რომელსაც იღებენ ინდივიდები, მათი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით [8. გვ.25]. შინაარსობრივი თეორიების მიხედვით ინდივიდები გადაწყვეტილებას იღებენ თავიანთი ინტერესების, ფასეულობებისა და პიროფნული მახასიათებლების მიხედვით [14 გვ. 54]. ეს „ინდივიდუალური განსხვავებები" მეცნიერების მიხედვით სხვადასხვაგვარად არის გაანალიზებული. Savickas (2013) აღწერს ინდივიდუალურ განსხვავებებს პროფესიული ფსიქოლოგიით.

„ინდივიდუალური განსხავებების" გარდა პიროვნებებს შორის კარიერის არჩევაზე, შინაარსობრივი თეორიების მიხედვით გავლენას ახდენს „განვითარების განსხვავებები".

პარსონმა (1909) წელს თავის შრომაში ჩამოაყალიბა, რომ ადამიანები გადაწყვეტილებას იღებენ თავიანთი თვისებებისა და ფაქტორების მიხედვით. აღნიშნული იდეა პარსონმა განავითარა პიროვნების გარემომცველი გარემოს თეორიაში.

კარიერული განვითარების შინაარსობრივი თეორია განავითარა პარსონმა, რომელშიც დომინანტური როლი ეჭირა კარიერული განვითარების პრაქტიკულ მხარეებს [7 გვ. 24].

კარიერული განვითარების თეორიებში შინაარსი მნიშვნელოვანია ორი ასპექტის გამო.

პირველი ეს არის მრავალფეროვანი წარმატების კონცეფციები, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება კარიერული განვითარების შესწავლაში. მეორე, ისტორიული ანალიზი და კარიერული განვითარების ეტაპები.

ფრენკ პარსონი იყო პიროვნება, რომელმაც კარიერული განვითარება შეაფასა, როგორც დაქირავე-ბულებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მოტივაციის ამაღლების საშუალება. მან ჩამოაყალიბა პროფესიული ფსიქოლოგიის პირველი ასპექტები [12 გვ. 105].

პარსონის ყველაზე დიდ წვლილი, რომელიც შეიტანა კარიერული განვითარების კუთხით, იყო სამი მნიშვნელოვანი ელემენტის იდენტიფიცირება, კარიერის შერჩევის პროცესში. ეს ელემენტებია:

1. საკუთარი თავის შეცნობა. საკუთარი უნარიანობის, უნარ-ჩვევების, ინტერესების, რესურსები, შეზღუდვებისა და სხვა მახასიათებლების ობიექტური შეფასება.
2. წარმატების მიღწევისთვის საჭირო მოთხოვნებისა და პირობების ცოდნა და შეფასება. გარემოსა და კონკრეტული სფეროს უპირატესობებისა და სისუსტეების შეფასება, ანაზღაურების შეფასება, კონკრეტული საქმიანობისთვის საჭირო შესაძლებლობებისა და სარგებლის შეფასება.
3. პირველი ორი პუნქტის შეფასების შემდგომ მათი ურთიერთდაკავშირება და ანალიზი, რის შემდგომაც შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების შეფასება, რამდენად სწორია პირის მიერ არჩეული კარიერული განვითარების პოლიტიკა [10გვ. 5].

თვისებებისა და ფაქტორების თეორია. თეორია რომელიც ეფუძნება თითოეული ინდივიდის ფსიქო-ლოგიურ გამოკვლევას წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძველ და სანდო თეორიას [16 გვ. 36].

Zunker-ის მიხედვით თვისებებისა და ფაქტორების თეორიის მთავარი ასპექტს წარმოადგენს დაშვება, რომ თითოეულ ინდივიდს გააჩნია საკუთარი უნიკალური თვისებები, რომელთა შეფასება და გაზომვაც არის შესაძლებელი. ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ თვისებებისა და ფაქტორების თეორიას ეხმიანება პარსონის თეორიას, რომლის პირველ მნიშვნელოვან ელემენტსაც ობიექტის თვისებების აღმოჩენასა და ობიექტურ თვით-შეფასებას გულისხმობს.

თვისებებისა და ფაქტორების თეორიის მიხედვით, პარსონისგან განსხვავებით კონკრეტული ინდივიდის თვისებების შეფასებასა და გაზომვას ახდენს ექსპერტი. ამავე ექსპერტის კომპეტენციაში შედის, რომ

მოახდინოს კონკრეტული პიროვნების მომავლის წინასწარ განსაზღვრა და მისთვის საჭირო სამუშაოების იდენტიფიცირება.

თვისებებისა და ფაქტორების თეორიის მიხედვით, მას შემდეგ რაც მოხდება კონკრეტული ინდივიდის თვისებების გამოკვლევა და შეფასება, უნდა მოხდეს ისეთი სამუშაო ადგილისა და პროფესიის აღმოჩენა, რომელიც შესაბამისი იქნება ამ ადამიანის საჭიროებებისა და კმაყოფილებისთვის [16 გვ. 55]. ამ თეორიის მიხედვით მომუშავე და სამუშაო უნდა იყვნენ შესაბამისი და ჰარმონიზებული.

ამ თეორიის მიხედვით თვისებები არის თანდაყოლილი და ბიოლოგიური, აქედან გამომდინარე შეუძლებელია ამ თვისებების შეცვლა. ამიტომაც თეორია მოიაზრებს რომ აუცილებელია სამუშაო შეესაბამებოდეს კონკრეტული თვისებების მქონე ადამიანს და არა ადამიანი სამუშაოს.

ორი დეკადის წინ მეცნიერებათა დოქტორმა Brown-მა (1987) შეიშნა, რომ თვისებებისა და ფაქტორების თეორიამ დიდი დაინტერესება გამოიწვია კარიერულ მრჩეველებსა და ორგნაიზაციებში. ახალმა მკვლე-ვარებმა აღმოაჩინეს ამ თეორიის ხუთი ახალი მახასიათებელი, რომლებიც ასევე ეფუძნებე დიფერენცირებულ ფსიქოლოგიას.

პირველი მახასიათებელი არის ის, რომ თითოეული თვისება რომელიც გააჩნია ინდივიდს არის დამოუკიდებელი და მათი არსებობა არ არის დამოკიდებული სხვა თვისების არსებობაზე. ამასთანავე ეს თვისებები ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში შედიან მაშინ როდესაც ადამიანი მოქმედებს და არის სამუშაო პროცესში. ამასთანავე ფსიქოლოგების მიერ ვერ ხერხდება იმ თვისებების გამოვლენა, რომლებიც გამოდიან წინა პლანზე ამა თუ იმ სიტუაციის დროს. ამგვარად, შეუძლებელია ბოლომდე ადამიანების თვისობრიობის შეფასება [2 გვ. 127].

მეორე მახასიათებელს წარმოადგენს ის საშუალებები, ტესტები, კითხვარები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ამ თვისებების გაზომვა არის სუბიექტური.

მესამე მახასიათებელს წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის პიროვნულობაზე და მის თვისებრიობაზე. ეს ფაქტორები კი თითოეულ ადამიანს ხვდებიან გარემოში. სხვადასხვა ადამიანები და ასევე გარემო ფაქტორები ახდენენ გავლენას კონკრეტული ადამიანების კარიერულ განვითარებაზე [1 გვ. 131].

მეოთხე მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ თითოეული ადამიანი განსხვავებულად რეაგირებს სხვადასხვა ზემოქმედების ფაქტორზე. ზოგიერთი ადამიანი შესაძლოა ადვილად მოექცეს ვინმეს გავლენის ქვეშ, ან პირიქით რთულად გაითვალისწინოს სხვისი დადებითი რჩევაც კი. ამასთანავე სპეციალისტებისთვის საკმაოდ რთული უნდა იყოს და ზუსტი ვერ იქნება მათი წინასწარ განსაზღვრული მომავალი კარიერული განვითარების კუთხით, რადგან ადამიანები დროთა განმავლობაში იცვლებიან და იცვლება მათი თვისებებიც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორია თვისებებს მიიჩნევს როგორც უცვლელსა და ბიოლოგიურს, ის აღიარებს რომ თვისებების ცვლილება ბუნებრივად ხდება დროთა განმავლობაში [11 გვ. 578].

მეხუთე მახასიათებელს წარმოადგენს ის, თუ როგორი უნარი გააჩნია თითოეულ ინდივიდს, რომ მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ სიტუაციაში, იქნება ეს კარიერული თუ პირადული გადაწყვეტილება. მართალია ადამიანებს არ სურთ, რომ კარიერული და პირადული ურთიერთობები ერთმანეთში აურიონ, მაგრამ ძირითადად შეუძლებელია და პირადი ურთიერთობები დიდ გავლენას ახდენს კარიერაზე, ისევე როგორც კარიერული გადაწყვეტილებები ახდენს დიდ გავლენას პირად ურთიერთობებზე.

კარიერული განვითარების კიდევ ერთ მნიშვნლოვან შინაარსობრივ თეორიას წარმოადგენს პერსო-ნალურობის ხუთ ფაქტორიანი მოდელი. დიფერენცირებული ფსიქოლოგიის მოძრაობის მიხედვით, სადაც ხაზი ესმევა პერსონალურობის შეფასებას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელზეც მეცნიერების აკეთებენ ფოკუსირებას წარმოადგენს ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნულობას.

Wayne-მა, Musisco-მ და Fleeson-მა (2004) ჩამოაყალიბეს ის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდნენ პიროვნების ჩამოყალიბებაზე და მისი თვისებების შემდგომ განვითარებაზე, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს ამ ადამიანების მიერ კარიერული გადაწყვეტილებების მიღებაზე. ეს ფაქტორებია:

1. კეთილსინდისიერება
2. ნევროტულობა
3. ექსტრავერსია
4. მიმღებლობა
5. გამოცდილების მიღებისთვის მზაობა

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბებული კარიერულ თეორიებს უწოდებენ განვთარების თეორიებს, რომელთა მიხედვითაც კარიერული არჩევანი განიხილება, როგორც პიროვნების არჩევანი განვითარების პროცესში. განვითარების თეორიის პირველი ასპექტები წარმოადგინა Savickas-მა (2002). მისი მოსაზრებით კარიერული ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ინდივიდუალური განვითარება.

კარიერის განვითარებადი თეორიები არ წარმოადგენენ თეორიებს, რომლებიც ავითარებენ კონკურენ-ციასა და კონკურენტულ გარემოს. განვითარებად თეორიებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დრო. დრო

წარმოადგენს იმ ასპექტს, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა განვითარების კუთხით. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ ადამიანს აქვს შეზღუდული დრო, შესაბამისად რაც უფრო ნაკლებ დროში მოახერხებს სწორი არჩევანის გაკეთებას და განვითარებას, მით უფრო მეტი შანსი ექნება რომ კარიერული კუთხითაც მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

კარიერული განვითარების დროსთან ურთიერთკავშირი აქტიურად განიხილებოდა 1970-იან წლებში. აღნიშნული თეორიის მიხედვით კარიერული განვითარებისთვის მაშინაც კი თუ პიროვნება მიაღწევს წარმატებას, გარკვეული პერიოდის შემდგომ ესაჭიროება გარკვეული ცვლილებები [5 გვ. 171].

ექსპერტები მიიჩნევენ რომ კარიერულად ერთ ადგილზე გაყინვა მხოლოდ უკან სვლის მანიშნებელია და ვერ მოუტანს პირს დადებით შედეგებს.

Ginzberg (1951) და მისი მეგობრები იყვნენ ერთ-ერთი პირველები, რომლებმაც წარმოადგინეს განვითარების თეორიისთვის მნიშვნელოვანი თვისებრივი და ფაქტორული ასპექტები რომლებსაც დიდი წვლილი შეჰქონდათ განვითრებადი თეორიის ჩამოყალიბებაში.

Ginzberg და მისი კოლეგები ახდენდნენ ფოკუსირებას იმაზე, რომ თითოეული პიროვნები გადაწყვეტილება ამა თუ იმ კარიერული და პროფესიული საქმიანობის არჩევის შესახებ წარმოადგენს ამ ადამიანის პიროვნული განვითრების პროცესს. მათივე მოსაზრებით კარიერული განვითარება ყალიბდბება ადრეულ ბავშვობაში და მას აქვს სამი დიდი ეტაპი, რომელთა გადალახვის შემდგომ დგება საბოლოო შედეგი.

ამ ეტაპების განმავლობაში თითოეული ადამიანი იღებს სხვადასხვა გადაწყვეტილებებს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ზუსტად ეს გადაწყვეტილებებია, როდესაც ადამიანებს სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებით გააჩნიათ ინტერესები.

სამი ძირითადი ეტაპი, რომელსაც გადის ინდივიდი მანამ სანამ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას კარიერულ არჩევანთან დაკავშირებით არის შემდეგი: [6 გვ. 178]

- ფანტაზია;
- ვარაუდი;
- რეალიზმი.

კარიერული განვითარების პროცესის თეორიებიდან Ginzberg (1972) გამოყოფს სოციოფსიქოლოგიურ განვითარების თეორიას. ამ თეორიის მიხედვით, გინზბერგი ინდივიდს წარმოაჩენს, როგორც ცენტრალურ ფიგურას, რომელიც დგას გადაწყვეტილების მიღების ცენტრში. ინდივიდი წარმოადგენს მთავარ წარმმართველ ძალას [5 გვ 176]. აღნიშნულის მიხედვით გიზნბერგი ავითარებს პერსონის გარემომცველ თეორიებს. ამ თეორიების მიხედვით ინიდივიდი გადაწყვეტილებას იღებს და ცდილობს აირჩიოს ისეთი გზა, რომელიც ახლობელი და ნაცნობია მისთვის.

ეს ხსნის ძალიან ხშირად ადამიანები რატომ მიყვებიან თავიანთი ახლობლების გზას და ირჩევენ იმავე სფეროს.

გიზნბერგი ხსნის, რომ თითოეული ინდივიდი ცდილობს აღმოჩნდეს ისეთ სამყაროში და სფეროში, რომელიც უკვე ნაცნობია მისთვის და გააჩნია თუნდაც სულ მცირე მაგრამ მაინც გარკვეული ტიპის გამოცდილება.

გინზბერგი და მისი კოლეგები აკეთებენ აქცენტებს კარიერული განვითარების პროცესში სხვადასხვა შეზღუდვების შესახებ. ისინი გამოყოფენ გარკვეულ ცვლადებს, რომლებიც ხელს უშლის ინდივიდებს კარიერულ განვითარებაში.

ეს ცვლადებია: [8 გვ. 28]

- ოჯახური მდგომარეობის ცვლილება;
- სქესი;
- არატრადიციული ორიენტაცია;
- ეთნიკური, რელიგიური განსხვავებები;
- ოფიციალური განათლების ნაკლებობა;
- ფიზიკური ცვლილებები;
- ავადმყოფობა.

სოციალური ფაქტორების კარიერული განვითარების გადაწყვეტილებაზე მიღების თეორია წარმოადგინეს Krumboltz-მა და მისმა კოლეგებმა 1976 წელს. აღნიშნული თეორია წარმოადგენს კარიერული განვითარების შინაარსობრივი და პროცესუალური თეორიების სინთეზს.

სოციალური სწავლების თეორია კარიერული არჩევანის შესახებ მიზნად ისახავდა გადმოეცა თუ როგორ შეიძლება ერთი ადამიანი გამოსადეგი და ვარგისი იყოს სხვადასხვა პროფესიისთვის და შეძლოს მოვალეობების შესრულება სხვადასხვა პოზიციაზე. ამ თეორიის მიხედვით ადამიანის თვისებები და გარემომცველი ფაქტორები ახდენს გავლენას სწავლების პროცესზე და ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე კონკრეტულ პროფესიასთან მიმართებაში. ამ თეორიის მიხედვით ადამიანებს შეუძლიათ რომ საკუთარ თავს ასწავლონ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საჭიროა პროფესიისთვის [9 გვ. 75].

შინაარსობრივი და პროცესუალური სინთეზური თეორიის მიხედვით, არსებობს ფაქტორთა ოთხი კატეგორია, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდზე მიიღონ გადაწყვეტილება კარიერის არჩევის შესახებ. აღნიშნული ფაქტორთა კატეგორიებია:

- გენეტიკა;
- სპეციალური უნარ-ჩვევები;
- გარემომცველი გარემო და პირობები;
- სწავლების გამოცდილება და ამოცანები [9 გვ. 46].

პირველი კატეგორია მოიცავს ისეთ სპეციფიურ საკითხებს, როგორიცაა სქესი, ეთნიკური ჯგუფი, გარეგნობა. აღნიშნული მახასიათებლები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანებზე რომ აირჩიონ პროფესია.

სპეციალური უნარ-ჩვევების კატეგორია მოიცავს იმ უნარ-ჩვევებს, რასაც ადამიანები უწოდებენ ნიჭს. არსებობს გარკვეული ჩვევები რომლებიც ყველაზე უკეთ შეუძლია ინდივიდს და კარგად გამოსდის ვიდრე იმ პირებს, რომლებაც შეისწავლეს აღნიშნული საქმიანობა. ამგვარად, თანდაყოლილი უნარ-ჩვევები წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს, რომ ადამიანებმა აირჩიონ თავიანთი პროფესია.

მესამე კატეგორია მოიცავს სოციალურ ასპექტებს, რომელიც ხდება ინდივიდის გარემომცველ სამყაროში. Krumboltz-მა (1979) წელს ჩამოაყალიბა 12 პირობა და მოვლენა, რომლებიც შესაძლოა იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი და გავლენას ახდენს ადამიანის ბუნებაზე. ეს გარემომცველი ფაქტორები, როგორც წესი ვერ კონტროლდება ინდივიდის მიერ და წარმოადგენს გარე ფაქტორებს.

გამოცდილება შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, ეს არის ინსტრუმენტალური და ასოციაციური.

ინსტრუმენტალური გამოცდილება წარმოადგენს გამოცდილებას, რომლის დროსაც პირი პირდაპირ სწავლობს ამა თუ იმ საკითხს. ასეთი ტიპის გამოცდილებას, როგორც წესი ინდივიდები პასუხობენ პოზიტიურად [4 გვ. 182].

სოციაციური გამოცდილება კი წარმოადგენს სწავლების არაპირდაპირ გზას, როდესაც ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში სხვადასხვა პოზიტიური და ნეგატიური მოვლენების შეჯამების შედეგად დგება გარკვეული ასოციაცები.

აღნიშნული თეორია არის სასარგებლო და მნიშვნელოვანი კარიერული განვითარების კუთხით იქიდან გამომდინარე, რომ გამოყოფს მნიშვნელოვან ცვლადებს, რომლებსაც აქვთ გავლენა კარიერულ გადაწყვეტილებებზე და მის განვითარებაზე.

## ლიტერატურა:


1. Baruch, Y. (2006). Career development in organizations and beyond: Balancing traditional and contemporary viewpoints. *Human Resource Management Review*, 125-138.
2. Byars, A. (2001). Rights of way: Affirmative career counselling with African American women. In B. *Career counseling for African Americans*, 113-137.
3. Conger, S. (2007). Fostering a career development culture: Reflections on the roles of managers, employees and. *Human Resource Management Review*, 336-354.
4. Dawis, R. (2000). P-E fit as a paradigm: Comment on Tinsley. *Journal of Vocational Behavior*, 180-183.
5. Ginzberg, E. (1972). Toward a theory of occupational choice: A restatement. *Vocational Guidance Quartely*, 169-176.
6. Ginzberg, E. (1984). Career development. *Career choice and development: Applying contemporary theories to practice*, 172-190.
7. Lent, R., & Brown , S. (2013). Understanding and facilitating career development in the 21st century. *Career development and counseling*, 1-26.
8. Minor, C. (1992). Career development theories and models. *Career development: Theory and practice*, 7-34.
9. Mitchell, L., & Krumboltz, J. (1990). *Career choice and development: Applying contemporary theories to practice.* San Francisco: Jossey-Bass.
10. Parson, F. (1909). *Choosing a vocation.* Boston: Houghton Mifflin.
11. Pelham, A. (2009). The impact industry and training influences on sales force consulting time and consulting effectiveness. *Journal of Business and Industrial Marketing*, 574-584.
12. Pope, M., & Sveinsdottir, M. (2005). Frank, we hardly knew ye: The very personal side of Frank Parsons. *Journal of Counseling and Development*, 105-115.
13. Savickas, M. (2013). *Career construction theory and practice.* New York: Wiley
14. Sharf, R. (2013). *Applying career development theory to career counseling.* New York: Pacific Grove.
15. Wayne, J., Musisca, N., & Fleeson, W. (2004). Considering the role of personality in the workfamily experience: Relationship of the big five to work-family conflict and facilitation. *Journal of Vocational Behavior*, 108-130.
16. Zunker, V. (2011). *Career counseling: Applied concepts of life planning.* New York: Pacific Grove.

# “Basic theories of career development”

**Nino Zurashvili**

*Doctoral student*

Summary

There is global competition all over the world. After growing competition companies’ management have paid attention to development of their personnel. Career development is very important issue through the development process of personnel development.

Career development is very important for personnel and for companies too. It concludes as important points as are: high level of confidence of personnel; high level of motivation of personnel; creating new opportunities for personnel members; low level of personnel ternover.

***Key words:*** *Career development, personnel, content and processual theories*

# ირანი-ევროკავშირის ენერგობაზარზე თანამშრომლობის გავლენა საქართველოს ბუნებრივი აირის ტარიფზე (შემცირების შესაძლებლობა)

**ხათუნა თაბაგარი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის დოქტორანტი*

*ბუნებრივი აირის მნიშვნელობა წლების განმავლობაში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება საერთაშორისო ეკონომიკაში. ეს განპირობებულია გაზზე მოთხოვნის ზრდითა და მისი, როგორც „პოლიტიკური იარაღის" მნიშვნელობით. ევროკავშირი არის ბუნებრივი გაზის ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელი. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მასზე მოდის გაზის მსოფლიო მოხმარების 12-13%. მის მთავარ მომწოდებელს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია. მისი მოცულობა ევროპის მიერ მოხმარებული გაზის 37-42%-მდე მერყეობს. 2006-2007 და 2008-2009 წლების კრიზისმა მწვავე პრობლემები შეუქმნა ევროპას. რუსეთმა თავისი ენერგორესურსი გამოიყენა პოლიტიკური მიზნებისთვის ევროპაზე გავლენის მოსახდენად და მას გაზის მიწოდება შეუმცირა. ამ ყველაფერმა უარყოფითი გავლენა იქონია საერთაშორისო ეკონომიკასა და ენერგოსექტორზე.*

*ევროპა ცდილობს ამ დაბრკოლების თავიდან არიდებას. რუსეთის გაზის ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტს წარმოადგენს ირანი. სწორედ მას შეუძლია ევროპის თანამშრომელი გახდეს და კავკასიის, სახელდობრ, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით მიაწოდოს გაზი. რაც ხელს შეუწყობს, თავის მხრივ, საქართველოში არსებული გაზის ტარიფის შემცირებას. ირანი გაზის მარაგების მიხედვით 17%-ით პირველ ადგილზე იმყოფებოდა 2016 წლისთვის და რუსეთი - მეორეზე. ხოლო 2017 წლისთვის მათი ადგილები გადანაცვლდა.*

*სწორედ ამ ფონზე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოკვლეულ იქნას საქართველოს ბაზარზე არსებულ გაზის მთავარ მილსადენთა სისტემა, იმპორტირებული გაზის რაოდენობა განკუთვნილი საშინაო მოხმარებისთვის, გაზზე არსებული ტარიფი განკუთვნილი საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის და მისი შემცირების შესაძლებლობა. მართალია ტექნიკური დანახარჯების შემცირება ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ეს არის ეკონომიკის რეგულირებადი სფერო და კონკურენტული გარემო მილსადენებთან დაკავშირებით გამოიწვევს მხოლოდ დანახარჯების ზრდას. თემაში გაანგარიშებულია რუსეთის მიერ ევროპისთვის მიწოდებული გაზის ტარიფი, საქართველოში აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ერთდროულად შემოტანილ გაზზე დაწესებული ფასი, რადგან იგი ხელშეკრულებებით არის განსაზღვრული, და ირანის მიერ, როგორც ევროპისთვის, ასევე საქართველოსთვის მისაწოდებელი ბუნებრივი აირის ტარიფი 1 000 კუბ მ-ზე. ამასთან, აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის მიერ მეტი მოცულობის გაზის გამოყენებას შემცირებული ტარიფის პირობებში.*

*საკვანძო სიტყვები: გაზის ტარიფი; ევროპა; კავკასია; ირანი; რუსეთი.*

## ბუნებრივი აირის მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და, მეორე მხრივ, ირანისათვის

ბუნებრივი აირი წარმოადგენს მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსს მსოფლიოში. მისი მოხმარების დონე წლების განმავლობაში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება [1].

ბუნებრივი აირის ენერგეტიკული და ეკონომიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნებისთვის. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ევროპა მოიხმარს 428,8 მლრდ კუბ მ გაზს, რაც მსოფლიო გაზის მოთხოვნის 12,1%-ია [2]. დროთა განმავლობაში მის მიერ მოხმარებული გაზის რაოდენობა იზრდებოდა. 2017 წელს მან შეადგინა 466.8 მლრდ კუბ მ გაზი, რაც მთლიანი მოთხოვნის 12,1%-ია. წინა წელთან შედარებით დაახლოებით 40 მლრდ კუბ მ-ით არის გაზრდილი. წლების განმავლობაში რუსეთი იყო და ამჟამადაც არის ევროპის გაზით მთავარი მომმარაგებელი. 2016 წლისთვის რუსეთის გაზის წილმა ევროპის იმპორტირებულ მოცულობაში შეადგინა 39%, ესე იგი 182 მლრდ კუბ მ გაზი, ხოლო 2017 წლისთვის გაზის მოხმარება ისევ გაიზარდა ევროკავშირში და შეადგინა 466,8 მლრდ კუბ მ გაზი, სადაც რუსული გაზი იყო 37% - ესე იგი 173 მლრდ კუბ მ-მდე. რუსული გაზის წილი შემცირებულია 9 მლრდ კუბ მ-ით. ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს სულ მიაწოდა 194,4 მლრდ კუბ მ გაზი [2]. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მონაცემებით [1], გაზის მარაგებით პირველ ადგილზე იყო 18%-მდე ირანი და მეორეზე რუსეთი 17%-მდე, ხოლო 2017 წლის მიხედვით, მათ ადგილები გაცვალეს და რუსეთი პირველ ადგილზე დაწინაურდა.

რუსეთის გარდა, ევროპას გაზს აწვდის ნორვეგია დაახლოებით ევროკავშირის მთლიანი მოთხოვნის 26%-მდე 2016 წლისთვის, ასევე, ალჟირი და სხვა სახელმწიფოები მცირე რაოდენობით [3].

2006-2007 და 2008-2009 წლების გაზის კრიზისმა სერიოზული პრობლემა შეუქმნა ევროპას გაზის მიწოდების თვალსაზრისით. რუსეთი გაზს აწვდის ევროპას უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიების საშუალებით [4;5;6]. აღნიშნულის გამო გაზის მიწოდება შეუმცირდა ევროპას, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ევროპისა და, ზოგადად, მსოფლიო ენერგეტიკულ, ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე.

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთი ცდილობს გამოიყენოს თავისი ენერგეტიკული ძალაუფლება მსოფლიოზე გავლენის მოსახდენად. სწორედ ამიტომ, ევროპა ცდილობს მოძებნოს რუსული გაზის ალტერნატივები. ზოგიერთი მიიჩნევს [7], რომ აზერბაიჯანს შეუძლია გაზის ექსპორტის გაზრდა, თუმცა თუ მის ამჟამინდელ მარაგებს გავითვალისწინებთ, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან გაზის მსოფლიო მარაგებისა მწარმოებელ ათ ქვეყანას შორისაც არ ხვდება არ შესწევს უნარი ჩაანაცვლოს რუსეთი სრულად. ევროპა ცდილობს ადგილობრივი ქვეყნების მიერ წარმოების გაზრდას, მხედველობაში მოიაზრება ნორვეგია და განახლებადი ენერგიების მიმართულების განვითარება და გაძლიერება. ამის შესახებ ევროკავშირს გაწერილი აქვს თავის სამოქმედო გეგმებში - ევროპა 2020 და ევროპა 2030 [8] [9]. თუმცა ეს მოსაზრებაც გარკვეულ დროს, ძალისხმევას და ფინანსებს მოითხოვს.

პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ირანის ბუნებრივი აირის ევროპისთვის მიწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ ირანი, რომელიც გაზის მარაგების სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ახლოს მდებარეობს ევროპასთან, ამასთან ირანი დაინტერესებულია დაახლოვდეს ევროპასთან და ევროპა ცდილობს რუსული გაზის მეტოქის პოვნას. სწორედ ამიტომ ისინი წარმოადგენენ ერთმანეთისთვის დაინტერესებულ მხარეებს და შეუძლიათ ითანამშრომლონ ენერგეტიკულ სფეროში. ირანს, თავისი მარაგებიდან გამომდინარე, შესწევს უნარი ჩაანაცვლოს ან გახდეს რუსული გაზის კონკურენტი. ირანი ამჟამად ბუნებრივ აირს აწარმოებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის [1]. შესაბამისად, მას შესწევს უნარი გაზარდოს გაზის წარმოება და ექსპორტზე გაიტანოს ევროპის მიმართულებით.

ტერიტორიულად, ევროპა-ირანის მაკავშირებელია კავკასია. მისი უმეტესი ნაწილი კი უკავია საქართველოს. სწორედ ამიტომ, ირანი დაინტერესებულია საქართველოსთან თანამშრომლობით, ისევე როგორც ევროპა, იგი ხელს უწყობს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებაში. ირანული გაზის საქართველოს გავლით ევროპისთვის მიწოდების შემთხვევაში, ეს დადებითად აისახება ქვეყნის ენერგო სექტორზე და ზოგადად ეკონომიკაზე. ეს ხელს შეუწობს საქართველოში გაზის საყოფაცხოვრებო ტარიფის შემცირებას.

## საქართველოში არსებული ბუნებრივი აირის ტარიფის განსაზღვრისათვის

საქართველო კავკასიის რეგიონის ცენტრალური სახელმწიფოა. საქართველოს ტერიტორიაზე გადის ორი საერთაშორისო მნიშვნელობის გაზსადენი: სამხრეთკავკასიური მილსადენი (ბაქო-თბილისი-ერზრუმი), რომლის სიგრძეა 692 კმ და ერთმანეთს აკავშირებს აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს [10]. მილსადენის მხოლოდ 249 კმ გადის საქართველოზე. მისი გამტარიანობა და სიმძლავრე არის 20 მლრდ კუბური მეტრი. იგი ოფიციალურად ოპერატიული გახდა 2007 წელს. 2017 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სულ შემოვიდა 4 339 მლრდ $м^3$ გაზი, საიდანაც აზერბაიჯანული გაზი იყო 31,8%, ანუ 1 379,802 მლრდ $м^3$ [10].

*საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების შესახებ მონაცემები [10]*

*ცხრილი 1.*

| დასახელება | სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე, კმ | გამტარიანობა, მლრდ მ3 | მშენებლობის პერიოდი | საქართველოს მიერ მოხმარებული გაზი, მლრდ მ3 |
|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასიის მილსადენი | 249 | 20 | 2007 წელი | 1 379,802 (31,8%) |
| ჩრდილო-სამხრეთის მილსადენი | 221 | 12 | 70-იანი წლები, 2009 წელს რეაბილიტაცია | 134,509 |
| სულ | 470 | 32 | - | 4 339 |

რაც შეეხება, მეორე მილსადენს, ეს არის ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი, რომლის საშუალებით რუსეთი სომხეთს გაზს აწვდის საქართველოს გავლით. მისი სიგრძეა 221 კმ, რომელიც აშენდა წინა საუკუნის 70-იან წლებში და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2009 წელს. მისი გამტარობა არის 12 მლრდ კუბ მეტრი. საქართველოში მთლიანად იმპორტირებული გაზის 49,1%, ანუ 2 130,449 მლრდ კუბ მ არის რუსეთიდან, და საქართველო მოიხმარს მხოლოდ 134,509 მლნ კუბ მ გაზს.

ორივე მილსადენის მიერ იმპორტირებული გაზის მოცულობები 2007-2017 წლების განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დიაგრამა).

*2007-2017 წლებში გაზის ტრანსპორტირება ჩრდილოეთ-სამხრეთისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენების საშუალებით* [11]




ამჟამად, საქართველოში რეგისტრირებულია 1 157 127 მომხმარებელი. ქვეყანაში მოხმარებული გაზის მოცულობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება [10].

ბუნებრივი აირი არის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ენერგორესურსი, რის გამოც კონკურენციამ შესაძლოა გამოიწვიოს მხოლოდ დანახრჯების გაზრდა. ამ დროისთვის იმპორტირებულ გაზს ანაწილებს საქართველოს მასშტაბით 3 კომპანია: შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და სს „საქორგგაზი“.

აზერბაიჯანი საქართველოს აწვდის 1 000 კუბ მ გაზს 105 დოლარად. ამას ემატება გაზი ქსელში დანაკარგების შესავსებად შესასყიდი, რომლის ფასია 185 აშშ დოლარი. ადგილობრივ ბაზარზე არის გაზის 9 მომწოდებელი. აქ განსაზღვრულია სოკარის (48,254 თ/მ³), ყაზტრანსგაზის (48,314 თ/მ³), საქორგგაზის (39,113 თ/მ³), არზუგაზის (46,964 თ/მ³) ტარიფები [10].

**შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“** - ფინანსური და ტექნიკური მაჩვენებლების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე კომისიის მიერ განისაზღვრა ფირმის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა. ტარიფი ასე გამოიყურება:

| ხარჯი | ტარიფი |
|---|---|
| გაზის მიწოდება | 26,75 თეთრი/მ3 |
| განაწილება-გატარება | 19,62 თეთრი/მ3 |
| მოხმარების ტარიფი (სულ) | 48,254 თეთრი/მ3 |

*სს „საქორგგაზი“*

| ხარჯი | ტარიფი |
|---|---|
| გაზის მიწოდება | 26,75 თეთრი/მ3 |
| განაწილება-გატარება | 19,68 თეთრი/მ3 |
| მოხმარების ტარიფი (სულ) | 48,314 თეთრი/მ3 |

*შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“*

| ხარჯი | ტარიფი |
|---|---|
| გაზის მიწოდება | 26,75 თეთრი/მ3 |
| განაწილება-გატარება | 10,479 თეთრი/მ3 |
| მოხმარების ტარიფი (სულ) | 39,113 თეთრი/მ3 |

*შპს „არზუ-გაზი“*

| ხარჯი | ტარიფი |
|---|---|
| გაზის მიწოდება | 26,75 თეთრი/მ3 |
| განაწილება-გატარება | 18,33 თეთრი/მ3 |
| მოხმარების ტარიფი (სულ) | 46,964 თეთრი/მ3 |

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იმ დროს როცა აზერბაიჯანულ გაზზე ტარიფი 1000 კუბმ-ზე არის 185 დოლარი, ირანმა, როგორც საქართველოსთან თანამშრომლობით დაინტერესებულმა ქვეყანამ, შესაძლოა მის მიერ მოწოდებული გაზის ტარიფი შეგვიმციროს. აზერბაიჯანული გაზის მოწოდება კი შეიძლება შემცირდეს და პირდაპირ მიეწოდოს ევროპას, საქართველოსთვის კი დათმობილი იყოს მხოლოდ სატრანზიტო მომსახურებისთვის განკუთვნილი ბუნებრივი აირი. ეს ხელს შეუწყობს გაზის ტარიფის შემცირებას და საქართველოს ენერგობაზრის გამრავალფეროვნებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირების შესაძლებლობა ენერგობაზარზე საქართველო-ირანის თანამშრომლობის შემთხვევაში

ამჟამად რუსეთი ევროპას გაზს აწვდის 1 000 კუბ მ-ს 200,2 დოლარად, ე.ი. თვეში 16,68 დოლარად 1000 კუბ მ გაზს 2017 წლისთვის, ხოლო 2016 წლისთვის ეს თანხა შეადგენდა 176 დოლარს, ესე იგი 14,67 დოლარს [2].

რა თქმა უნდა, ირანს აქვს შესაძლებლობა მინიმუმ იმავე ფასით მიაწოდოს ბუნებრივი აირი ევროპას ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის საშუალებით, რომლის გამტარობაც არის 20 მლრდ კუბ მ, მაგრამ მხოლოდ 82 მლნ კუბ მ გაზი გადის. შესაბამისად, საკმაო რაოდენობის ადგილი რჩება, რომ ირანმა ისარგებლოს აღნიშნული მილსადენით. რადგანაც ეს მარშრუტი გადის საქართველოს ტერიტორიაზე და წარმოადგენს მთავარ ღერძს ამ პროექტის განხორციელებაში, შესაძლებელი იქნება სატრანზიტო მომსახურების სანაცვლოდ ირანმა საქართველოს შესთავაზოს გარკვეული რაოდენობის გაზი ან თავად ირანიდან მიიღოს (შეიძინოს) გაზი გაცილებით დაბალი ფასით, რითაც საქართველოში შემოტანილი ბუნებრივი აირი საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის შემცირდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ირანი რუსული გაზის მეტოქე შეიძლება იყოს, მაშინ მის მიერ ევროპისთვის გაზის მიწოდების საფასური მინიმუმ იქნება 16,68 დოლარი 1 000 კუბ მ გაზზე თვეში, ხოლო საქართველო, რომელიც მისი მეზობელი ქვეყანაა და ასეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამასთან ირანი განსაკუთრებულად ცდილობს საქართველოსთან დაახლოებას, მაშინ ირანის მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებული ფასი გაცილებით დაბალი შეიძლება იყოს. ამიტომ, მისი ფასი არა 15,42, არამედ 13 ან 12 დოლარიც კი შეიძლება იყოს. ეს ხელს შეუწყობს ირანი - ევროპის დაახლოებას და, რა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა შეეცდება გამოიყენოს ბუნებრივი აირი დაბალი ტარიფით და ამით გაიზრდება ბუნებრივი აირის მოხმარება, რაც გარკვეული თვალსაზრისით, ხელს შეუწობს ეკონომიკური პროცესების დაჩქარებულ განვითარებას.

## ლიტერატურა:


1. BP Statistical Review of World Energy (2018). London: BP, 56 p.
2. PJSC Gazprom Annual Report (2017). Moscow: PJSC Gazprom, 244 p.
3. Energy, transport and environment indicators (2016 edition). Statistical books – Eurostat, 236 p.
4. Stern, J., "The Russian-Ukrainian gas crisis of January 2006", Oxford Institute for Energy Studies, 2006, 17 p.
5. "The Geopolitics of EU Gas Supply The role of LNG in the EU Gas Market", Clingedael International Energy Programme, 2008, 62 p.
6. თვალჭრელიძე, ა., ბერბერაშვილი, თ., ოთარაშვილი, მ. ნედლეულის ეკონომიკა. ნედლეულის როლი გლობალიზებულ სამყაროში, თბილისი, გამომც. ნეკერი, 2016, 540 გვ.
7. Dickel, R., Hassanzadeh, E., Henderson, J, Honore, A., El-Kaitiri, L., Pirani, S., Rogers, H., Stern, J., Yafimava, K., "Reducing European Dependence on Russian Gas", Oxford: University of Oxford Press, 2014, 87 p.
8. EUROPE 2020, A European strategy for smart, sustainable and inclusive growth, 2010, 37 p.
9. PROJECT EUROPE 2030, Challenges and Opportunities, A report to the European Council by the Reflection Group on the Future of the EU 2030, 2010, 60 p.
10. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2017 წლის ანგარიში, თბილისი, გვ. 139.
11. ნავთობისა და გაზის კორპორაცია, სტატისტიკა, გაზის ტრანსპორტირება, 2018წ - http://www.gogc.ge/-ge/transporation-stats

## The Impact of Iran-EU Relationship in Energomarket on Natural Gas Tariff of Georgia (tariff reduction possibilities)

***Khatuna Tabagari***
*Doctoral student*
*Tbilisi State University*

S u m m a r y

The importance of natural gas is characterized with increasing tendency in international economic. This is caused by increasing demands on natural gas and significance as a political weapon. EU is one of the biggest gas consumers. According to the 2017 statistical data, EU takes 12-13% in total consumption. The basic gas supplier of EU is Russia. Russia supply varies between 37-42% in total gas import in 2016-2017. 2006-2007 and 2008-2009 crises caused struggle problems to Europe and the whole world. Russia used its energy power to impact on EU. That's why the main gas supplier reduced its supplying. These activities had negative influence on economic da energy sectors.

EU tries to avoid energy crisis again. One of the biggest competitors of Russia in gas sector are Iran with its gas reserves. This country has ability to become partner of EU and supply natural gas through Caucasus, namely, Azerbaijan and Georgia. This will help Georgia decrease gas tariff. According to the statistical data of 2016, Iran took the first place among natural gas reserves and Russia took only the second one but in 2017 they exchanged their positions. The main aim of the present work is to investigate the main international gas pipelines crossing Georgia territory, imported gas quantities that is consumed in the country, current gas tariff for home consumption and its reduction possibilities. There should be highlighted that there is less ability to decrease technical expanses as this economic sector is regulated one and competitor routes will only increase gas supplying prices. In the presented investigation is calculated Russian gas tariff for Europe, Azerbaijan and Russian gas price for Georgia totally as this case is defined with contract and Iranian gas tariff for Europe and Georgia for every 1 000 cubic m gas.

***Key words:*** *Gas tariff; Europe; Caucasus; Iran; Russia.*

# ქართველი მომხმარებლების მიერ პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმა

**ნუგზარ თოდუა**

*პროფესორი*

**ბექა ვაშაკიძე**

*დოქტორანტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში ნაჩვენებია მარკეტინგული კომუნიკაციების როლი ბიზნესში. განსაკუთრებით გამოკვეთილია პერსონალური გაყიდვის მნიშვნელობა მომხმარებლებთან ურთიერთობაში. გაანალიზებულია მომსახურების ხარისხის აღქმის საკითხები. პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმის შესწავლის მიზნით ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა. დადგენილია პერსონალური გამყიდველების პროფესიონალიზმის, პრესტიჟისა და მუშაობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების რეიტინგები. მოცემულია პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე მომსახურების ხარისხის დეტერმინანტების (საიმედოობის, რეაგირების სისწრაფის, დამაჯერებლობის, ემპათიისა და მატერიალურობის) გავლენის დისპერსიული ანალიზი. ჩატარებული კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნები, რაც პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის შესახებ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულებას გამოხატავს.*

*საკვანძო სიტყვები: პერსონალური გაყიდვა; მომსახურების ხარისხის აღქმა; საქართველოს ბაზარი; მომხმარებლები; მარკეტინგული კვლევა.*

**პრობლემის აქტუალურობა და შესწავლის დონე.** თანამედროვე მარკეტინგი განიხილება არამხოლოდ ბიზნესის მართვის ფილოსოფია, არამედ მოქმედებაზე ორიენტირებული პროცესიც. მისი წარმატებული რეალიზაციისათვის აუცილებელია ფირმის სტრატეგიული გადაწყვეტილებები დაეფუძნოს მოქმედებათა დინამიკურ პროგრამებს, რის გარეშე კომერციული წარმატების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიისათვის საკმარისი როდია კონკურენტუნარიანი პროდუქტის, მისაღები ფასის და გამართული გასაღების ქსელის შემუშავება, საჭიროა აგრეთვე მომხმარებლებთან გონივრული კომუნიკაციის წარმართვა [1]. მარკეტინგული კომუნიკაცია წარმოადგენს მიზნობრივი აუდიტორიისათვის პროდუქტის შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცესს. მისი მიზანია საქონლისა და მომსახურების შესახებ პოტენციური მყიდველების ინფორმირება და მათი დარწმუნება ყიდვის შესახებ. ასეთ მარკეტინგულ პროგრამაში გამოიყენება კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი, რომელთაგან ძირითადია რეკლამა, გასაღების სტიმულირება, პერსონალური გაყიდვა, პირდაპირი მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობები [2]. ზოგიერთი სპეციალისტი მარკეტინგული კომუნიკაციების უფრო ფართო სპექტრს განიხილავს და ზემოჩამოთვლილ ხერხებს უმატებს ინტერაქტიულ მარკეტინგს, სიტყვიერ მარკეტინგს და სხვ [3; 4; 5].

მარკეტინგული კომუნიკაციის ყველაზე უფრო პოპულარული და ეფექტიანი არხია პერსონალური გაყიდვა. ის ითვალისწინებს პერსონალური გამყიდველის უშუალო კონტაქტს მყიდველთან (ან მყიდველთა ჯგუფთან) [6]. შესაბამისად, პერსონალური გაყიდვა გულისხმობს ერთ ან რამდენიმე პოტენციურ მყიდველთან ზეპირ პრეზენტაციას სასაუბრო ფორმით, რომლის მიზანია საქონლის ან მომსახურების გაყიდვის სტიმულირება [7]. პერსონალური გაყიდვა ფართოდ გამოყენებადი მარკეტინგული იარაღია გამყიდველისთვის, რათა მან მოახდინოს მიზნობრივი აუდიტორიის ინფორმირება, დარწმუნება და მასთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება [8;9]. პერსონალური გაყიდვა მოიცავს კომპანიის ფრონტმენეჯმენტის წარმომადგენელსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირ კავშირს, რომლის დროსაც პირველი მხარე სთავაზობს საქონელს ან მომსახურებას მეორეს [10]. კომუნიკაციის ეს ხერხი უზრუნველყოფს გამყიდველის მოქნილობას და ეხმარება მას, შეაფასოს მყიდველების საპასუხო რეაქციები და მათი კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად გააუმჯობესოს თავისი შეტყობინებები [11]. დღევანდელ სწრაფადმზარდ კონკურენტულ გარემოში პერსონალური გაყიდვები უმნიშვნელოვანესი საშუალებაა მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის მისაღწევად, რაც განაპირობებს ფირმის გაყიდვების მოცულობის ზრდას და მის კომერციულ წარმატებას [12]. ამრიგად, პერსონალური გაყიდვა ინტერპერსონალური აქტივობაა, რომელიც გულისხმობს გამყიდველსა და პოტენციურ მყიდველს შორის პირად კონტაქტს, რათა სავარაუდო მყიდველმა შეთავაზებული პროდუქტი შეიძინოს [13].

პერსონალური გაყიდვის წარმატება დამოკიდებულია გამყიდველის მიერ გაწეულ მომსახურების ხარისხზე. მარკეტინგის ლიტერატურაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მომსახურების ხარისხის მოდელი (SERVQUAL), რომელიც შეიმუშავეს ე.პარასურამანმა, ლ.ბერიმ და ვ.ცაიტამლმა [14]. ამ მოდელის მიხედვით მკვლევარები გამოყოფენ მომსახურების ხარისხის ხუთ დეტერმინანტს. ესენია: საიმედოობა (დაპირებული მომსახურების ზუსტად და სრული მოცულობით მიწოდება), რეაგირების სისწრაფე (საჭიროების შემთხვევაში

მყიდველისათვის დახმარების გაწევა სწრაფი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად), დამაჯერებლობა (გამყიდველის ცოდნა, თავაზიანობა, ნდობის გამოხატვის უნარი), ემპათია (გამყიდველის მხრიდან მზრუნველობის, ყურადღებისა და თანაგრძნობის დემონსტრირება) და მატერიალურობა (მომსახურების მიწოდებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის გამართულობა. მკვლევარები გვთავაზობენ აგრეთვე იმ ძირითად ხარვეზებს, რომლებიც აზიანებს მაღალხარისხიან მომსახურებას. მათ მიეკუთვნება: მომხმარებლის მოლოდინსა და კომპანიის მენეჯმენტის აღქმას შორის სხვაობა, კომპანიის მენეჯმენტის აღქმასა და მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობას შორის სხვაობა, მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობასა და შეთავაზების ფორმას შორის სხვაობა, მომსახურების შეთავაზებასა და გარე კომუნიკაციებს შორის სხვაობა, შეთავაზებულ მომსახურებასა და მოლოდინს შორის სხვაობა [15; 16]. შემდგომ ჩატარებულ კვლევებში SERVQUAL მოდელი უფრო განვითარდა. კერძოდ, შემუშავდა მომსახურების ხარისხის დინამიკური პროცესის მოდელი [17], მყიდველის მოლოდინის როლი მომსახურების შეფასებაში [18] და სხვა. ბოლო ხანებში მკვლევარები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ პერსონალური გაყიდვის შესწავლაში მომხმარებელთა ქცევის საკითხებს [19; 20].

მარკეტინგული კომუნიკაციებისა და მომხმარებელთა ქცევის შესახებ გარკვეული კვლევები ტარდება საქართველოშიც [21-24]. კერძოდ, შესწავლილია საქართველოს ბაზარზე სხვადასხვა საქონლისა და მომსახურებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების საკითხები [25-30], აგრეთვე ჯანსაღი კვების აღქმისა და მყიდველობით ქცევაზე საქონლის მარკირების გავლენის ასპექტები [31-37]. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალური გაყიდვის შესახებ ქართველი მომხმარებლების მყიდველობითი ქვევის საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. აღნიშნული გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ბაზარზე მომხმარებლების მიერ პერსონალური გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგია**. კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს დაეფუძნა. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდებს [26]. თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩა ისე, რომ მოგვეცვა მიზნობრივი ბაზრის ყველა კატეგორია. ამ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენა. მეორე ეტაპზე ვისარგებლეთ მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტამ მოიცვა ინფორმაციას რესპონდენტის თანხმობისა და კონფიდენციალობის შესახებ, აგრეთვე კვლევის განმარტებები და შევსების ინსტრუქციები. ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული და პირისპირ ინტერვიუს მეთოდებით. კვლევაში გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუერის სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე. კვლევის არეს წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, საჩხერე, ამბროლაური, გორი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და ყვარელი. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 1232 რესპონდენტი. მიღებული ანკეტების დახარისხების შედეგად დამუშავდა 1022 ანკეტა (მათ შორის მამაკაცი იყო 42%, ქალი - 58%). გამოკითხვის შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. კვლევაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე ჰიპოთეზა, რომლებშიც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ქართველი მომხმარებლების მიერ პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმასა და შესაბამის ქცევაზე (იხ. ნახ 1).

*კვლევის კონცეპტუალური მოდელი*

*ნახაზი 1*



H1 სანდოობა დადებით გავლენას ახდენს პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე;
H2 რეაგირების სისწრაფე დადებით გავლენას ახდენს პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე;
H3 დამაჯერებლობა დადებით გავლენას ახდენს პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე;
H4 ემპათია დადებით გავლენას ახდენს პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე;
H5 მატერიალურობა დადებით გავლენას ახდენს პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე.

**კვლევის შედეგები**. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ბაზარზე პერსონალური გაყიდვის წარმატება მნიშვნელოვნწილად დამოკიდებულია გამყიდველზე. რესპონდენტების უმეტესობა (79%) თვლის, რომ გამყიდველის კვალიფიკაცია და მყიდველთან ურთიერთობის წარმართვის ცოდნა განსაზღვრავს პერსონალურად შეთავაზებული პროდუქტის გასაღებას. საკმაოდ მცირეა რესპონდენტთა ის რაოდენობა (8%), რომელიც ამ მოსაზრებას არ იზიარებს. გამოკითხულთა 13%-ს კი აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გაყიდვის წარმომადგენლებთან რესპონდენტების შეხვედრის ინტენსივობის მაჩვენებელი დაბალია. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ადამიანების მხოლოდ 3% არის მზად, ყოველთვის შეხვდეს პერსონალურ გამყიდველებს, უმრავლესობა (57%) პერსონალურ გამყიდველებთან შეხვედრაზე იშვიათად თანხმდება, 18% მსგავს სურვილს არასოდეს გამოხატავს, 12% - ხშირად, ხოლო 10% - ასეთ კონტაქტს უმეტეს შემთხვევაში ამყარებს. რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რამდენად აქცევს მომხმარებელი ყურადღებას პერსონალური გამყიდველის შემოთავაზებას, კვლევის შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა 58% მსგავს შეთავაზებებს იშვიათად აქცევს ყურადღებას, 22% - ხშირად, 12% კი უმეტესად. აღნიშნულ შეთავაზებებს ყოველთვის ყურადღებით აკვირდება რესპონდენტთა 3%, ხოლო 5% ასეთი საკითხებით არასდროს ინტერესდება.

გაყიდვების ეფექტიანობა დამოკიდებულია პესონალური გამყიდველების უნარზე, დაარწმუნონ პოტენციური მომხმარებლები, შეიძინონ შეთავაზებული პროდუქტი. პერსონალური გამყიდველების პროფესიონალიზმის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება: განათლება, გამოცდილება, უნარ-ჩვევები, ცხოვრების წესი და პიროვნების ტიპი. აღნიშნული ფაქტორების რეიტინგები, რაც ჩვენ მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგად არის მიღებული, ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე. ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპონდენტებისათვის დასახელებული ფაქტორებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პერსონალური გამოცდილება, უნარ-ჩვევები და განათლება, ხოლო ცხოვრების წესი და პიროვნების ტიპი ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებს მიეკუთვნება. ასეთი დამოკიდებულების მიზეზად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად კარგად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს გამყიდველი და არა ის, თუ როგორი პიროვნებაა იგი.

*პერსონალური გამყიდველების პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი ფაქტორების რეიტინგები*

*ნახაზი 2*




რაც შეეხება პერსონალური გამყიდველების პრესტიჟის განმსაზღვრელ ფაქტორებს, თვისებრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მომხმარებლებისათვის უმნიშვნელოვანესია პატიოსნება, საიმედოობა, კომპეტენტურობა და დახმარების გაწევის უნარი. ჩვენ მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ კი

აჩვენა, რომ დასახელებული ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესია პერსონალური გამყიდველების კომპე-ტენტურობა, საიმედოობა და დახმარების გაწევის უნარი, ხოლო პატიოსნება, გამოკითხულთა შეხედუ-ლებით, ნაკლებად მნიშვნელოვანია (იხ. ნახ. 3).

*˜პერსონალური გამყიდველების პრესტიჟის განმსაზღვრელი ფაქტორების რეიტინგები*

*ნახაზი 3*




კვლევამ ასევე გამოავლინა პერსონალური გამყიდველების მუშაობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და მათი რეიტინგები (იხ. ნახ.4). აშკარაა, რომ ამ ფაქტორებიდან რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ გამყიდველების მიერ მოზიდული და დაკარგული კლიენტების რაოდენობას, აგრეთვე, ერთეულ მყიდველზე მოსულ გაყიდვების მოცულობას და მოტივაციას, ხოლო პოტენციურ მყიდველებთან დადებული კონტაქტების რაოდენობას და დროის ეფექტიანად გამოყენებას მათთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

*პერსონალური გამყიდველების მუშაობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების რეიტინგები*

*ნახაზი 4*



თანამედროვე მომხმარებელი ბევრად უფრო გათვითცნობიერებულია, ვიდრე ოდესმე და მისი გაკვირვება შეთავაზებული პროდუქტით თითქმის შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმირება მომხმარებლისათვის დღეს პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერ ინფორმაცია სასურველი კომპანიის შესახებ, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, ასევე ნაცნობებისგან. იმისათვის, რომ კომპანიებმა ადგილი დაიმკვიდრონ ბაზარზე, აუცილებელია, მოიპოვონ მომხმარებლების ნდობა. ამიტომ საინტერესოა იმის დადგენა, თუ რომელი ფაქტორია მნიშვნელოვანი პერსონალურ გაყიდვებთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის შეფასებისას. პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის დეტერმინანტების სიხშირეები, რომლებიც მიღებულია SERVQUAL-ის მოდელის საფუძველზე ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ნაჩვენებია მე-5 ნახაზზე. კვლევა ცხადყოფს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (43,8%) ასეთ ფაქტორად ასახელებს სანდოობას, 31,4% - დამაჯერებლობას, 12,3% - რეაგირების სისწრაფეს. გამოკითხულთა 7,4% თვლის, რომ პერსონალური გაყიდვების დროს მნიშვნელოვანია გამყიდველის მხრიდან ყურადღებისა და თანაგრძნობის გამოხატვა, ხოლო 5,1% უპირატესობას ანიჭებს მატერიალურობას.

*პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის დეტერმინანტები (SERVQUAL-ის მოდელის მიხედვით)*

*ნახაზი 5*




რაც შეეხება ძირითად ხარვეზებს, რაც პერსონალური გამყიდველების მაღალხარისხიან მომსახურებას ზიანს აყენებს, მათ მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება განისაზღვრა ე. პარასურამანის, ლ. ბერის და ვ. ცაიტამლის მოდელის მიხედვით. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული შესაბამისი სიხშირეები მოცემულია მე-6 ნახაზზე. კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტების უმეტესობა (40,1%) ასეთ ხარვეზად ასახელებს გამყიდველების მიერ შეთავაზებულ მომსახურებასა და მომხმარებლის მოლოდინს შორის სხვაობას, 28,1% - კომპანიის მენეჯმენტის აღქმასა და მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობას შორის სხვაობას, 14,2% - მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობასა და შეთავაზების ფორმას შორის სხვაობას, 13,6% - მომხმარებლის მოლოდინსა და კომპანიის მენეჯმენტის აღქმას შორის სხვაობას, ხოლო 4% - მომსახურების შეთავაზებასა და გარე კომუნიკაციებს შორის სხვაობას.

ზემოთ ჩამოყალიბებული H1 ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოვიყენეთ One Way ANOVA F-Test. პირველ რიგში დავადგინეთ, თუ რამდენად მოქმედებს საიმედოობა პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე (იხ. ცხრილი 1). დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ გაყიდვების პერსონალის საიმედოობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაში (F=4.198, p=0. 006).

*პერსონალური გაყიდვის მაღალხარისხიანი მომსახურების დამაზიანებელი ხარვეზები*

*(ე. პარასურამანის, ლ. ბერის და ვ. ცაიტამლის მოდელის მიხედვით)*

*ნახაზი 6*




*პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე საიმედოობის გავლენის დისპერსიული ანალიზი*

*ცხრილი 1*

| დამოკიდებული ცვლადი: პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| საიმედოობა | 5.576 | 3 | 1.859 | 4.198 | .006 |
| ცდომილება | 481.282 | 1087 | .443 | | |

დისპერსიულმა ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ გაყიდვების პერსონალის რეაგირების სისწრაფე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველი მომხმარებლის მიერ პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე (F=3101.077, p=0. 000) (იხ. ცხრილი 2).

*პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე რეაგირების სისწრაფის გავლენის დისპერსიული ანალიზი*

*ცხრილი 2*

| დამოკიდებული ცვლადი: პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| რეაგირების სისწრაფე | 1373.037 | 1 | 1.47 | 3101.077 | .000 |
| ცდომილება | 481.282 | 1087 | .443 | | |

შემდგომ ეტაპზე გამოვიკვლიეთ, თუ რა გავლენას ახდენს გაყიდვების პერსონალის დამაჯერებლობა ქართველი მომხმარებლის მიერ პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე (იხ. ცხრილი 3). აღმოჩნდა, რომ გაყიდვების პერსონალის დამაჯერებლობის გავლენა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია (F = 5.498, p=0.046).

*პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე დამაჯერებლობის გავლენის დისპერსიული ანალიზი*

*ცხრილი 3*

| დამოკიდებული ცვლადი: პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| დამაჯერებლობა | 534.47 | 3 | 8.012 | 5.498 | .046 |
| ცდომილება | 481.282 | 1087 | .443 | | |

დისპერსიული ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ აგრეთვე, თუ როგორია გაყიდვების პერსონალის ემპათიის გავლენა ქართველი მომხმარებლის მიერ პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომ-სახურების ხარისხის აღქმაზე (იხ. ცხრილი 4). ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი გავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (F = 5.128, p=0.041).

*პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე ემპათიის გავლენის დისპერსიული ანალიზი*

*ცხრილი 4*

| დამოკიდებული ცვლადი: პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| ემპათია | 588.73 | 3 | 5.564 | 5.128 | .041 |
| ცდომილება | 481.282 | 1087 | .443 | | |

საბოლოოდ, დავადგინეთ, მოქმედებს თუ არა მატერიალურობა პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე. აღმოჩნდა, რომ ასეთი გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია (F=5.881, p=0.000) (იხ. ცხრილი 5).

*პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე მატერიალურობის გავლენის დისპერსიული ანალიზი*

*ცხრილი 5*

| დამოკიდებული ცვლადი: პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| მატერიალურობა | 29.892 | 4 | 7.473 | 5.881 | .000 |
| ცდომილება | 481.282 | 1087 | .443 | | |

**დასკვნები**. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები, რომლებიც ქართველი მომხმარებლების მიერ პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმისადმი და-მოკიდებულებას გამოხატავს.

ქართველი მომხმარებლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ პერსონალური გაყიდვების წარმატება დამოკიდე-ბულია გამყიდველებზე. ამასთან, ისინი თავს იკავებენ პერსონალურ გამყიდველებთან ურთიერთობაზე და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ მიერ გაკეთებულ შეთავაზებებს.

ქართველი მომხმარებლები აცნობიერებენ გამყიდველების მნიშვნელოვან როლს პერსონალური გაყიდ-ვის პროცესში და ამ საქმეში წარმატებას მათ პროფესიონალიზმს უკავშირებენ. გამყიდველის პროფესიონა-ლიზმის განმსაზღვრელ ფატორებად კი ითვლება გამოცდილება, უნარდჩვევები და განათლება, ხოლო ნაკლე-ბად გასათვალისწინებელ ფაქტორებში შედის ცხოვრების წესი და პიროვნების ტიპი. ქართველ მომხმარებ-ლებს მიაჩნიათ, რომ პერსონალური გამყიდველების მუშაობის ეფექტიანობას, ძირითადად, განსაზღვრავს მო-ზიდული და დაკარგული კლიენტების რაოდენობა, აგრეთვე მოტივაცია და ერთეულ მყიდველზე მოსული გაყიდვების მოცულობა.

პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის შეფასებისას ქართველი მომხმა-რებლები უპირატესობას ანიჭებენ გამყიდველის სანდოობას და დამაჯერებლობას. მათთვის შეთავაზებულ მომსახურებასა და მომხმარებლის მოლოდინს შორის სხვაობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ხარვეზს, რომელიც აზიანებს პერსონალური გაყიდვის მაღალხარისხიან მომსახურებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით მტკიცდება მოსაზრება, რომ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი პერსონალურ გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის აღქმასა და მის ცალკეულ დეტერმინანტებს შორის. კვლევა ადასტურებს, რომ მომხმარებლების მიერ მომსახურების ხარისხის აღქმა წარმოადგენს საფუძველს, რომლითაც შესაძლებელია კომპანიებმა პერსონალური გაყიდვის გაუმჯობესება მოახდინონ.

## ლიტერატურა:


1. Ламбен Ж.- Ж., Чумпитас Р., Шулинг И. *Менеджмент, ориентированный на рынок*. 2-е изд. Пер. с англ. - СПб.: Питер, 2014.
2. Бернет Дж., Мориарти С. *Маркетинговые коммуникации: интегрированный подход*. Пер. с англ. - СПб.: Питер, 2001.
3. Belch, G. E., and Belch, M. A. (2014). *Advertising and promotion: an integrated marketing communications perspective.* 10th ed. New York: McGraw-Hill Education.
4. Pelsmacker, P., and Geuens, M. (2017). *Marketing Communications: A European Perspective*. 6th ed. Harlow: Pearson Education Limited.
5. კოტლერი ფ., კელერი კ. *მარკეტინგის მენეჯმენტი.* მე-14 ინგლისური გამოცემის თარგმანი პროფესორ ნ.თოდუას საერთო რედაქციით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
6. Futrell Charles, M. (2011). *Fundamentals of selling: customers for life through service* . 12th ed. New York: McGraw-Hill/Irwin.
7. Kitchen, P.J., and Proctor, T. (2015). *Marketing communications in a post-modern world*. Journal of Business Strategy, Vol. 36 Issue: 5, pp.34-42.
8. Shimp, T. A., and Andrews, J. C. (2013). *Advertising, promotion, and other aspects of integrated marketing communications.* 9th ed. Mason: South-Western, Cengage Learning.
9. Egan, J. (2014). *Marketing Communications*. 2nd ed. London: Sage Publications Ltd.
10. Fam, K.S., and Merrilees, B. (1998). *Cultural values and personal selling: A comparison of Australian and Hong Kong retailers' promotion preferences*. International Marketing Review, Vol. 15, No. 4, pp. 246–256.
11. Fill, Ch. (2016). *Marketing Communications: discovery, creation and conversations*. 7th ed. Harlow: Pearson Education Limited.
12. Paparoidamis, N.G., and Guenzi P. (2009). *An empirical investigation into the impact of relationship selling and LMX on salespeople's behaviours and sales effectiveness*. European Journal of Marketing, Vol. 43 Issue: 7/8, pp.1053-1075.
13. Schaefer, A.D., and Pettijohn, C.E. (2006). *The relevance of authenticity in personal selling: Is genuineness an asset or liability?* Journal of Marketing Theory and Practice, Vol. 14, No.1, pp. 25–35.
14. *Parasuraman, A., Zeithaml, V.,* and *Berry, L.* (*1985*). *A conceptual model of service quality and some implications for future research.* Journal of Marketing, Vol. 49, pp. 41-50.
15. Berry, L., and *Parasuraman, A. (1991). Marketing Services: Competing Through Quality.* New York: Free Press.
16. Zeithaml, V. A., Bitner, M. J., and Gremler, D. D. (2006). *Services Marketing: Integrating Customer Focus across the Firm*. Boston, MA: McGraw-Hill/Irwin.
17. Boulding W., Karla A., Staelin R., and Zeithaml, V. (1993). *A Dynamic Model of Service Quality: From Expectations to Behavioral Intentions.* Journal of Marketing Research. Vol. 30 (February), pp.7-27.
18. Rust R.T., and Chung, T.S. (2006). *Marketing Models of Service and Relationships*. Marketing Science, Vol. 25 (November-December), pp. 560-580.
19. Familmaleki M., Aghighi , A., and Hamidi , K. (2015). *Analyzing The influence of promotion on customer purchasing behavior*. Advanced Social Humanities and Management. Vol. 2, No.2, pp. 41-51.
20. Wang E., Tsai, B., Chen, T., and Chang, Sh. (2012). *The influence of emotions displayed and personal selling on customer behaviour intention*. The Service Industries Journal, Vol. 32, No.3, pp. 353-366.
21. Apil, A., Kaynak, E., and Todua, N. (2009). *Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia.* In Proceedings of 18th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns". International Management Development Association. Research Yearbook. Vol. 18, pp. 531-539.
22. Jashi, C., and Todua, N. (2013). Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case). In Proceedings of third World Social Marketing Conference. Toronto (Canada), pp. 95-97.
23. Todua, N., Babilua, P., and Dochviri, T. (2013). *On the Multiple Linear Regression in Marketing Research*. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 7, No 3, pp. 135-139.
24. Todua, N., and Jashi, C. (2015). *Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case).* International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering. Vol. 9, No: 4, pp. 1160-1163.
25. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, J. (2015). *Georgian consumer attitudes towards genetically modified products*. International Journal of Management and Economics, Vol. 46, No1, pp. 120-136.
26. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *On the Marketing Research of consumer prices and inflation process*. British Journal of Marketing Studies. Vol. 3, No2, pp. 48-57.

27. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *Anova in Marketing Research of Consumer Behavior of Different Categories in Georgian Market.* Annals of Constantin Brancusi University of Targu-Jiu. Economy Series, Issue 1, pp. 183-190.
28. Meskhia, I. E. (2016). *Food security problems in post Soviet Georgia*. Annals of Agrarian Science, Vol. 14, No.2, pp.46-51.
29. Todua, N., Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). *Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market*. In Proceedings of International Scientific-Practical Conference "Challenges of Globalization in Economics and Business". Tbilisi, Universal, pp. 250-256.
30. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). *Functions of Retailing*. In Proceedings of 23rd International Academic Conference, Venice, pp. 356-360.
31. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). *About Marketing Process Model and Relationship Marketing*. In Book of Abstracts of BSLab-SYDIC International Workshop „Model-Based Governance for Smart Organizational Future ". Roma, Business Systems Laboratory, pp. 169-171.
32. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, B. (2017). *Georgian Farmers Attitudes towards Genetically Modified Crops.* Economics World, Vol. 5, No 4, pp. 362-369.
33. Todua, N. (2017). *Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers*. Ecoforum Journal. Vol. 6, No. 2.
34. Todua, N. (2018). *Impact of Food Labeling on Consumers Buying Decision (Georgian Case).* International Journal of Innovative Technologies in Economy. Vol. 1, pp. 38-43.
35. Todua, N. (2018). *Impact of Social Media Marketing on Consumer Behavior in the Georgian Tourism Industry.* International Academy Journal Web of Scholar. Vol. 5, No. 23, pp. 11-16.
36. Todua, N. (2018). *The Role of Food Labeling on Consumers' Buying Decision: Georgian Case.* International Journal of Economics and Management Engineering. Vol. 12, No. 4, pp. 479-482.
37. Todua, N., and Jashi, C. (2018). *Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition*. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 12, No 2, pp. 183-190.

## Perception of the Service Quality connected with Personal Selling by Georgian Consumers

***Nugzar Todua***
*Professor*

***Beka Vashakidze***
*Doctoral Student*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

The paper shows the role of marketing communications. Particularly, emphasizes the importance of personal selling in the sphere of relations with consumers. In the work analyzed of issues perception of service quality. For studying the perception of the service quality connected with Personal Selling, conducted a marketing research. There Is established the ratings of determining the factors of professionalism, prestige and efficiency of the work of personal sellers. In the paper is given a dispersion analysis of the impact of service quality determinants (reliability, responsiveness, assurance, empathy and tangibles) on service quality connected with personal selling. On the basis of the conducted study, are given conclusions that reflect the attitude of Georgian consumers of the service quality connected with personal selling.

***Key words:*** *personal selling; perception of the service quality; Georgian market; consumers; marketing research*

# საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნით ტვირთების გადაზიდვის ახალი გამოწვევები

**მიხეილ თოქმაზიშვილი**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით საქართველოს გააჩნია პოტენციალი კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ ლოგისტიკურ ჰაბად იქცეს, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რაც ექსპორტზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს. ნაშრომში განხილულია საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის პრობლემები, საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვის დინამიკა, ცვლილებების მიზეზები და პერსპექტივები. აღნიშნულია, რომ საქართველოს სატრანზიტო დერეფნის შემდგომი განვითარება დიდწილად დამოკიდებული იქნება ჩინეთის მიერ ინიცირებულ „ერთი სარტყელი - ერთი გზის" სტრატეგიაზე, ე.წ. ახალი აბრეშუმის გზის ორგანიზებაზე, მაგრამ რამდენად პერსპექტიული და სიცოცხლისუნარიანი იქნება ჩინეთის ინიციატივები საქართველოსთვის, დღესდღეობით გაურკვეველია. სატრანზიტო დერეფნის პრობლემების შემდგომ გადაჭრაზე დიდ გავლენას მოახდენს დროის ფაქტორი.*

*საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკა, „ერთი სარტყელი-ერთი გზა", საერთაშორისო გადაზიდვები, ევროკავშირი- საქართველო- ჩინეთი.*

საქართველოს გეოპოლიტიკური უპირატესობები დაკავშირებულია მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლთან სამხრეთ კავკასიაში, ინტეგრაციის მიმართულებებთან ევროკავშირთან, ურთიერთობებთან მეზობელ ქვეყნებთან და სატრანსპორტო დერეფნის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასთან.

საქართველო არის დასავლეთსა და სამხრეთს შორის ხიდი როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. მას აქვს პოტენციური შესაძლებლობა გახდეს ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ქვეყანა. საქართველო მეზობელ ქვეყნებთან - სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან - დაკავშირებულია გეოგრაფიული და სავაჭრო ურთიერთობებით. საქართველო ქმნის ღია ბაზარს მეზობელ ქვეყნებთან, რათა ხელი შეუწყოს კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ნაკადების თავისუფალ მოძრაობას და რეგიონში საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას.

კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მისი საერთო ტენდენცია არის ინტერესების თანხვედრის ხელშეწყობა ყველა მეზობელ და პარტნიორი ქვეყანასთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის გზით და ღია რეგიონალიზმის გატარებით საგარეო პოლიტიკაში (1, გვ. 3). ამ ფუნქციის გაძლიერება საქართველოს გლობალური იდენტობის მნიშვნელოვანი ამოცანაა. თუმცა, მოუწესრიგებელი ურთიერთობები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან და რთული ურთიერთობები რუსეთთან, აფერხებს მის, როგორც ახლად აღმოცენებული და განვითარებადი რეგიონალური მოთამაშის როლს და სატრანსპორტო დერეფნისა და ჰაბის ფუნქციის განხორციელებას.

## საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის განმსაზღვრელი ფაქტორები

სატრანსპორტო დერეფნით ტვირთების გადაზიდვების ზრდასთან ერთად იზრდება მისი მნიშვნელობა, მაგრამ ალტერნატიული გზების არსებობა, რომლებიც დაკავშირებული ერთი მხრივ, აზია-რუსეთი-ევროკავშირის ვექტორთან, ხოლო მეორეს მხრივ, აზია-ირანი-თურქეთი-ევროკავშირის, ან აზერბაიჯანი-თურქეთის-ევროკავშირის ვექტორთან, საქართველოს მდებარეობას გეოპოლიტიკურად კონკურენტულ მნიშვნელობას ანიჭებს. საქართველოს, როგორც კონფლიქტური ტერიტორიების არენა და მისი წინააღმდეგობები რუსეთთან მეტყველებს რეგიონის განვითარების რთულ ხასიათზე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას ჩრდილოეთიდან სამხრეთით რუსეთი-სომხეთი-ირანის მიმართულებით. აღმოსავლეთიდან დასავლეთის, აზია-ევროპის დამაკავშირებელი სატნასპორტო ხიდის ფუნქციით კი საქართველო ევროკავშირისათვის მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენს.

საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ევრაზიაში, რომელიც ძალიან ახლოს მივიდა ევროკავშირის რეგიონებთან და ჩაერთო მის ინტეგრაციულ პროცესებში. ეს განმტკიცებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებისა (AA) და მისი ნაწილის - DCFTA მოთხოვნების შესაბამისად. ამით იგი უზრუნველყოფს თავის ეკონომიკურ განვითარებასა, პოლიტიკურ სტაბილურობას და სატრანსპორტო დერეფნის გეოპოლიტიკურ და რეგიონულ იდენტიფიკაციას.

## სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების წინააღმდეგობები

საქართველოს როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის გეოგრაფიული მდებარეობა, განსაზღვრავს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას. იგი, როგორც ენერგეტიკული ხიდი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კასპიის ზღვის ენერგორესურსების ტრანზიტში და წარმოადგენს რუსეთის მიერ კონტროლირებადი მილსადენების ალტერნატიულ ვექტორს.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ნავთობისა და გაზის წარმოება და ტრანსპორტირება ქვეყნებს შორის წინააღმდეგობებისა და უთანხმოების საგანია. ამ პრობლემასთან არის დაკავშირებული სამხრეთ კავკასიის მიმართ სხვა სახელმწიფოების ურთიერთობა. კასპიის ზღვის რესურსები და მათი სატრანსპორტო მარშრუტები, რომლებიც საქართველოზე გადის ბაქო-თბილისი-სუფსას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და შაჰ-დენი (აზერბაიჯანი)-თბილისი - ერზუმის (თურქეთი) მილსადენებით, გეოსტრატეგიული მნიშვნელობისაა, განაპირობებს რეგიონისადმი მსოფლიო ინტერესს.

ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით, სამხრეთ კავკასიის გაზსადენით გაზი მიეწოდება რუსეთიდან სომხეთს. პოტენციურად მისი დაკავშირება ირანის გაზის საბადოებთან არის შესაძლებელი, მაგრამ გაზსადენი საქართველოს საკუთრებაში არსებული და მის მიერ კონტროლირებადი მილსადენია. რუსეთის არაერთი ცდისა, შეეძინა და გაევრცელებინა მასზე კონტროლი, უშედეგოდ დამთავრდა (2). რუსეთთან დაძაბული ურთიერთობებისა და დასავლეთის მიერ ირანის ბლოკადის გამო საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირი ირანთან არის სუსტად განვითარებული.

საქართველოს გავლით ხდება კასპიის ზღვის ჰიდროკარბონატული რესურსების გადაზიდვა როგორც მილსადენებით, ასევე სარკინიგზო ტრანსპორტით, რომლებიც მიბმულია ყულევისა და სუფსას ტერმინალებთან და ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებთან. უახლოეს ხანში ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის სრული ექსპლოატაციით შესაძლებელი იქნება 17 მლნ ტონა ტვირთის გადაზიდვა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამოკლებს სამხრეთ კორეა- ჩინეთიდან ტვირთების მიწოდებას ევროპისათვის (3).

"ენერგეტიკული ხიდის" და სატრანსპორტო დერეფნის როლი ცენტრალურ კავკასიაში განსაზღვრავს საქართველოს რეგიონულ მნიშვნელობას და მის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას. გეოპოლიტიკურად, საქართველოს აქვს ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია ცენტრალურ კავკასიაში. დღეისათვის იგი სამი ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტების ოპერაციით აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ეს გზა არის რუსეთის კონტროლირებადი მილსადენების ალტერნატიული ვექტორი. საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს ჩრდილოეთ - სამხრეთის ვექტორის დამაკავშირებელი ქვეყანა, რომელმაც შეიძლება დაუკავშიროს რუსეთი-ირანს სომხეთის გავლით ან ირანი დაუკავშიროს ევროპას აზერბაიჯანის გავლით (4).

დასავლეთის ქვეყნები და ევროკავშირი დაინტერესებულნი არიან ნავთობისა და გაზის მიწოდების დივერსიფიცირებული ვექტორებით (5, გვ. 89). საქართველო, როგორც ენერგეტიკული ხიდი, როგორც დასავლეთის ასევე რუსეთის ინტერესების სფეროშია მოქცეული (6, გვ. 17).

ენერგეტიკული რესურსების მიწოდების აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ვექტორი არსებითად ხელს უშლის რუსეთის დომინანტურ პოზიციას ამ რეგიონში და ემსახურება ევროკავშირის მიზნებს. რუსეთი ცდილობს, რათა მოიპოვოს კონტროლი რეგიონში, მათ შორის სამხედრო ძალისხმევით.

ალტერანატიული და "მრავალჯერადი“ მილსადენებით და გზებით დაინტერესებულია ევროკავშირი, რამდენადაც იგი მნიშვნელოვნად შეამცირებს მის დამოკიდებულებას რუსეთთან და გაზრდის ქვეყნების უსაფრთხოებას (7). ეს კი, თავის მხრივ, მიმზიდველს ხდის აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას.

საქართველო, როგორც კასპიის ზღვის ენერგო-ხიდი, წარმოადგენს სერიოზულ ალტერნატიულ გზას, გაზსადენის დივერსიფიცირებისა და რუსეთის მონოპოლიის თავიდან აცილების საშუალებას კასპიის ზღვის ენერგეტიკულ ტრანზიტზე. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკული ხიდის როლი საქართველოს უქმნიდა და კვლავ უქმნის მკაცრ უთანხმოებას რუსეთთან, რამდენადაც მან დაკარგა მისი კონტროლის ქვეშ არსებული ისტორიული ტერიტორიები (8).

ირანის გაზი არის ინტერსების კიდევ ერთი დაპირისპირების სფერო. რუსეთის მთავარი მიზანია ჰქონდეს სატრანზიტო გზა ირანთან, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია დასავლეთისთვის. ირანს სურს გახდეს აქტიური მონაწილე საერთაშორისო გაზის ბაზარზე (9). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მისი ძირითადი კონკურენტია, მათ შორის მრავალი საერთო ინტერესი არსებობს: წინააღმდეგობა აშშ-თან და ნატოსთან და სხვ. (10). მას შემდეგ, რაც განეიტრალდება ირანზე დაწესებული სანქციები, რუსეთი შეეცდება ჩრდილოეთ-სამხრეთ ვექტორის ამოქმედებას. ამისთვის კი მას დასჭირდება საქართველოს თავისი ენერგეტიკული პოლიტიკისადმი დაქვემდებარება. ამის მცდელობა განხორციელდა საქართველოსთვის ჩრდილოეთი-სამხრეთის მიმართულებით რუსული გაზის ტრანზიტის საფასურის გადასინჯვით. მოსალოდნელია, რომ ეს საკითხი ახლო მომავალში კვლავ დადგება დიდი სიმწვავით. რუსეთისათვის გაზის ფასი არის ის „პოლიტიკური იარაღი,“ რომლითაც იგი ზემოქმედებს როგორც ევროპის, ასევე სხვა ქვეყნებზე.

საქართველო არის ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი რეგიონული მოთამაშე და აქვს წამყვანი როლი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში კავკასიის რეგიონში. პოლიტიკურ ძალებს შორის

რეგიონული გეოპოლიტიკური ბალანსი და ეკონომიკური ვექტორი ცენტრალურ კავკასიაში განისაზღვრება იმით, თუ რა პოზიცია ექნება საქართველოს და გაუძლებს თუ არა იგი რუსეთის ზეწოლას.

ავტოსატრანზიტო და სარკინიგზო გზები და მეგაპროექტები აძლიერებს საქართველოს რეგიონულ მნიშვნელობას და ხელს უწყობს შემდგომ ინტეგრაციას. ამასთან, საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი უსაფრთხოების შენარჩუნების არსებითი კომპონენტია და ამ თვალსაზრისით, საქართველოს როლი და იდენტობა ძალიან მნიშვნელოვანია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაში.

## სატრანსპორტო დერეფნით ტვირთების გადაზიდვის დინამიკა

90-იან წლებში ევროპის მიერ ინიცირებული პროექტების შედეგად, როგორიცაა INOGATE და TRACEKA,[1] საფუძველი ჩაეყარა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანს. TRACEKA-ს პროექტების ფარგლებში განხორციელდა ამიერკავკასიის რკინიგზის რეაბილიტაცია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, ხიდების რეაბილიტაცია, საზღვრო გადასასვლელი ხიდების მშენებლობა და საკონტეინერო ტვირთების მომსახურების ხელშეწყობა ფოთის პორტში, მისი კომპიუტერული სისტემებით უზრუნველყოფა, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა სამხრეთ კავკასიის რკინიგზების სასიგნალო სისტემებისათვის და სხვ. (11). საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სატრანსპორტო ქსელი და მისი ინფრასტრუქტურა. შესაბამისად გაიზარდა ტვირთბრუნვა.

2002–2008 წლებში საქართველოში დაახლოებით 40 %-ით გაიზარდა რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობა, რაშიც სატრანზიტო ტვირთების ხვედრითი წილი 85 %-ს აღწევდა. შესაბამისად გაიზარდა საქართველოს პორტების (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) მიერ გადამუშავებული ტვირთების დინამიკა, თუმცა 2014 წლის შემდგომ პერიოდში სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის მიმზიდველობა თანდათანობით დაიკარგა.

2014 წლიდან რკინიგზით გადაზიდული კონტეინერების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება და იგი 2016 წელს 2006 წლის მონაცემს გაუთანაბრდა (35 900 კონტეინერი), ხოლო საქართველოს ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამ 2017 წელს შეადგინა 2014 წელს გადამუშავებული ტვირთების 88 პროცენტი (იხ. დიაგრამა 1).

*დიაგრამა 1*




წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

---

1 TRACEKA (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) - ემსახურებოდა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის ერთიანი სისტემის შექმნას და ისტორიული აბრეშუმის გზის თანამედროვე მრავალფუნქციურ სატრანსპორტო დერეფნად გარდაქმნას.INOGATE (Interstate Oil and GAs Transportation to Europe) - ეხებოდა კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას ევროპაში.

საქართველოს რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების ოდენობამ მაქსიმუმს 2006 წელს მიაღწია და 22.6 მლნ ტონა შეადგინა. ფინანსური კრიზისის პერიოდში, 2008-2009 წლებში, ეს მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა 2010-2012 წლებში გაიზარდა, ხოლო 2014-2017 წლებში კვლავ დაიწყო დაცემა და 2017 წელს შეადგინა მხოლოდ 10.5 მლნ ტონა, რაც 2006 წლის მაჩვენებლს 2.1 ჯერ ჩამოუვარდება (იხ. დიაგრამა 2). რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვრითები განახევრდა, რაც უარყოფითად ნავსადგურებზეც აისახა. 2014-2016 წლებში საქართველოს ნავსადგურებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა 24 პროცენტით შემცირდა.

*დიაგრამა 2*




წყარო: საქართველოს რკინიგზა

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ 2014-2016 წლებში რკინიგზით გადაზიდვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შემცირდა TRACEKA-ს დერეფნის ქვეყნებშიც. გამონაკლისი არის მხოლოდ უზბეკეთი, სადაც გადაზიდვები გაიზარდა ხუთი პროცენტით. გარკვეულწილად ეს გარემოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ნავთობი, რომელიც გადაიზიდებოდა რკინიგზით, გადაინაცვლა ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის მილსადენში (12). BP-ს მონაცემებით, 2006-2009 წლებში მილსადენით გადაზიდული იქნა დღეში 1 მლნ. ბარელი ნავთობი, 2014 წლიდან კი მისმა საშუალო წარმადობამ შეადგინა 1.2 მლნ ბარელი ნავთობი (13). მიუხედავად ამისა, საქართველოს ნავსადგურებში ტვირთბრუნვა შემცირდა და მილსადენით გამტარიანობის ზრდამ ვერ გაანეიტრალა რკინიგზით ტვირთების კლება.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ნავსადგურებში გადამუშავებულ ტვირთებს განსხვავებული დინამიკა აქვს. იგი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოში (24 პროცენტი) და უკრაინაში (7 პროცენტი). გაიზარდა რუსეთში (13 პროცენტი), ბულგარეთში (6 პროცენტი) თურქეთში (6 პროცენტი) რუმინეთში (7 პროცენტი) (იხ: დიაგრამა 3-4). მთლიანად შავი ზღვის აუზის ქვეყნების ნავსადგურებში გადამუშავებულ ტვირთები გაიზარდა ოთხი პროცენტით.[1]

*დიაგრამა 3-4.*




---

[1] საერთაშორისო სტატისტიკური ინფორმაცია მოწოდებულია პაატა ცაგარეიშვილის (სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი) მიერ.

ამდენად, შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტვირთების გადაზიდვის მაჩვენებლები საქართველოში არ არის სახარბიელო. ეს სფერო კრიზისშია. ამას ადასტურებს სტატისტიკის სამსახურის მიერ ექსპერტულ შეფასებებსა და კვლევებზე დაფუძნებული მაჩვენებლებიც. ტრანსპორტის ყველა სახეობის მიხედვით ტვირთბრუნვა 2006-2016 წლებში შემცირდა თითქმის 2-ჯერ, 8114 მლნ ტონა/კმ-დან 4140.9 მლნ ტონა/კმ-მდე (14). ამ გადაზიდვებში ყველაზე დიდი ჩავარდნა სატრანზიტო გადაზიდვებზე მოდის.

საქართველოს რკინიგზის გადაზიდვებში 65 პროცენტი უკავია სატრანზიტო გადაზიდვებს. ეს მაჩვენებელი 2012-2017 წლებში 59 პროცენტით შემცირდა. 35 პროცენტით შემცირდა საექსპორტო გადაზიდვები და 21 პროცენტით კი - საიმპორტო გადაზიდვები. ნავთობი და ნავთობპროდუქტების გადაზიდვები 55 პროცენტით არის შემცირებული, ხოლო მშრალი ტვირთების გადაზიდვები კი - 41 პროცენტით.

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის მონაცემებით, ნედლი ნავთობის გადაზიდვისას საქართველოს დერეფანი კონკურენტურენტუნარიანობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება TRACECA-ს ქვეყნებს. ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას ალტერნატიულ დერეფნებს ჩამორჩება 40%-ით. ამის ერთ- ერთი მიზეზია საქართველოს რკინიგზის დერეფნის დაბალი გამტარუნარიანობა, მოძველებული ტექნოლოგიები და უსაფრთხოების დაბალი დონე, მოძველებული მოძრავი შემადგენლობა, ცალკეული ტვირთებისათვის უნივერსალური და სპეციალიზებული ვაგონების, კონტეინერების და ლოკომოტივების უკმარისობა, საქართველოს მთაგორიან მონაკვეთებზე არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვების შეზღუდვები და სხვ.

აზერბაიჯანი-ევროპის მიმართულებით გადაზიდვების კლება 1.9 ჯერ და კასპიის ზღვის ჰიდროკარბონატული რესურსების ალტერნატიული მიმართულებით გადაზიდვების წარმართვა საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნის საქართველოს, რამდენადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და როლი.

ეს პრობლემა ვლინდება საერთაშორისო შედარებებით. მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოს ლოგისტიკური აგრეგირებული ინდექსი 2012 წლიდან დღემდე გაუარესებულია და ის 2012- 2018 წლების რეიტინგში 167 ქვეყანას შორის 124-ე ადგილს იკავებს. 2012 წელს საქართველო ამ ინდექსით 77-ე ადგილზე იყო (15). მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ლოგისტიკური მომსახურების მაჩვენებლებით ჩამორჩება დაბალგანვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. (იხ. დიაგრამა 5).

ეს პრობლემები ამცირებს დერეფნის კონკურენტუნრაინობას. ამასთან, სატრანსპორტო სტრატეგია და დერეფნის მართვა სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს. საქართველო ვერ გახდება სატრანსპორტო ჰაბი რეგიონში, სანამ არ განხორციელდება ფუნდამენტური ცვლილებები სატრანსპორტო დერეფნის ინფრასტრუქტურაში.

*დიაგრამა 5*




წყარო: World Development Indicators

http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=world-development-indicators

ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის და ნავთოპროდუქტებზე **ტარიფები** იზრდება. პარალელურად ხდება ტარიფების ზრდა საქართველოს საზღვაო ტერმინალებში. თუ ბათუმის ტერმინალში ერთი ტონა ნედლი ნავთობის გატარების ტარიფი ერთ ტონაზე 6-7 აშშ დოლარიდან (2017 წელი) გაიზარდა 10-15 აშშ დოლარამდე, ფოთის ნავსადგურში ტარიფი 9–12 აშშ დოლარიდან 11–15 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ყულევის ნავსადგურში, ტარიფი 6-9 აშშ დოლარიდან გაიზარდა 8–15 აშშ დოლარამდე (16). ტარიფების ზრდა ტვირთნაკადების შემცირების ფონზე ლოგისტიკურ სატრანზიტო დერეფნის მიმზიდველობაზე არ აისახება პოზიტიურად. ამასთან, გაურკვეველია თუ რა გავლენას მოახდენს

„რკინიგზის აბრეშუმის გზის“ საქმიანობაზე თურქეთი-საქართველო-ყაზახეთის მოლაპარაკებები საერთო გამჭოლი ტარიფების დაწესების შესახებ, რაც მთელ ტერიტორიაზე საერთო ფასის დადგენას გულისხმობს (17).

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერება და ტვირთბრუნვაში არსებული „ჩავარდნების“ კომპენსირება შესაძლებელია აზერბაიჯანი-ევროპის მიმართულებით დამატებითი ტვირთნაკადების, როგორიცაა რკინის მადნის, ცემენტის, ყაზახეთი-ევროპის მიმართულებით ხორბლის, თურქმენეთი-ევროპის მიმართულებით ნავთობის კოქსის, კალიუმის სასუქის, გრანულირებული გოგირდის, უკრაინა-ირანის, უკრაინა-ჩინეთის და აზიის ქვეყნების მიმართულებით მსხუმზირის ზეთის, სხვადასხვა ხორბლეულის, სოიოს ხორბალის, ჭვავის, ქერის, სიმინდის, ბრინჯის, წიწიბურას და სხვა საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვების განხორციელებით.

ამ მხრივ ჩინეთის ინიციატივა „ერთი სარტყელი - ერთი გზა“ იქნება TRACEKA-ს პროექტის გაგრძელება და მასში საქართველოს ჩართვა იქნებოდა საქართველოს გეოპოლიტიკური როლის განმტკიცების პირობა. დღეს ეს საკითხი, მიუხედავად ოპტიმისტური დამოკიდებულებისა (18). ბუნდოვანია. 2011-2016 წლებში ჩინეთი-ევროპა-ჩინეთის მიმართულებით გადაზიდვები მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 2011 წელს 10 ბლოკ-მატარებელი მოძრაობდა, 2016 წელს 1702-მდე გაიზარდა. ამ ტრანზიტულ მიმართულებებში საქართველოს ჩართულობა ჯერ-ჯერობით პასიურია.

ჩინეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს მემორანდუმს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ“, მათ შორის დადებული არის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება და ჩინეთი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, მესამე ადგილზეა, მისი ინვესტიციების წილი სწრაფად იზრდება საქართველოში. ეს გარემოებები მიუთითებს ჩინეთის მზარდ როლზე საქართველში. მიუხედავად ამისა, საქართველოს ინტერესები, როგორც სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გაძლიერდება ჩინეთის ეკონომიკური ინიციატივით, ნამდვილად ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების ინტერესებს, მათ შორის რუსეთის. რეგიონის სხვა მოთამაშეების გავლენის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა ჩამოაყალიბა ევრაზიის კავშირი, რომლის ურთიერთობაც ჩინეთის ინიციატივასთან არ არის ნათელი.

ზოგიერთი ანალიტიკოსის შეფასებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის გადაკვეთაზე, ევრაზიული ეკონომიკური დერეფნის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი. ეს დერეფანი მოიაზრება ალტერნატიულ და რუსეთის კონკურენტ დერეფნად.

ევროკავშირთან ურთიერთობების კონტექსტში „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ პროექტისადმი არსებობს სკეპტიკური მიდგომა და უნდობლობა. ექსპერტების აზრით, ამ პროექტს არ აქვს ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურა. ჩინეთს ურჩევნია ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმებები ჰქონდეს, რაც არ შეესაბამება ევროკავშირის მრავალმხრივი დიალოგის მოთხოვნებს. გარდა ამისა, არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობა და ჩინეთის ხელისუფლებასთან არასაკმარისი კომუნიკაცია, რამდენადაც, როგორც ჩანს, ჩინეთი ითანამშრომლებს ევროკავშირის ინსტიტუტებთან მაშინ, როცა საჭიროდ ჩათვლის მას, მიზნების მისაღწევად. სხვა შემთხვევაში იგი სახელმწიფოებს ინდივიდუალურად ესაუბრება. ევროკავშირსა და ჩინეთს შორის პროექტთან დაკავშირებით ეფექტური დიალოგის პლატფორმა არ არსებობს.

ევროკავშირი თვლის, რომ ჩინეთის ინიციატივას შეუძლია ხელი შეუშალოს დასავლეთის წესებით ევრაზიაში სტაბილურობის დამკვიდრებას და ამ პროექტის მასშტაბურობა ქმნის მისი მართვის რისკებს. მას ექნება გრძელვადიანი გეოპოლიტიკური გავლენა სხვა ქვეყნებზე და გაზრდის მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოკიდებულებას ჩინეთის ეკონომიკაზე. ის ფაქტი, რომ ჩინეთსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობს, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

საქართველოში ჩინეთის ინიციატივის განვითარება დამოკიდებული იქნება ჩინეთის ფინანსურ მხარდაჭერაზე და სესხებზე, რომელსაც შეუძლია უზარმაზარი დავალიანების ტვირთი დააკისროს ქვეყანას სავალალო შედეგებით. ეკონომიკური საფრთხეებს შორის, ფინანსურ დავალიანებასთან ერთად წარმოიშვება ჩინეთის მზარდი გავლენა ქვეყანაში და სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემები, როგორიცაა რეგიონალური რესურსების ექსპლუატაცია ადეკვატური ანაზღაურების გარეშე; მიწის გასხვისება, ადგილობრივი წარმოების შეზღუდვა, შიდა გეოპოლიტიკურ კონფლიქტები რეგიონში და ა.შ. (19).

მიუხედავად ამ პრობლემებისა, ჩინეთის ინიციატივა პოზიტიურად იმოქმედებს სატრანზიტო დერეფნის ფორმირებაზე და საქართველოს როლის ზრდაზე. საქართველოს გრძელვადიანი ინტერესების დასაცავად კი აუცილებელი გახდება ჩინეთი-ევროპა-ჩინეთის მიმართულებით სახელმწიფოს ჩართულობით შესაბამისი სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

## დასკვნა

ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით საქართველოს გააჩნია პოტენციალი კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ ლოგისტიკურ ჰაბად იქცეს, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორიაჟექსპორტზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

ის გარემოება, რომ საქართველოს ყოველწლიურად უმცირდება ტვირთნაკადი, ბადებს კითხვებს, სატრანზიტ ტვირთბრუნვის დეფიციტით გამოწვეული პრობლემები ხომ არ გადაედება საქართველოში დაგეგმილ და არსებულ მსხვილ პროექტებს, როგორიც არის ანაკლიის ნავსადგური, ლოგისტიკური ცენტრები, ბაქო - თბილისი - ყარსის რკინიგზა და სხვ.[1]

სავარაუდოდ, TRACECA- ს პროგრამის შემდგომი განვითარება დიდწილად დამოკიდებული იქნება ჩინეთის მიერ ინიცირებულ „ერთი სარტყელი - ერთი გზის" სტრატეგიაზე, ე.წ. ახალი აბრეშუმის გზის ორგანიზებაზე. საქართველოს დერეფანი ევროკავშირი-აზიის მიმართულებით შეიძლება გახდეს სატვირთო ნაკადის ზრდის მნიშვნელოვანი პირობა. რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება „ერთი სარტყელი - ერთი გზის" პერსპექტივები საქართველოსთვის დღესდღეობით გაურკვეველია. სატრანზიტო დერეფნის პრობლემების შემდგომ გადაჭრაზე დიდ გავლენას მოახდენს დროის ფაქტორი.

## ლიტერატურა:


1. Bergsten C. F., Open Regionalism, Working Paper 97-3, Peterson Institute for International Economics. http://www.iie.com/publications/wp/wp.cfm?ResearchID=152
2. Papava V, Comparative Advantages of the Central Caucasian Countries: Potential, Realized, and Missed Opportunities, The Caucasus & Globalization, Vol. 1, No. 1, 2006. http://www.ca-c.org/c-g/2006/journal_eng/c-g-1/10.papavaen.shtml
3. ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, Sputnik, 28.09.2017, https://sputnik-georgia.com/economy/20170928/237531971/baqo-Tbilisi-yarsis-msenebloba-dasasruls-uaxlovdeba.html.
4. "Georgia and Azerbaijan bring the South Caucasus Transport Corridor (SCTC) to a new level." FLNKA, November 11, 2016. http://flnka.ru/digest/11387-georgia-and-azerbaijan-bring-the-south-caucasus-transport-corridor-sctc-to-a-new-level.html.
5. Papava V, "Energy Cooperation Opportunities in the Caucasus." Caucasus International, Summer, Vol.1 2011.
6. Rondeli A, "Pipelines and Security Dynamics in the Caucasus." Insight Turkey, Vol. 4, No 1, 2002.
7. Ratner M, Belkin P, Nichol J, Woehrel S, Europe's Energy Security: Options and Challenges to Natural Gas Supply Diversification, Congressional Research Service Report for Congress, August 20, 2013. https://fas.org/sgp/-crs/row/R42405.pdf
8. Lussac S, "The Baku- Tbilisi- Kars Railroad and its Geopolitical Implications for the South Caucasus." Caucasus Review of International Affairs, Vol. 2 (4), Autumn 2008. http://cria-online.org/5_5.html
9. "After Sanctions, Iran's Growing Role in the Caucasus, Stratfor, Worldview, February 1, 2016. https://www-.stratfor.com/analysis/after-sanctions-irans-growing-role-caucasus
10. "Strategic Importance of Iran for Russia and China: Eurasian "Triple Alliance." Infowars, January 25, 2012. http://www.infowars.com/strategic-importance-of-iran-for-russia-and-china-eurasian-%e2%80%9ctriple-alliance%e2%80%9d/
11. Project Fact Sheets GEORGIA, 2013, Logistics Processes and Motorways of the Sea I I, http://www.traceca-org.org/fileadmin/fm-dam/TAREP/65ta/Master_Plan/MPA9.2GE.pdf; http://www.traceca-org.org/fileadmin/fm-dam/TAREP/65ta/Master_Plan/MPA9.1GE.pdf
12. მამუკა ბახტაძე: საქართველოს რკინიგზა გეოგრაფიულად ფართო არეალს ემსახურება, IPress, 19 ოქტომბერი, 2015, https://www.ipress.ge/new/15509-mamuka-bakhtadze-saqartvelos-rkinigza-geografiulad-farto-areals-emsakhureba.
13. Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline, https://www.bp.com/en_az/caspian/operationsprojects/pipelines/BTC.html
14. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2017. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2017.pdf
15. Aggregated LPI 2012-2018, World Bank, khttps://lpi.worldbank.org/international/aggregated-ranking


---

[1] ეკონომიკის მინისტრი, გიორგი ქობულია არ გამორიცხავს, რომ ანაკლიის პროექტი გადაიხედოს, რადგან სიტუაცია ძალიან სწრაფად იცვლება ტვირთბრუნვების თვალსაზრისით. თუ როგორ გავხადოთ საქართველო ჰაბად და როგორ გამოვიყენოთ მაქსიმალურად ეს კორიდორი, იგი აღიარებს, რომ მას ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს (20).

16. TCRC: სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ განლაგებულ ნავსადგურებში ნავთოპროდუქტების გადამუშავების ტარიფები იზრდება, Kommercant, https://commersant.ge/ge/post/tcrc-satransporto-derefnis-gaswvriv-ganlagebul-navsadgurebshi-navtoproduqtebis-gadamushavebis-tarifebi-izrdeba
17. Project Fact Sheets GEORGIA, 2013, Logistics Processes and Motorways of the Sea I I, http://www.traceca-org.org/fileadmin/fm-dam/TAREP/65ta/Master_Plan/MPA9.2GE.pdf; http://www.traceca-org.org/fileadmin/fm-dam/TAREP/65ta/Master_Plan/MPA9.1GE.pdf
18. პაპავა ვ., „ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა" და საქართველო, ექსპერტის აზრი, # 93, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017,
19. New Silk Road' and China's hegemonic ambitions, Made for Minds, http://www.dw.com/en/new-silk-road-and-chinas-hegemonic-ambitions/a-38843212
20. გიორგი ქობულია ანაკლიის პროექტის გადახედვას გეგმავს, BPI, ივლისი 13, 2018, http://bpi.ge/giorgi-qobulia-anakliis-proeqtis-gadakhedvas-gegmavs/

## New Challenges for Cargo Trucking through Georgian Transport Corridor

***Mikheil Tokmazishvili***
*Doctor of Economics*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Associate Professor*

S u m m a r y

Considering the profitable geographic location of Georgia, it has potential to become a major logistics hub of Caucasus and Central Asia. It is one of the main factors for increasing competitiveness of the country that will also foster export-led economic growth. Paper discusses problems of Georgian transport corridor, historical dynamics of international cargo trucking, reasons for changes and perspectives. It is noted that further development of Georgian transit corridor largely depends on the strategy of "One Belt-One Road" – new Silk Road - initiated by China. However, it is still vague how perspective and viable China's initiatives will be for Georgia. Time factor will play an important role in solving transit corridor related problems.

***Key words***: Logistics; *"One Belt – One Road"; International Trucking; European Union–Georgia-China.*

# Higher Education in Global Economy: Review of Scenarios

**Ilnytskyy Denys**
*Doctor of Economic Sciences, professor at the KNEU*
*Kyiv National Economic University named after Vadym Getman, Ukraine*

*Higher education needs scenarios more than any other sector of national or global economy. Variety of methodological approaches could be used to outline possible futures. The choice of the best of them depends on specific context. Various institutions have tried to suggest a scenario or a group of scenarios. but most of them failed. Huge number of indicators and factors influence the future make it impossible to form long-term forecasts, while the best scenario would be the collage one.*

***Key words:*** *foresight, forecast, higher education, knowledge economy, university, Ukraine, Georgia.*

## Introduction

The importance of the information society given to the system of higher education, which is one of the key generators of the national intellectual capital, determines the expediency of its expanded reproduction. It is believed that the brightness and maturity of higher education institutions, both public and private, include those key factors that determine the long-term economic growth of nations. It is also worth listening to the expert opinion of J. Douglass from the Center for Studies in Higher Education at the University of California at Berkeley, who convinces that most higher education systems in the near future will have most of the characteristics inherent in the so-called market of structured opportunities [[1]].

The leading international rankings, which identify the disposition of national economies, use indicators that characterize the development of the higher education system as one of the important arguments. Even the specialized ratings of national educational systems and universities are developing. Most of these ratings give leading positions to developed countries, which most effectively use scientific and educational potential to ensure high level of per capita GDP.

The urgency of studying the prospects for the development of higher education in developing countries is due to the fact that, according to macroeconomic indicators, Ukraine and Georgia belong precisely to this group. Characteristically, they share a common feature that distinguishes them from developed countries. In the late 1990s and early 2000s, it was discovered that developing countries had implemented strategies to increase the number of students, the number of which has been measured by millions (for example, China, India, Indonesia, the Philippines, Russia - more than 2 million, from 1 to 2 million in Argentina, Brazil, Egypt, Iran, Mexico, Thailand and Ukraine). Moreover, the share of higher education graduates in many countries has exceeded this level in developed countries. However, developed countries prioritised not the number of people with higher education, but the quality of institutions, new knowledge and graduates [[2]].

## Methodology for creating scenarios.

The rationale for possible development scenarios is believed to serve as a tool for decision-makers, leaders and politicians, in shaping public opinion about the future and considering possible alternative responses to various future challenges [[3]]. The complexity and creativity of scenario planning brings the better results, the more aspects and alternatives have been considered, but this also constitutes a limitation to its implementation.

Scenario planning becomes widespread in the activities of enterprises and authorities. It is thought that it comes from the technique used during the Cold War to analyse uncertainty in the absence of reliable information [[4]]. In practice, it helps to create a consensus reality, open up the advanced ideas and avoid surprises. Writing scenarios begins with an awareness of the existence of uncertainty. But it takes time. It took Rathenau Institute 16 month to

---

1 Douglass J. *A Look into a Possible Future: A Global Scenario for Higher Education Systems*. Global University Network for Innovation. December 17, 2007. URL: URL: http://www.guninetwork.org/articles/look-possible-future-global-scenario-higher-education-systems

2 *Higher Education in Developing Countries: Peril and Promise*. The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. 2000. 135p. URL: http://siteresources.worldbank.org/education/Resources/278200-1099079877269/-547664-1099079956815/peril_promise_en.pdf

3 Kubler J., Sayers, N. *Higher education futures: Key themes and implications for leadership and management*. London: Leadership Foundation for Higher Education & Association of Commonwealth Universities. 2010. 72 p.

4 Rasmus D. Why Higher Education Needs Scenarios. *University Business*. November 2, 2012. URL: https://www.university-business.com/article/why-higher-education-needs-scenarios

shape the *"future of Dutch universities"* [1].

Some theorists argue that the study of the future (futures studies) constitute the novel research direction that complements postformal, integrated and planetary research [2]. The grounds for talking about global knowledge future, as a direction, give such forms of human brain activity as creativity, imagination, dialogue and cooperation.

In contrast to the global knowledge economy, which in views have the features of homogenization, intensification of information and communication technologies, competition, short-term and methodological stagnation, *global knowledge future*, as an alternative concept, lies in dynamic unity in dialogue with diversity. The dialectic of this direction reveals such views on social and economic development as pluralism and multidisciplinarity, epistemological diversity and diversity of perspectives, anticipation of alternatives and foresight of innovations [3].

The following aspects of the development of scenarios are known by the specialists of Foundation for Leadership in Higher Education (UK):

- public role and functions of higher education (internal and external roles - public perception and demand; national, global and market contexts);
- structure and organization of higher education (internal and external - the national system and policy, and institutional organization and policies);
- service provision / technological development;
- university and a person (students);
- university and a person (employees);
- Higher Education Values [4].

On the other hand, the complexity of the educational system necessitates the formation of a vision of the future of its separate components. It is for this that British tried to shape the future of academic libraries (table A). While Brian A. proposed a number of scenarios for the development of scientific publications, as a genre and part of the activities of scientists and universities, a form of scientific communication [5]. These publications include virtually all types that are based on the theoretical and methodological foundations of the argumentation of decisions or explanation of a particular phenomenon, process or state. It is about monographs, articles and textbooks, as well as various reports, notes, drafting documents, electronic publications, databases, blogs, preprints, grey literature etc. Given that the concept of a modern university implies obligatory nature of both academic and research activities, the forms of manifestation of the results of university research should be outlined in high quality scenarios.

The diversity of forms in the classifications of scenarios determines the expediency of their analysis of validity. In particular, to ensure high-quality of business development strategies one may use a matrix analysis of the strategic scenario (Table.1). Although its authors propose to apply for the higher education system, it is obvious that it is suitable for use irrespective of the field of application and scale of activity of stakeholders.

*Table* ***1***

*Matrix analysis of the strategic scenario*

| | Potential scenario | Current reality | Differences between scenario and reality | Actions for moving in the direction of the scenario | Indicators of motion in the direction of the scenario |
|---|---|---|---|---|---|
| Mental model (thoughts and assumptions) | | | | | |
| System components | | | | | |
| Stakeholder behaviour models | | | | | |
| Obvious events and consequences | | | | | |

Source: compiled after [6].

---

1 *Future knowledge: 4 scenarios for the future of Dutch universities*. / ed. P.Faasse, B. van der Meulen, P. Heerekop. Rathenau Institute. February 2014. URL: https://www.rathenau.nl/sites/default/files/2018-05/Future_knowledge_-_4_scenarios_-for_the_future_of_Dutch_universities_01.pdf

2 Gidley, J. M. Global Knowledge Futures: Articulating the Emergence of a New Meta-level Field. *Integral Review: A Transdisciplinary & Transcultural Journal for New Thought, Research, & Praxis.* 2013. №*9*(2). P.145-172. URL: URL: http://www.integral-review.org/documents/old/Gidley,Global-Knowledge-Futures,Vol.9,No.2.pdf

3 Gidley, J. M. Global Knowledge Futures: Articulating the Emergence of a New Meta-level Field. *Integral Review: A Trans-disciplinary & Transcultural Journal for New Thought, Research, & Praxis.* 2013. №*9*(2). P.145-172. URL: URL: http://www.integral-review.org/documents/old/Gidley,Global-Knowledge-Futures,Vol.9,No.2.pdf

4 Kubler J., Sayers N. Higher education futures: Key themes and implications for leadership and management. London: Leadership Foundation for Higher Education & Association of Commonwealth Universities. 2010. 72 p.

5 Bryan A. Future of Higher Education: The Future of Scholarly Publication. *EDUCAUSE review*. March 29, 2011. URL: https://er.educause.edu/articles/2011/3/future-of-higher-education-the-future-of-scholarly-publication

6 Rieley J. B. Scenario Planning in Higher Education. *Community College Journal*. 1997. *68*(1). Pp. 23-26.

German researchers effectively use toilful Delphi methodology to outline the scenarios of European higher education development [1]. In particular, 780 people from 24 countries were involved. Generally, methodologies such as trend extrapolation, expert analysis or Delphi methodology, scenario preparation, crowdsourcing, forecasting markets are often used to form the vision of a future state of a particular phenomenon, process, system or entity.

Unlike the commonly used models that provide a straightforward relationship between the past and the future, a number of scientists suggest applying the methodology of quantum theory. For higher education, the principle approaches will introduce, firstly, more uncertainty, since it is virtually impossible to predict the place of a small object in space and time, and secondly, provide more interaction with the system of higher education, since an observation is clearly not enough to even identify features and regularities. Spanish scientists emphasize on a number of factors the application of methodological approaches to quantum theory, which is generally called "quantum approach to time and change" [2]. In particular, these arguments include the following: identifying new alternatives, because the future often differs qualitatively from the past; the application of the methodology derived from quantum physics will enrich the research concepts and tools; many of the ideas challenge the fundamental assumption of the nature of change.

In practice, the application of a particular method or group of techniques is due to many reasons. Key ones include time constraints, availability of information and financial resources, researchers' competencies, and creativity of participants in defining scenarios. Therefore, depending on the goals and the constraints mentioned, a decision should be made on the choice of the methodological base in each case.

One of the most authoritative tools for forecasting the main indicators of international development, which are systematized into a coherent model, is the "International Futures" system [3]. It is developed and maintained by the Center for the International Future of Frederic S. Pardi at Joseph Corbell School of International Studies within the University of Denver, USA. The decisive feature is the free access for researchers to this toolkit. The logic of the IFs model contains 10 key modules, each of which has from two to six interactions with other modules such as: socio-political, international political, education, health, population, economy, agriculture, energy, technology, as well as resources and quality of the environment [4]. The model implemented in the complex of software allows real-time projection of the main indicators of international development, incl. educational.

Continuing the idea of the need for university educational activities we should also consider the future of its forms, which is changing under pressure and through the development of ICT and other technological innovations. So, Greek researchers point out that web-based learning may have a number of scenarios (table A) [5]. In particular, it is said that two scenarios for developing the role of a person, who learns: a) the role of an active generator (e-course design, adaptive content, web quests, etc.); b) the role of the consumer (response to activity and content, prepared by the experts, in particular on the basis of the project activity). Their formation is influenced by factors such as the aim, sequence of types and types of activity, distribution of roles and availability of tools and resources.

Although, in some cases, there are many more aspects that depend on the specific goals and resources of scenario planning. Thus, at the University of Science (Malaysia), scenario planning took into account 14 aspects, of which the authors, as a result, stopped at three - the regime of public administration and institutional management, the development of knowledge economy and the speed of globalization (table A) [6]. Even in these conditions, 18 possible scenarios of development were identified.

The entrepreneurial scenario of the university's development determines the feasibility of the formation of entrepreneurial universities. We consider it expedient to confine ourselves only to the disclosure of a range of features that are inherent to such institutions, namely:

- responding to the changing needs of students and circumstances;

---

1 The European Higher Education and Research Landscape 2020, Scenarios and Strategic Debates. Enders, J., File, J. Huisman, J. and Westerheijden, D. (eds.). - CHEPS. 219 p. ISBN 90-365-2296-X 219 p. URL: https://ris.utwente.nl/ws/portalfiles/portal/5574394/Enders05european.pdf

2 Márquez-Ramos, L., Mourelle, E. *Selecting a suitable approach to analyze the future of higher education*. Procedia-Social and Behavioral Sciences. 2016. №228, p.86-91.

3 Irfan, T. Mohammod. 2017. "*IFs Education Model Documentation*." Working paper 2015.06.16. Pardee Center for International Futures, Josef Korbel School of International Studies, University of Denver, Denver, CO. URL: https://pardee.du.edu/sites/default/files/Education%20Model%20v34.pdf

4 Turner S., Neill C., Hughes B.B., Narayan K. *Guide to Scenario Analysis in International Futures (IFs)*. Working paper 2017.09.10. Pardee Center for International Futures, Josef Korbel School of International Studies, University of Denver, Denver, CO. 2017. URL: https://pardee.du.edu/sites/default/files/IFs%20Documentation Guide%20to%20Scenario%20Analysis%20v15.1.pdf

5 Papanikolaou K. *Web-enhanced learning scenarios*. Procedia Social and Behavioral Sciences: WCES-2010. №15. 2011. p.1158–1162.

6 Azman N., Morshidi S., Azahari M.K. Building future scenarios for Malaysian universities, *Journal of Asian Public Policy*. 2010. 3:1. pp 86-99. URL: http://dx.doi.org/10.1080/17516231003634112

- considering the demand of the labour market and the needs of employers;
- inclusion of entrepreneurial skills and values in the offered training courses;
- development of application of research results;
- conducting joint research enterprises;
- participation in the activities of commercialization of research results;
- use of various sources of income;
- provision of commercial services;
- planning of growth of aggregate income;
- successful competitive behaviour in the market;
- collaboration with others for full service delivery;
- use of flexible employment hiring strategies;
- strategic intellectual property management [[1]; [2]].

Regardless of the level of entrepreneurial activity by universities or their trustees will have to consider improval of management structure. Warwick University (UK) name three basic models of management structures out of which universities will have to choose among alternative models of management structures [[3]].

Unfortunately, scenario approach has some disadvantages. The main one is that improper use of the scenario method throws negative impressions on its reputation as a serious academic toolkit. Nonsense and non-critical behaviours are more common for journalists, market researchers and consultants, whose aggregate number exceeds the number of true researchers.

It should also be understood that scenarios are not predictions or trends [[4]]. Although all these genres deal with the future. This is due to the fact that the whole variety of factors that determine the future state of a certain system (in our case, the system of higher education), it is virtually impossible to determine and take into account in the formation of scenarios. Therefore, the scenarios refer to the most probable, sometimes with considerable exaggeration, variants of the future state.

## Factors shaping the future.

მეტრომაილი (Metromile) - ამერიკული სადაზღვევო სტარტაპი ორგანიზაცია, რომელიც სთავაზობს მომხმარებლებს თითოეული მილის დაზღვევას (pay-per-mile insurance). ამ მხრივ მეტრომაილი ხელს უწყობს ზედმეტი ხარჯების შემცირებას იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც ნაკლებად გადაადგილდებიან თავიანთი ავტომობილით და ყოველწლიურად მათ აღარ უწევთ დაახლოებით $500 ხარჯის გაღება. ასევე, ამ მხრივ კომპანია ზრდის მომხმარებლების რაოდენობას და ახალი სეგმენტის (იმ მომხმარებლების რომლებიც ნაკლებად გადაადგილდებიან თავიანთი ავტომობილებით) ათვისებას ახდენს. ტელემატრიკული ტექნოლოგიები განვითარების პროცესშია, რომელიც მომავალში საკმაოდ გავრცელებული გახდება და ნელდნელა მიიწევს წინ. ტელემატრიკულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ავტომობილების დაზღვევა პოტენციურად ამცირებს მანქანების ქურდობას და შეკეთების ხარჯებს.

საქართველოს ბაზარზე არსებული საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიები ვალდებულები არიან კლიენტთა მოზიდვის მიზნით, მათ შესთავაზონ ანაზღაურების მოთხოვნის რამდენიმე მოსახერხებელი გზა. მათ შორის ერთ-ერთია სადაზღვევო კომპანიის მომსახურეობის ცენტრში მისვლა. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულს სურს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება, მას შეუძლია მიმართოს სერვისცენტრს, წარადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღებული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოითხოვოს დაფინანსება. მომდევნო სერვისი, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული კომპანიები ონლაინ ანაზღაურებაა. ამ პროცესის შესაბამისად, კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით დაზღვეულს საშუალება ეძლევა სახლიდან გაუსვლელად ატვირთოს საიტზე შესაბამისი დოკუმენტაცია და მოითხოვოს ანაზღაურება, ასევე შესაძლებელია მსგავსი ტიპის მომსახურების მიღება მობილური აპლიკაციის მეშვეობით.ამასთანავე, სადაზღვევო კომპანიებს შემუშავებული აქვთ - „კურიერული მომსახურება“, რომლის მიხედვითაც დაზღვეულისთვის სასურველ დროს, მიაკითხავს კურიერი და წამოიღებს საჭირო დოკუმენტაციას.ასევე არსებობს სადაზღვევო „BOX“ ანაზღაურების მეთოდი, სადაზღვევო კომპანიას გარკვეულ მისამართებზე განლაგებული აქვს ასანაზღაურებელი,დალუქული ყუთები, სადაც დაზღვეულს შეუძლია ჩააგდოს ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტაცია.აღსანიშნავია ანაზღაურების კიდევ ერთი მოსახერხებელი მეთოდი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ავტო დაზღვევის შემთხვევაში. ზარალის დადგომისას დაზღვეულთან თავად მიდის სადაზღვევო წარმომადგენელი, ეხმარება სიტუაციის დარეგულირებასა და თანხის ანაზღაურებაში. სადაზღვევო ბაზარზე შეთავაზებულ ინოვაციას წარმოადგენს ინდექსირებული დაზღვევა, რომელიც დაფუძნებულია ფასისა და აქტუარული გათვლების შეთანაწყობაზე კონკრეტული რეგიონისთვის მინიჭებული ინდექსისათვის. აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტი მოიცავს, ასევე,სატელიტური რუკის გამოყენებით რეგიონებისთვის დამახასიათებელი მეტეოროლოგიური რისკ ფაქტორების განსაზღვრას და მათთვის შესაბამისი ინდექსის მინიჭებას, ის საშუალებას იძლევა საფასო შკალის დიფერენცირებას თითოეული რეგიონისთვის რისკ ფაქტორების დონის მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებიდან დღემდე, მიღებული გამოცდილების მიხედვით, სადაზღვევო კომპანიებმა დახვეწეს სადაზღვევო პროდუქტების ორგანიზების გზები და მაქსიმალურად ცდილობენ მომხმარებელს შესთავაზონ მომსახურების მაღალი დონე, მოქნილი და მარტივი სისტემა.ვფიქრობთ, გაიზრდება კონკურენცია და პარტნიორობა ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სადაზღვევო კომპანიებსა და ტრადიციულ სადაზღვევო კომპანიებს შორის.საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს ბევრი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი მარკეტინგული თვალსაზრისით,რადგან გარკვეული სადაზღვევო კომპანიისა და სადაზღვევო პროდუქტის ცნობადობა წარმოადგენს პრობლემას. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომხმარებელთა მოთხოვნილებების სიღრმისეული კვლევა სადაზღვევო პროდუქტის დახვეწის ან ახლის შეთავაზების მიზნით. აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებმა მოახერხონ ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება სწორად შერჩეული მარკეტინგული კომუნიკაციების საშუალებით.

## დასკვნა

ციფრული ტექნოლოგიის განვითარებამ მომხმარებლთან ურთიერთობისმრავალი შესაძლებლობა შექმნა, თუმცა, ციფრული მოთამაშეები სადაზღვევო ბაზრის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. მათ განსხვავებული ბიზნესმოდელები და ტექნოლოგიები აქვთ. სტარტაპები იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, რათა შეამცირონ საოპერაციო ხარჯები და გაზარდონ თავიანთი მომხმარებლები სადაზღვევო პროცესების გაუჯობესებით, გამჭვირვალობით, დროულობით, სიმარტივით და მომხმარებელთა ჩართულობით.სწრაფად იზრდება მობილური სადაზღვევო პოლისის მართვის პლატფორმები, საავტომობილო დაზღვევა და სადაზღვევო

ტექნოლოგიის (insurtech) ინდუსტრია, რაც საშუალებას იძლევა სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ რისკის აცილების ეფექტური მოდელები.

საქართველოს ბაზარზე არსებული საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიები,კლიენტებს მოზიდვის მიზნით, სთავაზობენ ანაზღაურების მოთხოვნის რამდენიმე შესაძლებლობას, როგორიცაა: სადაზღვვო კომპანიის მომსახურების ცენტრში მისვლა; ონლაინ ანაზღაურება; მობილური აპლიკაცია;„კურიერული მომსახურება“;, სადაზღვევო „BOX“ ანაზღაურების მეთოდი.სადაზღვევო კომპანიები მაქსიმალურად ცდილობენ მომხმარებელს შესთავაზონ მომსახურების მაღალი დონე, მოქნილი და მარტივი სისტემა, რაც გაზრდის კონკურენციას და პარტნიორობას ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სადაზღვევო კომპანიებსა და ტრადიციულ სადაზღვევო კომპანიებს შორის.

## ლიტერატურა:


1. Insuranceandinnovationreporthttps://www.iif.com/system/files/32370132_insurance_innovation_report_2016.pdf
2. Technologyand innovation in the insurance sector https://www.oecd.org/finance/Technology-and-innovation-in-the-insurance-sector.pdf
3. Forbes’ article https://www.forbes.com/sites/robertpearl/2013/11/28/6-simple-facts-about-health-insurance-reform/#1b87a48420f8


## Innovative Insurance Products


***Nato Kakashvili***

*Tbilisi State University*

*Assistant professor*



S u m m a r y

The era of technological development contributes to the introduction of changes and development of the insurance industry. Developing technologies create opportunities for the modernization of insurance companies, which will develop new ideas and services. Changes in the insurance sector affect factors such as technology, customer expectations, persons who cause and implement changes. New technologies suggest creating innovative insurance products, services and business models. With the development of technologies in the insurance system, new innovative products have appeared.

International insurance companies in the Georgian market offer several convenient ways of reimbursing the costs of attracting customers, such as: visiting the service center of the insurance company; Online rewards; Mobile application, "Courier services", payment method "BOX".



***Key words:*** *Requied insurance;Smart houses and estates insurance; Carryng equipment; health and life insuranc; Telemetry (communication with transport technolojies) and car insurance.*

# ინსტიტუტების ფუნქციონირების შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები

**ნაზირა კაკულია**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ორ ათეულზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამ წარმოშვა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი პრობლემა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ობიექტურად მოითხოვს სხვადასხვა ინსტიტუციის ფუნქციონირებას და მათ განვითარებას. ნაშრომში განხილულია ინსტიტუტების არსი და ძირითადი მახასიათებლები, ინსტიტუტების როლი გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში. ასევე შესწავლილია საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ეტაპები და მისი თავისებურებები. გამოკვეთილია ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა: პრივატიზაცია, ვაჭრობის პირობების ლიბერალიზაცია, ინვესტიციები, დერეგულაცია და სხვ. ამის საფუძველზე გაანალიზებულია ინსტიტუტების ფუნქციონირების შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები (WGI ინდიკატორები) და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე*

*საკვანძო სიტყვები: ინსტიტუტების განვითარება; ინსტიტუტების შეფასება; ეკონომიკური ზრდა.*

XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში საბაზრო ინსტიტუტების განტკიცების აუცილებლობა ხშირად განიხილებოდა ვიწრო გაგებით, შემდგომ წლებში ინსტიტუციურ ფაქტორებს ენიჭება გადამწყვეტი როლი საბაზრო ტრანსფორმაციის განხორციელებაში. დღესდღეობით, პრაქტიკულად ყველა კვლევის დროს იკვეთება დადებითი და სტატისტიკური ურთიერთკავშირი ეროვნული ინსტიტუტების ხარისხსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის.

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორი მმართველობის ხარისხზე ბიზნესის, მოქალაქეებისა და ექსპერტული კვლევების რესპონდენტთა შეხედულებების შეჯამებულ მონაცემებს წარმოადგენს. მმართველობის ხარისხის შესაფასებლად 6 ინდიკატორი გამოიყენება: გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა, მთავრობის ეფექტიანობა, რეგულირების ხარისხი, კანონის უზენაესობა, კორუფციის კონტროლი. მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, კვლევა ნატურალური რესურსების მართვის ინსტიტუტის პრეზიდენტისა და ბრუკინგის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარის, დანიელ კაუფმანისა და მსოფლიო ბანკის განვითარების კვლევის ჯგუფის ეკონომისტის, აარტ ქრაის[11] მიერ მზადდება. კვლევა 200-ზე მეტი ქვეყნის მაჩვენებლებს აანალიზებს.

1996-2002 წლებში კვლევა ორ წელიწადში ერთხელ ახლდებოდა, 2003 წლიდან კი ის ყოველწლიურად ქვეყნდება. ამ კვლევის მიმართ არსებული კრიტიკის ("კარგი მმართველობის" განუსაზღვრელობა, მონაცემების არაშესადარისობა, ქვეყნების შეფასება არაიდენტური წყაროებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით და ა.შ.) პარალელურად, კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევა. 2010 წლის 3 ივნისს გამოცემულ, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებაში (№376), ზემოაღნიშნული ინდიკატორები მითითებულია, როგორც მიღწეული შედეგების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი. აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგია↓მომზადებულია მსოფლიო ბანკის განვითარების კვლევის ჯგუფის მაკროეკონომიკისა და ზრდის გუნდის მიერ. მიუხედავად ამისა, ის მსოფლიო ბანკის ოფიციალურ პოზიციას არ ასახავს და რესურსების გადანაწილებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ გამოიყენება.

სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია კორუფციის კონტროლი და კორუფციისგან თავისუფალი ბიუროკრატიული ინსტიტუტების არსებობა.

2012-2016 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმულმა ნაბიჯმა (მათ შორის ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებამ, საერთაშორისო რეკომენდაციების ეფექტიანმა შესრულებამ, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებამ, მამხილებელთა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებამ, სახელმწიფო სერვისების მიწოდების ინოვაციურმა მიდგომებმა, მართლმსაჯულების რეფორმამ, პროკურატურის ინსტიტუციურმა რეფორმამ), ასევე ღიაობისა და სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობის გაზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევამ განაპირობა საქართველოს რეიტინგის გაუმჯობესება სხვადასხვა ინდექსში.

საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსით" საქართველომ 2016 წელს ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია და მსოფლიოს 176 ქვეყანას შორის 44-ე ადგილზეა (2012 წელს საქართველო 51-ე პოზიციაზე იმყოფებოდა).

ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, „კორუფციის აღქმის ინდექსში" საქართველოს რეიტინგი წინა წელთან შედარებით 4 ადგილით გაუმჯობესდა და 48-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადმოინაცვლა, 100-ქულიან შკალაზე 57 ქულით (სადაც, 0- ძალიან კორუმპირებულ, ხოლო 100-ძალიან სუფთა საჯარო სექტორს ნიშნავს).

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EECA) 19 ქვეყანას შორის საქართველომ პირველი პოზიცია დაიკავა (2014 წელს მე-2 პოზიცია ეკავა) და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა - მონტენეგრო, მაკედონია, თურქეთი, სერბეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ალბანეთი და სხვ. საქართველოს საშუალო ქულა - 57, მნიშვნელოვნად აღემატება როგორც რეგიონის საშუალო ქულას (54), ასევე მსოფლიოს საშუალო ქულას (43)[10].

მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის" 2016 წლის კვლევის მიხედვით, კორუფციის კონტროლის ინდექსი - 2015 წელს საქართველოს შეფასება 8,14 ქულით გაუმჯობესდა და 72,6 ქულა შეადგინა. საქართველომ 2015 წელს რეიტინგში 58-ე ადგილი დაიკავა და მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით 18 პოზიციით გაიუმჯობესა, მაშინ როდესაც 2012 წელს 76-ე ადგილზე იყო 64,5 ქულით .

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტ - "კანონის უზენაესობის ინდექსის" მიხედვით, კორუფციის არ არსებობის კომპონენტში 2016 წელს საქართველო 22-ე ადგილზეა 113 ქვეყანას შორის და რეგიონში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველ პოზიციას იკავებს.

ინდიკატორი 4 მიმართულებით აფასებს ქვეყანაში კორუფციის არ არსებობას, კერძოდ, კორუფციის არ არსებობა აღმასრულებელ პუნქტში (0.71 ქულა), სასამართლოში (0.66 ქულა), პოლიციაში/სამხედრო სამსახურში (0.92 ქულა) და საკანონმდებლო ორგანოში (0.62 ქულა).

კანონის უზენაესობის კომპონენტში მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის" 2016 წლის კვლევის მიხედვით, 2014 წელს საქართველოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის მდგომარეობა 2012 წელთან შედარებით, 23 პოზიციით გაუმჯობესდა და 73- ე ადგილზე იმყოფება (2014 წელს - 75-ე ადგილი).

პოლიტიკური სტაბილურობისა და ძალადობასთან ბრძოლის კომპონენტში მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის" 2016 წლის კვლევის მიხედვით, 2015 წელს 2012 წელთან შედარებით, საქართველოს მდგომარეობა 19 პოზიციით გაუმჯობესდა და 141-ე ადგილზეა[10].

საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილი რეიტინგების ყველა კომპონენტი უშუალოდ საქართველოში მომუშავე ბიზნესსექტორის გამოკითხვებს ეყრდნობა

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნის მმართველობის ხარისხს აფასებს. შეფასება მოცემულია როგორც აბსოლუტური მნიშვნელობით, ასევე რეიტინგის სახით. აბსოლუტური შეფასება ცალკე აღებული ქვეყნის მდგომარეობას ეხება და იძლევა საშუალებას შეფასდეს, თუ როგორ იცვლება დროითი ჭრილით ქვეყნის მაჩვენებელი ცალკეული კრიტერიუმის შესაბამისად. პერცენტილური რეიტინგი კი, ასახავს კონკრეტული ქვეყნის შედეგებს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით (იხ. ცხრილი).

*მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (პერცენტილური რეიტინგი)[12]*

| წელი | პოლიტიკური სტაბილურობა | მთავრობის ეფექტიანობა | რეგულირების ხარისხი | კანონის უზენაესობა |
|---|---|---|---|---|
| 2005 | 25.24 | 40.20 | 28.43 | 29.67 |
| 2006 | 17.87 | 47.80 | 50.98 | 40.19 |
| 2007 | 24.64 | 56.80 | 60.68 | 45.45 |
| 2008 | 16.83 | 65.53 | 64.56 | 47.60 |
| 2009 | 17.54 | 64.11 | 66.51 | 49.29 |
| 2010 | 24.17 | 65.07 | 70.81 | 47.87 |
| 2011 | 27.01 | 69.19 | 74.41 | 51.17 |
| 2012 | 24.17 | 70.14 | 74.41 | 54.93 |
| 2013 | 31.28 | 69.67 | 74.41 | 53.99 |
| 2014 | 34.76 | 71.63 | 79.33 | 64.90 |
| 2015 | 29.52 | 67.31 | 78.85 | 64.42 |
| 2016 | 35.24 | 71.15 | 81.25 | 63.94 |



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომისტების მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს ქვეყნის ეკონომიკურ განავითარებაში ინსტიტუტების როლის შესწავლა. ინსტიტუტები ასრულებენ ფუნდამენტურ როლს ეკონომიკური ზრდის მიღწევაში.

თანამედროვე ემპირიული კვლევებით დგინდება, რომ ქვეყნები, რომლებსაც ახასიათებთ უფრო განვითარებული ინსტიტუტები, მდგრადია საგარეო შოკების მიმართ. შედეგები გვიჩვენებს, რომ ის ქვექნები, რომლებსაც ახასიათებთ ეფექტიანი ინსტიტუტები და საზოგადოების ერთიანობა, უფრო მოკლევადიან პერიოდში უმკლავდებიან შოკებს და ახორციელებენ ანტიკრიზისულ სტრატეგიას, ხოლო განუვითარებელი ინსტიტუტები და შიდა სოციალური კონფლიქტები ართულებს ეკონომიკური კრიზისების გადალახვის პროცესს.

## ლიტერატურა:


1. ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა. მე-5 გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან. თსუ, 2010;
2. ბალარჯიშვილი ი. ინსტიტუციური ეკონომიკა და განუსაზღვრელობის შემცირების ეფექტები, თსუ 2005.
3. კაკულია ნ. ინსტიტუტების ფორმირებისა და მათი ჩამორჩენის საკითხები კონკურენციის პოლიტიკისა და ტრანსფორმაციის მაჩვენებელთა საფუძველზე. თბ.,2017.
4. პაპავა ვ. დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა -ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო.2018.
5. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი 2010.
6. ხადური ნ. „ეკონომიკური ზრდა რეალობა და პერსპექტივები“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი 2010.
7. Douglass North “Institutions, Institutional Change and Economic Performance”, Cambridge University Press, 1990.
8. RICHARD R. NELSON AND SIDNEY G. WINTER An Evolutionary Theory of Economic Change http://inctpped.ie.ufrj.br/spiderweb/pdf_2/Dosi_1_An_evolutionary-theory-of_economic_change..pdf
9. World development indicators. World Bank. 2016;
10. http://www.economy.ge/uploads/publications/economy
11. http://siteresources.worldbank.org
12. http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home


## Methodological Aspects of Assessing the Functioning of Institutes


***Nazira Kakulia***

*TSU Assosiate Professor*



S u m m a r y

Creation of independent states has produced theoretical and practical problems, which demanded immediate solutions. The transition to market economy requires the functioning of various institutions and their development. The artical deals with the essence and core characteristics of the institutions, and the role of institutions in economics of transitional countries. The paper also discusses the stages of transformation of Georgian economy and their peculiarities. The institutions are analyzed such as privatization, liberalization of trade conditions, investments, deregulation, etc. The paper also analyzes the methodological aspects of the functioning of institutions (WGI indicators) and their impact on economic growth.



***Key words:*** *The role of Institutions; development of institutions; financial stability; economic growth.*

# სასტუმრო ბაზრის განვითარების ტენდენციები ტურიზმის ახალი მიმართულებების ფონზე

**ნანა კაციტაძე**

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ნაშრომში გაანალიზებულია მსოლიოში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები და მისი კავშირი ტურიზმის განვითარებასთან. დასაბუთებულია განთავსების საშუალებების, როგორც ტურიზმის ინფრასტრუქტურული რესურსის, ზეგავლენა ტურისტთა ნაკადებისა და მიზნობრივი ბაზრების ჩამოყალიბებაზე. შესწავლილია განთავსების სექტორის განვითარების თავისებურებანი საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც მოქცეულია ტურისტული ნაკადების ახალი მიმართულებების გეოგრაფიის ფარგლებში. საკითხის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მსგავს ქვეყნებში ამ დარგში გამოცდილებისა და ცოდნის დეფიციტის არსებობა ყველა დონეზე.*

*აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქმულია აზრი იმ უარყოფით შედეგებზე, რომელიც მოსალოდნელია ქსელური სასტუმროების მიერ ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის შევიწროების კუთხით. ავტორი პრობლემის მოგვარებას ხედავს ევროპული გამოცდლების გაზიარებასა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების, როგორც დარგის მართვის ინსტრუმენტის, დროსა და სივრცეში თანმიმდევრულ გამოყენებაში, მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით.*

*საკვანძო სიტყვები: სასტუმრო ბაზარი, სასტუმრო ბიზნესი, საერთაშორისო ქსელური სასტუმროები, მდგრადი განვითარება.*

**სასტუმრო ბაზრის განვითარების ტენდეციები.** თანამედროვე სასტუმრო მომსახურების ბაზარი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ დინამიურად განვითარებად სექტორს წარმოადგენს. 2017 წელს, საერთაშორისო ბაზარზე ბრენდული და არაბრენდული სასტუმროების მომსახურების მიწოდებამ ბოლო 15 წლის განმავლობაში მაქსიმალურ ზღვარს (ზრდა + 3.6%) მიაღწია, ხოლო სასტუმრო სექტორში შემოსავლებმა 497, 17 მილიარდ აშშ. დოლარი შეადგინა [1];[2].

სასტუმრო ინდუსტრიის დასაყრდენს წარმოადგენს დარგი, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკაში წელიწადში რამდენიმე ტრილიონი დოლარი შეაქვს. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTCC) მონაცემებით ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ 2017 წელს მშპ-ში 2,6 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა 3,2%). აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ - 10,4%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4,5% მთლიანი განხორციელებული ინვესტიციებიდან და 6,5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში [3].

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათეულიწელია მსოფლიოს მასშტაბით სასტუმრო ბაზრის ზრდა დადებითად ითვლება, სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში მაჩვენებლები არაერთგვაროვანია. ასე მაგალითად, აზია წყნარი ოკეანის რეგიონში სასტუმროთა რაოდენობისა და სანომრე ფონდის ზრდა საშუალოდ შეადგენს 10%-ს, მაშინ როდესაც ევროპაში ზრდა მხოლოდ 1,5%-2% ის ფარგლებში იყო და დღესაც ამავე ფარგლებში რჩება. ამდენად, მსოფლიო ტურიზმის ბაზარზე ახალ ტურისტულ მიმართულებებზე მოთხოვნის ზრდის და შესაბამისად ახლ გეოგრაფიულ არეალებზე პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილების გაჩენის საფუძველზე, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილი აქვს მსოფლიო სასტუმრო ბაზარის პოლუსების გადაადგილებას აზიისა და წყნარი ოკეანის, ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის რეგიონის სასრგებლოდ [6].

თანამედროვე სასტუმრო რთულ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენს. განთავსების სექტორში საქმიანობა გულისხმობს შენობის მშენებლობას, შენობის გათბობას, ელექტრო ენერგიის მიწოდებას, დასუფთავების სერვისს, კაპიტალურ შეკეთებას, თანამშრომლების ზედამხედველობას, კვების მომსახურების წარმოებას, პროდუქციის მიმზიდველობის განვითარებას და ა.შ. სასტუმროს მენეჯმენტის ამოცანაა-გაზარდოს მომხმარებლის კმაყოფილება, მაგრამ, ამავე დროს გაზარდოს მოგება.

სასტუმრო ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლები ყველაზე მაღალია ევროპაში, სადაც სასტუმროს დატვირთულობა (Occ) შეადგენს 75%-ს, საშუალო დღიური განაკვეთი (ADR) -138-ს, ხოლო შემოსავალი ერთ ნომერზე (RevPAR) -103-ს, თუმცა ევროპაშიც კი ეს მაჩვენებლები ქვეყნების და რეგიონების მიხედვით განსხვავდება. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში Occ არის 68%, ADR -101 , ხოლო RevPar 103; ხოლო დასავლეთ ევროპაში იგივე მაჩვენებლები შესაბამისად არის 73,6%, 147 და 108. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში RevPar-ის მაჩვენებელი 2016 წელს იყო შემცირებული ტერორისტული აქტების გახშირების შედეგად. 2017 წელს უმაღლესი ზრდა დაფიქსირდა სამხრეთ ამერიკასა და კარიბის აუზის ქვეყნებში. სპეციალისტების პროგნოზით 2018 წლისთვის ტურიზმის ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე მოსალოდნელია სასტუმროს ფასების 3.7% -ით ზრდა, მათ შორის დასავლეთ ევროპაში 6.3% -ით და აღმოსავლეთ ევროპაში 6.6%-ით, ხოლო

ჩრდილოეთ ამერიკაში ზრდა შედარებით მოკრძალებული (2.9%) [4]. მსოფლიოს რეგიონების უმეტეს ნაწილში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სასტუმროთა დატვირთის დონე ზოგადად მზარდია. 2016 წლისათვის ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის რეგიონში სასტუმრო ოთახების ფასმა მიაღწია ყველაზე მაღალ ნიშნულს და შეადგინა საშუალოდ- 149.02 აშშ. დოლარი, ხოლო ყველაზე დაბალი ფასები ბოლო ორი წლის განმავლობაში დაფიქსირდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

მე-20 საუკუნის ბოლოს ტექნიკისა და ტექნოლოგიების, ტრანსპორტის კომფორტულობის გაზრდისა და ფასების შემცირების საფუძველზე მოგზაურობის მკვეთრმა ზრდამ გავლენა მოახდინა სასტუმრო პროდუქტის ფორმირებაზე, კერძოდ, შეიქმნა ახალი ტიპის განთავსების ობიექტები და ჩამოყალიბდა სასტუმრო მომსახურების ახალი, საშუალო მომხმარებლებზე ორიენტირებული ლიბელარულ-დემოკრატიული კონცეფცია. ამ პერიოდს უკავშირდება სასტუმრო სექტორში გლობალიზაციისა და და კონცენტრაციის პროცესების გააქტიურება, რომელიც გამოიხატა მსხვილი კორპორაციებისა და სასტუმროების ქსელების შექმნაში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს განთავსების სექტორში დომინირებს მცირე და საშუალი საწარმოები, 2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში 13 მლნ -მდე სასტუმროა, რომელთა 20% მიეკუთვნება სასტუმრო ქსელებს და საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს მის მაღალეფექტიანობას სასტუმრო ბიზნესის წარმოებისას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო ბაზარებზე[1]; [2]. წამყვანი სასტუმროთა ჯგუფების (ტრანსნაციონალური კორპორაციები) განვითარების ტემპები და მდგრადობა არასტაბილურ ბაზრის პერიოდშიც კი მაღალია, რასაც განაპირობებს მთელი რიგი გარემოებანი, როგორიცაა: სასტუმრო ქსელების ერთიანი მონაცემთა ბაზა, ერთიანი ფინანსური სისტემა, ერთიანი სარეკლამო პროგრამები და საინფორმაციო მხარდაჭერა, პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ერთიანი სისტემის ფარგლებში, პროფესიული გამოცდილების გაცვლის შესაძლებლობები, კვლევების ჩატარებისათვის ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიები, ერთიანი დაჯავშნის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სასტუმროების მაქსიმალურ დატვირთვას. განვითარების ეს მიმართულება საშუაებას აძლევს სასტუმრო კომპანიებს მეტი ეფექტიანობის მისაღებად გადააჯგუფონ თავიანთი რესურსები და მოიზიდონ დამატებითი რესურსები. საერთაშორისობაზარზე ოპერირებენ სასტუმროტა ჯგუფები, მაგალითად როგორიცაა Marriott International (აშშ) 2017 წლის ლიდერი კომპანია, რომელიც ფლობს 6,500 სასტუმროს, ოპერირებს 27 ქვეყანაში და მისი სანომრე ფონდი შეადგენს 1,2 მილიონს. მას მოსდევს ამერიკული სასტუმროთა ჯგუფი Hilton Worldwide, რომელიც პერირებს 106 ქვეყანაში, სანომრე ფონდი შადგენს 856,000 ოთახს და აერთიანებს 14 ბრენდს. და სხვა. სახეზეა ამ ბრენდების მასშტაბურობა და შესაძლებლობები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, დღეს კორპორაციათა პორტფელიოები მოიცავენ ცლუქსის კლასის ბრენდებთან ერთად ეკონომკლასის ბრენდებს[7]; .

გლობალურ ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციები იყენებენ სხვადასხვა საქმიანი ურთიერთობის ფორმებს, რომელთაც უსადაგებენ მასპინძელი ქვეყნების შესაბამის საწარმოებს. ეს ფორმებია ძირითადად ფრანჩაიზი და საკონტრაქტო ხელშეკრულებები. ამასთან ერთად ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება ურთიერთობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ლიზინგი. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში, ლიზინგი ხორციელდება უკეთესი პირობების შეთავაზებით. ლიზინგის კონცეფციას ფართოდ იყენებს რიგი განვითარებადი ქვეყნები, ის სასტუმრო კორპორაციებისთვის რისკის შემსუბუქების შესაძლებლობას იძლევა. სასტუმრო ბიზნესში მოგების განაწილების ლიზინგურმა ხელშეკრულებებმა ბევრ შემთხვევაში სამენეჯმენტო კონტრაქტების სახე მიიღო.

2014 წლიდან დღემდე მხოლოდ 30% იმ სასტუმროთა რიცხი, რომლებმაც შეძენა ან შერწყმის შედეგად დამფუძნებლის დონეზე შეიცვალა მესაკუთრე. მაშასადამე უფრო მეტად ადგილი აქვს სასტუმროთა კონსოლიდირებას კოოპერირებისა და ფრანჩიზის კონტრაქტის საფუძველზე [2].

სასტუმრო ბიზნესში 70-იანი წლებიდან მოყოლებული სამენეჯმენტო კონტრაქტების პოპულარობის მიუხედავად ფრენჩაიზინგი ისევ რჩება ექსპანსიის პოპულარულ ფორმად მთელს მსოფლიოში. ამერიკული სასტუმრო ბიზნესის განვითარება ძირითადად ეყრდნობა სასტუმრო ქსელების სავაჭრო მარკის იმიჯის უპირატესოსბების განვითარებას, როგორც მარკეტინგულ ინსტრუმენტს. სასტუმრო ბიზნესის განვითარების ევროპული მოდელი ამერიკულისაგან განსხვავებით თავიდნვე იყო მეტად ფოკუსირებული მიზნობრივი სეგმენტის მაქსიმალურ დაპყრობაზე. სასტუმროს ბიზნესის განვითარების ევროპულ მოდელში აქტიურად ვითარდება, ე.წ. „მეორადი“ საცხოვრებელი სახლები. ბოლო წლების განვითარება ხასიათდება ისეთი თავისებურებებით, როგორიცაა: სასტუმროს საწარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, მდგრადი განვითარების პოლიტიკა, საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების და ენერგოეფექტურობის ფართოდ დანერგვა, კლიენტის ახალ მოთხოვნებზე ადაპტაცია, მრავალფუნქციურობა და მოქნილობა.

ამ ეტაპზე სასტუმროს მომსახურების ევროპული ბაზარი მუდმივ დინამიკაშია. დიდი რაოდენობით ეკონომკლასის სასტუმროების გაჩენის ტენდენცია პირდაპირ კავშირშია იაფი საჰაერო ტრანსპორტის განვითარებასთან. ევროპის რეგიონში დაბალ ბიუჯეტიანი სეგმენტის დომინირების საფუძველზე Ibis Budget (Accor) კორპორაცია აქტიურად ავითარებს თავის ქსელებს მთელს ევროპაში და დღეს უკვე საქართველოშიც გამოჩნდა[10]. (Low Cost) მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება დაბალ ბიუჯეტიან სასტუმროებში ძირითადად ხორციელდება ნომრის ფართობის და მომსახრეობების პაკეტების შემცირებით. ევროპულ ბაზარზე არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომები და გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება ყველა სასტუმროსათვის მოქმედების გზას. ისინი მოქმედებენ დემოგრაფიული, ტექნოლოგიური და ეკონომიკური

ცვლილებების გათვალისწინებით. ევროპული ბაზრის სასტუმრო კომპანიები, ახდენენ ადაპტაციის სტრატეგიის დემონსტრირებას.

სასტუმრო სექტორის ეკონომიკური ანალიზი მიუთითებს სასტუმროს ქსელებში ინვესტიციების ეფექტიანობაზე. ინვესტიციების ნაკადები საერთაშორისო სასტუმრო ბიზნესში მსოფლიოს რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: ჩრდილოეთ ამერიკაში შიდა ინვესტიციების წილი შეადგენს - 65%, გლობალური ინვესტიციების - 26%; ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სასტუმრო ბიზნესში შიდა ინვესტიციების წილი -75%; დიდი წილი შიდა ინვესტიციებზე ასევე მოდის აზიის რეგიონში და შეადგენს - 51%-ს, ხოლო გლობალური ინვესტიციების როლი აქ ნულს უტოლდება. როგორც ჩანს ახლო აღმოსავლეთისა და აზიის რეგიონები რეგიონები ჯერ კიდევ არაა ღია გლობალური ინვესტიციებისთვის [1];[12]. დღეისათვის სასტუმროს მსოფლიო ფონდის 1/4 პრაქტიკულად უჭირავს აშშ-ს. იგი არის ლიდერი მსოფლიოს ლიდერებს შორის. ბოლო წლების რეიტინგში ჩინეთი მეორე ადგილზეა და სასტუმროს მომსახურების მსოფლიო ბაზრის 8% უჭირავს [11].

**საქართველოში სასტუმრო ბაზრის განვითარების თავისებურებანი.** საქართველო მიეკუთვნება გარდამავალი ეკოომიკის იმ ქვეყნების რიგს, რომელიც ცდილობს სწრაფი ტემპით განავითაროს ტურიზმი. ტურიზმის მნიშვნელობა საქართველოს მსგავსი ღარიბი ქვეყნისათვის უდაოდ ძალზედ მნიშვნელოვანია. ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან ტურიზმზე დაახლოებით 68% მოდის. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები ბოლო რამდენიმე წელია მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. 2013 წელს მისი მოცულობა შეადგენდა 1,71 მლრდ. აშშ დოლარს, 2015 წელს - 1.93 მლრდ. აშშ დოლარს, 2016 წელს -2,16 მლრდ. აშშ დოლარს, 2017 წელს კი 2,75 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მშპ-ში წილმა 6,9%-ს მიაღწია. 2017 წელს ტურიზმის სექტორში დამატებითი ღირებულების ზრდამ საშუალოდ ყველა სექტორის მიხედვით 13% შეადგინა, აქედან განთავსების სექტორში ზრდამ 30,5% შეადგინა. ამდენად, ქვეყანაში ტურისტების ნაკადების ზრდას განთავსების სექტორი კარგად იყენებს.

2017 წელს, გაიხსნა 80-ზე მეტი ახალი განთავსების საშუალება 4,900-ზე მეტი საწოლი ადგილით. საქართველოში დარეგისტრირებულ განთავსების საშუალებათა რაოდენობამ შეადგინა 1,955 ერთეული 65,943 საწოლი ადგილების რაოდენობით, [10].

ქვეყანაში სასტუმრო ბაზარზე ბრენდული სასტუმროების წილი შეადგენს 13% -ს, ეს არის 26 სასტუმრო 3,453 ოთახით, დანარჩენი სხვა ტიპის განთავსების საშუალებებზე მოდის -87% , რომელიც შეადგება 1,929 ერთეულ სხვადასხვა ტიპის განთავსების საშუალებისაგან 23,781 ოთახით. არსებული ბრენდულ სასტუმროდან 12 თბილისში ფუნქციონირებს და ქმნის 3,414 საწოლ ადგილს, 8 ბრენდული სასტუმროა ბათუმში 2,142 საწოლი ადგილით, დანარჩენი 6 სასტუმროდან ჯამში 1,228 საწოლი ადგილით, სამი ბაკურიანშია და ერთი სტეფანწმინდაში, ერთი ქუთაისში და ერთი ბორჯომში.

სასტუმროთა საქმიანობის წარმატება, როგორც უკვე ავღნიშნეთ განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა სასტუმროთა დატვირთვის კოეფიციენტი, რომელმაც 2017 წლისთვის საქართველოს სასტუმროებში საშუალოდ 62%-ს შეადგინა (ზრდა წინა წელთან შედარებით+9%)[14]. საერთაშორისო მაღალი კლასის ბრენდების საშუალო დღიური განაკვეთი 2016 წელს 177 აშშ დოლარს, ხოლო საშუალო კლასის საერთაშორისო ბრენდების სასტუმროთა მაჩვენებელი - 118 აშშ დოლარს, ადგილობრივი მაღალი და საშუალო კლასის და ადგილობრივი დაბალბიუჯეტიანი/ ეკონომ-კლასის სასტუმროების საშუალო მაჩვენებელმა შესაბამისად შეადგინა 90 და 51 აშშ დოლარი. 2016 წელს, თბილისში სასტუმროების საშუალო დღიურმა განაკვეთმა საშუალოდ შეადგინა 110 აშშ დოლარი და ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის დედაქალაქებში (პრაღა 92 აშშ დოლარი, ბუდაპეშტი 86 აშშ დოლარი და სხვა.) [11].

2015 წელს, საერთაშორისო მაღალი კლასის ბრენდების სასტუმროებში შემოსავალი ერთ ნომერზე (RevPAR) 121 აშშ დოლარს, საერთაშორისო საშუალო კლასის ბრენდებისა და ადგილობრივ მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროებში 77 და 59 აშშ დოლარს, ადგილობრივი დაბალბიუჯეტიანი/ეკონომ კლასისთვის სასტუმროებში კი - 25 აშშ დოლარს შეადგენდა. 2016 წლისათვის თბილისში სასტმროების შემოსავალი ერთ ნომერზე (RevPAR) საშუალოდ შეადგენდა 70 აშშ დოლარს, თუ შევადარებთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს, ამდენივე იყო პრაღაში (ჩხეთი) და გაცილებით დაბალი ბუდაპეშტში (უნგრეთი) ვარშავაში(პოლონეთ) და ა.შ. [11];[12].

სასტუმროს დატვირთულობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი თბილისში საერთაშორისო მაღალი კლასის ბრენდულ სასტუმროებზე მოდის და 68% -ს შეადგენს. საერთაშორისო საშუალო კლასის ბრენდები და ადგილობრივი მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროების დატვირთულობა - 65%-ს, ხოლო ადგილობრივი დაბალბიუჯეტიანი სასტუმროები 49%-იან ნიშნულზეა. 2016 წელს სხვადასხვა კატეგორიების სასტუმროების მიხედვით თბილისის სასტუმროების დატვირთულობამ 63% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება პრაღის(ჩეხეთი) და ბუდაპეშტის (უნგრეთ) მაჩვენებელს (77%). მაშინ როდესაც სასტუმროთა დატვირთულობა დაბალია, ხოლო შემოსავალი ერთ ნომერზე და საშუალო დღიური განაკვეთი მაღალი, ვიდრე ევროპის დედაქალაქებში. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თბილისში სასტუმროთა ფასები საშუალოდ უფრო მღალია დასავლეთ ევროპის დედაქალაქებთან შედარებით [12].

ბათუმში საერთაშორისო ბრენდების სასტუმროებში ყველაზე მაღალი დატვირთულობის კოეფიციენტის საშუალო წლიური ჯამური მაჩვენებელი 45% -ს შეადგენდა. აქედან ყველაზე მაღალი აგვისტოში -88% და ივლისში - 84%, ხოლო იანვარში -32% და დეკემბერში -41%. კვლევის შდეგები მიუთითებენ, რომ სასტუმროთა

დატვირთვა ბათუმში წლის სხვადასხვა დროს ძალიან მერყევია, კურორტის მკვეთრად გამოხატული სეზონურობიდან გამომდინარე. ზაფხულის პერიოდში მაღალია, რომელიც აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს და მკვეთრად დაბალი არასეზონურ პერიოდში. აღნიშნული მიუთითებს პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე [12].

საქართველოს დედაქალაქებსა და რეგიონების ცენტრებში საერთაშორისო ქსელების ბრენდული სასტუმროების შენებისა და გახსნის ნამდვილი ბუმია. უკვე რამდენიმე წელია ჩვენს ბაზარზე შემოვიდა და ზრდის სასტუმროთა რაოდენობას მსოფლიო ბრენდები, რომლებიც არა მხოლოდ მაღალმხარჯველიან ბაზარზე, არამედ დიფერენცირებული სტრატეგიით ოპერირებენ ასევე საშუალო და დაბალბიუჯეტიანი სასტუმროებით. 2017 წელს თბილისის სასტუმრო ბაზარზე გამოჩნდა ეკონომ კლასის ევროპული ბრენდი Ibis Accor -ის (საფრანგეთი) სასტუმროთა ჯგუფიდან [13].

საქართველოში მაღალი კლასის სასტუმროების შემოსვლამ ბევრი დადებითი ეფექტი მოიტანა ტურიზმისა და სასტუმრო მომსახურების განვითარების კუთხით, ამასთან, მაღალი კლასის სასტუმროების არსებობამ რომლებსაც აქვთ საკონფერენციო დარბაზები და ბიზნეს შეხვედრებისთვის შესაბამისი სივრცეები, გააჩინა რესურსი დასვენებით ტურიზმთან ერთად საქმიანი ტურიზმის (MICE) განვითარებისათვის. ეს არის ტურიზმის მიმართულება, რომლის ბაზარი ხასიათდება მაღალმხარჯველიანი მომხმარებლით და შესაბამისად წარმოადგენს ნებისმიერი ტურისტული ქვეყნისათვის მიმზიდველს. ჩვენი ქვეყნის დაინტერესებას კიდევ უფრო ზრდის საქმიანი ტურიზმის ისეთი მახასიათებლები როგორიცაა, სეზონების მიმართ ნაკლებ მგრძნობელობა და ქვეყნის პოპულარიზაციის შესაძლებლობა.

საყურადრებოა ის გარემოებაც, 2017 წლის მონაცემებით MICE ტურისტების 71%-ის აქტივობას შეადგენდა ქართული სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება, 29,6% -ის ღირსშესანიშნაობების მონახულება, 15,7%-ის -ბუნების, ლანდშაფტის მონახულება; 61.1% -ის შოფინგი და სხვა. მაშასადამე საქართველოში ჩამოსულ MICE ტურისტს შეუძლია მიიღოს მეტი სარგებელი ერთი მოგზაურობისგან (მაის ტურიზმი + დასვენება, რეკრეაცია, გართობა, და ა.შ). ამგვარი შესაძლებლობანი ზრდის საქართველოს კონკურენტუნარიანობას საქმიანი ტურიზმის ბაზარზე და ამავე დროს მომგებიანია დესტინაციისთვის, რამდენადაც იძლევა საშუალებას MICE ტურთან ერთად გაყიდოს, როგორც სეზონური ასევე არასეზონური ტურიზმის პროდუქტები [13].

მსოფლიოში ტურისტთა მოტივაციების ცვლილებამ, ახლის, ექსტრემალურის, ხელუხლებელი და ეგზოტიკური ადგილებისაკენ ტურისტების სწრაფვამ, გაზარდა ტურისტთა ნაკადები ახალი ტურისტული ქვეყნებისაკენ და მრავალი განვითარებადი ქვეყნისათვის შექმნა შესაძლებლობა ყოფილიყვნენ კონკურენტუნარიანები საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე [14]. აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდა ტურისტთა ნაკადები ჩვენი ქვეყნის მიმართულებითაც, განსაკუთრებით კი მთიანი რეგიონებისკენ. საქართველოს ეგზოტიკურ ადგილებში ტურიზმის განვითარებამ, როგორიცაა ფრინველებზე დაკვირვება, სათავგადასავლო ტურიზმი, ბუნების ლანდშაფტის მონახულება და ტკბობა და ა.შ., წარმოშვა მოთხოვნა განთავსების საშუალებებზე, რამაც საშუალება მისცა ადგილობრივი მოსახლეობის პირად საკუთარებაში არსებული საცხოვრებელი სახლების გაქირავებით გასჩენოდა შემოსავალი[15]. დღეს იმ რეგიონებშიც კი სადაც ტურიზმის განვითარების გარკვეულ საფეხურზე იმყოფება განთავსების საშუალებებს ძირითადად წარმოადგენს საოჯახო სასტუმროები და სასტუმრო სახლები. ქვეყნის მასშტაბით დასვენების, გართობისა და რეკრეაცის მიზნით ჩამოსული სტუმრების 43% ღამის გასათევად ირჩევს საოჯახო სასტუმროს, სასტუმრო სახლს ან ნაქირავებ ბინას [19].

სასტუმრო ბაზრის განვითარების ამგვარმა ტენდენციამ იქონია დადებითი სოციალური და ეკონომიური ეფექტი განსაკუთრებით რეგიონებში. ტურიზმი მოგვევლინა, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ეფექტურ შესაძლებლობად. რამდენადაც, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში მაღალია უმუშევრობის დონე და დემოგრაფიული პრობლემები. აღნიშნული მიმართულებით წარმატებული გამოცდილება უკვე არსებობს საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან რეგიონში - სვანეთში, სადაც ტურიზმის ამგვარი მიმართულებით განვითარებას ხელი შეუწყო სახელმწიფო პოლიტიკამ ინფრასტრუქტურული პროგრამების განხორციელებითა და რეგიონის პოპულარიზაციით. მამა-პაპისეული სახლების რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით ამ რეგიონში სწრაფად გაჩნდა განთავსების საშუალებები ძალიან გაზრდილი ტურისტების ნაკადებისათვის, შეიქმნა სამუშაო ადგილები და მოსახლეობას გაუჩნდა შემოსავალი. სვანეთში ტურისტების 80%-ს მასპინძლობს საოჯახო სასტუმროები.

საინტერესო ტენდენციები განვითარდა სასტუმრო ბინების ირგვლივ. საცხოვრებელი სახლების მშენებლობების ბუმია თბილისსა და საკურორტო ქალაქებსა და დაბებში. მოსახლეობა იძენს ბინებს, როგორც უძრავ ქონებას გაქირავების მიზნით და ამით იქმნიან დამატებით შემოსავალს, ისე, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი შეძენის მოტივი თავიდანვე კომერციულია.

რამდენადაც ტურიზმის მდგრადი განვითარება გულისხმობს მასში ჩართული ყველა მხარის - ტურისტის, სახელმწიფოს, ბიზნესის და ასევე ადგილობრივი თემის ინტერესების გათვალისწინებას, ეს უნდა მოხდეს ყველა ამ მხარის მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით საინტერე-

სოა ევროპის ქვეყნების მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების გამოცდილება, რომელიც განხორციელებული იქნა სახელმწიფო პროგრამებისა და შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.

დღეს, იმ ადგილებში, სადაც ტურიზმის განვითარებამ საკმაოდ კარგი სტარტი აიღო და არსებობს მაღალი მოთხოვნა ამ ტერიტორიების მიმართ სასტუმრო ბიზნესში, სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს დროულ რეაქციებს, განსაკუთრებით რეგულაციების თვალსაზრისით. საქართველოს კაონონმდებლობა სასტუმრო ბიზნესში საქმიანობისთვის საჭიროებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რამდენადაც უკვე ვხედავთ ტენდეციებს იმისა, რომ ბრენდულმა სასტუმროებმა დაიწყეს დაბალბიუჯეტიან სეგმენტზე შესვლა არა მარტო დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც. შესაბამისად ჩნდება საშიშროება ადგილობრივი თემის საკუთრებაში მყოფი საოჯახო სასტუმროები და სასტუმრო სახლები, რომლებიც მუშაობდნენ ამ სეგმენტებზე ვერ გაუწევენ კონკურენციას მსხვილ სასტუმრო ბიზნესს.

**დასკვნა**. მსოლიო პრაქტიკა გვიჩვენებს სასტუმრო მომსახურების ბაზარის დინამიურ ზრდას და მის პირდაპირ კავშირს ტურიზმის განვითარებასთან. მეორე მხრივ განთავსების საშუალებების განვითარების დონე, როგორც ტურიზმის ინფრასტრუქტურული რესურსი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში ტურისტთა ნაკადების მოცულობას, ბაზრის სეგმენტს, შესაბამისად ტურიზმის განვითარების მიმართულებებსაც.

ტურისტთა მოგზაურობაში მოტივაციების ახალმა ტენდენციებმა განვითარებად ქვეყნებს მისცა შესაძლებლობა იყვნენ კონკურენტუნარიანები საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე. მსოფლიოში გაჩნდა ახალი ტურისტული მიართულებები და შესაბამისად შეიცვალა სასტუმრო ბაზრის გეოგრაფია.

საქართველოში სასტუმრო ბიზნესის წარმატებაზე მეტყველებს სასტუმროს ინდიკატორების (OCC, ADR, REVPAR) მაღალი მაჩვენებლები. სასტუმროების დეველოპერები თბილისს მომგებიან ადგილმდებარეობად აღიარებენ, რასაც ადასტურებს სასტუმროთა ინტენსიური მშენებლობბები.

საქართველოს სასტუმრო ბაზარზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საოჯახო სასტუმროები და სასტუმრო სახლები, განსაკუთრებით რეგიონებში. ამ მიმართულებით ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი შესრულება შეუძლია რეგიონების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, რისი კარგი პრაქტიკა უკვე არსებობს საქართველოს ცალკეულ რეგიონებში.

დღეისათვის ბრენდული სასტუმროები, რომლებიც აქტიურად შედიან ბიუჯეტურ ბაზარზეც და იკავებენ ბაზარის იმ სეგმენტს, რომლებიც უჭირავს ადგილობრივ მცირე ბიზნესს, ახლო მომავალში ხელშემშლელი აღმოჩნდება მდგრადი განვითარების კუთხით, შესაბამისად ადგილობრივი ბიზნესი სახელმწიფოსგან საჭიროებს დახმარებას განვითარების სპეციალური სახელმწიფო პროგრამების განხორციელებით. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია მუდამ ცვალებად გარემოში ახლებურად დაინახოს განვითარების შესაძლებლობები და მის ხელთ არსებული ზემოქმედების ინსტრუმენტებით, ამ შმთხვევაში საკანონმდებლო რეგულაციის გამოყენებით მოახდინოს სწორი და დროული ზემოქმედება.

## ლიტერატურა:


1. Hotel Ivestmen Outlook 2017.,Hotels &Hospitality Group/Lanuary 2017., http://www.jll.com/Documents/Hospitality/JLL-HIO-2017.pdf /Last retrieved 02.05.2018;
2. Worde Hospitality Report 2017 https://hospitality-on.com/en/2017-worldwide-hospitality-report / Last retrieved 02.07.2018;
3. WTTC.,https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/documents-2018/global-economic-impact-and-issues-2018-eng.pdf
4. JTB/https://www.jtbusabusinesstravel.com/see-2018-global-travel-forecast-businesses/Last retrieved 02.07.2018;
5. Hotrec hospitality Europe, ANNUAL REPORT 2016-2017 / https://www.hotrec.eu/annual-report-2016-2017/ Last retrieved 02.07.2018;
6. Word tourism Organization (UNWTO) http://www2.unwto.org/ Last retrieved 02.07.2018;
7. Worldwide Hospitality Ranking: which changes in the leading 12 hotel groups? https://hospitality-on.com/en/developpement-hotelier/worldwide-hospitality-ranking-which-changes-leading-12-hotel-groups Last retrieved 02.07.2018;
8. STR., https://hospitality-on.com/en/statistiques-tendances/antwerp-vs-bruges-business-leisure-match)
9. Hotel Investment Outlook, 2016 http://viewer.zmags.com/publication/906abbfc#/906abbfc/1 Last retrieved 02.05.2018;
10. Georgian National Tourism Administration http://gnta.ge/statistics/ Last retrieved 09.03.2018;
11. Hotel Market in Georgia 2017; http://www.colliers.com/-/media/files/emea/georgia/research/2017-research-georgia/hotel-market-georgia-2017.pdf?la=ka-GE/ Last retrieved 09.03.2018;
12. Hotel Market in Georgia 2015 http://www.colliers.com/-/media/files/emea/georgia/research/hotel-market-report-2015-eng.pdf?la=ka-ge Last retrieved 09.03.2018;
13. Katsitadze, N., Natsvlishvili, I., 2017. Development Opportunities of MICE Tourism in Developing Countries: Case of Georgia. International Journal of Business and Management Studies, 06(01), pp. 163-170;
14. Katsitadze, N., and Nacvlishvili, I., The Role of State Regulation and Policy in Tourism Development (Case of Georgia), 23 rd EBES CONFERENCE –MDRID PROCEEDINGS., September 27-29.2017;

15. Katsitadze, N., BIrdwortcing –one more chance for sustainable tourism development in Georgia., The 2nd International Scientific Conference., Tbilisi - 2017, https://iliauni.edu.ge/uploads/other/42/42772.pdf Last retrieved 09.03.2018;
16. Georgian National Tourism Administration https://gnta.ge/wp-content/uploads/2018/06/prezentacia-2017.pdf., Last retrieved 09.03.2018;

## Hotel Market Development Trends against the Background of New Directions of Tourism

**Nana Katsitadze**

*Ivane Javakhishvilieconomiks Tbilisi State University*

*Associate Professor Faculty of Business and Economiks*

S u m m a r y

The paper studies the hotel industry development trends around the world and its relation to tourism development, substantiates the impact of accommodation facilities, as tourism infrastructure, on the development of tourist flows and target markets. In addition, the paper studies the peculiarities of development of accommodation sector in Georgia – the country, which is within the areas of new directions of tourism. The issue is pressing due to the lack of experience and knowledge at all levels in the countries like Georgia.

In this regard, the possible negative consequences expected as a result of harassment of local small and medium business by international chain hotels are outlined. In the author's opinion, solving this problem requires sharing of European experience and consistent use of regulations, as a field management tool, in accordance with the principles of sustainable development

***Keywords:*** *hotel industry, hotel business, international chain hotels, sustainable development.*

# ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა და პროგნოზირება საქართველოს კომერციულ ბანკებში

**ნათია კახნიაშვილი**

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,*

*თსუ*

*ლიკვიდობის გონივრული მართვა ბანკის ეფექტიანი გაძღოლის უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროცესში დაშვებული შეცდომები უაღრესად სახიფათოა ბანკისათვის, რადგან მნიშვნელოვან ისეთ დანაკარგებს იწვევს, როგორიცაა: ძვირადღირებული მოკლევადიანი რესურსების ხშირი მოზიდვა, ასევე მაღალლიკვიდური არაშემოსავლიანი ან მცირეშემოსავლიანი აქტივების ზედმეტად ჭარბი მარაგების რენტაბელობის შემცირება და სხვა. ასევე, დაბალი ლიკვიდობის გამო შეიძლება ბანკი იძულებული გახდეს მუშაობა დროებით შეაჩეროს (მაგ., საანგარიშსწორებო და ნაღდი ფულით ოპერაციები).*

*საკვანძო სიტყვები: ლიკვიდობა; რეფინანსირება; სავალუტო ინტერვენციები; სავალდებულო რეზერვები.*

ლიკვიდობის მართვის ძირითადი მიზანია ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის რეგულირება, რითაც ეროვნული ბანკი აღწევს თავის ძირითად მიზანს - ფასების სტაბილურობას. კერძოდ, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან განაკვეთებს და საბოლოო ანგარიშით გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და ფასებზე. ბანკთაშორის მოკლევადიან ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის მისაღწევად საჭიროა ლიკვიდობაზე მოთხოვნის პროგნოზირება. ამის შემდეგ, ეროვნული ბანკი რეფინანსირების ოპერაციების მეშვეობით მიაწვდის ბაზარს ლიკვიდობას იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის, ჩამოყალიბებას. იმ შემთხვევაში, თუ ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთი აღემატება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ეროვნული ბანკი გაზრდის რეფინანსირების სესხებით ლიკვიდობის მიწოდებას ბაზარზე, სანამ საპროცენტო განაკვეთი არ მიუახლოვდება პოლიტიკის განაკვეთს და პირიქით, თუ საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია პოლიტიკის განაკვეთზე, ეროვნული ბანკი შეამცირებს რეფინანსირების სესხებით ლიკვიდობის მიწოდებას.

რეფინანსირების ოპერაციები მოქმედებს აუქციონების მეშვეობით, რომლებიც იმართება კვირაში ერთხელ. კომერციულ ბანკებს რეფინანსირების სესხის აღება შეუძლიათ თავიანთი სასესხო პორტფელის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული გარანტიის უზრუნველყოფით და/ან სადეპოზიტო სერთიფიკატების ან სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გირაოს საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ რეფინანსირების სესხის გირაოდ გამოიყენება მხოლოდ ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხები. აუქციონის მოცულობა ცხადდება ერთი დღით ადრე, ლიკვიდობის პროგნოზის საფუძველზე [Kovzanadze I., Kontridze G., 2014] სებ–ი იყენებს TIBR1 და TIBR7 ინდიკატორებს, როგორც ფულადი ბაზრის განაკვეთების წარმომადგენლობით სტატისტიკას. TIBR1 წარმოადგენს საშუალოშეწონილ საპროცენტო განაკვეთს ერთდღიან, არაუზრუნველყოფილ ბანკთაშორის სესხებზე, ხოლო TIBR7 – ერთ კვირამდე ვადიანობის ბანკთაშორის სესხებზე (ერთდღიანი სესხების გამოკლებით). ეს ორი ინდიკატორი ნათლად ასახავს ადგილობრივ ფულად ბაზარზე არსებულ სიტუაციას, რადგანაც ბანკთაშორის ბაზარზე სესხების ვადიანობა ძირითადად სწორედ 1–დან 7 დღემდე მერყეობს. სებ–ი ყოველდღიურად აქვეყნებს TIBR განაკვეთებს საკუთარ ვებგვერდზე დაახლოებით 13 საათისთვის.

სებ-ის მიერ ლიკვიდობის პროგნოზირების მიზანია საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის შეფასება, რათა განისაზღვროს ბანკთაშორის მოკლევადიან ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის მისაღწევად საჭირო ინტერვენციის მოცულობა. ლიკვიდობის პოზიციაზე ზემოქმედება მიზნად ისახავს ლიკვიდობის დროებითი დისბალანსის აღმოფხვრას საბანკო სისტემისთვის ლიკვიდობის მიწოდების ან ჭარბი ლიკვიდობის შემცირების საშუალებით. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად ეროვნული ბანკი იყენებს ერთკვირიანი რეფინანსირების ოპერაციებს. გადაწყვეტილებები რეფინანსირების მოცულობების შესახებ მიიღება ლიკვიდობის პროგნოზის საფუძველზე. ლიკვიდობის პროგნოზის გაკეთება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ დელეგირებულია ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფისთვის, რომელიც შედგება მაკროეკონომიკური კვლევების, მონეტარული პოლიტიკისა და მონეტარული ოპერაციების განყოფილებების სპეციალისტებისაგან. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი ადგენს ზოგად საზღვრებს ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფისათვის .

ლიკვიდობის პროგნოზირებისას განიხილება სებ-ის ბალანსის ძირითადი კომპონენტები, რომელთა ცვლილება ზეგავლენას მოახდენს საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე. ამისათვის, ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფი აკეთებს შეფასებებს როგორც ბანკების მხრიდან ლიკვიდობის მოთხოვნაზე, ასევე ლიკვიდობის მიწოდების ავტონომიურ წყაროებზე. მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წარმოქმნილი

დისბალანსის გამოვლენის შემდეგ სებ-ი მიმართავს, საჭიროებისამებრ, ჭარბი ლიკვიდობის ამოღების ან ლიკვიდობის მიწოდების ღონისძიებებს.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ლიკვიდობის მიწოდებისა და მოთხოვნის ელემენტები,

წმინდა უცხოური აქტივების ცვლილება სებ–ის მიერ **სავალუტო ინტერვენციებითა** და ვალუტის ყიდვა–გაყიდვის ტრანზაქციებით განისაზღვრება და შესაბამისად, გარკვეულწილად პროგნოზირებადია. სავალუტო აუქციონზე უცხოური ვალუტის ყიდვა გამოიწვევს უცხოური აქტივების მოცულობის გაზრდას, რაც გაზრდის ლიკვიდობას. უცხოური ვალუტის გაყიდვის შემთხვევაში კი შემცირდება ლიკვიდობა [Ghudushauri L., 2012]. ლიკვიდობის ავტონომიურ მიწოდებაში ცვლილების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა მთავრობის წმინდა პოზიცია ეროვნულ ბანკთან. მასზე გავლენას ახდენს სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯები. პროგნოზირებისას გამოიყენება მონაცემები ხაზინიდან, კერძოდ, სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების 1-კვირიანი პროგნოზები. მათ საფუძველზე გაიანგარიშება საშუალოდღიური შემოსავლები და დანახარჯები საპროგნოზო პერიოდისათვის. მხედველობაში მიიღება შემოსავლებისა და ხარჯების სეზონურობა გარკვეული თარიღებისათვის (მაგ. პენსიების გაცემა, გადასახადების გადახდის დღეები). მაგალითად, პენსიების გაცემა, რომელიც ხორციელდება თვის 10-11 რიცხვში, საგრძნობლად ზრდის ხაზინის ხარჯებს მოცემული თარიღისათვის. ეს გამოიწვევს ავტონომიური წყაროებით მიწოდებული ლიკვიდობის მკვეთრ გაზრდას. გარდა ამისა, ზეგავლენა მოხდება აგრეთვე მიმოქცევაში არსებული ფულის ოდენობაზე და გაიზრდება შემდგომი რამდენიმე დღის განმავლობაში. ეს კი საპირისპირო ეფექტს მოახდენს ლიკვიდობის მაჩვენებელზე.

ლიკვიდობის ავტონომიური მიწოდების განსაზღვრის კომპონენტია ნაღდი ფული მიმოქცევაში. ნაღდ ფულზე მოთხოვნის ზრდა იწვევს ლიკვიდობის შემცირებას და პირიქით. მოკლევადიან პერიოდში ნაღდი ფულის მოთხოვნაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სეზონური ფაქტორები: ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების გაცემა, აგრეთვე კვირის ბოლოები და დასვენების დღეები. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება ხდება მოკლევადიანი ლიკვიდობის პროგნოზირების პროცესში. ნაღდ ფულზე მოთხოვნის პროგნოზირებისთვის აგრეთვე გამოიყენება დროითი მწკრივის მოდელი (ARIMA), თუმცა, პროგნოზირების ხარისხზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე. ვალუტის ჩანაცვლების ეფექტი ნაღდ ფულზე მოთხოვნის პროგნოზს გარკვეულწილად პრობლემატურს ხდის. **სავალდებულო რეზერვებზე** მოთხოვნა საქართველოს შემთხვევაში პროგნოზირებას არ საჭიროებს. სებ–ისთვის ზუსტად არის ცნობილი სავალდებულო რეზერვებზე მოთხოვნის მოცულობა, რადგანაც სავალდებულო რეზერვების გამოანგარიშების პერიოდის ბოლოსა და რეზერვების დაცვის ახალი პერიოდის დასაწყისს შორის 2-კვირიანი შუალედია. ჭარბი რეზერვების მოთხოვნა ზომიერად მაღალი სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების პირობებში ნულის ტოლადაა მიჩნეული.

ამ მხრივ საინტერესოა რა ხდება საქართველოს საბანკო სისტემაში. ქართულმა ბანკებმა მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსები (მათ შორის ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები; მოზიდული სახსრები, მათ შორის უცხოური ბანკებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული სესხები და ა.შ.) დააბანდეს სხვადასხვა ბიზნესში, მათ შორის, ნაკლებად მომგებიან ან მაღალრისკიან ბიზნესებშიც, შეიძინეს ნაკლებად ლიკვიდური ან სულაც არალიკვიდური აქტივები, რის გამოც შეექმნათ ლიკვიდობის პრობლემა. ზუსტად ასევე „ეფექტიანად" გამოიყენა საბანკო სექტორმა 2008 წელს მიღებული დახმარებაც მიზეზი, რატომაც გადარჩა მაშინ ქართული საბანკო სისტემა, არის საქართველოსა და რუსეთს შორის ომი ცხინვალის რეგიონში. სწორედ, რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ მიიღო საერთაშორისო თანამეგობრობამ გადაწყვეტილება ფინანსურად დახმარებოდნენ საქართველოს. მათ 4 მლრდ აშშ დოლარი გამოყვეს ამ მიზნით, საიდანაც საქართველოს მაშინდელი მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით, 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი წარიმართა ქართული საბანკო სექტორის კოლაფსის თავიდან აცილების მიზნით. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ცხინვალის რეგიონის დაკარგვით, ყველაზე მეტი „სარგებელი" ქართულმა საბანკო სექტორმა მიიღო. - იმის ნაცვლად რომ გამოეყენებინათ ეს შანსი, ჩაეტარებინათ რესტრუტურიზაცია და საბანკო სისტემა უფრო მდგრადი გაეხადათ. მოკლედ, კომერციულ ბანკებს ქაღალდზე, ბუღალტრულად „გააჩნიათ" აქტივები, მაგრამ რეალურად ეს აქტივები არის ნაკლებად ლიკვიდური ან სულაც არალიკვიდურია, რომელთა გაყიდვას დიდი დრო დასჭირდება, ან, შეიძლება სულაც ვერ გაიყიდოს, ან, გაიყიდოს დიდად ნაკლებ ფასად, ვიდრე ეს ბუღალტრულად არის გატარებული. აქედან გამომდინარე, ქართულ ბანკებს გაუჩნდათ ლიკვიდობის პრობლემა, ანუ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ნაღდი ფული, რომ დაფარონ თავიანთი მიმდინარე ვალდებულებები, მათ შორის-მოემსახურონ უცხოელი კრედიტორების დავალიანებას. სწორედ ამიტომ კომერციული ბანკები მიაწყდნენ ეროვნულ ბანკს და ითხოვენ მისგან „რეფინანსირების სესხებს". ეროვნული ბანკი მათ ეხმარება, მაგრამ ეს დახმარება ნიშნავს მიმოქცევაში ფულის დამატებითი მასის გაშვებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ლარის გაცვლით კურსზე. მოკლედ, ყველაფერს რომ თავისი სახელი დავარქვათ, პრაქტიკულად საქართველოს მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა საბანკო სისტემაში დაშვებული შეცდომები. თუმცა, პრობლემა ისიცაა, რომ ამ საფასურის გადახდით, საბანკო სისტემა კი არ ჯანსაღდება, არამედ, ხდება პრობლემების მხოლოდ და მხოლოდ დროებით მოგვარება და ადრე თუ გვიან, ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავე ფორმით დადგება.

## ლიტერატურა:


1. კოვზანაძე ი, კონტრიძე გ, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. შპს „სეზანი“ 2014, 548 გვ;
2. ღუდუშაური ლ, საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „ინტელექტი“, 2012, 152 გვ;
3. https://nbg.gov.ge;
4. reportiori.ge/old/news_print.php?id=74812&lang=1


## Hotel Market Development Trends against the background of New Directions of Tourism


***Natia Kakhniashvili***

*Doctor of business administration*

*Tbilisi state university*



S u m m a r y

Liquidity management is one of the most important tasks in the bank management process. Errors in the liquidity management process are highly dangerous for the bank, as they cause significant losses such as frequent attracting expensive short-term resources, as well as reducing the cost of excessive surplus reserves of highly liquid or non-revenue assets. Also, due to the lack of liquidity, the Bank may temporarily suspend work (eg settlement and cash transactions).



***Key words:*** *liquidity; refinancing; currency interventions; mandatory reserve.*

# ინოვაციური პოლიტიკა საქართველოში

**მურმან კვარაცხელია**

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*პაატა გუგუშვილის სახელობის*
*ეკონომიკის ინსიტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი*

*მსოფლიოში გლობალური გარდაქმნები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინოვაციური პროცესების განვითარებაზე. საქართველოში მოქმედი ინოვაციური პოლიტიკა პირდაპირ დაკავშირებულია საერთაშორისო ტენდენციებთან. ინოვაცია უშუალოდ ეხება ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის შექმნას, მის მარკეტინგულ უზრუნველყოფას, ინვესტიციების მოზიდვას, ღირებული ინტელექტუალური საკუთრების შექმნასა და სხვა.*

*ინოვაციის დონე მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მისი დონის გაზომვა ინოვაციის ინდექსით ხდება, რომელსაც გააჩნია მრავალი კომპონენტი. ამ მხრივ, მსოფლიოში პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: შვეიცარია, შვედეთი, არაბთა გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და ფინეთი. საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, 64-ე ადგილზეა 128 სახელმწიფოთა შორის. ეს დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ამ მხრივ ბევრი გამოწვევების წინაშე დგას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება გრძელვადიან პერიოდში ინოვაციურ განვითარებაში, ადამიან-კაპიტალში, კვლევაში, ცოდნასა და ტექნოლოგიებში.*

*საქართველო, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი, ქმნის ახალ სტრატეგიებს, რომლებიც ეყრდნობა ახალ ინოვაციურ სისტემას. სწორედ ეს განაპირობებს გლობალიზაციის პროცესში არსებით სტრუქტურულ გარდაქმნებს ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის.*

*ქვეყანაში უკვე ჩანს გამოკვეთილი კონტურები მომავლის ინოვაციების კუთხით, რაც ყველაზე დიდ გავლენას ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე მოახდენს. ამასთან, მსოფლიოში სწრაფი ტემპით ვითარდება ახალი ინოვაციური სისტემები, როგორიცაა ბიოტექნოლოგიური დარგები, ავტოინდუსტრია, კომუნიკაციების მარტივი მოდელები, ენერგიის მიღების ალტერნატიული წყაროები, მედიცინის თანამედროვე დარგები, ნანოტექნოლოგიები და ა.შ.*

*ინოვაციების ასეთი რევოლუციური ნახტომი კონკურენტული უპირატესობის თეორიის პროგრესითაც არის ნაკარნახევი. ეს კი მსოფლიო ბაზარზე ინოვაციების დანერგვითაა განპირობებული. საქართველოსთვის მსოფლიო ბაზარზე მაღალი კონკურენტუნარიანობის მოპოვების პერსპექტივა ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებითაა შესაძლებელი, რომელიც უახლოეს პერსპექტივაში ქვეყნის პროგრესის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად იქცევა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ახალი ტექნოლოგიები; ინოვაცია; ინოვაციური მენეჯმენტი; ინოვაციის ინდექსი; ბიზნესგარემო; მომავლის ინოვაციები ნანოტექნოლოგიები.*

საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, ეკონომიკის დაჩქარებული ზრდის ტემპი სჭირდება. ეს შეუძლებელია მცირე რესურსების პირობებში. თუმცა უამრავმა ჩატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ გაცილებით მეტი პრობლემა წარმოშვა. საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო ისტორიული გამოცდილებისა და ინსტიტუციური რეფორმების გათვალისწინება წინაპირობაა ეკონომიკის წინსვლისა და პროგრესისათვის, მაგრამ მასთან ერთად აუცილებელია ინოვაციური პროცესების გაძლიერებაც. ეს კი მოითხოვს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების შედგენასა და ინოვაციური მიღწევების დანერგვის ხანგრძლივმოქმედი სტრატეგიის შემუშავებას. ყოველივე ეს ხელშემწყობი ფაქტორი გახდება წარმატებული ეკონომიკური რეფორმების გატარებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ინოვაცია, ზოგადად, ფართო და მრავალმხრივი დატვირთვის მქონე კატეგორიაა, რომელიც დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან, როგორიცაა: ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის შექმნა, მისი სრულყოფილი მარკეტინგული უზრუნველყოფა, ინვესტიციების მოზიდვა, ღირებული ინტელექტუალური საკუთრების შექმნა, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა. ამასთან, ინოვაციური პროდუქტის შექმნას ყოველთვის უსწრებს ახალი იდეების გენერირება, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესის მასტიმულირებელი საშუალებაცაა. გარდა ამისა, ინოვაცია თავის თავში გულისხმობს ახალი შესაძლებლობების გამოვლენას ახალი ბაზრების საშუალებით გარკვეული სარგებლის მისაღებად, ანუ ეს არის პროცესი, რომელიც ახალ იდეებს გარდაქმნის ახალ ბიზნესმოდელებად და, საბოლოოდ, ახალ პროდუქტებად და ბრენდებად.

მნიშვნელოვანია ინოვაციის ზოგად მახასიათებლებიც. აქ საინტერესოა ერთი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინოვაცია მხოლოდ ტექნოლოგიებს არ უკავშირდება. ის არის აზროვნების ფორმა, რომელიც ბიზნესის

ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ არსებული ტენდენციების ტრანსფორმაციისათვის. ტექნოლოგია თავისთავად ინოვაციის სამიზნეა, ამდენად მაღალტექნოლოგიური კომპანიებისათვის უმთავრესი მიზანია ინოვაციურობის მაქსიმალურად გათვალისწინება განვითარების ამათუ იმ ეტაპზე. თუმცა ინოვაციების მასტიმულირებელი როლიც მნიშვნელოვანია, რადგანაც „თუ შენ არ ვითარდები, არ აკეთებ რაღაც განსხვავებულსა თუ უკეთესს, მაშინ კონკურენცია გაგაქრობს“[7]. აქედან, ცხადია, ინოვაცია ნიშნავს უწყვეტ გაუმჯობესებას, მაგრამ ამასთან, „რაღაცის კონკურენტებისაგან განსხვავებულად კეთებას“[7] ანუ ტექნოლოგიურ გარღვევას, პრობლემების განსხვავებულ ხედვას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ასევე ახალ-ახალი მოთხოვნების სწრაფად და მარტივად დაკმაყოფილება. თუმცა სიჩქარით უნდა დაინერგოს სიახლე ისე, რომ მისი შეთვისება შეძლოს მომხმარებელმა.

ნებისმიერ ინოვაციას უნდა გააჩნდეს ისეთი ტექნოლგიური სიახლე, რომელიც გაზრდის შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. მასშტაბებით კი - შეიძლება ჰქონდეს როგორც გლობალური, ასევე ლოკალური მნიშვნელობა ამა თუ იმ ქვეყნისათვის.

ინოვაციის სფეროში განვითრებული ქვეყნების, და განსაკუთრებით, ისეთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება როგორიც იაპონიაა, ჩვენი აზრით, განვითარებადი ქვეყნებისათვის შეიძლება ზოგად ორიენტირადაც გამოდგეს. ამ კუთხით საინეტერესოა, თუ რა მდგომარეობაა გლობალური ინოვაციის ინდექსის მხრივ საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყანაში.

ცნობილია, რომ ცალკეულ ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო წლების განმავლობაში გლობალური ინოვაციის ინდექსით GII იზომება. ის შვიდი კომპონენტისაგან შედგება[14]. ესენია: პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნესგარემო, ადამიან-კაპიტალი, სამეცნიერო კვლევები, ინფრასტრუქტურის არსებობა, ცოდნა და ტექნოლოგიები და ა.შ.

გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნები განსხვავებული რეიტინგით ხასიათდება. ინდექსის სიის სათავეში შვეიცარია დგას. შემდეგ მოდის შვედეთი, არაბთა გაერთიანებული სამეფო, აშშ, ფინეთი და ა.შ. რაც შეეხება საქართველოს, 2016 წლის მონაცემებით, ქვეყანა გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში 64-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით საქართველოს რეიტინგი 9 პოზიციით გაუმჯობესდა (2015 წელს 73-ე ადგილიდან)[4].

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი ინოვაციების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სუვერენული რეიტინგები. ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდესით 189 ქვეყანას შორის 24-ე პოზიციაზე იმყოფება. ამან ხელი შეუწყო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 23-ე ადგილზე ყოფნას 178 ქვეყნებს შორის (ევროპაში კი მე-12 ადგილზეა). ბიზნესის დაწყების პოზიციაზე კი მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. 2013 და 2015 წლების შედარებისას ირკვევა, რომ საქონლის საერთო ბრუნვა გაიზარდა 10,6%-დან 11,4%-მდე. პროდუქციის გამოშვება - 11,8%-დან 14,3%-მდე. დასაქმებულთა რაოდენობა კი - 28,7%-დან 31,5%-მდე. ხოლო ინვესტირების მოცულობა - 2,9%-დან 10,5%-მდე [4].

ასეთი დადებითი ტენდენციები გამოწვეულია ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნითა და კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლებით. ეს ქმნის წინაპირობას ეკონომიკის ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისათვის წინაპირობების შესაქმნელად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ექსპერტების გათვლით, 2020 წლისათვის ინოვაციების დანერგვის შედეგად ქვეყანაში გამოშვებული პროდუქციის საშუალოწლიური ზრდა 10%-ს ფარგლებში იქნება. ამ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა 15%-ით გაიზრდება, ხოლო მწარმოებლურობა - 7%-ით [18].

ჩამოთვლილი კომპონენტებიდან საქართველოს ძლიერი მხარეებიც გააჩნია. ესენია: ბიზნესგარემო (რეიტინგით მეექვსე ადგილზეა) და ბაზრის განვითარების დონე (მეშვიდე ადგილი). სუსტი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს განათლების დონე (რეიტინგით 115-ე ადგილი, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ქვეყნისთვის, მიუხედავად საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლისა, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები კრიტიკულად დაბალია). სამეცნიერო კვლევების განვითარება (მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჩამოსცილდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტებში ჯერჯერობით სამეცნიერო სფერო დაბალრეიტინგულია, ხოლო რეიტინგით 103-ე ადგილზეა). ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ინვესტიციები, ამ მხრივ, რეიტინგით ქვეყანა 86-ე ადგილზეა. ასევე კრიტიკულია დასაქმებულთა ცოდნის დონე, რითაც 91-ე ადგილზე იმყოფება[4].

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ წლების მიხედვით გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებს ზრდადი დინამიკის ტენდენცია ახასიათებს, თუმცა, მისი შედეგი მაინც დაბალია. ქვეყანას სტაბილურად მაღალი შედეგი აქვს ინსტიტუტების კომპონენტში, ხოლო ყველაზე დიდი მერყეობით ბაზრის განვითარების კომპონენტი გამოირჩევა.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების შედეგად მცირე და საშუალო მეწარმეობაც გაიზრდება. ეს კი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე აამაღლებს SMS-ს კონკურენტუნარიანობას, რაც სამეწარმეო უნარების ამაღლებისა და მისი თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვის წინაპირობას ქმნის. ყოველივე ეს SME-ს მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიური დონის გაუმჯობესების ხელშემწყობი ფაქტორი ხდება. ასეთი მიდგომა მოითხოვს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი სტრატეგიული

მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების სრულყოფა და სამეწარმეო კულტურის ამაღლება; ექსპორტის სტიმულირება და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია, ინოვაციების კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე, საქართველოს რეიტინგი, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ეს ეხება გრძელვადიან პერიოდში ინოვაციურ განვითარებას, ადამიან-კაპიტალსა და კვლევას, ცოდნასა და ტექნოლოგიებს.

გლობალიზაციის პროცესი მსოფლიო ინოვაციურ პოლიტიკას პროგრესულად შეცვლის. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა განვითარებული ქვეყნების მეცნიერული კვლევის მიღწევები. განვითარებად ქვეყნებს კი შეუძლიათ ამ გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკაში აპრობირებული მოდელების მორგება საკუთარ ეროვნულ ეკონომიკებზე. ამ მხრივ, საყოველთაო აღიარებით მისაბაძია იაპონიის გამოცდილება. ეს ეხება საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ გამოწვევას - განათლების სისტემას. ჩვენმა ქვეყანამ სწორედ საკუთარი ინტელექტუალური კაპიტალის დახმარებით უნდა მოახდინოს ეროვნული ეკონომიკის განვითარება და მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა.

მსოფლიო ინოვაციური პოლიტიკიდან და განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოში ინოვაციური სტრატეგიები ძრითადად სამი მიმართულებით უნდა განვითარდეს. ესენია „გადმოტანის'' სტრატეგია, ,,დასესხების'' სტრატეგია და ,,გაძლიერების“ სტრატეგია.

## დასკვნა

საქართველოს, როგორც მცირე რესურსების მქონე ქვეყანას, სჭირდება ინოვაციური ეკონომიკის განვითარება. ამისათვის საკუთარი გზების ძიება ეროვნული ინტელექტუალური კაპიტალის სტიმულირებასა და ხელშეწყობაზე გადის.

ინოვაციური მიღწევების დანერგვა და მისი გამოყენება საკუთარი ტრადიციული დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობებს ქმნის, რაც სტიმულის მიმცემია ინვესტიციური კაპიტალის მოზიდვისათვის. მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა კი მომავლის ინოვაციების ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გახდეს.

საქართველოში ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა სამი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. ესაა „გადმოტანის“, „დასესხების“ და „გაძლიერების“ სტრატეგია.

ყოველივე ეს უნდა აისახოს სახელმწიფოს მიზნობრივ პროგრამებში, რაც რეალურად ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დაკავებას.

## ლიტერატურა:


1. აბესაძე რ., ბურდული ვ. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თბილისი, 2014. (რუსულ ენაზე).
2. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბილისი,2018.
3. ჩიქავა ლ. ცოდნა როგორც სპეციფიკური საქონელი და მისი გადამწყვეტი როლი ინოვაციურ ეკონომიკაში. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები 4. თბილისი, 2004.გვ.5-25.
4. WWW.Geostati.ge.
5. http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo
6. http://b2p.ge/10-inovazia-romlebic-samyaros-amoatrialeben-2020-wlistvis/
7. 7.https://businesshub.ge/ge/innovation/increase-rd/types-of-innovation
8. 8.https://www.trendbook.ge/en/component/content/article/49-extra/12978-inovaciagvesmisthuaramisimnishvneloba
9. http://ite-r.blogspot.com/2014/01/blog-post.html
10. http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo
11. https://www.businessaward.ge/ka/nomination/wlis-inovaciuri-biznesi
12. forbes.ge/news/
13. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t.
14. forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo.
15. https://www.overclockers.ge/index.php?/
16. https://www.youtube.com/watch?v=GqeJrJ0Kv4k.
17. cheminanospace.blogspot.com/2017/10/blog-post_23.htm.
18. http://www.economists.ge/ka/activities/publications/ #141-mtsire-da-sashualo-biznesi-saqartveloshi

# Innovative Politicy in Georgia

***Murman Kvaratskhelia***

*Doctor of Economics,*
*Professor of Sokhumi State University,*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Senior Research Worker*
*at Paata Gugushvili Institute of Economics*

S u m m a r y

Global transformation in the world depends on the development of innovative processes. The innovative policies in Georgia are directly related to international tendencies. Innovation is directly related to the creation of new or improved products, marketing, attracting investments, creating valuable intellectual property and more. The level of innovation is a very important indicator. Its level of measurement is done by innovation index, which has many components. Hence the top five looks like this: Switzerland, Sweden, the United Kingdom, United States and Finland. Georgia, as a developing country, is ranked 64th among 128 states. It should be consider as a positive moment. be noted that Georgia faces many challenges. First of all, this is demonstrated in innovative development in the long term, human-capital, researches, knowledge and technologies. Georgia as part of the world economy creates new strategies that are based on a new innovative system. This provides to substantial structural changes in the globalization process for the development of the innovative economy. Existing contours in the country are already seen in future innovations, which will have the greatest influence on the quality of intellectual capital. New innovative systems, such as biotechnology, auto industry, simple models of communication, alternative sources of energy, modern medicine, nanotechnology, etc. are developing at the fastest rate in the world.

***Key words:*** *new technologies; Innovation; Innovative management; Innovation index; business environment; Innovations of the future Nanotechnologies.*

# აქტივების გაუფასურების შეფასების საკითხები

**ნადეჟდა კვატაშიძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ანჟელი ხორავა**

*უფროსი მასწავლებელი*

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ზეინაბ გოგრიჭიანი**

*უფროსი მასწავლებელი*

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მათგან მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებლის დღევანდელ ღირებულებას. აქტივების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის მიზნებიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) საბჭოს მიერ შემუშავებულია აქტივების გაუფასურების კონცეფცია. ამ კონცეფციის მთავარი მიზანია აქტივების გაუფასურების იდენტიფიცირება და შეფასება, როგორიცაა: აქტივებიდან მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებლის ცნება და შეფასების მეთოდოლოგია; აქტივების გაუფასურების იდენტიფიცირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.*

*საკვანძო სიტყვები: ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული; გამოყენების ღირებულება; გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება; ანაზღაურებადი ღირებულება; გაუფასურების ზარალი.*

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად, ანგარიშგებაში ასახული აქტივების ღირებულება უნდა ასახავდეს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებას მოელის საწარმო მომავალში ამ აქტივებიდან. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი (შესაძლებლობების პოტენციალი), ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში სხვადასხვა გზით შემოდის. კერძოდ, გამოყენება ცალკე ან სხვა აქტივებთან ერთად, საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესში; გაცვლით სხვა აქტივზე; გამოყენებით ვალდებულების დასაფარავად; განაწილებით საწარმოს მესაკუთრეთა შორის [1, მ.4.8-4.10]. შესაძლებელია გარკვეულ ვითარებაში აქტივებიდან ეკონომიკური სარგებლის მიიღება  უფრო გამართლებული იყოს არა მათი გამოყენებით, არამედ გასვლით. ამდენად, საწარმო აფასებს თუ რა გზით არის შესაძლებელი აქტივებიდან მაქსიმალური სარგებელის მიიღება - ექსპლუატაციით თუ გასვლით.

აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს ასახავს მისი გამოყენების ღირებულება, რომელიც არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. აქტივის გასვლით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს ასახავს აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს [2,მ.9]. ამ ორ მაჩვენებელთა შორის უდიდესი სიდიდე არის ანაზღაურებადი ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება ასახავს მაქსიმალურ სარგებელს, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივიდან.

აქტივების ღირებულება მუდმივად იცვლება მაკროეკონომიკური ფაქტორების შედეგად და ამდენად, ფინანსური ანგარიშგებაში აქტივების ღირებულების შესახებ რეალური ინფორმაციის წარსადგენად, აქტივები მოწმდება გაუფასურებაზე. შემოწმების მიზანია იმის დადგენა, შემცირდა  თუ არა აქტივების ფიზიკური და ეკონომიკური პოტენციალი, აქვს თუ არა ადგილი გაუფასურებას და შედეგად, აქტივები არ უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხით.

ამ მიზნით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად თუ მისი საბალანსო ღირებულება აღმოჩნდება ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი. წინდახედულების პრინციპის თანახმად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივის

საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს მიერ მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს. ასეთის დადასტურების შემთხვევაში აღიარდება გაუფასურების ზარალი - თანხა, რომლითაც აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას (ნ.კვატაშიძე, 2017) [3, გვ. 257].

აქტივის გაუფასურების დასადგენად განისაზღვრება ანაზღაურებადი ღირებულება, რომლის შეფასება მოითხოვს ორი მაჩვენებლის: აქტივის (ან იგივე ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული) გამოყენების ღირებულებისა და გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრას. თუმცა, ბასს 36-ით - „აქტივების გაუფასურება", ყოველთვის არ არის აუცილებელი განისაზღვროს ორივე სიდიდე. ამდენად, სტანდარტი იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

- თუ აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება, ან მისი გამოყენების ღირებულება მეტია მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივი არ არის გაუფასურებული და არ არსებობს მეორე სიდიდის შეფასების აუცილებლობა [4, მ.19];
- იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, აქტივის გამოყენების ღირებულება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებად [4, მ. 21];
- გასვლას დაქვემდებარებული აქტივებისათვის ანაზღაურებად ღირებულებად ჩაითვლება გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება.
- აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შესაფასებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი:
- აქტივის გაყიდვის ბოლო გარიგების ფასი, იმ პირობით, რომ პერიოდში გარიგების თარიღიდან შეფასების თარიღამდე, არ მომხდარა არსებითი ეკონომიკური ცვლილებები;
- მოცემული აქტივის აქტიური ბაზრის არსებობის შემთხვევაში - საბაზრო ფასი. [5, p.3].

გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების შეფასებისას, ბასს 36-ის - „აქტივების გაუფასურება" თანახმად, გამოირიცხება აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები, გარდა იმ დანახარჯებისა, რომლებიც უკვე აღიარდა ვალდებულებად [4,მ.28]. ამგვარ დანახარჯებს მიეკუთვნება: იურიდიული დანახარჯები, მოსაკრებლები იურიდიული დოკუმენტების გაფორმებაზე და გარიგებასთან დაკავშირებით გადასახდელი სხვა ანალოგიური გადასახადები, აქტივის დემონტაჟის დანახარჯები და პირდაპირი დანახარჯები, რომლებიც საჭიროა აქტივის გასაყიდად მოსამზადებლად (მაისურაძე, 2017) [6,304].

ვალდებულებად აღიარებული დანახარჯები არ მიეკუთვნება გასვლის დანახარჯებს. ხოლო მითითებული დემონტაჟის დანახარჯების ქვეშ ნაგულისხმევია ის დანახარჯები, რომელიც არ იქნა აღიარებული ვალდებულებად. ამავდროულად, შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული დახმარებები და აქტივის გასვლის შემდეგ საწარმოს წარმადობის შემცირებასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები არ წარმოადგენს აქტივის გასვლასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს.

ბასს 36-ის თანახმად ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები არ მოიცავს ფულადი სახსრების გადინებას, რომელიც უკავშირდება ვალდებულებებად აღიარებულ დავალიანებებს (მაგალითად, კრედიტორული დავალიანება ან ანარიცხები). სხვაგვარად, ის რაც უკვე იქნა აღიარებული ვალდებულებად და აქტივის კომპონენტად, აღარ გაითვალისწინება მომავალში გასაწევი ფულადი სახსრების გადინების განსაზღვრისას [4, მ.43 ბ].

ამავდროულად, სტანდარტის თანახმად ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება არ მოიცავს აღიარებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, მოცემული ვალდებულების გათვალისწინების გარეშე [4, მ.76 ბ]. ამის მიზეზია ის, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებისა და გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება იმ აქტივებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა, რომლებიც არ წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილს და ის ვალდებულებები, რომლებიც აღიარდა ფინანსურ ანგარიშგებაში [7, p.60].

სტანდარტი არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს „შეუძლებელია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, მოცემული ვალდებულების გათვალისწინების გარეშე". სტანდარტში განხილული საილუსტრაციო მაგალითებით, ვვარაუდობთ, რომ „შეუძლებელია მოცემული ვალდებულების გარეშე" ნიშნავს იმას, რომ საწარმომ უნდა გასწიოს აქტივის გასვლის დანახარჯები. საწარმოსათვის ასეთი დანახარჯებისაგან თავის არიდება არის შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, როდესაც მყიდველი თავის თავზე იღებს ამ ხარჯებს [8, p.7].

ზოგიერთ შემთხვევაში, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, შესაძლოა აუცილებელი იყოს ზოგიერთი აღიარებული ვალდებულების გათვალისწინება. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლა მოითხოვს მყიდველის მიერ ვალდებულების აღებას. ამ შემთხვევაში ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება (ან მისი გასვლის შედეგად სავარაუდოდ

მისაღები ფულადი სახსრები) წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების სავარაუდო სარეალიზაციო ფასს აღებულ ვალდებულებასთან ერთად, რომელიც შემცირებულია მის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულებისა და საბალანსო ღირებულების სათანადო შედარების მიზნით, ვალდებულების საბალანსო ღირებულება უნდა გამოირიცხოს როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების, ასევე მისი საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას (ჭილაძე, 2016) [9, 650].

აქტივის გამოყენების ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ელემენტებით:

- აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება;
- მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შესაძლო ცვლილების სავარაუდო შედეგი;
- ფულის დროითი ღირებულება, პროცენტის ურისკო მიმდინარე საბაზრო განაკვეთზე დაყრდნობით;
- აქტივთან დაკავშირებული თანდაყოლილი განუსაზღვრელობის არსებობის თანხობრივი გამოხატულება (ღირებულება, ფასი);
- სხვა ფაქტორები, მაგალითად - ლიკვიდობა, რომლებსაც ბაზრის მონაწილენი გაითვა-ლისწინებდნენ აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას.

ფულადი ნაკადების დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ და დასაბუთებულ დაშვებებს, ბოლო პერიოდის ფინანსურ ბიუჯეტებს, პროგნოზებს და მოიცავდეს არაუმეტეს 5 წლიან პერიოდს.

## დასკვნა

- ფინანსური ანგარიშგებაში აქტივი იმაზე მეტად არ უნდა შეფასდეს, ვიდრე მას გააჩნია ეკონომიკური სარგებლის მოტანის უნარი - ხელი შეუწყოს საწარმოში ფულადი სახრების და მათი ეკვივალენტების შემოსვლას;
- აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებელი განისაზღვრება ანაზღაურებადი ღირებულებით, რომელიც არის უდიდესი თანხა აქტივის გამოყენების ღირებულებასა და გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის;
- ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მოიცავს აღიარებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია მისი ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა მოცემული ვალდებულების გარეშე;
- თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად, მისი საბალანსო ღურებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და შემცირების თანხა აღიარდება ზარალად.

## ლიტერატურა


1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. IFRS Foundation. 2018. 32 გვ. https://saras.gov.-ge/ka/Ifrs/Pdf/80.
2. ბასს 13 რეალური ღირებულების შეფასება. IFRS Foundation. 2018. 40 გვ. https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/100
3. კვატაშიძე ნ. გოგრიჭიანი ზ. ხორავა ა. რეალური ღირებულების კონცეფცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის I საერთშორიოს სამეც. კონფერენციის. გვ. 560. თბილისი: თსუ. 2017. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf
4. https://www.researchgate.net/profile/Nadezhda_Kvatashidze/publications. http://eprints.tsu.ge/931/1
5. ბასს 36 აქტივების გაუფასურება. 2018. IFRS Foundation. 39 გვ. https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/123
6. IAS 36 Impairment of Assets. PKF.2017. p.8. https://www.pkf.com/media/1003317 2/ias-36-impairment-of-assets-summary.pdf.
7. მაისურაძე მ. აქტივების შეფასების ზოგიერთი საკითხი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. (გვ. 304). თბილისი: თსუ. 2017. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf/. https://www.researchgate.net/profile/
8. Impairment of Assets. CPA. Hong Kong. 2017. p.162. http://app1.hkicpa.org.hk/ebook/HKSA_Members_Handbook_-Master/volumeII/hkas36.pdf
9. Impairment accounting – the basics of IAS 36 Impairment of Asse. Ernst &Young. p.12. https://www.ey.com-/Publication/vwLUAssets/Impairment_accounting_the_basics_of_IAS_36_Impairment_of_Assets/$FILE/Impairment_accounting_IAS_36.pdf
10. ჭილაძე ი. საწარმოს გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების შეფასების სადისკუსიო საკითხები. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის I საერთშორიოს სამეც. კონფერენციის მასალები (გვ. 560). თბილისი. თსუ. 2016. http://eprints.tsu.ge/1002/1/

# Issues of Assessing the Impairment of Assets

**Nadezhda Kvatashidze**
*Academic Doctor of Economics Associate Professor of TSU*

**Anzheli Khorava**
*Senior TSU Teacher*

**Zeinab Gogrichiani**
*Senior TSU Teacher*

S u m m a r y

According to the conceptual framework of financial reporting the value of the assets in the financial statements should not exceed the present value of economic benefits expected in the future from the asset. The Council of International Accounting Standards Board (IASB) has developed the concept of impairment of asset based on the purpose of submitting relevant information on the assets in the financial statements. The main objective of this concept is to identify and evaluate the impairment of assets, such as the notion of economic benefits and valuation methodology; Identification of the assets impairment and reflection in the financial statements.

***Keywords:*** *Cash-generating unit; Value in use; Fair value less costs to disposal; Recoverable amount; Impairment.*

# ადამიანის როლი გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფორმირებაში

**გიგა კიკორია**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დოქტორანტი*

*ადამიანი გვევლინება ეკონომიკის ამოსავალ წერტილად. პირდაპირ თუ ირიბად, სწორედ მას უკავშირდება ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები. შესაბამისად, იგი გარკვეულ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ეკონომიკურ პროცესზე. მაგალითად, გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისებში, ადამიანისეული ფაქტორი ფიგურირებს გადაწყვეტილების მიმღები პირის სახით, მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის გამომწვევი მიზეზები, ზოგადად, უამრავ ეგზოგენურსა და ენდოგენურ ფაქტორზეა დამოკიდებული. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა სახის კრიზისები, რომელთა წარმოშობისა და განვითარების შესახებაც ეკონომისტებს უამრავი მოსაზრებები აქვთ. თუმცა ფაქტია, რომ დღემდე არ არსებობს კრიზისის დაძლევის ერთიანი ფორმულა. ამრიგად, პრობლემას უფრო ღრმა ფესვები გააჩნია და საკითხი კვლავ აქტუალურია. სწორედ ამიტომ, საჭიროა გავაცნობიეროთ კრიზისის გამომწვევი მიზეზები, განვიხილოთ ადამიანის როლი მის ფორმირებაში და შევიმუშაოთ რეკომენდაციები.*

*წინამდებარე ნაშრომში, სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვადასხვა ანალიტიკურ სტატიებზე დაყრდნობით, განხილულია ბოლოდროინდელი გლობალური ფინანსური კრიზისების ბუნება, მათი გამომწვევი მიზეზები, არსებული შედეგები და წარმოდგენილია ავტორისეული მოსაზრებები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ადამიანი; საბანკო კრიზისი; ეკონომიკური კრიზისი; ფინანსური კრიზისი; დიდი დეპრესი;, რეცესია.*

## ეკონომიკური კრიზისების მიმოხილვა

ეკონომიკურ კრიზისებს, როგორც წესი, მოჰყვება საფონდო ბირჟის ჩამოშლა, ინფლაციისა და უმუშევრობის მაღალი დონე, ბანკების გაკოტრება და ა.შ. მათ გრძელვადიანი ეფექტები გააჩნიათ, რაც სხვადასხვანაირად აისახება ეკონომიკაზე და ყოველთვის ერთნაირი შედეგი არ მოაქვს [5]. თანამედროვე ეკონომისტები კრიზისის აღწერისთვის ხშირად გამოიყენებენ ასო W-ს, რომლის ფორმაც აღნიშნავს ჯერ ვარდნას, შემდეგ აღმავლობას და ა.შ. [2]. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც კრიზისი პერიოდულად მეორდება ხოლმე. მოსალოდნელი კრიზისების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მიმოვიხილოთ და გავაანალიზოთ უკვე არსებული ისტორიული მაგალითები ქრონოლოგიურად, გამოვკვეთოთ მასში ადამიანისა და სახელმწიფოს როლი, ხოლო შემდგომ შევიმუშაოთ რეკომენდაციები [1].

**1929 წლის დიდი დეპრესია.**[1] დიდი დეპრესია იყო მსოფლიო მასშტაბის მქონე ეკონომიკური დეპრესია, რომელიც გაგრძელდა 10 წლის მანძილზე. მისი დაწყების მიზეზად ითვლება ე.წ. "შავი ხუთშაბათი", 1929 წლის 24 ოქტომბერი, როდესაც აშშ-ს საფონდო ბირჟაზე მოვაჭრეებმა გაყიდეს 12,9 მლნ აქცია ერთ დღეში, ანუ ჩვეულებრივზე 3-ჯერ მეტი. მომდევნო 4 დღის განმავლობაში აქციების ფასი დაეცა 23%-ით, რამაც გამოიწვია საფონდო ბირჟის კრახი, რაც აგვისტოში ეკონომიკის ჩამოშლით დაგვირგვინდა. დიდმა დეპრესიამ დააზარალა საზოგადოების ყველა ფენა. 1933 წლისთვის უმუშევრობა გაიზარდა 25%-მდე სამუშაო ძალაში. დასაქმებულების ხელფასები დაეცა 42%-ით. აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტი განახევრდა (103 მლრდ დოლარიდან 55 მლრდ დოლარამდე). ეს ნაწილობრივ დეფლაციის გამო მოხდა. ფასები ყოველწლიურად 10%-ით იკლებდა. პანიკაში ჩავარდნილმა სახწელმწიფო ლიდერებმა გაატარეს სმუტ-ჰოლის[2] [5] სატარიფო აქტი, რომელმაც 900 საიმპორტო ტარიფი საშუალოდ 40-დან 48%-მდე გაზარდა. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ამან გააუარესა დიდი დეპრესიის მდგომარეობა, ვინაიდან, ამერიკელებისათვის საკვები პროდუქტების ფასები გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნები იძულებულნი გახდნენ ემოქმედათ საკუთარი ტარიფებით. შედეგად კი გლობალური ვაჭრობა 65%-ით დაეცა. არსებულმა სიტუაციამ თავისი როლი ითამაშა II მსოფლიო ომის დაწყებაშიც. სმუტ-ჰოლის მაგალითმა აჩვენა, თუ რამდენად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს პროტექციონიზმი მსოფლიო ეკონომიკისათვის. მას შემდეგ მსოფლიო ლიდერები მხარს უჭერენ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს [7]. ამერიკელი მაკროეკონომისტი და აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის

---

1 სახელწოდება "დიდი დეპრესია" მიუთითებს ინდუსტრიული ქვეყნების ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ვარდნაზე წარმოებასა და პროდუქტიულობაში, რომლის ეფექტიც საგრძნობლად მტკივნეული აღმოჩნდა მთელი ინდუსტრიული მსოფლიოსთვის, განვითარებადი ქვეყნების ჩათვლით.

2 1930 წლის 17 ივნისს აშშ-ს პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა ხელი მოაწერა სმუტ-ჰოლის აქტს ტარიფის შესახებ, რომლის მიხედვითაც იმპორტზე გადასახადები ასტრონომიულად გაიზარდა.აქტის ძირითადი მიზანი იყო აშშ-ში წარმოებული საქონლისთვის შიდა ბაზრისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნება, თუმცა ამან კიდევ უფრო გააუარესა აშშ-ს ფისკალური პრობლემები.

მმართველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ბენ ბერნანკე, მიიჩნევს, რომ დეპრესიის შექმნას ცენტრალურმა ბანკმა შეუწყო ხელი მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებით[1].

ისმის კითხვა, შესაძლოა თუ არა, რომ კვლავ განმეორდეს დიდი დეპრესია. მართალია, იგი იმავე მასშტაბით ვერ განმეორდება, ვინაიდან ცენტრალურმა ბანკებმა, ფედის ჩათვლით, წარსულის შეცდომებზე უკვე ისწავლეს, როგორ გამოიყენონ მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკის სამართავად. თუმცა, ამან შესაძლოა ვერ დააბალანსოს ფისკალური პოლიტიკა. აშშ-ს სახელმწიფო ვალისა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოცულობა მონეტარული პოლიტიკისათვის რთულად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს, რაც კრიზისის ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. შესაბამისად, ვერ ვიტყვით წინასწარ, თუ რა შეიძლება მოხდეს, რადგან აშშ-ს სახელმწიფო ვალის მოცულობა უპრეცედენტოა. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

**1970 წლის სტაგფლაცია.**[2] 1971 წელს, აშშ-სპრეზიდენტმა ნიქსონმა ხელი შეუწყო ნავთობის ემბარგოს[3], როდესაც გადაწყვიტა, რომ შეერთებული შტატები ოქროს სტანდარტიდან[4] გამოსულიყო, რითაც დაარღვია ბრეტონ-ვუდსის[5] შეთანხმება. მისი გადაწყვეტილება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ამან დოლარის ღირებულება დაბლა დასწია, რამაც OPEC[6]-ის წევრი ქვეყნები დააზარალა. მათი კონტრაქტების ღირებულება შეფასებული იყო დოლარში, რაც იმას ნიშნავდა, რომ შემოსავალი დაეცა დოლარის ღირებულებასთან ერთად. ნავთობზე დადებულ ემბარგოს დიდი წვლილი მიუძღვის 1973-1975 წლების რეცესიის განვითარებაში. ფაქტობრივად, 1973 წლის ოპეკის ემბარგო ითვლება კრიზისის დასაწყისად. სახელმწიფოს რეაქციამ ეს გადააქცია შეუქცევად კრიზისად, რასაც მოჰყვა ინფლაცია, რეცესია და სტაგფლაცია. ეს ყოველივე მოიცავდა ნიქსონის მიერ ხელფასი-ფასების კონტროლისა და ფედის მონეტარული პოლიტიკის მერყევ გადაწყვეტილებებს. ფასებმა მაღლა აიწია მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ნიქსონმა დოლარი ოქროს სტანდარტისაგან გაათავისუფლა. ამან გამოიწვია ხელფასებისა და ფასების გაყინვა. ბიზნესი იძულებული გახდა დაეთხოვა ისეთი თანამშრომლები, რომლებიც ვერ ამცირებდნენ ხელფასებს, ან ვერ ზრდიდნენ ფასებს. ფედერალური სარეზერვო სისტემის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, პოლ ვოლკერმა, კრიზისის დასაძლევად კონტრაქციული[7] მონეტარული პოლიტიკა გაატარა, რაც გულისხმობდა საპროცენტო განაკვეთების ზრდას, ინფლაციის დასაძლევად. ეს იყო ერთგვარი საპასუხო რეაქცია ოპეკისა და ნიქსონის განცხადებებზე [11].

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის მოვლენები, რომლებმაც წარმოშვა სტაგფლაცია 1970-იან წლებში ისევ განმეორდეს. ამას სხვადასხვა მიზეზები აქვს. მაგალითად, ფედერალური სარეზერვო სისტემა უკვე აღარ ახორციელებს ე.წ. stop-go [8] მონეტარულ პოლიტიკას, ნაცვლად ამისა, იგი თანმიმდევრული მმართველობის ფორმას იყენებს. ასევე, დოლარის გათავისუფლება ოქროს სტანდარტისაგან იყო ერთჯერადი მოვლენა, რომელსაც მომავალში ადგილი არ ექნება. შესაბამისად, ეს ფაქტორიც გამოირიცხება სტაგფლაციის ხელშემწყობი მიზეზებიდან. და ბოლოს, ხელფასი-ფასის კონტროლები, რომელიც წარმოადგენდა მიწოდების შემაკავებელ ინსტრუმენტს, დღესდღეობით არც კი განიხილება დღის წესრიგში. თუმცა, ადამიანების მიერ მიღებული მოულოდნელი გადაწყვეტილებები გარკვეულ გავლენას ახდენს მოვლენების შემდგომ განვითარებაზე.

**1989 წლის კრიზისი**. დიდი დეპრესიის შემდეგ, დანაზოგებისა და სესხის კრიზისი იყო ყველაზე მძიმე საბანკო კოლაფსი, რომელიც უკავშირდება ლინკოლნის დანაზოგებისა და სესხის ასოციაციის[8] თავმჯდომარეს, ჩარლზ კიტინგს და "კიტინგის ხუთეულის" სახელით არის ცნობილი. სენატის ეთიკის

---

[2] სტაგფლაცია წარმოადგენს სტაგნაციური ეკონომიკური ზრდის, მაღალი უმუშევრობისა და ინფლაციის კომბინაციას.სტაგფლაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახელმწიფო, ან ცენტრალური ბანკი ზრდის ფულის მასას და პარალელურად ზღუდავს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას.

[3] ქვეყანაში განსაზღვრული სახის საქონლის შეტანა-გატანაზე სახელმწიფოს, ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებული აკრძალვა.

[4] ოქროს სტანდარტის დროს ქვეყანა ახდენს ფულის ღირებულების უზრუნველყოფას იმ რაოდენობის ოქროთი, რა რაოდენობასაც ფლობს.

[5] ბრეტონ-ვუდსის სისტემა – ფულადი ურთიერთობებისა და სავაჭრო ანგარიშგებების საერთაშორისო სისტემა, რომელიც ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე მიიღეს 1944 წელს. სახელწოდება მომდინარეობს კურორტ ბრეტონ-ვუდსიდან. ამ სისტემამ საფუძველი ჩაუყარა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (EBRD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF). დოლარი გახდა საერთაშორისო ფულის ერთ-ერთი სახეობა, ოქროსთან ერთად.

[6] ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია.

[7] კონტრაქციული მონეტარული პოლიტიკა გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებას ინფლაციასთან საბრძოლველად. ამ დროს საპროცენტო განაკვეთების გაზრდა ხდება, რათა სესხი უფრო გაძვირდეს.

[8] ფინანსური ინსტიტუტი კალიფორნიაში. დაფუძნდა 1925 წელს ლოს-ანჯელესში. 1984 წელს ჩარლზ კიტინგმა შეიძინა 51 მილიონ დოლარად და დაითხოვა არსებული მენეჯმენტი. ლინკოლნის აქტივები, მომდევნო 4 წლის განმავლობაში გაიზარდა 1.1 მილიარდი დოლარიდან 5.5 მილიარდ დოლარამდე.

კომიტეტმა თაღლითობაში გამოავლინა სენატორები, რომელთაც კიტინგმა ჯამურად 1,5 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო საარჩევნო კამპანიისთვის, სხვადასხვა შემოწირულობის სახით [9]. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს პოლიტიკური რენტის ძიების გზასთან, განსაკუთრებით კი ლობიზმთან [2]. კრიზისის ხელშემწყობ ძირითად ფაქტორად ითვლება დანაზოგებისა და საკრედიტო ასოციაციების დერეგულირება 80-იან წლებში, რომელმაც საშუალება მისცა მათ წარმომადგენლებს, რომ დეპოზიტორების ფულით ესარგებლათ და მაღალრისკიანი ინვესტიციები განეხორციელებინათ. შესაბამისად, ჩარლზ კიტინგმაც გამოიყენა ეს უპირატესობა. [10] მან თავის ხუთეულთან ერთად, რომელთაც 1986-87 წლებში 1,3 მლნ აშშ დოლარი გამოუყო სხვადასხვა დახმარების სახით, კაპიტალის მოცულობა გაზარდა, რისთვისაც გამოიყენა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული დეპოზიტები, რომლებიც დააბანდა სარისკო ინვესტიციების სახით უძრავ ქონებაში. ხუთივე სენატორი, საარჩევნო კამპანიის კონტრიბუციების სანაცვლოდ, დათანხმდა იმაზე, რომ საბანკო რეგულაციები გაუქმებულიყო და არ გამოეძიებინათ კრიმინალური საქმიანობები, რომლებიც ე.წ. უიმედო სესხებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, საზოგადოებას არავინ აფრთხილებდა მოსალოდნელი დანაკარგის თაობაზე, რადგან ბანკის ბიზნეს გარიგებები გასაიდუმლოებული იყო [9]. 1934 წელს შექმნილმა სახელმწიფო დანაზოგებისა და სესხების სადაზღვეო კორპორაციის ფონდმა, სტაგფლაციისა და მაღალი ინფლაციის, ასევე რეცესიის შედეგად, 1987 წელს თავი გადახდისუუნაროდ გამოაცხადა.

კრიზისმა ქვეყანას მიაყენა 160 მლრდ აშშ დოლარის ზარალი, საიდანაც 132 გადასახადის გადამხდელებმა, ხოლო დანარჩენი კი დანაზოგებისა და სესხების ინდუსტრიამ გაიღო. სახელმწიფო დანაზოგებისა და სესხების სადაზღვეო კორპორაციამ, გაკოტრებამდე 20 მილიარდი აშშ დოლარი გადაუხადა დეპოზიტორებს[9]. აღნიშნული კრიზისის განმეორებადობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, მსგავსი სიტუაციის შექმნაში დიდ როლს თამაშობს ადამიანების მიერ მიღებული არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილებები, რომელიც საბოლოო ჯამში კრიზისით მთავრდება.

## კრიზისის გავლენა საქართველოზე

**ცენტრ პოინტის კრიზისი.** ზემოთ ხსენებული "კიტინგის ხუთეულის" ერთგვარ პარალელს საქართველოში წარმოადგენს სამშენებლო კომპანია "ცენტრ პოინტისო საქმე, რომელთა დამფუძნებლებს შეიძლება, პირობითად, "რჩეულიშვილის სამეული" ვუწოდოთ. 2000 წლის დასაწყისში, საქართველოში, სხვადასხვა სამშენებლო კომპანიები, რომელთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, დაზიანებულ, ან პატარა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს სთავაზობდნენ ფული ჩაედოთ ახალი, ან თანამედროვე ბინების აშენებაში. ზოგიერთი სამშენებლო პროექტი მოიცავდა მასიური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას, რომელიც ითვალისწინებდა რამოდენიმე ათასი ადამიანის დასახლებას, ასევე მრავალი სავაჭრო ცენტრისა და გასართობი ობიექტის არსებობას [13].

იმ დროს მოქმედ სამშენებლო კომპანიებს შორის "ცენტრ პოინტი ჯგუფიო ლიდერობდა. ეფექტური სარეკლამო კამპანიის მეშვეობით, იგი მრავალ კლიენტს იზიდავდა და სთავაზობდა შეეძინათ ბინები ჯერ კიდევ აუშენებელ მრავალსართულიან საცხოვრებელ კომპლექსში. იმისთვის, რომ აღნიშნული ბინების ჩაბარებასთან დაკავშირებული პირადი პასუხისმგებლობა აერიდებინათ, ვახტანგ და მაია რჩეულიშვილმა, რუსუდან კერვალიშვილთან ერთად, ერთობლიობაში 70 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ამხანაგობა დააფუძნეს, რომლებიც ხელშეკრულებას დებდნენ კლიენტებთან და ვალდებულებას იღებდნენ მათთვის ბინების ჩაბარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა კომპანიებმა მართლაც დაიწყეს მშენებლობები, საბოლოოდ მათ ვერ შეძლეს სამშენებლო მასალების მზარდი ხარჯების დაფარვა. სიტუაციის გამოსასწორებლად, "ცენტრ პოინტ ჯგუფმაო უფრო ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანია დაიწყო, თუმცა სამშენებლო კომპანიები დროის მცირე პერიოდში ველარ ახერხებდნენ რამდენიმე პროექტის ერთდროულად განხორციელებას და მზარდი დეფიციტის შევსებას. შედეგად, 30 სამშენებლო პროექტი შეჩერდა და 6158 ოჯახი (დაახლოებით 30 000 ადამიანი) დაპირებული ბინების გარეშე დარჩა კომპანიამ კი 310 მილიონი აშშ დოლარი არამიზნობრივად გამოიყენა [13].

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ კრიზისის ბუნება, შევეხეთ მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისებს. ჩამოვაყალიბეთ მოსაზრებები, თუ რატომ ვერ აისახა კრიზისის გავლენა საქართველოზე. ხაზი გაესვა გლობალურ ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის ხარისხს, როგორც კრიზისის მგრძნობელობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს.

წარმოვაჩინეთ ადამიანის როლი კრიზისის ფორმირებაში, გამომდინარე იქიდან, რომ კრიზისი დამოკიდებულია, როგორც მიკრო და მაკროეკონომიკურ, ასევე ადამიანისეულ ფაქტორებზე.

ყურადღება გავამახვილეთ იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ჰომო ეკონომიკუსს ახასიათებს მოგების მიღების მიზნით, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებისათვის შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს.

სახელმწიფოს სათავეში მყოფი ადამიანები, ხშირად უხეშად ერევიან ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში. მათი ძალაუფლება არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილებების რისკის მატარებელია. ისინი სხვადასხვა სტიმულების შეთავაზებით ახდენენ საზოგადოების ნდობის მოპოვებას და საკუთარი სტატუსის გამოყენებით ცდილობენ სხვის ხარჯზე მიიღონ მაქსიმალური სარგებელი, შედეგად კი ზარალდება საზოგადოება.

კრიზისისგან თავის დასაცავად, ადამიანებმა უფრო რაციონალურად უნდა იმოქმედონ. გადაიხადონ დავალიანებები, გაზარდონ დანაზოგები, მოიძიონ ფინანსური ანალიტიკოსები და მრჩევლები, დაგეგმონ ხარჯები და შეამცირონ რისკები. ეს ყოველივე უფრო დაიცავს მათ, რომ საკუთარ თავზე არ იგრძნონ კრიზისის უარყოფითი გავლენა. თუმცა მოულოდნელი და არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილებებისგან არავინაა დაზღვეული. შესაბამისად, კრიზისები და მათი პროგნოზირება კვლავ გამოწვევად რჩება.

## ლიტერატურა:


1. ვასილ კაციაშვილი, მსოფლიოს ფინანსური კრიზისები: გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, 2018
2. ვლადიმერ პაპავა, არატრადიციული ეკონომიკსი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011
3. Stijn Claessens and M. Ayhan Kose, financial Crises: Explanations, Types, and Implications, International Monetary found, 2013
4. ლევან მურადაშვილი, არის თუ არა საქართველოში ეკონომიკური კრიზისი, ანალიტიკური მედია გამოცემა European.ge, თბილისი, 2012
5. Kimberly Amadeo, U.S. Economic Crisis History and Warning Signs,2018www.thebalance.comhttps://www.thebalance.com/u-s-economic-crisis-3305668
6. https://www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=109
7. Kimberly Amadeo, Smoot-Hawley Tariff Lessons today, 2017 www.thebalance.comhttps://www.thebalance.com/smoot-hawley-tariff-lessons-today-4136667
8. Kimberly Amadeo, President Ronald Reagan's Economic Policies, 2018. www.thebalance.com
9. Kimberly Amadeo, Savings and Loan Crisis Explained, 2018, www.thebalance.comhttps://www.thebalance.com/-savings-and-loans-crisis-causes-cost-3306035
10. The New York Times, The Lincoln Savings and Loan Investigation: Who Is Involved, 22/11/1989 https://-www.nytimes.com
11. Kimberly Amadeo, Stagflation and Its Causes, 2018, www.thebalance.comhttps://www.thebalance.com/what-is-stagflation-3305964
12. Kimberly Amadeo,How the 9/11 Attacks Affect the Economy Today, 2018, www.thebalance.com
13. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ცენტრ პოინტი ჯგუფი – ყველაზე დიდი სამშენებლო სკანდალი საქართველოში, თბილისი, 2012
14. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა “დიოგენე”, თბილისი, 2008.
15. https://www.federalreserve.gov/boarddocs/speeches/2004/200403022/default.htm


## The role of Human in Shaping of the Global Economic and Financial Crises


***Giga Kikoria***
*Doctoral student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

The human is the starting point for the economy. Directly or indirectly, he/she is related to the current events in the economy. Consequently, he/she has some influence on the economic process.For example, in the global financial and economic crisis, the human factor is reflected as the decision-making person, even though the causes of the crisis depend on a lot of exogenous and endogenous factors.Consequently, there are various types of crises that economists have a lot of ideas about. However, there is no single formula for the overcoming of the crisis. Thus, the problem has deep roots and the issue is still relevant. That is why it is necessary to re-discover the causes of the crisis, consider the role of a human in its shaping and to develop recommendations.

The paper deals with the nature of recent global financial crises, their causes, the outcomes and the author's opinions, based on scientific literature and various analytical articles.



***Key words:*** *Human; Banking Crisis; Economic Crisis; Financial Crisis; Global Financial Crisis; Great Depression.*

# საზოგადოებასთან ურთიერთობა თანამედროვე სიბრტყეში

**მარინე კობალავა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც მეცნიერება, პრიორიტეტული ღირებულების მატარებელია. საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს კომპანიის დაგეგმარების ძირეულ კომპონენტს და, იმავდროულად, უზრუნველყოფს კომპანიის მიზნების შეფასების პროცესს. მარკეტინგული კომუნიკაციის მასტიმულირებელი კომპლექსის საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი კომპანიის დადებითი იმიჯის შესაქმნელად გეგმავს პერცეფციებისა და სტრატეგიული ურთიერთობების მართვას მულტიკულტურულ სამყაროში.*

*საკვანძო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა; პიარი; ელექტრონული პიარი; მარკეტინგი; გლობალიზაცია.*

დღევანდელი ეკონომიკური სივრცე ხელს უწყობს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის შეღწევას საზოგადოების ფართო მასებში. რამდენიმე ათეული წელია მყარად დამკვიდრდა საზოგადოებასთან ურთიერთობის პოპულარიზაცია და გლობალური მარკეტინგი ბაზრის სისტემური კონსტრუირებით ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობას. სხვადასხვა მარკეტინგული მართვითი მექანიზმის შეთავაზებით საზოგადოებასთან ურთიერთობა, ერთი მხრივ, მიმართულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, დამარწმუნებელი ინფორმაციის, პროპაგანდის მექანიზმების, შემეცნებითი მანიპულაციის აქტივობაზე, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნესის ოპტიმიზაციაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა დიდი ხანია მთელ მსოფლიოში ბესტსელერად იქცა და თავად ტერმინი - „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ გამოყენებულია, როგორც ზოგადი ტერმინი. უახლესმა მრავალფუნქციურმა ინტერნეტსაშუალებებმა საზოგადოებასთან ურთიერთობის გლობალური განვითარება გახადა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობას (Public Relations) როგორც ტერმინს, აიგივებენ „პიართან“. ტერმინოლოგიური გამოყენების სიზუსტე მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ, მეცნიერული ხედვა, იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა გააზრებულია უფრო ფართო გაგებით, ვიდრე „პიარი“, ლოგიკურია და აქედან გამომდინარე „პიარი“ გამოყენებული იქნა აბრივიატურად. ტერმინოლოგიური კონოტაცია საზოგადოებასთან ურთიერთობისა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. საზოგადოებასთან ურთიერთობის ბრიტანული ინსტიტუტი (IPR) განმარტავს: „საზოგადოებასთან ურთიერთობა არის გავლენის მქონე ქცევა, რომელიც დასახულ ამოცანებს აღწევს ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ეფექტური მართვით“ [1,გვ. 6]. ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ანუ იგივე პიარი, ფაქტობრივად, განსხვავებულია ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის მასტიმულირებელი სხვა ძირითადი მექანიზმებისაგან. ხოლო მარკეტინგში მისი აღიარებული დეფინიცია შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „კომპანიის მიერ საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება სასურველი რეკლამითა და კარგი კორპორაციული იმიჯით, აგრეთვე არასასურველი ამბებისა და ჭორების თავიდან აცილება“ [2, გვ. 467]. საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგიული მმართველობითი ფუნქციაა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებასთან კომუნიკაციას, წინასწარ შერჩეული აუდიტორიის მიდგომების ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივი ინტერესების აღიარებას და, ამავდროულად, ის არის სოციალური მეცნიერება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საზოგადოებრივი ინტერესების პროგნოზირება. საზოგადოებასთან ურთიერთობა როგორც მეცნიერება, პრიორიტეტული ღირებულების მატარებელია. საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს კომპანიის დაგეგმარების ძირეულ კომპონენტს და, იმავდროულად, უზრუნველყოფს კომპანიის მიზნების შეფასების პროცესს. მარკეტინგული კომუნიკაციის მასტიმულირებელი კომპლექსის საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი კომპანიის დადებითი იმიჯის შესაქმნელად გეგმავს პერცეფციებისა და სტრატეგიული ურთიერთობების მართვას მულტიკულტურულ სამყაროში.

საზოგადოებასთან ურთიერთობება წინასწარ დაგეგმილი, ორგანიზებული და მმართველობითი ფუნქციის მატარებელია. მისი ფუნდამენტური ფუნქციაა მართვის ძირითადი მექანიზმების შემუშავება და, ამავდროულად, საჯარო და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შეფასება, რომელიც ორიენტირებულია კორპორაციების მოდერნიზაციისაკენ და პოზიტიური თანხმობის მისაღწევად სოციალურ დაჯგუფებებს შორის. საზოგადოებასთან ურთიერთობა გენერირდება ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებული ძირითადი კომპონენტისაგან. ამ კომპონენტთა ერთობლიობას RACE სისტემას უწოდებენ თითოეული შემადგენელი ინგლისური სიტყვის პირველი ასოების მიხედვით: კვლევა (Research - პრობლემის საკითხის ანალიზი, კვლევა და ფორმულირება), ქმედება (Action - სამოქმედო პროგრამისა და

ბიუჯეტის შედგენა); კომუნიკაცია (Communication - საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაცია); და შეფასება (Evaluation - შედეგების კონტროლი, დაზუსტება და სავარაუდო ცვლილებების შეტანა).

1990-იანი წლების ბოლოს სოციალურ ბრუნვაში შემოვიდა ცნება - „გლობალიზაცია". ეს სიტყვა ფაქტობრივად პარადიგმაა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, ეპოქალური ცვლილებების გაგებას. გლობალიზაციის ცნება - რთული პროცესების კომპლექსის მოკლე დასახელებაა, რომლის არსია ის, რომ ადეკვატური პროცესების კომპლექსი დროსა და სივრცეში „კუმშავს" მსოფლიოს და პირობითს და გამჭვირვალეს ხდის ყველა არსებულ ტერიტორიულ საზღვარს. გლობალიზაცია ისტორიული პროცესია, რომელიც მსოფლიოს გარდაქმნის ერთიან სისტემად, რომელსაც ერთიანი მახასიათებლები გააჩნია. გლობალიზაციის პირობებში მულტიკულტურიზმის ცნება მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფციისათვის. XXI საუკუნის დასაწყისში მულტიკულტურული ტენდენციები ეთნიკურ და კულტურულ კრიტერიუმებად იწყებს განვითარებას. “მარკეტინგული კომუნიკაციის მასტიმულირებელი კომპლექსის საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი, კომპანიის დადებითი იმიჯის შესაქმნელად გეგმავს პერცეფციებისა და სტრატეგიული ურთიერთობების მართვას მულტიკულტურულ სამყაროში” [3,გვ.267]. ვინაიდან, ჩვენ მულტიკულტურულ სამყაროში ვცხოვრობთ, რომელიც ჩვენგან მრავალგვარი მიზნობრივი და არამარტო მიზნობრივი აუდიტორიის შესახებ ცოდნასა და ინფორმაციის მოპოვებასა და შესწავლას მოითხოვს, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებასთან ურთიერთობის საზოგადოებრივი პრაქტიკის ტრანსფორმაცია ძირითადი ტენდენციების მიმოხილვისათვის. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში (ასე, მაგალითად, მაიკროსოფტი, დისნეი და სხვ.). ასეთ პირობებში, ინფორმაცია კომპანიის შესახებ ორიენტირებულია სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებზე და მზარდ გლობალიზებულ სივრცეში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობა, იგივე პიარი, წყვეტს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის იმიჯთან, ტურისტულ და საინვესტიციო ნაკადების ზრდასთან. ყველაფრის მიუხედავად, გლობალიზაციის პირობებში ყველაზე მნიშვნელოვანია 4 ძირითადი კონცეფცია, რის შესაბამისად გაითვლება ამა თუ იმ ინფორმაციის ზემოქმედება საზოგადოებაზე: პირველი, სელექტიური შერჩევისა და დამახსოვრების კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, რომ ინფორმაციის მიმღებს ახსოვს მხოლოდ ის შეტყობინებები, რაც შეესაბამება მათ ღირებულებებს და ფასეულობებს. აქ მოქმედებს შერჩევითი დამახსოვრების პრინციპი. მეორე, „დუმილის სპირალის" კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, რომ გავრცელებული ინფორმაციის საშუალებით საზოგადოება, როგორც წესი, ცდილობს გაბატონებული თვალსაზრისის დადგენას.

თუ აღმოჩნდა, რომ საზოგადოების აზრი არ არის მხარდაჭერილი უმრავლესობის მიერ, ადამიანები ღიად აღარ გამოხატავენ საკუთარ აზრს და უერთდებიან საერთო შეხედულებებს. ამდენად, დუმილის სპირალი ინდივიდუალურ დონეზე ვითარდება. მესამე, მედია - დამოკიდებულების თეორია ამტკიცებს, რომ საინფორმაციო სისტემები ჩართულია სტაბილურობის, ცვლილებების და კონფლიქტების ფორმირების პროცესში საზოგადოებისა და ინდივიდების დონეზე. დღეს საინფორმაციო ვიდეორელიზები, მაუწყებლობა, ვებკასტინგები და ყველა სხვა ფორმა, უმნიშვნელოვანესია სამიზნე აუდიტორიისათვის კორპორაციული ინტერესების შესათავაზებლად და შესაბამისი აზრის ჩამოსაყალიბებლად. საზოგადოების წევრები დამოკიდებულები არიან საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიაში გავრცელებულ შეფასებებზე, და ეს დამოკიდებულება იზრდება, თუ საზოგადოება ტრანსფორმაციის ან კონფლიქტის მდგომარეობაშია. მეოთხე კონცეფცია საზოგადოებასთან ურთიერთობასთან სარგებლობისა და მოთხოვნების და კმაყოფილების თეორიაა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი ინფორმაციიდან აუდიტორია აირჩევს მხოლოდ ისეთს, რაც აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. მოთხოვნები კი არის საინფორმაციო, თვით იდენტიფიცირების, ინტეგრაციის, სოციალური ურთიერთქმედებისა და ა.შ. ამრიგად, ისტორიულად ასეთი სისტემა წარმოიშობა გლობალიზაციის ფაქტორების ზეგავლენით და მნიშვნელოვანწილად საზოგადოებასთან ურთიერთობის ალიანსის ხელშემწყობ პირობად გვევლინება.

უახლესი ტენდენციების ეპოქაში საზოგადოებასთან ურთიერთობა, პიარი 2010 წლიდან ინტერნეტსივრცეში გამოცხადდა ცალკე სტრატეგიად და იგი საზოგადოებრივ საქმეთა ინტეგრირებულ კამპანიას ეწევა. სამთავრობო უწყებებმა, მსხვილმა კორპორაციებმა და, ასევე, საინფორმაციო საზოგადოებასთან ურთიერთობების ცენტრალურმა სააგენტოებმა დაიწყეს თანამშრომლების მოწვევა ისეთ უახლეს და, ამავდროულად, მოთხოვნად პოზიციაზე, როგორიცაა საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები ინტერნეტსივრცეში. საიტების შემქმნელებისა და სისტემური ადმინისტრატორის ქმედებების დუბლირების გარეშე (webmaster, ვებდიზაინერი) პიარ სპეციალისტი ინტერნეტში მიზნად ისახავს შეტყობინებების შექმნას, კოორდინირებას, შინაარსის გამოკვლევასა და კომუნიკაციის აქტუალური დონის კონტროლირებას.

ინტერნეტსივრცეს გააჩნია გლობალური შესაძლებლობა, რომელიც მისაწვდომს ხდის სხვადასხვა სახის ინფორმაციას საზოგადოების ფართო ფენებისათვის. ინტერნეტსივრცის მრავალფუნქციური მოცვის სტრატეგია სწრაფად ზრდის საზოგადოებასთან ურთიერთობის ინფორმირების შესაძლებლობას სხვადასხვა საშუალებით: რელიზებით, პრესრელიზებით, სიუჟეტური იდეებით, აუდიო, ვიდეო და ფოტომასალებით. საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ინტერნეტის გამოყენების უკვე ძალიან გავრცელებული ფორმებია: ელექტრონული ფოსტის, საინფორმაციო შეტყობინებების და ბუკლეტების დაგზავნა, ვებგვერდები, ბლოგები

(სიახლეებთან კავშირი), მობლოგები, ვლოგები, ერ-ეს-ესები (პროგრამული სიახლეები), პოდკასტინგი (პროდუქტის ავტორს „პოდკასტერი“ ეწოდება), ინტერნეტ-ბროშურები. ინტერნეტში ხელმისაწვდომი ინფორმაცია ნებისმიერი პატარა კომპანიისა ან ძლიერი სამთავრობო დაწესებულების შესახებ ბევრად აღემატება მათ საიტებზე განლაგებულ ინფორმაციას ან მათი თანამშრომლების მიერ ელექტრონულ ფოსტაში განლაგებულ ინფორმაციას. ამ ეტაპზე, სააგენტოების დიდ და მუდმივად ზრდად რაოდენობას (მათ შორის ახალი ამბების სააგენტოებს და, აგრეთვე, ინტერნეტში მომუშავე ფიზიკურ პირებს) შეუძლიათ წარადგინონ უამრავი ინფორმაცია ნებისმიერი ორგანიზაციის შესახებ ისე, რომ კომპანიას არც კი ეცოდინება ამის შესახებ. კომპანიების უმრავლესობას ინტერნეტში განთავსებული აქვს ვებსაიტები მდიდარი ინფორმაციით, ტექსტებით, ფოტოსურათებით, ვიდეოკლიპებით და ა.შ ვებგვერდი შეიძლება მოიცავდეს ახალ ინფორმაციას, პრესრელიზებს, ინფორმაციას კომპანიის შესახებ, ახალი პროდუქციის შესახებ, ასევე გასართობებს და თამაშებს. ამ ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმით, მონაცემთა ბაზების გამოყენებით ან გადამისამართებით სხვა წყაროებზე. ინტერნეტის მომხმარებელთა აუდიტორია მრავალრიცხოვანია და გამოირჩევა განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით. მათ სურთ, იცოდნენ ყველაფერი ყველაზე. ინტერნეტში გამოყენებული პროგრამების მიმზიდველობა აიხსნება გამოყენების სიმარტივით და რაც მთვარია, უახლესი ინფორმაცია მოწოდებულია, როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ სახით. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იყენებს ინტერნეტ-ტექნოლოგიებს. პიარის სპეციალისტებს ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების უამრავი მზარდი შესაძლებლობა გააჩნიათ. ინტერნეტი პიარს უბიძგებს კორპორაციების მოდერნიზაციისაკენ და ამავდროულად, ცდილობს მიაღწიოს პოზიტიური თანხმობის შენარჩუნებას სოციალურ დაჯგუფებებს შორის. ინტერნეტი უზრუნველყოფს საზოგადოების უფრო ზუსტ და მყისიერ ინფორმირებულობას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

პიარი ინტერნეტში მოიცავს ყველაფერს, დაწყებული კორპორაციული სულისკვეთებით და დამთავრებული ნებისმიერი ჟურნალისტისადმი ელექტონული ფოსტით გაგზავნილი ფოტოსურათებით. პიარის წესები უცვლელი რჩება, როგორც სტრატეგიულ და ტაქტიკურ, ასევე პროცესუალურ დონეზე. თვითონ პროცესი მოიცავს ცოდნის საჭიროებას ინტერნეტის მიზნობრივი აუდიტორიის შესახებ, ასევე, შესაბამისი მოთხოვნების გარკვევას მომხმარებლის თითოეული სეგმენტის მიმართ და მომსახურების საშუალებების, არხებისა და ტექნოლოგიების (მაგალითად, e-mail) მუდმივ რეჟიმში კანონიერად გამოყენებას, რათა სოციალური რეაქტიულობა ხელმისაწვდომი გახდეს პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. არსებობს ინტერნეტ-პიარის მართვის და მოქმედების ოთხი სფერო. პირველი - ეს არის ინტერნეტ აუდიტორია, რომელიც აფასებს საინფორმაციო შეტყობინებების შინაარსს. მეორე - არსებობს საშუალებები, რომლითაც საინფორმაციო შეტყობინებები ხდება ხელმისაწვდომი, რასაც ეწოდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მესამე - ეს არიან ადამიანებია, ინტერნეტმომხმარებლები, რომლებიც გამოიყენებენ ინტერნეტს და მას ინტერნეტ-აუდიტორია ეწოდება. გარდა ამისა, არსებობს ასევე აუდიტორიასთან ურთიერთობის ბუნება, რომელიც ქმნის ემპათიას (თანაგრძნობას) ორგანიზაციებში.

## ლიტერატურა:


1. უილკოქსი, დ.ლ.; კამერონი გ.ტ. საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგია და ტაქტიკა, თბილისი, 2011, გამომცემლობა „დიოგენე“
2. კოტლერი ფ., არმსტრონგი გ., მარკეტინგის საფუძვლები, 2013, შპს „ჯიტრონიკი“
3. კობალავა, მ. საზოგადოებასთან ურთიერთობა და გლობალიზაცია - გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ) თბილისი, უნივერსალი 2017
4. კობალავა, მ. საზოგადოებასთან ურთიერთობა PUBLIC RELATION – მონოგრაფია. თბილისი, 2018
5. Consumer Market of Agricultural Products and Agricultural Policy in Georgia; International Scholarly and Scientific Researches & Innovation, Barcelona Spain Oct 30-31, 2017, 19 (10) Part XXI
6. კობალავა, მ . ანტიკრიზისული პიარი - გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ) თბილისი, უნივერსალი 2016
7. იავერბაუმი, ე., ბლაი,რ., ბენუნი, ი. პიარი მარტივად, თბ. პალიტრა, L 2018
8. ჩენქი, ფ.ბ., ჩიარავალე, ბ. ბრენდინგი მარივად, თბ. პალიტრა L, 2017
9. Rogers,D. Campaigns that shook the world; The Evolution of Public Relations, UK 2015
10. Crisis, Issues and Reputation Management: A Handbook for PR and Communications Professionals (PR In Practice) 2014
11. Waddington, S. Chartered Public Relations Lessons from Expert Practitioners, 2015 https://www.koganpage.com/product/chartered-public-relations-9780749473723
12. https://www.managementstudyguide.com/communication-and-public-relations.htm

# Public Relations in Modern Space

***Marine Kobalava***
*Associated professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi state university*

S u m m a r y

Public relations, as a science has priority values. After all public relations is a core component of planning of company and at the same time is ensures evaluation of the company goals. Public relations as stimulating complex of marketing communications plans to manage perceptions and strategic relations in multicultural environment in order to create positive image.

***Keywords***: *public relationship; PR; electronical PR; marketing; globalization.*

# არსებითობის შეფასების პრობლემური ასპექტები ფინანსური ანგარიშგების აუდიტში

**ლია კოზმანაშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის*
*ასისტენტ პროფესორი*

*სტატიაში განხილულია არსებითობის შეფასების პრობლემური ასპექტები ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. განხილულია არსებითობა, რომლის გაგება უმნიშვნელოვანესია ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიაში, ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და აუდიტში. მოყვანილია არსებითობის განსაზღვრის პრაქტიკული მაგალითები. შემოთავაზებულია არსებითობის განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც ხელს შეუწყობს გამოითქვას დასაბუთებული აუდიტორული მოსაზრება, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესრულებასა და აუდიტორული დასკვნისადმი ნდობის ამაღლებას.*

*საკვანძო სიტყვები: აუდიტი; არსებითობა აუდიტში; ფინანსური ანგარიშგების აუდიტი; საკონტროლო მაჩვენებელი.*

არსებითობის გაგება უმნიშვნელოვანესია ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიაში, ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და აუდიტში. არსებითობის კატეგორია თან ახლავს აუდიტორული შემოწმების მთელ პროცესს - აუდიტის დაგეგმვიდან დაწყებული და ფინანსური ანგარიშგების სანდოობის შესახებ აუდიტორული დასკვნის მომზადებით დამთავრებული. აუდიტის ზოგადი სტრატეგიის შემუშავების დროს არსებითობის შეფასება აუცილებელია იმისათვის, რომ განისაზღვროს აუდიტორული რისკის ძირითადი სიდიდეები, შეუმჩნევლობის რისკი, შემოწმების დრო და დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები. აუდიტის მსვლელობისას არსებითობის განსაზღვრა საშუალებას აძლევს აუდიტორს შეაფასოს მუშაობის შუალედური შედეგები, მოახდინოს აუდიტის პროგრამის კორექტირება. დაბოლოს, აუდიტორული დასკვნის მომზადების სტადიაზე - დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების სანდოობის შესახებ. იმაზე, თუ რამდენად გამართულად ახდენს აუდიტორი ან აუდიტორული ორგანიზაცია მოცემული კონცეფციის ინტერპრეტაციას, ბევრად არის დამოკიდებული როგორც თავად შემოწმების პროცესი, ისე მისი შედეგები და დასკვნები აუდიტის ანგარიშში (LEVAN SABAURI, 2018). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში აუდიტის ინსტიტუტის ჩამოყალიბების მიუხედავად, არსებითობის ცნების ახსნის პრობლემა ერთმნიშვნელოვნად დღემდე არ არის გადაწყვეტილი. აუდიტორები აუდიტორული შემოწმების ორგანიზების პროცესში ეყრდნობოდნენ განსაზღვრებას „არსებითობა აუდიტში", რომელიც განმარტავს, რომ ინფორმაცია ცალკეული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების, ხარჯებისა და სამეურნეო ოპერაციების, ასევე, კაპიტალის შემადგენლობის შესახებ ითვლება არსებითად, თუ მისმა გამოტოვებამ ან დამახინჯებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე (Levan Sabauri, Nino Mamardashvili, 2014).

ასეთი განსაზღვრება იძლეოდა უზუსტობის შემცველი ინფორმაციის არსებითობის ხარისხობრივ შეფასებას, მაგრამ არ იძლეოდა წარმოდგენას მისი რაოდენობრივი მხარის შესახებ. ტერმინი - „არსებითობა აუდიტში", არ შეიცავდა საერთო შეცდომის ზღვრული მნიშვნელობის რაოდენობრივი შეფასების მეთოდურ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობების არსებითობის შესახებ. მოცემული სტანდარტის შესაბამისად აუდიტორს საშუალება ეძლეოდა გაეკეთებინა საკუთარი პროფესიული დასკვნა იმის თაობაზე, არსებითი იყო თუ არა გამოვლენილი ცდომილებები.

აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია აუდიტორული ორგანიზაციებისთვის, კერძო აუდიტორებისთვის და აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი ორგანიზაციებისთვის.

მოცემულ სტანდარტში არსებითობა აუდიტში, ასევე, განიხილება ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის ინფორმაციის მომზადების არსებითობასთან ერთად, მაგრამ სტანდარტი შეიცავს არსებითობის უფრო ფართო განსაზღვრებას (Levan Sabauri, 2017).

მაგალითად, მოქმედ სტანდარტში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ფინანსური ანგარიშგებისათვის არსებითობის შესახებ დასკვნის გაკეთების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ კონკრეტულ გარემოებებს, შემოწმების ობიექტის ბიზნეს პირობებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ცდომილებების ზომა და ხასიათი ზოგადად ფინანსური ანგარიშგების ფორმირების პროცესზე ზეგავლენის კუთხით (Levan Sabauri, 2016).

მოცემული სტანდარტის შესაბამისად, ინფორმაციის არსებითობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს მომხმარებლების მოთხოვნები. ამასთან, სტანდარტში დაზუსტე-

ბულია, რომ აუდიტორს არ უნდა ეშინოდეს ცდომილებების შედეგებისა სპეციფიკური ინფორმაციული მოთხოვნების მქონე ცალკეული მომხმარებლებისათვის:

- არსებითობის შესახებ მოსაზრება ყალიბდება თანმდევი გარემოებების გათვალისწინებით და დამოკიდებულია ცდომილებათა ზომასა და (ან) ხასიათზე;
- მოსაზრება იმის შესახებ, თუ კერძოდ რომელი საკითხები წარმოადგენს არსებითს ფინანსური ანგარიშგებით მოსარგებლეებისათვის, ყალიბდება ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა, როგორც ერთიანი ჯგუფის, საერთო მოთხოვნების გათვალისწინებით. არ ხდება გათვალისწინება ცდომილებათა შესაძლო შედეგებისა ცალკეული კონკრეტული მომხმარებლებისათვის, რომელთა ინფორმაციული მოთხოვნები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.

ფინანსური ანგარიშგებისათვის არსებითობის განსაზღვრის დროს აუდიტორი ხელმძღვანელობს მხოლოდ თავისი პროფესიული მოსაზრებითა და განსჯით. ასს 320 არსებითობის გამოთვლისათვის იძლევა საკონტროლო მაჩვენებლების გამოყენების ზოგად რეკომენდაციებს. მაგალითის სახით მოყვანილია ანგარიშგების ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიცაა შემოსავლები, მთლიანი მოგება, მოგება დაბეგვრამდე, საკუთარი კაპიტალი, წმინდა აქტივები.

საკონტროლო მაჩვენებლების შერჩევის დროს აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ბიზნესის ობიექტის ეკონომიკური საქმიანობის დარგის სპეციფიკა, კაპიტალის სტრუქტურა, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგები.

იმისათვის, რომ დაცული იყოს საკონტროლო მაჩვენებლების კრიტერიუმები, უნდა დავიცვათ კომპლექსური მიდგომა მათი შერჩევისადმი.

ასე, მაგალითად, ნაწილი მაჩვენებლებისა მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ ძირითადი ნაწილის მეთოდზე დაყრდნობით, ანუ შევარჩიოთ მაჩვენებლები, რომლებსაც მეტი ხვედრითი წონა აქვს ანგარიშგების ცალკე აღებულ ფორმაში: მაგალითად, ბალანსის ვალუტა, პროდუქციის, საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, საკუთარი კაპიტალი.

იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ მენეჯმენტის სპეციფიკა, მიზანშეწონილია მოცული იქნეს საკონტროლო მაჩვენებლები, რომლებშიც ცდომილების არსებობის რისკი საკმაოდ მაღალია აღრიცხვის მოცემული უბნის სირთულის ან შრომატევადობის გამო, მაგალითად: ფინანსური ინვესტიციები, ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის, გაყიდვების თვითღირებულება, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ოპერაციები, სხვა შემოსავლები (Levan Sabauri, 2015).

მიზანშეწონილია განხილული იქნეს ისეთი მაჩვენებლები, რომელთა უზუსტობამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შედეგები პრეტენზიების, პირგასამტეხლოების, საჯარიმო სანქციების, საურავების სახით, მათ შორის საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ეს ანგარიშგების ისეთი მუხლებია, როგორიცაა მყიდველთა დებიტორული დავალიანება, გაყიდვის თვითღირებულება, კრედიტორული დავალიანება კონტრაქტორებისა და მომწოდებლებისადმი, დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (ERROL R.ISELINaTAKIAH M.ISKANDARb, 2000).

არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პროცენტული ნიშნულის დადგენა შერჩეული საკონტროლო მაჩვენებლებისადმი.

აღსანიშნავია, რომ ასს 320 არ შეიცავს აუცილებელი პროცენტული ზღვრის დადგენის პროცედურის მკაფიო აღწერას - აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ივარაუდება პროფესიული გადაწყვეტილების გამოყენება (Levan Sabauri, 2016).

აღნიშნულ სიტუაციაში მიზანშეწონილია დავიცვათ დიაპაზონი 3%-დან 10%-მდე. მინიმალური მნიშვნელობა მაგალითის სახით მოყვანილია ასს 320-ში და დაზუსტებულია, რომ აბსოლუტური თვალსაზრისით, რაც უფრო მნიშვნელოვანია მაჩვენებელი, მით უფრო ნაკლები პროცენტული მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს მას. რაც შეეხება უმაღლეს ზღვარს, აქ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებით, სადაც ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების უხეშ დარღვევად მიჩნეულია ფინანსური ანგარიშგების მონეტარული თვალსაზრისით გამოხატული ნებისმიერი მაჩვენებლის უზუსტობა, არანაკლებ 10%-ისა (Brian W.CarpenterMark W.DirsmithParveen P.Gupta, 1994).

***ფინანსური ანგარიშგებისათვის არსებითობის გამოთვლის მონაცემთა მაგალითი მოყვანილია ცხრილი 1-ში.***

*ცხრილი 1*

| დასახელება | საკონტროლო მაჩვენებელი (ათასი ლარი) | საკონტროლო მაჩვენებელი (%) | არსებითობის მაჩვენებელი (ათასი ლარი) |
|---|---|---|---|
| დაბეგვრამდე მოგება | 55356 | 5 | 2768 |
| ამონაგები პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების რეალიზაციიდან | 353516 | 2 | 7070 |
| ბალანსის ვალუტა | 332898 | 2 | 6658 |
| საკუთარი კაპიტალი | 53300 | 8 | 4264 |
| გაყიდვების თვითღირებულება | 263486 | 3 | 7904 |

განვსაზღვრავთ საკონტროლო მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულს:

(2768+7070+6658+4264+7904)/5 = 5733 ათასი ლარი

მინიმალური მნიშვნელობა განსხვავდება საშუალოსაგან (5733–2768)/5733×100%=51,7%-ით, ანუ თითქმის ორჯერ ნაკლებია საშუალოზე.

მაქსიმალური მნიშვნელობა ასევე განსხვავდება საშუალოსაგან (7904–5733)/5733×100%=38%-ით.

ვინაიდან მინიმალური მნიშვნელობა 2768 ათასი ლარი მნიშვნელოვნად განსხვავდება საშუალოსაგან, ამიტომ ის უნდა ამოვიღოთ შემდგომი გათვლებიდან.

ახალი საშუალო არითმეტიკული იქნება (7070+6658+4264+7904)/4=6474 ათასი ლარი.

მიღებული სიდიდე შეიძლება დავამრგვალოთ 6500 ათას ლარამდე და მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებელი გამოვიყენოთ არსებითობის მნიშვნელობის სახით მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგებისათვის.

არსებითობის მიღებული მნიშვნელობა აუდიტის მიზნებისთვის უნდა შესწორდეს ანგარიშგების არსებითი უზუსტობის დადგენილი რისკის გათვალისწინებით, რომელიც ახასიათებს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასა და შიდა კონტროლის სისტემას შესამოწმებელ ორგანიზაციაში. როგორც წესი, ამ რისკის დადგენა ხდება 50-75% დიაპაზონში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტორისთვის მისაღები არსებითობის დონე შეადგენს 4875 ათას ლარს (6500ლარი×0,75).

არსებითობის დონის ასეთი კორექტირება ფინანსური ანგარიშგებისათვის მთლიანობაში საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს იმის რისკი, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღმოჩენილი ცდომილებები აღმოუჩენელ გადახრებთან ერთად გადაამეტებს არსებითობის ზღვრულ მნიშვნელობას და აუდიტორის დასკვნა ანგარიშგების საიმედოობის შესახებ იქნება მცდარი (Nonna Martinov, Peter Roebuck, 2003).

არანაკლებ სადავოა საკითხი არსებითობის დონის შემდგომი განაწილებისა ფინანსური ანგარიშგებისათვის მთლიანობაში - ანგარიშგების ცალკეული მუხლებისა და ანგარიშებზე ნაშთების მიხედვით.

ასს 320 რეკომენდაციას იძლევა ასევე, ჩატარდეს ზემოაღნიშნულის მსგავსი პროცედურა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე.

ჩვენი აზრით, არსებითობის საერთო დონის გადანაწილება მიზანშეწონილია ჩატარდეს ბრუნვითი ბალანსის საფუძველზე, როგორც ბრუნვის, ისე ანგარიშებზე საბოლოო ნაშთების მიხედვით. ასეთი გადანაწილება, ჯერ ერთი, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გავითვალისწინოთ ოპერაციები ყველა ანგარიშზე - მარეგულირებელი, შემკრებ-გამანაწილებელისა და ფინანსურ-შედეგობრივი ანგარიშების ჩათვლით, ეს ანგარიშები კი ხარჯებისა და ფინანსური შედეგების კუთხით მეტად მნიშვნელოვანი ანგარიშებია; მეორეც, ბრუნვის გათვალისწინება განაწილების დროს საშუალებას იძლევა გადანაწილდეს არსებითობის დონის მნიშვნელობის დიდი ნაწილი იმ ანგარიშებზე, რომლებიც წლის მანძილზე შედარებით ხშირად გამოიყენებოდა, ამასთან, შეიძლება ჰქონდეს უმნიშვნელო ნაშთი წლის ბოლოსათვის, მაგალითად, ანგარიშსწორების ანგარიშები. იმ დროს, როდესაც კაპიტალის აღრიცხვის ანგარიშებს, როგორც წესი, აქვს მუდმივი გარდამავალი დიდი ნაშთები საანგარიშო თარიღებისთვის და არ ესაჭიროება დეტალური გადამოწმება, თუ საუბარი არ არის პირველად აუდიტზე.

განვიხილოთ არსებითობის საერთო დონის განაწილების მოცემული ვარიანტი საანგარიშო წლის ბრუნვითი ბალანსის პირობით მაგალითზე (ცხრილი 2).

*ცხრილი 2*

| ანგარიშის დასახელება | წლიური ბრუნვა | | ნაშთი პერიოდის ბოლოს | | არსებითობა ანგარიშების მიხედვით (ათასი ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| | დებეტი | კრედიტი | დებეტი | კრედიტი | |
| ძირითადი აქტივები | 20 | 20 | 20 | | 1331 |
| ძირითადი აქტივების ცვეთა | 10 | 20 | - | 30 | 1331 |
| დაუმთავრებელი წარმოება | 20 | 20 | - | | 884 |
| არამატერიალური აქტივები | 20 | 10 | 20 | | 1109 |
| არამატერიალური აქტივების ცვეთა | - | - | - | 10 | 220 |
| სულ | 70 | 70 | 40 | 40 | 4875 |

ბრუნვის თანხა და ანგარიშის ნაშთი წარმოადგენს არსებითობის საერთო დონის განაწილების საფუძველს.

## დასკვნა

ჩვენი აზრით, შემოთავაზებული მეთოდიკა მეტ საშუალებას იძლევა გადაიჭრას არსებითობის განსაზღვრის პრობლემური საკითხები აუდიტის პროცესში: იგი საანგარიშო წლის ბრუნვითი ბალანსის ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლების მთლიანად გაშუქების საშუალებას იძლევა, მინიმუმამდე დაჰყავს სუბიექტურობა არსებითობის დონის გაანგარიშების დროს, როგორც ფინანსური ანგარიშგებისათვის მთლიანობაში, ასევე ცალკეული მუხლებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე რიცხული ნაშთებისათვის, საშუალებას იძლევა გონივრულად დაიგეგმოს აუდიტორული შემოწმება, შეირჩეს აუდიტორული პროცედურების აუცილებელი ნუსხა და მოცულობა, გამოითქვას დასაბუთებული აუდიტორული მოსაზრება, რაც უზრუნველყოფს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესრულებას და ნდობის ამაღლებას აუდიტორული დასკვნისადმი, როგორც აუდირებადი პირის, ასევე ფინანსური ანგარიშგებით მოსარგებლე მომხმარებლების მხრიდან.

## ლიტერატურა:


1. Brian W.CarpenterMark W.DirsmithParveen P.Gupta. (1994). Materiality judgments and audit firm culture: Social-behavioral and political perspectives. Accounting, Organizations and Society, 358-380.
2. ERROL R.ISELINaTAKIAH M.ISKANDARb. (2000). AUDITORS’ RECOGNITION AND DISCLOSURE MATERIALITY THRESHOLDS: THEIR MAGNITUDE AND THE EFFECTS OF INDUSTRY. The British Accounting Review, 289-309.
3. Levan Sabauri. (2015). INFLUENCE OF ACCOUNTING BALANCE INDICATORS ON INVESTMENT EVALUTION. Applied Finance and Accounting, 57-68.
4. Levan Sabauri. (2016). International standards on auditing. Tbilisi: Forma Ltd.
5. Levan Sabauri. (2017). World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering. World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 1179-1186.
6. LEVAN SABAURI. (2018). AUDIT RISK MANAGEMENT AND ITS AFFECT ON THE AUDIT OF THE FINANCIAL STATEMENT. GLOBALIZATION AND BUSINESS, 215-220.
7. Levan Sabauri, Nino Mamardashvili. (2014). General review of the mistakes made during the audit that are common in practice. (pp. 184-191). Tbilisi: TSU Publishing House.
8. Nonna Martinov, Peter Roebuck. (2003). The Assessment and Integration of Materiality and Inherent Risk: An Analysis of Major Firms' Audit Practices. International Journal of Auditing.


## Problematic Aspects of Materiality Assessment in the Audit of Financial Statements


***Lia Kozmanashvili***
*Academic Doctor in Economics*
*Assistant-Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

The article discusses the problematic aspects of materiality assessment in the financial statements audit. The understanding of essentiality is the key to the accounting methodology, reporting financial statements and audit. The practical examples of the definition of essentiality are also represented.

The methodology, which will promote the expression of substantiated auditing opinion, to define the essentiality is suggested, as well, that, in turn, will ensure the fulfillment of the international audit standards and the confidence building in the audit report.



***Key words:*** *Audi; Materiality in Audit; Financial Reporting Audit; Control Indicator.*

# Проблемы и возможности интеграции стран Центральной Азии

**Койчуманов Талайбек Джумашевич**
*доктор экономических наук, профессор*

**Абдыгулова Айгерим Аскарбековна**
*Экономист, Кыргызско-Российский Славянский университет, город Бишкек*

Экономическая глобализация, как ведущая тенденция развития мировой экономики, проявляется в универсализации мирового хозяйства созданием единых экономических пространств, интеграционных объединений, региональных союзов. Одно из ярких проявлений экономической глобализации является уровень открытости экономик, который существенно влияет на возможности экономического роста. В работах таких экспертов как Сакс и Варнер (Sachs and Warner (1995)) приводятся оценки, которые показывают, что открытые экономики росли примерно на 2,45% быстрее, чем закрытые. Что касается развивающихся стран, то эти различия между открытыми и закрытыми экономиками оказываются еще сильнее. Причем, как отмечают эксперты, либерализация внешнеэкономической деятельности сопровождается стабилизацией макроэкономики и другими рыночными реформами. В то же время эксперты утверждают, что либерализация торговли является обязательным условием общего процесса реформ, поскольку другие вмешательства, такие как государственные субсидии, часто являются неприемлемыми в открытой экономике [1]. В данной статье, авторы обращаются к уровню открытости экономик, как к одному из определяющих показателей по которым сильно дифференцируются экономики центральноазиатских стран - среднеазиатских республик бывшего СССР, и это, наряду с моделью экономического развития, оказывает значимое влияние на возможности интеграции в регионе и гармонизации экономических отношений.

По данным Всемирного банка, уровень открытости в развивающихся странах в последние десятилетия стал заметно выше, внешнеторговая квота большинства стран развивающего мира, выше 25%. В эту категорию входят и центральноазиатские страны имеющие долю экспорта в ВВП 25-34% [2]. Однако, показатель внешнеторговой квоты этих стран сильно дифференцирован из-за различий не только в наличии природных ресурсов и, соответственно, в проводимой внешнеэкономической политики, но и из-за различий в темпах и направлениях рыночных преобразований. Эти противоречия оказывают существенное влияние на процессы объединения в экономические союзы, затрудняя поиски общих интересов и гармонизации законодательства. К примеру, внешнеторговая квота Кыргызской Республики, проводящей наиболее открытую внешнеэкономическую политику в Центрально-Азиатском регионе, достигает 80% [3].

Следует отметить, что процессы глобализации и интеграции в Центрально-Азиатском регионе не выходят за рамки общемировых тенденций. Если экспортная квота западноевропейских стран 30-60%, то в отдельных развивающихся странах этот показатель гораздо выше. Так, например, в ОАЭ он равен 105%, Гайане - 84%, Катаре - 89%, Суриname - 68% [4]. Но это в основном страны, которые целиком зависят от экспорта сырья, в частности нефти. Центральноазиатские страны также значительно различаются по данному показателю друг от друга. Так в отличие от Казахстана, Туркмении и Узбекистана, имеющих значительные запасы газа и нефтепродуктов, такие страны, как Кыргызстан и Таджикистан имеют гораздо низкие показатели экспортной квоты, порядка 30% [2].

Страны Центральной Азии отличаются также и уровнем протекционизма. Так, Казахстан и Кыргызстан, являющиеся членами ВТО, имеют более низкие средневзвешенные тарифы и нетарифные барьеры. Эти страны также являются членами Евразийского экономического союза (ЕАЭС), в которой доминирующее положение играет Российская Федерация, которая вступив в ВТО, приняла на себя обязательства по снижению тарифов. Введение в действие с начала 2018 года Таможенного кодекса стран ЕАЭС закрепило общие процедуры и единый таможенный тариф, отличающийся от процедур и тарифов других стран Центрально-Азиатского региона.

Характеризуя ситуацию в регионе, следует учесть так же, что в последние годы, усиливающаяся политическая конкуренция сверхдержав, оказывает значительное влияние на сужение открытости. Свидетельством этому является введение взаимных экономических санкций западных стран и России, что не может негативно не отражаться на членах интеграционных объединений, таких как ЕАЭС. Хотя ЕАЭС создавался как экономический союз, на который не должны оказывать воздействие политические факторы в реальности за прошедшие годы отмечались неоднократные случаи ограничения свободного передвижения товаров. Одним из примеров могут служить санкции, введенные Российской Федерацией на ряд товаров из третьих стран. В результате кыргызстанские перевозчики столкнулись с необходимостью искать новые маршруты для поставок товаров из третьих стран, в частности из Турции и Украины. Закрытие пунктов перехода на границах России привело к тому, что автотранспортные средства, следующие из Турции, были вынуждены изменить свои маршруты. Автомашины направляются через Азербайджан, Туркменистан и Иран,

что приводит к потере времени из-за длительного простоя на границе и значительному удорожанию логистических услуг от 30 до 100%. Сроки доставки груза до места назначения увеличились более чем на 25-30 суток. Свободное движение товаров внутри ЕАЭС ограничивается также применением нетарифных барьеров. Проблемы на кыргызско-казахском участке государственной границы 2017 года, которые фактически привели к восстановлению фитосанитарного и транспортного контроля показали ограниченность институтов ЕАЭС по разрешению двухсторонних споров между членами Союза. Не реализуется в полной мере координация макроэкономических политик государств-членов ЕАЭС. В первую очередь это касается согласования обменных курсов национальных валют. Как показал предыдущий опыт, резкая девальвация национальных валют наносит сокрушительный удар по взаимной торговле, лишая продукцию других участников конкурентоспособности по ценовому фактору и вызывает применение ответных защитных мер. Так девальвация рубля и тенге в 2014-2015 годах по сравнению с сомом привела к резкому падению конкурентоспособности кыргызстанских товаров и падению объемов взаимной торговли между странами. Одним из факторов, которые тормозят процессы интеграции является чрезмерная бюрократизация органов управления ЕАЭС. Это прежде всего видно на примере продвижения инициатив и разрешения возникающих проблем малых стран – участников Союза. Так, по данным бизнес-сообщества Кыргызской Республики практически ни одно предложение от предпринимателей в разрабатываемые технические регламенты Союза не было учтено при их конечной редакции. Эти примеры свидетельствуют, что создание новых интеграционных объединений, таких как ЕАЭС, с одной стороны расширяют границы внутри союзов, но с другой стороны создают дополнительные барьеры для межстрановой торговли вне таких союзов.

Зачастую интеграционные объединения терпят крах из разобщенности интересов, разных "весовых категорий", разнонаправленности векторов экономических преобразований и масштабов открытости. на постсоветском пространстве. Формальные встречи и принимаемые документы оказались несостоятельными из-за разобщенности интересов по отдельным вопросам сотрудничества. Так ситуация оказалась характерной для таких интеграционных объединений как СНГ, Таможенный союз, Центрально-Азиатский союз (ЦАС), ГУУАМ. К середине 90-х прошлого столетия наиболее продвинутым являлся ЦАС, в рамках которого даже был создан Центрально-Азиатский банк сотрудничества и развития, который был предназначен кредитовать проекты, представляющие для стран взаимный интерес. Но и он оказался не жизнеспособным. Также как и в СНГ, в этих организациях принималось множество документов, но мало что из них исполнялось, особенно в части тарифного и нетарифного регулирования, унификации налогового законодательства, снятия всевозможных бюрократических барьеров на пути свободного продвижения трудовых ресурсов, товаров и услуг. В итоге, все эти объединения либо распались, либо существуют формально, возможно только ГУАМ (название изменилось в связи с выходом из объединения Узбекистана) имеет шансы на возрождение, после подписанных в 2017 году новых соглашений.

Рассматривая проблемы интеграции стран Центральной Азии, невозможно не учитывать общие интересы в тех глобальных процессах, которые протекают в мире по которым нужно искать общие решения, точки соприкосновения. Торговые войны, бюрократические барьеры, санкции, протекционизм в торговле, закрытость экономик могут только отбросить центральноазиатские страны назад в экономическом развитии. Как отмечают экономисты, рост благосостояния в виде увеличения реального ВВП на 3,3% является весьма вероятным в контексте выгод от либерализации торговли [1]. Поэтому важным этапом на пути интеграции является процесс идентификации интересов стран Центрально-Азиатского региона.

**Об идентификации интересов.** Несмотря на общность интересов в региональном сотрудничестве, на практике внешнеэкономическая политика стран Центрально-Азиатского региона зачастую направлена на сдерживание из-за отмеченных выше различий. К чему это приводит?

Во-первых, это приводит к росту издержек на товары и услуги в среднем для всех стран региона, что в свою очередь неизбежно ведет к ухудшению их конкурентоспособности на мировом рынке. Во-вторых, политика экспансии на постсоветском рынке, вполне понятная и естественная в рамках интересов одной страны, приводит, как правило, к снижению общего вектора движения для группы стран из-за разнопорядковости масштабов и открытости экономик. В данном случае, идентификация интересов – необходимый этап для начала работы по созданию интеграционных союзов. Практика развала или успешности союзов подсказывает, что необходимо начинать с определения сфер совпадения и расхождения интересов и потом уже на основе такой идентификации приступать ко второму этапу – гармонизации отношений.

В-третьих, конъюнктура цен на энергоресурсы. Изменение цен по разному отражается на экономике стран одного и того же экономического союза. Для одних это дополнительные ресурсы, для других дополнительные издержки. Но в целом и для «больших» членов союза, такая ситуация не способствует повышению конкурентоспособности внутренних производителей на мировом рынке.

Если говорить о странах с переходной экономикой, какими являются и центральноазиатские республики, то речь идет о следующем.

**Типизация проблем интеграции.** Анализ деятельности региональных и субрегиональных объединений на постсоветском пространстве позволяет разделить проблемы интеграции на два типа.

К первому типу можно отнести проблемы, которые характерны для каждой страны в силу их различий – территориальных, демографических, этнических, социальных, экономических, а также различий в потенциале национальных ресурсов.

Ко второму типу проблем можно отнести проблемы, связанные с разными направлениями, темпами и масштабами проводимых реформ.

Если проследить движение к рынку стран с переходной экономикой на примере Кыргызстана, то можно заметить, что большинство его движений было связано с попытками остаться на плаву в быстроменяющемся мире. В отличие от России, Туркменистана, Узбекистана, Казахстана и Азербайджана, владеющих значительными энергетическими и другими природными ресурсами, которые при прочих равных условиях помогли в какой-то мере смягчить отрицательные последствия перехода к рыночным отношениям, Кыргызская Республика не имела таких ресурсов, и именно этот факт стал решающим при выборе пути перехода к рынку и интенсивности проводимых реформ - быстрые интенсивные реформы, пусть даже в ущерб качеству. Малый внутренний рынок и зависимость от энергоносителей вынуждают Кыргызстан проводить очень открытую внешнеэкономическую политику, и именно они явились главными движущимися силами при вступлении страны первой среди постсоветских стран в ВТО и различные экономические союзы. Другие страны Центральной Азии выбрали иные модели трансформации экономики и это, естественно, влияет и на степень открытости экономик, и на внешнеэкономические инструменты регулирования, применяемые странами, а также на готовность вести конкурентную борьбу на общем рынке при единых правилах торговой игры.

Из анализа влияния мировых финансовых кризисов на страны Центральной Азии с переходной экономикой, можно сделать вывод, что степень интеграции экономик является обратной величиной устойчивости от внешних воздействий. Этот фактор, по всей вероятности, оказывался определяющим при решении вопросов интеграции экономик. Нестабильность экономик соседей, возможно, отпугивало их друг от друга, от реальных шагов в направлении экономической интеграции.

В ходе идентификации национальных интересов выявятся «точки» или «сектора» пересечения интересов. Необходимо только выбрать их и закрепить институционально. Поэтому на данном этапе развития сотрудничества, как нам представляется, более приоритетны усилия по развитию институциональных возможностей эффективного управления интеграционными процессами.

**Один пояс - один путь**. Китай продвигает проект «Экономический пояс Нового Великого Шёлкового Пути» (далее ЭПНВШП) не просто как возрождение древнего Шёлкового пути, транспортного маршрута между Востоком и Западом, но как масштабное преобразование всей торгово-экономической модели Евразии, и в первую очередь — Центральной Азии. Концепция «один пояс — один путь» включает в себя множество инфраструктурных проектов, которые должны в итоге опоясать всю планету. Среди проектов в рамках Нового Шелкового пути планируются железные дороги и шоссе, морские и воздушные пути, трубопроводы и линии электропередач, и вся сопутствующая инфраструктура. По самым скромным оценкам, Экономический пояс нового Шелкового пути втянет в свою орбиту 4,4 миллиарда человек — более половины инноваций населения Земли

Один из транспортных коридоров Нового Шелкового пути будет проходить через территорию центральноазиатских стран и это является общим интересом для всех стран региона. Совместные проекты в рамках инициативы Китая по созданию «Экономического пояса нового Великого Шелкового пути» может стать реальным источником экономического роста в регионе. Сейчас наступает период институционального оформления взаимных интересов стран региона, поиск точек сопряжения интересов евразийской интеграции с инициативой.

Что касается сопряжения проектов ЕАЭС, куда входят пять стран бывшего СССР, включая Казахстан и Кыргызстан, с проектом ЭПНВШП, то потенциальный объем евразийского рынка транспортно-логистических услуг оценивается в 3-5 триллионов долларов, что превышает ВВП ЕАЭС. ЕАЭС занимая стратегическое положение на Евразийском континенте, в перспективе может включать в себя значительную часть евроазиатских транспортных потоков за счет осуществления крупных инвестиционных проектов по развитию трансконтинентальной транспортной инфраструктуры. На 25-м саммите Азиатско-Тихоокеанского экономического сотрудничества (АТЭС) председателем КНР Си Циньпином было озвучено, что в рамках сопряжения проектов ЕАЭС и ЭПНВШП можно рассчитывать на достижение товарооборота более чем в $80 млрд. [4].

Инициативу по созданию нового Шелкового пути можно рассматривать как в первую очередь уникальную возможность для стран ЕАЭС и в том числе стран региона Центральной Азии модернизировать свои экономики. Необходимо не просто продвигать совместно этот проект, как возрождение древнего транспортного маршрута между Востоком и Западом, который откроет для местной продукции доступ на

мировые рынки и позволит стать транспортным хабом, но и рассматривать его как масштабное преобразование всей торгово-экономической модели ЕАЭС. Реализация программы ЭПНВШП даст колоссальный импульс для прихода в регион новых инвесторов.

Другим результатом реализации глобального проекта может стать гармонизация экономических отношений внутри Центрально-Азиатского региона, выравнивание экономик стран в направлении общемировых тенденций, большая открытость экономик, расширение возможностей к осуществлению технологического перевооружения. Например, прокладка волоконно-оптической линии в рамках реализации программы ЭПНВШП может позволить наладить надежную связь в евроазиатском регионе. Как показывает мировой опыт, существует прямая зависимость между скоростью и распространенностью интернета и экономическим ростом. Повышение скорости передачи данных намного расширяет диапазон услуг, которые могут предлагаться через интернет, и повышает их качество. Высокоскоростная инфраструктура, безусловно, выгодна всем: и клиентам, получающим более широкий диапазон услуг; и правительствам — в отношении конкурентоспособности национальной инфраструктуры связи и их способности привлекать прямые иностранные инвестиции и создавать рабочие места. Необходимо развивать региональное сотрудничество по прокладке трансграничных соединений и развитию телекоммуникационной региональной инфраструктуры, в том числе путем открытия и совместного использования телекоммуникационных активов, таких как оптоволоконные кабели или опоры, которые могут быть размещены в качестве инфраструктурных объектов железнодорожных или электрических передающих сетей в рамках евразийских программ в Центрально-Азиатском регионе.

Вовлечение центральноазиатских стран в этот проект ЭПНВШП является показателем общности интересов, независимо от различий в наличии ресурсов, внешнеэкономической политики, уровня открытости экономик. Участие в таких глобальных проектах выводит взаимодействие стран за рамки ограничений интеграционных союзов, которые зачастую оказываются под политическим влиянием сверхдержав.

Успешная реализация проекта дала бы импульс для развития интеграционных объединений, таких как ЕАЭС в направлении консолидации с учетом мировых тенденций, достижения сопряженности процессов построения стратегий развития со всеми членами союза на основе идентификации интересов.

**Литература:**


1. Всемирный банк в России Доклад об экономике России * № 27 Апрель 2012 г. Поддержка роста и снижение рисков; с. 36 \\ Всемирный банк http://www.worldbank.org/russia
2. Классификация стран по методикам Всемирного банка. www.bibook.ru
3. Рассчитано по данным Национального статистического комитета Кыргызской Республики www.stat.kg
4. Открытая экономика: сущность, факторы, влияющие на степень открытости, ключевые показатели \\ Международная экономика
5. https://sites.google.com/site/mezdunarodnaaekonomika/cover-page/new/4-otkrytaa-ekonomika-susnost-faktory-vliausie-na-stepen-otkrytosti-klucevye-pokazateli
6. Речь председателя КНР Си Цзиньпина на 25-м саммите АТЭС. www.russian.china.org.on


## Problems and Opportunities for Integration of the Central Asian Countries


***Koichumanov Talaibek Djumashevich***

*Doctor of Economic Science*

*Abdygulova Aigerim Askarbekovna, Professor*



Economic globalization, as the leading trend in the development of the world economy, is manifested in the unification of the world economy by the creation of common economic spaces, integration associations, and regional unions. One of the clearest manifestations of economic globalization is the level of openness of economies, which significantly affects the possibilities of economic growth. This article discusses the main problems and prospects for integration of the central Asian countries. From the analysis of the impact of world financial crises on the countries of Central Asia with transition economies, it can be concluded that the degree of integration of economies is the reciprocal of resistance from external influences. This factor, in all likelihood, turned out to be decisive in addressing issues of economic integration.



***Keywords**: Economic globalization, economic integration, Central Asian countries, Economic Politics*

# ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არსი და ფორმები

**ელგუჯა კონჯარია**

*ეკონომიკის დოქტორი*

*შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გაენათის“ ასოცირებული პროფესორი*

*საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა რთული და მრავალმხრივი პროცესია, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების ფორმირება-ამოქმედების მექანიზმთან.*

*თანამედროვე პირობებში ბიზნესის განმსაზღვრელი მოტივია მეწარმის,პიროვნების იდეის რეალიზაცია, მისი თვითდამკვიდრება და თვითგანვითარება. ამ შემთხვევაში სოციალური მხარე თამაშობს წამყვან როლს, ხოლო წმინდა ეკონომიკური მომენტი მის მიმართ არის დაქვემდებარებული. დღეისათვის პირობებში ბიზნესსუბიექტები წარმოადგენენ განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფებს, რომელთაც აქვთ საკუთარი სტრუქტურა. და შესაბამისად, ეკონომიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური დაცვა; სოციალური დაზღვევა; სოციალური უზრუნველყოფა; სოციალური პოლიტიკა.*

„ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ეს არის ბიზნესის კეთილი ნება გადაჭრას ის პრობლემები,რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ბიზნესის საქმიანობით 1992 წლიდან დასავლეთში სულ უფრო პოპულარული ხდება ამერიკელი მეცნიერის შეხედულება, რომ კომპანიებმა საკუთარი ინიციატივით უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში. კომპანიებმა ბიზნესი უნდა აწარმოონ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, რომ ერთობლივი ძალისხმევით მიღწეულ იქნეს საერთო მიზანი-მდგრადი განვითარება.

დღეს თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენილია ნორმალური რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. ეს უკვე გახდა ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი ფორმა. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის რეაქცია საზოგადოების შეცვლილ მოთხოვნებზე. ბიზნესის სოციალური პასუხიმგებლობის სფეროში ჩართულია სამი მხარე: სახელმწიფო, ბიზნესი და საზოგადოება, რომლებიც ერთმანეთში აქტიურ კომუნიკაციას ახორციელებენ. ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს მედიას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებს შორის აქტიური კომუნიკატორია.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემა თითქმის 10 წლისაა. პირველად თემა გააქტიურდა 2005 წელს, როდესაც გაიმართა შეხვედრები ქართულ არასამთავრებო ორგანიზაციებსა და ბზინესსექტორს შორის. შეხვედრებს გაცნობითი და საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა. მიღებულიქნა პირველი მემორანდუმი სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოში მოქმედი ბიზნესი, თავისი მასშტაბების და შესაძლებლობებთან შეფარდებით საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავს სოციალურ პროექტებსა და ქველმოქმედებაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის სოციალური საქმიანობა არ იყოს ქაოსური და მოექცეს გარკვეულ სისტემაში. მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომპანიის პრიორიტეტებსა და სტრატეგიასთან.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვა საქართველოში აუცილებელია ბიზნესსექტორის დაჩქარებული განვითარებისთვის. ეს არის საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის,სტაბილურობის უზრუნველყოფის, მდგრადი განვითარების და ბიზნეს რეპუტაციის გამყარების დამატებითი ინსტრუმენტი.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლურ ელემენტს წარმოადგენს სოციალური დაცვის სისტემა ისეთ ცხოვრებისულ შემთხვევებზე, როგორიცაა უმუშევრობა, სიბერე, ინვალიდობა და ა.შ. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური პოლიტიკის პრინციპების გამოყენებას.

სოციალური პოლიტიკის პრინციპებში იგულისხმება: სოციალური დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფა, მორალური პასუხისმგებლობა და სხვა. სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ბერკეტია მატერიალური დოვლათი, რომელიც იქმნება რეალურ საწარმოო სექტორში. „სოციალური პასუხისმგებლობა“ ეს არის კონცეფცია, რომელიც აფუძნებს, რომ ბიზნესმა უნდა დაიცვას არამხოლოდ კანონები, აწარმოოს ხარისხიანი პროდუქტი ან მომსახურება, არამედ ნებაყოფილობით ღებულობს თავის თავზე ვალდებულებებს საზოგადოების წინაშე იმუშაოს ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის.

არსებობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სამი ძირითადი თეორიული დასაბუთება. პირველი გულისხმობს კორპორაციული ეგოიზმის თეორიის ამოქმედებას; მეორეა კორპორაციული ალტრუიზმის თეორია, რომელიც ადგენს, რომ კორპორაციები ვალდებული არიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. მესამე პოზიცია წამოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი ძლიერი „ცენტრალური“ თეორია - „გონივრული ეგოიზმისა“, რომლის თანახმადაც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა - ეს უბრალოდ არის „კარგი ბიზნესი“, რადგან ამცირებს მოგების გრძელვადიან დანაკარგებს [Mekhia I., 2011].

განასხვავებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შიდა და გარე მიმართულებებს.

ბიზნესის სოციალურ შიდა პასუხისმგებლობას მიეკუთვნება: შრომის უსაფრთხოება, შრომის ანაზღაურების სტიმულირება, თანამშრომელთა დამატებითი სამედიცინო და სოციალური დაზღვევა; ბიზნესის გარე სოციალურ პასუხისმგებლობას მიეკუთვნება: სპონსორობა და ქველმოქმედება, ზრუნვა გარემოს დაცვაზე, საქონელსა და მომსახურების მომხმარელებს შორის პასუხისმგებლობა.

ბიზნესის მდგრადი განვითარება განაპირობებს მისი სოციალური პასუხისმგებლობის მაღალ დონეს, რადგანაც ასეთი განვითარება, ეს არის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობის ბალანსი.

ძლიერი ბიზნესსუბიექტებისთვის მაქსიმალური მოგების მიღების საფუძველია არამარტო არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ბიზნესის მოქმედების არეალში მომგებიან მდგომარეობაში ყოფნა, არამედ ხელისუფლების სერიოზული მხარდაჭერაც.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ფაქტორები შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შემდეგნაირად:

- ბიზნესსუბუეტების ხელმძღვანელობის ჩართვა ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ ქსელში;
- ბიზნესსუბიექტების ეკონომიკური მაჩვენებლები (გადასახადების გადახდა, დროულობა და ა.შ.);
- წარმოების ტექნოლოგია;
- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის მდგომარეობა;
- ბაზრის მსოფლიო სტანდარტებისადმი ორიენტაცია.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას მრავალსაფეხურიანობა ახასიათებს:

საბაზისო დონე ითვალისწინებს შემდეგი ვალდებულებების შესრულებას: გადასახადების, შრომის ანაზღაურების დროული გადახდა , ახალი სამუშაო ადგილების შექმა;

მეორე დონე ითვალისწნებს მუშაკების არამხოლოდ მუშაობის, არამედ ცხოვრების ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფას: მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, სოციალური სფეროს განვითარება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ოთხი ძირითადი მდგომარეობა არსებობს: 1) საბაზრო . 2) მიდგომა სახელმწიფოებრივი რეგულირების პოზიციიდან, 3)მიდგომა „კორპორატიული სინდისის" პოზიციიდან, 4) მიდგომა „დაინტერესებული პირის" პოზიციებიდან.

საბაზრო მიდგომა კორპორაციების საქმიანობის რეგულირების მზა ფორმას უზრუნველყოფს და თავიდან იცილებს სახელმწიფოს ბიუროკრატიული ჩარევის აუცილებლობას. საბაზრო მიდგომის თანახმად, მომხმარებელი ყოველთვის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია ისეთ საზოგადოებაში, სადაც კორპორაციები თავისუფალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მოგების ზრდის პრინციპით ხელმძღვანელობენ. ეს მიდგომა მნიშვნელოვან მხარდაჭერას პოულობს ზოგად ეკონომიკურ თეორიაში [Shengelia T., 2008].

რაც შეეხება სახელმწიფო რეგულირების პოზიციებიდან მიდგომას, მას უამრავი „მომხრე"და „საპირისპირო"არგუმენტი დამოკიდებულია თითოეული ადამიანის წარმოდგენაზე მთავრობასა და ადამიანის ბუნებაზე. ამ მიდგომის მომხრეთა უმრავლესობა სახელმწიფო სტრუქტურებს განიხილავს, როგორც საქმიან ცხოვრებაზე უფლებამოსილ დამკვირვებლებს, თუმცა, სახელმწიფო რეგულირება არასოდეს არ არი სრულყოფილი.

,,კორპორაციული სინდისის" პოზიციებიდან მიდგომის ძლიერი მხარეა ის, რომ მისი კრიტერიუმია მორალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიქმნება კორპორაციის შიგნით.

„დაინტერესებულ პირთა" პოზიციებიდან მიდგომისადმი ბიზნესში კლასიკური მოსაზრება არის ის, რომ კორპორაციებს გააჩნია ვალდებულებები აქციონერების წინაშე, რომელიც წმინდა და ურყევია. კორპორაციების მოქმედება ან უმოქმედობა ნაკარნახევი უნდა იყოს აქციონერებზე ზრუნვით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: აქციების საბირჟო კურსი,შემოსავალი აქციაზე ან ნებისმიერი სხვა საფინანსო მაჩვენებელი.

რ. ფრიდმენმა და დ. რიდმა წარმოადგინეს „დაინტერესებული პირის" ორი განმარტება: ერთი -ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ჯგუფებს, სადაც მოკავშირეები, ან მოწინააღმდეგები არიან, და მეორე - ვიწრო გაგებით, რომელშიც ძირითადად სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის განმარტების არსია გადმოცემული, მაგრამ, უფრო დაკონკრეტებული.

,,დაინტერესებული პირი" ფართო გაგებით - ნებისმიერი ჯგუფი ან პირია, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის მიერ მიზნის მიღწევაზე. ამ მოსაზრებით „დაინტერესებულ პირებს" წარმოადგენენ საერთო ინტერესებით გაერთიანებული საზოგადოებრივი ჯგუფები, სამთავრობო ორგანიზაციები პროფგაერთიანებები, კონკურენტები, კავშირები, აგრეთვე, მუშა-მოსამსახურეები, მყიდველთა ჯგუფები, აქციათა მფლობელები და ა.შ. „დაინტერესებული პირი" ვიწრო გაგებით - ნებისმიერი ჯგუფი ან პირია, რომელზეც ორგანიზაციის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობაა დამოკიდებული. ამ გაგებით „დაინტერესებულ პირებს" წარმოადგენენ მუშა-მოსამსახურეები, მყიდველთა ჯგუფები, ზოგიერთი მიმწოდებელი,ძირითადი სამთავრობო ორგანოები, ზოგიერთი ფინანსური ორგანო და ა.შ.

„დაინტერესებული პირის" კონცეფციის განხორციელების კონკრეტული რეკომენდაციები ძალიან მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად"დაინტერესებულ პირთა" ჯგუფების ჩართვა სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას განვითარებულ ქვეყნებში საუკუნოვანი ისტორია აქვს. ის გულისხმობს ბიზნესის კეთილ ნებას - უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს. სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიები ცდილობენ თავის საქმიანობაში სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები გაითვალისწინონ და საზოგადოების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანონ.

რაც უფრო წარმატებულია კომპანია, მას მეტი სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია. წარმატებულთა რიცხვში კი ის კომპანიები ხვდებიან, რომლებიც არამხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემეზე ახდენენ ზეგავლენას [Erkomaishvili G., 2004].

XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ცნობილი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა გაიზარდა. კომპანიები ხშირად ეხმარებიან სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მიუსაფარ ბავშვებს, მართავენ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას და აქციებს, არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებენ გარემოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების დასაფინანსებლად და ა.შ. ბოლო 10 წელია ბიზნესსექტორი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სოციალურ პროექტებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებში.

სოციალური პასუხიმგებლობა ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მასშტაბური საქმიანობაა.ზოგიერთ ქვეყანაში კანონით განსაზღვრულია საგადასახადო შეღავათები. ამიტომ, სოციალური პასუხიმგებლობა დამატებითი მოტივაციაა კომპანიებისთვის. გარკვეული შეღავათების არსებობა სტიმულს მისცემდა კომპანიებს გრძელვადიანი სოციალური პროგრამების შემუშავებისთვის.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება როგორც ინვესტიცია, რომელსაც თავის მხრივ, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უცხოური ინვსტიციების მოზიდვაში და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში,თუ გვსურს მოვიზიდოთ ინვესტორები დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან, რადგან მათი მხრიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების შესრულებას.

ამრიგად,ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს მდგრად განვითარებაზე, საგარეო ურთიერთობის გაუმჯობესებასა და ქვეყანაში არსებულ მრავალ პრობლემაზე. საჯარო სექტორმა უნდა განახორციელოს მართებული ნაბიჯები იმისთვის,რომ კერძო სექტორმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება გახდეს ის მძლავრი იარაღი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის აღორძინებასა დ ასაზოგადოებრივი მიზნების მიღწევას.

## ლიტერატურა:


1. ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში თბ., 2004
2. შენგელია თ. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები თბ., 2008
3. მესხია ი. ბიზნესის საფუძვლები თბ., 2011


## The Essence and Forms of Social Responsibility of a Business


***Elguja Konjaria***

*Doctor of economics Associate Professor*

*(LTD) teaching university "Gaenati"*



S u m m a r y

The transition to market economy of Georgia is a complex and multilateral process that is closely related to the formation and operation of market mechanisms. In modern conditions, the idea of business is to realize the idea of an self-asset and self-development. in this case social role plays a leading role and the net economic moment is to be subjected to it. one of the most pressing problems of the economy is the social responsibility of business



***Key words:*** social responsibility ; social security ;social insurance ;social ensure; social politics.

# Значение кластеров в развитии креативных отраслей экономики

**Эмилия Крайнякова**
*к.ф.н., доцент*
*Университет им. А.Дубчека в Тренчине, Словакия*

*В статье анализируется значение экономического потенциала кластеров в развитии креативных отраслей экономики, характеризуются его качественные характеристики а способность влиять на экономическую эфективность и развитие предприятий принадлежащих к кластерам. Источником этих анализ служат оценки деятельности кластеров руководителями двох групп предприятий креативных отраслей промышленности, которые мы получили в процессе реализации эмпирического исследования. Одна из этих групп включена а другая невключена до сотрудничества в кластере. Главным методом, который мы использовали в этом исследовании было структурованное интервъю.*

***Ключевые слова:*** *креативные отрасли промышленности, экономический потенциал, формы сотрудничества, общие интересы, кластер.*

## Введение

В Словацкой Республике пока что не существуют статистических данных о состоянии и развитии отраслей креативной экономики и её значении в экономическом развитии. Например национальная стратегическая програма Словацкой Республики на 2014-2020 годы, разработанная Министерством строительства и регионального развития Словакии или система субсидий Министерства культуры на эти годы не учитывает область креативной экономики. Значимым событием для данной области была лишь конференция о креативных отраслях экономики на тему "Свобода творчества (Freedom of Creativity)", которую в 2009 году организовало Представительство Европейской Комиссии в Словакии. Целью конференции было повысить осведомленность о креативной экономике и возбудить общественную дискуссию о её важности для экономического и социального развития общества. Паралельно с этими вопросами в академической а предпринимателской среде возникаект дисскусия о знечении кластеров в развитии креативной экономики.

## 1. Теоректические предпосылки исследования значения кластеров в развитии креативных отраслей экономики

Вопрос о значении кластеров в развитии креативных отраслей экономики является относительно мало разработанным как в отечественной, так и в научной литературе развитых стран. Хотя проблемы ереативной экономики становятся предметом научного и общественного интереса в развитых странах уже с конца прошлого века [1-5]. Несколько позже эта научная деятельность активировалась в отечественной академической среде а в иных странах Выходной Европы [6; 7]. Проблематика так называемой креативной промышленности и самое определение понятия в научной среде начинается с работ Р. Флориды [8; 9]. А креативные отрасли промышленности, которые основаны на творческой человеческой деятельности, как правило, связаны с образованием так называемых экспрессивных ценностей, - эстетических, духовных, символических и тому подобное, - понимаются как универсальное лекарство проти хозяйственному упадку особенно в тех частях света, где не оправдавлись традиционные отрасли промышленности. [10].

Как правило, отрасли креативной промышленности включают в себя производство ценностей в области культуры, прикладного искусства, музыки, производство видео, радио и телевизионных программ, компьютерное программирование, веб-порталы, реклама, бизнес, маркетинговые консультации и исследования рынка, написание и издание книг, творческие и культурно-зрелищные мероприятия и тому подобное. [11; 12]. Кроме этого к ним принадлежит такая деятельность как печать и тиражирование записанных носителей информаций или издательская деятельность. Конечно, реальное написание книг, создание видео, различных программ, производство сценариев и тому подобное является ясной творческой деятельностью. Однако их распространение и тиражирование, конечно, является уже классическим производством товаров и услуг.

В научных публикациях в странах Западной Европы рассматриваются не только экономичнские но и такие переменные кластеров как временные а пространсрвенные аспекты в завиыимости от специфических свойств креативных отраслей экономики. [13; 14]. Много публикаций своё внимание уделяет разработке теоретических и практических моделей кластеров а исследуют условия их реализации, предлагают методологически коэкзистентные сравнения креативных отраслей экономики Франции, Италии, Испании и Великобритании. (15; 16).

На основании разговоров с руководителями предприятий креатвных отраслей экономики в Англии Roberta, C. пришёл к выводу, что предприятия, которые занимаются призводством товаров и услуг связанных с культурой, достигают лучших экономических результатов, если они сотрудничают с другими предприятиями

в составе кластера. Такой вывод имеет большое значение для создателей кластеров и для научных исследований. (17). Вместе с тем мы не нашли релевантых иссдевований и адекватных заключений о преимуществах сотрудничества в кластерах в иных креативных отраслях экономики. Именно на этом осноавнии мы сделали попытку осуществить анализ деятельности кластеров и их влияния на экономичнскую эфективность креативных отраслей экономики в Словакии.

## 2. Цель и методология исследования

Исходя из выше уведенного этого главной задачей данного исследования становвится определение значения класторов в развитии креативных отраслей промышленности. Для достижения этой цели, определены следующие задачи:

определить степень сотрудничества предприятий креативной экономики в кластерох;

- определить осведомлённость и осознание важности влияния класторов на эфективность предприятий креативной промышленности, на их социальное и экономическое развитие;
- на основании опроса руководителей предприятий, которые сотрудничают в кластере, определить их оценки значения кластеров в економическом развитии предприятий креативных отраслей экономики;
- на основании опроса руководителей предприятий, которые не сотрудничают в кластере, определить их оценки значения кластеров в економическом развитии предприятий креативных отраслей экономики;
- сравнить оценки руководителей этих двох групп предприятий и определить влияниие кластеров на экономическую эфективность предприятий креативных отраслей экономики.

Методы исследования, используемые в данной публикации, основаны на реализации эмпирического исследования предприятий креативной экономики Словакии в 2017 году методом структурированного интервъю ведущих работников этих предприятий.

Выбор субъектов для реализации структурированного интервъю был проведен в произвольном порядке в количестве 273 компаний из общего числа 1239, зарегистрированных в системе государственной статистики "Классификация видов экономической деятельности (SK-NACE)“. Были проведены интервью с представителями топ-менеджмента (или владельцами), которые своё предпринимательство осуществляют в креативных отраслях экономики. Корректность выборки подтверждается сравнением 3 категорий предприятий в зависимости от оборота, выделенных в "Классификации...“ и количеством выбранных предпричтений для опроса, где в структурированном интервъю мы спросили о вышке оборота. В системе "Классификации ...“ среди 1239 субъектов 65% относятся к группе с оборотом до 1 млн. ЕВРО, 20% к группе от 1 до 5 миллион и 14% - к группе 5 или более миллион ЕВРО. В соответствии с этим выборка разделтлась на 56 %, 23% и 21% (Табл. 1).

*Табл 1. Репрезентативность выборки*

| Генеральная совокупность | | | Выборка | |
|---|---|---|---|---|
| **Выручка (в мил. евро)** | **Количество по (SK-NACE)“** | **Доля в процентах** | **Количество опрошенных** | **Доля в процентах** |
| до 1 мил. | 813 | 66 | 152 | 56 |
| от 1 до 5 мил. | 249 | 20 | 63 | 23 |
| от 5 и более мил. | 177 | 14 | 58 | 21 |
| Итого | 1239 | 100 | 273 | 100 |

Предпринимательская деятельность опрошенных компаний креативных отраслей промышленности в различных областях Словакии в значительной степени основаны на исторических и культурных традициях отдельных областей и городов (29% опрошенных предприятий) и на развитии современных технологий и соответствующих отраслей производства (71%). По нашим данным, абсолютное большинство опрошенных компаний (63%) активно участвует в рекламе, архитектуре, графическом дизайне, музыке и развлечении, изобразительном искусстве и антиквариате, в обеспечении видео и аудио-визуальной продукции, образовательных и развлекательных программ. При этом самое большое число респондентов, занятых в рекламе (14%). В нашей выборке отсуствуют предприятия, которые занимаются производством изделий визуального искусства и антиквариата.

Остальные около 50% респондентов разделяются между архитектурой, графическим дизайном, образовательными программами и программами свободного времяпровождения - более 8%; художественной и дизайнерской мебелью, музыкальным искусством и развлечением, телевидением, радио, интернетом, вещанием, писанием и излданием публикаций занимаются 4% респондентов. Предпринимательская деятельность остальных с общего числа опрошенных компаний (37%) не определены в статистической классификации экономичемкой деятельнолсти.

Абсолютное большинство опрошенных предприятий принадлежит к категории малых. Например, более чем 52% предприятий с нашей выборки имеет до 15 занятых. Компании нанимающие работников с численностью до 50 человек представляют 19% и более 50 занятых людей имеет только 8% опрошенных компаний. А 19% компаний принадлежат к подникательским субъектам, которые не нанимают других работников.

## 3. Резудьтаты иследоввания

В общей оценке бизнес-сектора креативных отраслей промышленности только 7% представителей опрошенных предприятий отметили, что эта коммерческая деятельность, независимо от экономического кризиса уже давно в упадке. Тем не менее, 39% респондентов выразили убеждение в том, что в этой практике всегда остаются возможности для бизнеса. Почти треть (29%) считают, что бизнес в секторе креативных отраслей промышленности находится в застое. Причину этого состояния, почти половина представителей компаний креативных отраслей экономики (43%) видит в экономических проблемах (такие, как падение спроса, проблемы финансирования, инвестиций, и т.д.). Другой важной причиной является отсутствие поддержки со стороны государства (24%), законодательные проблемы - 16%, отсутствие поддержки со стороны органов местной власти - 15%. Только 2% представителей опрошенных компаний отметили отличающиеся от названных выше проблем.

Что касается опыта в вопроссах финансовой поддержки предпринимательства в сфере креативных отраслей экономики со стороны государства и местных органов власти или из фондов Европейского союза, то абсолютное большинство класторов (55%) не имели опыта, но 25% представителей отметили, что претендовали на поддержку со стороны государственной власти, местных органов власти или фондов Европейского союза и были в этом успешными. Только 20% опрошенных представителей кластеров имеют негативный опыт в вопросах получения внешней помощи - претендовали на поддержку, но их попытки не увенчались успехом.

Важным для потенциала кластеров креативных отраслей промышленности является вера а признание лицами (фирмами и производственными компаниями) их способности положительно влиять на экономическую эфективность отдельных производственных субектов, принадлежащих к кластеру. По данным нашего опроса, только 8 % опрошенных респондентов представителей компаний, которые не сотрудничают в кластере, не знакомы с этой проблемой. Еще 30% респондентов представителей этих компаний осведомлены об этой проблематике из прочитанной литературы или из средств массовой информации. Остальные, в общей сложности 22% узнали о вопросах креативных отраслей промышленности на конференциях или семинарах, организуемых государственными органами или органами местного самоуправления (15%) или на мероприятиях, организованных университетами и другими профессиональными институтами (7%).

Наибольшее преимущестао от сотрудничества в кластерах представиителя предапрятий которые принимают в них участие видят в возможностях получения субсидий из фондов Европейского союза. Эта совместная деятельность в рамках кластера в оценках руководителей предприятий досталась на первое место в иерархии. (Табл. 2). Это означает, что каждый пятый представиитель предпрятий креативной экономики считает, что сотрудничество в кластерах позволчет успешнее получить субсидии из фондов Европейского союза.

***Табл. 2 В каких сферах деятельности предприятий имеет значение соирудничество в кластерох? (отметьте только 3 позиции)***

| Сферы деятельности предприятий | Предприятия в кластере | | Предприятия вне кластера | |
|---|---|---|---|---|
| | n | % | n | % |
| В реализации совместных проектов | 45 | 15 | 54 | 12 |
| В завоевании новых рынков | 26 | 9 | 35 | 7 |
| В разработке инноваций | 28 | 10 | 64 | 14 |
| В повышении конкуренции | 16 | 5 | 33 | 7 |
| В пропоганде а рекламе | 42 | 14 | 71 | 15 |
| В маркетинговой стратегии | 28 | 10 | 22 | 5 |
| В обмене и получении новых информаций | 12 | 4 | 91 | 20 |
| В получении государственных субсидий | 25 | 8 | 26 | 6 |
| В поиске и получении инвестиций | 14 | 4 | 23 | 5 |
| В получении субсидий из фондов Европейского союза | 55 | 19 | 43 | 9 |
| Итого | 291 | 100 | 462 | |

На другом месте в иерархии оценок преимуществ от сотрудничества в кластерах оказалась деятельность в реализации совместных проектов – эту позицию отметили 15 % наших респондениов. Третью позицию в иерархии оценки преимуществ от сотрудничества в кластерах отметили 15 % представиителей предапрятий которые сотрудничают в кластерах. В остальных сферах совместной деятельности в кластерах предприятия которые в них сотрудничают почти не видят преимуществ. В иерархии оценок эти виды совместной деятельности оказались на очень низких прзициях с адекватными низкими процентами – от четырёх до восьми процентов. К ним принадлежат такие совместные деятельтости как повышение конкуренции, обмен и получение новых информаций, получение государственных субсидий и наконец поиск и получение инвестиций.

Почти по другому оценивают преимущества от сотрудничества в кластерах представиители предапрятий которые не сотрудничают в кластерах. Наибольшим преимуществом они считают возможности обмена и получении новых информаций – эту позицию отметили 20% наших респондениов, предапрятия которых не сотрудничают в кластерах. На другом месте в иерархии оценок предапрятий которые не сотрудничают в кластерах оказалась пропоганда а реклама и на третем месте - разработка инноваций. В таких сферах совместной деятельности в кластерах как завоевание новых рынков, повышение конкуренции, реализация маркетинговой стратегии, поиск и получение инвестиций и получение государственных субсидий предприятия которые в них не сотрудничают, почти не видят преимуществ.

Как видно, иерархии оценок преимуществ от сотрудничества в кластерах предприятий которые в них сотрудничают с одеой стороны и которые в них не сотрудничают с другой значительно отличатся. Это видно как в процентных распределениях оценок, так и в позициях отдельных видов деятельности в иерархии. Рассчитанный коэфициент кореляции Спирмена (R ) равен 0,24 на уровне P 0.50 свидетельствуют, что связь между этими двумя переменными не можеме считать статистически значимой.

**Заключение**

Результаты проведённого анализа свидетельствуют, что характерной особенностью креативных отраслей экономики в является преобладающее количество малых предприятий и ремесленников. В сегменте креативных отраслей экономики наблюдается широкое представительство таких современных производственных предприятий как, например, печать, запись видео, текстовые и аудио записи на электронных носителях, музыкальные студии и тому подобное. Результаты проведённого анализа свидетельствуют, что большинство лидеров компаний креативных отраслей экономики в соглашается с важностъю и влиянием кластеров на экономическое развитие общества. Вместе с тем низкая оценка значения отдельных совместных видов деятельности в кластерах свидетельствует о том, что большинство предприятий креативных отраслей экономики находит очень мало преимуществ от сотрудничнства м кластерах.

Статья написана в рамках реализации проекта VEGA č.1/0953/16.

**Литература:**


1. Amabiel, T.M. Creativity in Context. Colarado: Westview Press, 1996.
2. Bell, D. The Coming of Post-Industrial Society. New York: Basic Books, 1973.
3. Becker, G.S. Human Capital. New York: Columbia University Press, 1975.
4. Kelly, K. New Rules for the New Economy. New York: Viking, 1998.
5. Larsen, H. H., Mayrhofer, W. Managing Human Resources in Europe. Abingto, 2006.
6. Kaňáková, Z., Bláha, J., Babicová, J. Řízení lidských zdrojů. Ostrava: J. A. Komenského, 2000.
7. Kleibl, J., Dvořáková, Z., Šubrt, B. (2001): Řízení lidských zdrojů. Praha: C.H. Beck, 2000.
8. Florida, R. The Rise of the Creative Class: And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.1stedition. New York: Basic Books, 2002.
9. Florida, R. Who is your city? How the Creative Economy Is Making Where to Live the Most Important Desigion of Your Life. New York: Basic Books, 2009.
10. Finkel, R., Jones, D., Sang, K., Stoyanova Russell, D. Diversifying the creative: Creative work, creative industries, creative identities. Organization, 2014, vol. 24, 3: pp. 281-288.
11. Cikánek, M. Kreativní průmysly příležitost pro novou ekonomiku. Praha: Institut umění – Divadelní ústav, 2009.
12. KEA European Commision. The Impact of Culture on Creativity. [2018.07.26] Available at: http://www.ke-anet.eu/impactcreativityculture.html).
13. Patt, A. C. Creative Clusters: Towards the Governance of the Creative Industries Production System? Media International Australia Incorporating Culture and Policy, 2004, vol. 112 (1), pp. 50-66.
14. Boix, R., Capone, F., De Propris, L., Lazzeretti, L., Sanchez, D. Comparing creative industries in Europe. European Urban and Regional Studies, 2014, vol. 23, 4: pp. 935-940.

15. Mark J. S., Susan, C., S. Cultural Clusters: The Implications of Cultural Assets Agglomeration for Neighborhood Revitalization. Journal of Planning Education and Research, 2010, vol. 29, 3: pp. 262-279.
16. Roberta, C. Rethinking the Creative City. The Role of Complexity, Networks and Interactions in the Urban Creative Economy. Urban Studies, 2010, vol. 48, 6: pp. 1157-1179.
17. Grodach, C., Currid-Halkett, E., Foster, N., Murdoch, J. The location patterns of artistic clusters: A metro- and neighborhood-level analysis. Urban Studies, 2014, vol. 51(13), pp. 2822-2843.

## The Importance of Clusters in the Development of Creative Branches of Economy

***Emília Krajňáková***
*doctor of sociology, Associated Professor*
*University of Alexander Dubchek in Trencin,, Slovakia*

S u m m a r y

In the study, we analyze the importance of clusters’ economic potential in the development of creative industry. In addition, we characterize clusters’ qualitative characteristics and their ability to influence economic effectiveness and development of the companies involved in the cluster initiatives. This analysis is based on the evaluations of clusters’ activities, which we gained through conducting a structured interview; its respondents being the representatives of top management of companies active in the creative industry. The companies which were included in the research were both participants and non-participants in the cluster initiatives.

**Key words:** *Creative industry; economic potential; forms of cooperation; common interests; cluster.*

# კონკურენტული რისკები აგრობიზნესში და მათი შემცირების გზები

**თამარ ლაზარიაშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი*

*სტატიაში შესწავლილია აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში, გაანალიზებულია ამ სფეროში არსებული კონკურენტული რისკები, შეფასებულია სახელმწიფოს როლი აგროსასურსათო ბიზნესის განვითარებაში. შესაბამისი მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები და მოცემულია მათი გადაჭრის გზები, შემუშავებულია დასკვნები და მოცემულია აგრობიზნესში კონკურენტული რისკების შემცირების რეკომენდაციები.*

*საკვანძო სიტყვები: აგრობიზნესი; კონკურენტული უპირატესობა; კონკურენცია; კონკურენტული რისკის შემცირება.*

აგრობიზნესი გამორჩეული სფეროა საქართველოში, მას განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება. 2004-2017 წლებში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შედეგად ქვეყანამ საგრძნობი ეკონომიკური ზრდა განიცადა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნესგარემო. მშპ საშუალოდ 7%-ით გაიზარდა. ამის მიუხედავად, ქვეყანა კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე დგას: უმუშევრობის მაღალი დონე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაბალი მაჩვენებელი, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე თვითდასაქმებულთა დაბალი პროდუქტიულობა, სიღარიბე (განსაკუთრებით რეგიონებში, სოფლად) და ა.შ. აგრობიზნესის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% (1,591.9 ათასი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) [1], ხოლო 2015 წელს დასაქმებულთა 48.6% სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობაშია დასაქმებული. 2015 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მშპ 9.1%-ს შეადგენს. საქართველოს აგრობიზნესის განვითარებისკენ მიმართული მიდგომა უნდა აერთიანებდეს კომპლექსურ და სტრატეგიულ მეთოდებზე დაფუძნებულ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა ყოფა და ამავდროულად, უკეთ იქნება დაცული კულტურული მემკვიდრეობა და ბუნებრივი გარემო.

ბაზრის ფუნქციონირებას მუდმივად თან ახლავს განუსაზღვრელობა. აღნიშნულის გამო აგრობიზნესის განვითარება გარკვეულ რისკფაქტორებზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ის ძირითადი მიკროეკონომიკური რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ აგრობიზნესის განვითარებაზე. მათ მიეკუთვნება: საკუთრების ფორმა, ფირმის წილი ბაზარზე, ფირმის ფინანსური მდგომარეობა, ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკები, მოსახლეობის შემოსავლები, სიღარიბის დონე, ინვესტიციური მიმზიდველობა, საკადრო პოტენციალი, ინოვაციური პოტენციალი, წარმოების ორგანიზაცია და სხვა. ასევე ცალკე უნდა შეფასდეს ფინანსური, საკრედიტო და კონკურენტული რისკები. რისკებს შორის ასევე გასათვალისწინებელია: ბიზნეს საქმიანობის მცირე გამოცდილება, მეწარმეობრივი უნარების განვითარების დაბალი დონე და სხვა. მიკროეკონომიკური რისკების შეფასებისას აუცილებელია გარესამეწარმეო ფაქტორების გათვალისწინება (საკანონმდებლო ბაზა, ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები, კონიუქტურის ცვლილება და სხვა). ნებისმიერი მეწარმისთვის აუცილებელია სარისკო ალტერნატივებისა და სიტუაციების საფუძვლიანი ანალიზი და რისკების მართვის ძლიერი სისტემის შექმნა. რისკებისგან სამეწარმეო საქმიანობის დაცვის საუკეთესო საშუალებაა სწორი ანალიზი, სიტუაციის მართებული შეფასება და ჩამოყალიბებული სამეწარმეო საქმიანობის დაზღვევის მექანიზმის გამოყენება.

აგრობიზნესში ფინანსური რისკების თავისებურება დაკავშირებულია წარმოების სეზონურობასა და დაბანდებების შედარებით გვიან ამოგებასთან. ის უპირველესად ეხება მოკლევადიან და გრძელვადიან კრედიტებს. მოკლევადიანი კრედიტები გამიზნულია საბრუნავი საშუალებების, საწვავ-საცხები მასალების, სასუქების, შხამ-ქიმიკატების, სათესლე მასალის და ა.შ. შეძენასთან, ხოლო რაც შეეხება გრძელვადიან კრედიტებს, მისი მიზანია ახალი მშენებლობის, ტექნიკისა და მოწყობილობების, ჯიშიანი პირუტყვის და ა.შ. შეძენა.

თანამედროვე ეკონომიკაში, აგრარული რისკების ანალიზსა და მართვას, ასევე მათგან დაზღვევას, დიდი ყურადღება ექცევა, რაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საშუალებას აძლევს იმოქმედონ თავისუფლად და დაიცვან ბიზნესი მოულოდნელი უარყოფითი მოვლენებისაგან.

აგრობიზნესში კონკურენტული ბრძოლა ძირითადად კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების პირობებში მიმდინარეობს. დღეს ამ სექტორის ყველა დარგში და ქვედარგში პროდუქტების თითქმის 100% კერძო სექტორში იწარმოება. მაგრამ ერთგვარი დისბალანსია კერძო საკუთრებაში წარმოებული პროდუქტების მოცულობასა და მიწის ფართობებს შორის [2, 101].

2016 წელს აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვება 2.3%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მონაცემს. 2016 წელს, სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გამოშვება, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 40.4%-ით, ხოლო გადამამუშავებელ სექტორში 18.0%-იანი ზრდა ფიქსირდება. აგროსასურსათო სექტორის წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში, 2016 წლის წინასწარი მონაცემებით, 15.8 %-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 2012 წელს 14.6 %-ს .

2016 წელს, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი 88 ქვეყანაში განხორციელდა. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 692.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 13.1%-ით აღემატება 2015 წლის და 35.6%-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მონაცემებს. აღნიშნულ პერიოდში, ქვეყნის მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 33%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: თხილი (26%), ღვინო (16%), სპირტიანი სასმელები (13%), მინერალური და მტკნარი წყლები (12%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (5%), თევზის ფქვილი (2%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (2%), ციტრუსი (2%) და სხვა. 2016 წელს, საქართველოში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი განხორციელდა 105 ქვეყნიდან. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1.1 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 4%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 14.7%-ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია: თამბაქო (10%), ხორბალი (8%), შაქარი (6%), შინაური ფრინველის ხორცი (5%), შოკოლადის ნაწარმი (5%), მცენარეული ზეთი (4%), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (3%), საკვები დანამატები (3%) და სხვა.

აგრობიზნესში რისკის წარმოშობა დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პირობებთან. მისი გამოვლენის ფორმებია: მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის ცვლილება და შესაბამისად საბაზრო ფასის ცვლილება; კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება; სატრანსპორტო და პროდუქციის შენახვის ტარიფების გაზრდა და ა.შ.

საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. შესაძლებელია დღევანდელი, ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების ხუთჯერ გაზრდა. სოფლის მეურნეობის განვითარებას ძალზე დადებითი სოციალური შედეგებიც მოყვება. ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის.

ფინანსური რისკების შესწავლა აგრობიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. მცირე შემოსავლების გამო ამ სახეობის რისკების შესამცირებლად მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების მოზიდვა. ამ მხრივ ფირმების მდგომარეობა არასტაბილური და სტაგნაციურია. აგრობიზნესში მიკროეკონომიკური რისკების ზემოქმედებას მნიშვნელოვნად ზრდის ბუნებრივი ფაქტორები. ამ სფეროში სამომხმარებლო ღირებულება ბუნებრივი ძალებითაც იქმნება. მიმდინარე და გრძელვადიან პერიოდებში გასათვალისწინებელია დაზღვევის გავლენა რისკების შემცირებაზე (განსაკუთრებით აქტუალურია მოსავლის დაზღვევა).

აგრობიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანია ახალი მომხმარებლის მოზიდვა არსებულ და ახალ ბაზრებზე პროდუქტის ცნობადობისა და რეპუტაციის დამკვიდრების გზით. მომხმარებლის მოზიდვა პირდაპირ კავშირშია გაყიდვების ზრდის შესაძლებლობასთან. კონკურენტული რისკების შეფასების დროს გასათვალისწინებელია საწარმოებისა და ინდივიდუალური შემოსავლების დონე. დაბალი შემოსავლები, სიღარიბის მაღალი დონე უარყოფითად აისახება წარმოების ფაქტორთა და პროდუქტების მოთხოვნაზე. გამოკვლევებით კონკურენტულ რისკ-ფაქტორთა შორის დასახელებულია: საკრედიტო რესურსების სიმცირე. საგადასახადო სისტემა, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, პროდუქტების იმპორტი, არასამართლიანი კონკურენცია[3].

გამოკითხულთა უმეტესობა კონკურენტულ რისკებად მიიჩნევს ტექნოლოგიების განუვითარებლობას, ასევე სასათბურე მეურნეობის განვითარების დაბალ დონეს, რაც აფერხებს პროდუქციის ზრდას, გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია ხასიათდება სეზონურობით, განსაკუთრებით ზამთარში ქართველი ფერმერები ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოებას და ამ პერიოდში ძირითადად იმპორტირებული პროდუქციით არის გაჯერებული ბაზარი. ამიტომ, მნიშვნელოვანია ლოჯისტიკის განვითარება, რათა პროდუქცია აკმაყოფილებდეს სტანდარტებს და ადგილობრივი ბაზარიც გაჯერდეს ქართული პროდუქციით.

აგრარული სექტორისათვის მუდმივი რისკის ფაქტორია სტიქიური მოვლენები, რაც აზარალებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და შედეგად მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. საქართველოში სტიქია ძრითადად გვევლინება მიწისძვრების, წყალდიდობის, ზვავებისა და სეტყვის სახით. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული რელიეფიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო მოხმარების მიწები იმგვარად არის განაწილებული, რომ ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს მხოლოდ მიწების 39%, უფრო ზემოთ 500-1000მეტრზე- 29%, 21%- 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო 11% 1500 და უფრო ზემოთ [4].

*სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს მშპ-ში, % (პირველადი წარმოება)[5]*

*დიაგრამა: 1*




მიუხედავად საქართველოში არსებული ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული პირობებისა, აგრარული სექტორის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება სხვა დარგებს და შესაბამისად მისი წილი ეკონომიკაში ძალიან დაბალია. თუმცა, ბოლო პერიოდში აგრარულ სექტორში წარმოების ნომინალური ზრდა დაფიქსირდა, რაც უმეტესწილად განპირობებულია სასოლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების ან გამოშვების რაოდენობის ზრდით.

მშპ-ში აგრარული სექტორის წილი წლების მიხედვით მერყევი ტენდენციით ხასიათდება. თავის მაქსიმუმს 2013 წელს 9.4%-ით მიაღწია, მას შემდეგ მომდევნო ორი წლის მონაცემებით კლება ახასიათებს, საბოლოოდ 2016 წელს მშპ-ში აგრარული სექტორის წილი მხოლოდ 9.3%-ს შეადგენს (დიაგრამა 1).

*აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, %*

*დიაგრამა: 2*




აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, ბოლო რამდენიმე წელია (2010 წლიდან) უმნიშვნელოდ იცვლება. 2014 წლიდან აგრარული სექტორის გამოშვების წილი კლებულობს (საშუალოდ 0.95%-ით წელიწადში) და 2016 წლისთვის 16.2 %-ს შეადგენს (დიაგრამა 2) [6].

აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ძლიერი ფაქტორია სიღარიბის მაღალი დონე სოფლად. სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა ხელფასები კი ქვეყანაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64%-ს შეადგენს. ამასთან გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში სიღარიბის დონის შემცირებისა და კეთილდღეობის ამაღლების მხრივ თითქმის არაფერი შეცვლილა. ქალაქსა და სოფელს შორის შემოსავლების განსხვავება ძალიან დიდია, ეს იმ პირობებში როცა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 55% სოფლად მცხოვრებია. სასურველია სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდეს შესაბამისი პროექტები, წახალისდეს აგრობიზნესის სფეროს საქმიანობები, შეიქმნას სასაწყობო მეურნეობები[7]. აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს აგროსფეროში არსებულ რისკებს და ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის დაკრედიტების მოცულობის ზრდას. ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს აგრარულ ბაზარზე დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს აგრობიზნესში კონკურენტული რისკების შემცირებაში. ამისათვის საჭიროა რეგულირდებოდეს სტრატეგიული და ადმინისტრაციული საკითხები: სტატისტიკური მონაცემების შექმნა ცალ-ცალკე აგროზონებზე, რაშიც

ადგილობრივი ორგანოების ჩართულობაა საჭირო; ფერმერებისათვის ტრენინგების ჩატარება და მათთვის კონსულტაციების გაწევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობა; სათესლე, საწამლი თუ სასუქების ხარისხის კონტროლზე აყვანა; აგროდაკრედიტების მიღების გაიოლებისა და გაიაფების ხელშეწყობა და ა.შ.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
2. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011. გვ.101.
3. გაეროს განვითარების პროგრამა (2008), ჰუმანური განვითარების ანგარიში 2007/2008.
4. საქართევლოს რელიეფი - სიმაღლებრივი დახასიათება. http:// geografian.wordpress.com
5. www.geostat.ge
6. www.geostat.ge
7. ლაზარიაშვილი თ. აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები", პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 10-11 ივლისი, 2015.


## Competitive Risks in Agribusiness and the Ways for Reducing them


***Tamar Lazariashvili***

*Assistant Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi state university*



S u m m a r y

The paper studies the trends of agribusiness development in Georgia, analyzes the existing competitive risks in this field and assesses the role of the state in the development of agri-food business. While assessing competitive risks, the level of income of enterprises and individuals should be taken into consideration. Attraction of new customers by increasing the awareness and reputation of a product on new and existing markets is very important. The factors hindering the development of agri-business are identified in the paper by applying appropriate methods; the ways to solve the problems are suggested, conclusions are developed and recommendations for reducing competitive risks in agri-business are provided.



***Key words***: *agribusiness; competitive advantage; competition; reduction of competitive risks.*

# ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის მეცნიერული კვლევის აქტუალიზაციის საკითხისთვის


**ეკა ლეკაშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*



*საქართველოში ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებამ ვერ უზრუნველყო წარმატებული ეკონომიკური ტრანსფორმაცია და განვითარება. საჭიროა განვითარების განვლილი გზის ფუნდამენტური გადააზრება, რაც გულისხმობს განვითარებისკენ მიმართული ახალი ტიპის კომპლექსური პოლიტიკის შემუშავება-გატარებას.*

*ნაშრომში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა, რომელიც ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის მეცნიერული შესწავლის ამოცანებს, მისი მიღწევის რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებს და კვლევის მოსალოდნელ შედეგებს განსაზღვრავს. ამასთან, გამოკვეთილია კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობები.*



*საკვანძო სიტყვები: ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა; სახელმწიფო და ეკონომიკა.*


**პრობლემის აქტუალურობა:** საქართველოში ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებამ ვერ უზრუნველყო წარმატებული ეკონომიკური ტრანსფორმაცია და განვითარება, რის გამოც ეჭვები გაჩნდა პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის მიმართ. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დღევანდელი გლობალური კონკურენტული ეკონომიკის პირობებში საქართველოში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მისიის მხოლოდ ადგილობრივ საბაზრო ძალებზე დაკისრება სრულიად უშედეგოა. საჭიროა განვითარების განვლილი გზის სიღრმისეულად გადააზრება, რაც გულისხმობს განვითარებისკენ მიმართული ახალი ტიპის კომპლექსური პოლიტიკის შემუშავება-გატარებას.

მსოფლიო გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ისტორიული განვითარების ყველა დონეზე რადიკალური ცვლილებების მომტანი იყო და არის მხოლოდ და მხოლოდ მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს, აჯანსაღებს ეკონომიკის სტრუქტურას, აქვს გადადინების მაღალი ეფექტი და ზემოქმედებას ახდენს კეთილდღეობაზე [3; Marcus Noland, Howard Pack, 2003; 5;6; Justin Lin, Ha-Joon Chang, 2009; Dani Rodrik, 2004].

საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული პრობლემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: არამდგრადი ეკონომიკური ზრდა, მაღალი უმუშევრობა, არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, სიღარიბე, მაღალი შრომაინტენსიური წარმოება, ნაკლები ინვესტიციები კვლევასა და განვითარებაში და ა.შ., რომელთა დაძლევის უმთავრეს გზად გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (2016) [9] და ფინანსებისა და მენეჯმენტის ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელთა რეკომენდაციით (2015) მიჩნეულია მაღალი დამატებული ღირებულების მწარმოებელი ინდუსტრიების განვითარება და ინდუსტრიული პოლიტიკის საჭიროება. ნიშანდობლივია, რომ 1980-იანი წლებიდან შეიცვალა ,,ინდუსტრიული პოლიტიკის“ განმარტება: თუ მანამდე მოიაზრებოდა სახელმწიფოს ეკონომიკაში პირდაპირი ჩარევა, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ფირმების ფორმირების, მათი აგლომერაციის, ინოვაციებისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ხელშეწყობას ღია ეკონომიკის პირობებში. თუ ტრადიციული ინდუსტრიული პოლიტიკა მიზანმიმართულად იყენებდა მართვისა და კონტროლის ისეთ „ხისტ“ საშუალებებს, როგორებიცაა ფული (ფინანსური სტიმულები) და კანონი (რეგულაციები). დროთა განმავლობაში ამ მიდგომას დაემატა „რბილი“ ინსტრუმენტები - საჯარო- კერძო დიალოგი (PPD), საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPP) [15], თუმცა ამ მიდგომების შეზღუდვებიც გამოაშკარავდა და მოთხოვნები სახელმწიფოს ქმედებებზე, კომპეტენტურ მოხელეებზე იცვლება. საჭირო ხდება სახელმწიფო ინტერვენციის ინოვაციური ფორმების პოვნა და გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის საკითხის აქტუალურობა ეჭვს არ იწვევს ეკონომიკური აზროვნების პლურალიზმის, თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის კვლევისა და სწავლების, ასევე კვლევის შედეგების გამოყენებითი მიზნებიდან გამომდინარე.

**კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები:** არ არსებობს საყოველთაო შეთანხმება იმაზე, თუ რა არის ინდუსტრიული პოლიტიკა. ზოგადი განმარტებით, **ინდუსტრიული პოლიტიკა - კონკრეტული დარგების განვითარების გაფართოებისკენ მიმართული სამთავრობო პოლიტიკაა**, რომლის მიზანსაც, პოლიტიკური უპირატესობის ნაცვლად, კონკურენტული უპირატესობის მიზნის მიღწევა წარმოადგენს. ცნობილი ეკონომისტის დანი როდრიკის განმარტებით ,,...**ინდუსტრიული პოლიტიკა მოიცავს პოლიტიკებს, რომლებიც ასტიმულირებენ სპეციალურ ეკონომიკურ აქტივობებს და ხელს უწყობენ სტრუქტურულ ცვლილებებს**“[ Dani Rodrik,2004].

1990-იანი წლებიდან ინდუსტრიული პოლიტიკა კონცენტრირდებოდა კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე, უკანასკნელ წლებში კი აქცენტი ღიად კეთდება **ეკოლოგიურ (მდგრად, მწვანე) ინდუსტრიულ პოლიტიკაზე**. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)[19] ამკვიდრებს ტერმინს - **ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიული განვითარება** (ISID). დღეს ინდუსტრიული პოლიტიკა პოსტ-მოდერნული კონტექსტით განიხილება. ინდუსტრიული პოლიტიკა არის სტრუქტურული ცვლილებისკენ მიმართული პოლიტიკა, რაც ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. კონკურენციის პოლიტიკას (ანტიმონოპოლიური რეგულირება, საკუთრების უფლების დაცვა, ვაჭრობის საერთაშორისო წესების დაცვა და ა.შ) და 2. პოლიტიკებს, რაც ხელს უწყობს „ფირმების" და „ინდივიდების" შესაძლებლობების გაუმჯობესებას კონკურენციულ ბრძოლაში გასამარჯვებლად (კვლევებისა და ტექნოლოგიების პოლიტიკა, განათლება და ტრენინგები, ფირმებთან კავშირი, უნივერსიტეტებთან ურთიერთობა და ა.შ). **ინდუსტრიული პოლიტიკის წარმატებისთვის, სახელმწიფოსა და მეწარმეებთან ერთად, კოორდინაციაში უნდა იყოს განათლება და მეცნიერება.**

ინდუსტრიული პოლიტიკა კოორდინირებული უნდა იყოს ფისკალურ, მონეტარულ, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების, აგრარულ, კონკურენციის, სახელმწიფო შესყიდვების და განათლების, კვლევებისა და ტექნოლოგიების, თავდაცვის და ჯანდაცვის პოლიტიკასთან.

**ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა გულისხმობს სტრატეგიულ თანამშრომლობას მთავრობასა და კერძო სექტორს შორის**, რათა გამოიკვეთოს რესტრუქტურიზებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორები და ინტერვენციების ტიპები მის გადასალახად.

ზოგადად, წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის **მიზანია კერძო სექტორის შევსება და არა მისთვის კონკურენციის გაწევა**. ეს ექსკლუზიურად ისეთ სფეროებს ეხება, სადაც კერძო სექტორს არ შესწევს საკმარისი ძალა რომ იმოქმედოს დამოუკიდებლად შექმნას **პოზიტიური ექსტერნალიები**, ასევე, **დროთაშორისი და გეოგრაფიულ ექსტერნალიები**.

გლობალიზაცია ცვლის ინდუსტრიული პოლიტიკის წესებს. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის იმპერატივია განვითარებადი ეკონომიკის **დივერსიფიკაციის** მოთხოვნა (სტიმულირება), რაც საეჭვოა მოხდეს მთავრობის პირდაპირი მოქმედების გარეშე, რადგან დივერსიფიკაციას აფერხებს **ინფორმაციული და კოორ-დინაციული ექსტერნალიები**. მეწარმეებს უნდა მიეცეთ ახალი პროდუქტების წარმოების ექსპერიმენტირების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, ინდუსტრიული პოლიტიკა არის თვითაღმოჩენის პროცესი (ჰაუზმენი, როდრიკი, 2004), როდესაც ფირმები და მთავრობა სწავლობენ ხარჯებს და შესაძლებლობებს და მოდიან სტრატეგიულ კორდინაციაში, უკეთესი კოორდინაციით და სახელმწიფო ინტიტუციების ინდუსტრიულ პოლიტიკაში გაუმჯობესებული კომპეტენციით.

მრავალი მკვლევარი ასაბუთებს, რომ სწორედ ინდუსტრიული პოლიტიკა განაპირობებდა ქვეყნების სწრაფ განვითარებას. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე რომ არ აღვნიშნოდ, რომლებიც ახლა პოსტინდუსტრიული და ციფრული ინდუსტრიების გავითარების სტადიაზე იმყოფებიან, შეიძლება **გავიზიაროთ** *სამხრეთ კორეის, ტაივანის, სინგაპურის, მალაიზიის* (ე.წ. აღმოსავლეთ აზიის სასწაული") **გამოცდილება**. წარმატებული მაგალითებია შემდეგ ქვეყნებში: *ჩილე, ბრაზილია, გაერთიანებული არაბთა ემირატები, სლოვენია, ესტონეთი,, თურქეთი* და ა. შ. [Edward Elgar, 2006; Robert Wade, 2010; Bozidar Cerovic, Aleksandra Nojkovic, Milica Uvalic, 2014; Ha-Joon Chang, 2009].

კვლევის თეორიული საფუძვლების ნაწილში განვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურაში ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის სამ ძირითად კონცეფტუალურ მიმართულებას, როგორიცაა:

ზრდის ენდოგენური თეორია (რომერი, 1990), რომელიც ემყარება ცოდნის და კვლევითი საქმიანობის დონეს ქვეყანაში;

ეროვნული კონკურენტუნარიანობის უპირატესობის თეორია (პორტერი, 1990), რომელიც მიკროეკო-ნომიკურ დონეზე მხარს უჭერს ცალკეული ქვეყნის საწარმოო კლასტერების ფორმირებას;

ეროვნული საინოვაციო სისტემების კონცეფცია ( ნელსონი,1993), რომელიც ემყარება ინოვაციებზე ზემოქმედებას საერთო ეროვნული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან, სავაჭრო პოლიტიკისა და განათლების სექტორის, ინსტიტუტების ქცევიდან გამომდინარე.

საკვლევი პრობლემა ატარებს რა საზოგადოებრივ ხასიათს, მიმდინარე ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლევის ზოგადფილოსოფიური, ისტორიული, სტატისტიკური, შედარებითი ანალიზის მეთო-დების გამოყენება. ამასთან, გაანალიზებული იქნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის კვლევებით და მეთოდური მიდგომებით [16;17;18;19;20], ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის საკითხებზე არსებული მოწინავე კვლევის შედეგების საფუძველზე (ნოლადნი და პაკი, 2003; პორტერი, 2009; ბიანჩი, 2010; ლინი და ჩანგი, 2009; როდრიკი, 2004; ვეიდი 2010 და ა.შ).

გაანალიზებული იქნება ისეთ მაჩვენებლები, როგორიცაა კონკურენტული ინდუსტრიული მდგომა-რეობის ინდექსი (the Competitive Industrial Performance Index), რომელიც წარმოადგენს ინდუსტრიულ კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შერჩევის ინსტრუმენტს. ამ ინდექსის საფუძველზე შევაფასებთ ტრანსფორმირებადი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ინდუსტრიულ პოლიტიკას შემუშავებისა და დიაგნოსტიკის ასპექტებით. ინდექსი შედგება სამი ძირითადი მაჩვენებლისგან: პირველი მათგანი ასახავს

ქვეყნის შესაძლებლობებს პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის კუთხით. ამ მაჩვენებლის სუბ-ინდიკატორებია: ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული დამატებული ღირებულება (MVApc) და წარმოებული პროდუქციის ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე (MXpc). მეორე განზომილება მოიცავს ქვეყნის ტექნოლოგიურ სიღრმეს და პროგრესს. კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის ინტენსივობას (INDint=[MHVAsh + MVAsh]/2. ამ შემთხვევაში გამოიყენება საშუალო და მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური წარმოების წილი მთლიანი წარმოების დამატებულ ღირებულებაში (MHVAsh) და ასეთი ტიპის პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში (MVAsh) და ექსპორტის ხარისხი (MXqual= [MHXsh+MXsh]/2). მესამე განზომილება ასახავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გლობალურ დონეზე და ქვეყნის წარმოებას მსოფლიო წარმოებაში. ამ შემთხვევაში, გამოიყენება ქვეყნის გავლენის მაჩვენებელი მსოფლიოში წარმოებულ დამატებულ ღირებულებაზე (ImWMVA) და ქვეყნის გავლენის მაჩვენებელი მსოფლიო ექსპორტზე (ImWMT) [16].

ასევე, მნიშვნელოვანია ჩატარდეს საქართველოში ინდუსტრიალიზციის პროცესის SWOT ანალიზი, მოხდეს მოწინავე ინდუსტრიების იდენტიფიკაცია, მათი შესწავლა პორტერის ალმასის მოდელის საფუძველზე. შესაძლებლობების ფარგლებში მოძიებული და შესწავლილი იქნება საქართველოსთვის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: პირდაპირი ინვესტიციების მიმღები მოწინავე დარგები საქართველოში; ძირითადი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქცია; სავაჭრო პარტნიორები; დანაზოგების და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების დონე; ეკონომიკური განვითარების ინდიკატოპრები; ინდუსტრიული საწარ-მოების რაოდენობა; კვლევისა და განვითარების მაჩვენებლები კომპანიებში; გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობის მაჩვენებელი; პროექტების განაწილება რეგიონების მიხედვით; კვლევების რაოდენობა და პუბლიკაციები; რეგიონული მასტიმულირებელი დანახარჯების ინდიკატორები; დასაქმებულთა რაოდენობა ინდუსტრიების მიხედვით და სხვა.

კვლევის მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა და თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების სისტემატიზაცია;
- ინდუსტრიული პოლიტიკის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი გლობალიზაციის პირობებში: მოწინავე და სწარაფად მზარდი ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;
- ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტიტუციური საკითხების შესწავლა საქართველოში: რეგულაციები, ინსტიტუციური მოწყობა და სტრატეგიული ხედვები;
- ინდუსტრიული განვითარების მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე საქართველოს ინდუს-ტრიული პოლიტიკის შეფასება;
- რეკომენდაციები საქართველოს ინდუსტრიული განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად.

ამრიგად, ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის შესახებ მოწინავე სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე მოხდება თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების სისტემატიზაცია; მოწინავე და სწრაფად მზარდი ქვეყნების ინსდუსტრიული პოლიტიკის მოდელების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთება მათი წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები; გამოვლინდება საქართველოში ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტიტუციური მოწყობის და სტრატეგიული ხედვის ურთიერთკავშირის პრობლემები; ინდუსტრიული განვითარების მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე განხორციელდება საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის შეფასება; შემუშავდება რეკომენდაციები საქართველოს ინდუსტრიული განვითარების სტრა-ტეგიისთვის.

კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო კურსების - ,,ეკონომიკური პოლიტიკა 1“, ეკო-ნომიკური პოლიტიკა 2“, ,,საერთაშორისო კონკურენციული უპირატესობის მიღწევის პოლიტიკა“ სასწავლო მასალებში. ასევე, წარდგენილი იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებზე, სამეცნიერო სტატიების სახით დაიბეჭდება რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალებში, გამოიცემა მონოგრაფია.

## ლიტერატურა:


1. Michael R. Porter, The Competitive Adventage of Nation, 1990, The Free Press, 559 pages;
2. Michael R. Porter, Competitive Strategy, technices for analysing industries and copmpetitors, 1998, The Free Press, 437 pages,
3. TRANSFORMING ECONOMIES: Making industrial policy work for growth, jobs and development. UN International Labour Organization , 2014, 411 pages;
4. Marcus Noland, Howard Pack. Industrial Policy in an Era of Globalization. Lessons from Asia. Institute for International Economics. Washington, DC, 2003. 134 pages;
5. Competitiveness, Subsidiary and Industrial Policy, Edited by Pat Devine, Yannis Katsoulacos and Roger Sugden, 268 pages;
6. Patrizio Bianchi. Industrial Policies and Economic Integration. Learning from European Experiences. pp. 239;
7. The Future of Manufacturing: Driving Capabilities, Enabling Investments, UNIDO .2014;

8. Should Industrial Policy in Developing Countries Conform to Comparative Advantage or Defy it? A Debate Between Justin Lin and Ha-Joon Chang. 2009;
9. Preliminary Needs Assessment Report, Georgia, For UNIDO Country Programming Framework for ISID, 8.9.2016, 57 pages;
10. International Handbook on Industrial Policy, Edited by Patrizio Bianchi and Sandrine Labory. Edward Elgar, 2006. 485 pages;
11. Dani Rodrik, Industrial Policy for the Twenty-first Century, Harvard University, 2004. 57 pages;
12. Robert Wade. After the Crisis: Industrial Policy and the Developmental State in Low-Income Countries, London School of Economics and Political Science. Global Policy (2010). pp.150-161
13. Bozidar Cerovic, Aleksandra Nojkovic, Milica Uvalic. Growth and Industrial Policy During Transition. Economic Annals, V. LIX.No.201/Apr-June 2014.
14. Industrial Policy: Can We Go Beyond an Unproductive Confrontation? Ha-Joon Chang, ABCDE, Seoul, South Korea, 2009. 41 pages;
15. Factors of the Future. Multi-Annual Roadmap For the Contractual PPP Under HORIZON 2020. European Commission.2013. 13 pages;
16. ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2012/2013 https://www.unido.org/fileadmin/user_-media/Services/PSD/Competitive_Industrial_Performance_Report_UNIDO_2012_2013.PDF
17. Eurostat Statistics in focus — 1/2013, Industry, trade and services, http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/The_EU_in_the_world_-_industry,_trade_and_services
18. http://www.competitiveness.org/
19. http://www.imd.ch/research/publications/wcy/upload/fundamentals.pdf
20. http://www.imd.ch/research/publications/wcy/upload/20years.pdf.pp.5

## For the Actualization of Scientific Study on New Industrial Policy

***Eka Lekashvili***
*Associate Professor at TSU*
*Economic Policy Department*

S u m m a r y

In pursuit of neoliberal policy in Georgia has failed to provide successful economic transformation and development. It is necessary to follow the fundamental restructuring of the path of development which implies development of new types of complex policies. The concept is presented by the author’s vision to determine the objectives of scientific study of New Industrial Police, quantitive and qualitative indicators of their achievement and the expected outcomes of research. In addition, the possibilities of using research results are given.

***Key words****: New Industrial Policy; State and Economy.*

# რეგიონული თანამშრომლობა: საქართველოში განათლების სისტემის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი

**მანანა ლობჟანიძე**

*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი*
*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის*
*სამეცნიერო კვლევებისა და*
*განვითარების სამსახურის უფროსი*

*ახალგაზრდების დასაქმების ნებისმიერი ასპექტით შესწავლისას აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირში განხილვა, განათლებისა და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.*

*საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ახალგაზრდების დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად უფასურდება ადამიანისეული კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ არის ინვესტირებული. ახალგაზრდა ადამიანი მორალურად ტრავმირებულია, საზოგადოება კი კარგავს იმ ეკონომიკურ დოვლათს, რისი მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.*

*საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდები; დასაქმება; განათლება; მიგრაცია.*

საქართველოში მოსახლეობის ლტოლვა ზოგადად განათლების, კერძოდ კი, უმაღლესი განათლებისაკენ, ტრადიციულად მაღალია და რიგ შემთხვევაში, რაციონალურობის საზღვრებსაც კი სცილდება. თუმცა, ამ პროცესს საფუძვლად სრულიად ობიექტური გარემოება უდევს· ქართველი საზოგადოება კვლავ სოციალურ სტატუსზეა ორიენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სტატუსი არსებითად განსაზღვრავს პიროვნებისადმი დამოკიდებულებას, პიროვნებისა და ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას [Antadze C., 2002]·

საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ახალგაზრდების დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად უფასურდება ადამიან-კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ არის ინვესტირებული. ახალგაზრდა ადამიანი მორალურად ტრავმირებულია, საზოგადოება კი კარგავს იმ ეკონომიკურ დოვლათს, რისი მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.

ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ისინი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდები დამოუკიდებლები არიან და გადაწყვეტილებების მიღებაშიც შეიცვალა პრიორიტეტები. ოჯახური ტრადიცია ნაკლებად განმსაზღვრელი გახდა და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კარიერის შექმნის პერსპექტივას და შრომის მაღალ ანაზღაურებას.

ახალგაზრდების დასაქმების ნებისმიერი ასპექტით შესწავლისას აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირში განხილვა, განათლებისა და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

შრომის ბაზრის მკვლევარები, დასაქმების სამსახურების ექსპერტები, პროფკავშირების წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კადრების მომზადება, რეფორმები განათლების სფეროში.

სწორედ განათლების რეფორმის შედეგია სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა პროფესიული კოლეჯების პოპულარიზება და გაძლიერება. ამ მხრივ არაერთი ღონისძიება გატარდა, კანონში შევიდა ცვლილება, კოლეჯების უმეტესობა რეაბილიტირებულია. საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით შეიქმნა თანამედროვე სახელმძღვანელოები, პროფესიული კოლეჯები აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებით. რეფორმის ფარგლებში დაიგეგმა პროფესიული კოლეჯის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება.

საქართველოს მთავრობამ პროფესიული განათლების რეფორმის მიზნად დაისახა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და ხელს შეუწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას· პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საფუძველზე მომზადდა ევროკავშირის „პროფესიული განათლების სექტორის მხარდაჭერის პროგრამა [2].“

ახალგაზრდობის დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების საქმიანობა ფასდება მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხით, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაში (სტაჟირება და პროფესიული პრაქტიკა, დროებითი დასაქმება სწავლის პერიოდში, შრომითი მოწყობა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ), ასევე სტრატეგიული ამოცანების სწორად განსაზღვრასა და გადაწყვეტაში. ამ ამოცანებიდან უმთავრესია სასწავლო პროგრამების აქტუალურობისა და თავისებურებების გამოვლენა, მისი შესაბამისობა ანალოგიური პროფილის უცხოეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებთან, საკუთარი სპეციფიკის, უპირატესობების დასაბუთება და თავისი სეგმენტის გამოკვეთა როგორც საგანმანათლებლო მომსახურების, ასევე შრომის ბაზარზე.

დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზების არსებობა ვაკანსიების შესახებ, პროფორიენტაციული სამუშაოების ჩატარება სტუდენტებთან, სამეცნიერო სამუშაოების კოორდინაცია შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით, ინფორმირებულობა შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რეკომენდაციების შემუშავება სასწავლო პროგრამებში კორექტივების შეტანა და სპეციალობების პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით სპეციალისტებზე მოთხოვნის ცვლილებების გათვალისწინებით.

სახელმწიფოს კეთილდღეობა არსებითად დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე განათლებულ ადამიანებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის.

მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

იმ ქვეყნისათვის, საიდანაც ხდება ახალგაზრდობის მობილობა, ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ უცხოეთში მიდიან ყველაზე მომზადებული,

განათლებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები. მიგრაციული განწყობა სწორედ ელიტურ სტუდენტ-ახალგაზრდობაში შეიმჩნევა. მათი აკადემიური მოსწრება და პროფესიული მომზადება მაღალი მახასიათებლებით გამოირჩევა.

უმაღლესდამთავრებულთა მიგრაციას როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეები გააჩნია. ქვეყანა, საიდანაც გაედინება ახალგაზრდები კარგავს ინტელექტუალური პოტენციალის მნიშნელოვან ნაწილს (ინვესტირება განხორციელებულია ოჯახის ან სახელმწიფოს მიერ). თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი კადრებით ქვეყანა კვლავ ავსებს როგორც მეცნიერებას, ასევე ეროვნულ ეკონომიკას.

უცხოეთში განათლების მიღებას უნდა შევხედოთ არა ვიწრო ეროვნული პრიზმიდან, არამედ საკადრო პოტენციალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ჭრილით.

„ცოდნის ევროპა" ამჟამად ფართოდაა აღიარებული, როგორც სოციალური და ინდივიდუალური ზრდის უცვლელი ფაქტორი და ევროპის მოქალაქეების კონსოლიდაციისა და სულიერი გამდიდრების აუცილებელი კომპონენტი. მას შეუძლია მისცეს თავის მოქალაქეებს საჭირო კომპეტენცია ახალი ათასწლეულის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და იმის შეგრძნება, რომ ისინი იზიარებენ ერთიან ფასეულობებს და ეკუთვნიან საერთო სოციალურ და კულტურულ სივრცეს [3].

განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სტაბილური, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის, განსაკუთრებით იმ სიტუაციის ფონზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა.

ამ მოსაზრებებზე დაფუძნებულმა ბოლონიის დეკლარაციამ გამოკვეთა უნივერსიტეტების ცენტრალური როლი ევროპის კულტურულ განზომილებათა განვითარებაში [4].

ბოლონიის პროცესი და მისი შედეგი, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, უმაღლეს განათლებაში რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის უპრეცენდენტო მაგალითია.

დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა მობილობის, დასაქმების გაუმჯობესებისა და კონტინენტის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ახალგაზრდების საერთაშორისო მიგრაციას თან სდევს დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 1/3 სწორედ ახალგაზრდობა შეადგენს.

მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები და „ტვინების გადინება" საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალისათვის უდიდესი გამოწვევაა.

დღეისათვის სასწავლო-პროფესიული მობილობა წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს პიროვნების ჩამოყალიბებისა და თვითრეალიზაციისათვის. ახალგაზრდას უყალიბდება დამოუკიდებელი ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის გამოცდილება უცხო გარემოში.

ნებისმიერი ერის წარმატებული მომავალი დამოკიდებულია განათლების სისტემის სწორ მოწყობასა და ფუნქციონირების მაღალ ხარისხზე. იმ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა ეფექტიანია, შესაბამისად ჯანსაღია სახელმწიფოს ყველა წამყვანი ინსტიტუტი.

როგორც ახალგაზრდები, ასევე დამსაქმებლები ფიქრობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი კომპეტენციები, რომელთა კავშირი ტრადიციულ აკადემიურ განათლებასთან აუცილებელია. ეს კომპეტენციებია: ცოდნის გამოყენების უნარი, ახალ პირობებში ადაპტაციის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმის უნარი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.

ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS) არის ევროპის ერთადერთი საკრედიტო სისტემა, რომელშიც ინტეგრირებულია ქართული საგანმანათლებლო სივრცე. სწორედ ამის შედეგია საქართველოს უმაღლესდამთავრებულთა მაღალი მობილობა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომითი გამოცდილების უქონლობის, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნების გამო, შრომის ბაზარზე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება და უმუშევართა რიგებს ემატება. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების საკითხისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების გაცნობიერება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის დაუსაქმებლობამ. ხანგრძლივი და მასობრივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნოებას, პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს დანაშაულებების ზრდას, ოჯახების რღვევას და სხვა ნეგატიურ შედეგებს, რომ არაფერი ითქვას მთლიანი შიგა პროდუქტის იმ დანაკარგებზე, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა სრული დასაქმების პირობებში.

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან სწორედ ახალგაზრდობაა საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი, რომელიც მძაფრად რეაგირებს სოციალურ უსამართლობაზე.

აქედან გამომდინარე, საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: გაუძლებს თუ არა საქართველო იმ კონკურენციას, რასაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები სთავაზობს პერსპექტიულ ახალგაზრდებს. ყველა ქვეყანა ცდილობს მიიზიდოს ახალგაზრდა ინტელექტუალები, რომლებიც შრომითი რესურსების ყველაზე მობილურ ნაწილს წარმოადგენენ.

საქართველოდან საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის ძირითადი მარშრუტი ევროპისა და აშშ-ის უმაღლესი სასწავლებლებია, განსხვავებით XX საუკუნის ბოლო ათწლეულისგან, როდესაც სასწავლო მირაციის ვექტორი მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ იყო მიმართული.

ახალგაზრდების სასწავლო მიგრაციის ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია შრომის ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციითა და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მოძიების სურვილით.

ახალგაზრდები ქვეყნის შრომითი რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული რესურსია. ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში შესამჩნევად ცვლის არამხოლოდ მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, არამედ შრომითი პოტენციალის პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობასაც.

ახალგაზრდების მიგრაციის შესწავლისას, აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირით განხილვა, განათლების და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

ახალგაზრდობის დასაქმება უმწვავესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოშლილია პროფესიული განათლების სისტემასა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მექანიზმი, ყოველგვარი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად ხდება სპეციალისტების მომზადება. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების გარეშე განათლების მიღება მოსახლეობის უმრავლესობისათვის სულ უფრო ხელმიუწვდომელი იქნება. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება გლობალიზაციის პირობებში. ამის საუკეთესო მაგალითია გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) მუშაობის გაანალიზება და შეფასება.

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. 2010 წლის მდგომარეობით ის აერთიანებს 232 გერმანულ უმაღლეს სასწავლებელსა და 130 სტუდენტურ ორგანიზაციას. მას გააჩნია 14 უცხოური წარმომადგენლობა და 50 საინფორმაციო ცენტრი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. წელიწადში გასცემს 74 000 სტიპენდიას. ამ სამსახურის ამოცანაა საერთაშორისო აკადემიური კონტაქტების მხარდაჭერა. მისი ბიუჯეტი 376 მლნ ევროა, მათგან სტიპენდიები უცხოელებისათვის შეადგენს 84 მლნ ევროს, სტიპენდიები გერმანელებისთვის 87 მლნ ევროს, უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაცია 79 მლნ ევროს, უცხოეთში გერმანული ენის სწავლების ფინანსური მხარდაჭერა 48 მლნ ევროს, საგანმანათლებლო პროგრამები განვითარებად ქვეყნებთან 78 მლნ ევროს [5].

გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) ბიუჯეტის შევსება ხდება სხვადასხვა წყაროდან: 86 მლნ ევრო (23%) - განათლებისა და მეცნიერების ფედერალური სამინისტრო, 35 მლნ ევრო (9%) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო, 171 მლნ ევრო (45%) - საგარეო საქმეთა სამინისტრო, 51 მლნ ევრო (14%) - ევროკავშირი და 33 მლნ ევრო (9%) სხვადასხვა წყაროდან.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საქართველოში მკვეთრი დისბალანსია შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალგაზრდების პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას შორის, აუცილებელია აღნიშნულ და სხვა მსგავს პროგრამებში მაქსიმალურად ჩაერთოს საქართველო. პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, ასევე განათლების სფეროში მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტიანი რეფორმების გატარებას.

## ლიტერატურა:


1. ც. ანთაძე, სოციალური რისკები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 2002, გვ. 11.
2. www.mes.gov.ge
3. www.mes.gov.ge budapeSt-venis deklaracia, 2010 w.
4. www.mes.gov.ge boloniis deklaracia, 1999 w.
5. www.daad.de


## Regional Cooperation: A Significant Factor for Improving the Educational System in Georgia


***M. Lobzhanidze***
*Assistant-Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*



S u m m a r y

While studying any aspect of youth employment, it is necessary to consider the interaction of economic, social and demographic characteristics, and take into account the state regulation policy for education and vocational training.

Due to the current reality of Georgia, youth employment is an acute socio-economic problem. With the lowering of the standard of living, the human capital is devalued which is invested by the state or a family. The young person is morally traumatized and the society loses the economic wealth that could be gained under the conditions of effectively utilization of their labor potential.



***Keywords:*** *Youth; employment; education; migration.*

# კონკურენციის პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები

**თინათინ ლოლაძე**

*საქართველოს კონკურენციის სააგენტოს*
*ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის*
*დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების*
*გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი*

*ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) დოკუმენტში, კონკურენციისთვის განკუთვნილ მე-10 თავს. მასში მოცემული ზოგადი დებულებები, მართალია, არ ავალდებულებს საქართველოს დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კონკურენციის წესების და სისტემის მოთხოვნებს, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი- „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“, რომლის ხანგრძლივობა ორი წლის ვადით განისაზღვრა, მოწმობს კონკურენციის სფეროში ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციონალურ განვითარებას, ეკონომიკურ წინსვლას და მომხმარებელთა კეთილდღეობას. ასევე, ყურადღება გავამახვილე კონცენტრაციის ირგვლივ არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე და კონცენტრაციის სფეროში ევროკავშირის გამოცდილებაზე, კერძოდ, განვიხილე შერწყმის რეგულაცია არამაკონტროლებელი წილების ფლობასთან დაკავშირებით ევროკავშირის (EU), გაერთიანებული სამეფოს (UK), ავსტრიის და გერმანიის მაგალითზე.*

*საკვანძო სიტყვები: კონკურენცია; პოლიტიკა; კონცენტრაცია; კანონმდებლობა.*

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ ხელშეკრულების (AA) უმნიშვნელოვანესი ნაწილია და წარმოადგენს, როგორც ევროპაში ინტეგრაციისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს, ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს „ევროპის საზღვრებთან კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების“ სარტყლის შექმნას[7]. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ევროპის სამხრეთით და აღმოსავლეთით არსებულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობას. შეთანხმებას 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი, რის შემდეგაც იგი საქართველოს, ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი პირობითად (conditional application) 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს იგი სრულად შევიდა ძალაში.

შეთანხმების „ღრმა და ყოვლისმომცველი“ ნაწილი (DC) ეხება კანონმდებლობის, რეგულაციების და ნორმების მნიშვნელოვან ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტებთან. ვინაიდან, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კონკურენციის ეფექტური პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური სუბიექტების მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და მთავრობის მიერ კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარების გაცემაზე კონტროლს ახორციელებს, უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მე-10 თავი ეძღვნება სწორედ კონკურენციას.

DCFTA-ს კონკურენციის მე-10 თავი მცირე მოცულობისაა. ის რამდენიმე ზოგად დებულებას მოიცავს და პირდაპირ არ ავალდებულებს საქართველოს, დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კონკურენციის წესების და სისტემის მოთხოვნებს, რომლებიც აერთიანებს შემდეგ მუხლებს:

- პრინციპები;
- ანტიტრასტული და შერწყმების მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი განხორციელება (მუხლი 204);
- სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები და საწარმოები სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებებით (მუხლი 205);
- სუბსიდიები (მუხლი 206);
- დავების მოგვარება (მუხლი 207);
- ურთიერთმიმართება ვმო-სთან (მუხლი 208);
- კონფიდენციალობა (მუხლი 209).

ეს ნიშნავს, რომ საქართველოს შესაბამის ორგანოებს შედარებით ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნიათ კონკურენციის პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა. კერძოდ, 2012 წლის ახალი კანონი „თავისუფალი

ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ შვედეთის კონკურენციის სააგენტოს ექსპერტებთან თანამშრომლობით და ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით იქნა შემუშავებული და მიღებული. 2005-2012 წლებში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა, ერთის მხრივ, არეგულირებდა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურების კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების საკითხებს, მეორეს მხრივ, კანონმქვემდებარე ნორმების არ არსებობის გამო ამ ფუნქციას პრაქტიკულად ვერ ასრულებდა. კანონმდებლობის შემდგომი ცვლილებები 2014 წელს განხორციელდა, რომლებიც შემდეგ სფეროებს მოიცავდა:

- ანტიკონკურენციული დებულებები, რომლებიც ეხება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად;
- სახელმწიფო დახმარება, რომელიც მოიცავს აღნიშნული დახმარების გაწევის პროცედურებს;
- ინსტიტუციონალური დებულებები, რომლებიც ეხება ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, საგამოძიებო და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებებს.
- წინ გადადგმული ნაბიჯია ასევე კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებელ და მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებულ სტრუქტურად ჩამოყალიბება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2017 წლის იანვრიდან დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა”. პროექტის ხანგრძლივობა ორი წლის ვადით განისაზღვრა და მას საერთაშორისო კონსორციუმი ახორციელებს, რომელსაც “Business and Strategies Europe” ხელმძღვანელობს, ხოლო ერთ-ერთი წევრი ლიტვის რესპუბლიკის კონკურენციის საბჭოა. პროექტის მიზანია გააძლიეროს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარება, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ წინსვლას და მომხმარებელთა კეთილდღეობას, ევროკავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად.

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით (AA), საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესახებ აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა”-ს ფარგლებში შეიქმნა დოკუმენტი, სადაც მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს კონკურენციის კანონის საერთაშორისო მოთხოვნებთან, ევროკავშირის კონკურენციის კანონთან და გამოცდილებასთან შესაბამისობის შესახებ, სადაც ნათლდ ჩანს საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ არსებული ხარვეზები.

ჩვენ აქ უფრო დეტალურად შევეხებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა - კონცენტრაციის სფეროში არსებული პრაქტიკა, როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე . ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილ რეკომენდაციებში ერთ-ერთი თავი ეძღვნება კონცენტრაციასაც, სადაც აღნიშნულია რიგი ხარვეზი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონში - „კონკურენციის შესახებ“, კონცენტრაციის ნაწილი საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას. კონცენტრაციის განმარტება დოკუმენტში ძალიან ზოგადია და მისი შეფასების კრიტერიუმი ბუნდოვანი. საქართველოს კანონის „კონკურენციის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტების მიხედვით, დომინირებული მდგომარეობის შექმნა ან გაძლიერება წარმოდგენილია კონცენტრაციის შეფასების უკიდურეს კრიტერიუმად. მაშინ როდესაც ევროკავშირის რეგულაციაში, (მუხლი 2, მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები, კონცენტრაციის შეფასება)[10] მოცემულია რომ, კონცენტრაციები, რომლებიც საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში მნიშვნელოვნად არ არღვევენ ეფექტურ კონკურენციას, კერძოდ, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის შექმნის ან გამყარების გზით, მიჩნეულ უნდა იყვნენ საერთო ბაზრის პრინციპებთან თავსებადად. ასევე, კონცენტრაციები, რომლებიც საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილში მნიშვნელოვნად არღვევენ ეფექტურ კონკურენციას, კერძოდ, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის შექმნის ან გამყარების გზით, მიჩნეულ უნდა იყვნენ საერთო ბაზრის პრინციპებთან არათავსებადად.

რაც შეეხება საქართველოს გამოცდილებას, უნდა აღვნიშნო, რომ კონკურენციის სააგენტოს მიერ 2016 წელს შესწავლილ ერთ-ერთ კონცენტრაციაში - შპს „X-ს“ და შპს „Y-ს“ შორის, გამოვლინდა ასევე საკანონმდებლო ხარვეზი, კერძოდ: ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა შპს „X-ის“ მიერ შპს „Y-ის“ 100%-იანი წილის კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე შეძენის საკითხის კანონიერება და დაადგინა, რომ მიღებული შეთანხმებით ირღვეოდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და მე- მუხლის მოთხოვნები.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საკანონმდებლო ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ განსახილველ შემთხვევაში, წილთა შეძენა წარმოადგენს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კონცენტრაციას. ანუ, დაკმაყოფილებული იყო ყველა ფორმალური მოთხოვნა, რაც კონცენტრაციის მონაწილე სუბიექტებს, სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღების აუცილებლობას ავალდებულებდა. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს, დარღვევის დადგენის მიუხედავად, არ გააჩნია მსგავს შემთხვევებზე რეაგირების ეფექტიანი და თანაზომადი სამართლებრივი ბერკეტი (ადმინისტრაციული სანქციის ან სხვა ფორმით), რომელსაც იგი გამოიყენებდა სააგენტოს გვერდის

ავლით განხორციელებული კონცენტრაციების გამოვლენის შემთხვევაში, რაც, ცხადია, საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს.

შესაბამისად აღნიშნულისა, სააგენტომ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების პარალელურად, მოამზადა და საქართველოს მთავრობას წარუდგინა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

კონცენტრაციასთან მიმართებით მნიშვნელოვანი საკითხია ექვემდებარება თუ არა ის განხილავას. საქართველოსთვის კარგი მაგალითია ევროკავშირის მიერ შექმნილი დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მიმოიხილავს შერწყმის რეგულაციის არამაკონტროლებელი წილების ფლობას, რათა მოხდეს კარგად ინფორმირებული და საფუძვლიანი შეხედულებების ჩამოყალიბება მოქმედი საკანონმდებლო პრაქტიკებთან მიმართებაში.

საკანონმდებლო ანალიზმა აჩვენა, რომ მცირე აქციათა შეძენა ცდება გარკვეულ დონეებს ან/და გარკვეულ პირობებს და წარმოადგენს თითოეული კონკურენციის უფლებამოსილი პირის მიერ გამოყენებულ შერწყმის მაკონტროლებელ წესებს, მიუხედავათ იმისა, აღნიშნული წილების შესყიდვა მყიდველს აძლევს კონტროლის უფლებას თუ არა.

სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი კონკურენტული რეჟიმები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან, როდესაც საქმე ეხება მცირე არამაკონტროლებელი წილების შესყიდვას. კერძოდ, არსებობს განსხვავებები იურიდიული კრიტერიუმები გახდეს თუ არა შერწყმა განხილვის საგანი კონკურენციის ორგანოების მიერ, მაგალითად: გაერთიანებულ სამეფოში (UK) მოქმედი 25%-იანი წილის შეძენა სადავოს ქმნის მატერიალური გავლენის (material influence) აღქმას, მაშინ როდესაც გერმანიაში და ავსტრიაში 25%-იანი წილის შეძენა წარმოადგენს მტკიცე ზღვარს. კიდევ ერთი შესამჩნევი განსხვავება გაერთიანებული სამეფოს (UK) რეჟიმსა და გერმანია-ავსტრიას შორის არის ის ფაქტი, რომ გაერთიანებულ სამეფოში (UK) მოქმედებს შერწყმების ნებაყოფლობითი შეტყობინების სისტემა.

განვიხილოთ შერწყმების მაკონტროლებელ რეჟიმის თვისობრიობის შეფასება ევროკავშირის (EU), გაერთიანებული სამეფოს (UK), გერმანიის და ავსტრიის მაგალითზე.

EU. 2014 წელს ევროკავშირმა გამოუშვა არამაკონტროლებელი აქციების შესყიდვის შესახებ „ვაით ფეიფერ". სადაც მითითებულია, რომ არამაკონტროლებელი აქციების შესყიდვა კონკურენციის მიზნებისთვის იქნება მნიშვნელოვანი თუ შესაძენი აქციები არის დაახლოებით 20%. ხოლო იმ შემთხვევაში თუ წილი მოთავსებულია 5-20% შორის კონკურენციის მიზნებისთვის შეტყობინება იქნება მნიშვნელოვანი, თუ მას მოსდევდეს უფლება, რომელიც მყიდველს აძლევს დამატებით კონტროლის საშუალებას, როგორც:

ვეტოს უფლებას (გადამწყვეტი ხმის უფლება);

ადგილს დირექტორთა საბჭოში;

წვდომას მყიდველის კომერციულად მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.

UK. გაერთიანებულ სამეფოში მეწარმეთა შესახებ კანონი არეგულირებს აქციონერთა უფლებებს მათ ხელთ არსებული წილების მიხედვით, მაგრამ როდესაც UK-ის კონკურენციის კომპეტენტური პირი (Competition and Markets Authority) განიხილავს არამაკონტროლებელ აქციების შესყიდვას, ძირითადად ყურადღებას აქცევს იმ უფლებებს რომელიც მოსდევს შესაბამის აქციებს. რაც შეეხება შეტყობინების ვალდებულებას იგი წარმოიშვება თუ მყიდველი შეიძენს შემსყიდველი კომპანიის მთლიანი წილის 25% ან მეტს.

გერმანია. გერმანიის (GWB) კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ კანონი მოიცავს ორ მთავარ პირობას არამაკონტროლებელი წილების შეძენასთან დაკავშირებით: შერწყმა მნიშვნელოვანია როდესაც:

მყიდველი ყიდულობს 25%-იან წილს ან შეისყიდის იმ აქციათა რაოდენობას რომელიც ჯამში იძლევა 25%-ს (უკვე არსებული წილი+ახალი შენაძენი).

თუ წილების შესყიდვა ხდება 25%-მდე და მას მოსდევს გარკვეული გავლენა კონტროლის მხრივ მყიდველი კომპანიის მიერ.

ავსტრია. ავსტრიის კანონი შერწყმის შესახებ მკაცრადაა განსაზღვრული. როდესაც მყიდველი პირდაპირ ან არაპირდაპირ იძენს სხვა ეკონომიკური აგენტის წილს, წარმოეშვებათ კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულება თუ აქციათა წილი მიაღწევს ან გადააჭარბებს 25%-ს, მიუხედავად იმისა იცვლება თუ არა მმართველობა.

ერთერთი საინტერესო მაგალითია Ryanair-ის მიერ ირლანდიური Aer Lingus-ს 29.8%-იანი წილის შეძენა. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანია ფრენებს ახორციელებდა ირლანდიიდან და იმყოფებოდნენ მკაცრ ურთიერთ კონკურენტულ გარემოში დაახლოებით 46 ფრენით მიმართულებებით. სწორედ აღნიშნული გარემოება გახდა მთავარი რათა კომისიას მიეჩნია, რომ მოცემული შერწყმა დააზიანებდა მომხმარებლების ინტერესებს და გამოიწვევდა საბაზრო მონოპოლიის ან დომინირებული პოზიციის შექმნას. გაერთიანებული სამეფოს კონკურენციის კომისიამ დაავალდებულა კომპანია Ryanair, რომ 29.8%-იანი წილი დაეყვანა 5%-მდე [8].

როგორც ვხედავთ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ ხელშეკრულების (AA) მნიშვნელოვანი ნაწილია და მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს, რომელიც კონკურენციის პოლიტიკასაც ეხება.

ვფიქრობთ რომ საერთაშორისო ვალდებულებები კიდევ უფრო გააღრმავებს თანამშრომლობას კონკურენციის სფეროში, რასაც გარდაუვლად მოყვება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა. თავის მხრივ, კანონმდებლობის სრულყოფა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, რაც ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, ხელს შეუწყობს სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დამკვიდრებას ქვეყანაში.

## ლიტერატურა:


1. "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი;
2. Support to Georgia Competition Agency; EuropeAid/137882/DH/SER/GE; "Compatibility of the Georgian Law on Competition with International Obligations and the EU Competition Law Best Practices".
3. http://competition.ge/ge/index.php
4. http://www.economy.ge/
5. http://www.parliament.ge/ge/
6. http://www.dcfta.gov.ge/
7. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:r17100
8. https://www.gov.uk/cma-cases/ryanair-aer-lingus-merger-inquiry
9. http://ec.europa.eu/competition/publications/reports/KD0416839ENN.pdf
10. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32004R0139&from=EN


## Contemporary Aspects of Competition Policy


***Tinatin Loladze***

*Competition Agency of Georgia*
*Economic Competition Protection Department*
*Chief Specialist of Division for the*
*Detection and Prevention of Dominant Position Abuse*



S u m m a r y

Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) agreement, a very significant part of the Association Agreement (AA), is on harmonizing Georgian legislation, regulations and rules with the European Union standards. In chapter 10 of DCFTI document, there are given general provisions on competition; although, it does not require Georgia to harmonize all the laws with European standards, Georgian competition policy has been improving by consideration of European legislation and best practice. European Union 2-year-long project – "Support to Georgian Competition Agency" – points out the cooperation of Georgia and EU in competition. This project supports capacity building of Competition Agency, economic development of Georgia and consumer welfare. In the research, I focused on the gaps in concentration control regulation given in the Georgian law on competition and European experience. To be specific, I discussed the merger regulation regarding minority shareholdings using examples from European Union (EU), United Kingdom (UK), Austria and Germany.



***Key Words***: *Competition; Policy; Concentration; Legislation.*

# რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები

**მარინე მაისურაძე**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის შედეგებს.*

*სტატიაში, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, განხილულია რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები, და ავტორის მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.*

*საკვანძო სიტყვები: რეალური ღირებულება; საბაზრო მიდგომა; დანახარჯებითი მიდგომა; შემოსავლების მიდგომა.*

ფასს 13-ის თანახმად, შეფასების მეთოდიკის გამოყენების მიზანია განისაზღვროს ფასი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ნებაყოფლობით საფუძველზე, აქტივების გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაციის განხორციელება ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის , მიმდინარე საბაზრო პირობებში(ფასს 13, 2018).

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საწარმო იყენებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, სხვადასხვა ხარისხით და მრავალი კომბინაციით( Maisuradze M, 2018).

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა რეალური ღირებულების შეფასების გამოყენებას. აქტივების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ფასს 13 განიხილავს სამ მოდელს(მეთოდს):

- საბაზრო მიდგომა;
- დანახარჯებითი მიდგომა და
- შემოსავლების მიდგომა.

საწარმომ, რეალური ღირებულების შესაფასებლად, შეფასების ისეთი მეთოდი უნდა გამოიყენოს, რომელიც თავსებადი იქნება ზემოაღნიშნული მიდგომებიდან ერთ-ერთთან ან რამდენიმესთან. შეფასების რამდენიმე მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, რეალური ღირებულების შესაბამისი მაჩვენებლები უნდა შეფასდეს შეფასების მნიშვნელობების დიაპაზონის გონივრული განსჯის საფუძველზე. რეალური ღირებულების შეფასება იქნება ამ დიაპაზონიდან ის მნიშვნელობა, რომელიც მოცემულ გარემოებებში ყველაზე ზუსტად ასახავს რეალურ ღირებულებას.

,,რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულმა მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება და მინიმალურად უნდა ეყრდნობოდეს არაემპირიულ ამოსავალ ინფორმაციას“(Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili, 2016/6/9).

ვინაიდან, ფასს 13-ის შესაბამისად, რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილია აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს, ანუ გასვლის ფასი, კომპანიამ აქტივის რეალური ღირებულება უნდა შეაფასოს იმდენად, რამდენადაც ბაზრის მონაწილეები-პოტენციური მყიდველები შეაფასებდნენ მოცემულ აქტივს.

საჯარო სექტორში, გარდა აღნიშნული მეთოდებისა, გამოიყენება მომსახურების ერთეულების მეთოდი, რომლის მიხედვითაც, „აქტივის გამოყენებითი ღირებულება განისაზღვრება აქტივის ჩანაცვლების ამორტიზებული ღირებულების ან აქტივის რეპროდუქციის ღირებულების შემცირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გაუფასურებული აქტივიდან მოსალოდნელი სასარგებლო ერთეულების შემცირებულ რაოდენობასთან შესაბამისობა“(Vardiashvili M.2018).

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ქვეყნებში,სადაც არ არის ფასები კოტირებული, ბევრ აქტივს და ვალდებულებას არ გააჩნია აქტიური ბაზარი, საიდანაც შესაძლებელია საბაზრო გარიგების საფუძველზე მონაცემების მიღება, ასეთ შემთხვევაში რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება დანახარჯთა მეთოდი და შემოსავლების მეთოდი.

## საბაზრო მიდგომა

საბაზრო მიდგომა იყენებს ფასებს და სხვა ინფორმაციას, რაც გენერირდება საბაზრო ოპერაციებში მსგავსი ან ანალოგიური აქტივებით, ვალდებულებებით ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებით. ამასთან დაკავშირებით მიღებულია დაკვირვების მონაცემების გამოყენება.

,,ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად საკმარისია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ მათი ღირებულება არის დაკვირვებადი“(კვატაშიძე ნ,გოგრიჭიანი ზ, ხორავა, 2017).

აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული, რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელია ბაზარზე დაფუძნებული შეფასებით შესრულებული გარიგების დროს გაყიდვის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი, რომელიც კორექტირებულია აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით. თუ არ არსებობს აქტივის გაყიდვის ხელშეკრულება და ამ აქტივით ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას წარმოადგენს აქტივის საბაზრო ფასი, რომელიც შემცირებულია მის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობით. საბაზრო ფასის მიახლოებით ფასს, როგორც წესი, წარმოადგენს მყიდველის მიერ შეთავაზებული მიმდინარე ფასი ან ბოლო გარიგებით დაფიქსირებული ფასი[მაისურაძე მ,2017].

აქტივების რეალური ღირებულების შეფასებისას, ფასს 13 მოითხოვს საბაზრო ფასების (ძირითადი ბაზრის) გამოყენებას, რომელიც დაფუძნებულია ბაზრის მონაცემებზე. ძირითადი ბაზარი აქტივის (ან ვალდებულების) ყველაზე ლიკვიდური ბაზარია , ანუ, სადაც არის აქტივების (ვალდებულების) გაყიდვების ყველაზე დიდი რაოდენობა. ძირითადი ბაზრის ფასები ყველაზე მეტად მისაღებია რეალური ღირებულების შეფასებისათვის.

ძირითადი ბაზრის არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის ფასები. აღნიშნული კი ისეთი ბაზარია, რომელიც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გაიზარდოს ის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან მაქსიმალურად შემცირდეს თანხა, რომელიც გადასახდელი იქნებოდა აქტივის გადაცემისას, საოპერაციო დანახარჯებისა და ტრანსპორტირების დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ. ამრიგად, ძირითადი ბაზარი, გარიგების მოცულობის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი და ყველაზე ხელსაყრელია ბაზარი საუკეთესო გაყიდვის ფასებით, გარიგების ხარჯების გათვალისწინებით.

მაგალითად, კომპანია ფლობს რამდენიმე კლინიკას და მას აქვს აგრეთვე ქვედანაყოფი, რომელიც ყიდის სამედიცინო დანადგარებს. კომპანია აპირებს მომავალში აღნიშნული ქვედანაყოფის გაყიდვას და ახდენს გაყიდვის მიზნებისათვის სამედიცინო დანადგარების შეფასებას რეალური ღირებულებით. ამჟამად ეს დანადგარები სამ ბაზარზე იყიდება, კომპანია სამივესთან რეგულარულად ახორციელებს გარიგებებს. კომპანიას სურს 2018 წლის 30 მარტის მდგომარეობით , შეაფასოს 10 ახალი სამედიცინო დანადგარის რეალური ღირებულება. აღნიშნული დანადგარების გაყიდვის მოცულობა და ფასები ბაზარზე მოცემულია ცხრილი(1):

*გაყიდვების მოცულობა და ფასები ბაზრების მიხედვით*

*ცხრილი1*

| ბაზარი | გაყიდვის ფასი ($) | გაყიდული დანადგარების რაოდენობა (ცალი) | ბაზრის მოცულობა (ცალი) | საოპერაციო ხარჯები პროდუქციის ერთეულზე | ტრანსპორტის ხარჯები პროდუქციის ერთეულზე |
|---|---|---|---|---|---|
| ბაზარი 1 | 20 000 | 4 000 | 80000 | 300 | 250 |
| ბაზარი 2 | 18 000 | 2 000 | 200 000 | 200 | 500 |
| მაზარი 3 | 14 000 | 1 000 | 60 000 | 100 | 400 |

კომპანიას სურს შეაფასოს სამედიცინო დანადგარი (ერთეული) 19 100 დოლარად,რადგანაც ეს არის სამედიცინო დანადგარის ყველაზე მაღალი ფასი და ბაზარი 1 წარმოადგენს ყველაზე დიდ ბაზარს კომპანიისთვის.

ფას 13 თანახმად, **აქტივის რეალური ღირებულება არის ამ აქტივის ძირითად ბაზარზე არსებული გაყიდვის ფასი.** ძირითად ბაზარზე ხორციელდება ყველაზე დიდი **მოცულობის და დონის** საქმიანობა მოცემულ აქტივთან დაკავშირებით, კონკრეტული კომპანიის გაყიდვების მიუხედავად. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ბაზარი 1 -ში ყიდის ყველაზე მეტ სამედიცინო დანადგარს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აქტივის ძირითადი ბაზარია, ბაზარი 2.

ფასს 13 თანახმად, რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ფასი არ უნდა დარეგულირდეს საოპერაციო ხარჯებით, მაგრამ უნდა მოიცავდეს სატრანსპორტო ხარჯებს. საოპერაციო ხარჯები არ ითვლება აქტივის მახასიათებლად, ის სპეციფიკურია ცალკეული ოპერაციისათვის.

ამდენად, 10 ცალი სამედიცინო დანადგარის რეალური ღირებულება იქნება:

18000-500= 17 500*10 =175000

აქტივის ყველაზე ხელსაყრელი ბაზარია- ბაზარი 1, ამ ბაზარზე აქტივს აქვს ყველაზე მაღალი ფასი - 20000-300-250= 19450, მაგრამ ამ შემთხვევაში ბაზარი 1-ის ფასები არ გაითვალისწინება, რადგან არსებობს მთავარი ბაზარი.

შეფასების მეთოდებში, რაც საბაზრო მიდგომას მიესადაგება, ხშირად გამოიყენება როგორც დაკვირვებადი ფასები, ასევე საბაზრო მულტიპლიკატორები, რომლებიც მიიღება შესადარისი მაჩვენებლების გარკვეული ერთობლიობისგან. ცალკეული შესადარისი მაჩვენებლისთვის მულტიპლიკატორები შეიძლება სხვადასხვა დიაპაზონში იყოს. ამ დიაპაზონიდან შესაფერისი მულტიპლიკატორის შერჩევას განსჯა და

გადაწყვეტილების მიღება ესაჭიროება. კერძოდ, კონკრეტული შეფასებისთვის დამახასიათებელი სპეციფი-კური ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების განხილვა.

მაგალითად, უძრავი ქონების ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება იმავე რეგიონში მდებარე ანალოგიური უძრავი ქონების ფასები. კოეფიციენტის შერჩევა ხდება გასაყიდი საოფისე ფართის შემთხვევაში, კვადრატული მეტრის ან სასტუმროს შემთხვევაში, ნომრის რაოდენობის და ფასის მიხედვით.

## დანახარჯებითი მიდგომა

ასახავს თანხას, რომელიც საჭირო იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩასანაცვლებლად, მას ხშირად ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას უწოდებენ. ბაზრის მონაწილე გამყიდველის პოზიციიდან, ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ეყრდნობა იმ თანხას, რომელსაც ბაზრის მონაწილე მყიდველი გადაიხდის შესადარისი სარგებლიანობის მქონე შემცვლელი აქტივის შესაძენად ან ასაშენებლად, მორალური ცვეთის გათვალისწინებით. ამის მიზეზი ისაა, რომ ბაზრის მონაწილე მყიდველი არ გადაიხდის აქტივის შესაძენად იმაზე მეტს, რა თანხაც დაუჯდებოდა მოცემული აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩანაცვლება. მორალური ცვეთა მოიცავს აქტივის ფიზიკურ დაზიანებას, ტექნოლოგიურ მოძველებას და გარეგნულ დაძველებას და უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცვეთა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის მიზნებისთვის (პირვანდელი ღირებულების განაწილება), ან საგადასახადო მიზნებისთვის (სასარგებლო მომსახურების დადგენილი ვადების გამოყენება).

მაგალითად, კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია და მოახდინა აქტივების იდენტიფიცირება, ერთ-ერთი აქტივია სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა. აღნიშნული პროგრამა შვილობილი საწარმოს მიერ შეძენილი იყო სამი წლის წინ და მას რეგულარულად ანახლებდა. პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი ამჟამად სთავაზობს ახალ, განახლებულ ვერსიას 2.0, მისი წინა - 1.0 ვერსიის გაყიდვა აღარ ხდება. ახალი - 2.0 ვერსია მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის წინა ვერსიის ყველა ფუნქციას. ანალიზის შედეგად დადგენილი განსხვავება, ისაა, რომ ახალი ვერსია უფრო სწრაფი და მოსახერხებელია და აქვს იგივე ფუნქციები.

პროგრამული უზრუნველყოფის ძველი ვერსიის შეძენისა და განახლებისათვის გაწეული ხარჯების ანალიზი და ახალი ვერსიის შესაძენად საჭირო ხარჯები მოცემულია მეორე ცხრილში.

*ცხრილი 2*

| ღირებულების ელემენტები | ვერსია 1.0 (ლარი) | ვერსია 2.0 (ლარი) |
|---|---|---|
| ლიცენზიის შეძენა 1.0 | 100 000 | 130 000 |
| მონტაჟი | 8 000 | 10 000 |
| განახლება 1.3 | 2 000 | 0 |
| განახლება 1.5 | 4 000 | 0 |
| | 114 000 | 140 000 |

შემძენმა კომპანიამ უნდა განსაზღვროს შეძენილი არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება, ანუ 1.5 ვერსიის მიმდინარე ღირებულება.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დანახარჯთა მეთოდის გამოყენებით ძველი ვერსიის ჩანაცვლების ღირებულება იქნება 114 000 ლარსა და 140 000 ლარს შორის. ვინაიდან ახალი ვერსია გამოირჩევა მაღალი სიჩქარით და მომსახურებისათვის უფრო მეტად სასარგებლოა, ვიდრე ძველი ვერსია, ძველი ვერსიის სასარგებლო გამოყენების ღირებულება იქნება 140 000 ლარზე ნაკლები, მაგრამ ეს იქნება 114 000-ზე მეტი.

დანახარჯთა მეთოდის გამოყენება არ ითვალისწინებს აქტივის ფაქტობრივ საბაზრო მოთხოვნას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩანაცვლების ღირებულების შეფასება არ გულისხმობს ბაზრის მონაწილეების მოთხოვნას მიიღონ აქტივის ზუსტი ასლი. გარდა ამისა, დანახარჯთა მეთოდი არ ითვალისწინებს აქტივისგან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ამ მიზეზის გამო, დანახარჯებით მიდგომა ნაკლებად გამოიყენება აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, ვიდრე საბაზრო მიდგომა და შემოსავლების მიდგომა. ხშირად ეს მეთოდი გამოიყენება სხვა მეთოდებით რეალური ღირებულების შეფასების გადასამოწმებლად-რეალურობის დასადგენად.

## შემოსავლების მიდგომა

შემოსავლების მიდგომის ეკონომიკური მნიშვნელობით აქტივი ღირს იმდენი , რამდენი შემოსავლის მოტანაც შეუძლია მას. ეს მეთოდი ითვალისწინებს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას.

დისკონტირებული ღირებულება იქნება აქტივის რეალური ღირებულება. ამდენად, ამ მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია შეფასდეს აქტივიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთი. ამავე დროს, ფულადი ნაკადები და დისკონტის განაკვეთი შესაბამისობაში უნდა იყოს. მაგალითად, ნომინალური და ფაქტობრივი ფულადი ნაკადები, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს, ისეთი დისკონტირების განაკვეთით უნდა იყოს კორექტირებული, რომელიც ითვალისწინებს ინფლაციის ეფექტს. რეალური ღირებულების შეფასებისას, მნიშვნელოვანია რისკების შეფასება. რისკი შეიძლება შეფასდეს **დისკონტის განაკვეთით** ან **მოსალოდნელი ფულადი ნაკადების** საფუძველზე.

შემოსავლის მეთოდის გამოყენებისას გამოიყენება რისკის შეფასების სხვადასხვა მიდგომა:

**დისკონტირების განაკვეთის კორექტირების და**

**მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი.**

დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში გამოიყენება სახელშეკრულებო ან ფულადი ნაკადების საუკეთესო შეფასება ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, რომლის მიღებაც შესაძლებელია აქტივიდან. მაგალითად, 2 000 ლარის ღირებულების აქტივიდან, ერთი წლის, ორი წლის და სამი წლის შემდეგ მოსალოდნელია ფულადი ნაკადები, შესაბამისად - 10, 50, 20 - პროცენტიანი ალბათობით.

მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება და საუკეთესო შეფასება მოცემულია მესამე ცხრილში.

*ცხრილი 3*

| ფულადი ნაკადების მიღების დრო | საპროცენტო განაკვეთი | დისკონტის კოეფიციენტი | აქტივის ნომინალური ღირებულება (ლარი) | მიმდინარე ღირებულება | ალბათობა (%) | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 წლის შემდეგ | 5 | 0.9524 | 2000 | 1904.80 | 10 | 190.48 |
| 2 წლის შემდეგ | 6 | 0.8900 | 2000 | 1780.00 | 50 | 890.00 |
| 3 წლის შემდეგ | 7 | 0.8163 | 2000 | 1626.60 | 20 | 325.20 |
| ჯამი | | | | | | 1405.68 |

მოცემულ მაგალითში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება ტოლია 1405.68 ლარის, ხოლო ყველაზე საუკეთესო შეფასება - 1904,80 ლარის.

მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდში ამოსავალ ბაზად გამოიყენება ფულადი ნაკადების ნაკრები, რომელიც წარმოადგენს ყველა მომავალი შესაძლო ფულადი ნაკადის ალბათობებით შეწონილ საშუალო მნიშვნელობას.

## დასკვნა

აქტივების რეალური ღირებულების შეფასების მეთოდის დადებითი მხარეებია:აქტივების გამოყენებიდან მომავალი ფულადი ნაკადების ობიექტური შეფასება, აქტივების შესახებ მაქსიმალურად შესადარისი ინფორმაცია და საწარმოს საქმიანობის შედეგების ეფექტური შეფასება.

თუმცა, მას დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, ესენია: რეალური ღირებულების პირობითობა; აქტიური ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში განუსაზღვრელობის მაღალი დონე, რადგან სტანდარტულის გარდა არსებობს იშვიათი აქტივი, რომლისთვისაც, შეიძლება არათუ აქტიური ბაზარი, არამედ ერთეული გარიგებაც კი არ არსებობდეს. ამგვარი აქტივების შესაფასებლად სტანდარტში არაფერია ნათქვამი.

ამასთან, სტანდარტი არ ადგენს შეფასების მეთოდს უსასყიდლოდ მიღებული და ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი აქტივებისათვის.

ჩვენი მოსაზრებით, ამგვარი აქტივების შესაფასებლად მიზანშეწონილია შემოსავლების მეთოდის გამოყენება.

## ლიტერატურა:


1. ფასს 13, რეალური ღირებულების შეფასება, https://saras.gov.ge/Content/files/IFRS-2018-pdf/2018_IFRS_13.pdf.
2. Maisuradze, M. (2018/8/15). Application of the Entity Assets Measurement Methods in Preparing the Financial Statements. Ecoforum Journal, http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/827.
3. Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili. (2016/6/9). MAIN ASPECTS OF MEASUREMENT OF THE FAIR VALUE OF NONFINANCIAL ASSETS. 9-10 June, 2016 - 15th International Scientific Conference on Economic and Social Development announces invited session - Human Resources Development. (pp. 385-391). Varazdin Development and Entrepreneurship Agency (VADEA): Varazdin Development and Entrepreneurship Agency (VADEA). file:///C:/Users/user/Downloads/esd_Book_of_Proceedings_Varazdin_2016_Online%20(3).pdf
4. BIBLIOGRAPHY \l 1079 Vardiashvili, M. (2018/8/15). Theoretical and Practical Aspects of Impairment of Non-Cash-Generating Assets in the Public Sector Entities, according to the International Public Sector Accounting Standard (IPSAS) 21. Ecoforum Journal, HYPERLINK "http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/828/524" http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/828/524 2018
5. BIBLIOGRAPHY \l 1079 ნადეჟდა კვატაშიძე,ზეინაბ გოგრიჭიანი ანჟელი ხორავა. (2017). რეალური ღირებულების კონცეფცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (გვ. 256-260). თბილისი: თსუ.
6. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf
7. მაისურაძე, მ. (2017). აქტივების შეფასების ზოგიერთი საკითხი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, (გვ. 302-306). თბილისი. HYPERLINK "https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf" \t "_blank" https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf


# Fair Value Measurement Methods


***Marina Maisuradze,***
*Academic Doctor of Economics*
*TSU, Associated Professor*



S u m m a r y

The fair value measurement methods have certain positive sides, namely: Objective measurement of the cash flows coming from the use of the assets, the assets-related maximally possible comparable information, and an effective assessment of the results of activity of an entity.

However, in line with the positive sides, there are also negative side effects: In the absence of an active market there is a high level of uncertainty, as there is a rare asset except for the standard ones, for which there can be no active market, not even a single transaction. The standard says nothing about measurement of such assets

Moreover, the standard does not provide the measurement method for the assets that have been obtained free of charge and as a result of inventory.

In our opinion, it seems to be desirable to use the Revenues Method for measuring such assets.



***Keywords**: real value; market approach; expenditure approach; income approach.*

# კურსდამთავრებულთა დასაქმება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით

**თინა მელქოშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ პროფესორი*

*ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული შრომის ბაზარზე. თუ ქვეყანაში მოწესრიგებულია შრომითი ურთიერთობები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, თუ ქვეყანას აქვს სტაბილური შრომის ბაზარი, თუ კვალიფიციური მუშახელის მოთხოვნა შეესაბმება მიწოდებას, მაშინ ეს ყველაფერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. იმის გამო, რომ საქართველო ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყანაა, მას აუცილებლად სჭირდება სტაბილური შრომის ბაზარი. უმუშევრობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რადგან საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70 % დაუსაქმებლად მიიჩნევს თავს, მათგან უმეტესი ნაწილი ახალგაზრდაა.*

*ჩვენი კვლევის მიზანია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით რეკომენდაციების შემუშავება პრობლემის აღმოსაფხვრელად. თანამედროვე მსოფლიო აღნიშნულ გამოწვევას უამრავი ხერხით ებრძვის. უნივერსიტეტებში შექმნილია სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი სისტემები, საქართველო კი კარიერის განვითარების სისტემების შექმნის საწყის ეტაპზე იმყოფება. ჩვენ მიერ შემუშავებული საინფორმაციო სისტემა ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.*

*საკვანძო სიტყვები: კურსდამთავრებულთა დასაქმება; დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები*

ხარისხიანი უმაღლესი განათლება თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შენების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მომავალი განვითარება დიდწილად არის დამოკიდებული სწორედ განათლების ხარისხსა და მის ხელმისაწვდომობაზე. [1]. საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სამივე საფეხურზე და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე სწავლობს 83757 სტუდენტი. სტუდენტების მთლიანი რაოდენობის 20% სწავლობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში [2], სადაც ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტია. მიმართულების აქტუალურობიდან გამომდინარე, აღნიშნული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხის შესწავლა და კურსდამთავრებულების უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია. კვლევის შედეგები წარმოდგენას შეგვიქმნის კურსდამთავრებულთა დასაქმების ზოგად ტენდენციასა და იმაზე, თუ რამდენად პასუხობს ფაკულტეტი ძირითად პრინციპს - გამოუშვას რაც შეიძლება მეტი შრომისუნარიანი და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა.

უმუშევრობის პრობლემა ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება ყველაზე რთულად მოგვარებადი საკითხი არამარტო საქართველოში, არამედ ევროპისა და ამერიკის წამყვან სახელმწიფოებშიც. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2016 წლისთვის ეკონომიკურად აქტიური 1998,3 ათასი ადამიანიდან უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 235,1 ათას კაცს, რაც 11,8%-ს უტოლდება. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 67% ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სამუშაო ადგილების ნაკლებობას ასახელებს. გამოკითხულთა 66% თავს უმუშევრად მიიჩნევს. თუკი ამ მონაცემებს შევადარებთ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებთან, დავინახავთ აშკარა განსხვავებას. განსხვავების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია თვითდასაქმებულთა წილის ზრდა საზოგადოებაში. დასაქმებულთა 1763,2 ათასი კაციდან დაახლოებით 60% თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, კერძო წარმოებასა და ბიზნესში. (იხ.დიაგრამა 1)

*დიაგრამა 1. დასაქმებულთა პროცენტული განაწილება*



ოფიციალური მონაცემებით 2016 წელს უმუშევრობა ქალაქის მაცხოვრებლებში შეადგენდა 21,1%-ს, ხოლო სოფელში - 5%-ს. დასაქმების მაჩვენებლები განსხვავებულია სქესისა და ასაკის ჭრილით (იხ. დიაგრამა 2). მიუხედავად ქალების როლის ზრდისა ბიზნესსაქმიანობაში, უახლესი მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი ქალებში შეადგენს 14,2%-ს, მამაკაცებში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 8,8%-ია.

*დიაგრამა 2. უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჭრილით 2016 წელს*




მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის 53,3%-ს აქვს უმაღლესი განათლება, მოსახლეობის 70% ყველაზე მწვავე პრობლემად მაინც უმუშევრობას ასახელებს, ამასთან, შრომის ბაზარზე მაინც არსებობს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ დასაქმებული, ან თუნდაც უმუშევარი, ვერ პასუხობს თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებს. ზოგადად ტექნოლოგიური პროგრესი უარყოფით გავლენას ახდენს დასაქმებაზე. ციფრული და ინტერნეტტექნოლოგიის განვითარება იწვევს ხელით შრომის ჩანაცვლებას კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც თავისთავად იწვევს შრომითი რესურსის გამოთავისუფლებას და კონკურენციის ზრდას შრომის ბაზარზე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შრომის ბაზარზე, ზოგიერთ სფეროში აღინიშნება კადრების სიჭარბე, მაშინ როდესაც რამდენიმე სფეროში საერთოდ არ არსებობს კვალიფიციური კადრი. 2016 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა 73% განაწილებულია სასწავლო პროგრამებზე შემდეგნაირად: 47% სწავლობს სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის, 15% - ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების, 11% კი - ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე[4].

GTZ-ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში, სამუშაო ძალაზე მოთხოვნაა ისეთი სპეციალობებისთვის, როგორიცაა: მრეწველობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია, მექანიკა, ელექტრონიკა. აღნიშნულ სფეროში ხელფასები გაცილებით უფრო მაღალია, რაც კადრების დეფიციტითაა გამოწვეული.

შრომითი რესურსების არასწორი გადანაწილება მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ამასთან ის ხელს უწყობს სამუშაო ძალის გადინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში ახალგაზრდების 31,9% არც მუშაობს და არც სწავლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში 270 000-მდე უმუშევარი ახალგაზრდაა.

უმუშევრობა უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდების კარიერაზე. მცირდება მათი პროდუქტი-ულობის პოტენციალი და დასაქმების შესაძლებლობები. ხანგრძლივმა უმუშევრობამ შესაძლოა გამოიწვიოს ახალგაზრდებში უნარ-ჩვევებისა და მოტივაციის დაკარგვა. მათ მიერ მიღებული ცოდნა ძველდება და ვერ უმკლავდება ტექნოლოგიურ პროგრესსა და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევებს.

ახალგაზრდების უმუშევრობის ფაქტორი ზემოქმედებს აგრეთვე მათ ნარკოდამოკიდებულებასა და კრიმინალური დანაშაულებების ზრდაზე,რაც წარმოშობს დამატებით სოციალურ პრობლემებს საზოგა-დოებაში.

საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უმუ-შევრობა. უნივერსიტეტები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შრომის ბაზრისთვის საჭირო პრაქტიკული განათლებით. სტუდენტი იძულებული ხდება გაიაროს ხანგრძლივი, უფასო სტაჟირების პროგრამა და იქ დაეუფლოს ამ ყოველივეს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში 2016 წელს სახელმწიფო უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხვი დაახლოებით 91740-ს შეადგენდა, კურსდამთავრებული კი 16731 კაცი იყო. (იხ დიაგრამა3, დიაგრამა 4)

*დიაგრამა 3. სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში*




*დიაგრამა 4. კურსდამთავრებულთა რაოდენობა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში*




მათი უმრავლესობა აქტიურად ეძებს სამუშაოს საკუთარი პროფესიით, თუმცა უშედეგოდ.

„შრომის ბაზარზე ერთდროულად არსებობს პროფესიონალიზმზე მოთხოვნის დეფიციტი და პროფესიონალების დეფიციტი. პროფესიონალების დეფიციტი დამსაქმებლებს აიძულებს, რომ კვალიფიციური კადრები ქვეყნის გარეთ ეძებოს, რის გამოც, ქვეყნის შიგნით არსებული რესურსების მიმართ მოთხოვნა მკვეთრად მცირდება, რაც თავის მხრივ, პროფესიონალად ჩამოყალიბების მოტივაციას მინიმალურ ზღვრამდე ამცირებს და უარყოფითად ზემოქმედებს განათლების ბაზარზე, განსაკუთრებით, სწავლის მაღალ საფეხურებზე“ [5].

გამოკითხვის შედეგად სტუდენტთა უმრავლესობა აპროტესტებს ვაკანსიებში მითითებულ ერთ-ერთ მოთხოვნას, კერძოდ 2-3 წლიან სამუშაო გამოცდილებას. ახალგაზრდებში უმუშევრობის პრობლემის გამომწვევი მიზეზებიდან ერთ-ერთია ნეპოტიზმი.

განვითარებულ ქვეყნებში სტუდენტთა დასაქმების საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ. უნივერსიტეტები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ საკუთარი სტუდენტების დასაქმებას, ატარებენ კვლევებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ქმნიან მონაცემთა ბაზებს. ისინი ცდილობენ, რომ კურსდამთავრებულებს გააჩნდეთ მაღალი კვალიფიკაცია და იყვნენ კონკურენტუნარიანები შრომის ბაზარზე. ამისათვის უნივერსიტეტებში იქმნება კარიერის განვითარების სამსახურები.

კარიერული განვითარების ცენტრები სტუდენტებს ეხმარება დასაქმდნენ სასურველ პოზიციაზე. აგრეთვე, უზრუნველყოფს მათ ინფორმაციით და უკეთესი განათლებით. სხვა საკითხებთან ერთად პროგრამა სთავაზობს ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსების შესახებ, აკადემიურ და პროფესიულ მომზადებაზე, რომელიც საჭიროა შემდგომში სამუშაო ადგილებზე წარმატებისთვის.

უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგების განსაზღვრისთვის 2008 წლს ჩატარდა კვლევა, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იყო სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხებზე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 52 უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა. მიღებული

მონაცემებით გაირკვა, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აღრიცხვას აწარმოებდა უნივერსიტეტების 60%, მათგან დიდი წილი კერძო სასწავლებლებზე მოდიოდა[6].

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ–ერთი უდიდესია საქართველოში. ის სასწავლოსთან ერთად საქართველოს ერთერთი უპირველესი სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებაა, სადაც ყოველწლიურად 200–მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება. დღეისთვის თსუ–ს 7 ფაკულტეტზე 22 ათასამდე სტუდენტი სწავლობს და ყოველწლიურად 4000-მდე სტუდენტი ამთავრებს უნივერსიტეტს.

იმის გასარკვევად თუ რეალურად რა მდგომარეობაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით, ჩავატარეთ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის კურსდამთავრებულების გამოკითხვა სპეციალური ფორმის საშუალებით, რომელიც დაგვეხმარა კვლევის შედეგების მიხედვით გარკვეული დასკვნის გამოტანაში. გამოკითხული სტუდენტები 2009-2018 წლების კურსდამთავრებულები არიან.

შეგროვებული მონაცემების საშუალებითა და პროგრამა MS Access-ის გამოყენებით მოვახდინეთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა საცდელი მონაცემთა ბაზის ფორმირება.

კვლევისას გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც სტუდენტებში უპირატესობით ხასიათდება. ესენია: ბიზნესის ეკონომიკა, ფინანსები და საბანკო საქმე, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, მენეჯმენტი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა, მენეჯერული ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა.

კვლევის მთავარი მიზანი იყო გაგვერკვია, რამდენად საქმდებიან საკუთარი სპეციალობით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები.

კურსდამთავრებულებს ვთხოვეთ მოენიშნათ დასაქმების მათთვის სასურველი სფერო. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მოთხოვნადს ბიზნესის, ფინანსების, მენეჯმენტის, წარმოებისა და დისტრიბუციის სფერო წარმოადგენს.

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ვერ საქმდება საკუთარი სპეციალობით. მათ უჭირთ თავისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამსაქმებლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებში არსებობს კარიერული სამსახურები და ტარდება დასაქმების ფორუმები, ამ ყველაფერს არ აქვს ავტომატიზებული სახე.

ჩვენ მიერ შემუშავებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და მათი თანხმობის და სურვილის შემთხვევაში ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას დამსაქმებლებისთვის. აღნიშნული სისტემა კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს საკუთარი ავტობიოგრაფია და სურვილები (თუ რომელ სფეროში სურთ დასაქმება) გააცნონ დამსაქმებლებს, რომლებსაც ასევე წვდომა ექნებათ ამ სისტემაზე. სისტემა მოსახერხებელია როგორც კურსდამთავრებულებისთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის. მსგავსი ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემები ხასიათდება პროდუქტიულობით, ხელმისაწვდომობით, საიმედოობით, შესრულების დროის შემცირებით.

დღესდღეობით საქართველოში სტუდენტებისთვის განკუთვნილი დასაქმების მხოლოდ ერთი საიტი არსებობს, რომელიც 2015 წლიდან ფუნქციონირებს. სტუდენტური დასაქმების პორტალის www.studentjob.ge [7] გამოჩენა ბაზარზე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით. საიტი ერთის მხრივ, უკონკურენტოა, თუმცა, ფუნქციონალურ განახლებას საჭიროებს.

ჩვენ შევიმუშავეთ დასაქმების ხელშეწყობის სრულიად ახალი პლატფორმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტებისთვის. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ცხადი გახდა, რომ იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც საკუთარი პროფესიით არიან დასაქმებული ერთობ მცირეა. ვებგვერდი საშუალებას მისცემს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მოძებნოს სასურველი პოზიცია და დასაქმდეს. ხოლო დამსაქმებლები შეძლებენ მოძებნონ მათთვის სასურველი კადრები.

www.studentjob.ge-სგან განსხვავებით ჩვენ მიერ შექმნილი ვებგვერდი არის უფრო მოქნილი. თითოეული სტუდენტი უნივერსიტეტში ჩარიცხვის პირველი დღიდან, თუკი განაცხადებს თანხმობას, შეძლებს საიტზე დარეგისტრირებას. საიტს წვდომა ექნება დარეგისტრირებული სტუდენტების პირად ბარათზე - ფაკულტეტი, სპეციალობა, GPA ან საშუალო რეიტინგული ქულა (მხოლოდ სტუდენტის თანხმობით). თითოეულ სტუდენტს ექნება საკუთარი გვერდი, რომელზეც სურვილის მიხედვით განათავსებს დამატებით ინფორმაციას: მაგ. ფოტოსურათი, ინტერესები, მუშაობის გამოცდილება, ნაშრომები, ტრენინგები და სასწავლო კურსები, უნარ-ჩვევები და ა.შ. სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, საიტი ავტომატურად გაუგზავნის სტუდენტს მისთვის საინტერესო ვაკანსიას ან სიახლეს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

კომპანიის წარმომადგენლების სახით ვებგვერდზე დარეგისტრირდებიან HR -ები. ისინი განათავსებენ ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებს, სტაჟირების პროგრამებს, ტრენინგკურსებს ან გაცვლით პროგრამებს. მათ საშუალება ექნებათ მოძებნონ საიტზე არსებული სტუდენტები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეადარონ მათი მონაცემები და შესთავაზონ თანამშრომლობა.

ვებგვერდის უპირატესობა იქნება უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა პოტენციურ დამსაქმებელთან. HR- ებს არ მოუწევთ ათასობით CV-ს გადარჩევა, მხოლოდ ორივე მხარის დაინტერესების შემთხვევაში გააგზავნის სტუდენტი რეზიუმეს.

Studentjob.ge- ზე ვაკანსიის განსათავსებლად, კომპანიებს უწევთ ელექტრონულ ფოსტაზე მიწერონ საიტის წარმომადგენლობას ვაკანსიის აღწერილობა და მხოლოდ ამის შემდეგ, საიტის ადმინისტრატორი განათავსებს მას. ახალი საიტის უპირატესობა არის ის, რომ HR -ები საკუთარი სურვილის მიხედვით, ნებისმიერ დროს შეძლებენ განცხადების ან სიახლის გამოქვეყნებას.

ფაკულტეტის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ ნახონ სტატისტიკა იმის შესახებ, რამდენად საქმდებიან საკუთარი სტუდენტები და რა პროფესიას ირჩევს მათი უმრავლესობა.

მსგავსი ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემების შექმნით, უნივერსიტეტები დაზოგავენ როგორც დროით, ასევე ადამიანურ რესურსს, რომელიც გამოიყენება კარიერული სამსახურების ფუნქციონირებისთვის.

აღმოჩნდა, რომ კარიერული განვითარების სამსახური ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ 30%-ში არსებობს, ხოლო ზოგიერთ უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. კერძო უნივერსიტეტებში უფრო მეტი ყურადღება ექცევა სტუდენტებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მათ დაკავშირებას პოტენციურ დამსაქმებლებთან. დამსაქმებლები კი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ ცენტრების მუშაობით და თვლიან, რომ მეტი ოპერატიულობა და ორგანიზებულობაა საჭირო.

ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელშიც განთავსდება არამარტო სტუდენტთა ბიოგრაფიები, არამედ დამსაქმებელთა შესახებ ამომწურავი ინფორმაცია. ყველაფერთან ერთად აუცილებელია ურთიერთობა უნივერსიტეტსა და დამსაქმებლებს შორის იყოს ორმხრივი.

## ლიტერატურა:


1. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში
2. http://eppmge.blogspot.com/ განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი
3. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang= საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
4. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
5. მარშავა ქ., დურგლიშვილი ნ. თსუ-ის კონკურენტული გარემო და ძირითადი პრობლემები.თბილისი, 2011წ.
6. http://erasmusplus.org.ge/files/publications/Aiding%20Student%20Employment%20-%20ge.pdf სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი დაწესებულებების მიერ
7. https://studentjob.ge/ სამუშაო ვაკანსიები


## Employment of Graduate Students by Using Information Technologies


***Tina Melkoshvili***

*Assistant-professor*

*Ivane Javakhishvili Tbilisi state university*



S u m m a r y

The country's economy largely depends on the labor market. If the labor relations between the employer and the employee are regulated in the country, if the country has a stable labor market, if the service corresponds a qualified worker's demand, then all this has a significant impact on the development of the country's economy. Because Georgia is an economically developing country, it necessarily needs a stable labor market. Unemployment is one of the most important problems, as almost 70% of Georgian population considers themselves unemployed, most of them are young.

The goal of our research is to identify the problems related to the unemployment of students and graduated ones of the TSU Economics and Business Faculty and to create recommendations using information technologies to overcome the problem. The modern world fights against this challenge in a lot of ways. There are designed systems to facilitate student employment at the Universities and Georgia is at the initial stage of creating career development systems. The information system created by us facilitates the employment of graduated students by using information technologies.



***Key word:*** *Employment of graduated students; Employment maintaining Programs.*

# ციფრული მარკეტინგის ფენომენი თანამედროვე ბიზნესში

**თამარ მერმანიშვილი**

*დოქტორანტი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*

*ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა საქართველოსა და საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი თანამედროვე ორგანიზაციებისთვის. სტატიაში ნაჩვენებია როგორი გავლენა აქვს ციფრულ მარკეტინგს მომხმარებლის შეძენის გადაწყვეტილებაზე. ასევე, მიმოხილულია ციფრული მარკეტინგის საერთაშორისო პრაქტიკა „PwC Total Retail Report" კვლევის დახმარებით. ასევე გაანალიზებულია ციფრული მარკეტინგის არსებული მდგომარეობა როგორ გავლენას ახდენს საერთაშორისო მასშტაბით ყიდვის შეძენის გადაწყვეტილებაზე. აღწერილია კომპანია თელიასონერას მდგომარეობა ციფრული მარკეტინგის გამოყენების შემდგომ, განხილულია ციფრული მარკეტინგის გავლენა წმინდა გაყიდვებსა და შემოსავლებზე 2002-2017 წლებში.*

*საკვანძო სიტყვები: ციფრული მარკეტინგი; საერთაშორისო ბაზრები; გლობალიზაცია.*

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური განვითარება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. თანამედროვე ტექნოლოგიებმა მთელი მსოფლიო შეცვალა, ხელი შეუწყო საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიკურ-ეკონომიკური ურთიერთოებების გაღრმავებას. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, მათ შორის ინტერნეტმა, შეცვალა ადამიანთა ცხოვრება, ურთიერთობა და შესაბამისად, ბიზნესიც [1, გვ. 7].

ბოლო წლებში კომპანიების ახალი ტექნოლოგიებისადმი, განსაკუთრებით კი ინტერნეტისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა, რადგან ის დიდ გავლენას ახდენს კომპანიების საქმიანობაზე [2, გვ. 7].

ინტერნეტი პროდუქტის შექმნის, შეთავაზების და რეალიზების მნიშვნელოვან საშუალებად იქცა. თანამედროვე ორგანიზაციები ინტერნეტს აქტიურად იყენებენ, რადგან მას გააჩნია ძალიან ბევრი დადებითი ასპექტი. ინტერნატის გამოყენების საშუალებით ორგანიზაციები ზოგავენ საკუთარ დროს და ხარჯებს. ბევრი თანამედროვე ორგანიზაცის მარკეტინგული აქტივობა ინტერნეტის ფართოდ გამოყენებას უკავშირდება. ისინი ქმნიან საკუთარ ვებ-გვერდს, ინტერნეტშივე აწყობენ აქციებს, კონკურსებს, აქვთ წარმომადგენლობა სხვადასხვა სოციალურ ქსელში, ურთიერთობენ მომხმარებლებთან და იგებენ მათ აზრს. თანამედროვე ორგანიზაციებისთვის დღითიდღე მიმზიდველი ხდება ინტერნეტი, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური საშუალება.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, მომავალი ეკუთვნის მხლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან მოახდენენ ადაპტირებას. ასეთ გარემოსთან ადაპტირების ერთ-ერთ ინსტრუმენტს კი წარმოადგენს ინტერნეტი. ინეტრენეტის საშუალებით იქმნება ციფრული მარკეტინგი, რომელიც განსხვავებულ შესაძლებლობებეს სთავაზობს ბიზნესს და საშუალებას აძლევს მარკეტინგისათვის სრულიად ახალი ხერხები და საშულებები გამოიყენოს. იგი შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე მასშტაბურ და იაფ ინფორმაციულ რესურსად. ინტერნეტ სივრცე საშუალებას აძლევს ბიზნესს მინიმალური დანახარჯებით გამოავლინოს თავისი პოტენციალი, კერძოდ შექმნას პროდუქტი, შესთავაზოს მომხმარებელს, მოახდინოს მისი რეალიზაცია და ა.შ. [3, გვ.7].

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ XXI ციფრული მარკეტინგის საუკუნეა, რადგან დედამიწის მოსახლეობის უმეტესეობა ჩართულია სოციალურ ქსელსა და ინტერნეტში. ინტერნატი და სოციალური მედია იძლევა საშუალებას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან დაუკავშირდე სასურველ პიროვნებას, გაიგო და გაიზიარო მსოფლიოში მიმდინარე სიახლეები.

დღეს ციფრული მარკეტინგი ბიზნესის წარმოების ერთ-ერთი მძლავრ იარაღად იქცა. ამის მიზეზია მისი მოქნილი მახასიათებლები, კერძოდ ის, რომ ორგანიზაციებს მომხმარებელთან ორმხივი კომუნიკაციის საშუალება აქვთ.

საქართველოში აქტუალურად გამოიყენებენ ციფრული მარკეტინგს კერძოდ, ფეისბუქს და ინსტაგრამს, რაც ქართულ ბიზნესს აძლევს საშუალებას შეიმუშაოს და განახორციელოს სხვადასხვა სტრატეგიები ინტერნეტ სივრცეში. ეს არის მიზნობრივ აუდიტორიასთან კონტაქტისა და ცნობადობის გაზრდის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება.

ინტერნეტ-ბაზარზე მომუშავე კომპანიამ უნდა გამოავლინოს მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფები, რომელთა დაკმაყოფილებას სხვებზე უკეთ შესძლებს, ხოლო შემდგომ მოახდინოს თავისი პროდუქცია შესთავაზოს იმგვარად, რომ მისი კომპანიის იმიჯი ცნობადი გახდეს მიზნობრივი აუდიტორიისთვის.

ციფრული მარკეტინგის გააჩნია ბევრი დადებითი მხარე რომელიც არის ძალიან მოქნილი და კომპანიებს ბიზნესის წარმოებაში ეხმარება:

**დაბალი ხარჯი** - ვებსივრცე და სოციალური მედია მცირე დანახარჯებით ფართო აუდიტორიის მოცვის საშუალებას იძლევა.

**გაზომვადობა** - იძლევა საშუალებას განისაზღვროს პოტენციური აუდიტორიის სიდიდე. ადვილია იმის გაზომვაც, მოჰყვა თუ არა რეკლამას გაყიდვების ან მნახველების რაოდენობის ზრდა.

**ფორმატი** - ეს შეიძლება იყოს სურათი, ვიდეო, აუდიო, ლინკი, პრეზენტაცია და სხვა. ტრადიციული მედია საშუალებებისგან განსხვავებით ვები იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას ინტერაქტიული რეკლამის შექმნის.

**მიზნობრიობა** - სოციალური ქსელის მეშვეობით ადვილია მიზნობრივი აუდიტორიის გადარჩევა და სეგმენტირება დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ინტერესების ნიშნით. შესაძლებელია იმის დათვლა, კონკრეტულმა მომხმარებელმა რამდენჯერ ნახა ესა თუ ის რეკლამა და რა თანმიმდევრობით.

**მოცვა** - ვებ-ით შესაძლებელია გლობალური და ლოკალური ბაზრების მოცვა. ის ყველასთვის ხელმისაწვდომი და საყოველთაოა.

**სისწრაფე** - როგორც კი საკომუნიკაციო დიზაინი გამზადდება, მაშინვე შესაძლებელია მისი გამოქვეყნება. ამასთან, ვებში დამკვეთს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს საკუთარი კამპანიის მსვლელობა, რეკლამის დიზაინი თუ სხვა დეტალები, რისი საშუალებაც ტრადიციულ სარეკლამო მედიას არ გააჩნია.

ინტერნეტ კომუნიკაციის ფორმებს გააჩნია ინდივიდუალური თავისებურებები, რომელთა ეფექტიანობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: კომპანიის მიზანი, ამოცანები და ფინანსური შესაძლებლობები, საქონლის თავისებურებები, მომხმარებელთა ქცევა და სხვა. ამიტომ კომუნიკაციის ოპტიმალური ფორმის შერჩევა უნდა მოხდეს კომპანიის გარე და შიდა სამყაროს მიზანმიმართული ანალიზის შემდეგ.

არსებობს სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმა: Facebook, Instagram, LinkedIn, Twitter, Pinterest, Youtube და Wikis. კომპანიებისათვის, რომლებიც სოციალურ მედიას იყენებენ ყველაზე პოპულარულია: Facebook, Twitter, LinkedIn და ბლოგები, რაც აქტიურად გამოიყენება ციფრული მარკეტინგში.

Facebook - არის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სოციალური ქსელი. მას ფაქტობრივად, არ ყავს კონკურენტი. პლათფორმა ეხმარება კომპანიებს ჰქონდეთ მომხმარებელთან უწყვეტ რეჟიმში კონტაქტის საშუალება. ბევრი ბიზნესი დღეს Facebook-ზე რეკლამას საკმაოდ მომგებიან საქმედ თვლის.

თანამედროვე მიდგომების უფრო კარგად შესწავლისათვის გამოვიყენეთ კომპანია ჯეოსელი, რადგან იგი არის ერთ-ერთი ინოვაციური კომპანია საქართველოს ბაზარზე რომელიც აქტიურად იყენებს ციფრულ მარკეტინგს, კერძოდ კი - სოციალურ მედიას. კომპანია საქართველოს ბაზარზე 1996 წელს გამოჩნდა და ცოტა ხანში სრულიად შეცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება.

ჯეოსელი არის ერთ-ერთი პირველი კომპანია რომელმაც მარკეტინგული აქტივობებისათვის დაიწყო ციფრული მარკეტინგის გამოყენება. ამ მიზნით ჩავატარე კვლევა, რომლის მიზანი იყო დამედგინა თუ როგორი გავლენა აქვს ციფრულ მარკეტინგს კომპანიის მომხმარებელზე.

სულ გამოიკითხა 120 რესპონდენტი. მომხმარებლის დემოგრაფიული მონაცემებს გაუკეთდა ანალიზი და მოცემული ცხრილი გვიჩვენებს როგორ განაწილდა შედეგები:

***მომხმარებლის დემოგრაფიული ანალიზის შედეგები***

| | | რაოდენობა | % |
|---|---|---|---|
| სქესი | მდედრობითი | 60 | 50 |
| | მამრობითი | 60 | 50 |
| | ჯამი | 120 | 100 |
| ასაკი | | რაოდენობა | % |
| | 18-25 | 30 | 25 |
| | 25-35 | 34 | 28 |
| | 36-45 | 29 | 24 |
| | 46-55 | 25 | 21 |
| | 55+ | 2 | 2 |
| | ჯამი | 120 | 100 |
| ინტერნეტის მოხმარების სიხშირე | | რაოდენობა | % |
| | ყოველდღე | 88 | 73 |
| | კვირაში ერთხელ | 17 | 14 |
| | კვირაში ორჯერ | 13 | 11 |
| | თვეში ერთხელ | 2 | 2 |
| | ჯამი | 120 | 100 |

ამ კვლევის მიზანი იყო გაგვეგო ციფრული მარკეტინგის გავლენა მომხმარებლის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ასევე, ის მხარეები, რასაც კომპანიამ ყურადღება უნდა მიაქციოს და სად არის ციფრული მედიის მეტი რაოდენობით გამოყენების აუცილელობა.

გამოკითხულთა 33% აღნიშნავს, რომ ციფრულ მარკეტინგს დიდი გავლენა აქვს მათი ყიდვის გადაწყეტილებაზე. კერძოდ, კი სოციალურ მედიაში ამა თუ იმ პროდუქტზე მიმოხილვები და კომენტარები ახდენს გავლენას მათ შენაძენზე.

გამოკითხულთა 41% კი აღნიშნავს, რომ ციფრული მარკეტინგის წყალობით დამოკიდებულება შეიცვალი ბრენდისადმი.

ციფრული მარკეტინგის როლის უფრო მკაფიოდ დასანახად, გადავხედეთ თელიასონერას გაყიდვებს. 2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სოციალური რევოლუცია დაიწყო და მსოფლიომ გაიცნო ციფრული მარკეტინგი, თელიასონერას ჯგუფიც არ ჩამორჩა ინოვაციებს და დაიწყო საკუთარი პროდუქტის რეკლამრება ციფრული მარკეტინგის მეშვეობით.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის წმინდა გაყიდვის მონაცემები 2002- წლიდან.




თელიასონერას მონაცმების მიხედვით, როდესაც კომპანიამ დაიწყო ციფრული მარკეტინგის აქტიური გამოყენება დაახლოებით 2002 წლის შემდეგ, მას ჰქონდა დადებითი გავლენა კომპანიის გაყიდვებზე. კომპანია საქართველოში განსაკუთრებით აქტიური იყო 2002-2009 წლებში. ახლა კი ბაზარი უფრო კონკურენტული გახდა და კომპანიასაც აღენიშნება გაყიდვეში შემცირება. მისთვის აუცილებელია რომ უფრო მეტად გაამახვილოს ყურადრება ციფრულ მარკეტინგზე, რაც მას საშუალებას აძლევს რომ გაიგოს მომხმარებლის აზრი და შეეცადოს მათი მოთხოვნების, საჭიროებების და სურვილების დაკმაყოფილებას.




ასევე, კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2002 წლის შემდგომ ცისფრულ მარკეტინგს, კერძოდ კი სოციალურ მედიას, ჰქონდა პოზიტიური გავლენა მომხმარებელზე. როგორც გაყიდვები, ასევე შემოსავლები გაიზარდა ციფრული მარკეტინგის გამოყენების შედეგად. კომპანია საქართველოში საკმაოდ აქტიური და ინოვაციური იყო 2002-2009 წლებში.

დღეს, ბაზარი ბევრად კონკურენტუნარიანი გახდა და კომპანიამაც მეტი ენერგია უნდა დახარჯოს ციფრული მარკეტინგის მხრივ, რათა მიიზიდოს მომხმარებელი და არ დაკარგოს არსებული კლიენტები. კომპანისათვის აუცილებელია გაიგოს მომხმარებლის აზრი და გაითვალისწინოს თავისი შემგომი საქმიანობისთვის, რათა იყოს კონკურენტუნარიანი დღევანდელ გარემოპირობებში.

წარმოდგენილი თელიასონერას ანაგარიშებიდან გამომდინარე, წმინდა მოგებაში თავიდან იყო ვარდნა, ანუ კომპანია წავიდა წაგებაზე, ხოლო როცა დაიწყო ციფრული მარკეტინგის გამოყენება, კომპანიის შემოსავალი გაიზარდა.

ციფრული მარკეტინგს საკმაო გავლენა აქვს კომპანიის შემოსავლებზე, განსაკუთრებით კი სოციალურ მედიას. სოციალური მედია ძალიან განვითარდა და დღეს საკმაოდ ძლიერი იარღია, ის ორგანიზაციების მარკეტინგული სტრატეგიების მთავარი შემადგენელი ნაწილია[8].

**PwC total retail survey** 2016- კვლევის მიხედვით მსოფლიო გამოკითხულთა 45%-ის აზრით, მიმოხილვისა და კომენტარების კითხვა მათ გადაწყვეტილებაზე ახდენს ზეგავლენას. თუ ბლოგერი აზიარებს პოსტს სოციალურ მედიაში იქნება ეს ფეისბუქი ტუ ინსტაგრამი და მიმოიხილავტ თუ რა კარგი და ხელმისაწვდომი პროდუქტია მისი მნახველები დიდ წილად ინტერესდებიან ამ პროდუქტით და ყიდულობენ მას.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, სოციალურ მედია არის დიდი გავლენის მატარებელი და იგი უზრუნველყოფს მეტ ინფორმაციას მომხმარებლისათვის. PwC-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 78% ერთხელ მაინც მოქცეულა სოციალური მედიის გავლენის ქვეშ. 43% აღნიშნავს, რომ საყვარელ ბრენდთან კომუნიკაცია დადებითად აისახა მათ ბრენდისადმი დამოკიდებულებაში. 68%-მა კი აღნიშნა, რომ ორმხრივმს კომუნიკაიცამ ბრენდისადმი მათი მეტი პატივისცემა და ლოიალურობა გამოიწვია.

როგორც კვლევა აჩვენებს, ციფრული მარკეტინგი ბევრ სარგებელს გვთავაზობს და რაც ყველაზე მთავარია, მინიმალური დანახარჯებით. დღეს, როდესაც მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობა ჩაბმულია სოციალურ მედიაში და ინტერნეტს იყენებს ყოველდღიურად, ციფრული მარკეტინგის როლიც მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ ფაქტორის გამო. აქედან გამომდინარე, თანამედროვე კომპანიებისთვის აუცილებელია ციფრულ მარეკრტინგს დაეთმოს დიდი ყურადღება და გამოიყენონ ის როგორც მარკეტინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი. ის ყველა ტიპის ბიზნესისთვის არის გამოსადეგარი, რადგან მას აქვს მოქნილი სამუშაო გარემო. მისი მეშვეობით მცირე დანახაჯებით შესაძლებელია მაქსიმალურ შედეგზე გასვლა, მისი დადებითი მახასიათებელბიდან გამომდინარე

ციფრული მარკეტინგის მრავალი დადებით თვისებიდან გამომდინარე თანამედროვე კომპანიებისთის სასიცოცხლოდ აუცილებელიც კი არის მისი გამოყენება.

## ლიტერატურა


1. სიმეონ ო. ედოსომვან - „სოციალური მედიის ისტორია და მისი გავლენა ბიზნესზე“ ჟურნალი: ,,გამოყენებითი მენეჯმენტი და მეწარმეობა”, იანვარი 2011.
2. ბრაიან სუტონი - „ტექნოლოგიების გავლენა საზოგადოებასა და განათლებაზე“, სამაგისტრო ნაშრომი, 2013.
3. ჩარლს უელსი - “როგორც ცვლის ტექნოლოოგია მარკეტინგს” ჟურნალი: “The Guardian”, 2018.
4. ხოსე მანუელ კრისტავიო ვერისიმო & ტრეზა ტიაგო - „ციფრული მარკეტინგი და სოციალური მედია: რატომ ძმები?“ ჟურნალი „Journal Business Horizons 57(6):703-708, 2014“
5. მაიკ ტორტორიჩე - „როგორ შეცვალა ტექნოლოგიებმა ტრადიციული მარკეტინგი“ ჟურნალი: “Infront Webworks “ 9 თებ 2017.
6. ზაიდ ნოიამი, “ციფრული მარკეტნგის გავლენა ბიზნესზე” საიტი: „Linked In”, 27 დეკემბერი, 2015.
7. ანუფ მოჰანი - სტატია: „ვირუსული მარკეტინგი სოციალურ მედიაში“, საიტი: Linked In”, 28 ივლისი, 2015.


## The Phenomenon of Digital Marketing in Modern Business


***Tamar Mermanishvili***

*Phd Student, Tbilisi State University*



Summary

The paper analyses the importance of digital marketing at the global market. The aim of the paper is to show the importance of digital marketing for modern organizations who are operating at Georgian and international market. Also, how digital marketing is able to influence decision making process and how it can affect buying decision. The paper also includes research, that shows how digital marketing can affect the decision making process. Moreover, the international practice is shown according to the survey conducted by “PwC Total Retail Report”. For better understanding and proper evaluation of digital marketing the case of TeliaSonera Company is discussed, the paper analyses the net sales and net incomes of the company during 2002-2017 years.



***Key word**s: Digital Marketing; International Business; Globalization.*

# შინამეურნეობის სტატისტიკის მიკრო და მაკრო ასპექტები

**მარინე მინდორაშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის თსუ*
*ასოცირებული პროფესორი*

*შინამეურნეობის კვლევა როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკური ჭრილით, საკმაოდ რთული ამოცანაა. სტატიაში განხილულია შინამეურნეობის სტატისტიკური შესწავლის მიმართულებები, როგორიცაა: მოსახლეობის აღწერა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, შინამეურნეობის კეთილდღეობა(სიმდიდრე). აქ გამოყენებული კატეგორიების უმრავლესობა ერთმანეთთან შესაბამისობაშია, თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, რაც სირთულეებს ქმნის. ასეთია გრძელვადიანი მოხმარების საგნების განსაზღვრა ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა და შინამეურნეობის კეთილდღეობის მიკრო სტატისტიკაში.*

*საკვანძო სიტყვები: შინამეურნეობა; გრძელვადიანი საგნების კონცეფცია; წარმოების საზღვრები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში; შინამეურნეობის კეთილდღეობის კონცეფცია.*

სტატისტიკა შინამეურნეობას სხვადასხვა ჭრილით განიხილავს, რაც ხშირად ართულებს შინამეურნეობის მაჩვენებლების შესაბამისობას. ამასთან, ფაქტობრივად, მუდმივი განახლების პროცესშია შინამეურნეობების სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიაც, რაც სტატისტიკის ბუნებიდან გამომდინარეობს: იცვლება ინდიკატორები, გაზომვის მეთოდები, დეფინიციები, კლასიფიკაციები და ზოგადად სტატისტიკური სტანდარტები. თუმცა, შინამეურნეობა ყოველთვის უმნიშვნელოვანეს კატეგორიად რჩება როგორც მოსახლეობის, ისე შრომის, ცხოვრების დონისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტატისტიკებისთვის.

„შინამეურნეობის", როგორც სტატისტიკური კატეგორიის პრიორიტეტულობა, უპირველესად მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგიას უკავშირდება. 2002 წლის აღწერისას საქართველოში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სტატისტიკური დაკვირვების ერთეულად ადრე ტრადიციულად მიღებული „ოჯახის" ნაცვლად გამოყენებულიყო „შინამეურნეობა". ეს პრინციპული ცვლილება სტატისტიკის სფეროს განვითარების ერთიანმა მიმართულებამ და საერთაშორისო შესადარისობის პრინციპმა განაპირობა, რადგან ამ დროისთვის ქვეყნების უმრავლესობა მოსახლეობის აღწერებსა და კვლევებში „შინამეურნეობას" იყენებდა დაკვირვების ობიექტად.

გაეროს რეკომენდაციის შესაბამისად, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროსაც საქართველოში დაკვირვების ერთეულს „შინამეურნეობა" წარმოადგენდა. ამ აღწერის მიხედვით ქვეყანაში 1109,0 ათასი კერძო შინამეურნეობა დაფიქსირდა. კერძო(ინდივიდუალურ) შინამეურნეობებში მუდმივად მცხოვრებთა რიცხვმა 3702,1 ათასი კაცი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 99,7% შეადგინა, ხოლო მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი (0,3%) ინსტიტუციურ დაწესებულებებში (მაგალითად, პენიტენციურ დაწესებულებში, ხანდაზმულთა სახლებში, მონასტრებში და სხვ.) ცხოვრობდა. აღწერამ აჩვენა, რომ კერძო შინამეურნეობათა რაოდენობა 2002 წლის აღწერასთან შედარებით 10,8 პროცენტით შემცირდა.[1 გვ.11].

აღწერის კითხვარში „ოჯახი" შეიცვალა უფრო ტევადი ცნებით „შინამეურნეობა", შესაბამისად, აღწერის პროგრამით პირველი კითხვა შეეხება ნათესაურ დამოკიდებულებას შინამეურნეობაში და არა ოჯახში პირველად ჩაწერილი პირის მიმართ.

„შინამეურნეობისა" და „ოჯახის" კონცეფციები ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა, მათ შორის სამი მნიშვნელოვანი განსხვავებაა: პირველი, შინამეურნეობა შეიძლება ერთი ადამიანისგან შედგებოდეს, ხოლო ოჯახში მინიმუმ ორი წევრი მაინც უნდა იყოს; მეორე, შესაძლებელია, შინამეურნეობის წევრები არ იყვნენ ერთმანეთის ნათესავები, ხოლო ოჯახი ნათესავებისგან შედგება და მესამე, ოჯახი იმ წევრებსაც მოიცავს, რომლებიც ჩვეულებრივ ცალკე ცხოვრობენ ან მუდმივად არ იმყოფებიან შინამეურნეობაში.

„შინამეურნეობა" გულისხმობს პირთა ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტითა (ან მისი ნაწილით) და ნათესაური ან არანათესაური ურთიერთობით. ის შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც, რომელიც წინა აღწერებში აღიწერებოდა როგორც „მარტოხელა". შინამეურნეობის ეს ძირითადი კონცეფცია ფაქტობრივად გაზიარებულია მრავალი სტანდარტის (გაეროს მსოფლიოს მოსახლეობის აღწერა, მოსახლეობის აღწერის გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, შრომის სტატისტიკის საერთაშორისო კონფერენციის( ICLS) მიერ მიღებული შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების სტანდარტები, კანბერის ჯგუფის სტანდარტები შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკის შესახებ, ევროარეში შინამეურნეობების ფინანსებისა და მოხმარების კვლევისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტანდარტები)[2,3,4,5,6,7] მიერ, თუმცა არსებობს მათ შორის განსხვავებებიც, რაც დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

- რესურსების დეტალური სპეციფიკაცია, რომელთა გაზიარება უნდა ხდებოდეს მრავალი პირისგან შემდგარი შინამეურნეობის შემთხვევაში;

- უნდა შეიზღუდოს თუ არა მრავალი პირისგან შემდგარი შინამეურნეობა მხოლოდ ერთი საცხოვ-რისით;
- ხდება თუ არა ინსტიტუციებში მცხოვრებ პირთა შეტანა შინამეურნეობის კონცეფციაში;
- ხდება თუ არა შინამეურნეობების სხვადასხვა კატეგორიის იდენტიფიკაცია და როგორ ხდება მათი განსაზღვრა (მაგ. კერძო ანუ ინდივიდუალური და ინსტიტუციური შინამეურნეობები);
- რამდენად ხერხდება სტატისტიკის მიერ შინამეურნეობის ცალკეული კატეგორიების მოცვა, და როგორ ხდება ცალკეული სასაზღვო შემთხვევების განხილვა.

აქ ვერ შევჩერდებით ყველა ფაქტორის განხილვაზე, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ შინა-მეურნეობების კეთილდღეობის ანუ „სიმდიდრის“ კონცეფციაზე მიკრო და მაკრო ჭრილებში (ეროვნულ ანგარიშთა სისტემა). როგორც ცნობილია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა შინამეურნეობებს ცალკე სექტორად განიხილავს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკის სექტორებად დაყოფა განპირობებულია კორპორაციების, მთავრობისა და შინამეურნეობების განსხვავებული ქცევით: შინამეურნეობები გადასახა-დებს იხდიან კორპორაციებთან ერთად; მთავრობა ამ გადასახადებს იმისთვის იყენებს, რომ მომსახურება გაუ-წიოს როგორც მთლიანად საზოგადოებას, ისე მის ცალკეულ შინამეურნეობას; შინამეურნეობები და მთავრობა საბოლოო მომხმარებლები არიან და მათი დანახარჯები მიმართულია ადამიანური მოთხოვნილებების დასაკ-მაყოფილებლად; ყველა დასაქმებული შინამეურნეობას მიეკუთვნება და მათი შრომის ანაზღაურება შინამე-ურნეობების შემოსავლის მთავარი წყაროა [Mindorashvili Marine, 2018].

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს ყველა რეზიდენტ შინამეურნეობას. ეას-ის კონცეფციით, ფიზიკურ პირად განიხილება შინამეურნეობა ან შინამეურნეობის მიერ განხორციელებული საქმიანობა. ეასის კონცეფ-ციით, შინამეურნეობა არის ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ იზიარებს შემოსავლებსა და სიმდიდრეს და კოლექტიურად მოიხმარს გარკვეულ საქონელსა და მომსახურე-ბას, ძირითადად ბინას და საკვებს. კერძო შინამეურნეობებისგან განსხვავებით, ინსტიტუციური შინამეურნე-ობები აერთიანებს მოხუცებულთა სახლებს, საავადმყოფოებს (მაგ. ფსიქიატრიულს), საპატიმროებს, მონასტრებს და ა.შ., სადაც დიდი ხნის განმავლობაში უხდებათ ადამიანებს ცხოვრება.

მრავალი ადამიანისგან შემდგარი შინამეურნეობის ცალკეული წევრი დამოუკიდებელ შინამეურნეობად არ განიხილება. ბევრი აქტივი ან ვალდებულება შინამეურნეობაში შეიძლება ერთობლივად ეკუთვნოდეს ორ ან მეტ წევრს, თუმცა თითოეული მათგანის მიერ მიღებული შემოსავალი ყველა წევრზე ნაწილდება. ამასთან, გადაწყვეტილებები ისეთ დანახარჯებთან დაკავშირებით, როგორიცაა საკვები და ბინა, კოლექტიურად მიიღება. ამიტომ, შეუძლებელია შინამეურნეობის თითოეული წევრისთვის ბალანსის ან სხვა რომელიმე ანგარიშის შედგენა ინდივიდუალურად. შესაბამისად, შინამეურნეობა მთლიანობაში (და არა მისი თითოეული წევრი) განიხილება როგორც ინსტიტუციური ერთეული.

შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული არაკორპორირებული საწარმოები ასევე განიხილება რო-გორც შინამეურნეობა. შინამეურნეობა ხშირად ემთხვევა ოჯახს, თუმცა შინამეურნეობის წევრები შეიძლება არ იყვნენ ერთი ოჯახის წევრები. შინამეურნეობის სიდიდე შეზღუდული არ არის და მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც განპირობებულია საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური, კლიმატური, გეოგ-რაფიული, ისტორიული თავისებურებებით, განათლების დონითა და სხვა სოციალ-ეკონომიკური ფაქტო-რებით. შინამეურნეობაში დასაქმებული პირები, რომლებიც დამსაქმებლის საცხოვრისში ცხოვრობენ, არ მიეკუთვნებიან დამსაქმებლის შინამეურნეობას, რადგან მათი საბინაო და საკვების ხარჯები არ შედის დამსაქმებლის მოხმარების ხარჯებში.

ეას-ის კონცეფციით, მაკრო დონეზე ეროვნული სიმდიდრე განისაზღვრება როგორც ქვეყნის რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების აქტივების წმინდა ღირებულებათა ჯამი დროის კონკრეტული მომენტისთვის ანუ რაიმე თარიღისთვის. შინამეურნეობის სტანდარტული სტატისტიკური რეკომენდაციების მიხედვით, შინამეურნეობების კეთილდღეობა ანუ წმინდა სიმდიდრეც ანალოგიურად განისაზღვრება როგორც შინამეურნეობის მფლობელობაში არსებული აქტივების ღირებულებას მინუს ვალდებულებები რაიმე თარიღისთვის.[8, გვ.54] ეროვნული ანგარიშების დონეზე მიღებული აქტივებისა და ვალდებულებების განსაზღვრებებიც ასევე მისაღებია შინამეურნეობებისთვის მიკრო-დონეზე, თუმცა შინამეურნეობების სიმდიდრესა და მის განაწილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს გრძელვადიანი მოხმა-რების საგნების თემამ. ეას-ში გრძელვადიანი მოხმარების საგნები განმარტებულია როგორც სამომხმარებლო საქონელი, რომელიც მრავალჯერ ან მუდმივად გამოიყენება წლის ან მეტი პერიოდის განმავლობაში, როგორიცააა; ავტომობილები, სამზარეულოსა და სამრეცხაო მოწყობილობები, კომპიუტერი და გასართობი მოწყობილობები და მრავალი სხვა პერსონალური ნივთი თუ მოწყობილობა. ეას-ში გრძელვადიანი მოხმარების საგნები აქტივებს არ მიეკუთვნება (აქტივების ფლობით ან განკარგვით მისმა მფლობელმა უნდა მიიღოს ეკონომიკური სარგებელი), რადგან მომსახურების ის სახეები, რომელსაც ეს გრძელვადიანი მოხმარების საგნები უზრუნველყოფს, ეას-ის წარმოების საზღვრებში არ ჯდება (თუმცა, ეას ცნობს ასეთი მარაგების შესახებ ინფორმაციის საჭიროებას შინამეურნეობების დაზოგვისა და სიმდიდრის ანალიზის თვალსაზრისით)[7, პუნქტები 2.34, 3.46-3.47, 10.34, 13.93-13.94].

სახელდობრ, ეროვნული ანგარიშები არ განიხილავს წარმოების საზღვრებში შინამეურნეობის წევრების მიერ გაწეულ საშინაო და პერსონალურ მომსახურებას საკუთარი მოხმარებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ისეთი საქმიანობები, როგორიცაა შინამეურნეობის წევრებისთვის საკვების მომზადება, მათი ტრანსპორტირება, სახლის დასუფთავება, ტანსაცმლის რეცხვა და ბავშვებისა და მოხუცების მოვლა, გამორიცხულია მშპ-დან, თუ ეს საქმიანობები არაანაზღაურებადია.

თავის მხრივ, ასეთი საქმიანობების გამორიცხვა მშპ-დან ეროვნული მოანგარიშეების მიერ პრაქტიკული მოსაზრებების გამო მოხდა: სიძნელეები, რაც თან ახლავს ასეთი საქმიანობების ღირებულების იმპუტაციას და შედეგები, რაც შემდგომ შეიძლება მოჰყვეს მშპ-ის ვარიაციის ანალიზს. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში აუნაზღაურებელი მომსახურება ძირითადად ქალების მხრებზეა და ისევე მნიშვნელოვანია ზოგადად კეთილ-დღეობისთვის, როგორც ანაზღაურებადი მომსახურება, რომელიც წარმოების საზღვრებში ხვდება. ძირითა-დად, ამ მომსახურების გამორიცხვა პრაქტიკულ მოსაზრებებს უკავშირდება. მეტიც, ამ საქმიანობების შეტანა წარმოების საზღვრებში სხვა ინდიკატორების მნიშვნელობებსაც შეცვლიდა, როგორიც არის შინამეურნეობე-ბის განკარგვადი შემოსავალი და საბოლოო მოხმარების დანახარჯები. ორივე ინდიკატორი აუნაზღაურებელი მომსახურების ტოლი ღირებულებით გაიზრდებოდა. შედეგად, მას, ვინც სამუშაოს დაკარგავდა, შეიძლება აღმოეჩინა, რომ მისი შემოსავალი იზრდება, რადგან სხვა დამატებითი აუნაზღაურებელი საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი გადაამეტებდა მის დანაკარგებს ნაღდ ვალუტაში. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის მიზნით, ზოგიერთი სტატისტიკური სამსახური აქვეყნებს ე.წ. სატელიტურ ანგა-რიშებს, რომლებშიც მოტანილია აუნაზღაურებელი საშინაო მომსახურების შეფასებები. ეს ანგარიშები დანარ-თის სახით ახლავს ეროვნულ ანგარიშებს და გვიჩვენებს, თუ რის ტოლი იქნებოდა მშპ, თუ აუნაზღაურებელი საშინაო მომსახურება იქნებოდა მასში შეტანილი[10, გვ.76-79].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეას-ის ძირითად სტრუქტურას შეიძლება დაემატოს სატელიტური ანალიზი, რომელშიც გამოყენებული იქნება ალტერნატიული კონცეფციები, როგორიცაა წარმოების განსხვავებული საზღვრები ან აქტივების გაფართოება მასში გრძელვადიანი მოხმარების საქონლის ჩართვით. სატელიტური ანგარიშების ერთ-ერთი კონცეპტუალური ცვლილება უკავშირდება სწორედ გრძელვადიანი მოხმარების სა-ქონელზე შინამეურნეობების დანახარჯების გადაკვალიფიცირებას ძირითადი კაპიტალის ფორმირებად. ამ ცვლილების საფუძველზე, გრძელვადიანი მოხმარების საქონელი უკვე კაპიტალური სახის მომსახურებას გაუწევს შინამეურნეობას, რაც შესაბამისად გაზრდის დაზოგვას. კვლევებმა აჩვენა, რომ ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის დაზოგვის ნორმას [8, პუნქტები 2.167, 29.6, 29.46-29.51, 29.152-29.155]. ამ საკითხის მნიშვნელობა უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებებს: კერძოდ, ევროსტატის უკანასკნელი მონაცემებით, ევროკავშირის მშპ-ის მეოთხედზე ცოტა ნაკლები - შინამეურნეობებზე (ძირითადად, საკუთარ სახლში ცხოვრების პირობითი რენტის სახით) მოდის. კორპორაციებსა და სახელმწიფო მართვის ორგანოებში წარმოებული დამატებული ღირებულების დიდი ნაწილი შინამეურ-ნეობებისკენ მიემართება შრომის ანაზღაურებისა და სოციალური შენატანების სახით. ამიტომ, ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი წილი შინამეურნეობებში რჩება, რაც შემდგომში მიღებული და გაცემული ტრანსფერტების სალდოს ხარჯზე განკარგვად შემოსავლად გარდაიქმნება. სწორედ ეს არის ის განკარგვადი რესურსი, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს საბოლოო მოხმარებაზე ან დაზოგვისთვის. სახელმწიფო მართვის ორგანოებთან ერთად, შინამეურნეობები მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ საბოლოო მოხმარებაზე, რაც ამცირებს მათ მონაწილეობას დაზოგვის პროცესში და ზრდის ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების წარმომადგენლობას ამ პროცესში. ევროსტატის მიხედვით, ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ეკონომიკის სექტორებიდან შინამეურეობებზე (30%) მოდის ძირითადი კაპიტალის დაგროვების სახით. ეას-ის მიხედვით, შინამეურნეობების წმინდა დანაზოგი ინვესტიციების მთავარი შიდა წყარო და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა. [გაანგარიშებები გაკეთებულია https://bit.ly/2nHkY98 წყაროზე დაყრდნობით (ნანახია 14.08.2018)]

დღეისათვის, ქვეყნების უმეტესობა შინამეურნეობების კეთილდღეობის მიკრო დონეზე გაზომვის მიზ-ნით აგროვებს ინფორმაციას გრძელვადიანი მოხმარების საგნების (მინიმუმ ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების) შესახებ. ზოგიერთი ქვეყანა გრძელვადიანი მოხმარების საგნებს არაფინანსური აქტივების კომპონენტად წარმოადგენს სიმდიდრის კლასიფიკაციებში. ასეთი ინფორმაცია ძალიან სასარგებლოა და მოიცავს სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობის ქცევას ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკის ცვლილების ფონზე. ასეთი ინფორმაციის შეგროვება ასევე მნიშვნელოვანია აქტივების კონტექსტშიც, რადგან კერძო შინამეურნეობები საკუთარ გრძელვადიან მოხმარების საგნებს აქტივებად მოიაზრებენ, ხოლო მათი შესყიდვები შეიძლება ვალის აღებასთან იყოს დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების შეხედულება გრძელვადიანი მოხმარების საგნების „გააქტივებასთან“ დაკავშირებით ძირითადად ფინანსური ინსტიტუტებისა და სამთავრობო სააგენტოების მიერაა განმტკიცებული მათი ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად.

შინამეურნეობების შემოსავლების სტანდარტების მიხედვით რეკომენდებულია (როგორც კანბერის ჯგუ-ფის სახელმძღვანელოს, ისე 2003 წლის ICLS-ის მიერ) გრძელვადიანი საგნების მომსახურების ღირებულების გაერთიანება შემოსავლის კონცეფციაში. პრინციპში, გრძელვადიანი საგნების განხილვა ხდება მფლობელის მიერ დაკავებული საცხოვრისის კონტექსტში, ანუ ეს საგნები განიხილება პირობითი არაკორპორირებული სა-

წარმოების აქტივებად, რომელთა გამოყენებიდან შინამეურნეობები სარგებელს იღებენ. ამ შემოსავლის გაანგარიშების დროს გაწეული მომსახურების ხარჯები გამოქვითება. ამ რეკომენდაციების მიუხედავად, ქვეყნების უმრავლესობაში შემოსავლის გაანგარიშება ამ ხერხით არ ხდება. საერთაშორისო შედარებების მიზნით, კანბერის ჯგუფი მიმართავს მომსახურების ხარჯების გამოქვითვის პრაქტიკას, შესაბამის რეკომენდაციას იზიარებს ICLS შემოსავლის საოპერაციო განსაზღვრის დროს.

რაც შეეხება გრძელვადიანი საგნების მოხმარების ხარჯებს, მათი გაანგარიშებაც ორი მიდგომით არის შესაძლებელი და ქვეყნებს შეუძლიათ საკუთარი არჩევანის გაკეთება. პირველი მიდგომით ხდება გრძელვადიანი საგნების შესყიდვის ღირებულების მიჩნევა მოხმარების ხარჯად (როგორც მოკლევადიანი მოხმარების საგნების შემთხვევაში), ხოლო მეორე მიდგომით - ხდება გრძელვადიანი საგნების მომსახურების შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მიდგომა უფრო ესადაგება შემოსავლის კონცეპტუალურ განსაზღვრას და გრძელვადიანი საგნების „გააქტივებას“, ის ამასთანავე იმპუტაციების განხორციელებას მოითხოვს, რასაც ქვეყნების უმეტესობა არ აკეთებს. თუმცა, ანალიტიკური მიზნებისთვის აუცილებელია, რომ სტატისტიკის სამსახურებმა მოიპოვენ ისეთი ინფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს მათ შეაფასონ გრძელვადიანი საგნების მომსახურების ნაკადები (მოსალოდნელი სამსახურის ვადისა და ღირებულების გათვალისწინებით).

სტანდარტის მიხედვით, შინამეურნეობის კეთილდღეობის მიკრო სტატისტიკაში გრძელვადიანი საგნები აქტივებად განიხილება, თუმცა, ის სხვა აქტივებისგან განცალკევებითაც უნდა აღირიცხოს, რაც განპირობებულია მისი გამოყენების შესაძლებლობით სხვადასხვა ანალიზში. განვითარებულ ქვეყნებში შინამეურნეობების კეთილდღეობის ინდიკატორების ანალიტიკური შესაძლებლობები ფართოდ გამოიყენება, რაც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე მიიღწევა. ამიტომ, აუცილებელია საქართველოში ამ ტიპის სტატისტიკის არსებობა.

## ლიტერატურა:


1. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ზოგადი ინფორმაცია (28.04.2016), https://bit.ly/2kvr2j9 (ნანახია 13.08.2018)
2. Principles and Recommendations for Population and Housing Censuses, Revision 2, published by the United Nations in 2008, paragraphs 1.442,1.448-1.455,1.461-1.468.
3. Conference of European Statisticians. Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, published by the United Nations Economic Commission forEurope(UNECE) in 2006,paras.158-170,478-492,592-595.
4. Household Income and Expenditure Statistics, Report II of the 17th International Conference of Labour Statisticians, published in 2003 by the International Labour Office, paras.181-185,193-195, resolutions 54-58.
5. Canberra Group Handbook on Household Income Statistics 2011, published by the UNECE, Boxes 3.2 and 6.1,and Section 3.3.1.
6. European Central Bank Household Finance and Consumption Network Core Output Variables, March 2011.
7. System of NationalAccounts 2008,paras.1.48,2.17-2.20,4.10-4.37,4.149-4.159,24.12-24.17,26.37-26.39.
8. OECD Guidelines for Micro Statistics on Household Wealth © OECD 2013.
9. მარინე მინდორაშვილი. შინამეურნეობების სექტორის საკვანძო მაჩვენებლების როლი მაკროეკონომიკურ ანალიზში. სამეცნიერო გამოცემა „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018, გვ.122-130 https://bit.ly/2JUUoGn
10. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ, ეთგო (ქართული თარგმანი) თსუ, 2015. https://bit.ly/2jYLj0E


## Micro and Macro Aspects of Household Statistics


***Marine Mindorashvili***
*Associate Professor, TSU*



S u m m a r y

Household statistics is a complex task in both the micro- and macroeconomic contexts. The article discusses different issues in household statistics, such as the population census, the system of national accounts, household wealth. Most of used categories are in harmony with each other, but some create difficulties, such is definition of consumer durables in SNA and in micro statistics on household wealth.



***Key words:*** *household, concept of consumer durables, SNA's production boundary, household wealth concept.*

# საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის სტატისტიკური ანალიზი

**მარინა მუჩიაშვილი**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ასოცირებული პროფესორი*

*2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთ საქართველოს კონფლიქტის შედეგად საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების, ფისკალური დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მოცულობების პერმანენტული ზრდის გამო, განსაკუთრებით აქტუალური გახდა სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასების საკითხი. სტატიაში მოცემულია საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი და მისი მისი შეფასებები. სტატიაში ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთ წინაპირობადაა მიჩნეული.*

*ანალიზიდან ირკვევა, რომ 2018 წლისათვის სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასების ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა სახელმწიფო ვალი/მშპ-თან, ბიუჯეტის შემოსავლებთან და ექსპორტთან რეალისტური პროგნოზების მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში რჩება დასაშვებ ფარგლებში. თუმცა, საგარეო ვალის სახელმწიფო ვალთან შეფარდების ინდიკატორი უკვე დღესითვის მნიშვნელოვნად აჭარბებს საერთაშორისო სტანდარტებით დასაშვებ კრიტიკულ მნიშვნელობას. ასევე, ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს ფისკალურ მდგრადობას საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას სხვადასხვა სახის მაკროეკონომიკური შოკების ზემოქმედებამ. მათ შორის მნიშვნელოვანია ლარის გაუფასურების მკვეთრად უარყოფითი ზეგავლენა ვალის მდგრადობაზე. გასათვალისწინებელია მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტის ზრდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ბიუჯეტის ხარჯებში სოციალური სფეროს დაფინანსების ხარჯებს. საქართველოში ფისკალური მდგრადობის უფრო სრულყოფილი შეფასებისას გავალისწინებულ უნდა იქნეს ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის მოცულობაც, რომელიც დღეისათვის მშპ-ის 100%-ს აჭარბებს. ანალიზის შედეგად ნაშრომში დასაბუთებულია ფისკალური პოლიტიკის დროული კორექტირების საჭიროება, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების წარმართვას უპირატესად ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სფეროების (განათლებისა და მეცნიერების, მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამების, ინფრასტრუქტურული პროექტების) დაფინანსებისაკენ ასევე, მმართველობითი აპარატის ხარჯების შემცირებას, და მათ მიყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან. ფისკალური მდგრადობის შესანარჩუნებლად ასევე მნიშვნელოვანია, ფისკალური რისკების დროული გამოვლენა და მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში შესაძლოა დადგეს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მათ შორის სოციალური დაფინანსების მოცულობის შემცირების აუცილებლობის ფაქტის წინაშე.*

*საკვანძო სიტყვები: საჯარო ფინანსები; სახელმწიფო ვალის მდგრადობა; ფისკალური მდგრადობა.*

ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობა და მდგრადობა არის მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მდგრადობის მიღწევის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი. თავის მხრივ, მხოლოდ სტაბილურ ეკონომიკურ სიტუაციას, მათ შორის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, შეუძლია წაახალისოს ინვესტიციები, რაც გადამწყვეტი ფაქტორია ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. კვლევის მიზანია ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შეფასება, ფისკალურ მდგრადობაზე მოქმედი რისკების გამოვლენა და მართვა.

ფისკალური, ანუ სახელმწიფო ფინანსების მდგრადობა არის სახელმწიფოს უნარი შეინარჩუნოს მისი მიმდინარე ხარჯები, საგადასახადო და და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ეკონომიკური პილიტიკა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში, სახელმწიფოს კრედიტუნარიანობისათვის საფრთხის წარმოქმნის გარეშე, რაც ნიშნავს, არსებული სავალო ვალდებულებების უპრობლემოდ შესრულების პირობებში, სახელმწიფოს სხვა ძირითადი ვალდებულებების უწყვეტად და შეუფერხებლად განხორციელებისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების (მ.შ. განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და სხვა) შეუფერხებლად განხორცილების უნარის შენარჩუნებას საშუალოვადიან და გრძლვადიან პერიოდებში,

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ბიუჯეტის დეფიციტების პერმანენტული ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობა. შესაბამისად, სახელმწიფო ვალის მდგრადობის შესწავლის საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებით, ბოლო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან 10 წლის შემდეგაც ვალის მოცულობები ყოველწლიურად იზრდება და მსოფლიოს მხოლოდ 113 ქვეყნის მთლიანი მაჩვენებლის მიხედვით ეს სიდიდე მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 2,3-ჯერ აღემატება. ამასთან, მთლიან ვალში დაახლოებით 2/3 კერძო სექტორის წილად მოდის. დღეისათვის საქართველოს მთლიანი ვალის მაჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს- 17,5 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი შიდა

პროდუქტის მოცულობის 114%-ს შეადგენს. მსოფლიო საშუალო მაჩვენებლის მსგავსად საქართველოს მთლიან ვალში კერძო სექტორის წილად დაახლოებით 2/3 მოდის. საგარეო ვალში სახელმწიფო ვალის წილი 30 %-ს აღემატება. 2012 წლის წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საშინაო ვალის მოცულობაც.

მნშვნელოვნი ზრდით ხასიათდება სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და მისი ძირითადი ნაწილის დაფარვაზე გაწეული ხარჯების მაჩვენებლებიც. 2012-2018 წლებში საქართველოში ვალის ტვირთის ზრდის ძირითადი ფაქტორებია: ამ პერიოდში ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტურობა, წინა წლებთან შედარებით ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება და 2015-2016 წლებში ვალუტის კურსის მკვეთრი დაცემა. საქართველოში დღეისათვის არსებული მაღალი მშპ-ს მაჩვენებელი ასოცირდება არსებულ მაღალ საპროპცენტო განაკვეთთან და დაბალ ეკონომიკურ ზრდასთან. აღნიშნული მიზეზების გამო აქტუალური გახდა ვალის მდგრადობის შეფასების, ფისკალური რისკების გამოვლენისა და მართვის საკითხების შესწავლა.

საქართველოს სახელმწიფო ვალის სტრუქტურა მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, მასში მაღალია საგარეო ვალის წილი (78%). აქედან გამომდინარე, ვალის მდგრადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავალურო რყევები. საქართველოს, მცირე ზომის, ღია ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ასევე, საგარეო შოკები. შესაბამისად, სახელმწიფო ვალის არსებული დონიდან და ვალის სტრუქტურის თავისებურებიდან გამომდინარე, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ფისკალურ მდგრადობაზე მოქმედი რისკების დროულ გამოვლენასა და მართვას.

ნაშრომში ფისკალური მდგრადობის შეფასების მიზნით, განხილულია შემდეგი მაჩვენებლები: ვალი/მშპ თანაფარდობის ცვლილება სხვადასხვა სახის შოკების ზემოქმედების პირობებში. ვალის მდგრადობის შეფასება საბაზისო სცენარის მიხედვით ითვალისწინებს ძირითადი ფისკალური და მაკროეკონომიკური ინდიკატორების (მშპ-ს ზრდის, ინფლაციის, ბიუჯეტის დეფიციტის და გაცვლითი კურსის) შესახებ მთავრობის საშუალოვადიან და გრძელვადიან პროგნოზებს. ალტერნატიული სცენარები კი იმავე ინდიკატორების პესიმისტურ (საბაზისოზე უარეს) ან ოპტიმისტურ (საბაზისოზე უკეთეს) პროგნოზებს. ნაშრომში ასევე შესწავლილია სახელმწიფო ვალის სტრუქტურა (საგარეო და საშინაო ვალის ჭრილში) .და მისი დინამიკა .

2008 წლის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ვალის დონის პერმანენტული ზრდა განაპირობებს იმას, რომ ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა მნიშვნელოვანი ზომის ბიუჯეტის პირველადი სიჭარბის პირობების დაცვა.

კვლევაში მოცემულია სხვადასხვა ფაქტორის, კერძოდ, მშპ-ს ზრდის ტემპების შემცირების, ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციისა და გაცვლითი კურსის დაცემის შოკების ზემოქმედების შეფასებები და ანალიზი ფისკალური მდგრადობაზე საშუალოვადიან პერიოდში.

ეკონომისტებს შორის ფისკალური მდგრადობის საყოველთად მიღებული განსაზღვრება დღემდე არ არსებობს. თუმცა, შედარებით გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით (1) სახელმწიფო ვალი მდგრადია, თუ დაცულია პერიოდთაშორისი გადახდისუნარიანობის პირობა, ანუ თუ მომავალი წლების პირველადი ბალანსების მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულება სრულად ფარავს ვალის თავდაპირველ (საწყის) დონეს.

პრაქტული თვალსაზრისით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის შესაბამისად (MAC DSA) (2, 3, 4, 5) სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასება ხდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ, განიხილება ა)სახელმწიფო ვალი/მშპ-თან , ბ) სახელმწიფო ვალი/ექსპორტთან, გ) სახელმწიფო ვალი/ ბიუჯეტის შემოსავლებთან, დ) სახელმწიფო ვალის მომსახურება/ექსპორტთან, ე) სახელმწიფო ვალის მომსახურება/ბიუჯეტის შემოსავლებთან და ვ) ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ-თან თანაფარდობების მაჩვენებლები. მიჩნეულია, რომ ვალი არის მდგრადი, თუ ქვეყნისათვის აღნიშნული მაჩვენებლები საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ინარჩუნებს სტაბილურ, კლებად და საკმარისად დაბალ დონეებს. .

ვალის მდგრადობის ანალიზის დროს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შესაფასებლად ყველაზე ხშირად გამოიყენება ვალი/მშპ-თან ინდიკატორი. ამ ინდიკატორის მიხედვით, სახელმწიფო ვალი ფასდება როგორც არამდგრადი, თუკი სახელმწიფო ვალი/მშპ-ს მაჩვენებელი პერმანენტულად იზრდება ან ინარჩუნებს ძალიან მაღალ დონეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ვალი არამდგრადია, ასევე, თუ სახელმწიფო ვალი/მშპ-თან დინამიკაში მცირდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც საკმაოდ მაღალი რჩება, იგი ფასდება, როგორც არამდგრადი, რადგან როგორც წესი, ამ შემთხვევაშიც ის საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ასოცირდება ძალიან მაღალ რისკებთან, ვალის გარდაუვალ რესტრუქტურიზაციასთან და შესაძლო დეფოლტთანაც კი.

საქართველო, სხვა მცირე ზომის ღია ეკონომიკების მსგავსად, ხშირად განიცდის გარე და შიგა შოკების ზემოქმედებას,შესაბამისად, სახელმწიფო ვალი/ მშპ-ს თანაფარდობის მიახლოება დასაშვებ ნორმებთან, ფასდება, როგორც არამდგრადი.

ვალი/მშპ-ს თანაფარდობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებს შორის განიხილება: თავდაპირველი ბალანსი (primary balance), ვალის თავდაპირველი (საწყისი) ზომა, რეალური საპროცენტო განაკვეთი და ეკონომიკის ზრდის ტემპი.

თითოეული ცვლადის ზეგავლენა ვალის/მშპ-ს დინამიკაზე სხვადასხვა ხასიათისაა. კერძოდ, მაღალი თავდაპირველი ბალანსი განაპირობებს სახელმწიფო ვალი/მშპ შემცირებას, მაღალი საწყისი სახელმწიფო

ვალი - ვალი/მშპ-ს ზრდას, მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთი - სახელმწიფო ვალი/მშპს ზრდას, ეკონომიკის მაღალი ზრდის ტემპი- სახელმწიფო ვალი/მშპ-ს შემცირებას. ამასთან, სახელმწიფო ვალის დინამიკასა და ეფექტურ რეალურ საპროცენტო განაკვეთს შორის პირდაპირ პროპორციული კავშირი არსებობს. სახელმწიფო ვალის დინამიკასა და რეალურ ზრდის ტემპს შორის კი - უკუპროპორციული კავშირია. სახელმწიფო ვალის დინამიკასა და გაცვლითი კურსის გაუფასურებას შორის პირდაპირ პროპორციული კავშირია. ამასთან, ვალის დინამიკაში თავდაპირველ ბალანსის კონტრიბუცია მინუს ნიშნით. ხოლო „და სხვა ნაკადების" (მაგალითად, შემოსავლები პრივატიზაციიდან) კონტრიბუცია პლიუს ნიშნით შედის.

2012 წლის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით თვალშისაცემია მთლიანად ქვეყნის ვალი/ მშპ-თან თანაფარდობის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა (30%-დან 45%-მდე), რაც უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების სიდიდესა და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზეც.

ვალის მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად გრძელვადიან პერიოდში საჭიროა ვალი/მშპ-თან არსებული ტრენდის მიმართულების შეცვლა და ამ მაჩვენებლების თანდათანობითი შემცირება. ამასთან, მისი ისეთ დონემდე დაყვანა, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის კრედიტუნარიანობისა და ლიკვიდურობაის პირობების დაცვას.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩატარებული გამოთვლები (4) აჩვენებს, რომ სახელმწიფო ვალის მდგრადობის მაჩვენებლები საშუალოვადიან პერიოდში რეალისტური სცენარის მიხედვით სხვადასხვა სახის (ზრდის ტემპის შემცირების, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის, გაცვლითი კურსის დაცემისა და სხვა) შოკების ზემოქმედების დროს დასაშვებ ნორმებს ქვემოთ ნარჩუნდება. თუმცა, განსხვავებულია მათი ზეგავლენის ხარისხი. კერძოდ, საქართველოს მაგალითზე სახელმწიფო ვალი/ მშპ-თან მაჩვენებლის გაუარესებაზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს გაცვლითი კურსის დაცემითა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებით გამოწვეული შოკები.

უნდა აღინიშნოს, რომ პესიმისტური სცენარის მიხედვით (ცალკეული სახის ძლიერი შოკების, ან ერთროულად რამდენიმე ძლიერი შოკის ზემოქმედების შედეგად, ან შოკების ხანგრძლივ პერიოდში ზემოქმედების დროს) სახელმწიფო ვალის მდგრადობის ყველა ინდიკატორი საშუალოვადიან პერიოდში აჭარბებს დასაშვებ ნორმებს და შესაბამისად, საფრთხე ექმნება ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ვალის მდგრადობის შეფასებისას ზემოთაღნიშნული მოდელი იყენებს მხოლოდ სახელმწიფო ვალის შესახებ მონაცემებს და არ ითვალისწინებს სახელმწიფო კორპორციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) ვალის შესახებ ინფორმაციას. თუმცა, რეალურად სსიპ-ები წარმოადგენენ კვაზი-სახელმწიფო კორპორაციებს, ისინი დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შესაბამისად, მათ მიერ აღებული ვალების გათვალისწინება სახელმწიფო ვალის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში კიდევ უფრო გაზრდის სახელმწიფოს ვალის ტვირთს და ხელს შეუშლის სახელმწიფო ვალის მდგრადობის უზრუნველყოფას.

საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასებისას გასათვალისწინებელია მისი სტრუქტურის თავისებურებაც. საგარეო ვალის წილი სახელმწიფო ვალის მოცულობაში 80%-ია, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობას (60%-ს) მნიშვნელოვნად აღემატება (7).

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა (8, 9, 10), რომ 2018 წლისათვის სახელმწიფო ვალის მდგრადობის ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა სახელმწიფო ვალი/მშპ-თან, სახელმწიფო ვალი/ ბიუჯეტის შემოსავლებთან და სახელმწიფო ვალი/ექსპორტთან რეალისტური პროგნოზების მიხედვით რჩება დასაშვებ ნორმებს ქვემოთ. თუმცა, დღეის მდგომარეობით საგარეო ვალის წილი სახელმწიფო ვალში არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ის დასაშვებ ნორმებს მნიშვნელოვნად აღემატება. საქართველოს ფისკალურ მდგრადობას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში შესაძლოა შეექმნას მნიშვნელოვანი საფრთხე სხვადასხვა სახის შოკების ზემოქმედების შემთხვევაში. მათ შორის მნიშვნელოვანია ლარის შესაძლო მკვეთრი გაუფასურების შოკის ზეგავლენა. ვალის მდგრადობას, ასევე, საფრთხეს უქმნის მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტის ზრდა, რაც გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯებში სოციალური ვალდებულებების დასაფინანსებლად საჭირო საბიუჯეტო სახსრების მკვეთრი ზრდის ან მათ გაწევაზე უარის თქმის აუცილებლობას.

## დასკვნა

საქართველოში საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის, უფრო კონკრეტულად ბიუჯეტის ხარჯვითი და სავალო პოლიტიკების დროული კორექტირება, საბიუჯეტო სახსრების უპირატესად ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სფეროების: განათლებისა და მეცნიერების, მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისაკენ წარმართვა. ამასთან, დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მმართველობითი აპარატის ხარჯების გარკვეული ზომით შემცირების მიუხედავად, ეს მაჩვენებელი მაინც რჩება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებლებზე

მაღალი. სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობის ზრდის ინტერები მოითხოვს მის შემდგომ კორექტირებას. საჭიროა, ასევე, პროგრამული ბიუჯეტირების უფრო სრულყოფილ და შედეგზე ორიენტირებულ ფორმაზე გადასვლა და ბიუჯეტის თავდაპირველი სიჭარბეების ზრდა საშუალოვადიან პერიოდში. ასევე, ქვეყნის ფისკალურ მდგრადობაზე ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების დროული გამოვლენა და მართვა. ბიუჯეტის ხარჯებისა და სავალო პოლიტიკის დროული კორექტირების გარეშე საქართველოს მთავრობა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი სახის პროექტების, მათ შორის სოციალური სფეროს დარგების-განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის დანახარჯების დაფინანსების მკვეთრი შემცირების მწვავე პრობლემების წინაშე.

## ლიტერატურა:


1. Blanchard, O., J. C. Chouraqui, R.P. Hagemann, and N. Sartor, “The Sustainability of fiscal policy: New Answers to
2. an Old Question”, OECD Economic Studies, 1990, No. 15, pp. 7-36.
3. “Assessing Sustainability”.IMF (2002), Washington DC.
4. Information Note on Modifications to the Fund’s Debt Sustainability Assessment Framework for Market Access Countries, IMF, Prepared by the Policy Development and Review Department, 2005.
5. “Staff Guidance Note for Public Debt Sustainability Analysis in Market-Access Countries”, IMF, 2013.
6. Tanner E., “Fiscal Sustainability: A 21stCentary Guide for the perplexed.IMF W/P13/89, pp 4-20.
7. “Government Debt sustainability analysis For 2018-2027 years”, MOF, Georgia Republic, Tbilisi, 2017.
8. Government Debt Sustainability Analysis. PBO, Georgia, 2015pp.1-11.
9. Muchiashvili M., Shonia Z., Giorgobiani M. “Fiscal Sustainability Analysis (Republic of Georgia). Journal “Economist”, Tbilisi, 2016. pp. 79-88.
10. Analysis of MT Fiscal policy Sustainability in Georgia, PMC Research Center, Tbilisi, Georgia, 2014. pp. 4-37.
11. Georgia Fiscal transparency evaluation. Amanda Sayegh. And othrs. IMF, 2017.


## A Statistic Analysis of Sustainability of Georgia’s Government Debt


***Marina Muchiashvili***

*Associated Professor*

*Iv. Javakhishvili State University*



S u m m a r y

The decrease of economic growth rates in Georgia and increased fiscal deficit and state debt (both, foreign and internal) of the country in 2012-2018 have made it actual to assess the fiscal sustainability of the country both, in medium-term and long-term perspectives

The analysis evidenced that according to the realistic scenario of the ministry of finance the marginal indicators of public debt sustainability (public debt/ GDP, state debt/budget revenue and public debt/export) of Georgia in the medium term remained below the thresholds. Despite this, the fiscal sustainability of Georgia may be threatened in the long-term perspective due to the different shocks (severe currency devaluation being an important factor among them), significant growth of the future social liabilities, growing scales of subsidies for different branches of economy and increasing gross external debt of Georgia (which already exceeds 100% of GDP). Without urgent adjustments in the fiscal policy, disclosures and management of fiscal risks, in the medium-term and long term, the government of Georgia may find it necessary to drastically cut the budgetary expenses.

The article emphasizes that the macroeconomic stability and stable economic growth of Georgia in the medium-term and long-term perspective needs gradual adjustments of the expenditure and debt policy.



***Key words***: *Public finance; Public debt sustainability; Fiscal sustainability.*

# საქართველოს ლიეტუვასთან ექსპორტ-იმპორტის ანალიზი

**ანა მღებრიშვილი**
*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მდგომარეობა ლიეტუვასთან ბოლო ხუთი წლის მანძილზე. ამ მიზნით გამოთვლილია ლიეტუვას ხვედრითი წონის ამსახველი მაჩვენებლები როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში. გამოვლენილია ექსპორტ-იმპორტის სალდო და მიღებული შედეგების მიხედვით გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები; ასევე შესწავლილია ლიეტუვასთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაც. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საქართველოსა და ლიეტუვას შორის სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსთვის ხელსაყრელი მიმართულებით განვითარდა.*

*საკვანძო სიტყვები: საქართველო; ლიეტუვა; ექსპორტი; იმპორტი; სალდო; სასაქონლო სტრუქტურა.*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებლად ჩაერთვნენ მსოფლიო ეკონომიკაში. ლატვიამ, ლიეტუვამ და ესტონეთმა განვითარების უფრო სწრაფი გზა განვლეს. ეს ქვეყნები 2004 წლიდან ევროკავშირის წევრებს წარმოადგენენ და მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებს შორის, სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით, კარგ პოზიციას იკავებენ. ისინი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, მსოფლიო ეკონომიკაში დამოუკიდებლად ჩართვის, არამარტო მაგალითის მიმცემის როლში გამოდიან, არამედ ეხმარებიან კიდეც მათ ამ მიმართულებით. ეს კარგად ჩანს საქართველოსა და ბალტისპირეთის ქვეყნების ურთიერთობებიდან, რაც უფრო და უფრო ღრმავდება და განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. ეკონომიკური თანამშრომლობის პარალელურად აქტიურად ხორციელდება პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა სახის თანამშრომლობა.

საქართველოს, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, მეტ-ნაკლებად უფრო აქტიური ურთიერთობა ლიეტუვასთან აქვს. ამის დასამტკიცებლად, ლიეტუვას მიერ საქართველოს მიმართ გამოჩენილი, თუნდაც ბოლო, მეგობრული ჟესტი შეგვიძლია მოვიყვანოთ. 2018 წლის 3 მაისს, ლიეტუვური ენის სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, ლიეტუვაში ოფიციალურად დამკვიდრდა საქართველოს დასახელება ქართულად - „Sakartvelo“, „Gruzija“-სთან ერთად. ამ ქმედებით ლიეტუვა გახდა მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, რომელიც საქართველოს ქართულად მოიხსენებს [4]. საქართველოს მთავრობამაც გადადგა საპასუხო ნაბიჯი და 11 მაისიდან საქართველო ლიტვას ოფიციალურად ლიტვურად (ლიეტუვა) მოიხსენიებს. ლიეტუვამ, როგორც ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ, ასეთი ჟესტით დააფიქსირა საქართველოს მიმართ თავისი მეგობრული დამოკიდებულება და პოლიტიკური მხარდაჭერა. გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოსა და ლიეტუვას შორის სხვადასხვა სახის ურთიერთობების შესწავლა და, ამ კუთხით, მომავალი თანამშრომლობისთვის სწორი გზების ძიება, ჩვენი აზრით, აქტუალურია ორივე ქვეყნისთვის.

მოცემული სტატიის მიზანია, ბოლო პერიოდში, საქართველოსა და ლიეტუვას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა.

კვლევის მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ლიეტუვას როლის განსაზღვრა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში;
- ლიეტუვასთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სალდოს დინამიკის ანალიზი;
- ლიეტუვაში საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი;
- საქართველოში ლიეტუვადან იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის შესწავლა.

დღეს არსებული მონაცემებით, საქართველოსა და ლიეტუვას შორის სავაჭრო ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება, რაც კარგად ჩანს სავაჭრო ურთიერთობების ამსახველი მაჩვენებლების ანალიზიდან. ლიეტუვას ხვედრითი წონა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში, მიუხედავად იმისა რომ მცირეა, თანდათანობით იზრდება (იხ. ცხრილი 1).

*ლიეტუვას ხვედრითი წონის დინამიკა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში 2013-2018 წლებში*

*ცხრილი 1*

| | ექსპორტი საქართველოდან ლიეტუვაში | | იმპორტი ლიეტუვადან საქართველოში | |
|---|---|---|---|---|
| | ათასი აშშ დოლარი | %-ად საქართველოს ექსპორტის მთლიან მოცულობაში | ათასი აშშ დოლარი | %-ად საქართველოს იმპორტის მთლიან მოცულობაში |
| 2013 | 21783 | 0,75 | 36840 | 0,46 |
| 2014 | 31745 | 1,1 | 44631 | 0,52 |
| 2015 | 33317 | 1,51 | 45216 | 0,62 |
| 2016 | 25204 | 1,19 | 40851 | 0,56 |
| 2017 | 35149 | 1,28 | 45579 | 0,57 |
| 2018 | 29094 | 1,8 | 21546 | 0,49 |

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე

საქართველოსა და ლიეტუვას შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2013-2018 წლებში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გამონაკლისია 2016 წელი, როცა ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა მკვეთრად შემცირდა. ამასთან, წინა წელთან შედარებით, ექსპორტის შემცირების მაჩვენებელმა (8 113 ათასი აშშ დოლარი) იმპორტის შემცირების მაჩვენებელს (4365 ათასი აშშ დოლარი) 1,8-ჯერ გადაამეტა, რამაც ექსპორტ-იმპორტის სალდო ამ წელს საქართველოს საზიანოდ შეცვალა. ექსპორტ-იმპორტის სალდო წინა წელთან შედარებით - 3 748 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა. თუმცა, საანალიზოდ აღებულ მთელ პერიოდში, ექსპორტ-იმპორტის სალდოს მიხედვით, საქართველოსთვის ხელსაყრელი მდგომარეობა დაფიქსირდა, რაც კარგად ჩანს ცხრილი 2-დან. 2013-2017 წლებში ექსპორტი საქართველოდან ლიეტუვაში 161,4%-ით გაიზარდა და მკვეთრად გადაამეტა იმპორტის ზრდის მაჩვენებელს. შესაბამისად აღნიშნულისა, ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდო მკვეთრად შემცირდა საქართველოს სასარგებლოდ. იმპორტის კლება „... არ შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ცალსახად დადებითი, ვინაიდან ქართული ექსპორტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა საიმპორტო მდგენელის მაღალი წილი საექსპორტო პროდუქციის შექმნაში" (ღაღანიძე, 2016). აღსანიშნავია ის, რომ 2018 წლის ექვს თვეში საქარ-თველოდან ლიეტუვაში ექსპორტმა მკვეთრად გადააჭარბა იმპორტს და საანალიზოდ აღებულ პერიოდში პირველად დაფიქსირდა ექსპორტ-იმპორტის დადებითი სალდო (7548 ათასი აშშ დოლარი).

ცხრილი 1-დან ისიც ნათელია, რომ საქართველოდან ლიეტუვაში ექსპორტის და ლიეტუვადან საქარ-თველოში იმპორტის ხვედრითი წილი საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში ძალიან მცირეა. თუმცა, ჩვენი აზრით, არსებული მაჩვენებლები, პერსპექტივაში, ზრდის ტენდენციაზე მიუთითებენ, განსაკუთრებით, ექსპორტის მიხედვით(იხ. ცხრილი 2).

*ლიეტუვასთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სალდოს დინამიკა 2013-2018 წლებში*

*ცხრილი 2*

| | ექსპორტი ათასი აშშ დოლარი | იმპორტი ათასი აშშ დოლარი | სალდო ათასი აშშ დოლარი |
|---|---|---|---|
| 2013 | 21783 | 36840 | -15057 |
| 2014 | 31745 | 44631 | -12886 |
| 2015 | 33317 | 45216 | -11899 |
| 2016 | 25204 | 40851 | -15647 |
| 2017 | 35149 | 45579 | -10430 |
| 2018 (6 თვის მონაცემები) | 29094 | 21546 | 7548 |
| ცვლილება 2013-2017 წლებში %-ებში | 161,4 | 123,7 | 69,3 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [3]

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 2014-2017 წლებში ექსპორტის მოცულობა 31 745 ათასი აშშ დოლარიდან 35 149 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა. ეს დადებითია საქართველოს ეკონომიკისთვის და საჭიროებს წახალისებას, რადგან „ ექსპორტი იძლევა ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას და ამიტომ მისი სტიმულირება ნებისმიერი სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანიან (ყორღანაშვილი, 2016). მაგრამ, ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ თხილისა და სხვა კაკლის, ყურძნის ნატურალური ღვინოების, სამკურნა-ლო საშუალებებისა და ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონების ნარჩენები-სა და ჯართის ექსპორტი შემცირდა. მაშასადამე, საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების მთლიან რაოდენობაში ძირითადი სასაქონლო ჯგუფები ნაკლებად არის გამოკვეთილი. ექსპორტის პირველ ხუთეულში მოხვედრი-ლი სასაქონლო ჯგუფების მოცულობის შემცირების მიუხედავად, ლიეტუვაში საქართველოდან მთლიანი ექ-სპორტის მოცულობა გაიზარდა.

ექსპორტ-იმპორტის უფრო სრულყოფილი ანალიზისთვის შესწავლილ იქნა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა. გაანალიზდა ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურების პირველი ათეული ბოლო ხუთ წელიწადში. ექსპორტის შემთვევაში გამოიკვეთა მხოლოდ ხუთი სასაქონლო ჯგუფი, რომელიც საანალიზოდ აღებულ პერიოდში, ყოველი წლისთვის, პირველ ათეულში შევიდა. ეს ჯგუფებია: მინერალური და მტკნარი წყლები; თხილი და კაკალი; ყურძნის ნატურალური ღვინოები; დაფასოებული სამკურნალო საშუალებები და ძვირფასი ლითონების ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონების ნარჩენები და ჯართი. როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, 2014-2017 წლებში მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი 10847,3 ათასი აშშ დოლარიდან 12631,4 ათას აშშ დოლარამდე, ანუ 116,4%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის ზრდას, საანალიზოდ აღებულ პერიოდში, წლების მიხედვით, თანაბარზომიერი ხასიათი ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით სხვა სასაქონლო ჯგუფებზე. როგორც უკვე აღინიშნა, თხილისა და სხვა კაკლის ექსპორტი საანალიზოდ აღებულ პერიოდში შემცირდა. ამასთან, წლების მიხედვით მისი მოცულობა თანხაში ხან მცირდებოდა და ხან იზრდებოდა. საბოლოოდ, 2017 წლის ექსპორტის მაჩვენებელმა 2014 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 59% შეადგინა. 2014-2017 წლებში განახევრდა ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი. ამასთან, ექსპორტის მაჩვენებლების ცვლილება აღნიშნულ სასაქონლო ჯგუფშიც, წლების მიხედვით, არათანაბარზომიერ ხასიათს ატარებდა. როგორც უკვე აღინიშნა, შემცირება დაფიქსირდა სამკურნალო საშუალებების ექსპორტის მაჩვენებლებშიც. 2017 წლის მაჩვენებელმა 2014 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 80,7% შეადგინა. არათანაბარზომიერი ცვლილებები გამოიკვეთა ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონების ნარჩენებისა და ჯართის მიხედვითაც(იხ. ცხრილი 3).

*ლიეტუვაში საქართველოდან ექსპორტირებული ძირითადი სასაქონლო ჯგუფები*

*2014 -2018 წლებში ათასი აშშ. დოლარი*

*ცხრილი 3*

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 (6თვე) |
|---|---|---|---|---|---|
| მინერალური და მტკნარი წყლები | 10 847,3 | 10 400,3 | 11 811,2 | 12 631,4 | 8 400,5 |
| თხილი და სხვა კაკალი | 4 564,3 | 2 710,4 | 3 405,8 | 2 694,2 | 1 360,5 |
| ნარჩენები და ჯართი ძვირფასი ლითონების ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონებისა | 2 455,9 | 2 644,1 | 1 548,3 | 1 787,4 | 633,2 |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 1 826,8 | 1 409,0 | 1 546,8 | 927,4 | 515,8 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 3 940,7 | 1 514,2 | 1 616,4 | 3 178,5 | 855,2 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[3]

საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, განისაზღვრა თითოეული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიან ექსპორტში. გაირკვა, ყურძნის ნატურალური ღვინოების წილი საქართველოდან ლიეტუვაში განხორციელებული ექსპორტის მთლიან მოცულობაში. 2014 წელს ამ სასაქონლო ჯგუფის წილი ექსპორტში 5,8%-ს შეადგენდა, 2018 წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით კი მხოლოდ 1,8% შეადგინა. ექსპორტის მთლიან მოცულობაში ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია მინერალური და მტკნარი

წლები. 2014 წლისთვის ამ სასაქონლო ჯგუფის წილი 34,2% იყო, ხოლო 2017 წელს 36% შეადგინა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2016 წელს - 46,9%. რაც შეეხება თხილისა და სხვა კაკლის ექსპორტის წილის ცვლილებას, საქართველოდან ლიეტუვაში განხორციელებული ექსპორტის მთლიან მოცულობაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტის პროცენტულ მაჩვენებლებშიც არათანაბარზომიერი ცვლილებები დაფიქსირდა, წლების მიხედვით. თუ 2014 წელს თხილისა და სხვა კაკლის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 14,4% იყო, 2017 წლისთვის მხოლოდ 7,7% შეადგინა, 2018 წლის 6 თვის მაჩვენებლების მიხედვით კი 4,7%-ს გაუტოლდა. 2014-2017 წლებში არათანაბარზომიერად იცვლებოდა ექსპორტში სამკურნალო საშუალებების წილიც. ამ სასაქონლო ჯგუფზე 2014 წელს ექსპორტის 12,4% მოდიოდა, 2017 წლისთვის კი 9,1% შეადგინა. შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონების ნარჩენებისა და ჯართის წილის ცვლილებაშიც. 2014 წელს ამ სასაქონლო ჯგუფის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 7,7% იყო, 2017 წლისთვის ეს მაჩვენებელი 5%-ს გაუტოლდა, 2018 წლის 6 თვეში კი მხოლოდ 2,2% შეადგინა [3,5].

2014-2018 წლებში არათანაბარზომიერი ცვლილებები გამოვლინდა ლიეტუვადან საქართველოში იმპორტირებულ ძირითად სასაქონლო ჯგუფებშიც. ცხრილი 4-დან ჩანს, რომ იმპორტირებული პროდუქციის სტრუქტურა დღეისთვის საქართველოში ადგილობრივ წარმოებას კონკურენციას არ უწევს, ანუ ლიეტუვადან საქართველოში რეალურად საჭირო პროდუქციის იმპორტირება ხორციელდება.

ცხრილი 4-დან ისიც ჩანს, რომ გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების იმპორტის სიდიდე ლიეტუვადან საქართველოში 2014-2017 წლებში მკვეთრად შემცირდა და 2017 წლის იმპორტის მაჩვენებელმა 2014 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 42% შეადგინა. რამდენადმე შემცირდა, აგრეთვე, სამკურნალო საშუალებების იმპორტიც. ზრდა დაფიქსირდა სატელეფონო აპარატებისა და ბოცების, ბოთლებისა და სხვა ტევადობების იმპორტის მიხედვით.

*საქართველოში ლიეტუვადან იმპორტირებული ძირითადი სასაქონლო ჯგუფები*

*2014-2018 წლებში ათასი აშშ დოლარი*

*ცხრილი 4*

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 (6 თვე) |
|---|---|---|---|---|---|
| გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები | 5 774,7 | 3 043,4 | 3 915,3 | 2 451,2 | 811,0 |
| სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით | 1 745,6 | 2 803,5 | 1 180,0 | 4 004,8 | 1 985,8 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 4 784,9 | 5 099,6 | 4 753,4 | 4 254,7 | 1 380,4 |
| ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები | 1 019,4 | 1 047,7 | 926,7 | 1 521,4 | 946,5 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[3]

საქართველოში ლიეტუვადან იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფების ანალიზისას გაირკვა, რომ იმპორტი ძალიან არის დივერსიფიცირებული. საანალიზოდ აღებულ პერიოდში ყოველ წელს პირველ ათეულში მხოლოდ ოთხი სასაქონლო ჯგუფი მოხვდა. ამათგან ყველაზე დიდი წილი სამკურნალო საშუალებებზე მოდიოდა. თუმცა, ამ სასაქონლო ჯგუფის წილი, წინა წლებთან შედარებით, მხოლოდ 2015 და 2016 წლებში გაიზარდა, 2017 წელს კი შემცირდა, როგორც 2016, ისე 2014 წელთან შედარებით. იმპორტში ძალიან შემცირდა გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების ხვედრითი წილი. რამდენადმე ამაღლდა ბოცების, ბითლების და სხვა მინის ტევადობების წილიც. მკვეთრად გაიზარდა სატელეფონო აპარატების წილი. თუ 2014 წელს ამ სასაქონლო ჯგუფზე ლიეტუვადან იმპორტის მთლიან მოცულობაში 3,9% მოდიოდა, 2017 წლისთვის უკვე 8,8-ს, ხოლო 2018 წლის ექვს თვეში კი 9,2%-ს მიაღწია, გამონაკლისია მხოლოდ 2016 წელი, როცა სატელეფონო აპარატების წილმა ლიეტუვადან იმპორტის მხოლოდ 2,9% შეადგინა [3, 5].

ამრიგად, საქართველოსა და ლიეტუვას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები, საანალიზოდ აღებულ პერიოდში, ექსპორტსა და იმპორტში შემავალი პირველი-ათი პროდუქტის მიხედვით, საქართველოსთვის დადებითი მიმართულებით განვითარდა. ლიეტუვაში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტების სტრუქტურა დღეისთვის ხელს უწყობს ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების განვითარებას, რადგან გა-

დის, ძირითადად, საქართველოში წარმოებული პროდუქტები. ჩვენი აზრით, ლიეტუვადან საქართველოში შემოტანილი პროდუქტების სტრუქტურაც ხელსაყრელია, რადგან, უპირატესად, შემოდის ისეთი პროდუქტები, რომლებიც ადგილზე არ იწარმოება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გაიზრდა იმპორტის მოცულობა, ექსპორტის ზრდის ტემპმა გადაამეტა იმპორტის ზრდის ტემპს. ამის შედეგად, ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდო საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა.

## ლიტერატურა:


1. ღაღანიძე გ. საქართველოს 2015 წლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი: შესაძლებლობები და გამოწვევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის,- გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში,- კონფერენციის მოხსენებათა კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი". თბ., 2016.
2. ყორღანაშვილი ლ. საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის,- გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში,- კონფერენციის მოხსენებათა კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი". თბ., 2016.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) www.geostat.ge


## Analysis of Georgia's Export & Import with Lithuania


**Ana Mghebrishvili**
*PhD student*
*Tbilisi State University*



S u m m e r y

Article provides analysis of the situation with respect of Georgian export and import to Lithuania for recent five years. For this purpose the indicators describing the share of Lithuania in both, export and import were calculated. The export-import balance was identified and based on the obtained results the respective conclusions were made. The author has studied the commodity structure of Georgia's export and import with Lithuania. The article offers that for last five years the trade relations between Georgia and Lithuania have developed in the way favorable for Georgia.



***Keywords:*** *Georgia, Lithuania, export, import, balance, commodity structure*

# ტურისტული პოტენციალის ათვისების პერსპექტივები საქართველოში (თბილისის მაგალითზე)

**ბაბულია მღებრიშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი*
*ასოცირებული პროფესორი*

**სოფიო ჯამრულიძე**

*ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიის ავტორები თბილისის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებას უკავშირებენ თბილისის უძველეს უბნებს, ქუჩებსა და ტაძრებს, საცალო ვაჭრობის განვითარების დონეს დედაქალაქში, თბილისში არსებული კულტურული ობიექტების სიმრავლეს, თბილისის ზღვისა და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის სამკურნალო-სარეკრეაციო პოტენციალს, საქართველოს უძველესი დედაქალაქის-მცხეთის თბილისთან ახლოს მდებარეობას. არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე, სტატიის ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას თბილისისთვის ტურიზმის პერსპექტიულ სახეებთან დაკავშირებით. ასეთებად ისინი სთვლიან: კულტურულ ტურიზმს; შოპინგ-ტურიზმს; სპა-ტურიზმს; გასტრონომიულ ტურიზმსა და რელიგიურ ტურიზმს. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ საქმიანი ტურიზმის შემდგომი განვითარების შესაძლებლობაზეც. მსჯელობისა და დასკვნების გაკეთების პროცესში ისინი ეყრდნობიან როგორც ოფიციალური სტატისტიკის მასალებს, ისე ტურიზმის საკითხებზე გამოქვეყნებულ სტატიებსა და ჩატარებული მარკეტინგული კვლევების შედეგებს.*

*საკვანძო სიტყვები: თბილისი; ტურიზმი; ათვისება; პერსპექტივები; ტურიზმის სახეები.*

დღეს ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად არის აღიარებული. მისი განვითარებისთვის ქვეყანამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ამის შედეგია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პირველ რიგში კი განთავსების საშუალებებისა და კვების ობიექტების რაოდენობის გაზრდა, გზების მშენებლობა. ასე, მაგალითად, 2010 წელს საქართველოში სულ 16 106 სასტუმრო და რესტორანი ფუნქციონირებდა, 2015 წლისთვის მათი რაოდენობა 31 330, ხოლო 2017 წელს კი 37 431-მდე გაიზარდა. შესაბამისად ამისა, მნიშვნელოვნად მოიმატა სტუმართა რაოდენობამაც. თუ 2010 წელს საქართველოს 596, 9 ათასი ადამიანი ესტუმრა, 2015 წლისთვის მათმა რაოდენობამ 1 854, 5 ათასს, 2017 წელს კი 3 381, 5 ათასს მიაღწია [1]. მაგრამ, ტურიზმის სექტორის განვითარების მიმართულებით, ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალის მიუხედავად, საქართველო მსოფლიო ბაზარზე არასაკმარისად კონკურენტუნარიანია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს 70-ე ადგილი უკავია [2].

საქართველოს ტურისტული პოტენციალის გამოყენებამ აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკის გაჯანსაღებას. შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის სექტორი, დღეს, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ამ როლს მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, ის არის, რომ ტურისტების მომსახურებაში უცხოური წარმოების პროდუქცია იოლად სჭარბობს ადგილობრივს. ამის შედეგია ის, რომ საქართველოს „ტურიზმი ავითარებს იმ ქვეყნების რეალურ სექტორებს, საიდანაც ხორციელდება იმპორტი[3]. ტურისტის სამომხმარებლო კალათა მსგავსია ქართველი მომხმარებლის სამომხმარებლო კალათის, რომელშიც პროდუქტების „არა უმეტეს 20 პროცენტია საქართველოში წარმოებული, ხოლო დანარჩენი 80 პროცენტი კი იმპორტირებულია“ [3]. მაშასადამე, საქართველოს რესტორნები და კაფე-ბარები ტურისტებს თითქმის მთლიანად უცხოური სასურსათო პროდუქტებიდან წარმოებული კერძებით უმასპინძლდებიან. თუ ეს ტენდენცია არ შეიცვალა, ტურიზმის სექტორი ვერც ეკონომიკის გაჯანსაღებაში შეიტანს სათანადოდ თავის წვლილს და ვერც სიღარიბის დაძლევაში დაეხმარება ქვეყანას. ტურიზმის როლის ასამაღლებლად საჭიროა ტურისტული პაკეტის ძირითადი კომპონენტი - ქართული წარმოების ნედლეულიდან დამზადებული სასურსათო პროდუქტები გახდეს, რის შესაძლებლობასაც ქართული სამზარეულო [4] ნამდვილად იძლევა. უნიკალური ქართული კერძები პოპულარულია საზღვარგარეთ და ხშირია შემთხვევა, როცა ტურისტები საქართველოს განმეორებით სწორედ ქართული კერძების დასაგემოვნებლად სტუმრობენ. ქართული კერძების უნიკალურობის საფუძველი, სხვა ფაქტორებთან ერთად, საქართველოს ბუნების მრავალფეროვნებაა, რომლის შესაძლებლობების სრულად გამოუყენებლობა, რბილად რომ ითქვას, არასწორია. ქართული კერძების უნიკალურობის შესანარჩუნებლად, და ამ გზით ტურისტების მომსახურების გასაუმჯობესებლად, საჭიროა,

სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების გაფართოება, რაც სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების განსხვავებულ ხედვას მოითხოვს.

ტურიზმის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები თბილისსაც აქვს. ამას, ჩვენი აზრით, განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

ჯერ ერთი, თბილისი უძველესი ქალაქია. მისი ძველი უბნები, ქუჩები, ტაძრები განსაკუთრებულ იმიჯს უქმნის ქალაქს ტურისტების თვალში.

მეორე, საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, თბილისში კარგად არის განვითარებული საცალო ვაჭრობა. ამ შემთხვევაში მხედველობაშია არამარტო ბოლო პერიოდში გახსნილი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრები (თბილისი მოლი, ისთ ფოინთი, გალერეა თბილისი), არამედ, აქ არსებული სხვადასხვა ბრენდული მაღაზიები, ბუტიკები, რესტორნები და კაფე-ბარები.

მესამე, თბილისი საქართველოს კულტურული ცენტრია. აქ ბევრი მუზეუმი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ...), თეატრი (რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი...) და უმაღლესი სასწავლებლებია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია…) თავმოყრილი, რაც კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის დიდ შესაძლებლობებს ქმნის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის კათედრაზე ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოგზაურობის მოყვარული რესპონდენტები (38%) სწორედ კულტურულ ტურებს ანიჭებენ უპირატესობას (თოდუა ნ. (2012).

თბილისს აქვს შესაძლებლობა ტურისტებს ზღვაზე დასვენებაც კი შესთავაზოს. ამის საშუალებას იძლევა თბილისის ზღვა, რომლის ტურისტული პოტენციალი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვალსაზრისით, ჯერჯერობით არ არის სათანადოდ, გამოყენებული. აქვე უნდა აღინიშნოს თბილისის საზღვრებში მოქცეული კლიმატური კურორტების (კუს ტბა, ლისის ტბა, წყნეთი, კოჯორი) და თბილისში მდებარე ბალნეოლოგიური კურორტის ტურისტული პოტენციალი. მარკეტინგის კათედრაზე ჩატარებული იგივე გამოკითხვის შედეგების თანახმად, სამკურნალო-სარეკრეაციო ტური მნიშვნელოვანია რესპონდენტთა 19%-სთვის (თოდუა ნ. (2012). ასე, რომ ამ მიმართულებითაც აქვს საქართველოს დედაქალაქს ტურიზმის შემდგომი განვითარების პოტენციალი.

მეხუთე, თბილისთან ახლოს მდებარეობს ქალაქი მცხეთა - „ქართველთა საამაყო წარსულის სიმბოლოდ ქცეული ქალაქი“ [6], რომლის ტურისტული პოტენციალის გამოყენების შემდგომი გაფართოება არამხოლოდ მცხეთას, არამედ თბილისსაც დიდ სარგებელს მოუტანს.

თბილისს ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობების გაფართოება მისი ისტორიის, ძველი უბნების (აბანოთუბანი-ხარფუხი, კალა, ისანი-ავლაბარი, სოლოლაკი, მთაწმინდა...) პოპულარიზაციით შეუძლია. ცხადია, პოპულარიზაციის ღონისძიებები არ არის საკმარისი ტურისტული ქალაქის იმიჯის შესაქმნელად და ტურისტების მოსაზიდად, საჭიროა ტურისტების ისე მომსახურება, რომ მათ მომავალშიც გაუჩნდეთ საქართველოს დედაქალაქის მონახულების სურვილი. ჩვენს მიერ ჩატარებული ადგილობრივი მოსახლეობის ონლაინგამოკითხვის მიხედვით, თბილისში ტურისტებისთვის შეთავაზებული მომსახურების დონე დღეისთვის საშუალოა - (რესპონდენტთა 64,9%), რესპონდენტთა 16,6%-სთვის მაღალია, 2,4%-სთვის ძალიან მაღალი, 11,2%-სთვის დაბალი, 2%-სთვის კი ძალიან დაბალი. პასუხის გაცემა გაუჭირდა რესპონდენტთა 2,9%-ს. უცხოელ ტურისტებთან პერსონალურმა გასაუბრებამ გამოავლინა, საქართველოში მოგზაურობის დროს, მათი უკმაყოფილების მიზეზები. ასე, მაგალითად, გამოკითხულთა უმეტესობისთვის უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზი, ხშირად, ხდება საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები (14,5%) და საზოგადოებრივი ტუალეტების მოუწესრიგებლობა/არარსებობა (14,5%). გარდა ამისა, მათთვის ბევრი სხვა პრობლემაც (ტაქსის მაღალი ტარიფები, სკვერების მოუწესრიგებლობა, მომსახურების დაბალი დონე...) არსებობს. საჭიროა, ტურისტული მომსახურების შესაბამისი სამსახურების მეტად დაინტერესება აღნიშნული საკითხებით, უკმაყოფილო ტურისტების რაოდენობის მინიმუმამდე დასაყვანად.

თბილისში დღეს ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც, ტურისტული თვალსაზრისით, მოწესრიგებას საჭიროებს. ჩვენი აზრით, სრულიად სწორად სთვლიან ონლაინგამოკითხვაში მონაწილე ქართველი რესპონდენტები, რომ თბილისში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა შემდეგი ადგილების კეთილმოწყობა: ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია, ლისის ტბის საბაგირო; თბილისის ზღვა; თბილისის ძველი უბნები; თბილისის გარეუბნები; მტკვარი და სანაპირო ზოლი; კრწანისის ტყეპარკად წოდებული ტერიტორია; მცხეთის მიმდებარე ტერიტორია; სადგურის მოედნის ტერიტორია; მახათას მთა.

თბილისის საცალო სავაჭრო ქსელი, განსაკუთრებით, ახლადგახსნილი სავაჭრო ცენტრები, თავიანთი მდებარეობით, ჩვენი აზრით, კარგი ბაზაა შოპინგ-ტურიზმის განვითარებისთვის. ტურიზმის ეს სახე ერთგვარი სიახლეა საქართველოსთვის და მას კარგი შემოსავლის მოტანა შეუძლია დედაქალაქისთვის და საერთოდ ქვეყნისთვის, რადგან ადამიანები, რომლებიც მოგზაურობენ, უფრო აქტიური მყიდველები არიან. მიჩნეულია, რომ დასვენების დროს დანახარჯები იზრდება, რადგან ადამიანები ბევრ „უსარგებლო“ ნივთს ყიდულობენ;

ტურისტი ხარჯავს უფრო მეტს, ვიდრე იმავე გარემოში აღმოჩენილი ადგილობრივი მყიდველი, ვინაიდან შოპინგის დროს შეძენილი ნივთები მისთვის სასიამოვნო მოგზაურობის გახსენების საშუალებაა. ამ დროს დიდი რაოდენობით იყიდება სასაჩუქრე ნივთებიც. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ხშირად შოპინგ-ტურისტები არ არიან დროში შეზღუდული და შესაძლებლობა აქვთ უკეთესი შემოთავაზება ეძებონ.

დღეს, მსოფლიოში, „შოპინგ-ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია, რომელიც დანიშნულების ადგილის წინ წასაწევად გამოიყენება" [7]. ამიტომ, მიზანშეწონილია, თუ საქართველოში ამ შესაძლებლობას აქტიურად გამოიყენებენ თბილისთან მიმართებით. შოპინგი ბევრი ტურისტისთვის სამოგზაურო ადგილის შერჩევის განმსაზღვრელ ფაქტორადაც კი გადაიქცა არა მარტო ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, „არამედ საქართველოსთან, პირველ რიგში კი თბილისთან, მიმართებით. ამას მოწმობს უცხოელი ტურისტების ნაკადები დედაქალაქის სავაჭრო ცენტრებში. გამორიცხული არ არის, რომ შოპინგი საქართველოში მოგზაურობის ერთ-ერთ მთავარ მოტივადაც კი გადაიქცეს მომავალში, მეზობელი ქვეყნების მოსახლეობისთვის. ამაზე მეტყველებს 2017 წლის მონაცემები, როცა საქართველოში მოგზაურობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ აქტივობას შოპინგი (53,8%) წარმოადგენდა [8]. ჩვენი მოსაზრება, თბილისში შოპინგ-ტურიზმის შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთელ ტურისტებთან გასაუბრებამაც დაადასტურა. მათი 37,3%-სთვის თბილისი შოპინგისთვის მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდა მიმზიდველი. თუმცა, იგივე რაოდენობის რესპონდენტებმა საქართველოს დედაქალაქი შოპინგისთვის მიმზიდველად ჩათვალეს. რესპონდენტთა მეოთხედმა ამ კითხვაზე უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა.

ტურისტების დასაინტერესებლად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათთვის ქართული კერძების დაგემოვნების შეთავაზება. ამიტომ, სასურველია, თბილისში გაიხსნას ისეთი რესტორნებიც, რომლებიც არამარტო ქართული კლასიკური რეცეპტით მომზადებულ, არამედ უკვე მივიწყებულ ქართულ კერძებსაც შესთავაზებენ ტურისტებს. ასეთი ტიპის რესტორნების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და სტანდარტები უნდა იყოს ძალიან მკაცრი და მაღალი, რომ ტუროპერატორს გაუადვილდეს ტურისტებისთვის კვების ობიექტის შერჩევა. კარგი და მაღალხარისხიანი ეროვნული სამზარეულო არის გასტრონომიული ტურიზმის ეფექტიანობისა და პოპულარობის განმსაზღვრელი ფაქტორი. კულინარიული ტურისტი უკვე გამოცდილი გურმანი ან მოყვარული დეგუსტატორია, ამიტომაც, კლიენტების ამ კატეგორიას განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება. სასურველია, ტურისტების დასაინტერესებლად, თბილისის ბევრ კვების ობიექტში კულინარიული მასტერკლასების ჩატარება.

თბილისი, როგორც საქართველოს კულტურული ცენტრი, აუცილებლად უნდა გახდეს მიმზიდველი ტურისტული ობიექტი შიდა ტურისტებისთვის. თბილისის თეატრებსა და მუზეუმებში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ბევრი მოქალაქე არ არის ნამყოფი. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ხშირ შემთხვევაში, მათ ამის ფინანსური შესაძლებლობა არ აქვთ, ზოგიერთ ადამიანს კი მათი მონახულების სურვილიც არ უჩნდება. საჭიროა, მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება იმისთვის, რომ ადამიანებს თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრებისა და მუზეუმების მონახულების სურვილი გაუჩნდეთ. დღეს ბევრი ადამიანი სტუმრობს რესტორნებს, კაფეებსა და ბარებს, ქვეყანაში არსებული ცხოვრების დაბალი დონის მიუხედავად. ეს მაშინ, როცა ამ ობიექტებში სტუმრობა ბევრად უფრო ძვირადღირებულია. ვფიქრობთ, რომ სწორად განხორციელებული მარკეტინგი და PR-კამპანია, აღნიშნული მიმართულებით, ხელს შეუწყობს შიდა ტურიზმის განვითარებას. ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებული, ადგილობრივი მოსახლეობის ონლაინგამოკითხვის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც თბილისის ღირსშესანიშნაობებს საქართველოს მოსახლეობა ამ ეტაპზე, სათანადოდ, არ იცნობს. გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი (61,5%) სთვლის, რომ თბილისში ყველა საინტერესო და მიმზიდველი ადგილი ჯერჯერობით არ უნახავს, 24,9% მიიჩნევს, რომ ასეთ ადგილებს უკვე ესტუმრა, ხოლო დანარჩენ 13,7%-ს უჭირს პასუხის დაფიქსირება.

ქართული კულტურით უცხოელი ტურისტების დასაინტერესებლად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, განსაკუთრებით, დატვირთულ ტურისტულ სეზონებზე, ეროვნული ცეკვების სახელმწიფო ანსამბლების კონცერტების გარკვეული პერიოდულობით ჩატარება, აგრეთვე, სხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა. ასეთ ღონისძიებებად გამოკითხულმა ადგილობრივმა რესპონდენტებმა ჩათვალეს თემატური გამოფენები (24,4%), კინო და ფოტო ფესტივალები (24,4%), კონცერტების ჩატარება (20,5%), საერთაშორისო კონფერენციები (19,2%), მოდის კვირეულების მოწყობა (11,8%).

თბილისის, როგორც ტურისტული ქალაქის, პოპულარიზაცია, შეიძლება განხორციელდეს დასვენება-გაჯანსაღების მიმართულებითაც, რადგან, როგორც უკვე ითქვა, მას ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. კარგი იქნება, რომ თბილისის ზღვაზე დაჩქარდეს დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა [9]. ამასთან, საჭიროა, დასასვენებელ კომპლექსში დამსვენებლებისთვის შეთავაზებული ტურისტული პაკეტის ისე დიფერენცირება, რომ მისი ყიდვა შეძლონ როგორც მაღალშემოსავლიანმა, ისე საშუალო და დაბალშემოსავლიანმა ადამიანებმა. ასეთი მარკეტინგული ნაბიჯი, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა, ტურისტების რაოდენობასაც გაზრდის და მათი კმაყოფილების დონესაც აამაღლებს, რადგან დაბალშემოსავლიანი, მოგზაურობის მოყვარუ-

ლი, ადამიანებიც შეძლებენ შეთავაზებული ტურისტული პროდუქტის შეძენას. თბილისმა თავისი ტურისტული იმიჯის შესაქმნელად აქტიურად უნდა გამოიყენოს ბალნეოლოგიური კურორტიც, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში [10]. ამ კურორტის შესაძლებლობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურისტული აქტივობების გასაზრდელად.

თბილისს დასასვენებელ-გამაჯანსაღებელ ტურისტულ ქალაქად გახდომის შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ჰაერის დაბინძურების შემცირების მიმართულებით რადიკალური ღონისძიებები გატარდება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია. თბილისში დაბინძურება ნორმას 2,9-ჯერ აღემატება. შედარებისთვის: ვაშინგტონში (აშშ) დაბინძურება ნორმაზე 10%-ით დაბალია; მადრიდში (ესპანეთი) ნორმას უტოლდება; რიგაში (ლატვია) ნორმას 70%-ით აჭარბებს; ბრიუსელში (ბელგია) ნორმაზე 80 %-ით მეტია [11]. როგორც ჩანს, თბილისში ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები საგანგაშოა და თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, თბილისის ტურისტული პოტენციალის გამოყენების დონის ამაღლება რეალობად ვერ გადაიქცევა.

მცხეთისა და მცხეთასთან ახლოს მდებარე ეკლესია-მონასტრების ტურისტულ მარშრუტებში უფრო აქტიურად ჩართვა კიდევ უფრო გაზრდის თბილისის ტურისტულ პოტენციალს. ჯვარი, სვეტიცხოველი, მცხეთის დედათა მონასტერი ნამდვილად გამოირჩევა ტურისტების სიმრავლით, თუმცა, ჩვენი აზრით, რელიგიური ტურიზმის განვითარების მიზნით, უცხოელი ტურისტების მარშრუტებში აქტიურად უნდა ჩაერთოს, აგრეთვე, შიო-მღვიმისა [12] და ზედაზნის მონასტრები [13] და არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია [14]. შიო-მღვიმისა და ზედაზნის მონასტრების ისტორია, ბერების ცხოვრება, იქ არსებული სიმშვიდე, სიმყუდროვე და ამ ადგილებიდან გადაშლილი ხედების სილამაზე ვფიქრობთ, წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს თითოეულ ტურისტზე. ასევე, უნდა გაიზარდოს არმაზის ღვთისმშობლის ეკლესიის ცნობადობა პოტენციურ ტურისტებში.

მაშასადამე, არსებული რეალობიდან გამომდინარე, თბილისს აქვს პერსპექტივა, კიდევ უფრო მეტად განავითაროს ტურიზმის შემდეგი სახეები: კულტურული ტურიზმი; შოპინგ-ტურიზმი; სპა-ტურიზმი; გასტრონომიული ტურიზმი; რელიგიური ტურიზმი.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ საქმიანი ტურიზმის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე თბილისში. დღეისთვის ამ სახის ტურიზმის განვითარების ტენდენციები თბილისსა და ბათუმში უკვე გამოიკვეთა. მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თბილისს კიდევ უფრო მეტი პერსპექტივა გააჩნია ამ მიმართულებით. კარგად განვითარებული ბრენდინგის მეშვეობით და საზღვარგარეთ საქართველოში საქმიანი ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებს გზით, თბილისი შესაძლებელია გადაიქცეს საერთაშორისო შეხვედრების ერთ-ერთ პოპულარულ ადგილად. „თბილისი - შეხვედრების ადგილი“ - დაახლოებით ასეთი სლოგანით წარმოგვიდგენია ამ კუთხით განხორციელებული PR-კამპანია. ამ სლოგანით 2016 წელს თბილისში ერთხელ უკვე ჩატარდა საერთაშორისო ტურიზმის კონფერენცია და საჭიროა, ასეთი აქტივობები მომავალშიც გაგრძელდეს. თბილისში საქმიანი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშნელოვანად მიგვაჩნია, რადგან საქმიანი ტურისტები მთელ მსოფლიოში გამოირჩევიან მაღალი მხარჯველობით. ასევე, არის უფრო მეტი ალბათობა იმისა, რომ ქვეყანა ამ ტიპის ტურისტებმა განმეორებით მოინახულონ. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმიანი ტურიზმი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. ჩვენი მოსაზრება, ამ მხრივ, გარკვეულწილად, დაემთხვა ადგილობრივი მოსახლეობის ონლაინგამოკითხვის შედეგებს. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, თბილისში ყველაზე ხელსაყრელი იქნება კულტურული და ღვინის ტურიზმის განვითარება. ასეთი მოსაზრება დააფიქსირა გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა. თბილისისთვის მნიშვნელოვნად ჩაითვალა დასვენების, რელიგიური და გასტრონომიული ტურიზმის განვითარებაც. საქმიანი და შოპინგ-ტურიზმის განვითარებას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედმა. გამოკითხულებმა ყველაზე ნაკლები დადებითი პასუხები დააფიქსირეს სპა-ტურიზმის განვითარების სასარგებლოდ.

ამრიგად, თბილისის ტურისტული პოტენციალის ათვისების დონის ამაღლების შესაძლებლობები რეალურად, რამდენიმე მიმართულებით არსებობს და, მათი გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს დედაქალაქს აქვს შანსი, პერსპექტივაში პრეტენზია განაცხადოს ევროპის მიმზიდველი და წამყვანი ტურისტული ქალაქის იმიჯის მოპოვებაზე. მაგრამ, ამისთვის საჭიროა მარკეტინგული ცოდნის აქტიურად გამოყენება, მარკეტინგული შეთავაზებების ფორმირება ტურიზმის მარკეტინგის ძირითად პრინციპებსა (მღებრიშვილი ბ. (2012); სეთური მ. (2017) და ფუნქციებზე (მღებრიშვილი ბ. (2015) დაყრდნობით. ტურიზმის სექტორმა თავისი განვითარების პოტენციალის ასათვისებლად აუცილებლად უნდა გამოიყენოს მედია მარკეტინგის შესაძლებლობები, რადგან, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის კათედრაზე ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, ქართველი მომხმარებლების კმაყოფილებაზე ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებულ მედია მარკეტინგს მაღალი გავლენა აქვს (თოდუა ნ. (2017). საჭიროა ტურისტული კომპანიების გააქტიურება სოციალურ ქსელებში, რაც ხელს შეუწყობს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას.

## ლიტერატურა:

1. სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების ძირითადი მაჩვენებლები http://www.geostat.ge/?-action=page&p_id=2854&lang=geo
2. ყორღანაშვილი ლ. (2017). ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში. VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, - ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, - მოხსენებების კრებული, ბათუმი.
3. https://www.researchgate.net/publication/317603387_THE_ROLE_OF_TOURISM_IN_THE_GEORGIAN_ECONOMY_turizmis_roli_sakartvelos_ekonomikashi
4. პაპავა ვ. (2018). საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში“ https://www.gfsis.org/ge/blog/view/854
5. ქართული სამზარეულო https://sputnik-georgia.com/people/20170406/235500722/merab-beradzis-qartuli-samza-reulo.html
6. თოდუა ნ. (2012). საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა, გამომცემლობა „უნივერსალი“.
7. მცხეთა http://museum.ge/?lang_id=GEOENG&sec_id=174
8. http://media.unwto.org/press-release/2016-01-25/shopping-tourism-key-destination-marketing
9. https://gnta.ge/ge/
10. https://sputnik-georgia.com/economy/20160904/233141966/tbilisshi-mcvane-qalaqis-msheneblobas-ickeben.html
11. ბალნეოლოგიური კურორტი "თბილისი-სპა"
12. http://balneo.ge/index.php?do=static&page=history-------
13. თბილისში ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ნორმას 300%-ით აჭარბებს
14. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/40139/tbilisshi-haeris-dabindzurebis-machvenebeli-normas-300it-acharbebs
15. შიომღვიმე (VI ს) http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/sh/shio-mgvime.html
16. ზედაზნის მონასტერი http://novators.ge/dzeglebi.php?id=83
17. არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/a/armazis_eklesia.html
18. მღებრიშვილი ბ. (2012). მარკეტინგის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „უნივერსალი“.
19. სეთური მ. (2017). მარკეტინგის თავისებურებების განმსაზღვრელი პირობები მოგზაურობასა და ტურიზმში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის,-გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში,-შრომების კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
20. მღებრიშვილი ბ. (2015). ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული VIII, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
21. თოდუა ნ. (2017). სოციალური მედია მარკეტინგის როლი ტურიზმში. VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, - ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, - მოხსენებების კრებული, ბათუმი.
22. https://www.researchgate.net/publication/317728667_The_Role_of_Social_Media_Marketing_in_Tourism

## The Prospects of Use of Tourism Potential in Georgia (on the example of Tbilisi)

***Babulia Mghebrishvili***
*Doctor of economics,*
*associated professor*

***Sophio Jamrulidze***
*Master of Business Administration*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

Authors of the article associate employment of Tbilisi tourist potential to full extent with the most ancient districts, streets and temples, level of retailing in the capital city, number of cultural facilities in Tbilisi, health and recreation potential of Tbilisi Sea and Tbilisi Balneological Resort, close location of Mtskheta, ancient capital city of Georgia to Tbilisi. On the basis of analysis of the available materials the authors of the article express their opinion in relation to the promising types of tourism for Tbilisi. They regard that such types include: cultural tourism; shopping tourism; spa-tourism; gastronomic tourism and religious tourism. The authors emphasized the possibility of further development of business tourism as well. In the process of discussion and making conclusions they rely upon both, formal statistical materials and published articles dealing with tourism and findings of conducted marketing research.

***Key words:*** Tbilisi; tourism; use; outlook; tourism types.

# სახელმწიფო საწარმოთა მართვის აქტუალური საკითხები

**დავით ნარმანია**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის პროფესორი*

*სახელმწიფო/საჯარო საწარმოები საჯარო სერვისების მიწოდების მნიშვნელოვანი რგოლია. ისინი სხვადასხვა მახასიათებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან კერძო საწარმოებისგან. სახელმწიფო საწარმოები, როგორც საჯარო სერვისის მიმწოდებელი ერთეულები, მართვის სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებენ. ასეთ საწარმოთა მართვის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებლები და ინსტრუმენტები. ეფექტიანი მენეჯმენტი გულისხმობს მართვის ფუნქციების (დაგეგმა, ორგანიზაცია, მოტივაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი) ეფექტიან გამოყენებას. ამასთან, ცალკე შესწავლას ექვემდებარება ამ ფუნქციების რეალიზაციის ინსტრუმენტები და ფუნქციური ქვესისტემები (HR, კომუნიკაცია, მარკეტინგი, ფინანსური და ოპერაციათა მენეჯმენტი). საჯარო საწარმოებს ხშირ შემთხვევაში მოეთხოვებათ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.*

*საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო საწარმო; მენეჯმენტი; სერვისის მიწოდება; ეფექტიანობა.*

## სახელმწიფო საწარმოთა არსი მახასიათებლები

ნებისმიერი ორგანიზაციის, დაწესებულების თუ ერთეულის ეფექტიანი მუშაობა მხოლოდ გამართული მენეჯმენტის პირობებშია შესაძლებელი. გამართული მენეჯმენტი გულისხმობს როგორც მართვის სისტემის გამართულობას, ასევე კვალიფიციური მენეჯერების არსებობას. ეფეტიანი მენეჯმენტი სჭირდებათ როგორც კერძო ორგანიზაციებს, ასევე საჯარო (სახელმწიფო/ მუნიციპალური) საწარმოებს.

თანამედროვეობაში ხშირია კამათი იმაზე, კონკრეტული საჯარო ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმო უნდა არსებობდეს თუ მოხდეს მისი განსახელმწიფოებრიობა ან ფუნქცია შესასრულებლად გადაეცეს კერძო სექტორს ან კიდევ მოხდეს საკუთრივ საწარმოს მართვის უფლებით გადაცემა.

ამასთან, სახელმწიფო თავისი ფუნქციების რეალიზებას ახდენს როგორც საჯარო დაწესებულებების მეშვეობით (სამინისტროები, უწყებები, სსიპ-ები), ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების მეშვეობით (უმეტესად შპს-ები და სააქციო საზოგადოებები).

ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომის მიხედვით ითვლება, რომ სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმო (სხვანაირად მას საჯარო საწარმოებს უწოდებენ, ინგლ. Public Enterprise) უფრო ეფექტიანად მიაწვდის სერვისს, ვიდრე ამას კერძო საწარმო გააკეთებდა. თუმცა არსებობენ ამის მოწინააღმდეგეებიც. ხშირია დებატები იმაზე, საჯარო საწარმო უფრო ეფექტიანად (უფრო ხარისხიან პროდუქციას უფრო დაბალ ფასად) აწვდის სერვისს მოსახლეობას თუ კერძო საწარმო. თუ კერძო სჯობს საჯარო საწარმოს, მაშინ შესაძლოა საჯარო საწარმოს პრივატიზაცია მოხდეს. არსებობს საჯარო საწარმოს კერძო საწარმოსთვის მართვის უფლებით გადაცემის ფორმაც, როცა საკუთრება რჩება სახელმწიფო/მუნიციპალური, ხოლო სერვისის მიწოდებას ახორციელებს კერძო კომპანია. ამასთან ერთად, გავრცელებულია საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმაც (PPP), როცა კონკრეტული საჯარო ფუნქციის შესრულება ხორციელდება კერძო კომპანიის მხრიდან, მასთან სპეციალურად გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე.

საჯარო საწარმოების შექმნის ან შენარჩუნების არგუმენტად არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ერთიანდება ოთხ ძირითად ჯგუფში:

1. იდეოლოგიური პირობა;
2. პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალაუფლების შეძენა-კონსოლიდაცია;
3. ისტორიული მემკვიდრეობა და ინერცია;
4. ეკონომიკურ პრობლემებზე პრაგმატული პასუხიმგებლობა (Leroy P.J. 2009, p.17).

პარალელურად გავრცელებული მიდგომით, ზოგიერთ სფეროში სახელმწიფო/მუნიციპალური კომპანიის არსებობა აუცილებელია. მაგრამ ეს გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოს ეფექტიანი მენეჯმენტი ხორციელდება. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს შეზღუდული საჯარო რესურსების პირობებში მაქსიმალურად მეტი საჯარო პროდუქტის შექმნას ისე, რომ მოხდეს მათი დროული, ხარისხიანი და დაბალი ფასით მიწოდება. სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოების ეფექტიანი მენეჯმენტი სერვისების ეფექტიან მიწოდებას გულისხმობს და საბოლოო ჯამში კმაყოფილი რჩება მომხმარებელი - ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობა.

საჯარო საწარმოები, როგორც ადგილობრივი სერვისის მიმწოდებელი ერთეულები, მართვის სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებენ. ერთი მხრივ, ისინი გარკვეულ კომერციულ საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაციე-

ზია (როგორც შპს, სააქციო საზოგადოება და ა.შ.), მეორეს მხრივ კი მართვის განსხვავებული სტილი აქვთ (მაგ. შესაძლოა ჰყავდეთ სახელმწიფო/მუნიციპალური სამეთვალყურეო საბჭო) და განსხვავებულია ბიუჯეტის ფორმირების წყაროებიც (შესაძლოა ჰქონდეთ როგორც საბიუჯეტო დაფინანსება, ასევე სატარიფო და კომერციული შემოსავლები). ამიტომაც, მუნიციპალური საწარმოები ე.წ. ჰიბრიდულ წარმონაქმნებად იწოდებიან და მათი შესწავლა მულტი-დისციპლინურია (Leroy P.J. 2009, p.1).

## სახელმწიფო საწარმოთა ეფეტიანი მენეჯმენტი

სახელმწიფო/მუნიციპალურ საწარმოთა ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები და ინსტრუმენტები, როგორიცაა: მოგება-ზარალის თანაფარდობა, დანაკარგების მინიმიზაცია, გარე აუდიტი, სოციალური პასუხისმგებლობა და სხვა. შედარებით რთული ანალიზის ფორმაა მონაცემთა შემუშავების ანალიზი (Data Envelopment Analysis - DEA), რომელიც არის არაპარამეტრული მეთოდი ოპერაციულ კვლევებში და ეკონომიკაში. ის ეფუძნება 50 შეფასებად ინდიკატორს და გამოიყენება წარმოების ზღვრების შეფასების მიზნით[12]. საბოლოო ჯამში კი ეფექტიანობა ჯამური შეწონილი მიღებული შედეგის ჯამურ შეწონილ ჩადებულ რესურსებთან თანაფარდობაში გამოიხატება:

$$\text{ეფექტიანობა} = \frac{\text{მიღებული შედეგების შეწონილი ჯამი}}{\text{ჩადებული რესურსების შეწონილი ჯამი}}$$

არსებული პრაქტიკით, გამოიყოფა ეფექტიანობის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

- **სამუშაოს/პროდუქციის ხარისხიანი მიწოდება** - მაგალითად, დასახლებაში ასფალტის საფარის ხარისხიანი დაგება, მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგებით და მაქსიმალური ექსპლუატაციის ვადით. ამისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ/ მუნიციპალიტეტმა განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ეფექტიანი კონტროლი და ამის მიხედვით აუნაზღაუროს სახელმწიფო/მუნიციპალურ კომპანიას შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
- **სერვისის მაქსიმალურად დაბალ ფასში მიწოდება** - მაგალითად, დასუფთავების, მგზავრთა გადაყვანის ან განათების სერვისის მიწოდება მაქსიმალურად დაბალი კომუნალური ტარიფებით. თუმცა, დაბალი ტარიფებით ხარისხიანი სერვისის მიწოდება ყოველთვის როდი ხერხდება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია მომსახურების ტარიფები დადგინდეს ისე, რომ სახელმწიფო/მუნიციპალურმა კომპანიამ შეძლოს დანახარჯების ამოღება და მინიმუმ უზარალობის წერტილამდე გასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტს მოუწევს კომპანიის ბიუჯეტიდან სუბსიდირება;
- **სერვისის დროული მიწოდება** - მაგალითად, სახელმწიფო/მუნიციპალურ კლინიკაში მოსახლეობის აცრების ჩატარება ისეთ დროს, რაც ზუსტად განსაზღვრულია ამა თუ იმ დაავადების პრევენციისთვის. ამისათვის მნიშვნელოვანია პოლიკლინიკამ იცოდეს ჯანდაცვის დაწესებულებიდან მოსალოდნელი დაავადებების შესახებ და ჰქონდეს აცრების საკმარისი მარაგი;
- **სერვისის ხელმისაწვდომობა** - მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ბუნკერების დასახლებასთან მაქსიმალურად ახლოს განთავსება და რაც შეიძლება ხშირად დაცლა (ნარჩენების გადამამუშაველ ქარხანაში გატანა). მნიშვნელოივანია, რომ მოსახლეობას არ აწუხებდეს სუნი და არ მოხდეს ნაგვის ბუნკერების გადავსება.

ჩვეულებრივი, კერძო საწარმოებისგან განსხვავებით, სახელმწიფო/მუნიციპალურ საწარმოებს რამდენიმე მახასიათებელი გააჩნია, რაც გასათვალისწინებელია კვლევის პერიოდში ეფექტიანობის შეფასებისას:

- ისინი დაფუძნებულნი არიან საჯარო სამართლის დაწესებულების მიერ (მთავრობა, სამინისტრო, მუნიციპალიტეტი);
- სამეთვალყურეო საბჭო და მთავარი ხელმძღვანელი (CEO) მტკიცდება/ინიშნება სახელმწიფოს-/მუნიციპალიტეტის მხრიდან;
- აუცილებლად უნდა ეწეოდეს საჯარო სერვისის მიწოდებას. კერძო სერვისის მიწოდება საჯარო საწარმოს მიერ ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვად მიიჩნევა და არაა მიზანშეწონილი;
- სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმო ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის (სამინისტროს/მუნიციპალიტეტის) წინაშე;
- საჯარო საწარმოს შემოსავლები და ხარჯები შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ იყოს საჯარო, გამომდინარე მისი საჯარო ხასიათიდან;
- საჯარო საწარმოს მოეთხოვება გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, ასვე კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობა;
- საჯარო საწარმოს აუდიტი და კონტროლი ხორციელდება სახელმწიფოს/ მუნიციპალიტეტის მხრიდან. თუმცა, სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის მოწვევით აუდიტი შესაძლოა ჩაატაროს დამოუკიდებელმა აუდიტმა სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე[13].

ამასთან, ეფექტიანი მენეჯმენტი გულისხმობს ასევე მართვის ფუნქციების (დაგეგმა, ორგანიზაცია, მოტივაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი) ეფექტიან გამოყენებას. ამასთან, ცალკე შესწავლას ექვემდებარება ამ ფუნქციების რეალიზაციის ინსტრუმენტები და ფუნქციური ქვესისტემები (HR, კომუნიკაცია, მარკეტინგი, ფინანსური და ოპერაციათა მენეჯმენტი).

საჯარო საწარმოებს ხშირ შემთხვევაში მოეთხოვებათ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი უშუალოდ მოქალაქეებს აწვდიან მუნიციპალურ სერვისებს და რიგ შემთხვევებში ფინანსდებიან მოქალაქეთა გადახდილი გადასახადებით. ამიტომაც მუნიციპალური საწარმოები ხშირად აქვეყნებენ თავიანთ ნაერთ ფინანსურ მაჩვენებლებს, აუდიტის აქტებს და წლიურ ანგარიშებს, საჯაროს ხდიან სხვადასხვა ღონისძიებებს და მიღწეულ შედეგებს.

საჯარო და კერძო საწარმოებს ერთნაირი აქვთ გადასახადები და მოსაკრებლები. სხვა შემთხვევაში დისკრიმინაცია და არათანაბარი კონკურენცია იქნება ბაზარზე. დაუშვებელია რომელიმე მუნიციპალური საწარმო ჩადგეს სხვებისგან განსხვავებულ საგადასახადო-საფინანსო რეჟიმში. განსხვავებულ/დისკრიმინაციულ მიდგომებს ეწინააღმდეგება ევროპული დირექტივებიც.

## ლიტერატურა:


1. **ლაზარაშვილი თ.**, **მელაშვილი მ.** (2015), სახელმწიფო საწარმოების მართვის თავისებურებანი საქართველოში და ეფექტიანობის ამაღლების გზები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. **ცუხიშვილი ნ.**, **ზუაძე ს.** (2016), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში, საია, IDFI.
3. სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი, (2015), სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
4. სახელმწიფო საწარმოები საქართველოში და მათი ეფექტიანობა: სოფლის მეურნეობის დარგის ანალიზი (2014), IDFI.
5. საქართველოს სახელმწიფო საწარმოები: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კორუფციის პრევენცია (2016), Transparency International – Georgia.
6. **Bart V., Genugten M., Thiel S.** (2017), The efficiency and effectiveness of municipally owned corporations: a systematic review, Local Government Studies, Vol: 43, No5.
7. **Joshua G.** (2014), State-Owned Enter Owned Enterprises: Justifications, Risks, and Reform, IMF Institute.
8. **Kim C, Ali Z.** (2017), Efficient Management of State-Owned Enterprises: Challenges and Opportunities, ADB Institute.
9. **Leroy P.J.** (2009), Public enterprise in less-developed countries, Cambridge university press.
10. **Narmania D.** (2018), Efficient Management of Municipal Enterprises, European Journal of Multidisciplinary Studies, Vol.7, No.2, pp. 73-76.
11. **Shirley M.** (1983), Managing State-Owned Enterprises, World Bank, WP 577.
12. Efficiency Evaluation of the Municipal Management of Public Services of Water Supply, Sanitary Sewerage and Solid Waste (2014), *International Journal of Engineering & Technology IJET-IJENS,* Vol:14 No01, p. 43.
13. In-Depth Guide to Public Company Auditing: The Financial Statement Audit (2011), The Center for Audit Quality, Washington DC.
14. Risk Management by State-Owned Enterprises and their Ownership (2016), OECD.
15. State-Owned Enterprises Catalysts for public value creation? (2005), PWC.


## Actual Matters of Public Enterprises' Management


***Davit Narmania***

*Professor*

*Ivane Javakhishvili Tbilisi state unievrsity*



S u m m a r y

State/public owned enterprises are important entities in public service delivery. They differ significantly from the private enterprises. State owned enterprises, as a public service providers, need a specific management approach. Various indicators and tools are used to assess the efficiency such enterprises. Efficient management means efficiency using of managerial functions (planning, organization, motivation, leading and control). Additionally, instruments and functional subsystems (HR, communication, marketing, financial and operations management) for those function realization need separate study. There are often required transparency and accountability by public enterprises, as well as corporate social responsibility (CSR).



***Key words***: State Enterprise; Management; Service Delivery; Efficiency.

# დემპინგი: პროფესიის დისკრედიტაციის და განვითარების შემაფერხებელი მოვლენა (აუდიტი, საშემფასებლო საქმიანობა)

**მურად ნარსია**

*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)*

**მარიამ კახელიშვილი**

*მაგისტრი*

*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)*

*სტატიაში განხილულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდგომ პერიოდში საჯარო სექტორის შემსყიდველების მიერ, მიუხედავად მკვეთრად შეცვლილი გარემოებებისა, აღნიშნული კანონის მოთხოვნების იგნორირების ფაქტები, რომელიც იწვევს აუდიტორული შემოწმებისა და ქონების შეფასების მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მხრიდან დაბალი ხარისხის, ფორმალური, მაღალი რისკის შემცველი მომსახურების მიწოდებას და შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შერჩევის ისეთი კრიტერიუმების ჩამოყალიბებას, რომელიც განაპირობებს აღნიშნული კანონის მოთხოვნებით რეჟიმში ფუნქციონირებადი აუდიტორული კომპანიებისა და ქონების შემფასებლების კომპეტენციებში ჩარევას. სტატიაში შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.*

*საკვანძო სიტყვები: დემპინგი; დემპინგური ფასი; თბილისის მერია; აუდიტორული შემოწმება; ქონების შეფასება; დისკრიმინაცია; მაღალი რისკი; ფორმალური მომსახურება.*

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სიტუაცია აუდიტორული და ქონების შეფასები ბაზარზე, გამკაცრდა მოთხოვნები აუდიტორული კომპანიებისა და ქონების შემფასებლების მიმართ ამ მომსახურებების ხარისხის ნაწილში, თუმცა ამ არსებით გარემოებას არ ითვალისწინებენ საჯარო სექტორის შემსყიდველი ორგანიზაციები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ აუდიტორული და ქონების შეფასების მომსახურების შესყიდვისას სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები ტექნიკური დავალების ფორმირებისას არ ითვალისწინებენ ადექვატურ საკავლიფიკაციო კრიტერიუმებს და საქმიანობას ახორციელებენ ინერციით. მაგალითისათვის გვინდა განვიხილოთ ქალაქ თბილისის მერიის მიერ 76-მდე ა(ა)იპ-ის/სსიპ-ის 2016 და 2017 წლების ბალანსების სავალდებულო აუდიტზე გამოცხადებული ტენდერები და მისი შედეგები. ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2018 წელს მერიის დაქვემდებარებაში არსებული 76-მდე ა(ა)იპ-ის/სსიპ-ის ბალანსის სავალდებულო აუდიტთან დაკავშირებით, რომლის სამართლებრივი საფუძველი გახლავთ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი, აღვნიშნავთ რომ აღნიშნული მომსახურება სავალდებულო აუდიტის მომსახურების კატეგორიას მიეკუთვნება და სწორედ ამიტომ, მით უფრო იმის გამო, რომ 2018 წელზე აუცილებელი იქნება კონსოლიდირებული ბალანსის აუდიტის განხორციელება და ამ მომსახურებას აუცილებლად დაჭირდება 2017 წლის ბალანსის კონსოლიდაციის ელემენტების მიხედვით შედგენა და აუდიტი, არის აუცილებლობა ამ 76-მდე ა(ა)იპ-ის/სსიპ-ის 2017 წლის ბალანსის აუდიტი განხორციელდეს ამ მომსახურების მაღალი ხარისხით მიმწოდებელი აუდიტორული კომპანიის შერჩევის საფუძველზე. გარდა ამისა, არის აუცილებლობა შერჩევის კრიტერიუმები სატენდერო კომისიამ განსაზღვროს ისეთი ანგარიშით, რომ გამოირიცხოს ამ მომსახურების დემპინგურ ფასად მიმწოდებელი პრეტენდენტის შერჩევა, რადგან დემპინგურ ფასად („დაგდებულ ფასად“) ამ მომსახურების მიწოდება ეწინააღმდეგება პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნებს, რომელიც დადასტურებულია ბუღლტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემუშავებული და სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს საიტზე განთავსებული რეკომენდაციებით (იხ. http://procurement.gov.ge/News/auditi-(1).aspx ან https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/1168), რომლის მიხედვით, ბევრ სხვა საკითხებთან ერთად აუდიტორული კომანიებისა და ამ მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველების ყურადღება გამახვილეულია დემპინგური ფასის პირობებში აუდიტორული კომპანიის დამოუკიდებლობის ხარისხის დარღვევაზე და მომსახურების ხარისხის დაბალი დონით განხორციელებაზე („მსგავსი პირობების არსებობამ შესაძლებელია გამოიწვიოს აუდიტორული საქმიანობის ძირითადი პრინციპის, დამოუკიდებლობის დარღვევა“), რომელიც წინააღმდეგობაშია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან. საზოგადოდ ცნობილია, რომ დემპინგურ ფასად გაწეული მომსახურებისადმი ნდობის ხა-

რისხი ძალიან დაბალია, რომელიც იმას ნიშნავს, რომ დემპინგური ფასის შემთავაზებელი აუდიტორი ან აუდიტორული კომპანია მისი მოქმედებით ეწინააღმდეგება იმ მისიას, რომელიც აკისრიათ აუდიტორებს საზოგადოების წინაშე.

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობაში არსებული ა(ა)იპ-ების/სსიპ-ების 2016 წლის ბალანსის აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოცემულ მენეჯმენტის წერილში აღინიშნა ამ მასშტაბის მომსა-ხურებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება 2017 წლის ბალანსის აუდიტის განხორილებისას ვფიქრობთ აუცილებელია, რომელსაც თან უნდა ახლდეს ამ ფორმატის მომსახურების მაღალხარისხიანად უზრუნველმყოფელი სავარაუდო ღირებულების დადგენა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ეს მომსახურება დაყოფილია 4 ტენდერად, მომსახურების გაწევა საკმაოდ შრომატევადია და იწვევს არა მარტო მაღალი კვალიფიკაციის აუდიტორების მონაწილეობას ამ პროცესში, არამედ საკმაოდ ფართო მასშტაბის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას. შრომატევადობას ზრდის, აგრეთვე მთელ რიგ ა(ა)იპ-ებში/სსიპ-ებში არაადეკვატური კვალიფიკაციის მქონე ფინანსისტებისა და ბუღალტრების არსებობა.

ა(ა)იპ-ების/სსიპ-ების 2016 წლის ბალანსის აუდიტორული შემოწმების მომსახურების სავარაუდო ღირებულებად (NAT 170012731 – 25 207 ლარი, NAT 170012733 – 23258 ლარი, NAT 170012735 – 57 088 ლარი, NAT 170012736 – 24 447 ლარი) გაცხადებულ იქნა 130 000 ლარის ოდენობით, რომელიც აუდიტორულმა კომპანიამ მოიგო 128 000 ლარად. ამ პროცესში მონაწილეობდა 6 აუდიტორი და 6 აუდიტორის ასისტენტი, აღნიშნული პროექტი ამ კომპანიისათვის აღმოჩნდა საკმაოდ არაეფექტური, რომლის განხორციელებისათვის დაიხარჯა საკმაოდ ბევრი აუდიტსაათები. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან აუდიტორული შემოწმების მომსახურების ხარისხის ნაწილში გამკაცრებული მოთხოვნების გამო კვალიფიციურ და თვითშეფასების დეფიციტის არმქონე ბაზარზე მოქმედ აუდიტორულ კომპანიებს უკვე აღარა აქვთ შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ფორმატის მომსახურება განა-ხორციელონ 150 000 და 128 000 ლარად, მით უფრო იმის გამოც, რომ მსგავსი მომსახურების მაღალკვა-ლიფიციურად მიწოდების საბაზრო ფასი აღემატება **220 000 ლარს** (დღგ-ს გარეშე). ვეყრდნობით რა ბაზარზე მოთამაშე სუბიექტების გამოკითხვის მონაცემებს, ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული 76 ა(ა)იპ-ის/სსიპ-ის 2017 წლის ბალანსის აუდიტის განხორციელების სავარაუდო ღირებულება არ უნდა ყოფილიყო **220 000 ლარზე** ნაკლები (დღგ-ს გარეშე). აუდიტორული კომპანიების პირველ ოცეულში შემავალი სუბიექტები მსგავსი მომსახურების მიმართ საერთოდ არ გამოხატავენ დაინტერესებას, მაგრამ თუ გამოხატეს ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას თუ საწყისი სავარაუდო ღირებულება ნაკლებია 480 000 ლარზე (დღგ-ს გარეშე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვითვალისწინებთ რა აუდიტორული კომპანიების მიმართ ბუღალ-ტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამკაცრებულ მოთხოვ-ნებს (დაკვირვებამ აჩვენა, რომ აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა აუდიტის ხარისხის თვალსაზრისით რისკების ზონაში მოაქცია ის აუდიტორული კომპანიები, რომლებიც სახელმწიფო შემსყიდველებს დემპინ-გურ ფასად სთავაზობდნენ ამ მომსახურების მიწოდებას და ამჟამად ახორციელებენ ხარისხის მონიტორინგის პროცედურებს, რომელიც შესაძლებელია დამთავრდეს არაკვალიფიციური სუბიექტების რეგისტრაციის შეჩერებით) ვთვლით, რომ ზემოაღნიშნულო მომსახურების ადეკვატური ფასი ქართული კომპანიებისათვის არ უნდა იყოს **220 000 ლარზე** ნაკლები (დღგ-ს გარეშე).

აღნიშნული მოსაზრებები არ გაითვალისწინა ქალაქ თბილისის მერიამ და 2017 წლის ა(ა)იპ-ის/სსიპ-ის ბალანსის შემოწმების მიზნით გამოაცხადა NAT180015167, NAT180015166, NAT180015169, NAT180015170 ტენდერები, რომელთა საწყისი სავარაუდო ღირებულება განსხვრებული იყო ზემოაღნიშნულ ციფრთან შედარებით. გამოცხადებული ტენდერების პირობების დეტალური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ქალაქ თბილისის მერია 76 (ა)იპ-ის/სსიპ-ის აუდიტის ობიექტებიდან მომსახურებას მთელ რიგ შემთხვევებში სთავაზობდა 14 და 32 ლარად, ანუ იმ ფასად რა ღირებულებაც აქვს აუდიტის ანგარიშისა და დასკვნის ამობეჭდვის მომსახურებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება და გზა გაუხსნა მომსახურების ფორმალურად და დაბალი ხარისხით განმახორციელებელი სუბიექტებს. ეს ასეც მოხდა - ამ ტენდერზე მომსახურების მიწოდების განზრახვა დააფიქსირა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში ოფისის მქონე აუდიტორულმა კომპანიამ, რომელსაც ჰყავს მხოლოდ 2 აუდიტორი და აქვს პრეტენზია 25 დღის ვადაში განახორციელოს ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული 76 ა(ა)იპ-ის/სსიპ-ის 2017 წლის ბალანსის აუდიტი. ასეთი დამოკიდებულება წარმოშობს აუდიტრული დასკვნების „ჩამოტარებით დარიგების" სიტუაციას, რომელიც დამახასიათებელი იყო 2012 წლამდე აუდიტორულ ბაზარზე მოქმედი ზოგიერთი აუდიტორული კომპანიისათვის.

გარდა ამისა, ამ ტენდერში დამკვეთმა განიზრახა პრეტენდენტ აუდიტორულ კომპანიას აუდიტორული შემოწმების ჯგუფის შემადგენლობის დაკომპლექტებისას გაეთვალისწინებინა, რომ ჯგუფში უნდა ყოფი-ლიყო სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ სეტიფიცირებული არანაკლებ 5 აუდიტორი და ეს მაშინ, როცა „სახელმწიფო აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად არ არის რეგლამენტირებული ამ ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებული აუდიტორების სტატუსი, არ რსებობს კანონიერი ვალდებულება: ამ

ტიპის ექსპერტების მიერ პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის დაცვაზე, აუდიტორული შემოწმების ხარისხზე, პროფესიულ ორგანიზაციაში წევრობაზე და რაც ყველაზე მთავარია ამ კატეგორიის ექსპერტების აუდიტორულ დასკვნაზე ხელმოწერაზე, რადგან აუდიტორულ დასკვნაზე ხელმოწერის უფლება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით აქვს აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე რეგისტრირებულ გარიგების პარტნიორს (სერტიფიცირებულ აუდიტორს).

ამასთან, ვფიქრობ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დღგ-ს გადამხდელი აუდიტორული კომპანიების საგადასახადო ტვირთი საშუალოდ (საჯარო სამართლის სსიპ/ა(ა)პ-ის ნაწილში) შეადგენს ბრუნვის არანაკლებ 38%-ს (20% საშემოსავლო+18% დღგ, რომლიდანაც ჩასათვლელი თანხა მინიმალური სიდიდისაა, რადგან აუდიტორული კომპანია ითვლის მხოლოდ კომუნალურ მომსახურებების, აგრეთვე კატრიჯებისა და საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯებში განივთებულ დღგ-ს, რომელიც საკმაოდ მცირეა). აღნიშნული საგადასახადო ტვირთი, აგრეთვე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე გამკაცრებული მოთხოვნების შესრულება, დაწყებული 2017 წლის მეორე ნახევრიდან, შრომატევადს და არარენტაბელურს ხდის ბაზრისათვის აუცილებელი აუდიტორული მომსახურებას, მით უფრო დემპინგურ ფასად. აუდიტორული კომპანიები, რომლებიც სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს დემპინგურ ფასად სთავაზობენ აუდიტორული შემოწმების მომსახურებას (ამას ისინი აკეთებენ თითქმის ყოველთვის), დიდი ვარაუდით, ამ შეთავაზებას ახორციელებენ აუდიტორული შემოწმების მომსახურების ფორმალურად განხორციელების ხარჯზე, რომელიც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: დემპინგური ფასის შეთავაზების გზით მოპოვებული დიდი რაოდენობის სხვა შემსყიდველებისათვის მომსახურების ერთდროულად განხორციელებით და აუდიტორული შემოწმებისათვის აუცილებელი დროის დეფიციტით; დემპინგური ფასის წყალობით ჩამოყალიბებული მცირე ბიუჯეტის გამო პროექტისათვის აუცილებელი შესაბამისი მაღალი კვალიფიკაციის აუდიტორებისა და ექსპერტების მოწვევაზე უარის თქმის გარემოს შექმნით; ერთდროულად განსახორციელებელი პროექტებში მცირე რაოდენობის აუდიტორების ჩართულობით და ამ ფაქტორით განპირობებული არაორგანიზებულობით; აუდიტორული და სხვა კატეგორიის ექსპერტების არასათანადო კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, რომელიც განპირობებულია დაბალბიუჯეტიანი პროექტების შესრულების გამო ფულადი რესურსების დეფიციტით და ამ მიზეზით უარის თქმით: სპეციალიზებულ მაღალი ხარისხის ტრეინინგებზე მონაწილეობაზე, აუდიტორული შემოწმებისათვის აუცილებელი ბუღალტრული და სხვა სახის კომპიუტერული პროგრამების, სპეციალიზებული ლიტერატურის შეძენაზე, საქმიანობისათვის აუცილებელი ადექვატური საოფისე გარემოს შექმნაზე, ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე, ბუღალტრული და აუდიტორული საქმიანობის მაღალი ლიმიტებით დაზღვევაზე და სხვ. უარის თქმით. ეს იმას ნიშნავს, რომ რიგი აუდიტორული კომპანიების (ბაზარზე ასეთი არის 5-7 აუდიტორული კომპანია, რომელიც სახელმწიფო შემსყიდველებისათვის მხოლოდ დემპინგური ფასების შეთავაზებით „შოულობს“ კლიენტს) ეს კატეგორია ვერ ვითარდება, თუმცა „ფეხებში ებლანდება“ იმ აუდიტორულ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ მაღალი პროფესიული რეპუტაცია, კვალიფიკაცია, გამოცდილება და რაც მთავარია, ორიენტირებულები არიან განვითარებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს განზრახვა რეკომენდაცია გავუწიოთ: (1) სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველო პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს შეიმუშაოს ახალი კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, რომელშიც უნდა გაითვალისწინოს საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის რეკომენდაციები, ლიმას დეკლარაციის მოთხოვნები, აგრეთვე ინტოსაის რეკომენდაციები. საკითხის განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საჯარო სექტორის აუდიტის განმახორციელებელი სერტიფიცირებული აუდიტორების სტატუსი, უფლებამოსილება და პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსთან დამოკიდებულება, აგრეთვე პასუხისმგებლობები აუდიტის ხარისხთან მიმართებაში. (2) იმის გამო, რომ შემსყიდველი ორგანიზეციები აუდიტორულ და ქონების შეფასების მომსახურებაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბებისას ვერ ან არ ითვალისწინებენ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და სატენდერო პირობებს აყალიბებენ ისეთნაირად, რომ იჭრებიან ასს-ის მიხედვით განსაზღვრულ აუდიტორული კომპანიის ფუნქციებსა და კომპეტენციებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ საქართველოს მთავრობას, რომ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე აუდიტორულ მომსახურებაზე მოთხოვნის წარმოშობისას აუდიტორული შემოწმებისა და ქონების შეფასების მომსახურებაზე ტენდერები გამოცხადდეს ცენტრალიზებულად. (3) საქართველოს მთავრობამ გამოსცეს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი, რომლის მიხედვითაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ა(ა)იპ-ებს და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული საწარმოების მენეჯმეტს აეკრძალება წლის ფინანსური საქმიანობის შედეგების აუდიტორულ შემოწმებაზე ტენდერების გამოცხადება, რომლის უფლებამოსილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აქვს ზედამხედველ ორგანოს, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად - პარტნიორს. მთავრობამ ამავე გადაწყვეტილებაში გაითვალისწინოს აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული რეკომენდაციები აუდიტორული მომსახურების ადექვატური ფასის დადგენასთან დაკავშირებით.

## ლიტერატურა:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი“, პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსი,
2. ასს, “სახელმწიფო აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონი,
3. „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი,
4. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაცია,
5. სახელმწიფო შესყიდვები სააგენტოს რეკომენდაციები, სახელმწიფო შესყიდვები სააგენტოს საიტზე განთავსებული ტენდერების მასალები.


## Damping: Disruptive and Disruptive Events of the Profession (Audit, Property Assessment)

S u m m a r y


***Murad Narsia***
*Doctor of Economics, Professor*
*Georgian National University (SEU)*

***Mariam Kakhelishvili***
*Master*
*Georgian National University (SEU)*



In the article there is discussed the facts of breaking law of Georgia on Accounting, Reporting and Audit by the public purchasers. Despite of the fact that legislative environment of Georgia has been changed significantly from the adaptation the law, legal requirements are ignoring by the public purchasers. Commonly, above mentioned facts make companies to deliver their service to public purchasers by formally, risky and low quality. On the other hand, public purchasers the criteria to select service providers, imply the competence of auditors and property appraisers. The article has elaborated relevant recommendations.



***Key Words:*** *Dumping; Damping Price; Tbilisi City Hall; Audit; Assessment of Property; Discrimination; High Risk; Formal Service.*

# შრომის სოციოლოგია ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში

**ნუგზარ პაიჭაძე**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის ასოცირებული პროფესორი*

*სტატიაში განხილულია შრომის ისეთი სოციალურ ფუნქციები: როგორიცაა: სოციალურ-ეკონომიკური, პროდუქტიულ-ფუნქციური, სოციალურ-მასტრუქტურირებელი, სოციალურ-მაკონტროლებელი, შრომითი საქმიანობის მასოციალიზებელი, სოციალურ-განმავითარებელი, სოციალურ-დეზინტეგრაციული. სტატიაში განხილულია, შრომის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები, შრომის სოციოლოგიის მეთოდები. და სხვ.*

*საკვანძო სიტყვები: შრომის სოციოლოგია; შრომის სოციალური ფუნქციები; შრომის სოციოლოგიის ცნებები; შრომის სოციოლოგიის მეთოდები.*

შრომის სოციოლოგიის კვლევის ობიექტია შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული სოციალური პროცესები და მოვლენები. მასთან დაკავშირებულ საკითხებს ყურადღებას აქცევდნენ დიდი მოაზროვნეები – პლატონი, არისტოტელე, ფურიე, სენ-სიმონი, კ. მარქსი, მ. ვებერი და სხვ. შრომის სოციოლოგია განსაკუთრებით აქტუალური გახდა ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებისას, რომელიც ხასიათდებოდა მწვავე სოციალური კრიზისებით.

ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, შრომა შეისწავლება ისეთი საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ, როგორიცაა: ეკონომიკა, სოციოფსიქოლოგია, შრომის სამართალი, საინჟინრო ფსიქოლოგია, ფსიქოფიზიოლოგია, მედიცინა, ერგონომიკა და სხვ. შრომის შესწავლისადმი სოციოლოგიური მიდგომის თავისებურება ისაა, რომ ის (შრომა) შეისწავლება კომპლექსურად სისტემური პოზიციებიდან. სოციოლოგიის თვალსაზრისით, შრომა სოციალური ცხოვრების დამოუკიდებელი ფორმაა, ერთ-ერთი სოციალური ქვესისტემაა.

შრომის როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ქვესისტემის, სპეციფიკა გამოვლინდება ე.წ. გარე და შიგა ასპექტებში. **გარე ასპექტი** ხასიათდება შრომის სოციალური ფუნქციების შემადგენლობითა და შინაარსით. აქ მხედველობაშია ის ფუნქციები, რომელთაც ის ასრულებს საზოგადოების სხვა ქვესისტემების მიმართ. **შიგა ასპექტი** გულისხმობს შრომის სფეროს შემადგენელი ნაწილების, კავშირებისა და ელემენტების ცვლილებათა თავისებურებებს. ის მოიცავს, აგრეთვე, შრომითი საქმიანობის მონაწილეებს, ამ უკანასკნელთა შორის წარმოქმნილ სხვადასხვა სოციალურ კავშირს, სოციალური ხასიათის სხვა კომპონენტებს.

შრომის სოციალური ფუნქციების კლასიფიკაციას შემდეგი სახე აქვს: სოციალურ-ეკონომიკური, პროდუქტიული, სოციალურ-მასტრუქტურირებელი, სოციალურ-მაკონტროლებელი, მასოციალიზებელი, სოციალურ-განმავითარებელი, სოციალურ-დეზინტეგრაციული.

**სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია** გამოიხატება შრომის სუბიექტების ზემოქმედებით ბუნებრივი გარემოს ობიექტებსა და ელემენტზე, მათი მატერიალურ ფასეულობად და მომსახურებად გარდაქმნის მიზნით. ეს კი უზრუნველყოფს საზოგადოების წევრების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას და შესაბამისად, მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების **კვლავწარმოებას. პროდუქტიული ფუნქცია** კი გულისხმობს შრომითი საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანთა შემოქმედებისა და თვითგამოხატვის მოთხოვნილებებს. სწორედ შრომითი საქმიანობის ამ კომპონენტის შედეგია პრინციპულად ახალი ან მანამდე არსებული საგნებისა და ტექნოლოგიების უცნობი კომბინაციების შექმნა. **სოციალურ-მასტრუქტურირებელი ფუნქცია** ისაა, რომ შრომის პროცესში ადგილი აქვს მასში მონაწილე ადამიანების ძალთა დიფერენციასა და კოოპერირებას. ამ ფუნქციის რეალიზაციის რეალიზაციის შედეგია: 1)შრომითი პროცესის მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფზე შრომის ცალკეულ (სპეციალიზებულ) სახეთა მიმაგრება; 2)ადამიანთა ჯგუფებს შორის განსაკუთრებული სოციალური კავშირების დამყარება, რომელიც გასაშუალებულია შრომითი საქმიანობის შედეგების გაცვლით.

**სოციალურ-მაკონტროლებელი ფუნქციის** არსი ისაა, რომ საზოგადოების ინტერესებისათვის ორგანიზებული შრომა გვევლინება როგორც სოციალური ინსტიტუტი_სოციალურ ურთიერთბათა რთული სისტემა. იგი რეგულირდება არსებულ ფასეულობათა საშუალებებით, მიღებული ქცევის ნორმებით, საქმიანობის სტანდარტებითა და სანქციებით. აქედან გამომდინარე, შრომითი საქმიანობის ყველა მონაწილე იმყოფება სოციალური კონტროლის შესაბამისი სისტემის მოქმედების სფეროში. ასეთებია: შრომითი კანონმდებლობა, ტექნიკური და ეკონომიკური შრომითი ნორმატივები, შრომითი ორგანიზაციების წესდება, თანამდებობრივი ინსტრუქციები, აგრეთვე, შრომასთან დაკავშირებული და განსაზღვრულ ფასეულობებს, ტრადიციებსა და ჩვევებზე დამყარებული არაფორმალური ნორმები. **შრომითი საქმიანობის მასოციალიზებელი ფუნქციის** გა-

მოვლენა ხდება ინდივიდუალურ-პიროვნულ დონეზე. შრომაში მონაწილეობის პროცესში არსებითად ფართოვდება და მდიდრდება ადამიანთა სოციალური როლების შემადგენლობა, ქცევის ნიმუშები, ინდივიდუალურ მომუშავეთა სოციალური ნორმები და ფასეულობანი. მომუშავეები საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო აქტიური და სრულუფლებიანი მონაწილენი ხდებიან. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მხოლოდ შრომითი საქმიანობის წყალობით, ადამიანთა უმრავლესობა განიცდის სოციალური კუთვნილების გრძნობას და იძენს სოციალურ იდენტურობას. **სოციალურ- განმკარგულებელი ფუნქცია** გამოვლინდება შრომითი საქმიანობის შინაარსის მის სუბიექტებზე (მომუშავეები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოება) ზემოქმედების შედეგებში. ადამიანის შემოქმედებითი ბუნებით განპირობებული და შრომის საგნების სრულყოფიდან გამომდინარე, შრომითი საქმიანობის შინაარსი ხასიათდება გართულებებისა და მუდმივი განახლების ტენდენციით. პრინციპული მნიშვნელობა აქვს შრომის შემოქმედებითი კომპონენტების გაფართოების პროცესს. უკანასკნელ წლებში მოწინავე განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს.

**სოციალურურ-დეზინტეგრაციული ფუნქცია** სოციალურ-მასტრუქტურირებელი ფუნქციის წარმოებულია. ის დაკავშირებულია საზოგადოების მიერ სხვადასხვა სახის შრომის განსხვავებულად ანაზღაურებასა და შეფასებასთან. შესაბამისად, შრომითი საქმიანობის ზოგიერთი სახეობა მიჩნეულია უფრო მნიშვნელოვნად და პრესტიჟულად, ვიდრე სხვა სახეობები. ამ დროს გამოიყენება შეფასების არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-კულტურული კრიტერიუმები. ისინი დამოკიდებულია მოცემული საზოგადოების კონკრეტულ-ისტორიულ მდგომარეობასა და განვითარების თავისებურებებზე. ამრიგად, შომითი საქმიანობა, სხვა ფუნქციებთან ერთად, ასრულებს სოციალური რანჟირების ფუნქციას. ამის შედეგია შრომის სახეობების მნიშვნელობის კვალობაზე ადამიანთა დანაწილება სამუშაოს სახეობათა რანგის, ხარისხისა და პრესტიჟის მიხედვით. ხშირად, სხვადასხვა დონეზე მდგომ შესაბამის სოციალურ ფენებს შორის წარმოიშობა კონფლიქტები. მისი გადალახვის შესაძლებლობა დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ- პოლიტიკურ მოწყობაზე.

შრომის სოციოლოგიის საგანია, აგრეთვე, საკუთრივ შრომითი საქმიანობის ადგილისა და კავშირის შესწალა საქმიანობის სხვა ისეთ სახეობებთან, როგორიცაა: პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური, რეკრეაციული, სასწავლო და სხვ. ამ კავშირებს იგი სწავლობს ისტორიული და კულტურული ასპექტით. ევოლუციის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ საზოგადოებათა ურთიერთშედარებით ნათელი ხდება, რომ მატერიალურ კვლავწარმოებასა და კეთილდღეობის ამაღლებაზე გაწეული საზოგადოების შრომითი დანახარჯები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგრძნობია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ეს კი სოციოლოგებს საშუალებას აძლევს იმსჯელონ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ საზოგადოებაზე. სამუშაო დროის აუცილებელი დანახარჯების შემცირება იწვევს თავისუფალი დროის გაზრდას, დასაქმების სახეობებისა და პროფესიების პრესტიჟის იერარქიის ცვლილებას. ამასთან ერთად, იზრდება საქმიანობის სხვადასხვა სახეობის შეთავსების შესაძლებლობა. ეს კი გავლენას ახდენს შრომისადმი დამოკიდებულებაზე როგორც მთელი საზოგადოების მასშტაბით, ასევე, წარმოების ცალკეულ უბანზე და ადამიანთა სოციალურ ფენებსა და გგუფებში. განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობები იქმნება ადამიანთა ზოგადი განათლებისა და დასაქმებული მოსახლეობის პროფესიული დონის ამაღლებისათვის.

**შრომის სოციოლოგია ეყრდნობა** ზოგადი სოციოლოგიის ისეთ ძირითად **ცნებებს**, როგორიცაა: **სოციალური მოქმედება, ურთიერთქმედება, სოციალური კავშირი, სოციალური პიროვნება, სოციალური ნორმები, სოციალური როლი, ფასეულობანი, სოციალური ინსტიტუტი, სოციალური კონტროლი, სოციალური ერთობა, სოციალური ორგანიზაცია, სოციალური პროცესები და სხვ.**

ეკონომიკაში, კერძოდ ადამიანური რესურსების მართვის შემთხვევაში შრომის სოციოლოგიის ზემოაღვიშნული ცნებები, როგორც წესი, გამოიყენება შესაბამის მათგანზე სიტყვა „შრომითის“ დამატებით მაგალითად შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული სოციალური ურთიერთობის გამოსახატავად გამოიყენება ცნება **„სოციალურ-შრომითი ურთიერთობები“**, სოციალური პროცესებისა_ **„სოციალურ- შრომითი პროცესები“**. შრომის სოციოლგიაში ცნობილია, აგრეთვე, შრომითი საქმიანობის , როგორც სოციალური პროცესების განსაკუთრებული სფეროს, დამახასიათებელი ისეთი ცნებები, როგორიცაა: **„შრომის დანაწილება“, „შრომის ხასიათი“, „შრომისადმი დამოკიდებულება“, „შრომითი დაკმაყოფილებულობა“, შრომის შინაარსი და სხვ.**

შრომის სოციოლოგიას კვლევის საკუთარი მეთოდები გააჩნია. ესენია: გამოკითხვები სხვადასხვა ფორმით (უმეტესად ანკეტური), პირდაპირი ან ირიბი სოციოლოგიური დაკვირვება, სხვადასხვა დოკუმენტის ანალიზი. სტატისტიკური მეთოდები, სოციალური ექსპერიმენტები, ისტორიული-შედარებითი მეთოდი, დარგთაშორისი შედარების მეთოდი და ა. შ. ცხადია, შრომის სოციოლოგიაც, ისე როგორც ყველა სხვა სამეცნიერო დისციპლინა, იყენებს კვლევის ისეთ საერთო მეცნიერულ მეთოდებს, როგორიცაა: ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, კლასიფიკაცია, ანალოგია, სისტემური ანალიზი, მოდელირება და სხვ.

შრომითი საქმიანობა, როგორც წესი, მიმდინარეობს შრომით ორგანიზაციებში. ამიტომ, ხშირად მსჯელობაა არამხოლოდ შრომის სოციოლოგიაზე, არამედ **ორგანიზაციის სოციოლოგიაზე**. ორგანიზაციის ცნება მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება სამი გაგებით:

1)რაიმე მუდმივი მიზნის შესასრულებლად ან გარკვეული მიზნის მისაღწევად შექმნილი ადამიანთა მიზნობრივი ჯგუფი ან გაერთიანება;

2)მიზნობრივი ჯგუფის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების უზრუნველმყოფელი საქმიანობის განსაკუთრებული სახე (დავალებათა განაწილება, კოორდინაცია, კონტაქტების (კავშირების) დამყარება და სხვ.);

3)თვითნებურად შექმნილი თვითრეგულირებადი სტიქიურად განვითარებადი სოციალური სისტემა.

შრომითი ორგანიზაციების სოციოლოგიური გამოკვლევების ერთ-ერთი დასაყრდენია ისეთი სოციალური დისციპლინა, როგორიცაა **ორგანიზაციების სოციოლოგია. იგი შეისწავლის** ადამიანთა მიზნობრივ გაერთიანებებს, მათი არსებობისა და ფუნქციონირების სხვადასხვა მხარეს, ავლენს მათ ბუნებას და ადგენს მათი წარმოქმნის, ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებს. ამასთან, მას იგი აინტერესებს როგორც სოციალური ერთობა.

## ლიტერატურა:


1. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგიური საფუძვლები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", #3, 2011, გვ.153-164.
2. შრომის სოციოლოგია, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი, სარედაქციო ჯგუფი, ედ. კოდუა და სხვ,,თბ.,2004,351გვ.
3. ჯგერენაია ე., მართვის სოციოლოგია., თბ.,2016.
4. Армстронг М. Практика управления человеческими ресурами. Перевод с английского. Десятое издание. М.,2012,848 стр.
5. Рональд Дж.Эренберг.Роберт С. Смит. Современная экономика труда. Перевод с английского. М.,1996, 777стр.
6. Тощенко Ж. Социолоия труда. 2-е издание. Иститут сщциологии Российской академии наук.М.,2018, 472 стр.


## Labor Sociology in Human Resource Management


***Nugzar Paichadze***

*Doctor of Economic Science, Associated Professor*

*ot Iv. Javakhishvili Tbilisi State University*



**S u m m a r y**

This work is performed  in relation to the actual issues of Labor Sociology. Most attention is focused on reviewing such social functions as: social- economical, productional, social-structuring, social-controlling, sociallization of working activity, social-developing and social dшsintegrating.

In the article is also considered the issues concerning labor Sociology, as: basic concepts of Labor Sociology, Methods of  Labor Sociology and others.



***Key words:*** *Labor Sociology, social labor functions, concepts of Labor Sociology, Methods of  Labor Sociology.*

# საქართველოს ეკონომიკური მოდელი: „სამომხმარებლო პარადოქსი“ და ”ტურისტული ხაფანგი”

**ვლადიმერ პაპავა**
*აკადემიკოსი, პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საქართველოს ეკონომიკური მოდელი ეფუძნება არა იმდენად წარმოების, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებას. 2017 წელს იმპორტი 3,8-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს, ხოლო იმპორტული პროდუქტების წილი როგორც სამომხმარებლო, ისე სასურსათო კალათაში 80% იყო. საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტული ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა უნდა გახდეს. ამასთან ერთად აუცილებელია სამთავრობო ხედვა ფოკუსირებულ იქნეს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე მისი ინდუსტრიალიზაციის გზით.*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მოდელი; ტურიზმი; სამომხმარებლო პარადოქსი; ტურისტული ხაფანგი; ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა; ინდუსტრიალიზაცია.*

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური მოდელის დასახასიათებლად გასათვალისწინებელია, რომ სამწუხაროდ, ის არა იმდენად წარმოების ზრდაზეა ორიენტირებული, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებაზე. ამას კი არა ერთი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

2017 წლის ოფიციალური მონაცემების თანახმად იმპორტი ექსპორტზე 2,9-ჯერ მეტი იყო, ხოლო ექსპორტიდან თუ გამოვრიცხავთ რეექსპორტს, მაშინ იმპორტი ექსპორტს 3,8-ჯერ აღემატებოდა (საქსტატი, 2018). ეს ფაქტი სულაც არ არის გასაკვირი თუ კი გავითვალისწინებთ, რომ წლების განმავლობაში საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძვნებოდა მოხმარების სტიმულირებას ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითრების გარეშე.

ის, რომ საქართველოს ეკონომიკა წარმოებაზე უფრო მეტად მოხმარებაზეა ორიენტირებული ის ფაქტიც მოწმობს, რომ წლების განმავლობაში კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიანი შიგა პროდუქტის 90%-ს შეადგენს (Samson, 2008).

ეკონომიკის რეალური სექტორის შედარებითი განუვითარებლობის პირობებში მოხმარების ზრდას ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოდინებული ფულადი სახსრები უზრუნველყოფდა. კერძოდ, ეს სახსრები „ვარდების რევოლუციის“ პირველ წლებში უპირატესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა (Shmidt, 2007) და საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ნათესავების ფულადი გზავნილების ხარჯზე ხდებოდა (Kakulia, 2007).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აკუმულირება, როგორც წესი, უძრავ ქონებაში ხორციელდებოდა, რაც მთლიანობაში ქვეყნის შიგნით დამატებით ფინანსურ რესურსს ქმნიდა ქმნიდა (Charaia, 2018; Silagadze, Zubiashvili, 2016). საბანკო სისტემაში მობილიზებული ეს ფინანსური რესურსი ბინათმშენებლობის ზრდას უწყობდა ხელს, რომელიც, შესაბამისი სახელმწიფო კონტროლის არარსებობის პირობებში, კარგად ცნობილ „საფინანსო პირამიდის“ სისტემად იქცა (Papava, 2010, p. 46).

სამწუხარო ფაქტია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მრავალმა მოქალაქემ სხვადასხვა მიზეზით დატოვა ქვეყანა. შედეგად საქართველოს მოქალაქეთა თითქმის 20% (მლნ-ზე მეტი) საზღვარგარეთ ცხოვრობს. მხოლოდ საბანკო არხებით შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობა ყოველწლიურად 1 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს. ეს ფული მოსახლეობის მიერ უმთავრესად პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბინების ასაშენებლად გამოიყენება.

შიდა კონტროლის სტანდარტიზაციის პრობლემების განხილვას მივყავართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ აუდიტორული საქმიანობის ეფექტური ორგანიზებისათვის აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტები და აუდიტორთა თვითრეგულირებადი ორგანიზაციების სტანდარტები უფრო დაწვრილებით უნდა იქნეს დეტალიზებული აუდიტორულ ორგანიზაციებში გამოყენებული კონკრეტული ქმედებებით, მეთოდებით, საშუალებებითა და პროცედურებით, ანუ შემუშავებული უნდა იქნეს შიდა აუდიტორული სტრანდარტები (Kondrashova N.G., 2015). თუმცა, ამ ტიპის სტანდარტების შემუშავება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აუდიტორული ფირმებისთვის. მსხვილი აუდიტორული ორგანიზაციები იყენებენ ან მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის მათ მიერვე შემუშავებულ სისტემებს, ან იყენებენ აუდიტორული

საქმიანობის რეალიებთან ადაპტირებულ ხარისხის შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც დადგენილია აუდიტორული ფირმების ქსელების მიერ, რომელთა წევრებსაც წარმოადგენენ თავად ეს აუდიტორული ორგანიზაციები. მაგრამ, მსხვილი აუდიტორული ფირმებისაგან განსხვავებით, საშუალო და, განსაკუთრებით, მცირე აუდიტორული ორგანიზაციებისათვის მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის საკუთარი სისტემების შემუშავება შრომატევადი და საკმაოდ ძვირადღირებული ამოცანაა, მაშინ, როდესაც აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებით არ არის გათვალისწინებული რაიმე გამარტივებული მოთხოვნები საშუალო და მცირე აუდიტორული ფირმების მიერ აუდიტის განხორციელების კუთხით (Connie L Becker, Mark L DeFond, James Jiambalvo, KR Subramanyam, 1998).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2017 წელს პირველად განახორციელა აუდიტის ხარისხის კონტროლის მონიტორინგი. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც მოცემულია სამსახურის 2017 წლის წლიურ ანგარიშში, შესაძლებელია ძირითადი დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოყოფა:

1. ფორმალური მიდგომა მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის განხორციელებისადმი;
2. მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის განხორციელების ფაქტის ან დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობა;
3. აუდიტორულ ორგანიზაციაში მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნათა დარღვევა, მათ შორის, აუდიტორული ორგანიზაციის თანამშრომელთა არასაკმარისი ინფორმირებულობა მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის დადგენილი პროცედურების შესახებ და ახალი კლიენტის აყვანის ან უკვე არსებულ კლიენტთან თანამშრომლობის გაგრძელების საკითხის გადაჭრის მარეგულირებელი წესების პროცედურების შესრულების ფაქტის ან დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობა;
4. ფირმის დონეზე გამოვლენილ ძირითად ნაკლოვანებებს წარმოადგენდა ასევე გარიგების შესრულების პოლიტიკისა და პროცედურების შეუსაბამობა სტანდარტებთან, რომელიც ძირითადად ეხებოდა გარიგების მიმოხილვის ნაკლოვანებას, კონსულტაციების გავლის პოლიტიკის არაეფექტურობასა და სხვა მეთოდოლოგიურ ხარვეზებს.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, მიზანშეწონილია გადავიდეთ პრინციპებისა და პროცედურების განხილვაზე, დავალებათა ხარისხის შიდა კონტროლის სისტემის ფარგლებში ელემენტების ჭრილით, რაც ქვემოთაა გაანალიზებული:

**1. აუდიტორული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მოვალეობები აუდიტორული ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში.** აუდიტორული ორგანიზაცია ქმნის მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელშიც დაცულია პრინციპები და პროცედურები, რაც მხარს უჭერს შინაგან კულტურას, დაფუძნებულს იმის აღიარებაზე, რომ მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა პირველი რიგის ამოცანაა. აუდიტორული ფირმის ყველა თანამშრომელი უნდა გაეცნოს აღნიშნული დოკუმენტის დებულებებს ქაღალდის ან ელექტრონულვერსიაში, ხელი უნდა მოაწეროს ხარისხის კონტროლის პრინციპებისა და პროცედურების შესწავლას. გარდა ამისა, პრაქტიკაში ინფორმაცია მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის აქტუალური ან ძირითადი ასპექტების შესახებ თანამშრომლებისათვის განთავსებული უნდა იყოს კორპორაციულ პორტალზე, ასევე, უნდა გამოქვეყნდეს კომპანიის საინფორმაციო ფურცლებსა და შიდა ანგარიშებში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორული საქმიანობა წარმოადგენს კომერციულს, მაგრამ კომპანიის კომერციული ინტერესი არ უნდა აჭარბებდეს შესასრულებელი სამუშაოს ხარისხს. აუდიტორულმა ორგანიზაციამ ყურადღებით უნდა შეაფასოს აუდიტის ჩატარების შემოთავაზებული დავალების შესრულების შესაძლებლობა სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, ანუ უნდა შეუდაროს ერთმანეთს მის ხელთ არსებული რესურსები და პოტენციური კლიენტის მოთხოვნები.

**2. ეთიკური მოთხოვნები**. აუდიტორულ ორგანიზაციაში დადგენილი უნდა იყოს პრინციპები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს იმის გონივრულ გარანტიას, რომ მისი თანამშრომლები იცავენ პროფესიული ეთიკის კოდექსით დეკლარირებულ აუცილებელ ეთიკურ ნორმებს, კერძოდ კი - პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული სკეპტიციზმის, კონფიდენციალურობისა და პროფესიული ქცევის პრინციპებს.

თუმცა ფუნდამენტურია დამოუკიდებლობის პრინციპი, ვინაიდან, პირველ რიგში, როგორც აუდიტის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის შესახებ აზრის გამოხატვის დროს დამოუკიდებლობა და ობიექტურობა უმთავრესია. აუდიტორული ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი უნდა იცნობდეს მოცემულ მოთხოვნას და ვალდებულნი არიან დროულად შეატყობინონ აუდიტორული შემოწმების ხელმძღვანელს დამოუკიდებლობის პრინციპის შესაძლო დარღვევის შესახებ, ხელმძღვანელი კი, თავის მხრივ, ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის პოტენციურ საფრთხეზე.

პრაქტიკაში, დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვისათვის აუდიტორული გუნდის ყველა წევრი, აუდიტის კონკრეტული დავალების შესრულების დაწყებამდე, ხელს აწერს დამოუკიდებლობის დეკლარაციას აუდიტორული ფირმის მიერ შემუშავებული ფორმით (Peter Carey, Roger Simnett, 2006).

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევად შეიძლება იქცეს მიჩვევის საფრთხე, ანუ დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ერთი და იმავე თანამშრომელთა დანიშვნა ერთი დავალების შესასრულებლად. როგორც წესი, ეს ეხება გარიგების ხელმძღვანელებს, ვინაიდან ჩვენს რეალობაში აუდიტორულ ფირმებში რიგითი თანამშრომლების დენადობა დიდია. ამასთან დაკავშირებით, 7 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოხდეს აუდიტორული გარიგების ხელმძღვანელის როტაცია.

**3. მომსახურებისათვის ახალი კლიენტის აყვანა და თანამშრომლობის გაგრძელება.** აუდიტორულ ორგანიზაციას შემუშავებული უნდა ჰქონდეს პროცედურები და იმ დოკუმენტების ფორმები, რომელთა საფუძველზეც ხდება გადაწყვეტილების მიღება გარიგების გაფორმების შესახებ. ამ მხრივ ძირითადი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს არის:

- კლიენტის საქმანობის შეფასება (ხელმძღვანელთა წესიერება, ბიზნესის გამჭვირვალობა, მესაკუთრეთა შემადგენლობა, საქმიანი რეპუტაცია და ა.შ.), რაც აუდიტორული ორგანიზაციისთვის რეპუტაციასთან დაკავშირებულ რისკებს წარმოადგენს;
- აუდიტორულ ფირმაში რესურსების არსებობა გარიგების შესასრულებლად, რაც განპირობებულია სამუშაოს შესრულების ხარისხის უზრუნველყოფით;
- აუდიტორის პროფესიასთან დაკავშირებული ეთიკური მოთხოვნების დაცვის შემოწმება.

აღნიშნული ასპექტების განხილვის დროს როგორც პოტენციური კლიენტი, ასევე აუდიტორული ფირმის წარმომადგენელი, ავსებს ანკეტებს ან კითხვარებსა და სხვა დოკუმენტებს, რომლის საფუძველზეც აუდიტორული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას გარიგების შესრულების ან მასზე უარის თქმის შესახებ.

**4. საკადრო რესურსები.** აუდიტორული ორგანიზაციის ძირითადი რესურსი მისი თანამშრომლებია, ამიტომ აუდიტორული საქმიანობის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია პერსონალის აყვანის, სწავლებისა და მუშაკთა განვითარების პროცესს, მათი მუშაობის შეფასების სისტემას და წახალისებისა და პრემირების საშუალებებს. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოში არსებული ჯეროვნად არ ისწავლება უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც მოამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში. ამის გამო აუდიტორული ორგანიზაციების წინაშე ხშირად დგას ახალგაზრდა სპეციალისტების მოძიების პრობლემა. იზრდება აუდიტორული დავალების შესრულების დროს სწავლებისა და ახალი თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარების, ასევე, ახალბედებისათვის უფრო გამოცდილი კოლეგების მხრიდან დახმარების როლი. გარდა ამისა, პრაქტიკაში აუდიტორული კომპანიები ხშირად უხდიან თანამშრომლებს შესაბამისი პროფესიული სერტიფიკატების, ACCA (the Association of Chartered Certified Accountants) აღების თანხას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აუდიტორული მომსახურების ხარისხს უზრუნველყოფს თანამშრომელთა კეთილსინდისიერი მუშაობა.

თანამშრომელთა მაღალხარისხიანი მუშაობის წასახალისებლად მიზანშეწონილია პერსონალის მუშაობისა და საქმიანობის შედეგების შეფასება, რაც მოიცავს აუდიტორული ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესრულების კრიტერიუმებს. თანამშრომელთა მუშაობის ასეთი ინდივიდუალური შეფასება შეიძლება ხელფასის მომატების ან პრემიის გაცემის საფუძველი გახდეს, რაც თანამშრომლის წინაშე დასმული ამოცანების ხარისხიანი შესრულების პირდაპირი მატერიალური სტიმული იქნება.

**5. გარიგების შესრულება.** აუდიტორული ორგანიზაცია ადგენს დავალებათა ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფის პრინციპებსა და პროცედურებს უწყვეტობის საფუძველზე. როგორც წესი, ეს მიიღწევა შესაბამისი დოკუმენტების გამოყენებით მატერიალური ან ელექტრონული ფორმით პროგრამული უზრუნველყოფისა და დოკუმენტების სტანდარტიზებული ფორმების გამოყენებით. გარდა ამისა, ასევე ხდება დარგობრივი და პრობლემურად ორიენტირებული რეკომენდაციებისა და აუდიტორული ფირმის მუშაობის დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინება. აუდიტის დაგეგმვის დროს, აუდიტორულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს კლიენტის რისკების შეფასების საკითხებს აუდიტორული პროცედურების ოპტიმალური ერთობლიობის შესარჩევად, რომელიც უზრუნველყოფს მუშაობის საჭირო ხარისხს და არ დააქვეითებს აუდიტის ეფექტურობას (LEVAN SABAURI, 2018).

დოკუმენტირების პროცესი წარმოადგენს ფუნდამენტურ რგოლს აუდიტორული მტკიცებულებების შეგროვებისას, ანუ მოქმედებს პრინციპი: თუ ეს დოკუმენტურად არ არის გაფორმებული, ე.ი. არ არის შესრულებული. აუდიტორული მუშაობის დოკუმენტირება აუცილებელია როგორც მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისა და ოპტიმიზაციისათვის ფირმის შიგნით, ასევე გარე კონტროლის სუბიექტებისათვის მზა დოკუმენტების წარდგენისათვის.

**6. მონიტორინგი.** მონიტორინგი წარმოადგენს აუდიტორული ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ასპექტს. მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც მიმდინარე აუდიტორული დავალების შესრულების დროს, ასევე შესრულებული დავალებების ანალიზისა და შეფასებისათვის.

როგორც წესი, შესრულებული დავალებების მონიტორინგს ახორციელებს აუდიტის ჯგუფის ხელმძღვა-

ნელი, განსხვავებით იმისაგან, ვინც ხელმძღვანელობდა შერჩევით შემოწმებაში მოხვედრილ აუდიტორულ კომპანიას. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მონიტორინგი უნდა განახორციელოს შესაბამისი გამოცდილე-ბისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტმა, ამასთან, იგი დამოუკიდებელი უნდა იყოს კონკრეტული აუ-დიტორული დავალებისაგან.

უმსხვილესი აუდიტორული კომპანიების პრაქტიკიდან გამომდინარე, დღეისათვის გაწეული მომსახუ-რების ხარისხის უზრუნველყოფის შედარებით აქტუალურ საკითხებს წარმოადგენს ახალი კლიენტის მიღე-ბის ან თანამშრომლობის გაგრძელების საკითხები, ასევე, ეთიკური მოთხოვნების დაცვა და კადრების დენა-დობის შემცირება.

ბევრი კომპანიის სტრუქტურა ჯერაც არ არის გამჭვირვალე, ბიზნესის საბოლოო მფლობელთა შემადგენ-ლობის საიმედოდ განსაზღვრა ყოველთვის როდია შესაძლებელი. თუმცა, განვითარების, აქციების პირველი საჯარო გამოქვეყნების მიზნებისათვის (IPO) კომპანიებმა უნდა განახორციელონ ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი შემოწმება, ამიტომაც აუდიტორულმა ფირმებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ კლიენტის ბიზნესის შეფასებას ახალი გარიგების მიღების დროს.

ეთიკური მოთხოვნების დაცვა და საკადრო მუშაობა დღითიდღე აქტუალური ხდება აუდიტორულ ორ-განიზაციებში კადრების დენადობის ზრდის პროპორციულად. აუდიტორის მუშაობა დაკავშირებულია დიდ დატვირთვასთან, სტრესებთან, სამუშაოს შესრულების შემჭიდროებულ ვადებთან, ამიტომაც, აუდიტორული ფირმები იძულებული არიან გაიღონ სახსრები ახალი თანამშრომლების სწავლებისა და განვითარებისათვის და მათთვის მუშაობის წესებისა და პრინციპების გასაცნობად. ეჭვგარეშეა, მწვავედ დგება ფირმის შიგნით ასეთი ინფორმაციების წყაროების გამოყენების საკითხი, რაც თითოეულ თანამშრომელს ეთიკური მოთხოვნე-ბის გაცნობის გარანტიას მისცემდა, შესაბამისად, საჭიროა მოცემული პრინციპების დაცვის კონტროლის მე-თოდების შემუშავება.

მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლი აუცილებელია ნებისმიერი ტიპის საწარმოსთვის, და აუდიტორუ-ლი საქმიანობა ამ მხრივ ვერ იქნება გამონაკლისი. მაგრამ, აუდიტორული ორგანიზაციების მუშაობის ხარის-ხის შიდა კონტროლის პრაქტიკული ორგანიზება, ცხოვრებისეული სიტუაციების მრავალფეროვნებიდან გა-მომდინარე, გარკვეულ საკითხებს წამოჭრის:

- რამდენად გამოსაყენებელია კანონმდებლობისა და სტანდარტების მოთხოვნები მცირე ზომის აუდი-ტებისათვის, მაგალითად, ჩატარებული აუდიტორული კომპანიის ერთი აუდიტორის ან ინდივიდუა-ლური აუდიტორის მიერ, რომლებსაც არა ჰყავთ თანამშრომლები;
- რა პერიოდულობით უნდა შესრულდეს სტანდარტით გათვალისწინებული პროცედურები;
- საჭიროა თუ არა ზედმიწევნით გამოყენება სტანდარტების ამა თუ იმ მოთხოვნისა, სტანდარტების სხვა დებულებების, საქმიანი პრაქტიკის ან კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად.

აუდიტორულმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს შიდა სტანდარტები მათი აქტუალურობისა და პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მიზანშეწონილობის, უწყვეტობისა და თანმიმდევრულობის, ლოგიკური წყობის, სისრულისა და დეტალიზაციის, ტერმინოლოგიური ბაზის ერთიანობის მოთხოვნებს.

## ლიტერატურა:


1. Bychkova S.M; Itygilova E.Iu. (2008). Auditing QualityControl. *Ekso-Eksmo*, 208.
2. Connie L Becker, Mark L DeFond, James Jiambalvo, KR Subramanyam. (1998). The Effect of Audit Quality on Earnings Management*. *Contemporary accounting research*, 1-24.
3. Kondrashova N.G. (2015). Standartization as the basis for the organization of internal quality control in auditing activity. *New Science*, 96-101.
4. Levan Sabauri. (2014). A QUALITY CONTROL OF AN AUDIT ACTIVITIES. *Наукове забезпечення праксеології аудиту*, (pp. 4-10). Kiev.
5. Levan Sabauri. (2016). *International standards on auditing.* Tbilisi: Forma Ltd.
6. Levan Sabauri. (2017). Problems Occurring in the Process of Audit by Taking into Consideration their Theoretic Aspects against the Background of Reforms Conducted in a Country: The Example of Georgia. *World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering*, 1179-1186.
7. LEVAN SABAURI. (2018). AUDIT RISK MANAGEMENT AND ITS AFFECT ON THE AUDIT OF THE FINANCIAL STATEMENT. *GLOBALIZATION AND BUSINESS*, 215-220.
8. Peter Carey, Roger Simnett. (2006). Audit partner tenure and audit quality. *The accounting review*, 653-676.
9. Shumilova I. V., Lugovkina O.A. (2013). The Organization of Quality Control of Auditing Activity. *Economics and Management*, 35-38.

# Topical Issues of Ensuring the Internal Quality Control of an Auditing Organizations

***Levan Sabauri***
*Professor*
*Tbilisi State University*

S u m m a r y

The article discusses theoretical and practical challenges of quality control in audit organizations. Different school of thoughts are explored in the related scientific literature. Therefore we focus on the characteristics of quality control in large and small audit organizations and the importance to develop internal corporate standards. We analyzed main challenges arising during the quality control based on the annual report of the respective control services. We present the assessment principles and procedures for ensuring quality control according to the International Audit Standards. The focus is on the quality control features in the large and small audit organizations and the need to develop internal corporate standards.

***Key words:*** *audit; Control of audit quality; Internal control of quality.*

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონით ევროკავშირთან დაახლოების გზები

**უშანგი სამადაშვილი**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*სტატიაში ნაჩვენებია საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის დაბალი მაჩვენებელი, ანუ ცხოვრების არასაკმარისი დონე და ევროკავშირისგან სერიოზული ჩამორჩენა. სათანადო გათვლებისა და აბსტრაქციის მეთოდის საფუძველზე დასაბუთებულია ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლისა და ევროკავშირთან ეტაპობრივი დაახლოებისთვის, ეკონომიკის წლიური არა 3%-ით, არამედ უფრო მაღალი ტემპით, სტაბილური და გრძელვადიანი ზრდის ობიექტური აუცილებლობა. განსაზღვრულია დაჩქარებული ზრდის ძირითადი პრიორიტეტები. შემოთავაზებულია წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდის ტემპი; ცხოვრების დონე; რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე; დროის ყიდვა; პრობლემები და შესაძლებლობები; ხარვეზები და რეზერვები; ძირითადი პრიორიტეტები.*

საქართველოს მიერ გაცხადებულია, რომ მისი სტრატეგიული კურსია ევროკავშირთან ინტეგრაცია, რაც გულისხმობს არა ტერიტორიული, არამედ უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის, ცხოვრების სტანდარტებისა და ფასეულობების (დემოკრატიული, საკანონმდებლო, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა) მიხედვით დაახლოებას, ანუ ევროპეიზაციას [1,გვ.127].

ამ მომენტს გაუსვა ხაზი გერმანიის სახელმწიფოს მეთაურმა, ანგელა მერკელმაც საქართველოში ორდღიანი ვიზიტისას: „ევროპული მხრიდან ნაჩქარევ დაპირებებს ვერ მოგცემთ. ჯერ ერთი, კანდიდატი უნდა ასრულებდეს წინაპირობებს და მეორე, ევროკავშირს უნდა შესწევდეს უნარი ახალი ქვეყნების მიღებისთვის" [2].

საყოველთაოდაა ცნობილია, რომ ევროკავშირი მძლავრი ეკონომიკური ბლოკია, რომელიც შედგება 28 სახელმწიფოსგან 500 მლნ-ზე მეტი მოსახლეობით. ევროკავშირის მშპ აღემატება 20 ტრლნ დოლარს, რაც მსოფლიოს მშპ-ის დაახლოებით 25%-ია. ამგვარი პოტენციალის გამო მას სწავლობენ რუსეთში, აშშ-ი, ჩინეთში და ინდოეთში, როგორც პარტნიორობისა და ურთიერთქმედების საგანს. მსოფლიოს ყურადღების ფოკუსში ევროკავშირი ზოგჯერ ექცევა სავაჭრო, სავალუტო, ენერგეტიკული და მიგრაციული პრობლემების გამო. ევროკავშირში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, აგრეთვე, წევრი ქვეყნების არათანაბარი ზრდა და უთანაბრობა, რაც განსაკუთრებით გამწვავდა 2004 წელს მასში 10 პოსტსოცილასტური ქვეყნის გაწევრიანების შემდეგ [4,გვ.3].

ხაზგასასმელია, რომ 1957 წლიდან დღემდე ევროპის ეკონომიკური თანამეგრობა შვიდჯერ გაფართოვდა. თუმც, 2004 წლამდე, ე.ი. მეხუთე გაფართოებამდე, ერთდროულად ევროკავშირში 3-ზე მეტი ქვეყანა არ გაწევრიანებულა. 2004 წელს კი, როგორც ითქვა, მასში ერთბაშად 10 ქვეყანა გაერთიანდა. 2007 წელს მას დაემატა ბულგარეთი და რუმინეთი, 2013 წელს კი - ხორვატია. ყოველივე ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა უთანაბრობა. ევროკავშირში ერთ ეკონომკურად მაღალგანვითარებულ ქვეყანაზე მოდიოდა ერთი ნაკლებგანვითარებული ქვეყანა, რამაც გაართულა „კავშირის" ფუნქციონირება ეკონომიკური განვითარების დონეების გასხვავებულობის გამო. ამ გართულების ერთ-ერთი გამოხატულება გახდა დიდი ბრიტანეთის მიერ 2016 წელს ევროკავშირის დატოვება ბრექსიტის (რეფერენდუმის) წესით, რამაც წარმოშვა საშიშროება „დიდი ბრიტანეთის ვირუსის" სხვა ქვეყნებზეც გავრცელებისა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ დიდ ბრიტანეთში ყოველთვის პოპულარული იყო ევროსკეპტიკული განწყობილება. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობაში იგი შევიდა მისი შექმნიდან 16 წლის შემდეგ. დიდი ბრიტანეთი არ არის, ასევე, ევროზონისა და შენგენის ზონის წევრი, ანუ ის ესწრაფვის შეინარჩუნოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. უფრო კონკრეტულად, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა განაპირობა იმან, რომ: მას არ სურს სუსტი ეკონომიკების სუბსიდირება, სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების გამოკვება და რჩენა; ადამიანები უკმაყოფილონი არიან უსაფრთხოების სფეროში საკითხების გადაწყვეტისა, რაც მკვეთრად გამწვავებულია მძლავრი მიგრაციული პროცესების ფონზე, რომლის შეზღუდვის შესაძლებლობა არსებითად მას არა აქვს, რადგანაც ევროკავშირში არსებობს პრინციპი სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების შესახებ; დიდი ბრიტანეთი ვერ ეგუება ზეეროვნულ, ქვეყნის დამოუკიდებლობის შემზღუდველ მართვის ევროკავშირის

მოდელს. ამას გარდა, კავშირიდან გამოსვლით იგი განთავისუფლდება ევროკავშირის ბიუჯეტში შენატანისა და შრომის სამართლის კანონმდებლობისაგან.

უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზემოთქმულმა შეასუსტა ევროკავშირის განვითარების გაღრმავებისა და გაფართოების უნარი. აღნიშნულის გამო, გარკვეულად შეფერხდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაც, რამდენადაც უახლოესი 5-10 წელი ევროკავშირი დაკავებული იქნება თავისი შიდა პრობლემებით. ცხადია, საჭიროა გარკვეული დრო, რომ ევროპა კვლავ დაკავდეს თავისი საზღვრების გაფართოებით.

ამ ფონზე, ბუნებრივად ისმის კითხვა - როგორ დგას ევროკავშირთან და მის ეკონომიკურად ყველაზე სუსტ ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონით დაახლოების საკითხი? -ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 32000 აშშ დოლარი) საქართველო ჩამორჩება დაახლოებით 7,7 ჯერ; ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერუმს, ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 12476 აშშ დოლარი) - დაახლოებით სამჯერ. ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე სუსტი ქვეყნის, ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 7530 დოლარი) -დაახლოებით 1,7-ჯერ[3,გვ.84]. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტერიტორიულად მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროკავშირს (განსაკუთრებით ბოლო გაფართოების შემდეგ, როდესაც მასში გაწევრიანდა რუმინეთი და ბულგარეთი) და 2014 წლის 27 ივნისში მასთან გაფორმდა ასოცირების შეთანხმება, ეკონომიკური განვითარების დონით მას მაინც საგრძნობლად ჩამორჩება.

ისმის მორიგი კითხვა - საქართველოს აღნიშნული ჩამორჩენის დაძლევისთვის, ანუ ცხოვრების ცივილიზებულ დონეზე გასვლისთვის რამდენი დრო დასჭირდება? – ეს დრო დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკის მოძრაობის "სიჩქარეზე" ანუ ზრდის ტემპზე. როგორ გავარკვიოთ მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავალი რა პერიოდის განმავლობაში გაორმაგდება? ამისათვის ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს ე.წ. "70_ის წესი", რომლის თანახმად, თუ რაიმე ცვლადი წელიწადში X%-ით იზრდება, მაშინ ეს ცვლადი ორმაგდება დაახლოებით 70/X წელიწადში. მაგალითად, თუ საქართველოში ეკონომიკა საშუალოდ 7%-ით იზრდება მაშინ საშუალო შემოსავალი გაორმაგდება 70/7=10 წელიწადში. ეკონომიკურ თეორიაში ფართოდ ცნობილი „70-ის" წესის გამოყენებით, თუ ამოვალთ ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცდახუთი წლისთვის დამახასიათებელი საშუალო ეკონომიკური ზრდის 3,3%-იანი მაჩვენებლიდან, მაშინ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს საქართველო მიაღწევს 69 წელიწადში. გაანგარიშების სიმარტივისთვის 4160 აშშ დოლარი დავამრგვალოდ 4000 აშშ დოლარად, ხოლო საშუალო ეკონომიკური ზრდის 3,3%-3%-ად. ეკონომიკის 3%-ით ზრდის შემთხვევაში 4000 აშშ დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 8 000 აშშ დოლარამდე გაზრდას დასჭირდება 70/3=23 წელი; 8 000 აშშ დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 16 000 აშშ დოლარამდე გაზრდას -23 წელი; 16 000 აშშ დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 32 000 აშშ დოლარამდე გაზრდას კვლავ -23 წელი. საბოლოო ანგარიშით, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 32000 აშშ დოლარი) საქართველო მიაღწევს 69 წელიწადში. იგივე პრინციპით, ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერიუმს, ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთY სულზე 12 476 აშშ დოლარი) საქართველო მიაღწევს დაახლოებით 30 წელიწადში, ხოლო ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 7530 დოლარი) - დაახლოებით 13 წელიწადში.

ჩვენი აზრით, საქართველოს პერსპექტივის შესახებ რეალური სურათის მიღებისთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მხარეების ეკონომიკური განვითარების არამხოლოდ სასტარტო მდგომარეობა, არამედ მათი ეკონომიკური ზრდის თითოეული პროცენტის „ხვედრითი წონა" და მოსახლეობის ზრდის ტემპიც, რომელიც განვითარებადი ქვეყნის კვალობაზე, როგორც ითქვა, საქართველოში დაბალია. ამგვარი მიდგომით, თუ ამოვალთ იქიდან, რომ საქართველოში 2015 წელს რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 4160 აშშ ამერიკული დოლარია და ეკონომიკური ზრდა 1990-2015 წლებში საშუალოდ 3,3%, ხოლო ევროპის ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყანაში, გერმანიაში კი, შესაბამისი მაჩვენებლები ტოლია 44 000 დოლარისა და 2% ის. მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში 125 დოლარით გაიზრდება, ხოლო გერმანიაში - 880 დოლარით. აქედან გამომდინარე, წლიური 3,3%-იანი ეკონომიკური ზრდით საქართველო არამხოლოდ ვერ დაეწევა განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც კი დაშორდება მათ და დარჩება ჩამორჩენილი ქვეყნების რიგებში.

ამგვარად, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლებისა და განვითარებული ქვეყნებისაგან ჩამორჩენის დაძლევისთვის აუცილებელია არა ბოლო ოცდახუთი წლისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის საშუალო წლიური 3,3%-ით ზრდა, არამედ, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ვექტორების ქვეყნობრივი (საბაზრო), სასაქონლო სტრუქტურის და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის საფუძველზე გაცილებით მაღალი, 7 და მეტი პროცენტული მაჩვენებლით სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის საშუალო შემოსავალი ყოველ ათ წელიწადში გაორმაგდება. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 32000 აშშ დოლარი) დაუახლოვდება 30 წელიწადში, ევროკავშირთან

კონვერგენციულ კრიტერიუმს, ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 12 476 აშშ დოლარი) - 15 წელიწადში და ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე სუსტი ქვეყნის, ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ 7530 დოლარი) - 7 წელიწადში.

ჩვენი აზრით, შემოთავაზებული 7 პროცენტიანი ტემპით ეკონომიკის ზრდა სავსებით რეალურია საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ჯერ ერთი, იმიტომ რომ არსებობს ამის პრქტიკა. მაგალითად, 2003-2007 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 10,1%-ით იზრდებოდა: 8,6%-2003წ; 8,4%-2004წ; 12%-2005წ; 9.4% - 2006წ; 12.3% - 2007წ; და მეორე იმიტომ, რომ არსებობს სერიოზული რეზერვები, კერძოდ: გამოუყენებულია ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის დაახლოებით 75% დაუმუშავებელია სახნავი მიწების დიდი ნაწილი, სოფლად გასატარებელია კოოპერირება, ინდუსტრიალიზაცია და მოდერნიზაცია გაზრდის მწარმოებლურობას და გამოანთავისუფლებს შრომით რესურსებს მომსახურების სფეროსათვის, ასევე კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის, რომელიც სუსტად არის წარმოდგენილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, დიდი პოტენციალია საწარმოო მშენებლობაში, ქვეყანაში ჯერ კიდევ მაღალია უმუშევრობის ფაქტობრივი ნორმა და არაეფექტიანია დასაქმება, ჩამოსაყალიბებლია მცირე და საშუალო ბიზნესის დინამიური განვითარების გარემო, რომელიც დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ადაპტაციის პროცესს, ახალი საწარმოების ჩამოყალიბება-ფუნქციონირებას, ეკონომიკის შიდა მოთხოვნაზე რეაგირებას და შეამცირებს არაგონივრულ იმპორტს. ამასთან, პერმანენტულად იზრდება ბაზრის მასშტაბები და საგარეო მოთხოვნა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, თურქეთთან, ჩინეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან. საქართველო შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმით სარგებლობს, აგრეთვე, ეკონომიკურად განვითარებულ ისეთ სტრატეგიულ ქვეყნებთან, როგორიცაა აშშ, კანადა, იაპონია. ქვეყანა სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებთან. ეს, საერთო ჯამში, ორ მილიარდზე მეტი მომხმარებლის ბაზარია, რაც აყალიბებს ვეებერთელა საბაზრო პოტენციალს, რომლის გონივრული გამოყენების შემთხვევაში საგრძნობლად დაჩქარდება საქართველოს ეკონომიკური ზრდა. ქვეყანაში სოციალური მშვიდობისა და საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად, აუცილებელია ნაზრდი შემოსავლის მიზნობრივი და სამართლიანი განაწილებაც. საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენების მთავარი არსიც სწორედ ის არის, რომ იგი განაწილებული იქნას მკაცრად მიზნობრივად. არ შეიძლება სოციალური დაცვის სახსრები მდიდრებზეც და ღარიბებზეც თანაბრად ნაწილდებოდეს. სოციალური დაცვის პოლიტიკით სახელმწიფო უნდა დაეხმაროს უმწეოებს და არა იმათ, ვისაც ისედაც აქვთ საკმარისი სახსრები. მაგალითად, ალოგიკურია ღარიბი სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდეს მილიონერი მოქალაქის საყოველთაო სამედიცინო მომსახურება, მისი შვილისთვის სახელმძღვანელოების შეძენა და სხვ. სოციალური დაცვის სახსრები უნდა მიიმართოს იმათკე, ვისაც ბაზრისაგან დამოუკიდებლად თავის დაცვა არ ძალუძს, ანუ იმათკე, ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ესენია: უმწეო ბავშვები, პესიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები და სხვა.

ასევე, მნიშვნელოვანია ე.წ. „დროის ყიდვა" ანუ განვითარებული ქვეყნების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გონივრული გამოყენებით, ეკონომიკური ჩამორენილობის დაძლევა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მოსახლეობითა და ტერიტორიით საქართველოზე გაცილებით ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორიცაა: ბალტიიპირეთის რესპუბლიკები, მალტა, კვიპროსი, ლუქსემბურგი და სხვა, რომლებიც უკვე ეზიარნენ ევროპულ მშვიდობას, სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობას.

არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ექსპორტის ამჟამინდელი სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგებს. სწორედ ამიტომ, საქართველოში ზემოხსენებული ეკონომიკური ზრდის დაჩქარება შესაძლებელია საქართველოში გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობის მქონე შემდეგ სექტორებში: ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტირება, უწინარეს ყოვლისა, ენერგეტიკული რესურსებისა, აგრეთვე – სოფლის მეურნეობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, არა მხოლოდ საბინაო, არამედ საწარმოთა მშენებლობაც, ტურიზმი და ფინანსური სექტორი [6, გვ. 76.].

უფრო კონკრეტულად, საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაში ყველაზე მეტი წვლილის შეტანა შეუძლია შემდეგ პრიორიტეტულ სექტორებს:

ჰიდროენერგეტიკა. საქართველოს ეკონომიკის ზრდა დღეს პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიული წარმოების შექმნას, რაც, თავის მხრივ, ენერგეტიკის განვითარებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დარჩება ჩამორჩენილი ქვეყანა. ბოლო დროინდელი კვლევებით საქართველოს ჰიდროპოტენციალი ათვისებულია დაახლოებით 25%-ით. ეს პრობლემაც არის და გამოუყენებელი შესაძლებლობაც. აი, ამ გამოუყენებელი პოტენცილის ამოქმედება ხელს შეუწყობს ქვეყნის არა მხოლოდ ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას, არამედ, ერთი მხრივ, ელექტროენერგიის ექსპორტს და, მეორე მხრივ, ამ ენერგიაზე მომუშავე საწარმოების ჩამოყალიბებას, მათ საშინაო და საგარეო ბაზარზე ორიენტირებას და ეკონომიკურ ზრდას.

როგორც ცნობილია, საქართველოში ელექტროენერგიის 20% გამომუშავდება თბოელექტროსადგურებზე, რომლებიც მუშაობენ გაზზე.Gგაზი კი არ არის სამამულო ენერგორესურსი. ამ მიმართებით საჭიროა გაზის ალტერნატივები და ამ ალტერნატივების სწორად შერჩევა. გაზის რაც უფრო მეტი მილსადენი და წყარო იქნება (თურქმენეთი, ირანი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და სხვა), მით მაღალი იქნება დივერსიფიკაცია და ნაკლები რისკები. თუმცა, ყველა მილსადენი და ყველა წყარო სანდო არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც გაზსაცავი არ გააჩნია, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის გაზის მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტის, აგრეთვე, მოწოდებასა და მოხმარებას შორის არსებული სეზონური დისბალანსის გამო. სწორედ ამიტომ, ხსენებული საფრთხეებისა და რისკების შემცირებისათვის მიზანშეწონილია აშენდეს მიწისქვეშა გაზსაცავი, რომლის ტევადობა იქნება წლიური მოხმარების მინიმუმ 15%. გაზსაცავები მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანას გააჩნია. სულ მსოფლიოში 635 გაზსაცავია. ამიერკავკასიის რეგიონში სამი მიწისქვეშა გაზსაცავია-ორი აზერბაიჯანში და ერთი-სომხეთში [7].

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ტვირთებისა და ენერგოპროდუქტების გადაადგილებისათვის. აღმოსავლეთსა და დასავლეთსა და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობისა და ლოგისტიკურ და სავაჭრო ჰაბად გადაქცევის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამ პოტენციალის რეალიზაციისაკენ არის მიმართული არსებული და მშენებარე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: ევროპა-კავკასია-აზიას შორის სატრანსპორტო კორიდორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, ევროპის ყაზახეთთან და ჩინეთთან დამაკავშირებელი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, საავტომობილო მაგისტრალი. ასევე, ბათუმის, ფოთისა და ანაკლიის მაღალწყლოვანი პორტი, რომლის მშენებლობის დამთავრება 2019 წლისთვის არის დაგეგმილი, რაც საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის ლოგისტიკურ და სავაჭრო ჰაბად ჩამოაყალიბებს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციის რეალიზებას, რეექსპორტის ახალი შესაძლებლოებების გაჩენასა და ექსპორტზე ორიენტირებული სამამულო, თუ უცხოური საწარმოების მშენებლობას. ეს, ერთი მხრივ, გამოაჯანსაღებს საქართველოს მძიმე სავაჭრო ბალანსს და მეორე მხრივ, გაზრდის დასაქმებას, შემოსავლებსა და კეთილდღეობას. ამ მიზნით, აუცილებელია, ასევე, ფართო რეკლამა და ბრენდირება, რომ საქართველო რეგიონში არის ღია, ყველაზე უსაფრთხო, ეკონომიმიური და მოკლე გზა ევროპასა და აზიას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

აუცილებელია ინფრასტრუქტურის სხვადასხვა კომპონენტის განვითარება. საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია შეუძლებელია ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების, საავტომობილო ტრასებისა და რკინიგზის, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების მშენებლობის გარეშე. აუცილებელია ინფრასტრუქტურის უმთავრესი კომპონენტის, ადამიანი-კაპიტალის დაცვა და განვითარება, რადგანაც ქვეყნის წარმატების საწინდარია ადამიანი, რომლის "ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია". ამისათვის მნიშვნელოვანია მეტი ინვესტიციები განათლებასა და ჯანდაცვაში, რამეთუ ქვეყანას იაფი და უხარისხო ცოდნა უფრო მეტი უჯდება, ვიდრე ძვირი, მაგრამ ხარისხიანი ცოდნა. ხშირად თავს ვიწონებთ, რომ საქართველო იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია უცხოელ ინვესტიორთათვის და გვავიწყდება, რომ იაფი მუშა-ხელი დაბალ კვალიფიკაციას, დაბალ შემოსავალს ნიშნავს, დაბალი შემოსავალი კი-ცხოვრების დაბალ დონეს, სიღარიბეს. ხაზგასასმელია, ისიც, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკი (იაფი მუშა-ხელი) და ინოვაციები, მოწინავე ტექნიკა-ტექნოლოგია შეუთავსებელი მოვლენებია, რაც ბუნებრივად აფერხებს პროგრესს და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობას.

სწორედ ამიტომ, საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობაა განვითარებული ადამიანი-კაპიტალი. საქართველოში თანამედროვე ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად ინვესტირება უნდა მოხდეს სუსტად განვითარებულ ადამიან-კაპიტალში, რადგანაც პირადკონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და პროფესიონალების გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი ფირმები, ხოლო კონკურენტუნარიანი ფირმების გარეშე-საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ქვეყანა.

საჭიროა ჯანსაღი კონკურენცია. საქართველოში ბიზნესის პოლიტიზაცია და პოლიტიკის ბიზნესიზაცია, ასევე, საბანკო სექტორის მიერ არაპროფილური ბიზნესების (ვთქვათ, საბინაო საამშენებლო ბიზნესის) წარმოება აყალიბებს არაჯანსაღ კონკურენციას, არაეფექტიან ეკონომიკას, რომელში გამარჯვებული კომპანია საერთაშორისო ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი.

სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობა ეს არის მთავარი მიმართულება, რომელიც საჭიროებს განვითარებას საქართველოში. იმიტომ, რომ საქართველო არის აგრარული ქვეყანა. სირცხვილია, რომ აგრარულ ქვეყანაში პროდუქციის 85% იმპორტირებულია და ამავდროულად სახნავი მიწების 40% არის დაუმუშავებელი. ეს სერიოზული ხარვეზია, მაგრამ ამავდროულად სერიოზული რეზერვიც. აი, ამ რეზერვების ამოქმედება და დარგის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, რეგიონებში შექმნის სამუშაო ადგილებს, გაზრდის დოვლათს, შემოსავლებს და წაახალისებს მასთან დაკავშირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარებას.

სოფლად, სოფლის მეურნეობასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოს მთლიანად სოფლის ეკონომიკის განვითარებას. ამსთან, მიზანშეწონილია საქართველოს სოფლის მეუნეობის განვითარება სამი მიმართულებით: 1)საექსპორტო, ანუ ვალუტის შემომტანი (ციტრუსები და ციტრუსების პროდუქცია, ღვინო და ღვინის პროდუქცია, ხილი და ხილის პროდუქცია, ბოსტნეული და ბოსტნეულის პროდუქცია და სხვა); 2) ვალუტის შემომტანი საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის მომსახურება; 3)ქვეყნისთვის სტრატეგიული, ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მემცენარეობა და მეცხოველობა.

აუცილებელია სოფლის მეურნეობისათვის ბაზრის მოძიება, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სტრუქტურის გარდაქმნა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ბიზნეს-ცოდნა და ამის საფუძველზე მწარმოებლურობის ამაღლება. თუ სოფლის მეურნეობაში არ ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, არ გამოთავისუფლდა აქედან სამუშაო ძალა სხვა დარგებისათვის, ვერ განვითარდება მასთან დაკავშირებული კვების მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა, სადაც სამრეწველო პროდუქციის 50-60% იწარმოება და სადაც გაბატონებულია მცირე და საშუალო ბიზნესი. ვერ განვითარდება ტურიზმი და მომსახურების სხვა დარგებიც. სოფლის მეურნეობის ბუნებრივ კატაკლიზმებზე (გვალვა, ჭარბ ნალექიანობა და სხვა) დიდად დამოკიდებულებისა და მაღალრისკიანობის გამო საჭიროა გამართული აგროდაზღვევის სისტემა სახელმწიფოს თანამონაწილეობით, რათა პოტენციურ მეწარმეებს არ დაეკარგოთ აგრარული ბიზნესის წარმოების აპეტიტი და საშიშროება არ შეექმნას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასა და სოფლის მეურნეობაზე მიბმული დარგების განითარებას;

მნიშვნელოვანია წვრილი გლეხური მეურნეობების გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. სასოფლო სამეურნეო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმთავრესი გზაა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. საჭიროა კოოპერაციის ფართოდ განვითარება სოფლად. უნდა წახალისდეს მსხვილი ფერმერული და არა წვრილი გლეხური მეურნეობები, რომლებიც უპირატესად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებენ პროდუქციას. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ევროპისაგან დაცილების მანძილს, აქცენტი უნდა გადავიტანოთ არა ნედლ, მალფუჭად, არამედ გადამუშავებულ, მაღალი დამატებული ღირებულების შემცველ სამრეწველო პროდუქციაზე.

ტურიზმი. საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის, მდიდარი ბუნებრივ-სოციალურ-კულტურული რესუსრებისა და ქართველთა სტუმართმოყვარეობის გათვალისწინებით ტურიზმი ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი (და არაერთადერთი!) პრიორიტეტული მიმართულებაა. ტურიზმი ხელს უწყობს დასაქმების დონის ზრდას, რადგანაც მასში ერთი სამუშაო ადგილის შექმნა უშუალოდ მომიჯნავე დარგებში (ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა) ქმნის 3 ახალ სამუშაო ადგილს; ტურიზმი აჩქარებს მრავალი მომიჯნავე და არამომიჯნავე დარგების განვითარებას, ზრდის მშპ-ს, სავალუტო ნაკადების შემოდინებას და სხვა. ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში, სადაც ტურიზმი იმპორტზეა დამოკიდებული, მისი ეფექტიანობა ერთობ დბალი და სარისკოა. სწორედ ამიტომ საჭიროა ტურიზმი საქართველოს სოფლის მეურნეობამ უზრუნვლეყოს და არა იმპორტულმა პროდუქციამ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტული პროდუქტი არ არის პირველადი მოთხოვნის საქონელი. ტურისტული მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ გარკვეული შემოსავლების, დანაზოგების მქონე ადამიანებს, რომელთაც ამავდროულად აქვთ მზარდი დროის ბიუჯეტი და მოგზაურობის სურვილი (მოტივი);

ფინანსური სექტორი. ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ნათელი წერტილია საბანკო სექტორი, რომელიც ორგანიზებულობის დონის მიხედვით უსწრებს ეკონომიკის სხვა სექტორებს. ეს განაპირობა საბანკო სისტემის ორბუნებოვნებამ. ერთი მხრივ, ის არის ეროვნული ეკონომიკური სისტემის და, მეორე მხრივ, მსოფლიო ფინანსური სიტემის ნაწილი. სწორედ ეს ორბუნებოვნება აიძულებს მას განვითარდეს უფრო სწრაფი ტემპებით, დანერგოს საბანკო საქმის გამღოლის, რეგულირებისა და კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები. სწორედ ამიტომ, საქართველოში საბანკო სისტემა უნდა მოგვევლინოს მთელი ეკონომიკის ლოკომოტივად, მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის სუბიექტებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. სამწუხაროდ, საქართველოს ფინანსური ბაზარი ფაქტობრივად დგას ერთ ფეხზე. არის ბანკი და არ არის კაპიტალის ბაზარი. ბანკებს არა აქვთ კონკურენცია კაპიტალის ბაზრის მხრიდან. სწორედ ამიტომ აუცილებელია ბანკოცენტრისტული სისტემიდან პოლიცენტრისტულ სისტემაზე გადასვლა, საჭიროა კრედიტის ალტერნატივები ანუ დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნება: დაგროვებითი საპენსიო სისტემა; საფონდო ბირჟა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აქციების შეძენით საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს სხვა კომპანიაში; დეპოზიტების დაზღვევის სისტემა; ექსპორტის დაკრედიტება; ვენჩერული კაპიტალი და საინვესტიციო ფონდები; ფერმერთა ერთი ნაწილის მიწის ნაკვეთების დარეგისტრირება, რათა მათი ბანკში უზრუნველყოფის საშუალებად ჩადებით შესაძლებელი გახდეს კრედიტის აღება; ლიზინგი; გრანტი; ბიზნეს-ანგელოზები; ჯეროვან დონეზე შესრულებული, კრედიტორებისა და ინვესტორებისათვის მიმზიდველი მომგებიანი ბიზნეს-გეგმა და სხვა. ვიტყვით იმასაც, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში არსებულ გამოწვევებზე ორიენტირებული, მოძველებული ქართული საბანკო სისტემის მოდელი უნდა შეიცვალოს ამჟამინდელ პრობლემებზე ორიენტირებული საბანკო მოდელით [8]. კერძოდ, მიზანშეწონილია საბანკო სექტორი იმპორტის მასტიმულირებელი სამომხმარებლო სესხიდან და ვალუტის კურსიდან გადაერთოს ეროვნული წარმოების მასტიმულირებელ საწარმოო ბიზნეს-სესხზე და ვალუტის კურსზე, რაც ხელს შეუწყობს საქონლისა და ფულის ყიდვა-გაყიდვის ბიზნესიდან საქონლის წარმოებით მოგების მიღების ბიზნესზე გადასვლას.

ზემოთ განხილული პრიორიტეტები არის ის სექტორები, სადაც შეფარდებითი უპირატესობა უკვე გამოკვეთილია. დროთა ვითარებაში, ახალი და გაფართოებული საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად, სავარაუდოდ, გამოვლინდება ახალი საექსპორტო შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგები და საწარმოებიც, როგორც ეს ხდებოდა განვითარებით ჩვენზე წინ მდგომ ქვეყნებში. საქართველოს საგარეო ბაზრების გეოგრაფიული და სასაქონლო დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება), ბადებს ახალ ბიზნესიდეებს. სწორედ ამიტომ, კომპანიები თუ დამწყები მეწარმეები უნდა დააკვირდნენ ახალი ბაზრების მომხმარებლებს, რა საჭიროებები და პრობლემები აქვთ და მათი საჭიროებები და პრობლემები საკუთარი ბიზნესის შესაძლებლობად აქციონ.

დაბოლოს, ჩვენი მიზანი უნდა იყოს არა უბრალოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ადამიანთა შესაძლებლობების განვითარება, რადგანაც ადამიანს რაც უფრო მეტი შეუძლია, მით მაღალია მისი საზოგადოებრივი სარგებლიანობა, ანუ საზოგადოებრივი მარგი ქმედების კოეფიციენტი და, შესაბამისად, მით მაღალია მისი შემოსავალი და კეთილდღეობა. შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაცია, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, ნაზრდი შემოსავლის სამართლიან განაწილებას, მოსახლეობის საყოველთაო, დიფერენციულ კეთილდღეობას და საქართველოს თითოეულ მოქალაქეში კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტიზმის გრძნობის ჩამოყალიბებას.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020. file:///C:/Users/comp/Downloads/Strategy24%2012%2013%20(2).pdf]
2. ნატო-სა და ევროკავშირის წევრობაზე უარი და ძალით ნათქვამი „ოკუპაცია“ - საქართველოში მერკელის ორდღიანი ვიზიტი. https://commersant.ge 2018-08-24. 3.მსოფლიო რიცხვებში . ჟურნალი-„მსოფლიო 2014“.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat. ge/?action=page&p_id=133&lang=geo.
4. Неравномерность развития стран Евросоюза в 2000-х годах Стр.2-3. Бюллетень о текущих тенденциях мировой экономики ноябрь 2017. ноябрь 2017.-26с.
5. Papaphilippou A. Risks for the Sustainability of Georgia’s Economic Growth. Georgian Economic Trends, February, 2008.
6. saqarTvelos energetikis saministros oficialuri vebgverdi. http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php-?id=306&lang=geo
7. uSangi samadaSvili. diversifikacia-saqarTvelos ekonomikuri zrdis katalizatori. Tb., 2016w. გვ. 39-40


## Ways of Rapprochement of Georgia’s Economic Development Level with the European Union


***Ushangi Samadashvili***

*Associate Professor,*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

In work, A low real per capita gross domestic product or an insufficient standard of living of violence and a serious gap from the European Union are shown .On the basis of the appropriate calculations and the method of abstraction, it is justified that in order to get out of this situation and a rapprochement towards the European Union, it is objectively necessary not for an annual three percent growth of the economy, but for higher rates, stable and long-term growth. The main priorities of accelerated growth are defined. The proposals and recommendations that we consider will help to accelerate the economic growth of the country.



***Key words:*** *economic growth; life level; real GDP population per person; buying time; problems and opportunities; shortcomings and reserves; key priorities.*

# ფინანსური გლობალიზაცია: მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე ეტაპი

**ნინო სამჭკუაშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ასოცირებული პროფესორი*

*ფინანსური გლობალიზაცია წარმოშობს ახალ გამოწვევებს ნაციონალური და საერთაშორისო ფინანსური სისტემებისათვის. ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის განვითარების ობიექტურ და ბუნებრივ პროცესს. საფინანსო ბაზრები აღარ ატარებენ ნაციონალურ ხასიათს, იაფი სამუშაო ძალის წყალობით აზია მთელი მსოფლიოსათვის გადაიქცა საწარმოო მოედნად. გლობალური ფინანსური ბაზრის ფორმირების თანამედროვე ტენდენციების გაანალიზების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ფინანსური გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის ობიექტურ ეტაპს.*

*საკვანძო სიტყვები: ინტერნაციონალიზაცია; მსოფლიო მეურნეობა; გლობალიზაცია; ფინანსური გლობალიზაცია; ფინანსური ბაზარი; ინვესტიციები; კონკურენტუნარიანობა.*

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო საზოგადოების განვითარების ძირითად მახასიათებელს. გლობალიზაცია, როგორც ფენომენი, ასახავს მსოფლიო საზოგადოებრივი წყობის ინტერნაციონალიზაციის ხარისხობრივად ახალ ეტაპს, რომელიც ხასიათდება საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაციით, ქვეყნებს შორის ბარიერების „წაშლით", კაპიტალის, სამუშაო ძალის და ინფორმაციის თავისუფალი მოძრაობით, ასევე საკომუნიკაციო კავშირების როლის უაღრესად გაზრდით. გლობალიზაციის პროცესებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს პოლიტიკის, ეკონომიკის, სასულიერო ცხოვრების ნაციონალურ და საერთაშორისო სფეროებზე.

თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალური ფინანსური სისტემების ურთიერთქმედებაში მიმდინარე ხარისხობრივი ცვლილებები წარმოადგენს სწორედ ფინანსურ გლობალიზაციას, ე.ი. ნაციონალურ ფინანსურ ბაზრებს შორის საზღვრების თანდათანობით წაშლა და საერთაშორისო საბანკო საქმიანობაზე გადასვლა. მსხვილი ბანკების განვითარებაზე ფინანსური გლობალიზაციის გავლენა ვლინდება ფინანსური ინსტიტუტების გლობალურ კონსოლიდაციაში და საბანკო საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციაში. საბანკო ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს ფინანსური გლობალიზაცია, რომელიც ვრცელდება ნაციონალური და საერთაშორისო ფინანსური სისტემის ყველა დონეზე.

აქტიური ტრანსფორმაციული პროცესები, რაც იწვევს მსოფლიო ფინანსების გლობალიზაციას, ნაციონალური ფინანსური სისტემის მოდერნიზაციის ახალი მიზნები და ამოცანები განსაზღვრავენ საქართველოში ეფექტიანი ფინანსური სისტემის ფორმირების აუცილებლობას, რომელსაც უნარი შესწევს უპასუხოს გამოწვევებს და უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილური განვითარება გლობალიზაციის პირობებში.

თანამედროვე ფინანსური სისტემა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუტების, ფინანსური ინსტრუმენტებისა და პროცედურების რთულ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური საქმიანობის უზრუნველყოფაზე და ქმნის პირობებს აღწარმოების პროცესების უზრუნველყოფისათვის.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციური პროცესები არის მეცნიერებისა და კონსალტინგური სააგენტოების თანამშრომლების ყურადღების ცენტრში და მოითხოვს განსაზღვრული შეფასების სისტემის არსებობას. თანამედროვე ეტაპზე არსებობს ამ პროცესების გაზომვისადმი რამდენიმე მიდგომა, რომლებიც თავის მხრივ ითვლიან რამდენიმე ათეულ კრიტერიუმს - ინდექსებს, კოეფიციენტებს, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ მაჩვენებლების კომპლექს.

ყველაზე უნივერსალურ კრიტერიუმად თანამედროვე მსოფლიოში მიღებულია მსოფლიოს ქვეყნების გლობალიზაციის დონის ინდექსი (KOF), რომელიც შეიმუშავა შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტმა და ყოველწლიურად აქვეყნებს კვლევის შედეგებს, იგი შეიცავს 24 მაჩვენებელს [1].

გლობალიზაციის დონის ინდექსი წარმოადგენს კომბინირებულ მაჩვენებელს, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს მსოფლიო სივრცეში ამა თუ იმ ქვეყნის ინტეგრაციის მასშტაბი და მოხდეს ქვეყნების შედარება ამ ინდექსის კომპონენტების მიხედვით [1].

ინდექსის შედგენისას ინფორმაციის წყაროდ იყენებენ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისი სავალუტო ფონდის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის და სხვა

ორგანიზაციების და სტატისტიკური ინსტიტუტების სპეციალიზებულ მონაცემთა ბაზებს.

2018 წლის მონაცემების თანახმად, რომელმაც მოიცვა 193 ქვეყანა, გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნების ტოპ ათეული მოცემულია დიაგრამებზე (იხ დიაგრამა 1).

2018 წლის რეიტინგის მიხედვით ლიდერია ბელგია (90,47%), მეორე ადგილზეა ნიდერლანდები (90,24%), რომელიც წლების განმავლობაში ამ რეიტინგის სათავეში იყო, მესამე ადგილი უკავია შვეიცარიას. საქართველოს რეიტინგში 46 ადგილი (72,7%) უკავია, მაშინ როდესაც 2017 წელს მას 65 ადგილი (64,13%) ეკავა.

2005 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა გლობალიზაციის ეკონომიკური მაჩვენებლების შედგენის ინსტრუქცია, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი ინდიკატორები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა; ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაცია, მეცნიერებატევადი პროდუქციით ვაჭრობა [3].

*ქვეყნების ტოპ ათეული გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით 2018 წელს [2].*

**დიაგრამა 1**




გლობალიზაციის საკითხების ირგვლივ ხელმისაწვდომი ლიტერატურის შესწავლის შემდეგ შევეცადეთ მოგვეხდინა გლობალიზაციის კრიტერიუმების სისტემატიზაცია ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე (იხ. ცხრილი 1).

*გლობალიზაციის ძირითადი ინდიკატორები*

*ცხრილი 1*

| | მაჩვენებლები |
|---|---|
| ქვეყნის დონეზე | ინდიკატორები: ინოვაციების გლობალიზაცია; ეკონომიკური თავისუფლება; კეთილდღეობა; განათლების დონე; ანტიკრიზისული ღონისძიებების ეფექტიანობა; ინფლაცია. კოეფიციენტები: მშპ-ის ზრდის ტემპი; სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-ან მიმართებაში; სავაჭრო ბალანსი. მაჩვენებლები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა; ქვეყნიდან ინვესტიციების გასვლა; ბანკების რაოდენობა უცხოური კაპიტალით. |
| საერთაშორისო დონეზე | მსოფლიო მშპ-ის ზრდა; ბანკების ბრუნვა; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტები |

როგორც ცხრილიდან ჩანს მაჩვენებლების რაოდენობა, რაც ახასიათებს გლობალიზაციურ პროცესებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებით, გაცილებით მეტია ვიდრე საერთაშორისო ფინანსების მახასიათებელი მაჩვენებლები. ამას აქვს მარტივი ახსნა - ინდიკატორების გამოყოფა კონკრეტული ქვეყნისათვის გაცილებით ადვილია, ვიდრე მოაქციო ერთიან მაჩვენებელში სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები.

გლობალიზაციის პროცესი როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება ფინანსურ სფეროში. გლობალიზაციის მატარებლებია ფინანსური ბაზრები, კაპიტალის, კრედიტებისა და ვალუტის ქვეყნებს შორის გადაადგილება. ამიტომ, ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად მიიჩნევენ ფინანსურ გლობალიზაციას, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური და რეგიონალური ფინანსური ბაზრების თანდათანობითი გაერთიანების პროცეს ერთიან მსოფლიო ფინანსურ ბაზრად. ასევე, ფინანსურ გლობალიზაციას განიხილავენ, როგორც ფინანსური ბაზრების საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის უფრო მაღალ საფეხურს.

ფინანსური სფეროს ინტერნაციონალიზაცია ვითარდება სამი ძირითადი მიმართულებით, ესენია:

ფინანსური მომსახურების ინტერნაციონალიზაცია უცხოური ბანკებისა და სხვა ფინანსური ორგანიზაციების განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში შეღწევით.

სააქციო კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გათვალისწინებით, რომელთა მოცულობა ბოლო წლებში არის მეტი, ვიდრე სავალე ვალდებულებების ნაკადი.

სავალე ვალდებულებების ნაკადების გაძლიერება, რომლთა მთავარ ინდიკატორს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო კურსის დონე.

*პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყნებისა და რეგიონების ჯგუფების მიხედვით 2015- 2017 წლებში (მლრდ დოლარებში) [4, გვ. 15]*

დიაგრამა **2**




მართლაც, ბოლო წლებში შეინიშნება ზოგადად პუი-ის შემცირება. მაგალითად, თუ 2015 წელს მსოფლიოში განხორციელებული იყო 1921 მლრდ დოლარის ინვესტიცია, 2017 წლისათვის იგი შემცირდა 1430 მლრდ დოლარამდე. პუი-ის შემცირება 2017 წელს შეინიშნება ქვეყნებისა და რეგიონების თითქმის ყველა ჯგუფის მიხედვით, რაზეც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დიაგრამა 2.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით პუი შემცირდა, ქვეყნებისა და რეგიონების ყველა ჯგუფის მიხედვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა განვითარებულ ქვეყნებში. ამრიგად, ფინანსური სახსრების გლობალური ნაკადი განვითარებულ ქვეყნებში 2016 წელთან შედარებით (1333 მლრდ დოლარი) 2017 წელს შემცირდა დაახლოებით 46%-ით და შეადგინა 720 მლრდ დოლარი, 2016 წელთან შედარებით ოდნავი ზრდა შეინიშნება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირდა 27%-ით და შეადგინა 47 მლრდ დოლარი.

პროგრესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, კაპიტალის ბაზრების ლიბერალიზაცია და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება, შემდგომში სულ უფრო დიდ გავლენას მოახდენს კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდაზე, რასაც მივყავართ საერთაშორისი ფინანსური ბაზრების ეფექტიანობის ამაღლებასთან.

ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის დონის ამაღლებისათვის ნაციონალურმა მთავრობებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებები ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის, რაც დაეფუძნება ეფექტიანი ინფრასტრუქტურის შექმნასა და საინვესტიციო მექანიზმების კანონმდებლობით განმტკიცებას. ფინანსური სისტემა არის არხი, რომლის საშუალებითაც ფინანსური გლობალიზაცია გავლებას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია პოტენციურ ინვესტორებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ რესურსები სახელმწიფოს ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ. ეს შესაძლებლობა წარმოიშვება ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესში, ამავდროულად ძლიერდება ამ ბაზრების მონაწილეების აქტიურობა მსოფლიოს ფინანსურ ცენტრებში ტექნოლოგიების ფორმირებისა და ფინანსური ინფორმაციის გავრცელების საფუძველზე. საერთაშორისო კომპიუტერული ქსელების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება საშუალებას აძლევს ინვესტორს მყისიერად ადევნოს თვალყური ინფორმაციის გავლენას რისკის მახასიათებლებზე და საკუთარი პორტფელების შემოსავლიანობაზე, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება.

თანამედროვე საფინანსო ბაზრების გლობალიზაციამ გამოავლინა ტენდენცია ინვესტორების ქცევაში, რაც მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე ეტაპზე ფინანსურ ბაზარზე სულ უფრო იზრდება ინსტიტუციონალური ინვესტორების ხვედრითი წილი, ხოლო ინდივიდუალური ინვესტორებისა კი მცირდება. ვინაიდან, ინსტიტუციონალური ინვესტორები სიამოვნებით თანხმდებიან აქტივების საზღვარგარეთ განთავსებას. ეს საშუალებას აძლევთ მათ გააუმჯობესონ თავისი საინვესტიციო პორტფელების რისკისა და მომგებიანობის მახასიათებლები.

ფინანსური გლობალიზაცია ხელს უწყობს რისკის განაწილებას, რაც ნათელია მსოფლიო დონეზე. რა ხდება ამ მხრივ ყოველ ცალკეულ ქვეყანაში, ვინაიდან ნაციონალური კაპიტალი შესაძლოა ექსპორტირდებოდეს ქვეყნის გარეთ რისკების გადანაწილების მიზნით. ქვეყანას შეუძლია გასცეს სესხები მისთვის ხელსაყრელ პერიოდებში და აიღოს სესხი არახელსაყრელი სიტუაციის დადგომისას, ამრიგად რხევები ინვესტიციებში, მოხმარებასა და შემოსავლებში არ იქნება დიდი. გლობალიზაცია ხელს უწყობს გადასვლას მცირე რისკიანი და დაბალ მომგებიანი პორტფელური ინვესტიციებიდან, მაღალ რისკიან და მაღალ მომგებიან პორტფელურ ინვესტიციებზე. ასევე, ფინანსური გლობალიზაცია ამცირებს საერთაშორისო ტრანსაქციის დანახარჯებს და რითაც ხელს უწყობს საერთაშორისო ეკონომიკის საფინანსო და რეალურ სექტორებს შორის კავშირს.[5, გვ. 39]

მნიშვნელოვან გავლენას საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე ახდენს ოფშორული ზონების არსებობა, მათ შორის საერთაშორისო საბანკო ოფშორული ზონები. რიგი ექსპერტების აზრით, მსოფლიოს 13 ფინანსურ ცენტრში განთავსებულია 1000-ზე მეტი უცხოური ბანკების ფილიალები და განყოფილებები, ხოლო ოფშორული საბანკო ზონების რაოდენობა აშშ-ის მხოლოდ 24 შტატში 500-ზე მეტია. ნებისმიერი ოფშორული ზონა წარმოადგენს მაქსიმალურად დერეგულირებულ მსოფლიო ბაზარს, სადაც თავს იყრის ფინანსური კაპიტალის ყველაზე აქტიური და მობილური ნაწილი. ეს გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის შესახებ, რომ მსოფლიო ფინანსურ ბაზარს აქვს ექსტერიტორიული ხასიათი, რაც იძლევა უფლებას არ იქნეს გათვალისწინებული ფინანსური რესურსების წყაროების ნაციონალური კუთვნილება. განსაკუთრებული ყურადღება ამ შემთხვევაში ეთმობა სხვადასხვა ფინანსური რესურსების მოზიდვას მინიმალური ტრანსაქციის დანახარჯებით. [6]

გლობალური ბაზრების ფორმირებას აღნიშნული დადებითი მხარეების გარდა, ფინანსური გლობალიზაციის ასპექტით გააჩნია რიგი უარყოფითი მხარე. გლობალიზაციის პირობებში შესაძლოა გამოვლინდეს ამ პროცესთან დაკავშირებული ცენტრიდანული ძალების დამანგრეველი გავლენა, არაკონკურენტუნარიანი წარმოების დეგრადაცია, სოციალური პრობლემების გამწვავება, მოცემული საზოგადოებისათვის მიუღებელი იდეების, ფასეულობების ქცევის მოდელის დამკვიდრების მცდელობა. პრობლემებს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ გლობალიზაციის პროცესში გამოიწვიონ ნეგატიური შედეგები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, შეგვიძლია მივაკუთვნოთ:

- გლობალიზაციის უპირატესობების არათანაბარი განაწილება ნაციონალური ეკონომიკის ცალკეული დარგების ჭრილით;
- ნაციონალური ეკონომიკის შესაძლო დეინდუსტრიალიზაცია;
- ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაზე კონტროლის გადასვლის შესაძლებლობა მთავრობებიდან სხვა სუბიექტებზე, როგორებიცაა უფრო ძლიერ სახელმწიფოების მთავრობა, ტრანსნაციონალური კორპორაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ფინანსური სფეროს დესტაბილიზაციის ალბათობის გარდა, პოტენციური რეგიონალური ან გლობალური არასტაბილურობა მსოფლიო დონეზე ნაციონალური ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების გამო. ერთ ქვეყანაში ლოკალურ ეკონომიკურ რყევებსა ან კრიზისებს შესაძლოა ჰქონდეს რეგიონული, ანდა გლობალური შედეგები.

გლობალიზაციის პროცესის ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად ქვეყნების უმრავლესობა დაინტერესებულია გამოიყენონ ქვეყნის შიგნით შრომითი პროტექციონიზმის პოლიტიკა ე.ი. გაატარონ პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური და სასაქონლო პროტექციონიზმის ღონისძიებები. ყველაზე ხშირად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა საიმპორტო საქონლისა და მომსახურების ლიცენზირების კვოტირება, ტექნოლოგიური განვითარების გზების არჩევა, საერთაშორისო ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროექტების მიზანმიმართული შრომითი ექსპერტიზის ჩატარება, სავალუტო კურსის რეგულირება. რაც საშუალებას იძლევა დაცული იქნეს შიდა ბაზარი

## დასკვნა

სახელმწიფო, რომელიც ჩართულია მსოფლიო პროცესებში, განიცდის გლობალიზაციის გავლენას. მისი შედეგები ზემოქმედებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი იწვევს საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდას, რომლის ზრდის ტემპი უსწრებს ყველა ქვეყნის მშპ-ის ზრდას. ამის შედეგის განვითარებადი ქვეყნების კაპიტალის გადაადგილების მასშტაბებისა და ტემპების ზრდა. განვითარებად ქვეყნებში პუი-ს ზრდა საშუალებას იძლევა შეიქმნას სტანდარტიზებული საქონლის გამოშვების საერთაშორისო წარმოების ქსელი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. არსებული საერთაშორისო კომერციული კავშირების საფუძველზე იქმნება შესაძლებლობა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ფინანსური ბაზარი, ე.ი. ის საერთაშორისო ფინანსური რესურსების მობილიზების და მათი ინვესტირებაზე მიმართვის საშუალებაა.

ამრიგად, ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ადეკვატური რეაგირება გლობალიზაციურ პროცესებზე, რათა მოხდეს ახალ პირობებთან ადაპტირება და გამოიყენონ შანსი, რასაც იძლევა მსოფლიო ფინანსური სისტემის ინტერნაციონალიზაცია. თუ ქვეყანას აქვს განვითარებული ფინანსური სისტემა და ახორციელებს მის სათანადო რეგულირებას, მაშინ გლობალიზაცია, ფინანსური რესურსების სწორად განაწილების საფუძველზე, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

## ლიტერატურა:


1. Индекс глобализации стран мира по версий KOF. Гуманитарные технологий. Аналитический портал. 2018. https://gtmarket.ru/ratings/kof-globalization-index/info
2. The Statistics Portal. KOF Globalization Index - 100 most globalized countries 2018. https://www.statista.-com/statistics/268168/globalization-index-by-country/
3. OECD. Handbook on economic globalization indicators. 2005. www.oecd.org.
4. UNCTAD. World Investment Report 2018. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2018_en.pdf
5. Товар Гарсия Э,Д. Влияние глобализации на финансовое развитие формирующихся экономик. Финансовый Журнал. 2012. №1(11). http://www.nifi.ru/images/FILES/Journal/Archive/2012/1/fm_2012_1.pdf
6. Золотов А. В. Развитие финансовых рынков в условиях глобализаций. Вестник Московского университета имени С. Ю. Витте. Серия 1. Экономика и управление. М. 2013. http://docplayer.ru/47166568-Globalistika-razvitie-finansovyh-rynkov-v-usloviyah-globalizacii.html


## Financial Globalization: The modern stage of internationalization of world economy


***Nino Samchkuashvili***

*Doctor of Economics,*

*Associate Professor of Georgian National University*



S u m m a r y

Financial Globalization generates new challenges for national and international financial systems. Globalization of financial markets is the objective and natural process of development of the world market economy. Financial markets are no longer a national character, and with cheap labor, Asia has turned into a whole world for manufacturing. Based on the analysis of modern trends in the formation of global financial markets, financial globalization is an objective stage of internationalization of international economy.



***Key Words:*** *Internationalization, world economy, globalization, financial globalization, financial market, financial system, investments, competitiveness.*

# კვების მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ტენდენციები საქართველოში

**მაია სანიკიძე**

*კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

*კვების მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა აღნიშნული დარგი.*

*სტატიაში წარმოდგენილია კვების მრეწველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში. საბაზრო ეკონომიკაზე გადავსვლამდე, დარგის საწარმოთა დიდ წილს მსხვილი საწარმოები შედაგენდნენ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, დღეისათვის კვების მრეწველობის საწარმოთა უმეტესობა მცირე და საშუალო ზომისაა. 2017 წლის მონაცემებით მცირე საწარმოთა წილი შეადგენს 96%-ს საშუალო- 2,8%-ს ხოლო მსხვილი საწარმო- 1,2%-ს. თანაც, კვების მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოების დიდი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. სოფლები მოსახლეობისაგან დაცლილია, შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება კი რეგიონებში ბიზნესის განვითარებით იქნება შესაძლებელი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მცირე და საშუალო ბიზნესი; კვების მრეწველობა; სანედლეულო ბაზა; ბიზნეს ინკუბატორი; რეგიონული განვითარება; მცირე ბიზნესის დახმარების ადმინისტრაცია; რეგიონების განვითარების სტრატეგია.*

საქართველოში არსებული სანედლეულო ბაზა, ბუნებრივი პირობები, შრომითი რესურსები, ტრადიციები და ამასთან გეოგრაფიული მდებარეობა სათანადო პირობებს ქმნის კვების მრეწველოის განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოში კვების პროდუქტების წარმოებისათვის ჩამოყალიბებული იყო მსხვილი სანედლეულო ზონები, რომელთა ბაზაზეც ფუნქციონირებდნენ მსხვილი სამრეწველო საწარმოები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას მსხვილი საწარმოების მუშაობაში გაჩნდა რიგი პრობლემა: გაჭიანურებული პრივატიზების პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაპარტახება, გარანტირებული მომხმარებლის არარსებობა და ა.შ. ასეთ პირობებში კვების მრეწველობის მცირე ფირმები გაცილებით უკეთ მოერგნენ ახალ ბიზნეს გარემოს. ამას ხელი შეუწყო, როგორც მცირე ბიზნესის თავისებურებებმა ისე კვების მრეწველობის თავისებურებებმაც.

საქართველოში მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების საკანონმდებლო ბაზის ფორმირება დაიწყო 1990 -იანი წლებიდან, 1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებული იქნა ,,საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“, კანონი აწესრიგებდა სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების სამართლებრივ ფორმებს. 1999 წლის 23 ივლისს მიღებული იქნა კანონი ,,მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა მახარდაჭერის საკითხებს. 2000 წლისთვის დაფუძნდა მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ცენტი, ხოლო 2002 წელს დამტკიცდა ,,2002-2004 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელწიფო დახმარების პროგრამა“, მნიშვნელოვნად გამარტივდა საწარმოთა დარეგისტრირების პროცედურები.

საინტერესოა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ როგორ განვითარდა კვების მრეწველობა და როგორია კვების მრეწველობის საწარმოთა რაოდენობაში მცირე და საშუალო საწარმოთა წილი. პრივატიზების პირველი ეტაპიდან დაწყებული, საქართველოში ადგილი ჰქონდა კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოების რესტრუქტურიზაციას და მათი ნაწილის გარდაქმნას მცირე და საშუალო საწარმოებად. როგორია სიტუაციაა კვების მრეწელობის იმ ქვედარგებში, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ ძირითადად მსხვილი ფაბრიკა-ქარხნებით. მაგალითად საკონსერვო საწარმოები, საკონდიტრო საწარმოები, პურის ქარხნები, ლუდს ქარხნები და ა.შ.

***საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეების და ზომების მიხედვით ( 2003 და 2017 წლები ) [5]***

*ცხრილი 1*

| საქმიანობის დასახელება | საწარმოთა რაოდენობა 2003 წელი | | | | საწარმოთა რაოდენობა 2017 წელი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მსხვილი საწარმო | საშუალო საწარმო | მცირე საწარმო | სულ | მსხვილი საწარმო | საშუალო საწარმო | მცირე საწარმო |
| ხორცის პროდუქტების წარმოება | 31 | 0 | 1 | 30 | 171 | 5 | 10 | 156 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხილისა და ბოსტნეულის წვენების წარმოება | 5 | 0 | 1 | 4 | 21 | 0 | 1 | 20 |
| ბისტნეულის გადამუშავება და კონსერვირება | 14 | 1 | 1 | 12 | 234 | 1 | 10 | 223 |
| რძის გადამუშავება და რძის პროდუქტების წარმოება | 18 | 0 | 3 | 15 | 131 | 2 | 5 | 124 |
| პურის წარმოება, არახანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება | 944 | 1 | 10 | 933 | 1782 | 3 | 19 | 1760 |
| ხანგრძლივი შენახვის ნამცხვრისა და ორცხობილის წარმოება | 3 | 0 | 0 | 3 | 230 | 1 | 3 | 126 |
| ღვინის წარმოება | 113 | 2 | 12 | 99 | 314 | 4 | 20 | 290 |
| ლუდის წარმოება | 14 | 1 | 5 | 8 | 28 | 5 | 2 | 21 |
| მინერალური წყლების და სხვა უალკოჰოლო სასმელების წარმოება | 186 | 1 | 8 | 177 | 138 | 4 | 7 | 117 |
| დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების წარმოება | 24 | 0 | 3 | 21 | 52 | 1 | 2 | 49 |
| ჩაისა და ყავის გადამუშავება | 52 | 0 | 10 | 42 | 98 | 0 | 2 | 96 |
| კაკაოს, შოკოლადის და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება | 7 | 0 | 0 | 7 | 24 | 1 | 0 | 23 |
| ნაყინის წარმოება | 18 | 0 | 3 | 15 | 24 | 1 | 2 | 21 |
| საფქველ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქტები წარმოება | 72 | 0 | 6 | 66 | 108 | 2 | 10 | 96 |

განხილული ძირითადი ქვედარგებიდან როგორც ცხრილიდან ჩანს უმეტესობა სწორედ მცირე და საშუალო ზომისაა.

საინტერესოა, როგორია კვების მრეწველობის წილი მრეწველობის საერთო მოცულობაში?

*საქართველოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა და კვების მრეწველობის წილი მთლიან მოცულობაში (2003 და 2017 წლები) [5]*

*ცხრილი 2*

| წელი | მრეწველობა სულ (მლნ. ლარი) | საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება (მლნ.ლარი) | საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება %%-ში |
|---|---|---|---|
| 2003 | 1594,3 | 465,3 | 29,1% |
| 2017 | 14994,9 | 3625 | 24,1% |

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს 2003 წელთამ შედარებით გაიზარდა, როგორც მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა ასევე კვების მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობაც, მაგრამ კვების მრეწველობის საწარმოთა ხვედრითი წილი საერთო გამოშვებაში 2017 წელს 29,1%-დან 24,1%-მდე შემცირდა. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში იზრდება მრეწველობის სხვა დარგებში წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ან კვების მრეწველობის პროდუქციის ფასები მეტად იზრდება ვიდრე სხვა სახის პროდუქციისა.

თუმცა, საქართველოს მშპ-ში სამწუხაროდ, ისევ საკმაოდ მცირეა როგორც თავად მრეწველობის, ასევე კვების მრეწველობის წილი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემებით მშპ-ში მრეწველობის წილი მხოლოდ 24,5 %-ს შეადგენს. ხოლო სკუთრივ მრეწველობის პროდუქციის მთლიან მოცულობაში კვების მრეწველობის წილი 2017 წლისათვის მხოლოდ 24.1%-ია. აქედან გამომდინარე, მშპ-ში კვების მრეწველობის წილი მხოლოდ 5,9%-ს შეადგენს, რაც ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველო, რომელსაც აშკარად გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი კვების პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით ერთობ დაბალი მაჩვენებელია.

მიუხედავად ამისა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინა წლის მონაცმებს თუ გადავხედავთ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მრეწველობა და მათ შორის კვების მრეწველობაც, მცირედით მაგრამ მაინც ვითარდება. მაგალითად 1999 წლის მონაცემებით მშპ-ში მრეწველობის წილი 8,7%-ს შეადგენდა, ხოლო კვების მრეწველობის წილი მხოლოდ 2,6%-ი იყო. 2003 წელს მშპ-ში მრეწველობის წილი გაიზარდა 9,2%-მდე ხოლო კვების მრეწველობის წილი მხოლოდ -2,6 %-მდე. 2012 წლისთვის მშპ-ში მრეწველობის წილი შეადგენდა 10,1 %-ს ხოლო კვების მრეწველობის წილი- 3,3%-ია. 2017 წლისთვის კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მშპ-ში მრეწველობის წილი 24,1%, ხოლო კვების მრეწველობის წილი 5,9%.

სამწუხაროა ისიც, რომ მრეწველობის პროდუქციის გამოშვებას თუ გადავხედავთ რეგიონების მიხედვით, 2017 წლისათვის 40,2 % თბილისზე მოდის, ხოლო ყველაზე ნაკლები- 0,2 % რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სუსტადაა განვითარებული კვების მრეწველობა და ის წარმოდგენილია მხოლოდ მცირე და საშუალო ზომის რამდენიმე საწარმოთი- ღვინის, წყლის, გარეული ხილის და სამკურნალო მცენარეების გადამამუშავებელი საწარმოები. რაჭაში არის იმის პოტენციალი, რომ განვითარდეს მინერალური წყლების წარმოება ეს სეგმენტი დღეისათვის ფაქტიურად აუთვისებელია. [2.გვ-12]

მცირე და საშუალო ბიზნესის მთავარ უპირატესობა ხომ ადგილობრივი ლოკალური რესურსების ათვისებაა ამ მხრივ საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ 2014-2016 წლებში ჩატარებულ ,,აგრობიზნესის საჭიროების კვლევას“ თუ გადავხედავთ, იმერეთისა და რაჭის მუნიციპალიტეტებში წამყვან დარგად სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობაა სახელდება, მაგრამ სუსტადაა განვითარებული ამ დარგის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები. არის შესაძლებლობა, რომ ამოქმედდეს ან გაფართოვდეს კვების მრეწველობის საწარმოები, თუმცა, როგორც მოსახლეობა აღნიშნავს, ხშირად ვერც კი იგებენ იმ პროექტების შესახებ, რომელიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ამიტომ გამოსავალს ხედავენ საინფორამციო შეხვედრებში, რომელიც წელიწადში რამდენიმეჯერ მაინც ჩატარდება და გააცნობს ადგილობრივებს იმ შესაძლებლობებსა და სიახლეებს, რომელიც საშუალებას მისცემთ განავითარონ ადგილობრივი წარმოება. ადგილობრივი წარმოების განვითარება კი მასტიმულირებელი იქნება მცირე ფერმერებისთვისაც, რადგან ისინი მცირე დანახარჯებით შეძლებენ წარმოებული პროდუქტების მიწოდებას ადგილობრივ გადამამუშავებელ საწარმოებისათვის.

,,შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიას 2014-2021“-ს მიხედვით, რეგიონში ძირითადად კვების მრეწველობის საწარმოები გვხვდება, თუმცა ეს დარგი აქაც მცირე და საშუალო საწარმოების სახითაა წარმოდგენილი. რეგიონის ერთ- ერთ მთავარ მიზნად აქაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება - შენახვის ციკლის განვითარება სახელდება. მათ შორის: ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, წვენების, კონცენტრატების და მზა პროდუქციის დამზადება; სასაწყობო მეურნეობების, წისქვილების, მაცივრების, ხორცის დამამზადებელი პუნქტების შექმნის ხელშეწყობა და ა.შ. [4.გვ-9]

გურიაშიც სუსტადაა განვითარებული კვების მრეწველობა და ძირითადად მცირე და საშულო საწარმოებითაა წარმოდგენილი ჩაის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და პურ ფუნთუშეულის წარმოება. შედარებით დიდი ზომისაა მინერალური და სასმელი წყლების საწარმო ,,ნაბეღლავი“. რეგიონში არის იმის პოტენციალი, რომ განვითარდეს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოება და წარმოებულ იქნას ეკოლოგიურად სუფთა და საექსპორტო პოტენციალის მქონე კვების პროდუქტები. [1. გვ-11]

რაც შეეხება სამეგრელო ზემო-სვანეთს რეგიონს - საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა აქაც მცირე და საშუალო ზომისაა. ძირითადად არის ჩაის, ნაყინის, საკონდიტრო და ღვინის საწარმოები. ქ. ფოთში კი თევზის ზეთის, თევზის ფქვილის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება. აღნიშნულ რეგიონში ისევე როგორც სხვა დანარჩენ რეგიონებში, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დეფიციტია. [3. გვ-16]

დღეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის დაკმაყოფილებას ძირითადი სასურსათო პროდუქტებით. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მაღალია ამ პროცესში იმპორტირებული პორდუქციის წილი. მიუხედავად იმისა, რომ კვების მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოები გვხდება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ერთობ მცირეა და სრულიადაც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. თუმცა, საქართველოს ნამდვილად აქვს პოტენციალი იმისა, რომ მცირე საწარმოებმა სათანადო ადგილი დაიმკვიდროს ქვეყნის ეკონომიკაში.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნა და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოვემწლიურად იზრდება. საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო- სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობაც გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც.

სასურველია რეგიონებში გაუმჯობესდეს ბიზნეს-გარემო, ინფრასტრუქტურა, შეიქმნას ბიზნეს ინკუბატორები, მცირე ბიზნესის დახმარების ადმინისტრაციები, გაყიდვების კომპანიები და ა.შ.

მიზანშეწონილია განხორციელდეს ორი დარგის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ინტეგრაცია. დღეისათვის საქართველოს ნამდვილად ესაჭიროება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კვების მრეწველობა. სასურველია გაიზარდოს ინვესტიციები ამ სფეროში და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ის პოტენციალი, რაც საქართველოს ამ მიმართულებით გააჩნია.

## ლიტერატურა:


1. გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 http://www.mrdi.gov.ge/
2. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის განვითარების სტრატეგია 2014-2021 http://www.mrdi.gov.ge/
3. სამეგრელო ზემო სვანეთის განვითარების სტრატეგია 2014-202 http://www.mrdi.gov.ge/
4. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 http://www.mrdi.gov.ge/
5. http://geostat.ge


# Development Trends of Small and Medium Enterprises (SMEs) in the Food Industry of Georgia


***Maia Sanikidze***

*Doctorate Student at Caucasus International University*



S u m m a r y

The food industry plays an important role in the development of the Georgian economy. Transition to market systems has brought new challenges to food industry. The article examines developing trends of food industry in Georgia.

Prior to the transition to a market economy, the industry was dominated by large companies. According to National Statistics of Georgia SMEs play the most important role in food industry. In 2017, 96% of enterprises were small-size companies, 2.8% of enterprises – medium size companies, and 1.2% of enterprises were large-size companies. The most SMEs have been concentrated in Tbilisi. The villages have been becoming unpopulated while there is an opportunity to bound effective labor force and youth in the regions through development of food industry.



***Key words:*** *Small and Medium Size Enterprises (SMEs); Food Industry; Storage of Primary Products; Business Incubators; Regional Development; Administration for SMEs Assistance; Regional Development Strategy*

# ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში (არსებული მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტივები)

**ნინო სარდლიშვილი**

*დოქტორანტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*2017 წლიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და ამ კანონის საფუძველზე 2018 წლიდან მოქმედებს მთავრობის განკარგულება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტის და წესის“ შესახებ, ყოველივე ეს მიმართულია საჯარო სფეროში პერსონალის საქმიანი კარიერის მართვის გაუმჯობესებისაკენ.*

*საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსები, საჯარო მოხელე, საჯარო სამსახური, საჯარო სამსახურის ბიურო.*

ადამიანური რესურსების მართვა ნებირმიერი ორგანიზაციის მენეჯმენტური რგოლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი არის მართვის ის ერთ-ერთი სფერო, რომელიც ორგანიზაციის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ადამიანური რესურსების მართვა არის მმართველობითი პროცესი, რომელიც ორგანიზაციაში მაღალი შედეგების მისაღებად იყენებს როგორც მის ხელთ უკვე არსებულ პიროვნულ/ადამიანურ რესურსებს ასევე იზიდავს ახალს. ადამიანური რესურსების მართვის პროცესს რამდენიმე ძირითადი ამოცანა აქვს შესასრულებელი. ესაა სამუშაოს ანალიზი; პერსონალის დაგეგმვა და კადრების მომზადება; პერსონალის შერჩევა; ახალი დასაქმებულების ორიენტაცია და ტრეინინგი; შრომითი ანაზღაურების მართვა; მოტივაცია და დაჯილდოება; კომუნიკაცია; ტრეინინგი და მენეჯერთა განვითარება [9. გვ 8]. ნებისმიერი ორგანიზაციის, განურჩევლად იმისა ის კერძოა თუ საჯარო, გამართულად ფუნქციონირებისთვის ადამიაური რესურსი მნიშვნელოვანი საყრდენია. მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი და მახასიათებლები უშუალოდ აისახება ორგანიზაციის შედეგებზე. სწორედ ამიტომ, ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს როგორც კვალიფიციური კადრების შერჩევაზე, ასევე, მათ მუდმივ პროფესიულ და პიროვნულ ზრდაზე [4. გვ.41]. ცოდნის ამაღლებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს ფორმალური ტრეინინგები, სამუშაო შეხვედრები, თვითშემეცნებითი და სხვა სახის აქტივობები [4. გვ. 41]. ჩვენი კვლევის მიზანი ადამიანური რესურსების მართვის მრავალეტაპიანი პროცესის ერთი კონკრეტული ნაწილის, პერსონალის საქმიანი კარიერის მართვის კვლევაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესის სფეროა აღნიშნული პროცესი არა ზოგადად, არამედ საქართველოს საჯარო სამსხურში.

სხვადასხვა ქვეყანას და ორგანიზაციას დროის სხვადასხვა მონაკვეთში ადამიანური რესურსების მართვის განსხვავებული წესი, კულტურა და ტრადიცია გააჩნია [3 გვ.11]. ეს განსხვავებები დამახასიათებელია როგორც კერძო, ასევე საჯარო სამსახურისთვის. სხადასხვა ქვეყნის საჯარო სამსახურის ანალიზმა გვიჩვენა რომ ყველა მათგანს მართვის თავისი, იმ კონკრეტული რეალობისთვის მორგებული და ეფექტური, მოდელი აქვს. ზოგიერთ ქვეყანაში სპეცილური სამსახური, ცენტრალიზებული გზით, ახორციელებს ყველა სამთავრობო უწყების ადამაინური რესურსების მართვის ყველა ეტაპს, ხოლო ზოგ ქვეყანაში დეცენტრალიზებული სისტემა მოქმედებს, რომლის მიხედვითაც თითოეული დაწესებულება სრულიად დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადამაიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და მართავს მათ დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალს. საქართველოში ადამიანური რესურსების მართვის შერეული სისტემა მოქმედებს, რომლის მიხედვით მოცემული სფეროს რეგულაციის ზოგად პრინციპებსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ზოგად სტრატეგიას განსაზღვრავს ცენტრალური სტრუქტურები, ხოლო უშუალო ადამიანური რესურსების მართვის კონკრეტულ აქტივობებს, ისეთებს როგორიცაა კადრების შერჩევა, შეფასება და ა.შ., თითეული უწყება დამოუკიდებელად ახორციელებს [7 გვ.90].

შრომითი ურთიერთობები საქართველოს საჯარო სექტროში რეგულირდება საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით. დღეს მოქმედი საქართველოს კანონი „საჯარო სამასახურის შესახებ“ 2017 წლიდან არეგულირებს საჯარო სამსახურში მოხელეთა როგორც მიღებას, ასევე შემდგომ საქმიანობას. ხოლო ერთიან საკადრო პოლიტიკას, პროფესიულ პრინციპებზე დაფუძნებულ პერსონალურ განვითარებას, კანონმდებლობის დახვეწას, მმართველობის სისტემის დანერგვას, მოქმედი კანონმდებლობის სწორად შესრულებას, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული და ინდივიდუალური აქტების შესრულებას 2004 წლიდან სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო არეგულირებს. სსიპ-ისთვის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია [5

გვ. 87]. პერსონალის განვითარების გეგმის მიზანია დასაქმებულთა საერთო და სპეციფიკური ცოდნის დონის ამაღლება. სახელმწიფო სტრუქტურების საჭიროების მიხედვით პერსონალის განვითარების გეგმა სხვადსხვა სახეობისაა [5 გვ. 88].

2015 წლის 27 ოქტომბერს გამოქვეყნდა და ნაწილობრივ ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, აღნიშნული კანონი როგორც უკვე ავღნიშნეთ სრულად 2017 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში და სრულად ჩაანაცვლა 1997 წელს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“. ახალ კანონში ყურადღება გამახვილდა მოხელის პროფესიულ განვითარებაზეც. საჯარო სამსხურის მიზნებიდან გამომდინარე, საჯარო მოხელისთვის, მისი პროფესიული განვითარებისთვის, საჯარო სამსახურის მიერ შეთავაზებულ სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა სავალდებულო გახდა, ანუ საჯარო სამსახური თავისი ეფექტიანი მუშაობის გასაზრდელად ზრუნავს როგორც თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ და მოტივირებულ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე, ნაკლებმოტივირებულ მაგრამ პოტენციალის მქონე კადრების განვითარებაზეც. კანონში ჩამოყალიბებულია ისიც რომ მოხელეების გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების მიზანი საჯარო სამსახურის გამართულად ფუნქციონირებაა. ყოველი წლის დასაწყისში, საჯარო სამსახურის საჭიროებიდან გამომდინარე, სამთავრობო უწყებები გეგმავენ და წინასწარ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმას უგზავნიან. საჯარო მოხელეს აქვს უფლება საჯარო სამსხურისგან დამოუკიდებლად იზრუნოს თავის პროფესიულ განვითარებაზე და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს სასწავლო შვებულება. როცა საჯარო მოხელის განვითარების პროგრამას, რომელიც 3 თვეზე დიდხანს გრძელდება და ფინანსდება საჯარო სამსახურის მიერ, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის იდება შეთანხმება, ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციის ამაღლების სანაცვლოდ მოხელეს 1 წლის განმავლობაში საკუთარი ნებით საჯარო სამსხურის დატოვების შემთხვევაში სწავლებისთვის გაწეული ხარჯების ორგანიზაციისთვის დაბრუნება უწევს. აღნიშნული პუნქტი ეხმარება საჯარო სამსხურს ხელი შეუშალოს ტრეინინგგავლილი კადრების გადინებას [7. მუხლი 54]. პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამაში მონაწილეობისას, საჯარო მოხელე სარგებლობს ანაზღაურებადი სასწავლო შვებულებით პროგრამის ხანგრძლივობის ვადით, ხოლო თუ საჯარო მოხელე საკუთარი ინიციატივით საჯარო სამსახურის პროგრამის გარეთ იმაღლებს კვალიფიკაციას, ამისთვის მას შეუძლია 5 წელიწადში ერთხელ 3 თვით ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით ან/და 1 წლით-ანაზღაურების გარეშე [7. მუხლი 63]. კიდევ ერთი საინტერესო ცვლილება რომელიც მოქმედ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ამოქმედდა, არის მოხელეთა თანამდებობრივი რანგირება, მოხელისთვის შესაბამისი რანგის, კლასის მინიჭება შესაბამისი სამსახურებრივი დანამატის განსაზღვრა [7. თავი IV]. ეს ცვლილება იძლევა საშუალებას ერთი და იგივე პოზიციაზე მომუშავე სხვადსხვა სამუშაო გამოცდილების მქონე კადრების დიფერენცირების და უფრო გამოცდილი და კვალიფიციური კადრისთვის დაფასებულობის შეგრძნების გაჩენას. მიუხედავად იმისა რომ კანონში შეტანილი ცვლილებები საჯარო მოხელის დაცვისკენ, მისი მოტივაციის და შრომისუნარიანობის ამაღლებისკენაა მიმართული, ყველა მათგანი ცალსახად დადებითი ნამდვილად არ არის. 1997 წელს მიღებული კანონისგან განსხვავებით, კარიერული ზრდა და თანამდებობრივი დაწინაურება დღეს მოქმედ კანონში გათვლისწინებული არ არის. საჯარო მოხელის კარიერული წინსვლისთვის ყოველ შემდგომ, ზედა საფეხურზე გადასასვლელად უწევს კონკურსში მონაწილეობის მიღება. თანამდებობრივი დაწინაურების, კარიერული ზრდის შესაძლებლობა თანამშრომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივატორია და ამ მოტივატორის გაქრობა ცალსახად უკან გადაგმური ნაბიჯია. ის რომ კვალიფიციური მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე კადრი კარიერული წინსვლისვის გადის იგივე პროცედურებს, რასაც ამ საჯარო სამსახურის გარეთ მყოფი მოქალაქე, ცალსახად უარყოფითად მოქმედებს ასეთი კადრის მოტივაციაზე და აქვეითებს მის თანამდებობრივი წინსვლის ამბიციას. აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია გამართლებული იყოს საჯარო სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობის ჭრილში, მაგრამ ნამდვილად უკან გადადგმული ნაბიჯია ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

2017 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და USAID-ის პროექტ "დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის" (GGI) მხარდაჭერით, საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენელთათვის ჩატარდა ტრენინგი - "მოხელის სწავლებისა და განვითარების საჭიროებების გამოვლენა." 2017 წლის 31 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამისა (PDP) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა საჯარო სექტორში პროფესიული განვითარების მიმართულებით მომუშავე დაწესებულებების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კანონით გათვალისწინებული "პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის კონცეფციის შექმნა. მონაწილე მხარეებმა შეხვედრის ფარგლებში იმსჯელეს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე, აგრეთვე, მოისმინეს გაეროს

განვითარების პროგრამის (UNDP) ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული სარეკომენდაციო ანგარიში და იმსჯელეს საქართველოში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების შესაძლო მოდელის შესახებ [8, გვ.7]. ამ შეხვედრების შედეგად საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების უკეთ რეგულირებისთვის 2018 წლის 22 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო #242 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც უფრო დეტალურად გაიწერა საჯარო უწყების მიერ მათ ხელთ არსებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პროცესი. სწორედ აღნიშნული დადგენილება არეგულირებს საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროების წესს და სტანდარტებს, ადგენს ამ საჭიროების განსაზღვრის პროცესს, ადგენს მოხელის განვითარების სტანდარტს და შესაბამისი პროგრამების ხარისხის კონტროლის წესებს [6. 1მუხლი]. აღნიშნული დადგენილება ხაზს უსვავს მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებებს და განსაზღვრავს მოხელის პროფესიული განვითარების სტანდარტებსა და წესებს, ადგენს იმ პროცედურებს რომელთა გავლაც სავალდებულო ან/და ნებაყოფლობით გასავლელია საჯარო მოხელისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად [6. 3 მუხლი]. დადგენილება რომელიც ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ყველ იმ პროცედურას, ვალდებულებას თუ უფლებამოსილებას რომელიც მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში თვითონ მოხელეს უშუალოდ დამსაქმებელ უწყებას და საჯარო სამსხურის ბიუროს აქვს. აღნიშნული დადგენილების მიღებამდეც საჯარო უწყებები ზრუნავდნენ თავიანთი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე და მონაწილეობდნენ მათი კარიერის მართვაში, თუმცა ეს პროცესი არ იყო სისტემატიზებული და სტანდარტიზებული, ხოლო კანონის ახალი რედაქციის და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ძალაში შესვლით ყოველივე ეს ერთიან სისტემაში მოექცა, მოწესრიგდა და გარკვეულ ჩარჩოებში ჩაჯდა.

როგორც აღინიშნა, საჯარო სამსახურის ბიურო ზრუნავს და სხვადასხვა ფორმით ცდილობს ხელი შეუწყოს კადრების პროფესიულ განვითარებას. ნებისმიერი დასაქმებული ადამიანისთვის პროფესიული განვითარება პირველ რიგში არის ისეთი ღონისძიებების ერთობლიობა, როგორიცაა: ტრეინიგები, კონფერენციები და მსგავსი ღონისძიბები, თუმცა ეს პროფესიული განვითარების მხოლოდ ერთი ნაწილია. იმისთვის რომ სხვადსხვა სახის გადამზადებისთვის დახარჯული დროითი და ფინანსური რესურსი ეფექტიანი იყოს, საჭიროა ისინი ორგანიზაციის განვითარების გლობალური ხედვის და გეგმის საერთო ფორმატში ჯდებოდეს [2. გვ. 37]. სწორედ ამიტომ, ადამიანური რესურსების სწორად განვითარება, საქმიანი კარიერის მართვა უნდა იყოს ორგანიზაციის განვითარების საერთო სტრატეგიისა და ხედვის ნაწილი.

მიუხედავად ყველა იმ საკანონმდებლო ცვლილებისა, რომელიც განხორციელდა საჯარო სამსახურის უკეთ ფუნქციონირებისთვის, პრაქტიკაში ყველაფერი უფრო რთული, არც თუ ისე გამართული აღმოჩნდა. პერსონალის განვითარების მხრივ, სამწუხაროდ, საჯარო სექტორში სიტუაცია სახარბიელო არ არის. ამაზე მეტყველებს უამრავი ფაქტორი, თუნდაც ის რომ პერსონალის განვითარების გეგმა საჯარო უწყებების მხოლოდ 25%-ს გააჩნია [7 გვ.89]. ის რომ საჯარო დაწესებულებების მხოლოდ მეოთხედი ზრუნავს თავისი კადრების რეალურ განვითარებაზე და მიყვება იმ წესებს რომელიც შესაბამის ნორმატიულ აქტებშია გაწერილი, ნიშნავს იმას რომ საჯარო სტრუქტურების უმრავლესობისთვის მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა ფორმალობაა და და არა რეალური ინტერესის სფერო.

საჯარო სამსახურის ბიურო ადამიანური რესურსების მართვის მიმართებით, საჯარო სექტორში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობისა და ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებისთვის, ყოველწლიურად ბიუროს საქმიანობის ანგარიშებს აქვეყნებს. ასეთ ანგარიშებში წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადსხვა საქმიანობის გარდა მოყვანილია საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების საერთო რაოდენობა და აღნიშნული რიცხვი დამუშავებულია რამდენიმე მიმართულებით, ესენია ასაკი, სქესი, შეზღუდული შესაძლებლობები და სხვა. თუმცა ანგარიშებში მოცემული არ არის დატრენინგებული, კვალიფიკაცია ამაღლებული და სამსახურში დაწინაურებული ადამინების მონაცემები. წლიურ ანგარიშებში არ ჩანს რამდენი ადამიანის პროფესიულ განვითარებაზე იზრუნა საჯარო სამსხურმა. ყოველივე ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ საჯარო მოხელეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავება და ყოველდღიურ საქმიანობაში იმპლიმენტაცია მხოლოდ 2018 წელს დაიწყო.

კვლევის ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მაგალითებზე მოხდება პერსონალის საქმიანი კარიერის მართვის შესწავლა. საჯარო უწყებებისგან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდება როგორც დღეს არსებული სიტუაციის, ასევე იმ გამოწვევების ანალიზი რომელიც ამ მიმართულებით საჯარო სამსახურს ნამდვილად აქვს. კვლევის ფარგლებში მოხდება მთელი რიგი ინფორმაციის გამოთხოვა, ისეთის როგორიცაა კვალიფიკაცია ამაღლებული და სხვადასხვა სახის სავალდებულო და არჩევით პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა. საჯარო სამსახურის მიერ დაფინანსებული ან მოხელის მიერ საკუთარი თვითგანვითარებისთვის აღებული სასწავლო შვებულებების რაოდენობა. პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი და დახარჯული თანხების ოდენობა. აგრეთვე ძალზედ ნმიშვნელოვანია თვითონ ის სავალდებულო და არჩევითი პროგრამები რომელთა გავლის ვალდებულება/საშუალებაც საჯარო მოხელეებს აქვთ.

პროფესიული განვითარება თავის თავში გულისხმობს მთელი რიგი აქტივობების ერთობლიობას, ეს პროცესი მიმართული უნდა იყოს როგორც თანამშრომელთა კომპეტენციის გაღრმავებაზე, ასევე ახალი ცოდნის შეძენაზე და ამ გზით მთლიანად ორგანიზაციის შესაძლებლობის გაზრდაზე. სწორედ ამიტომ, კვლევის ფარგლებში არ უნდა მოხდეს მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება. ძალზედ მნიშვნელოვანია ისიც თუ რა მიმართულებით მოხდება საჯარო მოხელეების გადამზადება, რაში მოხდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება და ყოველივე ეს რა სარგებელს მოუტანს იმ კონკრეტულ უწყებას რომელმაც თავისი მოხელის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის დროითი და ფინანსური რესურსები დახარჯა.

წინასწარ და კარგად დაგეგმილი სასწავლო პროგრამები, მიმართული თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, მნიშვნელოვანია როგორც თანამშრომლების, კომპეტენციის ასევე, თვითონ ორგანიზაციის კომპეტენციის ზრდისთვის. აღნიშნული პროცესი უნდა იყოს არა მარტო ყველამხრივი, არამედ მიზანმიმართული ორგანიზაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მიმართულებებისკენ. პერსონალის საქმიანი კარიერის მართვა უნდა ხდებოდეს წინასწარდაგეგმილად და გააზრებულად და მისი მიზანი უნდა იყოს არა იმდენად კადრების, მათი კარიერის განვითარება რამდენადაც ამ განვითრებული და კვალიფიკაცია ამაღლებული პერსონალით ორგანზიაციის უკეთ მართვა, მისი ეფექტიანობის ამაღლება.

## ლიტერატურა:


1. ზერიძე რ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი 2011.
2. გაბაშვილი მ., საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, ნაწილი 2. თბილისი 2014.
3. გოროშიძე გ., ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი მოდელის ფორმირება. GESJ Education Science and Psychology #34. თბილისი 2015.
4. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ქეშელაშვილი გ., ხარხელი მ., ტიელიძე შ., ჭურაძე გ., ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში, ჟურნალი „ეკონომიქსი“ ტომი 11, თბილისი 2016.
5. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ქეშელაშვილი გ., ხარხელი მ., ტიელიძე შ., ჭურაძე გ., ადამიანთა რესურსების გამოწვევები საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ ტომი #10, თბილისი 2017.
6. „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებებისგანსაზღვრის წესი, პროფესიული განვითარების სტანდარი და წესი“ საქართველოს მთავრობის დადგენილება #242, თბილისი 2018.
7. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, ქუთაისი 2015.
8. სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის 2017 წლის ანგარიში, თბილისი 2017.
9. ჩოხელი ე., პაიჭაძე ნ., ფარესაშვილი ნ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი 2011.


## Human Resource Management in Public Services
## (the analysis and perspectives of the current situation)


***Nino Sardlishvili***
*Doctoral student*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

Since 2017, the new Law on Public Service has entered into force and since 2018 the Government decree on the rule of "Procedure for Determining the Needs of Professional Public Servants for Professional Development, Professional Development Standards and Rules", all this is directed towards improvement of business career management in public sphere.



***Key words:*** *Human resources, public servant, public service, civil service bureau.*

# ტურისტების მოზიდვისათვის მარკეტინგული სტიმულირების საშუალებების ზოგიერთი საკითხები

**მაია სეთური**

*ეკონომიკის დოქტორი,*
*ასისტენტ-პროფესორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ტურიზმი საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. მისმა კურორტებმა და ტურისტული დანიშნულების ადგილებმა ფართო აღიარება მოიპოვეს. ჩვენი ქვეყანა სულ უფრო მიმზიდველი ხდება უცხოელი ტურისტებისათვის. ქვეყნის და მისი ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმართ ინტერესის ზრდას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სტიმულირების მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა და მოცემულია რიგი დასკვნა. ავტორის აზრით, დადებითი შედეგები მოიტანა მარკეტინგული მიდგომების გამოყენებამ და მუშაობამ ქვეყნის ტურისტული დანიშნულების ადგილების უპირატესობების დემონსტრირებისათვის. ნაშრომში მოცემულია ავტორის ზოგიერთი მოსაზრება ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი მარკეტინგული ღონისძიებების შესახებ.*

*საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი; მოგზაურობა და ტურიზმი; მომსახურება; სტიმულირება.*

ტურიზმი რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემაა. მისი ეფექტიანი ფუნქციონირება დაკავშირებულია სხვადასხვა დარგში შემავალი საწარმოების საქმიანობასთან. მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მოიცავს კერძო და საჯარო სექტორების ორგამიზაციებს, რომლებიც ჩართული არიან ტურისტულ მომსახურებაში. ტურიზმისა და მოგზაურობის ძირითადი სექტორებია:

- სტუმარმასპინძლობის სექტორი,
- ატრაქციონებისა და ღონისძიებების სექტორი,
- სატრანსპორტო სექტორი,
- ტურისტული ორგანიზატორების და შუამავლების სექტორი,
- დესტინაციების ორგანიზაციის სექტორი [Victor T.C. Middleton, 2009].

სტიმულირების ინსტრუმენტების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტების მოზიდვის საქმეში. აღსანიშნავია, რომ XXI-ე საუკუნეში მარკეტინგმა კომპანიების ფინანსური წარმატების საქმეში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ქალაქები, ქვეყნები, რეგიონები ერთმანეთს ეჯიბრებიან ტურისტების მოზიდვაში [Kotler P., Keller K., 2015; 7]. სწორედ მარკეტოლოგებმა უნდა განსაზღვრონ რომელი ფუნქციებია საჭირო ახალი მომსახურების შექმნის პროცესში, როგორი ფასი დააწესონ, რა თანხა დახარჯონ რეკლამაში, გაყიდვებში, ინტერნეტ აქტივობებში [Kotler P., Keller K., 2015; 4].

ქვეყნის ტურისტული დანიშნულების ადგილებით დაინტერესების ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ხოლო კარგი შედეგი შესაძლებელია მივიღოთ მაშინ, როდესაც ხორციელდება სისტემატური მუშაობა ქვეყნის უპირატესობების წარმოსაჩენად. ამისათვის აუცილებელია ქვეყნის შესაძლებლობების და უპირატესობების შესახებ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რაც დააინტერესებს ადამიანებს. იმ საინფორმაციო არხებზე, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანაში დიდი რაოდენობით მაყურებელი ჰყავთ, ინფორმაციის განთავსება და გავრცელება ეფექტიანია. მსოფლიოს წამყავნ ტელეარხებზე სარეკლამო რგოლების და ფილმების გაშვებას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს კონკრეტული ქვეყნის და მისი ტურისტული დანიშნულების ადგილების ცნობადობა და მოახდინოს მათი პოპულარიზაცია. მაგრამ, მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება არ არის საკმარისი. თანამედროვე მარკეტინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მყიდველის კმაყოფილების ინდექსის განსაზღვრა. თუ ეს მაჩვენებელი მცირდება, საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა, რაც არ არის მარტივი პროცესი. გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს: პროდუქტის ხარისხის შემცირება, მყიდველის მოლოდინის დონის ზრდა და სხვა [Maia Seturi, Ekaterine Urotadze, 2017].

საქართველოს ტურისტული დანიშნულების ადგილების პოპულარიზაციის ზრდის საქმეში დადებითი როლი შეასრულა საზოგადოებასთან ურთიერთობების სხვადასხვა ხერხის გამოყენებამ ქვეყნის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ. ასე, მაგალითად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მედიის და ტურისტული კომპანიების წარმოამდგენლები სტუმრობდნენ. ვიზიტის დასრულების შემდეგ კი, საქართველოს შესახებ დაიწერა პოზიტიური სტატიები, მომზადდა კარგი სიუჟეტები, გადაცემები და დოკუმენტური ფილმები. 2016 წელს საქართველომ უმასპინძლა 600 - მდე ჟურნალისტს და 280-მდე ტურ-ოპერატორს. საქართველოს შესახებ სულ 680-ზე მეტი გადაცემა,

სიუჟეტი, სტატია და ბლოგპოსტი მომზადდა [4]. ხოლო 2017 წელს, საქართველოს ცნობადობის ამაღლების მიზნით, განხორციელდა 99 საერთაშორისო პრესტური, რომლის ფარგლებში საქართველოს ესტუმრა 683 უცხოური მედიის წარმომადგენელი, აგრეთვე 14 ინფოტური - საქართველოს ეწვია 239 ტუროპერატორი [5].

ტურიზმის მიმართულებით ბრენდის შექმნას და განვითარებას, ციფრული რესურსების გამოყენებას, ინტერნეტის საშუალებით გაყიდვების გაზრდას, ხელს უწყობს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა. მათ შორის მნიშვნელოვანია ციფრული მარკეტინგის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა. ასეთ ღონისძიებებს ხშირად ესწრებიან სხვადასხვა გავლენიანი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საერთაშორისო კონფერენციები კარგი შესაძლებლობაა ტურიზმისა და სასტუმროების ბიზნესის სუბიექტებისათვის, სარეკლამო სააგენტოების წარმომადგენლებისთვის, სოციალური მედია მენეჯერებისა და მარკეტერებისთვის, რათა მონაწილეებმა შეძლონ ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება, როგორიცაა: სოციალური მედია, ინტერნეტ პლატფორმები, აპლიკაციები, საინფორმაციო არხები და ა.შ.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა 2017 წელი, როდესაც საქართველოს ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა ონლაინმარკეტინგული კამპანია 19 ქვეყანაში, სარეკლამო კამპანიები ისეთ ცნობილ მედია არხებზე, როგორიცაა, BBC, Euronews, Discovery, Tripadvisor, Expedia; და ა.შ. [5].

ტურიზმის სტიმულირებას ხელს უწყობს მოცემულ ქვეყანაში საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება. მაგალითად, 2016 წლის სექტემბერში საქართველოში ჩატარდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებმა გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთ წარმატებული გამოცდილება [6].

საქართველოს მთავრობა ახორციელებს პროექტს - „Check in Georgia" - საქართველო მსოფლიო კულტურულ კალენდარზე". პროექტი მასშტაბური კულტურული ღონისძიებების სერიას მოიცავს, რომლებიც თბილისსა და ქვეყნის რეგიონებში ტარდება. კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, "Check in Georgia-ს" ფარგლებში დაგეგმილი კონცერტების ბილეთების გაყიდვისას მსოფლიოს 52 ქვეყნიდან, მათ შორის ამერიკიდან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან ათასზე მეტი ტრანზაქცია განხორციელდა. აღნიშნული პროექტის ღონისძიებათა პროგრამაში შედის ფოლკლორული, ღვინის და ლუდის ფესტივალების ჩატარებაც [7].

ქვეყნის ტურისტული პროდუქტების მიმართ ინტერესის გაზრდისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობა. ტურისტული გამოფენა-ბაზრობები მეტად ეფექტიანი საშუალებაა, რადგან მიზნის მიღწევა ხდება უმცირესი დანახარჯებით, დადებითი ინფორმაცია ვრცელდება ფართო მასებსა და გეოგრაფიულ სივრცეზე სწრაფად და ეფექტიანად. ტურისტულ გამოფენა--ბაზრობებზე ხორციელდება ახალი პროდუქტის წარმოჩენა, ახალ ბაზრებზე შეღწევა. გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც პირდაპირ კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთთან. ამ ღონისძიებებით შესაძლებელი ხდება ზემოქმედება მოახდინონ ოფიციალურ და საქმიან წრეებზე, საზოგადოებრივ აზრზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ კერძო სექტორთან ერთად 2017 წელს მონაწილეობა მიიღო 21 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში. ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას [5].

დადებითი იმიჯის ფორმირებაში კონკრეტულ ქვეყანას შეიძლება დიდი დახმარება გაუწიოს მჭიდრო თანამშრომლობამ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან, ვიზიტებმა და შეხვედრებმა ამ ორგანიზაციის ოფიციალურ პირებსა და მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. შეხვედრებისას დადებით როლს ასრულებს მოცემული ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. სარგებლის მომტანია ისიც, როდესაც დაინტერესებული ქვეყნის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელები ესწრებიან მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის კონფერენციებს. ასე, მაგალითად, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინსტრაციამ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) 21-ე გენერალურ ასამბლეაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც გაიმართა კოლუმბიაში, ქ. მედელინში. ღონისძიებას 120 ქვეყნის მაღალი რანგის დელეგაცია ესწრებოდა. ასამბლეის ფარგლებში საქართველომ სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტის წევრობა მეორე ვადით, 2020 წლამდე მოიპოვა [8].

დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით მასტიმულირებელი ღონისძიებების შემუშავებას, რათა მეტმა ადამიანმა დაიწყოს მოგზაურობა ქვეყნის შიგნით. მაგალითად, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახორციელებს სტიმულირების კამპანიას ,,გაიცანი საქართველო". ამ პროექტის ფარგლებში ტარდება მედიატურები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში (რეგიონში). მედიატურები ჩატარდა იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში და ა.შ. [9].

ტურიზმის სტიმულირების შედეგები კარგად ჩანს სტატისტიკური მონაცემებიდან. საქართველოში ბოლო წლებში ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა სულ უფრო მეტად გაიზარდა. კონკრეტულ ქვეყანაში ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდაზე შეიძლება ვიმსჯელოთ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, როგორიცაა:

- ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა,
- ტურისტული მომსახურების ექსპორტ-იმპორტი,
- მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის წილი,

- სასტუმროებსა და რესტორნებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები,
- რკინიგზისა და აეროპორტების გამტარუნარიანობა და სხვა.

2009 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა 293%-ით გაიზარდა [10; 5].

2017 წლის იანვარი – დეკემბრის თვის მონაცემებით, საქართველოს 7,554,936 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18.8%-ია. მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 3,478,932 შეადგინა (ზრდა+27.9%). ყველაზე მეტი ვიზიტი სომხეთიდან (+14.8%), აზერბაიჯანიდან (+11.2%), რუსეთიდან (+34.1%), თურქეთიდან (-0.8%) და ირანიდან (+118.3%) განხორციელდა. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ – დეკემბერში გამოირჩეოდნენ: გაერთიანებული სამეფო - 39.9%, ნიდერლანდები - 31.1%, ესპანეთი - 29.9%, საფრანგეთი - 29.6% და გერმანია - 25.7% [11].

მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს ტურიზმის ხელშემწყობი პოლიტიკის დადებით შედეგებზე. თუმცა, ტურისტული ქვეყნის წარმატების შეფასებისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ არამხოლოდ ტურისტების რაოდენობა, არამედ მიღებული შემოსავლები. 2016 წელს საქართველოში შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან 2 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო 2017 წლის ბოლოს ქვეყანამ 2.7 მლრდ აშშ დოლარი შემოსავალი მიიღო. საპროგნოზო მონაცემების თანახმად, 2018 წელს საქართველოს ეყოლება 8 მლნ საერთაშორისო მოგზაური, ხოლო შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან გადააჭარბებს 3 მლრდ აშშ დოლარს [12; 14].

ამრიგად, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა ტურიზმის ხელშემწყობმა პოლიტიკამ გაზარდა მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ არის საკმარისი. ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის გვაქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- ტურისტული პროდუქტების შემუშავებისას წინასწარ უნდა განისაზღვროს პოტენციური ტურისტის მიზნები და სურვილები, ხოლო შემდეგ მისთვის ყველაზე მაღალი ფასეულობის მქონე შეთავაზებები გაერთიანდეს ერთიან ტურისტულ პროდუქტში და ინფორმაცია ტურისტული პროდუქტის შესახებ მიეწოდოს პოტენციურ მომხმარებელს მისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ტურისტს საშუალება უნდა ჰქონდეს, თავისუფლად და ადვილად მიიღოს სრული ინფორმაცია მისთვის საინტერესო სამოგზაურო მარშრუტის და ყველა მომსახურების შესახებ, რომელიც მას უნდა გაეწიოს მოგზაურობის დროს. ეს გავლენას ახდენს მისი ყიდვის გადაწყვეტილებაზე;
- საქართველოში საერთაშორისო ტურისტების კმაყოფილების ზრდაზე დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივი წარმოების, მათ შორის საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საფუძველზე მომზადებული კერძების შეთავაზება, ანუ როდესაც ქართული სამზარეულოს კერძები მზადდება ადგილობრივი წარმოების პროდუქტებისაგან. ეს უფრო საინტერესოს გახდის საერთაშორისო ტურისტისათვის ჩვენს სამზარეულოს;
- საერთაშორისო ტურისტებზე დადებითი შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება ეკონომიკურად უფრო წელგამართულს და ბედნიერს გახდის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან ტურისტების მიმართ დადებითი განწყობა უფრო გაიზრდება (ეს ისედაც არ აკლია საქართველოს, როგორც სტუმართმოყვარე ქვეყანას), რაც საერთაშორისო ტურისტებზე მოახდენს კარგ შთაბეჭდილებას.

## ლიტერატურა:


1. Victor T. C. Middleton, Alan Fyall and Michael Morgan, Marketing in Travel and Tourism (2009), Elsevier, Butterworth-Heinemann, Oxford, UK.
2. P. Kotler, K. Keller. Marketing Management, 14th edition. Translation in Georgian, Scientific Editor N. Todua, TSU publishing house, 2015.
3. Maia Seturi, Ekaterine Urotadze, About Marketing Process Model and Relationship Marketing, Model-based Governance for Smart Organizational Future, BSLab-SYDIC International Workshop, Roma - January 23-24, 2017, BOOK OF ABSTRACTS, Business Systems Laboratory, ISBN: 9788890824258. Available from: https://www.researchgate.net/publication/-313561456_About_Marketing_Process_Model_and_Relationship_Marketing [accessed Sep 20 2018].
4. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, projects, tourism, 2017
5. http://www.economy.ge/?page=projects&s=33&lang=ge
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 05-01-2018, 2017 წელს საქართველოს 7.5 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია, http://www.economy.ge/?page=news&nw=482

7. Georgian National Tourism Administration, UNWTO - The first global conference of wine tourism, 2016, https://gnta.ge/ge/unwto-wine-tourism-first /
8. ჩვენი პრიორიტეტი მაღალმხარჯველი ტურისტების მოზიდვა უნდა იყოს, ევროკავშირი საქართველოსთვის, 12 ივლისი, 2016. http://eugeorgia.info/ka/article/449/chveni-prioriteti-magalmxarjveli-turistebis-mozidva-unda-iyos/
9. ახალი ამბების სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ". ტურიზმის ეროვნულმა ადმინსტრაციამ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) 21-ე გენერალური ასამბლეაში მიიღო მონაწილეობა. 09.23.2015, http://www.ghn.ge/-com/news/view/139543
10. ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ". პროექტი „გაიცანი საქართველო" გრძელდება. საქართველო, თბილისი, 07.20.2015. http://ghn.ge/com/news/view/135338
11. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. http://gnta.-ge/wp-content/uploads/2015/01/ საქართველოს - ტურიზმის -სტრატეგია. Pdf
12. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სტატისტიკა 2017, https://gnta.ge/ge/tag/სტატისტიკა2017/
13. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, აგვისტო, 2018, https://www.-mof.ge/images/File/outlooks2018/Outlook-August-2018-GEO.pdf

## Some Aspects of Using Marketing Stimulation for Attracting Tourists

***Maia Seturi***
*Doctor of Economics, assistant professor,*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

Travel and Tourism is one of the main directions of development of the national economy of Georgia. Georgia has a great tourist potential. His resorts and tourist destinations have gained wide recognition. Our country is becoming more attractive for foreign tourists. The growth of interest towards the country and its tourist destinations is largely determined by the use of stimulating marketing tools. The paper analyzes the current situation in Georgia and provides a number of conclusions. In the opinion of the author, positive results were applied to the use of marketing approaches and work to demonstrate the advantages of tourism destinations of the country. In the work there are some opinions of the author about the marketing activities necessary for further development of tourism.

***Key words***: *Marketing; Travel & Tourism; Service; Tourism Stimulation.*

# ტურიზმი საგარეო ვაჭრობასა და გლობალიზაციაში

**რუსუდან სირბილაძე**

*ეკონომიკის დოქტორი,*
*თსუ-ის მოწვეული პროფესორი*

**ლალი ოქროშიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*დოქტორანტი*

*ტურიზმი მზარდი ტემპებით ვითარდება და ერთდროულად მოიცავს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ დარგს. ინდუსტრიის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მისი როლი საერთაშორისო ვაჭრობასა და გლობალიზაციაში თვალსაჩინოა. ის, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი სექტორი, ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის ექსპორტის მაჩვენებელს და აგენერირებს კეთილდღეობას მსოფლიოში. ტურისტული ბიზნესის განვითარება დამოკიდებულია ინვესტიციების ზრდაზე, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებზე, მონეტარულ და ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და სხვა ფაქტორებზე.*

*უნდა გაირკვეს, რამდენად დიდია ტურიზმის გავლენა ეკონომიკის სხვადასხვა მაჩვენებელზე და რომელი დარგებია ყველაზე აქტიურად ჩართული ტურიზმის სექტორის გამართულ მუშაობაში.*

*სტატიის მიზანია დაადგინოს ტურიზმის გავლენა საგარეო ვაჭრობაზე, გლობალიზაციაზე, მშპ-სა და დასაქმებაზე, ასევე, გამოავლინოს ტურიზმის დადებითი ეფექტი მსოფლიო ეკონომიკაზე მთლიანობაში.*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; საგარეო ვაჭრობა; გლობალიზაცია; მშპ; დასაქმება; სტატისტიკა.*

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილია მთელ მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2017 წელს ამ დარგმა ხელი შეუწყო 118 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას მსოფლიოში, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან 1 ტურიზმშია [1, გვ. 20].

ტურიზმის სექტორი ეკონომიკისა და რეგიონული განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. საგარეო ვაჭრობის სწორად დაგეგმვა და შეფასება განსაკუთრებულს ხდის მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციები [3, გვ. 33]. წარმოადგენს რა ისეთ სექტორს, რომელიც ჩართულია მთლიანად ეკონომიკაში, საგარეო ვაჭრობასა და გლობალიზაციაში, ის ახდენს გავლენას სხვადასხვა დარგზე და თავის მხრივ, ეს დარგები მოქმედებენ მასზეც. ურთიერთდამოკიდებულება მკაფიოა, რის გამოც აღნიშნული სექტორის მუშაობის, დაგეგმვისა და ფუნქციონირების შესწავლა, ერთდროულად, მნიშვნელოვან და რთულ ამოცანას წარმოადგენს.

საგარეო ვაჭრობა გლობალიზაციის პროცესში მოიაზრებს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ტენდენციებს. დადებით მხარეებში ვთვლით საგარეო ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობას, რაც ამავდროულად, შიდა ბაზრის გაფართოებასაც გულისხმობს და ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

უარყოფითი მხარეებიდან უნდა გამოიყოს საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაერთიანება, რაც ქმნის საბაჟო გადასახადის შემცირების აუცილებლობას, სავაჭრო ბარიერების გაუქმებას, რამაც შესაძლოა კიდევ უფრო გაზარდოს იმპორტი. მაგალითისთვის, საქართველოში უმეტესი საქონელი იმპორტირებულია, იმპორტის ამდენად მაღალი დონე კი წამგებიანი და ხელის შემშლელია ქვეყნის განვითარებისთვის [3, გვ. 141].

საერთაშორისო და შიდა ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. მას ყველაზე საგრძნობი პირდაპირი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მშპ-სა და დასაქმების დონეზე. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მიმღები ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე. საქართველოს შემთხვევაში, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2017 წლის ანგარიშს, ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 68% ტურიზმზე მოდიოდა და საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები მზარდი ტენდენციით გამოირჩეოდა, შედეგად მისმა მოცულობამ 2,75 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მშპ-ში წილმა კი – 6,9%-ს [1, გვ. 3]. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტურიზმზე, ვინაიდან ქვეყნის ექსპორტის უდიდეს ნაწილს, სწორედ, ტურისტული პროდუქტი წარმოადგენს.

საინტერესოა, როცა ერთმანეთს ვუდარებთ ევროკავშირის ექსპორტს მსოფლიოს იგივე მონაცემებს, რომელიც გამოქვეყნებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ (WTO).

იგივე კვლევა საქართველოშიცაა ჩატარებული, ქვემოთ ვადარებთ საქართველოსა და მსოფლიოს:




აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებენ ექსპორტის ცვლილებას დინამიკაში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, აქ ზრდა გაცილებით აქტიურია განვითარებულ დასავლეთთან შედარებით. ტურიზმის ზრდა კი არ უნდა მიმდინარეობდეს დაგეგმარების გარეშე, ანუ ქაოტურად.




ჩვენი სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური მონაცემების ანალიზისას ვეყრდნობით მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) ბოლო სამი წლის ანგარიშებს.

მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს გლობალური მნიშვნელობის წვლილი მიუძღვის მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში ეკონომიკური და სოციალური კუთხით, რომელიც ხელს უწყობს სექტორის მდგრად ზრდას, მუშაობის ხელშეწყობას მთავრობებთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან, მართვას, ახალი სამუშაო ადგილებისა და კეთილდღეობის შექმნას.

მოგზაურობასა და ტურიზმს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის შემდეგ სფეროებში:

- საქონლის წარმოებაში: განთავსება, ტრანსპორტირება, გართობა და ატრაქციები;
- ინდუსტრიებში: განთავსების, ტრანსპორტირების, საკვებისა და სასმელის, საცალო ვაჭრობის, კულტურული, სპორტული და სარეკრეაციო.

მოგზაურობისა და ტურიზმის პირდაპირი წვლილი მშპ-ში გამოხატავს შიდა (კონკრეტულ ქვეყანაში რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ ბიზნესის და დასვენების მიზნით) და მთავრობის მიერ გაწეულ დანახარჯებს იმ სერვისების შექმნაზე, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ვიზიტორებთან, მაგალითად, კულტურული (მუზეუმები) და რეკრეაციული (ეროვნული პარკები) სერვისები.

უმნიშვნელოვანესია ტურიზმის ექსპორტისგან მიღებული შემოსავლები და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა.

სამივე წლის ანგარიში მოიცავს კვლევას, რომელიც ჩატარდა მსოფლიოს 125 ქვეყანაში.




წყარო: https://www.wttc.org/-/media/fi les/reports/economic%20impact%20research/regions%202016/world2016.pdf გრაფიკი 3

2016 წლის კვლევაში ჩანს, რომ 2015 წელს სექტორის ზრდამ შეადგინა 2.8%, რამაც გაუსწრო გლობალური ეკონომიკის (2.3%), ასევე სხვა სექტორების ზრდას (მათ შორის, წარმოებასა და საცალო ვაჭრობას). მთლიანობაში, მოგზაურობისა და ტურიზმის წილი მშპ-ში იყო 7.2 ტრლნ აშშ დოლარი (მთლიანი შიდა პროდუქტის 9.8%) და მხარი დაუჭირა 284 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას (სულ დასაქმებულთა 3.6%), რაც ნიშნავს ყოველი 11 დასაქმებულიდან ერთის მუშაობას ტურიზმში. დასაქმებაში საერთო ზეგავლენა კი 9.5%-ს წარმოადგენდა.2015 წელს ტურიზმის პირდაპირი წვლილი მშპ-ში შეადგენდა 3.0%-ს, ხოლო არაპირდაპირი 9.8%-ს. ვიზიტორთაგან მიღებული შემოსავალი მთლიანი შემოსავლების 6.1%-ი დაფიქსირდა, ინვესტირება კი - 4.3%.

მიუხედავად ტერორისტული და პოლიტიკური არასტაბილურობისა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების და სტიქიური უბედურებებისა მსოფლიოში, მოგზაურობა და ტურიზმი 2016 წელსაც განაგრძობდა მდგრად განვითარებას, რამაც ხელი შეუწყო პირდაპირი მშპ-ს 3.1%-იან ზრდას 2015 წელთან შედარებით, არაპირდაპირ 10.2% და სექტორიში 6 მლნ დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნას (სულ დასაქმებულთა 3.6%). საერთო ჯამში, სექტორმა აწარმოა 7.8 ტრლნ აშშ დოლარი (გლობალური მშპ-ს 10.2%) და 2016 წელს 292 მლნ სამუშაო ადგილი (სულ დასაქმებულთა 9.6%), რაც მეტყველებს იმაზე, რომ 10 სამუშაო ადგილიდან 1 ტურიზმშია.




წყარო: https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%20impact%20research/regions%202017/world2017.pdf გრაფიკი 4

სექტორმა მთლიანი ექსპორტის 6.6% და მთლიანი მომსახურების 30% შეადგინა. გარდა ამისა, 2016 წელს, ტურიზმის მშპ-ს ზრდამ გამოიწვია არამარტო ეკონომიკური ზრდა 116 ქვეყანაში, წლიური ეკონომიკური გავლენის კვლევის (მათ შორის ავსტრალია, კანადა, ჩინეთი, ინდოეთი, მექსიკა და სამხრეთ აფრიკა) მიხედვით,

არამედ ტურიზმი ბევრად ძლიერი აღმოჩნდა ფინანსურ და ბიზნეს-მომსახურებებთან, წარმოებასთან, საჯარო მომსახურებასთან, საცალო და სადისტიბუციო, სატრანსპორტო სექტორებში დაფიქსირებულ ზრდასთან შედარებით.

რაც შეეხება ინვესიტირებას, ის გაიზარდა 2015 წელთან შედარებით და შეადგინა 4.4%.

2018 წლის ანგარიშის თანახმად, რომელიც აფასებს მოგზაურობისა და ტურიზმის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე 2017 წელს, ტურიზმის სექტორის წვლილი საერთო დასაქმებაში შეადგენდა 9.9%-ს (2015 და 2016 წლებთან შედარებით ზრდა გრძელდება), სულ 313 მლნ სამუშაო ადგილი, პირდაპირი დასაქმება ტურიზმში კი სულ დასაქმებულთა 3.8%-ს შეადგენს.

2017 წელიც ხასიათდებოდა მშპ-ს ზრდით (პირდაპირი ზეგავლენა 3.2%, საერთო ზეგავლენა 10.4%), სექტორმა განაგრძო ზრდა და მიაღწია 4.6%-იან მაჩვენებელს. ყველაზე შესამჩნევი მატება დაფიქსირდა თურქეთში, ეგვიპტესა და ტუნისში.

ვიზიტორთა დანახარჯი შეადგენდა 6.5%-ს. ინვესტირების ზრდა გრძელდებოდა და შეადგინა 882.4 მლრდ აშშ დოლარი (სულ ინვესტიციების 4.5%).

ყველა ზემოთ მოყვანილი მონაცემი ადემონსტრირებს იმას, თუ რამდენად ყურადსაღებია ტურიზმის

მსოფლიო: მოგზაურობისა და ტურიზმის პირდაპირი წვლილი მშპ-ში




წყარო: https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%20impact%20research/regions%202018/world2018.pdf გრაფიკი 6

სექტორის გავლენა ეკონომიკაზე, როგორც მსოფლიო, ასევე კონკრეტული ქვეყნის შემთხვევში, რამდენად დიდია მისი როლი მსოფლიოს ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობაში.

საინტერესოა თვალი გადავავლოთ ჩვენი ქვეყნის მაგალითსაც - განვითარებადი ქვეყნისთვის, რომლის ეკონომიკური კეთილდღეობა უმეტესწილად ტურიზმზეა დამოკიდებული. ექსპორტის უმეტესი წილი მოდის ტურიზმზე, რომელიც უხილავ ექსპორტად ითვლება. დანარჩენი პროდუქცია, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს საექსპორტოს, სამწუხაროდ ვერ უწევს კონკურენციას განვითარებული ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციას, ვინაიდან ჩვენი საწარმოები არაა აღჭურვილი უახლესი ტექნოლოგიებით სიძვირის გამო.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ძირითადად მეზობელ ქვეყნებთან აქვს. ესენია: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და თურქეთი [3, გვ. 33]. ასევე, შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან: ბულგარეთი, უკრაინა. საექსპორტო ურთიერთობა აქვს ჩინეთთან, აშშ-სთან, ყაზახეთთან, იტალიასთან და მცირე წილი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან [3, გვ. 39]. აღნიშნულ სახელმწიფოებთან გაგვაჩნია საიმპორტო ურთიერთობაც, რაც საინტერესოა იმის დასადგენად, თუ როგორია სავაჭრო სალდო და როგორ ფარავს იმპორტი ექსპორტს, რადგან ყოველივე ამაზე ძალიან არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევა. ამ საკითხის გადაწყვეტა შესამლებელი სახელმწიფო დონეზე, რადგან მხოლოდ მათ ხელეწიფებათ ისეთ რესურსებზე მისაწვდომობა, როგორიცაა: კანონმდებლობა, დებულებები და ა.შ.

კაცობრიობის განვითარება თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია საგარეო ვაჭრობის, გლობალიზაციის, ბიზნესის, კულტურული ტურიზმის, ტექნოლოგიების, ტრანსპორტის განვითარების გარეშე. ტექნოლოგიები მომხმარებელს აძლევს საშუალებას გაეცნოს ისეთ პროდუქციას, რომელიც აქამდე თვალით არ უნახავს, შეუკვეთოს ნებისმიერი თანამედროვე სერვისი, გააკეთოს არჩევანი და სხვა [3, გვ. 44].

მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მიერ საქართველოში ჩატარებული ანალოგიური კვლევების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ყველა მაჩვენებელი, რომელიც ვახსენეთ მსოფლიოს მაგალითზე გამოვიყენოთ საქართველოს ტურიზმის კვლევისას. შედეგად ნათლად ჩანს ამ მაჩვენებლების ზრდა: მთლიანი შიდა პროდუქტის წილი ქვეყნის მშპ-ში 7.1% (2015), 8.1% (2016), 9.3% (2017); დასაქმება 5.8% - 100,500 სამუშაო

ადგილი (2015), 6.8% - 122,00 სამუშაო ადგილი (2016), 7.8% - 140,500 სამუშაო ადგილი (2017); ვიზიტორთაგან მიღებული შემოსავალი ქვეყნის მთელ შემოსავალში 36.4% (2015), 40.8% (2016), 46.8% (2017); ინვესტირება 3.4% (2015), 3.5% (2016), 3.6% (2017).

როგორც ვხედავთ, ტურიზმი ნამდვილად წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს. შესაბამისად, მის განვითარებას არ შეიძლება თან არ ახლდეს ექსპერტთა დიდი ძალისხმევა, რომელიც მიმართული იქნება ინდუსტრიის სწორი გზის განვითერაბისკენ, ისევ და ისევ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის.

ევროკავშირი და მასთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ამ ეტაპზე, მიგვაჩნია საუკეთესო გზად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისკენ. ეკონომიკური პოლიტიკა მიმარული უნდა იყოს ზრდის, დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფისა და ინფლაციის შეზღუდვისკენ.

რადგან ქვეყნები, მეტწილად, ფოკუსირებულნი არიან სახელმწიფოების შიგნით არსებული პროცესების რეგულირებაზე, ვაჭრობისა და ადამიანთა გადაადგილებისას არსებული ბარიერების გადალახვაზე, მოგზაურობისა და ტურიზმის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როგორც ეკონომიკუი განვითარების ძრავა, კულტურების გაზიარების, მშვიდობის დამყარებისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობის საშუალება.

გრძელვადიან პერსპექტივაში მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის ზრდა კვლავაც ძლიერი იქნება, სანამ ინვესტირება და განვითარება მოხდება ღია და მდგრადი ფორმით. პროგნოზირებადი მოგზაურობის პოლიტიკის გატარება, რაც უფრო მეტ სარგებელს იძლევა, შეუძლია ხელი შეუწყოს ადამიანთა ტალანტის გამოვლენასა და ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია ტურიზმის პოტენციალის გასაზრდლად.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2017. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
2. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2016
3. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2017
4. http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFView.aspx?Language=E&Country=E2
5. http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFView.aspx?Language=E&Country=GE
6. https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/regions-2016/world2016.pdf
7. https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/regions-2017/world2017.pdf
8. https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/regions-2018/world2018.pdf
9. https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2016/georgia2016.pdf
10. https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2017/georgia2017.pdf
11. https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2018/georgia2018.pdf


## Tourism in Foreign Trade and Globalization


***Rusudan Sirbiladze***
*Doctor of Economics, Professor*
***Lali Okroshidze***
*doctoral student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi state university*



S u m m a r y

Tourism is growing at a faster pace and simultaneously involves many interconnected fields. Due to the industry complexity, its role in international trade and globalization is obvious. As one of the largest sectors of the world economy, it creates jobs, increases the export index and generates welfare in the world. Development of tourism business depends on investment growth, relationships with other countries, monetary and economic policies, political environment within the country.

Depending on the purpose of the article, we talked about how much the impact of tourism is on the different indicators of the economy and which are the most active involvement in the tourism sector. We discussed the world and also, the example of Georgia to strengthen our opinions.



***Key words:*** *Tourism; international trade; globalization; GDP; employment; statistics.*

# კრიპტოვალუტის მაინინგი: არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები


**დემურ სიჭინავა**

*პროფესორი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**მურთაზ მაღრაძე**

*პროფესორი, ემერიტუსი,*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატიაში განხილულია კრიპტოვალუტის გამოშვების აუცილებლობის, მისი ისტორიის, მოპოვების არსისა და ხერხების და ყოველივე ამის სამართლებლივი უზრუნველყოფის საკითხები, დახასიათებულია ის პირობები, რომლის საფუძველზედაც სხვადასხვა სახელმწიფოში, დაშვებულია, აკრძალულია ან არაა აკრძალული, მაგრამ არც რეგულირებული არაა კრიპტოვალუტის გამოყენება, გაანალიზებულია საკითხი კრიპტოვალუტის მოსაპოვებლად საჭირო რესურსებისა და მისი მოპოვების ტექნოლოგიის შესახებ და ხაზგასმულია, რომ ბიტკოინისა და სხვა კრიპტოვალუტის სრული ემისიის შემდეგ გაგრძელდება მხოლოდ მისი მიმოქცევის პროცესი. მოყვანილია ცნობილი ექსპერტების პროგნოზები კრიპტოვალუტის მომავლის შესახებ და გამოთქმულია აზრი, რომ თავდაპირველად სხვადასხვა ქვეყანას ექნება კრიპტოვალუტის საკუთარი სახეობა, მაგრამ საბოლოოდ მისი მიმოქცევის პროცესი კაცობრიობას მიიყვანს ერთიანი კრიპტოვალუტის შემოღებამდე.*



*საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა; კრიპტოვალუტის მაინინგი; პული; კრანი; კრიპტოვალუტის განვითარების პერსპექტივები.*


კრიპტოვალუტა ელექტრონული ფულის ნაირსახეობაა, რომლის აღმოცენება და გამოყენება განაპირობა ფულის უნაღდო ანგარიშსწორების განვითარების საჭიროებამ თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით [შდრ. Букия Г. Б., Сичинава Д. Ш. и др. 1976; მაღრაძე მ., 1998]. იგი ემყარება დაცვის კრიპტოლოგიურ მეთოდებს და საუცხოოდ ასრულებს ფულის ყველა ფუნქციას მიმოქცევისათვის შეზღუდულ სივრცეში.

დღეისათვის მსოფლიოში გამოშვებულია 2000-ზე მეტი სახეობის კრიპტოვალუტა [3]. 2017 წლის ბოლოსთვის კრიპტოვალუტების საერთო კაპიტალიზაციამ შეადგინა 500 მილიარდი დოლარი, რომელშიც 90% მოდის ყველაზე ცნობილ კრიპტოვალუტის ათეულზე: bitcoin-57,5%, Etereum-12,8%, bitcoin Cash-5.3%, Ripple-3,8%, IOTA-2,4%, Dash-1,4%, NEM-1,0%, Monero-1,0%,NEO-0,5%, დანარჩენი–11,1% [4].

2017 წლის პირველი აპრილისთვის მსოფლიოში მოქმედებდა კრიპტოვალუტის 166 ბირჟა. აქედან ინგლისურ ენაზე მომსახურებას ეწეოდა - 51, ჩინურ ენაზე – 40, რუსულ ენაზე –13, ესპანურ ენაზე – 7, იაპონურ ენაზე – 5 [5].

2018 წლისთვის ყველაზე პოპულარული ვალუტის ბირჟები და გადამცვლელებია: [6-].

1. Binance - კრიპტოვალუტის ჩინური ერთ–ერთ უმსხვილესი ბირჟაა მსოფლიოში. მდებარეობს ჰონგკონგში. ვაჭრობის მოცულობით არის მსოფლიოში ლიდერი. ბიტკოინის ბირჟა მუშაობს მრავალ ვირტუალურ ვალუტსთან. მის პლატფორმაზე შესაძლებელია კრიპტოვალუტის სწრაფი გაცვლა და ფულის გამოტანა.
2. EXMO-ბიტკოინების საუკვეთესო ბირჟაა რუსეთში. ამ ბირჟაზე ვაჭრობა წარმოებს შემდეგი სახის ციფრულ ვალუტებში: Bitcoin, BCH, Ethereum, DogeCoin, DASH, და სხვ. ახდენს ფულის გამოტანას USD, EUR და RUR ელექტრონულ საფულეებში.
3. Cryptopia - მუშაობს ისეთ ვალუტებთან, როგორიცაა: bitcoin, Ethereum, BCH, Litecoin და სხვ. იგი შედის ბიტკოინების გაცვლის ტოპ ბირჟების ჩამონათვალში.
4. YoBit - ბირჟაზე მიმოქცევაშია 280–ზე მეტი ვირტუალური ფული. ამ ბირჟაზე კლინტისთვის ხელსაყრელია ვირტუალური ვალუტის ყიდვა რუსულ რუბლში და ამერიკულ დოლარებში.
5. გარდა აღნიშნულისა ციფრული ვალუტის ტოპ 9-ში შედიან: Livecoin, Bitmex, C-Cex და Poloniex.

კრიპტოვალუტის შექმნის პროცესი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც უაღრესად დადებითი მოვლენაა ელექტრონული ფულის განვითარების საქმეში, ვინაიდან იგი აუცილებლად დასვამს ერთიან მსოფლიო კრიპტოვალუტაზე გადასვლის საჭიროებას.

კრიპტოვალუტის უპირველესი და ძირითადი სახეობაა ბიტკოინი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის მიხედვით, ბიტკოინის შემქმნელია სატოში ნაკამოტო, რომელმაც 2008 წლის მიწურულს საჯაროდ განაცხადა საკუთარი გამოგონების შესახებ და გამოაქვეყნა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო 2009 წლიდან კომპიუტერულ ქსელში ჩაუშვა შესაბამისი სისტემა [7]. სატოში ნაკამოტო, როგორც ცნობილია, ფსევდონიმია, რომლის უკანაც დგას ორი პიროვნება - ავსტრიელი ბიზნესმენი კრეიგ რაიტი და ამერიკელი

პროგრამისტი დევიდ კლეიმანი, თუმცა 2016 წლის მაისში თავად რაიტმა განაცხადა, რომ სწორედ ისაა ბიტკოინის შემქნელი და რომ სატოში ნაკამოტო მხოლოდ მისი ფსევდონიმია. ამის დასამტკიცებლად მან გამომცემლობებს Go, Bi Bi Si და The Economist გადასცა მონაცემები ბიტკოინის შექმნის შესახებ და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბიტკოინის შექმნაში მას ეხმარებოდა დევიდ კლეიმანი.

ბიტკოინის დამახასიათებელი მთავარი ნიშანია ის, რომ იგი რომელიმე ცენტრალური საფინანსო ინსტიტუტის ან ორგანიზაციის მიერ არ გაიცემა, რაც გარკვეულწილად აფერხებს მისი გაუფასურების პროცესს.

დღეისათვის მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ანგარიშსწორება უკვე ბიტკოინის საშუალებით მიმდინარეობს.

ბიტკოინს გააჩნია შემდეგი უმცირესი ერთეულები (სატოშები)[1]: [8].

კრიპტოვალუტის მოპოვებას მაინინგი ეწოდება. ტერმინი - „მაინინგი“ (Mining) წარმოდგება ინგლისური სიტყვისგან mine, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს მაღაროს (შახტას). შესაბამისად, წიაღისეულის მოპოვების ანალოგიით, კრიპტოვალუტის შექმნის პროცესსაც მეცნიერებაში მაინინგი შეერქვა. ხოლო მის მომპოვებელს - მაინერი (Miner).

მსოფლიოში ყოველდღიურად საშუალოდ მოიპოვება ბიტკოინის 3600 მონეტა. 2017 წლის ნოემბრის ბოლოსათვის დაახლოებით მოპოვებული იყო ბიტკოინის მონეტების 60%. ბიტკოინების გამოშვება ზედა ზღვარს – 21 მლნ - სავარაუდოდ, მიაღწევს 2040 წელს [9].

კრიპტოვალუტის მაინინგი დაიწყო საფრანგეთში, ისლანდიაში და საქართველოში 2014 წელს, საკუთარი მოწყობილობების ბაზაზე.

კრიპტოვალუტის მოპოვების ანუ მაინინგისათვის საჭიროა გარკვეული რესურსები. ესაა, უწინარეს ყოვლისა, მძლავრი კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც აღჭურვილი იქნება კრიპტოვალუტის მოსაპოვებლად საჭირო სხვადსხვა მაკომპლექტებელი ელემენტით, როგორიცაა: დედაპლატა რომელზედაც შესაძლებელი იქნება რამდენიმე გრაფიკული ადაპტერის მიერთება; მყარი დისკი; 4–8 გიგა ბაიტი ოპერატიული მეხსიერება; მაღალი სიხშირის პროცესორი; 5–8 ვიდეობარათი; 2 გიგა ბაიტის მოცულობის ვიდეობარათი; 750W-ის სიმძლავრის კვების ბლოკი; რაიზერები (დამაგრძელებლები) დედაპლატასთან მისაერთებლად; გამაგრილებელი მოწყობილობები და სხვ.

2017 წლისთვის ყველაზე კარგ ვიდეობარათად ითვლებოდა Radeon RX470. ოთხი ვიდეობარათიანი ნახევრად პროფესიონალური „კრიპტოფერმის“[2] საშუალო ფასი დაახლოებით 2300–2700 დოლარს შეადგენდა.

თუ მსგავსი „ფერმის“ გასაცივებლად საკმარისი არ აღმოჩნდება ბუნებრივი ვენტილაცია, მაშინ მასზე უნდა დაყენდეს კონდიციონერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება მოწყობილობათა მუშაობის ხშირ შეფერხებებს, ან მათ გამოსვლას მწყობრიდან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს მაინინგის არარენტაბელურ ფუნქციონირებას.

კრიპტოვალუტის მიმოქცევა დღეისათვის აკრძალულია რიგ ქვეყანაში (რუსეთი, ჩინეთი, ინგლისი, სამხრეთი კორეა და ა.შ.) [10], რომლებიც ცდილობენ სამართლებრივი საშუალებებით ხელი შეუშალონ კრიპტოვალუტის გამოყენებას. მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც, პირიქით, კანონით დაშვებულია კრიპტოვალუტის გამოშვება და მიმოქცევა [10] (აშშ, კანადა, ავსტრალია, ნაწილობრივ ევროკავშირი, იაპონია, გერმანია და სხვ.). მაგალითად, გერმანიამ მიმდინარე წლის თებერვალში ბიტკოინი აღიარა საგადამხდელო საშუალებად [11]. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია, სახელმწიფო გასცემს ლიცენზიას კერძო ბანკებზე საკუთარი ფულის გამოსაშვებად [12].

ზოგიერთ ქვეყანაში კრიპტოვალუტით ვაჭრობა აკრძალული არ არის, მაგრამ არ ხდება მისი ლეგალიზაცია (მაგ., მოლდოვა) [13]. უკრაინის კიბერუსაფრთხოების ნაციონალური საკოორდინაციო ცენტრის სხდომაზე გაკეთდა განცხადება, რომ სახელმწიფომ იგნორირება არ უნდა მოახდინოს იმ მოვლენებზე, რაც ხდება კრიპტოვალუტის ბაზარზე და დასახელდა ის რისკები, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კრიტოვალუტის გაუკონტროლებელი ბრუნვისას. მათ შორის განსაკუთრებით გამოიყო ფულის გათეთრების საფრთხე. აქვე დაისვა საკითხი უკრაინაში სახელმწიფოს მხრიდან კრიპტოვალუტის გამოშვების მიზანშეწონილობის შესახებ [14].

იმ ქვეყნებში, სადაც ამა თუ იმ ფორმით ნებადართულია კრიპტოვალუტის მიმოქცევა, ეს უკანასკნელი რეგულირდება სხვადასხვა სახის სამართლებრივი ნორმებით. მაგალითად, კრიპტოვალუტის ემისიაზე ევროკავშირი ნებას რთავს მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაციებს. ისეთ ქვეყნებში კი, როგორიცაა: უკრაინა, ინდოეთი, სინგაპური, ტაილანდი და მექსიკა, კრიპტოვალუტის ემისიას ახდენენ ბანკები.

---

1 1 სატოში = 0.00000001 ბიტკოინი; 10 სატოში = 0.0000001 ბიტკოინი; 100 სატოში = 0.000001 ბიტკოინი; 1,000 სატოში = 0.00001 ბიტკოინი; 10,000 სატოში = 0.0001 ბიტკოინი; 100,000 სატოში = 0.001 ბიტკოინი; 100,000,000 სატოში = 1 ბიტკოინი.

2 კრიპტოფერმა - არის პროგრამული და აპარატურული საშუალებების სისტემა, რომელიც გამოიყენება კრიპტოვალუტის ერთეულების მოსაპოვებლად.

დღეს მსოფლიოში კრიპტოვალუტის გამოშვებისა და გამოყენების ნამდვილი ბუმია [15], მათ შორის. საქართველოშიც. კრიპტოვალუტის მოპოვება, ანუ მაინინგი (გამომუშავება) ხორციელდება ისეთი ხერხებით, როგორიცაა: ვიდეობარათების გამოყენება, ღრუბლოვანი მაინინგი, კრიპტოვალუტის გამომუშავება კრიპტოვალუტის კურსის ცვლილების საფუძველზე, კრანის გამოყენება.

კრიპტოვალუტის **მაინინგისათვის ვიდეობარათების** გამოყენებით საჭიროა არანაკლებ 5–6 ცალი მაღალი ხარისხის ვიდეობარათი, რაც საკმაოდ ძვირია. იმისათვის, რომ ვიდეობარათებმა იმუშაონ ერთდროულად, საჭიროა შეიქმნას „კრიპტოფერმა“, რაც გაზრდის მაინინგის გენერაციის სისწრაფეს. შესაბამისად, გაიზრდება კრიპტოვალუტის მაინინგის ხარჯებიც.

**ღრუბლოვანი მაინინგი** არის ციფრული ფულის გამოშვების ახალი მოდელი, რომელსაც ქმნიან მაინინგ - ჯგუფები (მაინინგ პულები[3]) დიდი შემოსავლების მიღების მიზნით, მეიჯარის მოწყობილობების გამოყენებით. ამ შემთხვევაში მეიჯარე წყვეტს ყველა წარმოქმნილ პრობლემას, დაკავშირებულს ტექნიკურ და პროგრამულ უზრუველყოფასთან. მეიჯარე კომპანია თვითონ აწარმოებს ან შეიძენს კრიპტოვალუტის მოსაპოვებლად საჭირო მოწყობოლობებს და შემდეგ ახდენს მათ გაცემას იჯარით საბოლოო კლიენტებზე. ამ დროს დანახარჯები ელექტროენერგიაზე, ინტერნეტში ჩართვაზე და მოწყობილობებისა და პროგრამული საშუალებების გამართვაზე წარმოებს კომპანიის მიერ. ღრუბლოვანი მაინინგი კლიენტს ათავისუფლებს კრიპტოვალუტის მაინინგის პროცესში წამოქმნილი პრობლემებისაგან, როგორიცაა: შეფერხებები ინტერნეტის ქსელში, ელექტრომომარაგებაში, მოწყობილობების მოცდენები და სხვ.

კრიპტოვალუტისთვის დამახასიათებელია **კურსის მაღალი ცვლილება**. ამიტომ შესაძლებელია კრიპტოვალუტის გამომუშავება მისი კურსის ცვლილების საფუძველზეც, რაც კრიპტოვალუტის მაინინგის ერთ-ერთი ხერხია.

კრიპტოვლუტის მოპოვება კრანის გამოყენებით მისი ყველაზე მარტივი ხერხია და არ მოითხოვს კლიენტისაგან (მომხმარებლისაგან) სპეციალურ ცოდნას, მომზადებასა და კაპიტალდაბანდებას. ამისთვის საჭიროა მხოლოდ კლიენტის სურვილი და დრო. კრანი - ეს არის სპეციალური სერვისი (საიტი), რომელიც კრიპტოვალუტის მაინინგში მონაწილეს გადაურიცხავს კრიპტოვალუტას ისეთი მარტივი მოქმედებების შესრულებისთვის, როგორიცაა: **კაპტჩის (Captcha)** შეყვანა სისტემაში (*Captcha - ინგლ.* ***Completely - Automated Public Turing test to tell Computers and Humans Apart - Turing****-ის სრულად ავტომატიზებული საჯარო ტესტი კომპიუტერისა და ადამიანის განსასხვავებლად. ტიურინგის ტესტი გამოიყენება იმის დასადგენად, ვინ არის სისტემის მომხმარებელი - ადამიანი თუ კომპიუტერი. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „კაპტჩა“ პირველად გამოჩნდა 2000 წელს. ტესტის მთავარი იდეაა მომხმარებელს შესთავაზოს ისეთი დავალება, რომელიც ადამიანისთვის ადვილი გადასაწყვეტია, ხოლო კომპიუტერისთვის ძალიან რთული*) ვიდეოროლიკების დათვალიერება, რეკლამაზე დაკლიკება, გადასვლა სხვა საიტებზე და სხვ. 2013 წლის მონაცემებით მთელს პლანეტაზე მომხმარებლების მიერ სისტემაში შეყვანილი იყო დაახლოებით 320 მილიონი კაპტჩა.

კრანის გამოყენებით კრიპტოვალუტის მოპოვების დადებითი მხარეებია ის, რომ არაა საჭირო წინასწარი ინვესტიცია, კრიპტოვალუტის გამომუშავება შეუძლია ყველა მსურველს და მომხმარებელი თვითონ ირჩევს ბიტკოინის მოპოვების ხერხს.

ინტერნეტში განთავსებულია სხვადასხვა გემოვნების ასობით კრანი.

კრანებით მაინინგის უარყოფითი მხარეებია: მისი მეშვეობით შეუძლებელია დიდი თანხის გამომუშავება, აღნიშნული წესით კრიპტოვალუტის მოპოვება მისაღებია იმ ადამიანებებისთვის, ვისაც აქვს დიდი თავისუფალი დრო და არ გააჩნია საწყისი კაპიტალი. შემოსავალი დამოკიდებულია მაინერის აქტივობაზე.

**კრიპტოვალუტის მაინინგისათვის საჭიროა:** [16] გამომუშავებული კრიპტოვალუტისთვის საფულეს შექმნა, თუმცა, შესაძლებელია გასამრჯერლოს მაშინვე გამოტანა, მაგრამ ამისთვის საჭიროა გარკველი საკომისიო გადასახადის გადახდა, რაც არც ისე მცირეა. არსებობს საფულეს რამდენიმე სახეობა: საფულე სტაციონალური კომპიუტერისთვის, საფულე მობილური მოწყობილობებისთვის და ინტერნეტ-საფულე.

კრიპტოვალუტის მაინინგისათვის უნდა იქნეს არჩეული კრიპტოვალუტის რომელიმე სახეობა და პული. კრიპტოვალუტის არჩეულ სახეობაზეა დამოკიდებული მისი მოპოვების ხერხის გამოყენებაც.

პული მაინერების თანასაზოგადოებაა. დღეს კრიპტოვალუტას ინდივიდუალურად თითქმის აღარავინ მოიპოვებს. პულები ანაწილებენ გამოსათვლელ ამოცანებს მონაწილეებს შორის და ამით ამცირებენ შემთხვევითობებს ამ პროცესში. ამ შემთხვევაში ორიენტაცია კეთდება საკომისიო გადასახადის რაო-

---

3 მაინინგ პული - ეს არის კომპანია, რომლიც ერთმანეთთან აერთიანებენ მაინერების ჯგუფს და ამით კოორდინირებას უწევენ ყველა მომხმარებლის სიმძლავრეს. ათასობით მომხმარებელი ერთიანდება მაინინგ პულზე, რათა საერთო სიმძლავრე მიმართონ ბლოკის გამოსათვლელად, ხოლო გამოთვლის შემდეგ იღებენ ჯილდოს მათ მიერ პულისადმი. რაც უფრო დიდია პულის სიმძლავრე, მით მეტია გამომუშავებული კრიპტოვალუტა.

დენობაზე, მაინინგის პროგრამის სირთულეზე და თანასაზოგადოების წევრებზე გასამრჯელოს განაწილებაზე უნდა იქნეს მოძიებული მაინინგისთვის პროგრამული უზრუნველყოფა. უმეტეს შემთხვევაში პროგრამის მოძიება არ არის საჭირო, რადგან მისი მოწოდება ხდება პულის ან ღრუბლოვანი სერვისის მიერ. საკმარისია მხოლოდ მისი ინსტალაცია კომპიუტერზე.

უნდა იქნეს გაშვებული პროგრამული უზრუნველყოფა. კრიპტოვალუტის ინდივიდუალურ მაინერებს თვითონ უწევთ კომპიუტერის გაშვება.

მაინერის მიერ კრიპტოვალუტის მოპოვებისათვის გასამჯელოს გაანგარიშება წარმოებს ავტომატურად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა - აქვს თუ არა მომავალი კრიპტოვალუტის მაინინგს? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია. მოვიყვანოთ ცნობილი ექსპერტების პროგნოზები აღნიშნულ საკითხზე [17].

კიბერუსაფრთხოების პიონერის, ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის დამფუძნებლის - ჯონ მაკაფის (McAfee) აზრით, კრიპტოვალუტა ბიტკოინის შეჩერება არავის შეუძლია. იგი გავრცელდება ყველგან და ამიტომ მას მხარი უნდა აუბას მთელმა მსოფლიომ. იგი ამბობს, რომ 100 წლის წინათ ურთიერთანგარიშსწორებისთვის ქვეყნები იყენებდნენ ოქროს. მხოლოდ მე-20 საუკუნის შუანახევარში დაიწყეს ვალუტის მიბმა დოლართან. მოგვიანებით შემოიტანეს ისეთი ცნება, როგორიცაა „'"□—'" კურსი. ოქრომ შეცვალა სასაქონლო ბარტერი, ქაღალდის ფულმა შეცვალა ოქრო. სახელმწიფოთაშორის ვაჭრობის სწრაფი რეგულირების პროცესში ბიტკოინს შეუძლია შეცვალოს ქაღალდის ფული და შეიძლება გამოვიდეს „'†'„•"—□,□•'‡ სტანდარტისნ სახით. არაა აუცილებელი, რომ იგი აღიაროს მთელმა მსოფლიომ. საკმარისია იგი აღიაროს რამოდენიმე ლიდერმა სახელმწიფომ, რომლებსაც მიუერთდებიან მათთან დამოკიდებული სახელმწიფოები. ამის შემდეგ დოლარის თანაბრად დაიწყებენ ბიტკოინის და შესაძლოა სხვა ვალუტების გამოყენებას ფიქსირებული კურსით.

რატომ უნდა იყოს აღიარებული კრიპტო ვალუტების სტანდარტად საკუთრივ ბიტკოინი? იმიტომ, რომ ის იყო პირველი კრიპტოვალუტა მსოფლიოში. მისი მოპოვება ისევე რთულია, როგორც ოქროსი, მოიპოვება განსაზღრული რაოდენობით და მისი მოპოვებისათვის საჭიროა დიდი რაოდენობით ენერგია.

ამერიკელი ჰედჟ-ფონდის მენეჯერი და ინვესტორი ჯეიმს ალტუშერის აზრით,კრიპტოვალუტას შეუძლია ჩამოართვას სახელმწიფოს ფულის გამოშვების მონოპოლიის უფლება. ისევე, როგორც ინტერნეტმა ჩამოართვა კავშირგაბმულობის მონოპოლიის უფლება სატელეფონო ინდუსტრიას.

დღეისათვის ინვესტიციების ჩადება ძირითადად ხდება კრიპტოვალუტაში.

იბადება კითხვა: რა მოხდება მას შემდეგ, როდესაც ამოიწურება ცალკეული სახის კრიპტოვალუტის ემისიის რესურსი? სავარაუდოდ, გაგრძელდება მხოლოდ მისი მიმოქცევის პროცესი. არ არის გამორიცხული, რომ იგი გახდეს ფულის ერთადერთი ერთეული ქვეყანაში, რომლის დროსაც მას დაარეგულირებს მხოლოდ სახელმწიფო თავის განკარგულებაში არსებული ოქროს მარაგების შესაბამისად.

უახლოეს მომავალში კრიპტოვალუტის ბაზარზე, სავარაუდოდ, დარჩება მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ათეული სახის კრიპტოვალუტა. მაგ., ევროკავშირის ქვეყნებს ექნებათ კრიტოვალტის ერთი სახეობა, სხვა ქვეყანებს - მეორე და ა. შ., რაც კაცობრიობას, ალბათ, ერთიანი კრიპტოვალუტის მიმოქცევამდე მიიყვანს.

## ლიტერატურა:


1. Букия Г. Б., Сичинава Д. Ш. и др. Общегосударств. автоматизированные системы безналичного расчета. Сообщение АН ГССР, 1976, том 83, №3, ст. 117-123.
2. მაღრაძე მ., ელექტრონული ფული მსოფლიო ფული, ეკონომიკის აქტუალური პრობლემები. (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული). თსუ გამომცემლობა. 1998, ტ. 7, გვ. 87-90.
3. https://bit.ly/2OFtK6O
4. https://bit.ly/2LUvOr3
5. https://bit.ly/2McdUfg
6. https://bit.ly/2OJWtYh
7. https://bit.ly/2Ko51Sh
8. www.freesatoshi.hol.es
9. https://bit.ly/2AL5omk
10. https://bit.ly/2OB9wIA
11. https://bit.ly/2n4pMFm
12. https://bit.ly/2u2PxcR
13. https://bit.ly/2LOGEyI
14. https://bit.ly/2AB9VHO
15. https://bit.ly/2y3zTQz
16. https://bit.ly/2y3zTQz
17. https://bit.ly/2C0Ewxu

# Crypto-currency: current situation and prospects of development

***Demur Sichinava***
*Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

***Murtaz Magradze***
*Professor, Emeritus*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

Present article is dedicated to the issues connected with the terms and history of crypto-currency appearance, need to release this currency and to get the resources required for it, i.e. essence and the ways of its mining; also, the issues of legal provision of all this. The article analyzes the conditions of crypto-currency appearance and characterizes the current situation concerning its spread and use in the world. It is concluded that the process of crypto-currency creation is characterized with the tendency of growth and is an especially positive and good phenomenon for development of electronic money, which will definitely cause the need to pass to the world single crypto-currency.

Specially is studied the first and major form of crypto-currency – bitcoin, its characteristic features, condition of use and perspectives.

The article analyzes in details essence and the ways how to obtain the crypto-currency. The terms are studied on the basis of which in different countries of the world the use of crypto-currency is legally permitted, prohibited, or not allowed, but at the same time not regulated.

According to the authors, after the resources for crypto-currency emission are exhausted, the process of crypto-currency circulation will, presumably, continue. In their opinion, it is not excluded that it may become the only unit of money in the country and in such a case only the state will regulate it according to the gold reserves being at the disposal of the state.

The authors predict that in the nearest future only several tens of crypto-currency will remain at the crypto-currency market. For example, the countries of European Union (EU) will have one kind of the crypto-currency. Other countries will have another and so on. This will, probably, lead the mankind to the circulation of single crypto-currency.

***Key words:*** *crypto-currency; crypto-currency mining; pool; crane; prospects of crypto-currency development.*

# ჩათრევისა და გამოდევნის ეფექტი და მისი გავლენა ადგილობრივ ინვესტიციებზე

**დავით სიხარულიძე**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ*

*საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა ღია ეკონომიკით, სადაც 1996 წლიდან პუი-ების ნაკადები მოედინება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პუი-ებმა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, არსებობს უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელიც მის განსხვავებულ გავლენას ეხება, კერძოდ, ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევისა და გამოდევნის ეფექტს, რომელიც მიმღებ ქვეყანაში პუი-ების განხორციელების შედეგად ჩნდება. ამგვარად, კვლევის ძირითადი მიზანია პუი-ების მიერ ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევის და გამოდევნის პროცესისა და ხარისხის შესწავლა. კვლევის ემპირიული ანალიზი ძირითადად ეხება 1996-2016 წლებში პუი-ებსა და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის კავშირის დადგენას. კვლევის პროცესში გამოყენებული მონაცემები განისაზღვრება ისეთი ცვლადებით, როგორიცაა მთლიანი ინვესტიციები, პუი-ებისა და ადგილობრივი ინვესტიციების წილები მშპ-ში, მშპ-ის ზრდის ტემპი. ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით შევაფასეთ პუი-ების ადგილობრივ ინვესტიციებზე გავლენის გრძელვადიანი ეფექტი საქართველოში.*

*საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ეკონომიკური ზრდა; ჩათრევისა და გამოდევნის ეფექტი.*

განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით მულტი ნაციონალური საწარმოების ოპერაციების ზრდაზე მრავალმა მკვლევარმა და ანალიტიკოსმა გაამახვილა ყურადღება მიმღებ ქვეყანაზე მათი მოსალოდნელი დადებითი გავლენის გამო. პუი-ებსა და შიდა ინვესტიციებს შორის კავშირი დისკუსიის საგანია. მწვავე დებატები მიმდინარეობს განსაკუთრებით ერთ-ერთი მთავარი საკითხის გარშემო – რამდენად ჩაითრევს და გამოდევნის პუი-ები ადგილობრივ ინვესტიციებს. მეორე საკითხია ეკონომიკური ეფექტი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პუი-ების საშუალებით ახალი ან დიდი მოცულობის ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევამ.

პუი-ებს შეუძლია გავლენა იქონიოს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ქვეყნებს, რომლებმაც საბაზრო ეკონომიკის სწრაფი ფორმირების გზა აირჩიეს. საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა ღია ეკონომიკით, სადაც 1996 წლიდან პუი-ების ნაკადები მოედინება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პუი-ებმა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, არსებობს უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელიც მის განსხვავებულ გავლენას ეხება, კერძოდ, ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევისა და გამოდევნის ეფექტს, რომელიც მიმღებ ქვეყანაში პუი-ების განხორციელების შედეგად ჩნდება.

ამგვარად, კვლევის ძირითადი მიზანია პუი-ების მიერ ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევის და გამოდევნის პროცესისა და ხარისხის შესწავლა. კვლევის ემპირიული ანალიზი ძირითადად ეხება 1996-2016 წლებში პუი-ებსა და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის კავშირის დადგენას. კვლევის პროცესში გამოყენებული მონაცემები განისაზღვრება ისეთი ცვლადებით, როგორიცაა მთლიანი ინვესტიციები, პუი-ებისა და ადგილობრივი ინვესტიციების წილები მშპ-ში, მშპ-ის ზრდის ტემპი. ჩვენი მიზანია ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით ვაჩვენოთ პუი-ების ადგილობრივ ინვესტიციებზე გავლენის გრძელვადიანი ეფექტი საქართველოში.

მრავალ თეორიასა და ემპირიულ კვლევებში ინვესტიციები განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფუნდამენტური ცვლადი [1]. პუი-ებს კი ადგილობრივ ინვესტიციებთან შედარებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკური ზრდაში [4, გვ. 149-162]. მოცემულ კვლევებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პუი-ების გავლენის შეფასება ადგილობრივ ინვესტიციებზე.

ნეოკლასიკური თეორიების [11, გვ.65-94] მიხედვით, ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა კაპიტალის აკუმულაცია ერთ მუშაკზე კაპიტალის მოცულობის ოპტიმალური დონემდე (თუმცა, თანხვედრა შესაძლოა ძალიან დიდხანს გაგრძელდეს). პერსპექტივაში ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ძირითადი დეტერმინანტია, ხოლო საერთაშორისო კაპიტალის ნაკადებს, კერძოდ, პუი-ებს შეუძლია, წარმატებულად შეავსოს ადგილობრივი კაპიტალის მიწოდება და ამით უზრუნველყოს ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების დაფინანსება. გარდა ამისა, პუი-ების გავლენა მთლიან ინვესტიციებზე დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, კერძოდ, მიმღები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც მოიცავს პოლიტიკას პუი-ებთან მიმართებით, ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო კლიმატზე. პუი-ებს შეუძლია უზრუნველყოს მიმღები ქვეყა-

ნა საქონლისა და მომსახურების ფართო არჩევანით, ასევე, უბიძგებს ადგილობრივ ფირმებს გახდნენ მეტად კონკურენტუნარიანები ტექნოლოგიების გადაცემის საშუალებით, რაც, თავის მხრივ, ჩვეულებრივ ზრდის მთლიან ფიქსირებულ კაპიტალს. სხვა მხრივ, პუი-ები ამცირებს საინვესტიციო შესაძლებლობებს ადგილობრივი ინვესტორებისათვის იმ სექტორებში, სადაც სამამულო ფირმებს უჭირთ კონკურენციის გაწევა.

ამგვარად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე პუი-ების გავლენის შესაფასებლად საჭიროა, შევისწავლოთ მულტინაციონალური საწარმოების საქმიანობის გავლენა ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევის თუ გამოდევნის კუთხით.

პუი-ების ერთ-ერთი საინტერესო თვისებაა შიგა ინვესტიციების ,,ჩათრევის" დიდი შესაძლებლობა. განასხვავებენ პუი-ებსა და შიდა ინვესტიციებს შორის ურთიერთქმედების ორ ძირითად მექანიზმს. სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციის სტიმულირებისა და მიმღებ ქვეყანაში ტექნოლოგიური ეფექტიანობის გადიდების საშუალებით მულტინაციონალურ საწარმოებს შეუძლიათ შიგა ფირმების გააქტიურება. [13], [1. გვ.149-162] არსებობს ადგილობრივ ინვესტიციებზე პუი-ების გავლენის სამი შესაძლო მეთოდი: ჩათრევის ეფექტი, გამოდევნის ეფექტი და ნეიტრალური ეფექტი.

პირველი მექანიზმი ეხება სასაქონლო ბაზარზე ურთიერთქმედებას, როდესაც უცხოური ფილიალები ითვისებენ შიგა ბაზრის მოთხოვნის გარკვეულ ნაწილს პირდაპირი კონკურენციის მეშვეობით. შესაბამისად, ადგილობრივი ფირმების მოგება შესაძლოა შემცირდეს, რადგან მულტინაციონალური საწარმოები იტაცებენ მათ საბაზრო წილს. მოგების სერიოზული დანაკარგის შემთხვევაში, ადგილობრივი ფირმები იძულებულნი არიან, შეწყვიტონ ბაზარზე ფუნქციონირება, რასაც მოჰყვება ქვეყნის კეთილდღეობის შემცირება [9, გვ, 80-92]. ასეთ შემთხვევებში, ამგვარი სახის პუი-ების წვლილი მთლიანი კაპიტალის ფორმირებაში შესაძლოა იყო მცირე, ვიდრე თავად პუი-ების ნაკადები. გამოდევნის ეფექტი გამოვლინდა ლათინური ამერიკის ქვეყნებსა [1, გვ.142-169] და ბელგიაში [5, გვ. 67-84], რამაც საეჭვო გახადა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა თეორია, რაც ამტკიცებს იმ ხედვას, რომ პუი-ების ნაკადების შემოდინება განვითარებად სამყაროში ასოცირდება მთლიანი კაპიტალის ფორმირებასთან. ჩათრევის ეფექტის შემთხვევაში კი პუი-ები ავსებენ ადგილობრივ ინვესტიციებს მიმღებ ქვეყანაში [14, გვ.371-372]. თუ ადგილობრივ ფირმებს გააჩნიათ კონკურენტული უპირატესობა, მთლიანი წმინდა ეფექტი კაპიტალის აკუმულაციაზე შეიძლება დადებითი იყოს. საკმარისად კონკურენტუნარიანმა სამამულო ფირმებმა შესაძლოა, უპასუხონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემოდინებას თავიანთი კაპიტალის მოცულობის ზრდით და საწარმოო სიმძლავრეების მოდერნიზებით [6, გვ. 133-151]. შემომავალ პუი-ებს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს ნეიტრალური ეფექტი ადგილობრივ ინვესტიციებზე, თუ ის ერთი ერთზე გაზრდის მთლიან ინვესტიციებს მიმღებ ქვეყანაში [12, გვ. 76-83].

მეორე მექანიზმი დაკავშირებულია ფინანსურ ბაზართან, როდესაც უცხოელი ინვესტორი აფინანსებს პროექტს მიმღები ქვეყნის ფინანსური ბაზრებიდან სესხის აღებით. შეზღუდული რესურსების პირობებში ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი იზრდება, რაც სესხის აღებას არახელსაყრელს ხდის ზოგიერთი ადგილობრივი ფირმისათვის. ამის საპირისპიროდ, პუი-ებმა შეიძლება, უზრუნველყონ წვდომა ფინანსურ რესურსებზე ადგილობრივი ფირმებისათვის, რადგან კაპიტალის ნაკადები, პუი-ები ზრდის ადგილობრივ ფინანსურ რესურსებს, რაც ხელსაყრელად აისახება გაცვლითი კურსის გამყარებაზე და ამცირებს საპროცენტო განაკვეთს [8, გვ. 269-301]. ამგვარად, ადგილობრივი ფირმები ირიბად სარგებლობენ ფინანსებზე წვდომით საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად.

ემპირიული მოდელი ეფუძნება მარტივ თეორიულ სტრუქტურას, რაც ფართოდ გამოიყენება ამ ლიტერატურაში პუი-ებისა და კერძო ადგილობრივი ინვესტიციების დასაკავშირებლად [2; 7]. მოდელი იწყება ინვესტიციის ფუნქციის იდენტიფიცირებით, რომელიც მოიცავს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდებულ პუი-ების ნაკადებს და წვლილი შეაქვს მთლიანი კაპიტალის ფორმირებაში.

$$I_t \cong I_{d,t} + I_{f,t} \quad (1),$$

სადაც $I_t$, $I_{d,t}$ და $I_{f,t}$ მთლიანი ინვესტიციები, სამამულო და უცხოური ინვესტიციებია,

$I_{f,t}$ - პუი-ების ფუნქცია ამ მოდელში. პრაქტიკულად, პუი-ების შემოდინება დაუყოვნებლივ არ გარდაიქმნება რეალურ ინვესტიციებად. მაშასადამე, ორწლიანი დროითი ლაგი საშუალებას აძლევს პუი-ებს გარდაიქმნას რეალურ ინვესტიციებად. ამგვარად;

$$I_{f,t} = a_0 F_t + a_1 F_{t-1} + a_2 F_{t-2} \quad (2)$$

მიმღები ქვეყნის თვალთახედვიდან გამომდინარე, პუი-ები შეიძლება იყოს მიჩნეული, როგორც ეგზოგენური ცვლადი, რომელიც დამოკიდებულია გლობალურ ეკონომიკაზე.

შიდა ინვესტიციების მოდელირება ხდება, როგორც კაპიტალის ცვლადი განსაზღვრული სასურველი და რეალური კაპიტალის სხვაობით [10, გვ. 107-143]. შესაბამისად, შიდა ინვესტიციების მოდელი ფორმალურად შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

$$I_{d,t} = \lambda(K_{d,t}^{*} - K_{d,t}) \quad (3)$$

სადაც $K_{d,t}^{*}$ არის ადგილობრივი ინვესტორების მიერ განხორციელებული კაპიტალის სასურველი მოცულობა და $\lambda$ კოეფიციენტი გვიჩვენებს კაპიტალის არსებული მოცულობის ოპტიმალურთან მიახლოების სიჩქარეს $\lambda > 1$.

მოცემულ მოდელში სასურველი კაპიტალის სიდიდე ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცვლადის ფუნქციაა. კერძოდ, ეკონომიკაში მოსალოდნელი ზრდის - $G_t^e$ -ს, და ფაქტობრივ და პოტენციურ შემოსავალს შორის სხვაობას $y_t$ . ამგვარად, კაპიტალის სიდიდე ფორმალურად შემდეგნაირად გამოისახება:

$$K_{d,t}^{*} = \phi_0 + \phi_1 G_t^e + \phi_2 y_t \quad (4)$$

$$\phi_{1,}\phi_2 > 0$$

განვიხილოთ მოდელის უკანასკნელი კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის მოცულობის ცვლილების ტოლობას:

$$K_{d,t} = (1-d)K_{d,t-1} + I_{d,t-1} \quad (5)$$

სადაც, $d$ - არის ყოველწლიური ცვეთის ნორმა. მე-3 და მე-5 ტოლობის გაერთიანებით შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$K_{d,t}^{*} = \phi_0' + \phi_1' G_t^e + \phi_2' y + \lambda I_{d,t-1} + \lambda' I_{d,t-2} \quad (6)$$

სადაც,

$$\phi_0' = \phi_0 + \lambda^2 (1-d)^2 K_{d,t-2}$$

$$\phi_1' = \lambda \phi_1$$

$$\phi_2' = \lambda \phi_2$$

$$\lambda' = \lambda^2 (1-d)$$

ახალ კი შეგვიძლია მთლიანი ინვესტიციის მოდელის გარდაქმნა (1)-ელ ტოლობაში მე-(6) და მე-(2) ტოლობის ჩანაცვლებით და მივიღებთ შემდეგ მოდელს:

$$K_{d,t}^{*} = \phi_0' + \phi_1' G_t^e + \phi_2' y + \psi_0 F_t + \psi_1' F_{t-1} + \psi_2' F_{t-2} + + \lambda I_{d,t-1} + \lambda' I_{d,t-2} \quad (7)$$

სადაც,

$$\psi_1' = \psi_1 - \lambda$$

$$\psi_2' = \left[\psi_2 - \lambda^2 (1-d)\right]$$

თუ მოლოდინი რაციონალურია, მოსალოდნელი ზრდა ფაქტობრივი ზრდისგან სისტემატურად არ უნდა გადაიხაროს. ამ შემთხვევაში, $G_t^e = G_t$ . ალტერნატივა არის ადაპტიური მოლოდინი, როგორიცაა:

$$G_t^e = \eta_1 G_{t-1} + \eta_2 G_{t-2} \quad (8)$$

## ადგილობრივ ინვესტიციებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის ტესტირება (საქართველოს მაგალითზე)

მე-7 და მე-8 ტოლობის დამატებით მიიღება მთლიანი ინვესტიციების მოდელი (9). ამ მოდელით ხორციელდება რეგრესული ანალიზი საქართველოს ეკონომიკისთვის.

$$I_{i,t} = \alpha_i + \beta_{1.i} F_{i,t} + \beta_{2.i} F_{i,t-1} + \beta_{3,i} F_{i,t-2} + \beta_4 I_{i,t-1} + \beta_5 I_{i,t-2} + \beta_6 G_{i,t-1} + \beta_7 G_{i,t-2} + \varepsilon_{i,t} \quad (9)$$

სადაც $I_{i,t}$ არის მთლიანი ინვესტიციის თანაფარდობა/რეალური მშპ-თან; $F$ არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაფარდობა/რეალური მშპ-თან; G - მშპ-ს ზრდის ტემპი; $a$ - კონსტანტა; $\beta$ პარამეტრის კოეფიციენტებია და $\varepsilon$ შემთხვევითი სიდიდე. სამამულო ინვესტიციებზე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ჩანაცვლების გავლენა გრძელვადიან პერიოდში შემდეგნაირად გაიანგარიშება:

$$\widehat{\beta}_{LT} = \frac{\sum_{j=1}^{3} \widehat{\beta}_j}{1 - \sum_{j=4}^{5} \widehat{\beta}} \quad (10)$$

ჩათრევის და გამოდევნის ეფექტი დამოკიდებულია $\widehat{\beta}_{LT}$-ს მოცულობასა და მნიშვნელობაზე. უალდის ტესტის მიხედვით, $\widehat{\beta}_{LT}$-ს მნიშვნელობის გამოთვლით, შესაძლოა სამი შედეგის მიღება:

ა. $\chi^2$ კვადრატის ცხრილის გამოყენებით, თუ არ შეიძლება ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა, სადაც $\widehat{\beta}_{LT} = 1$, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში შემოდინებული პუი-ების ნაკადები ყოველ ერთ დოლარზე ერთი დოლარით იზრდება;

ბ. თუ $\widehat{\beta}_{LT} > 1$, ნიშნავს, რომ საქართველოში შემოსული პუი-ების მოცულობის ყოველი ერთი დოლარი ერთ დოლარზე მეტი თანხით გაიზრდება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ითქვას, რომ პუი-ებს აქვს ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევის შესაძლებლობა;

გ. თუ $\widehat{\beta}_{LT} < 1$, ნიშნავს, რომ საქართველოში შემოსული პუი-ების ყოველი ერთი დოლარი ერთ დოლარზე ნაკლები თანხით გაიზრდება, რაც ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტზე მეტყველებს.

## მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგი

პუი-ების ჩათრევისა და გამოდევნის გავლენის გამოსათვლელად ადგილობრივ ინვესტიციებზე გამოიყენება მსოფლიო ბანკის, UNCTAD-ისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. აგოსინისა და მეიორის მიერ შემუშავებული მოდელი გამოყენებულია პუი-ების ადგილობრივ ინვესტიციებზე გავლენის შესაფასებლად, ამიტომ რეგრესული განტოლება ამოიხსნა უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა (9) ტოლობას, რომლის საშუალებით ვღებულობთ $\beta_i$ კოეფიციენტს. რეგრესული ანალიზი განხორციელდა მთლიანი ეკონომიკისათვის, რომლის მოსალოდნელი დიაგნოსტიკური შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 1-ში.

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მოდელი შესაბამისია და უზრუნველყოფს მისაღებ შედეგებს. F სტატისტიკა მნიშვნელოვანია, რაც ნიშნავს, რომ მოდელს გააჩნია პროგნოზირების ძლიერი ძალა. მაღალი $R^2$ კი ცვლადებს შორის დამოკიდებულების მაღალ მნიშვნელობაზე მეტყველებს, რაც უფრო მეტად დამახასიათებელია მოდელისთვის, ვიდრე საპროგნოზო ცდომილებისათვის.

*ინვესტიციების მოდელის ანალიზი 1996-2016 წლების მონაცემების გამოყენებით (უმცირესი კვადრატების მეთოდი; დამოკიდებული ცვლადი: I)*

*ცხრილი 1*

| **Equation** | **Obs** | **Parms** | **RMSE** | **R-sq** | **chi2** | **P** |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **16** | **7** | **1.49894** | **0.9222** | **189.75** | **0.0000** |
| მთლიანი ინვესტიციები | **Coef.** | **Std. err** | **z** | **P>\|z\|** | **[95% Conf. Interval]** | |
| **FDI_GDP** | | | | | | |
| **F** | 1.113261 | 0,174295 | 6,39 | 0,000 | 0,77165 | 1,454872 |
| **F(-1)** | 0.0901913 | 0,203134 | 0,44 | 0,657 | -0,30794 | 0,488327 |
| **F(-2)** | -0,69526 | 0,145578 | -4,78 | 0,000 | -0,98058 | -0,40993 |
| | | | | | | |
| **I_GDP** | | | | | | |
| **I (-1)** | 0,318668 | 0,113961 | 2,80 | 0,005 | 0,095308 | 0,542028 |
| **I (-2)** | -0,04906 | 0,124217 | -0,39 | 0,693 | -0,29252 | 0,194405 |
| | | | | | | |
| **GDP_growth** | | | | | | |
| **G (-1)** | -0,21986 | 0,190074 | -1,16 | 0,247 | -0,592397 | 0,1526795 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **G (-2)** | 0,073951 | 0,125702 | 0,59 | 0,556 | -0,172420 | 0,320323 |
| | | | | | | |
| **_cons** | 21,39741 | 2,189709 | 9,77 | 0,000 | 17,10566 | 25,68916 |

როგორ აიხსნება შედეგი, როდესაც $\widehat{\beta}_{LT} \neq 1$? როგორც აღვნიშნეთ, თუ ტოლობა შენარჩუნებულია, მულტინაციონალური საწარმოების მიერ განხორციელებული ინვესტიცია ერთი ერთზეა სამამულო ინვესტიციებთან და პუი-ები გავლენას არ ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. თუ პუი-ების გრძელვადიანი ეფექტი არის ადგილობრივი ინვესტიციების ჩათრევა, მაშინ მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გრძელვადიან პერიოდში დადებითია. გამოდევნის ეფექტის შემთხვევაში პუი-ებს უარყოფითი გავლენა აქვს ინვესტიციებზე გრძელვადიან პერიოდში. უალდის ტესტის რეგრესული მოდელის კოეფიციენტის შედეგები მე-2 ცხრილშია ნაჩვენები.

*პუი-ების გავლენა ადგილობრივ ინვესტიციებზე*

*ცხრილი 2*

| | პუი-ების მთლიან ინვესტიციებთან დამაკავშირებელი გრძელვადიანი კოეფიციენტი | გრძელვადიანი ეფექტი |
|---|---|---|
| საქართველოს ეკონომიკა | 0,2 | CO |

ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ $\widehat{\beta}_{LT}$ ნაკლებია ერთზე. კოეფიციენტის მოცულობა ნეგატიურია (0,2), რაც გულისხმობს პუი-ების ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის გრძელვადიან ეფექტს.

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ პუი-ებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმირებასა და ეკონომიკურ ზრდაში, გრძელვადიან პერიოდში მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ნაკლებად მდგრადია. მულტინაციონალური საწარმოები სუსტად არიან ინტეგრირებული ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა თუ სექტორებში. ადგილობრივ ფირმებთან კავშირი სუსტია, რაც აიხსნება ადგილობრივი ფირმების დაბალი კონკურენტუნარიანობით. სამამულო ფირმები სათანადო კონკურენციას ვერ უწევენ უცხოელ კონკურენტებს. ადგილობრივი ფირმების დაბალი კომპეტენციის გამო უცხოურ ფირმებს უჭირთ მათთან მდგრადი პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება. საკუთრების უპირატესობა, რომელიც უცხოურ ფირმას გააჩნია, ხელმისაწვდომი არ არის ადგილობრივი ფირმებისათვის. ის ადგილობრივ ფილიალს სათავო ოფისიდან გადაეცემა და განისაზღვრება ინვესტირების მოტივაციით, რაც, თავის მხრივ, განისაზღვრება მიმღები ქვეყნისა და (საქართველოს) დარგის მახასიათებლებით (იხ. სქემა)




*ჩათრევისა და გამოდევნის სქემა საქართველოს მაგალითზე1*

[1] ავტორის მიერ ადაპტირებული

Oh = მიმღები ქვეყნების საკუთრების სპეციფიკური უპირატესობა

Of = უცხოური ფირმების საკუთრების სპეციფიკური უპირატესობა

Lh = მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობის სპეციფიკური უპირატესობა

If = უცხოური ფილიალის ინტერნალიზაციის სპეციფიკური უპირატესობა

Ih = მიმღები ქვეყნის ინტერნალიზაციის სპეციფიკური უპირტესობა

FDIns = ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი

FDIms ბაზრის მაძიებელი პუი

რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოში? შეზღუდული ადგილმდებარეობის უპირატესობის გამო უცხოური ფირმების ფილიალების საკუთრების უპირატესობა ინტერნალიზებულია. პუი-ების მოტივაციები, უპირატესად, ბაზრისა და ბუნებრივი რესურსების მაძიებელია. ადგილობრივ დარგებთან პირდაპირი კავშირები სუსტია და, შესაბამისად, სახეზეა, ძირითადად, ანკლავური პოზიცია. საკუთრების უპირატესობის განახლებით სარგებელს იღებს უცხოური ფილიალი. შესაბამისად, უმჯობესდება უცხოური ფილიალის სპეციფიკური უპირატესობა და ადგილი აქვს გამოდევნის ეფექტს.

## ლიტერატურა:


1. Agosin Manuel, M. R. (2005). Foreign Investment în Developing Countries: Does it Crowd in Domestic Investment? *Taylor and Francis Journals, vol. 33(2)*, pp. 149-162.
2. Agosin, M. R. (2000). Formeign Investment in developing countries, Does it crowd in domestic investment? . *INCTAD.*
3. Agosin, M. R. (2000). Foreign investment developing countries Does it Crowd in Domestic Investment? *United Nations (UN) Conference on Trade and Development.* Retrieved from http://unctad.org/en/docs/dp_146.en.pdf
4. Borensztein, E. D.-W. (1998). How Does Foreign Direct Investment Affect Economic Growth? *Journal of International Economics, 45*, 115-135. Retrieved from http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0022199697000330
5. De Backer, K. &. (2003). Does foreign direct investment crowd out domestic entrepreneurship? *Review of Industrial Organization, 22(1)*, 67-84.
6. De Mello, L. (1999). Foreign direct investment- led growth: evidence from time series and panel data. *Oxford Economic Papers, 51(1)*, 133–151.
7. Fry, M. (1993). Foreign Direct Investment in a Macroeconomic Framework: Finance, Efficiency, Incentives and Distortions. *Policy Research Working Paper, No. 1141*. Retrieved from http://www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/1993/05/01/000009265_3961004180626/Rendered/PDF/multi0page.pdf
8. Harrison, A. E. (2004). Global capital flows and financing constraints. *Journal of Development Economics, 75*, 269-301.
9. Leahy, D. &. (2000). The Economic Journal. *110 (462)*, 80-92.
10. Rama, M. (1993). Empirical investment equations for developing countries. pp. pp 107-143.
11. Solow, R. M. (1956). A contribution to the theory of economic growth. *Quarterly, 70*, 65-94.
12. Titarenko, D. (2006). The influence of foreign direct investment on domestic investment processes in Latvia. *7*, 76-83.
13. UNCTAD. (1999). Development, Foreign Direct Investment and the Challenge of of Development. Geneva.
14. Wang, M. (2010). Foreign direct investment and domestic investment in the host country: evidence from panel study. *Applied Economics, 42(29)*, 371-372.


## The Impact of Crowds in or Crowds out on the Domestic Investment


***David Sikharulidze***

*Doctorate in Economics*
*Associate professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

The growth of Multinational Enterprises (MNEs) activities through Foreign Direct Investments (FDI) in developed and developing countries have largely attracted the attention of policy makers because of the expected positive impacts they may have on receiving countries. But the relationship between foreign direct investment (FDI) and domestic investment is a controversial issue in the economic literature. One of the main debates is whether FDI crowds

in or crowds out domestic investment. On one hand, by creating spillover effects, FDI may lead to new or higher amounts of domestic investment where it would not be possible in the absence of FDI, thus have a “crowding in” effect. On the other hand, due to the loss of competitiveness of the domestic firms FDI carries a risk of crowding-out for domestic investment. An attempt has been made in this paper to check the process and extent of crowding-in and crowding-out impacts of FDI in Georgia. In this paper, the relationship between FDI and domestic investment in Georgia will be explored for the post1990 period. The data used for FDI and domestic investment are inward FDI flows to the country and gross capital formation, respectively. The results of econometric analysis of the total investment model presented in this paper show the evidence of crowding out long-term effect of FDI on investment in Georgia.

***Key words:*** *Foreign direct investment; Economic growth; Crowding in and Crowding out effects.*

# Управление интеллектуальной собственностью в условиях глобальных технологических сдвигов

**Соболева Т.А.,**
*к.э.н., доцент кафедры менеджмента,*
*ГВУЗ «Киевский национальный экономический университет имени Вадима Гетьмана»,*

**Соболева Е.О.,**
*студентка факультета социологии, III курс,*
*Киевский национальный университет имени Т.Г. Шевченко*

Развитие и конкурентоспособность компаний, и как следствие, национальных экономик, находится под постоянным воздействием сдвигов, происходящих в мировой экономике, политических процессах, экологической и климатической динамике, замещении и доминировании научно-технологических парадигм. Причем, последний, научно-технологический фактор, в последние десятилетия формирует абсолютно новый вектор развития целых отраслей и наук, которые, в свою очередь, кардинально трансформируют ключевые факторы конкурентоспособности, выводя на первый план разработку и активное внедрение инноваций, основное место среди которых отведено именно радикальным инновациям. Толчком возникновению и уже заметному распространению радикальных инноваций служат новые экспоненциальные[1] технологии, приводящие к возникновению и исчезновению огромных корпораций и целых отраслей.

**Глобальные технологические сдвиги в современной экономике.** Примером таких кардинальных изменений служит история компании Kodak. В 1998 году эта компания производила 85% фотобумаги в мире и насчитывала 170 тыс. сотрудников, а через три года цифровые камеры уже вытеснили компанию с рынка, и она обанкротилась [1].Помимо цифровых технологий, к экспоненциальным относят искусственный интеллект, нанотехнологии, трехмерную печать, виртуальную реальность, электромобили, а также самоуправляемые автомобили и некоторые другие. Указанные технологии меняют или заметно изменят нашу жизньуже в ближайшие 5-10 лет. Программное компьютерное обеспечение радикально меняет архитектуру и логику осуществления бизнес-процессов. Uberявляется крупнейшей компанией такси в мире, при этом является практически компьютерной программой и физически не владеет машинами, осуществляющими перевозки. Автомобильная отрасль также будет претерпевать кардинальные изменения. Помимо электромобилей, получит распространение автономный (самопилотируемый) транспорт, который решит проблему содержания собственных автомобилей, поскольку затраты на покупку, обслуживание, заправку или зарядку, парковку станут нецелесообразными, учитывая факт, что большинство собственников часто используют свои машины не более 15% времени суток.

Одним из объединяющих эти технологии свойств является их высокая наукоемкость, возникающая в результате высокоинтеллектуального труда исследователей и ученых. Создаваемые при этом объекты интеллектуальной собственности (ИС) обеспечивают подавляющую долю добавленной стоимости новой продукции и капитализации компаний. Среди таких объектов наибольшее значение имеют изобретения, промышленные образцы, торговые марки и бренды. В среднем интеллектуальная собственность может формировать от 40 до 80% стоимости компании. О ценности такого интеллектуального актива компании как бренд говорит его стоимость у самых дорогих компаний мира (таблица 1) [2]. Показательным, на наш взгляд, является наличие и доминирование в топе рейтинга (по версии компании Forbes) высокотехнологичных компаний, большинству из которых дали толчок развития именно экспоненциальные технологии. О влиянии и важности инновационной деятельности в построении успешного бизнеса говорит сопоставление рейтингов самых дорогих мировых брендов и самых инновационных компаний мира по версии одной из четырех всемирно известных консалтинговых компаний BCG (TheBostonConsultingGroup) (таблица 2) [3].

---

[1] Технологии, развивающиеся по экспоненциальной траектории, то есть очень быстро накапливающие знания и оказывающие усиливающееся влияние на социальные и экономические процессы в обществе

*Таблица 1*

***Стоимость 10 топ-брендов мира и ее динамика за 2016-2017 гг.***

| 2017 | Рейтинг Forbes самых дорогих брендов | Стоимость бренда, млрд. дол. США | Изменение стоимости к 2016 г., % |
|---|---|---|---|
| 1 | APPLE | 184,154 | +3% |
| 2 | GOOGLE | 141,703 | +6% |
| 3 | MICROSOFT | 79,999 | +10% |
| 4 | COCA-COLA | 69,733 | - 5% |
| 5 | AMAZON | 64,796 | +29% |
| 6 | SAMSUNG | 56,249 | +9% |
| 7 | TOYOTA | 50,291 | +6% |
| 8 | FACEBOOK | 48,188 | +48% |
| 9 | MERCEDES | 47,829 | +10% |
| 10 | IBM | 46,829 | -11% |

*Таблица 2*

***Сопоставление рейтингов самых инновационных компаний с самыми дорогими брендами***

| 2017 | Рейтинг Forbes самых дорогих брендов | Рейтинг BCG самых инновационных компаний |
|---|---|---|
| 1 | APPLE | APPLE |
| 2 | GOOGLE | GOOGLE |
| 3 | MICROSOFT | MICROSOFT |
| 4 | COCA-COLA | AMAZON |
| 5 | AMAZON | SAMSUNG |
| 6 | SAMSUNG | TESLA MOTORS |
| 7 | TOYOTA | FACEBOOK |
| 8 | FACEBOOK | IBM |
| 9 | MERCEDES | UBER |
| 10 | IBM | ALIBABA |

Дублирование в указанных рейтингах наименований многих компаний, на наш взгляд, подтверждает взаимосвязь и ключевую роль в росте компаний именно активных разработок и внедрения инноваций. Принадлежность указанных компаний к новым быстроразвивающимся отраслям и технологиям демонстрирует направление изменений в технологических трендах и формировании новой парадигмы развития общества. Одиннадцать из пятидесяти компаний этого рейтингаизначально строили свой бизнес на цифровых технологиях, в этом году в этот рейтинг вошли еще две такие компании – китайская AlibabaGroup и Uber. Технологические изменения особенно заметны в сравнении с рейтингом брендов компаний, добившихся

максимальной стоимости, например, в 2009 году (таблица 3) [2]. Как видно из таблицы, большинство компаний указанного рейтинга построили бизнес в традиционных отраслях, в том числе четыре из которых - в нефтедобывающей промышленности. Все эти компании были вытеснены из этого рейтинга инновационными компаниями, работающими в сфере цифровых технологий, нанотехнологий и искусственного интеллекта.

*Таблица 3*

*Топ-10 самых дорогих брендов в 2009 году (для сравнения)*

| N | Компания | Сфера деятельности: |
|---|---|---|
| 1 | General Electric | конгломерат (США) |
| 2 | Royal Dutch Shell | операции с газом и нефтью(Великобритания) |
| 3 | Toyota Motor | автомобилестроение (Япония) |
| 3 | ExxonMobi | операции с газом и нефтью (США) |
| 5 | British Petroleum (BP) | операции с газом и нефтью(Великобритания) |
| 6 | HSBC Holding | *банковские услуги*(Великобритания) |
| 7 | AT&T | телекоммуникации (США) |
| 8 | Wal-Mart | ритейл (США) |
| 9 | Banco Santander | *банковские услуги* (Испания) |
| 9[1] | Chevron | операции с газом и нефтью (США) |

**Интеллектуальная собственность как индикатор инновационной активности**. Как отмечалось выше, интеллектуальная собственность является источником и основным активом инновационных технологий. Изменения и динамика показателей в этой сфере находятся в непосредственной взаимосвязи с глобальными экономическими трендами [4]. Одновременно динамика показателей в сфере интеллектуальной собственности является индикатором технологических глобальных изменений, выявляя технологии и отрасли, в которых происходят активные процессы патентования, указывая таким образом, на наиболее динамичные и быстрорастущие технологические тренды (рисунок 1) [5]. Так, на рисунке представлена динамика количества поданных заявок на патенты в мире по технологиям, демонстрирующим высокие темпы роста таких заявок за последнее десятилетие. В перечень с такими технологиями попали отрасли по производству электрооборудования и энергии (темп роста 7%), диджитал коммуникации (8,7%), измерительные приборы (7,3%), химия базовых материалов (7,7%), микро-структурные и нанотехнологии (8,2%), приборостроение (7,8%). Не отображены на рисунке такие активно патентуемые технологические сферы, как ИТ (информационные технологии) в сфере менеджмента (8,8%), компьютерные технологии (5,9%), продуктовая химия (10,9%), технологии по защите окружающей среды (7,5%).

Помимо позитивной динамики за последние 10 лет, на рисунке видно, что наибольшее количество заявок было подано для патентования электрооборудования и результатов разработки разных источников энергии. Использование солнечной энергии росло по экспоненте последние 30 лет. Количество солнечных электростанций в мире уже превысило количество станций, работающих на горючих материалах [1].

[1]Указанные компании разделили 9 место




*Рис.1. Динамика количества поданных патентных заявок в мире в разрезе технологий*

Меньшее количество заявок, но при активном увеличении их количества, подано на изобретения в сфере нанотехнологий, что скорее всего можно объяснить пока еще недостаточно накопленной базой знаний (в том числе и очень дорогостоящими оборудованием и материалами) для технологического прорыва в использовании наноматериалов.

Структура поданных заявок на регистрацию объектов интеллектуальной собственности отдельного государства свидетельствует об инновационной активности компаний на национальном рынке, в том числе, можно делать выводы о том, в каких сферах она проявляется. Так, большое количество заявок на патентование изобретений свидетельствует о серьезных исследованиях, проводимых для получения таких научных результатов. Одновременно, важным является также распределение заявок между резидентами и нерезидентами соответствующей страны, поскольку именно заявители на патент являются собственниками и разработчиками изобретений. Поэтому, если большой удельный вес в поданных заявках занимают нерезиденты, - это свидетельствует не об активных инновационных процессах в экономике страны, а скорее всего, о предстоящем импорте высокотехнологической продукции иностранными компаниями. Активная регистрация торговых марок свидетельствует об активных рыночных процессах и расширении ассортимента выводимой для продажи продукции. С точки зрения инновационной активности, рост количества регистрируемых торговых марок свидетельствует об активной реализации продуктовых, при этом чаще всего улучшающих, а не радикальных, инноваций. Так, динамика за последние десять лет регистрируемых объектов интеллектуальной собственности в Грузии демонстрирует заметное доминирование заявок на регистрацию торговых марок, причем их количество за последний анализируемый год увеличилось более, чем на 50% (рисунок 2) [6]. Небольшое количество регистраций торговых марок осуществлялось по Мадридской системе (в основном в 2017 году), то есть по международной процедуре. Преимущественно международную регистрацию инициировали производители вина (GEORGIAN WINE HOUSE LLC - 4 заявки, KAKHETIAN TRADITIONAL WINEMAKING LLC – 2 заявки). Всего в 2017 г. было зарегистрировано по Мадридской системе 17 торговых марок. В то же время, количество заявок на получение патентов следует спадающему тренду, сократившись с 273 заявок в 2007 г. до 117 в 2016 г., заявки на регистрацию промышленных образцов за этот период колеблются в диапазоне в среднем от 100 до 200 в год.




*Рис.2. Динамика поданных заявок на регистрацию объектов интеллектуальной собственности в Грузии за период 2007-2016 гг.*

**Управление интеллектуальной собственностью.** Таким образом, исходя из вышеизложенного, можно сделать вывод, что в условиях ускоряющегося развития новых высокотехнологичных отраслей и их усиливающегося влияния на конфигурацию и особенности успешных рыночных бизнес-моделей важным условием развития любойкомпании является эффективное создание и управление ее интеллектуальной собственностью.

Причем, важным является понимание, что интеллектуальную собственность необходимо не только создавать и накапливать, - ею необходимо именно управлять. Это важно по нескольким причинам, среди которых основными можно назвать следующие: во-первых, управление обеспечивает осуществление обязательного учета и аудита ИС компании с целью максимизации ее коммерческой эффективности. Во-вторых, приводит к использованию нематериальных активов, которые принадлежат компании, но не используются. В-третьих, приводит к лучшему пониманию рынка и рыночной стоимости ИС. В-четвертых, обеспечивает сокращение несанкционированного использования ИС конкурентами. И наконец, создает основу для культуры компании, основанной на инновациях, приверженности бренду и стилю компании.

И с каждым годом эффективное управление ИС становится все более важным фактором успеха на рынке. Управление интеллектуальной собственностью обычно преследует три цели:

- увеличить доход за счет исключительности или конкурентного преимущества (дохода);
- увеличить признание продуктов, услуг или брендов на рынке (деловую репутацию); а также
- установить торговую позицию (преимущество) в бизнес-операциях, например, в привлечении капитала, продажи деловых интересов или разрешении спора по объектам интеллектуальной собственности.

Так, еще к 2000г. за предыдущие 10 лет общие мировые доходы от патентного лицензирования увеличились с $ 10 млрд. до $ 110 млрд.При продаже автомобилестроительной компании «Додж» из $ 146 млн. продажной цены $ 74 млн. составляла стоимость торговой марки. Еще в 1988г. компания «Филип Моррис» приобрела компанию «Крафт» (с целью получения лояльности ее потребителей) за $ 13 млрд., что на 600% превышало ее балансовую стоимость.

Президент Coca-Cola так подчеркнул значимость нематериальных активов,предположив,что если бы компания внезапно потеряла все свои здания, фабрики, офисы и автопарки,тогда смогла бы уже через год восстановить всю деятельность только благодаря доходам от товарных знаков, франчайзинговых договоров, патентов, лицензий и других нематериальных активов[7].




*Рис.3. Формирование стратегии управления ИС*

Источник: составлено на основе [8]

Ключевой фактор успехаменеджмента интеллектуальной собственностью в компаниях это эффективная стратегия управления ИС (в т.ч. патентная стратегия), которая должна следовать из бизнес-стратегии компании, а значит обеспечивать ее реализацию, при чем стратегия управления ИС должна оптимизироваться в процессе оценки факторов как внешней, так и внутренней среды компании (рисунок 3). В процессе внутреннего анализа проводится аудит ИС, разрабатывается политика в сфере интеллектуальной собственности, а также осуществляется защита и поддержка ИС.

Аудит ИС должен определить, какие активы ИС принадлежат бизнесу и насколько они важны для фирмы. То есть, должны быть идентифицированы внутренние ИС-активы, внешние активы и их стоимость (ценность). Среди внутренних активоввыделяются как зарегистрированные, так и не зарегистрированные товарные знаки, логотипы;авторские права на внутренние инструкции (например, по трудоустройству), базы данных и публикации; промышленные образцы; патенты;любые лицензии; коммерческую тайну или конфиденциальную информацию; ноу-хау продукта или процесса; а такжесписки клиентов.Второй шаг в аудите - описать, что может быть отнесено ко внешним или рыночным активам. Это фирменный бренд, товарные бренды, фирменный стиль, внешний вид продукции, деловая репутация, сертификация продукции, сертификаты на экспорт, регуляторные разрешения, дистрибьюторские и сырьевые сети, списки клиентов, маркетинговые и рекламные программы[9]. В процессе оценки стоимости любого из этих элементов могут использоваться несколько методов оценки. При чем, вопросы, которые следует учесть, включают:• расходы на замену актива, ожидаемый доход, который может быть сгенерирован базовыми активами ИС, например, в течение следующих пяти лет,насколько сильное создается конкурентное преимущество (какова свобода действий (freedom to operate), является ли частью патентного пула, важность для перекрестного лицензирования; вклад в лояльность клиентов), как конкретный актив ИС используется.

Политика в области ИС должна охватывать ключевые вопросы, такие как: кто владеет ИС и как будут распределяться доходы (выгоды) от коммерциализации ИСмежду работодателем и работниками, исследователями, изобретателями,отделами внутри учреждения испонсорами.Менеджер по ИС должен рассмотреть трудовой договор, чтобы убедиться, что он регулируетвладение всеми правами на ИС;включает положение о конфиденциальности или не раскрытии коммерческой тайны, а такжеположение об ограничении конкуренции или пункт торгового ограничения (воизбежание конкурентной деятельности сотрудников после увольнения).

Защита и поддержка ИС реализуется через разработку правил для определениятипа прав, которые будут реализованы для конкретных объектов ИС, оценку финансовых последствий иразработку стратегии подачи заявок на патент.Патентные стратегии могут быть как наступательными, так и оборонительными[10].В рамках наступательной стратегии реализуют получение конкурентных преимуществи генерирование прибыли. Патенты подаются для получения защиты по данной технологии, а запатентованные продукты или процессы продаются по премиальным ценам. Еще один вариант: патенты регистрируются для целей лицензирования третьим сторонам в обмен на уплату роялти. Также может предполагаться использование патентов в качестве части торговой сделки. Компании имеют возможность получать доступ к технологиям третьих сторон через

взаимное лицензирование. Эта стратегия предоставляет доступ к технологиям, например, через создание патентных пулов. Еще патенты используют для инвестирования в стартапы или с целью финансирования.

Патентная защита в составе оборонной стратегии реализуется с целью защитить технологию (патенты на изобретенные или улучшенные продукты и процессы подаются, чтобы заставить конкурентов вести свои разработки вокруг наших патентов). Или патентная заявка может быть подана для блокировки внешних участников или продуктов. В данном случае патенты не используются владельцем патента, но они создают барьер для использования запатентованного продукта или процесса, вызывают большие затраты на разработку для конкурентов. Еще одна цель – сбивать с толку или запугивать рыночных участников - формируют большой патентный портфель, который бы запугивал конкурентов и заставлял их проводить дополнительные исследования и разработки вокруг этих патентов.

Для обеспечения гибкости и адаптивности стратегического управления ИС в процессе реализации общей и конкурентной стратегий компании, внутренний и внешний анализ деятельности должны проводиться на регулярной основе, поскольку это, в случае необходимости, позволит оперативно внести требуемые изменения в разрабатываемый план действий.

Литература:


1. Николай Китаев. О сингулярности и что произойдет при 4-й промышленной революции - Электронный ресурс. – Режим доступа: http://savenergy.info/page/o-singuljarnosti-i-chto-proizojdet-pri-4-j-promyshlennoj-revoljucii/
2. The World's Most Valuable Brands - Электронныйресурс. – Режимдоступа: https://www.forbes.com/powerful-brands/
3. ТОП-20 самых инновационных компаний мира - Электронный ресурс. – Режим доступа: https://rus.db.lv/novosti/top-20-samykh-innovatsionnykh-kompaniy-mira-84080
4. Соболева Татьяна. Влияние процессов глобализации на сферу интеллектуальной собственности / Т. Соболева // Conference Proceedings of II International Scientific Conference “Challenges Of Globalization In Economics And Business” (3-4 of November, 2017, Tbilisi, Georgia) - С. 454 – 458.
5. World Intellectual Property Indicators, 2017. - WIPO. - Economics & Statistics Series. – 226 p. ISBN: 978-92-805-2903-6
6. Statistical Country Profiles: Georgia – WIPO site - Электронныйресурс. – Режимдоступа: http://www.wipo.int/ipstats/-en/statistics/country_profile/profile.jsp?code=GE
7. Valuation of Intellectual Property. Module 4. – Student Handbook. - IP for Innovation. – PRO INNO EUROPE INNO ACTIOINS. – 11p.
8. Strategy for Intellectual Property Management - WIPO Course “IP Management” Module VII.
9. Fact Sheet. IP due diligence: assessing value and risks of intangibles. - The European IPR Helpdesk. - [Electronic resource]. – Access mode: www.iprhelpdesk.eu
10. Markus Reitzig. Strategic management of Intelectual Property. - MIT Sloan. - Електронний ресурс – Режим доступу: https://sloanreview.mit.edu/article/strategic-management-of-intellectual-property/


## Management of Intellectual Property in the Context of Global Technological Shifts


***Sobolieva Tetiana,***

*PhD, Sobolieva Yelizaveta*



S u m m a r y

The development and competitiveness of companies and, as a consequence, national economies, are under the constant impact of the shifts occurring in the world economy, political processes, environmental and climate dynamics, substitution and domination of scientific and technological paradigms. The technological factor forms a new course for the development of entire industries and sciences, which transform key factors of competitiveness, bringing to the forefront the development and active implementation of innovations, the main place among which is allocated to radical innovations. One of the properties combining these technologies is their high knowledge intensity, which arises as a result of the highly intellectual work of researchers and scientists. The objects of intellectual property (IP) created an overwhelming share of the added value of new products and the capitalization of companies. Dynamics of indicators in the field of intellectual property is an indicator of technological global changes, identifying technologies and industries in which proactive patenting processes are taking place, thus indicating the most dynamic and fast-growing technological trends. In the context of the accelerating development of new high-tech industries and their increasing influence on the configuration and features of successful market business models, the effective creation and management of its intellectual property is an important condition for the development of any company.

# შრომის ანაზღაურების სისტემის ორგანიზაციის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სამშენებლო სექტორში

**ოთარ სოსელია**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

*სტატიაში განხილულია საქართველოს სამშენებლო სექტორში ფინანსური მდგრადობის მისაღწევად სტრატეგიული ანალიზის ერთერთი მეთოდის გამოყენების და მის საფუძველზე შრომის ანაზღაურების ეფექტიანი სისტემის ორგანიზაციის შესაძლებლობები.*

***საკვანძო სიტყვები: CVP ანალიზი;** მარგინალური შემოსავალი; რენტაბელობის ზღვარი; სამეწარმეო (ოპერაციული) ბერკეტი; სიმტკიცის მარგინალური მარაგი.*

ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისას თითოეულ ეტაპზე მნიშვნელოვანია ბიზნესმენმა საკუთარი კომპანიის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას უპასუხოს კითხვებს - რა მოგებას ნახავს კომპანია გარკვეული დონის გაყიდვის მიღწევისას, ასევე, როგორია ისეთი მინიმალური გაყიდვის მოცულობა, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის მომგებიანი, სტაბილური და მზარდი ფუნქციონირებისათვის.

სტრატეგიული ანალიზის ერთ-ერთ ეფექტიან მეთოდს CVP (Cost-Volume-Profit) ანალიზი წარმოადგენს. აუდიტორთა და ექსპერტთა უმრავლესობა მას კომპანიის მუშაობის ფინანსური შედეგების უფრო ღრმა შეფასებისათვის და უფრო დასაბუთებული რეკომენდაციების (ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის შესახებ) გასაცემად იყენებს.

CVP ანალიზის ერთერთი ამოცანაა ორგანიზაციის მუდმივი და ცვლადი ხარჯების ისეთი ოპტიმალური პროპორციის განსაზღვრა, რომ სამეწარმეო რისკი მინიმალური იყოს.

ვინაიდან როგორც მუდმივი, ასევე ცვლადი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი შრომის ანაზღაურებაა (სხვადასხვა ფორმით), ანალიზის ამოცანას კომპანიაში შრომის ანაზღაურების მოქნილი სისტემის ორგანიზაცია წარმოადგენს.

CVP ანალიზის საკვანძო ელემენტებია:

- მარგინალური შემოსავალი (**marginal income**) – საწარმოს პროდუქციის (სამუშაო, მომსახურება) გაყიდვისას შემოსავალსა და ცვლად ხარჯებს შორის სხვაობა;
- რენტაბელობის ზღვარი (**break-even point**) - მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს პროდუქციის რეალიზაციის ისეთ მოცულობას, როდესაც საწარმოს შემოსავალი პროდუქციის (სამუშაო, მომსახურება) გაყიდვებიდან მისი ერთობლივი ხარჯების ტოლია (ანუ გაყიდვების ის მოცულობა, როდესაც საწარმო არც მოგებაშია და არც ზარალში);
- სამეწარმეო (ოპერაციული) ბერკეტი (**operational leverage**) - პროდუქციის (სამუშაო, მომსახურება) რეალიზაციის მოცულობის ცვლილებიდან გამომდინარე საწარმოს მოგების მართვის მექანიზმია;
- სიმტკიცის მარგინალური მარაგი (**margin of safety**) - პროდუქციის (სამუშაო, მომსახურება) გაყიდვების ფაქტობრივი შემოსავლის რენტაბელობის ზღვრიდან გადახრის პროცენტული გამოსახულება.[1, გვ. 89-93]

როგორც აღინიშნა, რენტაბელობის ზღვარი (BEP) პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მასზე გაწეული დანახარჯების შესახებ მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება. გაანგარიშებისას აუცილებელია ხარჯების ცვლად და მუდმივ ხარჯებად დაყოფა. ცვლადი ხარჯები (ნედლეული. მასალები, სანარდო ხელფასი და სხვა) პროდუქციის წარმოების მოცულობის პროპორციულად იცვლება. მუდმივი ხარჯები (დანადგარებისა და შენობა-ნაგებობების რემონტისა და შენახვის ხარჯები, საიჯარო და სალიზინგო გადასახადები, კომუნალური მომსახურების ხარჯები, დროითი შრომის ანაზღაურება და სხვა) არ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე.

რენტაბელობის ზღვარი შემდეგი ფორმულით გამოიანგარიშება:

$$\boldsymbol{BEP} = \frac{\text{მუდმივი ხარჯი}}{\text{რეალიზ. შემოსავალი} - \text{ცვლადი ხარჯი}} * \text{რეალიზ. შემოსავალი}$$

რენტაბელობის ზღვრის დაბალი მაჩვენებელი არის კომპანიის წარმატების ნიშანი, ხოლო მისი ზრდა კი კომპანიის მდგომარეობის გაუარესებაზე მეტყველებს. მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც კომპანიის მასშტაბები უცვლელია, ვინაიდან გაყიდვის მოცულობის ზრდა მუდმივი ხარჯების ავტომატურად ზრდას იწვევს. ამრიგად, რენტაბელობის ზღვარი არ წარმოადგენს კომპანიის წარმატებულობის ოპტიმალურ

მაჩვენებელს. იგი გვიჩვენებს როგორი უნდა იყოს გაყიდვის მინიმალური მოცულობა, რომ კომპანიამ ზარალის გარეშე იმუშაოს, თუმცა ყოველთვის ვერ ასახავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაძლიერებას ან შესუსტებას. ამისათვის არსებობს სხვა მაჩვენებელი, კერძოდ, სიმტკიცის მარგინალური მარაგი, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოიანგარიშება:

$$\text{სიმტკიცის მარგინალური მარაგი} = \frac{\text{რეალიზაციიდან შემოსავალი} - BEP}{\text{რეალიზაციიდან შემოსავალი}}$$

სიმტკიცის მარგინალური მარაგი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენი პროცენტითაა სავალდებულო რეალიზაციის მაჩვენებლის გაზრდა კომპანიის ზარალის გარეშე მუშაობისათვის. რაც მეტია აღნიშნული მაჩვენებლის პროცენტული გამოსახულება, მით უფრო მყარია კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ის ნაკლებად დამოკიდებულია ბაზრის რყევებსა და ხარჯების ზრდაზე.

წარმოდგენილი ფორმულების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ცვლადი ხარჯების ზრდასთან ერთად იზრდება რენტაბელობის ზღვარიც, თუმცა მცირდება კომპანიის სიმტკიცის მარგინალური მარაგი. ამრიგად, კომპანიის ცვლადი ხარჯების (რომლის ძირითად ნაწილს სანარდო ფორმის ხელფასი წარმოადგენს) ზრდის პირობებში უარესდება კომპანიის ფინანსური მდგრადობა.

როდესაც მიღწეულია რენტაბელობის ზღვარი, წარმოიქმნება პირველი მოგება, ხოლო კომპანიის მენეჯმენტი ინტერესდება მისი ზრდის ტემპით. აღნიშნულის დასახასიათებლად სამეწარმეო (ოპერაციულ) ბერკეტს იყენებენ, რომელიც პროცენტებში აისახება და შემდეგი ფორმულით გამოიანგარიშება:

$$\text{ოპერაციული ბერკეტი} = \frac{\text{რეალ. შემოსავალი} - \text{ცვლადი ხარჯი}}{\text{რეალ. შემოსავალი} - \text{ცვლადი ხარჯი} - \text{მუდმივი ხარჯი}}$$

სამეწარმეო (ოპერაციული) ბერკეტის სიდიდეს ხარჯების სტრუქტურა (ცვლად და მუდმივ ხარჯებს შორის ფინანსების გადანაწილება) განსაზღვრავს. რაც უფრო მაღალია მუდმივი ხარჯების წილი საერთო ხარჯებში, მით მაღალია სამეწარმეო ბერკეტი. დაბალი სამეწარმეო ბერკეტის მქონე ორგანიზაციებში ცვლადი ხარჯები დომინირებს.

აღსანიშნავია, რომ გაყიდვების თანაბარი ზრდის პირობებში მაღალი სამეწარმეო ბერკეტის მქონე კომპანიის მოგების ზრდა ვითარდება სწრაფი ტემპებით, თუმცა, გაყიდვების ვარდნის შემთხვევაში მაღალი სამეწარმეო ბერკეტის მქონე კომპანიაში ასევე სწრაფი ტემპებით მცირდება მოგების მიღების პროცესიც.[2 გვ. 33-49; 3, გვ. 68-74]

ნათელია, რომ კომპანიისათვის რიგ შემთხვევაში მაღალი სამეწარმეო ბერკეტი, ანუ მუდმივი ხარჯების მაღალი წილი საერთო ხარჯებში არ არის მიზანშეწონილი. ეს ნიშნავს, რომ სახელფასო ფონდში შრომის ანაზღაურების დროითი ფორმის დომინირება რიგ შემთხვევაში კომპანიისათვის საზიანოა.

EY Georgia-ს 2013 წლის საქართველოს ზოგადი ინდუსტრიის სახელფასო კვლევის მიხედვით, კომპანიების 88%-ში, შრომის ფიქსირებულ ანაზღაურებასთან ერთად, ცვლად კომპონენტებსაც იყენებენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც ხელმძღვანელობის ცვლადი კომპენსაციის ოდენობის ობიექტური განსაზღვრის საშუალებას იძლევა, კომპანიების მხოლოდ 41% აქვს დანერგილი. საინტერესოა, რომ ფიქსირებულ ანაზღაურებასთან ცვლადი ანაზღაურების წილობრივმა შეფარდებამ რიგით მომუშავეებში 12%, ხოლო საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებში 15% შეადგინა[4].

2013 წლიდან დღემდე საქართველოში სამშენებლო სექტორში შეინიშნება ბრუნვის მოცულობის სტაბილური ზრდა და ასევე აღნიშნულ სფეროში შრომითი დანახარჯების მატებაც.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყნის სამშენებლო სექტორში ბრუნვა 2013 წლის 3,2 მლრდ ლარიდან 2016 წელს, 6,5 მლრდ ლარამდე, ანუ 203%-ით გაიზარდა.



რაც შეეხება დარგში შრომით დანახარჯებს ფულადი გამოსახულებით, ის 2013 წლის 682,8 მლნ ლარიდან, 2016 წელს, 1 079,1 მლნ ლარამდე, ანუ 158%-ითაა გაზრდილი.




შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება 2013 წელს 869.9 ლარს, ხოლო 2016 წელს 1290.7 ლარს შეადგენდა, რაც 148%-იან ზრდას გულისხმობს[5].




ამრიგად, სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ სამშენებლო სექტორში ბრუნვის მოცულობის ზრდის ტემპი უსწრებს საშუალოთვიური შრომის ანაზღაურებისა და საერთო შრომითი დანახარჯების ზრდის ტემპებს, ანუ სახელფასო ფონდის სტრუქტურაში დროითი ხელფასის შემადგენელი მიმდინარე ეტაპზეც პრევალირებს.

საქართველოს სამშენებლო სექტორში ხარჯების პოლიტიკის ჩამოყალიბებისას, საჭიროა სახელფასო ფონდში შრომის ანაზღაურების დროითი და სანარდო ფორმების ისეთი თანაფარდობის დაცვა, რომ გაყიდვის არასტაბილური დინამიკის პირობებშიც კომპანიამ ფინანსური მდგრადობა შეინარჩუნოს. ოპტიმალური იქნება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის ე.წ. გრეიდების სისტემის გამოყენება, ხოლო მშენებლებისათვის (მუშები, ოსტატები და სხვა) სანარდო შრომის ანაზღაურების ერთ-ერთი სახის - აკორდული შრომის ანაზღაურების გამოყენება, რაც ცვალებადი გაყიდვის პირობებში ხელფასის ყველაზე მოქნილი ფორმაა.

## ლიტერატურა:


1. Michael E. Cafferky and Jon Wentworth, Breakeven Analysis: The Definitive Guide to Cost-Volume-Profit Analysis, Business Expert Press, 2010, 172 p.
2. М.К. Санин, Управленческий учёт, Спб ГУ ИТМО, 2014, 88 стр.
3. Бочаров В.В., Финансовый инжиниринг, Спб Питер, 2004, 400 стр.
4. თ. კაჭახიძე, შრომის ბაზარი საქართველოში, ჟურნალი „Forbes“, 2014, მაისი.
5. www.geostat.com

# Some Issues in Improving the Organization of Labor Remuneration System in the Construction Sector of Georgia

***Otar Soselia***
*Doctoral student of*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

At every stage of economic activity, it is important for a businessman, when formulating a business strategy, to answer questions - how much profits are produced at a certain level of sales, also, about the minimum sales volume needed to ensure profitability, stability and growth of the company. CVP (Cost-Volume-Profit) analysis is one of the most effective methods of strategic analysis. One of the objectives of the CVP analysis is to determine an optimal proportion of the fixed and variable costs of the organization in such a way as to minimize business risk.

In the formation of the expenditure policy in the construction sector in Georgia, it is necessary to keep proper proportion between the time and piece wages in the salary schedule, so that the company can maintain financial stability even under unstable dynamics of the sales. The best way is to use the Hay`s profile spreadsheet method (grading system) for administrative and support staff, and lump sum salary for the builders, which is the most flexible form of remuneration in terms of variable sales.

***Keywords:*** *CVP Analysis; marginal income; break-even point; operational leverage; margin of safety.*

# აუდიტის ხარისხის კონტროლის აქტუალური საკითხები

**ნანა სრესელი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*ასოცირებული პროფესორი*
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი*

*პრაქტიკაში გამოყენებული აუდიტის ხარისხის მაჩვენებლების კონცეფცია არასაკმარისად ეფექტურია, რადგან მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ არის აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთო შემეცნებითი მიდგომები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აუდიტის ხარისხის მიმართ მომხმარებელთა მოლოდინების, მარეგულირებელი ორგანიზაციების მოთხოვნებისა და აუდიტის საზოგადოებრივი ფუნქციის შეთავსების შესაძლებლობები. აუდიტორული საქმიანობის განვითარების აქტუალურ საკითხს წარმოადგენს აუდიტის ხარისხის ერთიანი კონცეფციის შექმნა არსებული სპეციფიკების გათვალისწინებით.*

*საკვანძო სიტყვები: აუდიტი, აუდიტის ხარისხი, ხარისხის შეფასება, ხარისხის კონტროლი, ეფექტიანობა, აუდიტის სტანდარტები.*

აუდიტის განვითარების თვალსაზრისით, თანამედროვე ეტაპის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს აუდიტის ხარისხის ერთიანი კონცეფციის შექმნა წარმოადგენს. აუდიტორი გამოავლენს არამხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ხარვეზების ან კომპანიის მართვისა და ორგანიზაციული სისტემის ნაკლოვანებებს.მას აქვს კვალიფიციური კონსულტაციის გაწევის უნარი კონკრეტული პრობლემების გადაჭრის კუთხით. შესაბამისად, აუდიტი როგორც საქმიანობის დამოუკიდებელი სფერო, განაპირობებს ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირების გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით დადგენილი პირობებისა და მესაკუთრეთა ინტერესების დაცვას. აუდიტის ხარისხის კონტროლს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ის გარემოება, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი, ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას, დამოკიდებულია ინფორმაციაზე, რომელზეც მას კონტროლი არ გააჩნია, ენდობა და ეყრდნობა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

აუდიტის როლი ეკონომიკაში მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მისი არარსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი გადაწყვეტილებების მიღება, რადგან იგი კომპანიის მუშაობის ობიექტურად შეფასებისა და მისი ეფექტიანი განვითარების პროგნოზის საშუალებას იძლევა. აუდიტი ერთდროულად ასრულებს რიგ მნიშვნელოვან ფუნქციას- საექსპერტოს, ანალიტიკურს, საკონსულტაციოს, საინფორმაციოს, რითაც ხელს უწყობს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას და ბუღალტრული დოკუმენტაციის ხარვეზების მიზეზით წარმოქმნილი რისკების თავიდან აცილებას. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა საიმედო წყაროა იმ საფრთხეების შესახებ, რამაც შეიძლება შეაფერხოს ორგანიზაციების სტაბილური განვითარება და/ან გააუარესონ მათი ფინანსური მდგომარეობა (Sreseli, 2018).

აუდიტის ხარისხის საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანია აუდიტის, როგორც საქმიანობის განსაკუთრებული სახის თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინება, კერძოდ იმისა, რომ აუდიტი ორიენტირებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის შესახებ პროფესიონალის მოსაზრების ფორმირებაზე.

ტერმინი - „აუდიტის ხარისხი“, აქტიური განხილვის ობიექტია მარეგულირებელი ორგანოებისა და აუდიტორული ფირმებისათვის, რადგან ის კომპლექსური ცნებაა და ისეთ განმარტებას, რომელიც საყოველთაოდ იქნება მისაღები და გავრცელებული, ვერ ირგებს. ზოგადად, აუდიტის ხარისხი შეიძლებ განისაზღვროს, როგორც ფინანსური ანგარიშგების სანდოობის შესახებ უდიტორის მოსაზრებისადმი მომხმარებლების ნდობის აუცილებელი და საკმარისი დონე.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შემდეგი კომპონენტები :

- სტანდარტები,
- პროფესიული ეთიკის პრინციპები,
- აუდიტის ხარისხის კონტროლი სისტემის შიდა და გარე შემოწმება.

სტანდარტის თანახმად, აუდიტორულ ფირმას სავალდებულოა ჰქონდეს აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შესაბამისი პოლიტიკა, რათა მოიპოვოს იმის დასაბუთებული რწმუნება რომ:

- აუდიტორული ფირმა და მისი პერსონალი იცავენ პროფესიული სტანდარტებისა და ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების შესაბამის მოთხოვნებს და, რომ
- აუდიტორული ფირმის ან გარიგების პარტნიორის მიერ გაცემული დასკვნები არის კონკრეტული გარემოებების შესაფერისი.

ხარისხის კონტროლის სისტემის პროცედურები (მაგ. დათვალიერება) აუდიტორულმა ფირმამ უნდა შეიმუშაოს დამოუკიდებლად, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC) შესაბამისად, რადგან ეს უკანასკნელი მოიცავს სტანდარტებს და მითითებებს იმ პირთა ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, რომლებიც ატარებენ აუდიტს, ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, ასევე სხვა მარწმუნებელ გარიგებას და დაკავშირებულ მომსახურებას.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი მოიცავს ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის უწყვეტ განხილვასა და შეფასებას. მონიტორინგი ხორციელდება შესრულებული გარიგებების შერჩევითი და მათი პერიოდული დათვალიერებით. მონიტორინგმა უნდა უზრუნველყოს დასაბუთებული რწმუნება, რომ ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემა ეფექტიანია.

საერთაშორისო პრაქტიკამ დადასტურა, რომ აუდიტის ხარისხის კონტროლი მხოლოდ ეფექტიანი მონიტორინგის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, აუდიტის ხარისხის კონტროლი მარეგულირებელი ორგანოების მონიტორინგის სფეროსა და ხორციელდება ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებულ სამ საკვანძო - სახელმწიფო, აუდიტორთა თვითმარეგულირებელ პროფესიული გაერთიანებებისა და შიდასაფირმო - დონეზე. აქედან გამომდინარე, გამოიყოფს აუდიტის ხარისხის კონტროლის სამი ძირითადი სუბიექტი (სქემა 1):




*სქემა 1. აუდიტის ხარისხის კონტროლის სუბიექტები*

ხარისხის კონტროლის ობიექტად კი გვევლინება აუდიტირული ფირმის მიერ შემუშავებული აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა.

აუდიტის ხარისხის კონტროლი რეგულირდება შესაბამისი კანონებით, საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით, სტანდარტებითა და მითითებებით.

აუდიტის ხარისხის კონტროლის ორგანიზების დოკუმენტები წარმოდგენილია სქემა 2-ში:

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (თავი 5 - „აუდიტორული მომსახურება და მისი ხარისხის უზრუნველყოფა“: მუხლი 19 "ხარისხის უზრუნველყოფა" „აკრედიტებული პროფესიული აუდიტორული გაერთიანებები“); მუხლი 20 - "სამსახურის ორგანიზება და ხელმძღვანელობა"

2. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს) ISQC 1 -"ხარისხის კონტროლი ფირმებისათვის, რომლებიც ასრულებენ გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს".

3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220- "ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტროლი".

*სქემა 2. აუდიტის ხარისხის კონტროლის ორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები*

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საქართველოს სინამდვილეში სუსტი იყო აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავების და შესაბამისად, მისი მონიტორინგის პრაქტიკა, რადგან აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სფერო არასტაბილურად ვითარდებოდა. საწყის ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის კონტროლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა საქართველოს პარლამენტთან არსებულმა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს (1995 -2005წწ), რომელის განახორციელებაც მოცემულმა სტრუქტურამ ვერ შეძლო. ძირითადი მიზეზად აღინიშნა, რომ მოცემულ სფეროში იყო მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტების დეფიციტი. (ლ. ჭუმბურიძე, 2014). 2013 წლიდან აუდიტის სფეროში დაიწყო ახალი ეტაპი, 2012 წელს მიღებული კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რასაც მნიშვნელოვნად არ შეუცვლია აუდიტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი.

მდგომარეობა კარდინალურად შეცვალა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ (2014 წ). კერძოდ, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და მიღებულმა კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016) უზრუნველყო გარკვეული მიღწევები ამ სფეროში: დაუშვა აუდიტის საჯარო ზედამხედველობა; გააძლიერა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, ასევე აუდიტორების დამოუკიდებლობა და აუდიტის ხარისხის კონტროლი; დაისახა ბუღალტრული განათლების გაუმჯობესებისა და განვითარების ხელეწყობის პოლიტიკა.

კანონი, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, ადგენს საქართველოში ფინანსური, მმართველობითი და სახელმწიფოს მიმართ გადახდების ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის, ასევე აუდიტორული საქმიანობის განხორციელების, მისი ხარისხის უზრუნველყოფის და აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონის თანახმად, აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს განახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (სამსახური), რომელიც დაარსდა 2016 წელს, არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე. სამსახური განსაზღვრავს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესს, ადგენს წინასწარი შედეგების განხილვის, ხარვეზების აღმოფხვრის და ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი აუდიტორული ფირმის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის ადექვატური უნდა იყოს და განხორციელდეს არა უმეტეს 6 წელიწადში ერთხელ. იმ ფირმებში, კი რომლებიც სდპ და პირველი კატეგორიის საწარმოების აუდიტს ახორციელებენ, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგით გამოვლენილ დარღვევებზე პასუხისმგებელი არის აუდიტორი, აუდიტორული ფირმა ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე შესაბამის გარიგების პარტნიორი. ეს პირები მონაწილეობენ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაში და იძლევიან ახსნა-განმარტებებს. აუდირებული ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხარისხის ამაღლების მიზნით, სავალდებულოა მარეგულირებელი ორგანოების სამსახურთან თანამშრომლობა.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები არის საჯარო ინფორმაცია და ის რეესტრში აისახება. ასევე ყოველწლიურად უნდა გამოქვეყნდეს საერთო ანგარიში აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ.

აუდიტის ხარისხის სისტემის კონტროლის მეორე სუბიექტია ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციები. პროფესიული ორგანიზაცია არაკომერციული იურიდიული პირია და შიდა პოლიტიკის, სისტემებისა და პროცედურების მეშვეობით ახორციელებს მისი წევრი სუბიექტების (აუდიტორების/აუდიტორული ფირმების) მიერ აუდიტთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის, პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) და აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების დაცვაზე კონტროლს.

აუდიტორული ფირმა პასუხისმგებელია შეიმუშავოს აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა, პოლიტიკა და პროცედურები, რათა უზრუნველყოს იმის დასაბუთებული რწმუნება, რომ ფირმის პერსონალი აუდიტს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, აუდიტის შიდა სტანდარტების, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) მოთხოვნების შესაბამისად. ასევე უზრუნველყოს გონივრული რწმენა იმისა, რომ აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული აუდიტორის დასკვნა და სხვა ანგარიშები შესაბამისობაშია კონკრეტული გარემოებების პირობებთან. აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ხარისხის შიდა კვლევები ხშირ შემთხვევაში არის მიმოხილვის ობიექტი და დროთა განმავლობაში, შესაძლებელია შეფასდეს ფირმის მიერ აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული მიმართულებები. შიდა კვლევების მასშტაბი, სიღრმე და სიხშირე და ზოგადაგ მათი არსებობა მიუთითებს ფირმის მცდელობაზე შეიმუშაოს მოქნილი და ეფექტიანი აუდიტის ხარისხის სისტემა.

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განიხილა აუდიტის ხარისხის ელემენტები (სქემა 3), რომელიც წარმოდგენილია სისტემის სახით და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებასთნ ერთად, მიზნად ისახავს საზოგადოების ნდობისა და ცნობიერების გაძლიერებას აუდიტორის პროფესიისადმი.




*სქემა 3. აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის ელემენტები (3. მუხლი 16).*

აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის ელემენტების შერჩევა საკმაოდ სპეციფიკურია და მათი ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული აუდიტორული ფირმის მასშტაბი, პრაქტიკული საქმიანობის სპეციფიკა, დასაქმებული აუდიტორების რიცხოვნება, ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვა.

აუდიტის ხარისხის შეფასების ძირითადი საკითხები განიხილება და აქტიურად შეისწავლება სამეცნიერო-კვლევით სფეროში. ექსპერტები მუდმივად მუშაობენ აუდიტის ხარისხის ინდიკატორების განსაზღვრავისათვის, რაც აერთიანებს სხვადასხვა მაჩვენებელს, კერძოდ, ჩატარებული აუდიტის მოცულობას, შეცდომების იდენტიფიცირების სისწრაფეს, საქმიანობის უწყვეტობის შემფასებელი პარამეტრების სიზუსტეს და ა.შ. ეს მცდელობები ცხადყოფს, რომ რიგი ფაქტორი კომპლექსურად ხელს უწყობს აუდიტორის დაინტერესებას ხარისხიანი აუდიტის ჩატარებაში.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ N 5386-IIს 8. 06. 2016.
2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220 - „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“.
3. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს) ISQC 1 – „ხარისხის კონტროლის ფირმებისათვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარშგების აუდიტისა და მიმოხილვის და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“.
4. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება. დამტკიცებულია ბაფის
5. აუდიტის რეგულირების კომიტეტის მიერ 01.05.2014 # 3/2014 ოქმი.
6. Sreseli, N. (2018). ISA 700: Theoretical Aspects and Main Concepts of Updated Structure of Audutor’s Report. *Ecoforum Journal 7 (3).*
7. 6. ლ.ჭუმბურიძე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება, თბილისი 2014 წ.


## Topical Issues of Audit Quality Control


***Nana Sreseli***

*Associated Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University*



The problems of the domestic audit industry are related to the dissatisfaction of users with the quality of the audit. The concept of audit quality indicators used in domestic practice is not effective enough because there is no general conceptual apparatus in the audit quality sphere that allows to combine users' expectations, requirements of regulatory organizations and the public audit function. An urgent issue of today's period of development of audit activity is the creation of a holistic, quality-specific audit quality concept.



***Key words:*** *audit, audit quality; quality assessment, quality control; financial reporting; efficiency; audit standards.*

# შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობის შეფასების მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი

**რუსუდან სრესელი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის დოქტორანტი*

*სტატიაში განხილულია თანამედროვე ორგანიზაციებში შიდა აუდიტის სისტემის არსი და თავისებურებანი. წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი ავტორების თვალსაზრისი შიდა აუდიტის სისტემის ეფექტურობის შეფასების ძირითადი მეთოდების შესახებ. გვთავაზობენ შიდა აუდიტის პროცესის შეფასების სისტემაში შედეგიანობისა და ეფექტიანობის ახალი ინდიკატორების (ისე, როგორც შიდა აუდიტის პროცესის სრულყოფის ერთ-ერთი მეთოდი) დანერგვას.*

*საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი; ეფექტიანობა; პროცესი; შეფასება.*

შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობა წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის სტაბილურობისა და საიმედოობის ძირითად ნიშანს. ზემოხსენებული სისტემის ეფექტიანობის შეფასების საკითხებისადმი მომატებული ინტერესი პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციის საქმიანობაში სარისკო გარემოებების გამოვლენასთან, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს რისკებისაგან დაცვის მოქმედი მექანიზმის შექმნას ორგანიზაციის ქმედუნარიანობის გაგრძელებისა და მისი მუშაობის სტაბილურობის მიზნით.

შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტის (The IIA ) განსაზღვრების მიხედვით, შიდა აუდიტი - არის დამოუკიდებელი და ობექტური მარწმუნებელი საკონსულტაციო საქმიანობა, რომლის მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესება და სხვა დამატებითი სარგებლის შექმნა. შიდა აუდიტი, მმართველობის სისტემის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების სისტემატიზებული და მიზანმიმართული შეფასებებითა - და მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების წინადადებების შემუშავებით, ორგანიზაციას ეხმარება მიზნების და ამოცანების სრულყოფილად შესრულებაში (იხ. ცხრილი 1).

ორგანიზაციის შიგნით არსებული სპეციალურ თანამშრომელთა საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია, პირველ რიგში, კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის კონტროლზე, ხოლო შემდგომში მმართველი ორგანოებისათვის (აქციონერთა საერთო კრება, დირექტორთა საბჭო, აღმასრულებელი ორგანო) კონტროლის შედეგების საფუძველზე სრული და საიმედო ინფორმაციის მიწოდებაზე, არის სწორედ შიდა აუდიტის საქმიანობის არსი (სრესელი, 2017).

დოკუმენტები, რომლებიც მკაცრად განსაზღვრავს საწარმოში აუდიტის ჩატარებას არ არსებობს. თუმცაღა, არსებობს სავალდებულო საბუთების ჩამონათვალი, რაზეც უნდა მოხდეს ორიენტირება. შიდა აუდიტორების საქმიანობა, მუშაობის წესი, მიზნები და ამოცანები აღწერილია, როგორც შიდა აუდიტორთა საერთაშორისო სტანდარტებში, ასევე, საქართველოს მთავრობის დადგენილება №593 „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ".

აღნიშნული პროცედურების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უშუალოდ მისი ორგანიზების წესი, შემოწმების პროცესი და მეთოდოლოგია განსაზღვრული უნდა იყოს თავად ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ (სრესელი, 2017), სწორედ შიდა რეგლამენტირება გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ შემოწმების კონკრეტული მიზნები ამა თუ იმ კომპანიისათვის. შიდა აუდიტის ჩატარების პერსონალური შიდა სტანდარტები შეიძლება იყოს დეტალური და ძალზედ განსხვავებოდეს ზოგადად მიღებული სტანდარტებისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

აუდიტორული პრაქტიკიდან გამომდინარე ნათელია, რომ მთელ რიგ შემთხვევაში აღნიშნულ საკითხს არასაკმარისი ყურადღება ეთმობა ხელმძღვანელობისა და მესაკუთრეთა მხრიდან]. შიდა აუდიტის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია დღემდე არასათანადოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში და როგორც ანალიზმა გვიჩვენა, შიდა აუდიტის საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებში ჯერაც არ არის საკმარისად შემუშავებული მისი სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდიკა.

განვიხილოთ, შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობის შეფასების რომელ მეთოდებს უწევენ რეკომენდაციას სხვადასხვა ავტორები. მაგალითისათვის, რ. ვ. მაკეევი გვთავაზობს შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას „შიდა აუდიტის „მართვის" სისტემის არარსებობით გამოწვეული ტიპური დანაკარგების" მაჩვენებლების გამოყენებით. წარმოდგენილი ცხრილი 2 საშუალებას გვაძლევს შიდა კონტროლის არაეფექტიანი სისტემით გამოწვეული ტიპური დანაკარგები ღირებულების სახით განვსაზღვროთ.

## შიდა აუდიტის მიზნები და ამოცანები

*ცხრილი 1*

| შიდა აუდიტის მიზნები | შიდა აუდიტის ამოცანები |
|---|---|
| რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და საიმედოობის შეფასება (მათ შორის, საბიუჯეტო რისკების მართვისა და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემები), რეკომენდაციების მომზადება მისი სრულყოფისათვის;<br><br>საბიუჯეტო ანგარიშგების მომზადების პროცესში შიდა ფინანსური კონტროლის საიმედოობის შეფასება, ასევე საბიუჯეტო აღრიცხვის დადგენილ წესებთან, მეთოდოლოგიასა და სტანდარტებთან შესაბამისობა; რეკომენდაციების მომზადება აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების ფორმირების პროცედურების სრულყოფისათვის;<br><br>საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების, სხვა საჯარო-სამართლებრივი წარმონაქმნების აქტივების გამოყენების ეკონომიურობისა და შედეგიანობის გაზრდის შესახებ წინადადებების მომზადება. | შიდა აუდიტის განხორციელების სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება<br><br>შიდა აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვისა და ჩატარების ორგანიზება<br><br>შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგების ანალიზი ტიპური ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოვლენისა და განზოგადების მიზნით<br><br>რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფის, გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრის რეკომენდაციების შემუშავება<br><br>კონსულტაციების გაწევა ქვედანაყოფების ხელმძღვანელების, შიდა კონტროლის პროცედურების სრულყოფის საკითხების სპეციალისტებისა და თანამშრომლებისათვის, საბუღალტრო (საბიუჯეტო) აღრიცხვის, საბიუჯეტო სახსრების, სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონებისა და სხვა საჯარო-სამართლებრივი წარმონაქმნების აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებში. |

*შიდა აუდიტის სისტემის არარსებობით გამოწვეული ტიპური დანაკარგები*

*ცხრილი 2*

| მართვის ქვესისტემა | ტიპური დანაკარგები |
|---|---|
| ბიზნესის დაცვა | მთელი ბიზნესი |
| სახელშეკრულებო სამუშაო | მთელი ბიზნესი |
| ფინანსები | ფინანსური ნაკადის 0,2-1% |
| გაყიდვები | გაყიდვებიდან შემოსავლების 1-5% |
| შესყიდვები | შესყიდვების ღირებულების 5-10% |
| წარმოება | საწარმოო ხარჯების 3-5% |
| კაპიტალური ინვესტიციები და რემონტი | ინვესტიციებისა და რემონტის საერთო მოცულობის 8-20% |
| პერსონალი | შრომის ანაზღაურების ფონდის ხარჯების 25%-მდე |

ამასთან, რ.ვ. მაკეევი გვთავაზობს შიდა აუდიტის შეფასებას სამი პირობითი ერთეულის შკალის მიხედვით: -შიდა აუდიტის სისტემის არარსებობა; შიდა აუდიტის სისტემა სრულყოფის ეტაპის დასაწყისში; შიდა აუდიტის დამაკმაყოფილებელი სისტემა. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი მეთოდი საშუალებას გვძლევს შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობის შეფასდეს შემდეგი ინდიკატორების გამოკვლევის საფუძველზე: მართვის ქვესისტემების არაეფექტიანობის ნიშნების და დანაკარგის მაჩვენებლების (რომლებიც გამოითვლება გაანგარიშების ბაზის ღირებულებით გამოსახულებაზე გარკვეული დამოკიდებულებით) მიხედვით [10].

მეცნიერები მ. პ. მაკკარტი, ტ. პ. ფლინი, გვთავაზობენ შიდა აუდიტის სისტემის სტრუქტურული და საოპერაციო ეფექტიანობის შეფასებას. სტრუქტურული ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წარმატებულადაა ორგანიზებული აუდიტი. სერიოზული შეცდომების დროულად გამოვლენის ან თავიდან აცილების აღმოსაფხვრელად. საოპერაციო ეფექტიანობა კი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ

მიმდინარეობდა პრაქტიკაში კონტროლის სისტემის დანერგვა, რამდენად თანმიმდევრულად ხდებოდა მისი განხორციელება და რომელი სპეციალისტები იღებდნენ მასში მონაწილეობას.

ს. ვ. სკატერშჩიკოვი [11] შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად ფორმულის გამოყენებას გვთავაზობს. ფორმულა შედგება სამი კომპონენტის შემადგენლებისგან, რომლებიც მოყვანილია მე-3-ე ცხრილში.

*შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფორმულის სამი კომპონენტის და მისი შემადგენელი ნაწილები*

*ცხრილი 3*

| **კომპონენტები** | **კომპონენტების შემადგენელი ნაწილები** |
|---|---|
| P - მარეგულირებელი დოკუმენტაციის ხარისხი | შიდა კონტროლის სისტემის რეგლამენტებში (დოკუმენტებში) შემდეგი ელემენტების არსებობა:<br><br>1) კომპეტენციათა გამიჯვნა სტრუქტურებსა და მენეჯმენტის წარმომადგენლებს შორის;<br><br>2) შიდა კონტროლის მექანიზმების მიერ მოწოდებულ სიგნალებზე რეაგირების სისტემების განსაზღვრა;<br><br>3) შიდა კონტროლის სისტემის ელემენტების ფორმირებასა და სრულყოფაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის განსაზღვრა |
| M - მარეგულირებელი დოკუმენტაციის გამოყენების წესები და მოტივაცია | მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომელთა, კომპანიის მენეჯმენტისა და უმაღლესი ხელმძღვანელობის მოტივაცია შიდა კონტროლის სისტემის კუთხით |
| Л - ადამიანთა პროფესიული თვისებები | სპეციალისტთა შემდეგი თვისებების შეფასება:<br><br>1) პროფესიული გამოცდილება;<br><br>2) სპეციალისტთა გუნდის ბალანსირება<br><br>ფსიქოლოგიური და პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით;<br><br>3) სამსახურების ხელმძღვანელთა ფსიქოლოგიური მდგრადობა და პრინციპულობა ზემდგომი ხელმძღვანელობის მიმართ;<br><br>4) კომპანიის ბიზნესის აღქმა;<br><br>5) სპეციალისტთა კარიერული ალტერნატივები |

ა. ტიხომიროვის აზრით [12], შიდა კონტროლის ეფექტიანობის შეფასების დროს, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს არა კონტროლის გამოსაყენებელი მეთოდები, არა კონტროლით დაკავებული პერსონალის შემადგენლობა და სტრუქტურა, არა მათ მიერ განხორციელებული შემოწმებების ან გამოვლენილი შეცდომების რაოდენობა, არამედ ორგანიზაციის მფლობელთა, ხელმძღვანელთა ის ქმედებები, რაც ფოკუსირებულია ბიზნეს-პროცესში შიდა კონტროლის ჩართვაზე, რისკების მომენტალურ შეფასებასა და კონტროლის ზომების ქმედითობაზე, ამ უკანასკნელის ზემოქმედების ნიველირებისათვის.

ავტორთა უმრავლესობა გამოყოფს მაჩვენებლების ორ კატეგორიას, რომელთა მეშვეობითაც ხდება შიდა კონტროლის სამსახურის ეფექტიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება.

ჩვენი აზრით, შიდა აუდიტის პროცესის სრულყოფის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს შიდა აუდიტის პროცესის შეფასების სისტემაში, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ახალი მაჩვენებლების დანერგვა.

მაჩვენებელი „შედეგიანობა" აფასებს დასახული მიზნის მიღწევის ხარისხს, მისი მიღწევის ღირებულებისა და საშუალების მიუხედავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შედეგიანი მუშაობა - ეს არის უნარი დავისახოთ მიზნები და ამოცანები, რომლებიც წარმოადგენენ ამოსავალ წერტილს, და ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით მივაღწიოთ დაგეგმილ შედეგს.

მაჩვენებელი „ეფექტიანობა" სამუშაო პროცესს მიზნის მიღწევის საშუალების კუთხით აფასებს. სხვაგვარი ფორმულირებით რომ ჩამოვაყალიბოთ, ეს მაჩვენებელი ფოკუსირებულია სწორედ რესურსების ხარჯვაზე. ეფექტიანობის შესაფასებლად ერთმანეთს მიღწეულ შედეგს და მათი მიღწევისათვის გაწეულ ხარჯებს ადარებენ. ზემოთხსენებული პროცესი საუკეთესო შედეგს იძლევა მცირე დანახარჯების დროს (დრო, ძალისხმევა, საშუალებები).

შიდა აუდიტის სისტემის შედეგიანობა და ეფექტიანობა ფასდება შემდეგი პროცესების და მიზნების მიხედვით:

- ძირითადი პროცესები:
  - დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმებების ჩატარება
  - საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
- ძირითადი მიზნები:
  - საქმიანობის მითითებულ სფეროებში ბიზნესპროცესების შეფასება და ეფექტიანობის ამაღლება,
  - ორგანიზაციის ღირებულების შენარჩუნება და ამაღლება

ამგვარად, შედეგიანობის შეფასებით, შესაძლოა მივიღოთ პასუხი კითხვაზე: „მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი?", ხოლო ეფექტიანობის შეფასებით, კითხვა შეიცვლება - „მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი საუკეთესო საშუალებით?"

შიდა აუდიტის სრულყოფის პროცესისათვის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ინდიკატორების დანერგვის გარდა, მიზანშეწონილია ორგანიზაციაში ინოვაციური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რომელიც შიდა აუდიტის ქვეპროცესების ინტეგრირების საშუალებას მოგვცემდა.

ჩამოთვლილი ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს ავამაღლოთ შიდა აუდიტის შედეგიანობა და უკეთესად შევაფასოთ მისი შედეგიანობისა და ეფექტიანობის მაჩვენებლები.

## ლიტერატურა:


1. შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №593 2016 წლის 26 დეკემბერი თბილისი
2. სრესელი ნანა, შიდა აუდიტის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივები. Значение внутреннего аудита и перспективы развития.III International Scientific and Practical Conference "The Top Actual Researches in Modern Science" (July 31, 2017, Ajman, UAE ) „International Scientific and Practik Conference", „World science" # 8 (24) Vol.2, August 2017. htt:/ws-conference.com/ worldscience.uae@gmail.com ISSN 2413-1032 ISSN 2414-6404
3. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1013 შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ
4. საქართველოს მთავრობის განკარგულება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ"
5. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების ძირითადი პრინციპები - INTOSAI- ს სახელმძღვანელო.
6. აუდიტური საქმიანობის სტანდარტიზაცია, ლევან საბაური, 2016, http://eprints.tsu.ge/1008/1/International%20Standards%20on%20Auditing.pdf
7. Evaluation of internal auditors, ელექტრონული ვერსია https://www.iia.org.uk/media/265920/kpmg_evaluation_-of_internal_auditors.pdf
8. Internal audit functions assessed, ელექტრონული რესურსი https://www.iia.nl/SiteFiles/IIA%20Internal%20audit%20functions%20assessed.pdf
9. Анкудинов А. Б., Марханова Е.С. Оценка эффективности внутреннего аудита в системе корпоративного управления: эмпирический анализ по данным российских компаний // Учет. Анализ. Аудит. 2018. №1. // [Электронный ресурс]. –

Режим доступа: https://cyberleninka.ru/article/n/otsenka-effektivnosti-vnutrennego-audita-v-sisteme-korporativnogo-upravleniya-empiricheskiy-analiz-po-dannym-rossiyskih-kompaniy (дата обращения: 05.09.2018).
10. შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სტანდარტები 2017 (ელექტრონული ვერსია) https://na.theiia.org/standards-guidance/ Public%20Documents/IPPF-Standards-2017.pdf (дата обращения: 03.09.2018).

## Methods of Evaluating the Efficiency of Internal Audit System

***Rusudan Sreseli***
*Doctorate Tbilisi State University*

S u m m a r y

Abstract: the article deals with the essence and features of the internal audit system in modern organizations. The main methods of evaluating the efficiency of the internal audit system from the perspective of domestic and foreign authors are presented. It is proposed to introduce new performance and efficiency indicators into the system of internal audit process evaluation as one of the methods of internal audit process improvement.

***Key Word:*** *Internal Audit; Efficiency; Process; Evaluation.*

# სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოში

**მარინა ტაბატაძე**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ასისტენტ პროფესორი*

**კონსტანტინე ჩხოლარია**
*თსუ-ის დოქტორანტი*

*ნაშრომში განხილულია სახელმწიფო შესყიდვები, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი და ეკონომიკურ ურთიერთობებზე ზემოქმედების აქტიური მექანიზმი, შეფასებულია მისი როლი ქვეყნის განვითარებასა და სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზებაში. კვლევის მიზნად განისაზღვრა შესყიდვების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, მისი ადმინისტრირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, სახელმწიფო შესყიდვების სოციალური არსი და მისი როლი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, გაანალიზებულია მსოფლიოში არსებული სახელმწიფო შესყიდვების პრობლემები, ჩამოყალიბებულია თანამედროვე პირობებში სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში.*

*კვლევის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი, მასზე მოქმედი ფაქტორების შეფასება და სახელმწიფოს მიერ ეფექტური შესყიდვების უზრუნველყოფის მიმართულებების განსაზღვრა. კვლევა ემსახურება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლას და მისი ეფექტიანი უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სახელმწიფო შესყიდვა; შესყიდვების მექანიზმი; ეფექტური შესყიდვების სისტემა; შიდა მომწოდებელი; კონკურენტული უპირატესობები; ელექტრონული ტენდერი; კონსოლიდირებული ტენდერი.*

თანამედროვე ეკონომიკაში შესყიდვები სახელმწიფო ფინანსების მართვის და, შესაბამისად, ეკონომიკის რეგულირების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, ის მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფის და ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის გატარების ეფექტურ ინსტრუმენტად განიხილება.

ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას სახელმწიფოს მიერ რესურსების ეფექტურად განაწილება განაპირობებს, ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რაციონალურად ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვები, ეფექტურია თუ არა მისი მექანიზმები და რამდენად შეესაბამება ის სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას. საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მისი ყველა ინსტრუმენტის სრულყოფილი შესწავლა, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური ხელისუფლების მიერ შესყიდვების მექანიზმის გამოყენება ხდება, საჭიროა ამ სფეროს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, მისი სწორი ადმინისტრირების და ინსტიტუციური უზრუნველყოფის მეცნიერული საფუძვლების განსაზღვრა, შესაბამისი თეორიული კვლევების და პრაქიკული ანალიზის ჩატარება.

სახელმწიფო შესყიდვები რამდენიმე მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება, ეს, პირველ რიგში, ეხება საბიუჯეტო სახსრების სწორად განკარგვას, ასევე, ბაზარზე მთავრობის მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელებას (მაგ. გარკვეული საქონლის დეფიციტის დაფარვა, განსაკუთრებით, სასურსათო პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნის დროს), ცალკეულ საქონელზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მაგ. სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული გარკვეული ტიპის მედიკამენტებზე სოციუმისათვის მისაღები საფასო პოლიტიკის უზრუნველყოფა). სახელმწიფო შესყიდვების ეფექტური გამოყენება მთავრობას ეროვნულ მეწარმეობის ხელშეწყობის კურსის გატარების საშუალებას აძლევს, რაც, საბოლოოდ, უმუშევრობის დონის შემცირებას უწყობს ხელს.

შესყიდვები სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძლიერი და ეფექტიანი ინსტრუმენტია ისეთ მნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიცაა: ეკონომიკური სივრცის ერთიანობის უზრუნველყოფა, ბაზრების განვითარება და კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნება, ცალკეული რეგიონის, ბაზრის სუბიექტებისა და ეკონომიკის გარკვეული სექტორების უპირატესი მხარდაჭერა. დღეისათვის OECD-ის ქვეყნებში ხელისუფლების მიერ განხორციელებული შესყიდვების წილი მშპ-ში 13%-ია, სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ბუნებრივი მონოპოლიების გათვალისწინებით ეს მონაცემი კიდევ უფრო იზრდება, ზოგიერთ სექტორში კი სახელმწიფო შესყიდვები, გაყიდვების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ რჩება (მაგ. თავდაცვის ინდუსტრია,

ჯანდაცვა, მეცნიერება, მშენებლობა, ენერგეტიკა და სხვა). სახელმწიფო შესყიდვები ბიზნესის მხარდაჭერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა ეკონომიკური კრიზისის დროს, რადგანაც სახელმწიფოსაგან შეკვეთის მიღება პროდუქციის გაყიდვის და შესრულებული ვალდებულების ანაზღაურების სრულ გარანტიას ნიშნავს. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სახელმწიფოსაგან შეკვეთის მიღება მისთვის პროდუქციის წარმოების ძლიერი სტიმულია. შესყიდვები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ბიუჯეტის ხარჯვის ყველაზე ეფექტიანი გზები და უფრო ხელსაყრელი ვარიანტი სახელმწიფო ტენდერების განთავსებისათვის, მისაღები ფასების და საჭირო ხარისხის კრიტერიუმების ფორმირებისათვის.

სახელმწიფო შესყიდვები ეკონომიკის მკაფიო რეგულირების საშუალებას იძლევა, იგი ზუსტად ფორმულირებული საკანონმდებლო აქტებით იმართება და ინსტიტუციურ ჩარჩოში ექცევა. შესყიდვები სახელმწიფოს მძლავრი ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის სტაბილურობა დიდად განსაზღვრავს მის საბიუჯეტო აქტივობას, ამდენად, ეს სისტემა მკაცრი რეგულირების და კონტროლის სფეროა სახელმწიფოსათვის, რომლის ეფექტიან ფუნქციონირებას დიდად განაპირობებს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და მისი ოპტიმალური სტრუქტურირება. კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს წესები, რომლებიც მკაფიოდ და პროცედურულად დაარეგულირებს შესყიდვების პროცედურას, ამავე დროს, ჩამოაყალიბებს მომწოდებლებისა და მომხმარებლებისათვის რისკების შეფასების (ფინანსური, სადაზღვევო) დებულებებს, ამავე დროს, უზრუნველყოფს მომწოდებლების სამართლიან კონკურენციას, რაც გავლენას ახდენს გარიგების ფასებზე და ფინანსური რესურსების მოძრაობაზე. შესყიდვების სფეროს ოპტიმალური ფუნქციონირება დიდად არის განპირობებული იმით, თუ რამდენად გამჭვირვალეა ეს პროცესი და რამდენად სრულყოფილია საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემა.

რიგ ქვეყნაში შიდა მომწოდებლების წახალისებისა და კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციის მიზნით, საჯარო სექტორის ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მათ ეთმობათ. "შეიძინე ეროვნულის" პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგად მთავრობა ფინანსურად აძლიერებს ეროვნულ ფირმებს, თუმცა ხელშეკრულებების გაფორმება ეროვნული ნიშნით, ამცირებს შესყიდვების პროცესის ეფექტურობას, ამიტომ იგი საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერად განიხილება და ცალკეულ შემთხვევაში, ქვეყნებს შორის სავაჭრო კონფლიქტების მიზეზიც შეიძლება გახდეს. სახელმწიფოსათვის მეტი სარგებელი ღია შესყიდვების პოლიტიკას მოაქვს. სამართლიანი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე შესყიდვების პროცედურები უფრო მკაცრია და ხელს უშლის კორუფციას.

შესყიდვების პროცესის მთავარი საკითხი დანახარჯების ეკონომიაა, ამ მიზნით აუცილებელია ხარჯების სტრუქტურის განსაზღვრა, მიწოდების ღირებულების ანალიზი, ბაზრის პროგნოზირება, მოთხოვნების კონსოლიდაცია, კონკურენტუნარიანი სატენდერო პირობების განსაზღვრა, რისკების დივერსიფიკაცია და მათი პროგნოზირება, სისტემის სტაბილურობისათვის მიზანშეწონილია გრძელვადიანი ხელშეკრულებების გამოყენება და მიწოდების ბაზის ოპტიმიზაცია, მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა და ა.შ. ფასების სტაბილურობა კი მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას მოითხოვს, ამ მიზნით ნედლეულის მომპოვებელ ქვეყნებში აპრობირებულია მარაგების ზრდა და ამ პროცესში სახელმწიფო შესყიდვების სამსახურების ჩართვა.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სწორად წარმართვა ბიზნეს-სექტორის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ერთ-ერთ ფაქტორად განიხილება, ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების მხრიდან მრავალი აქტივობა განხორციელდა, კერძოდ, სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერით, შესყიდვების ელექტრონული სისტემა შექმნა, რამაც მთლიანად აღმოფხვრა ე.წ. „ქაღალდის ტენდერები“, სახელმწიფო შესყიდვის ძირითად ფორმებად გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი და კონკურსი გამოცხადდა, ჩამოყალიბდა თითოეული მათგანის პრინციპები და სპეციფიკაციები, განისაზღვრა „მონეტარული ზღვრების‘, „ექსკლუზივის“, „გადაუდებელი აუცილებლობის“, „ხარისხის გაუარესების‘, „ჩანაცვლების მეთოდის“ კატეგორიები. 2016 წლის 1 ივლისიდან დაინერგა ვაჭრობის ახალი მეთოდი – ტენდერის გამოცხადება ელექტრონული ვაჭრობის სახით, დამატებითი რაუნდების გარეშე, ანონიმურობის სრული დაცვით. 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით, დაიწყო სამართლებრივი რეფორმის გატარება, რის შედეგადაც, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების კორექტირებული ჯამური ღირებულება წინა წელთან შედარებით 40% -ით შემცირდა და 2017 წელს 3,6 მლრდ. ლარი შეადგინა, აქედან ელექტრონული პროცედურებით განხორციელდა 2,7 მლრდ. ლარის, გამარტივებული შესყიდვების გზით კი - 0.9 მლრდ. ლარის ვაჭრობა (იხ.გრაფიკი1)[8].

*გრაფიკი 1.*




გამოიკვეთა ტენდერების რაოდენობის შემცირების ტენდენცია, კერძოდ 2017 წელს გამოცხადებული ტენდერები 13%-ით შემცირდა 2016 წელთან შედარებით, ეს პროცესი ელექტრონული ტენდერების მოცულობის გაზრდით აიხსნება, რაც დადებითია და ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციებს შეესაბამება ( იხ. ცხრილი1).

*სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ტენდერის მაჩვენებლები [9]*

*ცხრილი 1.*

| | ტენდერის რაოდენობა | |
|---|---|---|
| ტენდერების მოცულობა: ლარებში | 2016წ. | 2017წ. |
| 10.000 და ნაკლები | 16,893 | 13,190 |
| 10.001 - 20.000 | 6,211 | 5,366 |
| 20.001 - 30.000 | 3,141 | 2,870 |
| 30.001 - 40.000 | 1,965 | 1,753 |
| 40.001 - 50.000 | 1,330 | 1,267 |
| 50.001 - 100.000 | 3,160 | 2,965 |
| 100.001 - 200.000 | 1,778 | 1,898 |
| 200.000 და მეტი | 2,305 | 2,555 |
| სულ: | 36,783 | 31,864 |

საქართველოში შესყიდვების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ფორმირებაში საკმაოდ მაღალია - 13.8% (გრაფიკი 2). სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებული რეფორმები ძირითადად უკავშირდება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას და კონკურენტული გარემოს ფორმირების ხელშეწყობას, რის შედეგადაც შემცირდა კორუფციის მაჩვენებელი, გაიზარდა საზოგადოებაში სახელმწიფო შესყიდვების მიმართ ნდობა და ჩამოყალიბდა შედარებით ჯანსაღი კონკურენტული გარემო. 2011 წლიდან გამოიკვეთა სახელმწიფოს მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების კლების და სახელმწიფო შესყიდვებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების ზრდის ტენდენცია. ეს საკითხი ღრმა მეცნიერულ გამოკვლევას მოითხოვს, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამავე პერიოდში საქონლის და მომსახურების მუხლიდან სახელფასო ხარჯების გამოყოფამ, მისი კლებადი ტენდენცია განაპირობა, სახელმწიფო შესყიდვების თანამედროვე სისტემაზე გადასვლამ შეუძლებელი გახადა რაიმე კორუფციული გარიგების არსებობა, რამდენადაც ელექტრონულმა ტენდერებმა მინიმუმამდე შეამცირა სუბიექტური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ზოგადად, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვებში გატარებული რეფორმები დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე და სხვა სიახლეების დანერგვის აუცილებლობას მოითხოვს.

**გრაფიკი 2**




მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საკმაოდ პროგრესულია და მაქსიმალურად არის მიახლოვებული ევროსტანდარტებთან, მაინც არსებობს გარკვეული ხარვეზი მის ფუნქციონირებაში, ეს შეეხება სწორი პროგნოზირებისა და დაგეგმვის, ბაზრის მასშტაბური კვლევის, საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებს. ჯანსაღი კონკურენციის დეფიციტი, პირველ რიგში, სახელმწიფო ბიუჯეტის არარაციონალურ ხარჯვას განაპირობებს და მისი სტრუქტურული პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას ართულებს.

წარმატებული შესყიდვის ძირითადი წინაპირობა მისი სწორი დაგეგმვაა. არასწორას შედგენილი შესყიდვის გეგმა სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანის, ვადების დარღვევის, მიმწოდებელთა შორის კონკურენციის შესუსტების წინაპირობა ხდება, ამის შედეგად, ხშირად, ადგილი აქვს არშემდგარ ან, აუცილებლობის შემთხვევაში, გამარტივებულ შესყიდვებს.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ბაზრის კვლევას ენიჭება. ყოველი ბაზარი თავისებურებით გამოირჩევა, რაც განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. ბაზრის კვლევის ეტაპზე დგინდება მისი სტრუქტურა, კონკურენციის პირობები, სავარაუდო შესასყიდი ფასი, ალტერნატიული შესყიდვის ობიექტი. ბაზრის კვლევის ეტაპის არასწორად დაგეგმვა ხშირად ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას, ხელოვნურად გაზრდილ ფასებს ან/და არასასურველი შესყიდვის ობიექტის შეძენას იწვევს. აღნიშნული პრობლემა ყველაზე ხშირად იკვეთება იმ სახელმწიფო ორგანიზაციებში, რომლებიც განვითარების პროცესში არიან, მათი შესყიდვების სრული გეგმა წინასწარ მუდამ არ არის ფიქსირებული, რის გამოც წლის დასაწყისში ვერ ხერხდება მთელი წლის შესყიდვების დაგეგმვა. აღნიშნულის გამო შემსყიდველი ორგანიზაცია ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას არასიღრმისეული მოკვლევის მასალებს ემყარება, რაც, ხშირად არასწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება.

სახელმწიფო ორგანიზაციებში შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე სირთულეებს ხშირად მარაგების დაგვიანებით აღრიცხვა ქმნის, რაც შესყიდვების სრული გეგმის შედგენას უშლის ხელს, ამასთან, საჯარო სექტორში გარკვეულწილად, ნაკლები ყურადღება ეთმობა პროგრამულ ინოვაციებს, რის გამოც, მარაგების აღრიცხვა მთლიანად ადამიანურ ფაქტორებზე ხდება დამოკიდებული, ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ბიუჯეტზე, რადგანაც, შემსყიდველი ორგანიზაცია მხოლოდ მარაგების დეფიციტის აღმოჩენის შემდეგ იწყებს დაჩქარებული წესით შესყიდვების პროცესს, ეს კი მუდამ უკავშირდება არაეფექტურ (გაზრდილ) საბიუჯეტო დანახარჯებს.

მნიშვნელოვანია საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება. უმეტეს შემთხვევაში მიმწოდებლები ბაზრის კვლევაში მონაწილეობისგან თავს იკავებენ, რამდენადაც არ აქვთ ფასების შესწავლის პასუხისმგებლობა, შედეგად, შესყიდვების ფასი ხშირად ბევრად აღემატება ობიექტის საბაზრო ღირებულებას, ეს ფასების ზოგადი ზრდის ტენდენციას უწყობს ხელს, ამასთან, მიმწოდებლის მხრიდან სავარაუდო შესასყიდი ფასის განსაზღვრა დამატებით დროით დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ეს, პირველ რიგში აისახება შემსყიდველ ორგანიზაციაზე, შემდგომ კი, ქვეყნის ბიუჯეტზე, ინფლაციურ პროცესებზე, რაც, საბოლოო ჯამში, არაპირდაპირ ზემოქმედებს მოსახლეობასა და ბიზნეს-სექტორზე.

გატარებული ცვლილებების მიუხედავად, საზოგადოებაში სახელმწიფო შესყიდვების მიმართ ნდობა ნელი ტემპით იზრდება, რაც ხელს უშლის კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას ამ სფეროში. ამასთან. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მისაღებად გარკვეული ტიპის უნარ-ჩვევების ქონაა საჭირო, კომპანიებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ადამიანური რესურსი და შესაბამისი გამოცდილება, რის გამოც

ხშირად შესყიდვის ობიექტს შუამავალი იძენს და შემდგომ გაზრდილ ფასში მიაწვდის ტენდერს. ეს საკითხიც ბიუჯეტის არარაციონალურ ხარჯვას უკავშირდება.

საუკეთესო წინადადების შერჩევის კრიტერიუმი, დღეს უმეტეს შემთხვევაში დაბალი ფასია, ევროკავშირის დირექტივა საჯარო შესყიდვების პროცესში კი, ითვალისწინებს ფასისა და სხვა თვლადი კრიტერიუმების გამოყენების შესაძლებლობასაც, რისი არსიც არის ის, რომ, ზოგჯერ შესყიდვის ობიექტის საუკეთესო ალტერნატივის შერჩევისათვის, შესაძლებელია გათვალისწინებელი იყოს არამხოლოდ მისი საწყისი ღირებულება, არამედ ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი დამატებითი ხარჯები ან პირიქით.

სახელმწიფო შესყიდვებს და მის შედეგად, ბიუჯეტის რესურსების ხარჯვას მულტიპლიკატორის ეფექტი მოჰყვება მთლიანად ეკონომიკისათვის, მ.შ. კერძო სექტორისათვისაც, რამდენადაც შესყიდვები ზოგად ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე ახდენს დადებით გავლენას. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მაღალი სტანდარტებით გამოირჩევა, მის საკანონმდებლო ბაზას საფუძვლად ევროკავშირის რეგულაციები, ხშირად კი, უფრო მაღალ სტანდარტებიც უდევს. „საქართველოს შესყიდვების სისტემა მისაბაძია სხვა, მათ შორის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის. თუ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში განხორციელდება ინოვაციებზე დაფუძნებული ცვლილებები, ის შეიძლება გახდეს ერთ–ერთი ყველაზე ეფექტური, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი სისტემა მსოფლიოში [Khaduri N., 2012].

შესყიდვების სისტემის შემდგომი სრულყოფა შესაბამისი სტანდარტების დაცვას მოითხოვს, მისი არასწორად წარმართვა ყოველთვის აისახება თითოეულ მოქალაქეზე. შესყიდვების ეფექტური პროგრამის შექმნის მიზნით აუცილებელია დაინერგოს ინოვაციური სტრატეგიული აზროვნება და შესყიდვების კონსოლიდირებული დაგეგმვა. შესყიდვების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული სახსრების რაციონალური ხარჯვისა და პროცესის გამჭირვალობის უზრუნველყოფისაკენ. შესყიდვების სისტემის დახვეწის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება სახელმწიფო ბიუჯეტში მისი წილის და ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის ამაღლების გამო, რაც ზრდის მისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის და სახელმწიფო რეგულირების სტანდარტების განსაზღვრის მნიშვნელობას ამ სფეროში.

## ლიტერატურა:


1. ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა. მე-5 გამ. თარგ. ინგლისურიდან. თსუ, თბ. 2010;
2. პაპავა ვ., საქართველოს ეკონომიკა, გამ. „ ინტელექტი", თბილისი, 2015;
3. ტაბატაძე მ., ფინანსური რეგულირების მექანიზმები მაკროეკონომიკურ თეორიაში. საერთაშორისო სამეცნ. შრ. კრებული - „პოლიტიკური ეკონომიკა", ბორდო, /ფრანგ.ენაზე/. 2013; http://afep2013.gretha.u-bordaux4.fr
4. ხადური ნ., ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა., IV საერთ. სამ. კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები" კრებული. თბილისი, 2012;
5. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (განახლებულია 28.05.2018).
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი" (28.07.2016 ; განახლებულია 13.09.2016).
7. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - http://www.oecd.org/
8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - www.spa.ge
9. 9საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, https://www.mof.ge/GovBudget
10. საერთაშორისო გამჭვირვალობა- www.transparency.ge

## Peculiarities of state procurement system functioning in Georgia

***Marina Tabatadze***
*Ivane Javakhishvili Tbilisi state University, Asst.Professor*

***Konstantine Chkholaria***
*Ivane Javakhishvili Tbilisi state University, Doctoral Student*

S u m m a r y

The article deals with the role of public procurement in the economy as an important macroeconomic instrument that enables the state to influence economic relations and create a healthy environment for the development of the country's economy. It also reviews positive and negative socio-economic consequences, which leads to a market economy. The main purpose of the research is to analyze the current state of affairs, assessment of socio-economic results caused by corruption and incorrect administration in public procurement. The theory defines theoretical and practical consequences that result in the administration of public procurement. The essence of social policy and the necessity, tasks and directions of its existence. Problems of state procurement in developed and developing countries, corruption and mechanisms to fight against it.The final part of the work, deals with the best solutions and directions regarding the public procurement established in Georgia.

The goal of the research is to analyze the current condition of the state procurement, assessment of the factors affecting it and determining the provision of effective procurement by the state. The research serves to study the condition of the state procurement and elaborate system of measures to ensure its efficient provision.

***Key words:*** *State Procurement, procurement mechanism, effective procurement system, internal supplier, competitive advantages, electronic tender, consolidated tender.*

# ლიდერობა მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქციაა?

**მირონ ტუღუში**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*სტატიაში განხილულია: მენეჯმენტის (მართვის) საბაზო ფუნქციების შესახებ უცხოელი და ქართველი მკვლევარების მოსაზრებები. ავტორი იზიარებს იმ მკვლევართა შეხედულებებს, რომლებიც თვლიან, რომ დაგეგმვას, ორგანიზებასა და კონტროლთან ერთად მოტივაციაა მენეჯმენტის (მართვის) კიდევ ერთი საბაზო ფუნქცია და არა ლიდერობა. ავტორის აზრით ლიდერი და ლიდერობა ეფექტიანი მართვის საერთო საფუძველია, მისი უმთავრესი განმაპირობელი ფაქტორია, რომელზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული არამხოლოდ მენეჯმენტის (მართვის) ერთ-ერთი ფუნქციის-მოტივაციის, არამედ, ოთხივე საბაზო ფუნქციის ეფექტიანად განხორციელება, ასევე მართვისადმი მიდგომების, მართვის პრინციპებისა და მეთოდების ეფექტიანად გამოყენებაც.*

*საკვანძო სიტყვები: ლიდერი და ლიდერობა; მენეჯმენტის (მართვის) ფუნქციები; მენეჯერი და ლიდერი; მოტივაცია.*

ლიდერი და ლიდერობა მეტად რთული, მრავალასპექტიანი და ფართოდ გამოყენებადი ცნებებია. არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო სადაც, ეს ცნებები, ამა თუ იმ კონტექსტში არ გამოიყენებოდეს. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ლიდერის ან ლიდერობის შესახებ ერთიანი და სრულად ჩამოყალიბებული განმარტება არ არსებობს. ლიდერი და ლიდერობა, დიდი ხანია, მართვის თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებული მკვლევარებისთვისაც მნიშვნელოვანი თემაა. წინამდებარე სტატიის მიზნიდან გამომდინარე ვერ შევუდგებით ლიდერობის შესახებ არსებული ადრეული, სიტუაციური ლიდერობის, ან ლიდერობისადმი თანამედროვე მიდგომების, კონცეფციებისა თუ თეორიების ანალიზს, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ლიდერის ცნება მიმდევრების არსებობას გულისხმობს, რაც მისთვის დამახასიათებელი თვისებების, მათ შორის ინტელექტუალური მახასიათებლების (ნიჭიერება, განათლებულობა, პროფესიონალიზმი, ლოგიკური აზროვნება, წინდახედულობა, შორსმჭვრეტელობა, ქარიზმატულობა, ინტუიციური შეგრძნებები, და ა.შ), პიროვნული ნიშნების (ინიციატივიანობა, ინოვაციურობა, ენერგიულობა, შემოქმედებითობა, პატიოსნება, თავდაჯერებულობა, მტკიცე ნებისყოფა, პრინციპულობა, გაწონასწორებულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მიზნების მისაღწევად დაუოკებელი სწრაფვა, დამოუკიდებლობა, კოლეგიალურობა, ამბიციურობა და ა.შ.), შეძენილი უნარ-ჩვევების (ადამიანების შეცნობის, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევის უნარი, ტაქტიანობა და დიპლომატიურობა, პოპულარობისა და პრესტიჟის მოპოვებისა და ამაღლების უნარი, გუნდური საქმიანობის უნარი, თვითშემეცნებისა და თვითგანვითარების უნარი, იუმორის გრძნობა და ა.შ.) სწორად და მართებულად გამოყენებით მიიღწევა.

საინტერესოა ლიდერისა და მენეჯერის საქმიანი თვისებების შედარება. სხვადასხვა კვლევით დადგენილია, რომ მენეჯერი უპირატესად ადმინისტრატორია, ლიდერი კი ინოვატორი, მენეჯერი-ავალებს, ლიდერი კი შთააგონებს, მენეჯერი ეყრდნობა არსებულ სისტემას, ლიდერი კი რეალობას, მენეჯერი ახორციელებს სხვების მიერ დასახულ მიზნებს, ლიდერი კი თვითონ განსაზღვრავს მიზნებს და ა.შ.

არსებობს მოსაზრება, რომ ლიდერობისათვის აუცილებელი არაა პირი ორგანიზაციაში ფლობდეს რაიმე თანამდებობას (არაფორმალური ლიდერობა), გვხვდება საპირისპირო მოსაზრებაც, რომ ლიდერი თანამდებობასთან ერთად მოიაზრება (ფორმალური ლიდერობა). სხვებთან ერთად ამ უკანასკნელის მხარდამჭერია ს. რობინსი და მ. კოულტერი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „ლიდერი ისეთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია სხვებზე გავლენის მოპოვება და აქვს მენეჯერული უფლებამოსილებანი" [14,გვ.667] რა თქმა უნდა, მისასალმებელია თუ მენეჯერი თანამდებობასთან ერთად ლიდერის ზემოაღნიშნულ თვისებებსაც სრულად ფლობს. სამწუხაროდ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მენეჯერების არცთუ მცირე ნაწილი ვერ ფლობს, მათი გარკვეული რაოდენობა მხოლოდ ნაწილობრივ ფლობს ლიდერის თვისებებს, ნაწილი კი ძირითადად, ადმინისტრირებით შემოიფარგლება. ამ ფონზე, ვფიქრობთ, საკამათოა ზოგიერთი ავტორის მიერ ჩამოყალიბებული მართვის საბაზო ფუნქციები, სადაც ლიდერობა წარმოდგენილია ერთ-ერთი ფუნქციის სახით.

მენეჯმენტის (მართვის) ფუნქციების სწორად ფორმულირება, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით კი ბაკალავრებისათვის (მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, მათი ცოდნის დონისა და საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე მეტი შესაძლებლობა აქვთ, თვითონვე ღრმად ჩაწვდნენ საკითხის არსს), რადგან, ამ სფეროში არსებული განსხვავებული ინტერპრეტაციები მათ დაბნეულობას იწვევს და ხელს უშლის მყარი ცოდნის ჩამოყალიბებასა და ლოგიკური აზროვნების განვითარებას.

მენეჯმენტის (მართვის) ფუნქციებისადმი დაინტერესება დაახლოებით 100 წლის წინათ გამოიკვეთა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დაზუსტება-სრულყოფას დღესაც საჭიროებს. იგი ეხება მენეჯმენტის (მართვის) ძირითადი ან საბაზო ფუნქციების განსაზღვრას და მათი ზედმეტად დანაწილებისგან უარის თქმას, ზოგიერთი ფუნქციის არსისა და მნიშვნელობის დაზუსტება-სა და ა.შ. ეს საკითხი დეტალურად განხილული გვაქვს სტატიაში ,,მართვის ფუნქციების მართებულად გაგე-ბისათვისნ [5,გვ.246-250] ამიტომ, აქ მხოლოდ იმ განმარტებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც აუ-ცილებელია სადისკუსიო საკითხის სწორად გასაგებად.

ა. ფაიოლის მიერ 1916 წელს გამოაქვეყნებულმა ნაშრომმა - ,,სამრეწველო საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: დაგეგმვა, ორგანიზება, ბრძანებების გაცემა, კოორდინირება, კონტროლი" [14,გვ.11], შეიძლება ითქვას გარდატეხა შეიტანა მენეჯმენტის (მართვის) ფუნქციების ჩამოყალიბებაში, თუმცა, ამ მხრივ, განსხვავებული აზრი დღესაც არსებობს. კერძოდ:

- მესკონის, ალბერტისა და ხედოურის მიხედვით ,,მართვა არის დაგეგმვის, ორგანიზაციის მოტი-ვაციისა და კონტროლის პროცესი, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის მიზნების მისაღ-წევად" [12,გვ.38];
- სტივენ რობინსი და მერი კოულტერი მიიჩნევენ, რომ მენეჯმენტის ფუნქციებია: ,,დაგეგმვა, ორ-განიზაცია, ლიდერობა და კონტროლი" [14 ,გვ.10,11 და სხვაგან];
- რ. დაფტის აზრით ,,მენეჯმენტი ესაა ორგანიზაციის მიზნების ეფექტიანი და მწარმოებლური მიღწევა დაგეგმვის, ორგანიზაციის, ლიდერობის (ხელმძღვანელობის) და კონტროლის მეშვეო-ბით" [10, გვ.18].

მართვის (მენეჯმენტის) საკითხზე ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების, დამხმარე სა-ხელმძღვანელოების თუ ლექციების კურსის გაცნობის შედეგად ნებისმიერი დაინტერესებული სპეცია-ლისტი შეიძლება დარწმუნდეს, რომ მათი ავტორების უმრავლესობაზე აშკარაა მენეჯმენტის უცხოელი სპეციალისტების ნაშრომების გავლენა. მაგალითად, ქართულ ენაზე გამოცემულ მენეჯმენტის (მართვის) ხელმძღვანელოებსა თუ ლექციების კურსში გადმოცემული ძირითადი საკითხების (მათ შორის მართვის ფუნქციების) შინაარსიდან ნათლად იკვეთება ესა თუ ის ავტორი რომელი უცხოელი სპეციალისტის მო-საზრებებს იზიარებს.

ე. ბარათაშვილი და ლ. თაკალანძე მართვის ფუნქციებს სხვადასხვა ნიშნით ყოფენ. მათი აზრით, არსებობს მართვის ტექნიკური ფუნქცია, ფინანსური ფუნქცია, ადმინისტრაციული ფუნქცია და ა.შ. ად-მინისტრაციული ფუნქციებია: დაგეგმვა, კოორდინაცია, სტიმულირება და კონტროლინ [1,გვ.140]

შ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ,,მართვის ფუნქციები: ,,დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტრო-ლი და კოორდინაცია წარმოადგენს მენეჯმენტის საფუძვლების საკვანძო თემებს" (2,გვ.92);

გ.შიხაშვილის და კ.რუსიძის მოსაზრებით ,,მენეჯმენტში ხელმძღვანელობის სისტემა აგებულია მენეჯმენტის ოთხი ფუნქციის საფუძველზე, ესენია: დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი" [6,გვ.7];

მ. ტუღუში და ნ.ყირიმლიშვილი [4,გვ.39], გ.შუბლაძე, ზ.მღებრიშვილი და ფ. წოწკოლაური [7,გვ.46] მ. ხარხელი და გ. ქეშელაშვილი [8,გვ.37], თ. ხომერიკი [9,გვ.42] და სხვები მართვას განიხილავენ რო-გორც პროცესს, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ,,დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტი-ვაციისა და კონტროლის ფუნქციებისაგან".

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მართვის ძირითადი (საბაზო) ფუნქციების შე-სახებ სრული თანხმობა არ არსებობს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ავტორთა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით მართვის (მენეჯმენტის) ფუნქციებია: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მო-ტივაცია და კონტროლი. მაგრამ, რადგან ამ ფუნქციების განსხვავებული ინტერპრეტაციები (თანაც, მსოფ-ლიოში აღიარებული სპეციალისტების მიერ) არსებობს, საჭიროა მათი განხილვა და შეფასება.

რ. დაფტი, ლიდერობა -ხელმძღვანელობის ფუნქციაში გულისხმობს მენეჯერის გავლენის ზრდას მომუშა-ვეთა მოტივაციის ასამაღლებლად, რომელიც ორგანიზაციის მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი პირობაა. ასევე, იმას, რომ ყველა თანამშრომელი იზიარებს ორგანიზაციის მიზნებს, ფასეულობებს, კულტურას და ერთობლივი საქმიანობით იღწვის მაღალი შედეგების მისაღწევად. [10,გვ.20]. ჩვენ ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ,,ხელმძღვანელი" და ,,მმართველი", ,,ხელმძღვანელობა" და ,,მართვა" ძირითადად იდენტური ცნებებია. აქედან გამომდინარე მართვის ერთ-ერთი ფუნქცია ხელმძღვანელობა ანუ მართვა ვერ იქნება.

ჩვენ მართებულად მივიჩნევთ მესკონის, ალბერტის, ხედოურისა და სხვების მოსაზრებას, რომ ,,ეფექტიანი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია ეფექტიანად შესრულდეს დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციები" [12, გვ.463]. მაშასადამე, ეფექტიანი ხელმძღვანელობა არის ეფექტიანი მართვის საერთო საფუძველი, მისი განხორციელების უმნიშვნელოვანესი საშუალება, რომლის წარმატებით გამოყენებაზე მთლიანად არის დამოკიდებული არამხოლოდ ეფექტიანი მოტივაციის, არამედ, სხვა ძირითადი ფუნქციების (დაგეგმვის, ორგანიზებისა და კონტროლის) განხორციელება.

იმის გათვალისწინებით რომ, ამჟამად, ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ კურსის შესასწავლად სწორედ ს. რობინსისა და მ. კოულტერის -,,მენეჯმენტის“ ელექტრონული ვერსიის ქართული თარგმანი გამოიყენება[14], მასზე დეტალურად შევჩერდებით და ზემოაღნიშნული ავტორების მიერ მოტივაციის ფუნქციის ლიდერობის ფუნქციით ჩანაცვლების მიზანშეწონილებაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს.რობინსი და მ. კოულტერი, (ასევე რ.დაფტიც) ლიდერობისა თუ ხელმძღვანელობის ფუნქციების განხილვისას მოტივაციის საკითხებს არა თუ უგულველყოფენ არამედ განსაკუთრებულ ყურადღებასაც კი უთმობენ. ეს, მათ მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში განხილული მოტივაციის საკითხების ჩამონათვალიდანაც კარგად ჩანს. ისინი დეტალურად განიხილავენ მოტივაციის არსსა და მნიშვნელობას, მოტივაციის ადრინდელ და თანამედროვე თეორიებს, მოტივაციის თანამედროვე სხვა აქტუალურ საკითხებს, მაღალნაყოფიერი შრომის წამახალისებელი პროგრამების დამუშავების მნიშვნელობასა და ა.შ. მართალია, ისინი, მოტივაციას მართვის ძირითად (საბაზო) ფუნქციად არ თვლიან, მაგრამ მიიჩნევენ რომ ხელმძღვანელები, მათი საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, აუცილებელია იყენებდნენ ცოდნას მოტივაციის შესახებ.

ს. რობინსისა და მ. კოულტერის აზრით ,,როდესაც მენეჯერები ახდენენ დაქვემდებარებულების მოტი-ვირებას, ეხმარებიან მათ სამუშაო ჯგუფში კონფლიქტების მოგვარებაში, გავლებას ახდენენ ინდივიდებსა და გუნდებზე მუშაობის პროცესში, არჩევენ კომუნიკაციის ყველაზე ეფექტურ ხერხებს ან აგვარებენ მომუშავეთა ქცევასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ისინი ახორციელებენ ლიდერობას“ [14,გვ.11]. ჩვენთვის გაუგებარია, ყველა ზემოჩამოთვლილი მოქმედება ლიდერებთან ერთად რატომ არ შეიძლება შეასრულონ მენეჯერებმა. ამას, არც ს.რობინსი და მ.კოულტერიც უარყოფს. ისინი აცხადებენ, რომ ,,ყველა მენეჯერს უნდა შეეძლოს მომუშავეების მოტივირება [14,გვ.606]. ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია და პრაქტიკაში არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ნიჭიერი და თავიანთი საქმის კარგად მცოდნე მენეჯერები ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ ყველა მენეჯერი ლიდერის ზემოჩამოთვლილ თვისებებს ვერ ფლობს, ანუ ლიდერი არაა და ვერც მომავალში შეიძლება გახდეს, ამიტომ ისმის კითხვა ლიდერის თვისებების არმქონე მენეჯერებმა, როგორ უნდა შეასრულონ ლიდერის ფუნქცია?. არადა, ლიდერული თვისებების არმქონე მენეჯერების არსებობას არც ს. რობინსი უარყოფს. ს. რობინსისა და ტ. ჯაჯის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში ,,ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ,,ყველა ლიდერი არ არის მენეჯერი და არც ყველა მენეჯერი არის ლიდერი. ორგანიზაციის მიერ მენეჯერებისათვის გარ-კვეული ოფიციალური უფლებების მინიჭება არ არის იმის გარანტია, რომ ისინი ეფექტურ ლიდერობას შეძლებენ [3,გვ. 226]. გარდა ამისა, ს. რობინსისა და მ. კოულტერის ,,მენეჯმენტის“ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში მოტანილია კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც მენეჯერების არცთუ დიდ ნაწილს შეიძლება ქონდეს ლიდერობის პრეტეზია. ,,სავარაუდოდ მენეჯერთა 15 პროცენტი წმინდა წყლის ლიდერია, კიდევ 15 პროცენტი ვერასოდეს შეძლებს გუნდის ლიდერობას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება მათ პერსონალურ თვისებებს. შუაში მყოფ უზარმაზარ ჯგუფს (ანუ 70%-ს, მ.ტ.) გუნდის მართვის უნარი არ გააჩნიათ, მაგრამ შეუძლიათ ამის სწავლა [14, გვ.658]. თუ ჩავთვლით, რომ მათი (ანუ დანარჩენი 70 პროცენტის მ.ტ.) ნახევარი მაინც შეძლებს ლიდერული თვისებების შეძენას და ასეთ სურათს მივიღებთ: სავარაუდოდ, მენეჯერების მხოლოდ 50 პროცენტი (15+35) ფლობს ეფექტური ლიდერის თვისებებს.

ამ ფონზე, კითხვაზე: არის თუ არა ყველა მენეჯერი ლიდერი? - რობინსისა და კოულტერის პასუხი - ,,ვინაიდან ლიდერობა მენეჯმენტის 4 ფუნქციიდან ერთერთია, მაშინ დიახ, იდეაში ყველა მენეჯერი უნდა იყოს ლიდერი“ [14, გვ. 644] -ვფიქრობთ, საინტერესო, მაგრამ დაუსაბუთებელია. აქ, სასურველობა რეა-ლობადაა აღიარებული, რაც არასწორია. ვფიქრობთ, საკუთარი ერთი საკამათო მოსაზრების (ამ შემთხვევაში, ლიდერობის მენეჯმენტის ფუნქციად აღიარების) საკუთარივე მეორე მოსაზრების (რომ მენეჯერები უნდა იყვნენ ლიდერები) არგუმენტად მოყვანა მართებული არ უნდა იყოს.

,,იდეაში ყველა მენეჯერი უნდა იყოს ლიდერი“, ერთი შეხედვით საკამათო არაა, მაგრამ სანამ ეს ასე არაა (არადა, არც ახლო მომავალში შეიძლება იყოს), მანამდე რეალობა უნდა ვაღიაროთ.

მაშასადამე, იმის გამო, რომ მენეჯერების დიდი ნაწილი ვერ ფლობს ეფექტიანი ლიდერის თვისებებს (უნარებს) მიზანშეუწონელია ყველა მათგანისათვის ლიდერის ფუნქციის შესრულების დაკისრება. და აქედან გამომდინარე ვეთანხმებით მესკონს, ალბერტს, ხედოურს და სხვა ავტორებს, რომლებიც თვლიან, რომ მართვის ფუნქციაა მოტივაცია და არა ლიდერობა [12,გვ. 28 ].

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გაცნობის შემდეგ საჭიროდ მივიჩნევთ, ხაზგასმით დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია მართვის პროცესში ლიდერისა და ლიდერობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მენეჯმენტის (მართვის) თეორია და პრაქტიკა მათ გარეშე წარმოუდგენელია. ყველა მენეჯერი ლიდერი არ არის (და ვერც მომავალში იქნება), მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველა მენეჯერი არ ეცადოს გახდეს ნამდვილი ლიდერი და ეს საჭიროა, მენეჯმენტის (მართვის) არა ერთი რომელიმე ფუნქციის, არამედ, მთლიანად მართვის მეტად რთული პროცესის განსახორციელებლად.

ლიდერებმა, ისევე, როგორც ,,მოტივაციის“ შემთხვევაში, ,,დაგეგმვის“ ფუნქციის ( და სხვა ფუნქციების) განხორციელების პროცესშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ, რათა ზედმიწევნით სწორად იქნეს შეფასებული ორგანიზაციის შიგა და გარე გარემო, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები და განსაზღვრულ იქნეს განვითარების სწორი მიმართულებები. შემდეგ კი ეფექტიანი ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის პროცესის განხორციელების შედეგად რეალიზებულ იქნეს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნები. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მენეჯმენტის (მართვის) ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება, მათ შორის პერსონალის ეფექტიანი მოტივაცია ლიდერების მხოლოდ პიროვნული თვისებებით განპირობებული არაა და ამისათვის, ზემოაღნიშნულთან ერთად, აუცილებელია ორგანიზაციაში არსებობდეს შესაბამისი გარემო პირობები (ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზა, ეფექტიანი შრომის წახალისების სისტემა და მისი განხორციელების შესაძლებლობები, კარგი სამუშაო გარემო და ა.შ.), რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ეფექტიანი მენეჯმენტი (მართვა) მისი ყველა ფუნქციის, მართვისადმი მიდგომებისა და მართვის მეთოდების ერთობლივი და ეფექტიანი გამოყენებით მიიღწევა, რაც მმართველებში ლიდერის თვისებების მუდმივი ზრდის გარეშე შეუძლებელი იქნება.

ამჟამად, როცა ფართოდ განვითარდა გუნდური საქმიანობა, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება გუნდის წევრების მიერ ლიდერისადმი ნდობის განმტკიცებას. არსებობს ლიდერობის ნდობის კონცეფციის ხუთი განზომილება, ესენია: პრინციპულობა, კომპეტენტურობა, სიმტკიცე, ლოიალურობა, გახსნილობა. [14, 661]. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ლიდერებისადმი ნდობის ხარისხის ამაღლება ოცდამეერთე საუკუნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რაც უნდა გაითვალისწინოს როგორც ტრანსფორმაციულ-ტრანზაქციულმა, ისე ქარიზმატულმა და შორსმჭვრეტელმა ლიდერებმა. მენეჯერების ლიდერებად ჩამოყალიბების პროცესი მეტად რთულია. როგორც აღვნიშნეთ, ყველა მენეჯერი შეიძლება ვერ გახდეს ეფექტური ლიდერი, მაგრამ ყველა მენეჯერი ვალდებულია მაქსიმალური ძალისხმევა გამოავლინოს ამ მიზნის მისაღწევად.

დასკვნა: მენეჯმენტის (მართვის) ძირითად, საბაზო ფუნქციებში ,,მოტივაციის“ ფუნქციის ,,ლიდე-რობით“ ჩანაცვლება (ს.რობინსი, მ. კოულტერი) მიზანშეუწონელია და მართვის ფუნქციების - ,,დაგეგმვის“, ,,ორგანიზების“, ,,მოტივაციისა“ და ,,კონტროლის“ სახით ჩამოყალიბების მართებულობა, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ლიდერი და ლიდერობა კი ეფექტიანი მართვის საერთო საფუძველია, რომელზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული არამხოლოდ მენეჯმენტის (მართვის) ფუნქციების (და არა ერთი რომელიმე ფუნქციის, თუნდაც, მოტივაციის) ეფექტიანად განხორციელება, არამედ, მართვისადმი მიდგომებისა და მართვის მეთოდების ეფექტიანად გამოყენებაც.

## ლიტერატურა:


1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2010.
2. მაჭავარიანი შ. მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და პრაქტიკული მიდგომები. ,,მეგობრობა“, თბ., 2014.
3. რობინსი ს., ჯაჯი ტ. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ.,2009.
4. ტუღუში მ., ყირიმლიშვილი ნ., მენეჯმენტი. ,,ინოვაცია“, 2011.
5. ტუღუში მ, მართვის ფუნქციების მართებულად გაგებისათვის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებულში: ,,ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, თბ., 2015 წ., (გვ.,246-250).
6. შიხაშვილი გ., რუსიძე კ., პროექტების მენეჯმენტი. ,,მერიდიანი“, თბ., 2010.
7. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები. ,,უნივერსალი“, თბ., 2008.
8. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ. მენეჯმენტის საფუძვლები. სახელმძღვანელო, ,,საჩინო“, თბ., 2013.
9. ხომერიკი თ., მენეჯმენტი.,,,ინოვაცია,“ თბ., 2008.
10. Ричард Л. Дафт, Менеджмент. Питер, 2008.
11. Робинс С., Коултер М., Менеджмент. Москва, Санкт-Петербург-Киев, 2007 .
12. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента: пер. С англ. Под ред. Л.И. Евенко. – М., Дело, 2005.
13. Daft Richard L., New Era of Management. Vanderbilt University., Inc., 2010.
14. Robbins St. P., Coulter M., Management. Twelfth Edition, 2013, ქართული თარგმანის ელექტრონული ვერსია.

# Is Leadership one of the function of Management?

***Miron Tugushi***
*Doctor of Economics,*
*Associate Professor*
*Tbilisi State University*

S u m m a r y

The author of the article shares the ideas of those researchers, who thought that motivation together with planning, organization and control is one the most basic functions of a management (governing) , but not leadership. It is underlined, that the supporters of replacement of motivation by leadership in basic functions of management pay especially great attention to motivation issues, but they do not admit it as an independent function.

By the author's opinion leader and leadership are common basis of effective governing and its main conditioned factor, on which implementation of not only one of the management function – motivation, but effective implementation of the four basic functions is significantly depended , as well as effective application of approaches to management, management principles and methods.

***Key words:*** *leader and leadership; functions of management; manager and leader; motivation.*

# ინტერნეტმარკეტინგის გავლენა მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე

**ეკატერინე უროტაძე**
*ასისტენტ პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში ნაჩვენებია, რომ უკანასკნელ ხანებში ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის ზრდა ხასიათდება მაღალი ტემპებით, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში, რაც მყიდველობითი ქცევის ცვლილებას იწვევს. ინტერნეტმარკეტინგთან დაკავშირებული მომხმარებელთა ქცევის შესწავლის მიზნით ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა. გამოვლენილია ინტერნეტსივრცეში მომხმარებელთა აქტიურობისა და ჩართვის ძირითადი ტენდენციები. დადგენილია ინტერნეტშესყიდვის სიხშირე და ამ პროცესის ზემოქმედება მყიდველობით ქცევაზე. შესწავლილია მომხმარებელთა ქცევაზე ინტერნეტრეკლამის გავლენა, აგრეთვე ქართული და უცხოური საიტების მიმართ მათი სანდოობა. შეფასებულია საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომპანიების მიერ გატარებული ინტერნეტ მარკეტინგული ღონისძიებები, საქართველოში ინტერნეტმარკეტინგის განვითარების დონე და მომხმარებლებზე ინტერნეტ-მარკეტინგის შესახებ ინფორმაციული წყაროების გავლენა. გაანალიზებულია ინტერნეტით შეძენის ასოციაციები და განსაზღვრულია ქართული კომპანიების მიერ ინტერნეტ მარკეტინგის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების პრიორიტეტები.*

*საკვანძო სიტყვები: ინტერნეტმარკეტინგი; საქართველოს ბაზარი; მომხმარებელთა ქცევა; მარკეტინგული კვლევა.*

**პრობლემის აქტუალურობა და შესწავლის დონე.** XXI საუკუნეში ტექნოლოგიურმა განვითარებამ ბიზნესი ციფრულ ერაში გადაიყვანა, ხოლო მარკეტინგს ახალი შესაძლებლობები შესძინა. ინტერნეტმარკეტინგი, როგორც ახალი ინსტრუმენტი, წარმოადგენს ინტეგრირებული მარკეტინგის განუყოფელ ნაწილს და ნებისმიერი ბიზნესის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია [1]. თანამედროვე მარკეტინგული საქმიანობა წარმოუდგენელია ინტერნეტის გარეშე, რომლის გამოყენებაც პირდაპირ მოქმედებს ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე [2]. დღეისათვის ინტერნეტმა მოახდინა მარკეტინგის ტრანსფორმაცია, რომელმაც მოიტანა ახალი თავისებურებები, მახასიათებლები და უპირატესობები [3]. ასეთ ცვლილებებს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოში სულ უფრო იზრდება.

2018 წლის იანვარში გლობალურმა მედიასააგენტომ We Are Social-მა და სოციალური ქსელების მართვისათვის პლატფორმის შემმუშავებელმა კომპანია HootSuite-მ წარმოადგინეს ანგარიშები, რომელთა მიხედვითაც მსოფლიოში ოთხ მლრდზე მეტი ადამიანი იყენებს ინტერნეტს [4; 5]. კერძოდ, ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს შეადგინა 4,021 მლრდ ადამიანი (მსოფლიო მოსახლეობის 53%), რაც 7%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის მეოთხედი მლრდ ადამიანი 2017 წელს პირველად ჩაერთო ინტერნეტში. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ აფრიკასა და შუა აზიაში დღემდე ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის მაჩვენებელი დაბალია, ამ რეგიონებში ზრდის მაღალი ტემპი შეინიშნება. ყველაზე მაქსიმალური ტემპები ფიქსირდება აფრიკის ქვეყნებში, სადაც 2017 წელს ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 20%-ზე მეტად. ქსელში ახალი მომხმარებლების უმეტესობა ჩაერთო იმის გამო, რომ შემცირდა სმარტფონების ფასები და მობილური კავშირის ტარიფები, რომლებიც უფრო ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. შესაბამისად, მობილური ტელეფონებით (უპირატესად, სმარტფონებით) აღიჭურვა მსოფლიო მოსახლობის ორ მესამეზე მეტი. მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობამ 2018 წლისათვის შეადგინა 5,175 მლრდ ადამიანი (მსოფლიო მოსახლეობის 68%), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 4%-ით აღემატება. გაეროს სპეციალიზებული განყოფილების, ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Telecommunication Union - ITU-ს), პროგნოზის მიხედვით, 2020 წლისათვის ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა, დღევანდელთან შედარებით, 20%-ით გაიზრდება [6].

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით, 2017 წელს ჩვენს ქვეყანაში ინტერნეტზე წვდომა ჰქონდა 645 104 აბონენტს [7]. ამასთან, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა 81 738-ით გაიზარდა. კომპანიების მიხედვით, აბონენტების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: სილქნეტი - 278 559 აბონენტი; მაგთიკომი- 316 143 აბონენტი; ახალი ქსელები - 34 483 აბონენტი; CGC – 15 919 აბონენტი. 2010 წლიდან დღემდე ფიქსირებული ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ნახევარი მილიონით არის გაზრდილი, მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა კი - ორი მილიონით. დღეის მდგომარეობით, მობილურ ინტერნეტს 286 0325 ადამიანი მოიხმარს. საქართველოში ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი 69,5%-ია. ინტერნეტით მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი თბილისშია უზრუნველყოფილი (85,5%), შემდეგ მოდის აჭარა (80,3%) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (66%). საქართველოს მთავრობა მტკიცედ ზრუნავს სატელეკომუნიკაციო სფეროს განვი-

თარებაზე ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სექტორის განვითარების დასაჩქარებლად. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 99,7% 4G/LTE მობილური მომსახურებით სარგებლობს, 99,9% - 3G/LTE მობილური მომსახურებით და 70% სახლის ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურებით. ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების გამო, ქართველ მობილურ ოპერატორებს მობილური LTE/4G ფართოზოლოვანი მომსახურების გაწევის შესაძლებლობა მიეცათ [8].

საქართველოში ინტერნეტისადმი წვდომის გაზრდამ სრულაიდ შეცვალა მომხმარებლის როლი ბიზნესში. არსებული რეალობა განაპირობებს ქართველი მომხმარებლების მეტ ჩართვას ინტერნეტმარკეტინგში. შესაბამისად, ქართული კომპანიები ინტერნეტმარკეტინგული ინსტრუმენტების მეშვეობით ზრდიან თავიანთ ცნობადობას და იღებენ სრულ ინფორმაციას მომხმარებლების შესახებ. ყოველივე ეს კი განაპირობებს ინტერნეტსივრცეში მომხმარებელთა ქცევის შესწავლის აუცილებლობას. ასეთი სახის კვლევები უცხოეთში საკმაოდ წარმატებით ხორციელდება. შექმნილია სხვადასხვა სახის თეორიული და პრაქტიკული მოდელები, რომლებიც ინტერნეტ მომხმარებელთა ქცევის ცვლილებას უკავშირდება [9]. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ინტერნეტმარკეტინგი ხელს უწყობს მომხმარებლების მოზიდვას და მათ ინფორმირებას, ხოლო კარგად დაგეგმილი და განხორციელებული ინტერნეტ მარკეტინგული კამპანია დადებითად მოქმედებს კომპანიის იმიჯზე და უზრუნველყოფს მის მომგებიანობას [10-13]. ბაზრისა და მომხმარებელთა ქცევის ცალკეული საკითხების კვლევა ტარდება საქართველოშიც. შესწავლილია მომხმარებლების ქცევის თავისებურებები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე, რომლებშიც მთავარი აქცენტი გაკეთებულია ქართველი მომხმარებლების ინფორმირებასა და ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე [14- 27]. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკმაოდ მწირია ინტერნეტ მარკეტინგის მიმართ ქართველი მომხმარებლების ქცევის შესახებ გამოკვლევები, რაც სათანადო დამუშავებას მოითხოვს. დასახელებული ხარვეზის, გარკვეულწილად, აღმოფხვრის მიზნით ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა, რომლის მიზანია საქართველოს ინტერნეტ ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების გამოვლენა და მათზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების დადგენა.

**კვლევის მეთოდოლოგია**. პირველადი მონაცემების შესაგროვებლად კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტაში ვისარგებლეთ ლიკერტის ხუთბალიანი სკალით და არასაალბათო შერჩევის მეთოდით [28]. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, ასევე ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. გამოიკითხა 18–დან 45 წლამდე ასაკის, უმეტესად, დასაქმებული ადამიანები. შერჩევის მოცულობა იყო 500 რესპონდენტი.

**კვლევის შედეგები**. კვლევამ აჩვენა, რომ ინტერნეტშესყიდვებით თანაბარი რაოდენობითაა დაინტერესებული როგორც მამაკაცები, ასევე ქალები. კვლევაში წარმოდგენილნი არიან ყველა ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებლები, თუმცა, მაინც გამოიკვეთა 18-დან 35 წლამდე ასაკის კატეგორია (31,3%), რომელსაც მოსდევს 26-დან 35 წლამდე ასაკობრივი კატეგორია (23,5%) და 36-დან 45 წლამდე ასაკობრივი კატეგორია (18,3%).

იმისათვის, რომ რესპონდენტები თანდათანობით გარკვეულიყვნენ საკითხებში, კვლევის პირველი ეტაპი, ძირითადად, შეეხებოდა ინტერნეტში მომხმარებლის ჩართვას. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 83,3% ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა კომპიუტერთან და ინტერნეტთან დღეში 3 საათზე მეტხანს ატარებს. უფრო კონკრეტულად, გამოკითხულთა 28,4% ინტერნეტთან ურთიერთობას უთმობს 3-4 საათს, 26,6% - 5-დან 7 საათამდე, ხოლო 24% - 7 საათზე მეტხანს. გამოკითხულთა მხოლოდ 21% ინტერნეტთან ერთ ან ორ საათს ატარებს. ეს შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინტერნეტი ქართველი მომხმარებლების ცხოვრებაში. კვლევა ცხადყოფს, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის პრიორიტეტულია ინფორმაციის მოძიება (44,2%), ასევე, სოციალურ ქსელებში ურთიერთობა (42%) და პროფესიული საჭიროებები (41,6%).

შემდგომ ეტაპზე გამოვლინდა რესპონდენტების დამოკიდებულება ინტერნეტმარკეტინგისადმი, კერძოდ, მათ მეხსიერებაში არსებული მოგონებები და გამოცდილება, რომლებიც ინტერნეტ შესყიდვებს უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 21% სასურველ საქონელს ან მომსახურებას ინტერნეტით იძენს ყოველთვის, როცა კომპანიებს მსგავსი მომსახურების სერვისი გააჩნიათ, 32%-ს ურჩევნია, რომ შესყიდვა ადგილზე გააკეთოს, თუმცა, ისინი ინტერნეტს მაინც მიმართავენ. გამოკითხულთა მხოლოდ 22 % არ ენდობა კომპანიებს და უარს ამბობს შესყიდვაზე, 25% კი, დისკომფორტის მიუხედავად, იშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავს ინტერნეტ შესყიდვას.

რაც შეეხება რესპონდენტების სამომხმარებლო ქცევის ცვლილებას, გამოკითხულთა 33%-ის აზრით, ინტერნეტის გამოყენებამ საშუალება მისცა მათ დაეზოგათ ბევრი დრო და ენერგია, რამაც, თავის მხრივ, შესყიდვის პროცესი გაამარტივა. 39% თვლის, რომ კონკურენტული პროდუქციის შედარების მომენტში ინტერნეტის საშუალებით უფრო მეტად ინფორმირებული გახდა. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არჩევანის გაკეთების შემდეგ ისინი შესყიდვას ინტერნეტის საშუალებით განახორციელებენ. 21%-სათვის ინტერნეტს მათ მყიდველობით ქცევაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია, ხოლო 7%-ს ინტერნეტ შესყიდვების განხორციე-

ლების შედეგად უარყოფითი გამოცდილება გაუჩნდა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ ყიდვის შესახებ დადებითი გამოცდილების შემთხვევაში, მომხმარებლები მზად არიან, ხელმეორედ მიმართონ იმ კომპანიებს, რომლებმაც ინტერნეტის დახმარებით მომხმარებლამდე სასურველი საქონლის ან მომსახურების მიტანა შეძლეს.

კვლევის პროცესში საკმაოდ საინტერესო იყო გადაწყვეტილების მიღებისას მომხმარებლებზე მოქმედი ფაქტორების განხილვა. გამოკითხულიდან ყველაზე მეტმა (37%-მა) ასეთ ფაქტორად დაასახელა ინფორმაციულობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მომენტში მათთვის მნიშვნელოვანია ზუსტი და სათანადო ინფორმაციის ფლობა. რესპონდენტებისათვის ასევე აუცილებელი აღმოჩნდა ხელმისაწვდომობა (32%) და სიმარტივე (31%).

ჩვენ მიერ ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული რესპონდენტების 51,5% -ს ინტერნეტ რეკლამისადმი პოზიტიური დამოკიდებულება აქვს. კვლევიდან გამომდინარე, მათი პოზიტიური დამოკიდებულები მთავარი მიზეზია ის, რომ ინტერნეტ რეკლამის საშუალებით ისინი იღებენ ინფორმაციას სიახლეებისა და პროდუქტების შესახებ. გამოკითხულთა 27,2%-ს ინტერნეტ რეკლამისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, ხოლო 21,3%-ს ნეგატიური. ნეგატიური დამოკიდებულების მთავარ მიზეზად რესპონდენტების უმრავლესობა ასახელებს იმას, რომ რეკლამა ხელს უშლის მათ ფილმების, საინფორმაციო პროგრამის და სხვათა ყურების ან მოსმენის დროს. გამოკითხული რესპონდენტების 62,6% აცხადებს, რომ ინტერნეტრეკლამა მათ მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს. ამასთან, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინტერნეტ რეკლამის ზემოქმედების დონე დასაქმებულ ადამიანებს შორის უფრო მაღალია. რესპონდენტები, რომლებზედაც ინტერნეტ რეკლამა გავლენას არ ახდენს (37,4%), აცხადებენ, რომ საერთოდ არ ენდობიან ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციას.

მეტად საგულისხმოა მომხმარებელთა დამოკიდებულება ქართული და უცხოური ინტერნეტ კომპანიების მიმართ. აღმოჩნდა, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი (55%) იყენებს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ საიტებს. მხოლოდ უხოურ საიტებს ენდობა გამოკითხულთა 35%, ხოლო მარტოოდენ ქართულ საიტებს მიმართავს 10%, რაც ადგილობრივი კომპანიებისადმი ნდობის დაბალი მაჩვენებელია. რესპონდენტთა 27% თვლის, რომ საქართველოში ინტერნეტ მარკეტინგი საკმაოდ განვითარებულია, 18%-ს ამაზე ინფორმაცია არ აქვს. 13% -ის აზრით, საქართველოში ინტერნეტმარკეტინგი საერთოდ არაა განვითარებული, ხოლო გამოკითხულთა ყველაზე დიდი რაოდენობა (42%) თვლის, რომ ქართული ინტერნეტმარკეტინგი განვითარების პროცესშია. ამ კითხვის მიხედვით შეგვიძლია ასევე გავიგოთ მომხმარებელთა დამოკიდებულება ქართული კომპანიების მხრიდან გატარებული ინტერნეტმარკეტინგული ღონისძიებების მიმართ. რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ საქართველოს ბაზარზე დასაქმებულ კომპანიებს გააჩნიათ უფრო მეტად განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი.

როგორც ჩანს, ქართული კომპანიების მხრიდან განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებები მომხმარებლებში უნდობლობას იწვევს. ამიტომ, საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა კუთხით საჭიროებს გაუმჯობესებას მათი მოქმედებები, როდესაც საქმე ეხება ინტერნეტმარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებას. რესპონდენტთა 21% თვლის, რომ კომპანიებმა მომხმარებლებზე უფრო ინტენსიური შეთავაზებები უნდა განახორციელონ, რაც გულისხმობს ინტერნეტშესყიდვისა და ინტერნეტრეკლამის არხების გაფართოებას და, შესაბამისად, მიზნობრივი აუდიტორიისთვის მეტი კომფორტის შეთავაზებას. გამოკითხულთა 38% თვლის, რომ კომპანიებმა უფრო მაღალი ხარისხის შეთავაზებები უნდა გაკეთონ, ხოლო 35%-ის აზრით, კონკრეტული პროდუქციის შეძენის მომენტში ინტერნეტის გამოყენება მომხმარებლებისათვის უფრო მოსახერხებელი უნდა გახდეს. გამოკითხულთა მხოლოდ 6% არ თვლის, რომ ქართულ კომპანიებს ამ კუთხით რაიმე გაუმჯობესება სჭირდებათ.

კვლევა ასევე ეხებოდა ინტერნეტმარკეტინგის შესახებ ინფორმაციული წყაროების განსაზღვრას. პირველ რიგში დავინტერესდით, თუ რომელი ტექნიკური საშუალებებით იღებენ მომხმარებლები სასურველი საქონლის ან მომსახურების შესახებ ინფორმაციას. რესპონდენტების უმრავლესობა (57%) ძირითადად ინფორმირებული ხდება ინტერნეტის, ასევე ტელევიზიისა (21%) და რადიოს (11%) საშუალებით. საკმაოდ მცირეა ჟურნალ-გაზეთების (5%), ბანერების (4%) და სხვა საშუალებების (2%) ხვედრითი წონა. შესაბამისი კომპანიის არჩევისას კი რესპონდენტების დიდ კატეგორიაზე გავლენას ახდენენ ახლობლები და მეგობრები (34 %), ასევე წარსულის გამოცდილება (29 %) და რეკლამები (17%). ინფორმაციული წყაროების გავლენას ვერ აფიქსირებს რესპონდენტთა 20 %.

საკმაოდ საინტერესო იყო იმის დადგენა, საქონლისა და მომსახურების ინტერნეტით შეძენა როგორ ასოციაციებს იწვევს მომხმარებელში. რესპონდენტთა 28% ფიქრობს, რომ ისინი უმოკლეს დროში ხდებიან ინფორმირებულნი, რაც მათში გადაწყვეტილების მიღებას აადვილებს. 25% თვლის, რომ ინტერნეტი უდავოდ სასარგებლოა, თუმცა, მისი დახმარებით შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული საქონლისა და მომსახურების შეძენა. მომხმარებელთა 24%-ის აზრით, ინტერნეტით მიღებული ინფორმაცია, რეალურთან შედარებით, უფრო მეტად მაცდური და გაზვიადებულია, რაც კომპანიების მხრიდან არასწორ მარკეტინგულ გათვლებზე მიუთითებს. ცხადია, საკუთარი პროდუქციის გასაღება ნებისმიერი ორგანიზაციის პრეროგატივაა, თუმცა, ეს

არ უნდა მოხდეს მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისა და მოტყუების ხარჯზე. საიტზე განთავსებული პროდუქციის რეკლამა უნდა შეესაბამებოდეს მის რეალურ მახასიათებლებს. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 23% ასეთი სახის ინფორმაციას საერთოდ ყურადღებას არ აქცევს.

ქართული კომპანიების მიერ გატარებული ინტერნეტმარკეტინგული ღონისძიებების ხარისხის შეფასებისას რესპონდენტების 41% -მა აღნიშნა, რომ იგი საშუალოა, ხოლო 33%-მა მის დაბალ დონეზე მიუთითა. რესპონდენტების მხოლოდ 9%-ს მიაჩნია საქართველოში ინტერნეტმარკეტინგის განვითარების დონე ხარისხიანად, ხოლო 17%-ს პასუხის გაცემა უჭირს. ამასთან, მომხმარებლები მზად არიან, ინტერნეტშესყიდვებზე უარი თქვან იმ შემთხვევაში, თუ საქონელი ან მომსახურება მათ მოლოდინს არ გაამართლებს.

კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლები, პროდუქციის შეძენის მომენტში, უცხოურ საიტებს ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო მომსახურებას, ძირითადად, ქართული საიტებიდან იღებენ. ყოველივე ეს მომსახურების სფეროში დასაქმებულ ქართულ კომპანიებში ინტერნეტმარკეტინგის შედარებით მაღალ განვითარებაზე მიუთითებს, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული კომპანიების მხრიდან ინტერნეტმარკეტინგული ღონისძიებების გატარების ხარისხი, რესპონდენტების აზრით, საშუალოზე დაბალია.

**დასკვნები**. ჩატარებული მარკეტინგული კვლევა ცხადყოფს, რომ ქართველი მომხმარებლები ყოველდღიურ ცხოვრებაში ელექტრონულ საშუალებებს ინტენსიურად მოიხმარენ. მათთვის მნიშვნელოვანია, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი გამოყენება საჭიროებისამებრ. სწორედ ეს შედეგები უნდა გახდეს ქართულ ბაზარზე დასაქმებული კომპანიებისთვის ინტერნეტ მარკეტინგული ღონისძიებების უფრო გააქტიურების ფაქტორი. კვლევიდან გამომდინარე, მომხმარებელი დამოკიდებულია ინტერნეტზე, როდესაც ის რაიმე ინფორმაციის მოძიებას ცდილობს. ამასთან, მომხმარებლები ბოლომდე დადებითად არ არიან განწყობილნი ინტერნეტშესყიდვების მიმართ, ამიტომ, ისინი კომპანიებისადმი უნდობლობას გამოხატავენ. კერძოდ, რესპონდენტთა ერთ ნაწილს ურჩევნია სასურველი საქონელი ან მომსახურება შეიძინოს ადგილზე გაცნობის შემდეგ, დანარჩენები კი ინტერნეტ შესყიდვის პროცესში გარკვეულ რისკებს ხედავენ, თუმცა, მას მაინც მიმართავენ. მომხმარებლებისთვის თითქმის თანაბარმნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედი ფაქტორები. ამიტომ მათთვის სასურველი პროდუქციის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება ან მისი მარტივად შეძენა კომპანიების მიმართ მათ ნდობას მნიშვნელოვნად აამაღლებს.

## ლიტერატურა:


1. Акулич М.В. *Интернет-маркетинг*. — М.: Издательско-торговая корпорация „Дашков и К°“, 2016.
2. Maity, M. (2017). *Internet Marketing*. New Delhi: Oxford University Press.
3. Bhatia, P. S. (2017). *Fundamentals of Digital Marketing*. India: Pearson Education.
4. https://wearesocial.com/
5. https://hootsuite.com/
6. https://www.itu.int
7. https://www.gncc.ge/uploads/other/3/3117.pdf
8. https://commersant.ge/ge/post/saqartveloshi-internet-momxmareblebis-raodenoba-izrdeba?%3E
9. Sivasankaran, S. (2017). *Digital Marketing and Its Impact on Buying Behaviour of Youth*. International Journal of Research in Management & Business Studies, Vol. 4, No. 3, pp.35-39.
10. Ali, Z., Ejaz, S., Aleem, A., Saeed, M., Tahir, F., and Kashif, M. (2015). *Understanding E-Marketing as a Firm's Promotional tool and Its Impact on Consumer Perception*. International Journal of Academic Research in Business and Social Sciences, Vol. 5, No. 3, pp.365-379.
11. Gangeshwer, D. K. (2013). *E-Commerce or Internet Marketing: A Business Review from Indian Context* . International Journal of u- and e- Service, Science and Technology, Vol. 6, No. 6, pp. 187-194.
12. Yasmin, A., Tasneem, S., and Fatema, K. (2015). *Effectiveness of Digital Marketing in the Challenging Age: An Empirical Study*. International Journal of Management Science and Business Administration, Vol.1, No. 5, pp. 69-80.
13. Park, Ch., and Kim, Y. (2003). *Identifying key factors affecting consumer purchase behavior in an online shopping context.* International Journal of Retail & Distribution Management, Vol. 31, No. 1, pp.16-29.
14. Meskhia, I. (2016). *Food security problems in post Soviet Georgia.* Annals of Agrarian Science. Vol. 14. pp. 46-51.
15. Apil, A., Kaynak, E., and Todua, N. (2009). *Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia.* In Proceedings of 18th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns“. International Management Development Association. Research Yearbook. Vol. 18, pp. 531-539.
16. Jashi, C., and Todua, N. (2013). *Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case).* In Proceedings of third World Social Marketing Conference. Toronto (Canada), pp. 95-97.
17. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). *Characteristics of Food Products Labeling in Georgia.* Proceedings of International Scientific Symposium „Economics, Business & Finance“, Jurmala, pp. 135-138.

18. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). *Functions of Retailing*. In Proceedings of 23rd International Academic Conference, Venice, pp. 356-360.
19. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). *About Marketing Process Model and Relationship Marketing.* Proceedings of BSLab-SYDIC International Workshop „Model-Based Governance for Smart Organizational Future “, Roma, pp. 169-171.
20. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). *About the importance of brand as a system.* Proceedings of WOSC Congress: „Science with and for Society: Contributions of Cybernetics and Systems“. Sapienza University of Roma, Italy.
21. Todua, N. (2017). *Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers.* Ecoforum Journal. Vol. 6, No. 2.
22. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *Anova in Marketing Research of Consumer Behavior of Different Categories in Georgian Market.* Annals of'Constantin Brancusi University of Targu-Jiu. Economy Series, Issue 1, pp. 183-190.
23. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *On the Marketing Research of consumer prices and inflation process.* British Journal of Marketing Studies. Vol. 3, No. 2, pp. 48-57.
24. Todua, N., Babilua, P., and Dochviri, T. (2013). *On the Multiple Linear Regression in Marketing Research.* Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 7, No.3, pp. 135-139.
25. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, B. (2017). *Georgian Farmers Attitudes towards Genetically Modified Crops.* Economics World, Vol. 5, No.4, pp. 362-369.
26. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, J. (2015). *Georgian consumer attitudes towards genetically modified products*. International Journal of Management and Economics, Vol. 46, No.1, pp. 120-136.
27. Todua, N., and Jashi, C. (2015). *Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case).* International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering. Vol. 9, No: 4, pp. 1160-1163.
28. Малхотра, Нэреш К. *Маркетинговые исследования. Практическое руководство*, 3-е издание: Пер. с англ. – М.: Издательский дом „Вильямс“, 2003.

## The Impact of Internet Marketing on Consumer Buying Behavior

***Ekaterine Urotadze***
*Assistant Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

The paper shows that, recently, the growth in the quantity of Internet consumers is characterized by high rates both in the world and in Georgia, which leads to a change in consumer behavior. For studying the consumer behavior connected with internet marketing,is conducted a marketing research. Identified the main trends of activity and inclusion of consumers in the Internet space. There are established online buying frequencies and their impact on purchasing behavior. THE paper studies the influence of Internet advertising on consumer behavior, as well as the reliability to Georgian and foreign websites. In the article is evaluated internet marketing activities of the companies, operating on Georgian market, the level of Internet marketing development in Georgia and the impact of sources of internet information on consumers. The work analyzes internet purchase associations and priorities of action for improving Internet marketing by Georgian companies.

***Key words:*** *internet marketing; Georgian market; consumer behavior; marketing research.*

# ხორვატიის ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში და საქართველო

**რამაზ ფუტკარაძე**

*ეკონომიკის დოქტორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს. ხორვატია ევროკავშირის ბოლო წევრია. ნაშრომში განხილულია ხორვატიის სოციალურ ეკონომიკური განვითარების თავისებურებები. ხორვატია ევროპის ერთდერთი სწრაფად განვითარებადი და რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, რომელიც აქტიურად ცდილობს გლობალურ ეკონომიკაში შემდგომ ინტეგრაციას. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ხორვატიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რიგი აქტუალური საკითხები და შემუშავებულია წინადადებები თუ რისი გათვალისწინებაა შესამლებელი ქართულ რეალობაში.*

*ხორვატიის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა ტურიზმი. ტურიზმი ხორვატიის მშპ–ის დაახლოებით 20%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. შედარებისათვის, ევროკავშირში ტურიზმზე მოდის მშპ–ის 10%. საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოში ტურიზმის წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებებში შეადგენს 7,3%–ს. სასურველია ხორვატიასთან ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა.*

*ხორვატიის ფართობი საქართველოზე ნაკლებია, ხოლო მოსახლეობა რიცხოვნობა პირიქით მეტი. ხორვატიის საქონლის ექსპორტის მოცულობა საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 5–ჯერ. ხორვატიის საქონლის ექსპორტმა 2017 წელს 13,7 მლრდ აშშ დოლარი (შედარებისათვის საქართველოს საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2017 წელს 2,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე – 2 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა.*

*ნატოსა და ევროკავშირს შორის პირდაპირი კავშირი არაა, მაგრამ ხორვატია ნატოს წევრი გახდა ევროკავშირის წევრობამდე, 2009 წლის 1 აპრილს. ხორვატია აქტიურადაა ჩართული გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში. იგი აქტიურად ცდილობს პუი–ების მოზიდვას და ზრუნავს საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. ქვეყანაში ფუნქციონირებს „ინვესტიციებისა და კონკურენტუნარიანობის სააგენტო", რისი ქართულ რეალობაში გადმოღება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.*

*ამრიგად, ევროკავშირის წევრობა მომგებიანია ხორვატიის ეკონომიკისათვის. სასურველია ხორვატიის გამოცდილების შესწავლა და გამოყენება საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის.*

*საკვანძო სიტყვები: ხორვატია, ეკონომიკური ინტეგრაცია, თავისუფალი ვაჭრობა,*

**საქართველო, ეკონომიკური განვითარება.**

ხორვატია ევროკავშირის 28-ე წევრი ქვეყანაა. უკვე 5 წელი გავიდა მას შემდეგ, ის ევროკავშირის წევრია. შესაბამისად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (და არა მარტო ეკონომიკურ) აღნიშნული პრობლემა ნაკლებადაა შესწავლილი. 2018 წელი ხორვატიისთვის მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა მიმართულებით, ასე მაგალითად ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი მე–2 ადგილი, რაც ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი საერთაშორისო წარმატებაა.

ხორვატიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები (მოკლე მიმოხილვა). ხორვატიის რესპუბლიკას გააჩნია უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, ხორვატია არის ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ნატოს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სხვა მრავალი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის სწორ საგარეო პოლიტიკას ორი მთავარი მიზნის მიღწევა მოჰყვა: პირველი ნატოს წევრობა (1 აპრილი, 2009) და მეორე, ევროკავშირის წევრი (1 ივლისი, 2013).

ხორვატიის მშპ–ის მოცულობა 1990 წელს შეადგენდა 24.5 მლრდ აშშ დოლარს, ქვეყანაში მშპ–ის 5%–ზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2002 და 2003 წლებში [1, გვ. 92]. 2017 წელს კი ქვეყნის მშპ–ის მოცულობა გაიზარდა 55 მლრდ აშშ დოლარამდე (2008 წელი მაქსიმუმი 70,48 მლრდ აშშ დოლარი), მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 13,2 ათასი აშშ დოლარი.

ევროპის ტერიტორიული შემადგენლობა 1789 წლიდან დღემდე გამუდმებით იცვლებოდა. ძალიან მცირეა ისეთი ქვეყნები, რომელთაც ტერიტორიული ცვლილებები არ განუცდია, ესენია ანდორა, ლიხტენშტეინი, სან მარინო. ამ იშვიათი გამონაკლისის გარდა ევროპა ძირითადად შეიცვალა [2. გვ. 13]. ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, იუგოსლავიის ქვეყნებს საშუალება მიეცათ მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა.

ხორვატიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წლის 25 ივნისს, ხოლო 1991 წლის 8 ოქტომბერს ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ხორვატია იუგოსლავიას გამოეყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3,7 მლნ კაცს, დედაქალაქ თბილისში – 1,16 მლნ. (ანუ ქვეყნის მოსახლეობის 31%–ზე მეტი), ხოლო ფართობი 69700 კვ. კმ. ხოლო საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ. ზე შეადგენს 65,2 ხოლო დედაქალაქ თბილისში – 2272. [3] ხორვატიის ფართობი შედარებით პატარაა, ვიდრე საქართველოს. ხორვატიაში მოსახლეობის რიცხოვნობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 4,2 მლნ კაცს, დედაქალაქ ზაგრებში – 800 ათასი (ქვეყნის მოსახლეობის 19%), ხოლო ფართობი 56594 კვ. კმ. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ. ზე შეადგენს 74,1. ხორვატია ერთ-ერთი ნაკლებად დასახლებული ევროპული ქვეყანაა, როგორც ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ირლანდია და ბულგარეთი.

ხორვატიის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა ტურიზმი. ამიტომ, საინტერესოა ამ სფეროს ზოგადი მიმოხილვა და მისი უპირატესობების და გამოწვევების შესწავლა. ტურიზმი ხორვატიის მშპ–ის დაახლოებით 20%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ხორვატიის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით 2017 წელს ქვეყანაში უცხოელ ტურისტების რაოდენობამ 15,6 მლნ შეადგინა.

შედარებისათვის, ევროკავშირში ტურიზმზე მოდის მშპ–ის 10%, დასაქმების – 9% [4, გვ. 9]. ტურიზმის დადებითი შედეგები იგრძნობა ხორვატიის ეკონომიკაზე, საცალო ვაჭრობაზე, გადამამუშავებელი მრეწველობაზე, დასაქმებაზე და სხვ. მიიჩნევა რომ ტურიზმი მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის უარყოფით საგარეო ვაჭრობის ბალანსს. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ქვეყანაში ტურიზმის კიდევ უფრო განვითარება, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, და ცხოვრების დონის ზრდას. ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის უპირატესობებს: სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის განვითარებას, ასევე კვების მრეწველობის განვითარებას და სხვ. ტურიზმის განვითარება შეიძლება განვიხილოთ როგორც ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის საშუალება. ტურისტთა ნაკადის ზრდა საშუალებას აძლევს მოსახლეობას, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ნაწარმის ექსპორტზე გატანას, ადგილზე მოახდინოს პროდუქტის რეალიზაცია; თავის მხრივ ხორვატიაში ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურიზმი, რომელსაც თან ახლავს სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებელი. ტურიზმის განვითარებას ხორვატიაში რეალურად გააჩნია უდიდესი პოტენციალი და ქვეყანა ფლობს გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობებს ამ კუთხით და იგი ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

საქართველო, ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, რომელიც დგას საბაზრო ურთიერთობების გზაზე. ქვეყანამ წარმატებით განახორციელა არაერთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა და მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გზას. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ვექტორია ევროკავშირთან დაახლოება და სავაჭრო–ეკონომიკური ინტეგრაცია [Putkaradze R., 2010; Putkaradze R., 2015; Putkaradze R., 2012; Chania M., Putkaradze R., 2018; Putkaradze R., 2010].

საქართველო აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. აქტიური მუშაობაა საჭირო ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტების ნაკადების გაზრდის მიმართულებით.

ცნობილია, რომ „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025"-ში დასახული განვითარების გეგმები შემდეგია: ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მლრდ აშშ დოლარი) 6.6 მლრდ აშშ დოლარამდე; დარგის მიერ მშპ–ში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა შეადგენდეს 7.9%-ს; ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე; ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158,515-დან 301,284-მდე; ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა არსებული 5 დღიდან 7 დღემდე; ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული 723 მლნ აშშ დოლარიდან 1,178 მლნ აშშ დოლარამდე; დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება; [10, გვ. 10]. საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოში ტურიზმის წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებებაში შეადგენს 7,3%–ს, რაც დაბალი მაჩვენებელია. შედარებისათვის ხორვატიის მშპ–ში ტურიზმის წილი საკმაოდ მაღალია. ჩვენი აზრით საინტერესო იქნება ამ მიმართულებით ხორვატიის გამოცდილების გაცნობა და გაზიარება.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიები. ხორვატიაში ქვეყნისთვის განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესის მქონე სახელმწიფო კომპანიები, ძირითადად, სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და და ბუნებრივი რესურსების სფეროში არიან წარმოდგენილი და დღემდე სახელმწიფო საკუთრებაშია. ასე მაგალითად, ხორვატიის ავიახაზები, ქვეყნის ეროვნული ავიაკომპანია დაარსდა 1989 წელს. ხორვატიის ტყეები (Hrvatske šume), რომელიც დაფუძნდა 1991 წელს ტყეების მართვისა და გამოყენების მიზნით. ხორვატიის წყალი (Hrvatske vode) დაარსდა 1996 წელს ქვეყნის წყლის აქტივების დაცვისა და წყლის მოსახლეობის და

მრეწველობის საჭიროებების მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პრინციპების საფუძველზე მდგრადი განვითარების. ხორვატიის ელექტროენერგიის კომპანია (Hrvatska elektroprivreda) დაარსდა 1990 წელს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის და განაწილების, გაზის მიწოდებისათვის. მას აქვს 25 ჰიდროელექტრო სადგური და 8 თბოელექტრო სადგური. ხორვატიის რკინიგზა (Hrvatske željeznice), დაარსდა 1990 წელს, სარკინიგზო კომპანია. მისი მიზანია სამგზავრო ტრანსპორტის, ტვირთების და რკინიგზის ინფრასტრუქტურის მოვლა და ახალი მშენებლობები. სამგზავრო გადაზიდვების კომპანია, Jadrolinija, დაარსდა 1947 წელს. ადრიატიკის საერთაშორისო კომპანია (Adriatic Croatia International), რომელიც დაარსდა 1983 წელს, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საზღვაო ნავსადგურის სისტემაა. ხორვატიის საავტომობილო მაგისტრალები (Hrvatske Autoceste), რომელიც დაარსდა 2001 წელს და მისი მიზანია საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა–შენახვა და სხვ.

ხორვატიაში უამრავი ეკონომიკური გამოწვევაა, ერთ–ერთი მაღალი უმუშევრობა. როდესაც ხორვატია ევროკავშირში გაწევრიანდა უმუშევრობა შეადგენდა 20%–ს. ბოლო მონაცემებით იგი შემცირებულია და შეადგენს 12%–ს, მაგრამ მაინც მაღალია ევროკავშირის რიგ წევრ ქვეყნებთან შედარებით.

ევროსტატის მონაცემებით, ბოლო წლებში, ევროკავშირში და განსაკუთრებით ევროზონის წევრ სახელმწიფოში დაფიქსირდა უმუშევრობის შემცირებს ტენდენცია. მიუხედავად ამისა, წევრ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებები არსებობს, ასე მაგალითად ჩეხეთი – 2.9%, გერმანია 3.8%, მალტა 4.0% იტალია 11.2%, ესპანეთი 17.2%, საბერძნეთი კი 21.5%. [11, გვ.11]. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის მასშტაბური განსხვავებაა [Silagadze A., Zubiashvili T., 2015].

ხორვატია და ევროკავშირი. ხორვატია ევროკავშირის ბოლო 28–ე წევრია. ხორვატია წარმატებით აგრძელებს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო მჭიდრო სავაჭროდეკონომიკურ ინტეგრაციას და სოციალურდეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის ერთდერთი შემდგომი მიზანი ევროზონასა და შენგელის ზონაში გაწევრიანებაა.

ხორვატიის საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2017 წელს 13,7 მლრდ აშშ დოლარი (შედარებისათვის საქართველოს საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2017 წელს 2,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე – 2 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის მოცულობამ 21,3 მლრდ აშშ დოლარი (შედარებისათვის საქართველოს საქონლის იმპორტის მოცულობამ 2017 წელს 7,9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა). ხორვატიის უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა კი 7,6 მლრდ აშშ დოლარი. ხორვატიის იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენს 63%–ს, საქართველოს კი – 34%–ს.

საქართველომ პრიორიტეტულად ექსპორტის წარმოება უნდა განავითაროს, მაგრამ იმავდროულად, იმპორტის შემცვლელი წარმოების განვითარებასაც უნდა მოახერხოს [Basilia T., Silagadze A., Chkhikvadze T., 2001]. აუცილებელია საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს შემცირება, ექსპორტის მოცულობის გაზრდა და მისი ეტაპობრივი დივერსიფიკაცია. თავის მხრივ, ექსპორტის გაზრდა ეკონომიკური ზრდის ერთდერთი საფუძველია.

ხორვატიას აქვს მჭიდრო სავაჭროდეკონომიკური ურთიერთობა ევროკავშირთან, შესაბამისად ხორვატიის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის დიდი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ხორვატიიის საგარეო ვაჭრობის ერთ–ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა, რომ გააჩნია უარყფითი სავაჭრო სალოდო. ხორვატიის საქონლის ექსპორტის 66%–ზე მეტი მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე (იტალია – 14%, სლოვენია – 12% და გერმანია – 12%), ხოლო ქვეყნის იმპორტის – 75% (გერმანია – 16%, იტალია – 12% და სლოვენია – 11).

დასკვნები და წინადადებები. ინვესტიციებისა და კონკურენტუნარიანობის სააგენტო. ხორვატია აქტიურადაა ჩართული გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში. იგი აქტიურად ცდილობს პუიდების მოზიდვას და ზრუნავს საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. ქვეყნაში ფუნქციონირებს „ინვესტიციებისა და კონკურენტუნარიანობის სააგენტო" რისი ქართულ რეალობაში გადმოღება და აქტიური ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020"-ში აღწერილია ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. [14 გვ. 7]. სტრატეგიაში მოცემულია, რომ საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 2020 წლისთვის იყოს 40–ე, ნაცვლად დღეს არსებული 67–ე ადგილისა. რისი მიღწევაც შეუძლებლად მიგვაჩნია.

საქართველო აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ტურიზმის მდგრად განვითარებას, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. აქტიური მუშაობაა საჭირო ევროკავშირის ქვეყნებიდან (და არა მარტო) ტურისტების ნაკადების გაზრდის მიმართულებით. საინტერესო იქნება ამ მიმართულებით ხორვატიის გამოცდილების გაცნობა და გაზიარება.

საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაცია. გაზარდოს სავაჭროდეკონომიკირი თანამშრომლობა ევროკავშირთან და წევრ ქვეყნებთან. ძირითად გამოწვევად რჩება საქართველოს ექსპორტის მოცულობის გარდა ევროკავშირში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოს საქონლის ექსპორტის მოცულობა შეადგენს 2,7 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო ხორვატიის 13,7 მლრდ აშშ დოლარს, ანუ 5–ჯერ მეტს.

ხორვატიაში არსებობს საგარეო და ევროპის საქმეთა სამინისტრო [იხ.http://www.mvep.hr]. ვფიქრობ საქართველოშიც შესაძლებელია საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროინტეგრაციის სამინისტროს გაერთიანება. მსგავსი პრაქტიკა ასევე გვხდება ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

ხორვატიისა და სხვა ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გამოყენება საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროცესში. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე ხორვატიის წარმატებულ გამოცდილებას.

ეკონომიკური კვლევების უმრავლესობა მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირის წევრობა მომგებიანია ხორვატიისათვის. თუმცა, კონკურენციამ ხორვატიაში ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები გააჩინა. ქვეყანაში შემცირდება უმუშევრობა, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები და მოხდება ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, გაიზარდა ქვეყნის მშპ და სხვ. ამრიგად ხორვატიის ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები ასე გამოიყურება: გაიზარდა ხორვატიის მშპ; გაიზარდა ხოვატიის ექსპორტის მოცულობა, განსაკუთრებით ევროკავშირში; ასევე გაიზარდა ხორვატიის იმპორტი; გაიზარდა ხორვატიაში პუი–ების მოცულობა. გაიზარდა ხორვატიისა და ევროკავშირის სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები; გაიზარდა ხორვატიაში უცხოური, განსაკუთრებით ევროკავშირის კომპანიების ფილიალების რაოდენობა, ასევე გაიზარდა ქვყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და სხვ. ხორვატია წარმატებით აგრძელებს ეკონომიკის განვითარებას და მსოფლიო ეკონომიკაში შემდგომ ინტეგრაციას.

## ლიტერატურა:


1. Croatia land and people. Ministry of Foreign and European Affairs of the Republic of Croatia, Zagreb, 2013.
2. ტისიე ი. ევროპის ლექსიკონი. გამქრალი დათანამედროვე სახელმწიფოები 1789 წლიდან დღემდე. გამომცემლობა ,,ჯისიაი'', თბილისი, 2008.
3. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები (საქსტატი). http://www.geostat.ge
4. World Tourism Organization , *European Union Tourism Trends,* UNWTO, Madrid, 2018.
5. Putkaradze R. Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. Tbilisi, 2010.
6. Putkaradze R. Historical Determinants of the Economic Relations of Georgia and the European Union. Wydawnictwo Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach. Zeszyty Naukowe Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach. Seria: Administracja i Zarządzanie. - Nr 34 (107) (2015), s. 97-105.
7. Putkaradze R. ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA. PaataGugushvili Institute of Economics of IvaneJAvakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION (28-29 June, 2012). p. 51-58.
8. Chania M. Putkaradze R. The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. European Journal of Marketing and Economics, v. 1, n. 1, p. 63-66, july 2018.
9. Putkaradze R. Perspectives of Georgia-European Union trade relations. Journal Проблемы и перспективы развития сотрудничества между странами Юго-Восточной Европы в рамках ЧЭС и ГУАМ. 2010, Volume 1, Pages 123-127
10. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, 2025.
11. The European economy since the start of the millennium. Eurostat. 2018.
12. https://ec.europa.eu/eurostat/cache/digpub/european_economy/bloc-1a.html?lang=en]
13. Silagadze A, Zubiashvili T. Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS). 2015. P. 441-448
14. ბასილია თ. სილაგაძე ა. ჩხიკვაიძე თ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი 2001.
15. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.
16. World development indicators, World bank, 2017.
17. World Trade Organization, World Trade Statistical Revie, 2017.

## Economic Integration of Croatia into the European Union and Georgia

***Ramaz Putkaradze***
*Doctor of Economics, Associate Professor at*
*the Department of International Economics*
*and the History of Economic Thought,*
*Faculty of Economics and Business,*
*Tbilisi State University, Georgia*

S u m m a r y

Applying to the international experience with the purpose to develop national economy is of great importance in modern times. Croatia is the last, 28thmember state of the European Union. The paper deals with the peculiarities of social and economic development of Croatia. Croatia is one of the rapidly developing and rich in resources countries in Europe, which is actively seeking further integration into global economy. The present paper studies a number of pressing issues of social and economic development of Croatia and provides suggestions what can be considered in Georgian reality.

Croatia has a unique geographical location and is a member of the European Union, the United Nations Organization, the Council of Europe, the NATO, the World Trade Organization and many other international organizations.

Tourism is considered one of the key directions of Croatia's development. The contribution of tourism to the country's GDP is about 20%, which is quite high compared with the contribution of tourism to the GDP of the EU, which amounts to 10%. According to the National Statistics Office of Georgia, contribution of tourism to total output of the country's economy is 7.3%. It is desirable to cooperate with Croatia in tourism sector.

Export volume of Croatian goods exceeds the volume of Georgian export by 5 times. Export of Croatian goods amounted to USD 13.7 billion in 2017 (to compare with, export of Georgian goods amounted to USD 2.7 billion in 2017 and export without re-export totaled to USD 2 billion), while import of goods amounted to USD 21.3 billion.

First NATO, then the EU. There is no direct relation between these two international organizations but before the EU membership Croatia joined NATO on April 1, 2009.

Investment and Competitiveness Agency. Croatia is actively involved in globalization and integration processes.The country is actively trying to attract FDI and cares to improve the competitiveness of its economy. There is an Investment and Competitiveness Agency in Croatia. In our opinion, introduction of this experience in Georgia and caring for the improvement of the competitiveness of the country's economy is very important. Croatia has the Ministry of Foreign and European Affairs. From our point of view, it is possible to combine the Ministry of Foreign Affairs and the Ministry of European Integration. Similar practice exists in many European countries.

To conclude, EU membership is profitablefor Croatia. It is desirable to study and use the Croatian experiences for socio-economic development of Georgia. Croatia continues the country's economic developmentsuccessfully. One of the subsequent goals of the country is to join the Schengen zone.

***Key words:*** *Croatia; economic integration; free trad; Georgi; economic development.*

# ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ


**ᲚᲔᲘᲚᲐ ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

*ეკონომიკური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*

**ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ**

*დოქტორანტი, პროფესორის ასისტენტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*წინამდებარე სტატიაში განხილულია ტურიზმის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში, შესწავლილია ტურიზმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის მიზნები და ამოცანები, გაანალიზებულია ტურიზმის დარგში არსებული თანამედროვე მდგომარეობა, მისი განვითარების პოტენციალი, საქართველოს ადგილი და როლი ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე. სტატიაში აღნიშნულია რომ, ტურიზმი არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული და საკვანძო დარგი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის ზრდას და გლობალურ ეკონომიკაში მის ინტეგრაციას. ის უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გაზრდას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და ეკონომიკის მდგრად განვითარებას.*



*საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; ეკონომიკა; სტრატეგია; საქართველო.*


ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოს ძალიან მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრება აქვს. მსოფლიოში დღითიდღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც იზიდავს,საქართველოს მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსები, რომელიც უჩვეულო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქვეყანას კარგად განვითარებული მთის, ზღვისა და სპა კურორტები აქვს. საქართველოში სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლი და ეროვნული სტილის ნაგებობაა. ქვეყანა გამოირჩევა უნიკალური ეროვნული კულინარიით და ქართული ტრადიციული სტუმართმოყვარეობით, რაც ეროვნული კულტურის ორგანული ნაწილია. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონსა და სოფელს აქვს უნიკალური ფოლკლორული კულტურა [Kadagishvili L., 2017]. საქართველოს ტურისტული პოტენციალით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოში აღიარებულ ტურისტულ ქვეყნებს. როგორც გამოცემა Forbes აღნიშნავს 2015 წელს, საქართველო New York Times-ის მიერ დასახელებულ 52 აუცილებლად სანახავ ადგილს შორის 25-ე ადგილს იკავებდა, ხოლო 2017 წელს საქართველო Conde Nast Traveler's-ის მიერ მეღვინეობის კუთხით აუცილებლად სანახავი ადგილების სიაში აღმოჩნდა. Forbes წერს, რომ საქართველო ყოველთვის იყო სტუმართმოყვარეობისა და სითბოს სინონიმი, სადაც სტუმრები "ღმერთის საჩუქრად" მიიჩნევიან.

ტურიზმის აღორძინება და განვითარება, ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ხელისუფლების მუდმივი მზრუნველობის საგანია. მიუხედავად ამისა, ამ მიზნის რეალიზაციის კომპლექსური სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის შემუშავება 2015 წლამდე ვერ მოხერხდა. 2015 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მსოფლიო ბანკის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით შეიმუშავეს "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025" [2]. ეს სტრატეგია ტურიზმის განვითარების შესახებ 10 წლიანი ხედვაა და ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს მოიცავს, როგორიცაა ტურიზმის მარკეტინგი, ტურისტული პროდუქტები, ტურიზმის პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა და სხვ. სტრატეგიის ძირითადი მიზანია, 2025 წლისთვის საქართველო მსოფლიომ გაიცნოს, როგორც ყველა სეზონისა და მაღალი ხარისხის ტურისტული დანიშნულების ადგილი, რომელიც გამორჩეულია თავისი უნიკალური კულტურით, ბუნებრივი მემკვიდრეობით და სტუმარ-მასპინძლობის ეროვნული ტრადიციით. ახალი სტრატეგიით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2025 წლამდე საქართველოში ტურისტების 8.4 ზრდას მლნ-მდე პროგნოზირებს. ტურიზმის ადმინისტრაციის გათვლებით, ქვეყანაში ამ რაოდენობის ტურისტის შემოსვლით ტურიზმის სექტორში დასაქმების რაოდენობა 180000-დან 270000-მდე, თითოეული ვიზიტორის მიერ დახარჯული თანხა 320 აშშ დოლარიდან 365 აშშ დოლარამდე, ხოლო ინვესტიციების მოცულობა 183 მლნ ლარიდან 874 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

*საერთაშორისო მოგზაურობის კლასიფიკაცია*

*ცხრილი 1*

| ვიზიტის ტიპები | 2015 | 2016 | 2017 | ცვლილება % 2016-2017 |
|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო მოგზაურობის ვიზიტები | 6,305,635 | 6,719,975 | 7,902,509 | 17,6% |
| საერთაშორისო ვიზიტები | 5,255,999 | 5,392,816 | 6,482,830 | 20,2% |
| ტურისტული ვიზები | 3,011,663 | 3,297,275 | 4,069,354 | 23,4% |
| ერთდღიანი ვიზები | 2,244,336 | 2,095,541 | 2,413,476 | 15,2% |
| სხვა ვიზიტები (არატურისტული) | 1,049,636 | 1,327,159 | 1,419,679 | 7% |

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმი თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის გატარების შედეგად უკანასკნელ წლებში მისი განვითარების დინამიკა არსებითად შეიცვალა [Kadagishvili L., 2018]. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში ტურისტების რაოდენობამ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით სწრაფად იმატა. სტატისტიკური მონაცემებით [4], 2017 წელს ტურიზმის ინდუსტრიამ ზრდა განაგრძო (იხ.ცხრილი 1.) და საერთაშორისო მოგზაურების მირ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 7,902,509 მიაღწია, რაც 1,182, 534 (17,6%-ით) აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მონაცემებს. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების 62,8% (4,069,354) ტურისტული ვიზიტი იყო, რაც 30%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობამ წინა წელთან შედარებით 1,8%-ით მეტი - 2, 413,476 შეადგინა. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში უმეტესი წილი - 78.5% (4, 731, 057) მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, მხოლოდ 21.5% (1, 295, 641) მოდის სხვა ქვეყნებზე. წლის ლიდერი ვიზიტების რაოდენობით ისევე როგორც 2016 წელს აზერბაიჯანია 1, 301,556 (+21%), ხოლო რაოდენობრივი ზრდის მიხედვით რუსეთი (+285,792). მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა ასევე აზერბაიჯანელი (+225,736), ირანელი (+152,616) და სომეხი ვიზიტორების მიერ განხორციელებული (+134,934) ვიზიტების რაოდენობაში. აღნიშნული ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორები ავიარეისების დამატება, პრესტურები და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიებია. საქართველოს შესახებ საიმიჯო რგოლმა, რომელიც 10 მიზნობრივ ბაზარსა და მსოფლიოში ყველაზე რეიტინგულ არხებზე Discovery Channel, BBC, CNN და EURONEWS, ტრიალებდა ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. მოგზაურების შემოსვლების ზრდა შეინიშნება უკრაინიდან, ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან, უზბეკეთიდან, ბელორუსიდან, ტაჯიკეთიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, ინდოეთიდან, საუდის არაბეთიდან (იხ.ცხრილი 2). იმ ქვეყნებიდან, სადაც ნაკლებია პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების ზრდის ტენდენცია კვლავაც გრძელდება [Kadagishvili L., 2017]. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, საიდანაც საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების ზრდის კუთხით გამოირჩეოდნენ [4]: გერმანია (+28.7%), პოლონეთი (+17.6%), გაერთიანებული სამეფო (+44.7%), საფრანგეთი (+31.7%) და ჰოლანდია (+32.9%). ევროპელი მოგზაურების წილი მთლიან რაოდენობაში 4,2 %- ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით - 23,5 %. ამ სტატისტიკაში განსაკუთრებით კარგი გახლავთ ის, რომ იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, საიდანაც ტურისტები ჩამოდიან საქართველოში. ეს კი მიუთითებს, რომ ქვეყანას ტურიზმის განვითარების მიმართულებით სწორი სტრატეგია აქვს არჩეული, მაგრამ ამ მიმართულებით მომავალშიც უნდა გაგრძელდეს მუშაობა, როგორც ახალი ბაზრების აღმოჩენის, ასევე არსებულ ბაზრებზე მეტი ადამიანის დაინტერესებისა და მოზიდვის კუთხით, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი უცხოური ვალუტის შემოდინებას. ტურიზმის განვითარება ზეგავლენას მოახდენს ტურიზმთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარებაზე. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას [Kadagishvili L., 2018].

*საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა*

*ცხრილი 2*

| ქვეყანა | 2016 | 2017 | ცვლილება | ცვლილება % |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 607,626 | 825,437 | 217,811 | 35,8% |
| აზებაიჯანი | 510,771 | 608,682 | 97,911 | 19,2% |
| თურქეთი | 557,303 | 547,983 | -9,320 | -1,7% |
| სომხეთი | 404,497 | 466,449 | 61,952 | 15,3% |
| საქართველო (არარეზიდენტი) | 378,404 | 404,584 | 26,180 | 6,9% |
| ირანი | 124,864 | 273,842 | 148,978 | 119,3% |
| უკრაინა | 131,835 | 147,389 | 15,554 | 11.8% |
| ისრაელი | 83,451 | 112,827 | 29,376 | 35.2% |
| პოლონეთი | 40,671 | 47,604 | 6,933 | 17% |
| კაზახეთი | 38,194 | 43,699 | 5,505 | 14,4% |

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტის მთავარი მიზანი გართობა, დასვენება და რეკრეაციაა; სხვა, ხშირად ნახსენებ მიზნებს შორის არის მეგობრების, ნათესავების მონახულება; ტრანზიტი; შოპინგი; ბიზნესი, პროფესიული საქმიანობა; მკურნალობა და სხვა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით უცხოელი ტურისტები ყველაზე ხშირად სტუმრობენ თბილისს, ხოლო მეორე ადგილზე აჭარაა. ცნობილია, რომ „კონფერენციები, სემინარები და გამოფენები თანამედროვე ბიზნესისათვის არ წარმოადგენს ახალ მოვლენას" [Shaburishvili Sh., Kadagishvili L., 2012]. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტურიტულ გამოფენა-ბაზრობაზე. ასევე, დაინერგა კომუნიკაციის თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიები, გაიზარდა ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე, ფართოდ გავრცელდა ინტერნეტი, როგორც ბიზნესის ისე საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებში. თბილისში, ბათუმში, ბაკურიაანში, ბორჯომში, ანაკლიაში და სხვაგან მსოფლიოში ცნობილი ბრენდების სასტუმროები აშენდა. ბუნებრივია ამ პროცესებს თან ახლავს ბიზნეს მოგზაურების რიცხვის ზრდა. თუ 2013 წელს საქართველოს ბიზნესისა და პროფესიული საქმიანობის მიზნით ვიზიტორთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 3% ეწვია, 2017 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ვიზიტორების საერთო რაოდენობის 8,2 % შეადგინა. საქმიანი ტურიზმის ზრდის მიმართულებით ქვეყანას კარგი პოტენციალი გააჩნია, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ლიბერალური სავიზო პოლიტიკა, უსაფრთხო გარემო, სტუმართმოყვარე ხალხი და მომსახურების ხარისხთან შედარებით დაბალი ფასები. საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაცია ICCA -ს რეიტინგში, საქმიანი ტურიზმის სფეროში საქართველომ 2017 წელს პირველი ადგილი დაიკავა კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში და მოწინავე პოზიციებზეა ისეთ სახელმწიფოებთან მიმართებაში, როგორიცაა ყაზახეთი, უკრაინა, ყატარი და მონაკო. საქმიანი ტურიზმის განვითარების მიზნით გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ხელშეწყობით საქართველოში ჩატარდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენცია და ევრაზიის მთის კურორტების განვითარების კონფერენცია. როგორც ტურიზმის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ამ სეგმენტის განვითარებისთვის 2017 წლის დეკემბერში, დასრულდა მუშაობა, საქართველოს პირველი საქმიანი ტურიზმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, რომელიც GIZ-ის მიერ იქნა დაფინანსებული და ავსტრიულმა კომპანია ENITED-მა მოამზადა. MICE (საქმიანი ტურიზმის) სეგმენტის განვითარებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველომ მოიპოვა უფლება 2019 წელს უმასპინძლოს მსოფლიო გიდების ასოციაციების ფედერაციის კონგრესს, რომელსაც 70-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრება.

საქართველოში ტურიზმი ვითარდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, უპირველესად, გლობალიზაციის ზემოქმედებით [Shaburishvili Sh., korghanashvili L., Sikharulidze D., Kadagishvili L., 2016], რომელიც არსებით გავლენას ახდენს საქართველოს ტურისტულ ორიენტაციაზე და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობას უწყობს ხელს. საქართველოს მომსახურების ექსპორტის ძირითადი ნაწილი [4], (68,3%) ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის. ტურიზმი ბიზნესია და არაერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს [Putkaradze R., 2012]. 2017 წელს საქართველოში უცხოური ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2,75 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 580 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საქართველოს მოქალაქეების დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე 0,46 მილიარდი დოლარი იყო, 20%-ით მეტი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე. შედეგად უცხოური ტურიზმის

ბალანსი საქართველოში 2,29 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რაც 28,5%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს [4]. სტატისტიკური მონაცემებით 2017 წელს საქართველოს მშპ-ში ტურიზმისა და მოგზაურობის წილი 6.3% იყო და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 26-ე ადგილს იკავებდა. მსოფლიოს ეკონომიკისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) ანგარიშის მიხედვით საქართველოში ტურიზმი პირდაპირი გზით 140 300 სამუშაო ადგილს ქმნის და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 78-ე ადგილზეა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების ადგილების რაოდენობამ 2017 წელს 1 955 შეადგინა, რაც 190 ადგილით (2016-1765 ადგილი) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 65 943 შეადგინა, რაც 7892 ადგილით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს [4]. ქართულ ბაზარზე განთავსების ინდუსტრიაში ლიდერ პოზიციებს თბილისი და აჭარის რეგიონი იკავებენ. საქართველოში უკვე ფუნქციონირებს საერთაშორისო ბრენდის რამოდენიმე სასტუმრო, როგორიცაა Radisson Blue Iveria, Tbilisi Marriott, Courtyard Marriot, Sheraton Metekhi Palace, Holiday Inn, Citadines და სხვ. 2017 წლის განმავლობაში საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები [8] 3381.5 ათას სტუმარს მოემსახურა, რაც 33.1 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. საქართველოს სასტუმროების სტუმართა 69.7 პროცენტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სტუმრობდა, 30.3 პროცენტი - საქართველოდან. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებს უმეტესად სტუმრობდნენ რუსეთიდან (16.9%) შემოსული სტუმრები. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებს უმეტესად სტუმრობდნენ რეკრეაციისა და დასვენების მიზნით 78.4 პროცენტი, საქმიანი და პროფესიული მიზნით - 13.8 პროცენტი, მკურნალობის მიზნით - 1.9 პროცენტი, ხოლო დარჩენილი 5.9 პროცენტი სხვა მიზნებზე მოდის [8]. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ვიზიტორების ზრდის დინამიკა დამატებით ახალი სასტუმროების მშენებლობის აუცილებლობასთან დაკავშირებით ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველს წარმოშობს, რაც, თავის მხრივ, დასაქმების მაჩვენებელზე ზემოქმედებს და პირდაპირი წესით ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის.

ცნობილია, რომ ტურისტთა რაოდენობა უშუალოდ დამოკიდებულია პირდაპირი რეისების რაოდენობაზე, ფრენების გეოგრაფიაზე, სიხშირესა და ავიაბილეთების ხელმისაწვდომობაზე, საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. ყოველწლიურად იზრდება იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ტრანზიტულ ფრენებს საქართველოს აეროპორტებიდან. მათი მეშვეობით მსოფლიო ეცნობა საქართველოს კულტურას, ისტორიას და გეოგრაფიას, რაც ტურიზმის განვითარებას წაახალისებს და „ასევე დადებითად აისახება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე“ [Kadagishvili L., 2016]. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ინფორმაციით 2016 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენები შესრულდა 19 მიმართულებით, ხოლო 2017 წელს - 25 მიმართულებით. 2017 წელს ქუთაისის აეროპორტიდან რეისები შესრულდა 14 (3-ით მეტი ვიდრე 2016 წელს), ხოლო ბათუმის აეროპორტიდან 8 მიმართულებით. ბოლო პერიოდში საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდის ტენდენციამ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთნაკადების მატება განაპირობა [Kadagishvili L., 2016]. საჰაერო სივრცით სულ უფრო და უფრო მეტი მგზავრი სარგებლობს. ამას საქართველოს ავიაციის სტატისტიკაც ადასტურებს. საქართველოს აეროპორტებით 2016 წელს თუ 2,840,455 მგზავრმა ისარგებლა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 43 პროცენტით გაიზარდა და 4,073,959 გახდა. დღეს, როდესაც ქვეყანაში იზრდება საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა მნიშვნელოვანია, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის მოწესრიგებული და უსაფრთხო საჰაერო მიმოსვლა, უცხო ქვეყნებისა და ეროვნულ ავიაკომპანიებს შორის სამართლიანი კონკურენცია და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „სივრცითი მოწყობის“ პროექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ტურიზმის ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობას და ხელს შეუწყობს ვიზიტორების კიდევ უფრო მნიშვნელოვან ზრდას, ვინაიდან პროექტი, „თვისობრივად, ხარისხობრივად და ფიზიკურად ცვლის საქართველოს, მისი რეგიონების ცხოვრების ხარისხს და თითოეული ადამიანის კეთილდღეობაზე ექნება ზეგავლენა“[10]. „სივრცითი მოწყობის“ პროექტი 2016-2020 წლებში საქართველოს ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს. ახალი გზები, ხიდები და გვირაბები, რომელთა მშენებლობაც უკვე მიმდინარეობს და გაგრძელდება შედგომ წლებშიც და რომლებიც მგზავრობას უფრო უსაფრთხოს, სწრაფს და კომფორტულს გახდის, გააუმჯობესებს სხვადასხვა ტურისტული ადგილების ხელმისაწვდომობას, გამოიწვევს ახალ შეთავაზებებს, ინვესტიციების მოზიდვას, შიდა და საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და, აქედან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

მოგზაურობის და ტურიზმის საერთაშორისო კონკურენტუნარინობის რეიტინგი განსაზღვრავს საქართველოს ადგილსა და როლს ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე. 2017 წლის მსოფლიო რეიტინგში წარმოდგენილ 136 ქვეყანას შორის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის დონის მხრივ საქართველოს 70-ე ადგილი უკავია [10]. ინდექსი 14 მთავარ კომპონენტად იყოფა, ქვეყანას თითოეულ კომპონენტში 1-დან 7 ქულამდე ენიჭება. საქართველოს მიერ მიღებული ქულა მაქსიმალური 7-დან 3.7-ია. World Economic Forum

ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ინდექსში საქართველოს პოზიცია 1 ადგილით გაუმჯობესდა, 2015 წელს საქართვლოს ამ რეიტინგში 71 ადგილი ეკავა. ინდექსის თანახმად, საქართველო ევრაზიის რეგიონში მეორეა რუსეთის შემდეგ და აზერბაიჯანს, ყაზახეთს, სომხეთსა და უკრაინას უსწრებს. მოგზაურობისა და ტურიზმის რეიტინგის სუბინდექსებიდან 2015 წელთან შედარებით გაუმჯობესდა და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 6,1 ქულა საქართველოს ჯანმრთელი გარემოს მხრივ აქვს (ეპიდემიების გავრცელებასა და სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობით რეიტინგში პირველი პოზიცია უკავია). 2015 წელთან შედარებით საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა შემდეგ კრიტერიუმებში [11]: ბიზნეს გარემო - 136 ქვეყანას შორის 22-ე პოზიცია (5,26 ქულა), უსაფრთხოება - 29-ე პოზიცია (6,01 ქულა), ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიური მზაობა - 67-ე პოზიცია (4,45 ქულა), მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროს პრიორიტეტი - 41-ე პოზიცია (4,90 ქულა). საყურადღებოა, რომ კონკურენტუნარიანობის რეიტინგის ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა: გარემოზე ზემოქმედებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გაუმჯობესებამ; მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებამ და საკუთრების უფლების დაცვამ; მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ და ინტერნეტის გამოყენებამ ბიზნეს ტრანზაქციების პროცესში; ხელისუფლების მიერ ტურისტული სექტორის პრიორიტეტად აღიარებამ; ტურიზმზე დანახარჯების ზრდამ და მარკეტინგული ღონისძიებების ინტენსივობამ.

World Economic Forum-ის ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ინდექსში საქართველოს პოზიციები გაუარესდა შემდეგ კრიტერიუმებში [12]: ადამიანური რესურსები - 51-ე პოზიცია (4,78 ქულა), საერთაშორისო გახსნილობა - 66-ე პოზიცია (3,13 ქულა), ტურისტთა მომსახურების ინფრასტრუქტურა - 76-ე პოზიცია (4,03 ქულა). უცვლელი დარჩა ფასების კონკურენტუნარიანობა - 66-ე პოზიცია (4,90 ქულა). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას 2017 წლის ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსებში ქვეყანას ყველაზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აქვს შემდეგ კრიტერიმებში: მომსახურე პერსონალის მომზადებაში 123-ე პოზიცია, კვალიფიციური სამუშაო ძალა-122-ე პოზიცია, ბუნებრივი და კულტურული რესურსების სუბინდექსში -109-ე პოზიცია (მათ შორის: ბუნებრივი რესურსები 106-ე პოზიცია, კულტურული რესურსები და ბიზნეს მოგზაურობა 81 პოზიცია) ინფრასტრუქტურის სუბინდექსში -70-ე პოზიცია. წინა წლებთან შედარებით საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში პროგრესის მიუხედავად, ინდექსებში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში 2,2 ქულით 90-ე პოზიცია და სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურაში 3,3 ქულით 63-ე პოზიცია უკავია.

ტურიზმის სფეროში საქართველოში დღეისათვის არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამი მთავარი გამოწვევა, (მომსახურების ხარისხის განვითარება, ბუნებრივი და კულტურული გარემოს სწორი ორგანიზება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება), რომელიც ქვეყანამ უნდა დაძლიოს. შესაბამისად, ტურიზმის განვითარებისათვის მომავალში გასატარებელ ღონისძიებებს შორის, თავისი აქტუალურობით გამოვყოფდით შემდეგს: ტურიზმის სფეროში განათლების სისტემის დახვეწა; საერთაშორისო მასშტაბით აპრობირებული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ტურიზმსა და მომიჯნავე სფეროებში პროფესიონალი კადრების მომზადების, გადამზადების და გაცვლითი პროგრამების განხორციელება; ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მარკეტინგული შესაძლებლობზების გაუმჯობესება; ახალი პარკების, ბოტანიკური ბაღების, ტყის მასივების გაშენება და განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნება, მათზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; კონფერენციების, სემინარების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების სისტემატური ორგანიზება; ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდა; ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი საჰაერო მიმოსვლის უზრუნველყოფა; საერთაშორისო პირდაპირი მიმართულების რეისების გაზრდა; ქვეყნის ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; უცხო ქვეყნებისა და ეროვნულ ავიაკომპანიებს შორის სამართლიანი კონკურენცია და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა; ქვეყნის სავიზო პოლიტიკის გადახედვა და საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება.

## ლიტერატურა:


1. Kadagishvili L. (2017). The Current State of Tourism and Its Development Perspectives in Georgia. KNOWEDGE – International Journal, Scientific Papers, Vol.19.1. Education and Social Sciences. Promoted in Agia Triada, Greece. 456 გვ.
2. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. თბ., 2016, http://gnta.ge/wp-content/uploads/2015/-01/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია.pdf
3. Kadagishvili L. (2018). Challenges of the Priority Sectors of Entrepreneurship in Georgia. Governing Business Systems.

Theories and Challenges for Systems, Thinking in Practice. Springer Proceedings in Business and Economics. 176 გვ.
4. 2017 საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა. 46 გვ. https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/
5. შაბურიშვილი შ., ქადაგიშვილი ლ., (2012). ბიზნეს მოგზაურობის განვითარების უცხოური გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივები. 111 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი. ბათუმი. 393 გვ. https://bsu.edu.ge/sub-52/page/3-404/index.html
6. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და ექსპორტის კონკურენტუნარიანობა, მონოგრაფია, რედ. მესხია ი., თსუ., თბ., 2016. 206გვ.
7. ფუტკარაძე რ., (2012) გერმანია საერთაშორისო ტურიზმში: თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. 111 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი. ბათუმი. 393 გვ. https://bsu.edu.ge/sub-52/page/3-404/index.html
8. ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ, 2017 წლის შედეგები. 4 გვ. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/hotels/sastumroebis%20saqmianobis%20shesa-xeb_2017.pdf
9. Kadagishvili, L. (2016). Development prospects for transit potential of Georgia. US-China Law Review, 13(7). 583 გვ. https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/uschinalrw13&div=40&id=&page=
10. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტის პრეზენტაცია. 16. 10 2016. http://gov.-ge/print.php?gg=1&sec_id=434&info_id=57765&lang_id=GEO
11. Travel & Tourism Competitiveness Index 2017 edition. http://reports.weforum.org/travel-and-tourism- competitiveness-report-2017/country-profiles/#economy=GEO
12. ტურიზმის კონკურენტუნარიანობით საქართველო 136 ქვეყანას შორის 70-ე ადგილზეა. http://www.tabula.-ge/ge/story/119195-turizmis-konkurentunarianobit-saqartvelo-136-qvekanas-shoris-70-e-adgilzea

## Economic Aspects of Tourism Development in Georgia

***Leila Kadagishvili,***
*Ivabe Javakhishvili Tbilisi state University, asst. professor*

***Rusudan Maisuradze,***
*Ivabe Javakhishvili Tbilisi state University, Doctoral Student*

S u m m e r y

The present paper considers the role and place of tourism in the economy of the country, studies the tasks and goals of the state approach to tourism, analyzes current situation and development perspectives in tourism industry, as well as the role and place of Georgia on the global tourism market. It is noted, that tourism is one of the priority and key sectors for the development of Georgia’s economy that contributes to improving the country’s awareness and its integration into the global economy. It ensures creation of jobs, increasing income, overcoming poverty, improving welfare of people and sustainable economic development.

***Key words:*** *tourism; economy; strategy; Georgia.*

# საქართველოს აგრარულ სექტორში ღირებულების ჯაჭვის მართვა და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

**გიული ქეშელაშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

**ნინო სარდლიშვილი**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის დოქტორანტი*

*ნაშრომში განხილულია ღირებულების ჯაჭვის მართვისა და განვითარების საკითხები. კერძოდ, საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული ბიზნესსუბიექტების შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია ღირებულების ჯაჭვის ფორმირების პროცესი და მისი გავლენა ბიზნესის ეფექტიანობაზე.*

*შემუშავებულია რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნისათვის, რაც საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან გაზრდილი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას ქმნის.*

*საკვანძო სიტყვები: ღირებულების ჯაჭვის მართვა; წარმოების დანახარჯები; მიწოდების ჯაჭვი; ბიზნესის ეფექტიანობა.*

საქართველოში მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობას მრავალწლოვანი ისტორია და მდიდარი ტრადიციები აქვს, რაც ქვეყნისთვის, ერთი მხრივ, ძლიერ მხარეს, მეორე მხრივ კი, გამოწვევას წარმოადგენს. ფერმერთა ძირითადი ნაწილი წარმოების პროცესს ისევ ძველი ტექნიკითა და ტექნოლოგიით წარმართავს. ამის შედეგად, მათი კონკურენტუნარიანობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე, საკმაოდ დაბალია და მეურნეობის მართვის პროცესი დაგეგმილის ნაცვლად, უფრო არაორგანიზებული ღონისძიებების შემთხვევითი ერთობლიობაა.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისა და მართვის საკითხების შესწავლის აქტუალურობას ცხადჰყოფს მშპ-ში მისი წილის სტაბილურად დაბალი მაჩვენებელი, რომელიც მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გაწეული გარკვეული ხარჯებისა და განხორციელებული პროექტების მასშტაბებისა, არ იზრდება, არც ნომინალურ და არც რეალურ მაჩვენებლებში.

ღირებულების ჯაჭვი აერთიანებს ნედლეულის მწარმოებლებს, შუამავლებს, გადამამუშავებელ საწარმოებს, სარეალიზაციო ბაზრებს, სერვისების მიმწოდებლებსა და სხვადასხვა მხარეებს. მათი საქმიანობა ხელს უნდა უწყობდეს ერთმანეთის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე და უზრუნველყოფდეს მის შენარჩუნებას ინოვაციების დანერგვის გზით. ღირებულების ჯაჭვის მენეჯმენტი კი სტრატეგიული ბიზნესანალიზისა და დაგეგმვის ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება ღირებულების ჯაჭვის კომპონენტებისა და რესურსების კოორდინაციისთვის. ღირებულების ჯაჭვის ეფექტიანი მართვა უშუალო გავლენას ახდენს მასში ჩართული რგოლების საქმიანობის მომგებიანობასა და წარმოებული პროდუქტით საბოლოო მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

ნაშრომში ნაჩვენებია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც საქართველოში აგრობიზნესის მართვის განვითარებასა და ეფექტიანობას აფერხებს, მათ შორის ნაკვეთების ფრაგმენტაცია, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, ბიზნესის მართვის ცოდნისა და უნარების ნაკლებობა, ლოგისტიკისა და მიწოდების პროცესების არაორგანიზებულობა, მოლაპარაკებების წარმოებისა და აგრომარკეტინგის წარმართვის დაბალი შესაძლებლობები და სხვა.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ფერმერული მეურნეობების საქმიანობა და საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების ბიზნესციკლის სპეციფიკა. ნაშრომი მომზადდა დარგის ექსპერტებთან, აგრობიზნესის მენეჯერებსა და ღირებულების ჯაჭვში ჩართულ მხარეებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე. მეორადი მონაცემები (სამაგიდო კვლევა) შეგროვდა საკითხთან დაკავშირებული პუბლიკაციებისა და ღირებულების ჯაჭვის ანგარიშების შესწავლით.

სოფლის მეურნეობის დარგში ღირებულების ჯაჭვისა და მიწოდების ჯაჭვის არასტაბილურობის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად ნედლეულის წარმოების სეზონურობა და არასაკმარისობა გამოიკვეთა. ღირებულების ჯაჭვში ჩართული მხარეები ერთმანეთს პარტნიორებად არ აღიქვამენ და ხარისხის გაუმჯობესებაზე ნაკლებად ზრუნავენ, რაც მათი საქმიანობის კონკურენტუნარიანობას ამცირებს.

**არსებული მდგომარეობის ანალიზი.** ,,თანამედროვე საბაზრო გარემოში, ქვეყნები თავიანთ პრობლემებს განსხვავებულად წყვეტენ, ამასთან, სოფლად არსებით ცვლილებებს განიცდის საკუთრებითი ურთიერთობები, ფერმების მენეჯმენტი, მასშტაბი, რენტის სიდიდე და ფორმები. აღნიშნული საკითხები, სულ უფრო მეტად ხდება საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი, იგი სახელმწიფო და გლობალური პრობლემების გადაჭრის ინტერესებში შედის. ამ მიმართულებით საინტერესოა ფერმერული მეურნეობების მასშტაბების

კვლევა” [Chavleishvili M., Kharaishvili E., Erkomaishvili G., 2018]. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 95% მცირე ფერმერია, რომლებიც იმდენად ცოტა რაოდენობის პროდუქციას აწარმოებენ, რომ ვერ უწევენ კონკურენციას იმ მომწოდებლებს, რომლებიც საქონლის იმპორტირებას ახდენენ. თანამედროვე ტექნოლოგიების, კაპიტალისა და საბაზისო ცოდნის დეფიციტმა დროთა განმავლობაში პროდუქტიულობის, მიწის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის შემცირება გამოიწვია. თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა მხოლოდ პროგრესული ტექნოლოგიების/ინოვაციების დანერგვითა და ფერმერების უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებითაა შესაძლებელი [2, გვ. 23].

2013 წლის მარტში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერა თანამშრომლობის შეთანხმებას სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის განხორციელების შესახებ (ENPARD). პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 179,5 მლნ ევროს შეადგენს და მიზნად ისახავს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასა და სოფლად სიღარიბის შემცირებას [3]. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, ,,საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს " [2, გვ.6].

,,დღეს ქვეყანაში უმეტესად მცირემასშტაბიანი მეურნეობები ფუნქციონირებენ და ისინი პროდუქტების მხოლოდ თვითმოხმარების ფუნქციას ასრულებენ. ფაქტიურად მოსახლეობა მეტ იმპორტირებულ აგროსასურსათო პროდუქციას მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს ‘’ [Kharaishvili E., 2016].

საქართველოში აგროპროდუქტების მცირე მწარმოებელთა უმეტესობა აწყდება ისეთ სირთულეებს, როგორიცაა ღირებულების მთელ ჯაჭვზე გადანაწილებული მოგებიდან სასურველი წილის მიღება; მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოება მათთვის ხელმისაწვდომი სათესლე მასალის, სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების პირობებში; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის აგროვადებში განსახორციელებლად ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და მათი საქმიანობისთვის დამახასიათებელი ფულადი ნაკადების სეზონურობა; წარმოებული პროდუქტის ტრანსპორტირების პრობლემები, რომელსაც ფერმერები ხშირად აგვარებენ შუამავლებისთვის პროდუქტის დაბალ ფასად მიყიდვით.

რადგან ღირებულების ჯაჭვის მართვა არის მწარმოებელთა, მოვაჭრეთა, გადამამუშავებელთა და ნედლეულის/სერვისის მიმწოდებელთა ჯგუფების ორგანიზებული კავშირი პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად, ღირებულების ჯაჭვის მონაწილენი უნდა ცდილობდნენ კონკურენტუნარიანობის გაზრდას და მის შენარჩუნებას ინოვაციის ხარჯზე. „მათ უნდა შეძლონ და გამოიყენონ სხვადასხვა კონკურენტული სტრატეგია და დაიმკვიდრონ ადგილი გლობალურ სივრცეშიო [Chokheli E., 2016]. კომერციული პარტნიორების მონაწილეობა ღირებულების ჯაჭვში ხარჯების შემცირებას და ბიზნესის ეფექტიან წარმართვას უნდა უწყობდეს ხელს. პროგრესული ტექნოლოგიების, ინფორმაციის, კაპიტალის ხელმისაწვდომობა მათ წარმოების ინოვაციური მეთოდების გამოყენებასა და მარკეტინგის მართვის პროცესის ეფექტიან წარმართვაში დაეხმარება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის პროდუქტის მიწოდება.

კვლევების შეჯამებამ და უცხოური გამოცდილების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ინდივიდუალურად მომუშავე მცირე ფერმერი ვერ იღებს სარგებელს პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, თუმცა, ფერმერებს აქვთ შესაძლებლობა, რომ შექმნან კოოპერაციული საწარმო, რაც ღირებულების ჯაჭვის შემჭიდროების, ხარჯების შემცირებისა და მოგების გაზრდის საშუალებას მისცემთ.

კვლევის პროცესში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა თხილის, თაფლის, მანდარინის, ჟოლოს მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობათა ღირებულების ჯაჭვი და გამოვლენილ იქნა ჯაჭვის შემჭიდროების, ხარჯების შემცირებისა და მოგების გაზრდის შესაძლებლობები.

ქართული თხილის წარმოებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში. მსოფლიოში თხილის მწარმოებელ 5 მოწინავე ქვეყანას შორის საქართველო რიგით მეოთხე ადგილზე იმყოფება თურქეთის, იტალიის და აშშ-ის შემდეგ და ყოველწლიურად საშუალოდ 32,900 ათას ტონა თხილს აწარმოებს. საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი თხილი სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიასა და იმერეთში იწარმოება [6, გვ. 62]. წარმოებული თხილის უმეტესი ნაწილი შუამავლების მეშვეობით ბაზარზე იყიდება. ქართული თხილის ფასის ცვალებადობა დამოკიდებულია მოსავლის რაოდენობაზე თურქეთში, რომელიც მსოფლიო ბაზარზე თხილის მთავარი მიმწოდებელია. თხილის მწარმოებელთა ფრაგმენტაციისა და მცირე მასშტაბების გამო, მათ სხვადასხვა ჯიშის თხილი მოჰყავთ, შესაბამისად, მოსავალს სხვადასხვა დროს იღებენ და წარმოებისა და დასაწყობების განსხვავებულ ტექნოლოგიებს იყენებენ, რაც პროდუქტის ხარისხზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. საქართველოში თხილის მწარმოებელი ფერმერის თხილის რეალიზაცია ხორციელდება რეგიონულ ბაზრებში ფერმერის მიერ, სადაც პროდუქტს ყიდულობს უშუალოდ მყიდველი, ან ადგილზე იძენს შუამავალი, რომელიც ჯერ აგროვებს და შემდეგ ყიდის მას. აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგება, ხშირ შემთხვევაში, უფრო მაღალია, ვიდრე პროდუქტის პირველადი მწარმოებლის მიერ მიღებული მოგება. თხილის ღირებულების ჯაჭვი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.




ნახ.1. *თხილის ღირებულების ჯაჭვი ფერმერისათვის.*

მეფუტკრეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მზარდი სექტორია. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყოველწლიურად 2,1 ათასი ტონა თაფლი იწარმოება [6, გვ. 81]. წარმოებული თაფლის ექსპორტი ძირითადად ლიბიაში, გაერთიანებულ არაბთა საემიროში, საუდის არაბეთში, ერაყში, ლიბანში, ჩინეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში, რუსეთსა და კორეის რესპუბლიკაში ხორციელდება. ზოგიერთი ფერმერი თაფლს პირდაპირ ყიდის, ზოგი კი შუამავალს იყენებს. თაფლის მიწოდების ჯაჭვი ფერმერისათვის წარმოდგენილია მე-2 ნახაზზე. ფერმერულ მეურნეობებთან შედარებით, გაცილებით მაღალი მოგების მარჟა აქვთ თაფლის მწარმოებელ კოოპერატივებს, რომლებსაც შუამავლის გარეშე, პირდაპირი კავშირი აქვთ სუპერმარკეტებთან.




ნახ. 2. *თაფლის მიწოდების ჯაჭვი ფერმერისათვის.*

მსოფლიოში მანდარინის მწარმოებელ 73 ქვეყანას შორის საქართველო 30-ე ადგილზეა. ჩვენთან წარმოებული ციტრუსოვანი კულტურების 92 % მანდარინზე მოდის. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში წარმოებულ იქნა 60 ათასი ტონა მანდარინი [6, გვ. 60]. საშუალოდ საქართველოდან ყოველწლიურად 25 მლნ ტონა მანდარინის ექსპორტი ხორციელდება, რომლის 90% რუსეთსა და უკრაინაზე მოდის. მანდარინის ღირებულების ჯაჭვის ძირითადი მონაწილეები არიან: ნედლეულის მიმწოდებლები, სამუშაო ძალა, ფერმერები, შუამავლები, ექსპორტიორები, გადამამუშავებლები, საცალო მოვაჭრეები და მომხმარებლები. ზემოაღნიშნული წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე.




ნახ.3. *მანდარინის ღირებულების ჯაჭვი ფერმერისათვის.*

მანდარინის ღირებულების ჯაჭვის ანალიზის დროს გამოიკვეთა წარმოების, შენახვა-გადამუშავებასა და გასაღების პროცესებთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა: მანდარინის მოძველებული პლანტაციების არსებობა, კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა, შემნახველი სამაცივრე მეურნეობების განუვითარებლობა, გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციის დაბალი დონე, მანდარინის ხარისხის კონტროლის, ლოგისტიკური არხებისა და PR კამპანიის განვითარების დაბალი დონე.

მსოფლიოში ჟოლოს მწარმოებელი 45 ქვეყნიდან წამყვანი ქვეყნებია: რუსეთი, აშშ, პოლონეთი, მექსიკა, სერბეთი, უკრაინა, ჩილე, ესპანეთი და პორტუგალია. ჟოლო საქართველოში მცირე მოცულობით იწარმოება. მას ძირითადად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აწარმოებენ. სტატისტიკის დეპარტამენტის 2017 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ჟოლოს წარმოებამ 300 ტონა შეადგინა, რაც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას. ამიტომ, არ ხდება მისი ექსპორტი. ჟოლოს ღირებულების ჯაჭვის მონაწილე რგოლებია: ნედლეულის, ნერგებისა და ტექნიკის მიმწოდებლები, მცირე და საშუალო ფერმერები, შუამავლები, საცალო მოვაჭრეები, სუპერმარკეტები, საკონდიტრო მაღაზიები და მომხმარებლები. ნახაზი 4 გვიჩვენებს ჟოლოს ღირებულების ჯაჭვს ფერმერებისათვის. საქართველოში ჟოლოს წარმოების მცირე მასშტაბების გამო ღირებულების ჯაჭვში არ არის გათვალისწინებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობათა რგოლი.




ნახ. 4. *ჟოლოს ღირებულების ჯაჭვი ფერმერისათვის.*

ჩვენ მიერ განხილული თხილის, თაფლის, მანდარინისა და ჟოლოს მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობათა ღირებულების ჯაჭვის კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ფერმერთა უმრავლესობას არ აქვს საქმიანობის დაგეგმვის, წარმოებისა და ღირებულების ჯაჭვის მართვის, სავარაუდო შედეგების წინასწარი პროგნოზირებისა და მიღწეული შედეგების შეფასების საჭირო ცოდნა.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს მცირე ფერმერთა გაერთიანება კოოპერატივებსა და ასოციაციებში. ეს ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას და საშუალებას მისცემთ, ჰქონდეთ უფრო მეტი ხელმისაწვდომობა „სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისათვის საჭირო მასალებზე, მომსახურებებსა და ბაზრებზე, უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი მომხმარებლებთან, მათგან მიიღონ ინფორმაცია მათი მოთხოვნის მახასიათებლების შესახებ და ზემოაღნიშნულის საფუძველზე განავითარონ პროდუქტის წარმოება, ან მომსახურების გაწევა" [Keshelashvili G., 2017].

ამავე დროს, სასოფლო-სამეურნეო მომსახურება შეთავაზებულ უნდა იქნეს არა ცალკეული შინამეურნეობებისათვის, არამედ მთელი სოფლებისათვის. ეს იქნება ფარული კოოპერაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარების ტაქტიკა. ვინაიდან საქართველოში კოოპერაციის იდეა არ სარგებლობს სოფლის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით, „ცხოვრებაში გასატარებელი იქნება ფარული კოოპერაციის პრინციპი, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს ახალი მომსახურების შეთავაზებიდან" [Tvalchrelidze A., Silagadze A., Keshelashvili G., Gegia D., 2011].

**დასკვნები და რეკომენდაციები**. საქართველოს აგრარულ სექტორში ფერმერულ მეურნეობათა შესწავლამ, კერძოდ, თხილის, თაფლის, მანდარინისა და ჟოლოს მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობათა ღირებულების ჯაჭვის მართვის პროცესის გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ:

- ფერმერები კვლავ ტრადიციული მეთოდებით საქმიანობენ, არ იყენებენ ინოვაციებს და მათი საქმიანობის ეფექტიანობა ერთობ დაბალია;
- ფერმერებს არ გააჩნიათ გრძელვადიანი ხედვა და ძირითადად ორიენტირებულნი არიან მხოლოდ ბიზნესის ერთწლიანი გეგმების ბრმად შესრულებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში არაორგანიზებულად ხორციელდება და არ ეფუძნება მატერიალურ დოკუმენტებს;

- ფერმერებს არ აქვთ საჭირო პროფესიული ცოდნა და გამოცდილება აგრომარკეტინგის საკითხებში, რაც კოოპერატივის ღირებულების ჯაჭვში მათ ინტეგრაციას უშლის ხელს;
- კოოპერატივებში გაერთიანება ფერმერებს საშუალებას მისცემთ, რომ შეამცირონ დანახარჯები ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე და უკეთ გამოიყენონ საბაზრო შესაძლებლობები.

ფერმერულ მეურნეობათა ღირებულების ჯაჭვის მართვის გაუმჯობესებისა და აგრობიზნესის განვითარების მიზნით, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

- ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობა და ბაზრების დივერსიფიკაცია, ევროკავშირის ბაზარზე იმ ქართული პროდუქტის ექსპორტი, რომელსაც კონკურენტებთან შედარებით საფასო უპირატესობა გააჩნია; წარმოებული პროდუქტის ხარისხის ამაღლება;
- ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება მათი პროფესიული გადამზადების გზით, რათა ორიენტაცია აღებულ იქნეს ფერმერულ მეურნეობათა მდგრად განვითარებასა და საქმიანობის ორგანიზებულ მართვაზე;
- საკრედიტო და სადაზღვევო სისტემის ხელმისაწვდომობის სტიმულირება, რაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და აგროვადების ეფექტიან მართვას შეუწყობს ხელს;
- შემნახველი სამაცივრე მეურნეობების ჩამოყალიბება და განვითარება ფერმერთა გაერთიანების გზით (კოოპერატივებისა და ასოციაციების შექმნით), რომელიც ორიენტირებული იქნება ფერმერებისთვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების მიწოდებაზე;
- სურსათის უვნებლობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით საქართველოს მთავრობის მხრიდან სათანადო რეგულაციების განსაზღვრა კოოპერატივებსა და ასოციაციებში ფერმერთა გაერთიანების სტიმულირებისათვის.

## ლიტერატურა:


1. M. Chavleishvili, E. Kharaishvili, G. Erkomaishvili, The Scale of Farms and Development Perspectives in Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:12, No:4, 2018
2. https://waset.org/publications/10008764/the-scale-of-farms-and-development-perspectives-in-georgia
3. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020,
4. http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/საქართველოს-სოფლის-განვითარების-სტრატეგია-2017-2020.pdf
5. სტატია „საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროკავშირის მხარდაჭერით 12 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი იწყება“, 24.01.2018
6. http://enpard.ge/ge/saqarthveloshi-sophlis-meur/
7. Kharaishvili, E. (2016). 'Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia '. World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 113, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 10(5), 1376 - 1379.
8. Chokheli, E. (2016) The Impact of the Competitive Strategy on the Success of Wine Companies (The case of Georgia), Proceedings of 24th international academic conference, Barcelona. http://www.iises.net/proceedings/24th-international-academic-conference-barcelona/table-of-content/detail?article=the-impact-of-the-competitive-strategy-on-the-success-of-wine-companies-the-case-of-georgia-
9. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2016, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2016%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf
10. Keshelashvili G., Characteristics of Management of Agricultural Cooperatives in Georgia, Proceedings of 32nd International Academic Conference, 27-30 June, Geneva, 2017,
11. http://www.iises.net/proceedings/32nd-international-academic-conference-geneva/table-of-content/detail?article=characteristics-of-management-of-agricultural-cooperatives-in-georgia
12. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, 2011.

# Value chain management and current challenges of business

***Giuli Keshelashvili***
*Doctor of Economics, Associate Professor*

***Nino Sardlisvhili***
*Doctoral Student*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

Paper provides discussion about value chain management and development issues. Value chain formation process and its impact on efficiency of business activity is analyzed based on the study of agricultural business entities in Georgia.

Recommendations for integration of product life cycle and value chain are presented in the article. Implementation of provided recommendations creates an opportunity to increase income from the sale of agro products.

***Key Words:*** *Value chain management; Production costs; Supply chain; Business efficiency.*

# ინოვაციური პროცესები საქართველოში - ანალიზი და ტენდენციები

**რუსუდან ქინქლაძე**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

**ქეთევან ჩიტალაძე**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინოვაციურმა პროცესებმა და ბიზნესზე მათი ზეგავლენის ასპექტებმა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ინოვაციები განიხილება ეკონომიკურ პროცესებში არსებული წინააღმდეგობებისა და ეკონომიკური კრიზისების დაძლევის მძლავრ ბერკეტად. თანამედროვე სწრაფად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში საწარმოს ინოვაციური მზაობა არის მისი გადარჩენის საშუალება. ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების წარმოება, მისი ფართოდ გავრცელება წარმოადგენს წარმოების, დასაქმების, ინვესტიციების, პროდუქციის ხარისხისა და ექსპორტის, საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს, ასევე განაპირობებს შრომითი და მატერიალური დანახარჯების ეკონომიას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შიდა და გარე ბაზრებზე. წარმოდგენილი ნაშრომში განხილულია, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, ისე საქართველოს მიერ კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების ანალიზი, წარმოდგენილია მისი დინამიკა და დადგენილია ტენდენციები. დახასიათებულია ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგი საქართველოს ადგილი და ის გამოწვევები, რომელიც ამ მიმართულებით დგას ქვეყნის წინაშე.*

*საკვანძო სიტყვები: ინოვაცია; ინოვაციური საქმიანობა; დანახარჯების მოცულობა კვლევასა და განვითარებაზე (R&D); ინოვაციის გლობალური ინდექსი; ანალიზი; ტენდენციები.*

XX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერება ბიზნესის შემადგენელ ნაწილად იქცა და ცოდნამ უშუალოდ წარმოებაში ფუნქციონირებადი ინტელექტუალური რესურსის ფორმა მიიღო. როგორც წმინდა თეორიული, ისე პრაქტიკული გაგებით, იგი უკვე წარმოების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფაქტორად გარდაიქმნა და ინტელექტუალური რესურსები, რომელსაც მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი მოაქვს, ბუღალტრული აღრიცხვის თანამედროვე სტანდარტებიდან გამომდინარე, შესაბამისი ღირებულებით ფირმების არამატერიალურ აქტივებში აღირიცხება.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის არსებობაზე მიუთითებენ. ასეთი გარდაქმნები მსოფლიო ფინანსური კრიზისის, ფინანსური ბაზრების, კაპიტალის გადანაწილების მართვის ცვლილების მიზეზს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, წამყვანი ეკონომისტების და მკვლევარების უმრავლესობა საუბრობს იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ეკონომიკის ახალი სახის ფორმირება, რომელმაც ეკონომიკურ წრეებში „ახალი ეკონომიკის“ სახელწოდება მიიღო და მის ძირითად დოქტრინად „ინოვაციური ეკონომიკა“ გვევლინება.

ბიზნესში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენების პროცესს ინოვაციის ცნებით გამოხატავენ, რომელიც ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურებაა [1]. მსოფლიო ბანკის განმარტებითკი „ინოვაცია“ გულისხმობს ახალ ტექნოლოგიებსა და მეთოდებს, რომელთაც საზოგადოებისთვის გარკვეული სარგებლის მოტანა შეუძლიათ[17]. შესაბამისად, იგი პრინციპულად ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონლის წყაროების, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის, წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის თვისებრივად სრულყოფის პროცესია. ამასთან, ინოვაცია ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში და ეკონომიკური ზრდის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ის ხელს უწყობს პროდუქტიულობის ამაღლებას, ქმნის კონკურენტუნარიან გარემოს და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს [2].

გლობალური პროცესების ანალიზიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების პროცესში ინოვაციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. რაც უფრო მეტი ინოვაცია იქნება ქვეყანაში და რაც უფრო მეტ სტანდარტულ პროცესს გავამარტივებთ, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირები ყოველდღიურ ცხოვრებაში მით მეტად დაზოგავენ დროს.

კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორს მდიდარი ბუნებრივი რესურსები წარმოადგენდა. ამჟამად მოხდა მისი ჩანაცვლება სამეცნიერო-კვლევითმა ინფრასტრუქტურით, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალით, თანამედროვე ტექნოლოგიებით, კომუნიკაციის საშუალებებით, ინოვაციური კულტურის განვითარებით და სხვ. ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც

მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, წარმოების პროცესში ადამიანის როლისა და ფუნქციების ცვლილებასთან, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს როგორც ფიზიკურ კაპიტალში, ისე წარმოების ორგანიზაციულ ფორმებში, ადამიანურ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუტებში, ადამიანთა ცოდნაში, უნარ-ჩვევებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ. ინოვაციათა განხორციელების პროცესია. ამ პროცესების მართვა კი ინოვაციურ საქმიანობად შეიძლება მოვიხსენიოთ, რომლის ობიექტებს წარმოადგენს საწარმოს ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავება მისი საკუთრებრივი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად, სუბიექტებს კი ყველა ის ორგანიზაცია და პირი, რომელიც მას ახორციელებს (იგულისხმება ინოვაციური საქმიანობა), ანუ უწევს ორგანიზებასა და სტიულირებას, ანვითარებს მათი სფეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ისინი შეიძლება იყვნენ დამკვეთები, ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების ინვესტორები და უშუალო შემსრულებლები (განმახორციელებლები).

ინოვაციური საქმიანობა შედგება რიგი ეტაპებისაგან: იდეის წარმოშობა, შემუშავება, საცდელი წარმოება, წარმოებაში დანერგვა, წარმოება, ბაზარზე გატანა. წაროშობილი იდეის რეალიზების შესაძლებლობების კვლევის საფუძველზე ხდება ახალი პროდუქტის (ტექნოლოგიის) შექმნის შესაძლებლობების შეფასება. თუ შედეგები დადებითია, მაშინ იწყება მისი მოდელის და შემდეგ საცდელი ნიმუშის შექმნა, რომელიც გაივლის ე.წ. ტესტირებას (გამოცდას) და წარმატების შემთხვევაში იწყება მისი წარმოება, რომლის დროსაც საჭიროა საწარმოო პროცესების ახალ მოთხოვნილებებთან ადაპტირება (ახალი მოწყობილობების, ტექნიკის, ტექნოლოგიების და ა.შ. დაუფლება). ახალი პროდუქტის წარმოების ეფექტიანობა განისაზღვრება მისი წარმოებაში დანერგვის პროცესის ეფექტიანობით. საკითხის განხილვისას აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სიახლე და ინოვაცია, რადგან სიახლე ეს საქმიანობის რომელიმე სფეროში მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ფუნდამენტური გამოყენებითი კვლევების (გამოგონება, აღმოჩენა და ა.შ.) შედეგების გაფორმებაა, ხოლო ინოვაცია - ობიექტის მართვისა და ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, სამეცნიერო ტექნიკური და სხვა სახის ეფექტის მიღების ცვლილების მიზნით სიახლის დანერგვის საბოლოო შედეგი. რაც შეეხება ინოვაციურ კრიტერიუმებს, მას მიაკუთვნებენ სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეს, წარმოების მხრიდან გამოყენებადობასა და კომერციულად თვალსაზრისით განხორციელების მიზანშეწონილობას.

ინოვაციურ განვითარებას საფუძვლად უდევს უწყვეტი და მიზანმიმართული ინოვაციების ძიების პროცესი, მისი მომზადებისა და განხორციელების ინოვაციური მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის გაუმჯობესებას იმდენად, რამდენსაც ამას მოითხოვს საზოგადოება.

ტრადიციულად, სახელმწიფოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, როგორც პირდაპირი (მაგალითად, კვლევები კოსმოსისა და თავდაცვის მიმართულებით და ა.შ.), ისე არაპირდაპირი ხელშეწყობის გზით (შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფით, სხვადასხვა შეღავათების დაწესებითა და სხვა წამახალისებელი ღონისძიებებით - მაგალითად, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ან კერძო ორგანოები ქმნიან სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურას. მათ შორის, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ინოვაციური სამუშაო სივრცეები (*Innovation Workspace*), სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab ან ILab), თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და სხვ.).

დანახარჯების მოცულობა კვლევასა და განვითარებაზე (R&D) მისი მიმართულებები, განხორციელებული კვლევების რაოდენობა და სხვ. მაჩვენებლები ნებისმიერ სახელმწიფოში დამოკიდეულია მრავალ ფაქტორზე, როგორც შიდა ისე გარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ. ფაქტორების ჩათვლით. 2014-2016 წწ. აშშ სამრეწველო კვლევითი ინსტიტუტის (Industrial Research Institutr – IRI) მიერ R&D გლობალური ხარჯების შესახებ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინვესტიციები R& D- ზე 2016 წელს წინა წელთან შედარებით 3,5%-ით გაიზარდა და შეადგინა 1948 ტრლ. დოლარი, ხოლო 2017 წელს - 2066 ტრილიონი და წინა წელთან შედარებით მატებაბის ტემპმა 3,4% შეადგინა. 2017 წელს 115 სახელმწიფოზე მეტმა (2016 წ. - 110 ქვეყანა) თავისი R&D-ი დაფინანსებაზე წელიწადში დახარჯა 100 მლნ დოლარი. როგორც წინა წლებში R&D-ზე გლობალური ინვესტიციების ზრდა შეინიშნება აზია-წყნარიოკეანის რეგიონის ქვეყნებში, კერძოდ ჩინეთში (იხ. ცხრ. 1)

| რეგიონის/ქვეყნის დასახელება | ხარჯების წილი (%) | | |
|---|---|---|---|
| | 2015 წ. | 2015 წ. | 2016 წ. |
| ჩრდილოეთ ამერიკა | 27,9 | 27,8 | 27,7 |
| მ.შ. აშშ | 25,8 | 25,6 | 25,5 |
| სამხრეთ ამერიკა | 2,7 | 2,5 | 2,4 |
| ევროპა | 21,6 | 21,2 | 20,8 |
| მ.შ. გერმანია | 5,8 | 5,6 | 5,4 |
| აზია-წყნარიოკეანის ქვეყნები | 41,3 | 42,3 | 42,9 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მ.შ. ჩინეთი | 19,4 | 20,1 | 20,8 |
| იაპონია | 8,5 | 8,6 | 8,4 |
| აფრიკა | 1,0 | 0,9 | 0,9 |
| შუა აღმოსავლეთი | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| რუსეთი და დსთ | 3,0 | 2,9 | 2,8 |
| სულ | 100 | 100 | 100 |

*ცხრილი 1. მთლიანი გლობალური R&D ხარჯების წილი*

წყარო: 2017 Global R&D Funding Forecast. file:///C:/Users/RUSUDANI/Desktop/global_rd_funding2017-dl.pdf

კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების მოცულობა მეტწილად განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური დონით, რომელიც როგორც ვიცით მშპ-ის მოცულობით განისაზღვრება. მშპ-ს მატების ტემპმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით 2016 წელს ჩინეთში შეადგინა 6,3%, აშშ - 2,8%, ხოლო 2017 წ - შესაბამისად 6,9 და 2,5%[4]. თუმცა კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების წილი აშშ-ში უფრო მეტია ვიდრე ჩინეთში - 2016 წ. აშშ - 2,77% და ჩინეთი - 1,98% (2014-2016 წწ. ეს თანაფარდობა დიდად არ შეცვლილა). ამასთან, თუ ავიღებთ ინდოეთს, რომლის მშპ-ს მატების ტემპი 2016წ. – 7,5%, მაგრამ მშპ-ს მოცულობა უფრო ნაკლები იყო ვიდრე აშშ და ჩინეთის, კვლევასა და განვითარებაზე ხარჯების წილი მშპ-ში 1% ნაკლებია. თუმცა 2016 წ., იგი ტოპ ხუთეულში იყო.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები (ევროკავშირის ქვეყნები, ნორვეგია, ისლანდია, მონტენეგრო, სერბეთი, აშშ, თურქეთი, რუსეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი), ძირითადად, ოთხი მიმართულებით იყოფა - 1) დაფინანსება ბიზნესისა და წარმოების სექტორის მიერ; 2) უმაღლესი განათლების სექტორის დაფინანსება; 3) სახელმწიფო დაფინანსება და 4) არაკომერციული კერძო სექტორის მიერ გაწეული ხარჯები.

აღნიშნულ ქვეყნებში კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით განსხვავებულია როგორც მთლიანი ხარჯების, ისე დაფინანსების სექტორების მიხედვით.

კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებში მშპ-სთან მიმართებით კვლევასა და განვითარებაზე (R& D) გაწეული მთლიანი ხარჯების წილის საშუალო მაჩვენებელი 2010-2014 წლებში[16] ზრდის ტენდენციით ხასიათდება და შეადგენდა 1.93%-2.03%-ს. მნიშვნელოვნად მაღალია ეს მაჩვენებელი იაპონიასა და სამხრეთ კორეაში და, შესაბამისად, 3.25-3.47% და 3.47-4.15%-ს შეადგენს. ასევე მაღალია კვლევებსა და განვითარებაზე ხარჯების წილი ფინეთში (3.17-3.73%), შვედეთში (3.16-3.31%), დანიაში (2.94-3.06%), ავსტრიაში (2.68-2.99%), გერმანიაში (2.71-2.87%), სლოვენიაში (2.06-2.6%), ბელგიასა (2.05-2.46%) და საფრანგეთში (2.18-2.26%). ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რუმინეთსა (0.38-0.49%) და კვიპროსში (0.43-0.48%). ასევე, 1%-ზე ნაკლებია კვლევებსა და განვითარებაზე ხარჯების წილი ბულგარეთში, საბერძნეთში, ხორვატიაში, ლატვიაში, მალტაში, პოლონეთში, სლოვაკეთში, სერბეთსა და თურქეთში. აღნიშნული მაჩვენებელი აშშ-ში 2.74%-დან 2.81%-მდე გაიზარდა[15].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური ვარდნა, ნეგატიურად აისახა განათლებისა და მეცნიერების დარგებზეც, რომლის დაფინანსება 90-იან წლებში საკმაოდ მწირი იყო, რამაც სამეცნიერო ინსტიტუტები გაუქმების ზღვარზე მიიყვანა. 2003-2012 წლებში ამას დაემატა რადიკალური რეფორმები. მეტიც, ამ პერიოდში სამეცნიერო ინსტიტუტების უმრავლესობას მნიშვნელოვნად კიდევ უფრო შეუმცირდათ დაფინანსება და მათი დიდ ნაწილი საერთოდ გააუქმეს ან ოპტიმიზაციის საბაბით შეურთეს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს, მათ შორის უნივერსიტეტებს. 2005 წლიდან მოყოლებული მეცნიერებათა აკადემია დაიშალა 70 ინსტიტუტამდე, რომლებიც ჯერ განათლების სამინისტროს დაექვემდებარა, შემდგომში კი უნივერსიტეტების შემადგენლობაში გაერთიანდა.

ამ პროცესის საერთო დინამიკაში ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამეცნიერო სფერო აღმოჩნდა პრობლემის წინაშე, რომელიც ერთი მხრივ დაფინანსების შემცირებით იყო განპირობებული (2005 წლიდან 2011 წლამდე კვლევის დაფინანსება, მთლიან შიდა პროდუქტში თითქმის 2-ჯერ შემცირდა), მეორე მხრივ კი - ოპტიმიზაციის არგუმენტით გამართლებული მუდმივი სტრუქტურული ცვლილებებით. საბიუჯეტო განაწილების კუთხით, სამწუხაროდ, საქართველოში განათლების სფერო დღემდე რჩება ნაკლებ პრიორიტეტულ მიმართულებად. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზოგადად განათლებაზე გაწეული ხარჯები ჩამოუვარდება სხვა პრიორიტეტული დარგების მაჩვენებლებს.

ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევების დაფინანსების საკითხი. როგორც ცნობილია, 2004 წელს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემა საქართველოში არსებითად შეიცვალა, რაც გულისხმობდა უპირველეს ყოვლისა უნივერსიტეტების პირდაპირი წესით დაფინანსების ჩანაცვლებას სტუდენტზე მიბმული დაფინანსებით. სისტემის შეცვლის მიზანი ცვლილებების განხორ-

ციელების დროს იყო უნივერსიტეტებში სტუდენტების მიღების, უმაღლეს სასწავლებლებზე სახელმწიფო თანხების განაწილებასა და განკარგვის პროცესებში არსებული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა (მსოფლიო ბანკი, 2006). სახელმწიფომ თანდათან მინიმუმამდე დაიყვანა უმაღლესი სასწავლებლების პირდაპირი დაფინანსება და თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა იგი სტუდენტების დაფინანსებით.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება კვლევის დაფინანსების სისტემაში. თუკი რეფორმამდე სახელმწიფო დაფინანსება სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს კვლევითი საქმიანობისათვის პირდაპირ გადაეცემოდათ წარსული გამოცდილების საფუძველზე, რეფორმის შემდეგ სახელმწიფო დაფინანსება სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად თითქმის ექსკლუზიურად საგრანტო კონკურსის საფუძველზე გაიცემა. ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია წლების განმავლობაში უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების მექანიზმების დინამიკა 2005 წლიდან 2013 წლამდე. ნათლად ჩანს, რომ დაწესებულებების პირდაპირი დაფინანსება სტაბილურად იკლებს და პარალელურად სტაბილურად იზრდება ინდივიდუალური დაფინანსება.




დიაგრამა 1.: უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების დინამიკა საქართველოში 2005-2013 წწ.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013

როგორც დიაგრამიდან ჩანს დაწესებულებების პირდაპირი დაფინანსება სტაბილურად იკლებს და პარალელურად სტაბილურად იზრდება ინდივიდუალური დაფინანსება. თუ შედარებით მოდელს გამოვიყენებთ, ცალსახაა რომ უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე საქართველო მნიშვნელოვნად ნაკლებს ხარჯავს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორც პროცენტულად, ასევე თანხობრივადაც.

ქვეყანაში უმაღლესი განათლების სახელმწიფო ინვესტიცია რომ დაბალია, ამას ამყარებს ის არგუმენტიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში არ იზრდება უმაღლეს განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯი მშპ-სთან მიმართებაში: თუ ის 2017 წელს შეადგენდა 137 მლნ ლარს, რაც ქვეყნის მშპ-ს 0.36%-ს შეადგენს. ხოლო უმაღლეს განათლებასა და კვლევებზე ერთიანად, 2017 წლისათვის დაგეგმილი იყო 190 მლნ ლარი, რაც ქვეყნის მშპ-ს 0.5%-ს, ხოლო ბიუჯეტის ხარჯების 1.62%-ია. შედარებისთვის, 2012 წელს, უმაღლეს განათლებასა და კვლევაში გაწეული სახელმწიფო დანახარჯი მშპ-ს ასევე 0.5%-ს, ხოლო ბიუჯეტის 1.8%-ს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანახარჯები 2013 წლიდან რაოდენობრივად ორმაგად გაიზარდა, მთლიან შიდა პროდუქტში მისი წილი იგივე დარჩა, ხოლო მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში დაიკლო კიდეც. ამდენად, უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების მხრივ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროგრესი თითქმის არ გვაქვს. ხოლო უმაღლესი განათლება ქვეყნისათვის პრიორიტეტს ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს.

სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსება საქართველოში ბევრად ჩამორჩებოდა OECD-ს საშუალო მონაცემს – 68.4%-ს, და ასევე ევროკავშირის საშუალო – 77.3%-ს. საქართველოში უმაღლესი განათლების ხარჯების მხოლოდ 35%-ს აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო უმაღლესი განათლების ხარჯების დანარჩენი 65% შეადგენს სტუდენტებისა თუ მათი ოჯახების მიერ ჯიბიდან გადახდილ ხარჯებს (ამაში, ცხადია არ მოიაზრება კერძო უნივერსიტეტებში დაწესებული 2250 ლარზე მაღალი გადასახადი). აქვე, სიღრმისეული კვლევის გარეშეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტუდენტთა იმ 65%-ს შორის, რომლებიც უმაღლეს განათლებას საკუთარი სახსრებით იფინანსებენ, უმრავლესობა არ წარმოადგენს ეკონომიკურად მდგრად სეგმენტს, ე.წ. საშუალო ფენას. მეტიც, 45 000 სტატუსშეჩერებული სტუდენტიდან, რომელთა შორისაც სავარაუდოდ გრანტიანი სტუდენტებიც მოიაზრებიან, 15 000, ანუ სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის 10% სასწავლო პროცესის შეჩერების მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებს. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ უმაღლესი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის საკითხი საქართველოში უაღრესად პრობლემურია საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისათვის.

საქართველოში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესება, კვლევითი პოტენციალის გაძლიერება და ინოვაციური კულტურის განვითარება. აუცილებელია მეცნიერების მართვისა და ხარისხის მონიტორინგის არსებული სისტემის გადახედვა და რეფერირების საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკისა და ნორმების დანერგვა. ხარისხის კონტროლის არსებული სისტემა დღეისთვის იძლევა მწირ ინფორმაციას სამეცნიერო კვლევების შედეგების გაზომვისათვის. ასევე, კვლევის შეფასების პროცესში ნაკლებად ხდება საერთაშორისო რესურსების ჩართვა და აშკარაა, რომ საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემა არასაკმარისად არის ინტეგრირებული საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნოლოგიურ ქსელში, რის გამოც ტექნოლოგიებისა და ინოვაციის კომერციალიზაციის მაჩვენებელი არ არის დამაკმაყოფილებელი.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ჩვენი ქვეყნის ინოვაციურობის მაჩვენებელი არასახარბიელოა. საინოვაციო საქმიანობის შეფასება ევროპული ინდიკატორების გამოყენებით ხორციელდება. ასეთ ინდიკატორებად აღიარებულია: 1. ინოვაციური პოტენციალის შეფასება, რითაც განისაზღვრება ინოვაციური პოტენციალისთვის საჭირო სტრუქტურული პირობები; 2. კვლევასა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა; 3. კორპორატიულ დონეზე ინოვაციებზე გაწეული ხარჯები; 4. ინოვაციურ სექტორებში ცოდნის გამოყენებით მიღებული დამატებითი ღირებულება, მეწარმეობრივი ცოდნა და უნარები; 5. ინტელექტუალური საკუთრების რაოდენობა, რომლითაც გაიზომება ნოუ-ჰაუს საკითხებში მიღწეული შედეგები.

ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო 9 წელია რაც გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) იზომება, რომელიც 7 კომპონენტისგან შედგება. ესენია: ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო); ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება, უმაღლესი განათლება, კვლევა და განვითარება); ინფრასტრუქტურა (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ზოდაგი ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური მდგრადობა); ბაზრის განვითარების დონე (კრედიტები, ინვესტიციები, ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი); ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე, ინოვაციისათვის საჭირო კავშირების არსებობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა); ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში, ცოდნის გავრცელება); შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები, შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება, ელექტრონული შემოქმედებითობა).

ინოვაციის გლობალური ინდექსის რეიტინგის მიხედვით, 2014-2015 წლებში საქართველოს 121-ე პოზიცია ეკავა ინოვაციების მიხედვით. არახელსაყრელი მდგომარეობა იყო ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა: ინოვაციური შესაძლებლობები (110), სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი (119), კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე (126), მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა (122), ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევა-განვითარებაში (128), პატენტებით სარგებლობა (65).

გლობალური ინდექსებში, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის მხრივ, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება არამხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, არამედ მის მსგავსი მასშტაბის ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია გლობალური ინოვაციების ინდექსის (Global Innovation Index) მონაცემები კვლევისა და განვითარების კუთხით. ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სამი დამოუკიდებელი ცვლადი: მკვლევარები, მთლიანი დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე და უნივერსიტეტის რანჟირება (სამი საუკეთესო უნივერსიტეტის). როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ესტონეთის მაჩვენებლებს. ამ მხრივ საქართველო აუთსაიდერია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. საგულისხმოა ისიც, რომ **იგივე ინდექსის მიხედვით**, საქართველო მშპ-ში განათლებაზე გაწეული ხარჯით 129 ადგილს იკავებს.




*დიაგრამა 2. გლობალური ინოვაციების ინდექსის ქულების შედარება, კვლევა და განვითარება, 2015*

საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა 2016 წელს - ქვეყანა გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში 64-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით საქართველოს რეიტინგი 9 პოზიციით გაუმჯობესდა (2015 წელს ქვეყანა აღნიშნულ რეიტინგში 73-ე ადგილს იკავებდა). ზემოთ აღნიშნული კომპონენტებიდან, საქართველოს ძლიერ მხარეებს შემდეგი კომპონენტები წარმოადგენს: ბიზნეს გარემო (ქვეყანა რეიტინგით მე-6 ადგილზეა) და ბაზრის განვითარების დონე (ქვეყანა რეიტინგით მე-7 ადგილზეა), ხოლო სუსტ მხარეებს წარმოადგენს: განათლება (ქვეყანა რეიტინგით 115-ე ადგილზეა), კვლევა და განვითარება (ქვეყანა რეიტინგით 103-ე ადგილზეა), ინვესტიციები (ქვეყანა რეიტინგით 86-ე ადგილზეა) და დასაქმებულთა ცოდნის დონე (ქვეყანა რეიტინგით 91-ე ადგილზეა).

თუ გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებს წლების მიხედვით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2013 წლიდან მოყოლებული საქართველოს ქულა მზარდი დინამიკით ხასიათდება ადამიანური კაპიტალისა და კვლევის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს დაბალი შედეგი აქვს. ქვეყანას სტაბილურად მაღალი შედეგი აქვს ინსტიტუტების კომპონენტში, ხოლო ყველაზე დიდი მერყეობით ბაზრის განვითარების კომპონენტი გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის მონაცემებით, ბაზრის განვითარების კომპონენტის ქულა უმაღლესია სხვა დანარჩენ კომპონენტებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო 2015 წელს.




ინოვაციებში ადამიანური ასპექტების კარგად გათვითცნობიერება არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკის შემუშავებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. საქართველოს მთავრობამ შექმნა სპეციალური ორგანო საქართველოს ინოოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სახით, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებას. ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან მოხდა ინოვაციების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, რომელიც ერთი ფანჯრის პრიციპით უწევს მომსახურებას ინოვატორებს და სტარტაპებს. ასევე შეიქმნა საქართველოს მასშტაბით სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები, გამოგონებების პროტოტიპირებისთვის და ტესტირებისვის. ინოვაციების სააგენტომ ორგანიზება გაუწია მომავლის პროფესიების მიმართულებით ტრენინგების ჩატარებას, რომლის საფუძველზეც გადამზადდა 5000-მდე ახალგაზრდა. ინოვაციების სააგენტოს მხრიდან 2015 წლის განმავლობაში მოხდა 17 ინოვაციური სტარტაპისთვის გრანტების გაცემა, რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენდა 750 000 ლარს. ამის საფუძველზე მოხდა ინოვაციური კომპანიების განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ზოგ შემთხვევაში ქართული ინოვაციური პროდუქტების ექსპორტზე გატანა.

გარდა ამისა, 2016 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის მხრიდან გადადგმული იქნა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოს აღნიშნულ რეიტინგში ადგილის კიდევ უფრო გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საწინდარი იქნება, აღნიშნული აქტოვობები 2016 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსის რეიტინგში ჯერ არ არის შეტანილი. კერძოდ: საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ოთხ პუნქტიანი გეგმის ფარგლებში შემუშავდა ინოვაციური სტარტაპების დაფინანსების და ხელშეწყობის პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და საპარტნიორო ფონდი.

ინოვაციების სააგენტოს ავტორობით შემუშავდა ინოვაციების შესახებ საქართველოში პირველი საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტი, კანონით სახელმწიფოში მნიშვნელოვნად მოწესრიგდა ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება, ინოვაციების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურების განვითარება, მოხდა მეცნიერთა და გამომგონებელთა სამართლებრივი უფლებების დაცვა და მათთვის გარანტირებული შემოსავლის უზრუნველყოფა. კანონი განამტკიცებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს ჩაურევლობას საპატენტო უფლებებში. გარდა ამისა, კანონი შესაძლებელს ხდის გაიცეს ინოვაციების სააგენტოს მიერ სახელმწიფო გრანტები მეწარმე სუბიექტებზე ინოვაციური საქმიანობის

განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი დაფუძნებულია აშშ-ს „BAYH DOLE“ კანონზე, რომლიც მიღებითაც აშშ-ში უდიდესი ტრანსფორმაცია განიცადა ინოვაციების განვითარებამ, ხელი შეუწყო კერძო სექტორის ჩართულობას და კომერციალიზაციას.

2017 წელს ინდექსის მიხედვით საქართველო 34,4 ქულით 127 ქვეყანას შორის 68-ე ადგილზე აღმოჩნდა. საქართველო ძლიერ ჩამორჩება მოწინავე სახელმწიფოებს პირველ რიგში ბიზნესის განვითარების დონით, რომლის მიხედვითაც, საქართველო 127 ქვეყანას შორის 101-ე ადგილზეა. ანგარიშის მიხედვით ფირმების მხოლოდ 10,5% თავაზობს ფორმალურ ტრენინგებს (სამუშაოსთან დაკავშირებულ სწავლებას) და ამ მაჩვენებლით ქვეყანა 89-ე ადგილზეა. უნივერსიტეტის/ინდუსტრიის კვლევითი თანამშრომლობის მიხედვით ქვეყანა 107-ე პოზიციაზეა, ხოლო კლასტერული განვითარების მდგომარეობით 111-ე ადგილზე. ინტელექტუალური საკუთრების გადასახადები მთლიანი ვაჭრობის 0,1%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით ქვეყანა 101-ე ადგილზეა. განათლებაზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მხოლოდ 2%-ს წარმოადგენს და ამ მაჩვენებლით ქვეყანას 114-ე პოზიცია უჭირავს, ხოლო კვლევასა და განვითარებაზე(R&D) გაწეული მთლიანი ხარჯები მშპ-ს 0,1%-ა და ამ მაჩვენებლით ქვეყანა 104-ე ადგილს იკავებს რეიტინგში. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის კომპონენტს, ლოჯისტიკის ინდექსის მიხედვით 118 პოზიციაზეა. შემოქმედებითობის კომპონენტის ერთ-ერთი ქვეპუნქტის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT) და ორგანიზაციული მოდელის შექმნის მიხედვით საქართველო 107-ე ადგილზეა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინფორმაციით, ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში საქართველოს ადგილი საგრძნობლად გაუმჯობესდა. 2018 წლის მონაცემებით, ჩვენი ქვეყანა 59 -ე ადგილს იკავებს. წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 9 საფეხურით გაუმჯობესდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ინოვაციების მიმართულებით საქართველოს მთავრობამ გარდამტეხი ნაბიჯები გადადგა. სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ასევე აუმჯობესებენ საკუთარ მაჩვენებელს, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები უფრო სწრაფი და ეფექტიანი აღმოჩნდა. შესაბამისად, საქართველო ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში რეგიონის მასშტაბით პირველ ადგილს იკავებს.

ზემოთჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევისა და განვითარების კუთხით არსებული ვითარება საქართველოში ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ახალი ინდუსტრიული დარგებისა და უკვე არსებული სექტორების განვითარებას. საჭიროა განისაზღვროს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საბიუჯეტო რესურსებით. მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს მეცნიერების და განათლების დაფინანსების მოდელები. უნდა შენარჩუნდეს საგრანტო სისტემა, თუმცა უნდა შემუშავდეს/დაიხვეწოს პირდაპირი დაფინანსების მოდელები. ამასთან, მეცნიერების და უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი მშპ-სა და ბიუჯეტში სულ მცირე უნდა გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. აგრეთვე, საჭიროა, სამეცნიერო სფეროდან ამოზრდილი ინოვაციების შესაბამისი გადადინების ხელშეწყობის სტრატეგიის შექმნა, რაც მისცემს საშუალებას ადგილობრივ მწარმოებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს მიიღონ სარგებელი თანამშრომლობით და ჰქონდეთ წვდომა დამატებით რესურსებზე განვითარებისთვის.

## ლიტერატურა:


13. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. საქ. პარლამენტი, 2016. https://matsne.gov.ge/ka/document/-view/3322328?publication=0
14. Innovation Policy, A Guide for Developing Countries, “World Bank. 2010. Innovation Policy : A Guide for Developing Countries. World Bank. © World Bank. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/2460 License: CC BY 3.0 IGO.”
15. 2017 Global R&D Funding Forecast. file:///C:/Users/RUSUDANI/Desktop/global_rd_funding2017-dl.pdf
16. https://knoema.ru
17. https://ec.europa.eu/eurostat 2016
18. https://www.mof.ge/
19. http://ghn.ge/com/news/view/207991
20. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით. 2013 https://www.tsu.ge/data-/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-2.pdf
21. http://www.imf.org/external/russian/pubs/ft/ar/2016/pdf/ ar16_rus.pdf.
22. https://openknowledge. worldbank.org/handle/10986/24985.
23. Анализ глобальных расходов на исследования и разработки в 2014-1016 гг. Инноватика и экспертиза. Выпуск 1 (19) http://inno-exp.ru/archive/19/innov_2017-1_113-122.pdf
24. საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები. საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი. თბ., 2016. http://european.ge/wp-content/uploads/2016/09/Industrial-policy-last-version.pdf

25. თ. დუშუაშვილი. გლობალური ინოვაციის ინდექსი და საქართველო. http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo
26. ნ. ხელაია. უმაღლესი განათლება და კვლევის დაფინანსების პრობლემები. https://1tv.ge/analytics/umaghlesi-ganatlebisa-da-kvlevis-dafinansebis-problema/
27. https://ec.europa.eu/eurostat 2010-2012 წლის მაჩვენებელი.
28. ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის - ევროსტატის, 2016 წლის მონაცემების შესაბამისად.
29. World Bank. 2010. Innovation Policy : A Guide for Developing Countries. World Bank. © World Bank. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/2460 License: CC BY 3.0 IGO.

## Innovative processes in Georgia - analysis and trends

***Rusudan Kinkladze***
*associated professor*
*Georgian Technical University*

***Ketevan Chitaladze***
*Ivane Javakhishvili Tbilisi state university*

S u m m a r y

The innovative processes and their impact on business over the past decades have attracted the attention of the researchers. Innovations the strong lever overcoming the existing contradictions in economic processes and economic crises. Innovative readiness of the enterprise in modern rapidly changing and competitive environment is the means to save it. Production and service of innovative products and services is an important factor in the increase of productivity, employment, investment, product quality and export, efficiency of production capacity, Also contributes to the saving of labor and material expenses. All this, in turn, will increase the competitiveness of enterprises in the domestic and external markets. The article discusses the global costs of research and development presents trends in their change in the world's leading countries, including Georgia, Its dynamics is given and trends are established. the Rating of the global index of innovations - the place of Georgia and the problem facing the country in this direction is characterized.

***Key words:*** *Innovation; Innovative activity; The amount of expenditures on research and development(R&D); Innovation global Index; Analysis; Trends.*

# უმუშევრობის დაძლევის აქტუალური საკითხები საქართველოში

**ლევან ქისტაური**

*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*
*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია*
*პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

**ნინო დამენია**

*ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია*
*პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია უმუშევრობის პრობლემა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი მაჩვენებელი. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეფასებულია საქართველოში უმუშევრობისა და დასაქმების დონე და წლების მიხედვით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი. ახსნილია, რომ შრომის ბაზარი საქართველოში ნაკლებადგანვითარებულია და აუცილებელია ისეთი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნა, რაც, საბოლოო ანგარიშით, კერძო სექტორს უზრუნველყოფს კვალიფიციური სამუშაო ძალით და იმავდროულად შეამცირებს უმუშევრობას. აღნიშნულია, რომ შრომის ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემებზე და აქედან გამომდინარე აუცილებელია საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა გადაწყვეტილება სასწავლო კურსებისა და სპეციალობების შესახებ შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით მიიღონ.*

*დასაბუთებულია, რომ საჭიროა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა, რათა ჩამოყალიბდეს ისეთი შრომის ინსპექცია, რომელსაც ექნება დაჯარიმებისა და ნებართვის გარეშე საწარმოს შემოწმების უფლება. რადგან, ხშირად ირღვევა შრომის კოდექსი.*

*დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს მიერ პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ღონისძიებები: სამართლებრივი ბაზის შექმნა/სრულყოფა, საქართველოში შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება, სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის კვლევების ინსტიტუციონალიზაცია და შრომის ბაზრის ინფორმაციული სისტემის შექმნა/განვითარება, შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა, სამუშაო ძალის შრომითი მიგრაციის რეგულირება და მართვა, სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის გაძლიერება, კომუნიკაციის გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება.*

*საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა; შრომის ბაზარი; დასაქმება.*

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები განიხილება. მათ შორის მნიშვნელოვანია ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი. უმუშევრობა მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს.

სხვადასხვა თეორიის მიხედვით, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა, მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს. გარდა ამისა, ხელისუფლება კარგავს შემოსავალს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგად [საქართველოს შრომის ბაზრის ანატომია, 2017].

საქართველოში დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ის) კვლევის შედეგების თანახმად, ქვეყნისათვის უმუშევრობა, ფასების ზრდა და სიღარიბე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხებია, რადგან მოსახლეობის 66% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს[ NDI-ის კვლევა: უმუშევრობა, ინფლაცია, სიღარიბე და ოპტიმიზმი, 2017]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2009 წელს საქართველოში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა-16,9%, ყველაზე დაბალი 2015 წელს-12%.Jდღევანდელი მდგომარეობით კი 13,9%-ია.

ოფიციალური მონაცემებით საქართველოში 1,7 მლნ ადამიანია დასაქმებული, 246 ათასი კი - უმუშევარია. თუ განვიხილავთ შიდა ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა რიცხვს, სამსახურს ეძებს არამხოლოდ 246 ათასი კაცი, არამედ თვითდასაქმებულთა უმეტესობაც. დღევანდელი გადმოსახედიდან, საქართველოს დასაქმებულთა უდიდეს ნაწილი თვითდასაქმებულებია, რომელთა 59% სოფლის მეურნეობაშია (მშპ-ში 8% წილით)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3729.6 ადამიანს (სტატისტიკა ეფუძნება 2014 წლის 5 ნოემბრის საერთო აღწერის შედეგს). აქედან 15-19 წლის ახალგაზრდების რაოდენობა 214,5 ათასი (მოსახლეობის 5,8%) 20-24 წლის ასაკის 231,3 (მოსახლეობის 6,2%) ხოლო 25-29 წლისა კი – 278,3 ათასია (საერთო მოსახლეობის 7,5%), ამრიგად, საქართველოს ახალგაზრდობა მოსახლეობა მთლიანი რაოდენობის 19,5%-ს შეადგენს [3].

პრაქტიკულად ყოველი პოსტსოციალისტური ქვეყნისა და, მათ შორის, საქართველოსთვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზევე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სამუშაო ძალის ცენტრალიზებული განაწილების სისტემის შეცვლა მათი თავისუფალი გადაადგილებით, უმუშევართა დახმარების ეფექტიანი სისტემის ფორმირება და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება. ასევე, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ხელფასების ცენტრალიზებულად დადგენის წესის გაუქმება და კოლექტიური ხელშეკრულებების სისტემის დანერგვა.

საქართველოში სისტემური ხასიათის რეფორმები დაიწყო სრული ეკონომიკური კოლაფსის პირობებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლადფორმირებული ქვეყნის ეკონომიკა, ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა, რადგან ის პარტნიორებისა და გასაღების ბაზრების გარეშე დარჩა. იმავდროულად, გაღრმავდა საფინანსო, რესურსული, სოციალური კრიზისები, ერთიმეორის მიყოლებით გამწვავდა ეთნოკონფლიქტები. ასეთ პირობებში ქვეყნის სამუშაო ძალა უფუნქციოდ და უპერსპექტივოდ დარჩა. იმის ნაცვლად, რომ სამუშაო ასაკში მყოფ ადამიანებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კვლავწარმოების პროცესსა და ქვეყნის აღმშენებლობაში, ისინი თვითონ აღმოჩდნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორიაში.

საქართველოსაგან განსხვავებით, უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებშიც კი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირების ძირითადი ამოცანები სისტემური რეფორმების დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მტკივნეულად, მაგრამ მაინც წარმატებით გადაჭრეს. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების განსხვავებულმა ტრადიციებმა შრომისა და დასაქმების სფეროში, აქ პროფკავშირები საკმაოდ ძლიერი იყო და შრომის ბაზრის ფუნქციონირების გარკვეული მექანიზმიც არსებობდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მეტნაკლებად ნორმალური სასტარტო სოციალურ-ეკონომიკური დონე გააჩნდათ და, რაც მთავარია, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული.

განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდა საქართველო. ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაცია, სოციალური პრობლემების გამწვავება, სისტემური რეფორმების გაჭიანურება, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, განაპირობებდა უძრაობას შრომის ბაზარზე. საქართველოსათვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოცხადებული მხარდაჭერა და ეკონომიკური დახმარება, მართალია, მასშტაბით აშკარად ჩამოუვარდებოდა აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის გაწეულ დახმარებას, მაგრამ ის სავსებით საკმარისი იყო ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, საერთაშორისო თანამეგობრობის ეკონომიკური დახმარებების დიდი ნაწილი სოციალური პრობლემების შერბილებას მოხმარდა (ან საერთოდ, არამიზნობრივად იქნა გამოყენებული) და არა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გასაგები მიზეზების გამო ამავე მიზნების რეალიზაციისათვის ვერ მოხერხდა შინაგანი რეზერვების აკუმულაცია (დაგროვების არარსებობის გამო). საბოლოოდ, მივიღეთ ხანგრძლივი და მასშტაბური სტაგნაცია ეკონომიკური საქმიანობის ყველა სეგმენტში, რაც ყველაზე ნეგატიურად შრომის ბაზრის ფორმირებაზე აისახა (არჩვაძე ი., თოქმაზიშვილი მ. 2007).

პირველ ეტაპზე (1991-1993 წწ.) დაიწყო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 1991 წლის 25 ივლისს მიღებული კანონი „დასაქმების შესახებ", რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის და უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები [4].

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მეორე ეტაპი (1994 წლიდან 1998 წლის პირველი ნახევარი), ფაქტობრივად, კვლავ მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დახმარებების სისტემის საკანონმდებლო ბაზის ფორმირებით შემოიფარგლა. ზოგიერთმა დადგენილებამ შეზღუდა დასაქმების კანონით გათვალისწინებული სოციალური მხარდაჭერის სისტემა, მაგრამ დასაქმების პოლიტიკა ძირითადად მაინც პასიური ხასიათის ღონისძიებებს მოიცავდა. მაგალითად, 1994 წლის დასაწყისიდან სექტემბრის ჩათვლით შემწეობა დაენიშნა 10 ათასამდე უმუშევარს. 1997 წლიდან დაიწყო ოჯახური დახმარებების გაცემა და ამავე წელს შემწეობის მიმღებ უმუშევართა რაოდენობამ 20,5 ათას კაცს მიაღწია. დასაქმების სახელმწიფო სამსახურს თავისი საქმიანობის მეორე ეტაპზე მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც მისი მთავარი ფუნქციაა, რაიმე ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებია. აღნიშნულ ეტაპზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, რაც გამოიხატა უმუშევართა გადამზადებაში, ინვალიდთა ოჯახებისათვის დახმარების გაცემაში.

მესამე ეტაპზე (1998-1999 წწ.) დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, დასაქმების დეპარტამენტი და პროფესიული ორიენტაციისა და მომზადება-გადამზადების ცენტრი გაერთიანდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბაზაზე. ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა დასაქმების ცენტრები. რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულების კოორდინაციას და დასაქმების პრობლემების გადაწყვეტას ერთიანი მიდგომის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ დასაქმების ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა თავისი საქმიანობის პრიოროტეტულ მიმართულებად დასახა დარგობრივ უწყებებთან ურთიერთობა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო დარგის განვითარების ადეკვატურად დასაქმების პროცე-

სების პროგნოზირება, კონკრეტულ პროფესიებზე მოთხოვნის განსაზღვრა, უმუშევართა გადამზადება შემდგომი დასაქმების პერსპექტივით და სხვ. ახალმა სამსახურმა წინა პლანზე წამოწია სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციისა და ანალიტიკური დამუშავების საკითხები. ამ მიზნით შეიქმნა სტატისტიკური კვლევისა და მონიტორინგის განყოფილებები. რამდენადმე მოწესრიგდა და შედარებით სრულყოფილი გახდა რეგისტრირებულ უმუშევართა შესახებ ინფორმაცია. გამოიკვეთა უმუშევართა შემადგენლობა ასაკის, განათლების, პროფესიის, უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით, ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ ეროვნული მეურნეობის დარგების, საკუთრების ფორმების და პროფესიების მიხედვით. აღნიშნულმა ინფორმაციამ აჩვენა აშკარა დისბალანსი შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, როგორც რაოდენობრივ, ასევე პროფესიულ-კვალიფიციურ ჭრილში. უმუშევრობის პრობლემების დაძლევისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით აღნიშნულ ეტაპზე პირველად დამუშავდა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა ტურიზმისა და კურორტების სფეროში და განხორციელდა ახალგაზრდა უმუშევართა გადამზადება.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მეოთხე ეტაპზე ჩამოყალიბდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი სტრუქტურა და მისი საქმიანობის ძირითად პრინციპად იქცა მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა. დაიხვეწა მიზნობრივი დაფინანსების წესი, ამაღლდა სტრუქტურული ქვედანაყოფების პასუხისმგებლობა. ფონდის საქმიანობის უმთავრეს ამოცანად დაისახა უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში სტაბილური დასაქმების მიღწევა. 2000 წლის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო უმუშევართა მომზადება-გადამზადების, დროებითი დასაქმების, თვითდასაქმებისა და სამეწარმეო ინიციატივის მხარდაჭერის პროგრამების, დროებითი სამუშაოების ორგანიზება. მაგალითად, 2000 წელს შეირჩა და განხორციელდა დროებითი სამუშაობის 17, ხოლო 2001 წელს 13 პროექტი. უპირატესობა მიენიჭა საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში განსახორციელებელ პროექტებს, რაც უდაოდ დადებითი მომენტი იყო, რადგან აღნიშნულ რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

დასაქმების სამსახურის საქმიანობის მეხუთე ეტაპი უკავშირდება 2001 წლის 28 სექტემბერს დასაქმების შესახებ ახალი კანონის მიღებას, რომელმაც განსაზღვრა დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. დასაქმების სფეროს რეგულირების სახელმწიფო ორგანოდ აღიარებულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული კანონის 38-ე მუხლის თანახმად და საქართველოს პრეზიდენტის სათანადო ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი და შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დასაქმების სახელმწიფო სამსახური, დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობისა და უმუშევართა სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით. დასაქმების სახელმწიფო სამსახური საქმიანობას წარმართავდ აშრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლით. სამსახურის დებულებით საკმაოდ დეტალურად განისაზღვრა მისი მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, მნიშვნელოვნად გაფართოვდა უფლებამოსილების სფერო. დაიხვეწა სამსახურის მართვის ორგანიზაციული სრტუქტურა და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რასაც ხელი შეუწყო რიგი საკანონმდებლო აქტების მიღებამ და დასაქმების სფეროში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირებამ.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რეორგანიზაციის მიმართულებით კიდევ ერთინაბიჯი გადაიდგა 2004 წლის ბოლოსათვის (მეექვსე ეტაპი). გაუქმდა დასაქმების სამსახური და მის ბაზაზე შეიქმნა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, რომლის ძირითადი მიზანი იყო დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური დახმარების ღონისძიებების გატარება.

განსაკუთრებით რადიკალური გარდაქმნებით გამოირჩევა საქართველოს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირების შემდეგი (მეშვიდე) ეტაპი. მთავრობის მიერ აღებული იქნა კურსი შრომის ბაზრის თვითრეგულირებასა და სახელმწიფოს ჩაურევლობაზე. საქართველოს ახალი შრომის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით გაუქმდა კანონები „დასაქმების შესახებ“, „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ“, „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“, გაუქმდა „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“ და მის ნაცვლად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“. სააგენტოს საქმიანობას მთლიანად აკონტროლებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამ უკანასკნელის კონტროლს ექვემდებარებოდა კიდევ ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“. სამინისტროს მმართველობის სფეროს დაექვემდებარა „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“, ხოლო მის სტრუქტურულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდა - სოციალური დაცვის დეპარტამენტი. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი ამოცანები იყო: სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი; სოციალურ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და

მექანიზმების შემუშავება; სოციალური დაცვის სფეროში მარეგულირებელი აქტების შემუშავება-სრულყოფა და სხვ.

„საქართველო 2020“ სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ადამიანი-კაპიტალის განვითარებაა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარებას. სტრატეგიაში აისახა პირველი რიგის გადასაჭრელი ამოცანები, იმისათვის რომ შეიქმნას მყარი საფუძველი შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობისათვის, უმუშევრობის შემცირებისათვის, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებისათვის.

ამის გარდა, მთავრობის ინიციატივითა და ევროკავშირის რეკომენდაციით, 2013 წელს შრომის კოდექში შევიდა ცვლილებები, რომლის მიზანი იყო შრომითი კანონმდებლობის დახვეწა და ევროკაშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. შრომის ბაზარზე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2016 წელთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა.




2017 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 65.8% შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე შემცირდა 0.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე - 0.4 პროცენტული პუნქტით. ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს თითქმის არ შეცვლილა [13].

უმუშევრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა, იმავდროულად ხელმისაწვდომობა ადამიანურ რესურსებზე კერძო სექტორის მტკივნეულ საკითხად რჩება.

როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, საქართველოში კერძო ბიზნესი მაღალი ტემპით ვითარდება და შესაბამისად იზრდება შრომის ბაზრის მოთხოვნები პროფესიულ კადრებზე [„შრომის ბაზრის და დამ-საქმებელთა მოთხოვნების ანალიზი“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018]. თუმცა, უმუშევრობა მწვავე პრობლემად რჩება. ძირითადი ბარიერი, რომლის წინაშეც დგანან დამქირავლებლები, არის პოტენციური კადრების კვალიფიკაციის შეფასება. პროფესიონალიზმი პრობლემაა როგორც ტექნიკურ, ასევე მენეჯერულ დონეზე, დღეს თითქმის შეუძლებელია საჭირო კვალიფიკაციისა და უნარების კადრის მოძიება ან/და დაქირავება.

მაღალი კვალიფიკაციის კადრების სიმცირე იწვევს შრომის ბაზარზე ფასების სერიოზულ ზრდას. შესაბამისად, მიკრო და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს თითქმის არ მიუწვდებათ ხელი საჭირო უნარებისა და მიანურ რესურსებზე. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე ორგანიზაციების მხრიდან ვაკანსიის გამოცხადება თითქმის არ ხდება და როგორც წესი, ასეთის არსებობის შემთხვევაში ორგანიზაციების შიგნით ხდება კადრების როტაცია და არა გარე რესურსებიდან შემოდინება.

თვისებრივი კვლევების მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს კვალიფიკაციის შეფასების პრობლემა. ამა თუ იმ სასწავლებლის დიპლომი თუ სერტიფიკატი არ წარმოადგენს კადრის ცოდნისა და უნარების რეალური და ადეკვატური შეფასების საფუძველს. კადრების მიღების ძირითადი და აპრობირებული მეთოდი გახდა უნარ-ჩვევების შეფასების ტესტი, მიუხედავად თანამდებობისა თუ ვაკანსიისა. დამქირავებელს, ძირითად შემთხვევაში მისთვის მიღებული კრიტერიუმების საფუძველზე, ურჩევნია პოტენციური კადრის უნარების შეფასება და შემდგომ „კადრის გაზრდა“.

აქვე, ტურიზმის სფეროს ზრდის და განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, აშკარა ხდება მომსახურე პერსონალზე უკვე არსებული მაღალი მოთხოვნის შემდგომი ზრდა. მომსახურება კი ქართველი

ხალხის მენტალობიდან გამომდინარე, ერთ-ერთ სათაკილო სპეციალობად ითვლება. ეს ის სფეროა, რომელიც საბაზისო გაუმჯობესებასა და გადამზადებებს საჭიროებს.

რეალურად, არცერთი უმაღლესი სასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არ შეისწავლის, თუ რა სპეციალობის სამუშაო ძალაზეა მოთხოვნა. ზევრ ქვეყანაში ასეთი ტიპის კვლევას პერიოდულად ატარებენ უნივერსიტეტები ან/და სახელმწიფო. შედეგად კი საგანმანათლებლო ორგანიზაციები შრომის ბაზარს აწვდიან სწორედ იმ კვალიფიკაციისა და იმ რაოდენობის პოტენციურ კადრებს, როგორიცაა მოთხოვნა.

მენეჯერული კვალიფიკაციის მქონე კადრები მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ბაზარზე, თუმცა, სრული კრიზისია ტექნიკური უნარების პერსონალის კუთხით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების არარსებობით. მაგალითად, სამშენებლო ბიზნესი განვითარების მაღალი ტემპით გამოირჩევა. კვლევებმა კი აჩვენა, რომ ამ სექტორის კომპანიებს სერიოზული პრობლემები აქვს ისეთი ხელობების კადრების მოძიებაში, როგორებიცაა; ელექტრიკოსი, შემდუღებელი, მლესავი და ა.შ. როგორც წესი, ბაზარზე წარმოდგენილი ამ პროფესიის სამუშო ძალას ცოდნა და უნარები ტრადიციული მეთოდებით აქვთ მიღებული და არ ფლობენ არანაირ ინფორმაციას თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებისა თუ მასალების შესახებ.

ამდენად, მნიშვნელოვანია დასაქმების პროგრამების ფარგლებში სახელმწიფომ უზურნველყოს პირთა გადამზადების ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ გრძელვადიანი დასაქმების საშუალებას მისცემს. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მაღალ დონეზე აღორძინება მნიშვნელოვნად განავითარებდა შრომის ბაზარს, თუმცა, აუცილებელია სწორად შეირჩეს ხელობები, რათა კურსდამთავრებულები ფლობდნენ ბაზრის მოთხოვნის ადეკვატურ ხელობასა დ აუნარებს.

შრომის ბაზრის სათანადოდ განვითარებას, ასევეუ მუშევართა რეალური რაოდენობის განსაზღვრას ხელს შეუწყობდა დასაქმების ერთიანი სააგენტოს ჩამოყალიბება.

შრომის ბაზარი საქართველოში ნაკლებადგანვითარებულია და აუცილებელია ისეთი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნა, რაც საბოლოო ანგარიშით, კერძო სექტორს უზურნველყოფს კვალიფიციური სამუშაო ძალითა დ იმავდროულად შეამცირებს უმუშევრობას. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემებზე. ამდენად, აუცი-ლებელია, რომ საგანამანათლებლო ორგანიზაციებმა გადაწყვეტილება სასწავლო კურსებისა და სპეციალობების შესახებ შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით მიიღონ [12].

საქართველოსთვის რეალურ გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ შეიქმნას სამართლებრივი ბაზა, რათა ჩამოყალიბდეს ისეთი შრომის ინსპექცია, რომელსაც ექნება დაჯარიმებისა და ნებართვის გარეშე საწარმოს შემოწმების უფლება. ხშირად ირღვევა შრომის კოდექსი,რაც უსაფრთხოების ნორმების შეუმუშავებლობითაა გამოწვეული. ეს დასაქმებულთა დახასითება - სიკვდილის არცთუ იშვიათი მიზეზია.

სწორედ ამ ფაქტორებიდან და სოციალურ-ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე „ტვინების გადინების“ პროცესიც უარყოფითად მოქმედებს შრომის ბაზრის განვითარებაზე. ახლაგაზრდები რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები და აღსავსენი არიან ენთუზიაზმით, პერსპექტივის და განვითარების უქონლობის გამო ხშირად მიდიან საზღვარგარეთ, რაც დიდ ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის მომავალს.

ამ პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა სახელმწიფომ გადაჭრას შემდეგი ამოცანები: სამართლებრივი ბაზის შექმნა/სრულყოფა, საქართველოში შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება, სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის კვლევის ინსტიტუციონალიზაცია და შრომის ბაზრის ინფორმაციული სისტემის შექმნა/გან-ვითარება, შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვი-თარების მხარდაჭერა; სამუშაო ძალის შრომითი მიგრაციის რეგულირება და მართვა, სოციალური პარტნიო-რობის ინსტიტუტის გაძლიერება, კომუნიკაციის გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს შრომის ბაზრის ანატომია 30 მარტი, 2017 – http://bpi.ge/saqartvelos-shromis-bazris-anatomia/
2. NDI-ის კვლევა: უმუშევრობა, ინფლაცია, სიღარიბე და ოპტიმიზმი ttps://www.amerikiskhma.com/a/ndi-georgia-commissioned-public-opinion-survey/3677890.html
3. https://edu.aris.ge/news/saqartveloshi-axalgazrdebis-35-ar-aris-profesiit-dasaqmebuli-kvlevis-shedegebi.html
4. „შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018.
5. არჩვაძე ი., თოქმაზიშვილი მ. - შრომის ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური ასპექტები, ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, 2007 წლის ივლისი, გვ. 53-61.

6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკის კათედრა - „მიგრაცია 2“, თბ., უნივერსალი, 2008.
7. მაჭავარიანი მ. - ქართული დასაქმების ბაზრის შუქ-ჩრდილები, ნოემბერი, 2010.
8. ჭითანავა ნ. - დასაქმება - აქილევსის ქუსლი, 10 მარტი 2017 – http://iverioni.com.ge/16365-ratom-daeca-mkvethrad-ckhovrebis-done-saqarthveloshi.html
9. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სტრატეგიის რეალიზაციის სამოქმედო გეგმა - 2013-1014 - https://matsne.gov.ge/ka/-document/view/2659895
10. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში - http://gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2456.pdf
11. შრომის ბაზრის საკანონმდებლო რეგულირება და მისი ზეგავლენა - http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.2&d=HASH7e1c1bc56211acf8491906.3.2
12. სტატისტიკის ეროვნული სამსახური შრომის ბაზარზე - http://www.geostat.ge/?lang=geo

## Current Issues of Overcoming Unemployment in Georgia

***Levan Kistauri***
*Doctor of Economics, Professor*
*St. Andrew the First-Called Georgian*
*University of the Patriarchate of Georgia*

***Nino Damenia***
*Doctor of Business Management, Associated Professor*
*St. Andrew the First-Called Georgian*
*University of the Patriarchate of Georgia*

S u m m a r y

The article researches unemployment problem as one of the indicator of the country's economic status. Based on the statistical data, unemployment and employment levels, along with the percentage of economically active population is estimated according to years. There is explained that the labor market in Georgia is less developed and it is necessary to create such institutions and mechanisms that will ultimately endeavor to provide private sector with qualified work force and at the same time will reduce the rate of unemployment. It is noted that the development of the labor market is highly dependent on the higher and vocational education systems, and it is therefore essential that the academic institutions focus on the training courses and specialties in consideration of the labor market demand.

It is reasonable to establish a legal base to form such labor regulatory body that will have right to incur penalty and inspect an enterprise even without owning a special permit, as the violation of labor code is very frequent.

As a conclusion, state formulated essential procedures for solving this problem: Creation / perfection of legal basis, implementation of international standards for workplace safety in Georgia, development of employment promotion services, assistance for employment of job seekers, Institutionalization of labor market research and creation / development of the labor market information system, support for the development of professional learning systems based on the needs of the labor market, regulation and management of labor migration, strengthening the Social Partnership Institute, Strengthening communication and raising awareness.

***Key Words***: *Unemploymen; Labor Market; Employment.*

# ფორსაიტის მეთოდოლოგიის განსაზღვრის საკითხები

**ლამარა ქოქიაური**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი*
*ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის*
*წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი*

**მაია კაპანაძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**ნინო ქოქიაური**

*ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი*

*სტატიაში განხილულია თანამედროვე ფორსაიტის არსის, წარმოშობის და განვითარების საკვანძო საკითხები. ახსნილია ფორსაიტის განმარტების სამი ძირითადი პროგრამა: არის თუ არა ფორსაიტი ახალი მოვლენა სამეცნიერო – ტექნიკურ პროგნოზირებაში; რამდენად შესაძლებელია ფორსაიტის პოზიციონირება სტრატეგიულ დაგეგმვაში; გამოიყენება თუ არა ფორსაიტის მეთოდოლოგია რეგიონალურ დონეზე; შრომაში მოცემულია აგრეთვე ფორსაირტის ჩამოყალიბების ეტაპები; გავლებულია პარალელები პროგნოზირებისა და ფორსაიტს შორის და დასაბუთებულია, რომ ფორსაიტის მონაწილენი რეალურ შესაძლებლობებს ქმნიან არა მარტო პროგნოზირებისათვის, არამედ იხილავენ მომავლის შესაძლო ალტერნატივებს და შეიმუშავებენ სტრატეგიებს უფრო პერსპექტიული პროექტების განსახორციელებლად. აქვე შესწავლილია ფორსაიტის მეთოდოლოგიური საკითხები, კერძოდ ნორმატიული და ექსპლორატიული მიდგომები, ფორსაიტისთვის გამოყენებული მეთოდების ფართო სპექტრი: კრეატიულობა, ექსპერტიზა და პროგნოზირება, ანალიზი, ურთიერთქმედება, დელფი – გამოკითხვისა და ხარისხიან ინფორმაციაზე დაფუძნებული მეთოდები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფორსაიტი; პროგნოზირება; დელფის მეთოდი; წინასწარი განჭვრეტა (Fforesight); ექსპერტი; ფორსაიტინგი; სტრატეგიული მართვა; ნორმატიული პროგნოზირება; ექსპლორატიული მიდგომა; კრეატიული.*

ეკონომიკის განვითარების მსოფლიო გამოცდილებამ უდაოდ დაადასტურა, რომ ბიზნესის სხვადასხვა სფეროში სამეურნეო საქმიანობის სუბიექტების ეფექტიანი და მდგრადი განვითარება, მიიღწევა ინოვაციების მასშტაბური გამოყენების ხარჯზე. თანამედროვე პირობებში სხვადასხვა დარგის საწარმოები ფუნქციონირებენ მეტად რთულ, განუსაზღვრელ, სოციალურ – ეკონომიკური გარემოს დინამიურად ცვალებად სივრცეში. სწორედ ინოვაციები უზრუნველყოფენ ბაზარზე უპირატესი, სტრატეგიული კონკურენტუნარიანი მდგომარეობის მიღწევას.

დღეს ქვეყნის თანამედროვე სოციალურ – ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანაა მისი ინოვაციურ ტრაექტორიაზე გასვლა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია თანემდროვე საქართველოსათვის. ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ გზაზე გადასვლის აუცილებლობა მოითხოვს ინოვაციური საქმიანობის მძლავრ აქტივიზაციას, სწორედ ინოვაციური სფეროს წინა პლანზე წამოწევა, მისი ახალი მიმართლებების განვითარების საფუძველზე გახდება შესაძლებელი საქართველოს დიდი და ტრადიციულად მზარდი ჩამორჩენის დაძლევა (მეურნეობრიობის სხვადასხვა სფეროში მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით).

ეფექტიანი ინოვაციური პოლიტიკის გასატარებლად საჭიროდ მიგვაჩნია წარმოების და ინოვაციების მართვის, დაგეგმვის და პროგნოზირების ახალი მექანიზმების ფორმირების აუცილებლობა; ქვეყნის სასურველი ინოვაციური სტრატეგიული განვითარების ე.წ. „დაპროექტება“, სივრცობრივი პროგნოზირების საფუძველზე (ტენდენციების შეფასება, დომინანტური ტრენდების გამოვლენა, ტრენდების შეცვლის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა და ა. შ.) ზემოთაღნიშნული პრობლემები საქართველოში ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი. ქვეყნის სამეცნიერო – ტექნიკური სფეროს განვითარების პროგნოზის შედგენა, ტექნოლოგიური ფორსაიტის შესწავლა განსაზღვრულ ლოგიკურ თანმიმდევრობას მოითხოვს.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იბრძვიან ტექნოლოგიური ლიდერობისათვის და თავიანთი ინოვაციური სისტემების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამასთან არც ერთი ქვეყანას, აშშ-სა და იაპონიის ჩათვლით. რომლებიც ყოველწლიურად ასობით მილიონ დოლარს ხარჯავენ მეცნიერების განვითარებისათვის,

ვერ ახერხებს დღეისათვის განახორციელონ სრულმასშტაბიანი კვლევები მეცნიერების ყველა დარგის მიმართულებით, რამდენადაც ახალის ცოდნის მიღება მოითხოვს უზარმაზარ ხარჯებს მოწყობილობისათვის და სპეციალისტების მომზადებისათვის. ამ პირობებში მათ ისწავლეს ეფექტიანად განსაზღვრონ თავიანთი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების პრიორიტეტები და ამავდროულად შეინარჩუნონ ლიდერის პოზიციები მეცნიერების შედარებით პერსპექტიულ სფეროებში.

სიტყვა, ტერმინი ფორსაიტი _ foresight _ ინგლისურია და ნიშნავს "ხედვას მომავალში". ყველაზე ფართო გაგებით ფორსაიტი არის გათვალისწინების, წინასწარგანჭვრეტის სისტემა. ყველაზე მეტად გავრცელებული და ციტირებულია ამერიკელი ექსპერტის ბ. მარტინის მიერ შემოთავაზებული ფორსაიტის განმარტება, რომელიც ყურადღების აქცენტირებას ახდენს ფორსაიტის პროგნოზულ მხარეზე, მის მიზანდასახულობაზე გამოავლინოს განვითარების სტრატეგიულად და სოციალურად მნიშვნელოვანი ზონები. ცხადია, ერთი განმარტება ვერ მოიცავს ფორსაიტის ყველა მხარეს. ჩვენი მიზანია შევეხოთ პრობლემის სამ ძირითად მიმართულებას: 1) არის თუ არა ფორსაიტი ახალი მოვლენა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგნოზირებასთან მიმართებაში, რომელსაც ადგილი აქვს ეროვნულ ეკონომიკაში (ამ შემთხვევაში, საქართველოში); 2) როგორ შეიძლება ფორსაიტი პოზიციონირებული იქნას სტრატეგიული დაგეგმვის გარემოში, ანუ უფრო ფართოდ, რეგიონის სტრატეგიულ მართვაში, და მესამე: გამოყენებულია თუ არა ფორსაიტის მეთოდოლოგია რეგიონულ დონეზე. პირველ საკითხთან მიმართებაში არსებობს ორი თვალსაზრისი, ერთი _ ის, რომ ფორსაიტი აღმოცენდა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში კომპანია "რენდ კორპორეიშენში[1], რომელმაც შეიმუშავა დელფის მეთოდი და გამოიყენა იგი პროგნოზირების მიზნებისათვის (დელფის მეთოდი ითვლება ფორსაიტის ერთ-ერთ ცენტრალურ მეთოდად). ეს არის თვალსაზრისი, რომელიც ფაქტიურად ერთიმეორესთან აიგივებს ტერმინებს _ forecast _ პროგნოზი და foresight _ წინასწარი განჭვრეტა, რომლებიც გვხვდება უცხოურ წყაროებში და ზოგჯერ რეპროდუცირებულია სამამულო პუბლიკაციებში.[2]" UNIDO Technology Foresight Manual Vienna. 2005. მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ფორსაიტი განიხილება, როგორც წინასწარი ხედვის, წინასწარი განჭვრეტის სისტემა. ჩამოყალიბდა 20-ე საუკუნის 80-იან წლებში. აქ საქმე არა დროში განსხვავებაში, არამედ განსხვავების პრინციპშია. ფორსაიტი ეს არის განსაზღვრული მეთოდოლოგია, რომლის არსი მდგომარეობს არა მარტო პროგნოზირებაში (რაც აღინიშნება ტერმინით Forecasting) მომავალი), არამედ გადაწყვეტილების შეთანხმებულად მიღებაში მომავალთან მიმართებით, ფორსაიტისათვის შერჩეულ სფეროში. ფაქტიურად იგი წყვეტს კონსესუსის მიღწევის პრობლემას მომავალთან მიმართებაში სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესების შეთანხმების გზით, თანაც აქტიური საქმიანობის ფორმით. ასე რომ, იგი ხდება არა მარტო პროგნოზი, არამედ სოციოჰუმანიტარული ტექნოლოგიაც. ასეთი ერთიანი ფორმით, როგორც სოციო ჰუმანიტარული ტექნოლოგია, ფორსაიტი ყალიბდებოდა მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს და ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

პირველად ფორსაიტები ტარდებოდა მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, რის გამოც მას ტექნოლოგიურ ფორსაიტსაც უწოდებდნენ. შემდგომში თავდაცვის სფეროდან ფორსაიტის ინსტრუმენტარი გადატანილი იქნა ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, პოლიტიკაში და ტრანსფორმირდა საბაზროდ ორიენტირებულ ფორსაიტად. მასში ფასდებოდა ტექნოლოგიების აღმოცენებისა და დანერგვის სოციალური და კულტურული შედეგები (მაგალითად ინტერნეტის გავლენა საოჯახო და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, შრომის ორგანიზაციაზე. თანამედროვე პირობებში ფორსაიტი კონცენტრირებას ახდენს სხვადასხვა საერთო მნიშვნელობის აქტუალურ პრობლემებზე, როგორიცაა შიმშილის, სიღარიბის, უსაფრთხოების და ა.შ. პრობლემები. განვითარების მესამე ეტაპზე გადასვლისას ფორსაიტი სულ უფრო მეტად ხდება ელიტათა მოლაპარაკებების ტექნოლოგია, კონსესუსის მიღწევა საზოგადოებაში მომავალზე შეხედულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დღეისათვის ფორსაიტი გამოიყენება როგორც მომავლის ჩამოყალიბებაზე შეხედულებების სისტემური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა (შესაძლებელს ხდის) გათვალისწინებული იქნას შესაძლო ცვლილებები საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში: მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, ეკონომიკაში, სოციალურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, კულტურაში. სწორედ ამიტომ, დღეს საერთო გამოყენებადი გახდა ტერმინი "ფორსაიტი", ზედსართავის "ტექნოლოგიური" გარეშე.

ფორსაიტის ჩამოყალიბების ეტაპები სპეციალისტების მიერ გაგებულია სხვადასხვანაირად. მაგალითად შეხედულება იმის შესახებ, რომ უკვე იყო "სრულფასოვანი ფორსაიტები", რომელიც ზუსტად ათი წლის წინათ ხორციელდებოდა, და რომ პირველი სრულფასოვანი ფორსაიტი წარმოადგენდა კრიტიკული

---

[1] დელფის მეთოდი ითვლება ფორსაიტის ერთ-ერთ ცენტრალურ მეთოდად

[2] Technology forecasting first came to prominence in the late 1950 s in the United States deference sector and in work by consultats such an the RAND Cotporation. The latter were responsible for developing some of the principal fools of technology forecasting, such us the Delphi questionnarie surveg and scenario analysis. Large forecasting exercises ware corricd out during the 1960 s by the united states Navy and the United States Air Force

ტექნოლოგიების მდგომარეობისა და პერსპექტივების შეფასება, რომლებიც განხორციელდა 1997-1998 წლებში". მასში გამოყენებული იყო დელფი გამოკითხვები. შემდგომში ფორსაიტად შეფასდა "მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სცენარული პროგნოზი 2010 წლამდე პერიოდისათვის" (იხ.: "ფორსაიტს არა აქვს ოფსაიდები". ელექტრონული რესურსი. http://new.hse.ru/dkp). არსებითად ამ პოზიციის ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს შეხედულება, იმის შესახებ, რომ ყოფილ საბჭოტა კავშირში 1950-იან წლებში ჩატარებული საპროგნოზო სამუშაოები ფაქტიურად წარმოადგენდნენ ფორსაიტს (ჯერ კიდევ 1947 წელს, ომის შემდგომი ნგრევის პერიოდში, ლეგენდარულმა მეცნიერ-ეკონომისტებმა, კრჟიჟანოვსკიმ, ბარდინმა, ფერსმანმა და სხვა სწავლულებმა შეიმუშავეს ისტორიული კონცეფცია ციმბირის საწარმოო ძალების განვითარების შესახებ. მაშინ დამუშავებული იქნა ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები რეგიონის ეტაპობრივი, კომპლექსური, თვითკმარობაზე ორიენტირებული განვითარებისათვის ყველა სახის მინერალურ-სანედლეულო, ადამიანური, სამეცნიერო, საწარმოო რესურსების გამოყენებით. დღეისათვის, სწორედ ასეთი პროგნოზირება და დაგეგმვა, როგორც ჩანს, იწოდება ფორსაიტად.

ცხადია, ფორსაიტის წარმოშობის ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კი გაიგივებული იქნება ტერმინები ფორსაიტი და პროგნოზირება. ეს პროცესები ერთიმეორის მსგავსი, მაგრამ არა იდენტურებია და განსხვავებები შეიძლება დემონსტრირებული იქნას, თუ კი ცალ-ცალკე გავაანილიზებთ ფორსაიტისა და პროგნოზირების პრინციპებს .

განვიხილოთ სისტემატურობა _ რომელიც ფორსაიტის განუყოფელი მახასიათებელია. (ფორსაიტი _ სისტემატურად განმეორებადი ციკლური პროცესი, ფორსაიტის ერთი ციკლი, ჩვეულებრივ მიმდინარეობს 3-5 წელს), ამისათვის მივმართოთ სხვადასხვა პროგნოზების ისტორიას. როგორც ცნობილია, პროგნოზირება აღმოცენდა დიდი ხნის წინ და რაგინდ საკვირველიც არ უნდა იყოს, მეცნიერთა პროგნოზები, გაცილებით ნაკლებად ზუსტია მწერალ-ფანტაზიორების, პროგნოზებთან შედარებით, რაც ამყარებს აზრს მეცნიერული პროგნოზების ცალმხრივობის შესახებ. განუხორციელებელი ტექნოლოგიური პროგნოზების მაგალითები ძალზე ბევრია. ზოგიერთი უარყოფდა დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრებული ტექნიკური მიღწევების პერსპექტივებს, ზოგიც კი პირიქით ზედმეტად აფასებდა მათ ტექნიკურ პერსპექტივებს. (1932 წელს ეინშტეინი ამტკიცებდა, რომ ბირთვული ენერგია არ შეიძლება მიღებული იქნას, 1943 წელს კომპანია IBM-ის დამფუძნებელი ტომას ვატსონი ირწმუნებოდა, რომ მომხმარებელთა მოთხოვნა კომპიუტერებზე იქნება მინიმალური, _ ჰა და ჰა, შეიძლება გაიყიდოს არა უმეტეს ხუთი მანქანისა.

**პროგნოზების შეცდომების მაგალითები**[1]. მართალია, რიგი ტექნიკური პროგნოზი შეიძლება ჩაითვალოს მცდარად მხოლოდ განხორციელების თარიღის მიხედვით. (მაგ.: წინასწარმეტყველება ვიდეოტელეფონების მავნებლურიგამოყენების შესახებ 1985 წელი. ვიდეოტელეფონის გადაქცევის შესახებ კავშირს უნივერსალურ საშუალებად 1995 წელს, ადამიანისა და ცხოველთა ორგანოების გადანერგვის ფართო მასშტაბების შესახებ 1985 წელს. დიაგნოზების დასმა მარტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეშვეობით 1990 წელს. იმის შესახებ პროგნოზი, რომ спама-ს პრობლემა გადაიჭრება და მოიხსნება დღის წესრიგიდან 2006 წლისათვის[2]) ამის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, ერთჯერადი ტექნოლოგიური პროგნოზები სისტემატურად უნდა დაზუსტდეს.

მით უფრო მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება, რაც ვერ ხერხდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგნოზირების ჩარჩოებში. ზოგიერთი მკვლევარი ფორსაიტის გავრცელების პრობლემის განხილვისას აღნიშნავდა, რომ არც ერთი რეალური ისტორიული მოვლენა, არ იყო წინასწარ განსაზღვრული და განჭვრეტილი, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის პრიორიტეტები ძალზე ხშირად დამოკიდებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და მნიშვნელოვანია, პოლიტიკური ხელისუფლება როგორ წარმოადგენს პრიორიტეტებს პოლიტიკის და არა ტექნოლოგიების თვალსაზრისით.

ფორსაიტის, როგორც განაზღვრული მეთოდოლოგიის განვითარების ისტორია სწორედაც რომ დემონსტრირებას უკეთებს თანმიმდევრულ ბიძგს განვითარებული პროგნოზებიდან წინასწარხედვის სისტემატიზებულ პროცესისაკენ; ბიძგს მხოლოდ მეცნიერების აზრის გათვალისწინებიდან საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენისა და წარმომადგენელთა აზრის, შეხედულებების გათვალისწინებისაკენ; ტექნოლოგიური პროცესების პროგნოზირებიდან ტექნიკური პროგრესის სოციალური შედეგებისა და _ წინასწარ ხედვისაკენ და შედეგად_ გარკვეული ხარისხით სოციალური პროცესების წინასწარგანჭვრეტისაკენ.

---

1 პროგნოზების შეცდომების მაგალითები ზოგიერტ ავტორს ხაზგასმით მოჰყავს

2 (მაგ.: წინასწარმეტყველება ვიდეოტელეფონების მავნებლურიგამოყენების შესახებ 1985 წელი. ვიდეოტელეფონის გადაქცევის შესახებ კავშირს უნივერსალურ საშუალებად 1995 წელს, ადამიანისა და ცხოველთა ორგანოების გადანერგვის ფართო მასშტაბების შესახებ 1985 წელს. დიაგნოზების დასმა მარტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეშვეობით 1990 წელს. იმის შესახებ პროგნოზი, რომ спама-ს პრობლემა გადაიჭრება და მოიხსნება დღის წესრიგიდან 2006 წლისათვის

ფორსაიტი წარმოადგენს პროგნოზირების მუდმივად კორექტირებად პროცესს და ფორსაიტის შედეგად შემუშავებული დოკუმენტების გადახედვა ხდება საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე დამოკიდებულებით.

პროგნოზირება ხორციელდება უშუალოდ, უპირატესად მეცნიერთა კორპორაციის მიერ. ფორსაიტის ფორმირებაში მონაწილეობენ ექსპერტების სახით საზოგადოების სხვადასხვა ფენები. საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად ფორსაიტების შემუშავებაში ექსპერტების სახით გამოდიან არა მარტო მეცნიერების წარმომადგენლები, არამედ საქმიანი წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, და ხელისუფლების სტრუქტურების, მუნიციპალური წარმონაქმნების, საზოგადოებრივი მოძრაობის, მოქალაქეთა გაერთიანების, მეცნიერთა და ექსპერტთა сообщества-ს წარმომადგენლები.

პროგნოზირება (Forecast) _ ეს არის მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობების ფორმულირება ზოგიერთი ობიექტის მომავალში შესაძლო მდგომარეობის შესახებ მისი განვითარების ჩამოყალიბებული ტენდენციების საფუძველზე. წინასწარ ხედვა (Foresight) შეიცავს მომავალზე აქტიური გავლენის ელემენტებს, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების პარტიკულიარული ინტერესების შეთანხმების სახით, მათი, როგორც ამ პროცესების მონაწილეთაიმედებს და მოთხოვნებს _ ფორსაიტი უფრო მგრძნობიარეა ამ ინტერესების მიმართ, და შეუძლია კონცენტრირება მოახდინოს საზოგადოებაში ცვლილებების კულტურულ წინასწარხედვაზე. ფორსაიტი გამოყოფს პერსპექტიული კვლევების ზონებს, აღნიშნავს საკვანძო და ძირითადი ტექნოლოგიების აღმოცენებას, რომელთაც დიდი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მოტანა შეუძლია და აყალიბებს ორიენტირებს სამოქალაქო საზოგადოების ყველა აქტიური მონაწილისათვის.

თუ კი პროგნოზი მნიშვნელოვანწილად ახდენს ობიექტური პროცესების კონსტანტირებას და აჩვენებს მომავლის ვარიანტს ანდა ვარიანტებს, ფორსაიტი ფაქტობრივად მიმართულია მომავლის პროექტირებაზე და მისი მიღწევის გზების ძიებაზე, ასევე გვიჩვენებს მათი კორექტირების შესაძლო გზებს. შესაბამისად, ფორსაიტი უკვე აღარ არის მხოლოდ პროგნოზირების ინსტრუმენტების ნაკრები, ერთობლიობა, იგი ქმნის მომავლის ჩამოყალიბების _ რეალურ შესაძლებლობას. დღეისათვის აუცილებელი მხედველობაში იქნას მიღებული ის გარემოება, რომ პირველობა აქვს არა იმას, ვინც პირველი წამოაყენებს იდეას ან შექმნის ახალ პროდუქტს, "როგორც გაირკვა, გაცილებით ადვილი და ეფექტიანია ჩამოაყალიბო ახალი ცხოვრების წესი მოთხოვნათა ახალი ნაკრებით, ვიდრე ვიკვლიოთ მოთხოვნების არსებული სისტემები. გაირკვა რომ, გაცილებით ეფექტურია ჯერ ჩამოყალიბდეს მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი სიახლეების მოხმარების სტრუქტურები და შემდეგ მხელად მოხდეს კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება, ვიდრე ჯერ შეიქმნას პროდუქტი და შემდეგ მოხდეს მისი დანერგვა. თანამედროვე საზოგადოების წამყვანი პროცესი ხდება სოციოკულტურული ინჟინერია: დღეისათვის იგებენ ის საზოგადოებრივი ერთეულები (სახელმწიფო, კორპორაციები, გაერთიანებები და ა.შ.) რომლებიც სწრაფად და ეფექტიანად ახორციელებენ საზოგადოებრივ ცვლილებებს _ სოციალურს, კულტურულს, ინსტიტუციონალურს და ანთროპოლოგურსაც კი". (КопыловГ.,2002) ფორსაიტი თავისი არსით და დანიშნულებით ემსახურება ბიზნესის, სახელმწიფოსა და მეცნიერთა გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთზემოქმედებას, თანამშრომლობასა და კოოპერაციას.

ფორსაიტის მნიშვნელოვან თანამდევ პროდუქტს უწოდებენ ასევე ტექნოლოგიების, პროგრამათა პროექტების, პოლიტიკის ინსტიტუტების შეფასების მექანიზმს (ГохбергЛ.М.,2007.)

რა ადგილს იჭერს ფორსაიტი რეგიონის სტრატეგიული მართვის სისტემაში? უნდა აღინიშნოს, რომ თვით საკითხის დასმა რეგიონის სტრატეგიული მართვის შესახებ თავისთავად საკმაოდ ახალია.

ფორსაიტი არის რეგიონის მომავლის წინასწარხედვის შემუშავება საერთოეროვნული და მსოფლიო პრიორიტეტების გათვალისწინებით და რეგიონალური მეურნეობრიობის მონაწილეა რესურსული, ეროვნულ-კულტურული, სოციალური და მენტალური თავისებურებების მხედველობაში მიღებით.

ინსტიტუციონალურად რეგიონების სტრატეგიული მართვის სისტემის ჩამოყალიბება არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო. რეგიონალური მართვის სახელმწიფო ინსტიტუტი რეგიონული განვითარების სამინისტროს სახით შეიქმნა 2004 წელს. დღეისათვის შემუშავებულია მეთოდური რეკომენდაციები ფედერაციის სუბიექტთა განვითარების სტრატეგიების შემუშავებისათვის. სტრატეგიები თავის მხრივ განიხილება და ექვემდებარება შეთანხმებას სამინისტროს მუშა ორგანიზაციებთან, შეთანხმების ამოცანასა ფედერაციის სუბიექტების განვითარების სტრატეგიების შესაბამისობა დარგობრივ სტრატეგიებთან. ამავე დროს ჯერჯერობით რეგიონალური სტრატეგიების შემუშავება არ არის სავალდებულო მექანიზმი. მით უმეტეს, არ არის განსაზღვრული რეგიონალური ფორსაიტის ინსტიტუციონალური სტატუსი.

ფორსაიტის შედეგები არის საფუძველი სტრატეგიის შესამუშავებლად. მეორეს მხრივ, ფორსაიტს შეუძლია უფრო დეტალურად გადაწყვიტოს ცალკეული სფეროს განვითარების საკითხები, რომელიც გათვალისწინებული არ არის სტრატეგიაში. გარდა ამისა, ფორსაიტი წყვეტს სტეიკხოლდერების წრის გაფართოვების საკითხს. რომლებიც მოზიდულნი არიან სტრატეგიის შესამუშავებლად, ახდენენ სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის, და ტექნოლოგიის სრულყოფას, სტრატეგიის შემუშავების მეთოდების სისტემაში იმ მეთოდების ჩართვით, რომლებიც სპეციფიკურია და დამახასიათებელია ფორსაიტის მეთო-

დებისათვის (მაგ.: საექსპერტო პანელების შექმნა მენტალური რუქების შედგენა და ა.შ.) და დოკუმენტები (მაგ.: ტექნოლოგიური საგზაო რუქები და ა.შ.).

ფორსაიტი გულისხმობს განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რაც შესაძლებელს ხდის მისი პრინციპების რეალიზაციას და ძიებული შედეგების მიღწევას. ფორსაიტის მეთოდოლოგია ემყარება ორ მიდგომას: ნორმატიულს და ექსპლორატიულს, (საძიებოს). ნორმატიული მეთოდი პროგნოზირებაში აღნიშნავს ორიენტაციას სუბიექტის (ორგანიზაციის) მისიაზე, იმ მოთხოვნებსა და მიზნებზე,რომლის მიღწევასაც ესწრაფვის სუბიექტი. ნორმატიული მეთოდი იწყება სასურველი მომავლის ვარიანტების განსაზღვრით და პასუხობს კითხვაზე: როგორი ტენდენციები და მოვლენები უნდა მოხდეს ასეთ მომავალში. ნორმატიული პროგნოზირებას შეესაბამება გადაადგილება ტექნოლოგიების სივრცეში უფრო მაღალი დონის ტექნოლოგიებიდან უფრო დაბალი დონის ტექნოლოგიებზე ანუ მოთხოვნიდან და მიზნებიდან გადასვლა მათი რეალიზაციის საშუალებებზე.

ნორმატიული პროგნოზირების მაგალითად გამოდგება პროგნოზირება კოსმოსის სფეროში, როცა პროგნოზირებადი პროცესი წარმოგვიდგება ტექნოლოგიების თანმიმდევრული გადაადგილებით ტექნოლოგიიდან, რომელიც კოსმოსს აღიქვამს როგორც სფეროს, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ადამიანის კეთილდღეობას, მისი გადაჭრის კონკრეტული საშუალებების ტექნოლოგიაზე,

ექსპლორატიული მიდგომა (სამეცნიერო ლიტერატურაში მას ხშირად უწოდებენ საძიებოს, კვლევითს ანდა შემსწავლელს) იწყება აწყმოდან და პასუხობს კითხვაზე: რა იქნება, მომავალში, თუ კი გაგრძელდება არსებული ტრენდები.

საძიებო ფორსაიტის საფუძვლად ედება ორიენტაცია არსებულ შესაძლებლობებზე, სიტუაციის განვითარების ტენდენციების დადგენა ინფორმაციის პროგნოზის დამუშავებაზე დაყრდნობით.

საძიებო ფორსაიტს მაგალითად გამოდგება პროგნოზირება ელექტრონიკის სფეროში, როცა საპროგნოზო პროცესი წარმოდგენილია ტექნოლოგიების თანმიმდევრული გადაადგილებით, გადანაცვლებით დაწყებული კვანტური ელექტრონიკითა და დამთავრებული მყისიერად განხორციელებული მსოფლიო კავშირით.

ფორსაიტისათვის გამოყენებული მეთოდები საკმაოდ ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. მათი სისტემატიზაცია შეიძლება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ, ფორსაიტის ტიპის, მიხედვით: ნორმატიული (სასურველი მომავლის აგება) ანდა საძიებო (მომავლის სურათის ჩამოყალიბება გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე); მიზნის მიხედვით (იდეის შემუშავება ანდა ანალიზი); ინსტრუმენტარის მიხედვით (რაოდენობრივი ანდა ხარისხობრივი); ექსპერტებთან მუშაობის მეთოდების მიხედვით (დასწრებული და დაუსწრებელი, გამოკითხვები ანდა უშულაო პირადი ურთიერთზემოქმედება); ტრადიციონალურობისა და სიახლის ხარისხის მიხედვით.

ფორსაიტის მეთოდური ინსტრუმენტარი დღეისათვის თავის თავში მოიცავს სხვადასხვა მეცნიერებისა და გამოყენებით სფეროში არსებული ცოდნის გამომუშავების მეთოდების მრავალსახეობას; როგორც პროგნოზირების, ანალიზისა და იდეის შემუშავების ტრადიციულ მეთოდებს, ასევე ფორსაიტური სამუშაოების დროს შემუშავებულ ახალ, კრეატიულ მეთოდებს.

დღეისათვის, ფორსაიტის ჩატარების დროს გამოყენებული ძირითადი მეთოდები ასახავენ მის სხვადასხვა ფუნქციას _ პროგნოზულს _ (ტენდენციების პროგნოზირება), ანალიზურს (არსებული სიტუაციის ანალიზი), კრეატიულს (ახალი იდეების შემუშავებამ მომავალთან მიმართებაში). რიგი მეთოდები, აღნიშნულ ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფენ დამმუშავებელთა ურთიერთზემოქმედებას.

მეთოდების შერჩევა ფორსაიტის კონკრეტული პროგრამისათვის, როგორც წესი, ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მიზნებზე და ფინანსურ პირობებზე. მეთოდების შერჩევის კრიტერიუმებია:

- ხელმისაწვდომი რესურსები (დრო, ფული, გამოცდილება).
- სასურველი მონაწილეობის ხასიათი.
- სხვა მეთოდებთან კომბინაციისათვის ვარგისიანობა.
- ფორსაიტის განხორციელების სასურველი შედეგები (მაგ.: დოკუმენტი ანდა პროცესი).
- მონაცემებისადმი მეთოდების მიერ წაყენებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნები.
- მეთოდოლოგიური კომპენტენტურობა.

ცხადია, რომ მეთოდოლოგიური კომპენტენტურობა იქნება ძირითადი ფაქტორი მეთოდების შერჩევისას. ასე მაგალითად, ბაიკალის ფორუმზე ნ. ფუნინგის მოხსენებაში ახსნილი იყო, რომ მათ ჩაატარეს ფორსაიტი თავიანთ მიწაზე (მიწა გფრ-ში არის რაიონის, ფედერალური წარმონაქმნის დასახელება), განსაზღვრეს პრობლემები და სასურველი ხედვები დისნეის მეთოდის მიხედვით. ეს მეთოდი არ არის ჩართული ფორსაიტის მეთოდების რომბში, მაგრამ შეიძლება მიკუთვნებულ მეთოდებს. რეგიონისათვის შესაფერისი მეთოდების განსაზღვრა მოითხოვს სპეციალურ კვლევას.

## ლიტერატურა:


1. Derek Barker, David J.H. Smith., 1995. Technology foresight using roadmaps //Long Range Planning, 28, (2), pp. 21 – 28.
2. Fischhoff, Baruch., 1975. Hindsight is not equal to foresight: The effect of outcome knowledge on judgment under uncertaint//Journal of Experimental Psychology: Human Perception and Performance, vol 1(3), 288 – 299.
3. Gokhberg. L. M. 2007. Is it available to use technological foresight in the county. http://stra.teg.ru/-global/Prognoz/foresight/11
4. Kastro E. A., Marques J. L., Borges M., 2012. Foresight Methodologies. Application to the Housing Market //Proceedings of the 52nd Congress of the European Regional Science Assotiation.
5. Kleiton E., 2008. Teknologicheskie Dorozhnye karty:instrumenti Dlya Razvitiya./Kleiton E. //Forsait. Gosudarstvennyi Universitet – Vysshava Shkola Ekonomiki.# 3, S. 69 – 74.
6. Kovalev V. I., 2013. Forsait: Prognozirovanie Innovatsii Ili Innovarsii v prognozakh? // Vestnik Omskogo Gosudarstvennovo Universiteta. # 2 (68). S. 169 – 172.
7. Kopilov.G. 2002. New Ideas for Developing- Educational projects.
8. Kaliujhnova. N.Voilin.S. I. 2006. 20 Questions and 20 Answers.Irkutski.Pg.12
9. Linstone H. A., 2011. Three Eras of Technology Foresight//Technovation. T.31.#.2.S.69 – 76.
10. Miles I., Popper R. (Eds). 2008. The handbook of Technology Foresight. Cheltenham: Edward Elgar. Pp154.
11. Popper R., 2006. Foresight has not en Offside Internet Source ‘Pg.65-78
12. Richardson J., 2014. ICSU Foresight Analysis, International Science in 2013 – Exploratory Scenarios//foresight. T. 16. #. 2. S. 192 – 195.
13. Roue M., Nakashima D., 2002. Knowledge and Foresight: the Predictive Capacity of Traditional Knowledge Applied to Environmental Assessment/Roue M., Nakashima D., - UNESCO, - S. 337 – 347. – Rezhim dostupa k stat’e: http://www.-botanischergarten.ch./Patents/Roue-Foresight- Int–Soc–Sci–1468–2451. 00386.pdf
14. Saritas O., Oner M. A., 2004. Systemic analysis of UK foresight results: Joint Application of Integrated Management Model and Roadmapping//Technological Forecasting and Sicial Change. 71 (1 – 2), pp. 27 – 65.
15. Strategia A., 2013. Papadopoulou C.A., 2013. Foresight Analysis at the Regional Level – A Participatory Methodological Framework//Journal of Management and Strategy. T. 4. #. 2. S. 1.


## Issues of determining the Foresight methodology


***Lamara Qoqiauri***

*Doctor of Economics Sciences*
*Academician of Georgian Economics Academy*
*Senior Research Scientist-Coworker*
*at the National Instituteof Economic (AAEP)*

***Maia Kapanadze***

*Academic Doctor of Economics*
*Associate Professor of GTU*

***Nino Qoqiauri***

*Master of Sokhumi State University*



The article discusses key issues of the origin, development and essence of modern foresight. There is explained three main program of foresight. In scientific – technical programming is the foresight a new event or not, how is it possible to positioning the foresight in strategic planning, is its methodology used at regional level or not, in the paper there are also given the stages of formation of foresight, the parallelization is given between forecast and foresight and it is justified that the participants of foresight create real possibilities not only for forecast, also they discuss the future possible alternatives and develop strategies to implement more promising projects. Methodological issues of foresight are also studied, in particular, normative and exploratory approaches, a wide range of methods used for foresight: Creativity, Expertise and Forecast, Analysis, Interaction – Delphi – Methods of Survey establishment on quality information.



***Key Words:*** *Foresight; Forecast; Delphi Method; Expert; Strategic Management; Normative Forecast; Explanatory Approach; Creative.*

# ფირმათა ანტიკრიზისული მართვის მექანიზმი

**თამარ ღამბაშიძე**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*
*ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ფირმის კრიზისის დაძლევა შეიძლება აქციების ემისიითა და მისი განთავსებით, რითაც ივსება ფირმის საწესდებო ფონდი და ეს ხერხი უნივერსალურია, როგორც პერსპექტიული, ასევე უიმედო ფირმისათვის. პერსპექტიული ფირმის აქციების მყიდველი ელოდება მისგან მიმდინარე შემოსავალს (დივიდენდი), უიმედო, კრიზისული ფირმის აქციების მყიდველი კი – ელოდება შემოსავალს ფირმის დივერსიფიკაციიდან ან ქონების გაყიდვიდან. პირველი ტიპის აქციონერების სურვილი, რა თქმა უნდა, არის ფირმის შენარჩუნება, მეორე ტიპის აქციონერებისა კი – ფირმის დაშლა (დანგრევა) და მისი ქონების ბაზარზე გაყიდვა. ასე რომ კრიზისულ ფირმას შეიძლება ჰყავდეს, როგორც ფირმის დაშლის მოსურნე აქციონერები, ასევე მისი შენარჩუნების მოსურნენი. ასეთ დროს, ფირმის ტოპმენეჯმენტმა, ცხადია, უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფირმა და მასში თავისი ადგილი. ეს ვერც ფირმის გაჩერებითა და ვერც ტრადიციული სისტემით მუშაობით მიიღწევა, რადგან სწორედ მუშაობის ტრადიციულმა წესმა გამოიწვია ფირმაში კრიზისი.*

*ასეთ კრიზისულ დროს უფრო მისაღებია კომპანიის აქციების გაყიდვა ადგილობრივ მოსახლეობაში, რომლებიც უფრო იზრუნებენ კომპანიის (ფირმის) შენარჩუნებაზე, მაგრამ ეს დროებითი ღონისძიებაა, რადგან თუ ფირმამ შემოსული თანხებით ვერ შეძლო კრიზისული პროცესების შეჩერება, ის კიდევ უფრო დამანგრეველი ძალით წარმოჩნდება.*

*კრიზისული სიტუაციის დიაგნოსტიკის შემდეგ, საჭიროა ორგანიზაციული და ფინანსური ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება და რეალიზაცია, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რესტრუქტურიზაცია, დაფინანსების ახალი წყაროს მოძებნა და სხვ.*

***საკვანძო სიტყვები:*** *რეორგანიზაცია(სანაცია); საწარმოს დიაგნოსტიკა; ანტიკრიზისული მონიტორინგი; ფირმის გაკოტრება.*

ანტიკრიზისული მართვა ორგანიზაციის კრიზისის აღმოფხვრის ან დაძლევის პროცესია. ამ განსაზღვრებაში გაერთიანებულია ანტიკრიზისული მართვის ორი შემადგენელი: ჯერ არდამდგარი და უკვე არსებული კრიზისის გადალახვა.

რეალურ პრაქტიკაში ანტიკრიზისული მართვის მექანიზმი გულისხმობს მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებას. ანტიკრიზისული მართვის **პირველი** ამოცანის გადაწყვეტა გულისხმობს ანალიზისა და წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისადმი სისტემურ და სტრატეგიულ მიდგომებს. ანტიკრიზისული მართვა, ფართო გაგებით, ეს არის საწარმოს კონკურენტული მდგომარეობის შენარჩუნება და გამყარება. ეს არის მართვა რისკის პირობებში. ასეთ შემთხვევაში ანტიკრიზისული მართვა გამოიყენება ნებისმიერ საწარმოში მისი ეკონომიკური მდგომარეობისა და მისი სასიცოცხლო ციკლის სტადიებისაგან დამოუკიდებლად[1,გვ.23].

კრიზისის გადალახვის **მეორე** ამოცანის გადაწყვეტა ყოველთვის ატარებს სპეციფიკურ ხასიათს და ამიტომ შეიძლება ვუწოდოთ მას ანტიკრიზისული მართვა ვიწრო გაგებით.

**ვიწრო** გაგებით, **ანტიკრიზისული მართვის** დროს, საწარმოო ფირმის გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით, ხორციელდება ბიზნესსტრატეგიის რამდენიმე ვარიანტის შედგენა, რომლის საფუძველზე მუშავდება ანტიკრიზისული სტრატეგიის საერთო მოდელი და მასზე დაყრდნობით, ორგანიზაციის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის სტრატეგიული გეგმა. სხვა შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება ფირმის გაკოტრებულად გამოცხადების პროცედურა, რომელსაც გააჩნია რამდენიმე მიმართულება: რეორგანიზაცია (სანაცია), იძულებითი ლიკვიდაცია და მშვიდობიანი შეთანხმება.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში, კომპანიები კოტრდება კრიზისული სიტუაციისადმი მოუმზადებლობის გამო. საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, შეინიშნებოდა და შეინიშნება კრიზისის გამოვლენის დონეთა მიხედვით საწარმოთა დიფერენციაციის საკმაოდ ნათელი სურათი.

კერძოდ, ზოგი კომპანია (საწარმო) მაშინვე აღმოჩნდა ნგრევისა და განადგურების ზღვარზე, ზოგი დიდი ხნის მანძილზე უწევდა წინააღმდეგობას კრიზისულ მოვლენებს, ხოლო დანარჩენები კი ცდილობდნენ ამ სიტუაციის მათს სასარგებლოდ გამოყენებას და როგორც ამბობენ – „ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას“ [3,გვ.127].

**ვიწრო** გაგებით, **ანტიკრიზისული მართვის** დროს, საწარმოო ფირმის გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით, ხორციელდება მისი გადახდისუნარიანობის აღდგენა, ეს არის მართვა კონკრეტული კრიზისული მდგომარეობის პირობებში. ის მიმართულია საწარმოს მოცემული კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლე-

ლად და მისი კონკურენტუნარიანობის აღსადგენად. ანტიკრიზისულ მართვას, ვიწრო გაგებით, ყველაზე ხშირად ადგილი აქვს დაცემის ფაზაში. ორგანიზაციების ანტიკრიზისული მართვის კონცეპტუალური წყობა გამოიხატება შემდეგ ძირითად მდგომარეობებში[2,გვ.222]:

– კრიზისი შეიძლება იყოს წინასწარგანჭვრეტილი, მოსალოდნელი და გამოწვევითი;

– კრიზისი გარკვეული დოზით შეიძლება დავაჩქაროთ. წინასწარ გავითვალისწინოთ და გადავდოთ.

– შესაძლებელია და აუცილებელია კრიზისისათვის მომზადება;

– შესაძლებელია კრიზისის შერბილება, კრიზისული პროცესები გარკვეული ზომით მართვადია. კრიზისიდან გამოსვლის ეტაპების მართვამ თავისუფლად შეიძლება დააჩქაროს პროცესები და მოახდინოს მისი ნეგატიური შედეგების მინიმიზაცია.

– კრიზისულ პირობებში მართვა საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომებს, ინსტრუმენტებს, ცოდნასა და ჩვევებს.

თუ საწარმო შეძლებულია, ნორმალურად ფუნქციონირებს ბაზარზე, აქვს დადებითი ეკონომიკური და ფინანსური შედეგები, მაშინ ანტიკრიზისული მართვა მიმართული უნდა იყოს კრიზისული მოვლენების პროფილაქტიკისაკენ. ანტიკრიზისული მართვა ესაა ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსი დაწყებული კრიზისის ადრეული დიაგნოსტიკით, მისი გადალახვის ზომებით დამთავრებული. ანტიკრიზისული მართვა ეფუძნება ზოგიერთ პრინციპს, რომლებიც განასხვავებენ ანტიკრიზისულ მართვას ჩვეულებრივისაგან [7, გვ. 54].

საწარმოს ანტიკრიზისული მართვის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების რიცხვს მიეკუთვნება:

- მუდმივი მზადყოფნა ორგანიზაციის წონასწორობის შესაძლო დარღვევისათვის. ორგანიზაციის ფინანსური წონასწორობა ძალიან ცვალებადია დინამიკაში;
- საწარმოს ფინანსურ საქმიანობაში კრიზისული მოვლენების ადრეული დიაგნოსტიკა;
- სწრაფი რეაგირება კრიზისულ მოვლენებზე. რაც უფრო მალე იქნება აღდგენის ანტიკრიზისული მექანიზმები გამოყენებული, მით მეტი შესაძლებლობა ექნება საწარმოს თავი დააღწიოს კრიზისულ სიტუაციას;
- საწარმოს ადეკვატური რეაგირება მისი ფინანსური წონასწორობის დარღვევის საშიშროებისადმი. გაკოტრების საშიშროების ნეიტრალიზაციისათვის გამოყენებული მექანიზმების სისტემა დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან და დანაკარგებთან. ამასთან, ამ ხარჯებისა და დანაკარგების დონე უნდა იყოს საწარმოს გაკოტრების საფრთხის დონის ადეკვატური. წინააღმდეგ შემთხვევაში ან არ იქნება მიღწეული მოსალოდნელი ეფექტი (თუ მექანიზმთა მოქმედება არასაკმარისია), ან საწარმოს დიდი დანახარჯები ექნება (თუ მექანიზმთა მოქმედება იქნება გადაჭარბებული) [4,გვ.87];
- საწარმოს კრიზისიდან გამოყვანის შესაძლებლობების სრული რეალიზაცია. გაკოტრების საფრთხესთან ბრძოლის საწარმო უნდა ეყრდნობოდეს თავის შიდა ფინანსურ შესაძლებლობებს;
- ორგანიზაციის სანაციის ეფექტური ფორმების შერჩევა. თუ კრიზისის მასშტაბები არ იძლევა შიდა რესურსების საფუძველზე მისი დაძლევის შესაძლებლობას, მაშინ ორგანიზაციამ უნდა მიმართოს შიდა სანაციის მექანიზმებს.

მთლიანობაში, ანტიკრიზისული მართვის პოლიტიკა სრულდება გაკოტრების საშიშროებათა წინასწარი დიაგნოსტიკის მეთოდთა სისტემის შემუშავებით, რომელშიც ჩართული უნდა იყოს ორგანიზაციის ფინანსური გაჯანსაღების, მისი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**პროფილაქტიკის მიზნით, ანტიკრიზისული მართვა** მოიცავს შემდეგ მიმართულებებს [6,გვ.18]:

- **ანტიკრიზისული მონიტორინგი**, რომელიც უზრუნველყოფს საწამოს საქმიანობის გაფართოებულ და გაღრმავებულ დაკვირვებას, ნეგატიური მოვლენების თავისდროული გამოვლენისა და შეფასების სამუშაოთა გატარებას;
- **საწარმოს დიაგნოსტიკა (შეფასება)** – კრიზისული სიტუაციის გამოვლენის მეთოდები და პროცედურები, რომლებიც აუცილებელია საწარმოო ობიექტისათვის დიაგნოზის დასასმელად მისი ფუნქციონირების, ეფექტურობისა და სიცოცხლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, თავისუფალი კონკურენციისა და არარეგულირებადი ბაზრის პირობებში;
- **კრიზისული მოვლენების თავიდან აცილების ზომათა სისტემის შემუშავება და გატარება**, ანუ ისეთი კრიზისული სიტუაციის წარმომქმნელ მიზეზთა წინასწარ აღმოფხვრა (არარენტაბელური წარმოების დახურვა, დივერსიფიკაცია და ა. შ.), რომელთაც შეუძლიათ კომპანია კრიზისულ სიტუაციამდე მიიყვანოს;
- **კრიზისული სიტუაციის წარმომქმნელ მიზეზთა აღმოფხვრის** მიზნით, ისეთი ქმედებებისათვის მზადება, როგორიცაა: რისკის შემცირება და მისი შედეგების შესუსტება საკომპენსაციო ზომების ხარჯზე, მათ შორის რეზერვისა და მარაგის შექმნა, კადრების გადამზადება და სხვ.

კრიზისის დაძლევა ფირმაში შეიძლება აქციების ემისიითა და მისი განთავსებით. ამ გზით ივსება ფირმის საწესდებო ფონდი და ეს ხერხი უნივერსალურია, როგორც პერსპექტიული, ისე უიმედო ფირმისათვის. პერსპექტიული ფირმის აქციების მყიდველი ელოდება მისგან მიმდინარე შემოსავალს (დივიდენდი), უიმედო,

კრიზისული ფირმის აქციების მყიდველი კი – ელოდება შემოსავალს ფირმის დივერსიფიკაციიდან, ან ქონების გაყიდვიდან. პირველი ტიპის აქციონერების სურვილი, რა თქმა უნდა, არის ფირმის შენარჩუნება, მეორე ტიპის აქციონერებისა კი – ფირმის დაშლა (დანგრევა) და მისი ქონების ბაზარზე გაყიდვა. ასე რომ კრიზისულ ფირმას შეიძლება ჰყავდეს, როგორც ფირმის დაშლის, დანგრევის მოსურნე აქციონერები, ისე მისი შენარჩუნების მოსურნენი. ასეთ დროს, ფირმის ტოპ-მანეჯმენტმა, ცხადია, უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფირმა და ფირმაში თავისი ადგილი. ეს ვერც ფირმის გაჩერებითა და ვერც ტრადიციული სისტემით მუშაობით მიიღწევა, რადგან სწორედ მუშაობის ტრადიციულმა წესმა გამოიწვია ფირმაში კრიზისი.

ასეთ ვითარებაში, უფრო მისაღებია კომპანიის აქციების გაყიდვა ადგილობრივ მოსახლეობაში, რომლებიც უფრო იზრუნებენ კომპანიის (ფირმის) შენარჩუნებაზე, მაგრამ ეს დროებითი ღონისძიებაა, რადგან თუ ფირმამ შემოსული თანხებით ვერ შეძლო კრიზისული პროცესების შეჩერება ის კიდევ უფრო დამანგრეველი ძალით წარმოჩნდება.

კრიზისული სიტუაციის დიაგნოსტიკის შემდეგ, საჭიროა ორგანიზაციული და ფინანსური ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება და რეალიზაცია, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რესტრუქტურიზაცია, დაფინანსების ახალი წყაროს მოძებნა და სხვ.

თანამედროვე პირობებში, ნორმალური ფუნქციონირებისა და კრიზისის თავიდან ასაცილებლად, უარყოფითი შედეგების შესამცირებლად, კომპანიებს ხშირად უწევს რადიკალური ცვლილებების გატარება რომლის ინსტრუმენტებია: რეინჟინერინგი, რესტრუქტურიზაცია და ინოვაცია.

ჩამოთვლილთაგან ინოვაცია ყველაზე რთული ინსტრუმენტია მართვის თვალსაზრისით და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მას იყენებენ, სასურველია ჰქონდეთ მოქნილი სტრუქტურები (მაგ., მატრიცული), რაც ექსპერიმენტებში თანამშრომლების თავისუფლებასა და შემოქმედებითობას უზრუნველყოფს [5, გვ. 117].

როგორც უკვე აღინიშნა, ინოვაციური საქმიანობა ითვლება ყველაზე რადიკალურ საშუალებად კრიზისის დასაძლევად. ამ მიზნით, ფირმაში მუშავდება ინოვაციური სტრატეგია.

## ლიტერატურა:


1. აბრალავა ა. ჯორბენაძე ზ. ეკონომიკური ანალიზი. თბ., 2016; 225გვ.
2. აბრალავა ა. - ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბ., 2014. 312 გვ.
3. გიგაური ი. საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობის და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებები, თბ., სტუ, 2016; 367გვ.
4. გრაბოვი პ. გ. რისკებისა და უძრავი ქონების მართვა, სახელმძღვანელო, მ., 2012 (რუსულ ენაზე), გვ. 245.
5. Herbert, R.F. The Entrepreneur. Mainstream Views and Radical Critiques / R.F. Herbert, A.N. Link. – N.Y., Praeger Publishers, 2002. გვ.117.
6. Thoyts, Rob. Insurance Theory and Practice. Routledge. 1 edition. 2010 გვ. 412.
7. Rejda, George E. Principles of Risk Management and Insurance. 12/e. 2013. გვ. 223.


## Mechanism of anti-crisis management


***Tamar Ghambashidze***

*Doctor of Economic Sciences*

*Associate Professor*

*Georgian Technical University*



The essence of the risk, the type of the risk and the ways of researching the nature of the risk (objective, subjective, and mixed) are under main attention. The summary of „risk" category is explained in the context of its functions – analytical, innovative, regulatory, protective. History of the creation and development of the risk is reviewed. Several definitions of „risk" and the similarities and differences between them is provided. Also provided are several classifications of Risk and relevant graphs are given for better visualization, some of which are created by the author using different sources. Second sub-chapter – „the effect of the risks on entrepreneurial" – discusses the importance of entrepreneurial and the hard road the entrepreneurial workers need to follow. Also discussed are the origins of entrepreneurial risks, its sorts and its effects of entrepreneurial itself. Third sub-chapter consists of the basic methodological issues of risk management, the algorithms to assess the risks, the methods of qualitative and quantitative analysis of the risks.



***Key words:*** *Reorganization (sanitation); Enterprise Diagnostics; Anti-Crisis Monitoring; bankruptcy of the firm.*

# საქართველოში კლასტერულ ფასეულობათა ჯაჭვების ფორმირების პრობლემები და პერსპექტივები

**გიორგი ღაღანიძე**

*პროფესორი*

**ბადრი რამიშვილი**

*ასოც. პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*წარმოდგენილი ნაშრომის დასაწყისში ავტორები შესაბამის სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით განმარტავენ ტერმინების კლასტერისა და ფასეულობათა ჯაჭვის მნიშვნელობებს. შემოაქვთ ახალი ტერმინი კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვი და ასაბუთებენ მისი ფორმირების მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. ავტორები მათ მიერვე შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრავენ იმ დარგებსა და ქვედარგებს, რომელთა საფუძველზე კლასტერულ ფასეულობათა ჯაჭვის ფორმირება მოიტანს საუკეთესო შედეგებს.*

*საკვანძო სიტყვები: კლასტერულ ფასეულობათა ჯაჭვი; ექსპორტის წახალისება; იმპორტჩანაცვლება; კონკურენტული უპირატესობა; ქვევრის ღვინის წარმოება; შაქრის წარმოება.*

„ფასეულობათა ჯაჭვი“ და „კლასტერი“ შედარებით ახალი ტერმინებია, რომელთა დამკვიდრება ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე რთულმა პროცესებმა გამოიწვია. “კლასტერი” ანუ საწარმოთა ჯგუფი ტერიტორიული თვალსაზრისით მეზობლად განლაგებული კომპანიებისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების ერთობლიობაა, რომლებიცსაქმიანობენ, ხასიათდებიან მსგავსი საქმიანობით და ავსებენ ერთმანეთს [1, გვ. 215]. ტერმინი - „ფასეულობათა ჯაჭვი“ პირველად მაიკლ პორტერმა [2, გვ. 46 ] გამოიყენა, რითაც ის იმ აქტივობების ერთობლიობას აღნიშნავდა, რომელთა მეშვეობითაც კონკრეტულ დარგში დასაქმებული ორგანიზაცია ბაზარს პროდუქტსა თუ მომსახურებას აწვდის. პორტერის აზრით, ფასეულობათა ჯაჭვის ძირითადი და დამხმარე აქტივობები არსებობს, ამავე დროს, ხშირად მასში მკვეთრად გამოიყოფა ის რგოლები, სადაც განსაკუთრებული ფასეულობა იქმნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფასეულობათა ჯაჭვის უნიკალური კონსტრუქცია შეიძლება თავად იქცეს კონკურენტული უპირატესობის წყაროდ, ამიტომ მისი ფორმირება უმნიშვნელოვანესი საქმეა ბიზნესით დაკავებული სტრუქტურებისთვის. თუმცა, თანამედროვეობის მიერ ამ პროცესისთვის წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, ცალკეული კომპანიისთვის, თუ ის ტრანსნაციონალური მეგასტრუქტურა არ არის, სულ უფრო რთული ხდება ამ საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტა. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ეძღვნება.

ფასეულობათა ჯაჭვებისა და კლასტერების ოპტიმალური ფორმირება კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია. ეროვნულ დონეზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების გარეშე კი შეუძლებელია ექსპორტის მატება, იმპორტჩანაცვლება, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდა. სადღეისოდ არსებობს უამრავი თეორია, რომლებიც ამ საკითხს ეძღვნება და ფართო დიაპაზონით განიხილავს მას: სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების სრული მონოპოლიზებით დაწყებული და „ბაზრის უჩინარი ხელის“ გაფეტიშებით დასრულებული. თუმცა, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული სირთულით და კომპლექსურობით ხასიათდება, შესაბამისად მარგინალური თეორიები და ერთფეროვანი ხედვები წარმატების მომტანი ვერ იქნება (ღაღანიძე გ., რამიშვილი ბ. 2018, გვ.79 ). ჩვენი აზრით, ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საფუძვლად შეიძლება იქცეს ისეთი ფასეულობათა ჯაჭვებისა და კლასტერების ფორმირება, რომელთა მიერ წარმოებული ფასეულობის უდიდესი ნაწილი ქვეყნის შიგნით შეიქმნება და რომლებიც კონსტრუირებული იქნება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. სადღეისოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაგროვილი იმის საილუსტრაციოდ, რომ კონკურენტუნარიანი დარგები ყოველთვის ესადაგებიან კონკრეტული ქვეყნის უნიკალურ მახასიათებლებს

ფასეულობათა ჯაჭვი და კლასტერი მონათესავე ტერმინებია და მათ შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი მათგანი ყურადღებას ამახვილებს დარგში ფასეულობის შექმნის მთელ პროცესზე საწყისი რგოლიდან საბოლოომდე, ხოლო კლასტერი კი, მსგავსი და დამხმარე წარმოების ლოკალურად ჯგუფურ ორგანიზაციაზე აკეთებს აქცენტს. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ისეთი ეროვნული სისტემების ფორმირებას, რომელთა მიერაც შექმნილი ფასეულობის უდიდესი ნაწილის აკუმულირება ქვეყნის შიგნით მოხდება. ანუ ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ჩვენს თვალსაწიერში ხვდება ფასეულობათა შექმნის მთელი

დარგობრივი პროცესი და ამავე დროს თითოეულ ეტაპზე კონკრეტულ რგოლში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე საწარმო, ე.ი. დაცული იქნება კლასტერის ანუ ჯგუფურობის პრინციპი. ასეთი სისტემების აღმნიშვნელად და მისი არსის სრულად ასახვისთვის ვფიქრობთ საჭიროა ახალი ტერმინის, **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვის** შემოღება. ქვემოთ მსჯელობა გვექნება მისი ფორმირების მეთოდოლოგიისა და რამდენიმე კონკრეტული მაგალითის შესახებ.

ჩვენი გამოკვლევის მიზანია, მოვახდინოთ ისეთი დარგების და სეგმენტების იდენტიფიცირება, სადაც ქართველ მეწარმეებს ექნებათ მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევის შესაძლებლობა და აღნიშნული მიმართულებებით შევიმუშაოთ ეფექტიანი საწარმოო სისტემების - **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვების** სქემები. თუმცა მიზნის მიღწევის გზაზე აუცილებელია იმ თეორიული ბაზისის გაანალიზება, რაც ამ მიმართულებით არსებობს და მისი საქართველოს პირობებთან ადაპტირება. ამ მხრივ საუკეთესო წყაროდ მაიკლ პორტერის გამოკვლევები მიგვაჩნია. მისი აზრით, ადგილობრივი კომპანიების მწარმოებლურობის მაქსიმიზაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის ქვეყანაში საჭიროა ოთხი მოცემულობის არსებობა, ესენია: საწარმოო ფაქტორების მხრივ სათანადო მდგომარეობა; მოთხოვნის მდგომარეობა; მონათესავე ან მხარდამჭერი დარგების არსებობა; მდგრადი სტრატეგია, სტრუქტურა და მეტოქეობა.

საწარმოო ფაქტორების მხრივ სათანადო მდგომარეობა - პორტერის ინტერპრეტაციით, ძირითადად, ქვეყნის კონკრეტულ დარგში მყარ პოზიციას მოიაზრებს წარმოების ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა კვალიფიციური შრომითი რესურსები ან ინფრასტრუქტურა. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ მხრივ არ შეიძლება ისეთი საბაზისო საწარმოო ფაქტორების უგულებელყოფა, როგორიცაა მიწა, მიწის ნაყოფიერება, წიაღისეული რესურსები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, გეოპოლიტიკური მდებარეობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ „რესურსების წყევლის“ მსგავსი მოვლენის არსებობა (მდგომარეობა, როდესაც ქვეყანა ძალიან მდიდარია რესურსებით, რაც ადუნებს მისი მოსახლეობის აქტივობას და შედეგად ეს სახელმწიფო ჩამორჩენილთა შორის იკავებს ადგილს.) მთელი რიგი ქვეყნების მიხედვით სავსებით დადასტურებადია. მსოფლიოში აგრეთვე არსებობს ისეთი მაგალითებიც, როდესაც სახელმწიფო დიდი რაოდენობით ფლობს ზემოთ ჩამოთვლილ საბაზისო საწარმოო ფაქტორებს და ამავე დროს ის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ლიდერადაც გვევლინება. ამის კარგი მაგალითებია აშშ და ავსტრალია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების წარმატება, ძირითადად, იმიგრანტებს უკავშირდება (ღაღანიძე გ., რამიშვილი ბ. 2018, გვ.85-86).

მოთხოვნის მდგომარეობაში იგულისხმება შიდა ბაზარზე არსებული მოთხოვნის ხასიათი კონკრეტული დარგობრივი პროდუქტის მიხედვით. მაგალითად, ტრადიციულად იაპონიაში მრავალი პროდუქტის მიმართ ჩამოყალიბდა მოთხოვნა, რაც ამ ენაზე ოთხი სიტყვით „ქეი-ჰაკუ-ტან-შო“ აღიწერება და ქართულად ითარგმნება როგორც მსუბუქი, თხელი, მოკლე, პატარა, რაც იაპონიაში გაბატონებულ მინიმიზაციის სტრატეგიაზე მიუთითებს. ეს იაპონელების ჭირვეულობის გამოძახილია კი არაა, არამედ ამ ქვეყნის რესურსუზრნველყოფის სიმწირეზე მიუთითებს. იქ განსაკუთრებით ფასეულად, იაპონიის ფართობისა და მოსახლეობის სიმჭიდროვიდან გამომდინარე, დიდი ხანია, რაც საარსებო სივრცე ითვლება და როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარება დაიწყო იაპონიის ეკონომიკამ და მასთან ერთად ისეთმა დარგებმა, როგორებიცაა მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური წარმოება და ა.შ., სწორედ „ქეი-ჰაკუ-ტან-შო“ იყო ამ განვითარების სულისკვეთების საფუძველი. ხოლო რაც შეეხება მსოფლიო ბაზარზე მოპოვებულ წარმატებას, ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ისიც იყო, რომ იაპონიის მსგავსი პრობლემები რესურსებთან და საარსებო სივრცესთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების წინაშეც წარმოიჭრა. ასეთი მაგალითები სხვა ქვეყნების მიხედვითაც მრავლად მოიპოვება.

მონათესავე ან მხარდამჭერი დარგების რაც შეიძლება მაღალი ლოკალიზაცია მოცემული ქვეყნის საზღვრებში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის. მონათესავედ ითვლება ის დარგები, რომელთა ფასეულობათა ჯაჭვების რგოლები დიდ მსგავსებას ავლენს, ხოლო მხარდამჭერი დარგები კი ისაა, სადაც მოცემული დარგის საწარმოს მიმწოდებლები და მყიდველები მონაწილეობენ. ითვლება, რომ, რაც უფრო მაღალია მხარდამჭერი დარგების კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში კონცენტრაცია, მით უფრო შესაძლებელია მათ შორის სხვადასხვა სახისა და, პირველ რიგში, ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლა, კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის კოოპერაცია და ა.შ. გარკვეულწილად იგივე შეიძლება ითქვას მხარდამჭერ დარგებზე და გარდა ამისა, მათთან ლოკალიზაცია ლოგისტიკური ხარჯების შემცირებასაც განაპირობებს.

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე, მის ისტორიულ წარსულზე, სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე, სატიტულო ერის მენტალობაზე, ბიზნესში დამკვიდრებულ პირობებზე დიდად არის დამოკიდებული ის, თუ რა სტრუქტურა ექნება დარგს და როგორ სტრატეგიას შეარჩევს კომპანია, ეს კი საფუძველია იმისა, თუ როგორ შეიქმნება, ორგანიზდება და იმართება კომპანია. ყველა სახელმწიფოს საკუთარი უნიკალური მახასიათებლები აქვს, რაც დიდ გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ მოდელზე. მაგალითად, იტალიელების სამხრეთული, შემოქმედებითი ბუნება ხელს უწყობს იმ დარგების განვითარებას, სადაც აუცილებელია სახელოვნებო მიდგომა. ეს არის ასევე იმის განმაპირობებელი, რომ ამ ქვეყანაში მრავალი მიმართულებითაა ის საწარმოები განვითარებული, რომელთა პროდუქცია პირდაპირაა განკუთვნილი მაღალი სეგმენტებისთვის. ხოლო

გერმანელების პედანტური, პუნქტუალური ბუნება თითქოს ზედმიწევნით ესადაგება კონვეიერულ, მასობრივ და უწყვეტ წარმოებას, დიდი კომპანიების შექმნას და მათი მმართველობითი სტრუქტურის საათისებურ ფუნქციონირებას (ღაღანიძე გ., რამიშვილი ბ. 2018, გვ.86-87).

ქვეყნის შიგნით არსებული კონკურენცია ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოცემული დარგების განვითარებისთვის. კონკურენციის ინტენსივობა, პირველ რიგში, მაღალი უნდა იყოს მსგავსი ფასეულობათა ჯაჭვების მქონე საწარმოებს შორის, სწორედ მათ შორის მეტოქეობა ხვეწს პროდუქტს, რაც შემდეგ გლობალურ ბაზრებზეც მოთხოვნადი ხდება. კონკურენტული ვითარება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მხარდამჭერ და მონათესავე დარგებშიც. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოვიაზრებთ ჩვენ ფასეულობათა ჯაჭვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან რგოლებში რამდენიმე საწარმოს არსებობას, რის საფუძველზედაც ხდება **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვების** ფორმირება.

**კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვების** ფორმირების მეშვეობით შესაძლებელია საქართველოსთვის ორი სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემის - ექსპორტის გაზრდისა და იმპორტჩანაცვლების გადაწყვეტა. ამავე დროს, ამ პროცესის ოპტიმალური წარმართვა ქვეყანაში ფასეულობის მზარდი ტემპებით აკუმულირების შესაძლებლობას გამოიწვევს, რაც ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების საფუძველი იქნება. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ფასეულობათა ჯაჭვის ყველა რგოლის ლოკალიზაცია ერთ ქვეყანაში, თანაც ისეთი მასშტაბების სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა შეუძლებელია, მაგრამ ამ დროს უნდა შეირჩეს და საქართველოში განლაგდეს ჯაჭვის ის რგოლები, რომლებიც მოცემული სისტემისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.

ექსპორტის მხრივ **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვების** ფორმირება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მისი მეშვეობით ადგილზე რჩება მაქსიმალური ფასეულობა, ხოლო საესპორტო ძალისხმება მხოლოდ საბოლოო პროდუქტის მიმართ უნდა განხორციელდეს. იმპორტჩანაცვლების დროს კი უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული წარმოების მიერ აუთვისებელი ადგილობრივი მოხმარება უდიდესი რეზერვია და მოცემულ ეტაპზე, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, ის შეიძლება საქართველოს ეკონომიკური განვითარების ლოკომოტივად იქცეს, რასაც შემდგომ ექსპორტის წახალისების მხრივაც ექნება ფორსირების ეფექტი.

უპირველესი პრობლემა, რაც **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვების** ფორმირების დროს უნდა გადაწყდეს, არის იმ დარგების თუ სეგმენტების განსაზღვრა, სადაც განსაკუთრებული შედეგი ექნება აღნიშნულ ძალისხმევას. მსგავსი ნუსხის ფორმირებისთვის უდავოა, რომ უმთავრესი, რასაც კვლევის თემატიკიდან გამომდინარე უნდა დავეყრდნოთ, ამა თუ იმ პროდუქტის საქართველოში ეკონომიკური მიზანშეწონილობის კონტექსტით წარმოების შესაძლებლობაა. ამ მიმართულებით ჩვენ გამოვყავით შემდეგი კრიტერიუმები: წარმოებისთვის საჭირო საბაზისო საშუალების (მიწა, პირველადი ნედლეული, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ა.შ.), შესაბამისი შრომითი რესურსების, დამხმარე წარმოების, მონათესავე წარმოების, საწარმოო ტრადიციების, ინტელექტუალური ინფრასტრუქტურის არსებობა, კონკრეტული პროდუქტის ადგილობრივად მოხმარების მოცულობა, ფასეულობატევადობა, რაიმე უნიკალური უპირატესობის არსებობა და იმიჯი. რადგან პირველი შვიდი ფაქტორი დაახლოებით შეესაბამება მაიკლ პორტერის მოსაზრებებს, ნათელია თუ რას გულისხმობს ისინი, ჩვენ მათ განმარტებას არ შევუდგებით და მკითხველის ყურადღებას ბოლო სამზე შევაჩერებთ ((ღაღანიძე გ., რამიშვილი ბ. 2018, გვ.89). ამ შემთხვევაში ჩვენ ჩამონათვალში არ გვაქვს ადგილობრივ ბაზარზე არსებული კონკურენტული ვითარება, რადგან ეს ფაქტორი თავისთავადაა გათვალისწინებული, როდესაც ფასეულობათა ჯაჭვის კლასტერულ ანუ ჯგუფურ ორგანიზებაზე ვმსჯელობთ.

ფართო გაგებით, ფასეულობატევადობაში იგულისხმება, თუ როგორია პროდუქტში დამატებული ფასეულობისა და მისი წარმოებისთვის საჭირო საწყისი ნედლეულის ღირებულების თანაფარდობა. რაც უფრო უახლოვდება პროდუქტი ფასეულობათა ჯაჭვის საბოლოო რგოლს - მოხმარებას, მით უფრო იზრდება მასში დამატებული ფასეულობა. ეს მაჩვენებელი მეტია აგრეთვე შრომატევადი და მეცნიერებატევადი დარგების პროდუქციაში. მოცემული კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენ ამ კრიტერიუმს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აღემატება კონკრეტული პროდუქციის საბაზრო ფასი მისი წარმოებისთვის საჭირო იმპორტირებული ნედლეულის ღირებულებას, ანუ რამდენად მაღალია პროდუქციის შექმნისთვის გაწეულ ძალისხმევაში ადგილობრივი რესურსების ხვედრითი წილი. მაგალითად, თუ საქონლის ერთეულის ფასია 100 ლარი, ხოლო მის საწარმოებლად საჭირო რესურსებიდან 20 ლარია იმპორტირებული, მაშინ ამ საქონლის ფასეულობატევადობა 80 %-ია. ცხადია, რომ იმ პროდუქციას, რომელიც, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს სხვა კრიტერიუმებს და, ამავე დროს, მისი ერთობლივი ფასეულობის დიდი ნაწილი ქვეყნის შიგნით იქმნება (ანუ მისი წარმოებისთვის საჭირო დარგობრივი ფასეულობათა ჯაჭვის რაც შეიძლება მეტი რგოლია ქვეყანაში წარმოდგენილი), უპირატესობა ენიჭება **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვის** ფორმირების შესახებ მსჯელობისას. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ შესაძლოა პროდუქტის დამზადება არ იყოს რთული, ანუ მისი წარმოებისთვის საჭირო ფასეულობათა ჯაჭვი იყოს მოკლე, მაგრამ, სამაგიეროდ, იყოს შრომატევადი, ასეთი პროდუქციაც ჩვენ მიერ განიხილება როგორც ფასეულობატევადი.

უნიკალური უპირატესობის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია არამარტო ადგილობრივ ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობისთვის, არამედ პერსპექტივაში ის, მისი ექსპორ-

ტირების უმნიშვნელოვანესი ხელისშემწყობი შეიძლება გახდეს. ჩვენ ამ კრიტერიუმში ვგულისხმობთ დანარჩენი კრიტერიუმებით გათვალისწინებული რომელიმე ფაქტორის მიხედვით საქართველოში არსებულ განსაკუთრებულ მდგომარეობას ან დამატებით რაიმე უნიკალურ უპირატესობას. მაგალითად, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ვაზისა და ხორბლის მრავალი ენდემური ჯიშის არსებობა, მევენახეობის, მეღვინეობის და ქვევრის დამზადების ტრადიციები, სასმელი წყლის რესურსები და მისი მაღალი ხარისხი, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ბიომრავალფეროვნება და ა.შ.

ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა შეიძლება ადგილობრივ პროდუქციას შეუქმნას განსაკუთრებული იმიჯი, რაც ჩვენ მიერ ასევე განიხილება, როგორც ნუსხის ერთ-ერთი შესარჩევი კრიტერიუმი. იმიჯი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული წარმოების ამა თუ იმ პროდუქციამ მოიპოვა და რაც სწორი მიდგომის შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს კონკურენტულ უპირატესობად შეიძლება იქცეს. მაგალითად, ადგილობრივ ბაზარზე მომხმარებელი მზად არის ქართული წარმოშობის სასურსათო პროდუქციაში მნიშვნელოვნად მეტი გადაიხადოს იმპორტულთან შედარებით. ეს ფაქტორი მოქმედებს მახლობელ საგარეო ბაზრებზეც (ღაღანიძე გ., რამიშვილი ბ. 2018, გვ.90-91).

ჩვენ კონკრეტულ დარგს ან სეგმენტს შევაფასებთ ყოველი ფაქტორის მიხედვით. შეფასება ამჯერად იქნება თვისებრივი, თუმცა, სამომავლოდ მეთოდოლოგიის დახვეწის მიხედვით, შესაძლებელია რაოდენობრივი მაჩვენებლების შემოტანაც. თვისებრივი შეფასებები გაკეთდება სამ დონეზე. ფაქტორის არსებობა ცხრილში აღინიშნება „=“ ნიშნით, ნაწილობრივი არსებობა „-“ ით, ხოლო არ არსებობა ცარიელი უჯრედით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკრეტული პოზიციების შერჩევისთვის საჭირო კრიტერიუმების შეფასებები ჩვენ მიერ სუბიექტური დაკვირვების შედეგად დადგინდა. ასევე ბევრად უკეთესი იქნებოდა თუ მათ საფუძველზე კონკრეტული პოზიციის თვისობრივი შეფასება უფრო ფართო შემადგენლობის ჯგუფში განხორციელდებოდა, თუმცა ამ კონკრეტული მომენტისთვის ჩვენთვის მთავარია თავად მეთოდის ინიცირება, ხოლო მისი დახვეწა და ოპტიმალური გამოყენება შემდგომი მუშაობის თემა იქნება (ღაღანიძე გ., რამიშვილი ბ. 2018, გვ.92).

*სასაქონლო ჯგუფების ანალიზი შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე*

| შერჩევის კრიტერიუმები → / სასაქონლო ჯგუფები ↓ | წარმოების საბაზისო საშუალებები | შესაბამისი შრომითი რესურსები | საწარმოო ტრადიცია | ინტელექტუალური ინფრასტრუქტურა | დამხმარე წარმოება | მონათესავე წარმოება | პროდუქტის მოხმარების მოცულობა | ფასეულობატევადობა | უნიკალური უპირატესობა | პროდუქციის იმიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შაქრის წარმოება | = | = | - | - | - | - | = | - | = | - |
| ქვევრის ღვინის წარმოება | = | = | = | - | = | = | = | = | = | = |

ანალიზის შედეგად შევარჩიეთ და მიმდინარე ნაშრომში წარმოვადგინეთ ორი პოზიცია - შაქრისა და ქვევრის ღვინის წარმოება. პირველი მათგანი მკვეთრად იმპორტჩანაცვლების მიმართულებისაა, ხოლო მეორე ქვედარგის განვითარება კი, საექსპორტო პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის. ორივე მათგანს ჩვენ მიერ მოტანილი ყოველი კრიტეტიუმის მიხედვით აქვთ შეფასება, რაც მათ საწარმოო პოტენციალზე მიუთითებს, თუმცა ამ დარგების განითარების მიმართ სხვადასხვა მიდგომა უნდა იქნას შემუშავებული.

შაქრის წარმოების ფასეულობათა ჯაჭვში, ფასეულობის მაგენერირებელი ორი უმთავრესი რგოლია შაქრის ჭარხლისა და თავად შაქრის წარმოება. შესაბამისად, ნაშრომში დასმული პრობლემის გადაწყვეტისთვის მათი საქართველოში ლოკალიზაცია უნდა მოხდეს. ამასთან თითოეული მათგანისთვის დაკმაყოფილებულ უნდა იქნას კლასტერის ანუ ჯგუფურობის პირობა, რაც თითოეულ რგოლში რამდენიმე

საწარმოს არსებობას გულისხმობს. შაქრის ჭარხლის წარმოების მხრივ ამის დამტკიცებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, რადგან ეს სოფლის მეურნეობის სფეროა, სადაც მასშტაბის დადებითი ეფექტი არ მოქმედებს, ეს კი, ხელს უწყობს დარგის დანაწევრებას. რაც შეეხება თავად შაქრის წარმოებას, ამ დარგში აღინიშნება მასშტაბის დადებითი ეფექტი, თუმცა ეს ფაქტორი მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე აღწევს. თუ შაქრის მწარმოებელ ქვეყნებში არსებული შაქრის ჭარხლის გადამამუშავებელი ქარხნების სიმძლავრეების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამგვარი საწარმოების ოპტიმალური დატვირთვა სეზონზე დაახლოებით 0.5 მლნ ტონა ნედლეულის გადამუშავებას გულისხმობს. ხოლო საქართველოს შაქრის წარმოების აგრარულ ზონებში სეზონზე შესაძლებელია დაახლოებით 1.5 მლნ ტონა შაქრის ჭარხლის მოყვანა, რაც ერთი მხრივ საკმარისია საქართველოს მოსახლეობის შაქრით უზრუნველყოფისთვის, ხოლო მეორე მხრივ კი, ნედლეულით უზრუნველყოფს 2-3 შაქრის მწარმოებელ ქარხანას.

საქართველოში 2017 წელს განხორციელდა დაახლოებით $87 მლნ-ს შაქრისა და მისგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმის იმპორტი[4]. საქართველოს მოსახლეობას წლიურად სჭირდება დაახლოებით 0.1 მლნ ტონა აღნიშნული პროდუქცია, რისი დამზადებისთვისაც სავსებით საკმარისია 1.5 მლნ ტონა შაქრის ჭარხლის მოსავალი. თუ მოხდება შაქრის მწარმოებელი **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვის** ფორმირება, გარდა იმისა, რომ ზემოთ მოტანილი რაოდენობით შემცირდება საქართველოში განხორციელებული იმპორტი, უშუალოდ დარგში მუდმივად დასაქმდება 3-4 ათასი ადამიანი, ხოლო მულტიპლიკაციური ეფექტის გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტი. მაგრამ, ამ მიმართულებით პრობლემებიც მნიშვნელოვანია, რომელთა გადაწყვეტა სწორედ სახელმწიფომ უნდა ითავოს. პირველ რიგში უნდა დაიძლიოს შაქრის იმპორტიორთა ლობისტური გავლენა, ხოლო მეორე რიგში სახელმწიფომ უნდა მოახერხოს შაქრის ჭარხლის წარმოების მხარდაჭერა. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ერთგვარი დილემა, როდესაც შაქრის ადგილობრივი წარმოება ვერ ხერხდება ნედლეულის არ არსებობის, ხოლო ნედლეულის წარმოებას ხელს არ კიდებენ გადამამუშავებელი სიმძლავრეების არ არსებობის გამო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვევრის ღვინის წარმოების მხრივ საქართველო მსოფლიოს ლიდერია. როგორც ცხრილიდან ჩანს ჩვენში ამ პროდუქციის წარმოების ყველა პირობა არსებობს. ერთადერთი პუნქტი, სადაც „ნაწილობრივი არსებობაა" დაფიქსირებული, ინტელექტუალური ინფრასტრუქტურაა. აქ გამოყენებული ცოდნა ტრადიციულ საწარმოო მეთოდებს ეყრდნობა ძირითადად, არადა სასწრაფოდაა სამეცნიერო დონეზე დასახვეწი ქვევრის ღვინისა და თავად ქვევრის დამზადების ტექნოლოგიები. ამ მრივ განსაკუთრებით აქტუალურია „(ა) თიხის სტრუქტურის მეცნიერული კვლევა და ქვევრის დამზადების პროცესის შესწავლა, (ბ) ქვევრის ღვინის წარმოების მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა, (გ) კერძო სექტორსა და საჯარო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებან[5, გვ. 4]. ეს მით უფრო გადაუდებლად გამოიყურება იმ ფონზე, რომ საქართველოს მეღვინეების მიმბაძველობით, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში დაიწყეს ქვევრის ღვინის წარმოება.

ქვევრის ღვინის **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვის** ფორმირება დიდად გაზრდის საქართველოს საექსპორტო პოტენციალს. ამის დასტური ისიც არის, რომ უკანასკნელ წლებში სტაბილურად იზრდება მისი ექსპორტი რაზედაც არ მოქმედებს ის მოვლენები, რამაც გასულ წლებში არაერთხელ შეამცირა ტრადიციულად დამზადებული ღვინის ექსპორტი. ქვევრის ღვინის წარმოების ფასეულობათა ჯაჭვის უმნიშვნელოვანესი რგოლებია თიხის მოპოვება, ქვევრის დამზადება, ღვინის წარმოება. აღსანიშნავია აგრეთვე იმ სამეცნიერო-- კვლევითი დაწესებულებების საქმიანობა, რომლებმაც საქართველოში უკვე დაიწყეს ამ მიმართულებით მოღვაწეობა და რაც გაცილებით მეტ აქტიურობას მოითხოვს. მოცემული ქვედარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ფასეულობათა ჯაჭვის სამივე რგოლში შესაძლებელია მრავალი საწარმოს ორგანიზება, რაც ჩვენს მიერ დადგენილი ჯგუფურობის პრინციპის შესაბამისია.

ტრადიციული ღვინის წარმოებისგან განსხვავებით, ქვევრის ღვინოს სწორედ ის უპირატესობა აქვს, რომ საქართველოშივეა შესაძლებელია **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვის** თითქმის მთლიანად ლოკალიზება. ეს კი, გამოიწვევს ფასეულობის გაცილებით მნიშვნელოვან აკუმულირებას ადგილზევე. მაგალითად, ტრადიციული ღვინის შემთხვევაში საჭიროა დიდი რაოდენობით ცისტერნების, ღვინის დამველებისა და კლიმატის კონტროლთან დაკავშირებული და ა.შ. დანადგარების იმპორტი, რაც ქვევრის ღვინის შემთხვევაში ან ჩანაცვლებულია ადგილობრივი რესურსით ან საერთოდ არ არის საჭირო. რაც შეეხება რესურსს ამ შემთხვევაში უმთავრესია ორი, ნედლეული ქვევრისა და თავად ღვინის წარმოებისთვის. მევენახეობაზე ამჟამად არ შევჩერდებით, რადგან საქართველოს პოტენციალი ამ მხრივ მსოფლიოშია აღიარებული. რაც შეეხება თიხას, „საქართველოში არსებობს კერამიკული რესურსების საკმარისი მარაგები ფაიფურისა და ქაშანურის მრეწველობის განვითარებისთვის, მაგრამ ის აბსოლუტურად გამოუყენებელია მრეწველობაში. ძირულას უღელტეხილის მკვიდრი მოსახლეობა ტრადიციულად, საუკუნეების მანძილზე იყენებს შროშის ფაიფურის პეგმატიტსა და სააგურე-საკრამიტე თიხებს, რათა დაამზადოს ღვინის ქვევრები, ქოთნები, კეცები და სხვ." (თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ. გეგია ქ., 2011). სადღეისოდ, ძირითადად ქვევრის წარმოებაში გამოყენებულია ვარდისუბნის, ტყემლოვანასა და საწაბლეს თიხის საბადოები, რასაც ჯერჯერობით კუსტარული, სახელოსნო ხასიათი აქვს.

ზემოთ მოტანილი ორი კონკრეტული მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **კლასტერული ფასეულობათა ჯაჭვების** ფორმირება მეტად პერსპექტიულია საქართველოსთვის და ამ მიდგომის ოპტიმალურად რეალიზება დიდ იმპულსს მისცემს ექსპორტის წახალისებისა და იმპორტჩანაცვლების სტრატეგიების წარმატებით განხორციელებას და შესაბამისად ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი განმაპირობებელიც იქნება.

## ლიტერატურა:


1. Porter M.E. *On Competition*, Boston: Harvard Business School, 1998.
2. Porter M.E. *The Competitive Advantage of Nations,* Free Press, New York, 1990.
3. ღაღანიძე გ., რამიშვილი ბ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტის აღმოფხვრის სტრატეგიული მიმართულებები „უნივერსალი“ 2018.
4. http://www.geostat.ge/
5. მერცი უ., ბიტარიშვილი ი. და სხვ. ქვევრის ღვინის იდენტობა საქართველოს ქვევრის ღვინის კლასტერის წევრების პრაქტიკის მაგალითზე, გერმანიის თანამშრომლობა, 2017.
6. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ. გეგია ქ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, ნეკერი, 2011.


## The Problems and Prospects of Formation of Chains of Cluster Values in Georgia


***Giorgi Gaganidze***
*Professor*

***Badri Ramishvili***
*Associated Professor*
*Tbilisi state university*



S u m m a r y

In the beginning of the presented work, the authors explain the meaning of the terms "cluster" and "chain of value", based on relevant scientific sources. They bring a new term "chain of cluster values" and justify the importants of their formation for development of Georgian economy. The authors, based on their developed criteria, determine the fields and subfields where formation of chain of cluster value shall bring the best results. The article covers the production of sugar and pitcher wine as examples.



***Key words:*** *chain of cluster values; encourage export; import-replacement, competitive advantage; production of pitcher wine; production of sugar.*

# ბიზნესის რეგულირების ინოაციური ასპექტები ქართული ფარმაცევტული ბაზრის გამოწვევების მაგალითზე

**სოფიკო ღვინიანიძე**

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის*
*დოქტორანტი*

*ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მაკრო-ეკონომიკისა და ჯანმრთელობის კომისიების გათვლებით, მოსახლეობისათვის სასიხოცხლოდ მნიშვნელოვანი ე.წ. ესენციალური მედიკამენტებისა და მინიმალური სამედიცინო სერვისების მიწოდებისთვის, სახელმწიფო უნდა ხარჯავდეს მოსახლეობის ერთ სულზე მოსახლეზე სულ ცოტა 34 აშშ დოლარს.*

*რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? საკმარისია თუ არა რესურსები, რა დოზით უწევს მოსახლეობას მკურნალობითვის ე.წ. "ჯიბიდან გადახდა ".*

*არის თუ არა ამის მიზეზი ფარმაცევტული ბაზრის რეგულაციები, არარაციონალური საექიმო დანიშნულებები და წამალზე რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ფასნამატი. რამდენია მედიკამენტებზე დანახარების წილი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში.*

*საჭიროა თუ არა სახელმწიფომ იტვირთოს სოლიდური ვალდებულებები და ასევე განახორციელოს ფარმაცევტული სეგმენტის რეგულაციების სისტემის რეფორმირება ინოვაციური თანამედრო მიდგომების კუთხით, აი, საკითხავთა წრე, რაც სტატიაშია განხილული*

*საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO); მედიკამენტის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის პროფილი (profile of safety and efficacy of medicine); რეცეპტის ინსტიტუტი; გენერიული და ბრენდული მედიკამენტი; პოლიპრაგმაზია; ბიზნესის ვერტიკალური ინტეგრაცია.*

სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის პოლიტიკის მიზანს და ერთ-ერთ პრიოროტეტს უნდა წარმოადგენდეს სამკურნალო საშუალებებით ეფექტიანი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი მკურნალობა. აღნიშნული საკითხი მეტად კომპლექსურია და რიგ ფაქტორზე თანამედროვე და ინოვაციურ ხედვას მოითხოვს. ფარმაცევტული საქმიანობა - წამლის შექმნა, კლინიკური კვლევა, წარმოება, ბაზარზე დაშვება, წამლის რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა და პოსტმარკეტინგული მონიტორინგი წარმოადგენს ერთიან ჯაჭვს და საჭიროებს, როგორც სახელმწიფოში წამლის რეგულირების სწორ პოლიტიკას, ასევე ჯანსაღ და ეფექტურად ფუნქციონირებად თანამედროვე ბიზნესგარემოს.

დამოკიდებულება ჯანდაცვის სისტემის მარეგულირებელ გარემოსა და ბიზნესს შორის ძალზე მნიშვნელოვანია ბიზნესის ამ მეტად სენსიტიური სფეროსთვის. არარეგულირებად გარემოში სამკურნალო საშუალებებს ნაკლები სარგებელი და მეტი ზიანი მოაქვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის, რაც საბოლოო ანგარიშით, დანახარჯებს ჯანმრთელობის დაცვაზე მხოლოდ ზრდის. თუმცა, ამავდროულად, ჭარბი რეგულირების შემთხვევაში სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა დაბალია და შესაბამისად დაბალია სარგებელიც. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა კი თავის მხრივ მოითხოვს როგორც მაღალ ხარისხს, ისე ფართო ხელმისაწვდომობას. ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია ზომიერება და ბალანსი.

ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებებით დროულად მკურნალობა აუმჯობესებს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის ზოგად მდგომარეობას და ამცირებს ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს. მაგალითად, როგორიცაა სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, სტაციონარული მკურნალობის ხარჯები, დამძიმებული და გართულებული შემთხვევების მკურნალობის ხარჯები და ა.შ.

ისტორიულად, ფარმაცევტული ბიზნესი შესაძლოა ითქვას, რომ სსრკ-ს დაშლიდან და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე აღმოცენდა ცენტრალიზებული ერთიანი ფარმაცევტული მომარაგების მოდელის მოშლის შემდგომ პერიოდში. წამლის და ფარმაცევტული საქმიანობის სფეროს საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში 1997 წელს ,,წამლის და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონისნ მიღებას უკავშირდება. მოგვიანებით, აღნიშნული კანონი არაერთხელ გადაიხედა, განახლდა და 2009 წლიდან კი განხორციელდა მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიმართული იყო ბაზრის გაფართოებისკენ და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ. იმპორტისათვის დაწესებული ბევრი მარეგულირებელი ბარიერი მოიხსნა და ფარმაცევტულ ბიზნესში ჩართულ კომპანიებს ბიზნეს საქმიანობის უფრო ფართო შესაძლებლობები მიეცათ. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი.

იმპორტის მონაცემები საშუალოდ 7-8-ჯერ არის გაზრდილი ბოლო 10 წლის განმავლობაში მაგალითად, 2008-2009წლებში დაახლოებით 100მლნ აშშ დოლარი იყო დღეის მონაცემებით გაზრდილია 800მლნ აშშ დოლარამდეა[1].

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ სერგეენკოს თქმით, ერთი მხრივ „არც ადრე და არც ახლა ჩვენ რომელიმე კერძო კომპანიაზე ფოკუსირება არ გვქონია. ჩვენ ვცდილობთ, სისტემა ისე მოვაწყოთ, რომ მაქსი-

მალურად კონკურენტუნარიანი იყოს და ახალი მოთამაშეების შემოსვლა შესაძლებელი გახდეს, რაც ყოველთვის კარგია და კონკურენციას ხელს უწყობს. მეორე მხრივ, ჩვენი ვალდებულებაა და წლის განმავლობაში შედეგებს დავინახავთ, რომ მკაფიოდ მომუშავე ხარისხის კონტროლის სისტემა ჩამოყალიბდეს"[2]. ე.ი. ჯანდაცვის სამინისტროს ვალდებულება მკაფიოდ მომუშავე ხარისხის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაა.

ჯანდაცვის სისტემის პოლიტიკის სისტემის ეფექტურობა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების თანახმად, ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: ხარისხი, უსაფრთხოება, ეფექტურობა. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური თანასწორობა - რაც გულისხმობს მაღალი სტანდარტების უსაფრხთოებისა და ეფექტურობის პროფილის მქონე, მოწინავე სამკურნალო საშუალებებისა თუ მეთოდოლოგიების მიწოდებას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, საჭიროებისამებრ და არა გადახდის უნარის საფუძველზე.

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით კი შესაძლოა ითქვას, რომ ფარმაცევტული სექტორი ჯანდაცვის სისტემაში გარკვეულწილად დაუბალანსებელია.

ანტიმონოპოლიური რეგულაციები ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე უკვე მრავალი წელია საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი ოლიგოპოლიურია, სულ სამი-ოთხი დომინანტი მოთამაშეა. ვინაიდან ოლიგოპოლიურ ბაზარზე სერიოზულ გავლენას ახდენს თითოეული მოთამაშის გადაწყვეტილება და მოქმედება, კომპანიები ჩანს, რომ ცდილობენ გარკვეულწილად შეთანხმებულად იმოქმედონ. შეინიშნება, რომ რიგ შემთხვევაში, მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებს მედიკამენტებზე დაახლოებით ერთნაირი აქვთ ფასები, ასევე მსგავსია მათი სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობები, მაგალითად, ბონუსბარათები, ფასდაკლების დღეები და ა.შ.. ასეთი ნიშნები ბუნებრივია, საფუძვლიან ეჭვს აჩენს შესაძლო არალეგალური ბიზნეს გარიგების შესახებ.

ქართული ფარმაცევტული ბაზრის გამოწვევაა ფასების რეგულაცია ასევე ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე. როგორც ცნობილია, საქართველოში ფასები სამკურნალო საშუალებებზე ყოველგვარი რეგულაციისაგან თავისუფალია. განსხვავებით, თუნდაც ჩვენსავე რეგიონის სხვა ქვეყნებისგან, სახელმწიფო საერთო არ არის ჩართული ფასის დადგენისა და კონტროლის პროცესში. ფამაცევტული კომპანიების მხრიდან არ არსებობს არც სახელმწიფოს მიმართ წამლის ფასის ეკონომიკური გაანგარიშების ჩვენების ვალდებულება ბაზარზე დაშვებამდე, ასევე არ ხდება ფასნამატის რეგულაცია. ამით აიხსნება საქართველოში მონოპოლისტურად დადგენილი, რეგიონში და ევროპაში ერთ-ერთი მაღალი ფასები. მაგალითად, ორი დამოუკიდრებელი კვლევის მონაცემები[3]. მედიკამენტების საშუალო ფასნამატების დონე საქართველოსა და ევროპულ ქვეყნებს შორის მონაცემებით ასეთია: ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სადაც ფასნამატის გარკვეული რეგულაციის დაწესება მიღებული პრაქტიკაა - პოლონეთი/უნგრეთი 27%-მდე, ჩეხეთი 35%-მდე, საბერძნეთი 46%-მდე, იტალია 49%-მდე, საქართველო 102%-მდე.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორიგინალი ბრენდების ფასნამატის დონის კლება დაიწყო 2009 წლიდან და 2012წლისთვის ეს მაჩვენებელი 22%-მდე შემცირდა. შემდგომ პერიოდში ფასნამატის დონე ისევ გაიზარდა და 2016 წელს 40% მიაღწია ბრენდულ მედიკამენტებზე და 63,5% არაბრენდულ გენერიკებზე[4].

ამდენად ჩანს, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში მდგომარეობა ფასებთან მიმართებაში დიდად არ შეცვლილა და იმპორტიორი კომპანიები ინარჩუნებენ მაღალ ფასს, როგორც ბრენდულ ასევე არაბრენდულ ე.წ. ბიოექვივალენტურ ანალოგებზეც. ეს ხარჯები კი მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას და სახელმწიფოს[4;5].

ასეთი მძიმე სურათის პირობებში, საჭიროა ფასების კონტროლი ბიზნესისა და საზოგადოების მხრიდან აღქმული იქნას არა როგორც თავისუფალი საბაზრო პრინციპების უხეში დარღვევა არამედ, აუცლებელი რეგულაცია.

რეცეპტის ინსტიტუტი - წამლის გაცემის წესის რეგულაცია 2015წ. ჯანდაცვის სამინისროს ინიციატივით გატარდა რეფორმა სამკურნალო საშუალებების რეცეპტურული სისტემით გაცემის წესის დანერგვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული წესი დანერგილი და აღიარებულია მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკის ქვეყანებში. იგი მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად პროლიპრაგმაზიის ე.წ. „ჭარბი დანიშნულების" წინააღმდეგ ბრძოლაში. სამკურნალო საშუალებების მოხმარების უსაფრთხოების კუთხითაც რეცეპტის აქტუალურობა და საჭიროება ეჭვგარეშეა. თუმცა უნდა ითქვას, რომ სამინისტროს მიერ გატარებულმა რეფორმამ რეცეპტული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, ასევე ნეგატიური გავლენა იქონია რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების ფასსზე. რეცეპტურის დანერგვისთვის საჭირო რესურსებისა და ინსტრუმენტების არასაკმარისობამ სახელმწიფოს მხრიდან, გამოიწვია გარკვეული შეფერხებები ადმინისტრირებასა და კონტროლში. ხოლო ფარმაცევტულმა კომპანიებმა რეცეპტით გასაცემი წამლების ფასით მანიპულირება დაიწყეს და ის დამატებითი ფინანსური მოგების მიღების მიზნით გამოიყენეს. მაგალითად, 2016 წელს რეცეპტურული ბრენდული მედიკამენტების ფასის დონე 2012 წელთან შედარებით 3%-ით ხოლო გენერიულის (არა-ბრენდების) კი 17%-ით გაიზარდა[6].

პრობლემატური და სრულსაყოფია ექიმის დანიშნულების კონტროლი ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე. ჭარბი დანიშნულება - პოლიპრაგმაზია ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის ინფორმაციით - „ჩვენ შემთხვევაში, ყოველი მეხუთე დანიშნულება, რომელიც პაციენტს ასანაზღაურებლად მოაქვს, პოლიპრაგმაზიის მაგალითია. ჭარბი დანიშნულებები დაახლოებით 20-25%-ია“[2].

ამის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების დეფიციტი, ინ-ფორმაციის ნაკლებობა, ქვეყანაში გაიდლაინებისა და პროტოკოლების არარსებობა, ექიმის შიში, რომ ვაითუ, რაღაც გამორჩეს და ა.შ. არამედ ექიმთა არასწორი მოტივაცია და ფინანსური გარიგებები მძლავრ ფარმაცევტულ კომპანიებთან.

აქაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და მეტი გამჭვირვალობა ფარმაცევტული სფეროს წარმომადგენლებისა და საექიმო პრაქტიკის სფეროებს შორის ურთიერთობაზე.

მაგალითად, „აშშ-ში ე.წ. „სანშაინ“ აქტი, რომლითაც ექიმები ვადებულნი არიან დაადეკლარირონ ფარ-მაცევტული კომპანიებისგან მიღებული ჰონორარების შესახებ ინფორმაცია. ეს პრაქტიკა ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალიან საინტერესოა.ზოგადად, ჭარბი დანიშნულების პრობლემის აღმოსაფხვრელად კომპლექსური ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რაც ფარმაცევტულ ბიზნესს არ დააზიანებს და სიტუაციას გააჯანსაღებს.

ინტერესს იწვევს ბიზნესის ვერტიკალური ინტეგრაცია ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე. კერძოდ, ასევე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ფარმაცევტული კომპანიების მონათესავე ბიზნესში შესვლა იმ მოცემულობაში, როცა ქართველი ფარმაცევტული კომპანიები ერთდროულად წამლის საცალო და საბითუმო რეალიზაციის ქსელებს ფლობენ, არიან იმპორტიორები, აქვთ საკუთარი ადგილობრივი წარმოება, კლინიკები და ბოლო წლებში სადაზღვევო კომპანიებიც გახსნეს. ამ შემთხვევაში ფარმაცევტულ კომპანიებს უფრო მეტი ბერკეტი აქვთ, ექიმზე და მის დანიშნულებაზე გავლენა პირდაპირი გზით მოახდინონ.

„როცა საავადმყოფო, სამშობიარო, ამბულატორია, აფთიაქი, სადაზღვევო კომპანია და ა.შ ერთი პირის ხელშია, ამ სისტემას ბიზნესში ვერტიკალურ ინტეგრაციას უწოდებენ და ეს შესანიშნავი მდგომარეობა არ არის. ამაზე მსჯელობა და რისკების გათვლა საჭიროა, თუმცა ახლა ამ ყველაფრის მექანიკური შეზღუდვით გაუქმება ამ ეტაპზე კონტრპროდუქტიული იქნება. დიდი ხანი ეს არ უნდა გაგრძელდეს და ჯანდაც-ვამ თავისი ლოგიკური ფორმა უნდა მიიღოს“-განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ[2].

ჯანდაცვის დანახარჯების 40% მედიკამენტებზე მოდის, რაც კატასტროფულად მაღალი მაჩვენებელია. როცა ფარმაცევტული კომპანიები სამედიცინო დაწესებულებებს ფლობენ, ბევრ ქვეყანაში ამას პრობლემურად აღიქვამენ, რადგან ამ შემთხვევაში ფარმაცევტულ კომპანიებს უფრო მეტი ბერკეტი აქვთ, ექიმზე და მის დანიშნულებაზე გავლენა პირდაპირი გზით მოახდინონ“[5] – განაცხადა „ჯი-პი-აი ჰოლდინგის“ სამედიცინო დაზღვევის დირექტორმა, ბესიკ ფესტვენიძემ ფესტვენიძემ.

როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მაკროეკონომიკისა და ჯანმრთელობის კომისიების გათვ-ლებითაა ცნობილი, მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ე.წ. ესენციალური მედიკამენტების და მინიმალური სამედიცინო სერვისების მიწოდებისთვის, სახელმწიფო უნდა ხარჯავდეს მოსახლეობის ერთ სულზე სულ ცოტა 34 აშშ დოლარს, საქართველოში ეს მაჩვენებელი 48%-ით მაღალია მასში წამლების მაღალი ფასის და ჭარბი დანიშნულების ხარჯზე. ალბათ, სახელმწიფოსგან გარკვეული რეგულაციებია საჭირო, რათა ქვეყანაში ზომიერ[5] ფასები შევინარჩუნოთ. სახელმწიფომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში წამლების გარკვეული კომპონენტი თავის თავზე უნდა აიღოს და თუ საფასო სიტუაცია არ შეიცვალა, სახელმწიფო ამ ხარჯს ვერ გაწვდება, რადგან ფარმაცევტული კომპანიები მაქსიმალური ზემოგების გაორმაგება-გასამმაგებას შეეცდებიან.

ფარმაცევტული ბიზნესის რეგულირება, როგორც სფეროს სენსიტიურობიდან ასევე მაღალი პრობლემა-ტურობიდან გამომდინარე, საზოგადოების მაღალ ინტერესშია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაც ამ სფეროს რეგულირებას განვითარებადი ქვეყნებისთვის მაღალ გამოწვევად მიიჩნევს და მოუწოდებს ხელი-სუფლებას, რომ რეგულირებაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები მუდმივი რეჟიმით იყოს გამოვლენილი და დაისახოს მათი გამოსწორების გზები.

## დასკვნა და რეკომენდაციები:

სახელმწიფო ჯანდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს მედიკამენტებზე როგორც ფიზიკური, ასევე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; აუცილებელია ფასების რეგულირების მექანიზმის დაწესება - მაგ.: რეფერალური/შედარებითი ფასი ბაზრის კონტროლი ანტიმონოპილოური რეგუალციების საშუალებით. რეცეპტის სისტემის ამოქმედება და საექიმო დანიშნულებების კონტროლი; საკანონმდებლო კონტროლი - ფარმაცევტულ მარკეტინგზე, რეკლამა, სპონსორობა და ა.შ. სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს ქვეყანაში ფარმაცევტული ბაზრის მიმდინარე ტენდენციებისა და პროცესების შესახებ ფაქტებზე დაფუძ-ნებული ანალიზი, რაც ჯანდაცვის პოლიტიკის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის და პრობლემებზე ადეკვატური და სწრაფი რეაგირების საშუალებას მოგვცემს.

## ლიტერატურა:

1. www.moh.gov.ge
2. https://1tv.ge/news 14.02.2018
3. „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ მიერ ჩატარებული კვლევა „The Georgian Pharmaceutical Market Conclusions and Recommendations” 2011.
4. საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, კვლევა მედიაკმენტების ფასებისა და ფიზიკური ხელმისაწვდომობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში 2009-2016წწ.გვ.50.
5. ჯანდაცვის ექსპერტთა ჯგუფი კვლევა - საქართველოში ფარმაცევტული ბაზრის პრობლემები და მათი გავლენა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე 2009წ.
6. https://1tv.ge/news 01.05.2018


## Challenges of Local Pharmaceutical Market and Innovative Aspects of Regulation


***Sofiko Gvinianidze***

*Doctoral student*

*Caucasus International University*



S u m m a r y

According to the data from the World Health Organization's Macroeconomics and Health Commissions, In order to provide the so-called "essential medicines" and minimal medical services, the state government must spend at least 34 dollars per person.

What is the situation in Georgia? Whether the resources are sufficient or not? Does the population "Paid out of pocket" for medicines and medical services.

Whether or not the reason for this is the local regulation standards of pharma market, cost margins rate, one of the highest rate in the region and over prescription. How much is the share of medication in the total cost of health care.

Whether the state needs to carry out its liabilities and to reform the system of reforms of the pharmaceutical segment regulations in innovative and modern way.



***Key words:*** *World Health Organization; Drugs Profile of Safety and Efficacy; Regulation of Prescription Drugs; Generic and Original Medicine; Extra Medication; Vertical Integration in Business Operation.*

# საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია ჩინეთის სარტყლისა და გზის ინიციატივის ჩარჩოში

**ლარისა ყორღანაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*საქართველოსა და ჩინეთის ტრადიციული მეგობრობა დიდი აბრეშუმის გზის დროიდან დაიწყო. ამჟამად საქართველო სარტყლისა და გზის ინიციატივაში მონაწილეობს. ეს ინიციატივა ქმნის ქვეყანათა ურთიერთთანამშრომლობის ახალ მოდელს, ხელს უწყობს სატრანსპორტო დერეფნების მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას, მასში მონაწილე ყველა მხარის ინტერესების დაცვას და ჩინეთის გლობალური როლის განვითარებას. ბოლო წლებში საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა სწრაფი ტემპით ვითარდება. ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და ინვესტიციების წყაროა. საქართველო თავისი ადგილმდებარეობის გამო, ჩინეთისათვის პერსპექტიული სატრანზიტო ფუნქციის მატარებელია. იგი ჩინეთს ევროპასთან სახმელეთო და საზღვაო მარშრუტებით აკავშირებს. საქართველოს მთავრობას ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საქართველოსა და ევროპას შორის სატრანსპორტო ცენტრის შექმნა. ნაშრომში განხილულია სარტყლისა და გზის ინიციატივის მნიშვნელობა, ნაჩვენებია საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები, გაანალიზებულია საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობის თანამედროვე მდგომარეობა ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში.*

*საკვანძო სიტყვები: სარტყლისა და გზის ინიციატივა; აბრეშუმის გზა; ტრანზიტი; ლოგისტიკა; ჩინეთი; საქართველო.*

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოს უდიდესი და უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაა, რომლის როლი თანამედროვე მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. XXI საუკუნეში მისი ლოზუნგია: მშვიდობა, განვითარება და თანამშრომლობა. მშვიდობის პოლიტიკა ჩინეთი სტრატეგიული არჩევანია და იგი ტრადიციულ ჩინურ კულტურას ეფუძნება. ჩინეთის უძველესი სამხედრო ხელოვნების რეკომენდაციის თანახმად, მტერი უნდა დამარცხდეს ომის გარეშე - კულტურული და პოლიტიკური გავლენის მეშვეობით. იგი ამ მეთოდის გამოყენებით ცდილობს უარყოს გავრცელებული აზრი ჩინური საფრთხის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია 1997 წლის შემდეგ, როდესაც მან ღიად განაცხადა პრეტენზია მსოფლიო ლიდერობაზე [1, გვ. 81; 2, გვ. 118].

თანამედროვე ეტაპზე ჩინეთის ეკონომიკური წარმატების მთავარი საწინდარია ქვეყნის გახსნილობა და მეგობრული ურთიერთობების განვითარება როგორც მეზობელ, ასევე სხვა ქვეყნებთან. თანამედროვე ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლისა“ და „XXI საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ შექმნის ინიციატივა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინფინმა 2013 წლის შემოდგომაზე წამოაყენა. ამჟამად ეს ინიციატივა ცნობილია სახელწოდებით „სარტყლისა და გზის ინიციატივა“, ასევე, როგორც „ერთი სარტყელი, ერთი გზა.“ სარტყლისა და გზის ინიციატივა ყველაზე ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტია თანამედროვე ისტორიაში. იგი ქმნის ქვეყანათა ურთიერთთანამშრომლობის ახალ მოდელს, ხელს უწყობს სატრანსპორტო დერეფნების მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას, მასში მონაწილე ყველა მხარის ინტერესების დაცვას და ჩინეთის გლობალური როლის განვითარებას. ეს ინიციატივა ჩინეთს ცენტრალური აზიის, ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ოკეანეთის ქვეყნებთან აკავშირებს. შედეგად, ჩინეთის გავლენის სფეროში ერთვება 4.4 მილიარდი ადამიანი - თანამედროვე მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი [3]. ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინფინის განცხადებით, სარტყლისა და გზის ინიციატივა არ არის ჩინეთის ინტრიგა, როგორც ამას საზღვარგარეთ ამტკიცებენ. ის მიზნად ისახავს მეტი ქვეყნისა და ხალხისათვის სარგებლის მოტანას, ერთობლივ ზრდას დისკუსიისა და თანამშრომლობის გზით [4]. შესაბამისად, ჩინეთი პრაქტიკაში იყენებს კონფუცის აზრს, რომ ვისაც წარმატების მიღწევა სურს, სხვებს უნდა დაეხმაროს, რომ ისინი წარმატებულები გახდნენ.

ათი ათასობით ლიზე გაჭიმულმა და ათასობით წლის განმავლობაში არსებულმა უძველესმა აბრეშუმის გზამ დააგროვა განსაკუთრებული სულისკვეთება, რომელიც ეფუძნება მშვიდობასა და კოოპერაციას, გახსნილობასა და თანამშრომლობას, ურთიერთსწავლებას, ურთიერთსარგებელსა და უნივერსალურ მოგებას. დიდი აბრეშუმის გზის სულისკვეთება კაცობრიობის ცივილიზაციის ყველაზე ძვირფასი მემკვიდრეობაა [5].

გეოგრაფიული და ეკონომიკური მასშტაბით „სარტყლისა და გზის ინიციატივა“ გაცილებით აღემატება ძველი აბრეშუმის გზას, რომელიც მხოლოდ ხმელეთზე გადიოდა. ახალი აბრეშუმის გზა მოიცავს ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და სამრეწველო დერეფნების მშენებლობას, რომელიც ჩინეთს (აზიას)

ევროპასა და აფრიკასთან დააკავშირებს. ზღვაზე ის ითვალისწინებს ახალი პორტების მშენებლობასა და სავაჭრო გზების შექმნას, სამხრეთ ჩინეთის ზღვიდან წყნარი ოკეანის სამხრეთის მიმართულებით და ინდოეთის ოკეანის გავლით - ხმელთაშუა ზღვისპირეთისაკენ. ამის შედეგად ევრაზიის ლოგისტიკის სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება.

სარტყლისა და გზის ინიციატივის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების უმრავლესობა ითვალისწინებს ჩინეთისათვის მიმზიდველ ბაზრებზე ჩინური პროდუქციის გატანას და უკუმიმართულებით ნედლეულისა და ენერგიაშემცველების ტრანსპორტორტირებას. ეს არის სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები - რკინიგზისა და საავტომობილო გზების, პორტების, საქონლის გადატვირთვისა და შენახვის ბაზების, მილსადენების მშენებლობა და მოდერნიზაცია. რკინიგზის ხაზებით ტვირთების ტრანსპორტირება საშუალოდ 20 დღით უფრო სწრაფია, ვიდრე საზღვაო გადაზიდვები. ცხრილში 1 წარმოდგენია ჩინეთისა და ევროპის ქალაქებს შორის სატვირთო გადაზიდვების მანძილი და დრო.

სარტყლისა და გზის ინიციატივას ფართო მხარდაჭერა და პოზიტიური გამოძახილი აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. ამ ინიციატივის ფარგლებში ჩინეთმა ბევრ ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთანაც გააფორმა შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ. ეს შეთანხმებები ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკის პროექტების გარდა, მოიცავს თანამშრომლობას ტელეკომუნიკაციების, საბაჟო კონტროლის, საკარანტინო ზედამხედველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის, ინტერნეტ-კომერციის და სხვა სფეროებში.

*ჩინეთისა და ევროპის ქალაქებს შორის სატვირთო გადაზიდვების მანძილი და დრო [6]*

**ცხრილი 1**

| | სატვირთო მატარებლის მიმოსვლა | მიმოსვლის დაწყების წელი | მანძილი (კმ) | გადაზიდვების ხანგრძლივობა (დღე) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ჩონგინგი - დუისბურგი | 2011 | 11179 | 16 |
| 2 | ვუჰანი - პარდუბისი/ ლოძი | 2012 | 10700 | 15 |
| 3 | სუჯოუ - ვარშავა | 2012 | 11200 | 14 |
| 4 | ჩინშა - დუისბურგი | 2012 | 11808 | 18 |
| 5 | ჩენჯოუ – ჰამბურგი | 2013 | 10245 | 15 |
| 6 | ჩენგუდუ - ლოძი | 2013 | 9965 | 14 |
| 7 | იივუ- მადრიდი | 2014 | 13052 | 21 |
| 8 | ჰარბინი - ჰამბურგი | 2015 | 9820 | 15-17 |
| 9 | სინინი – ანტვერპენი | 2016 | 9838 | 12 |
| 10 | ბაოდინგი - მინსკი | 2016 | 9500 | 12-14 |
| 11 | გუანჟოუ - მოსკოვი | 2016 | 11500 | 15 |
| 12 | იივუ - ლონდონი | 2017 | 12451 | 18‐20 |

საქართველო თავისი ადგილმდებარეობის გამო, ჩინეთისათვის საკმაოდ პერსპექტიული სატრანზიტო ფუნქციის მატარებელია. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას საფუძველი TRACECA-სა (სატრანსპორტო კორიდორი ევროპა-კავკასია-აზია) და INOGATE-ის (ენერგეტიკული თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამა) პროექტებით ჩაეყარა. ამ პროექტების განხორციელებით საქართველოში შეიქმნა ინფრასტრუქტურა, რომლის გამოყენება სარტყლისა და გზის ინიციატივისთვისაა შესაძლებელი.

საქართველო ჩინეთს ევროპასთან სახმელეთო და საზღვაო მარშრუტებით აკავშირებს. სახმელეთო მარშრუტი არის ტრანსკასპიის საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ნაწილი (საშუალო დერეფანი), რომელიც აერთიანებს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზასა და იავუზ სულთან სელიმის სახელობის ხიდს ბოსფორის სრუტის გასწვრივ. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა გაიხსნა 2017 წლის 30 ოქტომბერს. ესაა აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის სარკინიგზო ქსელების დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი, უმოკლესი გზა აზიიდან ევროპაში, რომელიც ტვირთების ტრანსპორტირების დროს ორჯერ და

უფრო მეტად ამცირებს. აღნიშნულ მარშრუტზე ყოველწლიურად 17 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა და მილიონამდე მგზავრის გადაყვანაა შესაძლებელი [7]. იავუზ სულთან სელიმის სახელობის ხიდი 8-ზოლიანი სახმელეთო გზისა და 2-ზოლიანი სარკინიგზო ხაზისგან შედგება. იგი 59 მეტრის სიგანით მსოფლიოს ყველაზე ფართო, 1408 მეტრის სიგრძის ღია ნაწილით სარკინიგზო სისტემის მქონე ყველაზე გრძელი დაკიდებული ხიდია [8].

ზღვის მარშრუტით ევროპაში გასასვლელად გამოიყენება შავი ზღვის პორტები. ამჟამად საქართველოში მოქმედებს სამი პორტი: ბათუმი, ფოთი და ყულევი. სუფსაში ასევე არის სატვირთო ტერმინალი. ამჟამად არსებული პორტების სიღრმე არ არის საკმარისი საშუალო ზომის სატვირთო გემების ან ნავთობის დიდი გადამზიდავების განთავსებისათვის. ამ ხარვეზის დასაძლევად საქართველოს მთავრობის გადაწყვიტილებით გათვალისწინებულია ანაკლიის საზღვაო პორტის აშენება. მისი სიღრმე 20.5 მეტრი იქნება (ბათუმის 14 მეტრია, ფოთის - 8.5 მეტრი). ანაკლიის პორტი შეძლებს 50-150 ათას ტონამდე დედვეიტის მქონე პანამაქსისა და ფოსპამანაქსის კლასების დიდი გემების მიღებას. მოსალოდნელია, რომ ახალი პორტი სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი ძირითადი ლოგისტიკური ცენტრი გახდება. პორტის პოტენციურმა მოცულობამ წელიწადში 100 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს [9].

2015 წლის მაისში ჩინეთმა და საქართველომ პეკინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას თავისუფალი ვაჭ-რობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს [10]. მან ასევე ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭ-რობის შეთანხმებას ჰონგკონგთან [11]. 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილია ევროკავშირთან ასოცირების შე-თანხმება, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV თავი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკით-ხები) შეთანხმება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ [12].

ამ შეთანხმებების შედეგად საქართველო მიმზიდველ საინვესტიციო ქვეყნად გადაიქცა. ბევრი ქვეყანა ცდილობს საქართველოში ინვესტირებას, პროდუქციის წარმოებას და მის ექსპორტირებას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის პრივილეგიების გამოყენებით. 2017 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოცულობამ 1888.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 20.6 %-ით გაიზარდა, ხოლო 2013 წელთან შედარებით - 185 %-ით. პირდაპირმა ინვესტიციებმა (პი) ჩინეთიდან 2017 წელს 40.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგენა, რაც წინა წელს 58 %-ით აღემატება, მაგრამ 2014 წელთან შედარებით 5.5-ჯერ შემცირდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთის მიერ საქართველოში ინვესტირებულია 7,958.4 მლნ აშშ დოლარი - საქართველოში მთლიანი პუი-ს 55.7%. ჩინური პი ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილი იყო 2014 წელს - 12.1 % (ცხრილი 2) [13]. ჩინელი ინვესტორების მოზიდვის მიზნით შეიქმნა საქართველოს განვითარების ბანკი 1 მილიარდი აშშ დოლარის კაპიტალით. ბანკის დამფუძნებლები არიან უმსხვილესი ჩინური კომპანიები: CEFC China Energy Company Limited და Eurasian Invest LLC [14].

*ჩინეთის პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში (მლნ $) [13]*

*ცხრილი 2*

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პუი საქართველოში-სულ | 1,020.5 | 1,817.7 | 1,665.6 | 1,565.8 | 1,888.8 | 7,958.4 |
| პი ჩინეთიდან | 101.1 | 220.1 | 66.9 | 25.5 | 40.3 | 453.9 |
| ჩინეთის პი-ს წილი საქართველოს მთლიან პუი-ში, % | 9.9 | 12.1 | 4.0 | 1.6 | 2.1 | 5.7 |

გასული ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთის პირდაპირმა ინვესტიციებმა ინიციატივის მონაწილე ქვეყნებში 70 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მათმა წლიურმა ზრდის ტემპმა დაახლოებით 7.2 % შეადგინა. ვაჭრობის საერთო მოცულობამ ჩინეთსა და ამ ინიციატივის გზების გასწვრივ მდებარე ქვეყნებს შორის 5 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა და საშუალოდ 1.1%-ით იზრდება. ჩინურმა საწარმოებმა ინიციატივის მონაწილე ქვეყნებში შექმნეს 82 ეკონომიკური პარკი 28,9 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციით, დააფუძნეს 3995 კომპანია, სხვა ქვეყნების ბიუჯეტში შეიტანეს 2,01 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი გადასახადი, შექმნეს 244 ათასი სამუშაო ადგილი [15]. 2017 წელს, ჩინეთის საწარმოებმა განახორციელეს 14,36 მილიარდი აშშ დოლარის არაფინანსური პირდაპირი ინვესტიცია, შერწყმებისა და შთანთქმების რაოდენობამ 62-ს მიაღწია, ხოლო მათმა საინვესტიციო თანხამ - 8.8 მილიარდი აშშ დოლარი. ჩინეთის საწარმოებმა 61 ქვეყანაში გააფორმეს 144,32 მილიარდი აშშ დოლარის ახალი კონტრაქტები [16].

სარტყლისა და გზის ინიციატივის პროექტების დასაფინანსებლად 2014 წელს ჩინეთში ორი ახალი ფინანსური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა: ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი და აბრეშუმის გზის ფონდი.

საქართველო 2016 წელს გაწევრიანდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში და სარტყლისა და გზის ინიციატივას შეუერთდა. ამის შედეგად საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი ურთიერთობები სწრაფად ვითარდება. ამჟამად საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ყველაზე განვითარებული ფორმა სავაჭრო ურთიერთობებია. 2016-2017 წლებში ჩინეთი საქართველოს მესამე

სავაჭრო პარტნიორი გახდა. 2017 წელს ჩინეთთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 934648.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის ექსპორტმა - 201,701.7 მლნ აშშ დოლარი და იმპორტმა - 732,946.3 მილიონი აშშ დოლარი. 2016 წელთან შედარებით სავაჭრო ბრუნვა 29.4% -ით გაიზარდა, ექსპორტი 15.7% -ით, ხოლო იმპორტი 33.8% -ით. 2017 წელს ჩინეთის წილი საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში 8.8% იყო, ექსპორტში - 8.3% და იმპორტში - 7.5%. საქართველოს ჩინეთთან მუდმივი უარყოფითი ბალანსი აქვს (ცხრილი 3) [17].

*საქართველო-ჩინეთის ვაჭრობის დინამიკა, 2000-2017 (ათასი აშშ დოლარი)*

*ცხრილი 3*

| წლები | ექსპორტი | იმპორტი | სავაჭრო ბრუნვა | ბალანსი |
|---|---|---|---|---|
| 2000 | 907.6 | 2,910.3 | 3817,9 | –2002,7 |
| 2005 | 5,599.1 | 46,712.8 | 52311,9 | –41113,7 |
| 2010 | 27,050.4 | 335,160.0 | 362 210,4 | –308109,6 |
| 2011 | 28,970.0 | 527,701.1 | 556671,1 | –498731,1 |
| 2012 | 25,674.7 | 614,416.7 | 640091,4 | –588742,0 |
| 2013 | 33,956.0 | 612,250.2 | 646206,2 | –578294,2 |
| 2014 | 90,393.3 | 733,467.5 | 823860,8 | –643074,2 |
| 2015 | 125,803.2 | 587,298.9 | 713102,1 | –461495,7 |
| 2016 | 174,329.7 | 547,690.7 | 722020,4 | –373361,0 |
| 2017 | 201,701.7 | 732,946.3 | 934648,0 | –531244,6 |

სატრანზიტო ფუნქციის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ თვალსაზრისით ეროვნული ინფრასტრუქტურის ფორმირება სარტყლისა და გზის ინიციატივის ინფრასტრუქტურის განუყოფელი ნაწილია. მაგალითად, საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას აზიის განვითარების ბანკთან ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის დაფინანსების შესახებ. პროექტის ღირებულება 315 მილიონი აშშ დოლარია, რომელშიც აზიის განვითარების ბანკის დაფინანსება 108 მილიონ ევროს შეადგენს [18]. ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი 2022 წელს დასრულდება. პროექტების თანადაფინანსება 114 მილიონი დოლარის ოდენობით უზრუნველყოფილი იქნება ჩინეთის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის მიერ [19]. პროექტი ითვალისწინებს 2-ზოლიანი რკინიგზის მშენებლობას 14.3 კილომეტრზე ბათუმის შემოვლით, ასევე 200 კმ სიგრძის საერთაშორისო და ადგილობრივი გზების მოვლა-პატრონობას. ამჟამად არსებული გზა გადის ტურისტულ და საცხოვრებელ ზონაში, რაც ართულებს საერთაშორისო სატრანზიტო ტრანსპორტის მიმოსვლას. პროექტის განხორციელების შედეგად, ბათუმის შემოვლითი გზა (ქობულეთის შემოვლით გზასთან ერთად) სრულად განტვირთავს მოძრაობას აჭარის საკურორტო ზონაში, რაც ხელს შეუწყობს სატრანზიტო ტვირთბრუნვის გაზრდას [20].

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს კარგი სატრანსპორტო შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ისინი სათანადოდ ვერ გამოიყენება. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსით 2018 წელს საქართველო 119-ე ადგილზეა 160 ქვეყანას შორის. მართალია მისი მდგომარეობა 2016 წელთან შედარებით 6 პოზიციით გაუმჯობესდა, მაგრამ 2014 წელთან შედარებით იგი 3 პოზიციით, ხოლო 2012 წელთან შედარებით 57 პოზიციით გაუარესდა [21, 22]. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოს გავლით ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვა მნიშვნელოვნად შემცირდა (50%-მდე ან მეტით), ნავთობტერმინალები იყენებენ მათი გამტარუნარიანობის თითქმის მეხუთედს, საქართველოს პორტებში, სატვირთო გადაზიდვის შემცირების ფონზე, გემთშემოსვლის რაოდენობა მცირდება, ბათუმისა და ყულევის ტერმინალები გამტარიანობის სიმძლავრის 18-25% იყენებს, სავაჭრო კომპანიები (ტრეიდერები) და ძირითადი მომწოდებლები პოულობენ ალტერნატიულ მარშრუტებს, რომლებიც უფრო იაფი, უსაფრთხო და სწრაფია [23]. ბათუმის ნავსადგურში ტვირთების გატარების პიკური მაჩვენებლი 2006 წელს ფიქსირდება 13.1 მლნ ტონა (სველი და მშრალი ტვირთები ერთად), 2017 წელი - 4.2 მლნ ტონა. ჯამში კი მოცულობა 3.1-ჯერ შემცირდა. მშრალ ტვირთებს თუ გამოვყოფთ ტვირთების გატარების პიკური მაჩვებელი ასე გამოიყურება: 2012 – 1.6. მლნ ტონა, 2013 წელი- 1.7 მლნ ტონა, 2014 წელი - 1.2. მლნ ტონა, 2015 წელი - 1.0 მლნ ტონა, 2016 წელი - 0.9 მლნ ტონა, 2017 წელი - 0.8 მლნ ტონა. ციფრები ნათლად აჩვენებს, რომ ტვირთბრუნვა ფაქტობრივად განახევრებულია [24]. შესაბამისად, საქართველოს წინაშე დგას სატრანზიტო ფუნქციის დაკარგვის საშიშროება და ქვეყნის მთავრობამ უნდა იზრუნოს ამ პრობლემის გადაჭრაზე.

მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ სარტყლისა და გზის ინიციატივა სასარგებლოა როგორც საქართველოსათვის, ისე ჩინეთისათვის. აქედან გამომდინარე, ორივე ქვეყანამ უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა და იგი უნდა დაეფუძნებოს მეცნიერულ მიდგომას, რომელიც განვითარებისა და ინტეგრაციის შიდა და გარე ფაქტორების ეფექტიან გამოყენებას გულისხმობს [24-30].

# ლიტერატურა


1. Korganashvili L. D., Mammadova N. (2008). Prospects for Economic Cooperation Between Georgia and China. China International Academic Seminar for Universities. Papers Collection. Volume VII. 2008, Editor-in-Chief Lu Xiang. (pp. 77-95). 829 p.
2. ლ. ყორღანაშვილი (2008). საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები. ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", № 4, გვ. 118-126.
3. Китайские инвестиции в Грузию содействуют реализации инициативы "Пояс и путь". https://dknews.kz/silk-road/54080-kitajskie-investitsii-v-gruziyu-sodejstvuyut-realizatsii-initsiativy-poyas-i-put.html
4. Xinhua. 2018-04-11. Xi says Belt and Road Initiative not an intrigue of China. Editor: Xiang Bo
5. "One belt, one road": full text of the speech XI Jinping. May 19, 2017, IMMPOLITICS https://intmassmedia.com/2017/05/19/one-belt-one-road-full-text-of-the-speech-xi-jinping/
6. EPPI. Initiatives of the "New Silk Road" Achievements and Challenges. Edited by Duško Dimitrijević and Huang Ping. Belgrad. 2017. http://www.eppi-online.com/2017/06/08/silk-road-with-detours/, http://16plus1-thinktank.com/u/cms/cepzh/201712/13095430sus8.pdf
7. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ოფიციალურად გაიხსნა.
8. https://www.radiotavisupleba.ge/თავისუფალი-სივრცე
9. სტამბოლის სრუტის ახალი მარგალიტი იავუზ სულთან სელიმის სახელობის ხიდი http://www.trt.net.tr/-georgian/t-urk-et-i/2016/08/26/stambolis-srutis-axali-margaliti-iavuz-sult-an-selimis-saxelobis-xidi-560016
10. China deepens its presence in Georgia via its "One Road, One Belt" initiative. By John C. K. Daly http://www.ca-cianalyst.org/publications/analytical-articles/item/13413-china-deepens-its-presence-in-georgia-
11. China FTA Network. China-Georgia FTA. http://fta.mofcom.gov.cn/list/chinageorgiaen/chinageorgiaennews/1/en-cateinfo.html
12. Georgia-Hong Kong Free Trade Agreement Signed http://georgiatoday.ge/news/11029/Georgia-Hong-Kong-Free-Trade-Ag-reement-Signed
13. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) http://www.economy.ge/ge/dcfta
14. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/ucxouri%20investiciebi%-2015.08%20(eng)_2018.pdf
15. One Billion USD Capital Chinese Bank to Launch in Georgia. Caucasus Business Week, May 15, online at http://cbw.ge/banking/chinese-bank-one-billion-usd-capital-launch-georgia/.
16. Китай инвестировал в экономики стран инициативы "Один пояс - один путь" 70 млрд долларов http://biang.-ru/ru/news/kitaj-investiroval-v-ekonomiki-stran-iniczⅰativyi-odin-poyas-odin-put-70-mlrd-dollarov.html
17. Ministry of commerce PRC. Situation about China's Investment and Cooperation in Countries along the Belt and Road Routes in 2017. January 17, 2018.
18. საგარეო ვაჭრობა http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
19. Asian Development Bank offers €108m for Batumi Bypass Road http://agenda.ge/en/news/2017/1188
20. AIIB, Georgia Sign Loan Agreement for Batumi Bypass Road Project https://www.aiib.org/en/news-events/news/2017/-20170619_001.html
21. ბათუმის შემოვლითი გზა http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1483686086
22. International LPI. Global Rankings. https://lpi.worldbank.org/international/global/2018
23. ი. მესხია, შ. შაბურიშვილი, ლ. ყორღანაშვილი, ლ. ქადაგიშვილი, დ. სიხარულიძე, ვ. ჭარაია,
24. ო. ანგურიძე (2016). ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და ექსპორტის კონკურენტუნარიანობა. თბ., თსუ გამომცემლობა,
25. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი – პრობლემები და პერსპექტივები https://pia.ge/post/152483-saqar-tvelos-satranzito-potenciali-problemebi-da-perspeqtivebi
26. საქართველოს სატრანსპოტრო დერეფანი ტვირთმფლობელებისთვის მიმზიდველი აღარ არის, ბათუმის ნავსადგურში ტვირთბრუნვა განახევრებულია https://commersant.ge/ge/post/saqartvelos-satranspotro-derefani-tvirtmflobelebistvis-mimzidveli-agar-arisbatumis-navsadgurshi-tvirtbrunva-ganaxevrebulia
27. Korganashvili L. (2017). Economic and geographical aspects of the participation of Georgia in the integration processes. Processes of Integration and Disintegration in the European and Eurasian Space: The Geographical Context. Projekt został sfinansowany ze środków Narodowego Centrum Nauki przyznanych na podstawie decyzji numer DEC-2011/01/B/HS4/03234 oraz ze środków PAN. Edited by Cezary Mądry, Bogucki Wydawnictwo Naukowe Poznań, pp. 69-79
28. Korganashvili L., Mammadova N., Tsotskolauri P., Kochlamazashvili L. (2017). Transformation of South Caucasus Countries During 25 Years of Independence. European Journal of Social Sciences Education and Research. Volume 10, Nr. 1, May_Aug_17_Nr_2_cover.jpg, pp. 253-262
29. Korganashvili L. (2016). Georgia's foreign trade in the changing business environment. 16th International Joint Conference: Central and Eastern Europe in the Changing Business Environment. University of Economics, Prague, Czech Republic, and University of Economics in Bratislava, Slovakia. 27 May, 2016, pp. 246-257

30. Korganashvili L. (2014) Prospects of development of foreign economic relations of Georgia in the circumstances of globalization and regional integration. IV International Congress "Caucasus and Central Asia in Globalization Process". Proceedings. Baku, Azerbaijan, 2014, pp. 264-273
31. Корганашвили Л. (2013). Некоторые итоги трансформации постсоветской Грузии. Международная научно-практическая конференция «Трансформация национальных моделей экономического развития в условиях глобализации». 20 - 22 ноября 2013, Киев. Сборник научных трудов. Киевский национальный торгово-экономический университет. Киев. Украина. 2013, с. 57-60
32. Корганашвили Л. Д. (2011). Влияние политики региональных и не региональных государств на экономическое развитие Грузии (Impact of regional and non-regional state' policies on the economic development of Georgia). International Seminar on: Georgia: Previous Activities, Future Prospects. 20 february 2011 – University of Tehran. Iran سمینار بین‌المللی گرجستان http://dr-hosseinahmadi.blogsky.com/print/post-185/

## Georgia's Transit Function in the Framework of China's Belt and Road Initiative

***Larisa Korganashvili***
*Doctor of Economic Sciences, Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

Traditional friendship between Georgia and China started from the great silk road. Currently, Georgia is participating in Belt and Road initiative. This initiative creates a new model of mutual cooperation, promotes the establishment of the world system of transport corridors, the protection of the interests of all parties involved and the development of the global role of China. Georgia-China relations develop rapidly in recent years. China is an important trading partner of Georgia and is a source of investment. Georgia is due to its location, is a promising transit function for China. It connects China to Europe with land and sea routes. One of the main priorities of the Georgian government is the transport center between Georgia and Europe. The work focuses on the importance of the belt and road initiative, showing Georgia's transit capabilities, analyzing the current state of Georgia-China cooperation in the field of trade and investment.

***Key words:*** *Belt and Road Initiative; Silk Road; Transit; logistic;, china; Georgia.*

# ᲓᲝᲛᲘᲜᲐᲜᲢᲘ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲖᲔ

**ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ**

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,*
*„საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ხელმძღვანელი*

*უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც მიეძღვნა არაერთი სოციოლოგის, ისტორიკოსის, ფსიქოლოგის, ეკონომისტის ფუნდამენტური გამოკვლევები არის სოციალური კაპირტალი, რომელიც წარმოადგენს მულტიდისციპლინარული კვლევის სფეროს. ცნება „სოციალური კაპიტალი“ არაჰომოგენური, ხოლო მისი ეტიმოლოგიური და ლინგვისტური აღქმა არაერთგვაროვანია. ეკონომიკურ ლიტერატურაში ინტენსიური დისკუსია „სოციალური კაპიტალის“ კონცეფციის ირგვლივ დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში. ჩვენს დროში სოციალურ კაპიტალის კონცეფციის სწრაფი განვითარება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ამ თეორიის დამფუძნებლები მკაფიოდ განსაზღვრავენ თანამედროვე საზოგადოებისა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძვლებს, ისეთი ცნებებით როგორიცაა: ნდობა, კულტურა, სოციალური ქსელები, ნებაყოფლობითი ასოციაციები, ადამიან-კაპიტალი და სხვა. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყობს, რომ თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებაში არსებობს ცალკეული პუბლიკაციები სოციალური კაპიტალის პრობლემაზე, ამასთან თეორიულად და პრაქტიკულად ეს კონცეფცია ბოლომდე არ არის დამუშავებული.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალური კაპიტალი, ეთნიკური ჯგუფები, კულტურა, გაზომვა, ურთიერთკავშირი.*

## შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ დაამკვიდრეს ცნობილმა მეცნიერებმა - პოლიტოლოგმა რ. პატნემმა [Putnam R.D. 2001] და სოციოლოგმა ჯ. კოულმანმა [Коулман Дж., 2001]. მათი კვლევები მიეძღვნა სოციალური კაპიტალის ფენომენის სრულყოფილად შესწავლას. ამ პრობლემაზე კოულმანის ფუნდამენტური ნაშრომის [Коулман Дж., 2001] გამოქვეყნების დღიდან, „სოციალური კაპიტალის“ კვლევის სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სოციალური კაპიტალი ადამიანური ურთიერთობების კომპლექსია, რომელიც განიცდის კონვერტირტაციას კაპიტალის სხვა ფორმებში [Shengelia T., 2017]. სოციალურ ჯგუფში ასეთი კაპიტალის არსებობა ხელს უწყობს მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას [Коулман Дж. 2001]. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს სოციალურ დონეზე - საკუთრივ საზოგადოებაში. საზოგადოებას, რომელსაც აქვს სოციალური კაპიტალის მარაგი, ეკონომიკურ განვითარებაში წარმატებულია, ხოლო ადამიანები უფრო ჯანმრთელი და ბედნიერებია. სოციალური კაპიტალი აკმაყოფილებს ეკონომიკური კაპიტალის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: შეზღუდულობა, დაგროვების შესაძლებლობა, ლიკვიდურობა, კონვერტაციის, ზრდის უნარი, გადაცემის შესაძლებლობა. სოციალური კაპიტალის დაგროვების უნარი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ მახასიათებელს, არამედ ის იმ ქსელის სპეციფიკაა, რომელშიც ჩართულია ინდივიდები.

## სოციალური კაპიტალის ზეგავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე

დღეისათვის, სოციალური კაპიტალის გავლენა ეკონომიკაზე დადასტურებულია მთელი რიგი კვლევებით [მაგალითად: Shengelia T., 2017 გვ.22]. მათში, როგორც წესი, გამოთვლილია სოციალური კაპიტალის (პირველ რიგში, ნდობის) კავშირი სხვადასხვა ქვეყნის ობიექტურ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, მაგალითად, ეკონომიკური ზრდასთან, საინვესტიციო მოცულობების, მთლიანი შიგა პროდუქტის გადიდებასთან. ეს ცხადყოფს ნდობის ფაქტორის მაღალ როლს ეკონომიკურ განვითარებაში, მაგრამ სრულად ვერ ხსნის სოციალურ კაპიტალის გავლენას ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

სოციალურ კაპიტალს მნიშვნელოვნად უკავშირდება ეთნიკური კულტურა [Fukuyama F., 200] და ის გარკვეულწილად განისაზღვრავრება ამ ფენომენით. ამის გამო, სოციალური კაპიტალის ქროსს-კულტურული შედარებები, მულტიკულტურული საზოგადოების კვლევის პროცესში გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი. ასეთ საზოგადოებათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველო.

სოციალური კაპიტალის ეკონომიკაზე გავლენის მექანიზმის დადგენა შეუძლებელია მისი კვლევის ეთნო-კულტურული მეთოდების გამოყენების გარეშე. სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ურ-

თიერთობებათა სისტემას და ამდენად მისი სრულყოფილი კვლევის პროცესში აუცილებელია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ეთნო-კულტურული ფაქტორები. ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პოლიკულტურული საზოგადოების (როგორიც საქართველოა) სოციალურ კაპიტალს, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა კულტურული კონფესიების, განსხვავებული ისტორიისა და ეთნოგენეზის მქონე წარმომადგენლები გააჩნია თავისებურებები.

## „სოციალური კაპიტალის“ ცნების გენეზისი

„სოციალური კაპიტალის“ ცნების ისტორიული საფუძვლები მე -18 და მე -19 საუკუნეებით თარიღდება და ისინი უკავშირდება ისეთი ავტორების ნაშრომებს, როგორიც: დურჰემი, სიმმელი, ვებერი და ტოკვილია. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური კაპიტალის თანამედროვე კონცეფცია წარმოიშვა ამ სფეროში სამი ცნობილი მეცნიერის ფუნდამენტური კვლევებით. ესენია ბურდიე, კოულმანი და პატმენი, რომლებმაც განავითარეს „სოციალური კაპიტალის“ თანამედროვე მულტიდისციპლინური თეორია. 1916 წელს ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ პირველად გამოიყენა მეცნიერმა ლინდა ჰანიფანმა დისკუსიაში „ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სუბსტანციები.“ ასეთ „სუბსტანციებად“ ლ. ჰანიფანი მიიჩნევდა ჯგუფის სოლიდარობას და სოციალური კავშირებს. სოციალური კაპიტალის სისტემატიზებული ანალიზი გვხვდება ფრანგი სოციოლოგის პ. ბურდიეს ნაშრომებში. ის სოციალურ კაპიტალს განმარტავს, როგორც „ადამიანის პოტენციური რესურსების ერთობლიობას, რომლებიც დაკავშირებულები არიან ურთიერთნაცნობობისა და აღიარების ინსტიტუციალიზებული ძლიერი ქსელებით“ [Bourdieu P., 1986]. ცნება „სოციალური კაპიტალი“ საკმაოდ ფართოდ არის განმარტებული ჯ. კოულმანის მიერ. მეცნიერის აზრით, სოციალური კაპიტალი - ეს ურთიერთნდობისა და ურთიერთდახმარების პოტენციალია, რომელიც მიზანმიმართულად ყალიბდება პიროვნებათაშორის ურთიერთობებში [Коулман Дж., 2001]. მოცემულმა მიდგომამ, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ფ. ფუკუიამას და სხვა მკვლევარების ნაშრომებში, ზევრად განსაზღვრეს ამ დარგში მეცნიერული დისკუსიების თანამედროვე მდგომარეობა. ფ. ფუკუიამას მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ნდობის სიჭარბე საზოგადოებაში წარმოშობს სოციალურ კაპიტალს, რომელიც განსხვავდება ადამიანიური კაპიტალის სხვა ფორმებისაგან იმით, რომ იქმნება და გადაიცემა ისეთი კულტურული მექანიზმების საშუალებით, როგორებიცაა რელიგია, ტრადიცია ან ისტორიული ჩვევები [Fukuyama F., 2000].

ეკონომიკური მეცნიერებისთვის, სოციალური კაპიტალის კონცეფცია ადამიან-კაპიტალის კონცეფციის ლოგიკური განვითარება იყო. ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ნდობა, როგორც სოციალური კაპიტალის კომპონენტი, ასტიმულირებს ტრანზაქციული ხარჯების შემცირებას, ხელს უწყობს მდიდარი ინფორმაციის გაცვლასა და მონაწილეთა სხვადასხვა ინტერესის ჰარმონიზაციას. ამიტომ, პიროვნული რეპუტაცია ხდება ღირებული აქტივი, რომელიც მნიშვნელოვანი ხდება ნდობითი ურთიერთობების გასაღრმავებლად. დაუსაბუთებელი ნდობა მიგვიყვანს გაზრდილ დანახარჯებამდე, რადგან ის მოითხოვს ინვესტიციებს, დროს, ფულსა და მატერიალურ დანახარჯებს. შესაბამისად, ტრანსაქციული ხარჯების შემცირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნდობაში და შესაბამისად სოციალურ კაპიტალში ინვესტირების შედეგი. ნდობის, როგორც სოციალური კაპიტალის დეტერმინანტის შესახებ კლასიკური ნაშრომები ეკუთვნის ფრენსის ფუკუიამას. თავის წიგნში „ნდობა“ მეცნიერი სოციალურ კაპიტალს განიხილავს, როგორც საზოგადოების გარკვეულ პოტენციალს ან მის ნაწილს, რომელიც იგება მისი წევრების ნდობაზე. ფუკუიამას აზრით, ნდობა საზოგადოების წევრებს შორის იმის მოლოდინია, რომ მისი სხვა წევრები მოიქცევიან მეტ-ნაკლებად პატიოსნად, სხვების საჭიროებების მიმართ ყურადღებით, საზოგადოებაში დადგენილი საერთო ნორმების შესაბამისად. ამ ნორმების ნაწილი დაკავშირებულია ფუნდამენტურ ფასეულობებთან (მაგალითად, ღმერთის ან სამართლიანობის აღქმა), მაგრამ ისინი ასევე მოიცავენ ისეთი საყოველთაო საკითხებს, როგორიცაა პროფესიული სტანდარტები და ეთიკური კოდექსი. ფუკუიამა ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან გავლენას, რომელსაც ახდენს კულტურა, სოციალური კაპიტალი და ნდობა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მეცნიერის მიერ დადგენილია, რომ პიროვნებათაშორისი და ორგანიზაციული ნდობის დონე დადებითად მოქმედებს ფირმის თანამშრომლების მოტივაციაზე. სოციალური სისტემით დაგროვილი ნდობის მოცულობა წარმოადგენს მის ძირითად კაპიტალს.

## „კაპიტალის“, როგორც ეკონომიკური კატეგორიის წინააღმდეგობრივი ბუნება

როგორც უკვე აღინიშნა, კაპიტალი არის სიმდიდრის ნებისმიერი მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვილ იქნეს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოაქვს შემოსავალი. სოციალური კაპიტალის ცნების ჩამოყალიბება და განვითარება საფუძვლად დაედო ადამიან- კაპიტალის კონცეფციის განვითარებას. რა თქმა უნდა, ეს ორი ტერმინი ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ არაიდენტურია. განვიხილოთ, პირველ რიგში, ადამიანური და სოციალური კაპიტალის ცნებები და, მერე, სოციალური კაპიტალის ფსიქოლოგიური სპეციფიკა.

ეკონომიკურ თეორიაში, ადამიან-კაპიტალის ქვეშ ესმით ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების მარაგი, რომელიც გააჩნია ინდივიდს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების მიზნებისთვის. ადამიანურის, ფინანსუ-

რი კაპიტალისაგან განმასხვავებელი თვისება არის პიროვნებისაგან განუყოფელობა. ზოგადად ფინანსური კაპიტალი ბაზარზე ფასდება მისი აქტივების ზომითა და შედეგიანობით. ამის საპირისპიროდ, ადამიან-კაპიტალი ვლინდება მხოლოდ ცოდნის აქტივებით, რომელიც ასევე შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგანი. იმდენად, რამდენადაც თანამედროვე საზოგადოებაში ცოდნის მარაგის გაზომვა რთულია, ფინანსურისგან განსხვავებით შეუძლებელია ადამიან-კაპიტალის, ღირებულებითი შეფასება.

სოციალური კაპიტალთან მიმართებით სიტუაცია განსხვავებულია. ეს კონცეფცია არც ისე ნათელი და ზუსტია, უფრო მრავალმხრივია. სოციალური კაპიტალი, ისევე, როგორც ადამიანური, მისი მატარებლებისგან განუყოფელია, უფრო ზუსტად განუყოფელია მისი მატარებლების ურთიერთობებისგან. ანუ, თუ ადამიან-კაპიტალი ინდივიდის მახასიათებელია, სოციალური კაპიტალი ახასიათებს ინდივიდუალურ ურთიერთობებს. მისი შეაფასება, გაზომვა, კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ადამიან-კაპიტალის.

„კაპიტალის“, როგორც კატეგორიის მხოლოდ ეკონომიკური ბუნების წინააღმდეგ გამოდიოდა პ. ბურდიე [Bourdieu P., 1986]. მისი კონცეფციის თანახმად, არსებობს კაპიტალის სამი სახე: ინკორპორირებული, ობიექტური და ინსტიტუციონალიზებული. ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული და ცნობილი ექსპერტები, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალური კაპიტალის თეორიის განვითარებაში - ჯონ კოულმანი განასხვავებს სამი სახის კაპიტალს: ფიზიკურს, ადამიანურს და სოციალურს [Коулман Дж. 2001].

სოციალური კაპიტალი, ისევე როგორც კაპიტალის სხვა ფორმები, ხელს უწყობს ერის კეთილდღეობას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. რ. პატნემის მიერ აშშ-ი ჩატარებული კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ არსებობს უაღრესად მნიშვნელოვანი, დადებითი კორელაცია სოციალურ კაპიტალს, ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას შორის [Putnam R.D. 2001] მაღალი სოციალური კაპიტალი არამხოლოდ ხელს უწყობს ერის კეთილდღეობის ამაღლებას, არამედ მას უფრო ჰარმონიულად, წარმატებულად და სოციალურად პასუხისმგებელიანად აქცევს. პუტნამმა ძალიან მკაფიოდ დაახასიათა სოციალური კაპიტალის განსხვავება კაპიტალის სხვა ფორმებისაგან: "მაშინ, როდესაც ეკონომიკური კაპიტალი ხალხის საბანკო ანგარიშებზეა და ადამიან-კაპიტალი მათ თავებშია, სოციალური კაპიტალი განთავსებულია მათი ურთიერთობათა სტრუქტურაში" [Putnam R.D. 2001].

შეიძლება გაკეთდეს დაასკვნა, რომ სოციალური კაპიტალი კაპიტალის სხვა ფორმებისგან განსხვავებით მნიშვნელოვანია და დასახელება „კაპიტალი“ ხდის ამ კონცეფციას მიმზიდველად მეცნიერთა დიდი რაოდენობისთვის, მათ შორისაა ეკონომისტებისაც.

## სოციალურ კაპიტალზე კულტურული ფაქტორების ზეგავლენა

მეცნიერთა უმრავლესობა, რომლებიც სოციალური კაპიტალის პრობლემას იკვლევს, აღნიშნავს, რომ ის დიდწილად საზოგადოების კულტურის მახასიათებლებზეა დამოკიდებული. კერძოდ, რ. პატნემს მიაჩნია, რომ სოციალური კაპიტალი ისტორიულად და კულტურულად არის განპირობებული [Putnam R.D. 2001]. ფ. ფუკუიამამ თავის წიგნში „ნდობა,“ გამოთქვა მოსაზრება, რომ სოციალურ კაპიტალს აქვს ღრმა კულტურული ფესვები. განსაზღვრავდა რა კულტურას, როგორც „მემკვიდრეობით ეთიკურ ჩვევას“, ფუკუიამა მიიჩნევდა, რომ ეთიკური კოდები, რომელთა საფუძველზე საზოგადოება არეგულირებს ხალხის ქცევას, კულტურას აქცევს საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად [Fukuyama F., 2000].

კულტუროლოგიული კვლევები ცხადყოფს, სოციალური კაპიტალის კავშირს ისეთ კულტურულ საზომებთან, როგორიც ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმია. მაშტაბური სოციალური კაპიტალი, როგორც წესი, გააჩნია ინდივიდუალისტურ კულტურებს [Inglehart R., Baker W., 2000], მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია არ ვრცელდება ისეთ კოლექტივისტურ კულტურებზე, როგორიც იაპონია და სამხრეთ კორეაა, რომლის მოსახლეობაც, ასახავს ნდობის მაღალი დონეს. ცნობილია, რომ ეს ქვეყნები მდიდარი და განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოებია, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის დადებითი დინამიკა განპირობებულია ინდივიდუალიზმის ზრდით [Hofstede G., 1997]. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ქვეყნების მაღალი დონის სოციალური კაპიტალი, პირველ რიგში, დაკავშირებულია გარკვეულ კულტურული ურთიერთობების ნორმებთან (მაგალითად, კონფუციური რელიგიის მატარებელ იაპონიაში და ჩინეთში ხდება ორიენტაცია ნდობაზე და აქტიური ურთიერთქმედებაა არა მხოლოდ ოჯახის წევრებს შორის, არამედ სხვა პირების ფართო სპექტრთან), და მეორე, ამ კულტურებში ინდივიდუალიზმის ზრდასთან.

რატომ ახასიათებს ინდივიდუალისტური კულტურების წარმომადგენელებს მეტი სოციალური კაპიტალი, ვიდრე კოლექტივისტივისტურებს ? სოციალური კაპიტალი არის კუმულაციური ღირებულება და მისი დაგროვების ზრდა ხდება სხვა სოციალური ფენებთან ინდივიდის სოციალური ურთიერთობების ზრდის ფონზე. ეს პირობები კარგად არის დაცული ინდივიდუალისტურ კულტურებში, სადაც ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული სხვადასხვა სოციალური ჯგუფებში და აქვს ნდობის მაღალი ხარისხი მათ წევრებთან. კოლექტივისტურ კულტურაში ღრმა სოციალური კავშირები აახლოვებს ადამიანს მცირე რაოდენობის ჯგუფებთან. ფ.ფუკუიამა თავის კვლევებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კულტურა და სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ხოლო ნდობა, იურიდიული ფორ-

მალობებისა და ბიუროკრატიზმის შემცირების გამო, ხელს უწყობს ორგანი-ზაციული ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას. კულტურული ფაქტორები ეკონომიკის სტრუქტურაწარმომქნელ როლს ასრულებს [Hofstede G., 1997].

არსებობს ემპირიული კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ სოციალური კაპიტალი დამოკიდებულია კულტურაზე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეთნიკური ჯგუფებისა და მთელი ქვეყნების კეთილდღეობაზე. კერძოდ, რ. ინგლეჰარტმა განიხილა ურთიერთობები ნდობის დონეს, ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და კულტურულ მახასიათებლებს შორის რელიგიური კუთვნილების მიხედვით [Inglehart R., Baker W., 2000]. ისტორიულად პროტესტანტული საზოგადოებები ინტერპერსონალური ნდობის დონით კათოლიკურთან შედარებით უფრო მაღლა დგანან. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია მაშინაც კი, თუ ჩვენ ვაკონტროლებთ ეკონომიკურ განვითარებას: ინტერპერსონალური ნდობასა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს შორის არის მნიშვნელოვანი კორელაცია (r = 0.60), მდიდარი კათოლიკური ქვეყნებიც კი ამ მასშტაბით ისტორიულად უფრო დაბლა იმყოფებიან, ვიდრე პროტესტანტული ქვეყნები.

## საქართველოს დომინანტი ეთნიკური ჯგუფების სოციალური კაპიტალის ქროსს-კულტურული თავისებურებების კვლევა

მოცემული კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ვარაუდია ის, რომ ეთნიკური კულტურები გავლენას ახდენენ სოციალური კაპიტალის თავისებურებებსა და ბიზნესის პრაქტიკაზე. ცხრილი 1 გვიჩვენებს იმ შერჩევით ეთნიკური ჯგუფებს, რომლებშიც გამოკვლეულია საქართველოს სოციალურ კაპიტალში კულტურათაშორისი განსხვავებები და სოციალური კაპიტალის ურთიერთობა ინდივიდების ეკონომიკურ მახასიათებლებთან. კვლევის პროცესში შესწავლილია საქართველოს ცენტრალურ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი და ბათუმი) მცხოვრები ექვსი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა საერთო რაოდენობა 574 ადამიანია. რესპონდენტთა უმრავლესობას უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ქართველები გამოიკითხა სამივე ქალაქის მიხედვით, რათა მომხდარიყო რეგიონული განსხვავებებით შექმნილი ცვალებადობის ნიველირება. ამ კვლევის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის გაზომვა. კითხვარი სტანდარტულია, ის მოიცავს მეთოდოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური კაპიტალის სტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური წარმოდგენების შესწავლას. კვლევაში შეირჩა შემდეგი ეთნიკური ჯგუფები: ქართველები, აზარბეიჯანელები, სომხები, ებრაელები, რუსები.

*საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური კაპიტალის შესწავლის ნიმუში*

*ცხრილი № 1*

| ეთნიკური ჯგუფი | რესპონდენტების რაოდენობა | საშუალო ასაკი | მამაკაცები | ქალები |
|---|---|---|---|---|
| ქართველები | 161 | 37 | 80 | 81 |
| აზერბაიჯანელები | 130 | 35 | 75 | 55 |
| სომხები | 110 | 36 | 65 | 45 |
| ებრაელები | 94 | 32 | 50 | 44 |
| რუსები | 79 | 38 | 49 | 30 |




*საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ექვსი ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის მაჩვენებელთა გაზომვა*

*ჰისტოგრამა № 1.*

ვიზუალურად, ჰისტოგრამა № 1 გვიჩვენებს, რომ სოციალური კაპიტალის ყველა კომპონენტის ინდიკატორები ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებულია. თუმცა, ამ განსხვავებების განხილვამდე საჭიროა, განისაზღვროს, რამდენადაა ისინი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. კრუსკალ-ულისის H კრიტერიუმის გამოყენება გვიჩვენებს, რომ ყველა განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (ცხრილი 2)

*კრუსკალ-უოლისის H-კრიტერიუმების მიხედვით განსხვავებები სოციალური კაპიტალში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მიხედვით*

*ცხრილი 2*

| | ნდობა | ტოლერანტობა | სამოქალაქო იდენტობა | სამოქალაქო იდენტობის (პოზიტიურობა) |
|---|---|---|---|---|
| ქართველები (საშ.რანგი) | 443,9 | 445,2 | 436,3 | 433,4 |
| აზერბეიჯანელები (საშ.რანგი) | 421,7 | 442,0 | 441,5 | 465,5 |
| სომხები (საშ.რანგი) | 417,1 | 404,2 | 387,6 | 388,5 |
| ებრაელები | 401,1 | 366,0 | 370,9 | 380,9 |
| რუსები (საშ.რანგი) | 325,5 | 439,1 | 445,3 | 510,2 |
| $\chi^2$ | 11,0 | 16,3 | 14,5 | 23,0 |
| p | 0,05 | 0,006 | 0,013 | 0,000 |

კვლევის მიხედვით ყველაზე დაბალი ქულა აზერბაიჯანელებში, სომხებსა და რუსებში -ნდობის ფაქტორს აქვს. ეს მონაცემები არ წარმოადგენს სიახლეს. საქართველოს ეთნიკურ ჯგუფებში ნდობის ფაქტორი ზოგადად დაბალია და ეს დასტურდება ამ საკითხზე სხვა ადგილობრივი და უცხოური გამოკვლევებით. მთლიანი შერჩევიდან ყველაზე დაბალი ნდობის მაჩვენებელი შეინიშნება რუსებში - 3 ქულა, 5 ქულიან სკალაზე და სომხებში (ჰისტოგრამა 1), დანარჩენი ჯგუფებისათვის, საშუალო ჯგუფის ნდობის ინდიკატორი დაახლოებით 3-დან 4 ქულამდე მერყეობს. ამრიგად, კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ექვსიდან ხუთი ეთნიკურ ჯგუფში, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ეთნო-კულტურული მახასიათებლებით ნდობის ინდიკატორები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან. კრუსკალ-უილისის H-კრიტერიუმის მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ჯგუფებს შორის განსხვავებები არსებობს. როგორც ჩანს, ჯგუფის შიგნით არსებობს განსხვავებები, მაგრამ ისინი არ არიან პრინციპული. ანუ, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შევძლებთ ჯგუფების მოძიებას, რომელთა წარმომადგენლებს ძალიან დაბალი და ძალიან მაღალი ნდობა აქვთ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, ზოგადად, სახელმწიფოში დომინირებს დაბალი ნდობის ტენდენცია, რომელიც შენარჩუნებულია ცალკეული ეთნიკური ჯგუფის კულტურული თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად.

კვლევაში განხილულ იქნა საერთო ტოლერანტობა (ჰისტოგრამა 1), რომელშიც შედიოდა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა ტოლერანტობის მაჩვენებლები. შეიძლება ითქვას, რომ საერთო ტოლერანტობა უფრო დაბალია რუსებში და სომხებში, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებში. სავარაუდოდ, ტოლერანტობის შეფასებისას, ჩვენ კულტურის გავლენას ვაწყდებით. მოდერნიზაციის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ეთნიკურ ჯგუფებში ტოლერანტობა შეიძლება განსხვავდებოდეს. ტრადიციული ჯგუფები, როგორც წესი, ნაკლებად ტოლერანტული არიან სხვა ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ.

სამოქალაქო იდენტობის გამოხატვის პარამეტრს ახასიათებს ჯგუფებს შორის განსხვავებები და ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ, რომ მთავარი განსხვავება ისაა, რომ ეს მაჩვენებელი დაბალია - რუსებსა, სომხებისა და აზარბაიჯანელებისათვის, ხოლო მაღალია ქართველების და ებრაელებისთვის. მსგავსი ტენდენცია შეიძლება დაფიქსირდეს, როდესაც ვთვლით სამოქალაქო იდენტობის პოზიტიურობას.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ კვლევაში შესწავლილი ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის დამახასიათებელი მონაცემებს, შეგვიძლია დავინახოთ შემდეგი განსხვავებული განსხვავებები. გამოკვლეულ ჯგუფებში ნდობა და სამოქალაქო იდენტობა დაბალი, ხოლო ტოლერანტობა უფრო მაღალია. აქედან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ სოციალურ კაპიტალს მაკროდონეზე, მხოლოდ ნდობა ყოველთვის არ შეიძლება იყოს სოციალური კაპიტალის მახასიათებელი. პოლიკულტურული საზოგადოების სოციალური კაპიტალის შეფასებისას, საკმარისი არ არის მხოლოდ ინტერპერსონალური ნდობის დადგენა - ეს შეიძლება

იყოს სოციალური კაპიტალის შიდაჯგუფური მახასიათებელი, ასეთი კაპიტალი შესაძლებელია არ გავიდეს ეთნიკური ჯგუფის მიღმა. აუცილებელია სოციალური კაპიტალის შეფასება სისტემურად და სისტემის პარამეტრებში უნდა ჩავრთოთ სოციალური კაპიტალის გარე ჯგუფური ინდიკატორები. სოციალურ დონეზე ესა არის: სამოქალაქო იდენტობის მახასიათებლები და ტოლერანტობის დონე. თუ გადავიტანთ ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის მახასიათებლებს ბიზნესპრაქტიკაზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნდობა და ტოლერანტობა უარყოფით როლს თამაშობს ბიზნესის განვითარებაზე, მაშინ როდესაც სამოქალაქო იდენტობა დადებითად აისახება მასზე. ამ საკითხს მიეძღვნა არაერთი გამოკვლევა (იხ. მაგალითად: Shengelia, 2017), სადაც შესწავლილია ნდობის ზეგავლენა მულტინაციონალური კომპანიის განვითარებაზე.

## დასკვნა

სოციალურ კაპიტალის ცნება სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება არამხოლოდ სოციოლოგიასა და ეკონომიკაში, არამედ სხვა მეცნიერებებში, რომელშიც ეს საკითხი ფართოდ განიხილება. „სოციალური კაპიტალი" საკმაოდ ფართო მცნებაა. ამ ფენომენის ბუნებაზე აზრთა სხვადასხვაობა ართულებს მისი გაზომვის მეთოდოლოგიას. სოციალურ კაპიტალის არსებული განმარტებების ანალიზი, მისი კვლევის თეორიული მიდგომები, გვიჩვენებს, რომ სოციალური მეცნიერებები ჯერ კიდევ შორს არიან ამ ფენომენის შეთანხმებული განმარტების, ეკონომიკაზე გავლენის მექანიზმების ნათელი გაგებისაგან. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნდობის ხარისხი უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებას, ითვლება, რომ იმ კულტურებში, სადაც ნდობა უფრო მაღალია, ბიზნესის დანახარჯები მცირდება, ასეთ ქვეყნებში ინვესტიციების დონე უფრო მაღალია. თუ გადავიტანთ ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის მახასიათებლებს ბიზნესპრაქტიკაზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნდობა და ტოლერანტობა უარყოფით როლს თამაშობს ბიზნესის განვითარებაზე, მაშინ როდესაც სამოქალაქო იდენტობა დადებითად აისახება მასზე. საქართველოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში სოციალური კაპიტალის კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ნდობის ფაქტორი საკმაოდ დაბალია.

## ლიტერატურა:


1. Гурова И. Проблемы доверия–недоверия в экономических отношениях // Бюллетень научной программы «Особенности российской культуры и менталитета как фактор социально-экономического развития». 2007. № 2. С. 516–547.
2. Коулман Дж. Капитал социальный и человеческий // Общественные науки и современность. 2001. № 3. С. 122–139.
3. Фукуяма Ф. Доверие. М.: Изд-во «Хранитель», 2006.
4. Bourdieu P. The forms of capital // Handbook of theory and research for the sociology of education / Ed. J.G. Richards. New York, 1986. P. 241–258.
5. Berishvili Kh. (2017) Condradictory character of the process of liberalization and integration ofeconomic relations and influence of this process on the countries with small economi. 6th Business & Management Conference, Geneva, p. 3
6. Berishvili Kh. (2017) Identification of integration processes in Conditions Economic Turbulance and Their Use in development of The Countries With Small Economi. Ecoforum Journal, Volume 6, Issue 2, pp.108-115
7. Fukuyama F. Social capital // Culture matters: How values shape human progress / Eds. L.E. Harrison, S.P. Huntington. New York, 2000. P. 98–111.
8. Hofstede G. Culture and organization: Software of the mind. New York, 1997.
9. Inglehart, R., Baker, W. Modernization, cultural change, and the persistence of traditional valuese / American Sociological Review, 2000, Vol. 65 (Febrruary: 19–51). P. 19–50
10. Putnam R.D. Social capital: measurement and consequences // Canadian Journal of Policy Research 2001, vol.2, № 1, p. 41–51.
11. Shengelia T. (2014) Business Aticiphobia and the Terms For Overcaming in Georgia. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 4, Nova Science Publishers, Inc. PP. 331-337
12. .Shengelia T. (2017) Determination of correlative relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva. Pages 32-32
13. .Shengelia T. (2017) Interpersonal and Organizational Trust, As Factor of Social Capital and Its Influence On the Motivation of International Company Employees. Ecoforum Journal, Volume 6, Issue 2
14. Shengelia T. (2017) The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system. Universal, Tbilisi. ISBN 9789941175986
15. .Shengelia T. (2016) Generation of Knowledge Into Conception of Cultural Pragmatizm and its Influence on International Business. Ecoforum Journal. Volume 5, Issue 2, p.265-268
16. Shengelia T., Berishvili Kh. (2014). The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. Journal of Social Sciences, Volume 3, Issue 2, International Institute of Social and Economic Sciences. PP. 81-87.

17. Shengelia T. (2014) Tendencies of The Capital International Movement and Its Influence on the Economy of the Sovereign State. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 1, Number 4, Nova Science Publishers, Inc. PP. 49-55
18. Shengelia T., Berishvili Kh. (2014). Evaluation of the Global Position of Georgia and its Role In the Development of Business. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 1, Nova Science Publishers, Inc. PP. 57-65
19. Shengelia T. (2013) Influence of Role of International Busines on Formation of International Relation Policy. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 5, Issue 3/4, Nova Science Publishers, Inc. PP. 219-228.
20. Shengelia T. Metamorphoses and Results of Business Development in Georgia. Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2013. P. 74-78

## Social capital of dominant ethnic groups and its impact on business

***Temur Shengelia***
*full professor of Tbilisi State Universit,*
*Head of International Business Department*

S u m m a r y

The concept of social capital becomes more popular not only in sociology and economics, but in other sciences as well, in which this issue is widely discussed. “Social capital” is quite a broad concept. Diversity of opinions on the nature of this phenomenon complicates the methodology of its measuring. Analysis of existing explanations of social capiral, theoretical approaches to its study show that social sciences are still very far from clear understanding of agreed explanation of this phenomenon and the mechanisms of its influence on business. It has been determined in result of research that the degree of trust is connected with business success, and it is considered that in those cultures, where trust is higher, the degree of transaction reduces; in such countries the level of investments is higher. We consider that social capital promotes formation of social relations of an individual, which becomes the basis for the so-called efficient economic behavior and finds a positive reflection on development of business. The results of study of social capital in ethnic groups of different categories showed that the factor of trust was practically unchanged within last 15 years. As it has been mentioned, apart from trust, tolerance and civil identity are also important. The study has showed that they are connected with economic advance of the country. It was determined in the process of cross-cultural research of social capital that most of the ethnic difference is noticed in the multicultural society.

***Keywords::*** social capital, trust, study, cross-cultural research, multicultural society.

## Регулирование производительности труда и её предпосылки в России

***Александр Иванович Щербаков***
*доктор экономических наук, профессор кафедры труда и социальной политики Института государственной службы и управления (ИГСУ) Российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте Российской Федерации (РАНХиГС)*

В статье даётся обзор мер, предпринимаемых Правительством России по повышению производительности труда в экономике Российской Федерации. Отмечается характер развития подобного государственного воздействия в течение последних лет. Оценивается ряд положений действующего в настоящее время плана государственных мероприятий на федеральном и региональном уровне в целях обеспечения роста производительности труда на предприятиях России - национальный Проект - и отмечаются некоторые дискуссионные элементы данной программы действий.

В статье также даётся краткая характеристика отдельных факторов и предпосылок динамики производительности труда в стране.

***Ключевые слова**: Производительность труда, приоритетная программа, национальный проект, институциональное воздействие, «центр компетенций», показатели производительности труда, факторы производительности труда.*

***Статья: см. стр. 542***

# ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხების კვლევა სტუდენტურ ცენტრ "იდეაში"

**გიორგი შიხაშვილი**
*ეკონომიკის დოქტორი*
*თსუ-ის მოწვეული პროფესორი,*
*სტუდენტურიკვლევებისა და პროექტების*
*ცენტრი „იდეას" დირექტორი*

*თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ "იდეას" მიზანია სტუდენტთა ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ამაღლების ხელშეწყობა. 2013 წლიდან ცენტრი მუშაობს სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამაზე სახელწოდებით: "საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები". აღნიშნული სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამის ფარგლებში, თანაორგანიზატორებთან ერთად, 2014 წლიდან დღემდე, ცენტრმა განახორციელა შემდეგი საერთაშორისო პროექტები: 3 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საზაფხულო სკოლა საქართველოში და აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ გურიონის უნივერსიტეტში.*

*ცენტრ „იდეას" სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს მის ინიციატივიანობას, ინოვაციურობას, მრავალფეროვნებას, შედეგიანობას და მომავალი გეგმების განხორციელების დიდ პერსპექტიულობას.*

*საკვანძო სიტყვები: სტუდენტური ცენტრი "იდეა"; კვლევითი პროგრამის მიზნები; კვლევითი სექტორი; სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები; სამეცნიერო-პრაქტიკული საზაფხულო სკოლა; აკადემიური სემინარი; სამეცნიერო ნაშრომების კრებული.*

## სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას" შესახებ

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრები შექმნილი და ფრიად პოპულარულია ცივილიზებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში. უცხოეთის გამოცდილების საფუძველზე, 1998 წლიდან მოყოლებული, სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების შედგენისა და მათი პრეზენტაციების საფუძველზე და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ბაზაზე 2000 წელს შეიქმნა და დღეს, უკვე როგორც ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, მოქმედებს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი "იდეა".

ამჟამად ცენტრში, წევრის სტატუსით, გაერთიანებულია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40-ზე მეტი სტუდენტი, რომელთაგან 9 გამგეობის შემადგენლობაშია, ხოლო 12 - ძირითად პერსონალს წარმოადგენს.

## ცენტრი „იდეას" მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

### ცენტრი „იდეას" მიზნებია:

- თსუ-ისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო პროფილისა და ყველა სხვა დაინტერესებულ სტუდენტთა ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
- სწავლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, მეცნიერების, სპეციალისტების, ბიზნესმენების, სახელმწიფო, ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობის ხელშეწყობა ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევისა და სათანადო პროექტების შემუშავება-განხორციელების სფეროში;
- თსუ-სა, და კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარება-პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

### მიზნების განხორციელებისათვის ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივი ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური, სუბდის-ციპლინური და ინოვაციური კვლევების ჩატარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ბიზნესისა და მენეჯმენტის სხვადასხვა სფეროში; სათანადო რეკომენდაციების, პროექტების, პროგრამების შემუ-შავება და მონაწილეობის მიღება მათ პრაქტიკულ განხორციელებაში;
2. საქართველოში პროექტების მართვის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა;
3. სათანადო საინფორმაციო-საკონსულტაციო და სატრენინგო სისტემის შექმნა;
4. სამეცნიერო, სასწავლო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა სახის ლიტერატურის, მათ შორის სა-კუთარი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის გამოცემა;
5. ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით სტუდენტთა, მეცნიერთა, სპეციალისტთა და ბიზნესმენთა და-ახლოებისა და თანადგომის ხელშეწყობა;
6. კონფერენციების, სიმპოზიუმების, საზაფხულო/ზამთრის სკოლების, ლექცია-სემინარებისა და ტრე-ნინგების ჩატარება.

## სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამა - "საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები"

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის, საკუთარ ტრადიციებთან ერთად, აუცილებე-ლია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სათანადო კონცეპტუალური საფუძვლებისა და პრაქტიკული გამოცდი-ლების შესწავლა-გამოყენება სამეურნეო-მმართველობით პროცესში. ამ თვალსაზრისით მეტად სამაგალითოა ისრაელის ეკონომიკური განვითარება, რომლის ბიბლიურ, ისტორიულ, სოციალურ და ეთიკურ კონცეპტუა-ლურ საფუძვლებს ეყრდნობა თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია.

ცენტრი „იდეას" გეგმით მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა ეკონომიკური განვითარების და მართვის ებ-რაული მოდელის ისტორიულ, თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე და მათს სათანადო ადაპტაციაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა-ჩამოყალიბებისა და გამოყენების პროცესში. ამ საქმიანობას წარმართავს ცენტრის სტრუქტურაში შექმნილი სპეციალიზებული ერ-თეული - "ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორი".

**სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამის ფარგლებში «ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორი» შეისწავლის შემდეგ საკითხებს:**

1. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელები და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი პრაქტიკა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში;
2. ისრაელის ეკონომიკური ისტორია;
3. ისრაელის ეკონომიკური განვითარების ბიბლიური საფუძვლები;
4. თანამედროვე ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის საკანონმდებლო გარემო; ისრაელის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვა და ელექტრონული მთავრობის პრაქტიკა;
5. ისრაელის ეკონომიკის დარგობრივი სექტორები; ბიზნესის და მენეჯმენტის განვითარება თანამედროვე ისრაელში. ებრაელი ბიზნესმენების სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობა;
6. ისრაელის სოფლის მეურნეობა და მისი მართვა; ებრაული სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის - კიბუცების და მოშავების ეკონომიკა და მართვა;
7. ეკონომიკის, ბიზნესის და მენეჯმენტის საფუძვლების სწავლება ისრაელის უნივერსიტეტებში;
8. ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ებრაული მოდელი და საქართველო; ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები; ერთობლივი სტუ-დენტური კვლევები და პროექტები;
9. ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლის ცენტრების შექმნა ორივე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, ბიზნესმენთა ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

*აღნიშნული სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროგრამის ფარგლებში, თანაორგანიზატორებთან ერთად, 2014 წლიდან დღემდე, ცენტრმა განახორციელა შემდეგი საერთაშორისო პროექტები: 3 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საზაფხულო სკოლა საქართველოში და აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ გურიონის უნივერსიტეტში.*

**განვიხილოთ თითოეულ მათგანზე წარმოდგენილი თემატიკა, ისრაელთან დაკავშირებული რაკურსით.**

**I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა"** (2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია) მიეძღვნა ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს აღნიშვნას. მასში, საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწი-

ლეობენ სტუდენტები და პროფესორები ისრაელისა და უკრაინის უნივერსიტეტებიდან. კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ თსუ მმართველობითი სტრუქტურებისა და მესტიის ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები; საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მიტროპოლიტი ილარიონი; თსუ საბავშვო უნივერსიტეტის "ნორჩი ეკონომისტის» სკოლისა და წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები. პირველად ასეთი რანგის კონფერენციების ისტორიაში ცენტრმა "იდეამ" წარმოადგინა გუნდური სტუდენტური მოხსენებები. კონფერენციის ფარგლებში მოხდა ტერიტორიის გამწვანება და მოეწყო ვიზიტი ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში.

**კონფერენციის თანაორგანიზატორები იყვნენ**: თსუ-ის ადმინისტრაცია; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი "იდეა"; საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია; მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა; ისრაელის საელჩო საქართველოში.

**გამოიცა შრომების კრებული, რომელშიც დაიბეჭდა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები. მათგან ჩამოვთვლით სტატიებს, რომლებშიც ასახულია ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები** [1].

აღსანიშნავია პროფესორთა მოხსენებები:

1. A.Kimhi, A. Reznik (Israel). Efficiency Implications of the Dairy Farm Policy Reform in Israel;
2. Y. Medushovskaya, O. Ryabchenko, M. Shuban (Ukraine). Environmental Protection in Ukraine and Israel: Conditions of Rivers, Their Contamination and Possible Ways of Collaboration;
3. T. Saraidarov (Israel), G. Shikhashvili (Georgia). Water Problems in Israel and Their Solutions.
4. აღვნიშნავთ სტუდენტთა შემდეგ მოხსენებებს:
5. ო. აბესაძე, გ. კალაიჯიშვილი, ნ. ხარისთვალაშვილი. ისრაელისა და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები;
6. თ. თაქთაქიშვილი, ქ. კორძაძე, ლ. ტეფნაძე. ებრაული კიბუცების და მოშავების მენეჯმენტი;
7. მურცხვალაძე, ი. სვანიძე, ვ. ჭარაია, ი. ჯანაშვილი. საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები.

II **საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა"** (სიღნაღი, 20-21 სექტემბერი, 2015) **თანაორგანიზატორები იყვნენ**: თსუ ადმინისტრაცია; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა"; ისრაელის საელჩო საქართველოში; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ საქართველო"; სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია". კონფერენციაში მონაწილეობდნენ ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორები და სტუდენტები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ბიზნესმენები. მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა. კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ვიზიტი (მონაწილეობა რთველში) ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში.

**გამოიცა შრომების კრებული, რომელშიც დაიბეჭდა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები. მათგან ჩამოვთვლით სტატიებს, რომლებშიც ასახულია ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები** [2].

აღსანიშნავია პროფესორების, სპეციალისტების და ბიზნესმენების მოხსენებები:

1. თ. ბერიძე. სტუდენტური ცენტრი "იდეას" საქმიანობა ისრაელის ეკონომიკის კვლევის სფეროში;
2. A.Gagulashvili, V.Gogaladze, R.Albin (Israel). Netafim Georgia - Provider of Agribusiness Recent Technologies;
3. გ. შიხაშვილი, ნ. ქიტიაშვილი. ისრაელის მიწათსარგებლობის ბიბლიური ასპექტები.

აღვნიშნავთ სტუდენტთა გუნდურ მოხსენებებს:

1. ნ. აბრამიშვილი, ი. სვანიძე. ლ. ტეფნაძე, ი. ჯანაშვილი. სახელმწიფო პროგრამების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში (საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე);
2. თ. ბერიძე, გ. კალაიჯიშვილი, ჯ. ოქრომჭედლიშვილი,ზ. წითლაური. საირიგაციო და სასათბურე მეურნეობების განვითარება საქართველოსა და ისრაელში;
3. ნ. კახიძე, ი. შენგელია, ვ. ჭარაია. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება ისრაელში.

III **საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა"** (თბილისი, თსუ, ISET, 2016 წლის 17-18 მაისი) **თანაორგანიზატორები იყვნენ**: თსუ-ის ადმინისტრაცია; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET; სტუდენტური ცენტრი „იდეა"; ისრაელის საელჩო საქართველოში; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო"; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია". კონფერენციაში მონაწილეობდნენ ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორები და სტუდენტები, სპეციალისტები და ბიზნესმენები.

შრომების კრებულში დაიბეჭდა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები. მათგან აღვნიშნავთ მასალას, რომელშიც ასახულია ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები [3].

აღსანიშნავია პროფესორების, სპეციალისტების და ბიზნესმენების მოხსენებები:

1. R. Albin, H. Bar (Israel). Traditional Model of Responsibility vs. Corporate Social Responsibility;
2. A.Gagulashvili, V.Gogaladze (Israel). Netafim Technologies in Service of Food Security of Georgia;
3. გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის და მართვის ტრადიციული ტექნოლოგიები ბიბლიის მიხედვით.

აღვნიშნავთ, აგრეთვე სტუდენტთა შემდეგ გუნდურ მოხსენებებს:

1. ნ. აბრამიშვილი, ტ. ზარანდია, ი. სვანიძე, ლ. ტეფნაძე. სამეცნიერო კვლევებისა და მაღალტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოსა და ისრაელში;
2. დ. ბასილაია, თ. ბიბილაშვილი, ნ. დვალიშვილი, ნ. თოდუა, თ. ჩუბინიძე. ტრადიციული და თანამედროვე სამოსელის წარმოების ტექნოლოგიები საქართველოსა და ისრაელში;
3. ს. ბერიაშვილი, მ. მჭედლიძე, ტ. ძნელაძე, ი. ჯანაშვილი. მზის ენერგეტიკის ორგანიზაცია ისრაელსა და საქართველოში;
4. თ. ბერიძე, შ. გაბადაძე, ჯ. ოქრომჭედლიშვილი, ვ. ჭარაია. ისრაელის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე;
5. შ. გოგიძე, გ. ბოლქვაძე, ს. სანიკიძე, ლ. შუღლიაშვილი. ენერგოსისტემების განვითარება საქართველოსა და ისრაელში;
6. თ. თაქთაქიშვილი, ქ. კორძაძე, ი. მურცხვალაძე, ნ. ხარისთვალაშვილი. ტექნოლოგიური ინკუბატორების როლი ისრაელის სოფლის მეურნეობაში;
1. ა. კიკვაძე, გ. კურატიშვილი, მ. მარსაგიშვილი, მ. ქვრივიშვილი. მმართველობითი ტექნოლოგიების ორგანიზაცია ისრაელის კიბუცებში.

I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლის - "საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში" (ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017), რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს, თანაორგანიზატორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ); თბილისის მერია; ისრაელის საელჩო საქართველოში; ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო"; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა"; ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; ბსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა".

შრომების კრებულში დაიბეჭდა საზაფხულო სკოლაზე წარმოდგენილი მოხსენებები. მათგან აღვნიშნავთ მასალას, რომელშიც ასახულია ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები [4].

აღსანიშნავია პროფესორების, სპეციალისტების და ბიზნესმენების მოხსენებები:

1. A.Gagulashvili, V. Gogaladze (Israel). Role of Agricultural Technologies in Economic Development;
2. A.Gagulashvili, V. Gogaladze (Israel). The role of "Netafim-Georgia" in the implementation of agro-technologies in Georgia;
3. R.Albin (Israel). Collective responsibilities;
4. თ. ბერიძე. საქართველოს და ისრაელის სოფლის მეურნეობა: რეტროსპექტივა და დღევანდელობა;
5. დ. ნარმანია. თანამედროვე საინფორმაცვიო ტქნოლოგიები ურბანულ სექტორში;
6. გ. შიხაშვილი. თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას" საქმიანობა საქართველო-ისრაელის ეკონომიკის კვლევის სფეროში;
7. ე. ხარაიშვილი. საქართველოსა და ისრაელში სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებითი ანალიზი;
8. ჯ. ხარიტონაშვილი. კოოპერაციული მოძრაობის ფორმები ისრაელის სოფლის მეურნეობაში და მისი გაზიარების პერსპექტივები საქართველოში.

აღვნიშნავთ სტუდენტთა გუნდურ მოხსენებებს:

1. T. Raz, A. Elias (Israel). Cannabies Technologies.
2. მ. თედიაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ნ.თოდუა. ტურიზმის განვითარების ორგანიზაციული საკითხები იერუსალიმსა და თბილისში;
3. ნ. ფირალიშვილი, თ. ჩუბინიძე, შ. გაბადაძე. ურბანული სექტორის მართვა ისრაელსა და საქართველოში;
4. მ. ქვრივიშვილი, გ. კურატიშვილი, გ. ჯანვერდაშვილი, ტ. ძნელაძე. ისრაელის ინოვაციური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში და საქართველო.

## საერთაშორისო აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ბგუ) ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე

2018 წლის იანვრის ბოლოს ძალაში შევიდა ურთიერთგაგების მემორანდუმი თსუ-სა და ბგუ-ს შორის, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და ა/წ 10-15 მარტს ბგუ-ში ჩატარდა საერთაშორისო აკადემიური სემინარი ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე.

ბგუ ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტთან ერთად, სემინარის თანაორგანიზატორობის ფუნქცია შეასრულეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“.

სემინარის განმავლობაში თსუ-ის მხრიდან მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. თ. ბერიძე („გარდამავალი ეკონომიკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა – კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები“); პროფ. დ. ნარმანია („საქართველო-ისრაელის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა: განვითარების ადმინისტრირება“); პროფ. ე. ხარაიშვილი („სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ისრაელში“); პროფ. ე. მექვაბიშვილი („საქართველოს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალი: თანამედროვეობა და პერსპექტივები“) და პროფ. ი. ხელაშვილი („მდგრადი ტურიზმის განვითარება საქართველოში: პოტენციალი და პრობლემები“).

სტუდენტთა კოლოკვიუმზე (მოდერატორი – ასოც. პროფ. გ. შიხაშვილი) მოხსენებებით გამოვიდნენ სტუდენტური გუნდები: 1) მ. მჭედლიშვილი, მ. ქვრივიშვილი („ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევა სტუდენტურ ცენტრ „იდეაში“); 2) ნ. თოდუა, ს. სახვაძე („ისრაელის ეკონომიკური სასწაულები“); 3) თ. ჩუბინიძე, მ. შვანგირაძე, ა. ყუბანეიშვილი („მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში – წარსული, აწმყო, მომავალი“). გამართული დისკუსიის დროს გამოითქვა მოსაზრებები ბგუ-ში, ცენტრი „იდეას“ ანალოგიური სტუდენტური ცენტრის ჩამოყალიბებისა და მომავალი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მთლიანობაში, ბენ-გურიონის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე ჩატარებული აკადემიური სემინარი იყო მეტად საინტერესო, შემოქმედებითი და წარმატებული. მოხდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-სასწავლო გამოცდილების გაზიარება, დაისახა სამომავლო ურთიერთობების გეგმები, რაც უთუოდ წაადგება ორივე უნივერსიტეტის ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ზემოაღნიშნული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, საზაფხულო სკოლა და აკადემიური სემინარი ცენტრი “იდეას” კვლევითი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და მისი მიზნების განხორციელებას ემსახურება.

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი "იდეას" ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის პროგრამის განხორციელების შედეგად:

- მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და მართვის ოპტიმალური მოდელის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევას და პრაქტიკულ საქმიანობაში მის რეალურ დანერგვას;
- მიზანშეწონილი და შესაძლებელი გახდება შესაბამისი სასწავლო არჩევითი დისციპლინების (მაგ. “ისრაელის ეკონომიკა და საქართველო“, “სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ებრაული მოდელი“, “ქართულ-ებრაული ბიზნეს-ურთიერთობები“, “კიბუცების და მოშავების ეკონომიკა და მართვა“ და სხვ.) შემოღება საქართველოს ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში;
- გზა გაეხსნება სამეცნიერო და სტუდენტური გაცვლითი პროგრამების ფართო მასშტაბით განხორციელებას;
- გაფართოვდება თემატური სამეცნიერო-პრაქტიკული პროექტების (კონფერენციების, სიმპოზიუმების, საზაფხულო/ზამთრის სკოლების, სემინარების და სხვ.) განხორციელების შესაძლებლობები;
- გაღრმავდება ქართველ და ებრაელ ბიზნესმენთა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები.

ყოველივე ეს კი ძალიან წაადგება ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური, დიპლომატიური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

მთლიანობაში, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს მის ინიციატივიანობას, ინოვაციურობას, მრავალფეროვნებას, შედეგიანობას და მომავალი გეგმების განხორციელების დიდ პერსპექტიულობას.

## ლიტერატურა:


1. შრომების კრებული I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა - „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა" (2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია). თსუ გამომცემლობა, 2014, 161 გვ.;
2. შრომების კრებული II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა" (სიღნაღი, 20-21 სექტემბერი, 2015). თსუ გამომცემლობა, 2015, 91 გვ.;
3. შრომების კრებული III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა" (თსუ, ISET, 2016 წლის 17-18 მაისი). თსუ გამომცემლობა, 2016, 120 გვ.;
4. შრომების კრებული I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლისა - "საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში" (ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017). ცენტრი „იდეას" სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში, #1, 2017, თსუ გამომცემლობა, 129 გვ.;
5. საერთაშორისო აკადემიური სემინარი ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ისრაელი) ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", #1, 2018, გვ. 206-208.


## Research on Current Issues of Israeli Economics and Business in the Student Center "Idea"


***Giorgi Shikhashvili***

*Doctor of Economics*

*Invited professor at TSU,*

*Director of the Student Center IDEA*



S u m m a r y

The main purpose of Student research and projects center IDEA TSU is to support upgrading the level of students' knowledge and science-research work.

Since 2013, the Center has been working on Scientific-practical research program by the name: „Georgia-Israel economical relations and their development perspectives".

Within the framework of the Scientific-practical research program, together with co-organizers, the Center has implemented the following international projects: 3 scientific-practical conference, summer school in Georgia and Academic seminar at Israel's Ben Gurion University.

The analysis of scientific-research activities of the Center IDEA shows a lot of its initiative to innovation, diversity, efficiency and great perspective of future plans.



***Keywords:*** *The student Center IDEA; Purposes of research program; Research Sector; Scientific-practical Conference;. Scientific-practical Summer school; Academic Seminar; Proceedings of scientific papers.*

# საგადასახადო ცვლილებები, გამოწვევები, რეკომენდაციები

**მიხეილ ჩიკვილაძე**

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

*საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის გამართული ფუნქციონირება სახელმწიფოს მდგრადი ფინანსური და ეკონომიკური განვითარების საწინდარია. საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესმა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საგადასახადო კანონმდებლობაში, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას ეკონომიკაში იკვეთება, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოსალოდნელი შედეგები ხანოკლე და გრძელვადიან პერიოდებში.*

*საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტი; ტრანსფორმაციის პროცესი; ინტეგრაციის პოლიტიკა; მოგების რეინვესტირება; საგადასახადო დეკლარირება; საბიუჯეტო კომპენსაცია; დივიდენდი; რეინვესტირება; ესტონური მოდელი.*

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოსა და საზოგადოების მყარი ფინანსური საფუძვლის შექმნა, საგადასახადო სისტემის რეფორმების წარმატებულად განხორციელება, ბიუჯეტის დროული და სრული ფორმირება შეუძლებელია ისეთი ეფექტიანი საგადასახადო სისტემის გარეშე, რომელიც მოწოდებული იქნება უზრუნველყოს სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები და იმავდროულად დაიცვას გადასახადების გადამხდელის უფლებები. საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის გამართული ფუნქციონირება სახელმწიფოს მდგრადი ფინანსური და ეკონომიკური განვითარების საწინდარია. საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესმა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საგადასახადო კანონმდებლობაში, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას ეკონომიკაში იკვეთება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოსალოდნელი შედეგები ხანოკლე და გრძელვადიან პერიოდებში. სტატიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ოპტიმალური საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა-განვითარებას და მის როლს, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, წარმოების გაფართოების, უმუშევრობის დონის შემცირების და მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, 2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ცვლილება განხორციელდა, კერძოდ:

- მიღებული მოგების რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესი მოგების გადასახადისაგან განთავისუფლდა, ეს შეღავათი არ ვრცელდება ზოგიერთი სახის ბიზნესსაქმიანობაზე. შეღავათი არ შეეხო კომერციულ ბანკებს, სადაზღვეო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, საკრედიტო კავშირებს, ლომბარდებს, ტოტალიზატორებს და სხვა, ხოლო საფინანსო სექტორი ამ რეჟიმით 2019 წლის იანვრიდან ისარგებლებს.
- გაიზარდა აქციზის გადასახადი თამბაქოს პროდუქციასა და ნავთობ პროდუქტებზე.
- აქციზის გადასახადი გაიზარდა ასევე ბენზინის ძრავიან მსუბუქ ავტომობილებზე (რაც უფრო ძველია ავტომანქანა, მით უფრო დიდია გადასახადი).
- 40.0 ათ. ლარიდან 100.0 ათას ლარამდე შემოსავლების მქონე ოჯახები, რომელთა მფლობელობაშია ავტომობილი, 2017 წლის ნოემბრიდან ექვემდებარება დეკლარირებას და ქონების გადასახადით დაბეგვრას.
- გაიზარდა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.
- გაცემული სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100%-ს, მათ შორის სესხის ვადის გაგრძელების შემთხვევაში.
- 100 ლარზე მეტი იპოტეკით უზრუნველყოფილი სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2.5-მაგი ოდენობის მე-12-ედს. ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში სესხი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა, თუ მისი ოდენობა სესხის გაცემისას ოფიციალრი გაცვლითი კურსის მიხედვით 100.0 ათ. ლარს აღემატება.
- სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2%-ს. საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შემოთავაზების ან/და რეკლამირებისას გარდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, ფასი გამოხატული უნდა იქნეს მხოლოდ ლარებში.
- საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონ-პროექტის შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრიდან

დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის მიწოდებამდე ან/და მომსახურების გაწევამდე მყიდველისაგან მიღებული ავანსის თანხა, რა დროსაც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხას წარმოადგენს, მიღებული ავანსის თანხა დღგ-ს გარეშე, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს ავანსის მიღების მომენტი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღგ-ს გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით გამართლებულია, რადგანაც დაბეგვრას ბიზნესის ყველა სტადია ექვემდებარება და ამდენად, საგადასახადო ტვირთი ყველა ამ სტადიაზე ნაწილდება. სწორედ ამით აიხსნება დღგ-ს ასეთი მაღალი ხვედრითი წილი მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში [Papava V., 2015].

- ცვლილებაა ავანსების დაბეგვრაშიც: 2016 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში დაამტკიცა ცვლილება, რომლის მიხედვით დღგ-ით დაბეგვრა დაექვემდებარა საქონლის მიწოდებამდე ან მომსახურების გაწევამდე მყიდველებისგან ავანსად მიღებული თანხები (ცვლილება არ გავრცელდა მომსახურების რეგულარულად მიწოდებასა და კომუნალურ მომსახურებაზე). შედეგად, მიწოდების მომენტის ნაცვლად, ოპერაციების უდიდესი ნაწილის დაბეგვრის ვადამ გადაინაცვლა და საწარმოებს დღგ-ს გადახდა ავანსის მიღების თვეშივე მოუწიათ, (ცვლილება დაკავშირებულია ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან). უნდა აღინიშნროს, რომ ანალოგიური წესით მიღებული ავანსები იბეგრება დიდ ბრიტანეთში, დანიაში, პოლონეთში, პორტუგალიასა და სხვა ქვეყნებში, ხოლო ლუქსემბურგი ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასეთი წესი საერთოდ არ მოქმედებს. მეორე მხრივ საგულისხმოა ის, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნის გარდა, დღგ-ს გადასახადით ოპერაციების უფრო ადრე დაბეგვრის წესის შემოღება მიზნად ისახავდა მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად შემცირებული საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილობრივ კომპენსაციასაც. გარდა ამისა ბევრ სხვა პოზიტიურ არგუმენტთან ერთად საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილების ერთ-ერთ მთავარ გაცხადებულ მიზანს სწორედ ზემოხსენებული გრძელვადიანი კონტრაქტების მქონე პირების შემთხვევაში, განსაკუთრებით სამშენებლო ბიზნესის გადასახადების ადმინისტრირების ხარვეზის აღმოფხვრა წარმოადგენს, საგადასახადო ცვლილების მიზეზებად მიჩნეულია აგრეთვე გადამხდელების მიერ გადასახადებისაგან თავის არიდების შესაძლებლობის აღმოფხვრა და სხვა.
- ამასთანავე აღსანიშნავია 2018 წ. 1 ივლისიდან ძალაში შესული ცვლილება მცირე მეწარმეთა დაბეგვრის შესახებ, რომელიც გულისხმობს მცირე მეწარმის სტატუსის მინიჭებას 500.0 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე პირებისათვის, ნაცვლად მანამდე არსებული 100.0 ლარისა და ამასთანავე ბრუნვის გადასახადის დაფიქსირებას 1%-ის ოდენობით, ნაცვლად 5%-ისა, აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, როგორც მოგების გადასხადის შემთხვევაში, კანონის ამოქმედების შემდეგ ზრდის ტენდენცია უნდა ჰქონდეს მცირე მეწარმეებიდან მიღებულ შემოსავლებსაც - საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.
- საკმაოდ სწორი და წინ გადადგმული ნაბიჯია ბოლო სიახლე, რომელიც მთავრობის ზომის შემცირებას ეხება, რაც შესაბამისად შეამცირებს ბიუჯეტის ხარჯებს [9].
- მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით, კერძოდ (ესტონური მოდელი) 2008 წლის 1 იანვრიდან მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება ითვლება მოგების განაწილებად, ხოლო მისი შემდგომი განაწილება აღარ ჩაითვლება მოგების განაწილებად იმ შემთხვევის გარდა, როცა დივიდენდის შემდგომ განაწილებას ახორციელებს ინდივიდუალური საწარმო და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირები. ცვლილებები ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ესტონური მოდელის რეფორმის მიზანია ბიზნესის რეინვესტირების წახალისება და ეკონომიკის ზრდა, დაბეგვრის ახალი მოდელი არ მოიცავს: კომერციულ ბანკებს, სადაზღვეო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, საკრედიტო კავშირებს, ლომბარდებს, ტოტალიზატორებს და სხვა. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში 2015 წელს დაიწყო მზადება ესტონური მოდელის დასანერგად, რომლის მთავარი მიზანი ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებებზე დადებითი ეფექტის მოხდენაა, ამ მოდელზე გადასვლამ უნდა დააჩქაროს ეკონომიკის ზრდა, გააუმჯობესოს კომპანიების ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, გაზარდოს ბიზნეს აქტივების ლიკვიდურობა, ბიზნესში არსებული კაპიტალის მოცულობა, გაზარდოს უცხოური ინვესტიციები და გაამარტივოს საგადასახადო აღრიცხვა-ადმინისტრირება. ესტონეთში წარმატებით განხორციელებული რეფორმა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ბიძგის მიმცემი უნდა გახდეს.

მოგების გადასახადი ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ისევე როგორც სქართველოში, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა, შესაბამისად ამ საგადასახადო შემოსავლებზე ნაწილობრივ უარის თქმა ქვეყნისათვის მტკივნეული პროცესია, როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის შესუსტება იწვევს მოკლევადიან პერიოდში საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, გრძელვადიან პერიოდში ეს ფისკალური პოლიტიკა დიდი ალბათობით, საგადასახადო შემოსავლების ზრდას განაპირობებს. ეს ვარაუდი გამართლდა ესტონეთში, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საწყის ეტაპზე მოგების გადასახადით გამოწვეული შემცირებული შემოსავლების შევსება არ უნდა

მოხდეს სხვა გადასახადების ხელოვნური გაზრდის გზით, რათა ბიზნესსექტორის ერთი სეგმენტის დაფინანსება არ განხორციელდეს მეორე ნაწილის დაბეგვრის ზრდის ხარჯზე, უმჯობესია დეფიციტი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებით დაბალანსდეს, ვიდრე გამკაცრებულმა საგადასახადო პოლიტიკამ გამოიწვიოს შემოსავლების მოკლევადიანი ზრდა. საგადასახადო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა დაბეგვრასთან (გადასახადების დარიცხვასა და ამოღებასთან) დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ერთობლიობა იყოს ეფექტიანი [Kopaleishvili T., Chikviladze M., 2011]. არაერთი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ ზედმეტად ლიბერალური ან ზედმეტად მძიმე საგადასახადო ტვირთის პირობებში ეკონომიკის ფუნქციონირება არაეფექტიანია [Ananiashvili I., Papava V., 2009].

სტატიაში მიმოხილულია 2017 წელს გატარებული საგადასახადო ცვლილებებიც და დადგენილია მიზეზ-შედეგობრიობა საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებსა და ბიუჯეტში გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებს შორის. აღნიშნული საგადასახადო ცვლილებების გავლენის შედეგად, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

*საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები [ათასი ლარი] [15, 16]*

*ცხრილი 1*

| დასახელება | გეგმა (ათასი ლარი) | ფაქტობრივი (ათასი ლარი) | +/- | % | გადასახადების წილი % |
|---|---|---|---|---|---|
| გადასახადები | 8.980.000.0 | 8.991.307.5 | + 11.307.5 | 100.1 | 93.7 |
| საშემოსავლო გადასახადი | 2.570.000.0 | 2.525.970.7 | - 44.029.3 | 98.3 | 29.8 |
| მოგების გადასახადი | 740.000.0 | 756.555.5 | + 16.555.5 | 102.2 | 7.7 |
| დღგ | 4.020.000.0 | 4.122.612.8 | + 102.612.8 | 102.6 | 42.4 |
| აქციზი | 1.435.000.0 | 1.450.921.9 | + 15.921.9 | 101.1 | 14.8 |
| იმპორტის გადასახადი | 65.000.0 | 71.618.9 | + 6.618.9 | 110.2 | 0.73 |
| ქონების გადასახადი | | | | | 4.4 |
| სხვა გადასახადი | 150.000.0 | 63.627.6 | -86.372.4 | 42.4 | 1.6 |

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების მთავარი წყაროა ქვეყანაში შექმნილი მშპ, ამიტომ მის სტრუქტურასა და დინამიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ჩამოყალიბებაში, ამასთან, ბიუჯეტის ხარჯების მიმართულებები და გამოყენების ეფექტიანობა, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს მშპ-ის წარმოებაზე. „ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში წამყვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლის შედგენა და გამოყენება ატარებს მკვეთრად გამოხატულ ბალანსურ ხასიათს" [Tvalchrelidze A., Silagadze A., Keshelashvili G., Gegia d., 2011]

2017 წლის საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 9.489.4 მლნ ლარს, ხოლო 2018 წლის ანალოგიური შემოსავალი დაიგეგმა 10.201.5 მლნ ლარის ოდენობით (750.5 მლნ ლარით მეტი), შემოსავლის ზრდა განპირობებულია გადასახადების მოცულობის ზრდით, შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება ხარჯებიც (ხარჯები გაზრდილია 411.0 მლნ ლარით).

*საქართველოს 2016-2018 წლების მშპ [Silagadze A., 2010] [8]*

*ცხრილი 2*

| | 2016 ფაქტობრივიი | 2017 გეგმა | 2018 გეგმა |
|---|---|---|---|
| მშპ-ის რეალური ზრდა (ზრდის ტემპი) | 2.8% | 4.5% | 4.5% |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 34.028.5 | 38.042.5 | 40.457.6 |
| მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი) | 10.099.9 | 10.872.0 | 11.721.8 |
| ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი) | 3.864.6 | 4.033.5 | 4.362.5 |

აქედან გამომდინარე, მშპ-ის მოცულობის ზრდას, სრულიად კანონზომიერად, თან სდევს ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობის ზრდაც და პირიქით. როგორც ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე მშპ-ის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ 2018 წლისათვის ფისკალურ-მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2018 წლისათვის მშპ-ის რეალური ზრდა 4.5%, ხოლო მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 3.5%-ია, საგულისხმოა ისიც, რომ საშუალოვადიან პერიოდში მშპ-ის ზრდა 5.0%-6.0%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, მშპ-ის დეფლატორი კი 3.0%-ია. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2018 წლის ნომინალური მშპ-ის მოცულობა 40.6 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2021 წლისათვის პროგნოზირებულია მისი ზრდა 52.1 მლრდ ლარამდე [Chikviladze M., 2018].

საქართველოს კანონით „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" გათვალისწინებული საბიუჯეტო დეფიციტი, (რომელიც გამომდინარეობს GFSM 2001 კლასიფიკაციიდან), მშპ-თან მიმართებით განისაზღვრა 1.3%-ით, ამასთან, გათვალისწინებულია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამით, ფისკალური ინდიკატორის მოდიფიცირებული დეფიციტი იქნას გამოყენებული, რომელიც GFSM 2001 კლასიფიკაციისგან განსხვავებით, ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს, როგორც დეფიციტის ფორმირების წყაროს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, 2018 წლის დეფიციტი მშპ-თან მიმართებით განისაზღვრა 3 %-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში დეფიციტის 2.5%-მდე შემცირებაა მოსალოდნელი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საგადასახადო სისტემამ და საგადასახადო პოლიტიკამ, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციით, ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საგადასახადო ბაზის განვითარებას. საგადასახადო კოდექსში შეტანილ ახალ ცვლილებებს თან უნდა მოჰყვეს ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება და არსებული ხარჯების ეფექტიან გამოყენებაზე მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლი.

ამჟამად, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე მუშაობას. „სახელმწიფო ბიუჯეტი არის ქვეყნის საფინანსო სისტემის ცენტრალური რგოლი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხას ფულად ფორმაში", მასში გაერთიანებულია ურთიერთდაკავშირებული ძირითადი საფინანსო ინსტიტუტები-შემოსავლები, ხარჯები და სახელმწიფო კრედიტი". [Jibuti A., Kakulia R., Bakhtadze L., 2007] ბიუჯეტის მომზადება კომპლექსური და მრავალსა-ფეხურინი პროცესია, მასზეა დამოკიდებული თუ რამდენად შეინარჩუნებს ქვეყანა აღებულ პოლიტიკურ კურსს და მიაღწევს დასახულ მაკროეკონომიკურ მიზნობრივ მაჩვენებლებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყნის ბიუჯეტის ძირითად შემოსავალს გადასახადები წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ ფისკალური შედეგების მიღწევის მიზნით გადასახადების გაზრდას, ყოველთვის არ მოაქვს დადებითი შედეგები, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული ეკონომიკის განვითარების რეალური მდგომარეობა, ამისათვის კი საჭიროა საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა ღრმა ანალიზის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება თანმხვედრი საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებისათვის.

## ლიტერატურა:


1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება, ლაფერ-კეინზიანური სინთეზი, თბილისი: გამომცემლობა „სიახლე", 2009, 159 გვ.
2. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვი-თარების პროგრამა, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი", 2011, 312 გვ.
3. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, 2011, 338 გვ.
4. პაპავა ვ. რეფორმები, ფსევდო რეფორმები. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი", 2015, 236 გვ.
5. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ. საჯარო ფინანსები, თბილისი, 2007, 416 გვ.
6. Chikviladze, M. (2018). ENG Share in percentage of Taxes in GDP (Comparative Analysis of Post-Soviet Countries), Romania, 2018, Refereed International Journal Ecoforum. Vol. 7. №1.
7. Силагадзе А., Атанелашвили Т. Некоторые Вопросы Экономических Доктрин в Грузии, «Взфей», Москва, 2010, 5 с
8. http://mof.ge/mshpekonomikurizrda
9. http://eugeorgia,info
10. http://matsne.gov.ge/Ka/document/view/3288317
11. http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2017/biujetiskanonis-mokalakis-gzamkvlevi-pdf.
12. http://www.mof.ge/4554
13. http://www.mof.ge/4560
14. საქართველოს 2017 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი, თავი 2
15. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური - გადასახადები http://www.rs.ge/4771
16. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები (2011-2017)

# Tax changes, challenges, recommendations

***Mikheil Chikviladze***
*Associated professor of the Faculty of Economics and Business*
*Tbilisi State University*

S u m m a r y

The functioning of the tax-budget system is a prerequisite for sustainable financial and economic development of the state. The current transformation process in Georgia and the EU integration policy have made significant changes in tax legislation, in the course of this process, the economy is characterized both positive and negative events, analysis of which gives an opportunity to determine the expected results in short and long term periods.

***Key words***: *State and Consumer Budget; Transformation process; Integration policy; Reinvestment of profit; Tax Declaration; Budget Compensation; Dividend; Reinvestment; Estonian model.*

# მევახშეობის ვირუსი, როგორც პერმანენტული კრიზისის მთავარი მიზეზი

**მალხაზ ჩიქობავა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმის არსი, მისი მეტამორფოზა და ე.წ. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის შედეგები. ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმის მთავარი დამახასიათებელი შტრიხი აშშ-ის დოლარის და ყველა სხვა დანარჩენი ვალუტის, როგორც საკრედიტო ფულის არსებობაა. ამასთან, ამ ვალუტების ემისიაში მონაწილეობს არამხოლოდ და არა იმდენად ცენტრალური, არამედ კომერციული ბანკები, რომლებიც ფლობენ ლიცენზიას ე.წ. დეპოზიტური (უნაღდო) ფულის გამოშვებაზე, ეს კი იწვევს ვალის გარდაუვალ წარმოშობას, რომელიც უსწრაფესად იზრდება მთელ მსოფლიოში და სპობს ეკონომიკის რეალურ სექტორს.*

*სტატიაში აღნიშნულია, რომ მსოფლიო მევახშეები შეგნებულად აშენებენ სისტემას, რომელიც საბოლოო ანგარიშით იქნება გლობალური და ტოტალური მონობის სისტემა. ასეთ სისტემას ექნება უკიდურესად მარტივი სოციალური სტრუქტურა: ახალი მონათმფლობელების, ანუ „ოქროს მილიონისა“ და მონურ მორჩილებაში მყოფი დანარჩენი მოსახლეობის, ანუ „ბინძური“ მილიარდის სახით.*

*სტატიაში მსჯელობაა აგრეთვე ე.წ. „საქველმოქმედო“ ფონდებზე, რაც სინამდვილეში წარმოადგენს მევახშეების ფულადი კაპიტალის აკუმულაციის ცენტრებს და რომელთა ჭეშმარიტი დანიშნულება მევახშეთა ინტერესების მსახურებაა. გარდა ამისა, ნაშრომში გამოკვეთილია იმ ადამიანთა ფსიქიკური და სულიერი დაავადებების თემა, რომლებიც ჩაფლულნი არიან ფინანსური სპეკულაციისა და მაქინაციის თანამედროვე სამყაროში, რაც დღეს კიდევ უფრო ნაკლებადაა შესწავლილი. სამწუხაროდ, დღეს მხედველობიდან რჩებათ ყველაზე მთავარი - ადამიანთა ძლიერი მიდრეკილება ფინანსური „თამაშებისადმი“ - საფონდო, სავალუტო და სხვა ბირჟებზე, აგრეთვე ძლიერი მიდრეკილება „ფინანსური პირამიდებისადმი“ და სხვა ფინანსური მაქინაციების მიმართ, რომელიც ხორციელდება ბირჟებს მიღმა.*

*დასკვნის სახით ნაშრომში ხაზგასმულია ის, რომ მიუხედავად იმისა, „ისტორიის დასასრულის“ დრო უცნობია, ყველაფერი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული, მათ შორის, ჩვენს უნარზე წინააღმდეგობა გავუწიოთ მევახშეებს. წინააღმდეგობის გაწევა, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს არსებული ფულადი სისტემის გარდაქმნის პოზიტიური პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას.*

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური კაპიტალიზმი; რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა; საკრედიტო ფული; საფონდო ბირჟა; წარმოებული ფასიანი ქაღალდები; მევახშეობა.*

საყოველთაო აღიარებით, თანამედროვე კაპიტალიზმი თავისი არსით წარმოადგენს „ფინანსურ“ კაპიტალიზმს. მისი ეს თვისება განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში. როგორც ცნობილია, XX საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიო გადავიდა ბრეტონ-ვუდსის (ოქრო-დოლარის) სავალუტო-საფინანსო სისტემიდან იამაიკის სავალუტო-ფინანსურ (ქაღალდის დოლარის) სისტემაზე. ამ წლებში მოეხსნა ყოველგვარი შეზღუდვა აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემის „საბეჭდ მანქანას“, რითაც გაჩნდა „მწვანე ქაღალდის“ შეუზღუდავი რაოდენობით ემისიის შესაძლებლობა. დღის წესრიგში დადგა Fed-ის „საბეჭდი მანქანის“ პროდუქციაზე მოთხოვნის უზრუნველყოფის ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთ კარდინალურ საშუალებად იქცა ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარება, რომელმაც დოლარის მასის სულ უფრო მზარდი მოცულობის აბსორბცია მოახდინა. თუ ადრე მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე ყველა ოპერაციის 90% ემსახურებოდა საერთაშორისო ვაჭრობას, ამჟამად ეს მაჩვენებლი, უკეთეს შემთხვევაში, 3-4%-ს არ აღემატება. დანარჩენი ოპერაცია წარმოადგენს სპეკულაციური ოპერაციების მომსახურებას როგორც თვით სავალუტო, ისე სხვა ფინანსურ ბაზრებზე, კერძოდ, საფონდო, საკრედიტო, წარმოებული ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ოპერაციების მომსახურებას.

კიდევ ერთი განსაკუთრებული დამახასიათებელი შტრიხი თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმისა არის ის, რომ აშშ-ის დოლარი და ყველა სხვა დანარჩენი ვალუტა წარმოადგენს საკრედიტო ფულს. ამასთან, ამ ვალუტების ემისიაში მონაწილეობს არა მხოლოდ და არა იმდენად ცენტრალური ბანკები, არამედ ემისიის ძირითად ნაწილს უზრუნველყოფენ კომერციული ბანკები, რომლებიც ფლობენ ლიცენზიას ე.წ. დეპოზიტური (უნაღდო) ფულის გამოშვებაზე. საკრედიტო ფულის ემისია იწვევს ვალის გარდაუვალ წარმოშობას. ეს ვალი უსწრაფესად იზრდება მთელ მსოფლიოში. კიბოს დაავადების მეტასტაზების მსგავსად ის სპობს ეკონომიკის დარჩენილ ნაწილს, რომელსაც „რეალურ სექტორს“ ვუწოდებთ. ცნობილი კონსალტინგური კომპანიის მაკკინზის ერთ-ერთი ბოლო მოხსენების თანახმად, მსოფლიო ვალმა უკვე გადააჭარბა მსოფლიო მშპ-ის 300%-ს, ხოლო მისმა აბსოლუტურმა მაჩვენებელმა დაახლოებით 200 ტრილიონი დოლარი შეადგინა [8, გვ. 129].

თუ უფრო ადრეული კაპიტალიზმის მთავარი პრობლემა იყო ე.წ. „საქონლის ჭარბწაროება“, რომელიც პერიოდულად იწვევდა ციკლურ კრიზისებსა და ეკონომიკის რეალური სექტორის პროდუქციაზე ფასების ვარდნას, თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმის პრობლემა უკვე „ფულის ჭარბწარმოებაა“. ამ უკანასკნელის აშკარა გამოვლინება და შედეგია საპროცენტო განაკვეთების შემცირება საბანკო ოპერაციებზე აქტივებისა და პასივების მიხედვით, უფრო მეტიც, საპროცენტო განაკვეთების გადასვლა „მინუსნიშნიან“ ზონაში. ასეთ პირობებში, ცხადია, საბანკო სისტემა ვერ იარსებებს. ფულად-საკრედიტო ემისიის გაფართოებით ბანკები ერთდროულად აძლიერებენ თავიანთ არამდგრადობას. მცირდება მათი ვალდებულებების დაფარვის ხარისხი, იზრდება შესაძლო ბანკროტობის რისკი. მე-20 საუკუნე მოწმობს მრავალ საბანკო კრიზისს. 21-ე საუკუნეში საბანკო კრიზისების ალბათობა კიდევ უფრო იზრდება.

იმისათვის, რომ ამაღლებულიყო მსოფლიო მევახშეების მიერ შექმნილი საბანკო სისტემის მდგრადობა, რაც მათ „ჰაერიდან ფულის კეთების“ საშუალებას აძლევს, ამ სისტემას დაემატა უმნიშვნელოვანესი ელემენტი სახელწოდებით - „ცენტრალური ბანკი“. ნებისმიერ ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოში წერია, რომ ეს ინსტიტუტი წარმოადგენს „ბოლო ინსტანციის კრედიტორს“. ის „მაშველ რგოლს“ აწვდის კრიზისში მყოფ ბანკებს კრედიტების სახით. რა თქმა უნდა, ცენტრალურ ბანკებს არ ძალუძთ ყველას გადარჩენა, ის მხოლოდ ყველაზე „რჩეულებზე“ ზრუნავს. ობივატელს, რომელსაც შეაქვს თავისი ფული ბანკში ანაბრის სახით, ფსიქოლოგიურად უყალიბდება ნდობა, რომ მისი ფული იმყოფება „ბოლო ინსტანციის კრედიტორის“ საიმედო მეთვალყურეობის ქვეშ. სინამდვილეში, ცენტრალურმა ბანკებმა არაერთხელ გადაარჩინეს მხოლოდ უმსხვილესი კერძო ბანკები, რომლებსაც პროფესიონალი ფინანსისტები „სისტემის ხერხემალს“ უწოდებენ. ასეთ ბანკებზე ამბობენ: „ძალიან დიდია იმისათვის, რომ მოკვდეს“. ცენტრალურ ბანკებზე კი უბრალოდ არაფერია სათქმელი: ისინი ღმერთებივით მარადიულნი არიან.

მაგრამ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ცხოვრება ეჭვქვეშ აყენებს მსგავსი ტიპის აქსიომებს. მაგალითად, გავიხსენოთ 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისი. 2008 წელს ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელმაც შოკში ჩააგდო ისინი, რომლებსაც სწამდათ ფინანსური სამყაროს აქსიმების. მხედველობაში გვაქვს უოლ-სტრიტის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის „ლემან ბრაზერსის“ ბანკროტობა.

უკვე განვლო შედარებითი სტაბილურობის მეცხრე წელმა, მაგრამ მსოფლიო ყოველდღე ელოდება ფინანსური კრიზისის მეორე ტალღას. პირველი ტალღის შემდგომ წლებში ადგილი ჰქონდა მრავალ საინტერესო მოვლენას ფინანსების სამყაროში. ერთ-ერთი აღსანიშნავი მოვლენაა აშშ-ის Fed-ის მიერ „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის ამუშავება. რაოდენობრივი შერბილების პროგრამის ოფიციალურად ანონსირებული მიზანი ამერიკის ეკონომიკის გამოცოცხლებისა და უმუშევრობის შემცირებისათვის პირობების შექმნა იყო. ამ მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებულ იქნა აშშ-ის ეკონომიკაში ფულადი მიწოდების ზრდა ამერიკული ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ხარჯზე. შესყიდვას ექვემდებარებოდა აშშ-ის ხაზინის ქაღალდები, იპოთეკური კრედიტებით უზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებები ანუ, უბრალოდ, „იპოთეკური ქაღალდები“. აშშ-ის ხელისუფლება აცხადებდა, რომ ამით ამაღლდებოდა ამერიკული ბანკების ლიკვიდურობა და მათ მიერ ამერიკული ეკონომიკის დაკრედიტების უნარი.

რა შედეგი მიიღეს აშშ-ის კერძო ბანკებმა რაოდენობრივი შერბილების პროგრამის რეალიზაციის შედეგად? ერთი მხრივ, მათ შეძლეს გაეთავისუფლებინათ თავიანთი ბალანსები ზემოთნახსენები იპოთეკური ქაღალდებისგან. მათგან ზოგიერთი აშკარად „გადასაყრელი“ („ტოქსიკური“) აქტივები იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი იპოთეკური ქაღალდების რეალური საბაზრო ფასი ნომინალზე დაბალი იყო. Fed-ის მიერ იპოთეკური ქაღალდების შესყიდვა გულუხვი საჩუქარი იყო კერძო ბანკების მიმართ. მეორე მხრივ, ამ ბანკების მიერ დამატებით მიღებული ლიკვიდურობა წარიმართა არა ეკონომიკის რეალურ სექტორში, არამედ იქ, სადაც შესაძლებელი იყო გაცილებით მეტის და გაცილებით სწრაფად გამომუშავება, ანუ, ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების განსახორციელებლად. ან მიედინებოდა სახაზინო ვალდებულებებში, Fed-ის დეპოზიტებზე. ამგვარად, რაოდენობრივი შერბილების პროგრამა, რომელიც ოფიციალურად აცხადებდა „ეკონომიკის აღორძინების“ კეთილშებლურ მიზნებს, დე-ფაქტო ასრულებდა ორ ფუნქციას: „სისტემის ხერხემალი“ ბანკების კვებას და ფინანსური კრიზისის ახალი ტალღისათვის პირობების მომზადებას.

რა შედეგის მომტანი აღმოჩნდა ყოველი ზემოჩამთვლილი Fed-ისათვის? მისი „საბეჭდი მანქანა“ გასული ცხრა წლის მანძილზე მუშაობდა ისე ინტენსიურად, რომ არ უმუშავია თვით ოქროსსავალუტო სტანდარტის კრახის შემდგომ „საუკეთესო“ წლებში. აშშ-ის Fed-ის ნაერთი ბალანსის (Fed-ის წევრი 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის ჯამური ბალანსის) ვალუტა ამ პერიოდის განმავლობაში 2007 წლის იანვარში არსებული 823 მლრდ დოლარიდან გაიზარდა 5800 მლრდ დოლარამდე 2018 წლის მარტისათვის, ე.ი., 7-ჯერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანკირებს გააჩნიათ პროფესიული ტერმინი - „ბოლო ინსტანციის კრედიტორი“; მასში იგულისხმება ცენტრალური ბანკი, რომელიც სხვა ბანკ-კრედიტორებზე მაღლა დგას. ვღებულობთ თავისებურ „სავალო პირამიდას“, რომლის შესახებ უბრალო ადამიანისთვის ცოტა რამაა ცნობილი. ამ „პირამიდის“ მწვერვალზე იმყოფება „ბოლო ინსტანციის მევახშე“.

მომდევნო სართულზე მდებარეობს მსოფლიო ფინანსური სისტემის გამგებლები, რომლებსაც „განდობილები“ შეიძლება ვუწოდებთ. ისინი შეგნებულად იბრძვიან მსოფლიო ბატონობისათვის, აქტიურად აღწევენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, არამარტო ფინანსების, არამედ, პოლიტიკის, იდეოლოგიის, რელიგიის სფეროში და მართავენ ამ სფეროებს თავიანთი „არაფორმალური“ სტრუქტურების განშტოებული ქსელის მეშვეობით. ამ ქსელის ზედა სართული წარმოდგენილია ისეთი პოლიტიკური სტრუქტურებით, როგორიცაა ბილდერბერგის კლუბი, საერთაშორისო ურთიერთობის საბჭო და სამმხრივი კომისია.

მევახშეთა „სავალო პირამიდის“ უფრო დაბალ საფეხურებზე იმყოფებიან „უბრალო“ მევახშეები, რომელთათვისაც სიმდიდრის გამრავლება მართლაც შეიძლება იყოს საბოლოო მიზანი და რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ემსახურებიან პირამიდის სათავეში მყოფთ. „უბრალო“ მევახშეების ცხოვრება მარტივი არაა. ის სულაც არაა ისეთი, როგორც მასმედია წარმოაჩენს ხოლმე. მათ შეიძლება „ჩაყლაპონ“ ერთმანეთი (ერთი ბანკის მიერ მეორის შთანთქმა), მათმა ბანკებმა შეიძლება ბანკროტობა განიცადონ. ზოგჯერ ისინი შეიძლება მოკლან „უმადურმა“ კლიენტებმა, პარტნიორებმა ან კონკურენტებმა.

ჩვენს ბანკირებს განკუთვნილი აქვთ სარდაფი, „ტექნიკური“ სართული. მაგრამ მალე მათ შეიძლება მოთხოვონ ამ სარდაფის გათავისუფლებაც კი: ამ სართულზე (ე.ი. ჩვენს საკრედიტო ბაზარზე) მოვლენ უცხოელი ბანკები. ჩვენში მიმდინარე მანკიერი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც გაჯერებულია ე.წ. მეინსტრიმული იდეოლოგიით, მოწმობს იმას, რომ ის „უთავისუფლებს მოედანს“ უცხოელ სტუმრებს.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვან ციტატას წინასიტყვაობიდან ე. სატონის წიგნიდან „დოლარის ძალაუფლება“:

„ის, რაც ხდება რუსეთის, სომხეთის, საქართველოს, რომელიღაც პროვინციული ლატვიის ფინანსურ სამყაროში, ყველაფერი იმყოფება ბარუხისა და მის მსგავსთა ტორის ქვეშ. მაგრამ საჯაროდ ისინი არასოდეს ფიგურირებენ, თითქოს არც არსებობენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველაზე ცნობილნი არიან... გლობალური ხასიათის ზოგიერთი სიუჟეტის მოულოდნელი შემობრუნების გამო ადგილობრივი საბანკო და ფინანსური ჯგუფები შეიძლება მსხვერპლი გახდეს. მსხვერპლი დანარჩენი ფინანსური სისტემის საკეთილდღეოდ. ის, რომელიც გლობალურად ხელმძღვანელობს საბანკო სისტემას, ადგილობრივი კერძო ფინანსური ჯგუფების მტერია. ის, რომ მათ შორის თითქოს არსებობს სიმბიოზი, მხოლოდ მოჩვენებაა. სინამდვილეში, ეს არ არის და არც შეიძლება იყოს! ადგილობრივი ბანკირები ძალიან არაფრთხილად იქცევიან... ისინი ფიქრობენ, რომ მდგომარეობის ბატონები არიან. არა! სინამდვილეში მილიონერების, მულტიმილიარდერებისა და ტრილიონერების სისტემაში ისინი წარმოადგენენ იმას, რასაც საზინაო სააგენტოს მეეზოვეები...“ [1, გვ. 156].

მსოფლიო მევახშეები შეგნებულად აშენებენ სისტემას, რომელიც საბოლოო ანგარიშით, იქნება გლობალური და ტოტალური მონობის სისტემა. ასეთ სისტემას ექნება უკიდურესად მარტივი სოციალური სტრუქტურა:

ა) მსოფლიო მევახშეები არიან იგივე „ახალი“ მონათმფლობელები, იგივე „ოქროს მილიონი“;

ბ) პლანეტის დანარჩენი მცხოვრებნი არიან იგივე „ახალი“ მონები, იგივე „ბინძური მილიარდი“ [2, გვ. 98].

მსჯელობა ამ „ახალ“ მონათმფლობელურ საზოგადოებაზე ძალზე სცილდება მოცემულ თემას. მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა იმას, რომ მონობას თავს ვერ დააღწევს ვერც „ბინძური მილიარდი“, ვერც „ოქროს მილიონი“. საერთაშორისო მევახშეები იმყოფებიან კიდევ უფრო მყარ „სავალო მარყუჟში“, ვიდრე მათი კლიენტი-მოვალეები. ისინი მთელი ცხოვრება ვალში არიან ეშმაკის წინაშე, ხოლო გირაო ამ გარიგებაში მევახშის სულია. როგორ არ უნდა გავიხსენოთ მაცხოვრის სიტყვები: „რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელ ქვეყანას და სულს კი წააგებს? ან კი რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?“ (მათე, 16:26).

იმ პირთა სულიერი და ფსიქიკური ჯანმრთელობის თემა, რომელთაც აქვთ „ბედნიერება“ ეკუთვნოდნენ „მევახშეების“ სოციალურ ჯგუფს, ფრიად საინტერესოა და ნაკლებად გამოკვლეული. მთავარი, რაც თვალში გვხვდება, შემდეგია: ისინი უკვე ამ მიწიერ ცხოვრებაში იქმნებიან „მკვდარ სულებად“. ისინი ხდებიან მონები, ამასთან მონობის მდგომარეობაშია არა სხეული, არამედ სული. 24 საათი დღე-ღამეში, 365 დღე წელიწადში, თავიანთ ბოლო ამოსუნთქვამდე ისინი ემსახურებიან ფულს, „ოქროს ხბოს“ კერპს. თანაც კანონი ასეთია: რაც უფრო მეტი მილიარდები აქვთ მათ, მით უფრო მყარად არიან ისინი მიჯაჭვულნი თავიანთ კერპს და ამ კერპის გამო ნადირობენ ადამიანთა სულებზე.

ძალზე საინტერესოა ე.წ. „საქველმოქმედო“ ფონდების არსი, მათი ნამდვილი დანიშნულება, რომლებიც წარმოადგენენ მევახშეების ფულადი კაპიტალის აკუმულაციის ცენტრებს. აი რას წერს ანდრე ვაჯრა ამ ფონდებისადმი მევახშეების დამოკიდებულებაზე: „ასწლეულების განმავლობაში ოლიგარქიული დინასტიები, როგორც რომელიღაც ქურუმთა კასტა, ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ღმერთს - ფონდებს“ [3, გვ. 222]. და რადგანაც ფულის დაგროვება უსასრულოდ შეიძლება, ამ ოჯახებისათვის ფონდებისადმი მსახურება გახდა ცხოვრების აზრი, თანაც მთელი რიგი თაობების მანძილზე. ამგვარად, აღნიშნული საგვარეულო კლანები ხდებიან ფონდების ცოცხალი დანამატები... აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ასწლეულების განმავლობაში ფონდებისადმი მსახურების პროცესმა გამოიმუშავა მსახურთა გარკვეული ფსიქოლოგია, რომელიც

განსხვავდება იმ ადამიანთა ფსიქოლოგიისგან, რომლებიც არ იცნობენ მსახურების საიდუმლოს. გარკვეული აზრით, ეს ადამიანები შეპყრობილები და ფანატიკოსები არიან. მათი ინდივიდუალური ხარისხი მსგავსია ჯიშიანი მოდარაჯე ძაღლებისა, რომლებიც სპეციალურადაა გამოყვანილი პატრონის ქონების დასაცავად. მათი ცნობიერების მთავარი თავისებურება ისაა, რომ ისინი სამყაროს განიხილავენ, როგორც რაღაც მატერიას, ფონდის შენახვისა და უწყვეტი ზრდის საშუალებას, რომელსაც ისინი ემსახურებიან. მათთვის ფონდი - ესაა აბსოლუტური ფასეულობა, რომლის გულისთვის მსხვერპლად შეიძლება გაიღონ რაც სურთ და ვინც სურთ. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს ადამიანები უკვე მრავალი ასწლეულია მსოფლიოს სწირავენ მსხვერპლად დასავლური ცივილიზაციის ძლევამოსილ აბსტრაქციას - ფულს" [3, გვ. 222-223].

აი რას ამბობს ფონდებსა და მევახშეებს შორის ურთიერთობის ხასიათზე ამერიკელი ეკონომისტი და საზოგადოებრივი მოღვაწე ლინდონ ლარუში: „ოჯახი უკვე არ ფლობს რეალურად ფონდს. ფონდი ფლობს ოჯახებს, მაგალითად, როგორც ტიურნ უნდ ტაკსის ოჯახის შემთხვევაში ევროპაში. ეს ფონდია, ხოლო პრინცი - მხოლოდ ფონდის მემკვიდრე. ბრიტანული სამეფო ოჯახი წარმოადგენს ფონდების კრებულს. თქვენ შეგიძლიათ ამას დააკვირდეთ მთელ მსოფლიოში: კორპორაციები, მდიდარი ოჯახები ქმნიან ფონდებს. მაგალითად, როკფელერების ოჯახი. მათ არ აქვთ დიდი ფული, აქვთ მილიონები, მაგრამ არა მილიარდები. მილიარდები ჩასმულია ფონდებში. ამგვარად, ჩვენ გვაქვს მკვდარი სულების უსიცოცხლო კოლექცია" [4].

თანდათანობით ხდება იმ პირთა ინტელექტუალური და სულიერი დეგრადაცია, რომლებიც დაკავებულნი არიან ფულის „კეთებით". ეს ეხება თანაბრად როგორც მევახშეებს, ისე მათაც, რომლებიც მევახშეებმა გარყვნეს. ამის შესახებ შექმნილია უამრავი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები, რეალური ცხოვრება კი თითქმის ყოველდღიურად ამის აშკარა მაგალითებს გვიჩვენებს.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ ვ. პოდგუზოვის სტატიიდან საინტერესო ნაწყვეტი: „ასწლეულის პრაქტიკამ აჩვენა, რომ მეწარმე, რომელიც აღწევს წარმატებას, როგორც შემოქმედი პიროვნება, გარდაუვალ დეგრადაციას განიცდის. ჯერ ერთი, მეწარმის დამოკიდებულება საზოგადოებისა და ბუნების მიმართ ისაზღვრება მათი ექსპლოატაციით. მეორე, ბიზნესმენის პიროვნების პოტენციალი დინამიურად იფიტება, რადგანაც ის ფლობს რა წიაღისეულსა და სავარგულებს, ქარხნებს ატომური ბომბებისა და კუბოების, უნიტაზებისა და ნარკოტიკების, ლუდისა და პამპერსების, თვითმართვადი რაკეტებისა და დემოკრატიული გაზეთების საწარმოებლად, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თავის თავს წირავს უშინაარსო ცალმხრივობისთვის. წარმოების ჩამოთვლილი სფეროები, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია ტექნიკური თვალსაზრისით, თავისი ეკონომიკური არსით კლონებივით ერთგვაროვანია. ყველაფერი, რაც ხდება საბაზრო ეკონომიკაში, დაქვემდებარებულია მხოლოდ მოგებას, სწორედ ეს მაჩვენებელი იპყრობს წარმატებული ბიზნესმენის მთელ გონებას, რომელიც არ ტოვებს ადგილს სხვა საკითხებისთვის, ახურდავებს რა თავისი ცხოვრების მთელ დროს საბანკო ანგარიშებზე ნულების რაოდენობის ზრდაზე... ბიზნესმენი - ეს არის მუდმივი ფსიქოპატიის მატარებელი, რომელიც აკომპენსირებს შემოქმედებითი საქმიანობისადმი თავის უუნარობას... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეწარმე - ეს არის ინდივიდი, რომელიც პარანოიდულად ცდილობს საკუთრების სიმრავლით, ზოგჯერ კი საკუთრების სიმბოლოებით, შეცვალოს მასში არარსებული მრავალმხრივობის ხარისხი, ანუ პიროვნება" [5]. კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს იმას, რომ ზემოთქმული ეხება თანაბრად როგორც მევახშეებს, ისე მათ, რომლებიც ცდილობენ მიბაძონ მევახშეებს (რომლებიც მევახშეებმა გარყვნეს „ფულის კეთებით").

დღეს ფინანსების სამყაროს და მასში მცხოვრებთ უნდა სწავლობდნენ არა „პროფესიონალი ეკონომისტები", არამედ პროფესიონალი ექიმები (განსაკუთრებით ფსიქიატრები), აგრეთვე სამღვდელო პირები (განსაკუთრებით ისინი, რომლებიც გაწაფულნი არიან „დემონების განდევნაში").

„იმ ადამიანთა ფსიქიკური და სულიერი დაავადებების თემა, რომლებიც ჩაფლულნი არიან ფინანსური სპეკულაციისა და მაქინაციის თანამედროვე სამყაროში, დღეს კიდევ უფრო ნაკლებადაა შესწავლილი. მაგალითად, ფსიქიატრიის შესახებ ყველა საცნობარო წიგნსა და სახელმძღვანელოში საუბარია ისეთ დაავადებაზე, როგორიცაა „ლუდომანია". მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ძლიერი მიდრეკილება აზარტული თამაშისადმი. ის ადამიანისათვის არაფრითაა უფრო ნაკლები საშიშროება, ვიდრე ნარკომანია ან ალკოჰოლიზმი" [8, გვ. 998]. რატომღაც (როგორც ჩანს, ინერციით) ექიმები ლუდომანიის ასეთ შემთხვევებს განიხილავენ, როგორც კარტის, რულეტკის და სხვა აზარტულ თამაშებს სპეციალურ დაწესებულებებში (კაზინოში, სათამაშო ავტომატების დარბაზებში და ა.შ.). მაგრამ, ამ დროს, მხედველობიდან რჩებათ ყველაზე მთავარი - ადამიანთა ძლიერი მიდრეკილება ფინანსური „თამაშებისადმი" - საფონდო, სავალუტო და სხვა ბირჟებზე, აგრეთვე ძლიერი მიდრეკილება „ფინანსური პირამიდებისადმი" და სხვა ფინანსური მაქინაციების მიმართ, რომელიც ხორციელდება ბირჟებს მიღმა. რა თქმა უნდა, მსოფლიო მევახშეები დაინტერესებულნი არიან იმაში, რათა ადამიანთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობა დაავადდეს აღნიშნული სნეულებით: ეს ზრდის „ფინანსური სათამაშო ავტომატების" (ბირჟების, ბანკების, საინვესტიციო ფონდების, ფინანსური ბაზრების და ა.შ.) მფლობელთა შემოსავლებს. მაგრამ, ჩვეულებრივი კაზინოებისა და სათამაშო ავტომატების დარბაზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლუდომანიის მსხვერპლნი არც ისე იშვიათად ხდებიან ამ დაწესებულებების მფლობელები. ცხადია, რომ არც მსოფლიო მევახშეებს გააჩნიათ საჭირო იმუნიტეტი

ლუდომანიისგან თავდასაცავად. იმის მაგალითი, თუ როგორ გახდნენ ფინანსური ოლიგარქები თავიანთი სნეულების მსხვერპლნი, საკმაოდ ბევრია.

რაც შეეხება „განდობილი“ მევახშეების სტრატეგიულ მიზნებს - მსოფლიო ბატონობას, შეუძლებელია ეს არ იყოს სიგიჟე. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ „განდობილ“ მევახშეებს განზრახული აქვთ თავათ მართონ მსოფლიო. სინამდვილეში, ისინ მოტყუებულნი რჩებიან: მათ იყენებს „ამა სოფლის ბნელი ბატონი“. ისინი თავად ხდებიან საშუალება იმისა, რათა გზა გაუკვალონ ანტიქრისტეს. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მამების სიტყვებით, ისინი მხოლოდ წინამორბედნი არიან ანტიქრისტესი, ანუ - „მცირე ანტიქრისტეები“. თუმცა, როგორც ვთქვით, ამ „უმაღლესი“ მიზნის მიღწევის გეგმა თანმიმდევრულად სრულდება და ოდესღაც სრულად შესრულდება. მაგრამ, სწორედ ამ გეგმის შესრულებისას ყველაფერი სრული კრახით დასრულდება მევახშეებისა და ეშმაკისათვის, იმ „საბოლოო ინსტანციის მევახშისათვის“, რომელიც მათ უკან დგას. ამას ძალზე ნათლად მოწმობს ახალი აღთქმა, განსაკუთრებით იოანეს გამოცხადება (აპოკალიპსისი).წმინდა მამები სწორედ ამაზე საუბრობდნენ თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში.

თუმცა, სულაც რომ არ ვიცნობდეთ წმინდა მამათა წინასწარმეტყველებას და მხოლოდ ჯანსაღ აზრს და კარგ ინტუიციას მივენდობით, თითქმის იმავე დასკვნამდე მივალთ. საკმარისია ყურადღება მივაქციოთ მევახშეების ისეთ საკვანძო მახასიათებელს, როგორიცაა მათი დაპროგრამება - გაანადგურონ ყველა და ყოველი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მევახშეების ანტიშემოქმედებითი უნარი ყველასთვის კარგად დასანახი გახდა: დეინდუსტრიალიზაცია, დამანგრეველი კრიზისები, ჩამოშლილი ფინანსური პირამიდები, სიღატაკის ზრდა, ტერორიზმის აღზევება, უწყვეტი ომები და ა.შ.. იმ შემთხვევაში, თუ მევახშეები მართლა მიაღწევენ თავიანთ სანუკვარ მიზანს - მსოფლიო ბატონობას, კაცობრიობა შევა სწრაფი განადგურებისა და კრახის ფაზაში.

ასეთ შეხედულებას ემხრობა მრავალი საღად მოაზროვნე ავტორი. აი, მაგალითად, ისტორიკოსი ალექსანდრე ელისეევი წერს: „გლობალიზაციამ, რა თქმა უნდა, შეიძინა სერიოზული გაქანება, თუმცა, მის სუბიექტებს შორის არსებობს მძლავრი წინააღმდეგობა... მაგრამ, როგორც კი ეს წინააღმდეგობები აღმოიფხვრება, როგორც კი გლობალისტები (მათ ქვეშ ავტორს ესმის ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ბანკების მფლობელები) შექმნიან თავიანთ „მსოფლიო მთავრობას“, მსოფლიო კრიზისი აღგავს პირისაგან მიწისა ამ სუბიექტებს (შეიძლება „მსოფლიო ცივილიზაციასთან“ ერთად). ტრანსნაციონალური სტრუქტურების გამარჯვება გახდება მათი დამარცხება“ [6, გვ. 23].

მიუხედავად იმისა, რომ „ისტორიის დასასრულის“ დრო ჩვენთვის უცნობია, ყველაფერი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული. არამარტო ჩვენ მიერ მიზეზებისა და ისტორიის მამოძრავებელი ძალების გაგებაზე, არამედ ჩვენს საქციელსა და ქმედებებზე. მათ შორის, ჩვენს უნარზე წინააღმდეგობა გავუწიოთ მევახშეებს, „ბოლო ინსტანციის მევახშის“ ჩართვით. წინააღმდეგობის გაწევა, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს არსებული ფულადი სისტემის გარდაქმნის პოზიტიური პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას.

## ლიტერატურა:


1. Энтони Саттон. Власть доллара. М.: Фэри-В, 2003.
2. Егишянц С. А.. Тупики глобализации: торжество прогресса или игры сатанистов? М.: Вече, 2004.
3. Ваджра А.. Путь зла. Запад: матрица глобальной гегемонии. М.: АСТ; Астрель, 2007.
4. ინტერვიუ ლ. ლარუშთან. 01.11.1993// ინტერნეტი. http://polit-inform.ru/showObject/objID/206
5. Подгузов Валерий. Личность и рынок //Интернет. Режим доступа: http://www.proriv.ru/articles.shtml/ podguzov?market_licnost3.
6. Елисеев А.. 1937. Сталин против заговора «глобалистов». М.: Яуза: Эксмо, 2009.
7. Катасонов В. Ю. - Капитализм. История и идеология «денежной цивилизации» - 2013.
8. Катасонов В. Ю. Кризис денежной цивилизации. Что ожидать человечеству в будущем? / — «Книжный мир», 2016.

# The virus of usury as the main cause of the permanent crisis

***Malkhaz Chikobava***
*Associate professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

The article analyzes the essence of modern financial capitalism, its metamorphosis and the results of quantitative easing policy. It is noteworthy that the main characteristic of modern financial capitalism is that the US dollar and all other currencies are credit money. In addition, these currencies are issued not only by central banks, but also by commercial banks. This leads to an inevitable increase in debt, which is growing rapidly throughout the world and undermining the real sector of the economy.

The article notes that world usurers deliberately build a system that will eventually become a global and general system of slavery. Such a system will have a very simple social structure: new slaveholders, that is, "golden millions" and the rest of the population, or "dirty" billions.

The article also discusses the so-called "Charitable" funds, which in fact are the centers of accumulation of money, and whose real purpose is to serve the interests of world usurers.

In addition, the article highlights the theme of mental and spiritual diseases that are hidden in the modern world of financial speculation and fraud, which are even less studied today. Unfortunately, today people do not pay attention to the most important thing - human beings are prone to strong financial ludomania, as well as a strong inclination to the "financial pyramids" and other financial frauds that are carried out outside the exchanges.

In conclusion, it is said that, despite the fact that the "end of history" is not known to us, everything depends on us, including on the ability to resist moneylenders. Resistance along with other problems implies the development and implementation of positive programs to change the existing monetary system.

***Keywords:*** *financial capitalism; quantitative easing policy; credit money; stock exchange; derivative securities; usury.*

# გასტრონომიული ტურიზმის და გასტრონომიული ტურისტის საკითხის შესწავლისთვის


**ცატავა დალილა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო*
*თბილისის უნივერსიტეტის დოქტორანტი,*
*თსუ ტურიზმის კვლევითი ცენტრის წევრი,*
*საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის GIPA ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორი*



*გლობალიზაციის პროცესმა შეცვალა სამყარო, ბევრი რამ იცვლება ტურიზმის, კონკრეტულად კი - გასტრონომიული ტურიზმის სფეროშიც. იცვლება საკვები და გაქრობის საშიშროების წინაშე დგას ტრაპეზის კულტურა, რიტუალები და დამოკიდებულებები, რაც ერის იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელია. ამ კონტექსტით შესაძლებელია წარმატებულად იქნეს განხილული გასტრონომიული ტურიზმის შესაძლებლობების განვითარება. ამას უკავშირდება ბოლოდროინდელი „გასტრონომიული ბუმი“. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე სტატიაში შევეცადეთ მოკლედ განგვემარტა გასტრონომიული ტურიზმის და გასტრონომიული ტურისტის ცნება, მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის და კულტურის გაძლერებაში.*



*საკვანძო სიტყვები: გასტრონომიული ტურიზმი; გასტრონომიული ტურისტი; გასტრონომიული კულტურა; ტრაპეზი (საკვების მიღების ერთობლივი პროცესი).*


მოვლენა, რომელსაც დღეს როგორც გასტრონომიულ, ზოგჯერ კი კულინარიულ ტურიზმად განიხილავენ, შეიძლება ითქვას, შორეული წარსულიდან მოდის, როდესაც ვაჭრები მოგზაურობდნენ სანელებლებზე საკმაზებზე, სამკურნალო მცენარეებზე, ჩაროზებზე, ღვინოსა და სასმელებზე წვდომის მიზნით.

გლობალიზაციამ თანამედროვე სამყაროში ყველა ეს პრობლემა თითქმის უკვე გადაჭრა. სუპერმარკეტში შესაძლებელი გახდა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში წარმოებული პროდუქტის ყიდვა. ტრაპეზი კი მაკდონალდიზაციის პროცესმა თითქმის ერთიანი და ერთნაირი გახადა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტურისტების დიდი ნაწილი სწორედ გასტრონომიულ ტურებში მიემგზავრება იმ მიზნით, რომ დააგემოვნოს ნაციონალური სამზარეულო და გაიცნოს ერის ავთენტური გემო ადგილზე, სადაც ესა თუ ის კერძი თუ ღვინო წარმოიშვა და დღესაც ძველი წესით მზადდება. ამიტომაც არის, რომ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო მზარდ ტენდენციად მიიჩნევს გასტრონომიულ/კულინარიულ ტურებს. ბუნებრივია ნებისმიერი ტურისტს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ჩადის, მაინც აქვს კავშირის ქვეყნის სამზარეულოსთან, მის გასტრონომიულ კულტურასთან და ამით მნიშვნელოვან წარმოდგენას იქმნის ზოგადად ქვეყნის შესახებ და საერთოდ ერის შესახებ.

კარგი და მაღალხარისხიანი ეროვნული სამზარეულო არის სწორედ კულინარიული ტურიზმის ეფექტურობისა და პოპულარობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

## კულინარიული ტურიზმისა და გასტრონომიული ტურიზმის ცნებათა შესახებ.

ტერმინი - „კულინარიული ტურიზმი“(culinary tourism) 1998 წელს პირველად შემოიტანა ამერიკის ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის ბოულინგ გრინის (Bowling Green) ეროვნული კულტურის კათედრის პროფესორმა ლუსი ლონგმა. იმისათვის რომ გამოეხატა თავისი იდეა, თუ როგორ შეიმეცნებენ ადამიანები სხვადასხვა კულტურებს საკვების და ტრაპეზის კულტურის მეშვეობით:„მე კულინარიულ ტურიზმს განვმარტავ როგორც შესწავლაზე დაყრდნობით წინასწარგანზრახულ მონაწილეობას კვებით აქტივობაში, რომელში მონაწილეობა მოიცავს მოხმარებას, მომზადებას, საკვების წარდგენა-მიწოდებას, სამზარეულოს, კვებით სისტემას ან კვების სტილს, რომელიც მიიჩნევა კულინარიულ სისტემად და არ არის ერთის საკუთრება. ეს განმარტება ხაზს უსვამს ინდივიდის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მნიშვნელობას ტურისტული გამოცდილების მიღებისას, რადგან მასში საკვები, როგორც ამ გამოცდილების ნაწილი, იწვევს ესთეტიკური რეაქციას“ (Long 2004:20-21).

გასტრონომიული ტურიზმის, როგორც ახალი ტენდენციის შესახებ, ინტენსიური და საჯარო მსჯელობა დაიწყო 2001 წლიდან, როცა ერიკ ვულფმა (Erik Wolf) ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, ეკონომისტმა, ანთროპოლოგმა და მწერალმა, კულინარიული ტურიზმის მსოფლიო ასოციაციის (ICTA The International Culinary Tourism Association, 2003) დამარსებელმა, პირველი დოკუმენტი წარადგინა კულინარიული ტურიზმის კონცეფციაზე. ეს კონცეფცია შემდეგ კვლევის სახით წარმოჩინდა მის წიგნში, სადაც ის აღწერდა კულინარიული ტურიზმის მზარდ ტენდენციებს და მის მნიშვნელობას. კულინარიული ტურიზმის მსოფლიო ასოციაციის მანიფესტი კარგად გამოხატავს ადამიანის უნარს, შეიმეცნოს ქვეყნის კულტურა,

ისტორია, ერის მიდრეკილებები და ჩვევები კვების კულტურის მიხედვით. „საკვები - ეს ერის ხასიათის და ისტორიის კვინტესენციაა“[2] .

## არსებული მდგომარეობის ანალიზი

20012 წელს ბრიუსელში ჩამოყალიბდა გასტრონომიის, კულტურის და კულინარიული ტურიზმის საერთაშორისო ინსტიტუტი IGCAT, რომელიც კურირებს გასტრონომიული ტურიზმის მსოფლიო ასოციაციის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებს [3].

ამ სფეროში ერთ ერთი ლიდერი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია ასევე World Food Travel Association (WFTA) [4].

იუნესკოს ეგიდით არამატერიალურ ნუსხაში შეტანილია ფრანგული სამზარეულო, მექსიკური სამზარეულო და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კვების სისტემა. ასევე იუნესკო ყოველწლიურად ატარებს კვლევებს საუკეთესო გასტრონომიული ქალაქის გამოსავკლენად. ამ სიაში შეტანილია კოლუმბიის ქალაქი პოპაიანი, სიჩუანური სამზარეულოს ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი ჩინეთში - ჩენდუ, შვედეთში - ესტერსუნდი, ხათაი - თურქეთში.

ამრიგად, გასტრონომიული ტურიზმი დიდი ბიზნესი და კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება ხდება. დღეისათვის კი ეს ტერმინი უკვე ტურისტული პროდუქტის მნიშვნელოვანი გამოხატულება გახდა მთელს მსოფლიოში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ტერმინის შემადგენელი ნაწილია ასევე ღვინისა და ლუდის თემატური ტურები, რომლებიც ცხადად გვაცნობენ ამა თუ იმ ქვეყნის ვაზის, ღვინის, და სხვადასხვა სასმელების კულტურას. როგორც ამ ბიზნესის და კულტურის სფეროს წარმომადგენლები ვარაუდობენ, ტურიზმის ეს ნიშა ბევრი უპირატესობის წინაპირობა გახდება სამომავლოდ.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ტურისტისათვის კვება და სასმელი უპირველესი კომპონენტია მოგზაურობის დროს, მით უმეტეს, თუ ტური საერთოდ ნაციონალურ სამზარეულოს ეხება. ის მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება შემდგომი მოტივაციისათვის, რომ ჩახვიდე მოცემულ ქვეყანაში და ნაციონალურ სამზარეულოსთან ერთად, კულტურას და სხვა ფასეულობებს გაეცნო. გასტრონომიული ტურიზმი საშუალებას აძლევს ქვეყანას, რომ ტურისტს მთელი ეროვნული არამატერიალური თუ მატერიალური ფასეულობები, რიტუალები, ტრადიციები, ფოლკლორი, მუსიკა, ცხოვრების სტილი, სარეწაო საქმიანობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ეროვნული განსაკუთრებული ტექნოლოგიური პროცესები ადგილზე ავთენტურ სიტუაციაში გააცნოს. კიდევ უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ეროვნული სამზარეულო ასევე შანსს აძლევს ტურისტს თვითონ მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ ეროვნული, ქვეყნისთვის განსაკუთრებული კერძის მომზადებაში, რისთვისაც ბევრი ტურ-ოპერტორი ტურისტულ მარშრუტში დებს დეგუსტაციებს, კულინარიულ მასტერ კლასებს და ა.შ. საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ ასეთ ტურებს ხშირად სეზონი არ აქვს, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება მოეწყოს. მნიშვნელოვანია ისიც, თუ კულინარიული ტური რამე ფესტივალს, ეროვნულ დღესასწაულს ან დიდ ზეიმს ემთხვევა.

ზემოთ მოყვანილი ლუსი ლონგის განმარტება კარგად ასახავს თუ როგორი ფუნქცია აქვს გასტრონომიული ტურიზმის ცნებას. დღეს ასევე სარგებლობენ ისეთი ცნებებით, როგორცაა „კულინარიული ტურიზმი“, ,,ფუდ ტურიზმი“ და ა.შ. ერიკ ვოლფი წერს, რომ ეს ძალიან მარტივად გასასაზღვრი ცნებაა იმ თვალსაზრისით, რომ მოგზაურობისას დაუვიწყარი კერძი ქმნის გამოცდილებას და უნიკალურობის შეგრძნებას. ("The pursuit and enjoyment of unique and memorable food and drink experiences, both far and near.")[ Erik Wolf, 2003].

პოსტსაჭოთა ქვეყნების სამეცნიერო წრეებში ეს თემა ბოლო დროს ძალიან აქტუალური ხდება, როგორც ეკონომიკური, ასევე ისტორიული, კულტურული და ბიზნესის თვალსაზრისით. სამეცნიერო წრეებში გასტრონომიულ ტურიზმს განმარტავენ როგორც ერის ისტორიის, მისი მრავალფეროვნებისა და ადათწესების მთელი პალიტრის შეცნობის ფაქტორს. ,,გასტრონომიული ტურიზმი უპირველესად არის ხალხების მენტალიტეტის შეცნობის, საუკუნოვანი ტრადიციების და ეროვნული სულის შეცნობის საშუალება საკვების მომზადებისა და მოხმარების კულტურის გზით. გასტრონომიული მოგზაურობა - პალიტრაა, რომლის მეშვეობითაც ტურისტს შეუძლია დახატოს თავისი შეხედულებები ამა თუ იმ ქვეყანაზე. საკვები გამოააშკარავებს ერების სულის საიდუმლოს, გვეხმარება გავიგოთ მათი მენტალიტეტი [Сохань, И.В. 2011].

მაგრამ საინტერესოა, ვინ არის გასტრონომიული/ფუდ ტურისტი და როგორი კატეგორიის ადამიანები არიან ისინი? რა ტიპის გასტრონომიულ ტურებს ირჩევენ ისინი?

გასტრონომიული ტურისტები არიან ადამიანები, რომლებიც, ასე ვთქვათ, ცხრა მთას იქით მიდიან, რომ თავიანთი გასტრონომიული ინტერესები გაიფართოვონ. აქ მსჯელობაა არ არის ჭამის მოყვარულებზე, არამედ, გურმეებსა და გურმანებზე, ისტორიის მკვლევარებზე, ანთროპოლოგებზე და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებზე. გასტრონომიული ტურიზმის ტურისტები ხშირად ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც მოგზაურობის ხანგრძლივი სტაჟი აქვთ და ახლა იმავე ქვეყანაში შეიძლება მხოლოდ გასტრონომიული

კუთხით ქვეყნის გასაცნობად ჩავიდნენ. ამიტომაც უპრიანია, ყველამ ეკონომიკის სამინისტროში, თუ ტურიზმის დეპარტამენტში გააცნობიეროს, რომ ყველა ტურისტი არ მიდის მუზეუმში და გამოფენებზე, მაგრამ ყველა ტურისტი აგემოვნებს ქვეყნის საკვებს, ზოგი კი მიზანმიმართულად, რომ სწორედ ამ კუთხიდან გაიცნოს ესა თუ ის ეთნოკულტურა, რომლის ზუმიც XXI საუკუნეში დადგა. თანამედროვე ტურისტს მხოლოდ დანახვა უკვე აღარ აკმაყოფილებს. ის ცდილობს, რომ ქვეყანა „შეიგრძნოს.“ ამას კი ყველაზე კარგად ფუდ ტურისტი ახერხებს. სწორედ საკვები უწყობს ხელს, რომ ქვეყნის კულტურაში შეაღწიო და იგრძნო ის „სხვა“ არა მარტო ინტელექტუალურ დონეზე, არამედ გრძნობების დონეზეც. საკვები ტურისტის დესტინაციის მნიშვნელოვანი ატრიბუტია, რომელიც შეგრძნებებით ავსებს ტურისტულ შთაბეჭდილებებს. გლობალიზაციამ და ყველაფრისადმი ხელმისაწვდომობამ, საკვების როლის და მნიშვნელობის წინ წამოწევამ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახადა ტურისტული მარშრუტები, განსაკუთრებით კი გურმეებისათვის, ისტორიკოსებისა და ანთროპოლოგებისათვის. ისინი იკვლევენ ამა თუ იმ კერძის ფესვებს, ერის ინტრესებს, გარემოს, ყოფას და ადათებს. რაც მხოლოდ ადგილზე შეიძლება „შეიგრძნო“.

ამგვარად, სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ირჩევს ტურებს გასტრონომიული მიზნით. გასტრონომიული ტურისტი არის ტურისტი, ვისი მამოტივირებელი ფაქტორი ქვეყნის გასაცნობად არის საკვები და სასმელი. ეს ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის მიზანმიმართულად ირჩევს ლოკალურ, ადგილობრივ ავთენტურ საკვებს და არასდროს არ შედის მასობრივ კვების ობიექტებში.

## გასტრონომიული ტურისტის და გასტრონომიული ტურიზმის სეგმენტაცია

ჰოლპმა და შარპლზმა (2003) მოახდინეს გასტრონომიული ტურიზმის სეგმენტაცია, რომელიც დაფუძნებული იყო ინტერესების უმთავრესობაზე და გამოავლინეს რამდენიმე ტიპი:

1. გასტრონომიული ტურიზმით დაინტერესების მთავარი ფაქტორია, რესტორნების, ბაზრობების და სხვადასხვა საკვები ობიექტების, ვენახების, ლუდსახარშების, ადგილობრივი ყველის, თუ ზღვის პროდუქტების კულტურის დათვალიერება და დაგემოვნება. ასეთ სეგმენტს მეცნერებმა უწოდეს - გასტრონომიული (გურმე, ფუდ, კულინარიული) ტურიზმი.
2. ტურისტების მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებსაც სურთ, რომ ქვეყანაში მოგზაურობასთან ერთად, ასევე მონაწილეობა მიიღონ კულინარიულ მასტერკლასებში და დააგემოვნონ ქვეყნის ნაციონალური კერძები, გაერკვნენ კვების კულტურის სხვადასხვა კომპონენტში.
3. გასტრონომიულ ტურებში მონაწილე ფუდტურისტების მესამე კატეგორიაა ისეთი ადამიანები, რომლებიც ნაკლებ ინტერესს იჩენენ საკვების ისტორიული და კულტურული დანიშნულებისადმი, მაგრამ აინტერესებთ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურა და განსხვავება სოფლისა და ქალაქის ცხოვრებას შორის.
4. მეოთხე-ტურისტების ის სეგმენტია, რომელსაც არ აინტერესებს გასტრონომიული კულტურა, საკვებს კი ტურისტის ყოველდღიურ აქტივობად უყურებს, მაგრამ გემოვნურ თვისებებს მნიშვნელობას ანიჭებს.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გასტრონომიული (კულინარიული, ფუდ) ტურისტი შეიძლება იყოს გურმეტურისტი, თავისი რაფინირებული გემოვნებით მასპინძელი სამზარეულოსადმი, ან ტურისტი, რომელიც ტკბება კონკრეტული რეგიონის უნიკალური კერძით, „რომლის ჭამა, მხოლოდ იქ შეიძლება.“[Anne-Mette Hjalager,Greg Richards 2001] ტურისტებისათვის ახალი გასტრონომიული გამოცდილებების და თავგადასავლების შექმნისას თანამედროვე მაღალკონკურეტულ ბაზარზე ძალიან მნიშვნელოვანია კულტურა, ტრადიცია და პროდუქტი კონკრეტულ მარშრუტს მიეზას და ამასთანავე, გარკვეული პარალელი გაივლოს, კავშირები ინახოს ტურისტის კულტურასთანაც. გასტრონომიული კულტურის პოპულარიზაციაზე მომუშავე ადამიანებს, მეტი დროის დახარჯვა მოუწევთ იმაზე, რომ ერთგვარი ხიდები და დამაკავშირებელი გზები ააგონ სხვადასხვა სივრცეებს და რეგიონებს შორის. გარდა ადგილობრივი გასტრონომიული კულტურის შეცნობისა, გასტრონომიულმა ტურიზმმა მოიცვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ეს არის გასტრონომიული ტურისტის მიერ ადგილობრივი კერძების ავთენტური გემოს შექმნის ტექნოლოგიური პროცესების ადგილზე გაცნობა და მასში მონაწილეობის მიღება. ადგილობრივი მოსახლეობის თუ ცნობილი შეფების მიერ ადგილზე გაკეთებული კერძის ნიუანსებსა და საიდუმლოებებში წვდომა, სწორედ ამისთვისაც იხდის ის დიდ ფულს. ტურისტი აცნობიერებს, თუ რა რადიკალური განსხვავება და რა საერთოა იმ ქვეყნის, თუ რეგიონის წარმამადგენლებს და მას შორის. ადგილობრივ ფესტვალებში მონაწილეობა და ტრადიციის თუ კულტურის ნაწილად ქცევის პროცესი, კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ტურისტის შთაბეჭდილებებს და სწორედ ამას იყენებს ტურიზმი, როგორც დიდი ბიზნესი. გასტრონომიული ტურიზმი ტურისტს სულ სხვა ხედვას უყალიბებს ქვეყნის შესახებ, ის უკვე სხვა თვალით უყურებს კულტურას და ლანდშაფტს, იწყებს ამ ქვეყნის კონკრეტული რეგიონის სხვაგვარად შეფასებას.

მთელ მსოფლიოში მაკდონალდიზაციის პროცესმა, რომელიც გლობალიზაციასთან ასოცირდება, კიდევ უფრო გაამძაფრა გლოკალიზაცია. პირიქით, ადამიანები სულ უფრო და უფრო ეძებენ ახალს, განსაკუთრებულს და ეგზოტიკურს, რომელიც მათთვის ნაცნობს არ გავს. კვების საკითხიც ხომ ინდივიდუალურია: ვიღაც, ვისაც შემწვარი კარტოფილი უყვარს, მისურის შტატში დაგემოვნებულ ჭრიჭინებს შემწვარ კარტოფილს ადარებს, ქათმის ხორცის მოყვარულები კი სიამოვნებით აგემოვნებენ კამბოჯაში ტარანტულებს, ვიღაც ღამურას საქონლის ხორცის გემოს ადარებს და ა.შ. ასეთი ტურის მოწყობით შეიძლება ქვეყნის სხვა მიმართულებების განვითარება და წინ წამოწევა, რადგან, მაგალითად, საფრანგეთში ტურისტი როგორი გურმანიც არ უნდა იყოს ის, მხოლოდ ბაყაყის თათების გასასინჯად არ ჩავა, ან კამბოჯაში გველის სუპის და გველის სისხლის დასაგემოვნებლად ან კიდევ საქართველოში ხაჭაპურის გასასინჯად. ასეთი ტურები კულტურული ტურიზმის ჭრილშიც განიხილება, კვების კულტურისადმი ინტერესთან ერთად ტურისტი იღრმავებს, ცოდნას ამა თუ იმ ერის შესახებ, ხდება უფრო ტოლერანტული. გასტრონომიული ტურიზმის განვითარება ცვლის გლობალურ სოციალურ მიდგომებს ადამიანებში, უფრო ფართოდ ხედავს კვების და საკვების როლს ადამიანის განვითარების ისტორიაში და მის სამომავლო პერსპექტივებს ერთობლივ სამყაროში, სადაც ყველა არსებას ჭირდება საკვები.

ამრიგად, გასტრონომიული ტურიზმის ყველაზე განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ამ სახეობის გასავითარებლად პირობები ნებისმიერ ქვეყანას აქვს. გასტრონომიულ ტურიზმს არ აქვს სეზონური ხასიათი და, ასევე, გასტრონომიული ტური შეიძლება ნებისმიერი ტურისტული მარშრუტის შემადგენელი ნაწილი გახდეს.

## გასტრონომიული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და საქართველო

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ გასტრონომიული ტურიზმის და გასტრონომიული ტურისტის ცნება, განვითარების ძირითად შესაძლებლობები და თუ რა ძალა ამოძრავებს გასტრონომიულ ტურიზმს. რაც უფრო იზრდება კონკურენცია ტურისტული დანიშნულების ადგილებს შორის, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ადგილობრივი კულტურა, მისი ავთენტურობა, განმასხვავებელი მახასიათებლების მოძიება. გასტრონომიას ამ ყველაფერში ძალიან დიდი როლი აქვს, ის განიხილება როგორც ტურიზმის საიმიჯო რესურსი. გასტრონომია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მასპინძლობის ინდუსტრიის ერთ-ერთი შემავსებელი დარგი, ასვე როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი სახეობა. ტურისტის დღეს საკვების სტრუქტურა განსაზღვრავს. ტურისტების უმრავლესობის შთაბეჭდილების ყველაზე დიდ ნაწილს სწორედ კვება იკავებს. დანიშნულების ადგილისთვის დამახასიათებელი უნიკალური პროდუქტების დაგემოვნება კი მის მეხსიერებაში როგორც უკვე ვახსენეთ, ტოვებს სიგნალს: „ამის ჭამა მხოლოდ აქაა შესაძლებელი“. თუმცა გლობალიზაციამ ეს მიდგომა საფრთხის ქვეშ დააყენა, ისეთი საკვები, როგორიცაა „ფრანგული ფრი“ ხელმისაწვდომი გახდა ყველგან და საკვები, რომელიც ადრე სეზონური იყო, იყიდება მთელი წლის განმავლობაში, რაც მიჯნავს ერთმანეთისაგან საკვებსა და ადგილს. სწრაფად ცვალებად კულინარიულ ლანდშაფტში, გლობალიზაციისა და გლოკალიზაციის ძალები ზეწოლას ახდენენ ჩვენს კვებით ჩვეულებებზე. სწრაფი კვების გავრცელება გახდა კულტურის გლობალიზაციის მახასიათებელი და ჩამოყალიბდა ტერმინად „მაკდონალდიზაცია“. თუმცა გლობალიზაციას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს, სამშობლოს მონატრებული ტურისტისათვის ზევრჯერ ძალიან სასიამოვნოა საკუთარი ქვეყნის ბრენდის სხვა ქვეყანაში აღმოჩენა.

გასტრონომიის სპეციფიკურ/კონკრეტულ რეგიონებსა და ქვეყნებზე მიბმა ტურიზმის მარკეტინგისათვის მძლავრი ბერკეტია. ლოკალური და რეგიონული საკვების ძიება და კვლევა, შეიძლება გახდეს სხვადასხვა ადგილის მონახულებისა და მოგზაურობის მიზეზი. მსოფლიოში უკვე ბევრმა ქვეყანამ და რეგიონმა დაიწყო ამ იდეის/მიდგომის რეალიზება და ისინი გასტრონომიას მარკეტინგის იარაღად იყენებენ და ამის ხარჯზე ყიდიან ტურიზმს. ამ თვალსაზრისით ქართული გასტრონომიული კულტურა ძალიან საინტერესო ფენომენია, რადგან ძალიან მცირე გეოგრაფიულ არეალში თავს იყრის რამდენიმე კონტრასტული სამზარეულო. მხედველობაში გვაქვს საქართველოს რეგიონების დამახასიათებელ, გამორჩეულ, მრავალფეროვან და თვითმყოფად კულინარიაზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული ტრადიციული სუფრა, თავისი თამადის, მერიქიფის ინსტიტუტით. ის წესები, რომელიც განასხვავებს ქართულ სამგლოვიარო და სადღესასწაულო სუფრებს, თავისი რიტუალებით ქმნის ტურისტისათვის მიმზიდველ გარემოს.

გასტრონომიული ტურიზმი საქართველოში საკმაოდ ახალი ბაზარია, შესაბამისად, აქ ეს მიმართულება შეიძლება კარგად განვითარდეს. ჩვენ ვდგავართ დიდი გამოწვევის წინაშე, საქართველოს ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ტურისტული პოტენციალი აქვს, შესაბამისად კულინარია აუცილებლად კარგ დონეზე უნდა ქონდეს როგორც ტურისტულ ქვეყანას. ერთი შეხედვით, ჩვენთან გასტრონომია თითქოს ერთ ადგილზეა გაყინული, თუმცა, ამ აზრს ბევრი არ ეთანხმება, ცვლილებები მიმდინარეობს, მაგრამ ძალიან ნელი ტემპით და შესაბამისად, თუ აღნიშნულ სფეროში ჩახედული არ ხარ, შეუმჩნეველიც კია. საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე ადვილად შევამჩნევთ იმ დიდი ლაქას, რომელიც საბჭოთა კავშირმა დატოვა ქართულ გას-

ტრონომიაში. საბჭოთა პერიოდმა გამოიწვია გარკვეული დეგრადაცია აღნიშნულ სფეროში, ჩავიკეტეთ რაღაც სივრცეში, გემოვნურმა თვისებებმა დაიწყო უკანა პლანზე გადაიწია, მივედით იქამდე, რომ საკვები გახდა არა კულტურის, ეთნოსის შემადგენელი ნაწილი ტრადიციული ასპექტით, არამედ საკვები იქცა „ნაყროვანების“ ელემენტად. მიუხედავად იმისა, რომ გასტრონომიული ტურიზმის თვალსაზრისით საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს, რეალურად არ არსებობს ამ სფეროს განვითარების გეგმა და სტრატეგია. ეს სფერო დღემდე აუთვისებელია. ლოგიკურად ისმის კითხვა: „რა არის ამის მიზეზი?“ - ზოგადი გასტრონომიული პრობლემები საქართველოში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხრიდან ნაკლები ჩართულობა, კერძო სექტორის მხრიდან ნაკლები დაინტერესება.

ამ მნიშვნელოვანი გამოწვევებიდან, გვინდა გამოვყოთ ზოგადი გასტრონომიული პრობლემები, გამომდინარე იქიდან, რომ პირველ რიგში, მათი გადაჭრაა საჭირო, რათა მოხდეს დანარჩენების აღმოფხვრა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მოვახდინეთ ზოგიერთი მოსაზრებების შეჯამება ანუ, აუცილებლად მიგვაჩნია:

- ქვეყნის სარესტორნო ბიზნესის, მათი მენიუების, ნაციონალური კერძების მიწოდების ფორმების და ნედლეულის ხარისხის შესწავლა;
- რესტორნებისადმი მოთხოვნები და სტანდარტები უნდა იყოს ძალიან მკაცრი, რომ ტუროპერატორმა სწორად შეარჩიოს მისი ტურისტებისათვის კვების ობიექტი;
- შესწავლილი იქნეს ისეთი დაწესებულებები, სადაც ტარდება კულინარიული მასტერკლასები, მისი შინაარსი და ხარისხი, შეფმზარეულების სერტიფიცირებულობა, ნედლეულის ხარისხი და ავთენტურობა, რადგან სწორედ ასეთი დაწესებულებებია კულინარიული გიდები, ისტორიის, ანთროპოლოგიის, კულტურის, მიმწოდებლები, რომელიც მრავალმხრივ განათლებასა და ცოდნას მოითხოვს;
- ტუროპერატორი, რომელიც კულინარიულ მარშრუტს გეგმავს, კარგად უნდა იცნობდეს საკვები დაწესებულების მთელ შინაარსს, რომ იქ მას „’□,‘“□†‘□,‘ ექკურსიათმძღოლინ დახვდება, რომელსაც სათანადო ცოდნით, რადგან რეფლექსიური ნაწილი განსაზღვრავს წარმატებას;
- სახელმწიფო დაწესებულებებმა ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი კულინარიული და გასტრონოიული ტურიზმის ბლოგებს, სატელვიზიო გადაცემებს, ინტერნეტგამოცემებს, მასტერკლასებს, რადიო თუ პრესის ინფორმაციებს, რომლებიც ნაციონალურ სამზარეულოს უწევენ პოპულარიზაციას და ეცადონ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხარი დაუჭირონ მათ ინიციატივებს;
- ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კულინარიული ტურისტი უკვე გამოცდილი გურმანი ან მოყვარული დეგუსტატორია, ამიტომაც კლიენტების ამ კატეგორიას, განსაკუთრებული სიფრთხილე ჭირდება, მათი მოტყუების მცდელობაც კი თავშივე უკვე განწირულია. ასეთი ადამიანები ბევრი ქვეყნის სამზარეულოს იცნობენ და სწორედ ამიტომაც ირჩევენ კულინარიულ ტურებს. ისინი გამოცდილები არიან და კარგად იციან, რომ ინტერნეტში ვერ იგრძნობ სუნს და გემოს, ამიტომაც დებენ ინვესტიციას, რომელსაც ტუროპერატორისთვის შემოსავალი მოაქვს, ქვეყნისთვის კი იმიჯი და ეკონომიკური სიძლიერე.

## დასკვნა

გასტრონომიული ტურიზმის თემა არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ახალი თემაა, მაგრამ ის ტურიზმის დიდი ბიზნესის მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა, რეფლექსური ნაწილი მწირია, რადგან მეცნიერები საფუძვლიანად არ იკვლევდნენ გასტრონომიულ კულტურას, გასტრონომიას როგორც ტურიზმის ცალკე თემას, დღეისათვის ინტერესი დიდია და სულ უფრო და უფრო მეტი ინტერდიციპლინური საგნები იქმნება ამსთან დაკავშირებით. ჩვენი სტატიის მიზანიც ის არის, რომ მოვახდონოთ ამ თემის სწორი გაგება, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნებების და ტემინების დამკვიდრება და პოპულარიზება.

## ლიტერატურა:


1. Tourism and Gastronomy – by Anne-Mette Hjalager and Greg Richards, Routledge (UK), 2001. (245 გვ)
2. ტურიზმი და გატრონომია, (ხელნაწერი სკრიპტი 202 A4 გვერდი)- ავტორი დალილა ცატავა.
3. Erik Wolf, Executive Director, World Food Travel Association, 2003). https://www.worldfoodtravel.org/cpages/what-is-food-tourism
4. www.worldfoodtravel.org/cpages/home
5. “The term ‘foodways” suggests that food is a new work of activities and systems – physical, social (communicative), cultural, economic, spiritual, and aesthetic” (Long 2004:23)
6. https://www.worldfoodtravel.org/cpages/what-is-food-tourism
7. http://www.dr-gerald-wetzel.de/assets/2015-01-kulinarischer-tourismus.pdf
8. http://kulinarischer-tourismus.de/

9. М. В. Капкан, Л. С. Лихачева ГАСТРОНОМИЧЕСКАЯ КУЛЬТУРА: ПОНЯТИЕ, ФУНКЦИИ, ФАКТОРЫ ФОРМИРОВАНИЯ
10. Сохань, И.В. Особенности русской гастрономической культуры / И.В.Сохань // Вестник Томского государственного университета, 2011. – № 347. – С. 61–68.
11. www.worldfoodtravel.org/cpages/home (05.02.2018)

## Towards the Study of Gastronomic Tourism and Gastronomic Tourist Issues

***Dalila Tsatava***

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Doctoral Student.*
*TSU Tourism research Centre Lecturer.*
*Georgian Institute of Public Affairs(GIPA) Business Faculty Lecturer*

S u m m a r y

Introduction and Goal: The process of globalization has changed the world, a lot of things change with tourism, especially in gastronomic tourism. The food is changing and the trapeze culture, rituals and attitudes that are one of the characteristics of the nation's identity, are facing extinction. The majority of nations are constantly trying to use the natural, historical and cultural resources to maintain their identity. In this context, it is possible to successfully develop the gastronomic tourism capabilities. It is linked to the recent "gastronomic boom". Based on the topic's relevance, we have tried to briefly describe gastronomic tourism and who is the concept of gastronomic tourist, its importance in the country's economy and culture.

Theoretical and methodological basics of the research: The theoretical and methodological basis of the thesis is the contemporary Georgian and foreign scientific works on gastronomic tourism issues, expert evaluations, materials of international conferences dedicated to gastronomic tourism issues, historical and other sources.

Results and Implications: Based on the research we have determined the concept of gastronomic tourism, studying its various forms. The concept of gastronomic tourism has emerged in modern times and requires a careful study. The reflexive moment which is one of the most important points in this area, is very evolving, so the scientific part should show more activity towards the topic of tourism, economics and culture.

Conclusion: Understanding the gravitational tourism as an important tourism business and the study of current events in the global world will help to develop gastronomic culture, maintain the identity of the nation, promote gastronomic tourism and enhance the economy of the country, something Georgia has the resources to accomplish

***Key words:*** *Gastronomic Tourism; Gastronomic Tourist; Gastronomic Culture; Trapeza - The process of eating meals.*

# საინვესტიციო გარემოს გამოწვევები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

**რამინ ცინარიძე**
*ბიზნესის მართვის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი*
*შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**დავით ბერიძე**
*ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი*
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სპეციალისტი*

*საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის დონის (განსაკუთრებით კი ევროკავშირთან მიმართებით) ერთ-ერთ მაჩვენებელს უცხოური ინვესტიციების გამოყენება წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი თავის მხრივ გამოხატავს ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ამჟამინდელ შედეგებს და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ტენდენციებს.*

*უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენენ ქვეყანაში ჩამოყალიბებული კონკურენციის პირობებზე. ამიტომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინვესტიციების გამოყენების სტრატეგია, წინასწარ პროგნოზირებული უნდა იყოს თუ რა გავლენას მოახდენს ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პროპორციებზე, საერთოდ სტაბილურობაზე.*

*თანამედროვე გლობალურ სამყაროში პუი-ები ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია; ამ მხრივ გამონაკლისი ვერც საქართველო იქნება. თუ ჩვენ გვსურს, თავი დავაღწიოთ სიღარიბეს და ადაპტირება მოვახდინოთ ევროკავშირის თუ მთლიანად მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებთან, საჭიროა გარე რესურსები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შიდა/ადგილობრივი დანაზოგები ძალიან მცირეა, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია.*

*პუი-ები გულისხმობს არამხოლოდ ეკონომიკისათვის ხელმისაწვდომ კაპიტალს, არამედ უცხოელი ინვესტორების მიერ საქართველოს ეკონომიკისათვის გამოცხადებულ ნდობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირებას, ჯანსაღი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს ფორმირებას, რადგან არავინ არ აბანდებს ფულს იქ, სადაც ვერ ხედავს ფულის ამოღებისა და მოგების მიღების რეალურ შესაძლებლობას.*

*საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი ერთ-ერთი ოპტიმალური პუნქტი, ხელს უწყობს ინვესტიციების შემოტანას. საქართველო არ უნდა დარჩეს მხოლოდ სატრანსპორტოდსატრანზიტო ფუნქციის ანაბარა. აუცილებელია მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში ინვესტიციების მზარდი ტემპით მოზიდვა. პუი-ებთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე პორთფელური ინვესტიციებიც, რომლის მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გახდეს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საინვესტიციო გარემო; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ინვესტიციური აქტივობა.*

საქართველოს ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა შესაფერისი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინვესტიციური აქტივობა. ეს კი მიიღწევა სათანადო ეკონომიკურ-ორგანიზაციული და სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებით, ინვესტიციური რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ზრდისა და მათი ეფექტიანი გამოყენების გზით.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მწარმოებელ დარგებში ინვესტიციური რესურსების დაბანდება, სხვა თანაბარ პირობებში, ხელს უწყობს ქვეყნის მშპ-ის ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მის ცივილიზებულ ჩართვას.

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თვისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო ,,ბუმი'' იწყება უცხოური კაპიტალის შემოსვლით, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით. ამასთან, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის არსებობისას შეიძლება შეღავათების შემოღება გარკვეულ სექტორებში, წარმოებისა და რეგიონების მიმზიდველობის ხელშეწყობის მიზნით.

ამრიგად, საქართველოში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, ერთი მხრივ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და განვითარებას, მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მეორე მხრივ, ეროვნული ეკონომიკის სუვერენიტეტის საკითხებს, რაც საქართველოს ეკონომიკაში პუი-ების გამოყენებას გულისხმობს.

პუი-ების მოზიდვის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სიტუაცია, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია, პროგნოზირებადი და ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო. აღნიშნული ფაქტორების თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობების არსებობა წარმოადგენს საფუძველს პუი-ებისათვის მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის. პუი-ების მოზიდვა გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, მენეჯმენტური გამოცდილების ამაღლებას, ფინანსირების სტაბილულრი წყაროების წარმოქმნას.

საქართველოში არსებული ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებაზე დადებითად მოქმედებს ის სასიკეთო ძვრები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბოლო ათწლედში. მათ შორის აღსანიშნავია:

1. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირება. უკანასკნელი წლების მრავალრიცხოვანმა ლიბერალურმა რეფორმებმა საქართველო მიმზიდველი ეკონომიკური კლიმატის ქვეყნად გადააქცია და 2017 წელს დასახელებულ იქნა წლის ნომერ პირველ რეფორმატორად. მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში ,,Doing Business Survey “ და გადაინაცვლა 112-დან 37 ადგილზე. იმავე წელს, მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის - ,,Heritage Foundation“ თანახმად, რომელშიც ქვეყანამ 52-დან 35 ადგილზე აიწია. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა მე-18 (178-დან) ადგილზე იყო ,,ბიზნესის წარმოების სიმარტივის“ მიხედვით. 2017 წელს კი ქვეყანა ბიზნესის დაწყების სიმარტივით მე-9 ადგილზე იყო, საწარმოთა და ქონების რეგისტრაციის ინდექსით მე-4 ადგილზეა, კრედიტის მიღების კუთხით - მე-12 ადგილზე. საქართველოში უცხოელებს უფლება აქვთ შეიძინონ უძრავი ქონება და აწარმოონ სამეწარმეო საქმიანობა ქვეყნის რეზიდენტების თანაბრად, რაიმე სახის შეზღუდვების გარეშე.
2. საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება-დახვეწა. უკანასკნელ პერიოდში, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი ლიბერალიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივების კუთხით. შედეგად, საქართველოში მოქმედებს მხოლოდ 6 გადასახადი. საქართველო თავისი ლიბერალური საგადასახადო კოდექსითა და კარგად გამართული ელექტრო სერვისებით, მიმზიდველი ქვეყანაა ინვესტორებისათვის.
3. თანამშრომლობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. საქართველოში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თანამშრომლობას საგადასახადო საკითხებში საერთაშორისო დონეზე. შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული იქნა სათანადო ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყნებთან.
4. საბაჟო საზღვრის კვეთისა და გაფორმების პროცედურების გაიოლება. 2006 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი საბაჟო ტარიფების შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. 2007 წლიდან აღნიშნული კანონი გაუქმდა და მისი დებულებები გადავიდა საგადასახადო კოდექსში. კიდევ უფრო ეფექტური საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებას, ადმინისტრაციული ბარიერების კვლავ შემცირებას, ბიზნეს სექტორისათვის საბაჟო გაფორმების პროცედურების გამარტივებასა და მეტი ელექტრო სერვისების დანერგვას ისახავს მიზნად ფინანსთა სამინისტროს რეფორმა, რომელიც 2019 წლიდან ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედებას ითვალისწინებს, რაც სიღრმისეულად ჰარმონიზებული იქნება ევროკავშირის სტანდარტებთან.
5. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია. საქართველოს საკმაოდ ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა გააჩნია. ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ვაჭრობაში რაიმე რაოდენობრივი შეზღუდვა და სხვა არასატარიფო ბარიერები. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის. სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არიან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრები, აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა ხორციელდება ,,უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ საფუძველზე. ხაზგასასმელია საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება.

ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე ძალზე ბევრ კითხვაზე სცემს პასუხს - რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა და ა. შ. ამ თვალსაზრისით უდავოდ საინტერესოა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში განხორციელებული პუი-ების მოცულობის შესახებ: ამ მონაცემების თანახმად, ,,2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პუი-ებმა სულ 8,270,9 მლნდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2,015.0 მლნ აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც 69.3%-ით აღემატება 2011 წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2012 წელს, საქართველოში 911,6 მლნ აშშ დოლარის პუი განხორციელდა, რაც 18.4%-ით ნაკლებია 2011 წლის მონაცემებზე.

2017 წელს საქართველოში 1 862 მლნ დოლარის პუი შემოვიდა, რაც გასული პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით უპრეცედენტოა და 2016 წლის მონაცემს 16%-ით აღემატება. სიდიდით მეორე ნიშნული საანგარიშო პერიოდში 2014 წელს დაფიქსირდა – 1 818 მლნ დოლარი. 2017 წელს, ქვეყნების მიხედვით, ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია აზერბაიჯანიდან შემოვიდა (25.9%), შემდეგ მოდის თურქეთი (15.0%) და გაერთიანებული სამეფო (13.4%)“ (6, გვ. 3).

*პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით 2017 წელი*

*დიაგრამა 1.*




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამი უმსხვილესი ინვესტორის წილმა მთლიან პუი-ებში 54.3% შეადგინა. უმსხვილესი ინვესტორების ათეულში ასევე შედიან: ნიდერლანდები, ჩეხეთი, აშშ, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, პანამა და ჩინეთი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს ცნობით, „ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 527.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28.3 პროცენტია. მეორე ადგილზეა საფინანსო – 304.3 მლნ აშშ დოლარით (16.3%), ხოლო მესამეზე – მშენებლობის სექტორები 294.6 მლნ აშშ დოლარით (15.8%). სამინისტროს ცნობით 2017 წელს 114 პროცენტით (156.9 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მშენებლობის სექტორში და 294.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საფინანსო სექტორში ინვესტიციები გაიზარდა 98 პროცენტით (150.4 მლნ აშშ დოლარით) და 304.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების 61-პროცენტიანი ზრდა (71.5 მლნ აშშ დოლარით მეტი) დაფიქსირდა და 188.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდა ასევე უძრავი ქონების, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში. ინვესტიციების ზრდამ უძრავი ქონების სექტორში 68% (64.6 მლნ აშშ დოლარით მეტი), ხოლო სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში 58% (33.1 მლნ აშშ დოლარით მეტი) შეადგინა. ინვესტიციების მოცულობა ამ სექტორებში კი შესაბამისად 159.8 მლნ აშშ დოლარი და 90.0 მლნ აშშ დოლარი იყო“ (7, გვ. 2).

*პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით 2017 წელს*

*დიაგრამა 2.*




წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

აქვე აღსანიშნავია, რომ იზრდება ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკის რეალურ სექტორში, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობას, სამთომოპოვებით მრეწველობას, დამამუშავებელ მრეწველობას, ენერგეტიკასა და მშენებლობას. რეალურ სექტორში ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 39.3% (173.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა) და 615.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქსტატის მონაცემებით, 2014 წლის მეორე კვარტალში ქვეყანაში შემოსულმა პუი-მ 151 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2013 წლის მეორე კვარტალში 208 მლნ აშშ დოლარი ინვესტიცია შემოვიდა, ხოლო 2012 წლის მეორე კვარტალში 218 მლნ აშშ დოლარი. 2014 წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების მოცულობა 265 მლნ აშშ დოლარი იყო.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პუი-ების მიხედვით) 2018 წლის მეორე კვარტალში 64.2% შეადგინა. ყველაზე მეტი პუი ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 10.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც აღნიშნული ინვესტიციების 28.0 %-ია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი - 77.0 აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე საფინანსო სექტორი - 64.1 აშშ დოლარით.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პუი-ების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვეს-ტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის, რასაც მოწმობს 2006-2017 წლის სტატისტიკური მონაცემები პუი-ების შესახებ (იხ. ცხრილი).

*პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2006-20017 წლებში*

*(2018 წლის მონაცემები წინასწარია)*

*ცხრილი*

| წელი | I | II | III | IV | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 2006 | 145.2 | 318.0 | 332.4 | 375.5 | 1,171.2 |
| 2007 | 330.8 | 366.5 | 468.9 | 586.4 | 1,752.6 |
| 2008 | 539.5 | 605.4 | 134.9 | 290.0 | 1,569.7 |
| 2009 | 113.3 | 177.1 | 179.0 | 194.8 | 664.2 |
| 2010 | 176.1 | 211.4 | 236.4 | 221.2 | 845.1 |
| 2011 | 222.5 | 270.9 | 306.8 | 329.6 | 1,129.9 |
| 2012 | 295.5 | 246.8 | 219.5 | 261.2 | 1,022.9 |
| 2013 | 290.3 | 216.4 | 265.8 | 248.0 | 1,020.5 |
| 2014 | 326.6 | 209.7 | 740.5 | 540.9 | 1,817.7 |
| 2015 | 335.0 | 483.0 | 515.9 | 331.7 | 1,665.6 |
| 2016 | 378.8 | 411.5 | 491.7 | 283.7 | 1,565.8 |
| 2017 | 393.6 | 355.8 | 622.8 | 522.2 | 1,894.5 |
| 2018* | 287.0 | 389.2 | | | 676.2 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2010-2016 წლებში საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია აზერბაიჯანიდან განხორციელდა. საქართველოს წამყვან ინვესტორებს შორისაა ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, ლუქსემბურგი და აშშ. ასევე აღსანიშნავია, რომ აღებულ საანგარიშო პერიოდში დსთ-ის წევრი ქვეყნების მიერ განხორცი-ელებული ინვესტიციების მოცულობა 2.2-ჯერ ჩამოუვარდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ განხორ-ციელებულ ინვესტიციებს. 2017 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში 766.350.632 დოლარის პირდაპირი ინვეტიცია შემოსული, რაც თითქმის ორმაგია წინა წელთან შედარებით, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან - 516. 960.6353 დოლარის ინვესტიცია, რაც დაახლოებით 90 მლნ დოლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. აქვე საინტერესოა ბოლო პერიოდში რეინვესტირების მოცულობის ზრდა, რაც ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი ბარომეტრად შეიძლება მივიჩნიოთ და პუი-ების მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2014 წლის შემდეგ 2 წელი კლების ტენდენცია შეინიშნება, ხოლო 2017 წლიდან ისევ ზრდა შეინიშნება (იხ. დიაგრამა 3 და 4).

*პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშპ-სთან მიმართებით და რეინევსტირების მოცულობა*

*დიაგრამა 3 და 4*







წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამრიგად, დღევანდელ საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტსა და სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და პოტენციური შესაძლებლობებით, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითდამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით.

„საქართველოს რეფორმების ერთ-ერთი მიზანი კვლავ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რჩება. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს პოზიციებში ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს, აგრეთვე, წაახალისებს შიდა ინვესტიციებსაც." (1, გვ. 194)

მდგრადი, სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ყველა რეფორმის შესახებ ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე ვისაც ცვლილებები შეეხება, აქვე აღსანიშნავია, რომ ბიზნესსუბიექტებისათვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი ძალიან ხარგრძლივი არ იყოს, რათა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდი და დროულად მოახდინონ სიახლეებთან ადაპტაცია;

მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ისეთი კანონების მიღება, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს და მათ განვითარებას აფერხებს, თანაც მიღებელია ისეთი რეგულაციები, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.

მაშასადამე, სახელმწიფოს ღონისძიებები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

- პირველს მიეკუთვნება ინფლაციის ტემპების, უცხოური ინვესტიციების რისკების შემცირებაზე მიმართული ქმედებები და გარანტირებული გადახდები საგარეო დავალიანების მიხედვით.
- მეორე ეს არის ღონისძიებები, რაც ამცირებს გადასახადებს და ამარტივებს საბაჟო პირობებს უცხოელი ინვესტორტებისათვის.

აღნიშნული ღონისძიებები ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს და ავსებენ. ამგვარად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი საინვესტიციო პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებები, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს და ხელს უწყობენ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას ჩვენს ქვეყანაში, რადგან ინვესტორი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ქვეყანაში არსებული იდეოლოგია და პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა. მნიშვნელოვანი საკითხია საგადასახასო კოდექსის დახვეწა და საბაჟო კანონმდებლობის ცალკე გამოყოფა, მათი ჰარმონიზაცია ევროკავშირის მოთხოვნებთან. ინვესტორებისათვის მიუღებელია საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც მსოფლიო ბაზრების დამაკავშირებელი ერთ-ერთი ოპტიმალური პუნქტი, ხელს უწყობს ინვესტიციების შემოტანას. საქართველო არ უნდა დარჩეს მხოლოდ სატრანსპორტო-სატრანზიტო ფუნქციის ანაზარა. აუცილებელია მრეწველობის გადამამუშავე-

ზელ დარგებში ინვესტიციების მზარდი ტემპით მოზიდვა. პუი-ებთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე პორტფელური ინვესტიციებიც, რომლის მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გახდეს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარება.

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის დონის ერთ-ერთ მაჩვენებელს უცხოური ინვესტიციების გამოყენება წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი, თავის მხრივ, გამოხატავს ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ამჟამინდელ შედეგებს და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ტენდენციებს.

უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული კონკურენციის პირობებზე. ამიტომ, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინვესტიციების გამოყენების სტრატეგია, წინასწარ პროგნოზირებული უნდა იყოს თუ რა გავლენას მოახდენს ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პროპორციებზე, საერთოდ სტაბილურობაზე.

უცხოური ინვესტიციების სფეროში არსებული პრაქტიკიდან და საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესაბამისი გარემოს ფორმირება კვლავ მნიშვნელოვანია, ამასთანავე, სწორი მიმართულება არ იქნება თუ ახალი წარმოების ჩამოყალიბებაში მხოლოდ უცხოური კაპიტალის იმედზე ვიქნებით. მაგრამ მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების გამოყენება, როგორც განვითარების ფაქტორის – ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში.

## ლიტერატურა:


1. ცინარიძე რ., რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები, თბ., 2013 წ.
2. ქოქიაური ლ., უცხოური ინვესტიციები, თბ., 2017წ.
3. ქოქიაური ლ., ინვესტიციების თეორიული გენეზისი, თბ., 2012წ.
4. ბარათაშვილი ე., ქუთათელაძე რ., გვაჯაია ლ., ყურაშვილი გ., „საინვესტიციო მენეჯმენტი," თბ. 2011წ.
5. რამიშვილი ბ., საინვესტიციო გარემო საქართველოში, ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა," დეკემბერი, თბ. 2010წ.
6. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
7. http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.


## Investment environment challenges and foreign direct investments in Georgia


***Tsinaridze R.O.***
*Doctor of Business Management, Assistant Professor*
*Batumi Shota Rustaveli State University*

***Beridze D. G.***
*Master of Business Administration*
*Specialist of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara*


One of the indicators of Georgia's involvement level in the world economic integration process (especially in relation to the European Union) is the utilization of foreign investment. This indicator, in its turn, reflects the current results of the transformation of the national economy and tendencies of the integration processes.

Foreign investments influence on the conditions of the existing competition in the country. Therefore, the state should has the strategy of investments application. It should be forecasted in advance how investments will affect the national economy, macroeconomic proportions and the stability of the country in overall.

Foreign direct investments are very important for each developing country in the modern, globalized world. Georgia cannot be an exception in this regard. If we want to defeat poverty and integrate with economically advanced regions of the world or the European Union, we need external resources, especially when the internal (local) savings are very low, as in the case of Georgia.

Foreign Direct investments imply not only the accessibility of the foreign capital for the economy, but it induces trust in foreign investors towards the Georgian economy. It also means the formation of relevant infrastructure and

the fit legal and institutional environment, because no one invests in the country with lack of money repatriation and the profit-making possibilities.

Favorable location of Georgia, as one of the optimal destinations for connecting the world markets, supports investment inflows. However, Georgia should not position itself only with the transport-transit function. It is necessary to attract foreign investment in the processing industry branches, and quicker than with the existing pace. Along with foreign direct investments, it is also important to attract portfolio investments that can be facilitated through the development of the secondary market of securities.

***Keywords:*** *Investment environment; Foreign direct investments; Investment activity.*

# მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღრიცხვის პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის მექანიზმები

**იზოლდა ჭილაძე**

*ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*კვლევის მიზანია დაასაბუთოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს) 12-მოგების გადასახადი - მოთხოვნა, მოგების გადავადებული საგადასახდო აქტივისა და გადავადებული სადასახადო ვალდებულების აღრიცხვის შესახებ, ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული არაა.*

*კვლევის საგანია ბუღალტრული აღრიცხვის საერთშორის სტანდარტის 12 – „მოგების გადასახადი"-მიერ აღიარებული მეთოდიკა მოგების გადასახადის აღრიცხვის შესახებ და ბიუჯეტში გადასახდელი წლიური მოგების გადასახადი. კვლევის ობიექტია ბუღალტრული ბალანსი, სადაც მე-12 სატანდარტის მეთოდიკის შეფაბამისად ასახულია გადავადებული საგადასახადო აქტივი (ვალდებულება) და მოგება-ზარალის ანგარიშგება, სადაც წარმოდგენილია მოგების გადასახადის ხარჯი.*

*დასკვნაში გადმოცემულია კვლევის შედეგები და დასაბუთებულია, რომ მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღრიცხვა ეკონომიკური თვასაზრისით გაუმართლებულია. ამასთან, მოცემულია მოგების გადასახადის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა.*

*საკვანძო სიტყვები: გადავადებული საგადასახადო აქტივი; გადავადებული საგადასახადო ვალდებულება; რეალური წმინდა მოგება; აღრიცხვის მარტივი მიდგომა.*

მოგების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა და მისი საკანონმდებლო რეგულირება აუცილებელია. მოგების გადასახადის სამართლებრივ მხარეს სახელმწიფოების საგადასახადო კოდექსი აწესრიგებს, რომლის მოთხოვნების დაცვა ყველა იურიდიული პირისათვის სავალდებულოა. 2017 წლიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი კანონი, შესაბამისად, ბასს 12-ის მოთხოვნები ქართულ კომპანიებს აღარ ეხება. წინამდებარე კვლევა თვით დასახელებულ სტანდარტს შეეხება, რომელიც მოითხოვს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის ხარჯი სააღრიცხვო მოგების საფუძველზე აისახოს, ხოლო ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი ვალდებულება აღირიცხოს საგადასახადო მოგებიდან გადასახდელი თანხით, რაც წარმოშობს სხვაობას გადავადებული ვალდებულების ან გადავადებული აქტივის სახით. ამ პროცედურების შესრულება საკმაოდ შრომატევადია და აღრიცხვას ართულებს. ეს იგრძნობოდა საქართველოშიც, სანამ დასახელებული სტანდარტის მოთხოვნები გამოიყენებოდა. ყველა პრაქტიკოსი მუშაკი აღნიშნავდა, რომ მეთორმეტე სტანდარტის მოთხოვნები გადაჭარბებული იყო. ეს კიდევ უფრო გამოჩნდა საქართველოში მოგების გადასახადის ახალი რეგულაციების შემოღების შემდეგ, როცა პრობლემური გახდა, როგორ ჩამოეწერათ ბუღალტრულ ბალანსში ასახული გადავადებული საგადახასადო აქტივის (თუ ვალდებულების) ნაშთები.

ამდენად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთშორისო სტანდარტის (მოგების გადასახადის) სააღიცხვო მეთოდიკის კვლევა მეტად აქტუალურია.

## ბასს 12 - მოგების გადასახადის - კონცეპტუალური მიდგომები

დასახელებული სტანდარტი ეფუძნება სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების განსხვავების კონცეფიცას. **სააღრიცხვო მოგება** არის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული, საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შემოსავლის ან ზარალის თანხა, საგადასახადო ხარჯის გამოქვითვამდე (2. მუხლი 5).

**საგადასახადო (ანუ დასაბეგრი) მოგება** (ან საგადასახადო ზარალი) არის სახელმწიფოს შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული მოგება (ზარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა (ან დაბრუნება).

**საგადასახადო ხარჯი** (საგადასახადო შემოსავალი) არის საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა. **საგადასახადო ხარჯი** შედგება მიმდინარე საგადასახადო ხარჯისა და გადავადებული საგადასახადო ხარჯისაგან.

მიმდინარე გადასახადი არის საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო მოგებიდან (საგადასახადო ზარალიდან) გადასახდელი (დასაბრუნებელი) გადასახადის თანხა.

**გადავადებული საგადასახადო ვალდებულება** არის დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული, მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში გადასახდელი მოგების გადასახადის თანხა.

**გადავადებული საგადასახადო აქტივი** არის მოგებიდან გადასახადის თანხა, რომელიც უნდა აღდგეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი რაიმე თანხას უბრუნებს საწარმოს. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი და ვფიქრობთ, ამის აუცილებლობაც არ არსებობს. დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ წინასწარ ზედმეტად გადარიცხული მოგების გადასახდისათვის გადახდილი თანხები.

**დროებით სხვაობას** უწოდებენ ბალანსში წარდგენილი აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის განსხვავების თანხას. დროებითი სხვაობა შეიძლება იყოს ორნაირი:

ა). დასაბეგრი დროებითი სხვაობა, რომელიც უნდა დაემატოს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება ან დაფარვა მოხდება;

ბ). გამოსაქვითი დროებით სხვაობა, რომელიც მომავალ სანგარიშეგებო პერიოდში უნდა გამოიქვითოს საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხიდან, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება ან დაფარვა მოხდება.

აღრიცხვის სტანდარტებით, აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით მიღებული დასაბეგრი მოგება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად განსხვავდება ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებით აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯებისაგან. შესაბამისად, სააღრიცხვო მოგება საგადასახადო მოგებისაგან განსხვავდება. ამდენად, წარმოიშობა სხვაობა მათ შორის, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს გადავადებულ საგადასახადო აქტივს ან გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას.

**ცნობილია გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გადავადების მეთოდის ან ვალდებულების მეთოდის მიხედვით. ზოგჯერ პირველს მოგება/ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდს უწოდებენ და მეორეს, ბალანსის ვალდებულების მეთოდს**. ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები - საწარმოებისაგან მეორე მეთოდის გამოყენებას მოითხოვს.

**მოგება/ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდი** ფოკუსირებულია დროით სხვაობებზე, ბალანსის ვალდებულების მეთოდი კი - დროებით სხვაობებზე.

**დროითი სხვაობა** არის დასაბეგრ მოგებასა და სააღრიცხვო მოგებას შორის სხვაობა, რომელიც წარმოიშვა ერთ პერიოდში და რომლის უკუგატარება ხდება შემდგომ პერიოდში ან პერიოდებში. **დროებითი სხვაობა წარმოადგენს ბალანსში** წარდგენილი აქტივის ან ვალდებულების საგადასხადო ბაზასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობას. **აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზას უწოდებენ იმ თანხას, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის მიეკუთვნება მოცემულ აქტივს ან ვალდებულებას.** ბასს 12 - მოგების გადასახადი - მოითხოვს, რომ ბიუჯეტში მოგების გადასახადი საგადასახადო მოგების შესაბამისად გადაირიცხოს.

## მოგების გადასახადის აღრიცხვის მეთოდის კავშირი წმინდა მოგების მაჩვენებელთან

ნაშრომში განხილულია რამდენიმეწლიანი პერიოდი, სადაც მოცემულია სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების მაჩვენებლები და შესაბამისი გადასახადები (იხ. ცხრილი 1). დაშვებულია, რომ მოგების გადასახადის განაკვეთია 15%:

*მოგებისა და მოგებიდან გადასახადის მაჩვენებლები*

*ცხრილი 1*

| მაჩვენებლები | I წელი | II წელი | III წელი | IV წელი |
|---|---|---|---|---|
| სააღრიცხვო მოგება | 7700 | 8000 | 8500 | 10000 |
| მოგების გადასახადი 15% | (1155) | (1200) | (1275) | (1500) |
| წმინდა მოგება[1] | 6545 | 6800 | 7225 | 8500 |
| საგადასახადო მოგება | 7000 | 9200 | 8100 | 11400 |
| მოგების გადასახადი 15% | (1050) | (1380) | (1215) | (1710) |
| წმინდა მოგება[2] | 5950 | 7820 | 6885 | 9690 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 105 | - | 60 | - |
| გადავადებული საგადასახადო ვალებულება | - | 180 | - | 210 |

ცხრილის მონაცემებს საფუძველზე ვასკვნით, რომ ბას 12-ის მოთხოვნების თანახმად, საწარმომ პირველ წელს უნდა აღიაროს (ანუ აღრიცხოს):

მოგების საგადასახადო ხარჯი სააღრიცხვო მოგებიდან - 1155ლ

ვალდებულება ბიუჯეტთან საგადასახადო მოგებიდან - 1050 ლ

მაშასადამე, წარმოიშვა სხვაობა 105 ლარი. სწორედ ეს სხვაობა წამოადგენს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას.

მეორე წელს, საწარმო აღიარებს:

მოგების საგადასახადო ხარჯს - 1200 ლ.

ვალდებულება ბიუჯეტთან კი - 1380 ლარს.

ამ შემთხვევაში წარმოიშობა გადავადებული საგადასახადო აქტივი - 180 ლ და ა.შ.

მაშასადამე, როცა სააღრიცხვო მოგება მეტია საგადასახადო მოგებაზე, წარმოიშობა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება. ხოლო, როცა სააღრიცხვო მოგება ნაკლებია საგადასახადო მოგებაზე, გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოიშობა. ბას12 - სწორედ ამ გადახრების აღრიცხვას მოითხოვს. ჩვენი მიზანია იმის დასაბუთება, რომ ამ სხვაობების აღრიცხვა აუცილებელი არაა.

მოგების გადასახადის სიდიდე როგორც ცნობილია, გავლენას ახდენს წმინდა მოგების მოცულობაზე ანუ საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგების თანხაზე, რომელიც წარმოადგენს მესაკუთრეებისა და მმართველების ინტერესს. წმინდა მოგებიდან გაიცემა დივიდენდები და ამიტომ, მესაკუთრეებმა უნდა იცოდნენ, რეალურად მოგების რა სიდიდე შეიძლება განაწილდეს მათზე.

პირველ ცხრილში კი მოტანილია წმინდა მოგების ორი სახის მაჩვენებელი. ისმება კითხვა: მათგან რომელი შეესაბამება რეალურ ვითარებას, ანუ რომელი წარმოადგენს წმინდა მოგების იმ თანხას, რომელიც ფაქტობრივად რჩება საწარმოს განკარგულებაში, რათა იგი მესაკუთრეებზე გაანაწილდეს? მაგალითად, პირველ წელს, ჩვეულებრივი აქციის მფლობელებზე დივიდენდის სახით, რეალურად რომელი ოდენობის მოგება უნდა განაწილდეს: 6545 ლ თუ 5950 ლ? (იხ. ცხრილი 1). მეორე წელს: 6800 თუ 7820ლ და ა.შ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არცერთი იმათგანი არ განაწილდება, რადგან არცერთი არაა წმინდა მოგების რეალური მაჩვენებელი.

სააღრიცხვო მოგება არის ის რეალური მოგება, რაც საწარმომ ფაქტობრივად მიიღო ყველა მიმდინარე შემოსავლებიდან იმავე პერიოდის ხარჯის გამოკლებით. მაგრამ, იმის გამო, რომ იმ სახელმწიფოს საგადასახადო კოდექსით, რომელიც ბასს 12-ს იყენებს, ყველა ხარჯი არ გამოიქვითება და მოგების გადასახადი გამოთვლილია საგადასახადო მოგებიდან, ამიტომ, საწარმოდან ბიუჯეტში ფაქტობრივად პირველ წელს გადაირიცხება 1050 და არა 1155 ლ; მეორე წელს გადაირიცხება 1380 და არა 1200ლ და ა.შ. (იხ. ცხრილი 1). ამდენად, საწარმოს განკარგულებაში რეალურად რჩება სააღრიცხვო მოგებასა და ბიუჯეტში გადასახდელი მოგების გადასახადის თანხებს შორის სხვაობა. ამიტომ, საწარმოს რეალური წმინდა მოგება განსხვავებული იქნება (იხ-.ცხრილი 2).

*საწარმოს წმინდა მოგების რეალური მაჩვენებლები*

*ცხრილი 2*

| მაჩვენებლები | I წ. | II წ. | III წ. | IV წ. |
|---|---|---|---|---|
| 1. სააღრიცხვო მოგება | 7700 | 8000 | 8500 | 10000 |
| 2. ბიუჯეტში გადასარიცხი გადასახადი | (1050) | (1380) | (1215) | (1710) |
| --------------------------- | ------- | ------- | ------- | ------- |
| რეალური წმინდა მოგება | 6650 | 6620 | 7285 | 8290 |

მართლაც, მეორე ცხრილში გამოთვლილია წმინდა მოგების ის მოცულობა, რომელიც რეალურად რჩება საწარმოში. ეს არის სააღრიცხვო მოგებასა და ბიუჯეტში ფაქტობრივად გადასარიცხი მოგების გადასახადის მაჩვენებლებს შორის სხვაობა. შევნიშნავთ, რომ საწარმოთა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სწორედ რეალური წმინდა მოგება უნდა იყოს წარდგენილი, რათა ერთი მხრივ, მესაკუთრეებმა იცოდნენ, ფაქტობრივად რა რაოდენობის მოგება არის მათ საკუთრებაში, რომელიც შეიძლება დივიდენდებზე განაწილდეს და მეორე მხრივ, ის უნდა იყოს გასაჯაროვებული. აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს ამ მაჩვენებლის საიმედოდ წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.

## მოგების გადასახადის აღრიცხვის მეთოდიკა

ბას 12-ის მიერ მიღებული მოგების გადასახადის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდიკით, გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ამავე სახელწოდების ბუღალტრულ ანგარიშებზე აღირიცება. გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულებების ანგარიშები ერთმანეთს არეგულირებ, ანუ ერთმანეთისაგან გამოიქვითება.

ბას 12-ის მეთოდიკით, „მოგების გადასახადის ხარჯის" ანგარიშის დებეტში აისახება სააღრიცხვო მოგებიდან გამოთვლილი გადასახადის თანხა. ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილი რეალური ვალდებულება მოგების გადასახადზე კი, აღირიცხება „მოგების გადასახადის ვალდებულების" ანგარიშის კრედიტში. წარმოშობილი სხვაობა აღირიცხება ან „გადავადებული საგადასახადო აქტივის" ანგარიშის დებეტში ან „გადავადებული საგადასახადო ვალდებულების " ანგარიშის კრედიტში (იხ. სქემა).

„მოგების გადასახადის აღრიცხვის ორი მიდგომა არსებობს. პირველი მიდგომით, მოგება-ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდით, გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღმრიცხველი ანგარიშები ერთმანეთს არეგულირებს. მეორე მიდგომით - საბალანსო ვალდებულების მეთოდით, მოცემული ანგარიშები „მოგების გადასახადის ხარჯის“ აღმრიცხველი ანგარიშით რეგულირდება, მაგრამ შედეგები ორივე მიდგომით ერთიდაიგივეა“ (იზოლდა ჭილაძე, 2018. გვ. 5)Error! Reference source not found.

(მოგების გადასახადის აღრიცხვის ორი მიდგომა არებობს. პირველი მიდგომით, მოგება-ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდით, გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღმრიცხველი ანგარიშები ერთმანეთს არეგულირებს. მეორე მიდგომით, საბალანსო ვალდებულების მეთოდით, მოცემული ანგარიშები „მოგების გადასახადის ხარჯის“ აღმრიცხველი ანგარიშით რეგულირდება, მაგრამ შედეგები ორივე მიდგომით ერთიდაიგივეა).

*მოგების გადასახადის გადავადებული საგადასახადო აქტივის (ვალდებულების) აღრიცხვის მიდგომები*

| აღრიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგების მეთოდით | აღრიცხვა საბალანსო ვალდებულების მეთოდით |
|---|---|
| I წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა ----------- 1155<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი ------ 1155<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან - -----1050<br>კრ - გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ---------- 105<br>2. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა ------- 1050<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ---------- 1050<br>კრ - ფულის ანგარიში ბანკში ----------- 1050 | I წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა ----------- 1155<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი --------- 1050<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან - -------- 1050<br>2. დებ - მოგების გადასახადის ხარჯი ---------- 105<br>კრ - გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ---------- 105<br>3. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა ------- 1050<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ---------- 1050<br>კრ - ფულის ანგარიში ბანკში ----------- 1050 |
| II წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა ----------- 1200<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი - -----1200<br>დებ - გადავადებული საგადასახადო აქტივი ---- ---- 180<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან ----- 1380<br>2. გადავადებული საგადასახო აქტივის ჩამოწერა<br>დებ - გადავადებული საგადასახადო ვალდებულება --------- 105<br>კრ - გადავადებული საგადასახადო აქტივი --------------- 105<br>**დარჩა გადავადებული აქტივის ნაშთი ----- 75**<br>3. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა ------- 1380<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ---------- 1380<br>კრ - ფულის საბანკო ანგარიში ----- 1380 | II წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა ----------- 1380<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი --------- 1380<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან - -------- 1380<br>2. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების გამოქვითვა (180 -105) --------------------- 75<br>დებ - გადავადებული საგადასახადო აქტივი ---- ---- 75<br>კრ - მოგების გადასახადის ხარჯი ------- 75<br>3. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა ------- 1380<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ---------- 1380<br>კრ - ფულის საბანკო ანგარიში ----- 1380 |
| III წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა ------------ 1275<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი ------- 1275<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან ------- 1215<br>კრ - გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ------------ 60<br>2. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ჩამოწერა ------------------------ 60<br>დებ - გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ------------ 60<br>კრ - გადავადებული საგადასახადო აქტივი -- 60<br>**დარჩა გადავადებული აქტივის ნაშთი ----- 15**<br>3. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა ------- 1215<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ------- 1215 | III წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა -------- 1215<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი --------- 1215<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან - -------- 1215<br>2. გადვადებული საგადასხადო ვალდებულების გამოქვითვა (75 – 15) -------------------- 60<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი ----------- 60<br>კრ - გადავადებული საგადასახადო აქტივი -60<br><br>3. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა ------- 1215<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ------------- 1215<br>კრ - ფულის საბანკო ანგარიში ----- 1215 |

| | |
|---|---|
| კრ - ფულის საბანკო ანგარიში --- 1215 | |
| IV წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა ---------- 1500<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი --------- 1500<br>დებ - გადავადებული საგადასახადო<br>აქტივი ----------- 210<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან ----------- 1710<br>**რადგან წინა წელს გადავადებული აქტივის ნაშთი იყო, ჩამოწერა საჭირო აღარაა.**<br>2. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა -------- 1710<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ----------- 1710<br>კრ - ფულის საბანკო ანგარიში ------------ 1710 | IV წელი (ლარში):<br>1. მოგების გადასახადის დარიცხვა --------- 1710<br>დებ - მოგების გადასახადის ხარჯი -------- 1710<br>კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან ---------- 1710<br>2. გადავადებული საგადასახადო აქტივის<br>აღიარება ---------------------------------- 210<br>დებ - გადავად. საგადასახადო აქტივი ------ 210<br>კრ - მოგების გადასახადის ხარჯი ------- 210<br>3. ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვა -------- 1710<br>დებ - ვალდებულება ბიუჯეტთან ------------- 1710<br>კრ - ფულის საბანკო ანგარიში ------------ 1710 |

სქემაზე მოყვანილია ბუღალტრული გატარება ორივე მიდგომით. მათი შედარებითი ანალიზი აშკარად ასაბუთებს, რომ მოგების გადასახადის ხარჯი აღირიცხება სააღრიცხვო მოგების საფუძველზე გამოთვლილი თანხით. ხოლო, ვალდებულება ბიუჯეტთან აღირიცხება საგადასახადო მოგებიდან გამოთვლილი თანხით.

## მოგების გადასახდის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა

პირველი სქემიდან ნათლად ჩანს, რამდენად შრომატევადია გადავადებული საგადასახადო აქტივის და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღრიცხვა. ამასთან, თუ გათვალისწინებული იქნება ისიც, რომ აღრიცხვისა და აუდიტის მუშაკებმა ერთმანეთისაგან უნდა განაცალკეონ მუდმივი და დროებითი სხვაობები, რომელთაგან მხოლოდ დროებითი სხვაობა აღირიცხება, პროცესი კიდევ უფრო რთულდება. ამიტომ, საწარმოები საკმაო მოცულობის ფინანსურ ხარჯებს ეწევიან ამ სამუშოს შესასრულებლად.

იმავე სქემიდან ასევე თვალსაჩინოა, რომ მიუხედავად იმისა, გადავადებული საგადასახადო აქტივი არსებობს თუ გადავადებული საგადასხადო ვალდებულება, ის გავლენას არ ახდენს ბიუჯეტთან წარმოშობილ ვალდებულბაზე და ბიუჯეტში მიმავალ ფულად ნაკადებზე.

მათი აღრიცხვით, ჯერ ერთი, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია არარეალური წმინდა მოგება, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ტანდარტების მოთხოვნას საიმედო ინოფორმაციის გამოქვეყნების შესახებ (2. მუხლი 2) და მეორე მხრივ, ბუღალტრულ ბალანსში ასახულია გადავადებული სგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, რომელთაც ეკონომიკური შინაარსით საწარმოსათვის არანაირი ანალიზური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. „მათი აღრიცხვით, ჯერ ერთი, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია არარეალური წმინდა მოგება და შესაბამისად არარეალური იქნება მაგალითად კოეფიციენტი ROE (წმინდა მოგების ფარდობა სააქციო კაპიტალთან) და მომგებიანობის სხვა მაჩვენებლებიც. მეორე მხრივ, ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილ გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების მაჩვენებლებს საწარმოს სტაბილურობის შეფასებისათვის არანაირი ანალიზური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი ფაქტობრივად მკვდარი რიცხვებია, რომელთაც საწარმოს ფინანსური პოზიციის დახასიათება არცერთი ასპექტით არ შეუძლიათ. ზემოთქმულიდა გამომდინარე, ვთვლით რომ გადავადებული საგდასახადო აქტივის და გადავადებული საგადასახადო ვადლებულების აღრიცხვის მოთხოვნა ეკონომიკური შინაარსით გაუმართლებელიან (იზოლდა ჭილაძე, 2018. გვ. 7).

მოგების გადასახადის აღრიცხვის პრობლემებზე აგრეთვე წერენ უცხოელი ავტორები Aletkin, P. A. (2011), Michael Raine (2013), Norman, W. (2006), Vuckovic-Milutinovic, S., & Lukic, R. (2013).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია, გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახდო ვალდებულებები არ აღირიცხოს. საკმარისი იქნება მოგების გადასახადის ხარჯის ანგარიშის დებეტში აღირიცხოს არა სააღრიცხვო მოგებიდან გამოთვლილი გადასახადის თანხა, როგორც ამას მე-12 სტანდარტი მოითხოვს, არამედ აღირიცხოს საგადასახადო მოგების საფუძვლეზე დადგენილი გადასახადის თანხა. ამის შედეგად, სააღრიცხვო მოგებიდან გამოიქვითება თანხა, რომელიც, ფაქტობრივად, მიემართება ბიუჯეტში საწარმოდან. შედეგად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აისახება რეალური წმინდა მოგება, რომელიც რჩება საწარმოს მესაკუთრეების განკარგულებაში, საიდანაც ისინი დივიდენდებს ელოდებიან.

ყოველივე ზემოთქმულიგან გამომდინარე, საკმარისად მიგვაჩნია მხოლოდ ერთი ბუღალტრული გატარება მოგების გადასახდის დარიცხვაზე, საგადასახადო მოგებიდან გამოთვლილი თანხით (7. გვ. 291). მაგალითად (იხ. ცხრილი 1):

დებ - მოგების გადასადის ხარჯი -1050 ლ

კრ - ვალდებულება ბიუჯეტთან - 1050 ლ

საიდანაც ჩვეულებრივ მოხდება წლის განმავლობაში გადახდილი გადასახდების ჩათვლა და შემდეგ, საბოლოო ანგარიშსწორება ბიუჯეტთან. ასეთი მიდგომით, მე-12 სტანდარტში მოცემული მოგების გადასახადის აღრიცხვის მეთოდიკა, მიშვნელოვნად მარტივდება. ამასთან, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალური წმინდა მოგების მაჩვენებელი იქნება ასახული. ხოლო ბუღალტრულ ბალანში აღარ იქნება გადავადებული საგადასახდო აქტივის (ვალდებულების) უსარგებლო მონაცემები, რომელთაც საწარმოსათვის ანალიზური მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

## დასკვნა

ამრიგად, ბას12- მოგების გადასახადი - მოითხოვს რა მოგების გადასახადის ხარჯი აღიარებულ იქნეს სააღრიცხვო მოგებიდან, და ვალდებულება ბიუჯეტთან აღიარებულ იქნეს საგადასახადო მოგებიდან, შედეგად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილი არაა რეალური წმინდა მოგება; აღრიცხვის პროცედურები მეტად შრომატევადია; ბალანსში წარმოდგენილია გადავადებული საგადასახადო აქტივის (ვალდებულების) ფაქტობრივად მკვდარი რიცხვები, რომელთაც საწარმოებისათვის არავითარი ანალიზური მნიშვნელობა არ გააჩნია.

ჩამოთვლილი ხარვეზები აღარ იარსებებს, თუკი საწარმო მოგების გადასახადის ხარჯს იმავე ოდენობით აღიარებს, რაც რეალურად ბიუჯეტში უნდა გადაიხადოს. მით უფრო, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივი (ვალდებულება) ბიუჯეტში გადასახდელ ფულად ნაკადებზე გვალენას არ ახდენენ.

ამდენად, ჩვენ მიერ მოტანილი მეთოდიკა არამხოლოდ ამარტივებს მოგების გადასახადის აღრიცხვას, არამედ საწარმოებს ათავისუფლებს ზედმეტი ინფორმაციის მომზადებისაგან, რომელიც მათ განმარტებით შენიშვნებში უნდა წარადგინონ მე-12 სტანდარტის მოთხოვნით. ეს სტანდარტი მნიშვნელოვნად გამარტივდება, რაც თავის მხრივ, საწარმოებს გაათავისუფლებს ზედმეტი აუდიტორული მომსახურების ანაზღაურების ფულადი ხარჯებისაგან.

## ლიტერატურა:


8. ბასს - 12 – „მოგებიდან გადასახადები“. თარგმანი ინგლისურიდან. ბაფ. თბ., 2016.
9. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები“. თარგმანი ინგლისურიდან. ბაფ. თბ., 2016.
10. ჭილაძე იზოლდა, მოგების გადასახადის აღრიცხვის სრულყოფის საკითხები, მონოგრაფია, გამომც. მერიდიანი, თბ., 2012
11. ჭილაძე იზოლდა, მოგების გადასახადის აღრიცხვის ოპტიმალური სქემა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2015. გვ:289-292 http://www.pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2015_.pdf
12. Aletkin, P. A. (2011). Accounting and analysis of deferred tax assets and liabilities. Kazan: Kazan State Financial Economic University. In Russian. http://www.kgfei.ru/example/news/doc/avt_183.pdf(Retrieved 2017.05.008) BDO
13. Chiladze, I. (2018). International Accounting Standard 12–"Income Tax" and Aspects for Discussion. *Journal* , Applied Finance and Accounting, Vol. 4, No. 1, February 2018. pp: 1-10.
14. Michael Raine Senior Tax Manager, Deloitte Oliver Holt Director (2013), Tax Accounting: Current and Deferred Tax.
15. Norman, W. (2006). Accounting for deferred taxes under NZ IAS 12. http://www.uabr.auckland.ac.nz/files/articles/-Volume12/v12i1-accounting-for-deferred-taxes-under-nz-ias-12.pdf
16. Vuckovic-Milutinovic, S., & Lukic, R. (2013). Analysis of deferred taxes in the business environment in Serbia Economic. Seria Management, 16, pp: 25-37. http://www.management.ase.ro/reveconomia/2013-1/2.pdf


## Accounting of Deferred Taxable Asset and liability is not Justified


***Izolda Chiladze***
*Doctor of economics*
*Associated professor*
*Tbilisi state university*



International accounting standard 12-Income tax – regulates accounting methodic of profit tax and demands that the enterprises must account the deferred tax asset and the deferred tax liability. For this reason, the net profit indicator published in the financial statement of the enterprises is unrealistic which in one hand contradicts to requirements of basic

qualitative characteristics a financial statement such as Relevance and Faithful Representation and in another hand, it allows of fraud in the financial statement.

The aim of this study is to substantiation necessity of simplification of the IAS 12 – Income Tax. In the article is affirmed that accounting of the deferred tax asset and deferred tax liability derives many problems for the enterprises and the investors. They also have not an analytical role in the financial analysis of the enterprises. That is why, the leadership of the enterprises avoids to using mentioned standard 12 – Income Tax - in Georgia. This study gives the recommendation that in the IAS 12 - Income tax – bring in the changes, which will be simplified by the method of profit tax accounting in the enterprises and it will eliminate the existing problems of accounting the profit tax.

***Key words:*** deferred tax liability; deferred tax asset; real net profit; a simplified approach of accounting**.**

# პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის მართვა კომპანიაში, ანუ გუნდური მართვა, თუ ჯგუფური მართვა

**მანანა ხარხელი**

*ასოცირებული პროფესორი,*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია პერსონალის ქცევა ინდივიდუალურ საქმიანობაში, ჯგუფებსა და გუნდებში. დახასიათებულია მათ ქცევაზე მოქმედი ფაქტორები, უარყოფითი და დადებითი მხარეები.*

*სტატიაში ყურადღება გამახვილებულია გუნდებსა და ჯგუფებს შორის არსებულ განსხვავებებზე და აღნიშნულია, რომ გუნდი სინერგიულ სარგებელს იძლევა, ჯგუფი და ინდივიდუალური შრომა კი არა. მათ შორის განსხვავება არის დანიშნულებაშიც. სადაც ჯგუფი კარგად მუშაობს, იქ გუნდი ვერ იმუშავებს. დასაქმებულებიც, ინდივიდუალური თვისებებიდანგამომდინარე, ან უფრო ჯგუფში გამოდგებიან ან გუნდში, ანდა ინდივიდუალურად უფრო მეტ სარგებელს მოუტანენ ორგანიზაციას.*

*სტატიაში გაკეთებულია შემაჯამებელი დასკვნა გუნდების უპირატესობების შესახებ. კერძოდ აღნიშნულია, რომ სინერგიზმის წყალობით გუნდის შრომის მწარმოებლურობა უფრო მაღალია. გუნდს ისეთი ენერგიის გამომუშავება შეუძლია, რაც არ ძალუძთ არც ინდივიდებს და არც ჯგუფებს.*

*საკვანძო სიტყვები: პერსონალი; შიდაორგანიზაციული ქცევა; გუნდები; ჯგუფები; პერსონალის მართვა.*

მეცნიერებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ კომპანიას წარმატებას აძლევს არა ახალი და უახლესი ტექნოლოგია, არა დიდი მასშტაბები და მოთხოვნადი პროდუქცია, არამედ იმდენად ყველაფერი ამის მცოდნე, შემოქმედი, მაღალკვალიფიციური პერსონალი, მათი განწყობა სამუშაოსა და თვით კომპანიისადმი, ანუ მათი ქცევა. დღეს, ამ სფეროს მეცნიერები ამ თემას იკვლევენ და კომპანიებს აძლევენ პერსონალის ქცევის შესწავლის და მართვის რეკომენდაციებს.

## პიროვნების ქცევა, როგორც ანგარიშგასაწევი ფენომენი

პიროვნების ქცევა არის ცნობიერი სოციალურად მნიშვნელოვანი აქტი. იგი ეფუძნება გარკვეულ კანონზომიერებებს და პრინციპებს, რომლებიც ყველასთვის ერთნაირია, მაგრამ სხვადასხვა ადამიანში იგი გარდაიქმნება და ინდივიდუალურ განსხვავებებს გვაძლევს [1, გვ. 4].

ქცევის რეალიზაცია განპირობებულია პიროვნების მოქმედების შინაგანი გეგმით, რომელიც მოიცავს განზრახვას, მოსალოდნელი შედეგის პროგნოზირებას, შესრულების აუცილებელი საშუალებების არჩევას. ქცევა შეიძლება იყოს ტრანზიტული, რომელიც ითვალისწინებს მისი რეალიზაციის ყველა პირობას, შესაძლო შედეგებს და არატრანზიტული - არასათანადოდ მოფიქრებული. შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მოქმედებით ან უმოქმედობით, გამოთქმული პოზიციით, მიმიკით, ჟესტით, მზერით, მეტყველების ინტონაციით. ქცევის შეფასების დროს ხდება მისი ნამდვილი მოტივებისა და ზნეობრივი აზრის გათვალისწინება [Tezelashvili S., 2007].

ქცევის კვლევის ობიექტური მეთოდები ჩამოყალიბდა ჩარლზ დარვინის მოძღვრების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ბუნებრივ შერჩევას ევოლუციის პროცესში. ბიოლოგიური დეტერმინიზმის კალაპოტში ჩამოყალიბდა მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების, როგორც ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლის შესახებ. ადამიანის ქცევას გააჩნია ბუნებრივი საფუძვლები. იგი ყალიბდებოდა ხანგრძლივი სოციოგენეზის პროცესში. ამასთან, ინდივიდუალური ქცევის თავისებურებები განპირობებულია პიროვნების ფასეულობითი ორიენტირებით.

გამოიყოფა რეალური პიროვნების ადექვატური და არაადექვატური ქცევა. არაადექვატური ქცევა შეიძლება განპირობებულ იქნეს ინდივიდის სიტუაციური დამოკიდებულებით, პიროვნული **აქცენტაციებით („სუსტი ადგილებით“)**, მოსაზღვრე და პათოლოგიური მდგომარეობებით, აღზრდისა და ნებელობითი რეგულაციის დეფექტებით, ქცევის რეალური და ვერბალური გეგმების გამიჯვნით.

გამოიყოფა ქცევის ორი ასპექტი [Маслоу А., 2002] - **აფექტური (იმპულსური)** და **კოგნიტური (ინტელექტუალურ-ნებელობითი)**. აფექტური ქცევა - რეფლექსურია, როცა არსებობს მკაცრი, ერთმნიშვნელოვანი კავშირი სტიმულსა და ქცევით რეაქციას შორის, რომელიც ჩამოყალიბებულია გენეტიკურად ან მოცემულია ინდივიდის წარსულ გამოცდილებაში. ინტელექტუალური ფორმის დროს ინდივიდი ახდენს თავისი ქცევის შესაძლო შედეგის პროგნოზს, აანალიზებს მის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტებს, შეგნებულად ახდენს ქცევის

მოდელირებას და პროგრამირებას, ახდენს ორიენტაციას სიტუაციაში, იღებს გადაწყვეტილებას, ამუშავებს მოქმედებათა გეგმას, ახორციელებს ქცევის ინდივიდუალური საშუალებების რეალიზებას, მოქმედებათა მიმდინარე შეფასებასა და კორექტირებას, კრიტიკულად აფასებს მიღწეულ შედეგს, ადარებს მას დასახულ ქცევის მიზანთან და მოტივთან.

ქცევის იმპულსური რეგულაციის ფსიქიკური პროცესი არის ემოციები, რომელიც ეფუძნება გარემო მოქმედებების მოთხოვნილებითი მნიშვნელობის გრძნობით ასახვას, მათ კეთილსასურველობას ან მავნებლობას ინდივიდის ცხოველქმედებისათვის.

ემოციური თვისებები განსაზღვრავენ ინდივიდის ფსიქიკურ იერს - წარმოქმნიან პიროვნების ემოციურ ტიპს. გამოიყოფა ემოციური, სენტიმენტალური, მგზნებარე და ფრიგიდული (ცივი) ნატურები [Tezelashvili S., 2007]:

**ემოციური ტიპის** ადამიანები ადვილად აღგზნებადნი, ემოციურად მგრძნობიარე, იმპულსურნი არიან. თავიანთ ქცევებს ისინი ღრმად განიცდიან, ხშირად ნანობენ კიდეც. თუმცა, მომავალში კვლავ უშვებენ იმპულსურ ქცევებს.

**სენტიმენტალური ტიპის** ადამიანები ემოციურად ჭვრეტითნი არიან, ისინი სამყაროს თავიანთი ემოციური მდგომარეობების ჭრილში უყურებენ. ისინი მგრძნობიარე - პასიური ტიპებია. მათი გრძნობები მიმართულია საკუთარ თავზე. მათ ახასიათებთ თავიანთი გრძნობებით ტკბობა.

**მგზნებარე ნატურები** ემოციურად მიზანსწრაფულნი, ქმედითნი, მიზნის მიღწევაში გაბედულნი არიან. ისინი ცხოვრობენ დაძაბული, ემოციურად დატვირთული ცხოვრებით, მათ მუდმივად გააჩნიათ ვნების საგანი. მათი ვნების საგანი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ღირსეული ან უმნიშვნელო.

**ფრიგიდული ნატურების** ემოციური გამოვლინებები მინიმალურია. მათ არ შეუძლიათ სხვა ადამიანთა ემოციურ მდგომარეობაში შესვლა. ესაა ცივი გონების ადამიანები. ასევე არ შეუძლიათ სხვათა შესაძლო ემოციური რეაქციების განჭვრეტა ამა თუ იმ სიტუაციებში. ისინი მოკლებულნი არიან თანაგანცდის გრძნობას.

კომპანიაში საქმიანობისას ადამიანის ქცევას აყალიბებს, ერთი მხრივ, მისი ხასიათი, ხოლო მეორე მხრივ, გარემო ფაქტორები. თავის მხრივ ადამიანის ხასიათს აპირობებენ [Весенин В. Р., 2015]:

- ადამიანების ინდივიდუალური თავისებურებები (ინტელექტი, ფიზიკური მდგომარეობა, ემოციურობა და სხვა);
- ადამიანთა მდგომარეობა სოციუმში (როლი, სტატუსი, ინფორმირებულება და სხვა);
- ფსიქოლოგიური მდგომარეობა;
- კომპანიის ხელმძღვანელობასა და კოლეგებთან ურთიერთობის სპეციფიკა;
- სქესი.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების ცოდნა კომპანიის ხელმძღვანელობას ეხმარება იწინასწარმეტყველოს დასაქმებულთა ქცევა სამსახურში და წარმატებით მართოს ისინი.

დასაქმებულთა ქცევას კომპანიის შიგნით შიგაორგანიზაციული ქცევა ეწოდება. ერთი და იგივე ადამიანის ქცევა სამი იპოსტასით განიხილება [Bagrationi T., 2018]:

- ინდივიდუალური ქცევა;
- ჯგუფში ქცევა;
- გუნდში ქცევა.

დასაქმებულს ინდივიდუალური ქცევა ახასიათებს ერთპიროვნული მუშაობისას, მის სამუშაო ადგილზე, როცა არც მისი საქმე და არც თვითონ არ არის ვინმეზე დამოკიდებული, ანდა პირიქით, სხვაა _ მასზე დამოკიდებული. შრომის ასეთი ორგანიზაცია ახასიათებდა ინდუსტრიალიზაციის საწყის პერიოდს მსხვილ და საშუალო სიდიდის საწარმოებში. იგი წარსულს ჩაბარდა. დღეს ასე შრომობენ მხოლოდ ინდმეწარმეები. მათ არავინ სხვა არ მართავს. ისინი თავისი საქმის შემსრულებლებიც არიან, და, თავის თავის მენეჯერებიც.

პერსონალის ქცევის მართვის პრობლემა დგას მსხვილ და საშუალო საწარმოებში, სადაც რამდენიმე ასეული სხვადასხვა ხასიათის და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქცევის ადამიანები არიან დასაქმებული. ასეთი თანამედროვე კომპანიები რთული სამართავია, რადგან დასაქმებულთა ერთი მიდგომით მართვა დაუშვებელია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ცოდნით, გამოცდილებით, და, რაც მთავარია, ინტერესით. ასე რომ, გარდა კომპანიის ინტერესისა, რომ მათგან მიიღოს მაქსიმალური უკუგება, მათ თავიანთი პიროვნული ინტერესებიც აქვთ კომპანიაში. ისინი ამ ინტერესის შესაბამისად იქცევიან. კომპანიის მენეჯერებს მოეთხოვებათ იცოდნენ თითოეულის ინტერესი და მათ მართვაში გაითვალისწინონ იგი.

მეორე, რაც აუცილებლად უნდა იცოდნენ მენეჯერებმა ეს არის თუ სად გამომჟღავნდება დასაქმებულის პოტენციალი სრულად _ ინდივიდუალურად, ჯგუფში თუ გუნდში. ეს მეორე დავალება დასაქმებულთა ტიპაჟის ფსიქოლოგიურ გამოკვლევას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ საქართველოს ყველა მსხვილ და საშუალო სიდიდის საწარმოს შტატში ფსიქოლოგი უნდა ჰყავდეს.

გუნდები და ჯგუფები თანამედროვე მართვის რეალობად იქცა. ასეა ბიზნეს-სუბიექტებშიც და ასეა საჯარო მართვის სფეროშიც.

ჯგუფი არის ორი ან ორზე მეტი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთზემომქმედი ადამიანი, რომელიც გაერთიანებულია რაიმე განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

თანამედროვე პირობებში, ძირითადად გავრცელებულია მისი შემდეგი ტიპები [Стивен П. Роббинз, Мэри Коултер., 2007]:

- ხელმძღვანელის ჯგუფები;
- ჯვარედინი ფუნქციების ჯგუფები;
- თვითმართვადი ჯგუფები;
- მიზნობრივი ჯგუფები.

ჯგუფები განვითარების პროცესში 5 სტადიას გადიან: ფორმირების, მღელვარების, მოწესრიგებულობის, სამუშაოს შესრულებისა და დაშლის.

ჯგუფის ქცევაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათ რიცხვშია: ჯგუფის რესურსები, სტრუქტურა, სიდიდე, პროცესები და ამოცანები.

სტივენ პ. რობინზი და მერი კოულტერი გვაძლევენ იმ დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამონათვალს, რომელიც ჯგუფურ გადაწყვეტილებებს გააჩნია, ინდივიდუალურთან შედარებით [Стивен П. Роббинз, Мэри Коултер., 2007]:

**დადებითი მხარეები:**

- გადაწყევტილების მიღება მეტ ცოდნასა და დიდი მოცულობის ინფორმაციას ეყრდნობა;
- გადაწყვეტილების შერჩევა მრავალი ალტერნატივიდან ხდება;
- მეტია ალბათობა იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებას სხვა თანამშრომლები მოიწონებენ;
- გადაწყვეტილებას მეტი ლეგიტიმაცია აქვს.

**უარყოფითი მხარეები:**

- დროის დიდი დანახარჯი (იგი ურთიერთშეთანხმებასა და დისკუსიას საჭიროებს);
- უმცირესობის ძალაუფლება (ხშირად, ჯგუფის რომელიმე გავლენიანი წევრი საკუთარ მოსაზრებას დანარჩენ წევრებს თავს ახვევს);
- ჯგუფის ზეწოლა მისი თითოეული ინდივიდის ქცევაზე;
- პიროვნული უპასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღებაზე.

ჯგუფი, რომლის წევრები საერთო კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად დაძაბულად მუშაობენ, სინერგიზმის პოზიტიურ ეფექტს იყენებენ და მოქმედებენ ინდი-ვიდუალური და თანაზიარი ანგარიშგების საფუძველზე, სამუშაო გუნდად იწოდება. მასში ცალკეული წევრების გამორჩეული ძალისხმევა მიზნის შესასრულებლად ჯგუფს გუნდად აქცევს. სინერგიზმის წყალობით, გუნდის შრომის მწარმოებლურობის დონე უფრო მაღლია, ვიდრე გუნდის ცალკეული წევრის შრომის ნაყოფიერების ჯამი. ყოველივე ეს პოზიტიური სინერგიზმისა და ნათლად კოორდინირებული ძალისხმევის წყალობით მიიღწევა.

ჯგუფებსა და გუნდებს შორის განსხვავება კარგად ჩანს მათ შემდეგნაირ შედარებაში [Robbins S., Coulter M., 2014]:

| სამუშაო გუნდები | სამუშაო ჯგუფები |
|---|---|
| ხელმძღვანელობის ფუნქციები გადანაწილებულია გუნდის წევრებზე | არის მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი |
| ანგარიშვალდებულება საკუთარ თავთან და გუნდის წინაშე | ანგარიშვალდებულება მხოლოდ საკუთარ თავთან |
| გუნდი ისახავს სპეციფიკურ მიზანს | მიზანი ემთხვევა ორგანიზაციის მიზანს |
| სამუშაო სრულდება კოლექტიურად | სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად |
| შეხვედრებისთვის დამახასიათებელია მუდმივი მსჯელობა და პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა | შეხვედრები მაღალეფექტურია-თანამშრომლობისა და მუდმივი მსჯელობის გარეშე |
| შესრულებული სამუშაოს ხარისხი ფასდება უშუალოდ კოლექტიური სამუშაოს შედეგების მიხედვით | შესრულებული სამუშაოს ხარისხი ფასდება არაპირდაპირი გზით, იმისდა მიხედვით, თუ რა სარგებელი მოაქვს მას გარშემომყოფებისთვის |
| შესრულებული სამუშაო განისაზღვრება და სრულდება ერთობლივად | შესასრულებელი სამუშაო განისაზღვრება ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ და შესასრულებლად გადაეცემა ჯგუფის ცალკეულ წევრებს. |
| ხასიათდება სწრაფად ფორმირების, გაშლის, ორიენტაციის შცვლისა და დაშლის უნარით | |

აქვე შევნიშნავთ, რომ გუნდები მათი დანიშნულების შესაბამისად შეიძლება იყოს **ოთხი** განსხვავებული ტიპის:

- პრობლემების გადამჭრელი;
- თვითმართვადი;
- ჯვარედინი ფუნქციების;
- ვირტუალური.

როგორც აღვნიშნეთ, ჯგუფსა და გუნდს შორის განსხვავებები მეტად დიდია. გუნდს ისეთი ენერგიის გამომუშავება შეუძლია, რაც არ ძალუძთ ინდივიდებსა და ჯგუფებს. მისი ჩამოყალიბება უბრალოდ თანამშრომელთა თავმოყრითა და მათი გუნდად გამოცხადებით არ ხდება. რამოდენიმე ინდივიდის გარდაქმნა შეკრულ ეფექტურ გუნდად, მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესის შედეგია [Rokhvadze M., 2016].

გუნდები და ჯგუფები ერთმანეთისგან, უპირველეს ყოვლია, დანიშნულებით განსხვავდებიან. ჯგუფები შეუცვლელნი არიან იმ სამუშაოს შესრულებაში, სადაც ძირითადი სარგებელი თითოეული ინდივიდის მაქსიმალური ძალისხმევით მიიღება და გარშემო მყოფი ადამიანები, ანუ ჯგუფის წევრები მათ მხარდასაჭერად არიან საჭირო. აღნიშნულ სტრუქტურაში მთელი მისი ნაწილების ჯამია, მიზანი კი თითოეული ინდივიდის წარმატება და მათი ურთიერთკოორდინაცია.

ამის საწინააღმდეგოა გუნდის დანიშნულება. იგი იმ სიტუაციაშია გამოსადეგი, როცა ძირითადი სარგებელი ერთი პროდუქტის (ნაწარმის, პროექტის და ა. შ.) ერთობლივი შექმნით მიიღება. ასეთ შემთხვევაში, მთელი მეტია თავისი ნაწილების ჯამზე, ხოლო გუნდის მიზანი სინერგიული ეფექტის მიღებაში მდგომარეობს.

ერთი შეხედვით, ჯგუფები და გუნდები დახარჯული დროის სიდიდით, ანუ რაოდენობრივი მაჩვენებლებით არ განსხვავდებიან. მაგრამ არის მომენტი, როდესაც რაოდენობრივი გადადის ხარისხობრივში, ანუ ხდება ჯგუფის წევრების ფსიქოლოგიის გადაწყობა და ისინი იწყებენ აქტიურ მონაწილეობას ლიდერის როლის შესრულებასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაში. ასეთი ფსიქოლოგიური გადაწყობით, ჯგუფი უკვე გუნდის ძალას, სულსა და ენერგიას იძენს, ე. ი. გუნდად იქმნება.

## დასკვნა

გუნდების და ჯგუფების ურთიერთშედარება გვიჩვენებს რომ ორივეს აქვს თავისი დადებითი მხარეები, თუმცა, გუნდური მართვა იძლევა სინერგიულ ეფექტს, რაც ჯგუფებს და ინდივიდუალურ საქმიანობას არ ახასიათებთ. მათი ერთნაირი მეთოდით მართვა და დაკომპლექტება დაუშვებელია. ყველას არ შეუძლია გუნდური მუშაობა. ასეთ ადამიანს მენეჯერმა კომპანიაში ინდივიდუალური სამუშაო უნდა მოუძებნოს.

## ლიტერატურა:


1. სტივენ ა., რობინზი პ., ტიმოტი ჯაჯი, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, თბ., 2009, გვ. 416.
2. თეზელაშვილი ს., ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, 2007, გვ. 716.
3. Маслоу А., По направлению к психологии бытия, 2002, გვ. 48.
4. Весенин В. Р. Управление человеческими ресурсами, М., Проспект, 2015, გვ. 688.
5. ბაგრატიონი თ. პერსონალის ქცევის მენეჯმენტი მომსახურების სფეროში, დისერტაცია, თბ., 2018, გვ. 170.
6. Стивен П. Роббинз, Мэри Коултер. Менеджмент, М., 2007. გვ. 1044.
7. Robbins S., Coulter M., Management, Pearson, 2014, გვ 425,
8. როხვაძე მ. გუნდური მართვა თუ ჯგუფური მართვა? ჟ. „ეკონომიკა“, თბ., 2016, გვ. #9-10, 107-116.


## Management of personnel's intra-organizational behavior in a company, i.e. team or group management


***Manana Kharkheli***
*Associate Professor*
*Doctor of Economic Science,*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

The article discusses personnel behavior in individual activities, groups and teams. There are characterized some negative and positive aspects of the factors, having an impact on their behavior.

The article emphasizes the basic differences between teams and groups. It is reported that a team has a synergistic benefit, unlike a group or individual work. There is a difference in their functions too. A team might not be able to work in the environment, where a group operates quite well. In addition, employees, based on their distinctive characteristics, may be more productive for the organization in groups, in teams or in an individual manner.

At the end of the article, there is a summative statement regarding the advantages of team working. Particularly, cooperative effort increases work output due to synergism. A team may generate the energy to such an extent that is impossible for individuals and groups.



**Key words:** Personnel; Intra-organizational behavior; Teams; Groups; Personnel Management.

# კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და მახასიათებლები

**მანანა ხარხელი**

*ასოცირებული პროფესორი*

**გიორგი მორჩილაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დოქტორანტი*

*სტატიაში განხილულია კონფლიქტის არსი, თეორიები კონფლიქტებზე, მისი გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტის მახასიათებლები და ფუნქციები. კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა არაერთი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია. ნაშრომზე მუშაობისას ჩატარდა ასევე პრაქტიკული კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათი კომპანიის საშუალო და ტოპ - მენეჯმენტის წარმომადგენელმა. კვლევა ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით, დაკავშირების მეთოდი იყო პირისპირ, ამონაკრები კი - მიზნობრივად შერჩეული.*

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი; კონფლიქტის გადაწყვეტა; მართვა.*

კონფლიქტები წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, როგორც საქმიან ასევე, პირად ცხოვრებაში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი ეფექტიანად არ იმართა, მას შეიძლება მოჰყვეს საკმაოდ მძიმე შედეგები, ეფექტიანი მართვისას კი შესაძლებელია საკმაოდ დიდი პოზიტიური შედეგების მიღება. კონფლიქტის ეფექტიანი მართვისთვის ადამიანმა საჭიროა იცოდეს თუ რა არის კონფლიქტის, ესმოდეს მისი არსი, მახასიათებლები, გამომწვევი მიზეზები და ფლობდეს ტექნიკას. სწორედ აღნიშნული საკითხებია განხილული ქვემოთ მოყვანილ კვლევაში.

ადამიანთა თანაცხოვრება მოიაზრებს კონფლიქტების არსებობას, რომელიც განპირობებულია, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზების არსებობით. კონფლიქტი არის სოციალური მოვლენა, რაც აღმოცენდება თვით საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებისგან [2, გვ. 7].

ერთერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს წარმატებული იქნება თუ არა ადამიანი ცხოვრებაში, დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად განვითარებული აქვს ადამიანური უნარ-ჩვევები, რაც მოიცავს ხალხთან მუშაობის უნარებს და ზოგადად ცოდნას ადამიანების შესახებ [1, გვ. 53]. კონფლიქტი, კი წარმოადგენს რა ადამიანური ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს, არის ძალიან კომპლექსური ფსიქოლოგიურ - სოციალურ მოვლენა, საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ დიდი იქნება რისკები შეცდომის დაშვების მისი მართვისას, რასაც ზოგჯერ ძალიან მძიმე შედეგიც მოჰყვება. საკმარისია გავიხსენოთ ის, რომ კონფლიქტების არაეფექტიანი მართვის გამოისობით, XX საუკუნეში 300 მლნ ადამიანზე მეტი დაიღუპა.

ჩვენი კვლევის მიზანია, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა და მახასიათებლების გამოკვლევა, ამის საფუძველზე კი რეკომენდაციების შემუშავება, მისი ეფექტიანი მართვისთვის.

## კონფლიქტების არსი და განვითრების თეორიები

კონფლიქტის ცნების მრავალი განმარტება არსებობს, რაც განპირობებულია კაცობრიობის მხრიდან მოცემული ცნებისადმი არსებული უწყვეტი ინტერესით. ამასთან, შეიძლება გამოვყოთ მისი ძირითადი კომპონენტები, კერძოდ კი: ა) კონფლიქტი არის სოციალური მოვლენა, რაც აღმოცენდება თვით საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებისგან, ის ფართოდ არის გავრცელებული ყველგან [11,გვ.3]; ბ) კონფლიქტი არის შეგნებული გამოხატულება, მოფიქრებული მოქმედება [2,გვ.41]; გ) კონფლიქტი ისეთი ურთიერთქმედებაა, რომელიც მიმდინარეობს ურთიერთ წინააღმდეგობების ფორმით, პიროვნებების ან საზოგადოებრივი ძალების ურთიერთ ბრძოლით, შეხედულებების, პოზიციების მინიმუმ ორმხრივი შეჯახებით [13, გვ. 6].

შესაბამისად, ზოგადი განმარტება, რომ წარმოვადგინოთ, კონფლიქტი არის მოვლენა, რომელიც, ადამიანისა და ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და აღმოცენდება ბუნებრივად, თვით ადამიანების ცხოვრების ბუნებისგან, ის არის შეგნებულად გამოხატული, გააზრებული და მოფიქრებული ქმედება; ამასთან კონფლიქტი ისეთი ურთიერთქმედებაა, რომელიც მიმდინარეობს წინააღმდეგობის ფორმით, პოზიციების მინიმუმ ორმხრივი შეჯახებით;

კონფლიქტები, მისი გავრცელების ძალიან ფართო და დიდი მასშტაბიდან გამოდინარე, ოდითგანვე იყო ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, საერთოდ მეცნიერთა კვლევის საგანი. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია მისი ევოლუციის წარმოდგენა, საკითხის კომპლექსურობის, მასშტაბურობის და სიდიდის წარმოჩენისთვის:

*კონფლიქტოლოგიის, როგორც შედარებით დამოუკიდებელი თეორიის და პრაქტიკის ჩამოყალიბების ეტაპები [2]*

| ეტაპი | პერიოდი | დახასიათება | წყარო |
|---|---|---|---|
| I ეტაპი | უძველესი დრო | კონფლიქტები, როგორც ადამიანების ურთიერთმქდებისა და დამოკიდებულების სოციალური კავშირების არსებითი მხარე | ჰერაკლიტე, ეპიკურე, კონფუცი და სხვ. |
| II ეტაპი | შუა საუკუნეები | კონფლიქტოლოგიურ იდეებს ძირითადად აქვთ რელიგიური ხასიათი | ავრელიუს ავგუსტიანი, თომა აქვინელი და სხვ. |
| III ეტაპი | აღორძინების ეპოქა | იდეები გაჟღენთლია ადამიანის ძალის, გონიერების და ჰარმონიის რწმენით, კონფლიქტების გადალახვის უნარით | ჰ.ბრუნო, კოპერნიკი, ნ.მაკიაველი და სხვ. |
| IV ეტაპი | ახალი დრო და განმანათლებლების ეპოქა | კონფლიქტების შეცნობისა და შესწავლაში სისტემური მიდგომების წინაპირობების გამ ოვლენა | ფ.ბეკონი, თ.ჰობსი, ჟან - ჯაკ რუსო, ა. სმიტი და სხვ. |
| V ეტაპი | XIX საუკუნის პირველი ნახევარი | კონფლქიტების შესწავლისთვის ჭეშმარიტად სამეცნიერო მიდგომის ჩამოყალიბება | ე.კანტი, გ.ჰეგელი, ლ.ფეიერბახი და სხვ. |
| VI ეტაპი | XIX საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი | კონფლიქტოლოგიის როგორც შედარებით დამოუკიდებებლი თეორიის ჩამოყალიბება | გ.ზიმელი, ზ.ფროიდი, ა.ადლერი და სხვ. |
| VII ეტაპი | თანამედროვე დრო | კონფლიქტების თეორიის დამატებითი კონკრეტიზირება, მისი პრობლემატიკის მკვეთრი მოხაზულობა | თ.კ. პარსონი, რ.დარენდორფი, ლ.კოზერი, ა ტურენი, კ.ბოულდინგი და სხვ. |

მნიშვნელოვანია ის, რომ მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მეცნიერების და მოაზროვნეების მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული ძალიან დიდი ინფორმაციისა, ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი, მკვლევარების მიერ აღიარებული და შეთანხმებული თეორია კონფლიქტოლოგიის როლის, პროცესის, პარამეტრებისადმი მეთოდოლოგიურ მიდგომებში, რაც პრობლემურია და მეტყველებს მისი სირთულეზე.

## კონფლიქტების მახასიათებლები და გამომწვევი მიზეზები

იმისთვის, რომ კონფლიქტი (ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სოციალური მოვლენა) ეფექტიანად იმართოს, პრინციპულად არსებითია მისი ხასიათის და გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულად შეცნობა.

კონფლიქტს გააჩნია გარკვეული ფუნქციები. მკვლევარები, კონფლიქტის ფუნქციად მოიაზრებენ იმ ზეგავლენას, რომელიც შეიძლება კონფლიქტს ჰქონდეს სისტემის ელემენტებზე (ადამიანზე, ჯგუფსა და საზოგადოებაზე). ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა ლ. კოზერის [4, გვ. 31] მიერ მოყვანილი ანალიზი. კერძოდ, ის გამოჰყოფს შემდეგ ფუნქციებს:

- ინტეგრაცია: კონფლიქტის მოცემული ფუნქცია მოიაზრებს თავში, სოციალური სისტემის მდგრადობაზე ზეგავლენას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კონფლიქტი აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას სოციალურ სისტემაზე, მთავარია მისი მიმართვა მოხდეს იმ, მხრივ რომ უზრუნველყოფილ იქნეს გუნდის უფრო შეკვრა, კონსოლიდაცია და არა პირიქით.
- სოციალური კავშირის აქტივიზაცია: მოცემული ფუნქცია არის ძალიან მნიშვნელოვანი და მოიაზრებს თავში ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობის გამძაფრებას (გამძაფრებას შეიძლება ჰქონდეს, როგორ პოზიტიური, ისე ნეგატიური ზეგავლენა)
- სასიგნალო - კონფლიქტის მოცემული ფუნქცია გულისხმობს იმას, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში ყოველთვის ხდება გარკვეული დაფარული მოთხოვნილებების, ამბიციების, აზრების გამოვლენა; (ხელმძღვანელს, ინციდენტის მოხდენისას, შეუძლია ძალიან არსებითი და საინტერესო ინფორმაცია მიიღოს თანამშრომელთა შესახებ);
- შემოქმედებითი ინიციატივის ხელშეწყობა - კონფლიქტი, როგორც ზემოთ არის ნახსენები, წარმოად-

გენს მინიმუმ ორი მხარის დაპირისპირების შედეგს; ხოლო დაპირსპირების დროს, ორივე მხარეს ეძლევა, ძალიან დიდი სტიმული ახლებურად, შემოქმედებითად, არასტანდარტული გზით გადაწყვიტონ ის პრობლემები რომლის წინაშეც დგანან.

- ტრანსფორმაცია - კონფლიქტს, დაკავშირებული არის რა დაძაბულობასთან, ცვლის ურთიერთობის ფორმას, რომელიც ჰქონდათ კონფლიქტის დაწყებამდე მონაწილე მხარეებს. ცვლილებას შეიძლება ჰქონდეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ხასიათი.
- საინფორმაციო - კონფლიქტის დროს, გამომდინარე იქიდან, რომ პროცესი დინამიურად მიმდინარეობს, ვრცელდება ინფომრაცია, რომელიც თანამშრომლებს სრულყოფილად უქმნის წარმოდგენას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ და ხელს უწყობს მხარეებს შორის საერთო ენის გამონახვას.
- პროფილაქტიკური - კონფლიქტის დროს შეიძლება განიმუხტოს სიტუაცია მანამ, სანამ კონფლიქტს მოჰყვება დამანგრეველი შედეგი, რაც დაკავშირებულია მის პროფილაქტიკურ ფუნქციასთან.

ზემოთ მოყვანილი ფუნქციების გააზრება, ნებისმიერ ადამიანს დაეხმარება კონფლიქტის პროცესის ეფექტიან მართვაში, რადგან როდესაც ადამიანმა იცის პროცესის ბუნება (რაც არ უნდა იყოს ის), უკეთ შეუძლია მასზე ზეგავლენა.

კვლევის პროცესში, ჩვენთვის საინტერესო იყო კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დადგენა; იმისთვის, რომ ეფექტიანად მოხდეს კონფლიქტების მართვა აუცილებელია თავდაპირველად მოხდეს დაზუსტება იმის, თუ რა არის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი გახდება კონფლიქტის გამომწვევი ნამდვილი მიზეზის წარმოჩენა, მისი მართვა ბევრად უფრო მარტივი ხდება. ამასთან კონფლიქტის გამომწვევის მიზეზების ცოდნა (რომელიც მოყვანილი ქვემოთ), ხელმძღვანელს და საერთოდ ნებისმიერ ადამიანს აძლევს იმის საშუალებას, რომ წინასწარ იყოს მომზადებული შესაძლო კონფლიქტისთვის და მანამ, სანამ ის დაიწყება გააკეთოს პროცესის მოდელირება და სწორი გადაწყვეტილებებით მისი პრევენცია, ან ისე წარმართვა, რომ შეინარჩუნოს კონსტრუქციული ხასიათი.

მკლევარების მიერ მოყვანილია კონფლიქტის მიზეზების მრავალი კლასიფიკაცია, მათ შორის ერთ - ერთი ყველაზე გავრცელებულია კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების კლასიფიკაცია: ობიექტურ, ორგანიზაციულ მმართველობით, სოციალურ - ფსიქოლოგიურ და სუბიექტურ მიზეზებად დაყოფა [4, გვ. 32].

კონფლიქტის გამომწვევი ობიექტური მიზეზები, არიან თავისთავად განაპირობებს წინა კონფლიქტურ სიტუაციას. კერძოდ კი: პოლიტიკური გარემო, ეკონომიკური გარემო, სოციალური გარემო, იდეოლოგიებს შორის განსხვავება და სხვ.

კონფლიქტის გამოწვევი ორგანიზაციულ - მმართველობითი მიზეზებია:

- სტრუქტურულ - საორგანიზაციო: როდესაც, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამშრომელთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში;
- ფუნქციონალურ - საორგანიზაციო: არაეფექტიანი კავშირის სისტემა ორგანიზაციაში, რომელიც ართულებს საქმიანობის პროცესს,
- პიროვნულ - ფუნქციონალური - როდესაც თანამდებობაზე, არის ისეთი ადამიანი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი თვისებები და უნარ-ჩვევები;
- სიტუაციურ - მმართველობითი: ყოველდღიური საქმიანობის პროცესში კომპანიის მენეჯმენტის და დაქვემდებარებულების მიერ, საქმიანობის განხორციელებისას დაშვებული შეცდომები;

ნებისმიერი, ზემოთ მოყვანილი მიზეზი, გარკვეულწილად, თავისთავად არის წინა კონფლიქტური სიტუაციის ჩამოყალიბების საფუძველი.

კონფლიქტის სუბიექტური მიზეზები განპირობებულია კონკრეტული პირების არჩევანით, მაგალითად: უნდობლობა თანამშრომელთა მიმართ, ზედმეტი სიმძაფრე ადამიანებთან კომუნიკაციისას, „ზემოდან ყურება“ დაქვემდებარებულ თანამშრომლებზე და სხვ.

ცხადია, ზემოთმოყვანილი მიზეზები არ არის ამომწურავი, მკვლევარების აზრით, ამბობენ (ვ.ლ. ცვეტკოვი, 2015) „ექსპერიმენტულმა მონაცემებმა გვაჩვენა, რომ შრომით კოლექტივში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ის უბრალოდ არ ექვემდებარება რაიმე მკაცრ კლასიფიკაციას, მაგრამ მისი ცოდნა მნიშვნელოვანია, რადგან როდესაც ვიცით, რომ გარკვეულ გარემოება შეიძლება პრობლემა გახდეს, მისი დანახვისას, ადეკვატურად გადადგმული ნაბიჯებიც ადეკვატური და სწორი იქნება.

## დასკვნა

კონფლიქტი კომპლექსური სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია უამრავი თეორია და მიდგომა, კონფლიქტების მართვასთან დაკავშირებით, ერთიანი შეთანხმებული ზოგადი მიდგომა არ არსებობს. მოცემული კვლევა წარმოადგენს ცდას, წარმოჩენილ იქნეს

კონფლიქტის არსი, ფუნქციები და გამომწვევი მიზეზები, რომელშიც გაერთიანებულია მრავალი მეცნიერისა და ჩვენი პრაქტიკული კვლევის შედეგი და რომელიც სავარაუდოდ საინტერესო იქნება და დაეხმარება ნებისმიერ ადამიანს, როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში, უფრო უკეთ შეძლოს კონფლიქტების მართვა.

## ლიტერატურა:


1. პ.გ. ნორთჰაუზი (2010), ლიდერობა , თეორია და პრაქტიკა, ა.შ.შ, ლოს-ანჟელესი, 2010, 375
2. ვ.ლ. ცვეტკოვი, კონფლიქტის ფსიქოლოგია, საქართველო, თბილისი, 2015, 218
3. Атоян, А.Д. Конфликтология : конспект лекций / А.Д. Атоян. - М. : Приориздат, 2005, 65
4. Блюм М.А., правление конфликтами в коммерческой деятельности, E Book, 2011,104,
5. А.Я. Кибанов, И.Е. Ворожейкин, Д.К. Захаров, В.Г. Коновалова ; под ред. А.Я. Кибанова. — 2-е изд. Конфликтология : учебник . — Москва. : ИНФРА-М, 2019. — 301
6. Курбатов, В.И. Конфликтология / В.И. Курбатов. - М. : Феникс, 2009; 448
7. Леонов, Н.И. Конфликтология / Н.И. Леонов. - Воронеж : Изд-во НПО «МОДЭК», 2010, 232;
8. Лазукин, А. Д. Конфликтология / А. Д. Лазукин. - М. : Омега-Л, 2011, 150
9. Ратников, В.П. Конфликтология / В.П. Ратников. - Юнити-Дана, 2012, 543
10. Katz, R. L. (1955). Skills of an effective administrator. Harvard Business Review, 33 (1). pp. 33-42
11. B. Vestergaard, E.Helvard , A. Rieck Sørensen, Denmark ,2011, 15
12. J. Nelsen Ed.D. (Positive Discipline for Today's Busy (and Overwhelmed) Parent: How to Balance Work, Parenting, and Self for Lasting Well-Being, 2018, 343
13. T. Schelling, The Theory of conflict, London, England, 1980, 319
14. M. Argyle, The Psychology of Interpersonal Behavior, USA, NY, 1972 , 343


## Causes and Characteristics of the Conflict


***Manana Kharkheli***
*Associated professor, Tbilisi state university*

***Giorgi Morchiladze***
*Doctoral student, Tbilisi state university*



S u m m a r y

The article discusses the essence of the conflict, theories of conflicts, its functions and characteristics. We made theoretical and practical research. During the research process, the communication was made between the middle and upper management in ten companies, the research method was deepened interview, the given method was selected by complexity of its topic. Also there has been studied monographs, scientific Articles and other works on a given issue.



***Key word:*** *Conflict; Conflict Management; Management.*

# Social and Economic Challenges of Sustainable Tourism Development in Georgia

***Ioseb Khelashvili***

*Professor*

*Head of Tourism & Hospitality Management Department*

*Ivane Javakhishvili Tbilisi state University*

*Tourism industry in Georgia is progressing quickly, taking a position of leading industry and increasing the influence on country's social and economic environment. The purpose of the study is to identify the essential economic and social challenges of the industry's sustainable development. It includes the following consecutive steps: determining the principles of sustainable development and key features of tourism industry for the case study; identifying leading challenges of sustainable tourism development in the country; and concluding with outlooks for further sustainable development. The search revealed five leading challenges of the industry's development, including over-dependence on a few selected segments, low multiplier effect of generated income, high import dependency, competitive vulnerability of impulsively expanding small tourism businesses against also increasing big businesses in this sector, and emerging social well-being challenges in tourism destinations. The views on future development are summarized into seven considerations.*

***Key words:*** *tourism; sustainable; social and economic challenges; Georgia.*

Thanks to its comfortable and attractive natural environment, distinctive cultural heritage and other attractions, Georgia became a popular tourism destination from as early as the mid 20$^{th}$ century. The country was increasingly progressing up to the beginning of the hard transitional period of early 90-ies. After decades of this challenging time, the tourism industry entered into a new, rejuvenation stage of its development under an entirely new political, social and economic conditions developed since the beginning of XXI century. Currently, the industry is acquiring a leading role in the country's social and economic development with its benefits and challenges.

The purpose of the research is to identify the basic economic and social challenges of sustainable tourism development in Georgia and express a vision regarding the industry's prospects.

The study includes the following steps:

I. Determining the key features of sustainable tourism development in Georgia, including:

*a* Outlining and applying the basic principles of a sustainable development for the purpose of this research;

b Determining the most important features of tourism industry and its development in Georgia;

II. Identifying general challenges of sustainable tourism development in Georgia; and concluded by

III. Outlooks on the industry's further sustainable development. (See fig.1)




*Fig. 1 The model of the case-study*

## I. Determining the key features of sustainable tourism development in Georgia

According to the United Nations World Tourism Organization (UN WTO) sustainable tourism can be defined as: "Tourism that takes full account of its current and future economic, social and environmental impacts, addressing the needs of visitors, the industry, the environment and host communities" [1]

a) *Sustainable development principals applied in the study*

*For the purpose of our study we outlined the following basic principles of sustainable development*

- ✓ To consider that the "Sustainable development is development that meets the needs of the present, without compromising the ability of future generations to meet their own needs." [2].
- ✓ To take into consideration and balance the interests of involved parties, meaning - visitors entrepreneurs, local population, government, experts and other stakeholders;
- ✓ To consider the tourism development in close relations with its environment, which itself is composed of social, economic and natural components;
- ✓ To view the relations with the environment bilaterally, meaning the – the impact of tourism on the environment and the influence of environment on the development of tourism;
- ✓ To take into consideration particularities of each destination.

b) *Key Features of Tourism and its development in Georgia*

The outlined **key features** of the tourism industry for the case study are as follows:

- ✓ Tourists usually express demand on broad varieties of services and products and have higher payment capabilities than local population. These features, on the demand side, easily involve local population to initiating tourism-related business activities from the supply side.
- ✓ With the growth of tourism, both the supply and demand side counterparties contribute to stimulating multi-level economic development, which is referred to as a supply chain or a satellite economy.
- ✓ The development of satellite economy, either in a specific destination or country-wide, leads to important macroeconomic outcome known as the "multiplier effect". The study questions the local economy's internal capabilities to satisfy the demand of the growing tourism. Those demands of tourism industry which cannot be met by local products and services are substituted by imports. Therefore, the relevant part of income received from tourists (called Input) goes out of the country's economy (called Output), thus most likely reducing the multiplier effect
- ✓ The tourism-oriented economy predominantly develops small businesses, making the destination's economy highly depended on outside supply.
- ✓ Tourism is a labor intensive industry, which requires experienced management-level employees as well as subordinate staff. Along with numerous management and expert-level qualified positions, such as general and department managers, accountants, financiers, constructors and others, majority of subordinate staff vacancies are accessible for people with low or even no special qualifications, e.g. on positions of waiters, cleaners, animators, bellboys, drivers, salespeople, etc. This characteristic of the industry may have different effects under different social and economic conditions. In part - be helpful for a short-term period under high unemployment situation, but discourage the qualification progress of the population in a long-term period.

The tourism industry is progressively growing in Georgia taking a leading position in the country's economy. As a result, the impact and influence on the environment is adequately increasing.

According to the National Tourism Administration reports *[3]*:

- Number of visitors in 2017 reached 7 902 509, which is 17% more than in 2016;
- The number of tourist among them was 4 962 776, or 23% more than in 2016;

*Based on the World Travel & Tourism Council report of 2018 on economic impact [4], the industry's contribution to the country's economy was:*

- In direct employment - 7,8%;
- In total employment – 27%
- In total capital investments – 3,6%

Presented data clearly demonstrates the increasing role of tourism and the extent to which this industry influences the country's economy.

## II. The Challenges of Sustainable Tourism Development in Georgia

The analyses of tourism development in Georgia were executed based on the above mentioned 5 principals of sustainable development and 5 features of the industry's impact on the social and economic environment.

The leading revealed challenges are as follows which are explained further below:

9. High dependence on a few segments of the market, while each of these segments is not free of risk;
10. Increasing dependence on import causing leakage of income generated by the growing tourism industry
11. Anticipated competition between widely expanding small tourism businesses and institutionalized tourism companies;
12. Flow of small individual capital investments in relatively easy to enter but vulnerable small tourism businesses;
13. Emerging challenges of communities' wellbeing in the fast growing tourism destinations

(1) High dependence on a few market segments, while each of these segments is not free of risk.

Presently, more than 75% of foreign visitors in Georgia are guest from 4 neighboring countries and each of them holds more than 10% share in the total market. The followed segments hold shares twice less than the leading ones. It means, that the industry which has gained a leading position in the country's economy and is progressing, basically depends on a few segments and contributes into the economies vulnerability (See Fig. 2).

| Contribution of Tourism Industry in Georgia's Economy - 2017 | |
|---|---|
| *Macroeconomic indicators* | *Contribution* |
| Service export | 68,00% |
| Total export | 35,80% |
| Direct employment | 7,80% |
| Total employment | 27,00% |
| Foreign direct investments | 3,60% |
| Share in GDP | 6,90% |

| | | |
|---|---|---|
| **Total visitors** | 6 482 830 | 100% |

| | | |
|---|---|---|
| **Visitors from leading segments in total** | 4 731 057 | 73% |

| Visitors from leading segments by member countries | | |
|---|---|---|
| Azerbaijan | 1 301 556 | 20,10% |
| Armenia | 1 287 168 | 19,90% |
| Russia | 1 135 057 | 17,50% |
| Turkey | 1 007 276 | 15,50% |

*Fig. 2 Dependence of Georgian Tourism on Leading Market Segments*

Source of data: [5; 6; 7]

(2) Increasing dependence on import causing the leakage of income generated by the growing tourism industry.

Growing tourism within the less diversified economy of the country gives a relatively small multiplier effect from the generated income. Professor Papava states that "In fact, the further growth of the tourism industry develops tourism related sectors in countries which are providing imports to Georgia" [8].

The small internal market along with yet undeveloped export capabilities of the country, limits the potential of tourism industry to develop a satellite economy and currently promotes mainly retail gift and food shops, food mar-

kets, small restaurants and café, driving services etc. The development of economically viable supply chain within the country and better benefit from tourism income is a standing challenge.

(3) Looming competition between widely expanding small tourism businesses and the growing institutionalized tourism companies.

Rapidly growing tourist market attracts interest of both small and relatively big investors. On the wave of booming tourism in Georgia, local population is increasingly investing their limited savings in guest houses and other like accommodations but run them with lack of industry-specific knowledge. Currently, the share of accommodations with 5 and less rooms is 39%, while the hotels with 21 and more rooms take only 15%. However, according to the same source, 26 big brand hotels are already in progress [9] and this share is expected to be progressing. Further impulsive mushrooming of the vulnerable small tourism business will face competition with stronger and professionally managed brand hotel for territories and mid-market segments. It will lead to challenges of massive bankruptcy of the weak side.

(4) Flow of small individual capital investments in relatively easy to enter but vulnerable small tourism businesses.

The lack of professionally managed investment funds bounds private sector and local population to consolidate their savings into viable investment resources and direct them into businesses with relatively safe and credible return. As a result, the potential of small investors in the country remains fragmented and focused on easily accessible but less competitive small business, such as individual guest-houses, hostels, tour agencies, etc.

(5) Emerging challenges of communities' wellbeing in the fast growing tourism destinations.

According to the Butler's Tourism Areal Life Cycles at the consolidation stage "tourism arouses opposition and discontent from some people"[10; 11]. There is a wide variety of possible reasons, including but not limited to noise from entertaining facilities, traffic and parking problems, rising prices, visitors queues, overcrowded locations, differences in some habitual behaviors and traditions, damages of cultural monuments, even use of travelling opportunities for illegal activities. Even though Georgian destinations are hardly at that stage, the first signs of emerging challenges have been witnessed.

## III. Outlook on further sustainable development

*"Tourism growth is not the enemy, it's how we manage it that counts" - Taleb Rifai, former Secretary General, UN WTO [12].*

The author of this study believes that in the current stage of economic development of Georgia the tourism industry should remain the important source of income, export, foreign investments, as well as area of employment. However, a proper strategy should be worked out and applied to fully benefit from the development of this industry that should resolve and avoid existing and/or expecting challenges.

The following are our view to address the underlined above challenges:

- ✓ Transfer the marketing strategy from maximizing the amount of visitors to the expansions of the least risky and most sustainable segments;
- ✓ Rationalize the influence of growing tourism industry on the country's economy through focusing on promoting of those satellite sectors which has an alternative market, carries export potential and and/or replace import services and products (air/railway transport, production of bio-products, wine production, etc);
- ✓ Promote the sectors which can increase tourism income multiplier in the country through rising competitiveness of local supply chains, service providers, especially in construction, transportation, tourism marketing and other related services, as well as to advance the level of qualifications of labor forces and business owners;
- ✓ Use the tourism potential for creating jobs, developing businesses and satellite infrastructure in regions with limited economic potential, especially in remote mountain regions which represent more than half of the country's territory;
- ✓ Increase the competitiveness of local, especially small tourism businesses through creating business alliances, investment funds, assisting in valuation of investment opportunities, preparations of investment proposals and business plans, offer training to business owners;
- ✓ Prioritize the development of tourism sub-sectors which create relatively higher quality jobs and have higher potential to promote investments, business relations, innovative technologies and other target proc-

esses. Such subsectors may be healthcare tourism, MICE tourism, small group and individual business tourism, scientific expeditions, educational and training tourism, etc. They may also mitigate the tourism seasonality issues;

- ✓ Increase competitiveness of national tourism businesses through promoting the use of innovative technologies and approaches, inter alia, in marketing - webs and social media, so called - sustainable tourism marketing model – STMM; in operations - hotel and tour-operating management software and GIS; in tourism services – expand the offers of experiential tours and the practice of service co-production; in destination management - use the sustainable development methodology; in data collections – adopt the satellite account standards; and in field researches – the transdisciplinary problem identification methodology.

The introduced multi-lateral objectives intend to resolve the above-identified key social and economic challenges of tourism development in Georgia and frame the author's vision of industry's sustainable development.

## Sources:


1. http://sdt.unwto.org/content/about-us-5
2. http://www.un.org/en/ga/president/65/issues/sustdev.shtml. - UN World Commission on Environment and Development
3. *https://gnta.ge/statistics/*
4. *https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2018/georgia2018.pdf*
5. https://www.nbg.ge/index.php?m=306
6. https://gnta.ge/statistics/
7. http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
8. https://www.gfsis.org/ge/blog/view/854,
9. https://gnta.ge/statistics/, p.30)
10. http://www.multilingual-matters.com/display.asp?K=9781845410292, Volume 3 p.37, 263, 269;
11. https://www.numptynerd.net/tourism-the-butler-model.html.
12. http://media.unwto.org/press-release/2017-08-15/tourism-growth-not-enemy-it-s-how-we-manage-it-counts)

# თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე

**ლალი ხიხაძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის მიმდინარე პროცესები, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები სამეცნიერო კვლევის აქტუალური სფეროა, რადგანაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესსექტორის განვითარების მომავალი მასთანაა დაკავშირებული. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, ტრანსნაციონალიზაცია, ინტეგრაციული პროცესები, ლიბერალიზაცია გახდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს გლობალიზაციის თანამედროვე მდგომარეობას. ამასთან, გლობალიზაციის პროცესები უმეტესად წინააღმდეგობრივია და მათ პოზიტიურ შედეგებს უმთავრესად გრძნობს პოსტინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფი. მათზე მოდის ნედლეულის და ენერგო-მატარებლების მსოფლიო რესურსების გამოყენების უდიდესი ნაწილი, ხოლო განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები უმეტესად გადაქცეულია პროდუქციის გასაღებისა (მომხმარებელ ქვეყნებად) და იაფი შრომითი რესურსების ბაზრებად. მათი დამოკიდებულება განვითარებულ სახელმწიფოებთან აგებული უნდა იყოს მხოლოდ თანასწორუფლებიან და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრინციპებზე.*

*გლობალიზაცია მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რადგანაც ის განიხილება, როგორც მსოფლიოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ინტეგრაციის პროცესი, მაგრამ ამათგან გამოკვეთილი ადგილი, ეკონომიკურ და კულტურულ გლობალიზაციას უჭირავს, რომელიც ვითარდება ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის, სპეციალისტებისა და კულტურული ფასეულობების გაცვლით.*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური და კულტურული გლობალიზაცია; გლობალური ბიზნესი; პოსტინდუსტრიული; გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნები; გლობალიზაციის ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციები; სატრანზიტო დერეფანი; საქართველოს საექსპორტო პოტენციალი; საერთაშორისო ორგანიზაციები.*

XXI საუკუნეში კაცობრიობის წინაშე დგას მრავალი პრობლემა და გამოწვევა, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ეკონომიკური და კულტურული გლობალიზაცია, ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლას და ერთსახოვანი გლობალური კულტურის ფორმირებას. გლობალური კულტურა და კოსმოპოლიტური იდეები ყოველთვის შეუთავსებადი და წინააღმდეგობაშია სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკასთან, ნებისმიერი ქვეყნის კულტურა გამოირჩევა თვითმყოფადობით, ისტორიული ტრადიციებით, ფასეულობებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად აფერხებენ ე.წ კულტურული გლობალიზმის მზარდ პროცესს, მაგრამ ხდება პირიქითაც, როდესაც ქვეყნის კულტურა იზღუდება, ასევე იჩრდილება და ცვლილებას განიცდის გლობალური კულტურაც. მიუხედავად ამგვარი გავლენისა ქვეყნის, ერის კულტურა მაინც ინარჩუნებს საკუთარ ბუნებას, რადგანაც გლობალიზაციის ნეგატიური პროცესებისაგან გარკვეული სახის თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია.

ეკონომიკის გლობალიზაცია კი, პლანეტას აყალიბებს ერთიან ორგანიზმად და ხელს უწყობს მისი ყველაზე დაშორებული რეგიონების დაახლოებას. თავისი არსით ეკონომიკის გლობალიზაცია ინტეგრაციის პროცესის თვისობრივ გაღრმავებას, ფუნქციურ გაძლიერებასა და ტერიტორიული განზომილების შემცირებას ასახავს. ამასთან ერთად გლობალური პროცესების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებასთან, საფინანსო სფეროს გლობალიზაციასთან, საერთაშორისო ბიზნესის ლიბერალიზაციასთან და უნიფიკაციასთან, რაც გამოიხატება ყველა ქვეყნისათვის ჰარმონიზებული, ერთიანი სტანდარტების გამოყენებასა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ასევე მასშტაბურად იზრდება ტრანსნაციონალური კომპანიების რაოდენობა(მეთაური კომპანიების რაოდენობა 80 ათას აღწევს, ხოლო მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები 900 ათას აღემატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში), რაც მიგვანიშნებს, რომ გლობალიზაციის პროცესებს მივყავართ ტრანსეროვნულ მსოფლიოსაკენ, ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებამ, ინვესტიციების დივერსიფიკაციამ და სამეურნეო წარმოების ინტერნაციონალიზაციამ ურთიერთდაკავშირებული გახადა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, გლობალიზაციის პირობებში მკვეთრად ამაღლდა საერთაშორისო ბიზნესის როლი და მნიშვნელობა, ბიზნესმა არალოკალური, არამედ უნიფიცირებული და გლობალური ხასიათი მიიღო. ინტერნაციონალიზაცია, ტრანსნაციონალიზაცია, ლიბერალიზაცია, და გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ფუნდამენტური საფუძველია.

გლობალიზაციის პროცესის სხვადასხვა განზომილებას წარმოადგენს საქონლითა და მომსახურებით თავისუფალი ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილება, კომპანიათაშორისი ალიანსებისა და ქსელების ფორმირების მზარდი ტენდენციები, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა და ცოდნის საზოგადოების ფორმირება. ეს ნიშნავს, რომ გლობალური ბიზნესის თითოეული ეს ფორმა მოიცავს მთელ მსოფლიოს და მათი ერთობლივი მოქმედება აღრმავებს ქვეყნების ეკონომიკების ინტეგრირებულობას, ურთიერთზემოქმედებასა და ურთერთდამოკიდებულებას, მაგრამ გლობალიზაცია არა მხოლოდ ინტეგრაციას, არამედ დაშლასაც ემსახურება, რადგანაც უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, ადგილი აქვს მასობრივი უმუშევრობის ზრდას, ეროვნული წარმოების სტაგნაციას, ამასთან ერთად ზრდის ქონებრივ უთანასწორობასა და სოციალურ დაძაბულობას. ამდენად, რეალურად გლობალიზაცია გვთავაზობს ხელსაყრელ შესაძლებლობებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის, მაგრამ ის არ არის ყველა ქვეყნისათვის ხელსაყრელი და სარგებლის მომტანი, ზოგიერთი ქვეყანა სწრაფად ახერხებს გლობალურ მსოფლიოსთან ინტეგრაციას, ხოლო სხვა დანარჩენი ქვეყნები შედარებით ნელი ტემპით ახდენენ ადაპტაციას. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია არ პირდება ქვეყნებს საქმიანი ურთიერთობებიდან ყველა მიიღებს ეფექტს და მაქსიმალურ სარგებელს, მოსალოდნელი მაღალი შემოსავლებისა და მოგების მოლოდინში არ უნდა დაგვავიწყდეს ის ნეგატიური შედეგები და ტენდენციები, რაც შეიძლება გლობალიზაციის პროცესს მოყვეს. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციები გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოებზე, ასევე კონტინენტებზე და მთელ მსოფლიოზე. კერძოდ, გახშირებული ეკონომიკური, ფინანსური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური კრიზისები, ტერორიზმი, ტრანსნაციონალური დანაშაული, კონტრაბანდა, არალეგალური იარაღით ვაჭრობა, ნარკობიზნესი, შრომითი რესურსების არალეგალური მიგრაცია, რაც უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი და გარდამავლი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ტრანსეროვნული კომპანიების მასშტაბური ზრდა და „დიქტატი“ ერონულ სახელმწიფოებზე. კვლევის უმთავრესი პრობლემა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ეხება, მაგრამ აქტუალურია იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით რეაგირებს საერთაშორისო რყევების მიმართ. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციის პროცესების ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციების გავლენას საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის განვითარებაში. ჩვენმა ქვეყანამ უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი მსოფლიო თანამეგობრობაში, რაც არც თუ ისე ადვილია გლობალური კონკურენციის ზემოქმედების პირობებში და გარდამავალი ეკონომიკის ღარიბი ქვეყნისათვის.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, გლობალიზაცია ასევე პოზიტიური ტენდენციებით ხასიათდება, კერძოდ საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა, რაც ეროვნული ინდუსტრიის გაუმჯობესებისა და ახალი ქართული პროდუქციის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. საერთაშორისო კონკურენცია კი მნიშვნელოვნად განაპირობებს გეოგრაფიულ დივერსიფიკაციასა და საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნებას. გლობალური ბიზნესის გზების ძიება და კვლევა აძლევს ქართულ კომპანიებს შანსს შეიძინონ ინოვაციური, მმართველობითი და ტექნოლოგიური გამოცდილება. შესაბამისად უნდა გაძლიერდეს მუშაობა ვმო-ს და გაეროს წევრ ქვეყნებში საექსპორტო ბაზრების მოსაპოვებლად, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობით გამოკვლეულია რომ, 2012 წლიდან დღემდე საქართველოდან ექსპორტი არ განხორციელებულა მსოფლიოს 60 ქვეყანაში, რომელთა შორისაა: არგენტინა, მაროკო, სლოვენია, ინდონეზია, ირლანდია,ფინეთი, ეგვიპტე, ნორვეგია, ხორვატია, ტაივანი, ზიმბაბვე, ეკვადორი, ახალი ზელანდია, ჰონგ-კონგი და სხვა. აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია მნიშვნელოვანი მოცულობის პროდუქცია, რომელიც ქვეყნისათვის არ წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელს, რადგანაც იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკით, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით შესაძლებელია ჯანმრთელობისათვის უფრო სასარგებლო, მაღალხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ვაწარმოოთ. საექსპორტო პოტენციალის შემდგომი გაფართოებისათვის და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებისათვის საჭიროა გააქტიურდეს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (PR, სარეკლამო კომუნიკაციები, ბრენდინგი) უცხო ქვეყნების ბაზრებზე ეროვნული პროდუქციის შეღწევადობისა და გრძელვადიანი დამკვიდრების უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ შეიძლება დარჩეს იზოლირებულად და აუცილებელია გლობალური პრობლემებისადმი მართებული მეთოდოლოგიის შემუშავება. ნებისმიერმა ქვეყანამ ამ პროცესებში საკუთარი ადგილი საღად უნდა შეაფასოს, საქართველოსათვის პრიორიტეტულია მსოფლიო ეკონომიკისათვის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის შესრულება, რადგანაც ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების პერსპეტივები ნაკლებად არის იმედის მომცემი უახლოეს მომავალში და ამ თვალსაზრისით საკმაოდ აქტუალურია ტურიზმისა და სატრანზიტო მომსახურების განვითარება. საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო მოდელი გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენითაა ჩამოყალიბებული. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის განვითარების პერსპექტივები უკვე რეალობაა და საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ დიდი სარგებელი უნდა მოუტანოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მოსალოდნელი საფრთხეები და რისკები, რაც უკვე ზემოთ განვიხილეთ. საქართველო სხვადასხვა პოლიტიკური,

ეკონომიკური და კულტურული სივრცეების მიჯნაზე იმყოფება და გლობალურ მსოფლიოში ეფექტიანი ჩართვის აუცილებლობის წინაშე დგას. გლობალური პრობლემების მოგვარება მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით შეუძლებელია, საჭიროა ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და გამოცდილების კვლევა და მათი გამოყენება ჩვენი ქვეყნის ეროვნული თავისებურების გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ საქართველო ჩართულია გლობალიზაციის პროცესებში და ობიექტური აუცილებლობაა მისგან მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი და არ დავრჩეთ პასიურ მაყურებლად. უნდა შევიმუშაოთ ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, ყოველი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიზანდასახული, რაციონალური და ეკონომიკურად დასაბუთებული.

ამასთან ერთად, გლობალიზაციის პროცესებთან ადაპტაცია და ჰარმონიზაცია მოითხოვს საერთაშორისო რეგლამენტაციებს. იზრდება საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებზე მოთხოვნა, რადგანაც სუვერენულ სახელმწიფოებს შორის მოხდეს უფრო სრულყოფილი ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესსექტორის კოორდინაცია. კომერციული ბანკებისა და საფინანსო ინსტიტუტების უფრო სრული სამართლებრივი რეგულაციები და კონტროლი. ამდენად ფუნდამენტურად იცვლება მსოფლიო თანამეგობრობის გლობალური პოლიტიკა, მაგრამ ეს პროცესი სრულიად არ ასუსტებს ეროვნულ სახელმწიფოებს, საჭიროა ახლებურად გადავხედოთ ეროვნულ და გლობალურ ბიზნესს. სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალმხრივ თანამშრომლობას.

ზემოთ განხილული გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ეროვნული კონცეფციისა და მდგრადი განვითარების საფუძველი უნდა გახდეს, ხოლო საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული რელიგია, ტრადიციები, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, პრიორიტეტული დარგების განვითარება, მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოება ჩვენი ქვეყნის განვითარების ფუნდამენტური საფუძველი, რადგანაც მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები ქვეყანამ ეკონომიკური აღმავლობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების, კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის უნდა გამოიყენოს. მსოფლიოს ნებისმიერმა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომ უნდა შეამციროს ეკონომიკური, ფინანსური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური კრიზისების წარმოშობის რისკები და სიღარიბის დონე. გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციები- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი და სხვა რეგიონული საფინანსო ინსტიტუტები უნდა დაეხმაროს განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისა და ჰარმონიზაციისათვის, რათა გლობალური პროცესებისაგან ყველა ქვეყანამ მიიღოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისფართო შესაძლებლობები.

## ლიტერატურა:


1. ლ. ხიხაძე, თ.შოთაძე, გლობალიზაცია და საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის განვითარების პერსპექტივები, თანამედროვე მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი,გვ.,243-250, 17-18ოქტომბერი, 2014
2. ლ.ხიხაძე, კომუნიკაციის კროსკულტურული გამოწვევები გლობალურ ბიზნესში, ჟურნ., ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, N 2, გვ., 194-206, 2018


# Positive and negative trends of globalization at the modern stage and its impact on the economic development of Georgia


***Lali Khikhadze***
*Academic Doctor of Economics*
*Tbilisi state university*



S u m m a r y

Today, no country in the world shall remain isolated and it is necessary to develop a strategic plan towards globalization so that a country actually evaluates its position within the global process, it is a priority of Georgia to perform a function of transport corridor and in the view, development of transit model has been affected by geopolitical factors that results in a possibility of effective engagement in a global world.



**Key words:** economic and cultural globalization; global business; postindustrial; transition and developing countries; negative and positive trends of globalization; transit corridor; export potential of Georgia; international organizations.

# მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

**მერაბ ხმალაძე**
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და მისი შედეგი - მოსახლეობის რიცხოვნობა, არის სახელმწიფოს სიძლიერე. ერის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე ძირითადად მისი მოსახლეობის რიცხოვნობაშია. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა განაპირობებს ასევე ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებას. მოსახლეობის ისეთი დაბალი ბუნებრივი მატება, როგორიცაა პოსტსაბჭოთა საქართველოში, მას არ ჰქონია მთელი ისტორიის მანძილზე. შვილების თაობა რიცხობრივად ყოველთვის აღემატებოდა მშობლების თაობას. პოსტსაბჭოთა საქართველოში შვილების თაობა მშობლების თაობაზე ნაკლები იბადება. საშუალოწლიურმა ბუნებრივმა მატებამ 1950-1989 წლებში შედაგინა 58,5 ათასი, ხოლო 1990-2017 წლებშ – 8,4 ათასი, ე.ი. 7-ჯერ ნაკლები.*

*საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი მოძრაობა; პოსტსაბჭოთა საქართველო; შობადობა; მოკვდაობა.*

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და მისი შედეგი - მოსახლეობის რიცხოვნობა, სახელმწიფოს სიძლიერეა. ერის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე ძირითადად მისი მოსახლეობის რიცხოვნობაშია. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა განაპირობებს ასევე ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებას. მოსახლეობის ასეთი დაბალი ბუნებრივი მატება, როგორიცაა პოსტსაბჭოთა საქართველოში, მას არ ჰქონია მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მიუხედავად მრავალი გამანადგურებელი შემოსევისა, შობადობის დონე და ბუნებრივი მატება ყოველთვის უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას, როდესაც შვილების თაობა რიცხობრივად აღემატებოდა მშობლების თაობას. პოსტსაბჭოთა საქართველოში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. შვილების თაობა მშობლების თაობასთან შედარებით ნაკლები იბადება. თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ინტენსიურ ემიგრაციასაც, მივიღებთ მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და კვლავწარმოება ისტორიულად იყო ევროპული ტიპის. XIX საუკუნესა და თვით XX საუკუნეში, ეკონომიკურად გაცილებით დაბალი დონის მქონე საქართველო განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიული პარამეტრებით ხასიათდებოდა, რაც საქართველოს თავისებურებას წარმოადგენდა. კონკრეტულად, ეს იმას ნიშნავდა, რომ შობადობის დონე XIX საუკუნის საქართველოში ევროპის ქვეყნებთან და რუსეთთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ უფრო დაბალი იყო მოკვდაობაც, რის შედეგადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღნიშნულ ქვეყნებზე დაბალი არ იყო [Khmaladze M., 1998; Khmaladze M., 2018] შესაბამისად, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა საქართველოში ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ეკონომიურია, ე.ი. საქართველოში შობადობის და მოკვდაობის ჯამის უფრო მეტი წილი მიდიოდა ბუნებრივ მატებაზე, ვიდრე ევროპაში.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და კვლავწარმოება XIX საუკუნეში XX-სთან შედარებით, ექსტენსიური ტიპის იყო, რადგან ის მიმდინარეობდა შობადობის და მოკვდაობის მაღალი დონის პირობებში. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი გამოთვლები: [Khmaladze M., 2009].

| | შობადობა | მოკვდაობა | ჯამი | ბუნებრივი მატება |
|---|---|---|---|---|
| 1896-1900წწ | 30,9 | 19,4 | 50,3 | 11,5 |
| 1970-1974 წწ | 18,5 | 7,4 | 25,9 | 11,1 |

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის მიწურულს შობადობის და მოკვდაობის ჯამი 50,3 პრომილე (ადამიანთბრუნვა) იძლეოდა 11, 5 პრომილე ბუნებრივ მატებას. 1970-1974 წლებში, პრაქტიკულად იგივე ბუნებრივ მატებას, 11, 1 პრომილეს იძლეოდა 25,9 ადამიანთბრუნვა.

ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობა:

$$1896\text{ - }1900\text{წწ} \; = \frac{11{,}5}{50{,}3} * 100 = 22{,}8\%$$

$$1970\text{ - }1974\text{წწ} \; = \frac{11{,}1}{25{,}9} * 100 = 42{,}8\%$$

ამრიგად, ერთი და იმავე შედეგის, ე.ი. ერთი და იმავე სიდიდის ბუნებრივი მატების, დაახლოებით 11 პრომილეს მისაღებად, 1970–იან წლებში, 1900–იან წლებთან შედარებით, საზოგადოებას 1,9-ჯერ (ფაქტობრივად ორჯერ) ნაკლები ადამიანთბრუნვა (50,3 : 25,9 = 1,9), მეორენაირად რომ ვთქვათ, ორჯერ ნაკლები სასიცოცხლო ენერგიის დახარჯვა დასჭირდა. შესაბამისად, განხილულ პერიოდში, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობა ორჯერ გაიზარდა, რითაც ჩამოყალიბდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის და კვლავწარმოების თანამედროვე, ინტენსიური ტიპი, რომელიც შობადობის და მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში მიმდინარეობს.

მართალია, წანამდებარე სტატია ეხება პოსტსაბჭოთა საქართველოს, მაგრამ გარკვეული ისტორიული წიაღსვლების ანალიზი აუცილებლად ჩავთვალეთ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის ყოველწლიური მაჩვენებლები საქართველოში გაგვაჩნია 1950 წლიდან, რაც აღნიშნული თემის დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა მოცემული თარიღიდან. ქვემოთ მოგვყავს შესაბამისი მონაცემები (იხ.ცხრილი 1).

*საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის*

*მაჩვენებლები 1950-2017 წლებში*

*ცხრილი 1*

| წლები | აბსოლუტურ სიდიდეებში (ათასი) | | | მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შობადობა | მოკვდაობა | ბუნებრივი მატება | შობადობა | მოკვდაობა | ბუნებრივი მატება |
| 1950-1959 | 903,4 | 271,9 | 631,5 | 23,8 | 7,2 | 16,6 |
| 1960-1969 | 959,9 | 306,5 | 653,4 | 21,7 | 6,9 | 14,8 |
| 1970-1979 | 893,2 | 379,4 | 513,8 | 18,3 | 7,8 | 10,5 |
| 1980-1989 | 936,8 | 452,6 | 484,1 | 17,8 | 8,6 | 9,2 |
| 1990-1999 | 639,2 | 505,2 | 134,0 | 12,8 | 10,3 | 2,5 |
| 2000-2009 | 502,5 | 451,0 | 51,5 | 11,5 | 10,3 | 1,2 |
| 2010-2017 | 436,3 | 395,7 | 40,6 | 14,6 | 13,2 | 1,4 |
| 1950-2017 | 5271,3 | 2762,3 | 2509,0 | - | - | - |

ცხრილის მონაცემებით, რომელიც ეყრდნობა საქართველოს ოფიციალურ სტატისტიკას, 67 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 2509,0 ათასი. აქედან, საჭოთამდელ , 1950-1989 წლებზე მოდიოდა 2282,9 ათასი (91,0%), ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდზე – 226,1 ათასი (9,0%). რამდენადაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების, სხვა აბსოლუტური მაჩვენებლები შესადარისი არ არის, მოგვყავს საშუალოწლიური აბსოლუტური მაჩვენებლები. კერძოდ, საშუალოწლიურმა ბუნებრივმა მატებამ 1950-1989 წლებში შეადგინა 58, 5 ათასი, ხოლო 1990-2017 წლებში – 8,4 ათასი, ე.ი. 7-ჯერ ნაკლები. რაც შეეხება ბუნებრივი მატების კოეფიციენტებს, საბჭოთამდელ პერიოდში ის ტოლი იყო საშუალოდწლიურად 12,8%-ის, ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში – 1,6%-ის, ე.ი. 8-ჯერ ნაკლები. ეს რომ ასე მოხდებოდა, წინასწარ განვჭვრიტე ორ ათეულ წელზე დიდი ხნის წინ, როდესაც ვწერდი: „საქართველოში 1990 წლის შემდგომმა სოციალურ–ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ეროვნებათ შორის ურთიერთობების კრიზისმა რადიკალურად გააუარესა ისედაც არსასურველი დემოგრაფიული მდგომარეობა.... აღნიშნული მდგომარეობა მომავალს კიდევ უფრო გააუარესებს. ასეთი პესიმიზმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების შემოსვლა და დამკვიდრება საქართველოში მოასწავებს დასაქმების დონის შემცირებას, რამდენადაც დასაქმებაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება სამუშაო ძალის ხარისხობრივ და არა რაოდენობრივ მხარეზე. სამუშაო ძალის რაოდენობრივ მხარეზე მოთხოვნის შემცირება კი ნიშნავს შობადობის შემცირებას კიდევ ერთი მძლავრი ფაქტორის ამოქმედებას. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს შეიძლება ისეთი მძიმე დემოგრაფიული შედეგები არ მოჰყოლოდა, ის რომ მომხდარიყო არა ასეთ კრიზისულ, არამედ ნორმალურ პირობებში, თანდათანობით, ახლის მშენებლობის და იმავდროულად ძველის ნგრევის პირობებში. ამიტომ საქართველოს გადასვლა (იგულისხმება გადასვლის ხანგრძლივობა მ.ხ.) საბაზრო ეკონომიკაზე აუარესებს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს. რამდენადაც დიდ ხანს გაგრძელდება ეს პროცესი, მით უფრო გაუარესდება მდგომარეობა, ხოლო საკომპენსაციო მექანიზმის ამოქმედება შესაძლო ეფექტს ვეღარ მოიტანს. ამის შედეგად დემოგრაფიული გადასვლა დაჩქარდება, რასაც მოჰყვება საქართველოს მოსახლეობის ნაადრევი სტაბილიზაცია ნაკლები რიცხოვნობით, ვიდრე ის ნორმალური დემოგრაფიული განვითარების პირობებში მოხდებოდა. ამიტომ მომავალში საზოგადოებას დასჭირდება უდიდესი ძალისხმევა მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გამოსწორებისათვის“ [Khmaladze M., 2018].

განზოგადებულ მსჯელობასთან ერთად, საჭიროა კონკრეტიკაც, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის უფრო დეტალური ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

როდესაც ვწერდი საქართველოს მოსახლეობის ნაადრევ სტაბილიზაციაზე მოსახლეობის ნაკლები რიცხოვნობით, მხედველობაში გვქონდა შემდეგი გარემოება: საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ შედგენილი სტაციონალური მოსახლეობის მოდელის თანახმად, 1990 წლის საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის შენარჩუნების პირობებში, მოსახლეობის დემოგრაფიული თაობის ხანგრძლივობა შეადგენდა 25 წელს, ხოლო დემოგრაფიული ზრდის პოტენციალი - 1,246-ს. მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო–კოეფიციენტი 1-ის ფარგლებშია, რაც მოსახლეობის მარტივ კვლავწარმოებას შეესაბამება. დემოგრაფიული ზრდის პოტენციალი - 1,246 ნიშნავს, რომ მოსახლეობის კვლავწარმოების (მარტივი), 1990 წლის რეჟიმის შენარჩუნების პირობებში, სტაციონარობის (რიცხოვნობის უცვლელობის) მიღწევამდე, ახალგაზრდა მოსახლეობის რიცხოვნობის ხარჯზე, მოსახლეობა მაინც გაიზრდებოდა 1,246–ჯერ (124,6%), ხოლო სტაბილიზაცია მოხდებოდა 25 წლის შემდეგ, ე.ი. 2015 წელს (1990+25). შესაბამისად, საქართველოს სტაციონარული მოსახლეობა 2015 წელს ტოლი იქნებოდა, 1990 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა - 5424,4 ათასი, გამრავლებული დემოგრაფიული ზრდის პოტენციალზე - 1,246, რაც გვაძლევს საქართველოს სტაციონარულ მოსახლეობას 2015 წელს – 6758,8 ათასს. რეალობაში, საქართველოს მოსახლეობამ 1992 წლიდან, როდესაც მისმა რიცხოვნობამ საქართველოს ისტორიაში მიაღწია მაქსიმუმს (5467,4 ათასი), დაიწყო როგორც ბუნებრივი, ასევე მიგრაციული კლება და 2015 წელს 6758,8 ათასის ნაცვლად, ფაქტობრივად, შეადგინა 3721,9 ათასი, ე.ი. 1,8-ჯერ ნაკლები.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობამ მიგრაციული კლება დაიწყო 1950 წლიდან და მას შემდეგ მხოლოდ რამდენიმე წელს ხასიათდება მცირედი მიგრაციული მატებით. თუ შევაფასებთ მთლიანად 1950-2017 წლებს, მივიღებთ შემდეგს: საქართველოს მოსახლეობის მატება შეადგენს – 232, 3 ათასს, ბუნებრივი მატება – 2509,0 ათასი, მიგრაციული კლება – 2276,7 ათასს (2509,0-2276,7= 232,3). უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის მიგრაცია ცალკე თემაა და მასზე აღარ შევჩერდებით.

დაბადებულთა ყველაზე დიდი რიცხვი საქართველოში დაფიქსირდა 1961 წელს – 104,4 ათასი, რაც საქართველოს ისტორიაში არც მანამდე, არც მის შემდეგ არ ყოფილა. 1960-1963 წლებში აღრიცხულია საქართველოს ისტორიაში ყველაზე მეტი დაბადებული, რომელმაც შეადგინა 409,3 ათასი. ეს უკანასკნელი ტოლია 1960-1969 წელს დაბადებულების - 42,6% და 2010-2017 წელს დაბადებულების - 93,8%. საქმე ისაა, რომ ჩვენი გამოთვლებით, 1960-1963 წლებში დაბადებულები არიან მეორე მსოფლიო ომამდე, 1932-1935 წლებში, დაბადებული მრავალრიცხოვანი თაობების შვილები. საერთოდ, კი, 1960-1969 წელს დაბადებულები ომამდე, 1932-1940 წლებში დაბადებული მრავალრიცხოვანი თაობების შთამომავლებს წარმოადგენენ.

მაღალმა შობადობამ 1960-1963 წლებში განაპირობა ბუნებრივი მატების შესაბამისი სიდიდე. კერძოდ, ბუნებრივმა მატებამ აღნიშნულ წლებში მიაღწია 294,7 ათასსს, რაც 1960-1969 წლის შესაბამისი მაჩვენებლის 45,1%–ია, ხოლო 2010-2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს 7,3-ჯერ აღემატება. უფრო მეტი სიცხადისათვის აღვნიშნავთ, რომ საშუალოწლიური ბუნებრივი მატება 1960-1969 წელს შეადგენდა 65,3 ათასსს, ხოლო 2010-2017 წლებში – 5,1 ათასს, ე.ი. 1960-1969 წელთან შედარებით 12,8-ჯერ ნაკლებს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის დემოგრაფიული კრიზისი განსაკუთრებით მკვეთრად აისახა საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე, 2000 წლის შემდეგ. კერძოდ, 2000-2004 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება პრაქტიკულად ნულზე დავიდა და მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით საშუალოდ მოდიოდა 0,18 კაცი. აღნიშნულ, 2000-2004 წლებს ვუწოდე საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში „დემოგრაფიულად უნაყოფო, ფუჭი წლები“ [Khmaladze M., 2009].

განხილულ პერიოდში, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი როგორც ცხრილი 1-დან ჩანს იზრდება. მაგრამ, აღნიშნული მაჩვენებელი განიცდის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის, კერძოდ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების გავლენას. რაც მაღალია მოსახლეობაში ხანდაზმული მოსახლეობის წილი, მით მაღალია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი. განხილულ პერიოდში (1950-2017), 60 წლის და უფროსი ასაკი მოსახლეობის წლი 11,0%–დან გაიზარდა 20,4%–მდე [Shelia M., 2013; 5, გვ.90] ქვეყნები დემოგრაფიული დაბერების დონით – 18% და მეტი, ეკუთვნიან სიბერის ძლიერ განვითარებული დონის მქონე ქვეყნებს (ე. როსეტ–ბოჟე გარნიეს სკალით). ასეთ ქვეყნებს უკვე 2009 წლიდან ეკუთვნოდნენ იაპონია (30%), ავსტრალია (19%), კანადა (20%) და მთელი კონტინენტი – ევროპა (22%) [Shelia M., 2013].

მოკვდაობის დონეში მომხდარ ცვლილებებს ადეკვატურად ახასიათებს სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი (დაბადებისას) და არა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი. სიცოცხლის ხანგრძლივობის პირველი ოფიციალური მაჩვენებელი საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის მიერ გამოთვლილი იქნა 1958-1959 წლებისათვის მთლიანად რესპუბლიკის, ქალაქის და სოფლის, ქალების და მამაკაცების მიხედვით. გამოთვლების საერთო ხელმძღვანელობა და რედაქცია ეკუთვნის მაშინდელი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსს გრიგოლ ჟორჟიკაშვილს. შედეგები გამოქვეყნდა 43 - გვერდიანი ბროშურის სახით 100 ეგზემპლარად (სამსახურებრივი სარგებლობისთვის), რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს [6].

აღნიშნული ნაშრომის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1958-1959 წლებში 72 წელს შეადგენდა. ამის შემდეგ, სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში 1989 წლამდე პრაქტიკულად უცვლელია. სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას ამ პერიოდში 72 წლის ფარგლებშია გაჩერებული. თავისთავად ის ფაქტი, რომ ქვეყანაში მთელი 30 წლის მანძილზე ვერავითარი პროგრესი ვერ იქნა მიღწეული მოკვდაობის შემცირებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაში, XX საუკუნის საქართველოს უპრეცედენტო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, გასაკვირი არაა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში, კერძოდ, 1990-2010 წლებში, მოკვდაობის ზრდას აქვს ადგილი, რასაც მოჰყვა სიცოცხლის ხანგრძივობის შემცირება 70,3 წლის დონეზე. შემდგომ პერიოდში შეიმჩნევა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, რამაც 2011-2017 წლებში მიაღწია 72,7 წლამდე [Tsuladze G., 2015; 8, გვ. 35].

მოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება გაკეთდეს ცალსახა დასკვნა: საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება პოსტსაბჭოთა პერიოდში, მთლიანად მოდის შობადობის შემცირებაზე.

საქართველოს მთელი სტატისტიკური ისტორიის მანძილზე მოკვდაობის ყველაზე დაბალი დონე და შესაბამისად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 73, 5 წელი, დაფიქსირდა 2017 წელს.

მოსახლეობის ბუნებრივ მატებას განაპირობებს მისი კვლავწარმოება (შობადობა, მოკვდაობა) და ასაკობრივი სტრუქტურა. რამდენადაც მაღალია შობადობა, დაბალია მოკვდაობა და ახალგაზრდაა მოსახლეობა, მით მეტია ბუნებრივი მატება და პირიქით. ამერიკელი დემოგრაფის, ეველინ კიტაგავას მიერ შემოთავაზებულია მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი (ასევე ბუნებრივი მატება) შეიძლება დავშალოთ ორ კომპონენეტად: 1. კოეფიციენტის რა ნაწილი მოდის ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე და 2. რა ნაწილი მოდის კვლავწარმოების ხარჯზე(იხ. ცხრილი 2).

***საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტების დაშლა კომპონენტებად 1959-2017 წლებში***

*ცხრილი 2*

| | ბუნებრივი მატების კოეფიციენტი | აქედან მოდის: | | პროცენტულად | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე | მოსახლეობის კვლავწარმოებ ის ხარჯზე ± | ბუნებრივი მატების კოეფიციენტი | აქედან მოდის: | |
| | | | | | ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე | კვლავწარმოე ბის ხარჯზე |
| 1959 | 17,0 | 14,1 | 2,9 | 100,0 | 83,0 | 17,0 |
| 1970 | 11,3 | 8,0 | 3,3 | 100,0 | 70,8 | 29,2 |
| 1980 | 9,1 | 8,3 | 0,8 | 100,0 | 91,2 | 8,8 |
| 1990-1999 | 2,5 | 6,1 | -3,5 | 42,6 | 100,0 | -57,4 |
| 2000-2009 | 1,2 | 5,7 | -4,5 | 21,1 | 100,0 | -78,9 |
| 2010-2017 | 1,4 | 1,5 | -0,1 | 93,3 | 100,0 | -6,7 |

არაპროფესიონალი მკითხველისათვის ცხრილის მონაცემები რომ უფრო გასაგები გახდეს, განვმარტავთ, რომ მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმის პირობებში კვლავწარმოების წვლილი ბუნებრივ მატებაში დადებითია, ხოლო შეკვეცილის შემთხვევაში – უარყოფითი. მაგალითად, 1959 წელს, მოსახლეობის ბუნებრივი მატების - 70,5 ათასი კაცის 17,0%, ე.ი. 12 ათასი მოდიოდა მოსახლეობის კვლავწარმოებაზე, დანარჩენი 58,5 ათასი – ასაკობრივ სტრუქტურაზე. 1990-1991 წლებში საქართველოს მოსახლეობის წარმოების რეჟიმი მარტივია, ხოლო მის შემდეგ - შეკვეცილი, რაც მთლიანად 1990-1999 წლებში აყალიბებს კვლავწარმოების შეკვეცილ რეჟიმს. ამ პერიოდში ბუნებრივი მატება - 134,0 ათასი, 57,4%–ით, ე.ი. 75,9 ათასით ნაკლები იქნებოდა, რომ არა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დადებითი გავლენა.

საქართველოს მოსახლეობის დეპოპულაცია იწყება 1992 წლიდან. 1992-2017 წლებში საქართველოს მოსახლეობა 5467,4 ათასიდან შემცირდა 3726,4 ათასამდე, ე.ი. 1741 ათასით.

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 2010-2017 წლებში მოსახლეობის კვლავწარმოების უარყოფითი გავლენა ბუნებრივ მატებაზე, წინა პერიოდებთან შედარებით, მნიშვნელოვნად - 6,7%–მდე შემცირდა, რაც შობადობის დონის გარკვეული ზრდის შედეგია. ცნობილია, რომ ყოველ დემოგრაფიულ სტაგნაციას, მისი მოხსნის შემდეგ, მოჰყვება გამოცოცხლება, რასაც დემოგრაფიული საკომპენსაციო პერიოდი ეწოდება. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომამდელ რიცხოვნობას (1940წ. 3690 ათასი) საქართველომ ფაქტობრივად მიაღწია 1953 წელს (3658,3 ათასი). ე.ი. ომის დამთავრებიდან 8 წლის შემდეგ. დღეს საქართველო იმყოფება დემოგრაფიული სტაგნაციის ხანგრძლივ პერიოდში, რაც უკვე ერთ თაობას მოიცავს. მაგრამ, გვაქვს ოპტიმიზმის საუძველი, რომ აღნიშნული ვითარება 2017 წელს დამთავრდა, რადგან ამ წელს მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო

კოეფიციენტმა 1-ს მიაღწია, რაც შეესაბამება კვლავწარმოების მარტივ რეჟიმს. ამით აღდგა საბჭოთამდელი მოსახლეობის 1990 წლის მარტივი კვლავწარმოების რეჟიმის სტატუს-კვო, ამით კი გვეძლევა საფუძვლიანი იმედი, რომ 2018 წლიდან თუ არა, უახლოეს რამდენიმე წელიწადში ძალაში შევა საკომპენსაციო პერიოდი და აღდგება საქართველოს მოსახლეობის გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმი.

## ლიტერატურა:


1. ხმალაძე მ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მერაბ ხმალაძე, შობადობის სტატისტიკა საქართველოში: თბ., 1995. გვ. 300.
2. ხმალაძე მ. მე–19 და მე–20 საუკუნის პირველი ნახევარი. კრებული: სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში. თბ., 2018. გვ. 175.
3. ხმალაძე მ. დემოგრაფია. თბ., 2009. გვ. 415.
4. შელია მ. ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში, თბ., 2013. გვ.234.
5. საქართველოს სტატისტიკური წლიწდეული, 2017. 280.
6. Проблемы смертности и средней продолжительности жизни населения Грузинской ССР, 1958-1959. Тб., 1963.
7. წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, თბ., 2015 გვ. 333.
8. Geostat.ge


## The Natural Movement of the Population in Post-soviet Georgia


***Merab Khmaladze***

*Doctor of Economic Sciences*

*Associate Professor at the Department of Economic and Social Statistics*



S u m m a r y

Natural movement of population and its result, the number of population, is the strength of a country. The economic, political and military strength of the nation depends primarily upon the number of population. In addition, natural movement of population determines demographic security of the country. Such low natural growth rate of the population, like in post-Soviet Georgia, has never been observed in Georgia. In quantitative indicators, the generation of children has always exceeded the generation of their parents. However, in post-Soviet Georgia the number of the children born is less than the number of their parents' generation. In 1950-1989 the average annual natural increase amounted to 58.5 thousand while in 1990-2017 it was only 8.4 thousand, 7 times less compared to the previous indicator.



***Key words:*** *natural movement; post-Soviet Georgia; birth rate; mortality.*

# ტრანსდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგია ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებისათვის

**მერაბ ხოხობაია**

*ეკონომიკის დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი*

*ტურისტული დანიშნულების ადგილი კონცეპტუალური თვალსაზრისით წარმოადგენს საკმაოდ რთულ ინტეგრირებულ სისტემას. ცხადია, რომ აღნიშნულ სისტემაში ელემენტები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული, შესაბამისად მათ შეუძლიათ თავად სისტემის ფუნქციონირებაზე მოახდინონ როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი ზეგავლენა. არამხოლოდ ტურისტული დანიშნულების ადგილი, არამედ ტურიზმის ინდუსტრიის სისტემაც ფრაგმენტულია, იგი მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს, როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორიდან. ბუნებრივია, რომ პროცესების ეფექტიანი წარმართვის თვალსაზრისით აუცილებელია შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვა და პოლიტიკის შემუშავება. რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტურისტული დანიშნულების ადგილის თანმიმდევრული განვითარების თვალსაზრისით. აღნიშნულ პროცესში აუცილებელია არაერთი საკითხის გათვალისწინება, როგორიცაა, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, ურბანული დაგეგმვა, საჯარო და კერძო სექტორის კოორდინაცია, ინსტიტუციური წესრიგი, რეგულაციები და ა.შ. ამ პროცესში მიზანშეწონილია ცოდნის სხვადასხვა ტიპის და დისციპლინის გამოყენება, რასაც განაპირობებს სისტემის სირთულე და საკითხის კომპლექსურობა. სტატიაში განხილულია, ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ასევე, ყურადღება გამახვილებულია კვლევის ინოვაციურ ტრანსდისციპლინურ მიდგომაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სამეცნიერო ცოდნის და პრაქტიკაში არსებული გამოცდილების ინტეგრირება, რაც მნიშვნელოვანია ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების თვალსაზრისით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ტურიზმის ინდუსტრია; ტურისტული დანიშნულების ადგილი; ტურიზმის პოლიტიკა; ტრანსდისციპლინური კვლევა; განვითარება.*

სამეცნიერო ლიტერატურაში ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების სხვადასხვა ტიპის მიდგომები იკვეთება, რომელიც გარკვეულწილად ეყრდნობა იმ გამოცდილებას, რომელიც არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. პრაქტიკული მაგალითები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავების და მოქმედებების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ გამოცდილების გაზიარება სასარგებლოა, მაგრამ ის აუცილებლად უნდა ადაპტირდეს იმ სოციო-კულტურულ გარემოსთან რომელშიც ვაპირებთ კონკრეტული მიდგომების იმპლემენტაციას.

ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების პროცესი შესაძლოა სხვადასხვა სცენარით ან მიდგომებით წარიმართოს. ცხადია, ერთ-ერთი, მთავარი ამოცანა კონკურენტული ტურისტული დანიშნულების ადგილის ფორმირებაა, რომელმაც პოზიტიური გავლენა უნდა მოახდინოს საზოგადოების კეთილდღეობაზე. აღნიშნული შეუძლებელია ტურიზმის პოლიტიკის (Tourism Policy), სტრატეგიული დაგეგმვის (Strategic Destination Planning), თანამონაწილეობითი (Participatory Approaches) მიდგომების გარეშე .

გოლდნერის და რიტჩის მიხედვით პოლიტიკა არის გარკვეული წესების, რეგულაციების, დირექტივების, სტრატეგიების, აქტივობების ნაკრები, რომელიც აუცილებელია ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის [7, გვ.326]. ედგელი და სვანსონი ყურადღებას ამახვილებენ მარკეტინგზე, დაგეგმვაზე, მდგრად განვითარებაზე. მათი აზრით ტურიზმის პოლიტიკა წარმოადგენს პროგრესულ კურსს, რომელიც მოიცავს მიმართულებებს, დირექტივებს, პრინციპებს და პროცესებს, რომელიც მოქცეულია ეთიკურ ჩარჩოში და ფოკუსირებულია საზოგადოებაზე, რომელშიც მოქმედებების დაგეგმვით, განვითარებით, საქონლისა და მომსახურების წარმოებით, მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით უნდა მოხდეს ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება [5, გვ.9-11]. პრაქტიკაში უკვე არსებობს გარკვეული გამოცდილება რომელიც აუცილებელია განხორციელდეს საჯარო დონეზე. ის შესაძლოა გავაერთიანოთ 4 კატეგორიაში: 1. **პოლიტიკა**; 2. **დაგეგმვა**; 3. **განვითარება**; 4. **რეგულაცია**.

პოლიტიკაში იგულისხმება მისი თვისებრივი მახასიათებლები, რომელიც უნდა აისახოს ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების გეგმაში. ის მოიცავს კონკრეტულ მიზნებს და რეგულაციებს, ასევე მეთოდებს და ინსტრუმენტებს, რომელიც გვეხმარება პოზიტიური შედეგების მიღწევაში. რადგან პოლიტიკა წარმოადგენს ვექტორს დანარჩენი კატეგორიებისათვის, ტურისტული დანიშნულების ადგილის განვი-

თარების კუთხით მის სწორად ფორმულირებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პოლიტიკა შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, რომელიც გამყარებულია საკანონმდებლო რეგულაციებით, ოფიციალური დოკუმენტებით და პოზიციებით, ასევე არაფორმალური [6, გვ.286-287].

გეგმების შემუშავებისა და დაგეგმვის ასექტით, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში არსებობს გარკვეული სირთულეები, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიის ფრაგმენტულობასთან და მრავალ ოპერაციულ ქვესექტორთან. დაგეგმვის ეტაპზე უნდა გაანალიზდეს ფაქტორები, ტურიზმის ინდუსტრიის როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ზეგავლენის ჭრილით. ამ თვალსაზრისით შესაძლოა გამოიყოს შემდეგი ძირითადი საკითხები: მარკეტინგული ანალიზი და სტრატეგიები, ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსები, გარემოზე ზეგავლენა, სოციო-კულტურული, ეკონომიკური ზეგავლენა და ა.შ. დაგეგმვის ეტაპზე აუცილებელია საკითხისადმი სისტემური მიდგომა, ყველა იმ ელემენტების გათვალისწინება, რომელიც პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს ტურისტულ დანიშნულების ადგილზე. ამ ეტაპზე მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს შეცდომები, მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, ამ მიმართულებით მიღებულმა არასწორმა გადაწყვეტილებებმა თუ რა შედეგები მოუტანა სხვადასხვა რეგიონში ტურისტულ დანიშნულების ადგილებს. იმავე ეტაპზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ეკონომიკური, მიწათსარგებლობის და ზონებად დაყოფის, ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, სოციალური სერვისების განვითარების საკითხებზე. ტურიზმის ინდუსტრიის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების ჩართვა, მაგალითად, ეკონომისტების, მარკეტოლოგების, ლანდშაფტის დიზაინერების, სოციოლოგების, ადამიანური რესურსების მენეჯერების, ეკოლოგების, არქიტექტორების, არქეოლოგების და სხვა [6, გვ.288-289].

სწორედ ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური მიდგომების საშუალებით შესაძლებელია არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია, პროცესების კვალიფიციურად შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. კომპლექსური ჩართულობა ინტერდისციპლინურ ჭრილში საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად გავაანალიზოთ არსებული სიტუაცია და სპეციალისტების დახმარებით მივიღოთ კომპეტენტური გადაწყვეტილებები. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ხდება ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების კუთხით საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობაა. პრინციპულად მნიშვნელოვანია პროცესებში კერძო სექტორის აქტიურობა და ჩართულობა. ხელისუფლებას შეუძლია განმავითარებლის როლი შეასრულოს ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შექმნის, საკუთრების უფლების დაცვის, დარგის რეგულაციისათვის საჭირო საკანონმდებლო ნორმების შემუშავების კუთხით. ხოლო სხვა დანარჩენი მიმართულებებით დომინანტურ როლს უნდა ასრულებდეს კერძო სექტორი. ტურისტული ბიზნესი განსაკუთრებული სენსიტიურობით გამოირჩევა მიმდინარე პროცესების მიმართ, ამიტომ, მისი განვითარებისათვის სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი [6, გვ.290]. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება დარგის განვითარების მაქსიმალურ შედეგს აღწევს კერძო სექტორთან ტანდემში, რასაც ადასტურებს მსოფლიო პრაქტიკა. ორივე მხარეს გააჩნია თავისი წილი პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება ერთი მხრივ, ხელისუფლების მხრიდან ჯანსაღი ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფაში და მეორე მხრივ, კერძო სექტორის მიერ ინვესტიციების განხორციელებაში და სამუშაო ადგილების შექმნაში. თანამშრომლობის ეს ფორმატი პოზიტიურად აისახება როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ასევე საზოგადოების საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობაზე [9, გვ. 993].

ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებისათვის განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ რეგულაციებს. რეგულაცია ქმნის გარკვეულ წესრიგს, იგი შესაძლოა დაკავშირებული იყოს მომხმარებელთა უფლებების, სასტუმრო უსაფრთხოების, კვების და ჯანდაცვის, ლიცენზირების და სხვა ფორმალობის მქონე საკითხებთან [13, გვ.55]. ზოგადად, რეგულაციები შესაძლებელია გახდეს როგორც ხელშემწყობი, ასევე შემაფერხებელი ფაქტორი. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ისეთი ფუნდამენტური ბაზისის შექმნა, რომელიც მინიმუმ ხელს არ შეუშლის ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას.

რაც შეეხება ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, ამ კუთხით ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა არ არსებობს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან თითოეულ ადგილს გააჩნია უნიკალური მახასიათებლები, დეტერმინანტები. რომლის გათვალისწინება აუცილებელია როგორც სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე გეგმების პრაქტიკაში იმპლემენტაციის პროცესში. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი საკმაოდ რთულია, მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური ასევე საზოგადოების მხადაჭერა, რომელშიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს როგორც ტურიზმში ჩართული ინდივიდები, ასევე ცალკეული ინსტიტუციები. აღნიშნული აქტორების რესურსების მობილიზება, მათი ცოდნის და გამოცდილების გამოყენება ეფექტიანი შედეგების მიღების შესაძლებლობას გვაძლევს [1, გვ.13-16]. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მისი თვისებრივი ხასიათიდან გამომდინარე, არაერთი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია როგორც კვლევის, ასევე განვითარების ეტაპზე შეიქმნას ინტერდისციპლინური და ტრან-

სდისციპლინური გუნდები, რომლებსაც გააჩნიათ დარგობრივ ჭრილში პრობლემების იდენტიფიკაციის და მათი გადაჭრის გზების განსხვავებული ხედვები.

სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი ამოცანა კონკურენტული ტურისტული დანიშნულების ადგილის ფორმირებაა, რომელ სივრცეშიც თითოეულმა მონაწილემ უნდა მიიღოს გარკვეული სარგებელი. დაინტერესებული ჯგუფები მრავალფეროვანია აღნიშნულ კონტექსტში, ესენია, საზოგადოება, სერვისის მიმწოდებლები, არასამთავრობო და საჯარო სექტორი და ა.შ. სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთ მთავარი გამოწვევა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა და პროცესებში მათი ინტეგრაციაა. ცხადია, რომ ამ საკითხების გარდა არსებობს არაერთი პრობლემა რომელიც სისტემურად უნდა შეფასდეს და ტურისტული დანიშნულების ადგილის სპეციფიკის გათვალისწინებით ობიექტურად მოხდეს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება [12, გვ.269-274].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული მოდელი. ამ კუთხით საინტერესოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) მიერ შემუშავებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც ჩვენი აზრით შესაძლებელია გამოვიყენოთ ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. მოდელის მიხედვით საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს გარკვეული გარემოებების გამოკვეთა, რათა იდენტიფიცირდეს განვითარების რა ეტაპზეა ტურისტული დანიშნულების ადგილი. ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს სტეიქჰოლდერებთან აქტიური კომუნიკაცია, მთლიანად პროცესში მათ ჩართულობას და თანამონაწილეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ეტაპი სიტუაციის შეფასებას, თანამშრომლობისათვის გარკვეული პლატფორმის მომზადებას ეთმობა. ცხადია, რომ გარკვეული ორიენტირების განსაზღვრაა საჭირო როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების თვალსაზრისით [11, გვ.11-12]. ყურადღება უნდა გამახვილდეს პოტენციურ მომხმარებლებზე, მათ სურვილებზე, გადახდისუნარიანობაზე, დემოგრაფიულ მახასიათებლებზე და ა.შ. ტურიზმის მკვლევარები, მოთხოვნის კუთხით (Norbert Vanhove), გამოყოფენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ფასები, დრო, შემოსავალი [13, გვ. 51]. თუმცა, მხოლოდ ამ ფაქტორების გაანალიზებით ვერ მივიღებთ სრულყოფილ ეკონომიკურ სურათს. სტაბლერი, პაპათეოდოროუ და სინკლერი (Stabler, Papatheodorou, Sinclair) ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ტრადიციული მოთხოვნის თეორიები არ იძლევიან საშუალებას ავხსნათ, რა იწვევს მომხმარებლების გემოვნების ფორმირებას, რომელი ფაქტორები იწვევენ ცვლილებებს, რაც მთავარია როგორია გადაწყვეტილების მიღების სოციალური კონტექსტი. რაც შეეხება მიწოდებას, უნდა მოხდეს ტურისტული ატრაქციების იდენტიფიკაცია, არსებული რესურსების შეფასება, ტურისტული დანიშნულების ადგილებზე სერვისების თანამედროვე მოთხოვნებთან მიახლოება [14, გვ. 39-44].

შემდეგი ეტაპი წარმოადგეს ერთგვარ ვექტორს თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეთ, და სად გვნდა რომ აღმოვჩნდეთ. ამისათვის საჭიროა გარკვეული ხედვების ჩამოყალიბება (Visioning), ხედვა პრაქტიკული თუ თეორიული თვალსაზრისით, წარმოადგენს ფუნდამენტს, რომელშიც უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების ფასეულობები, მისწრაფებები, აქტივობები. ეს არის პროცესი, რომლის ფარგლებში ხდება საზოგადოებისათვის სასურველი მდგომარეობის გამოკვეთა, ის შესაძლებელია სხვადასხვა დიზაინის სახით წარმოვადგინოთ. ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ხედვის ჩამოყალიბების საფუძველზე ხდება სტრატეგიული განვითარების მიზნების და ამოცანების ფორმულირება. მიზნებში უნდა დაკონკრეტდეს თუ რა მიმართულებით უნდა განვავითაროთ ტურისტული დანიშნულების ადგილი. აქ იგულისხმება როგორც ინსტიტუციური, ასევე სექტორული განვითარების საკითხები. მომდევნო საფეხურზე უნდა შეფასდეს ზემოთ განხილული ეტაპები და ჩამოყალიბდეს თუ როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ მიზანს. ამ პროსცესის შემადგენელი ნაწილია, მიზნების პრიორიტეტიზაცია, აქტივობების განსაზღვრა მიზნების მისაღწევად როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ფინალურ ეტაპზე კი, ფაქტობრივად ხდება მიზნებიდან გამომდინარე ინდიკატორების შემოწმება, მაგალითად, რამდენად გაიზარდა ტურისტების რაოდენობა და კმაყოფილება, როგორია ტურისტული აქტივობებიდან მიღებული ეკონომიკური შედეგები, რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოების კეთილდღეობაზე და ა.შ. [11, გვ.5-6].

განსხვავებულია ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ინტეგრირებული მოდელი, რომელსაც გვთავაზობს დვაიერი და კიმი (Dwyer, Kim), რომელიც საინტერესო კონცეპტუალური რეპროდუქციაა. იგი ეყდნობა სხვადასხვა მკვლევარის მიერ ჩამოყალიბებულ მოდელებს. აღნიშნული მოდელი გვიჩვენებს რა გავლენას ახდენს რესურსები, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი, მოთხოვნა და სიტუაციური მდგომარეობა კონკურენტუნარიანობაზე და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. მკვლევარები გამოყოფენ მხარდამჭერ ფაქტორებს და იმ რესურსებს, რომელიც უფრო მიმზიდველს ხდის ტურისტულ დანიშნულების ადგილს. მოდელში მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები, რომელშიც იგულისხმება ყველა ის ფაქტორი, რომელიც საჭიროა რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის. აღსანიშნავია, რომ მკვლევარები ცალკე გამოყოფენ მოთხოვნის ელემენტს, სადაც სამ ძირითად ნიუანსზე კეთდება აქცენტი. ესენია: მოთხოვნის კუთხით ცნობიერების ამაღლება (Demand-awareness), აღქმა/გაცნობიერება

(Perception), პრეფერენცია (Preferences). როგორც აღნიშნავენ, ცნობიერების ამაღლებას და ინფორმირებულობას ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული აქტივობები [4, გვ.378-379].

შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილი როგორც სისტემა, განიცდის მუდმივ ცვლილება და ის საკმაოდ დინამიკურია. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენება. რომელიც საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ არსებული სიტუაცია, მოვახდინოთ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, შევქმნათ პლატფორმა განვითარებისათვის და მივიღოთ ეფექტიანი ეკონომიკური შედეგები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურისტული დანიშნულების ადგილის შესწავლისათვის აუცილებელია სხვადასხვა დისციპლინებში არსებული ცოდნის გამოყენება, ასევე არსებულ გამომწვევებზე გუნდური მუშაობა. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია **ტრანსდისციპლინური და ინტერდისციპლინური** კვლევის კონცეფციის გამოყენება ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრადი განვითარებისათვის. ინტერდისციპლინური კვლევის ფარგლებში სხვადასხვა დისციპლინის მკვლევარები მუშაობენ გარკვეულ პრობლემაზე, პროექტზე და ა.შ იგი გარკვეულწილად ჰარმონიზებულია კონცეფციასთან - ,,მეცნიერება საზოგადოებისათვისნ. ტრანსდისციპლინური კვლევა კი გულისხმობს აკადემიურ საზღვრებს მიღმა თანამშრომლობას. რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ამოცანა სამეცნიერო და პრაქტიკაში არსებული ცოდნის ინტეგრაციაა. ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ხდება კონცეფციის ტრანსფორმაციაც - ,,მეცნიერება საზოგადოებასთან ერთადნ [10, გვ.21-26]. კონცეპტუალურად ის ინტერდისციპლინური ხედვისაგან განსხვავებულია, რადგან იგი გულისხმობს პროცესებში არაკადემიური მონაწილეების ინტეგრაციას, რომლებიც ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარების თვალსაზრისით [8, გვ.273-274]. ამ საკთხზე ყურადღებას ამახვილებენ ტურიზმის პოლიტიკის მკვლევარები ედგელი და სვანსონი, ისინი ხაზს უსვამენ რომ ტურიზმის პოლიტიკის შემუშავებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული საჯარო, კერძო, არასამთავრობო სექტორი და სხვა სტეიქჰოლდერები. მათი ჩართულობა პროცესებში პრაქტიკაში არსებული ცოდნის გენერირების საშუალებას გვაძლევს, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ახალი ხედვების და იდეების ფორმულირების კუთხით [5, გვ.14]. სწორედ მეცნიერული მიდგომების, კვლევის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნება პოლიტიკის ძირითადი დეტერმინანტების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრად განვითარებას [5, გვ.11-12].

აღნიშნული მეთოდოლოგია წარმატებულად გამოიყენება საზოგადოებისათვის სოციალურად აქტუალური საკითხების გასაანალიზებლად, როგორიცაა, მდგრადი განვითარება, ჯანდაცვა, მიგრაცია, კულტურული მრავალფეროვნება, ურბანიზაცია და ა.შ. [2, გვ.78]. ცხადია, რომ საკვლევი პრობლემის თემატიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის მეთოდები. ასევე, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ცოდნის სხვადასხვა ტიპების გამოყენება. მაგალითად, **სისტემური ცოდნა**, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თუ რა ტიპის პრობლემასთან გვაქ საქმე, როგორია მისი ფუნდამენტური ასპექტები, **მიზნობრივი ცოდნა**, რომელიც საჭიროა ცვლილებების მოსამზადებლად, აღნიშნულ კონტექსტში ე.წ არააკადემიურ სტეიკჰოლდერებთან მუშაობა მნიშვნელოვანია, რათა აქტიური დიალოგის და იდეების გენერირების გზით მოვემზადოთ განვითარების სხვადასხვა სცენარების შესამუშავებლად. რაც შეეხება **ტრანსფორმაციულ** ცოდნას, იგი გვეხმარება თუ როგორ შეიძლება შევცვალეოთ არსებული მდგომარეობა უკეთესი პრაქტიკით. ამ პროცესში უნდა გავითვალისწინოთ სოციალური, კულტურული, ტექნოლოგიური ასპექტები. ბუნებრივია, რომ საკითხების გაანალიზების პროცესში ინტერდისციპლინურ ჭრილში შესაძლებელია ცოდნის სხვა ტიპების გამოყენებაც [3, გვ.36-40].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ტრანსდისციპლინური კვლევა, რომელიც თანამონაწილეობის პრინციპებზეა დაფუძნებული, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სხვადასხვა დისციპლინებში არსებული ცოდნის ინტეგრაცია. ასეთი ტიპის თანამშრომლობის ფორმატი არის საკმაოდ დინამიკური და აქტიური, რაც კვლევის პროცესში ხელს უწყობს ახალი ცოდნის გენერირებას. ფაქტობრივად, ცოდნის სხვადასხვა ტიპის, მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ტრანსფორმაციული მოქმედებების პრაქტიკაში იმპლემენტაცია, რაც გამყარებულია როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკაში არსებული ცოდნით. ტრანსდისციპლინური კვლევის კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სწორედ ამ ცოდნის ტიპების ინტეგრაციაა, რომელიც ცხადია, არ წარმოადგენს მარტივ ამოცანას. გუნდური მუშაობის და თანამონაწილეობის პრინციპების გამოყენება ყოველთვის ქმნის გარკვეულ წინააღმდეგობებს, აზრთა სხვადასხვაობას, როგორც ორგანიზაციული, ასევე აკადემიური თვალსაზრისით. თუმცა, როგორც ევროპული პრაქტიკა ცხადყოფს, აღნიშნული კონცეფცია საკმაოდ წარმატებულად გამოიყენება როგორც კვლევაში, ასევე სწავლებაში. აქედან გამომდინარე, ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითრების თვალსაზრისით შესაძლებელია ტრანსდისციპლინური კონცეფციის წარმატებით დანერგვა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება.

## ლიტერატურა:

1. Canthy A.Enz, Hospitality Strategic Management, Concepts and Cases, Second Edition, John Wiley&Sons, 2010.
2. Christian Pohl, From Transdisciplinarity to Transdisciplinary Research, Transdisciplinary Journal of Engineering & Science Vol: 1, 2010.
3. Christian Pohl, Gertrude Hirsch Hadorn, Translated by Anne B. Zimmermann, Principles for Designing Transdisciplinary Research,
4. Dwyer Larry, Kim Chalwon, Destination Competitiveness: Determinants and Indicators, University of Western Sydney Australia 2010.
5. Edgell David, Swanson Jason R, Tourism Policy and Planning, Yesterday, Today and Tomorrow, 2nd edition, Routledge 2013.
6. Gee Chuck Y, Fayos-Sola Eduardo, International Tourism: A Global Perspective, WTO, 1998.
7. Goeldner Charles R, J.R Ritchie Brent, Tourism, Principles, Practices, Philosophies, John Wiley Inc, 2012.
8. Handbook of Transdisciplinary Research, Springer Science + Business Media, 2008.
9. Khokhobaia Merab, Tourism Policy Challenges in Post-Soviet Georgia, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:9, No. 3, 2015.
10. Khokhobaia Merab, Transdisciplinary Research for Sustainable Tourism Development, Journal of International Management Studies, JIMS, Volume 18, Number 2
11. Promoting Local Economic Development Through Strategic Planning — Volume 3: Toolkit, United Nations Human Settlements Programme, 2005.
12. Sven A. Haugland, Haavard Ness Bjorn-Ove Gronseth, Jarle Aarstad, Development of Tourism Destinations, An Integrative Multilevel Perspective, Annals of Tourism Research, Vol. 38, No. 1, 2011.
13. Vanhove Norbert, The Economics of Tourism Destinations, Elsevier, 2005.
14. Mike J. Stabler, Andreas Papatheodorou, Thea Sinclair, The Economics of Tourism, Taylor and Francis, 2010.


## Transdisciplinary Research Methodology for the Tourist destination Development


***Merab Khokhobaia,***
*Doctor of Economics,*
*Assistant Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

The Tourist destination is a very complex system from the perspective of conceptual understanding. It's obvious, that the elements of the system are closely interrelated, correspondingly they can influence positively or negatively to the functioning of the system. In modern conditions, it has become a significant to elaborate the relevant long term policy for the tourist destination, which could be implemented within the framework of the strategic development plan. Due to the fragmented nature of the destination planning process, it requires to rely on the different types of knowledge and disciplines.

The paper deals with the study of the theoretical and practical aspects of the development of tourist destination. Furthermore, special attention has been paid on innovative transdisciplinary research approaches, which enables us to integrate experiential and scientific knowledge, which is important for the development of the tourism destination.



***Key words:*** *Transformation; Tourism Industry; Transdisciplinary Research; Strategic Development; Integrative Approaches .*

# გარემოსდაცვითი პასუხისმგებლური ქცევა და მისი მნიშვნელობა მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის

**ჩარიტა ჯაში**

*ეკონომიკის დოქტორი*
*ასოცირებული პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**თამარ ჯანგულაშვილი**

*დოქტორანტი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომი ასახავს სოციალური მარკეტინგის როლს მდგრადი ტურიზმის განვითარებაში. მასში განხილულია სოციალური მარკეტინგის სამკუთხედის - კანონმდებლობის, განათლებისა და მარკეტინგული კომპლექსის ზემოქმედება მომხმარებლებზე. ნაშრომში ხაზგასმულია განათლების პირდაპირი კავშირი გარემოსდაცვითი ქცევის ცვლილებებზე. წარმოჩენილია სოციალური მედია - მარკეტინგის გაზრდილი გავლენა მომხმარებელთა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლური ქცევის ფორმირებაზე.გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაძლიერება საზოგადოების ყველა რგოლის მონაწილეობითა მნიშვნელოვანი ფაქტორია მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალური მარკეტინგი; მდგრადი ტურიზმი; გარემოსდაცვითი განათლება; გარემოსდაცვითი პასუხისმგებლური ქცევა; სოციალურიმედიამარკეტინგი.*

გლობალურ სამყაროში ეკოლოგიური პრობლემების კატასტროფული ზრდა განპირობებული გარემოს დაბინძურებით, პირდაპირ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. საქართველო კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ტურისტული დესტინაციაა და მისი გეოპოლიტიკური განზომილება ბევრად უფრო მაშსტაბურია სხვებთან შედარებით. საქართველოს გააჩნია შიდა და საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელოვანი პოტენციალი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და მდიდარი ისტორიულ-კულტურული ფასეულობის გამო. მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველსაყოფას. მრავალრიცხოვანი ინიციატივები და ღონისძიებები ხორციელდება ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, ნარჩენებისა და დაბინძურების, ტრანსპორტის მავნე ზემოქმედების, წყლის და ენერგოეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ნეგატიურ ზემოქმედებისაგან გარემოს დაცვის ხელშეწყობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ძლიერ საზოგადოებრივ მოძრაობას წარმოშობს. თუმცა მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე ხელს უშლის ამ პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის ზრდას და ამ ფორმით საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას. სოციალური მარკეტინგი სოციალური ცვლილებების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია, რაც ხელს უწყობს სოციალური პროდუქტის ფორმირებასა და ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას [1,გვ.151-175;2,გვ.7-28]. ის ორიენტირებულია ადამიანებზე, მათი საჭიროებების, მისწრაფებებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველყოფასა და პიროვნების არჩევანის თავისუფლებაზე[3,გვ. 9-13].

ავსტრალიელი პროფესორი მაკენზის-მორი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული სოციალური მარკეტინგის (CBSM) საშუალებით შესაძლებელია საზოგადობაში არსებული ყველა რესურსის კონსოლიდაცია გარემოს დასაცავად. საზოგადოებაზე დაფუძნებული სოციალური მარკეტინგი ეფექტიანი მეთოდია, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებელთა დამოკიდებულებისა და განწყობის ფორმირებასა და პასუხისმგებლური გარემოსდაცვითი ქცევის მიღებაზე. ინსტიტუციურ, სახელმწიფო დონეზე წარმართული პოლიტიკით, შესაძლებელია საზოგადოებრივ პროცესებზე ზემოქმედება, რაც ორიენტირებული იქნება გარემოს დაცვის პრობლემების გადაწყვეტაზე [4,გვ. 543–554].

მარკეტინგის პროფესორი მაიკლ ჰოლი თავის პოპულარულ წიგნში - "ტურიზმი და სოციალური მარკეტინგი", წარმოაჩენს სოციალური მარკეტინგის შესაძლებლობებს ახალი გარემოსდაცვითი ქცევის ფორმირებაში.მისი აზრით აუცილებელია ეთიკური ნორმების დაცვით ქცევის პოპულარიზაცია, ტურისტთა მოტივაციის ზრდა ამ მიმართულებით [5, გვ. 238-260 ].

მსოფლიოს მასშტაბით ბუნების დაცვისა და მხარდაჭერის სხვადასხვა ინოვაციური პროგრამა ხორციელდება, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, კანადა, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი და სხვა ევროპული ქვეყნები. ხელსაყრელი ფიზიკური გარემო მნიშვნელოვანია ინდივიდებისა და სხვადსხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ქცევის შესაცვლელად. ბუნების დაცვისაკენ ორიენტირებული კანონმდებლობა ხელს უწყობს ქცევის

ნორმების ცვლილებას საზოგადოებაში, ცნობიერების ამაღლება და განათლება სტიმულია ქცევის შეცვლისა, ხოლო მარკეტინგული მიქსი ქმნის ხელსაყრელ გარემოს ახალი სოციალური პროდუქტის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლური ქცევის ფორმირებისათვის [6,გვ. 94–102] [7,გვ:.99–103], [8,გვ.17-31].

მარკეტინგულ ლიტერატურაში სხვადასხვა თეორია და სამომხმარებლო ქცევის მოდელებია ცნობილი, რომლებიც შეიძლება ადაპტირებული იყოს ეკოლოგიურად ორიენტირებულ ქცევაზე. გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეკოლოგიური განათლებისა და ცოდნის საფუძველზე მომხმარებელთა ნეიტრალური ქცევა იცვლება გარემოსდაცვით საპასუხისმგებლო ქცევაზე, რაც დადებით ზემოქმედებას ახდენს გარემოს გაუმჯობესებაზე [9,გვ.110-135], [10, გვ.197-210], [11,გვ. 438-451].

მრავალი წელია გარემოს დაცვის განათლების მნიშვნელობაზე სერიოზული დისკურსი მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის, მათ შორის საქართველოშიც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) მხარდაჭერითა და იუნესკოს მიერ ორგანიზებული მსოფლიოს პირველი საერთაშორისო კონფერენცია ჯერ კიდევ 1977 წელს ჩატარდა თბილისში. ამ კონფერენციის მთავარი დღის წესრიგი იყო გარემოსდაცვითი განათლების გაუმჯობესების აუცილებლობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარემოსადმი ინდივიდთა დამოკიდებულება და მათი ქცევის ცვლილება არის გარემოს დაცვითი განათლების პროგრამის ძირითადი მიზანი. კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაციაში გარემოს დაცვითი შეგნების ზრდასა და ბუნების ფასეულობის შენარჩუნებაზე ყურადღება იქნა გამახვილებული. გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელობაზე მსგავსი კონფერენციები სისტემატიურად იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. გარემოსდაცვითი განათლებისა (EE) და განათლება მდგრადი განვითარებისათვის საერთაშორისო კონფერენცია ასევე გაიმართა თბილისში 2012 წელს, რომლის შედეგად შემუშავდა გარემოსდაცვითი განათლების მოქმედებათა ეროვნული გეგმა [12,გვ.30-80;გვ. 3-31]. გარემოს დაცვითი განათლება მდგრადი ტურიზმის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით საჭიროა სპეციალისტების მომზადების პროცესში მდგრადი განვითარების პრობლემების აქტუალურობის პოპულარიზაცია. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ამ ეტაპზე საქართველოში ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგია ხორციელდება, რომლის მიზანია ტურისტთა საჭიროებებისა და მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინება, მრავალფეროვანი და უმაღლესი ხარისხის ტურისტული პროდუქციის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად [13,გვ. 44-80].

საქართველოს მსოფლიოს ტურიზმის ინდუსტრიაში ინტეგრირებისათვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს ბუნების დაცვის სხვადასხვა აქტივობას, როგორიცაა გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების გამოყენების რეგულირება და მართვა, ტურისტთა და მთლიანად საზოგადოების კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლური ქცევის ფორმირება. გარემოს დაცვის პოლიტიკისა და რეგულირების ცვლილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სოციალური მარკეტინგის გარემოსდაცვითი კამპანიები ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიან რეგულირებასა და მუშაობას ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში. სამწუხაროდ,ჰაერის დაბინძურების არსებული ნორმები, ტყის უაზრო გაჩეხვა სამშენებლო ინდუსტრიის ხარჯზე, ტურისტთა ნაკლებად კეთილგანწყობილი ქცევა სერიოზულ პრობლემებს ქმნის მწვანე ზონების, დაცული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი ტერიტორიების მრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით. ტურისტთა პასუხისმგებლური დამოკიდებულებისა და გარემოსადმი პოზიტიური ქცევის უზრუნველყოფის მიღწევა შესაძლებელია სოციალური მარკეტინგის ინსტრუმენტებით, რაც არა ერთხელ აპრობირებული იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

სოციალური მარკეტინგი ხელს უწყობს ქცევის ცვლილებას, ადამიანებს დაეხმარება ახალ ქცევასთან ადაპტირებაში, რაც სასარგებლო იქნება საზოგადოებისთვის. ამისათვის აუცილებელია მომხმარებელთა სტიმულირება სოციალური ცვლილებების კამპანიაში მონაწილეობისათვის კონკრეტული სოციალური პრობლემის გადასაწყვეტად[14,გვ. 59-64],[15,გვ. 345-351]

ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული მუშაკები უნდა იყვნენ მაღალი კვალიფიკაციისა და ასევე მოტივირებული. სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს ძლიერი იმისათვის, რომ სისტემატიურად გამოავლინოს გარემოს დაბინძურების უარყოფითი შედეგები. არსებობს მრავალი თეორია და სამომხმარებლო ქცევის მოდელები, რომლებიც გამოყენებული შეიძლება იქნეს ეკოლოგიურად ორიენტირებული ქცევის შესწავლისთვის [16,გვ. 243-267].

გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეკოლოგიური ცნობიერებისა და გარემოსდაცვითი განათლების გაზრდა ხელს შეუწყობს ქვეყანაში უნიკალური მემკვიდრეობის და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებას, ასევე შეიცვლება მომხმარებლისა და ტურისტის ქცევა, რაც გამოიწვევს პოზიტიურ ტენდენციებს გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

მრავალმა კვლევამ წარმოაჩინა გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და პასუხისმგებლური ქცევის პირდაპირი კავშირი. ტურისტთა გარემოს დაცვითი ქცევის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გააზრებული და მიზანმიმართული ქმედება საზოგადოების ყველა დონეზე. გარემოს დაცვაზე ერთიანი პასუხისმგებლობა გააჩნია სახელმწიფოს, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოებას. სამწუხაროდ, ამ სფეროში გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი და ნაკლებად ეფექტიანია. ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების ინტენსიური და მართე-

ბული გამოყენება, ტურისტების მოზიდვა გარემოსდაცვითი ქმედებების გაცნობის მიზნით დამოკიდებულია სახელმწიფო მართვის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების, არაკომერციულ ორგანიზაციებისა და კერძო სტრუქტურების გრძელვადიან სოციალურ მარკეტინგულ ქმედებებზე, რაც უზრუნველყოფს მდგრადი ტურიზმის განვითარების გარანტიას. მნიშვნელოვანია ასევე ბიზნესკომპანიების პასუხისმგელობის გაზრდა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლური ქცევის ფორმირებაში. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს კორპორაციები აქტიურად არიან ჩართული ბუნების დაცვის მიმართულებით განხორციელებულ სოციალური მარკეტინგის კამპანიებში.

სოციალური მარკეტინგის პრაქტიკა ადასტურებს სახელმწიფო პოლიტიკის პოზიტიური ცვლილების მნიშვნელობას ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის. სახელმწიფო შესაბამისი რეგულაციების გამოყენებით ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ინდივიდიების, არამედ ორგანიზაციების გარემოსდაცვითი ქცევის შეცვლის პროცესებზე, რაც უკავშირდება ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნობის და კვების პროდუქტების წარმოებისა და სხვა სფეროების განვითარებას. [ 16,გვ. 197-210]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალური მედიამარკეტინგი წარმოადგენს ძლიერ და ეფექტიან ინსტრუმენტს, რომელიც დიდ გავლენას ზოგადად მომხმარებლებზე. სოციალური მედიია მარკეტინგის გამოყენების მნიშვნელობაზე კვლევებია ჩატარებული, როგორც საქართველოში, ასევე მის გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა სოციალური ქსელების გავლენა ვიზიტორების მიერ ტურისტული მიმართულების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში, გარემოსადმი პასუხისმგებლური ქცევის მიღების აუცილებლობა დღესაც პრობლემურია, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელ ტურისტებისათვის. [17,გვ.11-16}, [18,გვ. 37-40} [19,გვ. 1160- 1163 ][20,გვ. 337-352].

მრავალ აქტივობასთან ერთად, რომელიც ინტერნეტსივრცეში განხორციელდა, აღსანიშნავია ინოვაციური მიდგომა-ეკომუზეუმების შექმნა, რაც საშუალებას იძლევა კიდევ უფრო მეტად წარმოჩინდეს საქართველოს ტურისტულ პოტენციალი. სპეციალური ვებგვერდების ფორმირება, შთამბეჭდავი ვიდეო რგოლების ინტერნეტში განთავსება მრავალრიცხოვანი ტურისტის ყურადღებას იპყრობს და ხელს უწყობს საქართველოს მსოფლიოს ტურიზმის კონკურენტუნარიან გარემოში დამკვიდრებას [21,გვ.49-70]. ასევე უნდა აღინიშნოს პოპულარულ სამოგზაურო პორტალის „Trip Adviser" ( მოგზაურის მრჩეველი) გვერდებზე სარეკლამო მარკეტინგული კამპანიების ჩატარება ქართული ტურისტული დესტინაციების პოპულარიზაციისათვის.

შეიძლება იქვას, რომ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს წარმატებული პოზიციონირება, მარკეტინგული ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება, ტურისტთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის უზრუნველსაყოფად, დააჩქარებს მდგრადი ტურიზმის განვითარების პროცესებს.

## ლიტერატურა:


1. Andreasen A,R. Marketing Social Change: Changing Behavior to Promote Health, Social Development, and the Environment, Jossey-Bass, San Francisco pp:7 -28. 2006.
2. Lee, N & Kotler, P. Social Marketing: influencing behavior for good (4rd ed.). Thousand Oaks, CA: Sage 2011,pp:8-36.
3. Lefebvre, C. Social Marketing and Social Change: Strategies and Tools For Improving Health, Well-Being, and the Environment, Jossey-Bass pp:1-32,2013,pp: 460-465 .
4. McKenzie-Mohr,D. Promoting Sustainable Behavior: An Introduction to Community-Based Social Marketing, Journal of Social Issues, Vol. 56, No. 3, 2000, pp. 543–554.
5. Hall, M. Tourism and Social Marketing, Paper-book,Rountledge,2014.pp:265-280.
6. Wood, M. Marketing, Social marketing, Journal of Social Marketing, 2(2),2012, pp. 94–102.
7. Wymer,W. Rethinking the Boundariesof social marketing Journal of Business Research 2010, , pp: 99–103.
8. Wymer, W. Developing More Effective Social MarketingSstrategies, Journal of Social Marketing, 1(1), 2011.pp:17–31..
9. Truong,V. and Hall,C. Social marketing and tourism: What is the evidence? Social Marketing Quarterly, Volume: 19 issue: 2,2013 page(s): 110-135.
10. Kartal, B., Bayar,C. An Outlook on Social Marketing Campaigns of Environmental NGOs, European Journal of Scientific Research 119(3),2014,pp438-451.
11. Tanti ,H., Raya H. Responsible Environment Behavior Intention of Travellers Ecotourism Sites, Tourism and Hospitality Management, Vol. 22, No. 2, 2016, pp. 135-150.
12. Environmental Education in the light of the Tbilisi Conference, UNESCO publishing, 1980.pp:30- 80; გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2012 – 2014),გვ.3-31.
13. Dolnicar, S., Crouch,G. , Long, P., Environment-Friendly Tourists: what do we really know about them? Journal of Sustainable Tourism, 16 (2), pp.197-210.
14. Todua, N. and Jashi, Ch. Challenges of Social Marketing in Georgia, TSU Science, no.5,2013, pp.59-64
15. Mgebrishvili ,B. Some Aspects of Social Marketing Development in Georgia,2017, pp: 345-351.
16. ნადირაშვილი,გ.,ჯანგულაშვილი, დ. მდგრადი განვითარების ტურიზმი,უნივერსალი, თბილისი, 2016 გვ: 243-

267.
17. Todua N. Impact of Social media Marketing on Consumer behavior in the Georgian Tourism Industry , International Academy Journal Web of Scholar, Vol5, 5(32),2018, pp.11-16.
18. Jashi Ch. Significance of Social Media Marketing in Tourism. Proceedings of 8th Silk Road International Conference "Development of Tourism in Black and Caspian Seas Regions". Tbilisi ,Batumi, pp:37-40 2013
19. Todua, N. and Jashi, Ch. Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case). International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering Vol. 9, No. 4. pp. 1160- 1163
20. Poudel, S., Nyaupane, G.P. Understanding Environmentally Responsible Behaviour of Ecotourists: The Reasoned Action Approach, Tourism Planning and DevelopmentVolume 14, Issue 3, 2017, pp: 337-352.
21. ტურიზმისგანვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება,
22. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო, თბილისი, 2016 გვ.49-70.

## Environmentally Responsible Behavior and its Importance for Sustanaible Tourism Development

***Charita Jashi***
*Doctor of economics*
*Associated Professor, Tbilisi state university*

***Tamar Jangulashvili***
*PhD student, Tbilisi state university*

S u m m a r y

The paper explores the role of social marketing in sustainable tourism development. The work discusses regarding social marketing triangle- legislation , education and marketing mix and its impact on the behavior of individuals and society.The direct linkage between of education and environmental behavior is highlighted. Increasing influence of social media marketing works positively on the formation of environmental responsible behavior of consumers.

***Key words:*** *social marketing; sustainable tourism; environmental education; environmental responsible behavior; social media marketing.*

# რეგიონების ეკონომიკური განვითარების გამოწვევები საქართველოში

**მარიამ ჯიბუტი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დოქტორანტი*

*ნაშრომში განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობისა და რეგიონების განვითარების საკითხები. გაანალიზებულია რეგიონების არათანაბარი განვითარების პრობლემა და გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მეტად მონოცენტრული და რეგიონებს შორის ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობით გამორჩეული ქვეყანაა.*

*ნაშრომში გამოვლენილია გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან რეგიონული პოლიტიკის გამტარებლები. წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს რეგიონების განვითარების სტრატეგიის გაუმჯობესებას.*

*საკვანძო სიტყვები: რეგიონული უთანასწორობა; ეკონომიკური განვითარება; სტრატეგიული დაგეგმვა.*

რეგიონების ეკონომიკური განვითარების თემა უკანასკნელი ათეულობით წლის მანძილზე უამრავი მეცნიერის შესწავლის საგანს წარმოადგენს, თუმცა კვლავ აქტუალურ და ხშირ შემთხვევაში სადავო საკითხად რჩება თუ როგორ დადგინდეს რეგიონის საზღვრები და როგორ შეფასდეს რეგიონული განვითარება, რაც რეგიონების ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის ეფექტიანობის ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

რატომ ვითარდება ზოგი რეგიონი უფრო სწრაფად ზოგი კი უფრო ნელა ? რა იწვევს რეგიონებს შორის სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის მაღალ და მუდმივ დონეს ? რა უწყობს რეგიონების განვითარებას ხელს და ზოგადად რა ფაქტორების ზეგავლენით ვითარდებიან რეგიონები ?

აღნიშნული საკითხების შესწავლამდე ლოგიკური კითხვა უნდა დაისვას: რა არის რეგიონი ? შემდეგი კითხვა კი აუცილებლად უნდა ეხებოდეს რეგიონულ განვითარებას. როდესაც განვიხილავთ თუ რამდენად უწყობს ხელს რეგიონების განვითარებას რეგიონული პოლიტიკის გამტარებლების მიერ გაცხადებული მიზნები, გარდა სუბიექტური შეფასებისა კონკრეტული რაოდენობრივი ინდიკატორებით თუ ვხელმძღვანელობთ ?

საქართველოში მუნიციპალიტეტი თვითმმართველობის ერთადერთი დონეა, ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე გამოყოფენ 9 რეგიონს, რომლებიც განსაზღვრულია როგორც მუნიციპალური ტერიტორიების ერთობლიობა. მმართველობის რეგიონული დონე და რეგიონის ცნება კანონით არ არის განსაზღვრული. ამრიგად, რეგიონს არ ყავს მმართველი რგოლი, არ აქვს ყოველწლიური სტაბილური ბიუჯეტი, თუმცა, შემუშავებულია რეგიონების განვითარების სტრატეგიები, მათში გაცხადებული მიზნების მიღწევის ბუნდოვანი გზებითა და პასუხისმგებელი პირების/უწყებების კონკრეტიზაციის ნაკლებობით.

## რეგიონული უთანასწორობა და „დაახლოების“ პოლიტიკა

წლებია განხილვის საგანს წარმოადგენს, თუ რამდენად უწყობს ხელს ეფექტიანობაზე ორიენტირებული რეგიონული პოლიტიკა რეგიონებს შორის სიმდიდრის თანაბარ განაწილებას და პირიქით, შეიძლება თუ არა რომ თანასწორობაზე ორიენტაცია იყოს არაეფექტიანობის მიზეზი [2, გვ. 149]. მაშინ როდესაც, ეფექტიანობის მიზანი გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის ზრდის მაქსიმიზაციას და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას დროში, თანასწორობის მიზანი ორიენტირებულია რეგიონებს შორის შემოსავლების, სიმდიდრისა და ეკონომიკური ზრდის არათანაბარი დონის შემცირებაზე [3, გვ. 177].

აღნიშნული მიზნები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა თავსებადი იყოს, თუმცა რეგიონების არათანაბარი განვითარების პრობლემის სიმწვავე, რაც ქვეყნების განვითარების პროცესის ადრეულ ეტაპზე იჩენს თავს, პოლიტიკის გამტარებლებისგან ერთ მიზანზე ორიენტირებულობას ითხოვს.

საქართველოში რეგიონების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა რეგიონული უთანასწორობისა და განსხვავებულობის მაღალი დონე. ტერიტორიის მხრივ ყველაზე დიდია კახეთის რეგიონი (11,375 კმ2), ხოლო ყველაზე მცირე - გურიის რეგიონი (2,033.2 კმ2), ამრიგად, ყველაზე დიდი რეგიონის ტერიტორია ყველაზე მცირე რეგიონის ტერიტორიას 5.6-ჯერ აღემატება. გასათვალისწინებელია მოსახლეობის რაოდენობის მხრივ რეგიონებს შორის არსებული განსხვავებაც: მოსახლეობის რიცხოვნობა ყველაზე დასახლებულ რეგიონში (იმერეთი - 529,700 ადამიანი) 17-ჯერ აღემატება მოსახლეობის რაოდენობას ყველაზე ნაკლებად დასახლებულ რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 31,000 ადამიანი); ყველაზე

დასახლებულ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა (ქ. თბილისი -1,114.6 ათასი ადამიანი) 7-ჯერ მეტია რიგით მეორე ყველაზე დასახლებულ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობაზე (ქ. ბათუმი - 155.6 ათასი ადამიანი). მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში არის 65.2 კაცი/კმ2-ზე. დედაქალაქში მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი (2,210.6 კაცი/კმ2-ზე) ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 34-ჯერ აღემატება, ხოლო სიმჭიდროვის მიხედვით რიგით მეორე რეგიონს (აჭარის ა/რ) 19-ჯერ. სიმჭიდროვის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია: იმერეთი - 83 კაცი/კმ2-ზე, შიდა ქართლი - 76.9 კაცი/კმ2-ზე, გურია - 55.4 კაცი/კმ2-ზე, სამცხე-ჯავახეთი - 25 კაცი/კმ2-ზე, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 6.7 კაცი/კმ2-ზე.

საქართველოს ტერიტორიული ერთეულების არათანაბარი განვითარების დონე ნათლად აისახება შემდეგ ეკონომიკურ მაჩვენებლებში:

- მთლიანი დამატებული ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი (49%) დედაქალაქში იქმნება, მეორე ადგილზეა იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები ჯამური 11%-ით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლის (2%) მქონეა გურიის რეგიონი.
- ბიზნეს საწარმოების ბრუნვის 70% დედაქალაქზე მოდის, მაშინ როდესაც აჭარის ა/რ-თვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 8%-ს, ქვემო ქართლისთვის - 6%-ს, მცხეთა-მთიანეთისთვის - 1.4%-ს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონისთვის კი - 0.12%-ს შეადგენს. ქ.თბილისში არსებული კომპანიების ბრუნვა დაახლოებით 3-ჯერ აღემატება სხვა რეგიონებში არსებული კომპანიების ბრუნვას.
- ბიზნეს სექტორში დაქირავებულთა 66% ქ. თბილისშია დასაქმებული, 9% - აჭარის ა/რ-ში, ხოლო რიგით მესამე ადგილზე მყოფ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მხოლოდ 3.6%.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 77% დედაქალაქზე მოდის, 12% აჭარის ა/რ-ზე, დარჩენილი 11%-იც არათანაბრად არის განაწილებული რეგიონებზე.

ზემოთ წარმოდგენილ მონაცემებთან ერთად აღსანიშნავია რეგიონებში განსხვავებული ხელმისაწვდომობა სატრანსპორტო, კომუნალურ, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე. მეტად არასახარბიელოა მრეწველობის რეგიონული სტრუქტურაც [1, გვ. 118].

რეგიონების შედარებით თანაბარზომიერი განვითარებისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება შეღავათიანი აგროკრედიტების განაწილების შესწავლას რეგიონულ ჭრილში. სესხების ყველაზე დიდი წილი გაცემულია კახეთის რეგიონზე - 45.7%. სესხების მიღების მაღალი მაჩვენებელი აქვს ქვემო ქართლის რეგიონსაც - 22.2%, შიდა ქართლში ეს მაჩვენებელი 13.8%-ია. დანარჩენ რეგიონებში გაცემული სესხების წილი უმნიშვნელოა და ვერ ასრულებს ამ რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელ როლს [4, გვ. 5].

ქ. თბილისისა და აჭარის ა/რ-ის გარდა რეგიონებში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლებში ცხოვრობს, საქართველოში თითქმის ვერ ვხვდებით საშუალო ზომის ქალაქის ტიპის დასახლებებს, რაც სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის „დაახლოების“ პოლიტიკის ნაწილია, რომლის ფარგლებშიც უამრავი პროექტი ხორციელდება ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის (ERDF), ევროპის სოციალური ფონდის (ESF) და „დაახლოების“ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტით განისაზღვრა, რომ ეკონომიკური და სოციალური დაახლოება გულისხმობს პროცესს, რომლის შედეგადაც რეგიონებს შორის უთანასწორობა და ნაკლებად კონკურენტუნარიანი რეგიონების ჩამორჩენის დონე მცირდება. ლისაბონის შეთანხებით „დაახლოების“ ცნება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ „დაახლოებას“. ამ უკანასკნელზე ორიენტაციით განისაზღვრა, რომ „დაახლოების“ პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად ტერიტორიულ განვითარებას, რაც რეგიონული განვითარების საკითხს უფრო აფართოებს.

ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყანა განსხვავებულად გეგმავს საკუთარი რეგიონების განვითარების პოლიტიკას, თუმცა ევროკავშირის პოლიტიკის გავლენა მკაფიოა, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულები „დაახლოების“ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

ევროკავშირის „დაახლოების“ პოლიტიკა უფრო მეტად ორიენტირებულია „თანასწორობის“ მიზნის მიღწევაზე, შესაბამისად იმ ქვეყნების, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულები ევროკავშირის ფონდებიდან მიღებულ დაფინანსებაზე, სტრატეგიულ მიზნებში მოსალოდნელია რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირება პრიორიტეტს წარმოადგენდეს.

თუმცა აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი სხვა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსად რეგიონული უთანასწორობის გაღრმავების პრობლემის წინაშე იდგა, ქვეყანამ შეძლო რომ რეგიონული პოლიტიკის მიზნებში პრიორიტეტი „ეფექტიანობაზე“ ორიენტირებულ მიზნებს მიანიჭა და ეკონიმიკურ ზრდაზე მაღალი ზეგავლენის მქონე ტერიტორიული ერთეულების განვითარებაზე გააკეთა აქცენტი. ქვეყნის განვითარების ტემპზე დაკვირვება პოლონური არჩევანის შედეგიანობას ნათლად გვიჩვენებს.

## რეგიონული განვითარების პრობლემები მმართველობის დონეზე

ნათელია, რომ საქართველოში რეგიონების ეკონომიკური განვითარების მიდგომები ვერ პასუხობს ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს და ვერ უზრუნველყოფს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

რეგიონული პოლიტიკის გამტარებლები ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა:

- კანონის არ არსებობა, რომელშიც განსაზღვრული იქნება თუ რა იგულისხმება „რეგიონული განვითარების" მიზანში. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი ხელი შეუწყოს „†—‘”“□, განვითარებასნ ბუნდოვანია და არ იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს და გაიზომოს რაოდენობრივი ინდიკატორებით;
- სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეზე ამოცანების იერარქიულობა და ერთმანეთთან ლოგიკური კავშირი/შესაბამისობა დარღვეულია;
- რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიები და პოლიტიკის სხვა დოკუმენტები იქმნება რეგიონულ დონეზე, თუმცა რეგიონული მმართველობის დონე და რეგიონების განვითარების სტრატეგიებისთვის ცალკე ბიუჯეტი არ არსებობს, შესაბამისად დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა და გზები ბუნდოვანია;
- რეგიონული პოლიტიკის დოკუმენტებში ძირითადად შეფასებულია არსებული მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები სექტორულ ჭრილში. ისინი ზედაპირულად მოიცავს თითქმის ყველა შესაძლო სექტორს და პრიორიტეტს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაზე.
- ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სტრატეგიის დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის;
- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიითაც კი ვერ ირკვევა სოფლის განვითარებისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკას შორის განსხვავება და ცალკე სოფლის განვითარების სტრატეგიის არსებობის საჭიროება;
- გამოკვეთილი არ არის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების როლი სასურსათო უზრუნველყოფის პოლიტიკის გატარებაში [5, გვ. 6].
- ზოგიერთ სტრატეგიაში ვხვდებით ცნების - „რეგიონი" გამოყენების შემთხვევებს სხვადასხვა კონცეფციით, მაგალითად, „ისტორიული რეგიონი", „დაგეგმვის რეგიონი", „ტრადიციული რეგიონი", „სპეციალური რეგიონი", „პრობლემური რეგიონი", „ფუნქციური რეგიონი" და ა.შ. [6, გვ. 23].

## ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის დაგეგმვამდე, მნიშვნელოვანია პოლიტიკის გამტარებლებმა შესაბამის ანალიზსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით განსაზღვრონ „თანასწორობის" თუ „ეფექტიანობის" მიზანს ანიჭებენ უპირატესობას.

საერთაშორისო გამოცდილებისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში განხორციელებული პროექტების მნიშვნელობის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად გამოცხადდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ამ ეტაპზე არ არის ვალდებული თანხვედრაში მოდიოდეს ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკასა და იმ მოთხოვნებთან, რომელსაც წევრ ქვეყნებს უწესებს, თუმცა ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის გამოცდილება უდავოდ გასათვალისწინებელი პრაქტიკაა.

რეგიონების ეკონომიკური განვითარების ეფექტიანად დასაგეგმად და რეგიონული პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია:

- სახელმწიფო პოლიტიკამ მოიცვას ტერიტორიული განვითარების საკითხები, რომლებიც უნდა აისახოს მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტებში;
- რეგიონული უთანაბრობის ანალიზთან ერთად ყურადღება გამახვილდეს რეგიონებს შორის არსებული კავშირების, ურთიერთდამოკიდებულებისა და სივრცითი ურთიერთგავლენის ეფექტის შესწავლაზე;
- კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე გამოიყოს მსგავსი ტერიტორიული ერთეულები და განხორციელდეს მათ სპეციფიკაზე მორგებული პროგრამები;
- სტრატეგიულ დოკუმენტებში მკაფიოდ განისაზღვროს რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელთა გამოყენებითაც შეფასდება თუ რამდენად იქნა მიღწეული დაგეგმილი შედეგი და რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა ფაქტობრივი შედეგის სასურველიდან გადახრაზე;
- თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში გამოვლინდეს პერსპექტიული სექტორები და აქცენტი გაკეთდეს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობაზე. ამ ეტაპზე რეგიონების ეკონომიკური

განვითარების პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე, შეიძლება ითქვას ზედმეტადაც კი არის ორიენტირებული.

რეგიონულ დონეზე სტრატეგიული ეფექტიანი დაგეგმვა და მოსალოდნელი შედეგის განჭვრეტა, მმართველობის რეგიონული დონის არ არსებობის გამო ბუნდოვანია. რეგიონული პროექტების ძირითადი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ფინანსდება. მუნიციპალიტეტების მმართველი რგოლების თანამშრომლობისა და ინტერმუნიციპალური პროექტების განხორციელების შემთხვევა საკმაოდ იშვიათია.

უდავოა, რომ რეგიონული განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის წინაპირობაა საკანონმდებლო დონეზე ისეთი ტერმინების განმარტება, როგორიცაა: „რეგიონი", „რეგიონული განვითარება", „რეგიონული პოლიტიკის გამტარებლები" და სხვა.

## ლიტერატურა:


1. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი", 2011, 312.
2. Dawkins Casey J., Regional Development Theory: Conceptual Foundations, Classic Works, and Recent Developments, Journal of Planning Literature, November 1, 2013, 131-171
3. Richardson, Harry W., Aggregate Efficiency and Interregional Equity, Spatial Inequalities and Regional Development, Springer Science Business Media, 1977, 161 – 179
4. Kharaishvili, E. , The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14), 2018, 1-9.
5. Kharaishvili E., Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy, 29 August – 1 September 2017, 1-7.
6. Sartorius, W. Kakabadze, N. (2017) Analysis of Coherence, Gaps and Overlaps between Strategies and Plans Important from Regional Development Policy Perspectives, August 10, 2017, 1-39.


# Challenges of Regional Economic Development in Georgia


***Mariam Jibuti***
*PhD Student*
*Tbilisi state university*



S u m m a r y

The paper provides discussion about the administration arrangement of Georgia and regional development approaches. The study reveals the problem of regional divergence and concludes that Georgia is strongly monocentric country with territorial, social and economic disparities.

Challenges which regional policy makers face in Georgia are discussed in the article. The paper presents recommendations that will facilitate the improvement of regional development strategy.



***Key words:*** *Regional disparity; Economic development; Strategic planning.*

# წარმოების ეფექტიანობის ცალკეულ მაჩვენებელთა ანალიზის აქტუალური საკითხები

**მერაბ ჯიქია**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი*

*ეკონომიკური ანალიზის უმთავრესი მეთოდოლოგიური თავისებურება ისაა, რომ მას შესწევს უნარი დაადგინოს არამარტო მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, არამედ მისცეს მათ რაოდენობრივი დახასიათებაც. ე.ი. ის უზრუნველყოფს საქმიანობის შედეგებზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გაზომვას, ეს შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკის მდგომარეობაზე დავსვათ ზუსტი დიაგნოზი, ხოლო მისი შედეგებიდან გამომდინარე შევიმუშაოთ დასაბუთებული რეკომენდაციები. მაშასადამე, ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიზანი საკვლევი ობიექტის დაშლა-დანაწევრებაა, მასზე მოქმედი ფაქტორთა რაოდენობისა და თითოეული მათგანის გავლენის სიდიდის დასადგენად, შესასწავლი ობიექტი, რაც უფრო მარტივ ელემენტებად იქნება წარმოდგენილი, მით მეტი შესაძლებლობაა უფრო ღრმად. ჩავწვდეთ მოვლენის არსს და მით უფრო მეტი კონკრეტული დასკვნები გამოვიტანოთ. ცხადია, საანალიზო ობიექტის დანაწევრების ზღვარი დამოკიდებულია ანალიზის მიზანსა და მისი დანაწევრების მაქსიმალურ შესაძლებლობაზე, ამ მხრივ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ისეთი მაჩვენებლების სიღრმისეულ ანალიზს როგორიცაა: ფონდუკუგება და შრომისმწარმოებლურობა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფონდუკუგება; შრომისმწარმოებლურობა; მოდერნიზაცია; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; შრომის ორგანიზაცია; დროის არამწარმოებლური დანახარჯები; სოციალური ფაქტორები.*

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის განზოგადებული დახასიათებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელი: ა) **ფონდუკუგება** (თანაფარდობა სასაქონლო პროდუქციის ღირებულებასა და ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის); ბ) **ფონდტევადობა** (ფონდუკუგების შებრუნებული მაჩვენებელი); გ) **რენტაბელობა** (თანაფარდობა მოგებასა და ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის) და სხვა. აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესია ფონდუკუგება, რომელიც გვიჩვენებს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მოცულობას 1 ლარის ძირითადი საწარმოო ფონდებზე გაანგარიშებით.

ფონდუკუგების მაჩვენებლის დონის ცვლილებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი სახით (იხ. სქემა).

პირველი დონის ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგებაზე, მიეკუთვნება:

ა) ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრითი წონის ცვლილება ფონდების მთლიან ღირებულებაში;

ბ) ფონდების აქტიური ნაწილის ფონდუკუგების ცვლილება:

$$\Phi = \Phi^{\alpha} \times K^{\alpha}$$

სადაც: $\Phi$ – ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგებაა;

$\Phi^{\alpha}$ – ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის ფონდუკუგება.

$K^{\alpha}$ – ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრითი წონა;

ცალკეული ფაქტორის გავლენის სიდიდე განისაზღვრება აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით:

ა) $\pm\Delta_1 = (K_1^{\alpha} - K_0^{\alpha}) \times \Phi^{\alpha}$

ბ) $\pm\Delta_2 = (\Phi_1^{\alpha} - \Phi_0^{\alpha}) \times K^{\alpha}$

სადაც: $\Delta_n$ – ცალკეული ფაქტორის გავლენის სიდიდეა;

0 და 1 – ცალკეული მაჩვენებლის გეგმური (საბაზისო) და ფაქტობრივი სიდიდე.




ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის (ტექნოლოგიური მოწყობილობების) ფონდუკუგება უშუალოდ დამოკიდებულია მის სტრუქტურაზე, მუშაობის დროსა და საშუალოსაათობრივ გამომუშავებაზე. ანალიზისათვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფაქტორული მოდელი:

$$\Phi^{\alpha} = \frac{N\,x\,T\,x\,q}{F^{\alpha}}$$

სადაც: $\Phi^{\alpha}$ – ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის უკუგებაა;

$F^{\alpha}$ ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის საშუალოწლიური ღირებულება;

$N$ – ტექნოლოგიური მოწყობილობების საშუალოწლიური რაოდენობა;

$T$ – წლის განმავლობაში ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობის ნამუშევარი მანქანა-საათები;

$q$ – მანქანა-საათში გამომუშავებული პროდუქცია.

მოწყობილობათა ფონდუკუგების ფაქტორული მოდელი შეიძლება კიდევ უფრო გავაფართოვოთ, თუ ერთეული მოწყობილობის მუშაობის დროს წარმოვადგენთ მთელი წლის განმავლობაში ნამუშევარი დღეების (d), ცვლიანობის კოეფიციენტის (P) და ცვლის საშუალო ხანგრძლივობის (t) ნამრავლის სახით, ხოლო ტექნოლოგიურ მოწყობილობათა საშუალოწლიურ ღირებულებას, როგორც მისი რაოდენობის (N) და ერთეულის (f) საშუალო ღირებულების ნამრავლს. აღნიშნულის შედეგად ფონდუკუგების ფაქტორული მოდელის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\Phi^{\alpha} = \frac{N\,x\,d\,x\,P\,x\,t\,x\,q}{N\,x\,f} = \frac{d\,x\,P\,x\,t\,x\,q}{f}$$

მოწყობილობათა ფონდუკუგებაზე ცალკეული ფაქტორის გავლენის სიდიდე განისაზღვრება ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებით, ხოლო ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგებაზე აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის გარკვევისათვის საჭიროა თითოეული ფაქტორის გავლენის სიდიდე გავამრავლოთ ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ფაქტობრივ წილზე ძირითადი ფონდების მთლიან ღირებულებაში:

$$\pm\Delta\Phi_i = \pm\Phi_i^\alpha \times \text{K}_1^\alpha$$

ფონდუკუგების მაჩვენებელზე მე–3 დონის ფაქტორთა გავლენის სიდიდის განსაზღვრისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორ შეიცვალა პროდუქციის წარმოების მოცულობა ახალ მოწყობილობათა ათვისების ან მოდერნიზაციის შედეგად. ამ მიზნით, ახალი მოწყობილობების ექსპლუატაციაში შეყვანის შემდგომ პერიოდში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა უნდა შევადაროთ ძველი მოწყობილობების მუშაობის პირობებში გამოშვებული პროდუქციის მოცულობას და მათ შორის სხვაობა გავყოთ ტექნოლოგიურ მოწყობილობათა ფაქტობრივ საშუალოწლიურ ღირებულებაზე:

$$\Delta\Phi_m^\alpha - \frac{\Sigma T_i \, x \, q^{II} - \Sigma T_i \, x \, q^{I}}{F_1^\alpha}$$

სადაც: $T_i$ –i–ური მოწყობილობების მუშაობის დროა მისი შეცვლის (მოდერნიზაციის) მომენტიდან ანგარიშგებითი პერიოდის ბოლომდე;

$q^{II}$ – 1 მანქანა-საათში გამომუშავებული პროდუქცია მოწყობილობათა შეცვლის (მოდერნიზაციის) შემდეგ;

$q^{I}$ – 1 მანქანა-საათში გამომუშავებული პროდუქცია მოწყობილობათა შეცვლამდე (მოდერნიზაციამდე);

$F_1^\alpha$ – ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის ფაქტობრივი საშუალოწლიური ღირებულება.

ანალოგიური წესით განისაზღვრება ფონდუკუგების ცვლილება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შედეგად წარმოების ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფის მიზნით:

$$\Lambda\Phi_{\text{п}}^\alpha = \frac{ST_i \, x \, q^{II} - ST_i \, x \, q^{I}}{F_1^\alpha}$$

ფონდუკუგების დონის ცვლილება სოციალური ფაქტორების გავლენით (მუშაკების კვალიფიკაციის დონის ამაღლება, შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება, გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და სხვა) დგინდება სალდოს წესით:

$$\Delta\Phi_c^\alpha = \Delta\Phi_q^\alpha - \Delta\Phi_m^\alpha - \Delta\Phi_{\text{п}}^\alpha$$

სადაც: $\Delta\Phi_q^\alpha$ – ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის უკუგების ცვლილებაა 1 მანქანა-საათში პროდუქციის გამომუშავების ცვლილების შედეგად;

$\Delta\Phi_m^\alpha$ – ფონდუკუგების ცვლილება ახალ მოწყობილობათა ათვისების ან მოდერნიზაციის შედეგად;

$\Delta\Phi_{\text{п}}^\alpha$ – ფონდუკუგების ცვლილება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შედეგად.

მე–3 დონის ფაქტორთა გავლენა ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგებაზე გაიანგარიშება i–ური ფაქტორის ზემოქმედებით მოწყობილობათა ფონდუკუგების ნაზრდის გამრავლებით ფონდების აქტიური ნაწილის ფაქტობრივ წილზე ფონდების მთლიან ღირებულებაში:

$$\pm\Delta\Phi_i = \pm\Phi_i^\alpha \times \text{K}_1^\alpha$$

დაბოლოს, თუ გვინდა დავადგინოთ როგორ შეიცვალა პირველი, მე–2 და მე–3 დონის ფაქტორთა გავლენით პროდუქციის წარმოების მოცულობა, საჭიროა ცალკეული ფაქტორის ზემოქმედებით ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგების ცვლილება გავამრავლოთ ძირითადი საწარმოო ფონდების ფაქტობრივ საშუალოწლიურ ღირებულებაზე:

$$\perp\Delta V_i - \perp\Delta\Phi_i \times F_i$$

შრომისმწარმოებლურობა კონკრეტული შრომის ეფექტიანობის მაჩვენებელია. ის გაიანგარიშება დროის ერთეულში ცოცხალი შრომით წარმოებული პროდუქციის ოდენობით. მისი გადიდება წარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა.
შრომის მწარმოებლურობის ამაღლება წარმოადგენს წარმოების მოცულობის ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს; მას თან სდევს წარმოების მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესება, ხელფასების ზრდა. ამასთან, აუცილებელია, შრომისმწარმოებლურობის გადიდება უსწრებდეს ხელფასის ზრდას, რადგან სწორედ ასეთი თანაფარდობაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების აუცილებელი პირობა.
შრომისმწარმოებლურობის ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია ერთი მომუშავის მიერ პროდუქციის საშუალოწლიური გამომუშავება. ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის პროდუქციის (სამუშაოების, მომსა-ხურების) მოცულობას შესადარი ფასებით უნდა შევუფარდოთ მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი:

$$W = \frac{V}{N}$$

ანალიზის პროცესში განსაზღვრულ უნდა იქნეს, თუ რა გავლენა იქონია პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მოცულობაზე მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვისა და ერთი მომუშავის საშუალო გამომუშავების ცვლილებამ გეგმასთან ან წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით. ჯაჭვური ჩასმის ხერხის ან აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით შეიძლება განვსაზღვროთ აღნიშნულ ფაქტორთა გავლენა გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე:

$$V_0 = W_0 \, x \, N_0 \qquad V_1 = W_1 \, x \, N_1$$
$$\Delta V = V_1 - V_0$$

**პირველი ფაქტორი** – საწარმოს მუშაკთა საშუალოსიობრივი რიცხვის ცვლილების გავლენა:

$$\Delta_1 - (N_1 - N_0) \, x \, W_0$$

**მეორე ფაქტორი** – ერთი მუშაკის საშუალოწლიური გამომუშავების ცვლილების გავლენა:

$$\Delta_2 = (W_1 - W_0) \, x \, N_1$$

ორივე ფაქტორის გავლენათა ჯამი გვაძლევს საერთო გადახრას:

$$\Delta V = V_1 - V_0 = \Delta_1 + \Delta_2$$

ერთი მომუშავის მიერ პროდუქციის საშუალოწლიური გამომუშავება დამოკიდებულია არამარტო მის გამომუშავებაზე, არამედ ამ მუშათა ხვედრით წონაზე სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობაში, მათ მიერ ნამუშევარი დღეების რაოდენობაზე, სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და პროდუქციის საშუალოსაათობრივი გამომუშავების სიდიდეზე. აქედან გამომდინარე, ერთი მომუშავის საშუალოწლიური გამომუშავება შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც შემდეგი ფაქტორების წარმოებული:

$$W = K \, x \, d \, x \, t \, x \, q$$

სადაც: $W$ – ერთი მომუშავის საშუალოწლიური გამომუშავება;
$K$ – მუშათა ხვედრითი წონა მომუშავეთა საერთო რიცხვონობაში;
$d$ – წლის განმავლობაში ერთი მუშის მიერ ნამუშევარი დღეები;
$t$ – სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა;
$q$ – პროდუქციის საშუალოსაათობრივი გამომუშავება.

ჯაჭვური ჩასმის ხერხის ან აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით განისაზღვრება ცალკეულ ფაქტორთა გავლენა ერთი მომუშავის შრომის მწარმოებლურობის ცვლილებაზე.
ანალიზის შემდგომ ეტაპზე უნდა განვსაზღვროთ ერთი მომუშავის საშუალოწლიურ გამომუშავებაზე მოქმედ ფაქტორთა გავლენა გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე. მის გასაანგარიშებლად საჭიროა ერთი მომუშავის საშუალოწლიური გამომუშავების ცვლილების სიდიდე $X_i$ – ური ფაქტორის ზემოქმედებით გავამრავლოთ სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ფაქტობრივ რიცხვონობაზე:

$\Delta V_{xi} = W_{xi}\, x\, N_1$

ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საშუალოსაათობრივი გამომუშავების ცვლილების შესწავლას, რომელიც წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს და ფაქტორს, რომელზეც დამოკიდებულია საშუალო დღიური და საშუალოწლიური გამომუშავება. საშუალოსაათობრივი გამომუშავების სიდიდე დამოკიდებულია ფაქტორებზე, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის შრომატევადობისა და ღირებულებით გამოსახულებაში მის ცვლილებებზე. პირველი ჯგუფის ფაქტორებს მიეკუთვნება: წარმოების ორგანიზაცია, წარმოების ტექნიკური დონე, დროის არამწარმოებლური დანახარჯები, რაც დაკავშირებულია გამოუსწორებელი წუნდებული პროდუქციის გამოშვებასა და წუნის აღმოფხვრასთან. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის მოცულობის ცვლილებებთან ღირებულებითი გამოსახულებით, რაც გამოწვეულია პროდუქციის წარმოების სტრუქტურული ძვრებით. საკვლევ მაჩვენებელზე აღნიშნულ ფაქტორთა გავლენის სიდიდის განსაზღვრისათვის იყენებენ ჯაჭვური ჩასმის ხერხს. ამასთან, საშუალოსაათობრივი გამომუშავების გეგმური და ფაქტობრივი დონის გარდა, აუცილებელია გაანგარიშებულ იქნეს ამ სიდიდის სამი პირობითი მაჩვენებელი.

საშუალოსაათობრივი გამომუშავების პირველი პირობითი მაჩვენებელი გაანგარიშებულ უნდა იქნეს გეგმურ პირობებთან შესადარისობით. აღნიშნული მაჩვენებლის მისაღებად, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ფაქტობრივი მოცულობა კორექტირებული უნდა იქნეს სტრუქტურული ძვრების სიდიდით, ხოლო ნამუშევარი დროის რაოდენობა კი – დროის არამწარმოებლური დანახარჯებით და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა დანერგვის შედეგად დროის ზეგეგმითი ეკონომიით, რომელიც წინასწარ უნდა იქნეს განსაზღვრული.

გაანგარიშების ალგორითმს ექნება შემდეგი სახე:

$$q_{p1} = (V_1 \pm \Delta V_s)/(T_1 - T^{I} \pm T^{II})$$

$$q_{p0} = V_0/T_0$$

**I ფაქტორი** – წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ცვლილების გავლენა;

$$\pm \Delta_1 = q_{p1} - q_{p0}$$

**II ფაქტორი** – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის გავლენა;

$$\pm \Delta_2 = q_{p2} - q_{p1} = (V_1 \pm \Delta V_s)/(T_1 - T^{I}) - (V_1 \pm \Delta V_s)/(T_1 - T^{I} \pm T^{II})$$

**III ფაქტორი** – არამწარმოებლური დანახარჯების ცვლილების გავლენა;

$$\pm \Delta_3 = q_{p3} - q_{p2} = (V_1 \pm \Delta V_s)/T_1 - (V_1 \pm \Delta V_s)/(T_1 - T^{I})$$

**IV ფაქტორი** – პროდუქციის წარმოების სტრუქტურული ცვლილებების გავლენა;

$$\pm \Delta_4 = q_1 - q_{p3} = \frac{V_1}{T_1} - (V_1 \pm \Delta V_s)/(T_1 - T^{I}) - (V_1 \pm \Delta V_s)/T_1$$

$$\Delta q - q_1 - q_0 - \perp \Delta_1 \perp \Delta_2 \perp \Delta_3 \perp \Delta_4$$

## რეზიუმე


ფონდუკუგებისა და შრომისმწარმოებლურობის მე-3 დონის ეკონომიკური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ და რაოდენობრივი დახასიათება მივცეთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე შემდეგი ფაქტორების გავლენას:

1. **ფონდუკუგებაზე მე-3 დონის ფაქტორთა გავლენის განსაზღვრა:**

ა) ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის უკუგებაზე ახალი მოწყობილობების ათვისების ( მოდერნიზაციის) გავლენა;

ბ) მოწყობილობათა უკუგებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა დანერგვის გავლენა;

გ) მოწყობილობათა უკუგებაზე სოციალურ ფაქტორთა ცვლილების გავლენა.

2. შრომისმწარმოებლურობაზე მე-3 დონის ფაქტორთა გავლენის განსაზღვრა:
ა) წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გავლენა;
ბ) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის გავლენა;
გ) დროის არამწარმოებლური დანახარჯების გავლენა;
დ) პროდუქციის წარმოების სტრუქტურული ცვლილებების გავლენა.

## ლიტერატურა


1. მმართველობითი აღრიცხვა, ACCA წიგნი F2 სახელმძღვანელო, საერთაშორისო პრაქტიკა, თარგმანი ინგლისურიდან. თბ., 2008.
2. ი. ჭილაძე, მმართველობითი აღრიცხვა თბ., 2018 .
3. А. И. Нечтаило И. А .Нечтаило, Комплексный економический анализ хозяйственной деятелъности, Ростов-на Дону, 2014.
4. Г.В.Савицкая,Экономический анализ, Издателъство "ИНФРА-М"М., 2014.


## Topical Issues of Analysis of Production Efficiency Data


***Merab Jikia***
*Associated Professor*
*Tbilisi state university*



S u m m a r y

Economic analysis of the 3rd level of the return on capital and labor productivity allows us to determine and provide quantitative description for the impact of the following factors on the efficiency of production:

**1. Determination of the impact of 3rd level factors on the return on capital:**

a) The impact of applying (modernizing) new equipment on the return on active part of fixed assets;
b) The impact of introduction of scientific and technical progress on the return on equipment;
c) The impact of changes in social factors on the return on equipment.

**2. Determination of the impact of 3rd level factors on labor productivity:**

a) The impact of improving organization of labor and production;
b) The impact of introduction of scientific and technical progress;
c) The impact of non-productive time costs;
d) The impact of structural changes in production.



***Keywords:*** *capital productivity; labor productivity; modernization; scientific and technical progress; organizing labor; non-productive time costs; social factors.*

# არჩევანის თეორია ქცევით ეკონომიკაში

**მერაბ ჭულაყიძე**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

*სტატიაში განხილულია ქცევითი ეკონომიკის არსი, რომელიც ეკონომიკის და ფსიქოლოგიის ინტეგრაციას წარმოადგენს, განხილულია თუ როგორ ფიქრობენ და მოქმედებენ ადამიანები ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, შესწავლილია ეკონომიკური ანალიზის სამი ძირითადი მახასიათებელი: შეზღუდული რაციონალურობა, სამართლიანობის აღქმა და სუსტი თვითკონტროლი, გაანალიზებულია მენტალური ანგარიშების სისტემა, წაქეზების(ბიძგების) როლი, საპენსიო პროგრამა - დაზოგე მეტი ხვალ, ლიბერტანიალური პატერნალიზმი, დასასრულ, დასაბუთებულია ქცევითი ეკონომიკის მიდგომების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობა ეკონომიკურ ანალიზის განხორციელებისას, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.*

*საკვანძო სიტყვები: ქცევითი ეკონომიკა; არჩევანის თეორია; მენტალური ანგარიშები; ბიძგები; ლიბერტანიალური პატერნალიზმი.*

მეცნიერები საუბრობენ ეკონომიკის ახალი მიმართულების შესახებ, რომელსაც პირობითად **ქცევით ეკონომიკას** ვუწოდებთ. ის ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ინტეგრაციას წარმოადგენს. კერძოდ, ის კვლევის სფეროა, რომელშიც ფსიქოლოგიური ანალიზი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიყენება. ქცევითი პერსპექტივა იმის უფრო რეალისტურ ანალიზს მოიცავს, თუ როგორ ფიქრობენ და მოქმედებენ ადამიანები ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. იგი საზოგადოებრივი სარგებლიანობის ამაღლების ზომების და ინსტრუმენტების შესამუშავებლად ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ეკონომიკა გვთავაზობს ადამიანთა ქცევის გაგებას ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების და ბაზრებზე მათი საქმიანობის პროცესში. ადამიანი რთული და მრავალმხრივი ფენომენია და მისი ქცევის გამარტივებული პირობები უნდა წარმოვიდგინოთ, თუ გვინდა სასარგებლო მოდელი ავაგოთ. ტრადიციული ეკონომიკური თეორია თვლის, რომ ადამიანებს ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომა აქვთ და მისი სრულყოფილი დამუშავება შეუძლიათ. ასევე, ითვლება, რომ ადამიანებს შეუძლიათ დასახული გეგმის შესრულება და პირად სარგებელზე ზრუნვა. ადამიანის ქცევის ეს გამარტივებული მოდელი ეკონომისტებს დაეხმარა ჩამოეყალიბებინათ თეორია, რომელიც მნიშვნელოვანი და რთული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

**ეკონომიკური გადაწყვეტილებების რაციონალიზაცია**.ასეთი მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გაფართოებული და დაზუსტებული ეკონომიკური ანალიზის ჩატარება, როცა განხილული იქნა **სამი** ფსიქოლოგიური მახასიათებელი, რომლებიც ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე სისტემატურად ზემოქმედებენ - **შეზღუდული რაციონალურობა, სამართლიანობის აღქმა და სუსტი** თვითკონტროლი. შეზღუდული რაციონალურობა გულისხმობს, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების წინ ადამიანები ყველა შესაძლო ალტერნატივის და გრძელვადიან შედეგების განხილვას ვერ ახერხებენ. ეს საკმაოდ მარტივი, მაგრამ გადაულახავი პრობლემაა ამიტომ, გადაწყვეტილება ხშირად ვიწრო ფოკუსის გამოყენებით მიიღება. **ჰერბერტ საიმონმა** შეზღუდული რაციონალურობის თეორია შეიმუშავა. იგი განიხილება, როგორც ორგანიზაციების და ცალკეული ადამიანების კოგნიტური შეზღუდვის კოლექტიური ტერმინი და გადაწყვეტილების მიღების გამარტივებული წესები. ასეთი შეზღუდვის მაგალითი შეიძლება ვნახოთ **რიჩარდ თალერის გონებრივი (მენტალური) ანგარიშების თეორიაში,** სადაც აღწერილია ინდივიდების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების მომზადება, ფორმულირება და შეფასება. ვცდილობთ გავამარტივოთ ასეთი გადაწყვეტილებები, როცა ცალკეულ სააღრიცხვო ჩანაწერებს ვაკეთებთ ჩვენს გონებაში, ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს ვიღებთ ყოველ ამ ანგარიშზე მათი გავლენის საფუძველზე და არა ჩვენი საერთო აქტივებიდან გამომდინარე. ბევრი ადამიანი საოჯახო ბიუჯეტს ჰყოფს ხარჯვის მუხლების მიხედვით: კომუნალური გადასახადებისთვის, დღესასწაულებისათვის და ა.შ. იმ წესის დაცვით, რომ ერთი ანგარიშიდან სხვა ხარჯის დასაფარავად თანხის აღება დაუშვებელია.

ასეთი ქცევა ზოგჯერ დამატებით ხარჯებს იწვევს, როგორიცაა გრძელვადიანი საშემნახველო ანგარიშებიდან მოკლევადიანი საჭიროებისათვის თანხის გამოყენების თვითაკრძალვა და მის ნაცვლად ძვირი სამომხმარებლო კრედიტის აღება. ამავე დროს საშუალება გვეძლევა დავგეგმოთ ჩვენი ფინანსები და დავიცვათ გრძელვადიანი დანაზოგი. მენტალური ანგარიშის მეორე ელემენტია ორიენტირების გამოყენება, რაც გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება. ისინი სიტუაციიდან სიტუაციამდე, ე.ი. მენტალური ანგარიშების სხვადასხვა ჩანაწერის მიხედვით განსხვავდებიან. ერთ-ერთი ასეთი საყრდენი წერტილი შეიძლება იყოს რა

ფასად ვიყიდეთ საქონელი, ან ყველაზე დაბალი ფასი ინტერნეტის მიხედვით. საკონტროლო წერტილს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხელსაყრელი გარიგება განვახორციელეთ. მენტალური ანგარიშების სისტემამ სხვადასხვა ორიენტირების გამოყენებით შეიძლება მიგვიყვანოს გადაწყვეტილებამდე, რომელიც ტრადიციული ეკონომიკური თეორიის მიხედვით უცნაურად გვეჩვენება.

მაგალითად მომხმარებელმა, რომელიც საათის ყიდვას აპირებს გაიგო, რომ იგი 100 კრონათი იაფია სხვა მაღაზიაში. იგი არჩევს წავიდეს სხვა მაღაზიაში, თუ საათი 1 000 კრონა ღირს, მაგრამ იგი ამას არ გააკეთებს, თუ საათი 10 000 კრონა ღირს, მაშინაც კი, როცა კრონებში დანაზოგი იგივეა. ამის ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ იგი პროცენტულ თანაფარდობაზე ახდენს ფოკუსირებას და არა ფაქტიურ ეკონომიაზე საკონტროლო წერტილთან მიმართებაში. სხვა მაგალითია ტაქსისტის მიერ სამუშაო დროის შედარება თავისუფალ და ოჯახისათვის დათმობილ დროსთან. მძღოლი ასე ანგარიშობს: წინასწარ განსაზღვრავს სავარაუდო დღიურ შემოსავალს და ამთავრებს მუშაობას, როგორც კი ამ მიზანს მიაღწევს. თუმცა ეს წესი გულისხმობს, რომ მძღოლი ადრე ამთავრებს სამუშაოს, როცა ბევრი კლიენტი და საათობრივი შემოსავალი მაღალია, და მან მეტი უნდა იმუშაოს, როცა მოთხოვნა ნაკლებია. სხვა შემთხვევაში მას შეეძლო მეტი გამოემუშავებინა ნაკლები მუშაობით და იმ დღეებში ქალაქში მეტ ტაქსს რომ ემოძრავა, როცა ამის მეტი საჭიროებაა.

**მომხმარებლის ქცევის ეკონომიკურ მოდელები.**გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი სხვა ფაქტორებია არსებული გამოცდილება  და ჩვენი წარმოდგენა საკუთრებაზე. ჩვეულებრივ გვინდა მეტი თანხა მივიღოთ, როცა რაღაცას ვყიდით, ვიდრე მზად ვართ გადავიხადოთ, რომ ვიყიდოთ იგივე საგანი, რასაც **შენატანის ეფექტი** ეწოდება.1990 წელს ჩატარდა ცნობილი ექსპერიმენტი, როცა დეკორატიული კათხები დაურიგეს შემთხვევით შერჩეულ ჯგუფს, რომელთაც შემდეგ უფლება მიეცათ აირჩიონ სურთ თუ არა მათ კათხის გაყიდვა ვინმეზე მეორე ჯგუფიდან, რომელთაც კათხა არ მიუღიათ. რადგან ორივე ჯგუფი შემთხვევით შეირჩა, მათ კათხა ერთნაირად მაღალ ფასად  უნდა შეაფასონ და დაახლოებით კათხების ნახევარიმაინც გაყიდულ უნდა იქნეს. თუმცა, როგორც გაირკვა, ვინც კათხა მიიღო მათ ის შედარებით მაღლად შეაფასეს, ვიდრე ადამიანებმა საკონტროლო ჯგუფიდან, რომელთაც კათხები არ მიუღიათ, და ნახევარზე ბევრად ნაკლებმა კათხამ გამოიცვალა მფლობელი. დაგროვებას  შეიძლება გრძელვადიან პერიოდში ჰქონდეს ეფექტი, კერძოდ, საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის შემცირების და სამართლებრივი დავების გამარტივებული გადაწყვეტის გზით. შენატანის ეფექტის ახსნა იმას ემყარება, რომ ადამიანები დანაკარგებს უფრო მძაფრად განიცდიან, ვიდრე იგივე ოდენობის მოგებას, რაც დანაკარგის აუტანლობითაა ცნობილი. იმაზე უარის თქმა, რაც გაქვს ითვლება დანაკარგად მაშინ, როცა იგივეს შეძენა ითვლება მოგებად. ჩვენი ფინანსური გადაწყვეტილებები რომ ვმართოთ, მათ განცალკავებულ ანგარიშებზე მოვათავსებთ ჩვენს გონებაში. გონებრივი(მენტალური) ანგარიშების თეორია მოულოდნელი პრობლემების დემონსტრირებას ახდენს, რაც შეიძლება შედეგიანი იყოს[1, 1987].

ზოგადად, რასაც ჩვენ განვსაზღვრავთ მოგებად ან დანაკარგად იმაზეა დამოკიდებული, სად განვათავსებთ საკონტროლო წერტილს, რაც ასე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, ფასდაკლებით ყიდვა მომხმარებელს აიძულებს საცნობარო ფასი დააწესოს უფრო მაღლა, ვიდრე ის შეიძლება იყოს სხვა შემთხვევაში ამიტომ, იგი ყიდვას ღებულობს როგორც უკეთეს ვარიანტს, ვიდრე თუ საგანი გაიყიდებოდა იმავე ფასად, მაგრამ არა ფასდაკლების მაღაზიაში. სხვა მაგალითია, როცა ინვესტორი საფონდო ბაზარზე გარიგებას არ განსაზღვრავს მომგებიანად ან ზარალიანად, სანამ აქციები ფაქტობრივად არ გაიყიდება. ამიტომ ინვესტორები დიდხანს ინახავენ აქციებს იმ იმედით, რომ „იგი უკეთესი გახდება“ და ძალიან სწრაფად გაყიდიან მომგებიან აქციებს, რომ „მოიტანოს მოგება“, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგჯერ უმჯობესია საპირისპირო ქმედება (საგადასახადო თვალსაზრისით). გამოცდილებაც ასევე ახდენს გავლენას რისკებზე, რომელთა მისაღებად მზადყოფნას გამოვთქვამთ. ამიტომ, ვინც ახლახანს მიიღო თანხა საფონდო ბაზრიდან ან კაზინოდან მეტად რისკავს, ვიდრე ის, ვინც ახლახანს დაკარგა თანხა. ნაკლებად მტკივნეულია დავკარგოთ თანხა თუ ისევ „შავი“ გონებრივი ანგარიშებით ვხელმძღვანელობთ მაშინაც კი, თუ სხვა შემთხვევაში გარემოებები იგივეა (ამას თალერი **ოჯახის ფულად ეფექტს** უწოდებს).

გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანები თავის თავზე იღებენ არა მარტო იმას, რაც მათთვისაა სასურველი, მათ ასევე აქვთ **სამართლიანობის განცდა**, და ისინი სხვათა კეთილდღეობას პოზიტიურ ასპექტში განიხილავენ - თანამშრომლობის და სოლიდარობის საშუალებით, ხოლო უარყოფითი გზაა - ეჭვის და ღვარძლის საშუალებით.მსხვილმაშტაბიანმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ სამართლიანობის განცდას მნიშვნელოვანი როლი აქვს გადაწყვეტილების მიღებისას. ადამიანები მზად არიან თავი შეიკავონ მატერიალური სიკეთის მიღებისაგან, რათა მხარი დაუჭირონ სამართლიან განაწილებას. ისინი ასევე მზად არიან პირადი საზღაური გაიღონ სხვათა დასჯისათვის, რომლებმაც სამართლიანობის წესები დაარღვიეს და არა მარტო მაშინ, როცა პირადად მათ შეეხნენ, ასევე მაშინაც, როცა ისინი ხედავენ, რომ ვიღაც სხვაც დაზარალდა უსამართლობისაგან [2, 2015].

**ეკონომიკური კანონზომიერებები.**ხშირად წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ ლაბორატორიული ექსპერიმენტის შედეგები არ შეიძლება რეალურ ცხოვრებაში იქნეს გადატანილი, მაგრამ რთული არაა მაგალითების მოძებნა, როცა სამართლიანობის პრინციპი ლაბორატორიის გარეთაც მოქმედებს. მოულოდ-

ნელმა წვიმამ შეიძლება მოულოდნელი მაღალი მოთხოვნა გამოიწვიოს ქოლგაზე, მაგრამ თუ მაღაზიის მეპატრონე ფასს გაზრდის მაღალი მოთხოვნის შესაბამისად, ამაზე ბევრი მომხმარებელი ნეგატიურად რეაგირებს და ჩათვლის, რომ მაღაზიის მეპატრონე ძუნწად იქცევა. კომპანიები, რომლებიც სამართლიანობის ნორმებს არღვევენ, შეიძლება დაისაჯონ. მოულოდნელი წვიმა ქოლგაზე მოთხოვნას გაზრდის, მაგრამ გამყიდველი, რომელიც შექმნილ სიტუაციიდან მაქსიმალური მოგების მიღებას ეცდება, პოპულარული ვერ იქნება. სამომხმარებლო ბოიკოტი მათ აიძულებს შეინარჩუნონ ძველი ფასი. ამის გარდა, არსებობს იმის შეგრძნება, რომ ხელფასთან დაკავშირებით სამართლიანია, როცა ხელფასის ოდენობის განსაზღვრა ხდება თანამშრომელთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანაფარდობის დადგენის გზით. ძნელია მიიღო მხარდაჭერა ნომინალური ხელფასის გაცემაზე - ხელფასის მიმდინარე დონეა მოცემული საკონტროლო წერტილი, რომელზე დაბლა ადამიანებს არ სურთ მიიღონ ანაზღაურება - მაშინ, როცა ადვილია ნომინალური ხელფასის გაზრდა, რომელიც ინფლაციაზე დაბალია, თუმცა ეს მოითხოვს, რომ გადახდა რეალურ გამოსახულებაში მოხდეს.

განვიხილოთ ასეთი ლიტერატურული პერსონაჟების შემთხვევა. მეოცე სიმღერაში ცირცე აფრთხილებს ოდისევსს სირენის შესახებ, რომელიც თავისი მომაჯადოებელი სიმღერით მეზღაურებისშეტყუებას ცდილობს. ოდისევსი და მისი რაზმი მოწადინებულია დაბრუნდეს მშობლიურ იტაკაში. იგი ამ პრობლემას იმით აგვარებს, რომ ეკიპაჟს ყურებს ფუტკრის ცვლილით დაუცავს, ხოლო თავის თავს ანძაზე მიიბამს, მკაცრ ბრძანებას აძლევს ეკიპაჟს იგნორირება გაუკეთონ მის ნათქვამს, სანამ არ რაიმე არ დაუშავდებათ. ოდისევსის პრობლემა ჩვენი ცხოვრების ყველა დონეზე ამ დილემის განხორციელებაა, როცა წუთიერი ცდუნებით გრძელვადიან კეთილდღეობას ემუქრებიან. ეს შეიძლება იყოს საკვები და სასმელი, მოწევა, მოხმარება, შორეული მიზნებისათვის დაგროვება ან პენსიაზე გასვლის შემდგომი პერიოდის დაგეგმვა. პიროვნებას, რომელიც გრძელვადიან განათლებას ირჩევს, ნაკლები შემოსავალი აქვს სწავლის პერიოდში, მაგრამ სანაცვლოდ მეტ კეთილდღეობას მოელის მომავალში. ამწუთიერი ფაქტი მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე შორეული; ათასი კრონა ერთი წლის შემდეგ ნაკლები ღირებულებისაა ვიდრე ათასი კრონა დღეს, იმის მიუხედავად იგი შემოსავალია თუ დანახარჯი. ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიაში ეს დისკონტირებითაა აღწერილი. მისი არსი ისაა, რომ როგორც შემოსავალი, ისე დანახარჯი ყოველთვიურად ან წლიურად მცირდება მუდმივი კოეფიციენტით.

ასეთი პირობის გამოყენებით ორი მომავალი ალტერნატივის რანჟირება ყოველთვის უცვლელი რჩება. მითი ოდისევსის და სირენის შესახებ არის დაძაბულობა გრძელვადიან გეგმასა და მოკლევადიანი საკუთარ მეს დაკმაყოფილებას შორის. თუმცა როგორც ოდისევსის დილემა გვიჩვენებს ორ ვარიანტს შორის არჩევანის გაკეთების პროცესში შეიძლება აზრი შეიცვალო. ეს იმით აიხსნება, რომ უახლოესი შთაბეჭდილებები ზრდიან ჩვენს ცოდნას და მაშინ უფრო სწრაფად ვამცირებთ შეფასებას.

**თეორიული საფუძვლების ანალიზი.**დილემის აღწერისათვის ალტერნატიული მოდელი შეიქმნა, რომელიც შიგა დაძაბულობითაა გამოწვეული **დაგეგმვასა და განხორციელებას შორის**. თვითდამგეგმავი აზროვნებს და გადაწყვეტილებას იღებს გრძელვადიან პერიოდში კეთილდღეობის მიღწევის მიზნით მაშინ, როცა განმახორციელებელი მოკლევადიანი მიზნებით კმყოფილდება. ასეთი დაყოფა მიღებულია თანამედ-როვე ფსიქოლოგიაში და ასევე მხარდაჭერილია ნეირომეცნიერების ახალი გამოკვლევებით. ისევე, როგორც ოდისევსის მაგალითში, დილემის გადაწყვეტა რაღაცნაირად გვეხმარება განვახორციელოთ დაგეგმვა მოქ-მედების მოკლევადიანი კურსის იგნორირებით. ეს განსხვავდება ტრადიციული ეკონომიკური თეორიისაგან, სადაც მოქმედებს პრინციპი: შესაძლებელი კურსი ყოველთვის უკეთესია, ვიდრე უარესი. მეორეს მხრივ, საზოგადოებას შეიძლება დასჭირდეს დახმარება დაგეგმვის საშუალებით - წესების და ინსტიტუტების შექმნით, რომელიც წაახალისებს ქცევას გრძელვადიანი პერსპექტივისათვის.

ქცევითი ეკონომიკა, ასევე, ეჭვის ქვეშ აყენებს რაციონალურ ქმედებას, რადგან იგი ფინანსური ბაზრების სფეროს მიეკუთვნება. შეიქმნა ქცევითი ფინანსების კვლევის საფუძვლები, რომელშიც მკვლევარებმა ბაზრის გაუმართლებელი ცვალებადობა დააფიქსირეს და რომელიც ბაზრების ეფექტიანობის თეორიასთან შეუთავ-სებლად გვეჩვენება. მან აჩვენა, თუ რას წარმოადგენს აქციების უარყოფითი საბაზრო ღირებულება, რაც არამართლზომიერია, რადგან ყოველთვის შეიძლება უარი ვთქვათ იმ წილზე, რომელსაც ღირებულება არ აქვს. სხვადასხვა ინვესტიციებს შორის არჩევანის შესახებ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები მგრძნობიარენი არიან დროითი ჰორიზონტის არჩევანის მიმართ. ინვესტორები, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ დაბალ რისკიან ფასიან ქაღალდებს მოკლევადიან პერსპექტივაში. მაგრამ როცა გრძელვადიანი ინვესტიციების პოტენციურ შედეგებსწარმოიდგენენ, მაშინ მეტი ალბათობით ირჩევენ მაღალ რისკიან ფასიან ქაღალდებს, როგორიცაა აქციები. მარკენტინგის ზოგადი პრაქტიკა შეიძლება გაგებული იქნეს როგორც სამომხმარებლო ირაციონალურობის უპირატესობა. ფასდაკლება ან მოწოდება "იყიდე სამი ორის ფასად" მომხმარებელს იმის შეგრძნებას აძლევს, რომ სარგებელი მიიღეს და ამით ფასის შეფასების საკონტროლო წერტილი გადაადგილეს. ლატარიის თამაში და სანაძლეოს დადება ხდება იშვიათი მოგების

გადაჭარბებულად შეფასების და უმრავლეს შემთხვევაში წაგების მიჩქმალვით. ზევრი მომხმარებელი გატაცებულია სესხის აღებით არასახარბიელო პირობებით, რითაც მათ შეუძლათ იყიდონ ნივთი, რომლის ყიდვის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ აქვთ.

ქცევითი ეკონომიკა ხშირად არის მოხსენიებული მარკენტინგულ ლიტერატურაში. მისი იდეები საშუალებას იძლევა გავიგოთ მარკენტინგული ტრიუკები და თავიდან ავიცილოთ არასასურველი ეკონომიკური გადაწყვეტილებები. ხშირ შემთხვევაში მგეგმავის დახმარებაა საჭირო, რათა თავიდან ავიცილოთ ცდუნება. მაგალითად ზევრ ქვეყანაში არსებობს შეზღუდვა ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე, თუმცა სასურველი შედეგი ყოველთვის როდი მიიღწევა. ქცევითი ეკონომიკის გამოკვლევების შედეგები შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკოსებმა და  გადაწყვეტილების მიმღებმა სხვა პირებმა, რომ შექმნან ალტერნატივა, რომელსაც საზოგადოებისათვის სიკეთე მოაქვს. როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში უნდა ვცადოთ ინდივიდების წაქეზება (ბიძგის მიცემა) სწორი მიმართულებით, ოღონდ არჩევანის თავისუფლების დაცვით. სხვასთან ერთად, ზევრ ქვეყანაში გამოიყენება ბიძგის მიცემის პრინციპი, როგორც ქცევითი ეკონომიკის ადექვატური თვითშეფასება საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის პროცესში, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში. გაუმჯობესება ხშირად მოიცავს მარტივ რამეს, როგორიცაა არჩევანის განსაზღვრა  მითითების გარეშე, რომელიც  იმ შემთხვევაში შედგება, თუ სხვა რამეს აქტიურად არ აირჩევ. ამის გამოყენება ხდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა საპენსიო სისტემა და გარემოს დაცვითი პოლიტიკა.

**„დაზოგე მეტი ხვალ“**. ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ძნელია შეინახონ უფრო მეტი, ვიდრე ამას ამჟამად  აკეთებენ, რადგან ეს პირდაპირ ამცირებს დღევანდელი მოხმარების ოდენობას. ხშირად უფრო მარტივია დაპირდე, რომ მეტს შეინახავ მომავალში, განსაკუთრებით მაშინ,როცა ხელფასის გაზრდის მოლოდინი გაქვთ. ეს შეხედულება გამოყენებული იქნა თალერის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში „დაზოგე მეტი ხვალ“,  როგორც საშუალება, რომ გაზრდილიყო ინდივიდუალური დაკავებული პენსიის შენახვის ოდენობა.

თუ ადამიანი ცდილობს მიმდინარე პერიოდში მეტი ხარჯი გასწიოს, მას შეიძლება ჰქონდეს პრობლემები დანაზოგების ოდენობასთან დაკავშირებით პენსიაზე გასვლის შემდეგ. მგეგმავი-განმახორციელებელი მოდელის ენაზე მგეგმავს შეიძლება სურდეს მეტი დაზოგოს მიმდინარე შემოსავლიდან, მაგრამ მას იმპულსური შეძენის პრობლემა აქვს, როცა განმახორციელებელი ცდუნებას ვერ ძლევს მრავალი შესაძლებლობიდან დაუყონებლივი დაკმაყოფილების მისაღებად. არის თუ არა საშუალება მგეგმავს ცოტათი მაინც დავეხმაროთ? ამისათვის საჭიროა დაკავების გადასახადი გაიზარდოს. ეს გადახდილი თანხიდან უკან დაბრუნებული თანხის ოდენობის გაზრდას გამოიწვევს. ადამიანების შველა უფრო ადვილია, როცა მათ მოულოდნელი დიდი დანახარჯები აქვთ. მეორე წინადადება ითვალისწინებს შეიცვალოს საპენსიო სქემის დადგენილი შენატანები. ამავე დროს ადამიანები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ახალ სქემებში, ხოლო თუ ადამიანები არ აქტიურობენ, ავტომატურად ხდებიან სქემის მონაწილენი. ამ პოლიტიკამ მკვეთრად გაზარდა მონაწილეთა რიცხვი, რომელთაც ეს იდეა მოსინჯეს.

ამ წინადადებათა საფუძველზე შემუშავებული იქნა სქემა, რომელსაცმოგვიანებით ეწოდა „დაზოგე მეტი ხვალ“. იდეა მდგომარეობდა ადამიანთა ქცევის ცვლილებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა  დაზოგვის გაზრდას და შემდეგ ამის საფუძველზე დახმარების გეგმის შედგენას. სქემა შემდეგ სამ დაკვირვებას ეფუძვნება. **პირველი**, ადამიანებს მეტი თვითკონტროლი აქვთ მომავლის გეგმებთან მიმართებაში, ვიდრე მიმდინარე ქცევის მიმართ (ვგეგმავთ დიეტის დაწყებას მომავალ თვეში და არა ამ საღამოს ვახშმობისას). **მეორე**, ადამიანები ნომინალურ დოლარებში აგებენ და ამიტომ ეწინააღმდეგებიან ხელზე მისაღები თანხის შემცირებას, რომელიც მოხდება თუ ისინი ერთბაშად გაზრდიან თავიანთი საპენსიო დაზოგვის განაკვეთს. **მესამე**, საპენსიო დაზოგვის განხორციელებისას ადამიანები ძლიერ ინერციულობის დემონსტრირებას ახდენენ. მათ დიდხანს არ შექვთ რაიმე ცვლილება თავიანთ საპენსიო სქემაში. დანაზოგების დაბალი დონით გამოწვეული ზემოთ ჩამოთვლილი სამივე პრობლემის გადასაწყვეტად გეგმაში შევიდა შემდეგი კომპონენტები. **პირველი**, მუშაკებს სთავაზობდნენ დაინტერესებულიყვნენ პროგრამით, რომელიც მათი დანაზოგების დონეს გაადიდებდა 1 ან 2 თვის შემდეგ და არა მაშინვე. **მეორე**, დანაკარგების თავიდან ასაცილებლად დანაზოგების ზრდა დაკავშირებუკლი უნდა იყოს ხელფასის ზრდასთან. **მესამე**, მუშაკი შეუერთდა პროგრამას, მაგრამ რჩება ადგილზე, სანამ იგი აქტიურად არ უარყოფს მას ან დანაზოგი არ მიაღწევს გარკვეულ მიზანს ან მაქსიმუმს. მაგალითად, როდესაც მუშაკებს თავდაპირველად შესთავაზეს 5%-ით გაეზარდათ შენატანი ხელფასის ყოველი მომატებისას, ამ წინადადებაზე უმრავლესობამ თავი შეიკავა, ისინი მხოლოდ 3%-იან შენატანის ზრდაზე დათანხმდენ. პროგრამა, რომელშიც ინდივიდი ვალდებულებას იღებს ისე გაანაწილოს თავისი მომავალი ხელფასი, რომ გაიზარდოს დანაზოგი, წარმატებით იქნა გამოყენებული აშშ-ის ზევრი კომპანიის მიერ. ზოგიერთ წრეებში პროგრამა გააკრიტიკეს პატერნალისტური მიდგომის გამო, მაგრამ აუცილებელი პირობაა, რომ პროგრამაში ჩართვა ნებაყოფილობითია და მონაწილეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს დატოვონ პროგრამა[3, 2004].

**ლიბერტანიალური პატერნალიზმი**. ბიძგი 1 არის გადაწყვეტილებათა გაუმჯობესება ჯანმრთელობის, სიმდიდრის ბედნიერების შესახებ. ამ შემოვლითი გზით ახალი ტერმინი შემოვიდა სოციალურ მეცნიერებაში.

ბიძგი 2 ძირითად პრინციპზეა დაფუძვნებული: ლიბერტანიალური პატერნალიზმი და არჩევანის არქიტექ-ტურა. მართალია ლიბერტანიალური პატერნალიზმი ჟღერს როგორც პარადოქსი, მაგრამ განმარტების შესაბამისად ასე არ არის. პატერნალიზმი გულისხმობს ქმედებას, რომელიც ზღუდავს ადამიანთა თავისუფლებას მათივე ინტერესებისათვის, იგი უკეთეს მდგომარეობაში აყენებს ობიექტს. უფრო კონ-კრეტულად პატერნალიზმი ნიშნავს დავეხმაროთ ადამიანებს მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელთაც ისინი აირჩევდნენ ბოლომდე ინფორმირებულობის და ცივსისხლიანობის შემთხვევაში:მათზე გავლენას არ მოახდენდა ცდუნება და სხვა ადამიანური გრძნობები. დადგენა იმისა, თუ რომელი არჩევანი აკმაყოფილებს ამ განმარტებას, შეიძლება რთული იყოს, მაგრამ კონცეფცია პრინციპულად უნდა იყოს გარკვეული. ლიბერტანიალიზმი გამოყენებულია როგორც ზედსართავი სახელი, რათა შეუწყვილდეს პატერნალიზმს და ის მარტივად ნიშნავს, რომ არავინ არასდროს არ არის დაძალებული რაიმეს გაკეთებისას.

არჩევანის არქიტექტურა გარემოა, რომელშიც ადამიანები გადაწყვეტილებებს იღებენ. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ასეთ გარემოს შექმნის, არჩევანის არქიტექტორია. მენიუ არჩევანის არქიტექტურაა რესტორ-ნისათვის, მომხმარებლის სახე არჩევანის არქიტექტურაასმარტფონებისათვის. არჩევანის არქიტექტურის თვისებებს, რომლებიც მიღებულ გადაწყვეტილებებზე ახდენენ გავლენას, მათი ობიექტური უკუგებებისა და წამქეზებლების შეცვლის გარეშე,**ბიძგები** ეწოდება. სიჩუმის(კომპიუტერის მიერ წინასწარ განსაზღვრული ვარიანტი მომხმარებლის მიერ კონკრეტული ვარიანტის შეურჩევლობის შემთხვევაში) არჩევანის მაგალითი საპენსიო სქემებში ახლა უკვე ბიძგის კლასიკურ შემთხვევაა: ამ სქემაში ჩართვა გაადვილებულია, მაგრამ არავის აძალებენ გააკეთოს რამე, რაც თითოეულ ეკონომიკურ აგენტს(რომელთაც ეკონებს ვუწოდებთ) არ აინტერესებს დიახ-არა არჩევანის რომელიმე ყუთიდან დაფიქსირებული პირდაპირ რეჟიმში. მაგრამ ადამიანთა სამყაროში ბიძგებს მნიშვნელობა აქვთ და კარგი არჩევანის არქიტექტურა, მაგალითად, კარგი დიზაინი, სამყაროს უფრო ადვილს გახდის ნავიგაციისათვის. მართლაც, GPS-ის (გლობალური პოზიციო-ნირების სისტემა) რუკები ლიბერტანიალური პატერნალიზმის იდიალური ილუსტრაციაა რეალურ ქმედებაში. მომხმარებლი მიუთითებს დანიშნულების ადგილს, რუკა გვთავაზობს გზას, რომელიც მომმხმარებელმა შეიძლება უარყოს ან შეცვალოს და ის ვისაცადგილზე ორიენტაცია უჭირს, დანიშნულების ადგილზე ნაკლები გაუთვალისწინებელი პრობლემების გარეშე მიდის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი არჩევანი არაა გამორიცხული. ორივე - ავტომატური ჩართვა საპენსიო სქემაში(ადვილად გამოთიშვის პირობით) და დაზოგე მეტი ხვალ - ბიძგებია. აღსანიშნავია, რომ ბიძგებმა გლობალური მნიშვნელობა შეიძინა. როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ისე აშშ-ში მთავრობების მიერ შექმნილი იქნა ქცევითი შეფასების ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკას ქმნიან ქცევითი მეცნიერების პრინციპების გათვალისწინებით, როცა მკაცრი ტესტირება ხდება შემთხვევითობის პრინციპით კონტროლირებადი ცდების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია[4, 2008].

## დასკვნა

ქცევითმა ეკონომიკამ დიდი გზა განვლო თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით. მისი ახლანდელი გენერაცია ეკონომიკის ყველა თანამედროვე ინსტრუმენტს იყენებს დიდ რიცხვთა კანონიდან დაწყებუ-ლინეირომეცნიერებათა სტრუქტურულ მოდელებამდე და ისინი ამ ინსტრუმენტებს იმ სფეროებში იყენებენ, რომელთაც ეკონომისტები თავისად თვლიან. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღწერითი ეკონომიკის ზუსტი განსაზღვრისათვის. ადამიანები ბიძგის მიცემის პოლიტიკას ატარებენ სანამ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სხვა ადამიანებზე. ყველა ბიძგი არ ხდება მათთვის სასიკეთოდ. მაგალითად, ასეთი პასიური ქცევა გვაქვს შვედ დამგროვებლებთან მიმართებაში, რომელიც გამოიყენება ყველასათვის, ვინც დაეთანხმება ასეთ პროგრამას იპოთეკისას ან საავტომობილო გადახდებისას, ან შრომით ხელშეკრულებების გაფორ-მებისას.ჩვენ ვწერთ „ვეთანხმები" ისე, რომ არ ვკითხულობთ ტექსტს და შეიძლება ჩათრეული აღმოვჩნდეთ გრძელვადიან საკონტრაქტო ურთიერთობაში, რომელიც შეიძლება დაირღვეს გართულებისას, მათთვის საჭირო დროს. ზოგი ფირმა აქტიურად იყენებსქცევით სტრატეგიას მოგების მიღების მიზნით უმრავლესი მყიდველის მხრიდან კონტროლის არ არსებობის გამო, როცა არ განაცხადებენ ამის შესახებ. ასეთ ექს-პლუატაციურ ქცევას „დანალექი(ჭაობი)" ეწოდება. იგი ბიძგის მიცემის სრულიად საპირისპირო ცნებაა საბოლოო ჯამში. მაგრამ არის თუ არა „დანალექი" მოგების მაქსიმიზაციის გრძელვადიანი სტრატეგია, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. „დანალექის გარეშე" მიმწოდებლის რეპუტაციის შექმნა საქონელსა და მომსახურებაზე შეიძლება გრძელვადიანი მომგებიანი სტრატეგია იყოს ისევე, როგორც უფასო წყლიანი ბოთლების მიწოდება ქარიშხლის მსხვერპლთათვის.

თუმცა ქცევითი ეკონომიკის ყოველი გამოყენება სამყაროს უკეთესს არ გახდის, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეკონომიკის წარმოდგენა უფრო ადამიანურ განზომილებაში და თეორიის შექმნა, რომელიც ადამია-ნებთანაა დაკავშირებული და არა მხოლოდ ეკონის(რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი)შესწავლა ამ მიმარ-

თულებას გახდის ძლიერს, სასარგებლოს და უდავოდ უფრო ზუსტს. უკვეაშენდა ხიდი ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ანალიზს შორის ინდივიდის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ემპირიული აღმოჩენა და თეორიული შეხედულებები გამოყენებული იქნა ახალი და სწრაფად მზარდი ქცევითი ეკონომიკის განვითარებაში, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ეკონომიკური კვლევისა და პოლიტიკის ბევრ მიმართულებაზე.

## ლიტერატურა


*1.* Simon, Herbert A. 1987. "Behavioural economics." *The New Palgrave: A dictionary of Economics 1: 221-34.*

3. Thaler, Richard H. 2015. *Misbehaving: The Making of Behavioral Economics.* New York: W.W. Norton&Company.

4. Thaler, Richard H. 2004. "Save More Tomorrow: Using Behavioral Economics to Increase Employee Saving." *Journal of Political Economy* 112(1):S164-87.

5. Thaler, Richard H., and Cas R. Sunstein.2008. *Nudge: Improving Decision about Health, Wealth and Happiness.* London:Penguin.


## The Theory of Choice in Behavioral Economics


***Merab Julakidze***

*Associate Professor*

*Tbilisi State University*



S u m m a r y

The article discusses the essence of Behavioral Economics, which is integration of Economics and Psychology, it discusses how people think and act when making economic decisions, it learns three basic characteristics of economic analyses: limited rationality, perceptions about fairness, and lack of self-control, analyzes mental accounting system, role of Nudging, pension plan: Save More Tomorrow, Libertarian Paternalism, and finally, it supports by evidence the necessity of using behavioral economic approaches and principles when doing economic analyses in the process of defining economic policy.



***Keyword:*** *Behavioral Economics; The Theory of Choice; Mental accounting system; Nudging; Save more tomorrow; Libertarian Paternalism.*

# Регулирование производительности труда и её предпосылки в России

***Александр Иванович Щербаков***

*д.э.н., профессор кафедры труда и социальной политики*

*ИГСУ РАНХиГС*

*В статье даётся обзор мер, предпринимаемых Правительством России по повышению производительности труда в экономике Российской Федерации. Отмечается характер развития подобного государственного воздействия в течение последних лет. Оценивается ряд положений действующего в настоящее время плана государственных мероприятий на федеральном и региональном уровне в целях обеспечения роста производительности труда на предприятиях России - национальный Проект - и отмечаются некоторые дискуссионные элементы данной программы действий. В статье также даётся краткая характеристика отдельных факторов и предпосылок динамики производительности труда в стране.*

***Ключевые слова:*** *Производительность труда; приоритетная программа; национальный проект; институциональное воздействие; «центр компетенций»; показатели производительности труда; факторы производительности труда.*

Важным компонентом равноправного участия стран в процессе глобализации отдельных стран является уровень их экономического развития, важнейшей характеристикой которого является, в свою очередь, эффективность производства и, в частности, производительность труда.

В последние годы воздействие на динамику производительности труда в России со стороны правительства заметно меняется. Само по себе, это, как представляется, свидетельствует о росте внимания к динамике этого важнейшего элемента социально-экономического развития.

Сегодня совокупность соответствующих мероприятий в экономике стране заявлена как национальный Проект «Повышение производительности труда и поддержка занятости». Ранее этот документ был представлен как одноимённая Приоритетная программа Правительства.

Действующий план действий в области повышения производительности труда предполагает ряд мероприятий сначала лишь только на 150 предприятиях страны и только в 15 её регионах. Все остальные регионы будут постепенно вовлекаться в эту работу и охват предприятий, уже главным образом собственно региональными, местными программами, повысится до примерно 5000 предприятий. Думается, однако, что этот показатель надо будет существенно увеличить, поскольку такое количество предприятий – это всего лишь десятые доли процента от общего количества т. н. несырьевых средних и крупных предприятий, на которых и предполагается в основном добиться роста производительности труда. Следовательно, такое малое количество предприятий может не обеспечить должный мультипликативный эффект для экономики в целом.

Тем более, что и для тех предприятий, которые намечено охватить рассматриваемым федеральным национальным Проектом предусмотрены не слишком напряжённые планы повышения производительности труда – «не менее чем на 5% и 10% по результатам первого и второго годов соответственно» и «не менее чем до 30 процентных пунктов по результатам реализации приоритетной программы, по сравнению с базовым значением». Это означает в среднем примерно по 3% ежегодно в течение 8 лет действия Проекта. При этом, темпы роста производительности труда в целом по стране запланированы на ещё более низком уровне – чуть более 2% в среднем ежегодно в течение этих 8 лет.

Как известно практически во всех экономически развитых странах известен опыт более или менее результативной деятельности более или менее специализированных научно-прикладных учреждений, ведающих вопросами эффективности труда. Когда-то подобные учреждения действовали и по всей территории СССР.

Сегодня принципиально важным представляется, что в России, после десятилетий отсутствия в результате неких социально-экономических реформ, воссоздаётся специальный институт по вопросам производительности труда - автономная некоммерческая организация, АНО "Федеральный центр компетенций в сфере производительности труда". Причём абсолютно правильным представляется и то, что подобные организации, соподчинённые ему, будут созданы во всех без исключения, регионах страны.

Правда, может вызвать некоторое недоумение, что цели и задачи этих организаций ограничены лишь «содействием разработке эффективных стратегий поддержки производительности труда, внедрению организационных инноваций в производственные и управленческие процессы, формированию условий и предпосылок к выявлению потенциала для достижения устойчивого качественного роста производительности труда во всех ключевых отраслях экономики». Думается, однако, что творческие усилия этих организаций должны быть мобилизованы на непосредственную разработку условий, и форм повышения производительности труда на предприятиях всех форм собственности, развитие методов регулирования этого процесса государственными структурами.

Но в действующей редакции рассматриваемого национального Проекта, роль федерального Центра компетенций (ФЦК) видится как источник информации о различных новостях в сфере производительности труда и, одновременно, как федерального куратора региональных программ повышения производительности труда. Руководство отдельных регионов становится ответственным и подотчётным за свои программы перед этой новой структурой. Конечно же, такой подход может оказаться чреватым новыми административно - бюрократическими отношениями, а возможно и коррупционными проявлениями. Думается, что ФЦК в большей мере должны быть наделены прикладными методическими, нежели административно-надзорными функциями. Однако, первые результаты разработки типовых подходов к организации повышения производительности труда намечено пока опубликовать лишь в самом конце 2019 года.

В данном документе ставится и вопрос о некой доработке расчётов показателей производительности труда на предприятиях. В частности, по добавленной стоимости и/или выручке предприятия. Между тем, как представляется, достоинства и недостатки этих методов достаточно обстоятельно уже давно проработаны и представлены в специальной отечественной литературе. Непонятно в чём именно авторам Проекта видится необходимость дальнейшей доработки этих показателей. Более эффективным и полезным было бы более предметно и, главное, компетентно использовать уже наработанные выводы и предложения в этом отношении.

Оценивая в целом факт формирования такой государственной программы, нельзя не признать её актуальность и целесообразность для социально-экономического развития России.

Между тем, реализация её может осложниться в немалой степени из-за неудовлетворительного состояния ряда технико-технологических факторов производительности труда в экономике России.

Взять, например, структуру экономики страны – доля так называемых высокотехнологичных отраслей страны в объёме ВВП составляет чуть более лишь пятой части. Тем не менее доля собственных затрат предприятий на исследования и разработки, НИОКР, в ВВП в последние лет пять сокращается.

Важно, что среди общего числа предприятий сокращается и доля тех из них, что осуществляют инновации.

В основе такого хода событий и его причиной, и его следствием является недостаточный, низкий объём инвестиций основной капитал предприятий.

При этом качество тех капиталовложений, которые всё-таки осуществляются, оставляет желать лучшего – при росте фондовооружённости, фондоотдача на предприятия нередко падает.

В результате такой неудовлетворительной динамики ряда показателей, отражающих предпосылки и факторы динамики производительности труда, она и сама имеет неудовлетворительный характер. Так после роста уровня производительности труда в 2000-2014 годах, в 2015-2016 годах произошло его некоторое снижение, а в 2017 году - лишь крайне незначительный прирост. Таким образом, представляется, что политика повышения производительности труда требует более интенсивных усилий со стороны государственных органов страны.

**Литература:**


1. Российский статистический ежегодник, 2017». М., Росстат, 2017
2. "Паспорт приоритетной программы "Повышение производительности труда и поддержка занятости" (утверждён президиумом Совета при Президенте РФ по стратегическому развитию и приоритетным проектам, протокол от 30.08.2017 № 9)
3. Щербаков А. И. Государственное регулирование производительности труда в современной России / «Горизонты экономики», №6, 2016

4. Щербаков А. И. Социальные предпосылки роста производительности труда в современной России/Сборник статей Международной конференц-сессии «Государственное управление и развитие России: выбор приоритетов». Т. II. М. Издательский дом «Научная библиотека», 2017
5. Щербаков А. И. Производительность труда в России и её государственное регулирование / Россия: государство и общество в новой реальности. Том 1. Сборник статей международной научно-практической конференции ИГСУ. Изд-во «Проспект», М., 2016.
6. Щербаков А. И. Регулирование производительности труда в России: пути совершенствования. /«Проблемы теории и практики управления», №3, 2017.
7. http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/ru/statistics/efficiency/
8. http://government.ru/news/26566/
9. http://money.rbc.ru/news/583469339a7947f801d7631b
10. http://www.rosbalt.ru/world/2016/09/02/1546601.html

## Regulation of labor productivity and its prerequisites in Russia

***Alexander Shcherbakov***

*Doctor of economic Sciences, Professor*

*Department of labor and social policy of the Institute of public service and management of the Russian presidential Academy of national economy and public administration (Ranepa)*

S u m m a r y

The article gives an overview of the measures taken by the Russian Government to increase labor productivity in the economy of the Russian Federation. The nature of the development of such state influence in recent years is noted. Evaluated a number of provisions of the present plan of government activities at the Federal and regional level in order to ensure the growth of labor productivity at the enterprises of the Russian - national Project. And there are shown some controversial elements of this programme of action.

The article also gives a brief description of the individual factors and prerequisites for the dynamics of labor productivity in the country.

***Keywords:*** *Labor productivity; priority program; national project; institutional impact; "competence center"; labor productivity indicators;labor productivity factors.*

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel  995 (32) 225 14 32

www.press.tsu.edu.ge